აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და
კულტურის სამინისტრო

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ქართული ლიტერატურის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

ტიტე მოსია

გიორგი შარვაშიძის ლიტერატურულ-კულტურული მემკვიდრეობა

თბილისი
2012

Ministry of Education and Culture of Autonomous Republic of Abkhazia

Sokhumi State University

Scientific and Research Institute of Georgian Literature

TITE MOSIA

GIORGI SHARVASHIDZE' S LITERARY AND CULTURAL INHERITANCE

Tbilisi
2012

Аҧснытәи автономтә республика аҵаралашареи
акультуреи рминистрра

Аҟәатәи аҳәынҭқарратә универитет
Ақырҭуа литература анаукатә-ҭҵааратә институт

ТИТЕ МОСИА

ГЬАРГЬ ШАРВАШИЗЕ (ЧАЧБА) ИЛИТЕРАТУРАТӘ-КУЛЬТУРАТӘ ҬЫНХАРА

Қарҭ
2012

ვუძღვნი უბადლო მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, გიორგი შარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის, ჩემი გამზრდელი პროფესორის — **ოთარ ჭურლულიას** ნათელ ხსოვნას.

წინამდებარე ნაშრომი ქართულენოვანი აფხაზი მწერლის გიორგი შარვაშიძის ცხოვრებისა და შემოქმედების მონოგრაფიულად შედარებით სრულყოფილად შესწავლის პირველი ცდაა. კვლევის ობიექტშია მოქცეული ლირიკულ-ეპიკური და დრამატულ-პუბლიცისტური თხზულებანი, ეროვნულ-მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა, ჰუმანისტური კრედო, ლიტერატურულ-ესთეტიკური კონცეფციები. წარმოჩენილია მწერლის შემოქმედებითი მიმართება შუა საუკუნეების ქართულ სიტყვიერ კულტურასთან, XIX საუკუნის ქართულ კლასიკურ მწერლობასთან, ენისა და სტილის თუ ლექსთწყობის საკითხები.

წიგნი დახმარებას გაუწევს გიორგი შარვაშიძის ლიტერატურულ-კულტურული მემკვიდრეობით დაინტერესებულ პირთ, ასევე XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული მწერლობის მკვლევართ.

რედაქტორები: **მარიამ მირესაშვილი**
სრული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
ზურაბ პაპასქირი
სრული პროფესორი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი
რეცენზენტები: **ავთანდილ ნიკოლეიშვილი**
სრული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი
თეიმურაზ გვანცელაძე
სრული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

წიგნი გამოდის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით „აფხაზეთის მეცნიერთა მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში, ასევე სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანადაფინანსებით.

ISBN 978-9941-9297

შ ე ს ა ვ ა ლ ი

ქართველები და აფხაზები ერთი ისტორიის მქონე ხალხია. ისინი მუდამ ერთი მიწის ბინადარნი იყვნენ და არიან. ისტორია შეუვალია. ისტორიული ფაქტები და ცნობები ურყევია, თვითონ სატანაც კი წერაქვით ვერ ამოკვეთს ისტორიის ფურცლებიდან, ლაპიდარული, ფრესკული თუ ჭედური წარწერებიდან ერთ ასოსაც კი. ეს ცნობები ხომ ქართველთა და აფხაზთა ძმური ურთიერთობის სასარგებლოდ ღაღადებენ. მთელი შუა საუკუნეების მანძილზე და შემდეგაც, ვიდრე რუსეთის იმპერიული ზრახვები ჩატეხდა ჩვენს შორის ხიდს, ქართველებს და აფხაზებს ერთი ენა, ერთი კულტურა, ერთი მწიგნობრობა და სარწმუნოება გვამთლიანებდა. ერთად ვეწეოდით ისტორიული ცხოვრების ჭაპანს, ვიგერიებდით მტრის შემოსევებს, ერთად ვებრძოდით წუთისოფლის უკუღმართობას, ერთად ვჭედდით საქართველოს ერთიანობის იდეას. კარგად გვესმოდა, რომ ერთმანეთის გარეშე ვერც ვიარსებებდით, ვერც შევინარჩუნებდით თვითმყოფადობას.

ნ. ბერძენიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ: „ფეოდალური ქვეყანა აფხაზეთი ისეთივე საქართველო იყო და აფხაზი ისეთივე ქართველი იყო, როგორც ეგრისი და მეგრელი, ჰერელი და ჰერი, როგორც ქართლი და ქართლელი“[1]. ამას ამბობს დიდი მეცნიერი, საქართველოს ისტორიის უბადლო მკვლევარი. ამბობს ყოველგვარი შელამაზების და მიკერძოების გარეშე. ამას ამბობს კრემლის წაქეზებით სეპარატისტულად განწყობილი აფხაზების შთასაგონებლად და არა გიორგი შარვაშიძის, დიმიტრი გულიას, ზურაბ ანჩაბაძის, ლორიკ მარშანიას დარ აფხაზთა საყურადღებოდ.

დიმიტრი გულია წინდახედული აფხაზი იყო, საქართველოს ისტორიის დიდებული მცოდნე. სწორედ ამ ცოდნის გათავისებამ ათქმევინა თავის დროზე, რომ არსებობენ „Многочисленные научно-проверенные факты, которые неопровержимо говорят, что абхазы жили всегда одной исторической и культурной жизнью с грузинам,

[1] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 10.

что абхазци, собственно, те же грузины".[1] ახლა მოვუსმინოთ, თუ რას ამბობს ქართული ენის შესახებ აფხაზური მწერლობის პატრიარქი: „Неоспоримым образом установлена, что уже в Абхазском царстве, Во всяком случае с середины IX в., грузинский язык является единственным языком письменности, государственного и частного делопроизводсва, церковного обихода и Богослужения. Эту роль свою грузинский язык и культура в Абхазии не теряли и в последующий период феодального раздробления Грузии и выделения Абхазского княжество".[2] იგივეს იმეორებს ფაქტიურად სიმონ ჯანაშია: „უკვე მეცხრე საუკუნის დამდეგიდან (თუ უფრო ადრე არა) აფხაზთა სამეფოში მწიგნობრობის, სამეფო კანცელარიისა და ეკლესიის ენა არის ქართული".[3]

ახლა გავეცნოთ აფხაზურ საზოგადოებაში თავის დროზე ყველაზე პოპულარული პიროვნების, უნიჭიერესი მეცნიერისა და ისტორიკოსის ზ. ანჩაბაძის თვალსაზრისს, რომელიც ფაქტიურად დიმიტრი გულიასა და სიმონ ჯანაშიას კონცეფციებს ეხმაურება და განამტკიცებს, ვინაიდან სამივე მეცნიერისათვის საყრდენი წერტილი უტყუარი ისტორიული ფაქტები იყო: „Культурная близость Абхазии с грузией находится свое выражение прежде всего в том, что в этот перёд (იგულისხმება შუა საუკუნეების ხანა) на территории Абхазии грузинский язык является языком писменност, государственного делопроизводства и церковного Богослужения. Потом все лапидарные и иные надписи из Абхазии дошедшие до нас от этого времени высечены на грузинском языке".[4]

მთელი შუა საუკუნეების მანძილზე სწორედ ერთობამ გადაარჩინა ორი მოძმე ერი ქართველი და აფხაზის სახით. ამ ისტორიულ ერთიანობაში XIX საუკუნის განმავლობაში ბზარის გაჩენას და ხიდის

---

[1] **Д. Гулия,** О моей книге „История Абхазии", Сухуми, 1951, გვ. 10.

[2] იქვე, გვ. 15.

[3] **ს. ჯანაშია,** შრომები II, თბ., გვ. 1952, გვ. 306.

[4] **З.В. Анчабадзе,** Из истории средневековой Абхазий, Сухуми, 1959, გვ. 196.

ჩალეწვას მიმართავდა რუსეთის იმპერიის რეაქციული პოლიტიკა. გიორგი შარვაშიძე, მოწინავე ქართველ ინტელიგენციასთან ერთად, ცდილობდა ამ უნუგეშო მდგომარეობის გამოსწორებას. მართებულად შენიშნავდა გიორგი შარვაშიძის პიროვნებაზე მსჯელობისას შ. ინალიფა: „იგი მიემხრო XIX საუკუნის დამლევის და XX საუკუნის დამდეგის ქართულ პროგრესულ ინტელიგენციას და ისწრაფვოდა ორი მოძმე ხალხის - ქართველებისა და აფხაზების ისტორიული ერთიანობის აღდგენისაკენ“.[1]

გიორგი შარვაშიძეს აფხაზი ისეთივე ქართველად მიაჩნდა, როგორც მეგრელი, სვანი, იმერელი, ქართლელი, კახელი. აი, რას წერდა ეს დიდებული აფხაზი მოაზროვნე: „ჩვენ (იგულისხმება ქართველი და აფხაზი ხალხი - ტ.მ.) შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ იღბალის უკულმართობას ხელი არ შეეშალა, ევროპის წინათაც ვიქნებოდით ჩვენ დღეს, ვინაიდან, როდესაც ანდრია მოციქული აქ ქრისტეს მცნებას გვიქადაგებდა, მაშინ ევროპაში ოვით დუკებსაც კამეჩის ტყავი ეცვათ ტანზე და ფეხშიშველა, შუბებით ხელში ნადირობდნენ ტყეებში“.[2]

აქ შეუძლებელია არ მოვიგონოთ დიდი ქართველი მწერლის და ლექსიკოგრაფის სულხან-საბა ორბელიანის (1658-1725) „მოგზაურობა ევროპაში“, სადაც იგი აფხაზსაც ქართველად მოიხსენიებს. საბა მალტის კუნძულზე ოსმალთა ტყვეობიდან თავდახსნილ თანამემამულეებს შეხვდა: „ქართველნიც ვნახე, ზოგი აფხაზი, ზოგი იმერელი, გურიელი, მეგრელი, რომ თათრისათვის წაერთმიათ, ენა ისე კარგად იცოდნენ“. ახლა კი ანტონ ბაგრატიონს (ანტონ პირველი, იგივე ანტონ კათალიკოსი) მოვუსმინოთ: „ვახუშტის უქებ ღეოღრაფის ცნობასა, ისტორიათ თქმას. ერცელ, ბრძნად გარდამოცემას, ამან დაწყებით ქართუელთა ისტორია - კახთ, მესხთ, აფხაზთა, მეგრელთა, სუან, კავკასთა აღწერა, დაჰშურა, შეეწია ქართუელთა“.

ასე რომ, სულხან-საბა ორბელიანი, ანტონ ბაგრატიონი, შემდეგში თვითონ წარმომავლობით აფხაზი გიორგი შარვაშიძე ამბობენ იმას

[1] შ. ინალ-იფა, აფხაზური მწერლობა გუშინ და დღეს, თბ., 1973, გვ. 8.
[2] გაზ. „საქართველო“, 1917, № 137,140.

ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობაზე, რაც ისტორიულად იყო, ყოველგვარი შეფერილობის და შელამაზების გარეშე. საქართველოს სხვადასხვა კუთხის მკვიდრნი და, მათ შორის აფხაზებიც, ქმნიდნენ და ავითარებდნენ ერთიან ქართულ კულტურას. როგორც ითქვა, აფხაზთა, მეგრელთა, სვანთა, ქართლელთა, კახელთა, იმერელთა საურთიერთო საშუალება მხოლოდ ქართული ენა იყო, როგორც სახელმწიფო სამწიგნობრო, ისე საეკლესიო ენა. დიდი ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა გიორგი მერჩულე თავის უკვდავ თხზულებაში „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, რომელშიც VIII-IX სს. ამბებია მოთხრობილი, გარკვევით წერდა: „ქართლად ფრიადი ქუეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების“.

აფხაზური, მეგრული, სვანური ენები საშინაო ენები იყო, უმწერლობო ენები. აქედან გამომდინარე, გაჭირდება გ. ქიქოძის თვალსაზრისის გაზიარება: „ეგრისელების და აფხაზების გაქრისტიანებამ ისინი კიდევ უფრო დაუახლოვა ბიზანტიის იმპერიას, რომელსაც უაღრესად განვითარებული სასულიერო და საერო კულტურა ჰქონდა. კულტურული და კომერციული ურთიერთობისათვის ქრისტიან ეგრისელებს და აფხაზებს ისევე სჭირდებოდათ ბასილი დიდის და იოანე ოქროპირის ენა, როგორც მათ წარმართ წინაპრებს ჰომეროსის და პლატონის ენა სჭირდებოდათ. ამ გარემოებამ შეაფერხა აფხაზური და მეგრული დამწერლობის და ლიტერატურის წარმოშობა“. გვაქვს კი რაიმე დოკუმენტი, ვამტკიცოთ, რომ შუა საუკუნეებში აფხაზი, მეგრელი ან სვანი ცდილობდა საკუთარი დამწერლობის შექმნას? ცხადია, ამის მსგავსი ცნობა არ შემონახულა. ვერც შემოინახებოდა არარსებობის გამო. ვინაიდან ამისი საჭიროება არც მდგარა მთელ საქართველოში ქართული ენისა და ქართული დამწერლობის გავრცელების გამო. ეს კი უმტკიცესი საძირკველი იყო საქართველოს ერთიანობისა თუ მთლიანობისა. გ. ქიქოძის სიტყვები კი ერთგვარ შთამაგონებლად ჟღერს იმის საბუთად, რომ აფხაზებს და მეგრელებს თავიანთი დამწერლობა უნდა ჰქონოდათ. სწორედ ეს იქნებოდა შემაფერხებელი

საქართველოს გაერთიანების იდეის განხორციელებისათვის.

XIX ს. საქართველოში რუსეთის იმპერიული რეჟიმის დამყარების შემდეგ რუსმა მწერლებმა და მეცნიერებმა დაიწყეს „ზრუნვა“ აფხაზების ეროვნული კულტურის განვითარებისათვის, მათ შორის მშობლიურ ენაზე დამწერლობის შექმნისა და სკოლის განვითარებისათვის. 1865 წელს პ. უსლარმა აფხაზურ ენას რუსული ანბანი მიუსადაგა, დაუმატა მათ რამდენიმე ასო და ამით მისცა დასაბამი აფხაზურ დამწერლობას. პ. უსლარის ანბანზე დაყრდნობით ი. ბარტოლომეის ხელმძღვანელობით შექმნილმა კომისიამ 1865 წელს თბილისში აფხაზურ ენაზე პირველი წიგნი გამოსცა „აფხაზური ანბანის“ სახით. გაივლის 27 წელი და 1892 წელს დიმიტრი გულია კონსტანტინე მაჭავარიანთან ერთად ქმნის აფხაზურ ანბანს. ამჟამად მოქმედი ანბანი კი დაფუძნებულია რუსულ შრიფტზე. ნიკო ჯანაშია, რომელიც თავის თავს აფხაზად აღიარებდა, მიმხვდარი იყო რუსული ადმინისტრაციის ვერაგულ ჩანაფიქრს და წერდა: „ქართველთა და აფხაზთა დასაპირისპირებლად რუსულმა ადმინისტრაციამ გამოიყენა ისეთი სასიამოვნო და კულტურული მოვლენა, როგორიც არის დამწერლობის შექმნა აფხაზურ ენაზე. როგორ შეიძლება ეს სასიამოვნო გარემოება იარაღად გამოიყენოს კაცმა, სხვათა შორის, შუღლისა და მტრობის დასათესად“.[1] ხუხუტი ბღაჟბას მიხედვით, აფხაზური დამწერლობის შექმნის ერთ-ერთ მიზანს შეადგენდა აფხაზი მოსახლეობის რუსიფიკაცია.[2]

ბეჟან ხორავა წერს: „ცარიზმმა დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ქართველ-აფხაზთა კულტურულ-ისტორიულ ერთობას და ამ ერთობის საფუძველს - ქართულ ენას. ამ მიზანს ემსახურებოდა რუსული ანბანის საფუძველზე აფხაზური დამწერლობის შექმნაც.“[3] ეტყობა, ამავე აზრისა იყო გიორგი შარვაშიძეც, ამიტომ არ მიმართავდა აფხაზურ ანბანს, ამიტომაც არ წერდა არაფერს აფხაზურ ენაზე. მოქვის ტაძარში საფლავის ქვაზე მისივე სახელი, ასევე მამისა,

---

[1] „დროება“, 1909, 18 დეკემბერი.

[2] აფხაზეთის მწერლობა, ხ. ბღაჟბას წინასიტყვაობას, ტფ. 1937, გვ. 6.

[3] ბ. ხორავა, ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., თბ., 1996, გვ. 6.

ამოკვეთილი იყო ქართულ რუსულ ენებზე.

გ. ძიძარია, ვ. აგრბა და სხვ. აღნიშნავენ, რომ აფხაზურ ენაზე გიორგი შარვაშიძის ლიტერატურული ნაწარმოებების უქონლობა ობიექტური მიზეზებით აიხსნება: ჯერ ერთი, მაშინ (XIX ს. 60-იან წლებში) ნიადაგი არ იყო მომზადებული აფხაზურ ენაზე დამოუკიდებელი ლიტერატურულ შემოქმედებისათვის. მეორე, გ. შარვაშიძე (ჩაჩბა) მოწყვეტილი იყო სამშობლოს, ეროვნულ ნიადაგს და, ბოლოს, მესამე, განათლება - ამასთან ქართულ და რუსულ ენებზე, რომლებიც მხატვრულად განვითარებული იყო, მან მიიღო უფრო ადრე, ვიდრე შემოქმედებამ გაიტაცა.[1]

გიორგი შარვაშიძე ბრძენი კაცი იყო, ერთიანი საქართველოს უდიდესი პატრიოტი. ის ტკივილივით გრძნობდა თუ რა მოჰყვებოდა აფხაზური დამწერლობის შემოღებას რუსული იმპერიული ძალების წადილის აღსასრულებლად. 1892 წელს შექმნილი და შემოღებული აფხაზური ანბანის შემდეგ გიორგი შარვაშიძემ 26 წელი იცოცხლა, მაგრამ აფხაზურად ერთი სტრიქონიც კი არ დაუწერია, მიუხედავად იმისა, რომ იგი ჩინებული მოაფხაზურე ყოფილა. ამას პოეტი საჭიროდ არ თვლიდა, რადგან რუსული იმპერიული და შოვინისტური ძალების „შემოგდებულად" რაცხდა, რაც მათი ზრახვების წისქვილზე ასხამდა წყალს. კატასტროფული შედეგი მივიღეთ 1992-1993 წლებში. ისე ჩატყდა ხიდი ქართველ და აფხაზ ხალხს შორის, რომ მისი გამრთელების შესაძლებლობის აღიარება, ცოცხლები რომ იყვნენ, ბიბლიურ წინასწარმეტყველებსაც კი გაუჭირდებოდათ. თუმცა, ეს ყველაფერი მაინც დროებით მოვლენად უნდა მივიჩნიოთ. დრო უებარი მკურნალია. მან ჩაყო ჩვენს ჭრილობაში ხელი და მანვე უნდა მოგვიშუშოს იგი. ურყევად მჯერა, რომ ისტორიული სამართლიანობა აღდგება - ქართველი და აფხაზი ერი ისევ ჩადგება ძმობისა და მეგობრობის ფერხულში, ისევ ერთად გავაგრძელებთ ჩვენი ტრადიციებით და კულტურით ცხოვრებას...

---

[1] ვ. აგრბა, აფხაზური პოეზია და ზეპირი ხალხური შემოქმედება. თბ., 1970, გვ. 33.

გიორგი შარვაშიძე არის სიმბოლო ქართველი და აფხაზი ხალხის ისტორიული ძმობა-მეგობრობისა. უგუნურთა მიერ იავარყოფილი საფლავიდან წამომდგარი მისი აჩრდილი დღესაც ჩვენს შორის დაიარება, ღვთის თვალივით ჩასახლებულია ჩვენს გულსა თუ სულში და შერიგებისკენ მოგვიწოდებს; შთაგვაგონებს, რომ ცხოვრების ამგვარი წესით გაგრძელება შეუძლებელია, რომ საუკუნეების მანძილზე ქართველები და აფხაზები ორ სხეულში ჩაწურული ერთი სულით ვარსებობდით და ვმოქმედებდით, რომ ყოვლად დაუშვებელია ღირსეული ისტორიული წარსულისათვის ხაზის გადასმა, მისი წაბილწვა და შეურაცხყოფა. მოგვიწოდებს: ორივე მხარემ ვაღიაროთ საბედისწერო შეცდომები, შევუნდოთ ამ შეცდომებს შეწირულთა სულებს, თაყვანი ვცეთ მათ სახელს, დაღვრილი სისხლი გადავამუშაოთ მზის ენერგიად, რომელიც კვლავაც ერთიანად გაგვანათებს და გაგვათბობს; გვჯეროდეს, რომ კვლავ ძმურად შეკავშირების გარეშე ორივე მხარეს კატასტროფა გვემუქრება, ჩვენს გარდა ჩვენივე მშველელი არავინ არ არის.

სწორედ ამიტომ იძენს დღეს, როგორც არასდროს, განსაკუთრებულ აქტუალობას გიორგი შარვაშიძის უბიწო ცხოვრება და შემოქმედება. მისივე ცხოვრების წესიდან, ლიტერატურულ-კულტურული მემკვიდრეობიდან მომზირალი თვალები გულანთებული შემოგვცქერის, გვათვალიერებს, მაჯას გვისინჯავს, ჩვენს სულში იჭვრიტება, ხელგაშლით გვეპატიჟება თავის ეროვნულ-მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობის სამყაროში, ეთიკურ-ესთეტიკურ სივრცეში, რაც მთავარია, უხიწვოდ, უმწიკვლოდ გვახედებს ქართველის და აფხაზის გულში და ფსიქიკაში, ერთმანეთისადმი სიყვარულის განახლების მორალს გვიკითხავს, ერთმანეთთან გულების შეერთებას გვიქადაგებს.

გულწრფელად ვამბობ: ბოლო წლებში ვისუნთქე რა გიორგი შარვაშიძის ცხოვრებისეული ეპიზოდების და შემოქმედების ჟანგბადით, დავრწმუნდი, რომ ამ დიდი ადამიანის წარმომშობ ხალხს სიკვდილი არ უწერია, კუთხეს, სადაც იგი დაიბადა, მზის დაბნელება არ ეწილხვედრება. ხოლო ის უბედურების დოლაბის ქვა, რაც ამ

თვალმარგალიტი მხარის თავზე ტრიალებს, დაიფშვნება. მოვარდება სიკეთის ტალღა და ამ ბოროტების სიბინძურეს გადარეცხავს. თუმცა ეს თავისით არ მოვა. ამას განახორციელებს მხოლოდ ერთ მუშტად შეკრული ქართველი და აფხაზი ერის ერთსულოვანი ნება. ერთსაც გულწრფელად ვაღიარებ: გიორგი შარვაშიძის ბიოგრაფიის გზაზე გავლამ და მისი ნაწერების წიაღში ღრმად ჩაწვდომამ ახლებურ განზომილებაში შემაყვარა აფხაზი ხალხი; დამარწმუნა, რომ აფხაზები, მათთან თანაცხოვრების პერიოდში, თურმე ზერელედ მყვარებია, ზერელედ მიმიგია მათთვის პატივი, ზერელედ მოვკიდებივარ მათივე კულტურას და მეობას. როგორ შეიძლება თურმე ერთ ღირსეულ, ღვთისნიერ პიროვნებას შეგაყვაროს ახლებურად თავისი მშობელი ერი. ჩემს დასკვნამდე დანარჩენ აფხაზეთელ ქართველთა მიყვანა მხოლოდ გიორგი შარვაშიძისკენ მიბრუნების ფასად ჯდება.

საქართველოს დამპყრობი რუსეთის ხელისუფლების განკარგულებით გიორგი შარვაშიძეს აკრძალული ჰქონდა მშობლიურ აფხაზეთში ცხოვრება (იგი ამას მხოლოდ 1905 წლიდან ეღირსა). 1866 წელს ცარიზმის რეჟიმის წინააღმდეგ აფხაზთა აჯანყების მეთაურობისათვის იგი გადაასახლეს რუსეთში, სადაც კარგა ხანი დაჰყო. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ცხოვრობდა თბილისში, უფრო ქუთაისში. აქ დაუმმობილდა აკაკი წერეთელს, დიდ პატივს მიაგებდა ილია ჭავჭავაძეს, აქტიურად ჩაება ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რამაც უფრო მჭიდროდ დააახლოვა მოწინავე ქართველ საზოგადოებასთან. XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის დამდეგის საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების ჟანგბადით სუნთქავდა. იმჟამად გიორგი შარვაშიძე, როგორც ჩინებული მწერალი, საზოგადოებისათვის ნაკლებად იყო ცნობილი, ვინაიდან თავის პოეტურ ნიმუშებს იშვიათად აქვეყნებდა. მისი თხზულებანი უმეტესწილად ხელნაწერ კრებულებში ბინადრობდა და მას იცნობდა მკითხველთა მცირე ნაწილი. ქართველი საზოგადოება მწერალს უფრო იცნობდა პიესებით („მომაკვდავნი სურათნი“, „გიორგი მესამე“, „კომლი უცეცხლოდ“), რომელიც წარმატებით იდგმებოდა მაშინდელ

ქართულ სცენაზე (თბილისი, ქუთაისი).

გიორგი შარვაშიძის სახელი გარდაცვალების (1918) შემდეგ მივიწყებულ იქნა მთელი ათი წლის მანძილზე. 1928 წელს აფხაზი მწერლის დავიწყებული სახელის ცა შავი ღრუბლებისგან გაწმინდა სიმონ ჯანაშიამ, რომელმაც დეკემბრის თვეში საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე წაიკითხა სანიმუშო მოხსენება – „გიორგი შარვაშიძე“. სწორედ ამ მოხსენებით დაიწყო მწერლის ლიტერატურულ-კულტურულ მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლის ისტორია.

ამის შემდეგაც 1946 წლამდე გიორგი შარვაშიძის სახელი კვლავ მივიწყებას მიეცა. ამ წელს კი ღირსეულად აღინიშნა მისი დაბადებიდან 100 წლის იუბილე. სწორედ ამავე წელს გამოქვეყნდა აკად. სიმონ ჯანაშიას რედაქციით და განუმეორებელი კულტურულ-ისტორიული ნარკვევით წიგნი – „გიორგი შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა“. ამ წიგნში დიდმა ისტორიკოსმა თავი მოუყარა აფხაზი მწერლის სხვადასხვა გამოცემებსა და ხელნაწერებში მიმობნეულ ლექსებს ქართულ და რუსულ ენებზე, ასევე დრამატულ თხზულებებს: „გიორგი მესამე“, „მომაკვდავნი სურათნი“, დაუმთავრებელ ერთადერთ პოემას „გვადანის ციხე“. ეს გამოცემა გამეორდა 1985 წელს („გიორგი შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, აკად. სიმონ ჯანაშიას რედაქციითა და ნარკვევით, მეორე გამოცემა, თბ., 1985).

XX საუკუნის 80-90-იან წლებში საქართველოში და კერძოდ, აფხაზეთში ავად განვითარებულმა სისხლისმღვრელმა მოვლენებმა კვლავ გააქტიურეს გიორგი შარვაშიძის სახელი და ღირსებანი. 1996 წელს ფართოდ აღინიშნა მწერლის დაბადებიდან 150 წლის იუბილე, ამას მოჰყვა 2006 წელს გიორგი შარვაშიძის თხზულებათა ორტომეულის გამოცემა (რედაქტორ-შემდგენელი ელგუჯა თავბერიძე).

წინა გამოცემებთან შედარებით ეს არის უფრო შევსებული გამოცემა. მასში შევიდა დაკარგულად მიჩნეული პიესა „კომლი უცეცხლოდ“, თეატრალური რეცენზიები, პუბლიცისტური წერილები: „სოციალიზმი და საქართველო“, „Так пишется история“. ამ ყველაფერს მოიცავს

პირველი ტომი. მეორე ტომში თავმოყრილია წერილები და ესეები გიორგი შარვაშიძეზე. თუმცა გიორგი შარვაშიძის თხზულებათა კიდევ უფრო შევსებული და სრულყოფილი ტომის გამოცემა მომავლის საქმედ რჩება.

გიორგი შარვაშიძემ სამწერლო ასპარეზზე გამოჩენისთანავე უპირველესად თავისი პიესებით მიიქცია საზოგადოების ყურადღება. იგი, საერთოდ, თეატრალური ხელოვნებისადმი განსაკუთრებულ დაინტერესებას იჩენდა. პრესაში აქვეყნებდა თეატრალურ რეცენზიებს, რომელშიც ობიექტურად პირუთვნელად განიხილავდა ამა თუ იმ სპექტაკლს, თეატრის ყველა კომპონენტის (პიესა, რეჟისორი, მსახიობი, მხატვარი, მაყურებელი) გათვალისწინებით. მისი პიესებიც წარმატებით იდგმებოდა, რომელიც პრესაში დადებით გამოხმაურებას პოულობდა. 1895 წელს გაზეთ „ივერიის" კორესპონდენტი პიესაზე „კომლი უცეცხლოდ" წერდა:

„თავადის გიორგი შარვაშიძის „კომლი უცეცხლოდ", ჩემის აზრით, ისეთი ხელოვნურად და ლამაზად აკინძული შემთხვევა არის, რომელსაც თავიდან ბოლომდის ინტერესით უყურებთ, სიამოვნებით. „კომლი უცეცხლოდ" უცხო სურნელოვან, ლამაზ ყვავილს მოგაგონებთ, რომელსაც ნაზი და ფაქიზი მოვლა უნდა, რომ უხვირო შეხებით ფოთლები არ გაუფუჭოთ".[1] აღსანიშნავია, რომ ამ პიესას 1895 წელს დიდი აკაკი წერეთელიც გამოხმაურებია ჟურნალ „კვალში": „კვირას წარმოადგინეს „კომლი უცეცხლოდ" ერთმოქმედებიანი დრამა. ეს დრამატიული ნაწყვეტი რიგიანი და კარგია. მშვენიერი იყო გრაფის როლში კ. მესხი"...[2]

გიორგი შარვაშიძის დრამატული ნაწარმოები „მომაკვდავნი სურათნი" ცალკე წიგნად გამოქვეყნდა ქუთაისში 1882 წელს ილია ჭყონიას მზრუნველობით. ეს იყო აფხაზი მწერლის პირველი წიგნი. მის შესახებ გაზეთი „დროება" წერდა: „ჩვენ მივიღეთ ქუთაისში გამოცემული ილ. ჭყონიასგან თ-ის გიორგი შარვაშიძის კომედია —

[1] გაზ. „ივერია", №258, 1895.
[2] ჟურნ. „კვალი", №51, 1895.

„მომაკვდავნი სურათნი“. ესე სუფთად და ლაზათიანად გამოცემული წიგნი ძვირად გვინახავს ჩვენს მწიგნობრობაში და ურჩევდით სხვა ჩვენს გამომცემელთაც ნიმუშად აიღონ ეს წიგნი“...[1] აფხაზი დრამატურგის დიდებული პიესა „გიორგი მესამე“ პირველად დაიბეჭდა 1915 წელს გაზეთ „სამშობლოში“.

გიორგი შარვაშიძის ჩვენამდე მოღწეული პირველი ლექსი „რა უშავთ მათ“ დათარიღებულია 1868 წლით, ორენბურგში გადასახლებით ყოფნისას. მისი პირველი გამოქვეყნებული ლექსია „ჩემსა საღამოს, გლახსა საამოს“. დაიბეჭდა 1869 წელს გაზეთ „დროებაში“ პონტოქსელის ხელმოწერით.[2] ხოლო ცალკე წიგნად გამოცემულ ლექსების წიგნს პოეტი არ მოსწრებია. აფხაზი მწერალი არ გამოირჩეოდა ლიტერატურული პროდუქტიულობით და არც მისი პუბლიკაციის დაინტერესებით. მას მოღვაწეობა უხდებოდა კორიფეების: ილიას, აკაკის, ვაჟას პერიოდში და ამიტომაც გრძნობდა დიდ პასუხისმგებლობას მწერლობის წინაშე. მას ლიტერატურული საქმიანობა, ეტყობა, უფრო გასართობ საგანად მიაჩნდა. 1918 წელს გრიგოლ რობაქიძე წერდა გიორგი შარვაშიძის შესახებ: „იგი თვითონ მწიგნობარია: რუსთაველი ზედმიწევნით იცის. თვითონაც წერს: ლექსებს, პოემებს, დრამებს, მაგრამ ამაებში არ ეტყობა ბარბაროსული ძალ-აყრილობა: ეს გასართობია მისთვის მხოლოდ, - თუმცა ისეთივე ლამაზი მოხდენილობით აღვიებული, როგორც ქორითა და შავარდნით ნადირობა, - რომელიც მას უყვარს ძალზე და შნონიანათაც ეხერხება“.

სამწუხაროდ, გიორგი შარვაშიძის ნაწერებიდან ბევრი რამ დაიღუპა. ოთარ ჭურღულია წერდა: „გ. შარვაშიძემ თავისი არქივი სიკვდილის წინ ჩააბარა ცნობილი აფხაზი ექიმისა და საზოგადო მოღვაწის, ვარლამ შარვაშიძის მეუღლეს. 1921 წელს ვ. შარვაშიძე დააპატიმრეს და მისმა მეუღლემ სახლის გადაჩხრეკის მოლოდინში ეზოში გამოიტანა როგორც მეუღლის, ისე გ. შარვაშიძის მთელი არქივი და დაწვა. ასე დაიღუპა დიდი ეროვნული განძი.“

---

[1] გაზ. „დროება“. №73, 1883.

[2] გაზ. „დროება“, №17, 1869.

გიორგი შარვაშიძის გადარჩენილი და ჩვენამდე მოღწეული ლიტერატურულ-კულტურული მემკვიდრეობა დღემდე არაერთი ქართველი მკვლევარის თუ დაინტერესებული პირის განსჯის და დაკვირვების ობიექტად ქცეულა, რაც გამოიხატა ცალკე გამოცემული წიგნებით თუ წერილებით. შევეცადეთ წინამდებარე წიგნის პირველ თავში მათ თავმოყრასა და გაანალიზება-განხილვას. ამით გვეწადა მონოგრაფიის ძირითადი ნაწილის გაცნობამდე მკითხველისათვის დამაჯერებელი ინფორმაცია მიგვეწოდებინა, თუ როგორ დაფასდა დღემდე გიორგი შარვაშიძის ღვაწლი, რა საკითხებზე მახვილდებოდა ყურადღება ქართველ მკვლევართა მხრიდან, ასევე აფხაზი მწერლის შემოქმედების მოყვარულთა მხრიდან (ნიკოლოზ თავდგირიძე, ილია ჭყონია, გრიგოლ რობაქიძე (გივი გოლლენდი), შალვა დადიანი, გერონტი ქიქოძე, სიმონ ჯანაშია, ოთარ ჭურღულია, ეფემია ხარაძე, სოლომონ ლეკიშვილი, გივი მიქაძე, სოლომონ ხუციშვილი, ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ელგუჯა თავბერიძე, ნანა კუცია, აბესალომ გადილია, ოთარ ჟორდანია, პაატა ქურდოვანიძე, ზურაბ პაპასკირი, ჯუმბერ თითმერია, ციალა არდაშელია, მარინე ჯაიანი, ლევან ჯინჯიხაძე).

როდესაც ჩვენს ხელთ არსებულ მასალებს გავეცანით და გავითავისეთ, ავტორთა მიმართ მოწიწებითი მადლიერების გრძნობა გაღვივდა გულში გიორგი შარვაშიძის პიროვნებისა და შემოქმედებითი ნიმუშების გულისხმიერი შეფასებისათვის, ამ კოლორიტული მოღვაწისადმი საკადრისი პატივის მიგებისათვის. ამასთანავე, მოგვეჩვენა, რომ მხოლოდ ზოგიერთი საკითხია ამოწურულად შესწავლილი, პრობლემათა უმრავლესობა კი ოდენ ზოგად ასპექტშია განხილული. ერთი სიტყვით, ვიგრძენით ისეთი მონოგრაფიული ნაშრომის უქონლობა, სადაც სისტემაში იქნებოდა მოყვანილი ქრონოლოგიური თანმიმდევრობით გიორგი შარვაშიძის ბიოგრაფიული მასალები და შტრიხების ჩაღრმავებით ნაკვლევი იქნებოდა ამ დიდებული მწერლის ლირიკის, ერთადერთი ეპიკური ძეგლის, დრამატული თხზულებების თითქმის ყველა პრობლემური საკითხი, იდეურ-მხატვრული სამყარო, ეროვნულ-მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა და პოზიცია, თეა-

ტრალურ-ესთეტიკური ნააზრევი, პუბლიცისტურ წერილებში მიმობნეული თვალსაზრისები საჭირბოროტო მოვლენებზე; გამოწვლილვით იქნებოდა დღემდე. საერთოდ, შეუსწავლელი პოეტიკური სამყარო დამუშავებული: ტროპული მეტყველება, ლექსთწყობის საკითხები, მეტრიკული სტრუქტურა, რითმა და ა.შ.

წინამდებარე მონოგრაფია ცდილობს გარკვეულწილად შეავსოს ეს სარვეზი. იგი შედგება შვიდი თავისგან: თავი I – გიორგი შარვაშიძის ლიტერატურულ-კულტურული მემკვიდრეობის ქართველი მკვლევარნი;

თავი II – გიორგი შარვაშიძის ცხოვრების გზებზე (შტრიხები ბიოგრაფიისათვის);

თავი III – გიორგი შარვაშიძის ეროვნულ-მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა;

თავი IV – გიორგი შარვაშიძის ქართული ლირიკიდან;

თავი V – გიორგი შარვაშიძის ეპიკური მემკვიდრეობა;

თავი VI – გიორგი შარვაშიძე - დრამატურგი.

თავი VII – გიორგი შარვაშიძის პუბლიცისტიკიდან.

წარმოდგენილ წიგნს სრულებით არა აქვს პრეტენზია მასში დამუშავებული საკითხების ამოწურულად შესწავლისა. იგი არც შეცდომებისგან იქნება დაზღვეული. სწორედ ამიტომ სამართლიან შენიშვნებს ველოდებით მკითხველისაგან თუ სპეციალისტებისაგან, რათა ისინი გავითვალისწინოთ შემდგომ მუშაობაში.

დაბოლოს: ზემოთ ვახსენეთ, რომ XX საუკუნის 90-იან წლებში ცნობილმა ტრაგიკულმა მოვლენებმა კვლავ გააქტიურა გიორგი შარვაშიძის პიროვნებისადმი ინტერესი. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფ. ოთარ ჟორდანიას ინიციატივით დაარსდა გიორგი შარვაშიძის საზოგადოება თბილისში, რომელსაც თვითონ ბ-ნი ოთარი ხელმძღვანელობდა. 1993 წელს სოხუმში სისხლისმღვრელი ომის პირობებში მწერალთა კავშირის ინიციატივით და პოეტ გენო კალანდიას ხელმძღვანელობით დაფუძნდა გიორგი შარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემია. 1994 წელს მისი პირველი ლაურეატები იყვნენ:

ოთარ ჭურღულია, ჯანო ჯანელიძე, ლორიკ მარშანია. ეს პრემია დღემდე გაიცემა ორ წელიწადში ერთხელ. თავის დროზე გიორგი შარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატები გახდნენ: გენო კალანდია, რენე კალანდია, გივი ბერაია, მურმან ხურცილავა, ვლადიმერ ჯოლოგუა, გურამ ოდიშარია, აპოლონ ჯინჯოლია, თამაზ ნადარეიშვილი, ზურაბ პაპასკირი, ჯამბულ ანჩაბაძე, ბორის კვარაცხელია, ბეჟან ხორავა, ხათუნა ჭურღულია, რაფიელ გელანტია, ვახტანგ ყოლბაია, პაატა ქურდოვანიძე, ნუგზარ ანთელავა, ნოდარ ხუნდაძე და სხვები.

აღსანიშნავია, რომ გიორგი შარვაშიძის პრემია სიკვდილის შემდეგ მიენიჭათ შოთა აკობიას და მირიან მირნელს.

თავი პირველი
გიორგი შარვაშიძის ლიტერატურულ-კულტურული მემკვიდრეობის ქართველი მკვლევარნი

გიორგი შარვაშიძეს უსაზღვროდ უყვარდა საქართველო, ქართველი ხალხი, ქართული ენა, ქართული კულტურა. პატივს სცემდა ქართულ ტრადიციებს, ზნე-ჩვეულებებს. როგორც შალვა დადიანი იტყოდა: „გიორგის აფხაზეთი უსაქართველოდ და საქართველო უაფხაზეთოდ ვერ წარმოედგინა“.[1] გერონტი ქიქოძემ მოხდენილად თქვა: „გიორგი შარვაშიძეს ერთნაირი სიძლიერით უყვარდა ის დედაც, რომელმაც შობა და ის დედაც, რომელმაც თავისი რძით გამოკვება.[2] აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მემკვიდრე სასტიკად უპირისპირდებოდა რუსეთის იმპერიის კოლონიურ პოლიტიკას, ხედავდა თუ რუსეთი როგორ იმონებდა მის მშობლიურ თვალმარგალიტ მხარეს. ცარიზმის წინააღმდეგ აფხაზეთის აჯანყების თავკაცად წოდებული გიორგი შარვაშიძე მოწყვიტეს სამშობლოს და რუსეთში გადაასახლეს. ვითომდა შეწყნარებულს პეტერბურგში ცხოვრების უფლება მისცეს. მეფის რუსეთის ტახტის მემკვიდრე ალექსანდრე მესამეს დაიახლოვა კიდეც იგი ფარისევლურად, უბოძა ფლიგელ-ადიუტანტის ტიტული. ეს დიდებული აფხაზი უზრუნველ ცხოვრებაზე არ გაცვლის თავის სამშობლოს, გული აქეთკენ მოუწევს, ტოვებს პეტერბურგს და მკვიდრდება ქუთაისში, ვინაიდან აფხაზეთში ცხოვრება ეკრძალებოდა. სხვათა შორის, გიორგი შარვაშიძის მამაც, აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილ შარვაშიძეც, ითხოვდა, რუსეთში არ გადაესახლებინათ, ენატრებოდა ქუთაისში და რაჭაში სიცოცხლის გაგრძელება.

ასე რომ, პეტერბურგიდან დაბრუნებული და ქუთაისში დამკვიდრებული გიორგი შარვაშიძე, ს. ჯანაშიას თქმისა არ იყოს, „მთელი თავისი არსებით ქართულ კულტურულ სამყაროს უკავშირდება“.

---

[1] **შ. დადიანი,** „გიორგი შარვაშიძის დაბადებიდან 100 წლისთავის გამო“, წიგნში: **გ. შარვაშიძე,** თხზულებანი II, თბ., 2006, გვ. 49.

[2] **გ. ქიქოძე,** აფხაზეთ-საქართველოს ურთიერთობებიდან, წიგნში: **გ. შარვაშიძე,** თხზ., II, გვ. 57.

გიორგი შარვაშიძის ცხოვრებისა და შემოქმედების აღიარებული მკვლევარის ოთარ ჭურღულიას ნათქვამს მოვიშველიებთ: „XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებთან მას ჰქონდა მეტად ახლო, გულთბილი, მეგობრული ურთიერთობა. გიორგი შარვაშიძე იყო ილია ჭავჭავაძის, ანტონ ფურცელაძის, მამია გურიელის, იონა მეუნარგიას, ნიკო დადიანის, ალექსანდრე ორბელიანის, თედო სახოკიას ილია ჭყონიას თანამედროვე და თანამოაზრე. მას განსაკუთრებული მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა აკაკი წერეთელთან. ისინი ერთმანეთს ლექსებსაც უძღვნიდნენ.“[1] აღსანიშნავია, რომ მამია გურიელმა ოთხი ლექსი უძღვნა გიორგი შარვაშიძეს, ასევე კონსტანტინე ერისთავმაც.

საინტერესოა, რომ გიორგი შარვაშიძეს ილია ჭავჭავაძე პირველად გაუცვნია პეტერბურგში 1873 წელს. ოთარ ჭურღულიას შენიშვნით, „პეტერბურგში მათი ურთიერთგაცნობა და დაახლოება შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა. ამის თავდები იყო საერთო მსოფლმხედველობა, დიდი ინტელექტი, ღრმა პატრიოტიზმი და ფართო დიაპაზონის კულტურა.“ საგულისხმოა, რომ ილია ჭავჭავაძის გაცნობა თურმე გიორგი შარვაშიძის ინტერესებში შედიოდა და სტუმრებია კიდეც საცხოვრებელ სახლში. ეს დიდი ილიას წერილიდან ჩანს, რომელსაც ყურადღება პირველად ოთარ ჭურღულიამ მიაქცია.

არაერთი მკვლევარის მსჯელობის საგანი ყოფილა დროთა მანძილზე აკაკი წერეთლისა და გიორგი შარვაშიძის განსაკუთრებული მეგობრული ურთიერთობა, რაც ერთმანეთისადმი მიძღვნილი ლექსებით დაგვირგვინებულა. დიდი აკაკი გიორგისადმი მიძღვნილ ლექსში მისი საუბრის სიტკბოებას უსვამს ხაზს და ნერვებაშლილს მასთან შეხვედრა „სამკურნალოდ შეერგება.“ ვერ ეგუება ცოტა ხნითაც კი მეგობართან ჩამოცილებას, იქვე საყვედურიც გამზადებული აქვს და შეახსენებს, რა თქმა უნდა, ხუმრობით: „ნუ დააგდებ ძველსა გზასა და მეგობარსა“. ეს ლექსი მინდა მთლიანად დავიმოწმო, ოღონდ პროზული ფორმით: „შენი ტკბილი საუბარი მიყვარს, როგორც „ქებათ-ქება“, შენი ნახვა ნერვებაშლილს სამკურნალოდ შეერგება! ეს შენც

[1] ო. ჭურღულია, შარვაშიძეები, თბ., 2004, გვ. 36.

იცი, მაგრამ, ძმაო, ცოტა მოიაფხაზურებ; ახალ-ახალს რომ მონახავ, ძველებს აღარც-კი უყურებ. ეს არ არის მოსაწონი, გეფიცები ზენა-არსსა, ნათქვამია: „ნუ დააგდებ ძველ გზასა და მეგობარსა“. თათარხანი (იგულისხმება ივანე დადეშქელიანი) ჩამოსულა, მაგრამ ჩემთვის სად მოიცლის. დღე სძინავს და ღამე ლოთობს, თამაშობს და ყანწებსა სცლის; ჩემთვის სადღა დაურჩება ან საღამო და ან დილა. ესეც კია, მეგობრობა სვანის არსად გაგონილა!“

ამ ლექსს აკაკისა („აკაკის ლექსი, გიორგისადმი მიწერილი“) მოჰყვა „გიორგის პასუხი აკაკისადმი“, რომელსაც სრულად მოვიტან: „შენი ტკბილი მგოსნის ენა, რა ხანია, არ მსმენია. ფუტკარმაცა იცის კბენა, მაგრამ თაფლის გამჩენია. რაც უნდა მითხრა, მეგობარო, მე, შენს შაგირდს, მაძლევს ლხენას, რადგან ვიცი, უკეთ ხარო, მადლსა ვწირავ ცას და ზენას. მაგრამ შენსა მაღალ ნიჭსა არ შეჰფერის უმართლობა: მოჰყოლიხარ ცოტა ჭორსა, მოგრევია იმერლობა. სვანი ყანწით გადღეგრძელებს. მე, აფხაზი, წრფელის გულით, ვით სცოდნიათ ჩვენსა ძველებს ძმობითა და სიყვარულით!“

გიორგი შარვაშიძემ მწარედ განიცადა საყვარელი პოეტისა და დიდი მეგობრის აკაკი წერეთლის გარდაცვალება და გულმდუღარე ლექსით („აკაკის“) გამოეთხოვა მას: „სულმნათო! არა, არ გეთხოვები, შენისთანები არა კვდებიან. სხეულით მხოლოდ შენ განისვენე, ხოლო ზეციურ-უკვდავი ხმები შენი ქნარისა ჩვენთან შთებიან! და ეს ანდერძი აღმაფრთოვანი შენის ერისგან დალოცვილია, როგორც ფოლადში ოქროს ზარნაში, ქართველთა გულში ჩაჭედილია... და თან ღაღადი, ქებათა ქება, გუნდრუკად ცისკენ აღემართება, ეს არს სიცოცხლე და უკვდავება... კურთხეულია შენი ხსენება!“.

ზემოთ შევეხეთ ილიას და გიორგი შარვაშიძის ურთიერთობას ჯერ კიდევ პეტერბურგში. გვინდა ეს თბილი დამოკიდებულება შევავსოთ ექვთიმე თაყაიშვილის „მოგონებით“. საქართველოს მეჯურჭლეთუხუცესი იხსენებს ილიასთან და ჯანდიერთან ერთად ქუთაისში ჩასვლას გაბრიელ ეპისკოპოსის დაკრძალვაზე. მიუხედავად პოლიციის საიდუმლო ზედამხედველობისა, ილია აქ სიტყვით გამოსულა ხალხით გაჭედილ ეკლესიაში, რითაც თვითონაც კმაყოფილი დარ-

ჩენილა. შემდეგ ქუთაისის ეს დიდად საპატიო სტუმრები სასტუმრო „კავკაზის“ სასადილო დარბაზში შესულან. აქ მათ დაუნახავთ მოქეიფეთა ჯგუფი გიორგი შარვაშიძის მეთაურობით. შეზარხოშებულნი გალობდნენ: „განუსვენე, უფალო, სულსა მიცვალებულისა შენისასა“. დიდი თბილისელი სტუმრების დანახვისას ფეხზე წამომდგარან. გიორგი შარვაშიძეს ხმამაღლა დაუძახნია: „ოო, ილია გრიგორიჩს გაუმარჯოს! რა სასიამოვნო სტუმარი მოვიდა! აბა, ახალი სუფრა!“... ასე გამოუხატავს თავისი აღფრთოვანება ამ დიდებულ აფხაზს დიდი ილიასთან ქუთაისში შესვედრით.

თუ როგორ აფასებნენ ქართველები აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შვილს. ნათლად ჩანს ნიკო თავდგირიძის სიტყვიდან, რომელიც წარმოთქვა მოქვში 1918 წლის 25 თებერვალს, გიორგი შარვაშიძის დაკრძალვის დღეს. მკითხველისთვის ნაწყვეტების ერთი ნაწილის შეთავაზებით შემოვისაზღვრებით: „შენ შესანიშნავი იყავი ჩვენს ცხოვრებაში, როგორც სულიერად ძლიერი, ჩვეულებრივ საზოგადოების აზრ-მისწრაფებათა მაღლა მდგომი პირადობით. შენ ქედი არ მოიხარე, მცირე, ოდნავადაც არ დაიმცირე ღირსება შენი ერის მჩაგვრელ, შენს ხალხზედ ძალით გაბატონებულ ძლიერ სახელმწიფოებრივ მმართველობის წინაშე... შენ ყმაწვილობიდან გეზიზღებოდა ყოველივე ის სიკეთე, რომელიც რუსეთის ტახტიდან გამომდინარეობდა“.

ნიკო თავდგირიძე თავის სიტყვაში იხსენებს გიორგი შარვაშიძის მიერ ქუთაისში ჩადენილ გმირულ საქციელს რუსეთის ხელმწიფის ალექსანდრე მესამის ჩამოსვლისას. მას შეატყობინეს, რომ, როგორც ხელმწიფისთვის არასაიმედო პირს, ქუთაისი უნდა დაეტოვებინა, იქაურობას უნდა გასცლოდა. გიორგი შარვაშიძეს ირონიულად მიუწერია ხელმწიფისათვის: „რაკი თქვენი მთავრობა იმდენად არ მენდობა, რომ თქვენი ჩამოსვლის დროს ჩემი სამშობლოში ყოფნაც-კი საშიშრად მიაჩნია, გთხოვთ ეს სასახლის წოდებაც, ფლიგელ-ადიუტანტობაც ჩამომართვათო“.

ნიკო თავდგირიძე სულით რაინდს უწოდებს გიორგი შარვაშიძეს, რომლის ბუნებას არ შეეძლოო ორპირობა: „შენ პირველმა შეარყიე, შეასუსტე ჩვენს წოდებაში ტახტის სიყვარული და ერთგულება. შენი

მაგალითით სარგებლობდა, იწვრთნებოდა მთელი რიგი ახალგაზრდობის, რომელიც სულით ნამდვილი რევოლუციონერები ხდებოდნენ". აქვე ხაზი გაესმის „გიორგი მესამის" ავტორის დამსახურებას, მაღალ წოდებაში ამაღლებას შეგნებისა და პატივისცემისა საზოგადოდ კავკასიელი ერებისადმი.

თავის სიტყვაში ნიკო თავდგირიძე არ მალავს ქართველი საზოგადოების შეგნებული ნაწილის გულგრილობას იმასთან დაკავშირებით, რომ ხმას არ იღებდნენ, აღშფოთებას არ გამოხატავდნენ ცარისტული ხელისუფლების მიმართ გიორგი შარვაშიძისთვის მშობლიურ აფხაზეთში მიწების წართმევისათვის. არ ჩანდა ქართველთა მხრიდან თანაგრძნობის გამოხატვა იმ კაცის მიმართ, ვისაც მშობლიური ორი ქცევა მიწა ენატრებოდა, ვისაც აფხაზეთში ცხოვრება აკრძალული ჰქონდა, რაც 1905 წლამდე გაგრძელდა. აქვე ნიკო თავდგირიძე ამხელს აფხაზებსაც, რომელთათვის თურმე 1905 წლიდან თავიანთი დიდი თანამემამულის მშობლიურ კუთხეში დაბრუნება შეუმჩნეველი აღმოჩნდა: „შენმა საყვარელმა ხალხმა-აბხაზებმა გვერდი აგიხვია, ვერ შეგამჩნია შენ და იმ რუსის აღზრდა-აზროვნება-მიმართულებით გაჟღენთილ ადამიანებს მიჰყვა, რომელთან ბრძოლას შენი ხალხის დაჩაგვრისათვის მთელი შენი კაცთა შორის აღიარებული ბედნიერება შესწირე".

სოხუმის ყოფილი მოურავის, ნიკო თავდგირიძის სიტყვიდან კიდევ ერთი ციტატის ამოღებით დავასრულებთ: „თამამად შემიძლია შენს კუბოსთან გამოსვთქვა, რომ შენისთანა რაინდული გრძნობით აღჭურვილი, შენისთანა ჩვენი ეროვნების ღირსების შემცნები, დამცველი და უანგარო მოყვარული არა თუ აბხაზეთს, მთელ საქართველოსაც, რომელიც რიცხვით და განათლებული საზოგადოებით უფრო ძლიერია, ამჟამადაც არა ჰყავს".[1]

ილია ჭყონიას დაუწერია მრავალმხრივ საყურადღებო წერილი გიორგი შარვაშიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით. სიმონ ჯანაშიას მითითებით, ეს წერილი დაბეჭდილი ყოფილა ერთ-ერთ ქართულ გაზეთში, რომელიც ხელთ არ ჰქონია დიდ მეცნიერს. მას უსარგე-

[1] ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება", №10, 1918; შდრ. გ. შარვაშიძე. თხზ., II, გვ. 40.

ბლია ამ წერილის ნაკლული შავით, რომელიც მისთვის მიუწოდებია ავტორის ქვრივს ან. ჭყონიას[1] (ჩვენ მიერ ჩატარებულმა მცდელობამ პრესაში ამ წერილის აღმოსაჩენად ამაოდ ჩაიარა). და აი, ბედნიერი მომენტი: ლუკა დვალიშვილს ავთანდილ ნიკოლეიშვილისთვის გადაუცია ილია ჭყონიას ეს წერილი, რომელიც ინახებოდა თურმე გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში (ფონდი 10124-26). ავთანდილ ნიკოლეიშვილი შენიშნავს, რომ იგი დღემდე არ ყოფილა გამოქვეყნებული. ამ ცნობილმა ლიტერატურათმცოდნემ თავის ნარკვევში გიორგი შარვაშიძეზე მთლიანად დაბეჭდა ეს წერილი.[2] ამით გაკეთდა დიდი საქმე და სამეცნიერო ბრუნვაში შემოვიდა მეტად საჭირო უტყუარი საინფორმაციო მასალა მიხეილ და გიორგი შარვაშიძეების ბიოგრაფიისათვის ბევრი დაუზუსტებელი ფაქტისათვის ნათლის მოსაფენად.

ახლა კი რეზიუმეს ფარგლებში გადმოვცემთ საგულისხმო ცნობებს. ილია ჭყონია გიორგი შარვაშიძეს უწოდებს მონარქიული ეპოქის უკანასკნელ წარმომადგენელს, უშიშარ რაინდს, უმწიკვლო მწერალს, მოლექსეს, დრამატურგს, ევროპულად განათლებულს, ისტორიისა და ლიტერატურის კარგ მცოდნეს, თვალადს, ტანადს, ჩინებულ მოუბარს, დარბაისელს, ესთეტიკის სწორუპოვარ განსაზიერებას. იგი წუხს მისი გარდაცვალების გამო. ასევე წერილის ავტორი მოგვითხრობს თუ როგორ დაითანხმა უნგრეთის გამოჩენილმა მხატვარმა ზიჩმა გიორგი შარვაშიძე სცენაზე ტარიელის განსასახიერებლად. აქვე მიუთითებდა მამა-შვილის მიხეილისა და გიორგის რუსის მონარქიისადმი დაუძინებელ ოპოზიციონერობაზე, მიხეილის სამთავრო ტახტიდან გადაყენებაზე, რუსეთში გადასახლებაზე, ხოლო რუსის მთავრობის მიერ გიორგის თბილისში მძევლად წაყვანაზე, სრულიად ყმაწვილისთვის ფლიგელ-ადიუტანტობის მიცემაზე. ილია ჭყონია ასევე აფიქსირებს რუსების წინააღმდეგ აფხაზეთის გლეხობის აჯანყებას, მათ დასაწყნარებლად თბილისიდან გიორგი შარვა-

[1] შდრ. **ს. ჯანაშიას** დასახ. ნაშრომი, გვ. 16.

[2] **ა. ნიკოლეიშვილი**, გიორგი შარვაშიძე, საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი აფხაზი მწერალი, წიგნში: გიორგი შარვაშიძე, თხზულებანი, II, ქუთაისი, 2006, გვ. 130-134.

შიძის გაგზავნას, მშობელი სალხი მას ზეიმით შესვდა და წინამძღოლობა სთხოვა. აქვე ვეცნობით თბილისში დაბრუნებულ გიორგის თუ როგორ წაართვეს ფლიგელ-ადიუტანტობა, ჩინები, ორდენები, რასაც მისი გადასახლება მოჰყვა რუსეთში. აქ დამსახურებისა და გამო კლავ დაუბრუნეს ფლიგელ-ადიუტანტობა და ჩინები.

ილია ჭყონია გვიყვება თუ როგორ დაიახლოვა პეტერბურგში გიორგი შარვაშიძე ალექსანდრე მესამემ, მხნე და საზრიანი სამსახურისთვის თუ როგორ აჩუქეს მას ძვირფასი ბზის ტყე გინშ-ეწერი, რასაც მოჰყვა მისი სამშობლოში დაბრუნების ნებართვა. წერილის ავტორი ასევე მოგვითხრობს რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე მესამის ქუთაისში ჩამოსვლისას მომხდარ ინციდენტზე და ა.შ.

ერთი სიტყვით, ილია ჭყონიას წერილი გიორგი შარვაშიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით შეიცავს უნიკალურ მასალებს, რაც გარკვეულწილად ავსებს ამ ჩინებული აფხაზის ბიოგრაფიის სფეროს, ისედაც ჩვენამდე მწირად მოღწეულს. ამ წერილს შეუძლია კორექტივი შეიტანოს გიორგი შარვაშიძის დაბადების თარიღის განსაზღვრაშიც, რაზეც მის ბიოგრაფიაზე მსჯელობისას ვისაუბრებთ.

გრიგოლ რობაქიძემ (გივი გოლლენდი) მისთვის დამახასიათებელი ორიგინალობით არაჩვეულებრივი წერილი მიუძღვნა გიორგი შარვაშიძეს. მოცულობით პატარა, მაგრამ დიდი შინაარსის დამტევი ამ წყაროსთვალა ეტიუდიდან ნათლად იკვეთება (ქვეტექსტებში), რომ „გველის პერანგის“ ავტორმა ყველაფერი იცის აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის განუმეორებელ შვილზე. იცის, რომ გიორგი შარვაშიძე მცოდნეა ქართული, აფხაზური, რუსული, ინგლისური, ფრანგული. გერმანული და მეგრული ენებისა; იცის მის დიდი მწიგნობრობაზე, რუსთაველის ზედმიწევნით ცოდნაზე; უწყის ასევე, რომ იგი წერს ლექსებს, პოემებს, დრამებს, „მაგრამ ამაებში არ ეტყობაო ბარბაროსული ძალ-აყრილობა: ეს გასართობია მისთვის მხოლოდ, — თუმცა ისეთივე ლამაზი მოხდენილობით აღვიებული, როგორც ქორითა და შავარდნით ნადირობა, — რომელიც მას უყვარს და შნოიანადაც ეხერხება“.[1]

[1] გ. გოლლენდი, გიორგი შარვაშიძე. გაზ. „საქართველო“, №45, 1918, შდრ. გ. შარვაშიძე, თხზ. II, გვ. 42.

ერთი სიტყვით, გრიგოლ რობაქიძემ ყველაფერი იცის გიორგი შარვაშიძეზე. დასახელებული წერილიდან ჩანს, რომ იგი საგანგებოდ ჩადის სოხუმში მასთან შესახვედრად. როგორც ითქვა, გიორგი შარვაშიძეს აფხაზეთში ცხოვრების ნება მიღებულ ჰქონდა 1905 წლიდან. გრიგოლ რობაქიძემ სოხუმში თუ რომელ წელს მოინახულა „ვარადას“ ავტორი, კონკრეტული თარიღი უცნობია. ერთი რამ ცხადია, თავის წერილში ავტორი პირველივე დანახვიდან მას სამოც წელს გადაცილებულად მოიხსენიებს („თუმცა ეტყობა ექვს ათეულს გადასცილებია“). გამოდის, რომ ამ ორი დიდი პიროვნების შეხვედრა შედგა დაახლოებით XX საუკუნის 10-იანი წლების დამდეგს.

საანალიზო ეტიუდი უჩვეულო სურათის აღწერა-ხატვით იწყება: „სოხუმის ნაპირები. გაზაფხულის ხალასი პირი. მზე ვაჟური სიუხვით აყრის მიწას ნაკვერცხლებს. ალმურის მარმაშით ლალდება ყოველი. ზღვის ფართო ზედაპირი ფირუზის ატლასით გადაშლილა. მისი ნელი მოსუნთქვა სიგრილით ეჭრის სიცხის სივარვარეს. ბუნება ზანტი თვლემით ნებივრობს. სიკვდილის ლანდი სირცხვილით მიმალულა სადღაც და უძირო საშოს წიაღით ამოხეთქილი ხალისობს წყაროსთვალა სიცოცხლე. ქუჩებზე უდარდელობა დასეირნობს. შორიახლო ტალღების შუვილი გაისმის.[1]

ბუნების სურათის აღწერით გრიგოლ რობაქიძე ქმნის ულამაზეს ფონს მკითხველის შესამზადებლად სასიამოვნო მოვლენასთან შეხვედრისათვის. და აი, ისიც: „მთავარ ქუჩაზე მოდის ვინმე ცხენოსანი... ცხენოსანი ნამდვილი მხედარი: მოხდენილი ჯდომა, — თითქო მბრძანებელი მგრძნობიარე ცხოველის, მაგრამ თითქო მას ძალას არც კი ატანს, — მარჯვე დაკავება სადავის, ხოლო, სრულად თავისუფალი, — რიტმით მიშვება ცხენის სიარულის“... ეს მომენტი ახსენებს არჩილ ჯორჯაძის სიტყვებს: ქართველი ბელტრისტისათვის ისიც არის საკმაო, რომ რომელიმე აბხაზის ცხენოსნობა ასწეროსო.

მწერალი ისე გვნუსხავს ემოციური მუხტით, ისე გადაგვდებს თავის შინაგან განწყობილებას, თითქოს დროის ზღვარი იშლება, მკითხველიც შემოქმედის გვერდითაა, ხიბლავს სოხუმის ზღაპრული

[1] გ. გოლენდი, გიორგი შარვაშიძე, გაზ. „საქართველო“, №45, 1918, შდრ. გ. შარვაშიძე, თხზ. II, გვ. 41.

მშვენიერება, შეეყრება „ვინმე ცხენოსანს“, ნამდვილ მხედარს. გულისფანცქალით შეესწრება მის ცხენიდან გადმოხტომას. თითქოს ერთად მივესალმებით გიორგი შარვაშიძეს: „რა შესანიშნავად ადგას ჩოხა! ტანი მაღლად არის აყვანილი სილაღით კიდევ... ასეთი მოხდენილი ჩაცმულობა არავიზე მინახავს საქართველოში: აქ იყო ესთეტიკა ოსკარ უა ლდის ყელსახვევისა. ქართული ყაიდა ჩაცმულობის მძაფრი სტილით ჩამოკვეთილი“.[1]

გრიგოლ რობაქიძემ ნამდვილი არისტოკრატობა გიორგი შარვაშიძისა ამომწურავად წარმოაჩინა: ჩვეული მუსაიფი ნაცნობებში, ნელი, ტკბილი, მელოდიური ხმა, უცნაური ჯადოთი გაჟღენთილი ლამაზი კილო, თლილი თითები, მოქნილობა. ივერიული სილამაზე: „ხაზების სისწორე და სირბილე, სწორუპოვარი პროფილი: აქაც სისადავე და რჩეულობა თან. მთელი საუკუნეებია საჭირო, რომ ბიოლოგიურმა შერჩევამ ასეთი სრული ტიპი წარმოშობოს“. უბრალო მიმოხვრაც მოწმობს მისი, რომ მის გვარში ასიწლობით ყოფილა შეუცნობელი ფიქრი ბიოლოგიური რჩეულობისა... რაც უნდ მოიმოქმედოს, ყველაფერი ლამაზი გამოუყვა“.[2]

გრიგოლ რობაქიძის წერილი სრულდება ნაღვლიანი განწყობილებით: „ამ დღეებში ამბავი მოვიდა მისი სიკვდილის: მოგეშორდა ქართული რასის ნამდვილი ვაჟი“. ჩვენც დავასრულებთ ამ წერილს ოთარ ჭურღულიასეული შეფასებით: „ეს დახასიათება კი არა, მთელი რომანია, რომელშიც ნაზ ფერებში გადმოცემულია გ. შარვაშიძის ფიზიკური, სულიერი, ინტელექტუალური და ესთეტიკური თვისებები. რა სიდიადე, ვაჟკაცობა, თავმდაბლობა, უბრალოება, რჩეულთათვის დამახასიათებელი თავმოწონება, კდემამოსილებასთან შეზავებული, მოჩანს მწერლის მიერ შექმნილ ამ პორტრეტში. კითხულობთ სტრიქონებს და თვალწინ წარმოგიდგებათ სურათი გიორგი შარვაშიძისა“.[3]

შალვა დადიანმა 1948 წელს დაწერა „გიორგი შარვაშიძის და-

---

[1] გ. გოლელიდი, გიორგი შარვაშიძე, გაზ. „საქართველო“, №45, 1918, შდრ. გ. შარვაშიძე, თხზ. II, გვ. 41.

[2] გ. შარვაშიძე, ოხზ., II, გვ. 42.

[3] ო. ჭურღულია, შარვაშიძეები, თბ., 2004, გვ. 33.

ბადებიდან 100 წლისთავის გამო“. მასში ნათქვამია: „ტრადიცია კი გიორგი შარვაშიძის მიერ, მისი მწერლობით ნაანდერძევი, ეს არის ტრადიცია ხალხის უმწიკვლო სიყვარულისა, ხალხის სამსახურისა, ეს არის სამშობლოს სიყვარული და გარჯა მისი კეთილდღეობისათვის. იგი მთელ თავის სიცოცხლეში შესტრფოდა „ბრწყინვალე მზეს“ ერის განთავისუფლებისა, გამოცოცხლებისა.“[1] ამ წერილში ცნობილი შემოქმედი ხაზს უსვამს გიორგი შარვაშიძის მოქალაქეობრივ პოზიციას, მის ეროვნულ სულისკვეთებას, მისი მცირერიცხოვანი, მაგრამ მაღალსარისხოვანი ნაწარმოებების ღირსებას და მნიშვნელობას. განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს პიესების („გიორგი მესამე“, „მომაკვდავნი სურათნი“, „კვამლი უცეცხლოდ“) შემეცნებით მხარეს.

„პუბლიცისტიკაში იგი მუდამ შეუპოვარი მოსარჩლე იყო თავის ქვეყნის საუკეთესო ზნე-ჩვეულებისა, მისი სულიერ ახოვნებისა, თუკი ვინმე ოდესმე უდიერად მოიხსენებდა მის სათაყვანო სამშობლოს, იგი, ვით უებრო რაინდი, ზე-წამოიჭრებოდა და ბასრი კალმით ხელში სამაგიეროს მიაგებდა შეურაცხმყოფელს“.[2]

შალვა დადიანს ხიბლავს ამ ჩინებული აფხაზის გაბედულება არა მარტო წერით, არამედ თავის მოქმედებითაც, მისი შეუპოვრობა, ქედუხრელობა, ხელისშემშლელი პირობების გადალახვისას. რად ღირს გახსენება გმირული საქციელისა, რომელიც მან ჩაიდინა ქუთაისში რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე მესამის ჩამოსვლისას, გიორგი შარვაშიძემ დემონსტრატიულად უარი განაცხადა უმაღლეს საკარისკაცო ტიტულზე — ფლიგელ-ადიუტანტობაზე, რომელიც მას რუსთა ხელმწიფისგან ჰქონდა მინიჭებული. ამით რაინდულად გაწყვიტა რამე კავშირი რუსეთის მთავრობასთან, რაც მისთვის ომის გამოცხადების ტოლფარდი იყო.

გიორგი შარვაშიძის „მეტისმეტი ზრდილობით“ მოხიბლული შალვა დადიანი წერს: „უშიშარი, დაუდრეკელი იყო იგი საზოგადოებრივსა და პირად ცხოვრებაშიც. მხოლოდ ინტიმობაში კი იყო მეტისმეტად ზრდილობიანი, მიმღები და თანაზიარი. ეს ზრდილობა,

[1] **შ. დადიანი,** გიორგი შარვაშიძის დაბადებიდან 100 წლისთავის გამო, წიგნში: გ. შარვაშიძე, თხზ., II, გვ. 46.

[2] იქვე, გვ. 47.

ჩემის აზრით, გიორგის ევროპისაგან არ შეუძენია. მიუხედავად იმისა, რომ ის იყო მაშინდელი დროისათვის ევროპულად დიდად განათლებული პიროვნება, მცოდნე რამოდენიმე ევროპულ ენისა და სხვა. მისი ზრდილობა იყო უფრო ნაზი, უფრო დარბაისელი, უფრო სიმრგვლემოპოვებული, ქართული იყო".[1] აქვე მწერალი ლაპარაკობს „ვარადას" ავტორის თანდაყოლილ, ბუნებრივ თვისებებზე, ტკბილად მოსასმენ საუბარზე, ჯდომასა თუ დგომაზე. ხელის გაქნევაზე, თავის დაკვრაზე. მიხრა-მოხრაზე, როგორც მხატვრულ აქტზე; ასევე მის ლაღ, თავისუფალ საქციელზე. შალვა დადიანის თქმით, „გიორგი შარვაშიძეს აფხაზეთი უსაქართველოდ და საქართველო უაფხაზეთოდ ვერ წარმოედგინა. ეს გაერთიანება, ეს ძმური კავშირი უკვე დღეს ხორცშესხმულია ჩვენ ქვეყანაში და მას ვერარა შეარყევს რა". არ გამოდგა ქართველი მწერლის ეს მრწამსი წინასწარმეტყველური. მან მხოლოდ 45 წელი იცოცხლა და 1993 წელს ისე „შეირყა", მისი აღორძინება-განახლება ურთულესად სავარაუდოა. ვერ გაამტყუნებ იმ დროისთვის „დიდი სტალინის ბრწყინვალე ეპოქით" (შ. დადიანის სიტყვებია ამავე წერილში) გაბრუებულ მწერალს.

საინტერესოა, რომ შალვა დადიანის ცნობილ ნაწარმოებში გვირგვილიანების ოჯახი" ასხივებს გიორგი შარვაშიძის სახე. მწერალი პერსონაჟის ენით ამბობს აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის ამ გამორჩეულ შვილზე: „ნამდვილი რაინდი, ზრდილი, თავაზიანი, ან როგორი თავის დაჭერა სცოდნია, ან რა მიხრა-მოხრა აქვს, საქციელი... და ეს სრულიად ბუნებრივად გამოუდის მას. არაფერი ძალდატანებული, არაფერი ხელოვნური. ნამდვილი ჰერცოგია, ან ფრანგულად რა მშვენივრად ლაპარაკობს, ასე გეგონებათ, თავისი დღენი საფრანგეთის სალონებში აქვს გატარებულიო".

1946 წლის 20 დეკემბერს სოხუმის თეატრში გიორგი შარვაშიძის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამოზე გერონტი ქიქოძეს ბრწყინვალე სიტყვა წარმოუთქვამს – „აფხაზეთ-საქართველოს ურთიერთობიდან". გიორგი შარვაშიძის ფიზიკური და

[1] შ. დადიანი, გიორგი შარვაშიძის დაბადებიდან 100 წლისთავის გამო, წიგნში: გ. შარვაშიძე, თხზ., II, გვ. 48.

სულიერი პორტრეტის გამოსაქანდაკებლად ფონის შექმნისათვის ამ ცნობილ კოლორიტულ ლიტერატორს და მკვლევარს ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობის გაუხუნარი წიგნის ფურცლებიდან გამოუხმია საგულისხმო ფაქტები, რომლებიც ხმამაღლა მეტყველებენ ჩვენს სარწმუნოებრივ, კულტურულ, ენობრივ, პოლიტიკურ, ტერიტორიულ ერთობაზე, განუყოფლობაზე, უმძიმესი ისტორიული თანაცხოვრების ჭაპანის ერთად ზიდვაზე.

გერონტი ქიქოძე გვიყვება რუსეთის იმპერიის მიერ 1810 წლიდან აფხაზეთის ოკუპაციაზე, რუსეთის მეფის აუტანელი რეჟიმის წინააღმდეგ აფხაზეთში 1877 წელს მომხდარ აჯანყებაზე, მის ჩახშობაზე, რასაც შედეგად მოჰყვა აფხაზეთის მოსახლეობის სამი მეოთხედის მიერ მშობლიური კუთხის იძულებით დატოვება ოსმალეთში გადასახლების გამო; გადასახლებულთა ადგილ-მამულის მიტაცება რუსების, ესტონელების, სომხების, ბერძნების მხრიდან, აფხაზეთის ძირძველი ტერიტორიის ეთნიურად აჭრელება: „ამ იმპერიალისტური ძალმომრეობის ეპოქაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართველმა და აფხაზმა ინტელიგენტებმა, აკაკი წერეთელმა, გიორგი შარვაშიძემ და სხვებმა, რომელთაც ხელი შეუწყვეს მეგობრობის და კულტურული კავშირის ტრადიციის აღდგენას ამ ორ მონათესავე ერს შორის".[1]

თავის სიტყვაში გერონტი ქიქოძე საუბრობს 1866 წელს აფხაზეთის აჯანყებაზე, გიორგი შარვაშიძის რუსეთში გადასახლებაზე, მოგვიანებით პეტერბურგის სასახლეში მიწვევაზე, მეფის ამალაში ფლიგელ-ადიუტანტის ხარისხით დანიშვნაზე, რომანოვების კარისკაცობაზე უარის თქმაზე, საქართველოში დაბრუნებაზე, აფხაზეთში ცხოვრების აკრძალვის გამო ქუთაისში დასახლებაზე: „აქ საუკეთესო ქართველი ინტელიგენციის წრეში ტრიალებდა, მეგობრობდა აკაკი წერეთელს, მამია გურიელს და სხვ. ხანდახან მალულად, უბრალო ჩოხაში გამოწყობილი, აფხაზეთში მოგზაურობდა, რომლის სიყვარული მან სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე შეინარჩუნა".[2]

გერონტი ქიქოძე ორიოდე სიტყვით ეხება აკაკი წერეთლის და

[1] გ. ქიქოძე, აფხაზეთ-საქართველოს ურთიერთობდან, წიგნში: გ. შარვაშიძე, თხზ. II, გვ. 54.

[2] იქვე, გვ. 55.

გიორგი შარვაშიძის მეგობრულ ურთიერთობას, აფხაზი მწერლის მხრიდან საკუთარი თავის „განთიადის“ ავტორის შეგირდად გამოცხადებას: „ის აკაკისთან მართლა ახლო დგას თავისი ლექსის ფორმის უბრალოებით, გამჭვირვალობით და ხალხურ მეტყველებასთან დაახლოებით. აკაკი წერეთლის მსგავსად მასაც ახასიათებს უიმედობიდან მხნე განწყობილებაზე გადასვლა. ზოგიერთ მის ლექსს ვაჟა-ფშაველას იდეური გავლენა ეტყობა („ლომი“, „ფშაურ ხმაზედ“)... საუკეთესოდ გიორგი შარვაშიძის ლირიკულ ლექსებში მისი „ვარადა“ უნდა ჩაითვალოს, სადაც ხალხური სიმღერის ფორმა პატრიოტული გრძნობის გამოსახატავადაა გამოყენებული“.[1]

ასევე ყურადღებულია გერონტი ქიქოძის სიტყვაში გიორგი შარვაშიძის პუბლიცისტური წერილების პატოსი, მისი ზრუნვა ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის. გალაშქრება უცხო ტერმინების გადაჭარბებით და უადგილოდ ხმარების წინააღმდეგ: „დიდად საინტერესოა ერთი მისი წერილი, სადაც ის ამტკიცებს; შოთა რუსთაველის ტრადიციული პორტრეტი ისეა შექმნილი, რომ სრულიად არ შეეფერება ნაციონალური სტილის გრძნობას და თუ ქართველი ერი არ გადაშენდა. ამ სურათს ჩვენი მომავალი თაობები უმწიფარი გონების ნაყოფად ჩათვლიანო“.[2] გერონტი ქიქოძე ასე ასრულებს თავის სიტყვას: „როგორც ნამდვილ აფხაზს შეეფერებოდა, გიორგი შარვაშიძეს ერთნაირი სიძლიერით უყვარდა ის დედაც, რომელმაც შობა, და ის დედაც, რომელმაც თავისი რძით გამოკვება. მას მათთვის არ ულალატია მათი სიღარიბისა და დამცირების დროს და ცხოვრების გზის დასასრულამდე შეინარჩუნა რწმენა, რომ ორიევს ბედნიერი მომავალი ელოდა.[3]

დიდი ენერგია შესწირა აკად. სიმონ ჯანაშიამ გიორგი შარვაშიძის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის საქმეს. 28 წლის ჯერ კიდევ ჭაბუკმა, მაგრამ ნაადრევად დაბრძენებულმა მეცნიერმა, შექმნა უნიკალური კულტურულ-ისტორიული ნარკვევი „გიორგი შარვაშიძე“.

[1] **გ. ქიქოძე**, აფხაზეთ-საქართველოს ურთიერთობდან, წიგნში: გ. შარვაშიძე, თხზ. II, გვ. 56.

[2] **გ. შარვაშიძე**, თხზ., II, გვ. 57.

[3] იქვე, გვ. 57.

ეს ნარკვევი აღმოჩნდა გზამკვლევი გიორგი შარვაშიძის ცხოვრების და შემოქმედების მკვლევართათვის. ბევრს მისცა სტიმული და შთაგონება თუ რა გულისხმიერებითა და გულმოდგინეობით შეესწავლათ ყველა საკითხი, რაც „გიორგი მესამის“ ავტორის ცხოვრებას და შემოქმედებას უკავშირდებოდა. ბევრი კარგი ნაშრომი გამოქვეყნდა ამ გამორჩეულ აფხაზ პიროვნებაზე, მის ლიტერატურულ-კულტურულ მემკვიდრეობაზე, მაგრამ სიმონ ჯანაშიას საკმაოდ ვრცელი გამოკვლევა მუდამ დარჩება განუმეორებელ ნაშრომად, რომელმაც პირველთაგანმა აღადგინა მკვდრეთით, როგორც ქრისტემ ბიბლიური ლაზარე, აფხაზი ხალხის ეს მივიწყებული ღვიძლი და საამაყო შვილი.

ნარკვევი იწყება აფხაზეთის სამთავროში მეფის რუსეთის მფლობელობის დამყარების ისტორიის გადმოცემით, რომელთანაც მტკიცედ არის გადაჯაჭვული გიორგი შარვაშიძის ბიოგრაფია: გიორგის პაპის მამის ქელაიშ-აჰმედ-ბეგის მიერ XIX საუკუნის დასაწყისში აფხაზეთის სამთავროსთვის ნებაყოფლობით რუსეთის მფარველობის მოპოვება, 1810 წლის 17 თებერვალს რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე პირველის მიერ საინვესტიტურო სიგელის დამტკიცება აფხაზეთის მთავრის, ქელაიშ-ბეგის შვილის, საფარ-ალი-ბეგის (ქრისტიანობაში — გიორგი) სახელზე, რასაც მოჰყვა აფხაზეთის მიერ რუსეთის უზენაესი ხელმწიფების აღიარება; სწორედ ამ საფარ-ბეგის მემკვიდრე იყო მიხეილ შარვაშიძე (ჰამუთ-ბეგი), გიორგის მამა. 1864 წელს მოხდა იმპერიული რუსეთის მიერ აფხაზეთის სამთავროს გაუქმება, იმ აფხაზეთისა, რომლის უკანასკნელ მთავრად შემორჩა ისტორიას მიხეილ შარვაშიძე. მას გადასახლებას უპირებდნენ რუსეთში, იგი ითხოვდა აფხაზეთში დარჩენას, წინააღმდეგ შემთხვევაში — ზამთრის პერიოდში ქუთაისში. ზაფხულობით კი — რაჭაში. მიხეილ შარვაშიძე ნოვოროსიისკში გადაასახლეს. ჯანგატეხილი 1865 წელს გარდაიცვალა, ჩამოასვენეს აფხაზეთში და მოქვის ტაძარში დაკრძალეს.

აფხაზები არ ეგუებოდნენ რუსეთისგან თავს დატეხილ უბედურებას, მოითხოვდნენ მმართველობის ძველი წესის აღდგენას და მთავრად გიორგი შარვაშიძის დამტკიცებას. აჯანყება რუსებმა ჩააქრეს და გიორგიც რუსეთში გადაასახლეს.

შემდეგ სიმონ ჯანაშია გადმოსცემს პეტერბურგში გიორგი შარვა-

შიძის ცხოვრების დეტალებს, საქართველოში დაბრუნებას, ქუთაისში დასახლებას და აქტიურ ჩაბმას საზოგადოებრივ საქმიანობაში, რუსეთის ოლიგარქიასთან კავშირის საბოლოოდ გაწყვეტას. მთლიანად ჩადგა იგი ქართული სიტყვის კულტურის სამსახურში: „ქართული ენა გიორგისათვის არის არა მარტო კულტურის მთავარი იარაღი, არამედ სიყვარულის განსაკუთრებული საგანიც“.[1]

ჩვენ თანმიმდევრულად მივყვებით სიმონ ჯანაშიას კულტურულ-ისტორიულ ნარკვევს. შემდეგი განხილვის საგანია გიორგი შარვაშიძის საინტერესო წერილი „ქართული ენის გარშემო“, რომელიც გამოწვეული ყოფილა „ქართული მართლმწერლობის კომისიის“ შედგენით. წერილის ავტორს განსჯის საგნად უქცევია ქართულში დამკვიდრებული ცნებები: „მართლმწერლობა“ და „სოფლმხედველობა“. ისინი პირდაპირ რუსულიდან ნათარგმნად მიაჩნია და ამიტომაც სწუნობს მათ. მოითხოვს ქართული ენის წიაღში მათი შემცველი ტერმინების ძიებას. ჩვენს მწერლობაში გაუქმებული ქართული ასოები: ѳ, ѵ, ჯ, ჭ, ჱ, ენის გარყვნის საბუთად ესახება. კითხვას სვამს ქართული ენის და დამწერლობის ჭირისუფალი: „რა გაჭირვებამ აიძულა ის პირები, რომლებმაც შეცვალეს და გადაჰყარეს ქართული ასოები? ალბათ იმისათვის, რომ მოზარდ ყრმათა გაუადვილდეს ორთოგრაფიის შესწავლა! მაგრამ ეს მოსაზრება ყოვლად შეუწყნარებელია, ყრმათა ცოდნის გასაადვილებლად მცოდნენიც უვიცობაზედ დავაყენოთ“.

ამასთანავე, სიმონ ჯანაშიას ყურადღებას იქცევს გიორგი შარვაშიძის უარყოფითი დამოკიდებულება ე.წ. ბარბარიზმების მიმართ. უცხო სიტყვების და ტერმინების ხმარება გამართლებულად მიაჩნია მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, „მაშინ როცა დასტურ ქართულად აზრისა შინაარსი“. იგი გულისტკივილით იტყვის: „ახლა კი წამდაუწუმ ხმარობენ უცხო სიტყვებს, თითქოს ამით მკრეხელობენ: „დახე რა ნასწავლი ვარო?“ ქართული გაზეთები გაჟღენთილია კუპატსავით უცხო სიტყვებით. ხშირად შეხვდებით ისეთს სიტყვათშეწყობას, რომელშიაც შვიდს სიტყვაში ოთხი არ არის ქართული“.[2]

სიმონ ჯანაშიას ქართული ენის პრობლემებზე „ვარადას“ ავტორის

---

[1] გ. შარვაშიძე, თხზ., II, გვ. 18-19.

[2] გ. შარვაშიძე, „ქართული ენის გარშემო, გაზ. „საქართველო“, 1915, №169.

ნააზრევიდან ყველაფერი მისაღებად არ მიაჩნია: „თქმა არ უნდა, ბევრი რამ ამ მსჯელობაში შემცდარია და მიუღებელი ჩვენთვის... ამ დამოკიდებულებას ქართული ენისადმი კვებავდა ის ღრმა ცოდნაც ძველი და ახალი ქართული მწერლობისა, რომელიც გიორგის ჰქონდა“.[1] ქართული ენისადმი თავდავიწყებული სიყვარული ნიშნავდა მშობლიური აფხაზურის ჩრდილში მოქცევას. სიმონ ჯანაშია შენიშნავს: „გიორგი შესანიშნავი მცოდნე იყო არა მარტო აფხაზეთის წარსულისა და აწმყოსი, არამედ თვით აფხაზური ენისაც. ასე ახლა არავინ ლაპარაკობს აფხაზურსო, ამბობენ მის შესახებ აფხაზეთში“.

დიდი ქართველი ისტორიკოსის მხრიდან ხაზგასმულია გიორგი შარვაშიძის კავშირი თავის კუთხესა და ტომთან, მისი სიახლოვე ხალხთან და დემოკრატიულობა, მისი რაინდობა და დაუნდობელი ბრძოლა ეროვნულ-პოლიტიკური და სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ. მეცნიერს მიაჩნია, რომ მშობლიური თავისებურების დიდი გრძნობის წიაღში შეიძლებოდა მხოლოდ დაბადებულიყო ისეთი შედევრი, როგორიცაა მისი აფხაზური სიმღერა „ვარადა“ — უშინაგანესი ლირიკული მღელვარების პოეტური შენივთება.

სიმონ ჯანაშია მსჯელობს გიორგი შარვაშიძის განათლებულობაზე, უჩვეულო ერუდიციაზე, დასავლეთევროპული ენების ცოდნაზე (ფრანგული, ინგლისური, გერმანული), რუსული, ქართული, მეგრული, თავისთავად აფხაზური ენების საფუძვლიან ფლობაზე. მისი წერილებიდან ჩანსო ლათინური ენების ცოდნაც. ამის შემდეგ ნარკვევის ავტორს გადავყავართ აფხაზეთის ისტორიულ წარსულში: „აფხაზთა ტომი ისტორიულ ასპარეზზე გამოდის ქრისტიანული წელთაღრიცხვის დამდეგს, მაგრამ განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენს მერვე საუკუნიდან, როცა აფხაზთა სამეფო არსდება. ეს სამეფო შეუჩერებლად ვითარდება და მეათე საუკუნის შუაწლებისათვის მას უჭირავს არა მარტო მთელი დასავლეთ საქართველოს ტერიტორია, არამედ აღმოსავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილიც“.[2]

სიმონ ჯანაშიას დაკვირვებით, X საუკუნის შემდეგ დანარჩენ

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 22.

[2] იქვე, გვ. 26.

ქართველ სამთავროებთან ერთად აფხაზეთი შეადგენს საქართველოს ფეოდალურ მონარქიას და მთლიანად არის მოქცეული ქართული კულტურის წრეში: „ირკვევა, რომ აფხაზეთის სამეფოში IX საუკუნის მეორე ნახევრიდან სახელმწიფოს, მწიგნობრობისა და ეკლესიის ენა არის ქართული“.[1]

დიდი მეცნიერი შარვაშიძეების გვარის წარმომავლობაზე გვიქმნის სრულ წარმოდგენას, როგორც ერთ-ერთ უძველეს გვარზე საქართველოში. მის წარმოშობას და თვით გვარისსახელს თქმულება უკავშირებსო შარვანშაჰებს: „როგორც არ უნდა იყოს, უკვე თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი იხსენებს აფხაზეთის ერისთავს დოთაღო შარვაშიძეს, რუმის სულთნის ყიასდინის ჯარების მთავარსარდლადაც მონღოლთა წინააღმდეგ დასახელებულია „შარვაშიძე აფხაზი დარდინ. შემდეგ საუკუნეებშიაც აფხაზეთის მთავრებად შარვაშიძეები ჩანან“.[2]

ამასთანავე, სიმონ ჯანაშია ფიქრობს, რომ შესაძლოა მერმინდელი შარვაშიძეები გენეალოგიურად არ იყვნენ დაკავშირებული ამ გვარისსახელის უძველეს მატარებლებთან. მისი თქმით, თვით აფხაზებში ფორმა „შარვაშიძე“ სრულიად უხმარებელია. ადგილობრივ ეს საგვარეულო ჩაჩის (ჩაჩბა) სახელით არის ცნობილი. „შარვაშიძის“ და „ჩაჩის“ ძირების ერთმანეთთან დაშორება დიდ მეცნიერს აფიქრებინებს; შესაძლებელია ისინი სხვადასხვა წარმოშობისაც იყოს. მას საგულვებლად ესახება, რომ ჩაჩბებზე ადრე „შარვაშიძეობა“ ანჩაბაძეთა საგვარეულოს ხელში უნდა ყოფილიყო. ის ემყარება აფხაზურ თქმულებას წინათ აფხაზეთში ანჩაბაძეთა (აჩბების) საგვარეულოს პირველობასთან დაკავშირებით.[3] შემდეგ ავტორი სხვადასხვა წყაროებზე და გადმოცემებზე დამყარებით გვაცნობს საფუძვლიანად შარვაშიძეთა საგვარეულოს ერთ-ერთ ბრწყინვალე წარმომადგენელს, გიორგის მამას, მიხეილ შარვაშიძეს.[4]

იმის გამოსაკვეთად თუ დედის მხრიდან ვინ იყო გიორგი შარვაშიძე, სიმონ ჯანაშია თვალწინ გადაგვიშლის სამეგრელოს ის-

[1] **გ. შარვაშიძე**, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 27.
[2] იქვე, გვ. 28.
[3] შდრ. **Д. Гулия**, История Абхазии, I, გვ. 208.
[4] **გ. შარვაშიძე**, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 30-37.

ტორიულ წარსულს ლევან II დადიანიდან ანუ XVII საუკუნის I ნახევრიდან მოკიდებული XIX საუკუნის ჩათვლით „საქართველოს სახელმწიფოებრივი ერთიანობის ხანაზე რომ არ ვილაპარაკოთ, როცა კულტურული ცხოვრება განსაკუთრებით ინტენსიური და მთლიანი იყო, საყოველთაო დაქუცმაცების დროშიც, მას შემდეგ, რაც სამეგრელოს სამთავრო სეპარატულ პოლიტიკას შეუდგა საერთო ტენდენციის მიხედვით, სამეგრელო ქართული კულტურის სისტემის ორგანულ ელემენტს შეადგენს“.[1] უაღრესად საყურადღებო წყაროების საფუძველზე სიმონ ჯანაშია აშუქებს ლევან II დადიანის მთავრობის ეპოქას, განკერძოებული სამეგრელოს არნახულ ძლიერებას, ეროვნული ცნობიერების მთლიანობის გამოცხადების მკაფიობას, სხვადასხვა პოლიტიკური მოსაზრებით მოსკოვის მთავრობასთან კავშირის დაჭერის მცდელობას და ა.შ. შეუძლებელია აქ არ დავაფიქსიროთ ლევან დადიანის დესპანის სიტყვები: „სარწმუნოება იგივე გვაქვს, რაც ქართლ-კახეთის მცხოვრებთ; ჩვენი მწიგნობრობა ქართულია; მხოლოდ ენაცა გვაქვს შინაურობაში სასაუბროო“.

საინტერესო ცნობები მოაქვს სიმონ ჯანაშიას ლევან დადიანის დიპლომატიური საბუთებიდან სრულიად ქართული ეროვნული ერთობის შეგნების გამოხატულების დასტურად. ერთ-ერთ საბუთში ლევანი თავის წოდებულებას ასე გამოთქვამს: „ივერიის ქვეყნის მეგრულ მხარეში მცხოვრები ლევან დადიანი“. გიორგი შარვაშიძის დედა ალექსანდრა სამეგრელოში „დიდი ნიკოს“ სახელით ცნობილი ნიკოლოზ დადიანის შვილიშვილი იყო, გიორგი დადიანის ასული“. დიდი ნიკო ყოფილა სამეგრელოს პოლიტიკის მთავარი ხელმძღვანელი. ის ეწეოდა სახელმწიფოებრივ საქმიანობას. მის სახელს უკავშირდება ვახტანგ მეექვსის „დასტურლამალის“ მიბაძვით შექმნილი „დასტურლამა“. იყო სარდალიც, ეწეოდა ლიტერატურულ საქმიანობას, რუსეთში თავისი მოგზაურობა აღუწერია თხზულებაში „მიმოვლა“. ასევე მის კალამს ეკუთვნის ლიტერატურული ნაწარმოები „ქართველთ ცხოვრება“ ანუ საქართველოს ისტორია დასაბამიდან ავტორის დრომდე. წერდა ლექსებსაც.

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 30-37

სიმონ ჯანაშიას ყურადღებას იპყრობს ნიკო დადიანის საისტორიო ნაშრომის ძირითადი კონცეფცია, რომლის მიხედვით ქართული ისტორიის პროცესი მთლიანობაშია წარმოდგენილი. კერძოდ, სამეგრელოს ისტორიული სინამდვილე ეს არის საქართველოს ისტორიის ძალთა მოქმედების მხოლოდ ადგილობრივი შედეგი. ასევე დიდი მეცნიერი მსჯელობს ნიკო დადიანის დამოკიდებულებაზე ანტონ კათალიკოსის სკოლასთან, როგორც საბუთი იმისა, რომ ეს შეგნება სამეგრელოშიც არსებობდა. შემდეგ საუბარია ნიკო დადიანის შვილებზე, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ სამეგრელოს საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში.

როგორც ითქვა, დიდი ნიკოს ერთ-ერთი შვილის, გიორგის ასული იყო გიორგი შარვაშიძის დედა, რომელიც ცნობილი ყოფილა, როგორც ჭკვიანი, ზნეობრივი თვისებებით აღჭურვილი და ლამაზი ქალი. გიორგი შარვაშიძის ბიძა, ალექსანდრას ძმა, კოწია დადიანი მწერალიც ყოფილა. ცნობილია მისი ორი პოემა: „ყანშაუბეი“, „სპარსეთის მეფე და ქართველი ტყვე“.

კიდევ ერთ მომენტს დაუინტერესებია სიმონ ჯანაშია. გიორგი შარვაშიძე ცნება „საქართველოს“ ნაცვლად არჩევს, იხმაროს ტერმინი „ივერია“, ხოლო „ქართლის“ მაგიერ „ივერი“. მიუხედავად საქართველოს დაქუცმაცებისა სამეფოებად და სამთავროებად, ტერმინებს „ქართველი“ და „საქართველო“ ძველი შინაარსი არასოდეს არ დაუკარგავთ. ზოგჯერ მათი მეტად ფართო აზრით ხმარებასაც კი ვხვდებით. ამის საბუთად ჩვენს დიდ ისტორიკოსს სულხან-საბა ორბელიანის თვალსაზრისი მოაქვს, რომელიც საქართველოს სხვადასხვა კუთხის მკვიდრთ, მათ შორის აფხაზებსაც ქართველებად მიიჩნევს. კუნძულ მალთაზე ოსმალთა ტყვეობიდან განთავისუფლებულთა შორის „ქართველნიც ვნახე, ზოგი აფხაზი, ზოგი იმერელი, გურიელი, მეგრელი“. აქვე მეცნიერი აფიქსირებს ანტონ პირველის მიერ „ქართველი“-ის ცნების ქვეშ ყველა კავკასიელი ტომის მოაზრების ფაქტს:

„ვახუშტის უქებ ღეოღრაფის ცნობასა,
ისტორიათ თქმას, ვრცელ ბრძნად გარდმოცემას.
ამან დაწყებით ქართულთა ისტორია —

კახთ, მესხთ, აფხაზთა, მეგრელთა, სუან, კავკასთა,
აღწერა, დაჰშურა, შეეწია ქართველთა“.

სიმონ ჯანაშიას ნარკვევში სათანადო ადგილი ეთმობა გიორგი შარვაშიძის ჩაბმას ტოლ-ამხანაგებთან გაშაირებაში. მოტანილია ნიმუშები კოწია დადიანის (გიორგი შარვაშიძის ბიძა), დავით დადიანის (კოწიას ძმა), მამია გურიელის, ვახტანგ გურიელის, გიორგი შარვაშიძის ერთმანეთთან გაშაირებიდან. გარდა ამისა, მოკლედ არის მიმოხილული აფხაზი პოეტის სატრფიალო ლექსები. მიაჩნია გიორგი შარვაშიძე ძველი ბედიელი მინიატურისტის მსგავსად უნაზესი ტონების ოსტატად, პლასტიკური სურათების შემქმნელად, რომლებიც შოთას, ვაჟას, რაფიელ ერისთავის საუკეთესო სახეებს მოგვაგონებსო.

დიდი მეცნიერი წერს: „განსაკუთრებული ყურადღების ღირსი ისაა, რომ ყველაზე ადრინდელ ეროტიკულ ლექსებშიც უკვე ჩანს განწყობილება, რომელსაც, ჯერ ერთი, ხორციელი საფეხურიდან იდეურზე აჰყავს პიროვნება, და რომელიც შემდეგ ამ უკანასკნელს აკავშირებს საზოგადოებასთან. სანიმუშოდ დამოწმებულია ლექსის „გასათხოვარს“ სათანადო სტრიქონები: „მე მომწონს შენი: ხმა ლმობიერი, ბაასი, ზნე და გონება მთელი; მე მომწონს, ბოლოს, რაღაც იერი, ციური ნიჭი გამოუთქმელი“. ყურადღება ექცევა იქვე აღვლენილ წამყვან მოტივსაც:

„და შენ, ესრეთი მოვლენა ძვირი,
რომ გათხოვდები, დედა გახდები,
დაცემულს მამულს აჩუქე გმირი,
მაშინ კი სწორედ შემიყვარდები“.

გიორგი შარვაშიძის საკუთარ პოეტურ ხმას ეძებს სიმონ ჯანაშია იმ გუნდში, რომელშიც იგი ტრიალებდა. ამ გუნდში შედიოდნენ საქართველოში სახელგანთქმული პოეტები: აკაკი წერეთელი, მამია გურიელი და სხვ. მათი შემოქმედების თემატიკა ხომ სამშობლო იყო, უპირველეს ყოვლისა. ნარკვევში გაანალიზებულია გიორგი შარვაშიძის პატრიოტული ლირიკა. „პოეტს სიამაყით ავსებს სამშობლოს ძველი დიდება („მამულს“), სიბრალულითა და მრისხანებით — მისი დამონებული, დაბეჩავებული აწმყო („შენ იცნობ“), მაგრამ ყველგან

და ყველაფერში გიორგი შარვაშიძე თანამედროვეობით ცხოვრობს, წარსულის ტყვეობაში კი არ იმყოფება, წინ იყურება, ხალხის მომავლით სულდგმულობს.“[1]

პოეტის შეხედულებათა საუკეთესო გამოხატულებად სიმონ ჯანაშიას მიაჩნია ლექსი „ჩემი ჩანგი“. მისი ჩანგი „საქვეყნო ჩანგია“ და არა მხოლოდ პირადული სევდა. ნაღველის გადმომცემი.

პოეტი ხალხის მწუხარების გამომხატველია, ჩაგრული ხალხის ინტერესების დამცველი, რაც ააქტიურებს ეროვნულთან ერთად სოციალურ თემატიკასაც მის შემოქმედებაში. ამის საუკეთესო ნიმუშად სიმონ ჯანაშიას შეურჩევია „ჩემი ჩანგიდან“ შემდეგი სტრიქონები:

„როცა ჩემს ყურს ესმის
ჩაგრულ ხალხის მწუხარება,
მიწას ალბობს უმართლობით
დანადენი მდუღარება.
როცა მესმის მისი კვნესა,
სულის მქენჯი, გულის მდაგი, —
მხოლოდ მაშინ, მხოლოდ მაშინ
დაიკვნესებს ჩემი ჩანგი!“

„შეუმუსრავი ოპტიმიზმი“ (ს. ჯანაშიას გამოთქმაა), ზნეობრივი იდეალები, საზოგადოებრივი ცხოვრებით ყოფნა, მოძმეთა ერთგულად მსახურება, ძმათა სიყვარული, კაცთმოყვარე კეთილი მცნების წინაშე ქედის დახრა ასაზრდოებს გიორგი შარვაშიძის პოეზიას, რაზეც მოკლედ და შთამბეჭდავად ამახვილებს სიმონ ჯანაშია ყურადღებას. მის დაინტერესებას იწვევს „ფშაურ ხმაზედ“, „გიორგი მესამე“. ამ პიესის მთავარ მომენტებს გამოყოფს: გიორგი მესამე, როგორც სახელმწიფო მოღვაწე, დავით აღმაშენებლის საქმის გამგრძელებელი, მამის მიერ თამარში წინაპართა ღირსებების დანახვა, რომელთა წყალობითაც „დამკვიდრდება, გამძლავრდება ივერთა ბედი“. არც „შავი ღალატია“ დავიწყებული:

„აჰა, გაცემა, ორგულობა, ეგ შენნი ძველნი,
ეს შინაურნი გველ-მატლები, ქართველთ მჭამელნი“.

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 70.

დაგმობილია ფეოდალური პარტიკულარიზმი. დიდი მეცნიერის დასკვნით, „გიორგი მესამე", მიძღვნილია საქართველოს მთლიანობისა და მისი სახელმწიფოებრივი ძლევამოსილების იდეისადმი.

ორიოდე სიტყვით ლაკონურად მოხაზულია დაუმთავრებელი პოემის „გვადანის ციხის" იდეური საფუძველი: „აქ აზრი სხვადასხვა „ქართველი თემის" ერთობისა მთლიან სახელმწიფოში დამუშავებული უნდა ყოფილიყო საქართველო-აფხაზეთის ურთიერთობის მაგალითზე. ძნელი არაა იმის მიხვედრა, რომ ყაზარების ქვეშ პოეტი აფხაზებს გულისხმობს". [1] თვითონ პოემის შინაარსი არ იძლევა ამისი მტკიცების საშუალებას. გამომდინარე აქედან, გაჭირდება დიდი ისტორიკოსის თვალსაზრისი გაზიარება. ამაზე აქ სიტყვას აღარ გავაგრძელებთ, რადგან მასზე მსჯელობა გვექნება „გვადანის ციხის" განხილვისას.

სიმონ ჯანაშია ძალზე მოკლედ ეხება გიორგი შარვაშიძის პიესის „მომაკვდავი სურათნი" იდეურ მხარეს: „ამ სამყაროს ისტორიული განაჩენი მაინც გამოტანილია და დღეს თუ არა ხვალ ეს „მომაკვდავი" საზოგადოება სხვა სოციალურმა ურთიერთობამ უნდა შეცვალოს."

სიმონ ჯანაშიას დასკვნით: „გიორგი შარვაშიძეს ქართული მხატვრული სტილის განვითარებაში თავისი წვლილი აქვს შეტანილი. ფორმის თვალსაზრისითაც მისი პოეზია მაღალ დონეზე დგას, მისი საბეები ორიგინალურია და მოულოდნელი, რიტმი — მომხიბლავი, სიტყვა — ნათელი და შეუცვლელი".[2] ერთი სიტყვით, აკად. სიმონ ჯანაშიამ თავისი 80-გვერდიანი კულტურულ-ისტორიული ნარკვევით — „გიორგი შარვაშიძე" — პირველმა დაუდგა საუკუნო ხსოვნის ძეგლი ამ სახელოვან აფხაზ პოეტს, აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შვილს, გიორგი შარვაშიძეს. მისი ნაშრომი შთამაგონებელი, სტიმულის მიმცემი და უმთავრესი გზამკვლევი აღმოჩნდა შემდგომი თაობებისათვის „გიორგი მესამის" ავტორის შემოქმედების ვრცლად და საფუძვლიანად შესასწავლად.

მართებულად შენიშნა ჯუმბერ თითმერიამ: „აკად. სიმონ ჯანაშიას მასშტაბის მეცნიერმა თავისი უაღრესად მიზანსწრაფული, საოცრად ბევრის მომცველი მეცნიერული ღვაწის რამდენიმე პირველი წელი-

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 76.

[2] იქვე, გვ. 77.

წადი სწორედ გიორგი შარვაშიძის ცხოვრებისა და შემოქმედების კვლევას რომ მიუძღვნა, ლოგიკურად იმას ითვალისწინებს, რომ ის ამ პიროვნების ცხოვრებისა და შემოქმედებას, მის მამულიშვილურ, მოქალაქეობრივ მრწამსს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ის საჭიროდ და აუცილებლად მიიჩნევდა, რომ გიორგი შარვაშიძე ქართველთა და აფხაზთა შემდგომ თაობებს სათანადოდ დაეფასებინათ".[1]

აკად. სიმონ ჯანაშიას შემდეგ გიორგი შარვაშიძის ცხოვრებისა და შემოქმედების კველვა-ძიების საქმეს დიდი ამაგი დასდო პროფესორმა ოთარ ჭურღულიამ. მან, საერთოდ, ქართულ-აფხაზური ლიტერატურულ-კულტრული ურთიერთობის შესწავლას თავისი ნიჭი, შემოქმედებითი ენერგია, თავისი შეგნებული ცხოვრების საუკეთესო წლები შესწირა.

ოთარ ჭურღულიამ ათეულობით წლების მანძილზე მოძმე ქართველი და აფხაზი ხალხების კულტურულ-ლიტერატურული და მეგობრული ურთიერთობის კვლევისას წინა პლანზე წამოსწია მდიდარი ტრადიციები – ეთნიკურ, ეკონომიკურ, საყოფაცხოვრებო, პოლიტიკურ, მხატვრულ, რელიგიურ სფეროებში თავჩენილი. მისი ნაშრომები და წიგნები. – ამ ურთიერთობათა კვლევის წარმატებული შედეგი – გვაზიარებს მეცნიერულ ანალიზს მდიდარი სამეცნიერო, საარქივო მასალის, პერიოდული პრესის და მხატვრული ლიტერატურისა. მათში მკითხველები და სპეციალისტები ეცნობიან ქართველ და აფხაზ მოღვაწეთა წვლილს ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული და მეგობრული ურთიერთობის განვითარება-განმტკიცების საქმეში. აი, ისინიც: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი. კონსტანტინე გამსახურდია, ლეო ქიაჩელი, გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, ირაკლი აბაშიძე, გრიგოლ აბაშიძე, გიორგი შარვაშიძე, დავით ანჩაბაძე, დიმიტრი გულია, ივანე პაპასქირი, მიხეილ ლაკერბაი, ბაგრატ შინკუბა, ივანე თარბა[2] და სხვ.

---

[1] **ჯ. თოთმერია**, დიალოგი გიორგი შარვაშიძესთან, გ. შარვაშიძე, თხზ., II, გვ. 259.

[2] **ო. ჭურღულია**, ქართულ-აფხაზური ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობანი, ობ., 1983,გ ვ. 3-255.

აფხაზთა მხრიდან აქ დასახელებული მწერლებიდან და მოღვაწეებიდან ოთარ ჭურღულია განსაკუთრებით გამოარჩევდა გიორგი შარვაშიძეს. მან 2004 წელს გამოაქვეყნა მშვენიერი წიგნი „შარვაშიძეები“, სადაც ვეცნობით გიორგი შარვაშიძესთან ერთად სხვა შარვაშიძეების (გრიგოლ შარვაშიძე, კონსტანტინე შარვაშიძე, გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძე) ცხოვრებისა და შემოქმედების საკითხებს.[1] გარდა ამისა, მეცნიერმა შექმნა საყურადღებო გამოკვლევა „ჩაჩ-შარვაშიძეთა საგვარეულოს წარმოშობის საკითხისათვის“.[2]

ოთარ ჭურღულიამ ვრცელი ნაშრომი მიუძღვნა გიორგი შარვაშიძის ცხოვრებისა და შემოქმედების საკითხებს სახელწოდებით — „გიორგი შარვაშიძე“. ეს საყურადღებო ნარკვევი ასე იწყება: „აფხაზი ხალხის ღვიძლი შვილი, ცნობილი პოეტი, დრამატურგი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძე (ჩაჩბა), რომლის მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული მწერლობისა და აზროვნების წიაღში, საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. იგი ყოველთვის გვერდით ედგა ქართველ თანამოძმეებს ეროვნული მეობის, კულტურის, ენის დაცვასა და განვითარებაში, მშობლიური ხალხის სისხლით ნაწერი ისტორიის ფალსიფიკატორების წინააღმდეგ ბრძოლაში, რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მხილებაში“.[3]

ნარკვევის შესავალ ნაწილში ავტორი აფიქსირებს შალვა დადიანის, გერონტი ქიქოძის, სიმონ ჯანაშიას, ნიკო თავდგირიძის, გრიგოლ რობაქიძის და სხვათა გამონათქვამებს გიორგი შარვაშიძის პიროვნებასთან და ღვაწლთან დაკავშირებით. აქვე საუბარია აფხაზი პოეტის მეგობრულ ურთიერთობაზე თანამედროვეებთან და თანამოაზრეებთან (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე, მამია გურიელი, იონა მეუნარგია, ნიკო დადიანი, ალექსანდრე ორბელიანი, თედო სახოკია, ილია ჭყონია).

---

[1] ო. ჭურღულია, შარვაშიძეები, თბ., 2004.

[2] ო. ჭურღულია, „სიტყვა ფიქრის სხეულია“ (წერილები და გამოკვლევები), თბ., 1992, გვ. 156-177.

[3] ო. ჭურღულია, შარვაშიძეები, გვ. 27.

მკვლევარი ხაზს უსვამს გიორგი შარვაშიძის უანგარო თანამშრომლობას ქართულ პრესასთან. პოეტი თურმე ქართულ ჟურნალ-გაზეთებში თანამშრომლობას თავის მოქალაქეობრივ და მამულიშვილურ მოვალეობად თვლიდა: „რაც შეეხება შრომის ჰონორარს, მე ვრაცხ ჩემს თავს ვალდებულად უსასყიდლოდ ვემსახურო, შეძლებისა გვარად, ჩემს სამშობლო მწერლობას“.[1] ოთარ ჭურღულიას ამოუკრეფია ის ეპითეტები, რომლითაც სხვადასხვა მოღვაწეთა მხრიდან შემკულია აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შვილი: „ტკბილი მოუბარი“, „მაღალი ნიჭის ადამიანი“ (აკაკი წერეთელი), „რაინდი“, „უბედო მამულის ყმა“, „კეთილგანზრახვით აღვსილი“, „სამშობლოს თავის შემწირველი“ (კ. ერისთავი), „განათლებული ადამიანი“, „მგოსანი“, „სწორუპოვარი პატრიოტი და მოქალაქე“ (თედო სახოკია), „ჩვენი ბედკრული ქვეყნის ერთგული და გულით მოყვარული პირი“ (ანტ. ფურცელაძე).

ოთარ ჭურღულიამ პირველმა წამოსწია წინ პეტერბურგში ილია ჭავჭავაძისა და გიორგი შარვაშიძის ურთიერთგაცნობისა და დაახლოების მასალები. მზედველობაში გვაქვს „განდეგილის“ ავტორის მიერ თავისი მეუღლისადმი — ოლღა გურამიშვილისადმი მიწერილი ბარათები. მკვლევარის თქმით, ამ გაცნობა-დაახლოების თავდები იყო საერთო მსოფლმხედველობა, დიდი ინტელექტი, ღრმა პატრიოტიზმი და ფართო დიაპაზონის კულტურა.

სიმონ ჯანაშია ზოგადად წერდა: „გიორგი შარვაშიძის პირადი არქივი, ჩანს, დაღუპულად უნდა ჩაითვალოსო“. ოთარ ჭურღულია კი კონკრეტულად გვარკვევს თუ როგორ დაიღუპა ეს არქივი: „გიორგი შარვაშიძემ თავისი არქივი სიკვდილის წინ ჩააბარა ცნობილი აფხაზი ექიმისა და საზოგადო მოღვაწის ვარლამ შარვაშიძის მეუღლეს. 1921 წელს ვარლამ შარვაშიძე დააპატიმრეს და მისმა მეუღლემ სახლის გაჩხრეკის მოლოდინში ეზოში გაიტანა როგორც მეუღლის, ისე გიორგი შარვაშიძის მთელი არქივი და დაწვა. ასე დაიღუპა დიდი ეროვნული განძი“.[2]

---

[1] დოკუმენტი გამოქვეყნებულია გ. შარვაშიძის წიგნში — ეპოსი, ლირიკა, დრამა“, სოხუმი, 1964.

[2] ო. ჭურღულია, შარვაშიძეები, გვ. 37.

ოთარ ჭურღულიას ნაშრომში ფართო ადგილი ეთმობა გიორგი შარვაშიძის პატრიოტული ლირიკის ანალიზს: „გიორგი შარვაშიძეს მამულის გრძნობის გარეშე არც უცხოვრია. სამშობლო იყო მისი დარდიცა და სიხარულიც. მან კარგად იცოდა ის ჭეშმარიტება, რომ არ არსებობს უფრო დიდი საპატიო საქმე, ვიდრე ერისა და მამულისათვის თავდადება, მშობლიური კულტურის სამსახური“.[1]

სიმონ ჯანაშიამ გიორგი შარვაშიძის პატრიოტულ ლექსებს „პროგრესული პატრიოტიზმის საგალობლები“ უწოდა. ამ აზრს ავითარებს ოთარ ჭურღულია პოეტის სამამულო ნაწარმოებებზე მსჯელობისას. როდესაც აფხაზი შემოქმედის მიერ სამშობლოზე დაწერილ თხზულებებს ვეხებით, თანაბრად იგულისხმება, გერონტი ქიქოთძის თქმისა არ იყოს, ის დედაც, რომელმაც შობა (ანუ აფხაზეთი) და ის დედაც, რომელმაც თავისი ძუძუთი გამოკვება (ანუ დანარჩენი საქართველო). სწორად შენიშნავს ოთარ ჭურღულია, რომ გიორგი შარვაშიძე ქვეყნის ძნელბედობის ჟამს გარეგნულად რაინდულად ინარჩუნებდა სიმშვიდეს, სულიერ წონასწორობას, არ იმჩნევდა კაეშანს, რაც გამოვლენილია მის პოეტურ ბუნებაში: „ის, რისი გაცხადებაც საჯაროდ არ შეიძლებოდა სხვადასხვა მიზეზის გამო, გამოხატულებას პოულობდა მხატვრულ ნაწარმოებებში, ეპისტოლარულ მემკვიდრეობაში, განსაკუთრებით ლირიკაში“.

„გიორგი შარვაშიძის“ ავტორი აანალიზებს აფხაზი პოეტის პატრიოტულ ლექსებს: „ერთხელ ვიხილე ჩემს სამშობლოში“, „ჩემსა საღამოს, გლახსა საამოს“, „ვარადა“ და სხვ. ეროვნულ თემაზე შეთხზულ ქმნილებებში მკვლევარი გამოყოფს აფხაზი პოეტის ჰუმანისტურ პოზიციას – მამულის სიყვარული, კეთილშობილება, დიდსულოვნება, კაცთმოყვარეობა. ამ მხრივ ცნობილი მეცნიერის დაკვირვების საგნად ქცეულა ლექსი „გასათხოვარს“.

პატრიოტული ლირიკის განხილვის ობიექტში უშუალოდ შემოდის იდეური ჩანაფიქრით ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის საპროგრამო ნაწარმოებებს („პოეტი“, „ჩონგური“...) „დანათესავებული“ თხზულება გიორგი შარვაშიძისა – „ჩემი ჩანგი“. მასში პოეტი თავის

[1] ო. ჭურღულია, შარვაშიძეები, გვ. . 41.

ჩანგს უწოდებს „საქვეყნოს“, სახალხოს, ერის ტკივილების გამომხატველს. სწორედ ამ ჩანგმა უნდა იტვირთოს საქვეყნო ტკივილების მოშუშება.

ამ ლექსთან დაკავშირებით ოთარ ჭურღულია წერს: „ლექსის მრწამსს ქართველ სამოციანელებთან მივყავართ. „ჩემს ჩანგს“ მსოფლმხედველობრივი მსგავსება ეძებნება ილიასა და აკაკის ცნობილ ნაწარმოებებთან: „პოეტი“ და “ჩანგური“. პარალელისთვის მკვლევარს დამოწმებული აქვს ამ დიდ შემოქმედთა ქრესტომათიულ ჭეშმარიტებად აღიარებული სიტყვები.

„ვარადას“ შესახებ ოთარ ჭურღულია შენიშნავს, რომ მასში კონდენსირებული და გაცხადებულია აფხაზი პოეტის კრედო. ეს ლექსი მარტო ეყოფოდა ავტორის უკვდავყოფისათვის. „ვარადა“ პოეტის მოთქმაა, პოეტის გოდებაა, მისი დიდი კაეშნის გაცხადება, მძიმე ტკივილების გამომხატველი სანოხავია. ეს ლექსი მოთქმაა, მაგრამ არა განწირული, ცხოვრებაზე ხელჩაქნეული ადამიანისა.[1] მის გვერდით ავტორი განიხილავს მეორე მშვენიერ ლექსს „ფშაურ ხმაზედ“, რომელშიც ვაჟა-ფშაველას შემოქმედების გამოხმაურება ჩაესმის („ქეიფი“, „ჩივილი ხმისა“, „ფშაველის სიმღერა“, „არწივი“. „გულო, არ გატყდე“, „კაი ყმა“).

ამასთანავე, ოთარ ჭურღულიას კვლევის ობიექტშია მოქცეული საქართველოს წარსული ცხოვრების ამსახველი ნაწარმოებები. მხედველობაში მიიღება ლირიკა, ეპოსი თუ პუბლიცისტური მემკვიდრეობა. ლექსში „მამულს“ წარმოჩენილია სამშობლოს წარსული სიდიდე და თანამედროვე დაკნინებული ყოფა. აფხაზ პოეტს გრძნობას უწამლავს „ჩრდილოეთისა სასტიკი ჩრდილი“, რომელიც მის ქვეყანას სინათლეს უსპობს. ასევე წარსულიდან შემორჩენილი „ზარი უბედობისა“, „ცრემლნი გლოვისა“. მკვლევარი იქვე გვამშვიდებს: „ნუ შეგვაშფოთებს პესიმიზმი და ცრემლით მოთქმა გიორგი შარვაშიძისა. იგი პროტესტის გამოხატულებაა. ცრემლი ოდითგანვე შვება იყო მკვნესარე სულისათვის. ცრემლი ტანჯვით განაწამები პოეტის მოსაოხებელი საშუალებაა, დარდის ნაჟურია, მწარე განცდათა რეალური

[1] ო. ჭურღულია, შარვაშიძეები, გვ. 46.

სიცხადე... პოეტის მოთქმა ყოველთვის ცეცხლივით მწველია და დამდაგველი".[1]

თავისი მოსაზრებების გასამაგრებლად ოთარ ჭურღულიას დამადასტურებელი პარალელური ნიმუშები მოაქვს თეიმურაზ პირველის. არჩილ ბაგრატიონის, დავით გურამიშვილის, რომანტიკოსების შემოქმედებიდან. გარდა პოეტური თხზულებისა, გიორგი შარვაშიძის ეროვნული მრწამსის გამოსაკვეთად მკვლევარი განიხილავს გამოუქვეყნებელ სტატიას „პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი", რომელშიც გამოთქმული მოსაზრებები იდენტურია ვაჟა-ფშაველას ცნობილ წერილში „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი" განვითარებული შეხედულებებისა. ცხადია, ოთარ ჭურღულია პარალელებს ავლებს ორივე სტატიას შორის.

გიორგი შარვაშიძის სტატიაში ვკითხულობთ: „პატრიოტიზმი არის გრძნობა, კოსმოპოლიტიზმი — იდეა! პირველი მოითხოვს რეალურ მოვალეობას, მეორე მხოლოდ კეთილი ოცნებაა... კოსმოპოლიტობა ისეთი, რომ ადამიანს უყვარდეს ყოველ ქვეყნის ხალხი, როგორც თავისი, რომ მთელს მსოფლიოს სთვლიდეს თავის სამშობლოდ, ეს არის განყენებული ფიქრი, რომლისადმი მისწრაფება და მიღწევა უტოპიად მიმაჩნია". ამ სიტყვების კომენტირებისას ოთარ ჭურღულია დასძენს: „ასე მსჯელობდა გიორგი შარვაშიძე იმ დროს ცხოვრების მიერ დასმულ მეტად აქტუალურ საკითხებზე. კოსმოპოლიტიზმს მან დაუპირისპირა მშობლიური ქვეყნისა და ხალხის უანგარო სიყვარული და სხვა ერთა პატივისცემა — პატრიოტიზმი. ეს უკანასკნელი მას მიაჩნდა კაცობრიობის უკეთილშობილეს გრძნობად".[2]

ოთარ ჭურღულია ჩვენს ყურადღებას მიაქცევს „გარდახვეწილის" ფსევდონიმით გიორგი შარვაშიძის მიერ 1904 წელს გაზ. „ივერიაში" გამოქვეყნებულ პოლემიკურ სტატიას („ძმობის სიტყვა ძმობის მსურველთ"), რომელშიც ჩამოყალიბებულია აფხაზი პოეტის ეროვნული კონცეფცია. სტატიაში ვკითხულობთ: „ჩვენ არც ერთ ერს არ ვემტერებით. საქართველო იმთავიდანვე იწყნარებდა და ითვისებდა ყოვ-

[1] ო. ჭურღულია, შარვაშიძეები, გვ. 52.

[2] იქვე, გვ. 54-55.

ელ ტომს, მოდგმას, ყველას აძლევდა ბინას, საფანელს, საზრდოს და ეკლესიებსაც კი... ჩვენთვის სულ ერთია, ვინც უნდა იყვნენ მახინჯი ვაჟბატონები: იანცი, ძე, შვილი, ოვი, ადი თუ ოღლი. ურცხვს ჩვენ ვგმობთ. საძაგელი გვეზიზღება. გულწრფელად, ნებით თუ უნებლიეთ, შემცდარს ჩვენ გულწრფელად ვამხელთ". ავტორი გახაზავს გიორგი შარვაშიძის სწორ პოზიციას ერთა თანაცხოვრებისა და მეგობრობის, მეზობლობისა და თანამშრომლობის რთულ საკითხებთან დაკავშირებით. აფხაზი პოეტი 1903 წელს გაზ. „ივერიაში" გამოქვეყნებულ წერილში ამბობს: „მთელს საქართველოში დიოგენის ფარნითაც ვერ მოსძებნით რუსთა ერის და სომეხთა ერის მოძულეთა, არიან ქართველებში მოძულენი ამა თუ იმ უღირსი სომხებისა და რუსებისა, როგორც არიან მოძულენი სულმდაბალ ქართველებისა".

ოთარ ჭურღულია წერს: „გიორგი შარვაშიძე ვერ ურიგდებოდა ისტორიის გამრუდებას, გაყალბებას, იქნებოდა ეს მეცნიერება თუ თეატრი, მხატვრული ლიტერატურა თუ პუბლიცისტიკა, ხალხის ეროვნული თუ სოციალური ცხოვრება".[1] ამის დასტურად მოტანილია აფხაზი მწერლის გამანადგურებელი პასუხი ბერლინის გაზეთ „ბერლინერ ტაგებლატის" კორესპონდენტის გადამთიელი ლორენცის ნაბოდვარზე, რომელმაც უდიერად მოიხსენია ქართველები და აფხაზები. აქვეა დამოწმებული ანტონ ფურცელაძის გამოხმაურება გიორგი შარვაშიძის პასუხზე ლორენცისადმი.

გიორგი შარვაშიძე ვერ იტანდა რუსეთის იმპერიის კოლონიურ პოლიტიკას, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა რუსულად ეწერა ლექსები, მაღალი შეფასება მიეცა რუსი ხალხის ეროვნული კულტურის ტრადიციებისათვის, რაზეც ოთარ ჭურღულია საგანგებოდ ამახვილებს ყურადღებას. იგი გზადაგზა განიხილავს გიორგი შარვაშიძის მიერ პრესაში გამოქვეყნებულ წერილებს, რომლებშიც მისი ეროვნული სული ტრიალებს. ეს ითქმის უპირველესად სკოლებში ქართული ენის მდგომარეობის შესახებ.

„გიორგი შარვაშიძე, — წერს ოთარ ჭურღულია, — ყოველთვის აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა კულტურულ ღონისძიებებში:

[1] ო. ჭურღულია, შარვაშიძეები, გვ. 62.

გამოდიოდა ლექციებით, მოხსენებებით, წერდა სტატიებს და რეცენზიებს, თამაშობდა სცენაზე, პრესაში გამოთქვამდა თავის შეხედულებებს ლიტერატურისა და ხელოვნების საჭირბოროტო საკითხებზე. მის ავტორიტეტულ მოსაზრებებს ყოველთვის ანგარიშს უწევდნენ".[1] ქუთაისში გიორგი შარვაშიძე ყოფილა სალიტერატურო ჟურნალის „ხუმარა" დაარსების ინიციატორი. თუმცა იგი გამოცემამდე აუკრძალავთ რუსეთის მთავრობის მოხელეებს.

ოთარ ჭურღულიას კვლევის სფეროში შემოდის გიორგი შარვაშიძის კავშირი ქართულ თეატრთან, რომლის თეატრალური მოღვაწეობა დაემთხვა ქართული თეატრალური კულტურის აღორძინების პერიოდს. მის პიესებში თამაშობდნენ: მარიამ საფაროვა-აბაშიძე, ნატალია გაბუნია-ცაგარელი, ეფემია მესხი, ვასო აბაშიძე, კოტე ყიფიანი, კოტე მესხი, ლადო ალექსი-მესხიშვილი, ნუცა ჩხეიძე და სხვ. „ივერიაში" ქვეყნდებოდა გიორგი შარვაშიძის რეცენზიები ქართულ სპექტაკლებზე, დრამატურგიისა და თეატრალური ხელოვნების საკითხებზე.

ოთარ ჭურღულია, ამასთანავე, სათანადო ადგილს უთმობს თავის ვრცელ ნარკვევში გიორგი შარვაშიძის პიესებს, განიხილავს მათზე პრესაში გამოქვეყნებულ რეცენზიებს იოან მეუნარგიასი, მიხეილ ბებუთოვისა („ემბე"). გიორგი თუმანიშვილისა, ვალერიან გუნიასი, შალვა დადიანისა, მანოელიძისა (არტემ ახნაზაროვი), აკაკი წერეთლისა და სხვ.

XIX საუკუნის 90-იან წლებში გიორგი შარვაშიძე „გარდახვეწილის" ფსევდონიმით გაზეთ „ივერიაში" აქვეყნებდა თეატრალურ რეცენზიებს. მათში ავტორი მაღალ შეფასებას აძლევდა ქართველი მსახიობების: ვ. აბაშიძის, მ. საფაროვა-აბაშიძის, ნ. გაბუნია-ცაგარელის, ე. ჩერქეზიშვილის კ. ყიფიანის, ლ. ალექსი-მესხიშვილის, ვ. გუნიას, გ. აწყურელის, კ. მაქსიმიძის (მძინარაშვილის), ბ. ავალიშვილის და სხვების ნიჭს და ხელოვნებას. ოთარ ჭურღულიას თანმიმდევრულად განხილული აქვს ეს რეცენზიები: პ. უმიკაშვილის დრამა „დამარცხებულნი", კ. ყიფიანის ვოდევილი „დატრიალდა ჯარა", გ. ბრანდესის პიესა „სტუმარი", თ. სახოკიას და ვ. გუნიას

[1] ო. ჭურღულია, შარვაშიძეები, გვ. 67.

მიერ გადმოკეთებული კომედია „აირია მონასტერი“, ველიჩკოს „აღლუმი“; ვოდევილი „ცოლქმრობის წინააღმდეგი“, ტარნოვსკის პიესა „ლანდი“, ა. ცაგარელის „ციმბირელი“, ა. ჩეხოვის „დათვი“, დრამა „შეშლილია“, გ. სუნდუკიანის „დაქცეული ოჯახი“, ა. ცაგარელის „ხანუმა“, ა. დენიერის „ორი ობოლი“, ქართული თეატრის სპექტაკლი „გამწარებული ცხოვრება“.

ზემოთ ჩამოთვლილ წარმოდგენებსა და სპექტაკლებზე გიორგი შარვაშიძის საყურადღებო რეცენზიების მიმოხილვისას ოთარ ჭურღულიას შენიშნული აქვს ერთი მტკივნეული პრობლემა: „ვერ ნახავთ გიორგი შარვაშიძის რეცენზიას თუ წერილს თეატრალურ საკითხზე, რომ მასში არ იყოს ასახული თეატრისა და მაყურებლის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი, არ იყოს გამოხატული გულისწყრომა მაყურებლის თეატრისადმი ერთგვარი უსულგულო მოპყრობის გამო.[1]

და ბოლოს: ოთარ ჭურღულიას მართებული დასკვნით, გიორგი შარვაშიძემ თავისი პიესებით, რეცენზიებით, სტატიებით, ზეპირი გამოსვლებით საგრძნობი წვლილი შეიტანა ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში.

რადგან ზემოთ გავეცანით ოთარ ჭურღულიას მიერ მიმოხილულ თეატრალურ რეცენზიებს გიორგი შარვაშიძისა, ბარემ აქვე შევეხოთ ამ დიდი აფხაზის თეატრალურ-ესთეტიკურ შეხედულებებს, რომელიც პირველად ეფემია ხარაძემ შეისწავლა.[2] გიორგი შარვაშიძე არ იყო მხოლოდ მწერალი და საზოგადო მოღვაწე, თავისი მაღალი ერუდიციიდან თუ განსწავლულობიდან გამომდინარე, მას შესწევდა უნარი თეორიული შეხედულებები გამოეთქვა კულტურაზე, ორატორულ ხელოვნებაზე, მეცნიერებაზე. ასევე თეატრალურ რეცენზიებში იგი აყალიბებდა თეატრალურ-ესთეტიკურ კონცეფციებს, რომელიც კვლევის ობიექტად გაიხადა ეფემია ხარაძემ. მის მიერვე მართებულად არის შენიშნული: „გიორგი შარვაშიძის მხრიდან ქართული თეატრით დაინტერესება შემთხვევითი არ არის. კაცისათვის, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის საშუალებად უნდა წარმოჩენილიყო.

[1] ო. ჭურღულია, შარვაშიძეები, გვ. 89.

[2] ე. ხარაძე, გიორგი შარვაშიძე და თეატრი, თბ., 1997, გვ. 2-28.

სწორედ ამიტომ აინტერესებს ქართული სასცენო ხელოვნება, ამიტომ უხარია ქართული თეატრის წინსვლა".[1] თეატრი აფხაზ სწავლულს მიაჩნდა ქართველი ერის გამოღვიძების და გათვითცნობიერების დაწესებულებად.

ეფემია ხარაძე წერს: „გიორგი შარვაშიძე ბავშვობიდანვე შეაჩვიეს თეორიულ აზროვნებას, ღრმად დაეუფლა პლატონსა და არისტოტელეს, იცნობდა რუსთაველსა და ჩახრუხაძეს. უცხო ენების შესანიშნავ მცოდნესა და ევროპამოვლილ კაცს, სავარაუდოა, რომ არ გამორჩებოდა არც დასავლეთ ევროპის (ალბერტი, ლეონარდო და ვინჩი, ა. დიურერი, შექსპირი) ესთეტიკური თეორიები, არც კლასიციზმის ესთეტიკური პრინციპები და მათი გამოვლენის თავისებურებანი საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში, რუსეთსა და საქართველოში, არც განმანათლებლების ესთეტიკა, მათი ბრძოლა დემოკრატიული ხელოვნებისათვის არ გამორჩებოდა, კერძოდ, ინგლისელ (ბიორკი, ჰოგარტი), ფრანგ (ვოლტერი, დიდრო, რუსო), გერმანელ (ვინკელმანი, ლესინგი, ჰერდერი, ფორსტერი) განმანათლებელი ესთეტიკური თეორიები, შილერისა და გოეთეს ესთეტიკური შეხედულებები, გერმანული კლასიკური ესთეტიკა (კანტი, შელინგი, ჰეგელი) და რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების (ბელინსკი, გერცენი, ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი) ესთეტიკური ნააზრევი".[2]

მიუხედავად ევროპული ენების ფლობისა, ძნელად სარწმუნოა, გიორგი შარვაშიძეს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ სახელგანთქმული ადამიანების ფილოსოფიურ-ესთეტიკური ნააზრევი სცოდნოდა. უნდა დავეთანხმოთ ეფემია ხარაძეს: „ყველა ესენი (ესთეტიკური ნააზრევი — ტ.მ.) მან ბრმად როდი იწამა, კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა და შექმნა საკუთარი ფილოსოფიური ესთეტიკური კრედო, რითაც გამსჭვალულია მისი პოეზიაც, დრამატურგიაც, სათეატრო რეცენზიები და პრაქტიკული მოღვაწეობაც".[3]

გიორგი შარვაშიძის თეატრალურ-ესტიკური შეხედულებების

---

[1] ე. ხარაძე, გიორგი შარვაშიძე და თეატრი, თბ., 1997, გვ. 7.

[2] იქვე, გვ. 9.

[3] იქვე.

გამოსაკვეთად ეფემია ხარაძე მიკლედ, მაგრამ შთამბეჭდავად აღნიშნავს XIX საუკუნის მიწურულისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართულ ესთეტიკურ აზროვნებაში ხელოვნების დანიშნულების სხვადასხვაგვარი გაგების არსებობას. ეს არის ჩერნიშევსკის ესთეტიკური ნააზრევის გავლენა ილიასა და აკაკიზე: ხელოვნება დამოკიდებულია ცხოვრებაზე... ჭეშმარიტი ხელოვნება უნდა იყოს რეალური სინამდვილის ასახვა და ამ სინამდვილის შესახებ განაჩენის გამოტანა. იყვნენ პრუდონისტების მომხრეებიც: „ხელოვნება ემსახურება ცხოვრებას შიშის აღძვრის საშუალებით“. ნატურალისტურ მიმდინარეობასაც გამოუჩნდნენ თანამოზიარენიც (გიორგი წერეთელი). მოძრაობდა მსჯელობანი საქართველოში ხელოვნების დანიშნულების არისტოტელური გაგების თაობაზე.

ეფემია ხარაძე შეგვახსენებს: არისტოტელეს მიხედვით, ადამიანი „საზოგადოებრივი ცხოველია“, ამიტომ მას „სასარგებლო საგნებზე“ (ქვაბი, საცერი და სხვა, რასაც ქმნის ხელოსანი) მეტად „უსარგებლო საგნები“ (პოემა, ქანდაკება და სხვა, რასაც ქმნის ხელოვანი) სჭირდება, რადგან პოემა მშვენიერია, ლამაზია. უპოემოდ კაცი გაძლებდა, უქვაბოდ კი ვერა, მაგრამ უპოემოდ ცხოვრება წაართმევდა კაცს ადამიანური არსებობის ერთ-ერთ ნიშანს და დაამსგავსებდა ბიოლოგიურ არსებას, ცხოველს.[1] როგორც შენიშნულია, კიტა აბაშიძე იყო საქართველოში არისტოტელეს თეორიის ერთ-ერთი მომხრე და პოპულარიზატორი. გიორგი შარვაშიძეც არისტოტელეს კონცეფციას იზიარებდა. აღსანიშნავია, რომ იმავე პერიოდში არისტოტელეს კათარზისის ცნებასაც მომხრე გამოუჩნდა არჩილ ჯორჯაძის, ნიკო დადიანის და გიორგი შარვაშიძის სახით.

ეფემია ხარაძე ერთმანეთს ადარებს ნიკო დადიანის, არჩილ ჯორჯაძის და გიორგი შარვაშიძის აზრებს კათარზისის ანუ „განწმენდის“ ცნებასთან დაკავშირებით და გამოაქვს დასკვნა, რომ სამივენი არისტოტელეს აზრს იზიარებენ. მის ნარკვევში მსჯელობა წარმოებს თეატრის მთავარი კომპონენტებისადმი გიორგი შარვაშიძის

[1] არისტოტელე, პოეტიკა, ს. დანელიას თარგმანითა და წინასიტყვაობით, თბ., 1944.

დამოკიდებულებაზე, რომელშიც გამოკვეთილია აფხაზი მწერლის თეატრალურ-ესთეტიკური შეხედულებანი. საუბარია თეატრის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტზე — დრამატურგიაზე. გიორგი შარვაშიძე თვითონაც შესანიშნავი დრამატურგი იყო. იგი სათეატრო ხელოვნებისაგან მოითხოვდა მაღალმხატვრულ ეროვნულ დრამატურგიას, დიდი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „სამშობლო ნიადაგზე დამუშავებულს". აფხაზი დრამატურგის მიხედვით, პიესის ავტორი უნდა აღწერდეს „ნამდვილ სურათს ჩვენი ცხოვრებისა", უნდა აზროვნებდეს მხატვრული სახეებით, უარყოფს „გაცვეთილი სიტყვებისა და ფრაზების" გამოყენებას, „გაზვიადებულ დიალოგებს", მონოლოგი „ადგილს და გარემოს უნდა შეეფარდებოდეს", პიესის „ლაზათი და მარილი უნდა ჰქონდეს", კონფლიქტებზე უნდა იყოს აგებული, პიესა „ისე უნდა იყოს დაწერილი, რომ სხვა ერმაც თავისად მიიღოს. გიორგი შარვაშიძე მომხრეა ნაწარმოების იდეის ანსამბლურად მოტანისა. „ამ პუნქტში — შენიშნავს ეფემია ხარაძე, — ის უაღრესად ორიგინალურია. უნდა ითქვას, რომ ეს იდეა, ძისგან დამოუკიდებლად, შემდგომ რუსულ დრამატურგიაში განახორციელა ანტონ ჩეხოვმა, ქართულ დრამატურგიაში კი დავით კლდიაშვილმა". აფხაზი დრამატურგი ეწინააღმდეგებოდა თეატრის მიერ უხარისხო პიესების დადგმას.

გიორგი შარვაშიძეს თავისი აზრი ჰქონდა პიესების გადმოქართულებასთან დაკავშირებით და მყარად იდგა დიდი ილიას პოზიციაზე. მისი თქმით: „ქართულს ნიადაგზედ ძალად გადმონაყოფიერებული პიესა როგორღაც სრულად ვერ გამოხატავს ქართველთა ცხოვრებას: იგი კრიტიკოსსაც გარკვეულ მოთხოვნებს უყენებდა. მოითხოვდა მისგან ობიექტურობას, სპექტაკლის დადებითი და უარყოფითი მხარეების აღნიშვნას.

ეფემია ხარაძე ჩვენს ყურადღება მიაქცევს თეატრის მთავარი კომპონენტის — მსახიობისადმი გიორგი შარვაშიძის მიერ წაყენებულ მოთხოვნებზე: „მსახიობი სცენაზე არ უნდა ლაპარაკობდეს, უნდა თამაშობდეს, ანუ როლიდან თამამად მოქმედებდეს", „მსახიობის ყოველი ნაბიჯი და მოძრაობა სცენაზე აწონილი უნდა იყოს და ნათქვამი აზრის შესაფერისი". გიორგი შარვაშიძე მიუთითებს მსახიობის ეთიკაზეც. იგი

როლს მუდამ კარგად უნდა ასრულებდეს, იცავდეს ზომიერებას: „თამაში მსახიობმა არ უნდა გადაამღვაშოს, გარდასახვის უნარის გარდა უნდა ჰქონდეს კარგი გარეგნობა და ხმა, მკაფიო მეტყველება.

ეფემია ხარაძის შენიშვნით, გიორგი შარვაშიძე სათეატრო ხელოვნებაში რეალისტური მიმართულების მომხრეა. ყურადღება მახვილდება სასცენო მეტყველებაზე, მეტყველების ტექნიკაზე. გიორგი შარვაშიძისთვის მთავარია მსახიობის მხრიდან სწორი ლიტერატურული ქართულით მეტყველება და არა რომელიმე კუთხური კილოკავითა. „სიტყვა მომქმედი და მოძრავი“ უნდა იყოს. გიორგი შარვაშიძეს საკუთარი აზრი აქვს რეჟისორის საკითხზე, რომელსაც „მომმართველს“ უწოდებს. იგი მსჯელობდა თეატრში მხატვრის როლზე: „არ უნდა იქნეს დავიწყებული, რომ გარეგნობასა და განწყობილებას სცენისას დიდი მნიშვნელობა აქვს წარმოდგენის სისრულისა და მოქმედების უნაკლულობისათვის“. მხატვრისგან მოითხოვდა სპექტაკლის ეპოქის შესაფერისად გაფორმებას.

გიორგი შარვაშიძის თეატრალურ-ესთეტკურ შეხედულებებზე მსჯელობისას ეფემია ხარაძე საგანგებოდ გამოყოფს თეატრის საყურადღებო ფაქტორს მაყურებლის სახით: „გიორგი შარვაშიძე თეატრის ერთ-ერთ მთავარ კომპონენტად მაყურებელს თვლის, ცარიელ დარბაზს უდაბნოს უწოდებს: „სკამები კი არ უნდა ეძებდნენ მაყურებელს, მაყურებელი უნდა ეძებდეს სკამებს“. ყურადღებას აქცევდა სპექტაკლის მსვლელობისას მაყურებლის ქცევის ეთიკურ მხარესაც.

ეფემია ხარაძის დასკვნით, „გიორგი შარვაშიძე, ისევე როგორც მოწინავე ქართველი საზოგადოებრიობა, თეატრის ყველა კომპონენტს (პიესა, მსახიობი, რეჟისორი, მხატვარი, მაყურებელი) ერთ მთლიანობაში განიხილავს, კარგ სპექტაკლში მსახიობს მოაქვს შინაგანი მოქმედებით პიესის იდეა, რასაც ეხმარება რეჟისორი და მხატვარი, მაყურებელი კი თეატრიდან ღებულობს ესთეტიკურ სიამოვნებას. გიორგი შარვაშიძის თეატრალურ-ესთეტიკურ ნააზრევს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა“.[1]

სიმონ ჯანაშიას და ოთარ ჭურღულიას შემდეგ გიორგი შარვა-

[1] ე. ხარაძე, გიორგი შარვაშიძე და ოპერა, გვ. 27-28.

შიძის ლიტერატურულ-კულტურული მემკვიდრეობის კვლევის საქმეს დიდი ამაგი დასდო სოლომონ ლეკიშვილმა. მან სპეციალური წერილები მიუძღვნა ამ დიდებული აფსაზი მოღვაწის ცხოვრებისა და შემოქმედების ცალკეულ ასპექტებს. რაც ყველაზე მნიშვნელოვანი და ფასდაუდებელია, სოლომონ ლეკიშვილმა პირველთაგანმა გაარკვია სათანადო დოკუმენტური მასალებით, რომ დაკარგულად მიჩნეული თუ არაორიგინალურად მონათლული დრამატული ნაწარმოები „კომლი უცეცხლოდ“ ეკუთვნის სწორად გიორგი შარვაშიძეს.

ასევე საქართველოს სხვადასხვა ფონდსაცავებში დაცული საარქივო მასალებისა და რევოლუციამდელი პერიოდული პრესის შესწავლით სოლომონ ლეკიშვილმა აღმოაჩინა და პირველმა შემოიტანა სამეცნიერო ბრუნვაში გიორგი შარვაშიძის რამდენიმე ლექსი, სტატია, პოლემიკური წერილი და მივიწყებული 15-მდე სათეატრო რეცენზია.

სოლომონ ლეკიშვილმა გიორგი შარვაშიძის დაკარგული პიესა „კომლი უცეცხლოდ“ გამოაქვეყნა საქართველოს მთავარი საარქივო სამმართველოს ჟურნალ „საისტორიო მოამბეში“.[1] „რა უშავთ მათ“ (საქ. მეც. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტი, ი. ჭავჭავაძის ფონდი, №492. პირი. ხელით), „ელოს მარაოზე“ (გ. ლეონიძის სახ. საქ. სახელმწ. ლიტერ. მუზეუმი, დოკ. №25426/67. ფ. 1. პირი. ხელით ნაწერი), „თეთრი ჩადრი“ (რუსულით) (გ. ლეონიძის სახ. საქ. სახ. ლიტ. მუზეუმი, დოკ. 25426/67, გ. 2-5. პირი. ხელით ნაწერი), „პასუხი ვ.ო. (ორბელიანს)“ (გ. ლეონიძის სახ. საქ. სახელ. ლიტ. მუზეუმი, №25426/67, ფ. 6. პირი. ხელით ნაწერი), „ელოს“ (ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა – მუზეუმი დოკ. №112).[2]

ამავე „საისტორიო მოამბეში“ ვეცნობით გიორგი შარვაშიძის უცნობ სტატიას „პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი“ (გ. ლეონიძის სახ. საქ. სახელ. ლიტ. მუზეუმი, დოკ. №2442. ავტოგრაფი).[3] აქვეა წარმოდგენილი „გარდანახვეწის“ და „გარდახვეწილის“ ფსევდონიმით

[1] ს. ლეკიშვილი, გიორგი შარვაშიძე (დოკუმენტები მასალები), საქართველოს მთავარი საარქივო სამმართველოს საისტორიო მოამბე“, №31-32, 1975, გვ. 298-264.

[2] იქვე, გვ. 254, 255, 256, 257.

[3] იქვე. გვ. 265.

გიორგი შარვაშიძის მიერ დაწერილი რეცენზიები სათეატრო დადგმებზე: „დამარცხებულნი“, დრამა 4 მოქმედებად, პ. უმიკაშვილისა, „დატრიალდა ჯარა“, ვოდ. 1 მოქმედებად. კ. ყიფიანისა (გაზ. „ივერია“, 1893, №215, 8 ოქტომბერი), „სტუმარი“, დრამა 2 მოქმედებად ბრანდესისა, თარგმანი ი. მაჭავარიანისა. „აირია მონასტერი“, კომედია 3 მოქმედებად (გაზ. „იერია“, 1893№221, 15 ოქტომბერი), „სამშობლო“, დრამა 5 მოქმედებად (გაზ. „ივერია“, 1893, №225, 20 ოქტომბერი), „აღლუმი“, კომედია 4 მოქმედებად, რუსულად, გადმოკეთებული ვ. გუნიას მიერ. „ცოლ-ქმრობის წინააღმდეგი“, ვოდევილი 1 მოქმედებად (გაზ. „ივერია“, 1893, №230, 27 ოქტომბერი). „ლანდი“ დრამატული ზღაპარი 5 მოქმედებად, 6 სურათად, თარგმანი ბ. ლაზარიაშვილისა (გაზ. „ივერია“, 1893, №232, 29 ოქტომბერი), „და-ძმა“. დრამა 3 მოქმედებად. მეგრელთა ცხოვრებიდან. ვ. გუნიასი „რაც არ მერგება, არ შემერგება“, ვოდევილი მისივე (გაზ. „ივერია“, 1893, №235, 2 ნოემბერი), „ციმბირელი“, კომედია 4 მოქმედებად ა. ცაგარელისა, „დათვი“, ვოდევილი 1 მოქმედებად, თარგმანი გ. ვოლსკისა (გაზ. „ივერია“, 1893, №239, 6 ნოემბერი). „ღარიბ-ღატაკნი“. დრამა 5 მოქმედებად და 7 სურათად. თარგმანი ვ. გუნიასი, „თამარ ბატონიშვილი“, მეოთხე მოქმედება დრამიდგან (გაზ. „ივერია“, 1893, №242, 30 ნოემბერი), „შეშლილი“, დრამა 3 მოქმედებად. თარგმანი ვ. აბაშიძისა, „დაქცეული ოჯახი“, კომედია 3 მოქმედებად. თხზულება გ. ნ. სუნდუნკიანცისა (გაზ. „ივერია“, 1893, №251, 20 ნოემბერი), „თეატრის მატიანე“ (გაზ. „ივერია“, 1893, №254, 24 ნოემბერი), „ორი ობოლი“, დრამა 5 მოქმედებად. 7 სურათად (გაზ. „ივერია“, 1893, №256, 26 ნოემბერი), „ხათაბალა“. კომედია 5 მოქმედებად, თხზ. გ. სუნდუკიანცისა, „მოტია“, ვოდევილი ერთ მოქმედებად (გაზ. „ივერია“, 1893, №262, 3 დეკემბერი), „ქართული სალიტერატურო საღამო“ (გაზ. „ივერია“ 1893, №266, 9 დეკემბერი), „რომ იცოდეს ჩემი გულის დარდები“, კომედია 2 მოქმედებად, თარგმანი ქ-ნ საფაროვი-აბაშიძისა. „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე“, კომედია 3 მოქმედებად. გადმ. ვ. გუნიასი (გაზ. „ივერია“, 1893, №273, 17 დეკემბერი), „გამწარებული ცხოვრება“, დრამა 4 მოქმედებად, გადმ. რუსულიდგან

(გაზ. „ივერია“, 1894, №23, 30 იანვარი).

სოლომონ ლეკიშვილი „საისტორიო მოამბეში“ აქვეყნებს აგრეთვე გიორგი შარვაშიძის წერილს გაზეთ „Terliner Tageblat“-ის რედაქციისადმი ლორენცის კორესპონდენციის საპასუხოდ (გაზ. „Закавказская речь“1911 წ. №146).

როგორც აღვნიშნეთ, სოლომონ ლეკიშვილმა ეს დოკუმენტური მასალები გამოაქვეყნა „საისტორიო მოამბეში“ 1975 წელს. 10 წლის შემდეგ, 1985 წელს განხორციელდა გიორგი შარვაშიძის თხზულებების (ლირიკა, ეპოსი, დრამა) მორიგი გამოცემა (რედაქტორი ლ. ნანიტაშვილი), სადაც, სამწუხაროდ, არც ერთი დოკუმენტური მასალებიდან არ იქნა გათვალისწინებული. ეს შეცდომა მნიშვნელოვნად გამოსწორებულია გიორგი შარვაშიძის თხზულებათა ორტომეულში (რედაქტორ-შემდეგენელი ელგუჯა თავბერიძე), რომელიც ქუთაისში გამოქვეყნდა 2006 წელს. რატომღაც ამ პოლიგრაფიულად სანიმუშო გამოცემაშიც ადგილი ვერ უპოვია სოლომონ ლეკიშვილის მიერ აღმოჩენილ ლექსებს გიორგი შარვაშიძისა. არადა, ეს ნაწარმოებებიც არაფრად ჩამოუვარდება აფხაზი შემოქმედის დანარჩენ ლირიკულ თხზულებებს.

ასე რომ, გიორგი შარვაშიძის ლიტერატურულ-კულტურული მემკვიდრეობის შევსებული და სრულყოფილი გამოცემა ახლო მომავლის დაინტერესების საგნად უნდა იქცეს.

სოლომონ ლეკიშვილმა ჯერ კიდევ 1967 წელს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოაქვეყნა წერილი გიორგი შარვაშიძეზე.[1] ავტორი დასაწყისშივე მიუთითებს თუ აფხაზი პოეტი თავის ნაწარმოებებს რომელ გაზეთში ათავსებდა. კერძოდ, ლექსებს – „დროებაში“, თეატრალურ წერილებს – „ივერიაში“. აქვე ნათქვამია რომ გიორგი შარვაშიძის პიესა „გიორგი მესამე“ 1915 წელს დაიბეჭდა. სოლომონ ლეკიშვილი ხაზს უსვამს მწერლის მჭიდრო მეგობრულ ურთიერთობას ილია ჭავჭავაძესთან, სერგეი მესხთან, დავით ერისთავთან, კირილე ლორთქიფანიძესთან, მამია გურიელთან, იონა მეუ-

[1] ს. ლეკიშვილი, გიორგი შარვაშიძე, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 6 იანვარი, 1967.

ნარგიასთან. იქვე შენიშნავს, რომ მასზე ლექსებს წერენ, საკუთარ ნაწარმოებებს უძღვნიან, მის თხზულებებს არჩევენ: აკაკი წერეთელი, მამია გურიელი, ნიკო და კონსტანტინე დადიანები, რაჟდენ ჩიკვაიძე და სხვ. სტატიის ავტორი საინტერესო ცნობას გვაწვდის ილია ჭავჭავაძის არქივში დაცულ ამ დიდი მწერლისადმი მიძღვნილ სამ თითო სტროფიან ლექსზე, რომელიც გიორგი შარვაშიძეს გამოუგზავნია 1903 და 1906 წელს დანიიდან. ასევე მნიშვნელოვან ფაქტად მიიჩნევს აკაკი წერეთლის და გიორგი შარვაშიძის ერთობლივ გამოსვლას პეტერბურგში საქველმოქმედო სალიტერატურო-სამუსიკო საღამოზე, რომელსაც ესწრებოდნენ თურმე პოლონსკი, პეტიპა, მერეჟკოვსკი. ამასთან დაკავშირებით, სოლომონ ლეკიშვილს მოაქვს „ივერიის“ კორესპონდენტის ცნობა: „1891 წლის 15 დეკემბერს სალიტერატურო-სამუსიკო საღამოზე გრძნობიერი სიტყვა წარმოთქვეს პოეტებმა: მერეჟკოვსკიმ, პოლონსკიმ, აკაკიმ და გ. შარვაშიძემ. მსურდა ამ სიტყვების შინაარსი მკითხველისათვის გამეხიარებინა, მაგრამ ზოგიერთი მიზეზი, რომელსაც მკითხველი თვითონ მიხვდება, ნებას არ მაძლევს“.

ამავე წერილში სოლომონ ლეკიშვილი მიუთითებს გიორგი შარვაშიძის ურთიერთობაზე ქართველი ხალხის უცხოელ მეგობრებთან, ლონდონის უნივერსიტეტის ქართული ენის პროფესორის მორფილის (1834-1909) პირად ბიბლიოთეკაში დაცულ გიორგი შარვაშიძის მიერ მისადმი ნაჩუქარ წიგნზე საქართველოზე. ასევე წერილში ვკითხულობთ: „ქართული კულტურის ახლო მცნობ ფრანგ ბარონ დე-ბაის (1900) გ. შარვაშიძისათვის სამახსოვრო წარწერით მიძღვნილი აქვს პარიზში გამოცემული საკუთარი ნაშრომი. კარგად იყო გაცნობილი გ. შარვაშიძის დრამატურგიას ჩვენი ხალხის დიდი მეგობარი არტურ ლაისტი“. ასევე სოლომონ ლეკიშვილი საუბრობს გიორგი შარვაშიძის ღვაწლზე სასწავლებლებში ქართული ენის სწავლების გაუმჯობესებაზე, ქართული მართლწერისა და მისი სიწმინდის დაცვისათვის ბრძოლაზე, აფხაზი სწავლულის დაინტერესებაზე „ვეფხისტყაოსნით“ და მის პოპულარიზაციაზე რუსეთსა და ევროპაში.

1970 წელს სოლომონ ლეკიშვილი ჟურნალ „თეატრალურ მოამბეში“ აქვეყნებს საყურადღებო წერილს „გ. შარვაშიძის დაკარგული

პიესა „კომლი უცეცხლოდ“.[1] მასში ავტორი მოკლედ გადმოგვცემს პიესის „კომლი უცეცხლოდ“ თავგადასავალს, რომელიც დიდხანს დაკარგულად ითვლებოდა. წერილში ამ პიესასთან დაკავშირებით სრულად არის მოტანილი ს. გერსამიას და შ. დადიანის მიმოწერის ტექსტი. ცნობილი მწერლის შალვა დადიანის წერილიდან მტკიცდება, რომ გიორგი შარვაშიძეს „კომლი უცეცხლოდ“ რუსულ ენაზე დაუწერია, რომელიც ქართულად უთარგმნია აფხაზი მწერლის დის ბაბოს ქმარს – ნიკოლოზ (კოლია) წულუკიძეს. „კომლი უცეცხლოდ“ ავტობიოგრაფიული ხასიათისა იყო და იტალიაში განგებ ჰქონდა ავტორს მოქმედება გადატანილი (ს. გერსამიას და შ. დადიანის წერილებს ჩვენ ქვემოთ დავუბრუნდებით ამ პიესაზე მსჯელობისას).

სიმონ ჯანაშიამ გიორგი შარვაშიძისადმი მიძღვნილ კულტურულ-ისტორიულ ნარკვევში „ვარადას“ ავტორის პოეზიაზე მსჯელობისას განიხილა ლექსი „ლომი“. დიდი მეცნიერი წერს: „ხალხის მწუხარებას, უსამართლობით დანადენი მდუღარების ღრმა განცდამ მოქალაქე-პოეტი მებრძოლ პოეტად უნდა აქციოს და ჩვენს შეგნებაში ახალი სიძლიერით იღვიძებს მოწოდება, შეუდარებელი გმირული აღტყინებით სავსე:

„მისი უკვდავი სურვილი
მტერთან ბრძოლა და ომია...
ბრძოლაში შექმნილ-შობილა,
აღზრდილა მუდმივ ბრძოლითა
და მისი შეცვლა ვის ძალუძს
ტყვედ გალიაში ყოლითა“.[2]

კვლავ სიმონ ჯანაშიას მოვუსმინოთ: „გიორგი შარვაშიძეს საკუთარი ხმა აქვს ამ გუნდში. იგი მოხიბლულია „აღმზრდელი ბუნების“ პეიზაჟით და განუზრელად ატარებს მის მოგონებას ყველგან, სადაც არ უნდა გაიტაცოს იგი ცხოვრების ღელვამ“. ამის დასტურად დიდი მეცნიერი იმოწმებს ლექსიდან „ობოლი“ შემდეგ სტრიქონებს:

---

[1] **ს. ლეკიშვილი**, გ. შარვაშიძის დაკარგული პიესა „კომლი უცეცხლოდ“, ჟურნ. „თეატრალური მოამბე“ №3(55), მაის-ივნისი, 1970, გვ. 15-17.

[2] **ს. ჯანაშია**, გიორგი შარვაშიძე (კულტურულ-ისტორიული ნარკვევი), წიგნში: **გიორგი შარვაშიძე**, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 72.

„აღმზრდელი ძუძუ ტკბილია,
განგების ძალით ეს გრძნობა
გულში ღრმად აღბეჭდილია“.[1]

გივი მიქაძემ გაარკვია, რომ გიორგი შარვაშიძეს ორი ლექსი „ლომი“ და „ობოლი“ შეცდომით მიეწერება. მკვლევარი შენიშნავს: „აკად. სიმონ ჯანაშიამ დასახელებული ლექსი (იგულისხმება „ლომი“ – ტ. მ.) გამოაქვეყნა გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი ტექსტის მიხედვით, რომელიც ხელმოწერილია ინიციალით „ი.“ რედაქტორ-გამომცემელს ხელთ ჰქონდა აგრეთვე ორი ხელნაწერი, რომლებიც მიუთითებდნენ ლექსის კუთვნილებას გ. შარვაშიძისადმი. სანდოდ ჩათვალა რა ხელნაწერის ცნობა, მათზე დაყრდნობით ხელმოწერა „ი“ რედაქტორმა მიიჩნია როგორც მწერლის ცნობილი ფსევდონიმების „გარდახვეწილისა“ და „პონტოქსელის“ შესაძლებელი შემოკლება (ბოლო ასო), ამიტომ ლექსის ავტორად გ. შარვაშიძე გამოაცხადა“.[2]

გივი მიქაძის მიხედვით, მეორე ლექსიც – „ობოლი“ გამოქვეყნებულია იმავე წლის (იგულისხმება 1905 წ.) გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილი ტექსტის საფუძველზე, რომელსაც მიწერილი აქვს ინიციალი „ი“. დავიმოწმებთ ამ საგულისხმო ლექსის ნაწყვეტს:

„რათა მცემ, დედინაცვალო,
რა უფლება გაქვს ჩემზედა?
მითი გსურს განა დამჩაგრო,
რომ აღარა მყავს მე დედა?
ჩემზე რა ღვაწლი მიგიძღვის,
რა შრომა გაგიწევია?
შენ ჩემთვის ნანა არ გითქვამს,
აკვანიც არ გირწევია!...[3]

გივი მიქაძე მიუთითებს ერთ მთავარ გარემოებაზე, რომელიც სიმონ ჯანაშიას გამორჩენია მხედველობიდან: „ზემოდასახელებული ლექსები პირველად დაიბეჭდა 1896 წლის ჟურნალ „კვალში“ რუს-

[1] **ს. ჯანაშია,** გიორგი შარვაშიძე (კულტურულ-ისტორიული ნარკვევი), წიგნში: **გიორგი შარვაშიძე,** ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 70.
[2] **გ. მიქაძე,** ქართულ ფსევდონიმთა სამყაროში, თბ., 1998, გვ. 120.
[3] იქვე, გვ. 121.

იმერელის ხელმოწერით („კვალი“, 1896, №30, გვ. 535-536, – ლექსი „ობოლი“; იქვე, №31, გვ. 549, – ლექსი „ლომი“). ეს ფსევდონიმი კი ეკუთვნის საკმაოდ ცნობილ პოეტს ვიქტორ ნიკოლოზის ძე იურკევიჩს (1854-1920).[1] გივი მიქაძე ასახელებს იმის მიზეზსაც თუ ხელმეორედ ეს ლექსები რატომ დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“: „თავისი პატრიოტული შინაარსის გამო ზემოდასახელებული ლექსები 1905 წლის რევოლუციის პერიოდში კვლავ დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში“, სადაც უკვე ავტორმა თავისი ვინაობა დამალა და ლექსს მიუწერა ფსევდონიმის ბოლო ასო („ი“).[2] აქვე გივი მიქაძეს გიორგი შარვაშიძის მამის მიხეილის (ჰამუთ-ბეგი) მეტად მწირი ბიოგრაფიის შესავსებად მზის სინათლეზე გამოაქვს ალ. ფრონელის (ყიფშიძის) მიერ „საქართველოს კალენდარში“ (1890 წ. გვ. 464) მოთავსებული ცნობა: „შარვაშიძე მიხეილ გიორგის ძე. 1822 წ. ებოძა პრაპორშჩიკობა. 23 წელს მაიორობა და წოდება აფხაზეთის მთავრისა; მონაწილეობა მიიღო მრავალს ომებში კავკასიის მთიელების წინააღმდეგ; 45 წ. ებოძა გენერალ-მაიორობა და 49 წელს – გენერალ-ადიუტანტობა“.

1971 წელს გიორგი შარვაშიძის დაბადებიდან 125 წლისთავთან დაკავშირებით გაზეთ „Вечерний Тбилис“ -ში სოლომონ ხუციშვილმა გამოაქვეყნა პატარა სტატია „Тогда звучит моя лира“: საგაზეთო წერილის ფარგლებში ავტორი ზოგადად საუბრობს გიორგი შარვაშიძის პიროვნებაზე, პატრიოტულ და მოქალაქეობრივ პათოსზე, ბიოგრაფიულ ესკიზზე. შემოქმედებით მოტივებზე. სტატიის დასაწყისშივე აქცენტირებულია სოლომონ ხუციშვილის მიერ თუ რა პასუხი გასცა გიორგი შარვაშიძემ ბერლინის გაზეთ „ბერლინერ ტაგებლატის“ კორესპონდენტს ლორენცს. 1911 წელს ზემოდასახელებულ გაზეთში კორესპონდენტმა ლორენცმა დაბეჭდა ბინძური წერილი, სადაც შეურაცხყოფილად მოიხსენია აფხაზები და ქართველები.

თავის წერილში სოლომონ ხუციშვილი მკითხველს შეახსენებს, რომ გიორგი შარვაშიძე იყო მოწინავე ქართველი საზოგადოების თვალსაჩინო წევრი, რომელიც მეგობრობდა ილია ჭავჭავაძესთან, აკაკი წერეთელთან, მამია გურიელთან, გიორგი ჭალადიდელთან და

[1] გ. მიქაძე, ქართულ ფსევდონიმთა სამყაროში, გვ. 121.

[2] იქვე.

სხვ. სტატიის დასასრულს ავტორი შენიშნავს, რომ გიორგი შარვაშიძის მცირერიცხოვანი ლიტერატურული მემკვიდრეობა ამშვენებს ქართული პოეზიის ტრადიციებს.

ავთანდილ ნიკოლეიშვილმა ვრცელი ლიტერატურული ნარკვევი შექმნა გიორგი შარვაშიძის ცხოვრების და შემოქმედების ცალკეულ საკითხებზე — „გიორგი შარვაშიძე — საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლი აფხაზი მწერალი“.[1] ავტორი შესავალ ნაწილში გამოყოფს მნიშვნელოვან ეპიზოდებს აფხაზი შემოქმედის ბიოგრაფიიდან, ხაზს უსვამს გიორგი შარვაშიძის მამულიშვილურ ღირსებას, სამშობლოს თავისუფლებისათვის აქტიური ბრძოლის სულისკვეთებას, რაინდულ თვისებებს, რუსეთის კოლონიურ პოლიტიკასთან სასტიკ დაპირისპირებას. ნარკვევის ავტორი იშველიებს აფხაზი პოეტისა და რაინდის პიროვნებასთან დაკავშირებულ მასალებს, რაც გამოქვეყნებული იყო პრესაში (ს. ჯანაშია, შ. დადიანი, გ. ქიქოძე, გრ. რობაქიძე, ი. ჭყონია და სხვ.).

ჩვენი ყურადღება მიიქცია XIX ს. II ნახევრის და XX საუკუნის დასაწყისის პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭყონიას გამოუქვეყნებელმა წერილმა, რომელიც დაწერილია გიორგი შარვაშიძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით (გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, ფონდი, 10124-26) რაზეც ზემოთაც ითქვა. ავთანდილ ნიკოლეიშვილისთვის ეს წერილი მიუწოდებია ლუკა დვალიშვილს, რომელიც მთლიანად ჩაურთავს თავის ნარკვევში.[2]

ავთანდილ ნიკოლეიშვილის დაინტერესებას იწვევს არა მხოლოდ პოეტურ ნიმუშებში, არამედ პუბლიცისტურ წერილებშიც მიმობნეული პატრიოტული სულისკვეთებანი გიორგი შარვაშიძისა. ეს არის აფხაზი პოეტის დამოკიდებულება მთლიანი საქართველოსადმი, როგორც მისი ერთადერთი სამშობლოსადმი. მეტად მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მშობლიური აფხაზეთი მას ამ მთლიანობის ღვიძლ ნაწილად ეგულება თავისი ისტორიითაც, დღევანდელობითაც და მომავლითაც. ამ მხრივ

---

[1] ა. ნიკოლეიშვილი, გიორგი შარვაშიძე — საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლი აფხაზი მწერალი, წიგნში: გიორგი შარვაშიძე, თხზ. II, გვ. 125-156.

[2] იქვე, გვ. 130-134.

მკვლევრის დაკვირვების საგნად ქცეულა გიორგი შარვაშიძის წერილები: „სოციალიზმი საქართველოში“, „ქართული ენის გარშემო“.

თავის ნარკვევში ავთანდილ ნიკოლეიშვილი ზოგადად ეხება გიორგი შარვაშიძის შემოქმედებაში ბარათაშვილის, ილიას, აკაკის, ვაჟას და ხალხური პოეზიის ზეგავლენის კვალს. ქართულ ლიტერატურულ სამყაროსთან აფხაზი პოეტის გენეტიკური კავშირის ნათელსაყოფად მკვლევარს მოხმობილი აქვს კონკრეტული მაგალითი მისი პოეზიიდან — „ფშაურ ხმაზედ“: „ფშავხევსურული ხალხური პოეზიისა და ვაჟას პოეტური ინტონაციებით მკაფიოდ აღბეჭდილი ამ ლექსით პოეტი ნაღვლიანად ესაუბრება იმ მამულიშვილს, რომელიც დრომ და გარემოებამ ეროვნული ბრძოლის ასპარეზიდან განდევნა და „სულთამბუთავ გალიაში“ მოაქცია. არსად ჩანს სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლი გმირი, ამაოდ ჭიხვინებს ეულად შთენილი მისი მერანი, რომელიც დარდიანად მოელის მხედარს“.[1]

სამართლიანად შენიშნავს ავთანდილ ნიკოლეიშვილი: „გიორგი შარვაშიძის პიროვნებაში ჰარმონიულად შენივთდა და გამოვლინდა ქართულ კულტურასთან აფხაზური სულის ის განუყოფელი გენეტიკური კავშირი, რომელიც საუკუნეების მანძილზე ყალიბდებოდა და მტკიცდებოდა“.[2] „მამულის“ განხილვისას წარმოჩენილია მკვეთრი გამიჯნულობით ერთმანეთთან დაპირისპირება წარსულისა და აწმყოსი, რომელშიც პოეტი გამოხატავს ეროვნულად და ზნეობრივად დაცემულ ქვეყანაში არსებულ მძიმე ვითარებას.

„ვარადაზე“ მსჯელობისას ავთანდილ ნიკოლეიშვილი სავსებით სწორად ამბობს: „ვარადაში“ სიმბოლურად კონდენსირდება მშობლიური მიწისა და ენის სიყვარული. ეს სიტყვა ლექსში ემოციური და სულიერი სილაღის გამოხატვის ფუნქციას კი არ ასრულებს, არამედ იმ გაუნელებელი ტკივილის გასაღებადაა ქცეული, რომელიც მწერლის ცხოვრების ბედისწერას წარმოადგენს“.[3] ავტორის დაკვირვებით, გიორგი შარვაშიძეს ეროვნული ხსნის გზად ქრისტიანულ სარწ-

[1] ა. ნიკოლეიშვილი, გიორგი შარვაშიძე — საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლი აფხაზი მწერალი, წიგნში: გიორგი შარვაშიძე, თხზ. II, გვ. 139-140

[2] იქვე. გვ. 140.

[3] იქვე, გვ. 142.

მუნოებასთან „კლავ მიბრუნება“, „ევროპის ნათელთან მიახლება“, „მუდამის შრომით გონების ხსნა“ მიაჩნია.

ნარკვევში ყურადღებულია მიძღვნითი ხასიათის ლექსები, რომელთა საალბომო განწყობილების მიუხედავად, შეუძლებელია სრულყოფილი წარმოდგენა არ შეგვექმნას აფხაზ შემოქმედზე. ცნობილი მეცნიერი განსაკუთრებით გამოყოფს კოწია (კონსტანტინე) ერისთავისადმი მიძღვნილ ლექსს. ავთანდილ ნიკოლეიშვილი ლექსზე „ჩემი ჩანგი“ მსჯელობისას აღნიშნავს „თერგდალეულთა“, განსაკუთრებით კი აკაკი წერეთელის ესთეტიკური შეხედულებების გავლენას.

მხედველობიდან არც სამიჯნურო ლექსებია გამორჩენილი, რომელიც გიორგი შარვაშიძის ლირიკას მეტ შთამბეჭდაობას აძლევს. საგანგებოდ გამოყოფილია ლექსი „რომ და მაგრამ“, რომელშიც სიყვარულით თავდავიწყებამდე მისული პიროვნების განცდებია გამოხატული. კატო აბაშიძისადმი მიღძვნილ ლექსთან დაკავშირებით ავთანდილ ნიკოლეიშვილი წერს: „ცხოვრების უკუღმართობამ, სიცრუემ და ორპირობამ გიორგი შარვაშიძე იქამდე მიიყვანა, რომ მას ზოგჯერ ეჭვიც კი ეპარებოდა იმაში, რომ საერთოდ არსებობდა თუ არა ნამდვილი სიყვარული. იგი დარწმუნებით საუბრობს იმაზე, რომ ნამდვილი სიყვარული მხოლოდღა ილუზიაა“.[1]

ავთანდილ ნიკოლეიშვილის ნარკვევში გიორგი შარვაშიძის ლექსების ერთი ნაწილის მიმოხილვისას დაკვირვების ობიექტად არის ქცეული ისეთი ნაწარმოებები, როგორიცაა: „ობოლი“ და „ლომი“. ამ ლექსებზე უმსჯელია აკად. სიმონ ჯანაშიასაც. თუმცა როგორც გაირკვა, „ობოლი“ და „ლომი“ არ ეკუთვნის გიორგი შარვაშიძეს.

გიორგი შარვაშიძის პოეტურ შემოქმედებაზე მსჯელობისას ავთანდილ ნიკოლეიშვილი მკითხველს სათანადო წარმოდგენას უქმნის დრამატულ ნაწარმოებზე, რომელსაც „გიორგი მესამე“ ჰქვია. თხზულება ეხმაურება საქართველოს ისტორიაში ცნობილ ფაქტს. ეს იყო დემნა ბატონიშვილის შეთქმულება თავისი ბიძის, გიორგი მესამის, წინააღმდეგ სამეფო ტახტის დასაპყრობად. ვინც „ქართლის ცხოვრებას“ იცნობს, „გიორგი მესამის“ წაკითხვისას იმთავითვე

[1] ა. ნიკოლეიშვილის დასახ. ნაშრომი, გვ. 146.

მიხვდება, რომ პიესის ავტორი ძირითადად არ უხვევს ისტორიული სიმართლიდან და მეტყველი ფერებით ხატავს საქართველოს საჭეთმპყრობლის კარზე არსებულ ინტრიგებს და დაპირისპირებებს. თუმცა, როგორც სწორად მიუთითებს ავთანდილ ნიკოლეიშვილი. ისტორიული სიმართლე და დრამაში მოთხრობილი ამბავი ყოველთვის არ შეესაბამება ერთმანეთს: შეთქმულების მოწყობის დროს თამარი ჯერ კიდევ არ იყო აყვანილი სამეფო ტახტზე. იგი ერთი წლის შემდეგ განხორციელდა. ნაწარმოებში მოვლენათა თანმიმდევრობა გადაადგილებულია. ასევე განსხვავებული ინტერპრეტაცია აქვს შეძენილი დემნა (დიმიტრი) ბატონიშვილის მონაწილეობას შეთქმულებაში. „დრამის მიხედვით, გიორგი მესამემ დემნას აპატია დანაშაული და გაათავისუფლა სასჯელისაგან, სინამდვილეში კი სხვაგვარად მოხდა: ბატონიშვილს მეფის ბრძანებით თვალები დასთხარეს, დაასაჭურისეს და ციხეში ჩააგეს, რასაც მალე ემსხვერპლა კიდეც“.[1]

„გიორგი მესამის“ ანალიზისას ავთანდილ ნიკოლეიშვილის ყურადღებას იპყრობს თხზულებაში ხაზგასმულად განდიდებული საქართველოს სახელმწიფოებრივი მთლიანობის იდეა და დაგმობილი კუთხური სეპარატიზმი. ამ მთლიანობის შემადგენელ ღვიძლ ნაწილად აფხაზეთიცაა მიჩნეული. აფხაზთა მთავარი – თადეოზ შარვაშიძე აქტიურად მონაწილეობს სამეფო კარის ცხოვრებაში და იცავს საქართველოს ტერიტორიულ ერთიანობას. ყველა ჩვენგანის სათქმელს იმეორებს ნარკვევის ავტორი: „დღეს ჩვენთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ის ფაქტი, რომ საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მთლიანობის იდეისა და ამ მთლიანობის შემადგენელ ღვიძლ ნაწილად აფხაზეთის მიჩნევას აფხაზეთის მთავრის მემკვიდრე, აფხაზი ეროვნების კაცი ქადაგებს“.[2]

„გიორგი მესამის“ ავტორი ავლენს საქართველოს ისტორიული წარსულის საფუძვლიან ცოდნას, მხედველობაში გვაქვს ჩვენი ქვეყნის ისტორიის კლასიკური პერიოდი – „ოქროს ხანად“ წოდებული. გიორგი შარვაშიძე შეპყრობილია დავით აღმაშენებლისადმი თაყ-

[1] ა. ნიკოლეიშვილის დასახ. ნაშრომი, გვ. 149.

[2] იქვე, გვ. 149-150.

ვანისცემით, რომელმაც განუმეორებელი წარმატება მოუპოვა ქვეყანას. დიდების მწვერვალს აზიარა იგი: „დავით აღმაშენებელი იყო ისეთი მეფე, რომლისთანაც მალე არ მოევლინება საქართველოს. მან შეაერთა ქართლ-კახეთი ერთ სამეფოდ, ამით მიაკრა ყველა ქართველი თემი და ცალ-ცალკე, დამოუკიდებელი არსებობა მაშინ ერთობ გაზვიადებულ თავადთა დაასუსტა და შეჰქმნა ერთი სახელმწიფო მთელი ივერიისა".

„გიორგი მესამის" გაცნობის.ს მკითხველს უჩნდება უკმარისობის გრძნობა ხელმწიფე გიორგისა და მისი ასულის, დიდი თამარის, სახეების სქემატურად გამოკვეთის გამო, რაზეც სათანადოდ ამახვილებს ყურადღებას ავთანდილ ნიკოლეიშვილი: „გიორგი მეფე, რომელიც თუმცა მოვლენათა ცენტრში დგას, მაგრამ ვერაა მათ არსში გარკვეული. მწერალმა იგი, სამწუხაროდ, უფრო მიამიტ, გულუბრყვილო და მერყევი ბუნების იმ პიროვნებად წარმოგვიდგინა, ვის მოქმედებაშიც ნაკლებად ჩანს ის სიბრძნე და წინდახედულება, რომლითაც გიორგი მესამე ხასიათდებოდა".[1] ავტორს დრამატურგის წარმატებად ესახება კონკრეტული ფაქტებისა და მოვლენების განზოგადება. განზოგადებულ შინაარსს სძენსო იგი დრამაში აღწერილ დიდგვაროვანთა შეთქმულებას და გულისტკივილით ამბობს, რომ ამდაგვარი შინაგამცემლებისა და ორგულობის ფაქტებით სავსეა ჩვენი ისტორია.

ისტორიული სიმართლიდან გადახვევით „გიორგი მესამეში" დემნა ბატონიშვილი კეთილშობილი ბუნების პიროვნებად არის წარმოდგენილი, როგორც ზნეობრივად და ეროვნულად ნათელი მისწრაფებების მამულიშვილი. „ავტორმა დემნა უფრო გონიერ, სულგრძელ და მიმტევებელ პიროვნებად წარმოგვიდგინა, ვიდრე ტახტის მაძიებელი ავანტიურისტად. იგი ცდილობს მისი ყოველი მოქმედება ქრისტიანული ზნეობის ნორმებს შეუფარდოს და მოძმეთა სისხლით არ დაიმძიმოს სული", — წერს ავთანდილ ნიკოლეიშვილი. იგი ასევე ზოგადად ეხება გიორგი შარვაშიძის კომედიას „მომაკვდავნი სურათნი", რომელშიც ნაჩვენებია ზნეობრივად დაცემული და სულიერად გამოფიტული ადამიანების ყოფა, მათი გარდაქმნა ბიოლოგიური მოთხოვნილებების მონად. დღევანდელ მკითხველს გულში ხვდება ერთ-ერთი პერსონაჟის

[1] ა. ნიკოლეიშვილის დასახ. ნაშრომი. გვ. 151.

სიტყვები: „აქ თითქო ხალხი ბევრია და ადგილი არ ყოფნით! აქაური კაცების სიტყვაში ისმის მუდამ მეორე ხმა... დაფარული, ორ-აზრიანი და ორ-პირი! თითქო სიცრუე არის მხოლოდ ერთიღა იარაღი, რომლის ხმარებისთვის კანონი არ სჯის, და ამ იარაღს ხმარობენ თავის დასაცველად!... აქაურ სიტყვას არა აქვს ძალა სიმართლისა! აქაური ჰაერი მიმძიმს... მეფური მახრჩობს!“...

უნდა დავეთანხმოთ ავთანდილ ნიკოლეიშვილის ნარკვევის დასკვნით ნაწილს: „გიორგი შარვაშიძის, აფხაზი ხალხის ამ სახელოვანი შვილის, ღვაწლსა და დამსახურებას განსაკუთრებული მადლიერებით უნდა მოვეკიდოთ დღეს, როცა კუთხური სეპარატიზმით გონებაამღვრეული მისი ბევრი მოძმე გაბოროტებით ძირკვავს იმ მაცოცხლებელ ფესვებს, რითაც ქართველი და აფხაზი ხალხების სახელმწიფოებრივი ერთობა საზრდოობდა საუკუნეების განმავლობაში“.[1]

ელგუჯა თავბერიძემ ვრცელი, თავისებურ სტილში დაწერილი ნაშრომი შექმნა გიორგი შარვაშიძის ცხოვრებისა და შემოქმედების პრობლემატიკაზე.[2] იგი დაუყვია ოთხ თავად, თავის წინათქმა-ეპილოგიანად. წინათქმაში აქცენტირებულია თუ როგორ ესმოდა აფხაზ მწერალს სამშობლოს ცნება. ამის საბუთად მოტანილია გიორგი შარვაშიძის ხელით დაწერილი აფხაზთა თხოვნა აფხაზთა სპეციალური დელეგაციის (ალექსანდრე შარვაშიძე, ვარლამ შარვაშიძე, ასთამურ ინალ-იფა, მელიტონ ემუხვარი...) მიერ თბილისში მეფისნაცვლისთვის გადასაცემად:

1. მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება აქამდე მივიწყებულ სოხუმის ოლქს; 2. გაიხსნას აქ რაც შეიძლება მეტი სკოლები, უმთავრესად პრაქტიკული ხასიათისა; 3. გაყვანილ იქნას ახალი გზები და შესწორებული ძველი; 4. სწავლა სკოლებში წარმოებდეს მშობლიურ ენაზე (ქართულსა და აფხაზურზე); 5. სოხუმის ოლქი გამოყოფილ იქნეს ცალკე გუბერნიად და არასგზით არ იქნეს შეერთებულ-მიწერილი სხვა გუბერნიასთან (მაგ. შავი ზღვის); 6. თუ შეუძლებელი იქნება ცალკე გუბერნიად სოხუმის ოლქის გარდაქმნა და იგი

[1] ა. ნიკოლეიშვილის დასახ. ნარკვევი, გვ. 156.

[2] ელ. თავბერიძე, უბედო მამულის ყმა, წიგნში: გიორგი შარვაშიძე, ოხზ., II, გვ. 157-251.

რომელიმე გუბერნიას უნდა შეუერთდეს, იმ შემთხვევაში სოხუმის ოლქი შეერთებულ უნდა იქნეს ქუთაისის გუბერნიასთან; 7. სოხუმის ეპარქია, რადგან ის მთელი თავისი წარსულითა და აწმყოთი, შესისხლხორცებულია საქართველოს ეკლესიასთან, არას გზით არ უნდა იქნეს გამოყოფილი საქართველოს საეგზარქოსოსაგან".[1]

ელგუჯა თავბერიძე ნაშრომის პირველ თავს მთლიანად უძღვნის გიორგი შარვაშიძის მწარე ცხოვრების მნიშვნელოვანი ეპიზოდების ჩვენებას, სადაც ნათლად იკვეთება აფხაზი ხალხის ღვიძლი შვილის თავგადაკლული სიყვარული საქართველოსადმი და მისი ძირძველი ნაწილის — აფხაზეთისადმი; ასევე მისი თავგანწირული ბრძოლა რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკის წინააღმდეგ („ჩრდილოეთისა სასტიკი ჩრდილი, ჰოი, მამულო, სინათლეს გისპობს").

ამავე თავში ჩვენი ყურადღება მიიქცია ელგუჯა თავბერიძის მიერ ორი გიორგი შარვაშიძის შეპირისპირებამ, დახასიათებამ. გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძის ბიძაშვილი იყო პოეტი გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძე: „ორი გიორგი შარვაშიძე, ორივე მოღვაწე, მწერლობას შეჭიდებული, სულისკვეთებით, ცხოვრების წესით განსხვავებული". ელგუჯა თავბერიძის ნათქვამი „ორნივ მწერლობას შეჭიდებული" სიმართლეს ნაწილობრივ შეესაბამება. ვიცით, რომ გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძე ნამდვილად იყო მწერლობას შეჭიდებული, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძეზე, რადგან მისი არც მხატვრული, არც პუბლიცისტური ნაწერები არ არსებობს. არც ის ვიცით, საერთოდ, წერდა თუ არა რამეს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ მის მიერ ილია ჭავჭავაძისთვის კოპენჰაგენიდან გამოგზავნილ ორ ლექსს, რომელთაგან პირველში უმაღლეს შეფასება ეძლევა დიდი ილიას მოღვაწეობას და შემოქმედებას. ოთარ ჭურღულია შენიშნავს, რომ ამ ლექსზე მიგვითითაო მკვლევარმა სოლომონ ლეკიშვილმა".[2]

გარდა ამისა, ელგუჯა თავბერიძე უარყოფითად ახასიათებს და უდიერად იხსენიებს გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძეს. უწოდებს მას „სასხვისოს", „მონას", „მამულის სხვისი თვალითა და ზრახვით მო-

[1] **ელ. თავბერიძე,** უბედო მამულის ყმა, წიგნში: გიორგი შარვაშიძე, თხზ., II, გვ.158-159.

[2] **ო. ჭურღულია,** შარვაშიძეები, გვ. 101.

დარაჯეს". იგი იყოო „ძაღლივით ერთგული დამმონებელი რუსისა". მას მხედველობაში აქვს მისი თბილისის ვიცე-გუბერნატორობა, მერე გენერალ-გუბერნატორობა.

ელგუჯა თავბერიძის ამგვარი მიდგომა გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძისადმი გადაჭარბებულად გვეჩვენება. სათანადო დოკუმენტები საწინააღმდეგოს ღაღადებენ. მიუხედავად მეფის რუსეთის სამსახურში ჩადგომისა, იგი გამოირჩეოდა სახელმწიფოებრივი და საქველმოქმედო მოღვაწეობით, როგორც ეროვნულად სასარგებლო საქმის გამკეთებელი. მოვუსმინოთ 1897 წლის გაზეთ „კვალს": „თ.გ.დ. შარვაშიძის მოქმედებას ღუბერნატორობის დროს აჩნია დაღი კეთილშობილური იდეალური გატაცებისა. ის მხნედ შეუდგა თავის ღუბერნიაში გლეხობის კეთილმდგომარეობის წარმატებას და ამ აზრით დაიწყო მაზრებში სასოფლო თანხების შეკრება და პურის ხაროების (ამბრების) დაარსება". მას თავის გუბერნიაში ბევრი სასარგებლო ღონისძიება ჩაუტარებია, რითაც „ერთი ნაბიჯი წინ წაადგმევინა ჩვენ ერს".[1]

აფხაზი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის გიორგი შარვაშიძის პიროვნების ჩვენებისას თუ „ვისი გორისა იყო", ელგუჯა თავბერიძე რამდენიმე გვერდს უთმობს მამის – მიხეილ შარვაშიძის ბიოგრაფიულ მნიშვნელოვან ეპიზოდებს. უბიხთა მეთაურის ჰაჯი დაგუმოყვა ბარზეგის, რომელსაც ინგლისელი ბელლი ჩერქეზთა ვაშინგტონს ეძახდა, როლს მიხეილ შარვაშიძის აღზრდის საქმეში. აქ დაუფლებია იგი მთიელი ხალხის ჩვეულებს, ადათ-წესებს. სწორად ფიქრობს ელგუჯა თავბერიძე: „მიხეილ შარვაშიძეს, სხვა რომ არაფერი, თავისი გამზრდელს გამოც არ ეყვარებოდა რუსები. იგი ჩაუნერგავდა ანტირუსულ განწყობილებას, იმ სულისკვეთებით გაზრდიდა, რომ ჩრდილოეთიდან დასამონებლად მოდიოდნენ და არა ქვეყნის ხსნისა და გადარჩენისათვის".[2] ავტორი მიუთითებს მიხეილ შარვაშიძის საქართველოსადმი უზადო სიყვარულზე, აფხაზეთის შემდეგ ყოფნა ერჩია დანარჩენ საქართველოში და არა სხვაგან. „მშობლიური აფხაზეთის

[1] იხ. ვრცლად ო. ჭურღულიას ნარკვევი „გიორგი დიმიტრის ძე შარვაშიძე", წიგნში: „შარვაშიძეები", გვ. 95-113.

[2] ელ. თავბერიძის დასახ. ნაშრომი, გვ. 169.

მერე არჩევანს ქუთაისსა და რაჭაზე აკეთებდა, რაც უდავო დასტურია მისი საერთო-ეროვნული, ერთიანი სახელმწიფოებრივი განცდისა".

საქართველოსადმი სიყვარული და პატივისცემა, ზრდილობა, გმირობა, ვაჟკაცობა, რაინდობა გიორგი შარვაშიძეს სწორედ მამისგან მოსდგამდა, მისგან ჰქონდა შეთავისებული. ამის შემდეგ ელგუჯა თავბერიძე სხვადასხვა მასალაზე დაყრდნობით მკითხველის თვალწინ აღადგენს და ასურათხატებს გიორგი შარვაშიძის გარეგნულ მშვენიერებას თუ სულიერ ძალმოსილებას.

ელგუჯა თავბერიძის გამოკვლევის მეორე თავი მთლიანად მოიცავს გიორგი შარვაშიძის პოეტური მემკვიდრეობის განხილვას. ბუნებრივია, განსჯის საგნადაა ქცეული სამშობლოს სიყვარულზე შეთხზული ნაწარმოებები: „მამულს", „ფშაურ ხმაზედ", „გასათხოვარს", რომელიც პატრიოტული განწყობილებებით სრულდება, „შენ იცნობ, ძმაო, ქვეყანას ერთსა", „ვარადა", „ერთხელ ვიხილე"... და სხვ. მკვლევარის თქმით: „რომანტიკოსთა დარად აწმყოს შეჭირვებული ყოფით დაფიქრებული პოეტი სანუკვარ იდეალს წარსულში პოულობს. იქ, სადაც დიდების დღენი ედგა ქვეყანას, შვილნი ჭირისუფლობდნენ და არ მტრობდნენ, როცა ყველანი ერთი... სამშობლოს პატრონობის სურვილით იყვნენ გულანთებულნი".[1]

პოეტისთვის მთავარი იყო საზოგადო სატკივრის წარმოსახვა და არა პირადული ინტერესებისა. ეს გამჟღავნებულია მის საპროგრამო ლექსში „ჩემი ჩანგი".

ელგუჯა თავბერიძე ხსნის იმის მიზეზებს, რამაც მელანქოლია გააბატონა გიორგი შარვაშიძის პატრიოტულ ლირიკაში. ეს იყო „ჩრდილოეთის სასტიკი ჩრდილით" მამულის სინათლის დაშრეტა, კოლონიზატორების მიერ სამშობლოს დამონება, მისი უბედობა და უნუგეშო მდგომარეობა. თუმცა აფხაზი პოეტი ქვეყნის ხსნის უიმედობას ბოლომდე არ შერჩენია. გამოსავალს იგი უპირველესად ქრისტეს მცნების დაცვაში ხედავდა.

„ვარადას" ანალიზისას აქცენტი კეთდება წარმავლობის ქარიშხალზე, რომელიც ათასი წლის ნალოლიავებ-ნასათუთევ ცხოვრებას

[1] ელ. თავბერიძის დასახ. ნაშრომი, გვ. 197.

ნაცარტუტად აქცევს. ხაზგასმულია ამ ნაწარმოებში ბედთან შეურიგებლობის მოტივიც: „ვარადას“ სემანტიკური ფუნქციაც ხომ დარდს, წუხილს გაგრძნობინებს უპირველესად, დარდს, იმ კითხვებზე პასუხი რომ ვერ მოძებნილა და რომლის მხატვრული ხორცშესხმისათვის ბევრი შემოქმედის კალამი დამშვრალა ფუჭად. გიორგი შარვაშიძის „ვარადამ“ კი დროს გაუძლო და დღესაც გვხიბლავს“.[1]

სავსებით ვეთანხმებით ელგუჯა თავბერიძეს იმაში, რომ გიორგი შარვაშიძეს „ვარადას“ შემდეგ არ გააჩნია სხვა უკეთესი ლექსი, ვიდრე „ნეტამც ვინმე“, რაზეც აფხაზი პოეტის მკვლევართა მხრიდან, საერთოდ, არც გამახვილებულა ყურადღება. ეს არის გოდება პოეტისა, დროების სიავის გამოძახილი. „ლექსის მოდალობა უფრო მამულისადმი გაჩენილ სურვილ-ფიქრზე მიგვანიშნებს“. ელგუჯა თავბერიძე ლექსთან დაკავშირებით წერს: „გიორგი შარვაშიძის ამ ლექსს, ერთი შეხედვით, შემზარაობის ელფერი დაჰკრავს, თითქოს მსხვერპლშეწირვის წარმართული. ან, უფრო ზუსტად, რაღაც აღმოსავლური რიტუალის აღსრულება გადაუწყვეტია ლირიკულ გმირს, მაგრამ იმდენად მართალი, იმდენად სასომიხდილი კაცის გაწყვეტამდე მისულ ძაფზე დაკიდებული ღრმა სურვილი ვლინდება მასში, რომ ესეც უკვე პოეტური გეჩვენება“.[2]

გიორგი შარვაშიძის ლირიკის წამყვანი თემა სიყვარულია, რაც ელგუჯა თავბერიძის ნაშრომში სათანადოდ არის ყურადღებული. აქცენტირებულია აფხაზი პოეტის სიყვარულის მარადიული, ხნიერი, დროგამძლე გრძნობა, — ორი სულის ერთ ფიქრად, ორი გულის ერთ ფეთქვად წარმოდგენილი. მისი სატრფიალო ლირიკისათვის დამახასიათებელია სიყვარულის გამო ყველაფრის დათმობა, უსიყვარულოდ ყველაფრის ამაოებად შერაცხვა. ელგუჯა თავბერიძის ენით რომ ვთქვათ, გიორგი შარვაშიძისათვის ქალში უმთავრესი გარეგნული მშვენიერებაა და არა სხვა რამ, მისი აზრით, იგი ფიზიკურად უნდა იყოს გამორჩეული, მშვენებით შემკობილი, ლამაზი. ამასთანავე, სიყვარული პოეტს მიაჩნია დაღლილი ცხოვრების გამახალისებლად. თუმცა, ნამდ-

[1] ელ. თავბერიძის დასახ. ნაშრომი, გვ. 208.
[2] იქვე, გვ. 209-210.

ვილ სიყვარულში ზოგჯერ ეჭვი ეპარება („კატო აბაშიძის ქალს“).

ელგუჯა თავბერიძის სწორი მიხვედრით, ერთი ხაზის გავლება, ერთი აზრობრივი ტენდენციის ამოკითხვა გიორგი შარვაშიძის სატრფიალო ლირიკაში ჭირს. იგი ქალს ხან სატანური ხასიათის არსებად, ხან კიდევ მოვლენილ ანგელოზად მიიჩნევს, რომლისთვისაც მზადაა ყველაფერი გასწიროს, მეფობა დათმოს, დიდებასა და პატივზე უარი თქვას, ოღონდ სატრფოს მსახური იყოს, მისი სულის თანაზიარი.[1]

ელგუჯა თავბერიძეს გიორგი შარვაშიძის ლირიკაზე მსჯელობისას მზედველობიდან არც ბუნების თემა გამორჩენია. ბუნების სურათის იშვიათი აღწერით გამოირჩევა ერთსტროფიანი ლექსი („ნაწყვეტი პოემიდან“):

„მზე გადიხარა, დაბერა ქვენით,
ზღვას გადაეკრა ზურმუხტი ლაშა,
და მის ციალზედ დუდუნით, სტვენით
თეთრი კრავები აათამაშა“.[2]

ელგუჯა თავბერიძის კომენტარი: „თეთრი კრავები და მათი ათამაშება ისე მოულოდნელი და ზუსტი მეტაფორაა, თითქოს ღრუბლების ამოძრავებას ხედავ. ტაროსი შეიცვალა და თეთრი კრავები აათამაშა ზუზუნით, სტვენით წარმოსულმა ქარმა. ამ სტროფში ნაწილ-ნაწილ იკინძება სურათი. ბუნების სხვადასხვა მოვლენათა თანმიმდევრობა ქმნის შთამბეჭდავ სახეს და მას ორიგინალურად გადმოგვცემს პოეტი... თითქოს კადრია, თვალწინ გაელვებული, წამიერად გამრკთალი, ხსოვნაში ჩარჩენილი, ბუნებრივი, ნამდვილი, მისი ხილვა უამრავს შეუძლია, ასე გადმოცემა-მცირედს“.[3] შესაძლოა ვიფიქროთ: „თეთრი კრავები“ არა ღრუბლების, არამედ აქოჩრილი ტალღების მეტაფორაა.

ამავე თავში ელგუჯა თავბერიძე მოკლედ, მაგრამ შთამბეჭდავად შეეხო დაუმთავრებელ პოემას „გვადანის ციხე“. იგი იმეორებს აკად. სიმონ ჯანაშიას აზრს, რომ ამ პოემაში ქვეყნის ერთიანობის იდეა უნდა ყოფილიყო გამჟღავნებული. ვეთანხმებით ავტორის შენიშვნას

[1] ლ. თავბერიძის დასახ. ნაშრომი, გვ. 213.
[2] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 92.
[3] ელ. თავბერიძის დასახ. ნაშრომი, გვ. 214.

დიდი ისტორიკოსის მოსაზრებასთან დაკავშირებით, რომ „გვადანის ციხეში“ მოხსენიებული ყაზარები იგივე აფხაზები არიანო. ელგუჯა თავბერიძემ პირველთაგანმა შეიტანა ამაში ეჭვი: „სიმონ ჯანაშიას ეს მოსაზრება არც ისე სამართლიანად გამოიყურება, რადგან პოემის არსებული ნაწილის მიხედვით ყაზარები (ს. ჯანაშიას განმარტებით, იგივე აფხაზები) იპყრობენ რუსეთის სამხრეთს („ყაზართ დაიპყრეს რუსთა სამხრეთი“)... მტარვალობას მიჰყვეს ხელი, მათი ტაძრები გაანადგურეს, მოსახლეობას სახლ-კარი დაუწვეს, იქვე გვეუბნება პოეტი: „თუკი იღბალი რუსს დაუბრუნდა, ვერ იხარებდა ლაღი გვადანი“. ერთი სიტყვით, ყაზარები აქ არც ისე სანაქებოდ მოიხსენიებიან... ამიტომ სავარაუდოა, ყაზართა სახით რომელიმე მთიელი ტომი იგულისხმებოდეს და არა აფხაზები, თორემ ასეთ კონტრასტულ გააზრებასთან არ უნდა გვქონოდა საქმე“.[1]

ელგუჯა თავბერიძე მოკლედ მოხაზავს „გვდანის ციხის“ მხატვრულ ღირსებას, შესაბამისი საილუსტრაციო მასალების დამოწმებით. ჩვენს ყურადღებას მიაქცევს ერთ სტროფს, რომელშიც იკითხება გიორგი შარვაშიძის ჩანაფიქრია, თუ რა არის უპირველესი ერისათვის:

„ერის სიკეთე არ ჭაშენდება
არცა ქონებით, არ მამულითა,
ერის სიკეთე მხოლოდ გაჩნდება
კეთილ ზნეობით, წმინდა გულითა“.

ელგუჯა თავბერიძის ნაშრომის III თავში განიხილება გიორგი შარვაშიძის დრამატული თხზულებანი. პირველ რიგში, ბუნებრივია, გამორჩეული პიესა „გიორგი მესამე“, რომელსაც თავდაპირველად თურმე „დემნა ბატონიშვილი“ რქმევია, რაც, მკვლევარის შენიშვნით, სავსებით ამართლებდა ამ სახელწოდებას. ელგუჯა თავბერიძის მიხედვით, „დემნა ბატონიშვილი გიორგი შარვაშიძეს ახლებურად აქვს გააზრებული (ისტორიაში შეჯორჩენილი ცნობების საწინააღმდეგოდ — ტ.მ.). იგი არც ტახტის მაძიებელი ავანტიურისტია, არც მეფობაზე მონადირე, არც სხვისი მოქიშპე და ამის გამო გაბოროტებული. მის ხასიათში კაცობრიობის განვლილი გზის ერთგვარი

[1] ელ. თავბერიძის დასახ. ნაშრომი, გვ. 215-216

ლოგიკური შეჯამებით გაჩენილი აზრი იკითხება, საცნაური ხდება ის, რომ კაცის კვლა არანაირად არაა გამართლებული. მიიღებს, გამეფებისათვის".[1]

ვფიქრობთ, ელგუჯა თავბერიძემ სწორი ახსნა მოუძებნა აფხაზი დრამატურგის მიერ ისტორიული წყაროებიდან გადახვევის მიზეზს და დემნა ბატონიშვილის ისეთ პიროვნებად წარმოსახვას, რაც ის სინამდვილეში არ იყო: „ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ იგი არანაირი შეთქმულების წამომწყები არ იყო, რომ არა მისი გაბრაზებული ივანე ორბელიანი და ის დიდებულები, რომელიც სურდათ, მისი გამეფებით თავიანთი მზაკვრული განაზრახი აღესრულებინათ".[2]

გიორგი შარვაშიძის „გიორგი მესამის" მამოძრავებელ მიზანს წარმოადგენს ქართველთა მჭამელი შინაური გველ-მატლების მხილება, მზაკვარ დიდებულთა ბოროტმოქმედების დაგმობა, განდგომისაკენ სწრაფვის გაკიცხვა. გარდა დემნა ბატონიშვილის პიროვნების შინაგანი თვისებების გამოკვეთისა, ელგუჯა თავბერიძე პიესის სხვა პერსონაჟებსაც მიუზღავს თავისას: გიორგი მესამე, თამარ მეფე, შალვა ჯაყელი, დავით სოსლანი, ყუბარსან ჯავახიანი, ივანე ორბელიანი, შოთა მესხი. აქცენტი კეთდება გიორგი მესამის და თამარის პიროვნების სქემატურად წარმოსახვაზე. კერძოდ, გიორგი მესამე, რომლის სახელსაც პიესა ატარებს, არაერთგვაროვნად არის გამოხატული. ერთ შემთხვევაში იგი გამოიყურება გონიერ დამრიგებლად, რომელიც ასე მოძღვრავს თამარს: „არ მოგერიოს შენ სისუსტე, დედათ წესია, არა სხეულის, — სული სულის სისუსტე უარესია. ქვეყნის პატრონსა არ სჭირია ხმალი და ფარი, მხოლოდ მას უნდა არ მორჩილი – სუსტი მედგარი." არის შემთხვევები, როდესაც გონებრივ სისუსტეს იჩენს. ვერ ერკვევა სიტუაციაში, ღებულობს არასწორ გადაწყვეტილებებს (უდანაშაულო შალვა ჯაყელის მოკვდინება), ფაქტიურად ყუბარსან ჯავახიანზეა დამოკიდებული.[3]

ელგუჯა თავბერიძის მიერ გაანალიზებულია გიორგი შარვაშიძის

---

[1] ლ. თავბერიძის დასახ. ნაშრომი, გვ. 221.

[2] იქვე, გვ. 220.

[3] იქვე, გვ. 224.

მეორე პიესა „მომაკვდავნი სურათნი“, სადაც მხილებულია თანადროული ქართველი საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც შორს დარჩენილა ზნეობისგან, პატიოსნებისგან, სიყვარულისგან, მეგობრული გრძნობისაგან. ერთმანეთთან დაპირისპირებულია სოფელი და ქალაქი. სოფელს შემოუნახავს ტრადიციული ზნეობრივი ღირებულებანი, ქალაქს კი — არა. ნაშრომის ავტორი არ ივიწყებს იმ გამოხმაურებებსაც, რომელიც თან მოჰყოლია ამ პიესას დადგმამდე და დადგმის შემდეგაც. საუბარია იმ მასალებზე, რაც ქვეყნდებოდა „დროებასა“ და „ივერიაში“ — ურთიერთგამომრიცხველი შეფასებებით.

მხოლოდ ერთ გვერდზე დაუტევია სათქმელი ელგუჯა თაბერიძეს მესამე პიესის „კომლი უცეცხლოდ“ მიმართ. ეს ის დრამატული ნაწარმოებია, რომელსაც აკაკი წერეთელი „რიგიანს და კარგს“ უწოდებდა, „დროებაც“ და „ივერიაც“ მის შეფასებაში ერთი აზრისანი იყვნენ, კარგი აზრისანი. გავიმეორებთ მკვლევრის მიერ დამოწმებული „ივერიის“ უცნობი კორესპონდენტის ხატოვან ფერებში გადმოცემულ მოსაზრებას პიესაზე: „კომლი უცეცხლოდ“ უცხო, სურნელოვან, ლამაზ ყვავილს მოგაგონებთ, რომელსაც ნაზი და ფაქიზი მოვლა უნდა, რომ უხეირო შეხებით ფოთლები არ გაუფუჭოთ“.

თავის ვრცელ ნაშრომში ელგუჯა თაბერიძეს ცალკე მეოთხე თავად გამოუყვია გიორგი შარვაშიძის ბუპლიცისტიკა. თუმცა მანამდე აფხაზი მწერლის არაერთი მკვლევარი შეხებია და განუხილავს ეს წერილები. მკვლევარი პირველ რიგში აანალიზებს ისეთ სტატიებს, რომლებშიც თვალნათლივ ჩანს აფხაზი მწერლისა და მოღვაწის ეროვნულ-პატრიოტული განწყობილება („სოციალიზმი საქართველოში“, „ქართული ენის გარშემო“). ასევე მისი განსჯის ობიექტია გიორგი შარვაშიძის თეატრალური რეცენზიები თუ წერილები, რომელიც გაზ. „ივერიის“ ფურცლებზე იბეჭდებოდა. იგულისხმება აფხაზი დრამატურგის გამოხმაურებანი ისეთ პიესებზე და სპექტაკლებზე (ორიგინალურიც, ნათარგმნიც), როგორიცაა: „დამარცხებულნი“, „დატრიალდა ჯარა“ (ვოდევილი), „ალღუმი“, „ცოლ-ქმრობის წინააღმდეგი“, „სტუმარი“, „აირია მონასტერი“, „ლანდი“, „და-ძმა“, „დათვი“, „შეშლილია“, „დაქცეული ოჯახი“, „ხანუმა“, „გამწარე-

ბული ცხოვრება", „ციმბირელი".

აღსანიშნავია, რომ გიორგი შარვაშიძის ყველა თეატრალური რეცენზია თუ წერილი გაზეთ „ივერიიდან" ამოუკრეფია ეფემია ხარაძეს, დაურთავს მისთვის შესანიშნავი გამოკვლევა მწერლის თეატრალურ-ესთეტიკურ შეხედულებებზე. იგი ცალკე წიგნად გამოქვეყნდა 1997 წელს, რაზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. წიგნს ჰქვია „გიორგი შარვაშიძე და თეატრი". მას ელგუჯა თავბერიძე, საერთოდ, არ ასახელებს. შესაძლოა არც იცნობდეს.

დავასრულოთ ელგუჯა თავბერიძისეული საგულისხმო შეგონებით: „დღეს გიორგი შარვაშიძის თითოეული სიტყვა ზეპირად ნათქვამი თუ გაგონილი, სულ სხვა მნიშვნელობას იძენს, ქართველთა და აფხაზთა სახვალიო შერიგების, სამომავლო ურთიერთობის საფუძვლად შეიძლება იქცეს".[1]

აბესალომ გადილიამ 2008 წელს გამოაქვეყნა წიგნი – „მეგობრობის საგალობელი". მასში ნაჩვენებია თუ როგორი სიყვარულით უმღერიან აფხაზი პოეტები საქართველოს, ქართველ ხალხს, ქართულ კულტურას. მწერლობას, მის ისტორიულ წარსულს, თანადროულობას, მომავალს. ამ წიგნის რამდენიმე გვერდი ეთმობა გიორგი შარვაშიძის შემოქმედების ზოგად მიმოხილვას, რამდენიმე ფრაზით ეხება გიორგი შარვაშიძის ბიოგრაფიულ ესკიზებს. მის დამოკიდებულებას ქართულ კულტურასთან, მეგობრულ ურთიერთობას ილია ჭავჭავაძესთან. აკაკი წერეთელთან და სხვა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებთან. ასევე ავტორი ზოგადად მიმოიხილავს გიორგი შარვაშიძის შემოქმედების ჟანრობრივ მრავალფეროვნებას. ლექსებს, პიესებს, პუბლიცისტურ წერილებს, თეატრალურ რეცენზიებს, აფხაზურ ენაზე თარგმნას.

აბესალომ გადილია წერს: „ყველა მკვლევარი, ვისაც კალამი ხელში აუღია გიორგი შარვაშიძის პიროვნებისა და მისი შემოქმედების დასახასიათებელად, ხაზგასმით აღნიშნავს მის ფართო ევროპულ განსწავლულობას, დახვეწილ ზრდილობას, პატიოსნებას, რაინდულ ბუნებას, დიდ მამულიშვილობას".[2] 1996 წელს თბილისის სახელმ-

[1] **ელ. თავბერიძის** დასახ. ნაშრომი, გვ. 249.

[2] **ა. გადილია,** მეგობრობის საგალობელი, თბ., 2008, გვ. 6.

წიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში ჩატარდა გიორგი შარვაშიძის დაბადებიდან 150 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. გაზეთმა „სოხუმის სადროშომ“ ფართო ადგილი დაუთმო ამ ღირსშესანიშნავ თარიღს. გაზეთში გამოქვეყნდა რექტორის, პროფ. ოთარ ჟორდანიას, წერილი „სიტყვა გიორგი შარვაშიძეზე“.[1] ავტორი მასში მსჯელობს ქართულენოვანი აფხაზი მწერლის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების კულტურულ საფუძვლებზე, მის წვლილზე XIX საუკუნის II ნახევრის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურებაში. გიორგი შარვაშიძის ბიოგრაფიიდან გამოყოფს რამდენიმე შთამბეჭდავ შტრიხს. კერძოდ, 10 წლის ასაკში აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მემკვიდრის ჩარიცხვას ლაიბ-გვარდიის პრეობრაჟენსკის პოლკში პროპორშჩიკად, 1863 წლის 10 იანვარს მის დანიშვნაზე კავკასიის მეფისნაცვლის ადიუტანტად, მონაწილეობაზე იმჟამინდელ სამხედრო ღონისძიებებში, პოდპორუჩიკის ჩინის მინიჭებაზე, წმ. სტანისლავის ორდენით დაჯილდოებაზე, 1866 წლის აფხაზეთის აჯანყებაში მონაწილეობაზე, სადაც აჯანყებულებმა იგი მთავრად აირჩიეს, აჯანყების ჩახშობის შემდეგ გიორგი შარვაშიძის თანამდებობიდან გადაყენებისა და ორენბურგის სამხედრო ოლქში გადაყვანაზე (1866-1871).

ოთარ ჟორდანია შეგვახსენებს ასევე გიორგი შარვაშიძის ავტორიტეტს სამხედრო წრეებში. მის დანიშვნას გენერალ-ფელდმარშალ თავად ალექსანდრე ბარიატინსკის ადიუტანტად, მისთვის იმპერატორის ფლიგელ-ადიუტანტობის ბოძებას, პოლკოვნიკობისთვის მიღწევას. წერილის ავტორი საზგასმით შენიშნავს აფხაზი მწერლის რაინდულ საქციელს, როდესაც მან დემონსტრაციულად დატოვა იმპერატორის ფლიგელ-ადიუტანტობა, რასაც მოჰყვა ცარიზმის მხრიდან მისი სასტიკი შევიწროება.

ოთარ ჟორდანია მოკლედ, მაგრამ შთამბეჭდავად მსჯელობს გიორგი შარვაშიძის პოეტურ მემკვიდრეობაზე, განსაკუთრებით გამოყოფს ლექსებს: „ვარადა“, „მამულს“, „ჩემი ჩანგი“, „აკაკის“ და სხვ. ეხება

[1] **ო. ჟორდანია**, სიტყვა გიორგი შარვაშიძეზე, გაზ. „სოხუმის სადროშო“, 30 მარტი, 1996.

ასევე დრამატულ ნაწარმოებებს, მეტადრე „გიორგი მესამეს“. მწერლის რუსულ ლექსებს, მთარგმნელობით საქმიანობას, თეატრალურ რეცენზიებს.

ამასთანავე, ოთარ ჟორდანია აღნიშნავს აკად. სიმონ ჯანაშიას უდიდეს ღვაწლს გიორგი შარვაშიძის ლიტერატურულ-კულტურული მემკვიდრეობის შეგროვების, გამოცემის და შესწავლის საქმეში, რითაც საფუძველი ჩაეყარა აფხაზი მწერლის შემოქმედების მეცნიერულ კვლევას და დამუშავებას. ჩვენს ყურადღებას მიაქცევს ასევე თუ როგორ დაფასდა „გიორგი მესამის“ ავტორის ღვაწლი: სკოლებისა და ქუჩებისათვის გიორგი შარვაშიძის სახელის მინიჭება, გიორგი შარვაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიის დაარსება, გიორგი შარვაშიძის საზოგადოების შექმნა.

ოთარ ჟორდანია თავის გულისტკივილს ჩვენც გვიზიარებს: „სამწუხაროდ, მწერლის მშობლიურ კუთხეში აღმოჩნდნენ ისეთები, რომელთაც შეურაცხყვეს გიორგი შარვაშიძის სასაფლაო, გაანადგურეს საფლავის ქვა, სადაც ამოკვეთილი იყო მწერლის, მისი მამის სახელი და გვარი ქართულ და რუსულ ენებზე. აღსანიშნავია, რომ იმავე ძალებმა ერთდროულად მოქვის ტაძრის მიდამოებში ტრაქტორით დაანგრიეს გამოჩენილი ქართველი პედაგოგისა და ისტორიკოსის თედო ჟორდანიას სახლი. ამ ვანდალურმა აქციებმა საქართველოს საზოგადოების სამართლიანი პროტესტი გამოიწვია“.

აქვე შევეხებით ნანა კუციას ფრიად საგულისხმო წერილს „ვერ გადავგვარდე გვარადა“ (ფიქრები გიორგი შარვაშიძის პოეზიაზე).[1] გიორგი შარვაშიძის ლირიკაზე მსჯელობისას ავტორი შემოფარგლულია იმ ცხრა ლექსით („ვარადა“, „მოგონება“, „რომ და მაგრამ“, „გასათხოვარს“, „კოწია ერისთავს“, „კატო აბაშიძის ქალს“, „ფშაურ ხმაზედ“, „გიორგის პასუხი აკაკისადმი“, „აკაკის“), რომელიც შესულია კრებულში – „საქართველო აფხაზურ პოეზიაში“ (თბ., 2009).

შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ნანა კუციას გულწრფელ შენ-

[1] ნ. კუცია, „ვერ გადავგვარდე გვარადა“ (ფიქრები გიორგი შარვაშიძის პოეზიაზე), ფილოლოგიური პარალელები, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული ქართველური ენათმეცნ. ინსტიტ. და აფხაზური ენისა და კულტ. ინსტიტ. სამეცნ. შრომების კრებული, №3, 2011, გვ. 133-143.

იშვნას, რასაც სავსებით ვეთანხმებით: „იქნებ ერთგვარი დაზუსტებაც გახდეს საჭირო კონსტრუქციისა „საქართველო აფხაზურ პოეზიაში“ — გიორგი შარვაშიძე თხემით ტერფამდე ქართველი პოეტია და მისი პოეზიაც ქართულია — ქართულია ამ პოეზიის ენაც (რაც უმნიშვნელოვანესია და გადამწყვეტი) და ქართულია ლექსთა მხატვრული ქსოვილიც — ადრესატებიც, მეტაფორებიც, პარაბოლებიც“.[1]

ზემოთ გზადაგზა მივანიშნებდით მკვლევართა დაკვირვებებზე გიორგი შარვაშიძის მიმართების შესახებ ქართულ ლიტერატურულ წყაროებთან, აფხაზი პოეტის ეროვნულ-მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების საქმეში ქართველი რომანტიკოსების, ილიას, აკაკის, ვაჟას წვლილზე, განსაკუთრებით აკაკის შემოქმედებასთან მიმართებაზე. ნანა კუციამ განაგრძო კვლევა ამ მიმართულებით და გამოავლინა ახალ-ახალი პარალელები, რაზედაც სხვა მკვლევართ არ ჰქონიათ შეხება: „ვისაც მეცხრამეტე საუკუნის ქართულ პოეზიასთან „ღამე გაუთევია“, იქნებ, გაუჭირდეს კიდეც განსაზღვრა, ვისია ეს გამჭვირვალე ლექსები — მათი მხატვრული ქსოვილი უცნაურად ირეკლავს ქართული რომანტიზმისა და რეალიზმის უდიდეს ოსტატთა მხატვრულ სტილს და, რამდენადაც უცნაურიც არ უნდა გვეჩვენოს, გრიგოლ ორბელიანის, აკაკის, ვაჟას მხატვრულ სტილთა ერთგვარ კომპილაციას, ორიგინალურ სიმბიოზს წარმოადგენს“.[2]

ნანა კუციას ამ „კომპილირების“ და „სიმბიოზის“ მეტყველ ნიმუშად მოაქვს გიორგი შარვაშიძის ლექსის „მოგონება“ პარალელები გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოში“ და ასკვნის, რომ ორივე ნაწარმოების რეჩიტატივ-რეფრენი: „სად“-„სად“ ადასტურებს, რომ აფხაზი პოეტი საფუძვლიანად იცნობდა ამ ბრწყინვალე რომანტიკოსის ქრესტომათიულ ტექსტს და უზუსტესად გრძნობდა პოეტის მაღალ ტკივილს.

რაც შეეხება ნანა კუციას მიერ „მოგონების“ დასახვას გიორგი მთაწმინდელის ანარეკლად, საფუძველს მოკლებულია, რადგან, როგორც თვითონ ამბობს, ამ ლექსის ერთ-ერთი ლექსის ქართული

---

[1] **ნ. კუციას** დასახ. წერილი, გვ. 134.

[2] **ელ. თაბერიძის** დასახ. ნაშრომი, გვ. 134-135.

ორიგინალი არ არსებობს, არ შემორჩენილა, ხოლო ბერძნულად შემონახული ტექსტის ინგლისური თარგმანის გადმოქართულებას მკითხველი შეესწრო 1995 წელს (მთარგმნელი — დავით შიოლაშვილი). ორივე ლექსის მოტივის თანხვედნა აშკარაა, მაგრამ აქ საუბარი მასზე, როგორც ლიტერატურულ წყაროზე ან ანარეკლზე, არ იქნებოდა მართებული. ნანა კუცია გიორგი მთაწმინდელის ლექსთან დაკავშირებით საინტერესო ინფორმაციას აწვდის მკითხველს: გიორგი მთაწმინდელს ეს ლექსი ქართულ და ბერძნულ ენებზე შეუთხზავს, ქართული დაიკარგა, ბერძნული გადარჩა. იგი ინგლისურ ენაზე უთარგმნია ირლანდიელ ტომას მურს, ხოლო „ინგლისურიდან რუსულ ენაზე გადაუღია პუშკინის თანამედროვე კოზლოვს, ლექსი ცნობილ რუსულ რომანსს „მწუხრის ზარებს" დასდებია საფუძვლად".[1]

ნანა კუციას „ვარადაში" ილიას ერთ-ერთი პოემის „(„რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდამ") „ღულუნი" ჩაესმის და საგულისხმო პარალელით აგვირგვინებს ჩანაფიქრს. სავსებით სწორად შენიშნავს მკვლევარი, რომ გიორგი შარვაშიძის მსოფლაღქმა ქართული მითოლოგიისა და ფოლკლორის უძველეს ფესვებს ირეკლავს, იმდროინდელ სიბრძნეს, როცა წინაპარი მზეს დედად აღიქვამდა, მთვარეს — მამად, მოციმციმე ვარსკვლავებს — და-ძმად.[2] მკვლევარი ამასთანავე აფიქსირებს გიორგი შარვაშიძის მეტაფორულ სახეთა ზიარებას რუსთაველთან, ილიასეული ვედრების ანარეკლს ლექსში „გასათხოვარს". ასევე ხაზგასმულია ვაჟას პოეზიის ტონისა და სათქმელის გამოძახილი აფხაზი პოეტის ლექსში „ფშაურს ხმაზედ".

2008 წელს გამოქვეყნდა პაატა ქურდოვანიძის სანიმუშო „ქართულ-აფხაზური ალბომი", რომლის შემდგენელ-რედაქტორია ხათუნა ჭურღულია (პროფ. ოთარ ჭურღულიას ქალიშვილი). წიგნში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა გიორგი შარვაშიძის პიროვნებას და ღვაწლს. ხაზგასმულია, რომ „ვარადას" ავტორის მთელი შემოქმედება, მსოფლმხედველობა მიმართული იყო ქართველთა და აფხაზთა ძმობისა და სიყვარულის გასაღრმავებლად. გიორგი შარვაშიძის ერთიანი ქართულ სახელმწიფოებრიობისადმი მიდგომის პოლიტიკამ

[1] ელ. თავბერიძის დასახ. ნაშრომი, გვ. 136-137.

[2] იქვე. გვ. 138.

უდიდესი როლი ითამაშა თანამედროვეთა ცნობიერებაზე.[1]

სტატიაში საუბარია უფლისწულ ალექსანდრესა (შემდგომში რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე III) და გიორგი შარვაშიძის პირველ შეხვედრაზე, პეტერბურგიდან სასწრაფოდ სამშობლოში მისი დაბრუნების მიზეზებზე, თბილისში ელო ანდრეევსკაიაზე დაქორწინების შესახებ, ქართველ სამოციანელებთან მის მეგობრობაზე, რაც ხელისუფლების მხედველობიდან არ გამოპარვია. მკითხველისათვის შეხსენებულია 1876 წელს გიორგი შარვაშიძის ცოლისდის. ნინოს დაღუპვა, რომლის მკვლელობა უსამართლოდ გიორგის ძუძუმტეს – დავით ჩქოტუას დაბრალდა, რომელიც მეუღლის მზითვად მიღებული მამულების სამართავად ჰყავდა პეტერბურგიდან გამოხმობილი. დავით ჩქოტუას 20 წლით კატორღა და სამუდამოდ ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს.

აქვე კიდევ ერთხელ შევავლებთ თვალს გიორგი შარვაშიძის ბიოგრაფიიდან ერთ შთამბეჭდავ ეპიზოდს, რაც დაკავშირებულია XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში საქართველოში რუსეთის საიმპერატორო კარის მხატვრის, ეროვნებით უნგრელი მიხაი ზიჩის (1827-1906) ჩამოსვლასთან. იგი დაემთხვა ჩვენი მოწინავე საზოგადოების მიერ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენაზე მუშაობას და მისი ახალი გამოცემისათვის მზადებას, რაშიც გიორგი შარვაშიძეც მონაწილეობდა. ქართველი ინტელიგენციის თხოვნით ზიჩიმ დაიწყო „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციების შექმნა. ამავე სტატიიდან შეუძლებელია არ გამოვისმოთ ერთი ნაწყვეტი გიორგი შარვაშიძის ნათესავის, საქართველოს სახალხო არტისტის მარინა ჩხეიძის ნათქვამიდან: „დედაჩემი ვერა შარვაშიძე იგონებდა: „ბიძია გიორგის მამაშენისა და ჩემი ერთობლივად ნამღერი აფხაზური სიმღერების მოსმენა უყვარდა, ერთხელ ზედიზედ რამდენიმეჯერ გაგვამეორებინა „კარადა“, შემდეგ თვალცრემლიანმა უსიტყვოდ დაგვტოვა“.[2]

ზურაბ პაპასქირმა საგულისხმო წერილი უძღვნა გიორგი შარვაშიძის ღვაწლს და ამაგს ქართული კულტურის განვითარების საქმე-

---

[1] ჰ. ჭურღულიძე, ქართულ-აფხაზური ალბომი, რედაქტორი და შემდგენელი ზათუნა ჭურღულია, თბ., 2008, გვ. 11.

[2] იქვე, გვ. 34.

ში.[1] ნარკვევში განსაკუთრებით წინ წამოწეულია ამ სასიქადულო პიროვნების საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა. ავტორი ცდილობს გიორგი შარვაშიძის მიერ სახელოვნად განვლილი გზის კიდევ ერთხელ გააზრებას, რათა წარმოაჩინოს „მისი, როგორც ქართველი მოღვაწის, ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენლის ღვაწლი ერისა და სამშობლოს წინაშე“.

ზურაბ პაპასქირის მართებული შენიშვნით: „გიორგი შარვაშიძე იყო ერთგვარი შემაერთებელი რგოლი ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თვადაზნაურული და ილიასეული ეტაპებისა. მასში ძალუმად იყო მოზღვავებული ის პატრიოტული მუხტი, რომლის მატარებლები იყვნენ, ერთის მხრივ, დიმიტრი ყიფიანი და მისი თაობა, ხოლო, მეორე მხრივ, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და მათი თანამოაზრენი“.[2]

ნარკვევში ყურადღებულია იმ მკვლევართა (ს. ჯანაშია, გ. ქიქოძე, ო. ჭურღულია, გ. ძიძარია, ს. ლეკიშვილი, ა. ნიკოლეიშვილი, ელ. თავბერიძე, ჯ. თითმერია და სხვ.) ღვაწლი, რომელთაც თავიანთ გამოკვლევებში ფართოდ წარმოაჩინეს გიორგი შარვაშიძის ცხოვრებისა და შემოქმედების სხვადასხვა ასპექტები. ზურაბ პაპასქირი კიდევ ერთხელ შთამბეჭდავად შეგვახსენებს აფხაზი მწერლის მამის — მიხეილ შარვაშიძის პიროვნებას. იგი მეცნიერთა გარკვეული ნაწილის (ს. ჯანაშია, შ. ჩხეტია, გ. ძიძარია, ს. ლაკობა, ნ. თაკალანძე) ნააზრევის მოშველიების ფონზე გამოკვეთს თავის დამოკიდებულებას გიორგის მამისადმი: „ჩვენ მაინც გაუმართლებლად მიგვაჩნია მიხეილ შარვაშიძის მოღვაწეობაში მხოლოდ პოზიტიური მხარეების საგულდაგულოდ ძებნა. ჩვენი აზრით, მიხეილ შარვაშიძე იყო უაღრესად რთული პიროვნება, რომელიც ყოველთვის ცდილობდა ნებისმიერი

[1] **ზ. პაპასქირი**, ღვაწლი დიდი მამულიშვილისა, სოხმუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია, ტ. I, თბ., 2007, გვ. 220-40; შდრ. მისივე, გიორგი შარვაშიძე, წიგნში: „დიდი საქმენი“, თბ., 2011, გვ. 540-542; მისივე, „ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან“, I, თბ., 2004, გვ. 233-238.

[2] **ზ. პაპასქირი**, დასახ. ნაშრომი, გვ. 222.

საშუალებით ხელისუფლების შენარჩუნებას. სწორედ ეს მისწრაფება უბიძგებდა მას ხან ერთ მხარეს გადახრილიყო, ხან კი — მეორეს".[1] ძნელია არ დაეთანხმო ცნობილ ისტორიკოსს, აფხაზეთის ისტორიის (ისვე როგორც საქართველოს ისტორიის) ჩინებულ მცოდნეს, თავად აფხაზეთის ისტორიაზე სოლიდური სახელმძღვანელო წიგნების ავტორს. სათანადო დოკუმენტური მასალების გაცნობას ჩვენც ამ დასკვნამდე მივყავართ. თუმცა დარწმუნებული ვართ, რომ მიხეილ შარვაშიძე „ორმაგ თამაშს" ეწეოდა არა მხოლოდ ხელისუფლების შესანარჩუნებლად, არამედ აფხაზი ხალხის, მშობლიური აფხაზეთის გადასარჩენად. ამ თვალსაზრისით, ნიშანდობლივია მისი მწარე ბიოგრაფიიდან ერთი ეპიზოდის გახსენება. ყირიმის ომისას თურქეთის მიერ აფხაზეთში გადმოსროლილი ჯარის ფონზე მიხეილ შავაშიძეს შეეკითხნენ, თუ ვის უჭერდა მხარს — რუსეთს თუ თურქეთს. მიხეილ შარვაშიძემ მედგრად უპასუხა — აფხაზეთსო.

ზურაბ პაპასქირი ვრცლად მსჯელობს ქართულ-აფხაზური ისტორიული და კულტურულ-პოლიტიკური ერთობის შეგრძნებაზე XIX საუკუნის 60-იან წლებშიც კი, ამის დასტურად მოაქვს აფხაზეთისა და სამურზაყანოს თავადაზნაურთა „მოხსენებითი ბარათი", რომელიც მათ 1870 წელს მიართვეს გენერალ-ადიუტანტ, თავად დ. სვიატოპოლკ-მირსკის, მაღალი ჩინის მოხელეს კავკასიის რუსულ ადმინისტრაციაში. ბარათს ხელს წერდნენ აფხაზეთში ცნობილი თავადები.

ზურაბ პაპასქირი მოკლედ ეხება გიორგი შარვაშიძის ცალკეულ ბიოგრაფიულ ეპიზოდებს: დაბადების თარიღის განსაზღვრა, აღზრდა, თბილისში მსახურობა ადიუტანტის თანამდებობაზე, აქტიური გამოჩენა პოლიტიკურ ასპარეზზე 1866 წელს, აჯანყებულ აფხაზთა მიერ გიორგის გამოცხადება აფხაზეთის ახალ მთავრად, მისი გადასახლება რუსეთში, გაგზავნა სამხედრო სამსახურის გასაგრძელებლად ორენბურგის სამხედრო „ოკრუგში"... ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს გიორგი შარვაშიძის გამოსვლას აფხაზურ ენაზე 1917 წელს ანტიქართულად განწყობილი ე.წ. „აფხაზი ხალხის ყრილობის" მონაწილეთა წინაშე, სადაც მან აუხსნა „ახლადგამომცხვარ"

[1] ზ. პაპასქირი, დასახ. ნაშრომი, გვ. 224.

ლიდერებს, რომ „სხვა გზა არ არის და არც ყოფილა აროდეს აფხაზეთისათვის, გარდა საქართველოსთან მჭიდრო კავშირისა და მასთან ყოფნისა განუყრელად ჭირსა და ლხინში“.[1]

ნარკვევში ასევე აქცენტირებულია გიორგი შარვაშიძის წერილი გერმანული გაზეთის „ბერლინერ ტაგებლატის“ რედაქტორისადმი, პასუხად აღნიშნულ გაზეთში კორესპონდენტ ლორენცის მიერ გამოქვეყნებული სტატიისა, ამ წერილში გამოკვეთილად ჩანს, რომ გიორგი შარვაშიძისათვის აფხაზები და აფხაზეთი ქართველებისა და საქართველოს განუყოფელი ნაწილია. ზურაბ პაპასქირს აგრეთვე ვრცლად მოაქვს ციტატა გიორგი შარვაშიძის პუბლიცისტური წერილიდან „სოციალიზმი და საქართველო“, სადაც გამოკვეთილია ამ დიდი აფხაზი მოღვაწის ილიასეული ეროვნული შემართება.

გიორგი შარვაშიძის ეროვნულ მრწამსთან დაკავშირებით ზურაბ პაპასქირი მოკლედ განიხილავს ლექსს „პასუხი ვ.ო“-ს, რაც ავტორს შეუქმნია ვახტანგ ორბელიანის პოეტური ნაწარმოების – „ამერ-იმერის“ წაკითხვისგან მიღებული შთაბეჭდილებების ფონზე. წერილის დასასრულს ზურაბ პაპასქირი დაუინტერესებია გიორგი შარვაშიძის კიდევ ერთ პუბლიკაციას – „ქართული ენის გარშემო“, რომელშიაც ის ქართული სამწიგნობრო ტრადიციების აქტიური დამცველის როლში გვევლინება.

ჯუმბერ თითმერია თავისებურ სტილში დაწერილი სტატიით ცდილობს სრულყოფილად წარმოაჩინოს გიორგი შარვაშიძის ღვაწლი და პიროვნება. მის წერილს ჰქვია „დიალოგი გიორგი შარვაშიძესთან“. ცოცხალი ლიტერატორის გასაუბრება ან დიალოგი გარდაცვლილ შემოქმედთან თუ სახელოვან წინაპართან ნაცადი ხერხია ლიტერატურათმცოდნეობაში. წერილის დასაწყის ნაწილში ავტორი მკითხველს შეახსენებს გიორგი შარვაშიძის საანკეტო მონაცემებს. ტექსტში გაშლილ „საუბარში“ ჩართულია გრიგოლ რობაქიძის, ნიკო თავდგი-

[1] ეს მასალა სათაურით „გუცხოების დასაწყისი“ (1917-1920) გამოქვეყნებულია ბერლინში გამომავალ ქართულ გაზეთში „თეთრი გიორგი“ (1931). ზ. პაპასქირი მას უთითებს წიგნიდან. დ. ჩიტაია, აფხაზეთის საკითხი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში. აფხაზეთის სახახლო საბჭო 1917-1921 წლებში, თბ., 2006, გვ. 125-126.

რიძის, გერონტი ქიქოძის, შალვა დადიანის, ანტონ ფურცელაძის, სიმონ ჯანაშიას, ელგუჯა თაბერიძის შეფასებების ნაწყვეტები გიორგი შარვაშიძის პიროვნებასთან და ამაგთან დაკავშირებით.

ჯუმბერ თითმერია მკითხველს ასე აკვალიანებს: „ეს საუბარი-დიალოგი არის დიდი გიორგი შარვაშიძისა და ჩემი, თქვენი მორჩილის, საუბარი. აწ გარდასულ წინაპრებთან პირობითი, წარმოსახული, „დოკუმენტური“ საუბარი, დიალოგი დღეს ფართოდ გავრცელებული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჟანრია“.[1]

ავტორი გვპირდება, რომ სახელოვან თანამოსაუბრეზე უფრო სიტყვამოკლე იქნება, „ძირითადად ის იმუსაიფებს ხმამაღლა, გაგვიმეორებს იმას, რაც სხვადასხვა დროს ბევრ საჭირბოროტო პრობლემებზე, ფაქტზე, ჩვენი ქვეყნის წარსულის, აწმყოსა და მომავლის შესახებ შთაგონებით, ჭირისუფლურად უბრძანებია. ვფიქრობ, ყურად უნდა ვიღოთ მისი ნაფიქრალ-ნათქვამი“.[2]

ეს „საუბარი-დიალოგი“, მართლაც, საინტერესოდ მიმდინარეობს. მკითხველის თვალწინ გაივლის ნაწყვეტ-ნაწყვეტ ქართველ გამოჩენილ მოღვაწეთა ნაფიქრ-ნააზრევი გიორგი შარვაშიძეზე. ასევე გიორგი შარვაშიძის ენით გადმოცემული მისივე თავგადასავალი, კრედო, მრწამსი, ეროვნული თვითშეგნება, დედისა და მამის სილუეტები და ა.შ.

ციალა არდაშელიამ 1993 წელს გამოაქვეყნა ეროვნული თვითშეგნებით დამუხტული წიგნი „ყვირილი გვმართებს დღისით, მზისით“, სადაც შესულია მისი წერილი გიორგი შარვაშიძეზე – „უბედური ქვეყნის ყმა“.[3] წერილი იწყება ცნობილი ისტორიულ ფაქტის აღწერით, რაც უკავშირდება ქუთაისში რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე მესამის ჩამოსვლას. ქუთაისის გუბერნატორმა გიორგი შარვაშიძეს, ნიკო ნიკოლაძესთან და სხვებთან ერთად, ქუთაისი დაატოვებინა იძულებით, რასაც მოჰყვა აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შვილის მიერ რუსეთის იმპერატორის ნაბოძებ ფლიგელ-ადიუტანტო-

[1] **ჯ. თითმერია**, საუბარი გიორგი შარვაშიძესთან, წიგნში: **გ. შარვაშიძე**, თხზულებანი, II, გვ. 251.

[2] იქვე.

[3] **ც. არდაშელია**, „უბედური ქვეყნის ყმა“. მისივე წიგნში: „ყვირილი გვმაროებს დღისით, მზისით“, თბ., 1993. ეს გამოცემა გამეორდა 2011 წელს.

ბაზე უარის თქმა: „გიორგი შარვაშიძემ მოიძრო თავისი ფლიგელ-ადიუტანტის ბაფთები და ფეხებში მიუგდო გაოგნებულ, სახტად დარჩენილი გუბერნატორს და ღირსეული იერით, წარბშეუხრელად დატოვა დარბაზი. ეს იყო ბომბის გავარდნასავით იმ ტაკიმასხრულ კარნავალში, რასაც ქართველი თავადაზნაურობა უმართავდა რუსეთის იმპერატორს, ვის კარზეც ესოდენ მიღებული და დაფასებული იყო გიორგი შარვაშიძე".[1]

ციალა არდაშელია მოკლედ მიმოიხილავს გიორგი შარვაშიძის ბიოგრაფიიდან იმ ეპიზოდებს, როცა მამა დაუპატიმრეს, აფხაზეთის მთავრობა ჩამოართვეს, აფხაზეთის სამთავრო გაუუქმეს, რუსებმა თვითონ გიორგიც რუსეთის შიდა გუბერნიაში გადაასახლეს, მაგრამ მალე შეიწყნარეს და მიიწვიეს პეტერბურგის სასახლეში. მას მომავალი მეფე ალექსანდრე III განსაკუთრებით წყალობდა, აძლევენ ფლიგელ-ადიუტანტის მაღალ ხარისხს და მეფის ამალაში რიცხავენ. „ასეთი წარჩინებისათვის, – წერს ციალა არდაშელია, – თავს დასდებდა მისი წრის უდიდესი ნაწილი, მაგრამ ჭაბუკი გიორგისათვის, მარად დაუვიწყარია და მარად ცოცხალი მისი დაჩაგრული სამშობლოს ხატება, ავჯანყების დახოცილ მეთაურთა სახეები".

მეფის მთავრობა საქართველოში დაბრუნებულ და თბილისში (შემდეგ ქუთაისში) დამკვიდრებულ გიორგი შარვაშიძეს ყოველნაირ პროვოკაციას უწყობდა. ერთ-ერთ მათგანზე შეაჩერებს ციალა არდაშელია ჩვენს ყურადღებას. ეს არის ბინძური პროვოკაცია დავით ჩქოტუას საქმესთან დაკავშირებით. წერილის ავტორი მსჯელობს გიორგი შარვაშიძის აღზრდა-განათლებაზე, მთელი არსებით ქართულ კულტურულ სამყაროსთან დაკავშირებაზე, მისი კულტურული და მოქალაქეობრივი მრწამსის სათავეზე. ეს იმას როდი ნიშნავდა, თითქოს ეს დიდებული აფხაზი ივიწყებდა მშობლიურ აფხაზეთს. კონსტანტინე ერისთავის თქმით: „გიორგი ზაფხულობით ხშირად მიდიოდა აფხაზეთში, გამოეწყობოდა ჩოხაში და მთელ აფხაზეთს გაიელიდა ისე, რომ კუნჭულს არ დატოვებდა დაუთვალიერებელს მთასა და ბარში".

ციალა არდაშელია თავის სტატიაში განსაკუთრებით ხაზს უსვამს

[1] ც. არდაშელია, დასახ. ნაშრომი, გვ. 217.

გიორგი შარვაშიძის ხმალშემართულ დგომას ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე. იგი ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც ქართულ ისტორიულ-კულტურულ ტრადიციებს აგრძელებდა და თავდადებით იცავდა.

მართალია, მარინე ჯაიანს სპეციალური ნარკვევი, სტატია ან წერილი არ გააჩნია გიორგი შარვაშიძეზე, მაგრამ მის მონოგრაფიაში[1] სათანადო გამოვლინებას პოულობს აფხაზი მწერლის და პიროვნების ცხოვრებისეული ეპიზოდები: გიორგი შარვაშიძის აღზრდა ჩქოტუების ოჯახში, მისი და დავით ჩქოტუას ბავშვობიდან ერთად გაზრდა, მათივე უდიდესი პატივისცემა ძიძიშვილისადმი, მათივე ჩამოყალიბება ძმობა – მეგობრობის უკეთილშობილესი გრძნობებით, რაც სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნეს; აქვე ვეცნობით გიორგის და დავითის ერთად ყოფნას ოდესაში, შემდეგ პეტერბურგში; გიორგი შარვაშიძის დამსახურებას დავით ჩქოტუას მიერ ოდესაში და პეტერბურგში მაღალი და განათლებული საზოგადოების გაცნობის საქმეში.

მარინე ჯაიანის მონოგრაფიულ ნაშრომში კუთვნილი ადგილი ეთმობა გიორგი შარვაშიძისა და დავით ჩქოტუას მტკიცე მეგობრული ურთიერთობის განმტკიცებას, ძუძუმტეობისადმი განსაკუთრებულ პატივისცემას სამშობლოში დაბრუნების შემდეგ; გიორგი შარვაშიძის მიერ დავით ჩქოტუას მოწვევას 1875 წელს აღმოსავლეთ საქართველოში მამულების მმართველად (ეს მამულები ეკუთვნოდათ გიორგი შარვაშიძის მეუღლეს ელენეს, ცოლის და ნინოს, კავკასიის მეფისნაცვლის ვორონცოვის პირადი ექიმის ერასტი ანდრეევსკის ქალიშვილებს).

მარინე ჯაიანი დოკუმენტური მასალების საფუძველზე გადმოგვცემს დავით ჩქოტუას ცხოვრებაში დატრიალებულ ტრაგედიებს, გიორგი შარვაშიძის ცოლისდის ნინოს მტკვარში დახრჩობას მისთვის დაბრალებას, მეფის მთავრობის ოფიციოზისთვის მიუღებელი გიორგი შარვაშიძისთვის პროვოკაციის მოწყობას – თითქოს მან ანგარების მიზნით (თითქოს ნინოს სიკვდილის შემდეგ მისი ქონება მას დარჩებოდა) დავით ჩქოტუას დაახრჩობინა მტკვარში ნინო ანდრეევსკაია. გიორგი შარვაშიძე განსაცდელის ჟამს მტკიცედ ედგა მხარში დავით ჩქოტუას, ორივეს კი – მთელი მოწინავე ქართველი საზოგადოება.

[1] **მ. ჯაიანი,** დავით ჩქოტუას ცხოვრება და შემოქმედება, თბ., 2005.

მარინე ჯაიანი წერს: „უმთავრესი მიზანი ერთი იყო, რომელიც პოლიტიკურ სფეროში ინაცვლებდა. სასამართლო პროცესს შეფარვით პოლიტიკური სარჩელი ედო საფუძვლად. როგორმე უნდა დამტკიცებულიყო, რომ დავით ჩქოტუა მოქმედებდა სწორედ თვით გიორგი შარვაშიძის კარნახით, რათა ამ უკანასკნელს ხელთ ეგდო ცოლისდის — ნინო ანდრეევსკაიას კუთვნილი ქონებაც. ამით, რასაკვირველია, ჩირქი ეცხებოდა ცარიზმის თვითმპყრობელობის ისეთ მოძულე პიროვნებას, როგორიც იმ დროს აფხაზთა უკანასკნელი მთავრის მემკვიდრე იყო“.[1] „ყველაფრიდან ჩანს ისიც, — განაგრძობს მ. ჯაიანი, — რომ ამ საქმის გამწვავებაში პირადულად იყო გარეული კავკასიის იმდროინდელი მეფისნაცვალი, დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე... მთელი ცხოვრების მანძილზე დევნიდა აფხაზთა სამთავრო ტახტის უკანასკნელ პრეტენდენტს გიორგი შარვაშიძეს“.[2]

მარინე ჯაიანი ჩვენს ყურადღებას მიაპყრობს იმ ფაქტს, რომ 1875 წელს გიორგი შარვაშიძეს რუსულ ენაზე დაუწერია პიესა „ბედისაგან დევნილი კაცი“, რომელშიც დავით ჩქოტუას ტრაგიკული თავგადასავალი ყოფილა. მონოგრაფიის ავტორს სპეციალურად გაუმახვილებია ყურადღება დავით ჩქოტუას მაღალ კეთილშობილებაზე და დიდსულოვნებაზე, რაც განსაკუთრებით გამოიხატა გიორგი შარვაშიძის პიროვნებისადმი დამოკიდებულებაში. უდანაშაულო მამულიშვილი 20- წლიან საკატორღო სასჯელს შორეულ ჩიტას გუბერნიაში იხდიდა, ერთ წუთითაც არ ივიწყებს გიორგი შარვაშიძეს, წუხს მის ბედზე. ამის დასტურია დავით ჩქოტუას მიერ ვასილ პეტრიაშვილისადმი გამოგზავნილი წერილი: „ძალიან შემაწუხა გიორგის ამბავმა. თუმცა არ მჯერა, რომ მის ასაკში იგი ასეთ უმსგავსო ცხოვრებას ეწეოდეს, როგორც ამას ამბობენ ადამიანები, რომლებიც სხვის თვალში ბეწვს ხედავენ, ხოლო საკუთარში დირესაც ვერ ამჩნევენ. მაგრამ ჩემთვის უეჭველია ის, რომ იგი თავისი ხასიათის ინერტულობის გამო, მეტისმეტად ჩაება გარემოცულ წრეში და ყველა წარუმატებლობისა და იმედგაცრუების შემდეგ, გზააბნეულ ცხოვრებას ეწევა“.

---

[1] მ. ჯაიანი, დავით ჩქოტუას ცხოვრება და შემოქმედება, თბ.. 2005, გვ. 27.
[2] იქვე.

ლევან ჯინჯიხაძემ 2012 წელს გამოაქვეყნა წიგნი „ლიტერატურულ-ეტიმოლოგიური ძიებანი“, სადაც რამდენიმე გვერდი დაუთმო გიორგი შარვაშიძის ღვაწლს. აღნიშნავს მის კავშირს XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაფუძნებული ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან, მის ურთიერთობას ილიას და აკაკის და სხვა ქართველ თვალსაჩინო მოღვაწეებთან, თუ როგორ იბრძოდა აფხაზი მწერალი საერთო ეროვნული შეგნების. ქართული ენისა და კულტურის განვითარებისათვის, რა როლს ასრულებდა საქართველოს საზოგადოებრივ და ლიტერატურულ ცხოვრებაში. ავტორი საუბრობს გიორგი შარვაშიძის როლზე ქართული მწერლობისა და თეატრის აღორძინება-განვითარების საქმეში. ასევე ყურადღებას ამახვილებს დრამატულ ნაწარმოებზე „გიორგი მესამე“, რომელშიც ნაჩვენებია ზოგადქართული შეგნება, გამოვლენილია ეროვნულ-პატრიოტული თვალთახედვა, მაღალზნეობრივი იდეალებისადმი სწრაფვა.

ლევან ჯინჯიხაძის დასკვნით, „გიორგი შარვაშიძის საზოგადოებრივმა და ლიტერატურულმა მოღვაწეობამ თავის დროზე უფრო განამტკიცა და შეადულაბა ქართველი და აფხაზი ხალხის ურთიერთკავშირი, კიდევ უფრო დაუახლოვა ისინი ერთმანეთს“.[1]

შეიძლება დავასკვნათ: გიორგი შარვაშიძის პიროვნული თვისებები, ღვაწლი, მწერლური ნიჭი, ეროვნული შემართება და ენერგია სიცოცხლეშივე ნაწილობრივ დაფასდა (აკ. წერეთელი, ა. ფურცელაძე, კ. ერისთავი, ი. მეუნარგია, თ. სახოკია, კ. დადიანი, ნ. დადიანი და სხვ.). მის გარდაცვალებას გულისტკივილით გამოეხმაურნენ: ნიკოლოზ თავდგირიძე, ილია ჭყონია, გივი გოლლენდი (გრიგოლ რობაქიძე). აფხაზი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მეცნიერული შესწავლის ისტორია 1928 წლიდან იწყება აკად. სიმონ ჯანაშიას მიერ შექმნილი დიდად მნიშვნელოვანი ნაშრომით – „გიორგი შარვაშიძე“ (კულტურულ-ისტორიული ნარკვევი).

1928 წლიდან დღემდე არაერთი მკვლევარი თუ დაინტერესებული პირი შეხებია გიორგი შარვაშიძის ცხოვრებისა და სამწერლო მოღვაწეობის ცალკეულ საკითხებს, რაც გამოიხატა მათ მიერ გამოცე-

[1] ლ. ჯინჯიხაძე. ლიტერატურულ-ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 2012, გვ. 40.

მულ წიგნებში, ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ წერილებსა და სტატიებში (შ. დადიანი, გ. ქიქოძე, ო. ჭურღულია, ს. ლეკიშვილი, გ. მიქაძე, ს. ხუციშვილი, ა. ნიკოლეიშვილი, ე. ხარაძე, ელ. თავბერიძე, ა. გადილია, ო. ჟორდანია, ზ. პაპასქირი, ნ. კუცია, პ. ქურდოვანიძე, ჯ. თითმერია, ც. არდაშელია, მ. ჯაიანი, ლ. ჯინჯიხაძე). თავიანთ წიგნებსა თუ სტატიებში ავტორების მიერ ყურადღება გამახვილებულია გიორგი შარვაშიძის ცხოვრებისეულ ეპიზოდებზე, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობაზე, ლიტერატურულ-კულტურული მემკვიდრეობის სხვადასხვა ასპექტზე, მწერლის კრედოზე, ეროვნულ-მოქალაქეობრივ მსოფლმხედველობაზე, ქართულ კულტურულ სამყაროსთან კავშირზე, კულტურული და მოქალაქეობრივი მრწამსის სათავეებზე, თეატრალური ხელოვნებით დაინტერესებაზე და ა.შ.

გიორგი შარვაშიძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზმა აჩვენა, რომ ქართულენოვანი აფხაზი მწერლის ბიოგრაფიაზე მსჯელობისათვის დამახასიათებელია ცხოვრებისეული ეპიზოდების ფრაგმენტებად მოწოდება, აკლია სიმწყობრე, ქრონოლოგიური თანმიმდევრობა, სისტემურობა. შედარებით ღრმად არის შესწავლილი პატრიოტული ლირიკა, ქართული ლირიკისათვის დამახასიათებელი დანარჩენი მოტივები კი – მხოლოდ ზოგადად. საერთოდ, დაუმუშავებელი აღმოჩნდა ერთადერთი და ისიც დაუმთავრებელი ეპიკური ძეგლი „გვადანის ციხე“. უაღრესად საინტერესო დრამატული თხზულების „გიორგი მესამის“ მხოლოდ ეროვნული მუხტია ამომწურავად შესწავლილი, ამასთან დაკავშირებული სხვა საკითხები კი გამოკვლეული არ არის. საერთოდ, შეუსწავლელი აღმოჩნდა გიორგი შარვაშიძის ნაწერების ენისა და სტილის საკითხები, მწერლის სახისმეტყველება, მხატვრული სამყარო, ტროპული მეტყველება, ლექსთწყობის საკითხები, მეტრი და რითმა.

თავი მეორე

გიორგი შარვაშიძის ცხოვრების გზებზე

(შტრიხები ბიოგრაფიისთვის)

საუბარს დავიწყებთ გიორგი შარვაშიძის გვარის რაობაზე. ჩაჩ-შარვაშიძეთა საგვარეულო აფხაზეთის ფეოდალურ საგვარეულოებს შორის (აჩბა ანუ ანჩაბაძე, ძიაპშ-იფა, ინალ-იფა, მარშანია ანუ ამარ-შანი, ემუხვარი, ჩხოტუა, ჩაბალურხვა, ცანბა) ერთ-ერთი გამორჩეული იყო. სხვებთან შედარებით, მისი წარმოშობის საკითხი სამეცნიერო ლიტერატურაში უკეთ არის შესწავლილი (დ. გულია, ი. ჯავახიშვი-ლი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი, ზ. ანჩაბაძე, მ. ანდრონიკაშვილი). ოთარ ჭურღულია ამ პრობლემით დიდად იყო დაინტერესებული. წინასწარ ვიტყვით: მის მიერ გამოტანილი დასკვნები ერთობ და-საბუთებული და დამაჯერებელი ჩანს. სწორედ ამიტომ ვეყრდნობით უმთავრესად მის გამოკვლევას.

თავის ნაშრომში („ჩაჩ-შარვაშიძეთა საგვარეულოს წარმოშობის საკითხისათვის")[1] ოთარ ჭურღულიას დაწვრილებით აქვს გადმოცე-მული პრობლემის შესწავლის ისტორია. კერძოდ, დიმიტრი გულიას შარვაშიძეები მიაჩნდა შირვან-შაჰების შთამომავლებად.[2] შირვან-შაჰე-ბი იყვნენ შირვანის სახანოს (ჩრდილოეთ აზერბაიჯანი) მმართველი დინასტია. ოთარ ჭურღულია აფიქსირებს ისტორიოგრაფიაში დაცულ მითითებებს ფეოდალური საგვარეულოების უცხოური წარმოშობისა და ასაკოვნების შორი წარსულიდან მომდინარეობის თაობაზე, რაც გვარის ძლიერების, მორჭმულობის, განათლებულობისა და კეთილ-შობილების დამადასტურებელ მოვლენად ითვლებოდა. ამის ნათელ-საყოფად მრავალი ფაქტი მოიპოვება.[3] აქ მხედველობაშია მიღებული ქართველ მეფე-ბაგრატიონთა ებრაული წარმომავლობის, ასევე ორ-

[1] ო. ჭურღულია, „სიტყვა ფიქრის სხეულია" (წერილები და გამოკვლევები), თბ., 1992, გვ. 156-176.

[2] დ. გულია, აფხაზეთის ისტორია, თხზ., VI, სოხუმი, 1986, გვ. 134 (რუს. ენაზე).

[3] ო. ჭურღულია, „სიტყვა ფიქრის სხეულია", გვ. 157.

ბელიანთა ჩინეთიდან მომდინარეობის თეორიები. იგივე ითქმის მხარგრძელების (სპარსეთის მეფეების საგვარეულოდან), წერეთლების (დაღესტნური), ციციშვილების (იტალიური), ფალავების (ჯიქური) წარმომავლობის შესახებ.

მართებულად შენიშნავს ოთარ ჭურღულია, რომ ანალოგიურად უნდა შექმნილიყო შარვაშიძეთა შარვან-შაჰებისაგან მომდინარეობის თეორიაც. იგი, ცხადია, გვერდს არ უვლის გადმოცემას, რომლის მიხედვით თითქოს ჩაჩ-შარვაშიძეთა საგვარეულოს დაწინაურება უკავშირდებოდეს დავით აღმაშენებლის სახელს XII საუკუნის დამდეგისათვის. „ისტორიანი და აზმანი შარვანდედთანი“ პირველ წერილობით ცნობას გვაწვდის შარვაშიძეთა საგვარეულოს შესახებ: თამარ მეფის „ერისთავნი მის ჟამისანი ესენი იყვნენ: ბარამ ვარდანის ძე – სუანთა ერისთავად, კახაბერ კახაბერის ძე – რაჭისა და ტაკუერის ერისთავად, ოთაღო შარვაშიძის ძე – ცხუმის ერისთავად“.[1] გავეცნოთ „ქართლის ცხოვრების“ მეორე ცნობასაც: XI საუკუნის აფხაზეთის განმგებელი იყო ოთაღო ჭაჭასძე.[2] მეცნიერთა ერთი ნაწილი ჭაჭასძეს აიგივებს გვარ-სახელ ჩაჩა-ბასთან.

საკითხთან დაკავშირებით მკვლევარს საგულისხმოდ ესახება ვახუშტი ბაგრატიონის მიერ დამოწმებული „შარვაშეთის მთა“: „და მზღვრის ამ სამცხეს: აღმოსავლეთით საზღვარი ქართლისა და მთიანი კოდიანისა, შარვაშეთისა და საზღვარი ჯავახეთისა, სამხრით მთა ერუშეთისა და სამცხეს შორისი, მერმე არსიანის მთა, შავშეთსა და ყუელს შორის“.[3] ავტორს ამ მომენტში საყურადღებოდ მიაჩნია ზემოაღნიშნული ქართული ტომების მაწარმოებლები ერუ-ში, შავ-ში, აქ-„ში“ ისეთივე მაწარმოებელი ჩანს, როგორც „ში“ გვარსახელში შარვა-ში-ძე. რაც შეეხება ფორმას „შარვაშეთი“, აქ „ეთ“ მიუთითებს შარვაშებით დასახლებულ მიწა-წყალზე (შდრ. ერუშეთი, შავშეთი). მითუმეტეს, საქართველოს ეს მხარე მიჩნეულია მეგრელ-ჭანთა წინაპრების საცხოვრებელ ადგილად. ამიტომ შემთხვევითი არ უნდა იყოს, – წერს მკვლევარი, რომ ქართული ტომის (შავ-ში, ერუ-ში)

[1] „ქაროლის ცხოვრება“, II, თბ., 1959, გვ. 33-34.

[2] „ქართლის ცხოვრება“, I, გვ. 299.

[3] „ქართლის ცხოვრება“, IV, თბ., 1973, გვ. 667-668.

გვერდით დასახელებულია სატომო თუ სათემო სახელი – შარვა-ში და აქედან „ეთ“ სუფიქსით ნაწარმოები – შარვაშეთი.[1]

სიმონ ჯანაშიას შარვაშიძეთა გვარი უძველეს გვარად მიაჩნია, რომლის წარმოშობას და თვით გვარსახელს თქმულება შარვანშაჰებს უკავშირებსო: „უკვე თამარ მეფის პირველი ისტორიკოსი იხსენიებს აფხაზეთის ერისთავს დოთაღო შარვაშიძეს, რუმის სულთანის ყიასდინის ჯარების მთავარსარდლადაც მონღოლთა წინააღმდეგ დასახელებულია „შარვაშიძე აფხაზი დარდინ“. შემდეგ საუკუნეებშიც აფხაზეთის მთავრებად შარვაშიძეები არიან“.[2] სიმონ ჯანაშია, ამასთანავე, აკრიტიკებს ნიკო მარის თვალსაზრისს, რომ თითქოს „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ მოხსენიებული IX საუკუნის ხელმწიფის, ბაგრატ შაროელის გვარსახელი „შაროელი“ შეიძლება უდრიდეს შარვაშიძეს“.[3] ასევე დიდ მეცნიერს მიაჩნია (აფხაზური ფოლკლორის, გადმოცემების, ანდაზების, სალოცავების საფუძველზე), რომ ჩაჩებზე ადრე „შარვაშიძეობა“ ანჩაბაძეთა საგვარეულოს ხელში უნდა ყოფილიყო. მისი აზრით, აფხაზეთის პირველი მთავრები უნდა ყოფილიყვნენ აჩბების (ანჩაბაძეების) საგვარეულოს წარმომადგენლები, ხოლო შემდეგ ეს უფლება მოიპოვესო ჩაჩ-ის საგვარეულოს წარმომადგენლებმა – ჩაჩებმა. სიმონ ჯანაშიას შარვაშიძეთა საგვარეულო აფხაზეთში მოსულად ესახება (როგორც დადიანი სამეგრელოში) და შემდეგ გაბატონებულად, რასაც მოჰყვა ამ გვარსახელის მმართველობის ტიტულად ქცევა.

ოთარ ჭურღულია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ნიკო ბერძენიშვილის მოსაზრებას ჩაჩბა-შარვაშიძის ეთნო-გენეზისის შესახებ. ამ დიდი ისტორიკოსის მიხედვით, „ჩაჩი“ ცალკე ეთნიკური ერთეულია, კავკასიური ტომია, აფშილების მონათესავე, დაახლოებით ისეთივე დამოუკიდებლობით, როგორითაც სარგებლობდნენ აფშილები, ჰერები, წანარები.[4] ევლია ჩელები (ცნობილი თურქი მოგ-

---

[1] ო. ჭურღულია, „სიტყვა ფიქრის სხეულია“, გვ. 159.

[2] ს. ჯანაშია, გიორგი შარვაშიძე (კულტურულ-ისტორიული ნაკრები). წიგნში: გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, სოხუმი, 1946, გვ. 27.

[3] იქვე, გვ. 27.

[4] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1995, გვ. 14, 573, 589, 608, 609.

ზაური) ჩაჩებს მშობლიურთან ერთად აგრეთვე მეგრულად მოსაუბრე ტომებად თვლის.[1] მოვიტანთ ვრცელ ამონარიდს ნიკო ბერძენიშვილის წიგნიდან: „თუ ევლია ჩელები ჩაჩში მეგრულისგან განსხვავებულს, აფხაზურის მონათესავე ტომს ხედავს, აფხაზები ამ ტომს აფხაზებს არ ეძახიან, არამედ ჩაჩს და მეორეც, აფხაზები ჩაჩის ტომის შვილს, ყველაზე განთქმულს – ჩაჩბას – თუ ერთის მხრით ჩაჩის შვილს (ჭაჭის ძეს) უწოდებენ, მეორე მხრით, ამ გვარს ჩაჩ-შარვაშიძეს „ქართველს“ უწოდებენ. არაა საფიქრალი, რომ ეს „ქართველობა“ იმ ნიადაგზე მოხდა, რომ შარვაშიძე ფეოდალი „ქართული სამყაროს“ ფეოდალი იყო (მაშინ ანჩაბაძეც და სხვებიც ქართველებად უნდა ეგულათ აფხაზებს). ასე რომ, ჩაჩბას ქართველობა თითქო უფრო ეთნიკურ მომენტს გულისხმობს... მაგრამ „შარვაშიძე“ ხომ ეგრისზე მიუთითებს. უკეთ იმ ტომზე, რომელიც მეგრულის დიალექტზე ქმნიდა თავის ონომასტიკონს... ასე რომ, ჩაჩ-შარვაშიძის ქართველობა უფრო ფეოდალური კულტურის ერთიანობის შედეგადაა მიღებული, როცა ეს კულტურა საყოველთაო გახდა კავკასიის უდიდეს ნაწილში და როცა, საფიქრებელია, ჩაჩ-შარვაშიძემ განსაკუთრებული ენერგია და უნარი გამოიჩინა და საქართველოს მეფეების („აფხაზთა მეფეების“) პოლიტიკის დასაყრდენი გახდა შორეულ (პროვინციად ქცეულ) აფხაზეთში“.[2] დიდი მეცნიერი ვარაუდობს, რომ ჩაჩთა ადგილსამყოფელი იყო ოჩამჩირე. ამასთანავე, მისი ფიქრით, შესაძლოა ოთაღო ჭაჭასძე (XI საუკუნე) არის იგივე ჩაჩას ძე ანუ ჩაჩბას სახენაცვალი. ჩაჩი იყო არა ტომის მეთაურის, არამედ ტომის სახელი, გარკვეული ეთნიკური ერთეულისა.[3] ნიკო ბერძენიშვილს გვარსახელი შარვაშიძე მეგრული წარმოშობისად მიაჩნია: შარვაში პლუს ქართული ძე“.[4]

ნიკო ბერძენიშვილის დაკვირვებების განხილვის შემდეგ ოთარ ჭურღულია აანალიზებს ზურაბ ანჩაბაძის ნარკვევს ჩაჩ-შარვაშიძეთა ფეოდალური საგვარეულოს წარმოშობის საკითხზე. ზ. ანჩაბაძე წერს: „ის გარემოება, რომ შარვაშიძეები XII საუკუნის 80-იან წლებში

[1] **ევლია ჩელები,** მოგზაურობის წიგნი, ნაკვეთი I, ობ., 1971, გვ. 100.

[2] **ნ. ბერძენიშვილი,** საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, გვ. 608.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 607.

უკვე დაწინაურებული არიან ასეთ უმაღლეს თანამდებობაზე (იგულისხმება ცხუმის საერისთაოს გამგებლობა – ტ.მ.), მიგვანიშნებს საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს პოლიტიკურ სარბიელზე მათ საგრძნობლად ადრე გამოჩენაზე".[1] ცნობილი ისტორიკოსი არ ეწინააღმდეგება გადმოცემას შარვაშიძეთა საგვარეულოს შირვან შაჰების დინასტიისაგან წარმოშობის თაობაზე. მას უსაფუძვლოდ არ ეჩვენება კავშირი ოთაღო ჭაჭასძესა და აფხაზეთის ფეოდალურ საგვარეულოს – შარვაშიძეს შორის. მან ჰიპოთეზად ჩათვალა კუდრიავცევის ვარაუდი ჩაჩბას ჯიქეთური გავლენიანი ფეოდალური საგვარეულო გეჩ-ისაგან წარმომავლობის შესახებ. ზ. ანჩაბაძის გამოკვლევის ძირითადი არსის შემომსაზღვრელია ის ფაქტორი, რომ აჩბას (ანჩაბაძესა) და ჩაჩბას (შარვაშიძეს) გვარსახელებს შორის უცილობლად არსებობს ნათესაური მიმართება.[2] მისი საინტერესო დაკვირვებით, როდესაც გვარი (მაგალითად, დადიანი) გადადიოდა ტიტულში, ან ერისთავთ-ერისთავის ანალოგიით ხომ არ წარმოსდგაო აჩბასაგან აჩ-აჩ-ბა (აფხაზურად ჩაჩბას ძველი ფორმაა აჩაჩბა).[3] მეცნიერის დასკვნით, საიდანაც არ უნდა ყოფილიყვნენ მოსული შარვაშიძეები, ამ თანამდებობაზე დამკვიდრებისთანავე ისინი ისევე ხდებოდნენ აფხაზ ფეოდალებად, როგორც ვარდანისძეები გახდნენ სვან და ბედიელები მეგრელ ფეოდალებად.[4]

ოთარ ჭურღულიას თავის ნაშრომში მოაქვს ასევე მზია ანდრონიკაშვილის თვალსაზრისი, რომ გვარის – „შარვაშიძე" საფუძველი საკუთარი სახელი „შარვაშ", რომელიც ირანული წარმოშობისაა და თავისთავად მომდინარეობს „სავარსამ" საკუთარი სახელიდანო. შარვაშისაგან მივიღეთო გვარი შარვაშიძე.[5]

საგულისხმოდ შენიშნავს ოთარ ჭურღულია: „როცა ჩაჩ-შარვა-

---

[1] **ზ. ანჩაბაძე,** შუა საუკუნეების ისტორიიდან (VI-XVII), სოხუმი, 1959, გვ. 191.
[2] იქვე, გვ. 193-194.
[3] იქვე.
[4] იქვე.
[5] **მ. ანდრონიკაშვილი,** ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966,გ ვ. 35-36.

შიძეთა ეტიმოლოგიას ან ეთნოგენეზისს ვარკვევთ, ერთი რამ იმთავითვე უნდა იქნეს გათვალისწინებული, რომ ჩვენ აქ საქმე გვაქვს ორი დიდი ფეოდალური საგვარეულოს მთლიანობასთან. ერთია ჩაჩბების, ხოლო მეორე — შარვაშიძეების. ერთი უთუოდ უკავშირდება აფსაზურს, ხოლო მეორე, როგორც მიუთითებდა ნ. ბერძენიშვილი, თავისი წარმოებით ქართულ სამყაროს".[1] მკვლევარს არ ეეჭვება, რომ გვარსახელი ჩაჩბა დაკავშირებულია ჩაჩ-ის ტომთან. აქვე მოაქვს ანალოგიური მაგალითები იმისა, თუ გვარსახელს ტომის სახელწოდება რამდენად უდევს საფუძვლად: აფსაზურ-ადიღეური ტომი საძისგან მიღებულია გვარი საძბა, ჩერქეზულ ტომ კიახ-ისგან – კიახბა, ზიხ აფსაზურად ნიშნავს ჩერქეზს, რომლისგან წარმოსდგა – ზიხუ-ბაზუხბა. აქირთ აფსაზურად გულისხმობს ქართველს. მისგან გაჩნდა გვარი ქირთ-ბა, აქორთ-აა, ჭანისგან – ჭანბა, აშვან-ისგან (აფხაზ. სვანი) — აშვან-ბა[2] და ა.შ.

ვინც გვარ „შარვაშიძის" წარმოშობის სათანადო წყაროებს და სამეცნიერო მასალას იცნობს, ადვილად შეამჩნევს, რომ იგი წლების მანძილზე პოლემიკისა და კამათის საგანი იყო. კვლავ თითო წინადადებით მოვიგონოთ დაპირისპირებული შეხედულებანი. 1. შარვაშიძეები მომდინარეობენ შარვანშაჰის გვარსახელიდან. 2. შარვაშიძე თავისი წარმოებით ქართულია, კერძოდ, შარვაში ზანური (მეგრულ-ლაზური) გვარსახელია, 3. შარვაშიძე ეტიმოლოგიურად სპარსული წარმოშობისაა.

ოთარ ჭურღულია შარვაშიძეების შირვანშაჰების შთამომავლებად მიჩნევას ნაკლებ ნდობას უცხადებს დამარწმუნებელი არგუმენტების უქონლობის გამო. მხოლოდ ხალხურ გადმოცემაზე დამყარება საფუძველს მოკლებულად მიაჩნია. მეცნიერს არც შარვაშიძეთა გვარის მსგავსება შირვანშაჰების ონომასტიკონთან მიაჩნია მყარ საბუთად: „გვარსახელი შარვაშიძე რომ შარვანშაჰიდან ან შარვანშადან მომდინარეობდეს, მაშინ სრულიად კანონზომიერი იქნებოდა გექონოდა შარვანშას ძე და არა შარვაშისძე".[3] მკვლევარი პარალელს აყვებს

[1] ო. ჭურღულია, „სიტყვა ფიქრის სხეულია", გვ. 168.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 170.

სხვა გვარების წარმოებასთან: აბაზა – აბაზას-ძე, აბაზას-ძენი, ქაჩიბა – ქაჩიბას-ძე, სამხარა – სამხარას-ძე და ა.შ.

შარვაშიძეთა წარმომავლობის გასარკვევად ოთარ ჭურღულიას ყველაზე რეალურ თვალსაზრისად ესახება ის ფაქტორი, რომ შარვაშიძეც, ისევე როგორც ბაღვაში და მარუშიძე, ლაზური წარჩინებული საგვარეულოს წარმომადგენელი იყო თავდაპირველად (ისინი იყვნენ ლაზური წარმოშობის იმერეთისა და ქართლის უძლიერესი ფეოდალები). იგი ემხრობა იმ მოსაზრებას, რომ შარვაშიძეობა ჩაჩ-ის (ჩაჩბას) ქართველობაზე კი არ მიუთითებს, არამედ დამოუკიდებელი ზანური წარმოშობის გვარია და უნდა მიგვანიშნებდეს ძლიერი ზანური საგვარეულოს (შარვაში) შემოჭრაზე ჩაჩის ტომში და იქ გაბატონებაზე, რასაც მოჰყვა მისი ასიმილაცია, გაჩაჩება – შემდეგ გააფხაზება.[1]

მკვლევარს გვარი შარვაშიძე ორმაგი წარმოების შედეგად მიღებულად მიაჩნია. მხედველობაშია ზანური (მეგრულ-ჭანური) წარმოშობის „ში“ სუფიქსიანი გვარსახელებისთვის ქართული მაწარმოებლის „ძე“ დართვა. მაგალითისათვის მოტანილია ცნობილი გვარები: გურე-ში-ძე, გეგე-ში-ძე, დურმი-ში-ძე, ჯანა-ში-ა, მორგო-ში-ა და ა.შ. შარვაშიძის მეგრული ფორმა უნდა იყოს შარაშია.[2] „ში“ სუფიქსი კუთვნილებაზე მიუთითებს. გურეში ნიშნავს გურეს შვილს, შთამომავალს. დათე საკუთარი სახელია, ხოლო მისი შთამომავალი იქნება დათეში და ა.შ.

ოთარ ჭურღულიას განსჯის საგნად გაუხდია და საკამათოდ მიაჩნია „ჩაჩ-შარვაშიძეთა“ საკითხის ყველა მკვლევარის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი შარვაშიძის აფხაზეთის მმართველობის ტიტულად ქცევის შესახებ. ავტორი ამის ნათელსაყოფად ემყარება ვახუშტი ბაგრატიონის ცნობას. „აღწერა სამეფოსა საქართველოსას“ ერთ-ერთ ქვეთავში – „მთავართა გვართათვის“ დასახელებულია საქართველოს მთავართა უძველესი გვარები: ქობულისძე, დონაური, ბაღვაში, მარუშიძე, მხარგრძელი, კახაბერისძე, ორბელიანი, ქაჩიბაძე, ჯაყელი, ჯავახიშვილი... აქვე დიდი ისტორიკოსი იხსენიებს შარვაშიძეს და იქვე დასძენს: „რომელნი ერისთობით იწერვიან და გუარნი არა წარი-

[1] ო. ჭურღულია, „სიტყვა ფიქრის სხეულია“, გვ. 172-173.

[2] იქვე.

წერებიან ცხადად საცნობლად.[1] ო. ჭურღულია წერს: „აქ მინიშნებაა იმ საგვარეულოებზე, რომლებიც შემდგომ სატიტულოდ იქცნენ. ამას მოსდევს მათი ჩამოთვლა: „ქართლის ერისთავი გრიგოლ, სურამელი რატი და გრიგოლ კახეთის ხორნაბუჯის ერისთავი, რაჭის ერისთავი „ხოლო იმერეთს ბედიელი, დადიანი და სხუანი, და არა გუარნი მათნი წარწერილნი, არამედ დადიანობა არა არის გუარი, გარნა წესი ხელობისა, არა იყო ესე ოდიშს, არამედ კარისმხარესა ზედა დადიანობდა, ხოლო შემდგომად მეფისა თამარისა იქმნა ოდიშს დადიანად და იყვნენ ერისთავად, ვითარცა ცოტნე დადიანი, და არა გუარი მისი საჩინო არს. გარნა შემდგომნი დადიანნი ამ ცოტნესაგან ჩამომავლობენ".[2]

ოთარ ჭურღულიას დაკვირვებით, შარვაშიძე არ შედის გვარსახელთა სატიტულო სიაში. იგი, ვახუშტის მიხედვით, იმ სიაშია, სადაც მოიხსენიებიან ორბელიანები, ქაჩიბაძეები, ვარდანისძეები, მარუშიძეები... ხოლო ეს საგვარეულოები არასოდეს ყოფილან სატიტულონი.[3] შარვაშიძე არ ყოფილა „წესი ხელობისა". ეს გვარსახელი ჩვეულებრივი ფეოდალური ოჯახის გამომხატველია ისევე, როგორც გვარი ორბელიანებისა ან ბაღუაშებისა.

აქვე გვინდა მკითხველს შევახსენოთ, რომ XVI საუკუნემდე შარვაშიძეები საბედიანოში შემავალი აფხაზი ერისთავები ყვნენ. აღნიშნული საუკუნიდან კი დამოკიდებული იყვნენ სამეგრელოს მთავარზე. XVII საუკუნის დამდეგიდან შარვაშიძეები აფხაზეთის დამოუკიდებელ მთავრებად გვევლინებიან რუსეთის აგრესიული რეჟიმის მიერ მის გაუქმებამდე, რასაც ადგილი ჰქონდა 1864 წელს. თუ შარვაშიძეები აფხაზურად ჩაჩბად მოიხსენიებიან, მეგრულად კი — შარაშიად. ლამბერტი, კასტელი შარვაშიძეს „შარაშიად" ასახელებენ. კ. კვაშილავას შენიშვნით, ეტყობა, საკუთრივ შარვაშიძეები მისიონერებს შარაშიებად ეცნობოდნენ.[4]

ბოლოს კი ერთი მნიშვნელოვან ფაქტზე გავამახვილებთ ყურადღებას. 1870 წლის 23 მარტს შედგენილ ერთ-ერთ დოკუმენტში,

---

[1] ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 26.

[2] იქვე.

[3] ო. ჭურღულია, „სიტყვა ფიქრის სხეულია", გვ. 175.

[4] კ. კვაშილავა, ისტორიული სამურზაყანოს წარსულიდან, თბ., 2011, გვ. 35.

რომელიც წოდებრივ-საადგილმამულო საქმეების თბილისის კომიტეტის თავმჯდომარის გენერალ-ადიუტანტი თავად სვიატოპოლკ-მირსკის სახელზე იქნა გაგზავნილი, ერთგან ვკითხულობთ: „მთელ აფხაზ ხალხს სათავეში ედგა აფხაზეთის ქრისტიანობის ბრძანებელი უძველესი ქართული მოდგმის გვარი – შარვაშიძე“. საგულისხმოა, რომ ამ საბუთს ხელს აწერენ აფხაზეთის თავადაზნაურები. ბ. ემხვარი, ტიტუ მარღანია, გ. მარშანია, კ. ინალ-იფა.[1]

ასეთი ჩინებული ისტორიული გენეალოგიის მატარებელთა შთამომავალი იყო გიორგი შარვაშიძე. მისთვის სახელად შეურქმევიათ საუკუნეების მანძილზე საქართველოში ფართოდ გავრცელებული და ყველაზე უფრო პოპულარული სახელი – „გიორგი“. დიდებული წიგნი დაწერა ზურაბ ჭუმბურიძემ – „რა გქვია შენ?“ მასში ვრცლად არის მსჯელობა ამ სახელზე.[2] მითითებულია, რომ „გიორგი“ ბერძნული წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს „მიწის მუშას“, „მხვნელ-მთესველს“, „მიწათმოქმედს“. შედგება ორი სიტყვისაგან: გე-„მიწა“, ერგონ-„მუშაობა“. გარდა ქართულისა, ეს სიტყვა შესულია ფრანგულში („ჟორჟ“), ინგლისურში („ჯორჯ“), რუსულში („ეგორ“, „იური“), სომხურში („გეორქ“, „გეურქ“), ჩეხურში („ირჟი“), პოლონურში („ეჟი“), მკვლევრის შენიშვნით, საქართველოში ამ სახელის გავრცელებას ხელს უწყობდა გიორგის ყველაზე დიდ წმინდანად მიჩნევა. მისი დღეობა (გიორგობა) დღემდე დიდი მოწიწებით იმართება წელიწადში ორჯერ. წმინდა გიორგის სახელზე საქართველოში 365-მდე ეკლესიას ითვლიან. გიორგი ერქვა ჩვენს ისტორიულ წარსულში 12 მეფეს (გიორგი I – გიორგი XII). შუა საუკუნეებიდან მოკიდებული დღემდე გიორგის არქმევდნენ სახელოვან წინაპრებს, მწერლებს, საზოგადო მოღვაწეებს, მეცნიერებს, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. ასეთი პოპულარული სახელი შეურქმევიათ მიხეილ შარვაშიძის ვაჟისთვისაც. სახელი „გიორგი“ ქართულის გავლენით არანაკლებ პოპულარული ყოფილა აფხაზებშიც. გიორგი ერქვა გიორგი შარვაშიძის

[1] სცსია, ფ. 416, აღ. 3, ს. 1020, ფ. 1-18; შდრ ჯ. გამახარია, ბ. გოგია, Абхазия-историческая область Грузии, Тб., გვ. 336-339. თ. მიბჩუანი, აფხაზეთი, II (XVI-XX), თბ., 2006, გვ. 136, 420.

[2] ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? თბ., 1982, გვ. 20-21, 76.

ბაბუას მამის მხრიდან – აფხაზთა მთავრის ქელილაშ-აჰმედ-ბეგის ვაჟს (საფარ-ბეი), ასევე ბაბუას დედის მხრიდან – გიორგი დადიანი. შარვაშიძეთა გვარში ცნობილია გიორგი ალექსანდრეს ძე შარვაშიძეც (1808-1898), აფხაზი საზოგადო მოღვაწე, ასევე შარვაშიძე გიორგი დიმიტრის ძე (1847-1918) – სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე. მის ვაჟსაც გიორგი ერქვა, რომელიც შეეძინა სამეგრელოს უკანასკნელი მთავრის დავით დადიანის დასთან. იგი შემდეგში გახდა თბილისის გუბერნიის გუბერნატორი.

ზურაბ პაპასქირს მოუსმინოთ: „საერთო-ქართულ კულტურულ სამყაროსთან მჭიდრო კავშირის გამოხატულება იყო ისიც, რომ აფხაზური თავადაზნაურული ელიტის წარმომადგენელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ატარებდა ქართულ სახელებს. სხვათა შორის, ქართული სახელები გვხვდება არა მარტო აფხაზებში, არამედ საძ-უბიხთა შორისაც. ასე მაგალითად, XIX საუკუნის I ნახევრის აღნიშნულ ტომთა ლიდერები იყვნენ ლევან ცანუბაია (ცანბა), უბიხების თავადი ზურაბ ხამიში“.[1] გამომდინარე ზემოთ თქმულებიდან, ყვაპუ შარვაშიძის ერთ-ერთ ვაჟს ავთანდილი ერქვა. აქედან ჩანს, რომ შარვაშიძეების სახლის უმთავრეს ლიტერატურულ საგანძურს შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ წარმოადგენდა.[2]

„მამა ნახე, დედა ნახე, შვილი ისე გამონახეო“, – თითქოს გიორგი შარვაშიძეზე და მის მშობლებზე უთქვამს ხალხს. გიორგის დედა იყო ოდიშის სამთავროში განთქმულ კაცის, „დიდ ნიკოდ“ წოდებულის შვილიშვილი, გიორგი დადიანის ასული – ალექსანდრა (ცუცა, ცუცუ). იგი გამორჩეული ყოფილა საზოგადოებაში ფიზიკური და სულიერი მშვენიერებით, განათლებით, კეთილშობილებით. დიმიტრი ყიფიანის სიტყვით, ალექსანდრა „მშვენიერი, ჭკვიანი, ღვთისმოსავი და მოყვარული ადამიანია“. სიმონ ჯანაშია აფიქსირებს გენერალ ბებუთოვის ნათქვამს გიორგის დედაზე, სადაც იგი აქებს ალექსანდრას ჭკუას, ზნეობრივ თვისებებს და სილამაზეს, აფხაზების განუსაზ-

---

[1] **ზ. პაპასქირი**, ღვაწლი დიდი მამულიშვილისა, სოხუმის უნივერსიტეტის შრომები, I, თბ., 2007, გვ. 226-227.

[2] **კ. კვაშილავა**, ისტორიული სამურზაყანოს წარსულიდან, თბ., 2011, გვ. 100.

ღვრელ სიყვარულს მის მიმართ, რომელიც განსაკუთრებით მოიპოვა მას შემდეგ, რაც ბზიფის ოლქს გნაგებდა მთავრის იქ არყოფნის დროს (Рапорт кн. Бебутова кн. Долгорукову, от 11 июля 1835 г., АКАК, XI, გვ. 48).[1] ისევ დიმიტრი ყიფიანს მოვუსმინოთ: „ალექსანდრა, როგორც ჩანს, ძალიან ახალგაზრდაა და მიუხედავად იმისა, რომ ხუთი შვილის დედაა, ძალიან კარგად არის შენახული და შეიძლება ითქვას, რომ მშვენიერია. ქართულს ლაპარაკობს თავის მამასავით ჩინებულად (საქმე, №42, ფ. 127).[2] სიმონ ჯანაშია ასევე იმოწმებს დიმიტრი ყიფიანისთვის ალექსანდრას ნათქვამს: „ჩემთვის მეტად სასიამოვნოა, რომ თქვენ გხედავთ, რადგან თქვენ ქართველი ხართ და მაშასადამე ჩვენი ქვეყნის შვილი“.

ალექსანდრას პიროვნებაზე საინტერესო მასალა გამოამზეურა შ. ჩხეტიამ, სადაც გენერალი მ. კოცებუ კავკასიის მეფისნაცვლის ნ. მურავიოვისადმი გაგზავნილ წერილში გიორგი შარვაშიძის დედაზე წერს: „Кн. Александра, Женшина около 30 лет, отличается преданностью правительству, умом, благородными правилами и красотой. Она пользовалась неограниченной привязанностью абхазцев и живя прежде большей частю в Соуксу (იგულისხმება ლიხნი) управляла всегда во время отсутствия мужа всего Бзыбским округам с таким искуством, что управление её жители предпочитали управлению владетеля“.[3] სხვათა შორის, ალექსანდრა დადიანის სახე შესაფერისად არის წარმოჩენილი ფუცუ დგებუაძე-ფულარიას ისტორიულ რომანში „ოქროს ბეჭედი“.[4]

მიხეილ შარვაშიძის დაქორწინებას ალექსანდრა დადიანზე თურმე პოლიტიკური პრაგმატიზმი სდებია სარჩულად. როგორც კ. კვაშილავა მიუთითებს, აფხაზეთის მთავარი მიხეილ შარვაშიძე მიზანმიმართულად ცდილობდა სამურზაყანოს კვლავ ხელში ჩაგდებას. დადიანის „ციხის“ შიგნიდან გატეხის მიზნით გადაწყვეტს ალექსანდრას

[1] შდრ. **ს. ჯანაშია**, გიორგი შარვაშიძე (კულტურულ-ისტორიული ნარკვევი), გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 48.

[2] შდრ. იქვე.

[3] **შ. ჩხეტია**, აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის, 1853-1855 წწ. — საისტორიო მოამბე, №15-16, თბ., 1963, გვ. 154.

[4] **ფ. დგებუაძე-ფულარია**, ოქროს ბეჭედი, თბ., 1989

ცოლად შერთეას. ქორწილი შედგა 1836 წლის იანვარში.[1] მიხეილის და ალექსანდრას ანუ ცუცას (როგორც შინაურები ეძახდნენ) ქორწინება საეკლესიო წესებით შესრულებულა და ალექსანდრა დადიან-შარვაშიძეს წმინდა ეკატერინეს ორდენი გადასცეს". [2]

არც იმის დავიწყება ეგების, რომ მიხეილ შარვაშიძისთვის ეს არ იყო პირველი ქორწინება. ეს გახლდათ მისი რიგით მესამე ქორწინება. პირველად მას ცოლად შეურთავის დედამისის მიერ აღზრდილი „ჩერქეზი ქალი, რომელსაც უშვილობის გამო გაშორდა".[3] ეს ქორწინება არ იყო მიხეილ შარვაშიძის ინტერესებიდან გამომდინარე. მას პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა. მიხეილის მამას გიორგის (საფარ-ბეი) სურდა ჯიქებთან ჰქონოდა კარგი ურთიერთობა, ამიტომ დანიშნა ჯერ კიდევ მცირეწლოვანი ვაჟი ჯიქი ფეოდალის, ბესლანგურ არით-ბეგის ქალიშვილზე. სრულწლოვანი 18 წლის მიხეილი უკვე ოფიციალურად დაქორწინდა ბესლანგურის ასულზე 1829 წელს. ეს ოჯახი მხოლოდ ორი წლით შედგა და 1831 წელს განქორწინებით დასრულდა, რაც მიხეილის დედის ნება-სურვილისაც წარმოადგენდა. მიზეზად სახელდებოდა ურთიერთგაუცხოება და შვილის არყოლა.

იმავე 1831 წელს მიხეილ შარვაშიძე მეორედ ქორწინდება. ნონა თავალანძე წერს: 1831 წელს ქუთაისიდან მობრუნებულ მიხეილს ნიკოლოზ დადიანის ოჯახში, წვეულების დროს ჯვარი დასწერეს მენიკ (მარიამ) ნიკოლოზის ასულ დადიანზე, რომელიც 2 წლის შემდეგ მიატოვა.[4]

---

[1] С. Эсадзе, Историч. записка об управл. Кавказом, Т. I, გვ 133; **ზ. პაპასქირი**, ნარკვ. თანამედრ. აფხაზ. ისტორ. გვ. 149; **თ. ქადარია**, სამეგრელოს სამთავრო XIX ს. ნახ., გვ. №5-116; **ო. სოსელია**, ნარკვ. ფოდალ. ხანის დას. საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, ნაწ. IIი, გვ. 105; **კ. კვაშილავა**, ისტორიულ სამურზაყანოს წარსულიდან, გვ. 278.

[2] **С. Эсадзе**, Историч. записка об управл. Кавказом, Т. I, გვ. 133.

[3] იქვე.

[4] **ნ. თაკალანძე**, მიხეილ შარვაშიძე: ცხოვრება და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა (სადისერტაციო ნაშრომი, ინახება თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში), 2000, გვ. 27; შდრ. **ზ. პაპასქირი**, ნარკვევები თანამდროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვ. I, გვ. 149; **თ. ქადარია**, სამეგრელოს სამთავრო XIX ს. ნახევარში. გვ. 115-116.

თვითონ მიხეილი ორივე ამ ქორწინებას ძალდატანებით თავს მოხვეულად თვლიდა.[1] მეორედ ქორწინება მას თურმე თავისი ბიძაშვილის ლევან V-ის ასულ ნინოზე მოუნდომებია.[2] როგორც ზურაბ პაპასქირი შენიშნავს, აფხაზეთის მთავრის ეს სურვილი ანტიმართლმადიდებლური ჩანაფიქრი იყო, შეიცავდა სისხლის აღრევის ნიშნებს, რის გამოც ბარონ როზენის რისხვაც დაუმსახურებია.[3] თუმცა მიხეილი აცხადებდა, რომ ეს ქორწინება მეგრელებსა და აფხაზებს შორის მშვიდობის გარანტი იქნებოდა და მთავარმართებელს თხოვდა, მისთვის ხელი შეეწყო.[4]

ბარონ როზენს მიუღებლად მიუჩნევია მიხეილ შარვაშიძის „არგუმენტები“ და ეს ქორწინებაც ჩაშლილა. სავარაუდოდ, სამეგრელოს მთავარი არ ყოფილა წინააღმდეგი ამ ქორწინებისა. თ. ქადარიას აზრით, როზენი დაუფრთხია ამით სამეგრელო-აფხაზეთის შესაძლო კავშირს და საგონებელში ჩავარდნილა.[5] კ. კვაშილავას მართებულად მიაჩნია მ. დუმბაძის დასკვნა, რომ ლევანის ამ უარის მიზეზი ორ მთავარს შორის არსებული ახლო სისხლისმიერი ნათესაობა იყო.[6] აფხაზეთის მთავრის მესამე ქორწინებაც საქართველოს მთავარმმართებელს უკანონოდ მიუჩნევია (Акты, Т. VIII, დოკ. №338, გვ. 453). თუმცა ხელისუფლებამ მაინც სცნო ეს ქორწინება, რომელიც, როგორც ზემოთაც დაფიქსირდა, საეკლესიო წესებით შესრულდა და ალექსანდრა დადიან-შარვაშიძისას წმინდა ეკატერინეს ორდენი გადასცეს.[7] მიხეილ შარვაშიძეს ალექსანდრა დადიანთან თანაცხოვრების პერიოდში შეეძინა ხუთი შვილი: გიორგი, მიხეილი, თამარი, ნინო და ბარბარე.

როდესაც ვსაუბრობთ აფხაზეთის მთავრის მიხეილ შარვაშიძის

---

[1] თ. ქადარიას დასახ. ნაშრომი, გვ. 116.

[2] შდრ. ზ. პაპასქირის დასახ. ნაშრომი, გვ. 148.

[3] იქვე.

[4] თ. ქადარიას დასახ. ნაშრომი, გვ. 115.

[5] იქვე, გვ. 114-115.

[6] მ. დუმბაძე, სამეგრელოს სამთავრო 1803-1857 წწ. გვ. 84; კ. კვაშილავა, ისტორიული სამურზაყანოს წარსულიდან, გვ. 280.

[7] С. Эсадзе, Историч. записка об управл. Кавказом, გვ. 133. კ. კვაშილავა, ისტორ. სამურზაყანოს წარსულიდან, გვ. 280.

ქორწინების აქტზე ჯერ მარიამ, შემდეგ კი ალექსანდრა დადიანზე, ისიც არ დავივიწყოთ, რომ თავის დროზე ოდიშის მთავარიც, განთქმული ლევან II დადიანი დაქორწინდა სეტემან შარვაშიძის (აფხაზეთის მთავარი XVII საუკუნის I ნახევარში) ქალიშვილზე (კასტელი მას „დარეჯანად" მოიხსენიებს). ილია ანთელავას შენიშვნით, ამ შეუღლების საფუძველი ახალგაზრდა მთავრის განზრახვა იყო აფხაზეთზე კონტროლის დასაწესებლად.[1] ლევან II დადიანი თავის სიმამრთან სეტემან შარვაშიძესთან და მამია გურიელთან ერთად იმერეთის მეფე გიორგი III ებრძოდა, რაც მას დამარცხებად დაუჯდა. სიძე-სიმამრი შემდეგში ერთმანეთის მტრებად იქცნენ.

მიხეილ შარვაშიძე (ჰამუთ-ბეი) ისტორიას შემორჩა, როგორც აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი. იგი იყო აფხაზეთის მთავრის ქელაიშ-აჰმედ-ბეგის შვილიშვილი. ეს ის ქელეშ-ბეი არის, რომელიც XIX საუკუნის დამდეგისათვის შეპყრობილია სურვილით თავისი სამთავროს რუსეთის მფარველობის ქვეშ მოსაქცევად, რაც პირდაპირ ესადაგებოდა რუსეთის ხელისუფლების ინტერესებსაც. ნონა თაკალანძის ენით რომ ვთქვათ, ოტომანთა პორტას კრიზისი და რუსეთის სახელმწიფოს პოზიციების განმტკიცება კავკასიაში, ქელეშ-ბეის რუსეთთან დაკავშირებისკენ უბიძგებდა, რაც რუსეთის იმპერიის სასიცოცხლო ინტერესებში შედიოდა. ამით იგი მტკიცედ იკიდებდა ფეხს შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე და ქმნიდა მყარ პლაცდარმს დასავლეთ კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ საბრძოლველად.[2] სიმონ ჯანაშიას მიხედვით, „ამ ტენდენციებმა ბოლოს იურიდიული გამოხატულება ჰპოვეს საინვესტიტურო სიგელში, რომელიც ალექსანდრე პირველმა დაამტკიცა 1810 წლის 17 თებერვალს აფხაზეთის მთავრის, ქელაიშ-ბეგის შვილის, საფარ-ალი-ბეგის (ქრისტიანობაში — გიორგი) სახელზე. ამიერიდან აფხაზეთი აღიარებდა რუსეთის უზენაეს ხელმწიფებას, ხოლო ქვეყნის შინაური მმართველობა რჩებოდა მთავრის ხელში".[3] როგორც ქვემოთ დავინახავთ, მიხეილ შარვა-

[1] ილ. ანთელავა, ლევან II დადიანი, თბ., 1890, გვ. 55.

[2] ნ. თაკალანძე, მიხეილ შარვაშიძე; ცხოვრება და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა, გვ. 57.

[3] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 3.

შიძემაც მამის და ბაბუის გზებით იარა თავისი მთავრობის მანძილზე რუსეთის ხელისუფლების მფარველობა-მორჩილებისათვის, თუმცა ზოგჯერ ორმაგ თამაშსაც ეწეოდა.

მიხეილ (ჰამუთ-ბეი) შარვაშიძე დაბადებულა 1811 წელს. ეს დასტურდება რუსი ოფიცრის ტორნაუს ნათქვამიდან, რომელსაც პირადი ნაცნობობა აკავშირებდა მასთან: „მიხეილ შარვაშიძე მაშინ (იგულისხმება 1835 წელი – ტ.მ.) იყო დაახლოებით ოცდაოთხი წლის ლამაზი ჭაბუკი...[1] იგი 11 წლის ასაკში გახდა მთავარი, თუმცა, ცხადია, მცირეწლოვანების გამო მას არ შეეძლო აფხაზეთის მმართველის ტვირთი ეზიდა. ამიტომაც დროებით საქართველოს ამ მხარის მმართველი თამარ დადიანი-შარვაშიძისა გახდა. მოვუსმინოთ კახა კვაშილავას: „გიორგი შარვაშიძის (საფარ-ბეის) მეუღლე თამარ დადიანი-შარვაშიძისა რუსებმა დანიშნეს აფხაზეთის დროებით მმართველად საფარ-ბეის გარდაცვალებისთანავე (1821 წლის 19 თებერვალი). 11 წლის მიხეილს არ შეეძლო 1822 წლიდან ქვეყნის მართვა და ამიტომ ამ საქმეს თამარი აგრძელებს. თუმცა 1821-1822 წლებში რუსების მიერ აფხაზთა აჯანყების ჩახშობის შემდეგ რუსებმა მთავრად დასვეს საფარ-ბეის ვაჟი დიმიტრი (ომარ-ბეი), რომელიც რუსეთში იზრდებოდა და საკმაოდ გარუსებულიც იყო, მშობლიური ენა არ ახსოვდა, თანაც დამსჯელ რაზმთან ერთად ჩამოვიდა სამშობლოში. აფხაზებმა იგი არ მიიღეს და 1822 წლის 28 ოქტომბერს მოწამლეს კიდეც. ამის შემდეგ გახდა აფხაზეთის მთავარი მცირეწლოვანი მიხეილი, საფარ-ბეის მეორე ვაჟი, თუმცა დროებით თამარი დარჩა მმართველად“.[2]

მიხეილ შარვაშიძის ბავშვობაზე და აღზრდაზე ამახვილებს ყურადღებას სიმონ ჯანაშია თავის დიდად მნიშვნელოვან გამოკვლევაში: „მიხეილ შარვაშიძემ საინტერესო აღზრდა მიიღო. ჩვეულების თანახმად, ის ბავშვობაში გასაზრდელად გაუბარებიათ. მისი მამამძუძე (აფხაზურად „აბაძძე “) განთქმული ჰაჯი დაგუმოყვა ბარზეგი, უბიხების უპირველესი საგვარეულოს, ბარზეგების, თავკაცი და თეით

---

[1] Торнау, Воспоминания Кавказского офицера, Русский Вестник, 1864, №9; შდრ. **ს. ჯანაშიას** დასახ. ნაშრომი, გვ. 32.

[2] **კ. კვაშილავა**, ისტორიული სამურზაყანოს წარსულიდან, გვ. 362-363.

უბიხების მეთაური“.[1] დიდი მეცნიერი ეყრდნობა სელეზნევის და ფილიპსონის ცნობას. მიხეილ შარვაშიძის გამზრდელს ჩერქეზებშიც დიდი ავტორიტეტი ჰქონია. ინგლისელი ბელლი იცნობდა რა პირადად დაგუმოყვა ბარზეგს. თურმე მას ჩერქეზების ვაშინგტონს ეძახდა. ბელლის მიხედვით, მისი თავი რუსის სარდლობას ათას ვერცხლად ჰქონია შეფასებული.[2] ცარიზმის ოფიციალური ისტორიკოსებიც ვერ მალავენ, რომ „ეს ბარზეგი იყო მამაცი, თაოსანი, დიდი ჭკუის პატრონი კაცი და იმპერიალისტების დაუძინებელი მტერი.[3]

სიმონ ჯანაშიას მიხედვით, მიხეილ შარვაშიძეს სწორად ჰაჯი დაგუმოყვას სკოლაში უნდა შეეთვისებინა იმდროინდელი უბიხისა და ჩერქეზისათვის დამახასიათებელი თვისებები: პოლიტიკური იდეოლოგია, ადიღეური რჯული, აფხაზურ-ჩერქეზული (ადიღეური) ტომებისათვის საერთო მოქცევის წესების ურთულესი სისტემა; ცხენისა და იარაღის ხმარება, უბიხური და ჩერქეზული ენები.

მიხეილ შარვაშიძის ბიოგრაფიისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მისივე ქართველ და არაქართველ თანამედროვეთა ცნობებს. ამ მხრივ მეტად ღირებულია სამეგრელოს მთავრის კანცელარიის მოხელის, მთავრის შვილების აღმზრდელის, ხოლო სამეგრელოს ავტონომიის გაუქმების შემდეგ კი სენაკის მაზრის პირველი უფროსის კ. ბოროზდინისეული შეფასება მიხეილ შარვაშიძის პიროვნებისა, რომელსაც პირადად იცნობდა. ეს ის ბოროზდინია, რომელიც პირველთაგანი ძველი რეჟიმის რუსიფიკატორ მოხელეთაგან მოითხოვდა სამეგრელოს სკოლებსა და ეკლესიაში ქართული ენის ნაცვლად რუსულის შემოღებას: „მეგრელს სჭირია მხოლოდ თავისი დიალექტი და რუსული ენაო“.[4] ახლა გავეცნოთ ბოროზდინის წარმოდგენებს მიხეილ შარვაშიძის პიროვნებაზე: „მიხეილს მე პირადად ვიცნობდი და მისი კეთილგანწყობილება მქონდა მოხვეჭილი. ის იყო შესამჩნევი

---

[1] **გ. შარვაშიძე**, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 30.

[2] იქვე.

[3] ამასთან დაკავშირებით **ფილიპსონის** ცნობა დამოწმებულია ს. ჯანაშიას ნარკვევში, გვ. 31.

[4] შდრ. **შ. დადიანი**, სილუეტი ნიკო დადიანისა. ჟურნ. „ქართული მწერლობა“, ტფ, 1927, №6-7, გვ. 251-252.

პიროვნება (он был личностью крупною). თავისი ახალგაზრდობა, დავით დადიანის მსგავსად, მან თბილისში გაატარა და იმ დროის მიხედვით საკმაოდ კარგი განათლება მიიღო, რუსულს ლაპარაკობდა ყოველგვარი აქცენტის გარეშე... მას ჰქონდა დიდი გავლენა დასავლეთ კავკასიონის მთებში, ჩვენთვის ურჩ ჯიქებსა, შაფსუღებსა, უბიხებსა და აბაძახებს შორის... ბოლო ხანებში, გენერალ-ადიუტანტად და ალექსანდრეს კავალერად ქცეული, ის თავის სურვილის წინააღმდეგ იცვამდა მუნდირს და რეგალიებს ატარებდა მხოლოდ მაშინ, როცა სტოვებდა თავის რეზიდენციებს ხელისუფლებასთან შესახვედრად... მაღალი ტანის, წერწეტს, სახის სწორი ნაკვეთებით, არწივისებური პროფილით, შავი გამჭრიახი თვალებით. მას თავი ეჭირა არაჩვეულებრივი ღირსებით, თითოეული მისი ჟესტი ამჟღავნებდა, რომ ეს კაცი მბრძანებლობასაა მიჩვეული... ამასთან ინტიმურ საუბარში ცხადი ხდებოდა მისი დიდი ჭკუა... კოლიუბაკინის (რუსი მოხელე) სიტყვით, მისთვისთვის სრულებით არ იყო უცხო მაღალი იდეალები... დავით დადიანში ის ხედავდა მოცილეს არა მარტო მფლობელობის სფეროში (იგულისხმება სამურზაყანო), არამედ მტერს, თუნდ იმიტომაც, რომ დავითი უსათუოდ ერთგული იყო რუსის მთავრობისა... მტრულად ეპყრობოდა ის ეკატერინესაც (სამეგრელოს მთავრის ცოლს), რომლის შესახებ მხოლოდ უღრმესი ათვალწუნებითა და ირონიით ლაპარაკობდა, უკვე იმიტომაც, რომ საზოგადოდ ქალებს არაფრად აგდებდა".[1] მისთვის შარვაშიძეზე რომ არანაირი ცნობები არ შემოგვრჩენოდა, ბოროზდინის ეს თითქმის ამომწურავი დახასიათება იკმარებდა აფხაზეთის უკანასკნელ მთავარზე ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად. ეს ეხება მის გარეგნობას და სულიერ თვისებებსაც.

ჩვენ არ ვიცით ზუსტი თარიღი, თუ რომელ წლებში იყო მისთვის შარვაშიძე გაბარებული დაგუმოყვასთან აღსაზრდელად. სამაგიეროდ ვიცით, რომ 1824-1827 წლებში იგი იმყოფებოდა სამეგრელოსა და იმერეთში, შემდეგ კი გადასულა თბილისში და ჩვენთვის უცნობ

---

[1] **К.А. Бороздин,** Закавказские воспоминания, Мингрелия и Сванетия с 1854 по 1964 г. СПб., 1885, გვ. 220-223; შდრ. ს. ჯანაშიას დასახ. ნაშრომი, გვ. 32-33.

სასწავლებელში დაუფლებია რუსულ ენას. სიმონ ჯანაშია იმოწმებს სელეზნევის ფილიპსონის ცნობებს, რომ მიხეილ შარვაშიძეს მშვენივრად სცოდნია რუსული ენა.[1] სამეგრელოში გადმოსვლის მიზეზი იყო აფხაზეთში მისი არასტაბილური პოლიტიკური მდგომარეობა, როგორც მცირეწლოვანის მთავრად აღიარებისა.

მკვლევარნი რთულ პიროვნებად აღიქვამენ მიხეილ შარვაშიძეს. ზოგიერთნი მის მოღვაწეობაში მხოლოდ დადებით მხარეს ხედავენ, ზოგიერთი კი პოლიტიკურ სარბიელზე ორმაგ მოთამაშედ მიიჩნევს, მისი ნეგატიური პორტრეტის გამოკვეთა უკავშირდება ყირიმის ომის პერიოდს. ამ მხრივ უპირველესად აქტიურობდნენ დადიანთა სამთავრო სახლი (უწინარეს ყოვლისა ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა) და თვით შარვაშიძეთა საგვარეულოს ცალკეული წარმომადგენლები.[2] ზოგიერთი მიხეილ შარვაშიძეს ბრალს სდებდა რუსეთის სახელმწიფოს მიმართ ჩადენილ „ღალატში“. თავის დროზე თვითონ გიორგი შარვაშიძე შეეცადა მამისთვის ამ ბრალდების მოხსნას.[3]

მიხეილ შარვაშიძის მოღვაწეობას დადებითად აფასებენ: დიმიტრი ყიფიანი, სიმონ ჯანაშია, გიორგი ძიძარია, შალვა ჩხეტია. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს აფხაზეთის მთავრის რუსეთის ხელისუფლებასთან დამოკიდებულების გარკვევა. ერთი მხრივ, ჩანს მისი მკაცრი ოპოზიციონერობა რუსის მონარქიისადმი, მეორე მხრივ კი – დაქვემდებარება რუსეთის ხელისუფლებისადმი. სათანადო მასალების გაცნობის შემდეგ ეს ყველაფერი საფიქრალში აგდებს მიხეილ შარვაშიძის პიროვნებით დაინტერესებულთ. უთუოდ დაეჯერება ბოროზდინის ზემოთ დამოწმებულ სიტყვებს, რომ მიხეილ შარვაშიძე „გენერალ-ადიუტანტად და ალექსანდრეს კავალერად ქცეული, თავისი სურვილის წინააღმდეგ იცვამდა მუნდირს და რეგალიებს ატარებდა მხოლოდ მაშინ, როცა სტოვებდა თავის რეზიდენციას ხელისუფლებასთან შესახვედრად“. კიდევ მთავარი რამ ბოროზდინის ნაამბობიდან: მიხეილ შარვაშიძეს სამეგრელოს მთავარი დავით დადიანი მტრად

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 32-33.

[2] ზ. პაპასქირი, ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვ. I, თბ., 2004, გვ. 158-159; 172-173.

[3] Г.М. Шарвашидзе, Так пишется история, газ. Закавказье, 1910, №125-126.

მიაჩნდა რუსის მთავრობის ერთგულების გამო. ახლა კი ამოვწერთ საინტერესო ნაწყვეტს ილია ჭყონიას გიორგი შარვაშიძისადმი მიძღვნილი წერილიდან, როგორც გამოხმაურებას მისი გარდაცვალების გამო (გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმი, ფონდი 10124-26): „როგორც მამამისი, მთავარი მიხეილი, ისე გიორგიც იყო დაუძინებელი ოპოზიციონერი რუსის მონარქიისადმი. „რუსი ტილია, ფეხზე რომ დაისვა, თავზე აგახოხდებაო, – ეუბნებოდა მიხეილი სამეგრელოს მთავარს, რუსთ ხელმწიფის მონურად ერთგულს. როცა ყირიმის ომის დროს ოსმალეთმა ჯარი გადმოსხა აფხაზეთში, მიხეილს დაუწყეს კითხვა – ვის (იგულისხმება რუსეთი და ოსმალეთი – ტ.მ.) დაუჭერდა მხარს. აფხაზეთს! – ეუბნებოდა ის ყველას".[1]

ილია ჭყონიას (1860-1927), როგორც მწერლის, ჟურნალისტის, პუბლიცისტის, მთარგმნელის, საზოგადო მოღვაწის მიერ 1918 წელს დაწერილი ეს წერილი ზუსტ მინიშნებას გვაძლევს მიხეილ შარვაშიძის დამოკიდებულებაზე რუსეთის ხელისუფლებისადმი (და არა რუსი ხალხის მიმართ ზოგადად). მას დაეჯერება იმდენად, რამდენადაც თანამედროვე იყო გიორგი შარვაშიძისა და ისტორიული სიზუსტით ფლობდა ჩვენთვის საგულისხმო ფაქტებს თუ მასალებს. ეს წერილი არის სწორი გეზის მომცემი იმათთვის, ვინც დაინტერესდება მომავალშიც აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის პიროვნებით და პოლიტიკური ხედვით.

მშობლიური მხარის და ხალხის თავისუფლებისათვის, რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ თავგანწირული მებრძოლის დაგუმოყვა ბარზეგის მიერ აღზრდილ მიხეილ შარვაშიძეს შეუძლებელია რაიმე შინაგანი სიმპათიები ჰქონოდა რუსის მთავრობის მიმართ. თუმცა პოლიტიკას არ უყვარს სწორხაზოვნობა, მისთვის არ არსებობს სტანდარტული ნორმა, ხშირად ეგუება ლავირების მეთოდს, რასაც თავი ვერც მიხეილ შარვაშიძემ დააღწია. მან გარკვეული დამსახურებით მიაწონა თავი რუსებს, რასაც თვითონ რუსეთის მთავრობის წარმომადგენლებიც აღიარებდნენ. სწორედ ამის გამო ებოძა მთავრობის ორდენები და ჯილდოები: მაიორის ჩინი (1823), გენერალ-ლეიტენანტის

[1] **გ. შარვაშიძე**, თხზულებანი, II, ქუთაისი, 2006, გვ. 131.

წოდება (1845), გენერალ-ადიუტანტობა (1854); ორდენები: წმინდა ალექსანდრე ნეველის ალმასის თვლებით; თეთრი არწივის; პირველი ხარისხის წმინდა ანასი; მეორე ხარისხის წმინდა ვლადიმირისა; მეორე ხარისხის წმინდა სტანისლავსკისა.[1] თავისი მთავრობის პერიოდში მიხეილ შარვაშიძემ რუსეთის ხელისუფლებისგან მიიღო შემდეგი ფულადი საზღაური: 8500 თუ 12000 მანეთი ოჩამჩირის, კელასურის და გუდავის პორტების ჩამორთმევისა და მათი საკარანტინო – საბაჟო სამსახურის დაქვემდებარებასთან დაკავშირებით; 10 000 მანეთის არენდა 24 წლის მანძილზე – 1854 წელს ყირიმის ომის დროს ოსმალეთის სულთნის მიერ შემოთავაზებული წინადადების უარყოფის გამო, რომლითაც მიხეილ შარვაშიძე ინიშნებოდა ოსმალეთის ყველა კორპუსის მთავარსარდლად აზიასა და კავკასიაში; 1000 მანეთი ყოველთვიური ანაზღაურებით 1823 წელს რუსეთის იმპერატორის უმაღლეს ნების საფუძველზე, რომლის გაცემა ხდებოდა კავკასიის ადგილობრივი შემოსავლებიდან.[2]

საკითხთან დაკავშირებით უნდა მოვიხმოთ რუსი ოფიცრის ტორნაუს სიტყვები. მის ნათქვამს სისწორე ახლავს იმდენად, რამდენადაც პირადად იცნობდა აფხაზეთის მთავარს: „მიხეილ შარვაშიძეს ჰქონდა ყველა თვისება, რომელსაც დიდ ფასს აძლევენ ჩერქეზები. ე.ი. იყო ღონიერი, თოფს ისროდა საუცხოოდ, მარჯვე ცხენოსნობა იცოდა და საფრთხეს არ შეუშინდებოდა. ის არ ჩამოუვარდებოდა, თუ არ სჯობდა კიდევაც, ესოდენ ქებულთ დანარჩენ კავკასიელ მფლობელებს. ესმოდა თავისი ხალხის ყოველდღიური გასაჭირი. რუსების მიმართ თავი ეჭირა შესაფერისად, არც განსაკუთრებული ამპარტავნებითა და არც პირფერობით დაუზარებლად ასრულებდა ჩვენს მოთხოვნილებებს თუ ისინი არ ეწინააღმდეგებოდნენ აფხაზეთის საშუალებებს და სარგებლობას... იცავდა სტუმარ-მასპინძლობის წესებს“.[3] ამ უტყუარი და დამაჯერებელი შეფასებიდან უნდა ამოვიდეთ მიხეილ შარვაშიძის

---

[1] **Ш. Чхетия,** Документы по истории Грузии, ч.I , Тб. 1954, გვ. 647-648.

[2] იქვე.

[3] Торнау, Воспоминания Кавказского офицера, Русский Вестник, 1864, №9, გვ. 39-40; შდრ. **ს. ჯანაშიას** დასახ. ნაშრომი, გვ. 32.

პოლიტიკური პორტრეტის გამოსაკვეთად. ამ სიტყვებს ამბობს რუსი ოფიცერი, რუსეთის საიდუმლო დავალებათა შემსრულებელი დასავლეთ კავკასიის მთიელთა შორის, სადაც აქცენტირებულია ჩვენთვის მთავარი მომენტი, რომ მიხეილ შარვაშიძეს აწუხებდა თავისი ხალხის (აფხაზების) ყოველდღიური გასაჭირი, ასრულებდა რუსების დავალებებს იმდენად, რამდენადაც იგი არ ეწინააღმდეგებოდა „აფხაზეთის საშუალებებს და სარგებლობას“.

გ. ძიძარია,[1] ს. ლაკობა,[2] ნ. თაკალანძე[3] თვლიან, რომ მიხეილ შარვაშიძე თითქმის ყოველთვის მოქმედებდა რუსეთის იმპერიის სასარგებლოდ და არა მის წინააღმდეგ. მათი მოსაზრებანი მისაღებია მთავარი რამის გათვალისწინებით: მიხეილ შარვაშიძე ჯერ კიდევ არ იყო ჩამწვდარი რუსების ვერაგულ ბუნებას, სწამდა, რომ რუსეთის ხელისუფლებას გამოიყენებდა აფხაზეთში პოზიციების გასამყარებლად, სამურზყანოიანად აფხაზეთის გასამთლიანებლად, თავისი უფლებების, როგორც მთავრისა, განსამტკიცებლად. თუმცა ეს არ ნიშნავდა დანარჩენ საქართველოსთან დაპირისპირებას. იგი ზრუნავდა აფხაზეთის სამთავროს გაძლიერებისათვის, რაშიც რუსეთის როლს უპირატესობას ანიჭებდა. აფხაზეთის მთავარს, ცხადია, არ ჰქონდა წინასწარ განჭვრეტილი, თუ რა უბედურებას უმზადებდა მის სამთავროს რუსეთის აგრესიული ზრახვანი.

როდესაც მიხეილ შარვაშიძე აფხაზეთის სამთავროს სასარგებლოდ გარკვეულ იმედებს ამყარებდა რუსეთზე, მაშინ ამ უკანასკნელს არც „ეცალა“ აფხაზეთისთვის. როცა დრო მოდგა, „მოიცალა“ კიდეც: კავკასიის ომის რუსეთის სასარგებლოდ დასრულების შემდეგ მისი ხელისუფლების „საზრუნავი“ გახდა აფხაზეთის სამთავროს გაუქმება. აფხაზეთის მთავრის ხელისუფლება მიუღებლად და ბოროტების ჩამდენად შერაცხეს. მოვუსმინოთ საქართველოს მეფისნაც-

[1] **Г.А. Дзидзария,** Махаджирство и проблемы истории Абхазии XIX Столетия, Сухуми, 1982, გვ. 140-141.

[2] **С.З. Лакоба,** Очерки политической истории Абхазии, Сухуми, 1990, გვ. 17-25.

[3] **ნ. თაკალანძე,** მიხეილ შარვაშიძე; ცხოვრება და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა, 2000.

ვლის მიხეილ ნიკოლოზის ძე რომანოვის ნათქვამს: „რუსეთმა მადლიერი მოკავშირის (იგულისხმება მიხეილ შარვაშიძე – ტ.მ.) ნაცვლად შეიძინა დაუმორჩილებელი და ცბიერი მონა, რომელიც მზადაა გულში ჩაიკრას ქვეყნის საზღვრებს მომდგარი ნებისმიერი მტერი... ჩვენ უნდა აღმოვფხვრათ ის ხელისუფლება, რომელმაც ნებით თუ უნებლიეთ ამდენი ბოროტების ჩადენა შეძლო (ცსსა, ფ. 416, საქმე №177, ფ. 11. Великии кн. Михаил Николаевич о положении Абхазии). ასე დაამხო რუსეთმა მთავარს თავზე თავისივე სამთავრო, გაუუქმა იგი და არა მარტო მშობლიურ კუთხეში, არამედ დანარჩენ საქართველოშიც ყოფნის უფლება აუკრძალა და მაცდურად გაუყენა რუსეთის გზას, სადაც მალევე გარდაიცვალა. სამეცნიერო ლიტერატურაში მოძრაობის უფლება აქვს აბესალომ ტუღუშის საკმაოდ არგუმენტირებულ მტკიცებულებებს, რომ აფხაზეთის სამთავრო 1810 წელს იქნა შექმნილი რუსეთის ხელისუფლების მიერ, როგორც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში (კერძოდ, საკუთრივ აფხაზეთში) რუსეთის სრულად გაბატონება-დამკვიდრებისა და მისი თანდათან ათვისების იარაღი.[1]

ორიოდე სიტყვა თურქ-ოსმალებთან დამოკიდებულების თაობაზე. ზურაბ პაპასქირი წერს: „არავითარ ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის, რომ მიხეილ შარვაშიძე ნამდვილად ეწეოდა ორმაგ თამაშს ყირიმის ომის პერიოდში და არც თუ იშვიათად ღიად თანამშრომლობდა ოსმალეთის საოკუპაციო რეჟიმთან. უფრო მეტიც, ის სულაც არ იყო წინააღმდეგი თურქთა მხარდაჭერით დაუფლებოდა მთელ დასავლეთ საქართველოს და გამხდარიყო „ბრწყინვალე პორტას“ მთავარი დასაყრდენი დასავლეთ კავკასიაში.[2] მკვლევარის მიხედვით, მიხეილ შარვაშიძეს აკავშირებდა მერკანტილური ინტერესებიც. ის მართლაც ეწეოდა კონტრაბანდას და საკმაოდ სოლიდური შემოსავალიც გააჩნდა ამ საქმიანობიდან. აქ ავტორი ემყარება გიორგი ძიძარიას მიერ მოძიებულ საბუთს ამ საკითხთან დაკავშირებით. დ. დანილოვის

[1] ა. **ტუღუში**, აფხაზეთის სამთავროს წარმოშობის დროის საკითხისათვის, 2001, გვ. 63.

[2] **ზ. პაპასქირი**, ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, ნაკვ. I, გვ. 185.

სტატიაში სპეციალურადაა მითითებული, რომ მიხეილ შარვაშიძე „преспокойно промышлял турецкой контрабандой и имел тайние связи с горскими племенами“.[1]

ალბათ, ამ სტატიაზე დაყრდნობით არის ნაწილობრივ შთაგონებული ზურაბ პაპასქირი, რომ მკვეთრად აცხადებს: „ჩვენ გაუმართლებლად მიგვაჩნია მიხეილ შარვაშიძის მოღვაწეობის მხოლოდ პოზიტიური მხარეების საგულდაგულოდ ძებნა. ჩვენი აზრით, მიხეილ შარვაშიძე იყო უაღრესად რთული პიროვნება, რომელიც ყოველთვის ცდილობდა ნებისმიერი საშუალებით ხელისუფლების შენარჩუნებას. სწორედ ეს მისწრაფება უბიძგებდა მას ხან ერთ მხარეს გადახრილიყო, ხან კი — მეორეს. ერთი მხრივ, იგი აქტიურად თანამშრომლობდა რუსულ ადმინისტრაციასთან და ეხმარებოდა მას მთიელი ტომების დაძლევასა და ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის გავლენის დამყარებაგანმტკიცებით, მეორე მხრივ, პირიქით. ღიად თუ ფარულად უჭერდა მხარს თავის კავკასიელ თანამოძმეთ (რომელთა ერთ-ერთი ბელდი უბიხთა წინამძღოლი დაგუმოყვა ბარზეგი — მისი აღზრდილი იყო) „საღვთო ომს“ რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ“.[2]

ისტორიულ წყაროებს ისეთი პირი უჩანს, შესაძლოა დაეთანხმო მკვლევარს, ან არ დაეთანხმო. თუ მიხეილ შარვაშიძე ღიად თანამშრომლობდა ოსმალეთის საოკუპაციო რეჟიმთან, მაშინ რატომ თქვა უარი 1854 წელს ყირიმის ომის დროს ოსმალეთის სულთნის მიერ შეთავაზებულ წინადადებაზე, რომლის მიხედვით იგი ინიშნებოდა. ოსმალეთის ყველა კორპუსის მთავარსარდლად აზიისა და კავკასიაში[3] (აქ არაფერს ვამბობთ ე.წ. კონტრაბანდისტობაზე). ასევე ოსმალებთან თანამშრომლობისათვის ერთ-ერთი მთავარი პირობა იყო მაჰმადიანური სარწმუნოების აღმსარებლობა. ცნობილია, რომ მიხეილ შარვაშიძე ბოლომდე დარჩა მტკიცე ქრისტიანად. ამას გვიდასტურებს

[1] **Д. Д. Данилов**, Лорис-Меликов, Карьера парадоксального диктатора, Воапросы истории, №11-12, 1998, გვ. 147.

[2] **ზ. პაპასქირი**, ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორ. წარსულიდან, ნაკვ. I, გვ. 151-152; 175-176. შდრ. С.З. Лакоба, Очерки политич. истор. Абхазии, გვ. 232.

[3] Ш. Чхетия, Документы по истории Кавказа, Т. I, ч. I, Тб., 1954, გვ. 648.

დეკაბრისტი ნოროვი, რომელიც XIX ს. 30-იან წლებში ბომბორაში მსახურობდა. მისი სიტყვით, მიხეილ შარვაშიძეს ახასიათებს ჭეშმარიტად ქრისტიანად ყოფნა, ძას არასოდეს უარუყვია საკუთარი რწმენა და უღალატნია საკუთარი ხალხისათვის.[1]

მთელი მთავრობის მანძილზე მიხეილ შარვაშიძეს აწამებდა ის გარემოება, რომ მისი მშობლიური აფხაზეთი წარმოადგენდა თურქულ-მაჰმადიანური და რუსულ-ქრისტიანულ ძალებს შორის ბრძოლის ობიექტს. ბუნებრივია, იგი, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი, უფრო რუსულ-ქრისტიანული ძალებისაკენ გადაიხრებოდა, რომელიც მიაჩნდა გარანტად აფხაზეთში მდგომარეობის სტაბილიზაციისათვის. სწამდა, თითქოს ქრისტიანული რუსეთი ხელს შეუწყობდა მას საშინაო პოლიტიკის მთავარი მიმართულების მოსაგვარებლად, რომელიც წარმოადგენდა ბრძოლას ხელისუფლების ცენტრალიზაციისათვის.

მიხეილ შარვაშიძე რუსეთის ხელისუფლების ოპოზიციონერი ხდებოდა სამურზაყანოს საკითხზე, როცა რუსეთი მიემხრობოდა სამეგრელოს სამთავროს (უკვე მის „მფარველობაში“ შესულს) ამ რეგიონის დადიანის მფლობელობაში დარჩენის თაობაზე. როგორც მ. დუმბაძე შენიშნავს: „დადიანის უფლებები სამურზაყანოზე განსაკუთრებით განმტკიცდა მას შემდეგ, რაც სამეგრელოს სამთავრო რუსეთის მფარველობაში შევიდა“.[2] ამიტომ მიაჩნდა მტრად სამეგრელოს მთავარი დადიანი (და არა სამეგრელოს მოსახლეობა). მიხეილ შარვაშიძეს ხომ სიცოცხლის მანძილზე უხდებოდა ბრძოლა ერთპიროვნული მმართველობისათვის. კი ერქვა აფხაზეთის მთავარი, მაგრამ, სამურზაყანოსთან ერთად, მისი უფლებები არ იყო განმტკიცებული დანარჩენი აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე, რაც დღენიადაგ აწვალებდა მას. იყო დრო, როცა მის უშუალო გამგებლობაში რჩებოდა ბზიფის ოლქი. აფხაზეთის ოლქი ემორჩილებოდა მის ბიძებს: ბათალ-ბეის, თაიარ-ბეის, ჰასან-ბეის. ბჟუის ოლქს ფლობდა ალი-ბეი შარვაშიძე. ასევე წებელდა არ სცნობდა მთავრის ხელისუფლებას და

[1] შდრ. **Г.А. Дзидзария,** Декабристы в Абхазии, Сухуми, 1970, გვ. 22.

[2] **მ. დუმბაძე,** სამეგრელოს სამთავრო 1803-1857 წლებში (საკანდ. დისერტ.), გვ. 74.

განზე იდგა.[1] ისტორიკოსი სელეზნევი გვამცნობს, რომ აფხაზეთი იყოფოდა სამ ოლქად: აბჟუის, აფხაზეთის, ბზიფის. 1831 წელს მას შეუერთდა წებელდა, 1841 წელს ჯიქეთი.[2]

ასე რომ, აფხაზეთის მთავარი ჩაკარდნილი იყო მძიმე ვითარებაში საგარეო და საშინაო პოლიტიკის დაძაბულობის გამო. ამიტომ, ცხადია, იგი არჩევანს აკეთებს რუსეთის ხელისუფლების სასარგებლოდ. სჯეროდა (თუმცა საშინლად ცდებოდა), რომ ქრისტიანული რუსეთი დაეხმარებოდა ყველა საჭირბოროტო საკითხის მოგვარებაში. ასევე სწამდა, რომ რუსეთისათვის მხარდაჭერა რუსთა ხელისუფლების ინტერესს ეთანხმებოდა თურქეთთან მიმართებაში.

ვემხრობით იმ აზრს, რომ მიხეილ შარვაშიძეს. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, ზოგჯერ უწევდა ორმაგი თამაში, მაგრამ ეს არ იყო ფარისევლობასთან, ცბიერებასთან და ღალატთან წილნაყარი. იგი ლოგიკურად ჯდებოდა მთავრის დიპლომატიური ქმედების ფარგლებში, ვინაიდან მიმართული იყო აფხაზეთის ხსნისა და გადარჩენისაკენ. გულწრფელად უნდა აღვიქვათ მიხეილ შარვაშიძის მიერ საქართველოს მეფისნაცვლის ვორონცოვისადმი მიწერილი სიტყვები: ,,ყველაფერი, რაც აფხაზეთის სარგებელს და ზიანს ეხება, ეს ჩემი პირადი სარგებლობა და ზიანია. მე ვარ მთავარი აფხაზეთისა და მხოლოდ მე ერთსა მაქვს გავლენა აფხაზეთის ხალხზე (მივაქციოთ ყურადღება: აფხაზეთის ხალხზე და არა მხოლოდ — აფხაზ ხალხზე — ტ.მ.). სხვა გავლენა ჩემს სამშობლოში არ უნდა არსებობდეს, მაგრამ თუკი ის არის, თუნდაც ფარული სახით., რა თქმა უნდა, ის საზიანოა.[3]

მიხეილ შარვაშიძე თავისი მშობელი მხარის აფხაზეთის დაცვისთვის ზრუნავდა (შავი ზღვის სანაპიროს დაცვასთან ერთად), როცა ფიქრობდა გურიის რაზმის უფროსის თანამდებობაზე, როგორც რუსეთის არმიის ადიუტანტი. მას რუსეთის ხელისუფლების სიმპათია იმი-

[1] **Абрюцкий**, Статистический взгляд на Абхазию, Тифлиские ведемости, 1831, გვ. 330; შდრ. **ნ. თაყაიშვილის** დასახ. ნაშრომი.

[2] В. Селезнеев, Руководство к познанию Кавказа, გვ. 201.

3 **შ. ჩხეტია**, აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის (1853-1856), საისტორიო მოამბე. №15-16, თბ., 1963, გვ. 197.

თაც ჰქონდა მოპოვებული, რომ, დიმიტრი ყიფიანის ცნობით, ყირიმის ომის მანძილზე ყოველწლიურად რუსეთის ჯარების სასარგებლოდ სწირავდა 20 000 მანეთს. თუმცა ანგარიშში მოტყუვდა. გურიის რაზმის უფროსად დაინიშნა ივანე მუხრანბატონი. მიზეზად სახელდებოდა მთავრის მტრული დამოკიდებულება სამეგრელოს სამთავროსთან, რომლის ტერიტორიაზეც გურიის რაზმი იდგა.

როგორც ცნობილია, აფხაზეთიდან სამხედრო გარნიზონების გამოყვანის შემდეგ მიხეილ შარვაშიძე ერთხანს ოჯახთან ერთად ცხოვრობდა სიმამრის ოჯახში სოფ. ჭკადუაშში (ზუგდიდი რაიონი). ამას ვერ ეგუებოდა სამეგრელოს მთავარი ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანისა. იგი ხელისუფლებას სთხოვდა მის გაყვანას ამ კუთხიდან. მიხეილ შარვაშიძეს ჭკადუაშში ყოფნის პერიოდი უქმად არ დაუკარგავს. მან მოახერხა თავის სიმამრის გარშემო იმ ძალების თავმოყრა, რომლებიც მტრობდნენ სამეგრელოს მთავარს. მიხეილ შარვაშიძეს გული აფხაზეთისკენ მიუწევდა და 1855 წელს დაუბრუნდა კიდეც მშობლიურ კუთხეს, ვ. ბებუთოვი გვაკვალიანებს, რომ აფხაზეთის მთავრის სამეგრელოდან აფხაზეთში გადასვლა გამოწვეული იყო აფხაზეთის შენარჩუნების სურვილით, რადგან არ იყო ბოლომდე დარწმუნებული რუსული იარაღის გამარჯვებაში.[1]

მიხეილ შარვაშიძის რუსეთთან დამოკიდებულებას უპირველესად ის ფაქტორიც განსაზღვრავდა, რომ 1810 წლის 17 თებერვლიდან აფხაზეთი რუსეთთან იყო შეერთებული. ეს განაპირობა ოსმალურ-მაჰმადიანური დაჯგუფების (მეთაური ასლან-ბეი) და რუსულ-ქრისტიანული ორიენტაციის ძალებს (მეთაური საფარ-ბეგი, ქრისტიანობაში-გიორგი) შორის შეჯახებისას აფხაზეთში რუსეთის იარაღის გამარჯვებამ.

ამ საკითხზე საუბარს დავასრულებთ ილია ჭყონიას სიტყვების კვლავ გახსენებით: „როცა ყირიმის ომის დროს ოსმალეთმა ჯარი გადმოსხა აფხაზეთში, მიხეილს დაუწყეს კითხვა — ვის (იგულისხმება რუსეთი და ოსმალეთი — ტ.მ.) დაუჭერდა მხარს. აფხაზეთს! — ეუბნებოდა ის ყველას.[2] ეს სიტყვები, ცხადია, არ არის ილია ჭყონ-

[1] შდრ. ნ. თაყალანძის დასახ. სადისერტაციო ნაშრომი.

[2] გ. შარვაშიძე, თხზულებანი, II, გვ. 131.

იას გამოგონილი. ის აფიქსირებს იმას, რაც მისთვის იყო ცნობილი. ამით კალმის ერთი მოსმით აცოცხლებს ჩვენს წინ მიხეილ შარვაშიძის პიროვნებას, როგორც აფხაზეთის კეთილდღეობისათვის თავგანწირული მებრძოლისა. თუმცა ის არ იყო კუთხური პატრიოტიზმით გათანგული პოლიტიკოს მშობლიური აფხაზეთისადმი უშრეტი სიყვარული არ ნიშნავდა დანარჩენი საქართველოსადმი სიძულვილს. საინტერესოა ერთი დეტალი. მიხეილ შარვაშიძეს როდესაც აფხაზეთის სამთავრო გაუუქმა რუსეთმა, იგი მოძალადისაგან ითხოვდა საცხოვრებლად მაინც დაეტოვებინათ მშობლიურ მხარეში. თუ ესეც მიუღებელი იქნებოდა ვერაგი დამპყრობლისათვის, მაშინ მათგან ითხოვდა ზამთრის პერიოდში ქუთაისში მიეცათ ყოფნის უფლება, ზაფხულში კი — რაჭაში. სწორად შენიშნავს ელგუჯა თავბერიძე: „ყველაფერზე თანახმა იყო უკვე ავადმყოფი მიხეილ შარვაშიძე, ოღონდ რუსეთში არ გადაესახლებინათ, ბატონის ქვეყნისკენ არ გაეგზავნათ. მშობლიური აფხაზეთის მერე არჩევანს ქუთაისსა და რაჭაზე აკეთებდა, რაც უდავო დასტურია მისი საერთო-ეროვნული, ერთიანი სახელმწიფოებრივი განცდისა".[1]

ნიკო ბერძენიშვილი ამბობს: „აფხაზეთი უძველესი დროიდან ქართულ-ქრისტიანული კულტურის ქვეყანა იყო, ხოლო მისი კულტურული ურთიერთობის ენა კი ქართული".[2] ეს ისტორიული სიმართლე კარგად ესმოდა მიხეილ შარვაშიძეს. სიმონ ჯანაშიას თანახმად, მიხეილ შარვაშიძის ანუ აფხაზეთის მთავრის კანცელარია ქართულად მუშაობდა. რუსული ოფიციალური ცნობებით, მიხეილ შარვაშიძე კავკასიის მმართებლობას და მის წარმომადგენლებს ჩვეულებრივად ქართულად მიმართავს. დაცულია მიხეილის ამ ქართული საბუთების რამდენიმე დედანიც (AKAK, XI, 46; საქ. ცენტრაარქ., განსაკუთ. მნიშვნ. სქმე, ფ. №41, ფ. 3. ფფ. 128-129; №42, ფფ. 45-50, ფფ. 1481+149; ფ. 175; ფფ. 188-193/ №48, ფ. 133).[3] სიმონ ჯანაშია იქვე განაგრძობს: „ყოველივე ამის შემდეგ კიდევ უფრო ნათელი ხდება მნიშვნელობა იმ ფაქტისა, რომ ამ პერიოდშიც ქართული

[1] ელ. თავბერიძის დასახ. ნაშრომი, გვ. 170.

[2] ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, II, თბ., 1865, გვ. 407.

[3] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 27.

ენა კულტურის მთავარი ენაა როგორც სამთავროსათვის, ისე თვით მიხეილისთვისაც. ამას მოწმობს, მაგალითად, საკმაო რაოდენობით მოღწეული ქართული მემორიალური წარწერები. ოფიციალური მიწერ-მოწერა რუსული ხელისუფლების ორგანოებთან და მის ცალკე წარმომადგენლებთან ქართულად წარმოებს".[1] მიხეილ შარვაშიძის ბაბუაც ქელეშ-ბეი საქმიან ურთიერთობას თავისი სახლის წევრებთან და სამეგრელოს მთავართან თუ იმერეთის მეფესთან ქართულად აწარმოებდა. მისმა შვილმა გიორგი შარვაშიძემ (საფარ-ბეი) რუსეთის ხელმწიფეს ერთგულება ქართულ ენაზე შეჰფიცა.[2] მიხეილ შარვაშიძის ოჯახის წევრთა მიწერ-მოწერის ენაც ქართული იყო.

აღსანიშნავია, რომ მიხეილ შარვაშიძე ჯერ კიდევ XIX საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისიდან აფხაზეთში ქრისტიანობის აღორძინებისათვის ზრუნავდა. კ. კვაშილავა შენიშნავს: იღუმენ (1833 წლიდან არქიმანდრიტი) ანტონ დადიანის აფხაზეთში მივლინებას ქრისტიანობის ასაღორძინებლად და განსამტკიცებლად 1831 წელს მიხეილ შარვაშიძე ითხოვდა. იგი ამასთანავე, მოითხოვდა მამა ანტონის მთავარეპისკოპოსად კურთხევას და შესაბამისად აფხაზეთის ეპარქიის დაარსებას.[3]

მიხეილ შარვაშიძე ნაზიარები იყო ქართულ კულტურას და მწიგნობრობას, რაშიც უპირველესი წვლილი მისმა დედამ თამარ დადიანმა შეიტანა. მიხეილმა იცოდა მრავალი ენა: აფხაზური, ქართული, რუსული, უბიხური, ჩერქეზული. ინტერესს იჩენდა ლიტერატურისადმი, მეცნიერების სხვადასხვა დარგისადმი. ამის შესახებ ცნობას გვაწვდის რუსი ჟურნალისტი, რომელსაც ოჩამჩირეში, მთავრის მიერ მიტოვებულ სასახლეში, მიხეილის აფხაზეთიდან გადასახლების ორი წლის შემდგომ ერთ ოთახში უპოვია წიგნების დიდი გროვა: „რა არ იყო იქ? ლერმონტოვის „ჩვენი დროის გმირი"-ც, რომელიღაც ალგებრა, ლათინური დისერტაციაც, იტალიანური ოპერების ლიბრეტოებიცა და ფრანგული სამკურნალო წიგნებიც და რუსული ძველი რო-

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 35

[2] შდრ. ნ. თაკალანძის დასახ. ნაშრომი.

[3] კ. კვაშილავა, ისტორიული სამურზაყანოს წარსულიდან, გვ. 273.

მანებისა, ჟურნალებისა და სხვა გამოცემების ცალკე ტომთა აუარებელი რაოდენობა... ნაპოლეონისა და სუვოროვის ისტორიები 1812 წლის ლაშქრობათა და სხვა ამბის აღწერილობანი, თხზულებები საველე წყობის შესახებ"...[1]

შესაძლოა მიხეილ შარვაშიძე'ხე და ალექსანდრა დადიანზე საუბარი გაგვიგრძელდა, მაგრამ ეს გადაჭარბებად ნუ ჩაგვეთვლება. ამით გვსურდა წარმოგვეჩინა თუ გიორგი შარვაშიძე „ვისი გორისა" იყო. მართალია, მშობლებზე და თვითონ გიორგიზე დაწვრილებითი ბიოგრაფიული ცნობები არ გაგვაჩნია, მაგრამ რაც შემოგვენახა, მას მოვლა და გაფრთხილება სჭირდება.

გიორგი შარვაშიძეს ქართველი ინტელიგენცია სიცოცხლეშივე მაღალ შეფასებას აძლევდა. აკაკი წერეთელი მას „მაღალი ნიჭის ადამიანს", „ტკბილ მოუბარს" უწოდებდა, კონსტანტინე ერისთავი — „რაინდს", „უბედო მამულის ყმას", „სამშობლოსათვის თავის შემწირველს"; თედო სახოკია — „მგოსანს", სწორუპოვარ პატრიოტს და მოქალაქეს", „განათლებულ ადამიანს", ანტონ ფურცელაძე — „ჩვენი ბედკრული ქვეყნის ერთგულს და გულით მოყვარულ პირს". პოეტმა ბიძამ კოწია დადიანმა 1882 წელს ჩინებული პოემა მოუძღვნა — „ყანშაუბეი". სიკვდილის შემდეგაც არ იშურებდნენ მის მიმართ სადიდებელ სიტყვებს. ილია ჭყონია აფასებს, როგორც „ევროპულად განათლებულს", „ისტორიისა და ლიტერატურის ისტორიის კარგ მცოდნეს", „მშვენიერ თვალადს", „ესთეტიკის სწორუპოვარ განსახიერებას". ნიკოლოზ თავდგირიძის მიხედვით, გიორგი შარვაშიძე იყო „სულიერად ძლიერი", „შესანიშნავი პიროვნება", „ჩვეულებრივ საზოგადოების აზრ-მისწრაფებათა მაღლა მდგომი პირადობა", „რაინდული გრძნობით აღჭურვილი"; გრიგოლ რობაქიძე შეარქმევს „ქართული რასის ნამდვილ ვაჟს". მისი პიროვნებისა და ლიტერატურულ-კულტურული მემკვიდრეობისადმი ინტერესი დღემდე არ წყდება.

სიმონ ჯანაშია წერს: „რაიმე დოკუმენტური ცნობა გიორგი შარვაშიძის დაბადების თარიღის შესახებ ჩვენ არ მოგვეპოვება. 1855

[1] Из записок Кавказского туриста. газ.„ Кавказ", 1867, №45; შდრ. სიმონ ჯანაშია. დასახ. ნარკვევი, გვ. 34.

წლის სექტემბერში დიმიტრი ყიფიანი გიორგის ასაკს 9 წლით განსაზღვრავს. მაშასადამე, გიორგი დაბადებულა 1846 წელს. ლუხუნის ხატის წარწერაში, რომელიც 1849 წელსაა ამოჭრილი მთავრის – მიხეილის განკარგულებით, გიორგი მოხსენიებულია, როგორც სამთავროს მემკვიდრე." ამის შესახებ ცნობას გვაწვდის თედო სახოკია თავის წერილში „სოხუმიდან გაგრამდე". მასში დაფიქსირებულია მიხეილ შარვაშიძისეული რამდენიმე წარწერა ლუხუნის (ლიხნის) ტაძარში დაცულ ნივთებზე. ერთი წარწერა დათარიღებულა 1829 წლის 1 აპრილით, მეორე – 1849 წლის 1 სექტემბრით და იუწყება, რომ ეს ხატი გააჭედინა „მთავარმან სრულიად აფხაზეთისამან მიხაილ გიორგის ძემ შარვაშიძემან. სადღეგრძელოდ საყვარელისა მეუღლისა ჩემისა და მემკვიდრისა ჩვენისა გიორგისა".[1] შესაძლოა გიორგი სწორედ 1849 წელს დაიბადა და მამამ იმთავითვე აღნიშნულ წარწერაში დააფიქსირებინა მისი მემკვიდრეობა სამთავროსი. ამას გვაფიქრებინებს ერთი საინტერესო დეტალი ილია ჭყონიას წერილიდან, რომელიც გიორგი შარვაშიძის გარდაცვალებას მიუძღვნა: „მიხეილის გადაყენებისა და აფხაზეთიდან გადასახლების შემდეგ აფხაზეთის გლეხობა აჯანყდა. აჯანყებულთა დასაშოშმინებლად გაგზავნეს თბილისიდან გიორგი, თხუთმეტი წლის ყმაწვილი".[2] მიხეილი გადააყენეს რუსებმა მთავრობიდან 1864 წელს, მაშინ მისი შვილი გიორგი, ილია ჭყონიას მიხედვით, თხუთმეტი წლისა ყოფილა. გამოდის, რომ იგი დაბადებულა 1849 წელს. ზემოთ დავიმოწმებთ ილია ჭყონიას სიტყვები აფხაზეთის სამთავრო ტახტის გაუქმების და მიხეილ შარვაშიძის რუსეთში გადასახლების შემდეგ აფხაზეთის გლეხობის აჯანყებაზე. საინტერესოა, რომ თედო სახოკია ამ აჯანყებას ათარიღებს 1864 წლით: „უკანასკნელი მთავარი აფხაზეთისა. – მისი წაყვანა რუსეთში... პოლკოვნიკი კონორი და აფხაზთა აჯანყება 1864 წელს. აჯანყებულთა მეთაურების დასჯა".[3] გიორგი შარვაშიძის

[1] თ. სახოკია, „სოხუმიდან გაგრამდე", გაზ. „ცნობის ფურცელი", 1903, 18.XII; შდრ. გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 34, 78.

[2] გ. შარვაშიძე, თხზულებანი, II, გვ. 131.

[3] თ. სახოკია, „მოგზაურობანი", თბ., 1950, გვ. 306-311; შდრ. გ. შარვაშიძე, თხზ., II, გვ. 276.

დაბადების ადგილია სოფ. ლიხნი (გუდაუთის რაიონი).

ამ მხრივ დიდად საინტერესოა 1855 წლის 8 მაისს ოჩამჩირიდან სოფ. ჭკადუაშში მიხეილ შარვაშიძის მიერ ცოლთან — ალექსანდრა დადიანთან მიწერილი ბარათი: „საყუარელო ალექსანდრა! გრიგოლ შარვაშიძე და ქირთ ტაგუ გამომიგზავნია ვითომც შენი და ბავშვების წამოსაყვანად აქეთ და არამც არ დაუჯერო იმათ და არ წამოხვიდე. ეს არავინ გაიგოს. რამდონიც ხანს შეგეძლოს, შეიქციე და მამა შენი როცა მოვა, თვითონ მიხვდება. ეს წიგნი უჩვენე და რავარც ჯობდეს, იქს. გიორგი შენთან მოაყვანინე, ლენჩუმს არ წაიყვანონ. ბაბუშია ჩქოტუებს გამოატანე, გულნაკლულად არიან, მაგრამ ჩემთვის ნუ სწუხარ, პატარა გიორგი შეგიქცევს. შენი მიხაილ შარვაშიძე“. ყურადღებას იქცევს გიორგის მოხსენიება პატარა ასაკის მქონედ. დიმიტრი ყიფიანის მიხედვით, 1855 წელს აფხაზეთის მთავრის შვილი ცხრა წლის იყოო. ცხრა წლის ბავშვს უკვე პატარა არ ეთქმის. უფრო ილია ჭყონიას ცნობა ესადაგება მიხეილ შარვაშიძის გამოთქმას — „პატარა“, ვინაიდან გიორგი მაშინ 6 წლისა იქნებოდა. თემურ მიბჩუანი გიორგი შარვაშიძის დაბადების თარიღად 1847 წელს ასახელებს.[1] ოფიციალურად კი ამ დიდებული პოეტისა და საზოგადო მოღვაწის დაბადების თარიღად აღიარებულია 1846 წელი, რაც პირველად სიმონ ჯანაშიამ დააფიქსირა დიმიტრი ყიფიანის გამონათქვამის საფუძველზე.

გიორგი შარვაშიძე იყო დიდად ერუდირებული შემოქმედი, მრავალი ენის (აფხაზური, ქართული, მეგრული, რუსული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული) მცოდნე. ეს ყველაფერი უპირველესად დედის დამსახურება გახლდათ, რომელმაც შთააგონა ცოდნისადმი სიყვარული სიყმაწვილიდანვე. ასე რომ, პირველდაწყებითი განათლება მან ოჯახში მიიღო. დიმიტრი ყიფიანი გვაცნობს მისთვის ალექსანდრას ნათქვამს: „გიორგი ქართულად უკვე თავისუფლად კითხულობს და წერს, რუსულ წერა-კითხვას კი ჯერჯერობით ერთი აქაური კაცი ასწაელისო“. როგორც ირკვევა, გიორგი სიყრმისას აღსაზრდელად მიუბარებიათ მისივე დედის მამიდისთვის — კესარიასთვის. კესარია იყო ნიკო დადიანის („დიდი ნიკო“) ერთ-ერთი შვილი. „დიდი ნიკო“

[1] თ. მიბჩუანი, აფხაზეთი, II ნაწილი (XVI-XX სს), თბ., 2006, გვ. 149.

ექვსი შვილის პატრონი ყოფილა: ეკატერინე, კესარია, გიორგი, ბესარიონი, პეტრე, პავლე. ეს უკანასკნელი ადრე გარდაიცვალა.

ეკატერინე იყო ცნობილი პოეტის, გიორგი შარვაშიძის დიდად მოყვარულის და დამფასებლის, მამია გურიელის დედა. კესარია მიუთხოვებიათ ალი-ბეგ (ნათლობაში – ალექსანდრე) შარვაშიძისათვის, რომელიც აფხაზეთში აბჟუის (ოჩამჩირის რაიონი) პატრონი ყოფილა. იგი ენათესაებოდა მიხეილ შარვაშიძეს. სწორედ კესარიას და ალექსანდრე შარვაშიძის ოჯახში იზრდებოდა თურმე პატარა გიორგი. კესარიას მისთვის კარგი აღზრდა მიუცია. სელეზნევის ცნობით, ქმრის სიკვდილის შემდეგ თვითონ კესარია განაგებდა თურმე აბჟუის ოლქს. საერთოდ სელეზნევი დიდად აფასებდა კესარიას. აქებდა მის კეთილშობილებას, გულკეთილობას, გამჭრიახობას, მის კარგ ქართულ აღზრდას, სინატიფეს, ზრდილობას, ზნეობრივ მხარეს, აფხაზებში სიყვარულის მოხვეჭას.[1] კ. ბოროზდინი გვამცნობს, რომ კესარია ზრდიდა, ჩვეულების თანახმად, მთავრის შვილს, გიორგი შარვაშიძეს.

პატარა გიორგის ისე შეყვარებია თავისი გამზრდელი კესარია, რომ მუდამ მასთან ერჩივნა ყოფნა. ამაში დედა ალექსანდრა გვარკვევს. შემორჩენილია 1855 წელს დიმიტრი ყიფიანთან მისი ნასაუბრევის ცნობა: „მინდა შვილი (იგულისხმება გიორგი – ტ.მ.) სასწავლებელში გავგზავნო, მაგრამ ჯერ ყმაწვილია და თავის აღმზრდელს, კნეინა კესარიას ვერ შორდებაო“. როდესაც გიორგი შარვაშიძის აღზრდაზე ვსაუბრობთ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სიყმაწვილეში მის ყოფნას საბერიოელი (გალის რაიონი) ჩქოტუების ოჯახში. ჩქოტუები საბერიოში, შარვაშიძეების შემდეგ, მსხვილი მიწათმფლობელები იყვნენ. მათ შორის ერთ-ერთი დიდი ფეოდალის მანუჩარის შვილი იყო ზურაბ ჩქოტუა. იგი არა მარტო საბერიოში, არამედ მთელ აფხაზეთში გავლენიან თავადად ითვლებოდა. გამომდინარე აქედან, „აფხაზეთის მთავრებს მისთვის მეტად საპატიო მისია – მემკვიდრეობის აღზრდა დაუკისრებიათ. ამ ვალდებულების ძალით ჩქოტუების ოჯახში გაუზრდიათ ცნობილი აფხაზი პოეტი და საზოგადო

[1] **М. Селезнев,** Руководство к познанию кавказа, кн.II , СПб, 1847, გვ. 163-167; შდრ. ს. ჯანაშიას დასახ. ნაშრომი, გვ. 47-48.

მოღვაწე გიორგი შარვაშიძე".[1] დავით ჩქოტუა და გიორგი შარვაშიძე სიყვამწვილიდანვე ძიძიშვილობის უწმინდესმა გრძნობამ დაამოყვრა ერთმანეთთან. სწორედ აქ დაედო სათავე მათ უმტკიცეს ძმობა-მეგობრობას, რამაც აღსასრულამდე გასტანა. სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია თუ რომელ წლებში იზრდებოდა გიორგი შარვაშიძე მიხეილ შარვაშიძის შვილების ტრადიციისამებრ არჩეულ ოჯახში. ეს ოჯახი ითვლებოდა ყველაზე განათლებულ ოჯახად საბერიოში. ჰქონდათ მეტად მდიდარი საოჯახო ბიბლიოთეკა. განსაკუთრებული ინტერესი იგრძნობოდა ღვთისმეტყველებისადმი, ისტორიისადმი, ლიტერატურისადმი, გეოგრაფიისადმი.

არა მარტო ზურაბ ჩქოტუა, არამედ მისი მეუღლეც, დადიანის ქალიც, ფრიად განათლებული ყოფილა, რომელიც შვილებს წერა-კითხვას შინ ასწავლიდა. ასე რომ, იზრდებოდნენ რა ერთად თითქმის თანატოლნი დავით ჩქოტუა და გიორგი შარვაშიძე, ჩქოტუების ოჯახში ითვისებდნენ და ითავისებდნენ ქართულ-აფხაზურ წეს-ჩვეულებებს და კულტურას. ამ სამაგალითო ოჯახში დაყოფილმა წლებმა, ეტყობა, დიდი როლი ითამაშა გიორგი შარვაშიძის ჩამოყალიბებაში, სწავლისადმი დაინტერესებაში, მაღალი განათლების მიღებისკენ სწრაფვაში, საქართველოსადმი თავგანწირულ სიყვარულში.

ჩვენთვის უცნობია, სად, რომელ სასწავლებელში აპირებდა ალექსანდრა პატარა გიორგის გაგზავნას. ამ ბურუსით მოცულ ფაქტში სინათლე შეაქვს კ. ბოროზდინს, რომელიც გვარკვევს იმაში, რომ 10 წლის გიორგი მამას მიუყვანია ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის გაგარინის ოჯახში, სადაც მისთვის დაუნიშნავთ კერძო მასწავლებლები.[2] სამწუხაროდ, არ ჩანს არანაირი ინფორმაციული მასალა, იმის გასაგებად თუ რა სასწავლებელში სწავლობდა გიორგი შარვაშიძე, რომელ სკოლაში ეუფლებოდა ცოდნას. ს. ჯანაშია შენიშნავს: საფიქრებელია, გიორგის ქართული ენის მასწავლებლები ყოფილიყვნენ დედამისი და მისივე პაპიდა, ალიბეგ შარვაშიძის ცოლი კესარია. მათგან უნდა შეეთვისებინა გიორგის არა მარტო წერა-კითხვა, არამედ

---

[1] **ს. ჯანაშია,** დავით ჩქოტუას ცხოვრება დ შემოქმედება, თბ., 2005, გვ. 7.
[2] К. Бороздин, закавказские васпоминания, გვ. 250-251.

ქართული მწერლობის ცოდნა და ლიტერატურული ნორმების განმსაზღვრელი სისტემაც.[1] თითქმის იგივეს იმეორებს გერონტი ქიქოძე: „გიორგი შარვაშიძის დედა ძველებურად განათლებული ქალი იყო. მან შეასწავლა თავის ვაჟას ქართული წერა-კითხვა და ჩააგონა სიყვარული საქართველოსი, მისი კულტურისა და ლიტერატურისადმი.[2] ამასთანავე, აქ არ უნდა გამოვრიცხოთ ზემოთ ნახსენები ჩქოტუების ოჯახის წვლილი ამ საქმეში. 1856 წელს გიორგი შარვაშიძე ჩაურიცხავთ ლაიბ-გვარდიის პრეობრაჟენსკის პოლკში პრაპორშჩიკად.

ილია ჭყონია საინტერესო ცნობას გვაწვდის: „მთავრობისაგან რუსის მიერ მიხვილ შარვაშიძის გადაყენებამდე გიორგი მძევლად ჰყავდათ წაყვანილი რუსის მთავრობას და იზრდებოდა თბილისში, მეფისნაცვლის სასახლეში. პოლიტიკური მოსაზრებით ფლიგელ-ადიუტანტობა გიორგის მისცეს სრულიად ყმაწვილს“.[3] ასე რომ, 1863 წლისთვის ჯერ კიდევ ყმაწვილკაცი გიორგი შარვაშიძე მსახურობდა თბილისში, სადაც ეკავა კავკასიის მეფისნაცვლის ადიუტანტის თანამდებობა. ამის შემდეგ იძულებული ხდება უშუალო მონაწილეობა მიიღოს დასავლეთ კავკასიის მთიელთა წინააღმდეგ მიმართულ სამხედრო ღონისძიებებში. 1864 წელს გიორგი შარვაშიძეს აჯილდოებენ წმ. სტანისლავსკის III ხარისხის ორდენით, ხმლითა და ბაფთით, ამასთანავე მიენიჭა პოდპორუჩიკის ჩინი.

XIX საუკუნის დამდეგიდან ცარიზმის კოლონიზატორული რეჟიმი მიზანმიმართულად და გეგმაზომიერად იმონებდა საქართველოს სამეფოებსა და სამთავროებს, ფესქვეშ თელავდა ქართველთა ეროვნულ მეობას, ინტერესებს და ღირსებებს, თავს ლაფს ასხამდა ქართველთა ადათ-წესებს და სანიმუშო ტრადიციებს. ბოლოს ჯერი აფხაზეთის სამთავროზე მიდგა, მის გაუქმებაზე. იმ აფხაზეთის სამთავროს, რომელიც ადრინდელი მთავრის, გიორგი შარვაშიძის ბაბუის მამის ქელეშ-ბეგის წყალობით ჯერ კიდევ 1810 წლისთვის რუსეთის მფარველობის ქვეშ მოექცა. ე.ი. აფხაზეთმა აღიარა რუსეთის უზენაე-

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 26.
[2] გ. შარვაშიძე, თხზულებანი, II, გვ. 55.
[3] გ. შარვაშიძე, თხზ., II, გვ. 131.

სი ხელისუფლება, ქვეყნის შინაური მმართველობის მთავრის ხელში დარჩენის „შეღავათით“.

მიხეილ შარვაშიძე თვალნათლივ ხედავდა, რომ აფხაზეთის სამთავრო ტახტის თავზე შავი ღრუბლები გროვდებოდა. ჯანმრთელობა შერყეული დარწმუნებული იყო რუსეთის მთავრობის ნების უძლეველობაში სამთავროს გასაუქმებლად. თუმცა ამ გადაწყვეტილებას ადვილად როდი ეგუებოდა. მიხეილ შარვაშიძეს ველარ დასცალდა აფხაზეთის სამთავრო ტახტზე გიორგის დასმა მისივე სიცოცხლეში. მან 1863 წლის 27 ოქტომბერს წერილით მიმართა მთავარი შტაბის უფროსს, რათა გიორგი შარვაშიძე სამსახურიდან გაეთავისუფლებინათ მისთვის აფხაზეთის სამთავროს ტახტის გადასაცემად. თბილისში ეს წერილი გახდა საბაბი სამთავროს გაუქმების საკითხის დასაყენებლად. როცა ამ თხოვნიდან არაფერი გამოვიდა, მიხეილ შარვაშიძემ წერილით ამცნო ქუთაისის გენ-გუბერნატორს მირსკის 1864 წლის 26 თებერვალს სამსახურიდან დათხოვნა. როგორც სიმონ ჯანაშია შენიშნავს: „მიხეილი გულისხმობდა გენერალ-ადიუტანტის წოდებასა და გენერალ-ლეიტენანტის ხარისხს, რომელიც მას რუსის მთავრობისაგან ჰქონდა მინიჭებული. ეს მიმართვა გახდა უშუალო საბაბი მიხეილის მთავრობისაგან გადაყენებისათვის“.[1]

როგორც ისტორიულად ცნობილია, აფხაზეთის სამთავრო ტახტი გაუქმდა 1864 წელს. მიხეილ შარვაშიძე კი ისტორიაში შევიდა, როგორც აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი. ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ მძიმედ ავადმყოფს სურდა თავის მშობლიურ კუთხეში დარჩენა. თუ ამას არ დააკმაყოფილებდნენ, მაშინ ერჩია ზამთარში — ქუთაისში და ზაფხულობით კი რაჭაში ყოფნა, ან იერუსალიმში წასვლა სულის დასალევად. მისი თხოვნა და ოცნება რჩებოდა ხმად მღაღადებლისა უდაბნოს შინა. ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით ფიზიკურად დაუძლურებული და მორალურად მიწასთან გასწორებული მიხეილ შარვაშიძე ჯერ დაატუსაღეს და შემდეგ გაუყენეს ნოვოროსიისკის ეკლიან გზას. ეს მოხდა 1864 წლის

[1] **ს. ჯანაშიას** დასახ. ნაშრომი, წიგნში: გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 12.

7 ნოემბერს. ამავე წლის 26 ნოემბერს იგი ჩაჰყავთ სტავროპოლში, საიდანაც 1865 წლის იენისში ვორონეჟში ამოაყოფინეს თავი, სადაც სიკვდილმა მოუსწრო კიდეც იმავე წელს.[1] მისი ცხედარი განისვენებს ისტორიული მოქვის ტაძარში.

1864 წელს სამთავრო ხელისუფლების გაუქმების შემდეგ აფხაზეთს ეწოდა სოხუმის სამხედრო განყოფილება, რომელიც დაიყო ბზიფის, სოხუმისა და აბჟუას „ოკრუგებად". მასში შევიდა აგრეთვე წებელდისა და სამურზაყანოს საბოქაულოები. სოხუმის განყოფილება დაუქვემდებარეს ქუთაისის გენერალ-გუბერნატორს და მის პირველ უფროსად დაინიშნა გენერალი შატილოვი.[2] ერთი სიტყვით, აფხაზეთში აირია მონასტერი, ეს მხარე იქცა სრული განუკითხაობის ობიექტად, სადაც, როგორც იტყვიან, ძაღლი პატრონს ვერა სცნობდა. ვითარებას ისეთი პირი უჩანდა, რომ ყოველივე ამას აფხაზეთის მოსახლეობა არ შეეგუებოდა. ჰაერში უკვე აჯანყების სუნი ტრიალებდა. ჯერ კიდევ თბილისში მყოფი გიორგი შარვაშიძისათვის ძნელად ასატანი იყო მამის უდროო სიკვდილი და აფხაზეთის სამთავროს საბოლოოდ გაუქმება, აფხაზეთში შექმნილი უნუგეშო მდგომარეობა. ფაქტიურად რუსეთის რეჟიმის მარწუხებში მყოფს, თანაც ჯერ კიდევ ყმაწვილს, ილია ჭყონიას ინფორმაციას თუ დავესესხებით, 15 წლის ასაკში მყოფს, რომც ნდომებოდა, რას უშველიდა განსაცდელში მყოფ აფხაზ ხალხს. თავს ზემოთ ძალა არ იყო.

მიხეილ შარვაშიძის აფხაზეთიდან განდევნის შემდეგ მთელი წელიწადნახევრის მანძილზე ხალხის მოთმინების ფიალა თანდათანობით ივსებოდა, მზადდებოდა აჯანყება. სიმონ ჯანაშიას მოაქვს გაზეთ „კავკაზში" 1866 წელს (№68) გამოქვეყნებული ინფორმაცია, რომელიც ერთობ საყურადღებოა: „ოფიციალურ ცნობაში აჯანყების აღმოცენებისათვის ერთ-ერთ ხელისშემწყობ გარემოებად დასახელებულია მიხეილის დასაფლავება, რომელზედაც ყველა უკმაყოფილომ მოიყარა თავი და რომელმაც ააღელვა ხალხი და აღძრა სინანული

[1] ამის დასადასტურებელი დოკუმენტური მასალები იხ. **ს. ჯანაშიას** დასახ. ნაშრომში, გვ. 11.

[2] **ზ. პაპასქირი**, ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, I, გვ. 190.

წარსულის შესახებო".[1] ამ ცნობას იმიტომ ვანიჭებთ განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რომ მასში ქვეშეცნეულად აშკარად იკვეთება აჯანყების მომწიფების ეროვნული საფუძველი, რასაც შემდეგში დაერთო სოციალური სიდუხჭირენი. ამასთან დაკავშირებით სტ. ლაკობა წერს: „Абхазское (Лыхненское) востание 1866 года... насило ярко выражсеный, антиколониальный национально освободительный характер".[2]

აფხაზეთის ადმინისტრაციას სათავეში ედგა პოლკოვნიკი კონიარი. სწორედ მის პერიოდში 1866 წელს მოხდა აჯანყება აფხაზეთში. ჩვენთვის ამ მომენტში მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ აჯანყებულები კონიარისგან ითხოვდნენ მმართველობის ძველი წესის აღდგენას და მთავრად გიორგი შარვაშიძის დამტკიცებას. ზურაბ პაპასქირის ენით რომ ვთქვათ, იმ დროისათვის ფაქტიურად გიორგი შარვაშიძე რუსული ხელისუფლების პირობებში ერთგვარად მძევლის როლში იმყოფებოდა".[3] მისი მძევლის როლში ყოფნას ასევე დიდი ხნით ადრე აღიარებდა ილია ჭყონია: „გიორგი მანამდე მძევლად ჰყავდათ წაყვანილი რუსის მთავრობას და იზრდებოდა თბილისში, მეფისნაცვლის სასახლეში. პოლიტიკური მოსაზრებით ფლიგელ-ადიუტანტობა გიორგი მისცეს სრულიად ყმაწვილს".[4]

1866 წლის 25 ივლისს სოფელ ლიხნში მთელმა აფხაზობამ მოიყარა თავი, რომლებიც არ აპირებდნენ რუსეთის ხელისუფლებასთან არანაირ თანამშრომლობას. სწორედ მათთან შესახვედრად ჩადის იქ კონიარი. მას თან ახლდა აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის ვაჟი გიორგი შარვაშიძე. კონიარის ულტიმატუმს ხალხის აღშფოთება მოჰყვა. მათი დაშოშმინება ვერ შეძლო გიორგიმ. სახალხო თავყრილობის მონაწილეებმა სიცოცხლე მოუსწრაფეს კონიარს მხლებლებითურთ. ამას მოჰყვა აჯანყების დაწყება ლიხნში. დაიწყო მთელი რეგიონის მასშტაბით ცარიზმის რეჟიმის წინააღმდეგ გამოსვლები.

როგორც რუსის მთავრობის მძევალს გიორგი შარვაშიძეს იმ-

[1] შდრ. **ზ. პაპასქირი,** ნარკვევები... I, გვ. 193.

[2] **С. Лакоба,** Очерки политической истории Абхазии, Сухуми, 1990, გვ. 26.

[3] **ზ. პაპასქირი,** ნარკვევები... I, გვ. 193.

[4] **გ. შარვაშიძე,** თხზულებანი, ტ. II, გ. 131.

თავითვე არ შეეძლო თავი გამოეჩინა და აჯანყებულთა გვერდით დამდგარიყო, ამიტომ ცდილობდა მათ შეჩერებას. უფრო მეტიც. მან რეპლიკაც კი ესროლა აღშფოთებულ ხალხს „Мы не в силах бороться с русскими". მას ხალხმა მრისხანედ უპასუხა: „Нас много".[1]

სიმონ ჯანაშია: „გიორგის, რომელიც სასახლის ფანჯრიდან ცდილობდა ხალხის დამშვიდებას, უყვიროდნენ: „გწყინს განა, რომ მამაშენის ქელეხს ვმართავთ!" შემდეგ სასახლეში მყოფმა სხვა აფხაზებმა სცადეს ასეთი ხერხიც: მათ აივნიდან თავში ცემით გამოაცხადეს, გიორგი მოკლულიაო, „რა ვუყოთ, მაგის მამაც ხომ მოკლულიაო", იყო პასუხი. მაინც ამ ცნობამ ერთხანს მიაყუჩა ხალხი".[2] „რა ვუყოთ"-ს სწორედ გიორგი შარვაშიძის იმჟამინდელი ქმედებით (მას იმ მომენტში სხვანაირად არც შეეძლო მოქცეულიყო) უკმაყოფილონი გაიძახოდნენ. ამბოხებული აფხაზები უყვიროდნენ გიორგის: „გიორგი, გამოდი, თორემ შენც მოგკლავთო"... გიორგი და მისი ბიძა (მამის ძმა) ალექსანდრე იძულებულნი შეიქნენ ხალხში გასულიყვნენ. გახარებულმა ამბოხებულებმა მიხეილ შარვაშიძის მემკვიდრე გიორგი მთავრად გამოაცხადეს: „ახლა შენ ჩვენი მთავარი ხარ, საითაც წახვალ, წამოგვყვებით, საცა შენ, ჩვენც იქ უნდა დავიღუპოთო". ზურაბ პაპასქირის სიტყვები რომ გავიმეოროთ: „გიორგი შარვაშიძე ასე შეიქმნა იძულებული მათ სურვილს დაჰყოლოდა. იგი კარგად გრძნობდა თავისი მდგომარეობის ტრაგიკულობას და ღიად გამოხატავდა წუხილს შექმნილი სიტუაციის გამო".[3] ამის დასტურად მკვლევარი აფიქსირებს დოკუმენტურ მასალას, თუ რა უთხრა მან გადამწყვეტი ბრძოლის წინ თავის ბიძა ალექსანდრეს: „Меня поставили в такое положение, что не могу явиться к русским. Коьорые меня вскормили и васпитали, предпочитаю себе смерть".[4] შესაძლოა ეს სიტყვები ერთგვარად დიპლომატიური ქმედების ფარგლებში ჩაეტიოს.

ილია ჭყონია გიორგი შარვაშიძის თბილისიდან აფხაზეთში ჩასვლას ასე გადმოგვცემს: „აჯანყებულთა დასაშოშმინებლად გაგზავნეს

---

[1] Документы по истории Грузии, გვ. 112.

[2] ს. ჯანაშია, გიორგი შარვაშიძე, გვ. 14.

3 ზ. პაპასქირი, ნარკვევები... I, გვ. 193.

4 Документы по истории Грузии, გვ. 112.

თბილისიდან გიორგი, თხუთმეტი წლის ყმაწვილი. სამშობლოში შესვლისთანავე ხალხი შეხვდა, დარაზმული აღტაცებით, დროშებით, საომარი სიმღერებითა და თხოვნით – გვემთავრე, გვიწინამძღვრე, გვიშველე! ყმაწვილი აღფრთოვანდა, მოციქულობა დაავიწყდა და გადადიოდა სოფლიდან სოფელში აუარებელი ამალით, ხალხის სანუგეშებლად და გასამხნევებლად".[1]

გიორგი და მისი ბიძა ალექსანდრე არ უშინდებოდნენ ბრძოლის ველზე აჯანყებულებთან მისვლას. ხალხი მას ხვდებოდა როგორც მთავარს. მას ახლდნენ საპატიო თავკაცები და ხალხის მიერ არჩეული ოთხი პირისაგან შემდგარი საბჭო. ჯარი ახალგაზრდა მთავარს სიმღერას უმღეროდა, რომელშიაც შექებული იყო ლუხუნის გმირობა და გიორგის შურისძიება რუსების მიერ მოკლული მამისთვის.[2]

გამართლდა გიორგი შარვაშიძის ნათქვამი თავიდანვე აჯანყებულთა მიმართ: „Мы не в силах боротся с русскими". აფხაზმა ამბოხებულებმა ბევრი იბრძოლეს, თავი დადეს აფხაზეთის გადარჩენისათვის, მაგრამ ვერ გაუძლეს რუსის მთავრობის შეიარაღებულ ძალებს და დამარცხდნენ. სასტიკად იქნა ჩახშობილი აჯანყება, დაიხოცა უამრავი ადამიანი, აჯანყების წინამძღოლები ხალხის თვალწინ დახვრიტეს.[3] ეს იმიტომ გააკეთეს, რომ ხალხი აჯანყების ჩაქრობის შემდეგ მორალურად დაეთრგუნათ, სულიერად დაეტერორებინათ. მართალია, როგორც მოსალოდნელი იყო. აჯანყებამ კრახი განიცადა, მაგრამ ამბოხებულებმა ამით მშობლიური კუთხის ისტორიაში ჩაიწერეს თავი, როგორც ძალადობასთან, მონობასთან, სამშობლოს გაჩანაგება და დაკარგვასთან შეუგუებელმა მამაცებმა. 1866 წლიდან შემოვიხედოთ დღევანდელ აფხაზეთში. ბოროტების ბუდის კრემლის ინსპირირებით ამ ღვთაებრივი მხარის ძირძველმა მკვიდრმა აფხაზებმა და ქართველებმა ერთმანეთში გამოვცადეთ სისხლისღვრა, ერთმანეთი დავხოცეთ და რუსეთის ძალადობრივ რეჟიმს გავუადვილეთ აფხაზეთის სრული დაპყრობა და დამონება. ეს ზღვისპირეთის თვალმარგალ-

1 **ილ. ჭყონია,** აფხაზეთის მთავრის მემკვიდრის გ. შარვაშიძის გარდაცვალების გამო, წიგნში: გ. შარვაშიძე, თხზულებანი, II, გვ. 131.

2 **ს. ჯანაშია,** გ. შარვაშიძე (კულტურულ-ისტორიული ნარკვევები), გვ. 15.

3 **Дьячков, Тарасов,** Абхазия и Сухуми в XIX ст., Изв. корго. XX, გვ. 190.

იტი მხარე დაცარიელებულია ფაქტიურად ქართველებისაგან. ისედაც მცირერიცხოვანი აფხაზი ერის რიცხოვნობა კიდევ უფრო მცირდება. აფხაზები კარგავენ მშობლიურ მიწას, ენას, კულტურას, ადათ-წესებს, სანიმუშო მამაპაპეულ ტრადიციებს, იმყოფებიან რუსებისა და სომხების მონობაში და ხმას არ იღებენ, შეგუებულნი არიან, ალბათ, თავიანთ ხვედრს, იქნებ ნანობენ შინაგანად კიდეც ქართველებთან უშინაარსო დაპირისპირებას, ქართველებთან, რომლებთანაც ერთად ყოფნისას მთელი მეოცე საუკუნის მანძილზე ყვაოდა მათი და ჩვენი მშობელი მხარე, ყვაოდა მათი კულტურა და, რაც მთავარია, შენარჩუნებული ჰქონდათ ეროვნული მეობა, ეროვნული თვითშეგნება, მისაბაძი წეს-ჩვეულებები და ტრადიციები. ნეტავი რამდენიმე წუთით საფლავიდან წამოაყენა გიორგი შარვაშიძე და დაანახა თუ რა დღეშია მისი შთამომავალი მშობელი ხალხი, რომლის კეთილდღეობისათვის ბრძოლას შესწირა თავისი შეგნებული ცხოვრება.

ბუნებრივია, აჯანყების დამარცხების შემდეგ გიორგი შარვაშიძეს თავის მშობლიურ კუთხეში აღარ დაედგომებოდა. მოძალადე რუსები იქ როგორ გააჩერებდნენ. როგორც ილია ჭყონია წერს: „რუსის მთავრობის სამხედრო ძალამ აიძულა ის თბილისში დაბრუნებულიყო. მე ვწუხვარ, რომ გზედავ ხელმწიფის ნაღალატევსო! უთხრა მას მეფის ნაცვალმა, როცა გიორგი წარუდგა მას თბილისში ჩასვლისთანავე. — მეც ვწუხვარ, რომ თქვენთან ვხედავ ჩემს თავს და ვერ შევძელი ჩემი ერის ხელმძღვანელობაო, — პასუხად მიუგო ყმაწვილმა. დარბაზიდან გასვლისას, — განაგრძობს ილია ჭყონია, — ის შეხვდა მეფისნაცვლის მოხელეს თავის ამხანაგს, ახალგაზრდა გრაფს ტ-ს და გაუწოდა ხელი. — ჩემი ხელმწიფის მოღალატეს მე ხელს არ ვართმევო, — უთხრა ტ-მ მედიდურად და შეაქცია ზურგი... ხელმწიფის ბრძანებით გიორგის აჰყარეს ფლიგელ-ადიუტანტობა, ჩინები, ორდენები და გადაასახლეს რუსეთის რომელიღაც გუბერნიაში“.[1]

ილია ჭყონია არ აკონკრეტებს, რუსეთის რომელ მხარეში გადაასახლეს გიორგი შარვაშიძე. აფხაზი ისტორიკოსის სტ. ლაკობას მიხედვით, გიორგი შარვაშიძე გაგზავნილ იქნა სამხედრო სამსახურის

[1] **ილ. ჭყონიას** დასახ. წერილი, გ. შარვაშიძე, თხზ. II, გვ. 132.

გასაგრძელებლად ორენბურგის სამხედრო „ოკრუგში“.[1] აჯანყებაში მონაწილეობის გამო გიორგი შარვაშიძე გაათავისუფლეს კავკასიის არმიის მთავარსარდლის ადიუტანტის თანამდებობიდან და გადაიყვანეს სამსახურში ორენბურგის სამხედრო ოლქში, სადაც მან 5 წელს დაჰყო 1866 წლიდან 1871 წლამდე. ამის შემდეგ იგი სამხედრო სამსახურს გადიოდა ოდესის სამხედრო ოლქში 1871-1872 წლებში. საინტერესოდ გვიყვება ილია ჭყონია რუსეთში გადასახლებული გიორგი შარვაშიძის იქაურ ხვედრზე, მის მიერ შესრულებულ მინდობილობაზე, რასაც მოჰყვა ხელმწიფის მხრიდან მისთვის ჩინების და ფლიგელ-ადიუტანტობის დაბრუნება, სასახლეში მიწვევა. უმჯობესია ილია ჭყონიას მოვუსმინოთ:

„იქ რუსეთში გამოუჩნდნენ მას ქომაგები, რომლებმაც თავი შეადებინეს თავადს ბარიათინსკის, იმპერატორ ალექსანდრე II სიყრმის მეგობარს და მის ნაცვალს კავკასიაში აიძულეს გიორგის დახმარება. იმ დროს ყირგიზეთში მოხდა მთავრობის წინააღმდეგ არეულობა. ბარიათინსკიმ მოახსენა მთავრობას, უსისხლოდ საქმის მოგვარებას მხოლოდ დასჯილი მთავრის შვილი გიორგი შარვაშიძე შეძლებსო. მისი მოხსენება შეწყნარებულ იქნა. გიორგიმაც შეასრულა მინდობილობა. ხელმწიფემ დაუბრუნა ჩინები და ფლიგელ ადიუტანტობა, მიიწვია სასახლეში და დაიახლოვა, როგორც მთავრის შვილი. ამ დროს სასახლეში შეხვდა მას, – განაგრძობს ილია ჭყონია, – ზემოთხსენებული გრაფი ტ., რომელმაც ღიმილით გაუწოდა ხელი და მიესალმა. – მე თქვენისთანა ფლიდებს ხელს არ ვართმევო, – ზიზღით მიუგო გიორგი შარვაშიძემ და შეაქცია ზურგი. სასახლეში ყველაზე უფრო დაუახლოვდა და დაიახლოვა გიორგი ტახტის მემკვიდრის მომტანმა ძმამ, შემდეგ თვით გამემკვიდრებულმა გახელმწიფებულმაც ალექსანდრე მესამემ. ის ორნი და ილარიონ ვარანცოვ-დაშკოვი, ჩვენში ამას წინათ მეფის ნაცვლად ნამყოფი, იყვნენ განუყრელი მეგობრები“. ვაგრძელებთ ციტირებას ილია ჭყონიას საინტერესო წერილიდან: „რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს ალექსანდრე, უკვე ტახტის მემკვიდრე, სარდლობდა რუშჩუკის ლაშქარს, თან ჰყვა სამხედრო შტაბში

[1] **С.З. Лакоба**, Очерки политической истории Абзаяии, გვ. 26.

გიორგი. მხნე და საზრიანი სამსახურისთვის ომის დამთავრებისთანავე ალექსანდრემ გამოუთხოვა და ალექსანდრე II-მაც, აჩუქა გიორგის ძვირფასი ბზის ტყე გინშ-ეწერი და ნება მისცა სამშობლოში დროებით დაბრუნებისა".[1]

ილია ჭყონიას მიერ ზემოთ მონათხრობს, რომელსაც ვრცელი ადგილი დავუთმეთ, მართალია, დოკუმენტური მასალები არ ახლავს თან, მაგრამ იგი თვითონ წარმოადგენს დოკუმენტს, ვინაიდან არ გამოირიცხება მისთვის, როგორც მეგობრისთვის, ამ ფაქტების მოყოლა გიორგი შარვაშიძის მხრიდან. აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის მემკვიდრის რუსეთში ყოფნის წლებს ილია ჭყონია არ ასახელებს. კერძოდ, თუ როდის შეიწყნარა იგი რუსეთის ხელმწიფემ, როდის დაუბრუნა ჩინები და ფლიგელ-ადიუტანტობა, როდის მიიწვია სასახლეში. როგორც ითქვა მას ოდესაშიც ვხედავთ – XIX საუკუნის 70-იანი წლებს დამდეგს. ეს ირკვევა დავით ჩქოტუას ბიოგრაფიული მონაცემებიდანაც გიორგი შარვაშიძის ძიძიშვილი დავით ჩქოტუა ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ოდესაში მიემგზავრება, სადაც მას გიორგი შარვაშიძე ელოდა.[2]

ოდესის უნივერსიტეტში აბარებს გამოცდებს, იქ ეწყობა თავისუფალ მსმენელად, ხოლო სტუდენტად ჩარიცხულა 1870-1871 სასწავლო წელს. ეს ირკვევა მისი არქივიდან, სადაც დაცულია ოდესის უნივერსიტეტის მიერ დავით ჩქოტუას სახელზე გაცემული ცნობიდან: „Дано сие свидетельство от Императорского Новоросийского университета бывшему студенту второго Курса физико-математического факультета, разряда естесевенных наук из дворян князю Чкотуа Давиду в тем, что он окончении курса наук в Кутаисской гимназии и слушал профессорские лекции в продолжении 1869-1870 и 1870-1871 академических годов и на переводном экзамене получил следующие отметки".[3]

---

[1] **ილია ჭყონია**, დასახ. წერილი, გ. შარვაშიძე, თხზ. II, გვ. 132-133.

[2] მ. ჯაიანი, დავით ჩქოტუას ცხოვრება და შემოქმედება, გვ. 8.

[3] კ. **კეკელიძის** სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის საარქივო დოკუმენტების ფონდი (საბუთები დავით ჩქოუას ცხოვრების შესახებ), შდრ. მ. ჯაიანის დასახ. წიგნი, გვ. 9.

ეს დოკუმენტური ცნობა იმით არის ჩვენთვის საყურადღებო, რომ 1870-1871 წლებში დავით ჩქოტუასთან ერთად გიორგი შარვაშიძეც ოდესაშია. ეტყობა, აქ ყოფნის აღნიშნულ პერიოდში გაიცნო მან ერასტი ანდრეევსკის ოჯახი. ერასტი ანდრეევსკი იყო მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის პირადი ექიმი, ჰყავდა ცოლად ქართველი ქალი, მსახიობი ბარბარე თუმანიშვილი. ერასტის და ბარბარეს ჰყავდათ ორი ქალიშვილი — ელენე და ნინო. გიორგი შარვაშიძე ცოლად ირთავს ელენე ანდრეევსკაიას. დავით ჩქოტუამ გიორგი შარვაშიძის დახმარებით ახლოს გაიცნო ოდესის მაღალი საზოგადოება. ამის შემდეგ ორივეს პეტერბურგში ვხედავთ. 1871-1872 სასწავლო წელს დავით ჩქოტუა ტოვებს ოდესას და სასწავლებლად პეტერბურგის უნივერსიტეტში გადადის. ამ პერიოდში აქვე იმყოფება გიორგი შარვაშიძეც და ძუძუმტეს აცნობს იქაურ მაღალ საზოგადოებას.

პეტერბურგში ყოფნის 1873 წელი, ალბათ, ერთ-ერთი ბედნიერი თარიღია გიორგი შარვაშიძის პირად ცხოვრებაში. პირველად ოთარ ჭურღულიამ გაარკვია, რომ სწორედ ამ წელს გაუცნიათ ერთმანეთი ილია ჭავჭავაძეს და გიორგი შარვაშიძეს. ამასთან დაკავშირებული დოკუმენტური მასალები პირველად წამოსწია წინ მკვლევარმა და შემოიტანა სამეცნიერო ბრუნვაში. ეს ეხება 1873 წლის 12 სექტემბრით დათარიღებულ წერილს, რომელსაც დიდი ილია უგზავნის თავის მეუღლეს — ოლღა გურამიშვილის: „აქ პეტერბურგში, მე დავდივარ ჩვენ ძველ პროფესორთან ჩუბინოვთან, ვარვარა ილინიშნასთან, რომელმაც შენ სიყვარულით მოგიკითხა, ვანო ორბელიანთან, ლადო ამილახვართან და ამ დღეებში ვნახავ გიორგი შარვაშიძეს, რომელიც ჩვენთან ყოფილიყო და მე შინ არ დავხვდი, თუმცა არ ვიცნობ, მაგრამ მოსულიყო ჩემს სანახავად".

ახლა კი ყური დავუგდოთ დიდი ილიას მეორე წერილს, რომელიც თარიღდება 1873 წლის 21 სექტემბრით: „აქ ვარვარა ილინიშნა არის, ვანო ორბელიანი და გიორგი შარვაშიძე თავისი ცოლით და დითა. ხანდახან დავდივარ ხოლმე და დროს ვატარებ".[1] ამ წერილიდან კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ დროისათვის გიორგი

[1] ი. ჭავჭავაძე, თხზულბანი, X, თბ., 1961.

შარვაშიძე უკვე დაქორწინებულია. ეტყობა, მან ოდესაში ყოფნისას შეირთო ცოლად ელენე ანდრეევსკაია.

მართებულად შენიშნავს ოთარ ჭურღულია: „პეტერბურგში მათი (ილია ჭავჭავაძისა და გიორგი შარვაშიძისა – ტ.მ.) ურთიერთგაცნობა და დაახლოება შემთხვევითი მოვლენა არ ყოფილა. ამის თავდები იყო საერთო მსოფლმხედველობა, დიდი ინტელექტი, ღრმა პატრიოტიზმი და ფართო დიაპაზონის კულტურა“.[1] ოთარ ჭურღულიას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი მოაქვს საილუსტრაციოდ ილიასა და გიორგის მეგობრობისა და სულიერი ნათესაობის დასადასტურებლად. ცნობილია, რომ შექსპირის გენიალური „მეფე ლირი“ ქართულად პირველად თარგმნეს ილია ჭავჭავაძემ და ივანე მაჩაბელმა. გიორგი შარვაშიძე ყოფილა ამ თარგმანის პირველი მკითხველი და დამფასებელი 1873 წლის 19 დეკემბერს დიდი ილია მეუღლეს ატყობინებს: „იმ დღეს გიორგი შარვაშიძესთან ვიყავი, აი, მთავრის შვილი რომ არის. ამას წინათ თვითონ მოვიდა და მთხოვა: შექსპირის ტრაგედია („მეფე ლირი“), რომელიც ქართულად ინგლისურიდან გადავთარგმნეთ, წაგვიკითხეო. წავედი წასაკითხად. კარგა ბლომად ხალხი იყო და ძალიან მოიწონეს. ასე იფიქრე ქალებმა იტირეს და კაცები სულ აფერუმს იძახოდნენ“. მათი ასეთი მეგობრობა საქართველოში სიკვდილამდე გაგრძელდა. გიორგი შარვაშიძე 1875 წელს დაინიშნა გენერალ-ფელდმარშალ თავად ალექსანდრე ბარიატინსკის ადიუტანტად, ხოლო 1879 წელს მას ებოძა იმპერატორის ფლიგელ-ადიუტანტობა, 1587 წელს კი – პოლკოვნიკობა.

გიორგი შარვაშიძე უდიდესი პატრიოტი იყო საქართველოსი, მისი უმშვენიერესი კუთხის – მშობლიური აფხაზეთისა. იგი პეტერბურგიდან გრძნობდა თუ რა შავ დღეში იყო მისი სამშობლო რუსეთის ძალადობრივი რეჟიმის შედეგად. ის პირად კეთილდღეობაზე მაღლა თავისი ქვეყნის ინტერესებს აყენებდა. აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შვილი გამოირჩეოდა პრინციპულობით, ჰუმანიზმით, ქედუხრელობით, სულიერი მამაცობით და გამბედაობით. მისთვის მთავარი იყო მშობელი ერის ღირსების დაცვა, მისი დახსნა ეროვნული ჩაგვრისაგან.

[1] ო. ჭურღულია, შარვაშიძეები, გვ. 35-36.

გამომდინარე აქედან, მას ეზიზღებოდა თავისი ხალხის დამმონებელი მოძალადე რუსეთის ხელისუფლებისაგან მიღებული ნებისმიერი ჯილდო. გიორგი შარვაშიძის დაკრძალვაზე წარმოთქმულ თავის შესანიშნავ სიტყვაში სოხუმის ყოფილი მოურავი ნიკო თავდგირიძე ხაზს უსვამს ამ სწორუპოვარი აფხაზის პიროვნულ თვისებებს და ეროვნულ შემართებას: „შესანიშნავი იყავი ჩვენს ცხოვრებაში, როგორც სულიერად ძლიერი, ჩვეულებრივ საზოგადოების აზრ-მისწრაფებათა მაღლა მდგომი პირადობა. გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ შენ ერთადერთი გამონაკლისი, მაგალითი იყავი მთელ ჩვენ საკმაოდ მრავალრიცხოვან მთავრების მემკვიდრეთა და უმაღლეს არისტოკრატიის წევრთა შორის, რომელმაც ქედი არ მოიხარე, მეორე ოდნავადაც არ დაიმცირეთ და უმაღლეს არისტოკრატიის წევრთა შორის, რომელმაც ქედი არ მოიხარე, მცირეოდნავაც არ დაიმცირე ღირსება შენი ერის მჩაგვრელ, შენს ხალხზედ ძალით გაბატონებულ ძლიერ სახელმწიფოებრივ მმართველობის წინაშე; დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ყველა შენი დროის და შენი წრის ოჯახობა დიდ ბედნიერებად და საოცნებო ნეტარებად ჩათვლიდა იმ ჯილდო-წარჩინებას, რომელსაც შენ ზიზღით უარ-ყოფდი. ვინ არ იცის, თუ რამდენი მსხვერპლით და ტანჯვა-წვალებით მიისწრაფოდნენ ყველა ჩვენი არისტოკრატიის წევრნი სასახლის ყურადღება-წყალობის დამსახურებისკენ, შენ კი ყმაწვილობიდან გეზიზღებოდა ყოველივე ის სიკეთე, რომელიც რუსეთის ტახტიდან გამომდინარეობდა“.[1]

გულით ნათქვამი ეს სიტყვები ეკუთვნის იმ პიროვნებას, რომელიც ახლოს იცნობდა ფიზიკურად გიორგი შარვაშიძეს, მის ბუნებას, სულიერ ავლადიდებას, ადამიანობას, ეროვნულ და ჰუმანურ განწყობას. ძნელია უკეთესად გამოხატოს ადამიანმა თავისი მედგარი თანამედროვის სულიერი ძლიერება და სილამაზე. ეს სიტყვა მუდამ დარჩება მისაბაძ მაგალითად იმისა, თუ როგორ უნდა ფასდებოდეს სამშობლოსთვის თავგანწირული პიროვნების ღვაწლი და ამაგი. ნიკო თავდგირიძემ ამ სიტყვების უკან დაგვანახა გიორგი შარვაშიძის სახ-

[1] ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, №10, 1918; შდრ. გ. შარვაშიძე, თხზ., II, გვ. 36-37.

ით ბედთან შეურიგებელი მებრძოლი, უშიშარი და მამაცი ადამიანი, ჭეშმარიტი მამულიშვილი, უებარი ბუნების მატარებელი კაცი, პირადული კეთილდღეობის უარმყოფელი სხვათათვის სიკეთის მინიჭების ხარჯზე, რაც მთავარია, მშობლიური ქვეყნის სამსახურში მუხლჩაუხრელად ჩამდგარი სულიერად უტეხი ჯარისკაცი.

გიორგი შარვაშიძეს ყველაზე უკეთ ესმოდა, თუ შენი სამშობლო შენ არ გეკუთვნის, თუ შენი მშობელი ხალხი დამონებული და დაჩაგრულია, თუ შენი ენა წაბილწულია, თუ შენი ერის კულტურა, ტრადიციები, ადათ-წესები, ღირსება ფეხქვეშ გათელილია, მაშინ რა აზრი აქვს ადამიანის ცხოვრებას თავადი იქნება იგი თუ გლეხი. მან სასტიკი უარი თქვა პირად კეთილდღეობაზე, რუსეთის იმპერატორის სასახლის კარზე, თბილად და უშფოთველად ყოფნაზე. ხელმწიფისგან მიღებულ ჩინ-მედლებზე, ფლიგელ-ადიუტანტობაზე, ალექსანდრე მესამესთან მოყვრულ ურთიერთობაში ყოფნაზე. გული აიცრუა პეტერბურგზე, სადაც მაღალი საზოგადოების წრეში ტრიალებდა. მოულოდნელად დატოვა იქაურობა და თავის ბედდამწვარ სამშობლოს მოაშურა. როგორც გერონტი ქიქოძე იტყოდა: „რომანოვების კარისკაცობას თავისი ჩაგრული სამშობლოს მოქალაქეობა ამჯობინა და საქართველოში დაბრუნდა“. ბიოგრაფიას თარიღების სიზუსტე უყვარს. ვერ ხერხდება ზუსტი თარიღის დადგენა, თუ რომელ წელს დაბრუნდა იგი საქართველოში. კონკრეტულად ეს ხდება XIX საუკუნის 70-იანი წლების შუა ხანებში. 1875 წელს რომ იგი უკვე თბილისშია, ამას ადასტურებს ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი. გიორგი შარვაშიძეს აღმოსავლეთ საქართველოში საკუთარი მამულები ჰქონდა, უფრო სწორად. მეუღლის მამულები. კავკასიაში მეფისნაცვლად ნამყოფი მიხეილ ვორონცოვის პირადი ექიმი ერასტი ანდრეევსკი დიდი ოჯახის პატრონი იყო. მას საქართველოშიც ჰქონდა მამულები, რომელიც ანდერძით ქალიშვილებს – ელენეს და ნინოს დაუტოვა. გიორგი შარვაშიძის მეუღლე იყო ელენე. მათ ქონებას ვინმე ანიშჩენკო განაგებდა. ის საქმის არმცოდნე ყოფილა, რომელიც ერასტი ანდრეევსკის გარდაცვალების შემდეგ გიორგი შარვაშიძეს ამ მოვალეობისგან გაუთავისუფლებია. მის ადგილას დაუნიშნავს გერმანელი მიხეილ ვეისენფელტი. ამას ადგილი

ჰქონია 1875 წელს. ვერც მას გაურთმევია თავი მოვალეობისათვის. ამის შემდეგ გ. შარვაშიძემ გადაწყვიტა პეტერბურგიდან გამოეხმო თავისი ძიძიშვილი დავით ჩქოტუა, რომელიც დათანხმებულა, ჩამოსულა თბილისში და 1875 წელს და პირველი მაისიდან შესდგომია თავისი მოვალეობის შესრულებას.[1]

ამ ფაქტის გახსენება იმისათვის დაგვჭირდა, რომ გვეჩვენებინა უკვე 1875 წლისთვის გიორგი შარვაშიძის თბილისში ყოფნა. რუსის მთავრობა მას მუდამ ეჭვის თვალით უყურებდა, ვინაიდან გრძნობდა, რომ მასში ძლიერი იყო ეროვნული მუხტი. მუდამ ცდილობდა მისთვის პროვოკაციის მოწყობას, რაშაც არც დაახანა. 1876 წლის 22 იელისს გიორგი შარვაშიძის ცოლის და, ნინო ანდრეევსკაია, გაურკვეველ სიტუაციაში მტკვარში დამხრჩვალა. აუცილებლად უნდა ვიფიქროთ, რომ იგი მოწყობილი იყო მეფის ხელისუფლების მიერ, რათა ეს ყველაფერი გადაებრალებინათ გიორგისთვის. სამართლიანად შენიშნავს ოთარ ჭურღულია: „ადგილობრივმა მთავრობამ ჯერ ყრუ ხმები დაარხია გარკვეულ არისტოკრატიულ წრეებში, რომ ვითომ გ. შარვაშიძემ ანგარების მიზნით (თითქოს ნინოს სიკვდილის შემდეგ მისი ქონება გ. შარვაშიძეს დარჩებოდა) გადაადგმევინა ეს ნაბიჯი დავით ჩქოტუას. ეს იყო ყოვლად უსინდისო, ყოვლად წრეგადასული უსაფუძვლო ბრალდება და აშკარა ცილისწამება. გ. შარვაშიძე იცნობდა თავისი სიმამრის ანდერძს, სადაც გარკვევით იყო აღნიშნული, რომ, ვინიცობაა, თუ ნინოს რაიმე მოუვიდოდა, მემკვიდრეობა ძმაზე გადავიდოდა და არა სხვა ვინმეზე. ეს იყო მეტად მიამიტური ბრალდება“. [2]

თბილისის პოლიციამ ნინო ანდრეევსკაიას დაღუპვასთან დაკავშირებით დააკავა ანდრეევსკაიას სახლში მყოფი ყველა მსახური. მთავარ დამნაშავედ ცნეს დავით ჩქოტუა. ეს შეგნებულად გაკეთდა, რათა კვალი გიორგი შარვაშიძემდე მისულიყო, რომლის უშუალო დავალებით შეესრულებინოს თითქოს ძიძიშვილს ეს დანაშაული. ამით სურდა მეფის ხელისუფლებას გიორგი შარვაშიძის დადანაშაულება, რომელიც თვალში არ მოსდიოთ: „კავკასიაში მეფისნაცვალს, რომ-

[1] **მ. ჯაიანი,** დავით ჩქოტუას ცხოვრება და შემოქმედება, გვ. 17.

[2] **ო. ჭურღულია,** დავით ჩქოტუა, სოხუმი, 1969, გვ. 57.

ლის სინდისზე იყო გიორგის მამის, აფხაზეთის მთავრის მიხეილ (ჰამუთ-ბეის) შარვაშიძის დაღუპვა და ახლა სურდა, რაც მამას დააკლო, შვილზე ეყარა ჯავრი“.[1] თუმცა რუსის მთავრობამ ვერ შეძლო განსასჯელის სკამზე დაესვა გიორგი შარვაშიძე და დავით ჩქოტუაზე მიიტანა იერიში.

ქართველი საზოგადოება აღაშფოთა მეფის ხელისუფლების უმსგავსო საქციელმა. იგი მხარში ამოუდგა უდანაშაულოდ შეურაცხყოფილ გიორგი შარვაშიძეს და დავით ჩქოტუას. სერგეი მესხი გაზ. „დროებაში“ წერდა: „დასამალავი აღარ არის, რომ საზოგადოება რამდენიმე პირს აბრალებს ამ საქმეში მონაწილეობის მიღებას. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს ბრალდება ყოვლად უსაფუძვლოა... გამოძიებამ ნამდვილი მკვლელები უნდა აღმოაჩინოს“. თვითონ ნინოს დედა ბარბარე თუმანიშვილი უარყოფდა ამ უბედურ საქმეში გიორგი შარვაშიძის და დავით ჩქოტუას მონაწილეობას. სასამართლოს სხდომაზე მან განაცხადა: „ნინოს წყალში ბანაობა არ უყვარდა. ოდესაში ყოფნისას ორი წელი წყალში არ ჩასულა. თუ ჩავიდოდა პერანგისა და მისი ამხანაგის გარეშე არა... ძალიან მაწუხებს, რომ ამ საქმეს ჩემს სიძეს (გიორგი შარვაშიძეს) და დავით ჩქოტუას აბრალებენ. დავით ჩქოტუამ თქვა იმ დღეს, რომ ხვალ ქუთაისს უნდა წავიდეო, გიორგი შარვაშიძისგან დეპეშა მომივიდა, ხმალი უნდა წავუღოო. არავითარი უკმაყოფილება ნინოს დავით ჩქოტუასთან არ ჰქონია“.[2] საქმე იმით დასრულდა, რომ გიორგი შარვაშიძე ციხეში ვერ ჩასვეს, ხოლო დავით ჩქოტუას გამოუტანეს სასტიკი განაჩენი — გადაასახლეს შორეულ ციმბირში და მიუსაჯეს 20-წლიანი კატორღა.

სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული აზრით, ნინო ანდრეევსკაიას დაღუპვას პოლიტიკური სარჩელი ედო საფუძვლად. პროცესი იქითკენ მიჰყავდათ, რომ დამტკიცებულიყო დავით ჩქოტუას „მოქმედება“ გიორგი შარვაშიძის წაქეზებით. თითქოს მას ეს ყველაფერი სჭირდებოდა ნინო ანდრეევსკაიას ქონების ხელში ჩასაგდებად. „ამით, რასაკვირველია, ჩირქი ეცხებოდა ცარიზმის თვითმპყ-

[1] ს. ცაიშვილი, წინამორბედნი და თანამედროვენი, თბ., 1986, გვ. 157.
[2] ს. მესხი, სასამართლო საქმე, გაზ. „დროება“, 1878 №49.

რობელობის ისეთ მოძულე პიროვნებას, როგორიც იმ დროს. აფხაზთა უკანასკნელი მემკვიდრე იყო. ყველაფრიდან ჩანს ისიც, რომ ამ საქმის გამწვავებაში პირადად იყო გარეული კავკასიის მეფისნაცვალი, რომელმაც ჯერ გადააყენა და შემდგომ პატიმრობაში ამოხადა სული აფხაზეთის უკანასკნელ მთავარს მიხეილ (ჰამუთ-ბეგ) შარვაშიძეს. მერე მთელი ცხოვრების მანძილზე დევნიდა მის ვაჟს, აფხაზთა სამთავრო ტახტის უკანასკნელ პრეტენდენტს გიორგი შარვაშიძეს".[1]

ახლა გავეცნოთ ერთ საინტერესო ცნობას: „ამბობენ, ვითომც თ. გიორგი შარვაშიძეს, რომლის სახელი ანდრეევსკის ქალის პროცესში არაერთხელ არის ნახსენები, დაუწერია რუსული კომედია თუ დრამა, სახელად „Человек преследуемый судьбою", რომელიც ავტორს წარუდგენია „მოსკოვის უწყებებისა" და „რუსის მოამბის" რედაქტორის უფ. კატკოვისათვის, ამ უკანასკნელ ჟურნალში დასაბეჭდად. უფ. კატკოვმა ეს თხზულება დასაბეჭდად ვერ მიიღო, რადგან ავტორს დრამატული თხზულებებისა და სცენის მოთხოვნილების ცოდნა აკლიაო, მაგრამ, ამასთანავე, ისიც ეთქვა, რომ უეჭველია, ამის დამწერი ძლიერ ნიჭიერი და ჭკვიანი კაცი უნდა იყოსო, ამბობენ ამას გარდა, ვითომ უფ. კატკოვს ეთქვას, რომ ამ თხზულების დამწერი კაცი ბოროტი კაცი არ უნდა იყოსო; ანდრეევსკის ქალის მკვლელობაში იმას მონაწილეობა არ უნდა მიეღოსო".[2] ასე რომ, უდავო ფაქტია გიორგი შარვაშიძის მიერ 1878 წელს პიესის — „ბედისაგან დევნილი კაცი" შექმნა, რომელშიაც დავით ჩქოტუას თავგადასავალზეა საუბარი. იგი ჯერჯერობით დაკარგული ჩანს.

პეტერბურგიდან საქართველოში XIX საუკუნის 70-იანი წლების შუახანებში დაბრუნებული გიორგი შარვაშიძე ხან თბილისში ცხოვრობს, ხან ქუთაისში (უფრო მეტად ქუთაისში). აფხაზეთის შემდეგ ქუთაისზე მამამისიც ყოფილა შეყვარებული. კვლავ გავიხსენოთ, რომ სამთავრო ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ იგი აფხაზეთში ითხოვდა ცარიზმის ხელისუფლებისაგან დარჩენას. თუ ეს შეუძლებელი იქნებოდა, შემდეგ ასახლებდა ქუთაისსა და რაჭას. აქ გიორგი შარვაშიძე გვევ-

[1] **მ. ჯაიანი**, დავით ჩქოტუას ცხოვრება და შემოქმედება, გვ. 27.

[2] **ს. მესხი**, „ანდრეევსკის ქალის მკვლელობა", გაზ. „დროება", 1878, №187.

ლინება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიურ წევრად: „იგი ყოველთვის გვერდით ედგა ქართველ თანამოძმეებს ეროვნული მეობის, კულტურის, ენის დაცვასა და განვითარებაში, მშობლიური სალხის სისხლით ნაწერი ისტორიის ფალსიფიკატორების წინააღმდეგ ბრძოლაში, რუსეთის კოლონიური პოლიტიკის მხილებაში“.[1]

გიორგი შარვაშიძე თანამოაზრე იყო ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთელის, ანტონ ფურცელაძის, მამია გურიელის, იონა მეუნარგიას, თედო სახოკიას და სხვ.. ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებიც მაღალ შეფასებას აძლევდნენ მის ნიჭს, ადამიანობას, ეროვნულობას, ერუდიციას, მგოსნობას. განსაკუთრებული იყო გიორგი შარვაშიძისა და აკაკი წერეთელის მეგობრობა. ამ ჩინებულ აფხაზ მოღვაწეს ლიტერატურული ურთიერთობა და პოეტური პაექრობა ჰქონია ვახტანგ ორბელიანთან, კონსტანტინე ერისთავთან, იასონ გელოვანთან, მამია გურიელთან, ნიკო დადიანთან, კოწია დადიანთან“.[2]

გიორგი შარვაშიძე რომ მონაცვლეობით თბილისსა და ქუთაისში ცხოვრობს 1876-1878 წლებში. ეს ნათლად ირკვევა ნინო ანდრეევსკაიას მკვლელობის სასამართლო ოქმებში. ეს ოქმები სისტემატურად იბეჭდებოდა გაზეთ „დროებაში“.[3] ამ ოქმებში ხშირად ფიგურირებს გიორგი შარვაშიძის გვარსახელი. ნინო ანდრეევსკაიას მკვლელობის გამომძიებელი პირველი სასამართლო სხდომა შედგა 1878 წლის 27 თებერვალს. სასამართლო ოქმის ბოლოში ვკითხულობთ: „შემდეგ მოწმეები დააფიცეს. მოწმეთა რიცხვი 100-მდე იყო, მაგრამ ნახევარი არ გამოცხადებულა. სხვათა შორის არ მოსულან არც თ. გ. შარვაშიძე, არც ანჩაბაძე და არც მოკლულის ნინო ანდრეევსკაიას დედა.[4]

სასამართლო პროცესის მესამე სხდომა გაგრძელდა მოწმეების ჩვენებების მოსმენით. ალექსანდრე ონიკოვი: „მე, ივანე პოლტარაცკიმ და ბესარიონ ღოღობერიძემ, ანდრეევსკის ქალისა და გიორგი შარვაშიძის თხოვნით გავყავით ამათ შუა მამულები. როგორც ეტყობოდა,

[1] ო. ჭურღულია, შარვაშიძეები, გვ. 27.

[2] С. Хуцишвили, „Тогда звучит моя мира“ „Вечерний Тбилиси“, 1971, №5.

[3] ოქმების მასალები თავმოყრილია მ. ჯალიანის წიგნში: „დავით ჩქოტუას ცხოვრება და შემოქმედება“, გვ. 281-312.

[4] გაზ. „დროება“, 1878, №43, გვ. 3-4.

ორივე მხარეები კმაყოფილნი იყვნენ“... პეტრე ლევანიძე (ა. ონიკოვის ბიჭი) – იგი წილისყრას დასწრებია ანდრეევსკის სახლში. ბატონმა მიბრძანა პატარა ბიჭი ამომეყვანა წილის ამოსაღებად, როცა ბიჭმა გ. შარვაშიძის წილი ამოიღო, მან ჩახის სმა მიატოვა და სმა ამოულებლად წავიდაო“. ბესარიონ ღოღობერიძე: „23 ივლისს 1876 წელს მივიღე ქუთაისში თფილისიდამ ტელეგრამა, რომელშიაც ეწერა, რომ ნინო ანდრეევსკაია ძაან ავად არისო და გადაეცით გ. შარვაშიძეს, რომ მოვიდესო. მეორე დღესვე გ. შარვაშიძე და ანჩაბაძე თბილისში ჩამოსულან. ცოტა ხნის შემდეგ თვითონაც თბილისში ჩამოსულა, მაგრამ გ. შარვაშიძესთან საუბარი არ ჰქონია“...[1] ამავე ოქმში ვკითხულობთ: „ღოღობერიძისათვის დავით ჩქოტუას გაუგზავნია ქუთაისში ტელეგრამა, ნინო დაიხრჩოო იმიტომ არ დაუწერია, რომ გ. შარვაშიძე ძლიერ შეწუხდებაო“.[2]

მეოთხე სხდომაზე ნინო ანდრეევსკაიას დედის ბარბარე თუმანიშვილის ჩვენება: „ნინოს წყალში ბანაობა არ უყვარდა. ოდესაში ყოფნისას ორი წელი წყალში არ ჩასულა. თუ ჩავიდოდა, პერანგისა და მისი ამხანაგის გარეშე არა... ძალიან მაწუხებს, რომ ამ საქმეს ჩემს სიძეს (გ. შარვაშიძეს) და დ. ჩქოტუას აბრალებენ. დ. ჩქოტუამ თქვა იმ დღეს, რომ ხვალ ქუთაისს უნდა წავიდეო, გ. შარვაშიძისგან დეპეშა მომივიდა, ხმალი უნდა წავუღოო“.[3] ამავე სხდომაზე წაუკითხავთ თ. გ. შარვაშიძისა და თ. დ. ანჩაბაძის ჩვენება.[4]

მეხუთე სხდომაზე სიტყვა პროკურორს წარმოუთქვამს: „ანდრეევსკის ქალის სიკვდილმა აალაპარაკა არა მარტო თბილისი, არამედ მთელი კავკასია. პერიოდულ პრესაში ყველგან იწერებოდა ამ მკვლელობის შესახებ მოწინავე სტატიები, ფელეტონები, შენიშვნები. საზოგადოების ინტერესიც დიდი იყო ამ მკვლელობისადმი. დღესაც ასეთივე ინტერესით ადევნებდა თვალს საზოგადოება ამ საკითხს“. პროკურორი მოკლედ ყვება საქმის ისტორიას: „ოდესიდან ჩამოდის დედა-შვილი მამულების გასაყოფად, რომელიც ნინო ანდრეევსკაიას

[1] გაზ. „დროება“, 1878, №43, გვ. 2-3.
[2] გაზ. „დროება“, 1878, №43, გვ. 2-3.
[3] გაზ. „დროება“, 1878, №46, გვ. 3.
[4] იქვე.

საერთო ჰქონდა თავის დასთან კ-ნა ელენე შარვაშიძესთან. ამ დროსვე ჩამოვიდნენ თბილისში (ალბათ ქუთაისიდან — ტ.მ.) თ. გ. შარვაშიძე და მისი ვექილი თ. დ. ანჩაბაძე. ანდრეევსკისამ თავის მხრით დანიშნა უფ. ონიკოვი. გაყოფის შემდეგ თითქოს კმაყოფილები დარჩნენ. ამის შემდეგ თ. გ. შარვაშიძე წავიდა ქუთაისში და დედა-შვილი გადავიდნენ გ. შარვაშიძის მამულში სასტუმროდან, მტკვრის პირას"...[1] ამავე სხდომაზე გახმოვანდა პროკურორის პირით: „არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ჩემთვის იმას, თუ რისთვის, რა ინტერესით მოკლეს ის ბრალდებულთა. საზოგადოებაში. სხვადასხვა მიზეზს ამბობენ, სხვათა შორის, თ. გ. შარვაშიძეს მიაწერდნენ მონაწილეობას. მაგრამ ვიმეორებ. ამას ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენთვის მხოლოდ ის არის საკმარ, რომ ამათ მოკლეს ნ. ანდრეევსკისა".[2] „ამათში" პროკურორი გულისხმობდა დ. ჩქოტუას, ნ. ჩქოტუას, პ. გაბისონიას და, როგორც წამოცდა, გ. შარვაშიძესაც.

1878 წლის 26 ნოემბრის სასამართლო პროცესზე გიორგი შარვაშიძე ადვოკატ სპასოვიჩის შეკითხვაზე პასუხობს შემდეგს: ნინო ანდრეევსკაიას დახრჩობისას იგი ქუთაისში იმყოფებოდა. ამასწინათ კი სამეგრელოში — გორდში თ. მინგრელსკისთან, დილით 23 ივლისს 1876 წელს ჯერ კიდევ ლოგინში მწოლარეს მოუტანეს დ. ჩქოტუას ტელეგრამა, რომელშიც ეწერა, რომ ნინო ძალიან ცუდად არის და უნდა ჩამოხვიდეო. იმ დღესვე მოდის ქალაქში. მეორე თუ მესამე დღეს შეიტყობს, რომ ნინო დამხრჩვალი ჩამოუტანიათ ქალაქში. პირველად რომ ვერც ვიცანი, ისეთნაირად იყო გაბერილი და გასვრილი ტალახით. მარცხენა თითი ჰქონდა გაფუჭებული და იმით ვიცანი.

დ. ჩქოტუას ყმაწვილობიდანვე ვიცნობდი; შემდეგ როცა ოდესაში ვმსახურობდი, იქ ხელ-ახლად გავიხსენეთ ნაცნობობა და ბოლოს პეტერბურღის უნივერსიტეტში გადავიდა, იქაც ხშირად ვხედავდი. იქიდამ გამოვგზავნეთ ჩვენ ის ანდრეევსკის მამულების გამგებლად. ოდესიდამ, მე, ჩემი სიდედრი ბარბარე ანდრეევსკისა და ჩემი ცოლის და — ნინო ერთად წამოვედით. მამულის გაყოფისათვის მედიატო-

[1] გაზ. „დროება". 1878, №48, გვ. 1, 3, 4.

[2] იქვე, გვ. 4.

რების მოსამართლეებად ამოვირჩიეთ: ალ. ონიკოვი, ბ. ღოღობერიძე და დ. ანჩაბაძე. მართალია, რომ ჩემი წილი მხვდა, მიცვალებულმა (ნინომ) მითხრა: თუ გინდა გავცვალოთ ერთმანეთში ჩვენი წილიო. მე არ დავთანხმდი. ჩემი სიდედრი მე წავიყვანე აქედამ ოდესაში; მერე ვარშავაში წავედი და მას აქეთ მე ის აღარ მინახავს, ასე, რომ მე ვერ შემიძლიან გითხრათ — თუ რას ჰფიქრობს, ან ვის აბრალებს თავის ქალის მოკვლას...[1]

1876 წლის „დროებაში“ (№82) ვკითხულობთ: უფ. დ. ჩქოტუას დაჭერის მიზეზი ის იყო, როგორც ამბობენ, რომ იმ დღეს (ხუთშაბათს) როგორც ანდრეევსკის ქალი მოკლეს, როგორც ზოგიერთ მოწმეს უჩვენებიათ, იმის ბრძანებით ყველა ძაღლები დაუმწყვდევიათ და ამას გარდა ეზოში დასისხლიანებული ცული უნახავთ, რომლითაც წინა დღეს ორი, რომელიც უფრო ავი ძაღლი ყოფილა, ამავე ჩქოტუას ბრძანებით მოუკლავთ ბიჭებს. უ. ჩქოტუა ამბობს „ცოფი იყოო... შინაურები კი არ ამტყუნებენ. თ. გ. შარვაშიძე და ტ. დ. ანჩაბაძე წავიდნენ ქალაქიდამ, პირველი ამათგანი, როგორც ამბობენ, თავის ცოლის შესარიგებლად წასულა, რომელსაც ამ დღეებში აქ მოელიან, ანდრეევსკის ვაჟი კი ქალაქში ამჟამად ვერ მოდის.[2]

ამჯერად ჩვენს ყურადღებას იქცევს ოდესიდან მომავალი ცოლის ელენე ანდრეევსკაიას შესარიგებლად გიორგი შარვაშიძის გასვლა ქალაქიდან. მას არასდროს ჰქონია მშვიდი და მყუდრო ცხოვრება, არც დაქორწინების შემდეგაც. სათანადო დოკუმენტიდან ჩანს, რომ ცოლი უმეტესწილად ოდესაშია, გიორგი შარვაშიძე კი — თბილისსა და ქუთაისში. არცთუ იშვიათად უბრად არიან ერთმანეთის მიმართ. ამან, ალბათ, უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო ელენეს დის — ნინოს დაღუპვის შემდეგ.

ყურადღებას იქცევს შორეული ციმბირიდან კატორღაში მყოფი დავით ჩქოტუას მიერ ვასილ პეტრიაშვილისადმი ოდესაში გაგზავნილი წერილის (დათარიღებულია 1886 წლის 13 იანვრით) ნაწყვეტი: „რაც შეეხება ელენეს ხანგრძლივ ყოფნას ოდესაში, ალბათ, ამას

[1] გაზ. „დროება“, 1878, №244, გვ. 2-3.
[2] გაზ. „დროება“, 1876, №82.

უფრო სერიოზული მიზეზი აქვს, რაც ძალიან მწყინს, როგორც მის მოყვარულსა და პატივისმცემელს, რადგან იგი, რაც არ უნდა იყოს, უფრო უკეთეს ხვედრს იმსახურებს". ამავე ბარათის ბოლო მინაწერში ვკითხულობთ: „თუ რაიმე განსაკუთრებული გარემოება არ დაგაბრკოლებს (მიემართება ვასილ პეტრიაშვილს – ტ.მ.), როდისმე შეიარე ელენესთან და იმის მიხედვით, თუ რა გონებაზე დაგხვდება... გადაეცი ჩემი მოკითხვა და დარწმუნება, რომ მე მის შესახებ მუდამ საუკეთესო აზრის ვარ, რა დამოკიდებულებაც არ უნდა არსებობდეს მასა და გიორგის შორის". ეს იმაზე მიუთითებს, რომ დავით ჩქოტუასთვის (ალბათ, ვასილ პეტრიაშვილის შეტყობინებით) შორეულ ციმბირშიც კი ცნობილი ყოფილა გიორგი შარვაშიძისა და ელენე ანდრეევსკაიას ცოლ-ქმრულ ურთიერთობაში არსებული უბრობის შესახებ. არ არის გამორიცხული, გიორგი შარვაშიძის და ელენე ანდრეევსკაიას ცოლქმრული ურთიერთობის ხელისშემშლელი ფაქტორი ყოფილიყო ეჭვიანობა ცოლის მხრიდან ქმრისადმი. ამას ადასტურებს სოლომონ ლეკიშვილის მიერ იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში აღმოჩენილი ლექსი, რომელიც ეკუთვნის გიორგი შარვაშიძეს. ლექსს ჰქვია „ელოს". გავეცნოთ მას:

„ქალო, ნუ ჰრწმუნობ იჭვნეულობას,
უწინდელებრივ მე ვსუნთქავ შენით,
და ამ გავლენას, შენგან ჩემდამი
ვერას დააკლებს წელი წელთ რბენით.
თუმცა გუნდრუკსა ვუკმევდი სხვათა,
შენ კი გფარავდი გულის ტაძარში,
თაყვანსა ვცემდი ახალ ხატებსა,
მაგრამ ვით ვცემდი ახალ ხატებსა,
მაგრამ ვით ლეკი რუსის საყდარში".[1]

ეს ლექსი უთარიღოა, ასევე უთარიღოა გიორგი შარვაშიძის მეორე ლექსიც „ელოს მარაოზე":

---

[1] **ს. ლეკიშვილი,** გიორგი შარვაშიძე (დოკუმენტური მასალები), საქართველოს მთავარი საარქივო სამმართველოს „საისტორიო მოამბე", №31-32, თბ., 1975, გვ. 257 (ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმი, დოკ. №112).

„ღიმილთ მპარაო, ოხერის მფარაო,
კეკლუცთ მარჯვნითა ლაღ საჭირავო,
ნიშნად „კმარაო“, „მისაკარაო“,
თუ ვინმემ რამ ილაზღანდარაო.
ჟრჟოლის მქარაო, ცხელ-სადარაო,
გულის ერთგულო, პირის კარაო
არსად არაო, ხარ სად არაო!
სულო მარაო, ჩემო მარაო“.[1]

როგორც სოლომონ ლეკიშვილმა გაარკვია, ეს ლექსი წარმოადგენს მამია გურიელის ამავე სახელწოდების სალაღობო ლექსის პასუხს:

„აჲო მარაო, მტრის სახმარაო, უტიფარაო, გრძნობებთ მპარაო!
ლხინის ზარაო, გულის მზარაო, ჭმუნვის მქარაო, არ საზარაო;
ხან მწუხარაო, დამსაჯარაო, ხან ხუმარაო, მთლად დამტკბარაო!
ჩუმ-უბარაო, დაუბარაო, რომ ხარ მზარაო? ვინ გაჯავრაო?
ნუ მკლავ, კმარაო, დაუწყნარაო, არ მრქვა არაო, შენ მასხარაო!
სულ სხვა გვარაო, მოუგვარაო, მე შენი ჭირი შემეყარაო!...[2]

ლექსი დაწერილია 1879 წლის 10 აგვისტოს. სოლ. ლეკიშვილი წერს: „ვინაიდან ცხადია ორი პოეტის ერთი და იგივე ადრესატისადმი მიძღვნილი ამ ლექსების ურთიერთკავშირი, გ. შარვაშიძის ლექსი უნდა დავათარიღოთ მამია გურიელის ლექსის დაწერის თარიღით, ე.ი. 1879 წლით“. მკვლევარი იქვე განაგრძობს: საყურადღებოა, რომ ელო ერასტის ასული ანდრეევსკაია (შვილი ცნობილ ექიმ ანდრეევსკისა და ერთ-ერთი პირველი ქართველი აქტიორი ქალისა — ბარბარე თუმანიშვილისა) არა მარტო ღირსეული მეუღლე იყო გ. შარვაშიძისა, არამედ ქართული ენის კარგი მცოდნე და ლიტერატურულ წრეებში მიღებული პიროვნებაც. მას ლექსები მიუძღვნეს კოწია და ნიკო დადიანებმა. კოწია დადიანი: „ბედმან სრულად პატივი გცა და შეგყარა შენი ფარდი, რომლის გამოც დაუმჭკნარად ყვავილდები ვითა ვარდი, შენაც შენის სიბრწყინვალით განიქარვე ყოვლი დარდი, ამად მეცა პატივსა გცემ, ანგელოზებრ შემიყვარდი“.[3]

[1] ს. ლეკიშვილი, გიორგი შარვაშიძე (დოკუმენტური მსალები), „საისტორიო მოამბე“, №31-32, თბ., 1975, გვ. 254.
[2] იქვე, გვ. 291.
[3] იქვე, გვ. 282.

ეტყობა ოჯახური იდილიის რღვევამ კალაპოტიდან ამოაგდო გიორგი შარვაშიძე, მისთვის შეუფერებელ ცხოვრებას მიჰყო ხელი, რაც გზააბნეულობამდე დასულა. დავით ჩქოტუას, რომელიც საკატორღო სასჯელს იხდიდა შორეულ ჩიტას გუბერნიაში, ყურსაც მისწვდა თურმე ძუძუმტის ასეთი არასასურველი მდგომარეობა. იმავე წერილში იგი ვასილ პეტრიაშვილს უმხელს გულისტკივილს: „ძალიან შემაწუხა გიორგის ამბავმა, თუმცა არ მჯერა იგი მის ასაკში ასეთ უმსგავსო ცხოვრებას ეწეოდეს, როგორც ამას ამბობენ ადამიანები, რომლებიც სხვის თვალში ბეწვს ხედავენ, ხოლო საკუთარში დირესაც ვერ ამჩნევენ. მაგრამ ჩემთვის უეჭველია ის, რომ იგი (გიორგი) თავისი ხასიათის ინერტულობის გამო, მეტისმეტად რჩება გარემომცველ წრეში და ყველა წარუმატებლობისა და იმედგაცრუების შემდეგ, გზააბნეულ ცხოვრებას ეწევა“.

საქართველოში და მის ძირძველ ნაწილში — გიორგი შარვაშიძის მშობლიურ აფხაზეთში შექმნილმა აუტანელმა ეროვნულმა, სოციალურმა და ეკონომიკურმა ვითარებამ, მშობელი ხალხის წინააღმდეგ ცარიზმის ხელისუფლების მიერ განხორციელებულმა მორალურმა ტერორმა, საზოგადოების ერთი ნაწილის უსწრაფესმა გადაგვარებამ, ცოლისდის გაურკვეველ სიტუაციაში დაღუპვამ და ყოველივე ამის მისთვის გადაბრალების მცდელობამ, თავისი უსაყვარლესი ძიძიშვილის — დავით ჩქოტუას 20-წლიანი კატორღული პატიმრობის მისჯით შორეულ ჩიტას გუბერნიაში გადასახლებამ, ოჯახური სიმყუდროვის მოშლამ, ბუნებრივია, თავისი გავლენა იქონია ამ დიდებული აფხაზი კაცის მორალზე, სულიერ სამყაროზე. რა გასაკვირია, რომ იგი ერთხანს წონასწორობიდან გამოსულიყო, იმედგაცრუებას დაემონებინა, ინერტულ ხასიათის გამხდარიყო; გზააბნეულობას შეეპყრო და მისთვის შეუფერებელ გარემოცულ წრეში ამოეყო თავი. თუმცა, საბედნიეროდ, ეტყობა, ამან მხოლოდ ცოტა ხანს გასტანა.

გიორგი შარვაშიძე იხსნა და უნუგეშო მდგომარეობიდან გამოიყვანა XIX საუკუნის II ნახევრის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენელთა იდეურ სამყაროსთან ზიარებამ, მათთან ფიზიკურმა და სულიერმა სიახლოვემ და ნა-

თესაობამ, მათი სულისკვეთების, მსოფლმხედველობის, ეროვნული იდეოლოგიის, გმირული შემართების, სწორუპოვარი მისწრაფებების შესისხლხორცებამ და გათავისებამ, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, ანტონ ფურცელაძის, იონა მეუნარგიას, მამია გურიელის და სხვა გამოჩენილ მოღვაწეთა წრეში ტრიალმა XIX საუკუნის 70-იანი წლების მიწურულს და 80-იანი წლების დამდეგს სრულიად გარდაქმნა მისი სულიერი ცხოვრება, დაუბრუნა ამქვეყნიური არსებობის მნიშვნელობის რწმენა.

გიორგი შარვაშიძემ შემოქმედებით საქმიანობას მისცა თავი, რითაც იქარვებდა კიდეც მოწოლილ სევდას, სასოწარკვეთილებას. მან მძლავრად იგრძნო შინაგანად, რომ მისი ხსნა შემოქმედებითი ძალისხმევის გაშლაშია, არსებობის რწმენის დაბრუნებაშია, იმ მრწამსის დაბრუნებაშია, რომ ამქვეყნიურ ცხოვრებას აქვს აზრი. მასში გაცოცხლდა უმთავრესი იმედი: თავისი მოქმედებითი მიღწევებით, ლიტერატურული პროდუქციით იგი არა მხოლოდ საკუთარ თავს აარიდებდა იმედგაცრუებას და სასოს წარკვეთას, არამედ ამასთანავე, მისი ნაწერების მკითხველს იხსნიდა ამავე მდგომარეობიდან. სიმონ ჯანაშიას ენით რომ ვთქვათ: „ჩამომაკლობა, პირადი ცხოვრების უკუღმართობა და საზოგადოებრივი პირობების ხასიათი („შემოგზვევია ცხოვრების სულთამხუთავი გალია"), ველური რეჟიმი, წრე-არაფერი უწყობს ხელს, რომ გ. შარვაშიძე პროფესიონალი ლიტერატორი დადგეს, თუმცა იგი ბუნებით ყველაზე ადრე სწორედ ამისთვისაა გაჩენილი".[1] ამისთვის რომ იყო გაჩენილი, მეტყველებს შემდეგი ფაქტი: მას ლექსების წერა ადრეულ ასაკში დაუწყია. მართალია სიყმაწვილის დროინდელი ლექსები ჩვენამდე არ მოღწეულა. თუმცა მნიშვნელოვანია ერთი გარემოება.

სოლომონ ლეკიშვილმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ილია ჭავჭავაძის ფონდში (№492) აღმოაჩინა გიორგი შარვაშიძის ერთი ლექსის ტექსტის ხელით ნაწერი პირი. ლექსი დათარიღებულია 1868 წლით მას ჰქვია „რა უშავთ მათ". იგი პირველად გამოაქვეყნა სოლომონ ლეკიშვილმა:

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 65.

„რა უშავთ მათ, ვინც მარტო სიცოცხლით კმაყოფილებენ
და სიცოცხლისა მოთხოვნილებას ვერ მგრძნობელობენ.
რასაც უჭვრეტენ, შეექცევიან, ხარობენ ყოვლად,
ჰგონებენ მხოლოდ ეს არის ვალი კაცის ამ სოფლად.
რა უშავს, ვისაც მხოლოდღა სარჩო უჩნს საზრუნველად,
უგუნურობას კისრითა ზიდაჯს თვალ-აბურვილად.
თავისი ჰაზრი მასვე ეხვევა, ეალერსება,
არ ენაღვლება ქვეყნისა ბედი და სხვა არსება.
რა უშავს, ვისაც თავის მამული არ ჰყვარებია,
არას საგანზე განუწყვეტელი მიკრულობა არ ჰქონებია,
ყოველი ჭმუნვა ათისა ოხვრით უქარვებია
და კვლავ ღიმილით სიამოვნება უპოვებია.
რა უშავს, ვისაც შეუძლებლობა უმჩალტებს წყლულსა,
შეუძლებელში შესაძლოს ძებნით არ იხეთქს გულსა.
ვინაც სოფელსა, ბუნებას ვრცელსა, სამშობლოდ სახავს
და თვით საზარელს უცხოობას ვერ დაინახავს.
რა უშავს მას, ვინც ჩვენს გრძნობებსა დასცინის სტვენით,
ამაოებას, ჩვენს მწუხარებას ატარებს ლხენით;
მაგრამ ამ სოფლად ვის შერჩენია სულ სიხარული
და ვინ ყოფილა „აუცილელისაგან“ თავდაფარული!
რად დამეკარგე იმედოჯან მაცოცხლებელო,
მომეხვიე, განმინათლე, სულის მტკბობელო!
უშენობას ფიქრთა ტანჯვას, ვერ რა ედაროს,
გვეყოფა ჭექა, წვიმა, ღრუბელი, დრო არს იდაროს“.[1]

ამ ლექსს, ცხადია, საანალიზოდ ქვემოთ დაუბრუნდებით, მაგრამ ამთავითვე ვიტყვით: ეს არის გიორგი შარვაშიძის მიერ ორენბურგში ადრეულ ასაკში დაწერილი თხზულება, რომელშიც განფენილია მისი მსოფლმხედველობა, ცხოვრების შეცნობის ფილოსოფია, ამქვეყნად ადამიანის მოვალეობის განცდა, ქვეყნის ბედზე ზრუნვა, სიცოცხლის არსში გარკვევა, შეუძლებლის ძებნის მოტივი, სამშობლოს რაობის

[1] ს. ლეკიშვილი, გიორგი შარვაშიძე (დოკუმენტური მსალები), „საისტორიო მოამბე“, №31-32, გვ. 253-254.

შეგრძნება. რაც მთავარია, რწმენისა და იმედის ნათება. თამამად შეგვიძლია ეს ლექსი („რა უშავთ ქათ“) პოეტის საპროგრამო თხზულებად ვაღიაროთ.

1869 წლით თარიღდება გიორგი შარვაშიძის შესანიშნავი 11-სტროფიანი ლექსი „ჩემსა საღამოს, გლახსა საამოს“, საიდანაც მხოლოდ ერთ სტროფს დავიმოწმებ:

„ვითომც მეტყვიან: „ჰა, ძმაო, ცდითა
რასაც ვნატრობდით, დაცაებადენით.
მუდამის შრომით, გონების ხსნითა,
ევროპის ნათელს მივეახლენით“.[1]

ეს ლექსი დაბეჭდილია 1869 წელს გაზეთ „დროებაში“ პონტოქსელის ხელმოწერით.[2] იმავე წლის 11 ოქტომბერს დაუწერია პოეტს უსათაურო ლექსი (...ს), სადაც ერთგან ვკითხულობთ:

„დღეს არის იგი დღე ბედნიერი,
ეპოხა ჩემის გლახ სიცოცხლისა,
როცა იხილე შენ მშვენიერი
ოხვრის მიზეზად, მდებად ცეცხლისა“.[3]

აღნიშნული ნაწარმოებიც გამოუქვეყნებია გაზეთ „დროებას“ 1870 წელს „გარდახვეწილის“ ხელმოწერით[4]. როგორც ვნახეთ, ორივე ლექსი ავტორის მიერ იბეჭდება ფსევდონიმებით. ჩვენთვის ამაში საგულისხმო ის არის, რომ გიორგი შარვაშიძეს 1869-1870 წლებში უკვე არჩეული აქვს ფსევდონიმები: „პონტოქსელი“, „გარდახვეწილი“.

საინტერესოა ნიკო დადიანის (უმცროსი) აკროსტიქული ლექსი, მიძღვნილი გიორგი შარვაშიძისადმი, რომლის კიდეზე იკითხება „პონტოქსელს“:

პოტენციურად მქონები არის ბევრისა ნიჭების,
ონტკოფას არ კრეფს, ვარდსა კრეფს, როს ია მოეყირჭების;
ნატვრისა ფრთითა დაფრინავს, ძირს ფეხი არ ებიჯების,

[1] გ. შარვაშიძე, თხზულებანი, I, გვ. 85-86.
[2] გაზ. „დროება“, 1869, №17.
[3] გ. შარვაშიძე, თხზულებანი. I, გვ. 87.
[4] გაზ. „დროება“, 1870, №2, 15 (27) იანვარი.

ტოლ-ამხანაგთა მოალხენს, „ზევსურად“ მოენიჭების.
ო ტარიდს უმღერს სმატკბილად ტურფა ლექსების ჟღერითა,
ქვეყანა მისი მშობელი უყვარს ყმითა და ბერითა,
სძაგს უგრძნობელი უგულო სიტყვითა, თუნდა წერითა,
ეტრფის მოძმეთა გულადთა, სულდგმულობს თვისის ერითა.
ლომად შეხვდება ავგულსა, კარგს-გრძნობით ლმობიერითა;
სჯობს მზრდელი სულში იმედის — შეიმკოს ყოვლისფერითა!“[1]

1872 წლის 6 ივლისს ჭკადუაშში (ზუგდიდის რაიონი) ყოფნისას გიორგი შარვაშიძეს თავისი ბიძისთვის (დედის ძმა) მიუძღვნია ლექსი „მოგონება“. პოეტი შეჰხარის იმ ადგილს, „სადაც განვლენ სიყრმის ჟამნი, სადა ცხოვრებამ პირველ გამაცნო დარდის, ღიმილის და ვნებებთ წამნი“, „სად პირველ ვიგრძენ სოფლის ლახვრები და ხის ქვეშ ვიწექ დაფიქრებული“.

საბედნიეროდ, მხოლოდ რამდენიმე ლექსი შემოგვრჩა გიორგი შარვაშიძისა, რომელშიც მითითებულია დაწერის თარიღზე. მათ შორის ზემოთ დასახელებული პოეტური ნიმუშები, სადაც გვიადვილებს იმაში გარკვევას, თუ რა პოეტური ენერგიის და შემართების შემოქმედი მოდიოდა პოეზიაში. იგი, რაც მთავარია, უშუალოდ მიგვანიშნებს ამ ნიჭიერი აფხაზი კაცის სამწერლო სარბიელზე გამოსვლის დროზეც.

ირკვევა, რომ XIX საუკუნის 70-იანი წლების დამდეგისთვის ჯერ კიდევ ჭაბუკი გიორგი შარვაშიძე ერთობ პოპულარულია ქართველ საზოგადოებაში, ქართველ ინტელიგენციაში. რად ღირს მარტო იმ ფაქტის დასახელება, რომ 1873 წელს აკაკი წერეთელმა ვრცელი ლექსი უძღვნა გიორგი შარვაშიძეს, რომელსაც უწოდა „მეგობარს“ (აკაკის მეორე ლექსიც აქვს უფრო მოგვიანებით მისადმი მიძღვნილი). აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შვილი მაშინ პოლონეთში იმყოფებოდა, ვარშავის სიახლოვეს, ქალაქ სკერნევიცეში. იგი იქ გაგზავნილი იყო რუსეთის იმპერატორის მიერ. ელგუჯა თავბერიძის თქმისა არ იყოს, „ჭკუის სასწავლებლად, მოჯანყე სულის დასაშოშმინებლად, გააგდეს უცხო მხარეში. მაგრამ იქ უფრო ბორგავდა, სამშობლოს დამონებასაც განიცდიდა და მისგან შორს ყოფნასაც“.[2]

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 64.

[2] გ. შარვაშიძე, თხზულებანი, I, ქუთაისი, 2006, გვ. 85-86.

დაეუბრუნდეთ აკაკის ლექსს. ჯერ რად ღირს სათაურიც — „მეგობარს“. ამით ამომწურავადაა ნათქვამი მისადმი დამოკიდებულებაზე. ამ ნაწარმოებში „განთიადის“ ავტორს შთამბეჭდავად აქვს დასურათხატებული გიორგი შარვაშიძის პიროვნების შინაგანი კულტურა, სამშობლოს სიყვარული, მისი გათავისუფლებისათვის ბრძოლის ჟინი, შეუპოვარი კვეთება სულისა. აკაკი წუხს მეგობრის შორს ყოფნაზე: „ისე გვწყურია შენი ამბავი, როგორც დაკოდილი ირემსა წყარო“. საქართველოდან შეაგულიანებს აფხაზ მეგობარს: „იმ ნეტარ დღეს მოელი მარად, როს ჩვენი აზრიც გახელმწიფდება“. მათი „აზრის გახელმწიფებამდე“ ერთგვარად შეღონებულია ქართველი პოეტი, იჭვის ჭია ღრღნის; გიორგიმ ხელი ხომ არ ჩაიქნია, ბედს ხომ არ შეურიგდა, ხომ არ დაუფრთხა უმანკო გული, სინანულს ხომ არ მისცა თავი. დავიმოწმებ ამ ლექსიდან შერჩევით მხოლოდ ორ სტროფს:

„ხომ არ შეგიფრთხა, ჩემო გიორგი,
მით ეგ უმანკო ჭაბუკი გული
და შეგაპარა მან შიგ აღმბორგი
სისუსტის თესლი, ცრუ სინანული...
კმარა, რაც დღემდის ახლად და ძველად
გადაგვხდომი დიდი საბრიყვო!
აწ კი დრო არის, რომ დროს შემცვლელად
მოგვესმას ჩვენში ერთი „ყიყლიყო!“

გიორგი შარვაშიძემ 1879 წელს დიდებული ლექსი („რომ და მაგრამ“) უძღვნა ნინო ჩოლოყაშვილს, რომელიც 3 წლის შემდეგ 1882 წელს დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“,[1] „პონტოქსელის“ ფსევდონიმით. მხოლოდ ერთ სტროფს დავიმოწმებ:

„სპეტაკთა ფერხთა დასაბიჯებლად
მოგიგორებდი სავსე მთვარესა;
შარასა რძისას მდინარედ ვხდიდი,
მით მოგირწყავდი არე-მარესა“.

შეიძლება ითქვას, მრავალჭირვარამ გადანახადი გიორგი შარვაშიძის ბიოგრაფიაში XIX საუკუნის 80-იანი წლების დამდეგი ყვე-

[1] გაზ. „დროება“, 1882, №58, შდრ. გ. შარვაშიძე, თხზ., I, გვ. 90.

ლაზე იღბლიანი და შინაარსიანი აღმოჩნდა. იგი უკვე პოპულარობით სარგებლობს, საერთოდ, საზოგადოებაში, განსაკუთრებით — ქართველ ინტელიგენციაში. ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ერთი გარემოება: ჟურნალში „თეატრი და ცხოვრება“[1] 1914 წელს ქვეყნდება გიორგი შარვაშიძის ლექსი „შენ იცნობ“,[2] რომელიც ასე სრულდება:

„იქ ისმის ჟღერა ბორკილებისა,
იქ კვნესის სული, არ ყურობ განა?
ღირსია, ძმაო, შებრალებისა
ის უბედური — ჩემი ქვეყანა!“

ამჯერად ჩვენს ინტერესს იწვევს იქვე მოცემული რედაქციის შენიშვნა, სადაც გიორგი შარვაშიძის, როგორც მწერლის, შეფასებისას სპეციალურად აქცენტირებულია სწორედ XIX საუკუნის 80-იანი წლები: „როგორც მკითხველთაც მოეხსენებათ, უგ. თავ. გ.მ. შარვაშიძე 80-იან წლების ცნობილი მწერალია, აქვს რამდენიმე პიესა, ლექსები და სხვ. ეს ლექსი (იგულისხმება „შენ იცნობ“ — ტ.მ.) დიდი ხნის დაწერილია და თავ. შარვაშიძეს სხვა ლექსებთან ერთად ერთმა მისმა ნათესავმა გადმოგვცა დასაბეჭდად“. ამით ხაზგასმულია, რომ გიორგი შარვაშიძის შემოქმედების პოპულარობა აღნიშნული საუკუნის 80-იანი წლებიდან იწყება.

ზემოთ უკვე ვახსენეთ, რომ მწერალს 1878 წელს, ნინო ანდრეევსკაიას დაღუპვასთან დაკავშირებით სასამართლო პროცესის დასრულების და განაჩენის გამოტანის შემდეგ, დაუწერია პიესა „ბედისაგან დევნილი კაცი“, რომელშიც მისივე ძუძუმტის, უდანაშაულო დამნაშავის დავით ჩქოტუას თავგადასავალია მოთხრობილი. ეს პიესა სამწუხაროდ, დღემდე დაკარგულად ითვლება. ჩვენამდე მოღწეულ მის პირველ დრამატულ ნაწარმოებს ჰქვია „მომაკვდავნი სურათნი“, რომელიც დაწერილი უნდა იყოს 1881 წელს, ვინაიდან იგი იმავე წლის 11 ნოემბერს დაიდგა თბილისში, ოთარ ჭურღულიას მართებული შენიშვნით: „გიორგი შარვაშიძის პიესებმა იმთავითვე მიიპყრეს საზოგადოებრიობის ყურადღება, ამას თვით გიორგის ნი-

[1] ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, 1914, 17/VIII, №24.
[2] შდრ. გ. შარვაშიძე, თხზ., I. გვ. 100.

ჭთან და ატორიტეტთან ერთად ის გარემოებაც უწყობდა ხელს, რომ მაშინ ქართული თეატრის რეპერტუარი ღარიბი იყო და ყოველი ახალი ნაწარმოების გამოჩენა დრამატულ მწერლობაში დიდ მოვლენად ითვლებოდა".[1]

პიესას „მომაკვდავნი სურათნი" დადგმამდე და გამოქვეყნებამდეც მიუქცევია ყურადღება. მიხეილ ბებუთოვი გაზეთ „დროების" საშუალებით აუწყებდა მკითხველ საზოგადოებას, რომ „გ. შარვაშიძის პიესა ხელნაწერში წავიკითხეთ და იმის მხოლოდ ერთი რეპეტიცია ვნახეთ, მაგრამ ახლავე შეგვიძლია სიამოვნება ვუწინასწარმეტყველოთ იმის მომავალ მაყურებელს". ან კიდევ: „მომაკვდავნი სურათნი", მართალია, არც დაბეჭდილა, არც დაუდგამთ, მაგრამ იგი იმდენად დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა ჩვენს სალიტერატურო ცხოვრებაში, რადგან „იმის დადგმა სცენაზე დიდს წინ წადგმულს ბიჯს მოასწავებს".[2]

როგორც ცნობილია, „მომაკვდავნი სურათნი" დაიდგა თბილისში 1881 წლის 11 ნოემბერს, ხოლო ცალკე წიგნად იგი გამოსცა ილია ჭყონიამ ქუთაისში 1882 წელს. ამ გამოცემას გარეკანზე აწერია: „თ-დი გიორგი შარვაშიძე, მომაკვდავნი სურათნი, კომედია ოთხ მოქმედებად. მიბაძვა. ილ. ჭყონიასგან გამოცემული, ქუთაისი, თ. პეტრე, გ. წულუკიძის სტამბა, 1882". ხოლო სატიტულო ფურცელზე: „მომაკვდავნი სურათნი", კომედია 4 მოქმედებად, თ. გიორგი შარვაშიძისა. პირველად წარმოდგენილია ტფილისის სცენაზედ 11 ნოემბერს, 1881 წელს, საწყობი ამ გამოცემისა არის ქუთაისის ძმ. ჭილაძეთა წიგნის მაღაზიაში, ფ. 5 შ. სატიტულო ფურცლის მეორე გვერდზე კი აღნიშნულია: „Дозволено цензурою, Тифлис, 10-20 Августа 1882 года". ამ პიესამ დიდი აღიარება და პოპულარობა მოუპოვა გიორგი შარვაშიძეს. პიესით აღფრთოვანებას ვერ მალავდა იონა მეუნარგია: „ჩვენს ქართულ ლიტერატურაში თავად დ. ერისთავისაგან გადმოკეთებულ დრამაზე „სამშობლო" თქვენც გაიგონებდით. ავტორმა წაგვიკითხა ეს პიესა, რომლის მსგავსი ჯერ არ დაწერილა და არ გადმოთარგმნილა რა ჩვენს ენაზე... მეორე ახალი ამბავი ლიტერატურაში, რომელსაც

[1] ო. ჭურღულია, შარვაშიძეები, გვ. 70-71.

[2] გაზ. „დროება", 1881, №236; №239.

თქვენ ვერ გაიგონებდით, არის თავად გ. მ. შარვაშიძის კომედია „მომაკვდავნი“. ჩვენ თანაძმას კომედიის შინაარსი ჩვენი ცხოვრებიდან აქვს აღებული. ორივე პიესა ამ ზამთარში წარმოდგენილი იქნება“.[1]

პიესის სათაურის („მომაკვდავნი სურათნი“, კომედია ოთხ მოქმედებად) ქვეშ ავტორს მიუწერია — „მიბაძვა“. ამაზეც ამახვილებს ყურადღებას თავის რეცენზიაში მიხეილ ბებუთოვი (მისი ფსევდონიმია — „ემბე“): „მხოლოდ სათაურის მიბაძვაო უნდა დავუჯეროთ, თორემ არც ერთ აქ გამოყვანილი პირი ჩვენ უცხო პირად არ გვეჩვენება, ყველა ჩვენი ტიპები არიან“.[2]

როგორც ითქვა, „მომაკვდავნის“ დადგმა თბილისში განხორციელდა 1881 წლის 11 ნოემბერს. სპექტაკლმა დამსწრე საზოგადოებას დიდი სიამოვნება მოჰგვარა. გამოქვეყნდა აღტაცების გამომხატველი რეცენზიები. ერთ-ერთ მათგანში ეკითხულობთ: „საზოგადოდ ოთხშაბათის წარმოდგენა, როგორც პიესის მხრით, აგრეთვე, დადგმისა და შესრულებისა. ისეთ წარმოდგენად უნდა ჩაითვალოს, რომლიდანაც ყველანი კმაყოფილნი რჩებიან“.[3] პიესაში როლებს ასრულებდნენ ქართული სცენის დიდოსტატები: ნ. გაბუნია-ცაგარელი (მართა), ვ. აბაშიძე (ქონიაშვილი), კ. მესხი (გრიგოლ ბატონიშვილი), ლადო ალექსი-მესხიშვილი (ასლანთარელი). როგორც რეცენზენტები მიუთითებენ, პიესის პოპულარობა და წარმატება მსახიობების ჩინებული თამაშითაც ყოფილა განსაზღვრული.

გიორგი შარვაშიძის ამ დიდებული დრამატული ნაწარმოების სცენაზე ხორცშესხმას ყველა როდი შეხვედრია აღფრთოვანებით. ჟურნალ „ივერიაში“ ქვეყნდება გ. თუმანიშვილის ასკეკრიტულ-განმაქიქებელი სტატია, სადაც გაზ. „დროების“ რეცენზენტთა საწინააღმდეგო თვალსაზრისს ავითარებს: „პიესა ახალს არ წარმოადგენს ქართულ რეპერტუარში. ეს არ არის ხასიათების დამცველი და ყოველმხრივ გამომხატავი კომედია (როგორც გვარწმუნებს „დროებაში“ რეცენზენტი „ემბე“). რადგან არამც თუ მეორე მოქმედი პირების

[1] გაზ. „შრომა“, 1881, №1.
[2] გაზ. „დროება“, 1881, №236.
[3] გაზ. „დროება“, 1881, №239.

თვით უმთავრესი პირის გრიგოლ ბატონიშვილის ხასიათიც კი ვერ გაგვიგია და მას გარდა, ვერც ის შევნიშნეთ, რა თვალით უყურებს ავტორი ჩვენს ცხოვრებას".[1] აქ კი ტენდენციურობას ვერ აღწევს თავს სტატიის ავტორი. პიესაში კარგად ჩანს, თუ რა თვალით უყურებს მწერალი იმდროინდელ ცხოვრებას. გ. თუმანიშვილმა „მომაკვდავი სურათი" შეადარა აკაკი წერეთლის „კინტოს", აქვსენტი ცაგარელის „მათიკოს", ვასო აბაშიძის „შეშლილიას". საბოლოოდ რეცენზენტი მაინც ვერ მალავს სპექტაკლით მონიჭებულ დადებით შთაბეჭდილებას. აქ შეუძლებელია არ დავაფიქსიროთ განთქმული მსახიობის, მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ვალერიან გუნიას შეხედულებანი ამ პიესაზე; „ავტორს აშკარად ემჩნევა ცხოვრების დაკვირვება, სცენის ცოდნა და ნახულ-გაგონილის შემუშავება. ეს კარგი ღირსებაა მწერლისათვის".[2]

გიორგი შარვაშიძე დიდ სიყვარულს და დაინტერესებას იჩენდა „ვეფხისტყაოსნისადმი". მას სურდა რუსთაველის სახელის გატანა საზღვარგარეთ. ამ მხრივ საყურადღებოა 1884 წელს დავით ერისთავის მიერ იონა მეუნარგიასადმი გაგზავნილი წერილი: „დღეს დამხვდა ბარათი გ. შარვაშიძისა, მთხოვს დაუნიშნო დღე, რათა ერთად წავიკითხოთ ბობრინსკის მიერ ფრანგულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი".[3] შალვა დადიანი წერს: „გამიგონია: პოეტი გურიელი იტყოდა თურმე: გიორგი რუსთაველს ჰგავსო. ე.ი. რუსთაველი ასეთი აღნაგობის უნდა ყოფილიყო შინაგან და გარეგნულადო. მართლაც, ვისაც უნახავს გიორგი სიცოცხლეში, მოუსმენია მისი ტკბილი სასმენარი საუბარი, უნახავს მისი სიარული, ჯდომა თუ დგომა, ხელის გაქნევა, თავის დაკვრა, მთელი მიხრა-მოხრა, პირდაპირ მხატვრული იყო მუდამ და ეს მუდამ მიტომ ხდებოდა, რომ ის იყო ბუნებითი, თანდაყოლილი".[4]

---

[1] ჟურნ. „ივერია", №11, 1881.

[2] ვ. გუნია, ქართული თეატრი, თბ., 1898.

[3] შდრ. ს. ლეკიშვილი, გიორგი შარვაშიძე, გაზ. „ლიტერატურული საქართველო", 6 იანვარი 1967

[4] შ. დადიანი, გიორგი შარვაშიძის დაბადებიდან 100 წლისთავის გამო. წიგნში: გ. შარვაშიძე. თხზ., II, გვ. 48.

და აი, გიორგი შარვაშიძის ცხოვრებაში ერთი ბედნიერი დღე დადგა. 1882 წელს ქუთაისში „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟთა ცოცხალი სურათების გამოფენა მოეწყო — ტარიელის პროტოტიპად გიორგი შარვაშიძე შეირჩა, რუსთაველად — მამია გურიელი. ამის შესახებ საინტერესოდ გვიყვება ილია ჭყონია: „როცა უნგრეთის გამოჩენილმა მხატვარმა ზიჩმა დაასრულა „ვეფხისტყაოსნის“ დასურათება და სთხოვეს პოემის შინაარსიდან ცოცხალი სურათების ქუთაისში დადგმაც, ის სიამოვნებით დასთანხმდა, ხოლო იმ პირობით — ერთი ულამაზესი კაცი ქვეყნიერებაზე, როგორც ის ამბობდა, გიორგი შარვაშიძე, დათანხმებულიყო ტარიელის განსახიერებს იმ სცენაში, როცა არაბთა მეფე ნახავს ვეფხისტყაოსან ყმას წყლის პირათ, შავი ცხენის სადავით მჭირავს! ისიც დათანხმდა.

აიხადა ფარდა და დამსწრებთა მართლაც „ნახეს უცხო მოყმე ვინმე“ („შავი ცხენი სადავითა ჰყვა ვითა ლომსა, ნახეს და ნახეა მოუნდათ უცხოსა სანახავისა“). დარბაზი სიამოვნებისგან სულგანაბული შესცქეროდა მას. „არა მარტო პურითა ცხოვნდების კაცი“. შვენიერების ცხოვრებაში განცდასაც აქვს ფასი და მნიშვნელობა. ეს სიმართლე ბევრმა იმ სცენის მნახველმა შეიგნო მხოლოდ მაშინ. ქუთაისი დიდხანს ლაპარაკობდა გრძნობით მის ყმისა ვეფხისტყაოსნის გამო, რასაც მოჰყვა ჯერ რუსთაველის უკვდავი ნაწარმოებისადმი ინტერესის გაცხოველება და მერმე ლექციები“.[1] ამასთან დაკავშირებით გაზეთი „დროება“ წერდა: „თ. გ. შარვაშიძე ტარიელის სურათად მისთანა იყო, რომ მგონია თვით საფლავიდამ ამდგარი შოთაც არ დაიწუნებდა მის იერს და სახის მეტყველებას; სამს სურათში იყო ტარიელად და სამგანვე უკეთესი იყო, მაგრამ თავის-და-თავად უკეთესი შთაბეჭდილება მოახდინა —ოდეს-ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა, შავი ცხენი სადავითა ჰყვა ლომსა და ვითა გმირსა“.[2]

რადგან ზემოთ ნახსენები გვქონდა გიორგი შარვაშიძის დამოკიდებულებაზე რუსთაველის მიმართ, კიდევ ერთ ნაწყვეტს გავიხსენებ მოგვიანებით მის მიერ გამოქვეყნებული წერილიდან: „ვეფხისტყაო-

[1] გ. შარვაშიძე, თხზ., II, გვ. 130-131.

[2] გაზ. „დროება“, №115, 1882.

სანი“ ძლიერ გარყვნილია უცნობი ვინმეების ჩამატებული ლექსებით და დიდი შრომა დასჭირდათ შემდეგ, რომ ეს უკვდავი თხზულება ყალბისაგან განეწმინდათ. დღესაც, შეგვიძლიან კი დასაბუთებით დავრწმუნდეთ, რომ უმცდარადაა იგი ახალ გამოცემებში? შემდეგ, ჩვენს დროშიც, ამ დიდებული მწერლის სურათიც კი გამოიგონეს, მაგრამ ეს კი არაა საკვირველი, რომ უმეცარს ვინმეს განუზრახავს რუსთველი წარმოადგინა ჩვენი დროს საამოსელით და მის ყიზილბაშურ ქუდში კალამი გარჭობილი. საკვირველი ის არის, რომ ქართველ საზოგადოებამ მიიღო ის, როგორც ნამდვილი სურათი და გაავრცელეს კიდეც! ამგვარი მოვლენა სამწუხარო ნიშნებია და თუ ქართველი ერი მთლად არ გარდაშენდა, — შთამოება და მომავალი ჩასთვლის ჩვენს დროს გონების უმწიფარ ხანად“.[1] სიმონ ჯანაშიას შენიშვნით: „ყოველივე ეს საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ავტორის განწყობილებასა და ლიტერატურულ აღზრდას ახასიათებს“.[2]

XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისის გიორგი შარვაშიძის ცხოვრებისეული ეპიზოდებიდან კიდევ ერთ მომენტს გამოვყოფთ. 1881 წლისთვის მას გადაუწყვეტია ქუთაისში გამოეცა სალიტერატურო ჟურნალი „ხუმარა“. ამასთანავე, იგი უნდა ყოფილიყო ჟურნალის მატერიალური მხარდამჭერი. „ხუმარას“ დაარსების თაობაზე გაზეთი „დროება“ აუწყებდა საზოგადოებას: „აქ გაისიდამ კვირის საოხუნჯო-სატირული ჟურნალის გამოცემას. რედაქტორისა და გამომცემლების ვინაობას ჯერჯერობით ზოგიერთი მიზეზის გამო ვერ გიმჟღავნებთ. სხვა ცნობანი კი მიირთვით: ჟურნალს ერქმევა „ხუმარა“. სივრცე იქნება რვა გვერდი... ეხლანდელი ცხოვრების გარდა ჟურნალი ყურადღებას მიაქცევს ჩვენს ისტორიულს ოხუნჯობას“, ზმას და სატირას და ისტორიულის მიმოხილვით წარმოუდგენს მკითხველებს მათს თავდაპირველს წარმოებას და თანდათანის განვითარებას, ექნება აგრეთვე „საიქიოს“ განყოფილება, სადაც დაიბეჭდებიან შესაფერი კორესპონდენციები... ჩვენის აზრით, სააქაოსაც იმოდენი სანოვაგე ექნება ხუმრობისა და სატირისა ჟურნალს, რომ საიქიო მეტის-მეტი

[1] გაზ. „საქართველო“, 1915, №169.

[2] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 21.

ზედნადებია მისთვის".[1]

ოთარ ჭურღულიას ენით რომ ვთქვათ: „აქ მთელი პროგრამაა გადმოცემული და მოხაზულია ჟურნალის სამოქმედო სარბიელიც, მაგრამ არ ჩანს, თუ ვინ არიან მისი დაარსების ინიციატორები, ვინ გაიღებს მისთვის თანხას, ვინ უზრუნველყოფს მას მატერიალურად".[2] ამ საიდუმლოებას ნათელს ჰფენს ისევ გაზეთი „დროება", სადაც ვკითხულობთ: „ამას წინედ ჩემს მკითხველებს ვუმახარობლე ქუთაისში მომავლის წლიდან კვირის საოხუნჯო-სატირული ჟურნალის „ხუმარა" გამოცემა და თან დავსძინე რამდენიმე ცნობა, რომელიც გამომცემელ წრისგან მქონდა შეტყობილი. აწ იმ გამართლებულ ცნობებზე შემდეგის დამატება შემიძლია: შემდგარია „საგამომცემლო წრე" რამდენიმე პირისაგან (რომელთა შორის ურევია თ.გ. შარვაშიძე), რომლებიც გამოიღებენ უწყებულს თანხას ფულისას „ხუმარას" გამოსაცემად... „ხუმარა" იქნება ჩვენის დრო-გამოშვებითის მწერლობის ჩინებული და დაუფასებელი განძი".[3]

მივაქციოთ ყურადღება; „საგამომცემლო წრეში" შემავალი პირებიდან გაზეთ „დროების" კორესპონდენტი აქცენტს აკეთებს გიორგი შარვაშიძეზე, ანუ მხოლოდ მას ასახელებს. ეს იმაზე მიგვანიშნებს, რომ „ხუმარას" გამოშვების იდეა ეკუთვნის აფხაზ მწერალს მატერიალური დახმარებითაც. თუმცა ამ იდეას ხორცშესხმა არ ეწერა. იგი არ დაუშვა ცარიზმის ხელისუფლებამ. ელგუჯა თაბერიძის თქმით: „პირდაპირ იცოდა თქმა, არავის არაფერს დაერიდებოდა გიორგი შარვაშიძე, მამულწართმეული ვიღას და რაღას უნდა მორიდებოდა... პირდაპირ რასაც ვერ ამბობდა. იმ საოხუნჯო-სატირულ ჟურნალის ფურცლებზე სურდა გაემჟღავნებინა, „ხუმარა" რომ უნდა დარქმეოდა. საგამომცემლო წრეც შეკრიბა, თანხებიც მოიძია, მაგრამ გამოცემა, გასაგებ მიზეზთა გამო, ვერ შეძლო".[4]

კიდევ ერთი შთამბეჭდავი ეპიზოდი გიორგი შარვაშიძის ქუთაისური ცხოვრებიდან XIX საუკუნის 80-იანი წლების დამდეგისათვის,

---

[1] გაზ. „დროება", 1881, №242.

[2] ო. ჭურღულია, შარვაშიძეები, გვ. 69.

[3] გაზ. „დროება", 1881, №259.

[4] გ. შარვაშიძე, თხზ., II, გვ. 188.

სადაც მკვეთრად ჩანს მისი პიროვნული ხასიათი, შინაგანი სიმამაცე, შეუდრეკელობა, პირდაპირობა, ეროვნული მუხტი. 1882 წელის იანვრის ბოლო დღეს ქუთაისის სკოლებში ქართული ენის სწავლების, ქართული ენის პროგრამის სრულყოფის თაობაზე შეკრებილა საზოგადოება; დირექტორები, მასწავლებლები, მწერლები, რომელთა შორის იყვნენ: აკაკი წერეთელი, იონა მეუნარგია, გიორგი შარვაშიძე და სხვ. იმჟამად ვაჟთა გიმნაზიის დირექტორი ყოფილა სტოიანოვი. მან შეკრებილთ ამცნო მოსწავლეთა მხრიდან რუსული ენის უცოდინრობა, საგნის უაზრო დაზეპირება, აუთვისებლობა და ა.შ. მას საუბარი ჩამოუგდია სკოლებში ქართული ენის სწავლების დონის ამაღლებაზე. ერთი შეხედვით, სტოიანოვის ამგვარი განცხადება იქ შეკრებილთა გაკვირვებიათ კიდეც. ყველამ ამ საკითხზე თურმე თავისებურად დაიწყო მსჯელობა. ერთნი მოითხოვდნენ ქართულ ენასთან ერთად იმავდროულად რუსული ენის სწავლების გაუმჯობესებას, მეორენი — ქართული ენის სწავლების გაძლიერებას, რაც პარალელურად რუსული ენის სწავლების დონის წინ წაწევას შეუწყობსო ხელს. კრებაზე მყოფ გიორგი შარვაშიძეს ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე პირდაპირ, უშიშრად უთქვამს: რადგან ქართველ ყმაწვილებს საერთოდ უჭირთ საგნების რუსულ ენაზე სწავლა, დავაკანონოთ, რომ რამდენიმე კურსის განმავლობაში მხოლოდ და მხოლოდ ქართულ ენაზე იყოს სწავლებაო: „რა-კი ჩვენს ყმაწვილთ სწავლა უჭირდებათ იმიტომ, რომ უცხო, რუსულს ენაზეა საგნების სწავლება, ვითხოვოთ გონივრულის დამტკიცებით, რომ რამდენიმე კურსის განმავლობაში მთელი სწავლება ქართულ ენაზე იყოსო“.[1]

გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებული ეს ინფორმაცია („ქუთათური ამბები“) ხელმოუწერელია, მაგრამ ირკვევა, რომ იგი ეკუთვნის იონა მეუნარგიას. გიორგი შარვაშიძის მოსაზრებანი ბევრს არ გაუზიარებია: „უჰ, რას ამბობ, მაგ თხოვნას ვინ შეგვიწყნარებსო“. საგულისხმოა, რომ აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, იქ შეკრებილთ შეუქმნიათ კომისია ქართული ენის პროგრამის შესადგენად. კომისიაში შეუყვანიათ ილია ჭავჭავაძე, იაკობ გოგებაშვილი, პეტრე უმიკაშვილი და

[1] გაზ. „დროება“, 1882, №27.

სხვ. თუმცა შემდეგში უცნობი ჩანს, შეადგინეს თუ არა ქართული ენის პროგრამა, როგორ წარიმართა ქართული ენის სწავლების საქმე. ამჯერად ჩვენი სურვილი იყო ამ საგულისხმო ფაქტის ჩვენებით წარმოგვეჩინა გიორგი შარვაშიძის სახე, როგორც ეროვნული პიროვნებისა, ქართული ენის დიდი პატრიოტისა, სკოლებში უწინარესად ქართული ენის მეშვეობით ქართველი ყმაწვილების სწავლების დონის ამაღლებაზე მზრუნველისა.

გიორგი შარვაშიძე საზოგადოებრივსა და პირად ცხოვრებაში რომ უშიშარი და ქედუდრეკელი იყო, ამის მაგალითად შალვა დადიანს ასეთი მნიშვნელოვანი ფაქტი მოაქვს ნიკო ნიკოლაძის ნაამბობიდან: „XIX საუკუნის 80-იან წლებში, როდესაც რუსეთ-ინგლისის მეტოქეობამ ავღანისტანის გამო სიმწვავის უმაღლეს წერტილს მიაღწია და ომის რეალური საფრთხის წინაშე დადგა, გიორგი შარვაშიძეს, გიორგი წერეთელს და დავით მიქელაძეს (მეველეს) მიუმართავთ ინგლისის პრემიერ-მინისტრის გალადასტონისათვის საქართველოს საკითხის საერთაშორისო სამართლისა და პოლიტიკის სფეროში დასაყენებლად, ასეთი ნაბიჯის გადადგმა მაშინდელ დროში როგორი სახიფათოც იქნებოდა მიმართვის ავტორებისათვის, მაგრამ გიორგი შარვაშიძე, როგორც ვხედავთ, არც ამას შეუშინდა“.[1]

გიორგი შარვაშიძის XIX საუკუნის 80-იანი წლების ცხოვრებიდან უაღრესად საყურადღებო ცნობა შემოგვენახა ილია ჭყონიას ზემოთ ნახსენებ წერილში. ამ წერილიდან საილუსტრაციოდ ამოღებული მასალა მთლიანად გვინდა მკითხველს გავაცნო (ვრცელი ამონარიდისათვის წინასწარ ვიხდით ბოდიშს):

„1885-1886 წწ. ევროპის პოლიტიკური თვალსაწიერი (ჰორიზონტი) მოიღრუბლა, ელოდნენ ომს გერმანიასთან და ფიქრობდნენ, რომ ოსმალეთიც მას მიემხრობოდა.

ბათომს ახლო, კახაბერის მინდორზე მოსახლე აფხაზების შუამავლობით ოსმალეთში გადასახლებულმა აფხაზებმა და ჩერქეზებმა შემოუთვალეს გიორგის. თუ ჩვენ გვისარდლებთ და ქართველებთან მოგვარიგებთ, 40000 კარგად შეიარაღებული ომის პირველსავე დღეს

[1] გ. შარვაშიძე, თხზ., გვ. 48.

გადმოვალთ საზღვარს და შევეგებებით ჩვენი სამშობლოს ამაოხრებლებსო. გიორგის ხუმრობად არ მიუღია ეს წინადადება. აიღო დიდძალი ვალი გინშ-ეწერის დაგირავებით და გაუგზავნა ოსმალეთის მთავრობას კაცები და დასავლეთ საქართველოს ყველა მაზრებში სანდო კაცები, რომელ ყოველივე წვლილი ამ მძიმე საქმის დაწყებისა და გაძღოლისათვის გამოეკვლია, შეესწავლა და ისე დაეჭირა თადარიგი. ომი აღარ მოხდა... გიორგის დიდძალ ხარჯს შედეგად მოჰყვა მხოლოდ ეს ლექსი, რომელიც მისმა გაგზავნილმა კაცმა (მოურავმა) სტამბოლიდან გამოუგზავნა:

„მალე გნახავ, მხიარული, ღმერთმა, რაც გვსურს, თუ გვაღირსა:
ათასობით რომ გეახლოს, ვინც, რომ თქვენთან ყოფნას ღირსა.
სიზმრათ ვნახე, ჯოგს ავდენიდით, ელბრუს იქით იყო მტრისა,
მეტის მიახლოება გაკეთება არის ღვთისა!“[1]

გიორგი შარვაშიძის ცხოვრებისა და შემოქმედების მკვლევარნი სავსებით სამართლიანად აფხაზ მამულიშვილს გმირობად უთვლიან 1888 წელს ქუთაისში ჩადენილ საქციელს. გავიხსენოთ, რომ ჯერ კიდევ გახელმწიფებამდე ალექსანდრე III დაუმოყვრდა გიორგი შარვაშიძეს, დაიახლოვა იგი და სასახლის კარიც გაუღო. როდესაც ალექსანდრე III რუსეთის იმპერატორი გახდა, საქართველოში მყოფი გიორგი, მიუხედავად სასახლეში დაბარებისა, არ მივიდა. ილია ჭყონიას მიხედვით, „გვირგვინის კურთხევის დღეს კიდევ ეკითხა ალექსანდრე III გიორგი, ამ დღეისათვისაც კი არ მოვიდაო?! ამით ისარგებლა ისევ იმ გრაფმა ტ..., რომელსაც ამ დრომდე დიდი თანამდებობა ეშოვა სასახლეში და ისეთი ინტრიგების ქსელი გააბა, ისე გაუმცდარათ და ისე თანდათანობით, რომ ალექსანდრე III ქუთაისში ჩამოსვლის წინა დღეებში ადგილობრივ გუბერნატორს მოუვიდა ბრძანება, გიორგი შარვაშიძე გაეიდეს ქუთაისიდან, სანამ ხელმწიფე აქ იქნებოდაო“. ილია ჭყონია განაგრძობს: „ვარანცოვ-დაშკოვი რომ ჩვენში მეფისნაცვალად ჩამოვიდა, ეს ბრძანება პირადად გამოუცხადა მას ქუთაისის გუბერნატორმა და სთხოვა დაუყონებლივ გასცლოდა ქუთაისს... მას ხელახლავ ახადეს ფლიგელ-ადიუტანტობა. გრაფმა დაშკოვმა

[1] გ. შარვაშიძე, თხზ., II გვ. 134.

მოინდომა გიორგის „შერიგება“ ახალ იმპერატორთან. შეაძლიეს დიდი მთავრის, ვლადიმერის, მოსკოვის გენერალ-გუბერნატორის ფლიგელ ადიუტანტობა. გიორგიმ ეს იუკადრისა და უარი გაუბედა მთავარს — იმპერატორ ალექსანდრე II-სთან ვიყავი მაგ თანამდებობაზე, მთავართან აღარ მეკადრებაო“.[1]

ჩვენი დიდი ისტორიკოსი სიმონ ჯანაშია ილია ჭყონიასაგან შედარებით საქმის ვითარებას განსხვავებულად წარმოაჩენს. აქ არ ჩანს გრაფიტ. როგორც დამსმენი. ამასთანავე, ქუთაისში ალექსანდრე მესამის ჩამოსვლას არა მარტო გიორგი შარვაშიძეს, არამედ ნიკო ნიკოლაძეს და სხვა არაკეთილსაიმედო პირებს მოსთხოვეს ქალაქის დატოვება. ფლიგელ-ადიუტანტობა ხელმეორედ კი არ წაართვეს აფხაზ პატრიოტს, არამედ თვითონ განაცხადა უარი. მოვუსმინოთ სიმონ ჯანაშიას:

„ერთი ფაქტი მას (გიორგი შარვაშიძეს — ტ.მ.) გარეგნულადაც აწყვეტინებს კავშირს უმაღლეს ოფიციალურ წრეებთან: იმპერატორ ალექსანდრე მესამის ქუთაისში ჩამოსვლის დღისათვის გუბერნატორმა წინადადება მისცა გიორგის, ნიკო ნიკოლაძესა და სხვა არაკეთილსაიმედო პირებთან ერთად, გასცლოდა ამ ქალაქს. საპასუხოდ, გიორგიმ დემონსტრაციულად უარი განაცხადა ფლიგელ-ადიუტანტობაზე, უმაღლეს საკარისკაცო ტიტულზე, რომელიც მას მეფისგან ჰქონდა მინიჭებული. ეს მთავრობისათვის ომის გამოცხადებას უდრიდა, რაც რუსეთის ოლიგარქიასთან გიორგის ურთიერთობის სრული გაწყვეტით დამთავრდა“.[2] გიორგი შარვაშიძის დაკრძალვაზე წარმოთქმულ სიტყვაში ნიკო თავდგირიძე აფიქსირებს თუ რა მისწერა ქუთაისში ჩამოსულ იმპერატორს აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შვილმა: „რაკი თქვენი მთავრობა იმდენად არ მენდობა, რომ თქვენი ჩამოსვლის დროს ჩემს სამშობლოში ყოფნაც კი საშიშად მიგაჩნია, გთხოვთ, ეს სასახლის წოდებაც-ფლიგელ-ადიუტანტობაც ჩამომართვაო“.[3]აქ უნებლიედ ერთი უხერხული კითხვა წამოყოფს თავს. გიორგი შარვაშიძე, რომელსაც „ყმაწვილობიდან ეზიზღებოდა

[1] იქვე, გვ. 133.

[2] გ. შარვაშიძე, თხზ., II, გვ. 134.

[3] იქვე, გვ. 64.

ყოველივე ის სიკეთე, რომელიც რუსეთის ტახტიდან გამომდინარეობდა“ (ნ. თავდგირიძე), რატომ ეზიარა მეორედ ფლიგელ-ადიუტანტობას. უფრო მეტიც. კაცი, რომელსაც თავბრუდამხვევი კარიერა ელოდა პეტერბურგში იმპერატორის სასახლის კარზე, სტოვებს მოულოდნელად იქაურობას დ საბოლოოდ მკვიდრდება სამშობლოში, სადაც აქტიურად ებმება საზოგადოებრივ საქმიანობაში, ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, აქტიურობს ასევე სამწერლო სარბიელზე, ვერ იტანს ცარიზმის ხელისუფლების ძალადობრივ რეჟიმს საქართველოში და ამავე დროს რუსთ ხელმწიფისგან ნაბოძები ჯილდო — წარჩინების — ფლიგელ-ადიუტანტის წოდების მატარებელია. რომ არა ის 1888 წლის ქუთაისში მომხდარი „საბედისწერო“ შემთხვევა, საკითხავია, როდემდის იფლიგელ-ადიუტანტებდა ჩვენი დიდი მამულიშვილი. მითუმეტეს, რუსეთის კოლონიზატორული პოლიტიკის გატარების შედეგად აფხაზეთის საზთაეროს გაუქმებიდან 24 წელი უკვე გასული იყო, რუსეთს მთელი საქართველო დამონებული ჰყავდა. ციალა არდაშელიას ენით რომ ვთქვათ, „ქართულ თავადაზნაურობაში უკვე აღარ ჭაჭანებდა 1832 წლის შეთქმულების სულის ნატამალიც კი, თითქმის ყველანი ქცეულიყვნენ რუსეთის მეფის ქვეშევრდომად“.[1] ჩემთვის დღემდე გაუგებარია, თანაც ამოუხსნელ გამოცანად რჩება, თუ რატომ არ მიუგდო 1888 წლამდეც რუსეთის მთავრობას ფლიგელ-ადიუტანტის ჩინი, ან როდემდე შეირჩენდა მას, ალექსანდრე III ქუთაისში რომ არ ჩამოსულიყო?

როდესაც ვსაუბრობთ გიორგი შარვაშიძის პიროვნების პოპულარობაზე განსაკუთრებით XIX საუკუნის 80-იან წლებში, ერთ მნიშვნელოვან ფაქტზე გავამახვილებთ ყურადღებას. 1882 წელს კოწია დადიანმა (გიორგი შარვაშიძის ბიძა, ანუ დედის ძმა) მშვენიერი თხზულება მიუძღვნა სახელოვან დისშვილს. პოემას ჰქვია „ყანშაუბეი“. იგი დაიბეჭდა ჟურნალ „ივერიაში“ 1883 წელს — საინტერესო ის არის, რომ ნაწარმოები გამოქვეყნდა ამ ჟურნალში ილია ჭავჭავაძის უჩვეულო ფილოსოფიური პოემის „განდეგილის“ გვერდით. კოწია დადიანს თხზულების სათაურის ქვეშ მიუწერია: „პოემა ჩერქეზე-

[1] ც. არდაშელია, ყვირილი გვმართებს დრისით, მზისით, გვ. 216.

ბის ცხოვრებიდამ, ვუძღვნი თ. გიორ. მიხ. შარვაშიძეს".[1] ეს არის დიდებული პოემა. სამწუხაროდ, ლიტერატურული კრიტიკის მიერ ნაკლებად ყურადღებული. რატომ მიეძღვნა იგი გიორგი შარვაშიძეს? ამაში დაგვარწმუნებს მისი მოკლე შინაარსის გადმოცემა (ეს პოემა ღირსია საფუძვლიანი კვლევისა იდეურ-მხატვრული თვალსაზრისით და ხელახლა გამოცემისა).

„ყანშაუბეი" შედგება 4 კარისაგან, თითოეული კარი ცალკეული თავებისაგან. მთავარი გმირი ყანშაუბეი (იგივე გვარამ ყირიმშამხალი) იყო თავადი, სოფ. ელჯრუთის მეპატრონე („ჩერქეზთა თემი მის პირველობას თავ-მოწონებით აღიარებდა"). გამოირჩეოდა გარეგნული და სულიერი მშვენიერებით: „პირად ტანათა მოხდენილი და სანდომიანი, შორის თავის სწორთა და მეგობართა ჭკუით გამჭრელი, ენა-წყლიანი" (თითქოს გიორგი შარვაშიძის პიროვნება გვიდგას თვალწინ). მას ჰყავდა გულით სანდო, მხნე და ზრდილი მეგობარი მაჰამედის სახით. ორივენი დაქორწინებული იყვნენ. ყანშაუბეის ცოლს ერქვა გოშიაღი, ხოლო მაჰამედისა — ფატმანი. ისინი სახელგანთქმული მეგობრები იყვნენ („ზნეობით წვრთნილთა ყოველი მნახველი მსახურებიდიან და მონებდიან").

ყაბარდოში რჯულივით განადიდებდნენ სიმხნე-სიქველეს და სტუმართმოყვარეობას. ვინც ამას ჩერქეზებს შორის არ დაიცავდა, თემიდან აძევებდნენ. ამის განსაკუთრებით დამცველი ყანშაუბეი და მაჰამედი სხვათათვის მისაბაძი მაგალითი ხდებოდნენ.

ეშმაკი თხრიდა ფატმანის გულს. იგი მაჰმადიანი იყო (ჩერქეზეთის თავადიშვილთაგანი). გამოირჩეოდა გარეგნული სიტურფით: „შვენებით ტურფა, ტანად ნარნარი, კეკლუცი, სხივმადლიანი, მისი შეხედვით მისსა მნახველებს ტრფობის ისარი ხშირად სობია და იმ წყეულის ნაგმირსა ლახვრებს გული საკვდავად უმონებია".[2] ფატმანი თავისი მომხიბლველობით დარწმუნებული იყო, რომ ყოველი ჭაბუკის გულს დაიმონებდა: ამ იმედითა გატაცებულსა მას შეუარდა შამხალზედ გული — ვით არ ინდომებს ჩემს სიყვარულსა, ფიქრობდა იგი

[1] ჟურნ. „ივერია", №3, 1883, გვ. 3-37.

[2] იქვე, გვ. 6.

განლაღებული“. ამ ფიქრმა ფატმანს გააბედვინა ყანშაუბეისთვის სიყვარულის გრძნობის გამოცხადება („გრძნობით დამწვარმა გააგებინა თვისი ტანჯვა და თვის ცეცხლთა დება“).

ყანშაუბეის უკვირდა მაჰამედის ცოლის საქციელი. გულში ფიქრობდა:

„მაჰმედ ჭაბუკი, იგი პირ-ბროლი,
მას სამხნათ ერთა ვერ სჯობნებია...
იგი ძმა არის ჩემი უძმესი,
მე ცოლი მისი დად მიმითვლია“.

ერთხელ მაჰმედის ოჯახში სანადიმოდ სტუმრობისას ფატმანი კვლავ უმხელს შამხალს სატრფიალო გრძნობებს და „სიგიჟემდე შეყვარებული ტრფობის ბადეს ქსოვს, მახეს უმზადებს.“ ყანშაუბეისგან რეაგირებას მოკლებული ქალი კიდევ უფრო იტანჯება. ბოლოს ღალატი ჩაიდო გულში. საწამლავით შეზავებული „კათხა ტკბილის ბახსმითა“ შემოუტანა და დაალევინა შამხალს. ამ საწამლავმა იმსხვერპლა კიდეც ეს „ზნეობით ზრდილობიანი“, „მამულის კვერთხი დ მტრისა მზარავი“ ვაჟკაცი.

პოემაში „ყანშაუბეი“ განდიდებულია ძმობა და მეგობრობა, როგორც ზნეობის სიმაღლის მაცოცხლებელი. ყანშაუბეი, იგივე შამხალი, ზნეობრივი გმირია, სამშობლოსათვის, თანამემამულეთათვის თავგანწირული რაინდი. მან პირწმინდად დაიცვა ბოლომდე თემის ტრადიცია, რომ მოყვრის ღალატს სიკვდილი სჯობდა. შამხალმა არ უღალატა მაჰამედთან შეფიცულ ძმობა-მეგობრობის უდიადეს გრძნობას, როცა ეშმაკი შეუჩნდა ფატმანის სახით. იგი მოერია საკუთარ თავს, გაბატონდა ნებისყოფაზე, მოყვრის სიყვარული და ფასი დააყენა ყველაფერზე მაღლა, არ აჰყვა ვნებათაღელვას, უარყო ფატმანის სილამაზის და მისით გატაცების მაცდურობა.

ჩვენი აზრით, კოწია დადიანმა გიორგი შარვაშიძეს იმიტომ უძღვნა ეს შთამბეჭდავი პოემა, რომ საზოგადოებისთვის ეჩვენებინა ამ დიდებული აფხაზი კაცის ღირსებანი. საცილობელი არ უნდა იყოს: ყანშაუბეის პიროვნების განსახიერებისას ავტორს თვალწინ ედგა გიორგი შარვაშიძის ზრდილობა, პატიოსნება, ზნეობრივი იდეალი. ამიტომაც მიგვაჩნია იგი შამხალის პროტოტიპად. ამით განადიდა

კოწია დადიანმა თავისი სახელოვანი დისშვილი და, ამასთანავე, იმდროინდელ გარკვეულწილად გადაგვარებულ ქართველ საზოგადოებას შთააგონა ზნეობრივი იდეალების დაცვა.

არანაკლებ აქტიურია გიორგი შარვაშიძე ქართული კულტურის სარბიელზე XIX საუკუნის 90-იან წლებში. იგი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენს ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების საქმეში. საგულისხმო ცნობას გვაწვდის ილია ჭყონია თავისი ცნობილი წერილის დასასრულს: გიორგი შარვაშიძემ „1890 წელს დაიწყო ისტორიული პიესის წერა, რომელსაც „დემნა ბატონიშვილი" ერქვა, ხოლო როცა დაასრულა 1892 წელს, „გიორგი III" დაარქვა. ამ პიესის დასრულებამდე მან დაიწყო და დაასრულა პიესა „ცეცხლი უკომლოთ".[1] ეს ცნობა იმითაცაა საყურადღებო, რომ, ეტყობა, ამ უკანასკნელი დრამატული ნაწარმოების თავდაპირველი სახელწოდება ყოფილა „ცეცხლი უკომლოთ", რომელიც ავტორს შეუცვლია და საბოლოო ვარიანტისთვის უწოდებია „კომლი უცეცხლოდ".

როგორც შენიშნულია, გიორგი შარვაშიძეს თეატრი მიაჩნდა ქართველი ერის გამოღვიძების და გათვითცნობიერების დაწესებულებად. ეფემია ხარაძის სამართლიანი თქმით, არ იყო შემთხვევითი, რომ გიორგი შარვაშიძე „ივერიის" ფურცელზე თეატრალურ რეცენზიებს ძირითადად 1893-1894 წლებში აქვეყნებდა. ე.ი. იმ ხანებში, როცა საქართველოში ალმავლობას განიცდიდა მუშათა კლასის რევოლუციური მოძრაობა, რამაც საქართველოს თეატრებზე განსაკუთრებული გავლენა იქონია (ეს გავლენა განსაკუთრებით გაძლიერდა 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში).[2]

როგორც ზემოთ დაფიქსირდა ილია ჭყონიას ცნობა, გიორგი შარვაშიძეს პიესები „გიორგი მესამე" და „კომლი უცეცხლოდ" 1891-1892 წლებში დაუწერია. შალვა დადიანს „კომლი უცეცხლოდ" მისივე ავტორის ავტობიოგრაფიული ხასიათის ნაწარმოებებად მიაჩნია. იგი პირველად დაუდგამთ ქუთაისში 1893 წელს. 14 ნოემბერს დაუდგამს კოტე მესხს და ამ ერთმოქმედებიან პიესას დიდი პოპულარობა რგებია წილად. ამის დასტურია ის, რომ დრამა 1895 წლის

[1] გ. შარვაშიძე, თხზ., II, გვ. 134.

[2] ე. ხარაძე, გიორგი შარვაშიძე და თეატრი, თბ., 1997, გვ. 8.

26 ნოემბერს წარმოდგენილ იქნა თბილისში, რომელსაც იმთავითვე მაღალი შეფასება მიეცა.[1] თუმცა, სამწუხაროდ, რუსულმა პრესამ იგი ტენდენციურად შეაფასა.[2] ამ მიკერძოებულ, უარყოფით რეცენზიებს იმთავითვე გამოეხმაურა „ივერია“: „კომლი უცეცხლოდ“ ისეთი ხელოვნურად და ლამაზად აკინძული შემთხვევა არის, რომელსაც თავიდან ბოლომდე ინტერესით უყურებთ, სიამოვნებით. „კომლი უცეცხლოდ“ უცხო სურნელოვან, ლამაზ ყვავილს მოგაგონებთ, რომელსაც ნახი და ფაქიზი მოვლა უნდა, რომ უხვირო შეხებით ფოთლები არ გაუფუჭდეს“.[3]

რად ღირს ამ სპექტაკლისთვის აკაკი წერეთლის გამოხმაურება: „კვირას წარმოადგინეს „კომლი უცეცხლოდ“, ერთმოქმედებიანი დრამა. ეს დრამატული ნაწყვეტი რიგიანი და კარგია. მშვენიერი იყო გრაფის როლში კ. მესხი და მის დას ე. მესხს კი, რომელიც გრაფის მეუღლეს ადგენდა, დაეტყო დიდი ხნის სცენაზე გამოუსვლელობა: ჩქარობდა და სიტყვებს ყლაპავდა!... თამაშით კი მშვენივრად ითამაშა!“[4]

XIX საუკუნის 90-იან წლებში გიორგი შარვაშიძის მოღვაწეობის ეპიზოდების გახსენებისას შეუძლებელია გვერდი ავუაროთ ორ მომენტს. პირველი ეხება 1892 წლის 15 დეკემბერს პეტერბურგში გამართულ ლიტერატურულ საღამოს. პეტერბურგში თურმე ზოგჯერ სტუდენტების ინიციატივით იმართებოდა ლიტერატურული საღამოები. შემოსულ თანხას ახმარდნენ მატერიალურად ღარიბ სტუდენტებს. საღამოზე მონაწილეობის მისაღებად იწვევდნენ პოპულარულ ადამიანებს პოეტების, მსახიობების, მუსიკოსების, საზოგადო მოღვაწეების სახით. ამაზე მეტყველებს აღნიშნული ლიტერატურული საღამოს მონაწილეთა გაცნობაც: აკაკი წერეთელი, გიორგი შარვაშიძე, ი. პოლონსკი, მიხაილოვი, ვ. ველიჩკო, დ. მერეჟკოვსკი. ქართველ მთქმელრალეთა ანსამბლს მელიტონ ბალანჩივაძის ლოტბარობით

---

[1] იხ. გაზ., „ივერია“, №257, 1895.

[2] გაზ., „Новое обозрение“, 28 ნოემბერი, 1895; „Тифлисский листок“, 1895, 28 ნოემბერი.

[3] გაზ., „ივერია“, №258,1895.

[4] აკ. წერეთელი, ქართული სცენა, „კვალი“, №54, 1895; შდრ. ო. ჭურღულია, შარვაშიძეები, გვ. 76-78.

შეუსრულებია სიმღერები: „თამარის დროშა გაშალეს“, „კოშკი რამ ქვის ნათალი“, „დღეს მერცხალი შემოფრინდა“. ძალზე მოსწონებიათ ველიჩკოს მიერ წაკითხული აკაკის ლექსის მისეული თარგმანი, რასაც მოჰყოლია „ბრავოს“ ძახილი და „აუარებელი ტაშის კვრა“. კლოდეტის დაუდგამს „ცოცხალი სურათები „ვეფხისტყაოსნიდან“. „ცოცხალ სურათებში“ მონაწილეთა ვინაობა არ ჩანს, მაგრამ ოთარ ჭურღულიას საფუძვლიანი ვარაუდით, საფიქრებელია მასში გიორგი შარვაშიძეს მიელო მონაწილეობა, რადგან ჯერ კიდევ 1882 წელს ზიჩის მიერ დადგმულ „ცოცხალ სურათებში“ მან განასახიერა ტარიელის როლი.[1] ლიტერატურული საღამოს საუცხოოდ ჩატარების შემდეგ გაუმართავთ „პატარა შინაური ვახშამი“, რომელსაც დასწრებიან აკაკი წერეთელი და გიორგი შარვაშიძე.

„ივერიის“ კორესპონდენტის ინფორმაციით: „ვახშამზე გრძნობიერი სიტყვა წარმოთქვეს პოეტმა მერეჟკოვსკიმ, აკაკიმ და თ. გ. შარვაშიძემ. მსურდა ამ სიტყვების შინაარსი მკითხველისათვის გამეზიარებინა, მაგრამ ზოგიერთი მიზეზები, რომელთაც მკითხველი თვითონ მიხვდება, ნებას არ მაძლევენ“.[2] ეჭვი არ გვეპარება, რომ სიტყვები იქნებოდა ეროვნული პათეტიკით დამუხტული, საქართველოში ცარიზმის ძალადობრივი რეჟიმის მამხილებელი. რომ არა ეს, კორესპონდენტს სხვა მეტი რისი შიში უნდა ჰქონოდა. აკაკი და გიორგი ხომ გამოირჩეოდნენ ცარისტული ხელისუფლების ანტიქართული პოლიტიკის მხილებით პირდაპირ და უშიშრად.

კიდევ ერთი ეპიზოდი გიორგი შარვაშიძის პატრიოტული შემართებიდან. საუბარი ეხება 1893 წლის 7 დეკემბერს თბილისის „სამუსიკო კრუჟოკის“ დარბაზში გამართულ სალიტერატურო საღამოს. იგი საქველმოქმედო ხასიათს ატარებდა, შემოსული თანხა უნდა მოხმარებოდა მომავალი სათავადაზნაურო მუსიკალური სასწავლებლისათვის საჭირო ინსტრუმენტების შეძენას. ამ საღამოს დასწრებია გიორგი შარვაშიძეც. მისი გულისწყრომა გამოუწვევია ლადო ალექსი-მესხიშვილის მიერ ამ საღამოზე ნ. გოგოლის „შეშლილის

[1] ო. ჭურღულია, შარვაშიძეები, გვ. 67-62.

[2] „ივერია“, №2, 1892.

წერილების“ რუსულად წაკითხვას, ვინაიდან მისი ქართული თარგმანი არსებობდა. ამას დამატებული ისიც, რომ დამსწრე საზოგადოება მხოლოდ ქართველებით ყოფილა წარმოდგენილი. ამის გამო აფხაზმა მწერალმა თავისი შეშფოთება გაზეთ „ივერიის“ ფურცლებზე გაახმაურა: „ეს წერილები საუცხოოდ იქნა წაკითხული, მაგრამ არ გვესმის რუსულად ეგ რად ამჯობინა არტისტმა ქართულს, როდესაც ეს „წერილები“ ქართული სცენისათვის არის ნათარგმნი და, ამას გარდა, თითქმის მთელი დამსწრე საზოგადოება ქართველობა იყო“. იქვე განაგრძობს გულისტკივილით ავტორი: „რუსულმა ხოროშ და მუსიკამ კი შესძლო ლეკურის დაკერა, მაგრამ ქართველმა საზოგადოებამ, ქართულის სალიტერატურო საღამოზედ თავმოყრილმა, ლეკურის თამაშის ცოდნა ვერ გაიოიჩინა. ვალსსა და მაზურკას გატაცებული თაყვანისმცემლები გამოუჩნდნენ მაშინ, როდესაც ჩვენი ეროვნული ცეკვა კუნჭულში იყო გამოუსადეგრად მიგდებული და არავის ყურადღებას არ იზიდავდა“.[1]

ამასთან, დაკავშირებით ოთარ ჭურღულია მართებულად წერს: „ეს პატარა დეტალიც ნათლად მიუთითებს გ. შარვაშიძის დამოკიდებულებაზე ქართული ეროვნული კულტურისადმი, იმ დიდ და უნაპირო სიყვარულზე, რომელსაც იგი ამჟღავნებდა სამშობლოსადმი, ქართველი ხალხისადმი, ყოველივე იმისადმი, რაც შედის ეროვნული ცნობიერების, ფსიქოლოგიის, ყოფისა და, საერთოდ, ცხოვრების ფარგალში“.[2] შეუძლებელია გიორგი შარვაშიძის ცხოვრებიდან XIX საუკუნის 90-იანი წლების მიწურულის კიდევ ერთი ეპიზოდი არ გავიხსენოთ. ეს არის 1896 წელს მისი შეხვედრა ილია ჭავჭავაძესთან ქუთაისში. აღნიშნულ წელს გარდაიცვალა გაბრიელ ეპისკოპოსი. მისი დაკრძალვა 10 მარტით განისაზღვრა. თბილისიდან ქუთაისში დაკრძალვაზე მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდა დელეგაცია ილია ჭავჭავაძის მეთაურობით. ამის შესახებ გვიყვება თავის მოგონებაში დელეგაციის ერთ-ერთი მონაწილე დიდი ექვთიმე თაყაიშვილი. თურმე პოლიცმეისტერ სიმონიშვილს დავალებული ჰქონია ილიას თვალთ-

[1] გაზ. „ივერია“, №266, 1893.

[2] ო. ჭურღულია, შარვაშიძეები, გვ. 67.

ვალი: „Следить за Ильей Чавчавадзе и записать каждое слово, что он скажет“. გამომდინარე აქედან, ეჭვქვეშ დადგა დაკრძალვაზე დიდი ილიას სიტყვით გამოსვლა. „განდეგილის“ ავტორს აფიქრებდა, რომ მისმა გამოსვლამ „შეიძლება პატივისცემის მაგიერ უსიამოვნება გამოიწვიოს, რაც არ ეგების გაბრიელის სახელსო“. ილიამ ბოლოს გადაწყვიტა: „სჯობს არაფერი არა ვთქვათ, თუმცა გულს კი დამაკლდება, რადგანაც სიტყვა კარგად მაქვს მომზადებულიო“. მიუხედავად ამისა, იგი მაინც გამოვიდა მისთვის დამახასიათებელი სიტყვით, რამაც დამსწრენი აღაფრთოვანა. „ჯანდიერი სიხარულით შეხვდა ამას და ილიაც კმაყოფილი დარჩა“.

ამის შემდეგ ექვთიმე თაყაიშვილი იგონებს ქუთაისის ერთ-ერთ სასადილო დარბაზში მოქეიფეთა ჯგუფთან შესვედრას: „დავინახეთ მოქეიფეთა ჯგუფი აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შვილის გიორგი შარვაშიძის მეთაურობით. უკვე ყველა შეზარხოშებული იყო. ხშირად გალობდნენ საეკლესიო მოტივს: „განუსვენე, უფალო, სულსა მიცვალებულისა შენისასა“. მათ რომ დაგვინახეს, ყველანი ფეხზე წამოდგნენ. გიორგი შარვაშიძემ (ე. თაყაიშვილი „შარვაშიძეს“ წერს – ტ.მ.) ხმამაღლა დაიძახა: „–ოო, ილია გრიგორიჩს გაუმარჯოს! რა სასიამოვნო სტუმარი მოვიდა! აბა, ახალი სუფრა!“[1] ექვთიმე თაყაიშვილი არ ასახელებს თამადის ვინაობას, თუმცა აუცილებლად იგი გიორგი შარვაშიძე იქნებოდა.

გიორგი შარვაშიძემ XIX საუკუნიდან XX საუკუნეში კვლავ გმირული შემართებით გადმოაბიჯა, თან გადმოიტანა რუსი კოლონიზატორების მიერ დაბეჩავებული სამშობლოს სევდა, ქართველთა გარკვეული ნაწილის გადაგვარებით აღძრული ვარამი, ფეხქვეშ გათელილ აფხაზეთზე დარდი, ადამიანის ხვედრზე ფიქრი. ამასთანავე, თან გადმოიტანა მომავლის რწმენა, რაინდული სულისკვეთება, გმირული შემართება, სამშობლოს ხსნისათვის ბრძოლის ჟინი. XX საუკუნის სარბიელზე მან სული 18 წელი დაჰყო, მაგრამ თავისი ნათელი კვალი მაინც დააჩნია ამ პერიოდის საქართველოს, მშობლიურ აფხაზეთს და ასე ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან.

[1] გ. შარვაშიძე, თხზ., II, გვ. 273-274.

გიორგი შარვაშიძე XX საუკუნის დამდეგს შეეგება ლექსით „კატო აბაშიძის ქალს". ივი დაწერილია 1901 წელს და ასე იწყება:

„დაო კატო! ვით პეპელა
დაჰფრინავ და დარდიმანდობ!
ვინცა გიცნობს, გეტრფის ყველა,
მაგრამ გულსა ნურვის ანდობ".

რადგან ზემოთ ამ ლექსის თარიღზე მივუთითე, ბარემ აქვე ვიტყვი: გიორგი შარვაშიძის მხოლოდ რამდენიმე ლექსი შემოგვრჩა ქართულ და რუსულ ენებზე, რომელსაც ქვეშ თარიღი უზის: „რა უშავს მათ" (1868 წ.); „ჩემსა საღამოს, გლახსა საამოს" (1869); „...ს („ხელთ ვიღებ ბოკალს"...) – 1869; „მოგონება" (1872); „რომ და მაგრამ" (1879); „ელოს მარაოზე" (1879); „გასათხოვარს" (1882); „თეთრი ჩადრი (1881); „პასუხი ვ.ო. (ორბელიანს) – 1883; „კოწია ერისთავს" (1885); უსათაურო („ოხ, რომ მცოდნოდა"...) – 1894; „აკაკის" - 1915; უსათაურო („Давно прошли"...) – 1890; უსათაურო („Скажи мне"...) – 1898; უსათაურო („В любви"...) – 1909; „Фердуси и ученик" (1909); უსათაურო („Прошло, прошло..") – 1909; უსათაურო („Ёшё с душою"...) – 1910. დანარჩენი ლექსების შეთხზვის თარიღები უცნობია. რაც შეეხება მწერლის ერთადერთ პოემას „გვადანის ციხე", დაწერილია 1913 წელს.

XX საუკუნის დამდეგს გიორგი შარვაშიძე გვევლინება მქადაგებლად ერებს შორის თანაცხნოვრებისა, მეგობრული და კეთილმეზობლური დამოკიდებულებისა. 1903 წელს „ივერიაში" გამოქვეყნებულ წერილში გულწრფელად წერს: „მთელს საქართველოში დიოგენის ფარნითაც ვერ მოსძებნით რუსთა ერის და სომეხთა ერის მოძულეთა, არიან ქართველებში მოძულენი ამა თუ იმ უღირსი სომხებისა და რუსებისა, როგორც არიან მოძულენი სულმდაბალ ქართველებისა".[1] ახლა კი გავეცნოთ ერთ ნაწყვეტს გიორგი შარვაშიძის პოლემიკური სტატიისა – „ძმური სიტყვა ძმობის მსურველთ": „ჩვენ არც ერთ ერს არ ვემტერებით, საქართველო იმთავიდანვე იწყნარებდა და ითვისებდა ყოველ ტომს, მოდგმას. ყველას აძლევდა ბინას, საფანელს, საზრდოს

[1] გაზ. „ივერია", №3, 1903.

და ეკლესიებსაც კი... ჩვენთვის სულ ერთია, ვინც უნდა იყვნენ მახინჯი ვაჟბატონები: იანცი, ძე, შვილი, ოვი, ადი თუ ოღლი, ურცხვს ჩვენ ვგმობთ. საძაგელი გვეზიზღება, გულწრფელად, ნებით თუ უნებლიეთ, შემცდარს ჩვენ გულწრფელად ვამხილებთ".[1] საინტერესოა კიდევ ერთი მომენტი. სომხური სოციალ-დემოკრატიული გაზეთი „პა ქარ" თავის დროზე მადლიერებით აღნიშნავდა, რომ 1904 წელს გ. შარვაშიძე გამოვიდა აფხაზეთში მცხოვრებ სომეხ კოლონისტთა დამცველად აღვირახსნილი რეაქციული ელემენტების წინააღმდეგ. წერილის ავტორი, გაზეთის კორესპონდენტი აფხაზეთიდან, ამ ფაქტს ასახელებდა როგორც ნიშანს აფხაზი ხალხის კეთილგანწყობილებისას სომეხი მეზობლებისადმი.[2] დიახ, „აფხაზი ხალხის კეთილი განწყობილება სომეხი მეზობლებისადმი" ბოლო ოცი წლის მანძილზე (1993-2012) იმით „დაგვირგვინდა", რომ დღეს აფხაზეთის მოსახლეობის 60%-ზე მეტი სომეხია და თვით „თავისუფლების" და „დამოუკიდებლობისათვის" მებრძოლი აფხაზები უმცირესობის ზვავქვეშ მოყვნენ.

გიორგი შარვაშიძე ვერ იტანდა ერთი ერის მიერ მეორის დამცირებას, ისტორიის ფალსიფიკაციას, ფაქტების და მოვლენების გაყალბებას. ამისთვის გვერდის ავლას დიდ მეცნიერებსაც როდი პატიობდა, თუნდაც იგი ნიკო მარი ყოფილიყო. მან „გარდახვეწილის" ფსევდონიმით „ივერიაში" დაბეჭდა წერილი – „ქართველი პროფესორის კაბინეტში". ნიკო მართან შეხვედრისას, მის კაბინეტში ყოფნისას იგი საყვედურობს დიდ მეცნიერს, საქართველოში დაბადებულს და აღზრდილს, რატომ არ სცემს პასუხს სომეხ აბაზას მიერ 1888 წელს გამოქვეყნებულ წიგნს, სადაც „История Армение"-ში მოქცეულია მთელი ტერიტორია საქართველოსი. თან მწარედ მიახლის ასეთ სიტყვებს: „რატომ არ გაჰკილავთ და არ გაკიცხავთ ვარჟაპეტებს, რომელნიც ქართულ წარწერებს ფხეკენ ძველ ტაძრიდან და სომხურებს აწერენ? დიახ, ქართველებს თქვენდამი სამდურავი ბევრი აქვთ"... წერილი ასე სრულდება: „გადამდგარ ქართველთან

[1] გაზ. „ივერია", №, 1904.

[2] გაზ. „პაძქარი", №6, 8, 1916; გაზ. „საქართველო", №43, 1916; შდრ. გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 23.

საუბარს ცხრილით ზღვის ამოშრეტა სჯობნებია".[1] გიორგი შარვაშიძის შევიწროებას ცარისტული ხელისუფლების მხრიდან ბოლო არ უჩანდა. ამის დასასაბუთებლად ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი კმარა: 1904 წელს ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობამ გიორგი შარვაშიძე აირჩია თავის წინამძღოლად, მაგრამ მისი კანდიდატურა უარყო რუსეთის ძალადობრივმა რეჟიმმა და არ დაამტკიცა იგი.

1905 წელი გიორგი შარვაშიძისათვის ბედნიერად შემოვიდა. როგორც იქნა, ნება დართეს მშობლიურ აფხაზეთში შესვლისა და იქ ცხოვრებისა, ოღონდ შეკვეცილი უფლებებით. სამწუხარო ის იყო, რომ „რუსის აღზრდა-აზოვნება-მიმართულებით გაჟღენთილმა" აფხაზებმა ცივად მიიღეს, თითქოს და ვერც შეამჩნიეს მისი შემოსვლა ოდაბადეში. ამის შესახებ გულისამაჩუყებლად მოგვითხრობს სოხუმის ყოფილი მოურავი ნიკო თავდგირიძე: „მხოლოდ 1905 წლის შეკვეცილ უფლებათა მოპოვების შემდეგ შესძელ დაუბრკოლებლად აქ (აფხაზეთში — ტ.მ.) გეცხოვრა... აბხაზებმა შენი აქ ჩამოსვლა ვერც კი შეამჩნიეს... შენმა სიყვარულმა ხალხმა — აბხაზებმა (ნ. თავდგირიძე „აბხაზებს" წერს და არა აფხაზებს — ტ.მ.) გვერდი აგიხვია, ვერც შეგამჩნია შენ და ამ რუსის აღზრდა-აზროვნება-მიმართულებით გაჟღენთილ ადამიანებს მიჰყვა, რომელთან ბრძოლას შენი ხალხის დაჩაგვრისათვის მთელი შენი კაცთა შორის აღიარებული ბედნიერება შესწირა".[2]

მართალია, გიორგი შარვაშიძე 1905 წლიდან დამკვიდრდა მშობლიურ აფხაზეთში, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს იგი ქუთაისიდან უყურებდა მხოლოდ ცრემლიანი თვალებით ამ უმშვენიერეს კუთხეს. ამასთან დაკავშირებით სიმონ ჯანაშია მოგვითხრობს გიორგი შარვაშიძის მეგობრის, კოწია ერისთავის მისთვის ნათქვამს: „როცა გიორგი ქუთაისში ცხოვრობდა, ზაფხულობით ის ხშირად მიდიოდა აფხაზეთში. გამოეწყობოდა ჩოხით და მთელ აფხაზეთს მოივლიდა ისე, რომ კუნჭულს არ დატოვებდა დაუთვალიერებელს, მთასა თუ ბარში, გზაზე თუ გზის გადაღმა. ასეთი ხეტიალისგან სა-

---

1 გაზ. „ივერია", №3, 1904.

2 ჟურნ., „თეატრი და ცხოვრება", №10. 1918; შდრ. გ. შარვაშიძე, თხზ., II, გვ. 40.

მოსშემოძარცვნილი ბრუნდებოდაო უკან".[1]

გიორგი შარვაშიძე ცხოვრობდა სოხუმში (პუშკინის ქუჩაზე). სახლის ფასადზე თვითონ მას გაუკეთებია წარწერა ლათინური ასოებით — „ვილა ჩემი". ცხოვრობდა სოხუმში. ალბათ, მეუღლესთან ერთად. მისი მეუღლე ელენე ანდრეევსკაია გარდაცვლილა 1913 წელს. დაკრძალულია მოქვის ტაძარში, სადაც 5 წლის შემდეგ მის გვერდით ჰპოვა განსასვენებელო თვითონ გიორგი შარვაშიძემ.

ილია ჭყონიას მიხედვით, გიორგი შარვაშიძეს „გიორგი მესამის" შექმნა დაუწყია 1890 წელს, რომელიც დაასრულაო 1912 წელს. იგი დაიბეჭდა 1915 წელს გაზ. „სამშობლოში" (№48, 50, 51, 53, 58, 59, 60, 62). ქართულ სცენაზე მისი დადგმის უფლება ცენზურას მიუცია 1909 წლის 20 ნოემბერს. შალვა დადიანის თანახმად, „გიორგი მესამე" ცენზურის ნების დართვამდე უკვე წარმოუდგენიათ 1908 წელს ქუთაისში: „მე ვიყავი მისი შესანიშნავი პიესის „გიორგი მესამის" დამდგმელი და რეჟისორი ქუთაისის სცენაზე 1908 წელს. ამ პიესაში იყო გამოყვანილი რუსთაველი, თამარ მეფე, დემნა, დავით სოსლანი და სხვ. მასში იყო აღწერილი მეტად ნიჭიერად გაბედულად სასახლის შიგნით ბრძოლა ტახტისათვის და ნაჩვენები შეთქმულება მემკვიდრის — დემნას სასარგებლოდ. პიესა „გიორგი მესამე" დაიდგა ქუთაისის თეატრში სამჯერ ზედიზედ მთლიანი ანშლაგით, რაც იშვიათი მოვლენაა მაშინდელს თეატრში".[2] საინტერესო ცნობა მოგვეპოვება იმის შესახებ, რომ „გიორგი მესამე" და „მომაკვდავნი სურათნი" 1915-1916 წლებში იდგმებოდა სოხუმში საჩინო იოსელიანის თეატრში.

ახლა კი გავეცანით თედო სახოკიას მოგონებიდან „ძველი სოხუმი"[3] ერთ საინტერესო ნაწყვეტს 1905 წლიდან სოხუმში დამ-

---

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 21-22.

[2] შ. დადიანის მოგონება მოტანილია მ. ლაკერბაიას წიგნიდან „აფხაზური თეატრის ისტორიიდან", თბ., 1957; შდრ. ო. ჭურულია, შარვაშიძეები, გვ. 79-80.

[3] თ. სხოკიას მოგონება „ძველი სოხუმი" გამოუქვეყნებელი იყო. ჩვენთვის ამჯერად საჭირო ნაწყვეტი პირველად დაბეჭდა ს. ლეკიშვილმა თავის წერილში „გიორგი შარვაშიძე", რომელიც გაზ. „ლიტერატურულ საქართველოში" 1967 წლის 6 იანვრის ნომერში გამოქვეყნდა.

კვიდრებულ გიორგი შარვაშიძეზე: „გ. შარვაშიძე სტუმრად მარტო გრიგოლ შარვაშიძის შვილებთან დადიოდა. მასპინძლისას სტუმრები გამოულეველი იყო, საჭირბოროტო კითხვები აუარებელი... შარვაშიძეთა სახლში გამართულ კრებებზე პირველი ფიგურა გ. შარვაშიძე იყო, როგორც მოლაპარაკე და კრების ტონის მიმცემი. ზოგჯერ ისე გაგვიტაცებდა ლაპარაკი, რომ კედლის საათის ისარი დილის ორ და ხან სამ საათს გვიჩვენებდა. ერთ ასეთ კრებაზე წაგვიკითხა გ. შარვაშიძემ თავისი ისტორიული წერილი ბერლინის გაზეთ „ბერლინურ ტაგებლატ"-ში დასაბეჭდად გამზადებული".

1911 წელს გადამთიელმა ლორენცმა ბერლინის გაზეთ „ბერლინერ ტაგებლატში" გამოაქვეყნა სტატია, სადაც ქართველებსა და აფხაზებზე ბილწსიტყვაობით იჯერა გული, ცუდად და უდიერად მოიხსენია ისინი. გიორგი შარვაშიძემ არ აპატია ლორენცს უმსგავსო საქციელი. წონასწორობა დაკარგულმა ამ თავხედობას საკადრისი პასუხი გასცა, რაც გაუგზავნა გერმანული გაზეთის რედაქციას, ხოლო მისი ასლი გამოაქვეყნა გაზეთ „ზაკავკაზსკაია რეჩში" 1911 წელს (№146) სახელწოდებით: „Письмо светлейшего князя Г.М. Шервашидзе, посланное им в ред. газ. Berliner Tагеблат". ანტონ ფურცელაძემ ამ წერილს უწოდა გულის სიღრმიდან გამოსული „ნაღველში ამონაწები" კალმით ნაწერი.

1915 წელს გაზეთ „საქართველოში" (№169) გიორგი შარვაშიძე აქვეყნებს მეტად საინტერესო წერილს „ქართული ენის გარშემო", სადაც საუბარია ქართული ენის ბუნებაზე, თვისებებზე, მუსიკალურობაზე, „მართლ-მწერლობის" წესების დაცვაზე, გამოთქმულია უკმაყოფილება ზოგიერთი ქართული ასოს (ჩ, ჯ, ღ, ჭ, ჴ) გაუქმებაზე, პრესაში ბარბარიზმების („კუპატსავით უცხო სიტყვების") მოჭარბებაზე და ა.შ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი. ცარიზმის კოლონიზატორულმა რეჟიმმა გადაწყვიტა პირველი მსოფლიო ომის დროს აფხაზეთის მოწყვეტა საქართველოსთვის და სოხუმის ოლქის ჩერნომორიის გუბერნიისათვის მიერთება, ასევე საქართველოს საეგზარქოსოს მაგივრად სოხუმის ეპარქიის პირდაპირ რუსეთის უწმინდეს სინოდ-

თან დაქვემდებარება. ამან მოწინავე აფხაზ ინტელიგენციაში გიორგი შარვაშიძის მეთაურობით უკმაყოფილება გამოიწვია. აღშფოთებულთაგან შეიქმნა საგანგებო კომისია, „აფხაზთა დეპუტაცია", რომელსაც ხელმძღვანელობდა ალექსანდრო შარვაშიძე. აფხაზთა დელეგაციაში შედიოდნენ თავადები: დიმიტრი მარშანია, ასტამურ ინალ-იფა, გიორგი შარვაშიძე, პეტრე ანჩაბაძე. აგრეთვე გლეხები: ანტონ ჩუკბარი, ვინმე ეზუხბაია. მათი შეხვედრა შედგა თბილისში კავკასიის მეფისნაცვალ დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძესთან 1916 წლის 26 აპრილს. მათ მეფისნაცვალს მიართვეს პეტიცია. ჩვენთვის ამ მომენტში მნიშვნელოვანია გიორგი შარვაშიძის მიერ დაწერილი აფხაზთა თხოვნა, რომელიც ჟურნალმა „თეატრმა და ცხოვრებამ" მოლიანად დაბეჭდა. გავეცნოთ ამ მოთხოვნის საყურადღებო ნაწილს: „1. მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება აქამდე მივიწყებულ სოხუმის ოლქს, 2. გაიხსნას აქ რაც შეიძლება მეტი სკოლები უმთავრესად პრაქტიკული ხასიათისა, 3. გაყვანილ იქნას ახალი გზები და შესწორებული ძველი, 4. სწავლა სკოლებში წარმოებდეს მშობლიურ ენაზე (ქართულზე და აფხაზურზე), 5. სოხუმის ოლქი გამოყოფილ იქნეს ცალკე გუბერნიად და არას გზით არ იქნეს შეერთებულ-მიწერილი სხვა გუბერნიასთან (მაგ. შავი ზღვის), 6. თუ შეუძლებელი იქნება ცალკე გუბერნიად სოხუმის ოლქის გარდაქმნა და იგი რომელიმე გუბერნიას უნდა შეუერთდეს, იმ შემთხვევაში სოხუმის ოლქი შეერთებულ უნდა იქნეს ქუთაისის გუბერნიასთან, 7. სოხუმის ეპარქია,. რადგან ის მთელი თავისი წარსულითა და აწმყოთი, შესისხლსორცებულია საქართველოს ეკლესიასთან, არას გზით არ უნდა იქნეს გამოყოფილი საქართველოს საეგზარქოსოსაგან".

ჟურნალი „თეატრი და ცხოვრება" აღაფრთოვანა აფხაზთა დელეგაციის მოქმედებამ და გამოაქვეყნა რედაქციის მიმართვა აფხაზთა დეპუტაციის თხოვნასთან დაკავშირებით: „ახლახან გაბედული ხმა ამოიღო ძველი საქართველოს მშვენებამ აფხაზეთმა და თავისი წარმომადგენლის ბაგით განაცხადა: მომეცით გზა განათლებული ცხოვრებისა და ნუ მწყვეტავთ დედა საქართველოს მკერდს. მე მისი ძუძუ მიწოვია, იგი ჩემით საზრდოებულა. მასთან სიცოცხლე, მასთან

სიკვდილი!.. ასე იყო ძველად, ასე უნდა იყოს ახლაც... სალამი ჩვენი გულის ჩამონაწყვეტ საკინძს... ჩვენს ძმებს აფხაზებს და გაუმარჯოს მათ პირველ ნაბიჯს". ამ „პირველი ნაბიჯის" გადადგმაში სწორედ გიორგი შარვაშიძეს, უკვე იმჟამად სოხუმში მცხოვრებს, მიუძღოდა უდიდესი წვლილი.

გიორგი შარვაშიძე აღფრთოვანებული იყო 1917-1918 წლების რუსეთში მიმდინარე მოვლენებით. თავის სიხარულს წერილობით გამოხატავდა. რუსეთში მომხდარი რევოლუციები მას ესახებოდა საქართველოს თავისუფლების საფუძვლად. ეგონა, რომ ჩვენი ბედკრული ქვეყანა თავს დააღწევდა დამპყრობი რუსეთის მონობას. 1917 წელს გიორგი შარვაშიძე აქვეყნებს სტატიას გაზ. „საქართველოში", რომელსაც ჰქვია „სოციალიზმი და საქართველო". სწორედ აქ გვაზიარა მან თავის სიხარულს რუსეთში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით: „ამ დროს, როდესაც შეგნებული ნაწილი, ივერთა დაკუწულ ხალხისა, გულხელდაკრეფილი, იდგა საფლავებზე თავის დავიწყებული დამარხული დიდებისა, დღეს უეცრად გაისმა ხმა სიმართლისა და თავისუფლებისა!

დაჰკრა საქართველომ ნაღარა, დაჰკივლა ვაშა, ვაშა! მაგრამ მოისმის მეორე ხმა: ჩვენ არ გვსურს თავისუფლება, არ ვეძებთ ავტონომიას. ხალხი ქვეყნიერებისა ყველა ერთია, ჩვენ გვინდა მხოლოდ მუშა ხალხს მიეცეს სიკეთე-შეღავათი. ამისათვის საჭიროა მამულები ჩამოერთვას მებატონეებს და დაურიგდეს მიწა მუშებს, ძირს წოდება და მიწათპატრონობა და სხვ.

აგრე, — სოფლურ ანგარიშზე ჩამოქვეითდა ბრწყინვალე მზე ერის განთავისუფლებისა, გამოცოცხლებისა!!"

ეს პულიცისტური წერილი იმ მხრივ იქცევს ყურადღებას, რომ მისი ავტორი ღრმად ყოფილა გარკვეული ე.წ. სოციალიზმის არსში, მის მოსალოდნელ შედეგებში. სტატიაში გატარებული კონცეფციები თითქოს წინაწარმეტყველური აღმოჩნდა. იყო თუ არა რუსეთი სოციალიზმისთვის მზად, ან თავად საქართველოც. ავტორს ეჭვი არ ეპარება სოციალიზმის იდეალის მომხიბვლელობაში, ოღონდ აფიქრებს პრაქტიკულად მისი განხორციელება ცხოვრებაში.

ოთარ ჭურღულიამ აფხაზეთის დ. გულიას სახ. სახელმწიფო მუზეუმში მიაკვლია გიორგი შარვაშიძის მიმართვას აფხაზი ხალხისადმი სიკვდილის წინ – „Предсмертное обращение к абхазскому народу Георгия Михайловича Шервашидзе“.[1] გავეცნოთ ნაწყვეტებს: „ჩვენი მამები, ბიძები და ძმები იბრძოდნენ, იტანჯებოდნენ და კვდებოდნენ სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის. მათ ამაყ, თავისუფალ სულს არ უნდოდა და არც შეეძლო დამორჩილებოდა რუსეთის მთავრობის მჩაგრავ სისტემას; არ შეძლო საუკუნეების მანძილზე შემუშავებული საკუთარი ადათ-წესებისა და ტრადიციების გათელვა, ამიტომ ისინი იარაღით ხელში გამოდიოდნენ ძლევამოსილი რუსეთის წინააღმდეგ.

ბევრი მათგანი დაეცა ბრძოლის ველზე მშობლიური აფხაზეთისთვის. ათასები იტანჯებოდნენ ცივ ციმბირსა და რუსეთში. ხოლო უთანასწორო ბრძოლაში სასოწარკვეთილი მრავალი ათასი ადამიანი გარდაიხვეწა თურქეთში, ძალმომრეობას არ მოუხარა ამაყი თავისუფალი თავი“...

„ნუთუ ჩვენ ღირსეული შვილები არა ვართ ჩვენი წინაპრებისა!... გავუწოდოთ ერთმანეთს ძმური კავშირის ხელი ფიცით, რომ ყველა ერთად, მხარდამხარ ვიცვლით, ისე როგორც ჩვენი მამები, ჩვენი ადათების, ჩვენი სამშობლოს დასაცავად“...

„რომ შევინარჩუნოთ აფხაზეთი მთლიანობაში, ყველამ უნდა დავიცვათ ჩვენი ქვეყნის ტრადიცია. ყოველი ხალხი, რომელიც მოისურვებს იცხოვროს უტრადიციოდ, – იღუპება“.

აი, როგორ ფიქრობდა, როგორ ზრუნავდა სიკვდილის პირას მისული გიორგი შარვაშიძე მშობლიურ აფხაზეთზე, მის გადარჩენაზე, მის მომავალზე.

გიორგი შარვაშიძე გარდაიცვალა 1918 წლის 19 თებერვალს სოხუმში. დაკრძალულია მოქვის მონასტერში მამის და მეულლის გვერდით. მისი დაკრძალვის დღეს – 25 თებერვალს მგზნებარე სიტყვა

[1] Предсмертное обращение к абхазскому народу Георгия Михайловича Шервашидзе. ხელნაწერი ინახება აფხაზეთის დ. გულიას სახ. სახელმწიფო მუზეუმში, არქივი №48, ფ.ვ. შდრ. ო. ჭურღულია, შარვაშიძეები, 63; ე. ხარაძე, გიორგი შარვაშიძე და თეატრი, გვ. 7.

წარმოთქვა სოხუმის ყოფილმა მოურავმა ნიკო თავდგირიძემ. კვლავ მოვიხმობ ნაწყვეტებს: „შენ შესანიშნავი იყავი ჩვენს ცხოვრებაში, როგორც სულიერად ძლიერი, ჩვეულებრივ საზოგადოების აზრ-მისწრაფებათა მაღლა მდგომი პირადობა... ქედი არ მოიხარე, ოდნავადაც არ დაიმცირე ღირსება შენი ერის მჩაგვრელ, შენს ხალხზედ ძალით გაბატონებულ ძლიერი სახელმწიფოებრივი მმართველობის წინაშე... ყმაწვილობიდან გეზიზღებოდა ყოველივე ის სიკეთე, რომელიც რუსეთის ტახტიდან გამომდინარეობდა... შენ პირველმა ასწიე, აღამაღლე მაღალ წოდებაში შეგნება და პატივისცემა საზოგადოდ კავკასიელი ერებისადმი... შენისთანა რაინდული გრძნობით აღჭურვილი, შენისთანა ჩვენი ეროვნების ღირსების შემგნები, დამცველი და უანგარო მოყვარული არა თუ აბხაზეთს, მთელ საქართველოსაც არა ჰყავს.[1]

საინტერესოა, რომ გიორგი შარვაშიძის გარდაცვალებიდან ნახევარი წლისთავზე სოხუმში ქართული და აფხაზური საზოგადოების წარმომადგენლებმა ჩაატარეს მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო (1918 წლის 4 სექტემბერი). ხალხით გადაჭედილ ადგილობრივ თეატრში სიტყვით გამოვიდა მიტროპოლიტი ამბროსი ხელაია, სადაც ისაუბრა ქართულენოვანი აფხაზი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ბიოგრაფიაზე, მის მოღვაწეობაზე, პოლიტიკურ და ეროვნულ იდეალებზე.[2] წმ. ამბროსიმ განაცხადა: „განსვენებულ გიორგი შარვაშიძეს ამქვეყნად არ უნახავს რამე, გარდა ტანჯვისა და მწუხარებისა. მან დაჰკარგა დიდება, დაჰკარგა ქონება, განიცადა დევნილობა და სამშობლო მხრიდან ექსორიობა. ის არ ეძებდა ამქვეყნიურ დიდებას... განსხვენებული ემსახურებოდა ქართველთა და აფხაზთა ძმური ურთიერთობის განმტკიცების საქმეს...

შევავედროთ უფალს, განუსვენოს გიორგის სულს წიაღსა შინა აბრაამისასა, ხოლო ჩვენ მოგვცეს უფალმა შეგნება, სურვილი, მისწრაფება მივსდიოთ მის ანდერძს და განვახორციელოთ იგი ცხოვრებაში ქართველთა და აფხაზთა საბედნიეროთ“.

---

[1] გ. შარვაშიძე, თხზ., II, გვ. 36-40.

[2] შდრ. ჯ. გამახარია, წმინდა აღმსარებელი ამბროსი (ხელაია), თბ., 2012, გვ. 108-109.

და ბოლოს: როგორც ზემოთაც იყო ნახსენები, ილია ჭყონიას მიერ დაწერილი საკმაოდ ვრცელი წერილი გიორგი შარვაშიძის გარდაცვალების გამო, თურმე ინახებოდა გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში (ფონდი 10124-26). იგი გამოუქვეყნებელი ყოფილა, რომელიც ავთანდილ ნიკოლეიშვილისთვის მიუწოდებია ლუკა დვალიშვილს. ავთანდილ ნიკოლეიშვილმა თავის ნაშრომში „გიორგი შარვაშიძე – საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლი აფხაზი მწერალი" იგი მთლიანად დაბეჭდა. წერილი შეიცავს მეტად საინტერესო ბიოგრაფიულ მასალებს. ზემოთ ვახდენდით ციტირებას ამ წერილიდან. მკითხველმა რომ კვლავ მთლიანობაში აღიქვას იგი, გადავწყვიტეთ ხელახლა მისი გამოქვეყნება:

„მონარქიული ეპოქის ჩვენი უკანასკნელი წარმომადგენელი, რაინდი უშიშარი, უმწიკვლო მწერალი, მოლექსე და დრამატურგი, პირმშო ძე მემკვიდრე აფხაზეთის მთავრის მიხეილისა – გიორგი, ხნოვანებით მოხუცი, გულით კი ჭაბუკი, ამ დღეებში გარდაცვლილა. სამუდამოდ დახუჭა თვალი თავის სამშობლო ქალაქში სოხუმში ახლა, როცა თავის მამულიშვილურ იდეალებს ან საბოლოოდ უნდა გაემარჯვა, ან სამუდამოდ უნდა გაქარწყლებულიყო.

ევროპულად განათლებული, კარგი მცოდნე ისტორიისა და ლიტერატურათა ისტორიისა, შვენიერი თვალადი, კიდევ უკეთესი ტანადი, ჩინებულად მოუბარი და დარბაისელი. ის იყო ესთეტიკის სწორუპოვარი განსახიერება ჩვენში.

როცა უნგრეთის გამოჩენილმა მხატვარმა ზიჩმა დაასრულა „ვეფხისტყაოსნის" დასურათება და სთხოვეს პოემის შინაარსიდან ცოცხალი სურათების ქუთაისში დადგმაც, ის სიამოვნებით დასთანხმდა, ხოლო იმ პირობით – ერთი ულამაზესი კაცი ქვეყნიერებაზე, როგორც ის ამბობდა, გიორგი შარვაშიძე, დათანხმებულიყო ტარიელის განსახიერებას იმ სცენაში, როცა არაბთა მეფე ნახავს ვეფხისტყაოსან ყმას წყლის პირათ, შავი ცხენის სადავით მჭირაულს! ისიც დათანხმდა.

აიხადა ფარდა და დამსწრეებთა მართლაც „ნახეს უცხო მოყმე ვინმე"... („შავი ცხენი სადავითა ჰყვა ვითა ლომსა ვითა გმირსა, ნახეს და ნახვა მოუნდათ უცხოსა სანახავისა"). დარბაზი სიამოვნე-

ბისაგან სულგანაბული შესცქეროდა მას. „არა მარტო პურითა ცხოვნდების კაცი“. შვენიერების ცხოვრებაში განცდასაც აქვს ფასი და მნიშვნელობა. ეს სიმართლე ბევრმა იმ სცენის მნახველმა პირველად შეიგნო მხოლოდ მაშინ. ქუთაისი დიდხანს ლაპარაკობდა გრძნობით მის ყმისა ვეფხისტყაოსნის გამო, რასაც მოჰყვა ჯერ რუსთველის უკვდავი ნაწარმოებისადმი ინტერესის გაცხოველება და მერმე ლექციები. როგორც მამამისი, მთავარი მიხეილი, ისე გიორგიც, იყო დაუძინებელი ოპოზიციონერი რუსის მონარქიისადმი. „რუსი ტილია, ფეხზე რომ დაისვა, თავზე აგახოხდებაო, — ეუბნებოდა მიხეილი სამეგრელოს მთავარს, რუსთ ხელმწიფის მონურად ერთგულს. როცა ყირიმის ომის დროს ოსმალეთმა ჯარი გადმოსხა აფხაზეთში, მიხეილს დაუწყეს კითხვა — ვის დაუჭერდა მხარს: აფხაზეთს, — ეუბნებოდა ის ყველას.

გათავდა ყირიმის ომი. ოსმალეთმა დასცალა აფხაზეთი და რუსეთმა დაარღვია მიხეილთან შეკრული პირობა. ის გადააყენა მთავრობისაგან, გადაასახლა რუსეთში, გიორგის დაანება სამთავრო ტახტი და აფხაზეთიც შეიერთა როგორც უბრალო ოლქი.

გიორგი მანამდე მძევლად ჰყავდათ წაყვანილი რუსის მთავრობას და იზრდებოდა თბილისში, მეფისნაცვლის სასახლეში. პოლიტიკური მოსაზრებით ფლიგელ-ადიუტანტობა გიორგის მისცეს სრულიად ყმაწვილს. მიხეილის გადაყენებისა და აფხაზეთიდან გადასახლების შემდეგ აფხაზეთის გლეხობა აჯანყდა. აჯანყებულთა დასაშოშმინებლად გაგზავნეს თბილისიდან გიორგი, თხუთმეტი წლის ყმაწვილი. სამშობლოში შესვლისთანავე ხალხი შეხვდა, დარაზმული აღტაცებით, დროშებით, საომარი სიმღერებითა და თხოვნით — გვემთავრე, გვიწინამძღვრე, გვიშველე!

ყმაწვილი აღფრთოვანდა, მოციქულობა დაავიწყდა და გადადიოდა სოფლიდან სოფელში აუარებელი ამალით, ხალხის სანუგეშებლად და გასამხნევებლად. რუსის მთავრობის სამხედრო ძალამ აიძულა ის თბილისში დაბრუნებულიყო. მე ვწუხვარ, რომ გხედავ ხელმწიფის ნაღალატევსო! უთხრა მას მეფისნაცვალმა, როცა გიორგი წარუდგა მას თბილისში ჩასვლისთანავე.

— მეც ვწუხვარ, რომ თქვენთან ვხედავ ჩემს თავს და ვერ შევძელი ჩემი ერის ხელმძღვანელობაო, — პასუხი მიუგო ყმაწვილმა.

დარბაზიდან გამოსვლისას ის შეხვდა მეფისნაცვლის მოხელეს თავის ამხანაგს, ახალგაზრდა გრაფს ტ-ს და გაუწოდა ხელი, — ჩემი ხელმწიფის მოღალატეს მე ხელს არ ჩამოვართმევო, — უთხრა ტ-მ. მედიდურად და შეაქცია ზურგი...

ხელმწიფის ბრძანებით გიორგის აჰყარეს ფლიგელ-ადიუტანტობა, ჩინები, ორდენები და გადაასახლეს რუსეთის რომელიღაც გუბერნიაში.

იქ რუსეთში გამოუჩნდნენ მას ქომაგები, რომლებმაც თავი შეადებინეს თავადს ბარიათინსკის, იმპერატორ ალექსანდრე II სიყრმის მეგობარს, და მის ნაცვალს კავკასიაში აიძულეს გიორგის დახმარება. იმ დროს ყირგიზეთში მოხდა მთავრობის წინააღმდეგ არეულობა. ბარიათინსკიმ მოახსენა მთავრობას, უსისხლოდ საქმის მოგვარებას მხოლოდ დასჯილი მთავრის შვილი გიორგი შარვაშიძე შესძლებსო. მისი მოხსენება შეწყნარებული იქნა. გიორგიმაც შეასრულა მინდობილობა, ხელმწიფემ დაუბრუნა ჩინები და ფლიგელ ადიუტანტობა, მიიწვია სასახლეში და დაიახლოვა, როგორც მთავრის შვილი.

ამ დროს სასახლეში შეხვდა მას ზემოთხსენებული გრაფი ტ., რომელმაც ღიმილით გაუწოდა ხელი და მიესალმა. — მე თქვენისთანა ფლიდებს ხელს არ ვართმევო, — ზიზღით მიუგო გიორგი შარვაშიძემ და შეაქცია ზურგი. სასახლეში ყველაზე უფრო დაუახლოვდა და დაიახლოვა გიორგი ტახტის მემკვიდრის მომტანმა ძმამ, შემდეგ თვით გამემკვიდრებულმა და გახელმწიფებულმაც ალექსანდრე მესამემ.

ის ორნი და ილარიონ ვარანცოვ-დაშკოვი, ჩვენში ამას წინათ მეფისნაცვლათ ნამყოფი, იყვნენ განუყრელი მეგობრები (ამ დროს ეკუთვნის მისი საუკეთესო ლირიკული ლექსები). რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს ალექსანდრე, უკვე ტახტის მემკვიდრე, სარდლობდა რუშჩუკის ლაშქარს. თან ჰყვა სამხედრო შტაბში გიორგი. მხნე და საზრიანი სამსახურისთვის ომის დამთავრებისთანავე ალექსანდრემ გამოუთხოვა და ალექსანდრე II-მაც აჩუქა გიორგის ძვირფასი ბზის ტყე გინშ-ეწერი და ნება მისცა სამშობლოში დროებით დაბრუნებისა.

ამის შემდეგ გულგატეხილმა ქართველური ბედოვლათობით ტყე

გაჰყიდა რვაასათას მანეთად და შეუდგა განუწყვეტელ ლხინს თბილისსა და ქუთაისში და სოხუმში. რამდენიმეჯერმე დაიბარეს სასახლეში, უკანასკნელად მაშინ, როცა ალექსანდრე III მიიღო მამის ტახტი, მაგრამ ის სხვადასხვა მომიზეზებით აღარ მიდიოდა და დარჩა სიკვდილამდე სამშობლოში.

გვირგვინის კურთხევის დღეს კიდევ ეკითხა ალექსანდრე III გიორგი. „ამ დღეისათვისაც კი არ მოვიდაო?!“ ამით ისარგებლა ისევ იმ გრაფმა ტ., რომელსაც ამ დრომდე თანამდებობა ეშოვა სასახლეში და ისეთი ინტრიგობის ქსელი გააბა, ისე გაუმცდარათ და ისე თანდათანობით, რომ ალექსანდრე III ქუთაისში ჩამოსვლის წინა დღეებში ადგილობრივ გუბერნატორს მოუვიდა ბრძანება, გიორგი შარვაშიძე გავიდეს ქუთაისიდანო, სანამ ხელმწიფე იქ იქნებაო“.

ვარანცოვ-დაშკოვი რომ ჩვენში მეფისნაცვლად ჩამოვიდა, ეს ბრძანება პირადათ გამოუცხადა მას ქუთაისის გუბერნატორმა და სთხოვა დაუყონებლივ გასცლოდა ქუთაისს. — სრულიად ბუნებრივია ეს ბრძანება, სიამოვნებით ვემორჩილები მას, ხალისიანათ დავასრულებ ხვალვე თქვენს თხოვნას!

ამ სიამოვნების შედეგი: მას ხელახლავ ახადეს ფლიგელ-ადიუტანტობა. გრაფმა დაშკოვმა მოინდომა გიორგის „შერიგება“ ახალ იმპერატორთან. შეაძლიეს დიდი მთავრის ვლადიმერის, მოსკოვის გენერალ-გუბერნატორის ფლიგელ ადიუტანტობა. გიორგიმ იუკადრისა და უარი გაუბედა მთავარს — იმპერატორ ალექსანდრე II-სთან ვიყავი მაგ თანამდებობაზე, მთავართან აღარ მეკადრებაო (ამის შემდეგ, როგორც ჩანს, ხელნაწერი დაკარგულა და შემდეგნაირად გრძელდება):

— ის დაბინავდა თბილისში და შეუდგა პიესის „მომაკვდავი სურათების“ წერას, რომელიც ქუთაისში დაასრულა და რამდენიმეჯერ წარმოადგინეს კიდეც პირველ წელიწადში. ამ პიესაში მას ჰყავს გამოყვანილი ისეთი იშვიათი ტიპი, როგორც მამია გურიელი (ფაზელი).

1885-1886 წწ. ევროპის პოლიტიკური თვალსაწიერი (ჰორიზონტი) მოიღრუბლა. ელოდნენ ომს გერმანიასთან და ფიქრობდნენ, რომ ოსმალეთიც მას მიემხრობოდა.

ბათომს ახლო, კახაბერის მინდორთან მოსახლე აფხაზების შუამავლობით ოსმალეთში გადასახლებულმა აფხაზებმა და ჩერქეზებმა შემოუთვალეს გიორგის, თუ თქვენ გვისარდლებთ და ქართველებთან მოგვარიგებთ 40 000 კარგად შეიარაღებული ვაჟკაცი ომის პირველსავე დღეს გადმოვალთ საზღვარს და შევებმებით ჩვენი სამშობლოს ამაოხრებლებსო. გიორგის ხუმრობათ არ მიუღია ეს წინადადება. აიღო დიდძალი ვალი გინშ-ეწერის დაგირავებით და გაუგზავნა ოსმალეთის მთავრობას კაცები და დასავლეთ საქართველოს ყველა მაზრებში სანდო კაცები, რომ ყოველივე წვლილი ამ მძიმე საქმის დაწყებისა და გაძღოლისათვის გამოეკვლია, შეესწავლა და ისე დაეჭირა თადარიგი.

ომი აღარ მოხდა...

გიორგის დიდძალ ხარჯს შედეგად მოჰყვა მხოლოდ ეს ლექსი, რომელიც მისმა გაგზავნილმა კაცმა (მოურავმა) სტამბოლიდან გამოუგზავნა:

„მალე განახავ, მხიარული, ღმერთმა, რაც გვსურს, თუ გვაღირსა:
ათასობით რომ გეახლოს, ვინც, რომ თქვენთან ყოფნას ღირსა.
სიზმრათ ვნახე, ჯოგს ვდენიდით, ელბრუს იქით იყო მტრისა,
მეტის მიახლება გაკეთება არის ღვთისა!“

1890 წ. მან დაიწყო ისტორიული პიესის წერა, რომელსაც „დემნა ბატონიშვილი“ ერქვა, ხოლო რომელიც დაასრულა 1912 წ. „გიორგი III“ დაარქვა. ამ პიესის დასრულებამდე მან დაიწყო და დაასრულა პიესა „ცეცხლი უკომლოთ“.

* * *

გიორგი შარვაშიძის ბიოგრაფიულ შტრიხებზე და ცხოვრებისეულ ეპიზოდებზე საუბრის დასრულებისას შევნიშნავთ, რომ თავის ნაწერებს იგი არც თუ იშვიათად ფსევდონიმებით აქვეყნებდა. ერთ აუცილებლობაში თვითონ მწერალი გვარკვევს. მისი დედის ალექსანდრე დადიანის ძმისშვილის, კონსტანტინე (კოწია) დადიანის შვილის — მუშნი (ივანე) კონსტანტინეს ძე დადიანისადმი გაგზავნილ ერთ წერილში, რომელიც ელგუჯა თავბერიძისთვის მიუწოდებია პაატა ქურ-

დოვანიძეს.[1] წერილში ეკითხულობთ: „მწერლობაში სახელს კი არ უნდა ედვას ფასი, თვით ნაწერმა უნდა მიიქციოს ყურადღება მკითხველისა. თუ ეს ღირსება აკლია ნაწარმოებს, მაშინ ჰგავს, ის ნაწარმოები სუსტია, ამიტომაც არის თავად მწერლობაში შემოღებული ფსევდონიმი, რომ მკითხველი საზოგადოება არ დარჩეს შთაგონებული არა რაი გარეშე გავლენითა, გარდა წაკითხულის შინაარსისა. ეს საშუალება ორნაირად მოსაწონია: ერთი, რომ კრიტიკას ეძლევა თავისუფალი, ფართო ასპარეზი, განიხილოს მწერლობა. ყოვლისა მიხედულებისა და კერძო პირობის გარეშე, მეორე, ის რომ თვით მწერალს ამცნობს თავის შეცდომებს".[2]

დაგვეთანხმებით, ძალზე სწორი და ამომწურავი კონცეფციაა ფსევდონიმის ფუნქციასთან მიმართებაში. მუშნისადმი გაგზავნილი წერილებიდან კიდევ ერთი ფსევდონიმი გაირკვა. ეს არის „გიო მწირი".

ასე რომ, გიორგი შარვაშიძე თავის ნაწერებს აქვეყნებდა შემდეგი ფსევდონიმებით: **„პონტოქსელი", „გარდახვეწილი", გარდმოხვეწილი", „გარდანახვეწი", „გიო მწირი"**. გვეჭვება კიდევ ერთი ფსევდონიმი **„გალმელი"**, თუმცა, ამას შემდგომი ძიება სჭირდება.

აქვე დავსძენთ, რომ პირველად თამარ მაჭავარიანის მიერ იქნა მიკვლეული, რომ ფსევდონიმებს **გარდახვეწილი, გარდმოხვეწილი, გარდანახვეწი** – ამოფარებული იყო გიორგი შარვაშიძე.

სიმონ ჯანაშია ფსევდონიმ „პონტოქსელთან" (ე.ი. პონტოს-ევქსინელი, შავზღველი) დაკავშირებით წერდა: რომ ამით გიორგი შარვაშიძე ეხმაურება ფსევდონიმებს თავისი უახლესი მეგობრისა და ნათესავის მამია გურიელის („ფაზელი") და თავისი უფროსი თანამედროვის გრიგოლ დადიანისას („კოლხიდელი").[3]

ამრიგად, გიორგი შარვაშიძის დაწვრილებითი ბიოგრაფიული ცნობები არ შემონახულა. ჩვენამდე ფრაგმენტებად მოღწეული წერილობითი ბიოგრაფიული მასალების თავმოყრამ, სისტემაში მოყვანამ და ანალიზმა ცხადყო, თუ რა რთული და ეკლიანი ცხოვრების გზა

[1] გ. შარვაშიძე, თხზ., I, გვ. 333.

[2] იქვე, გვ 334.

[3] ს. ჯანაშიას დასახელებული ნაშრომი, გვ. 64.

გაუვლია ქართულენოვან აფხაზ მწერალს, რა სახელოვნად დაუძლევია სიძნელენი; მორალურად არასდროს დაცემულა, შემოქმედებითი აღტკინებით იქარვებდა ჭირვარამს, ბედკრული მამულის სიყვარულს ანაცვლებდა თავის სიცოცხლეს; ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური წევრობით ქედს არ უხრიდა ცარიზმის მომაკვდინებელ რეჟიმს, მედგრად ამხელდა მის სისაძაგლეს. მისი ცხოვრების მიზანი იყო სამშობლოს თავისუფლებისათვის ბრძოლა, ქვეყნის ერთიანობისთვის ზრუნვა.

გიორგი შარვაშიძის ცხოვრებისეული ეპიზოდების, ბიოგრაფიული შტრიხების გაცნობა მკითხველის გონების თვალწინ წარმოაჩენს უზადო მწერლის და საზოგადო მოღვაწის პიროვნულ თვისებებს, ზნეობრივ სიფაქიზეს, მორალურ სისპეტაკეს, თავგანწირვის უნარს, ეროვნული თვითშეგნების სიმაღლეს, ხასიათის პირდაპირობას, შემოქმედებით ენერგიას. სათანადო მასალების ერთმანეთთან შეჯერება საშუალებას იძლევა გიორგი შარვაშიძის დაბადების თარიღის განსაზღვრაში კორექტივის შეტანისა, ანუ მწერალი დაბადებული უნდა იყოს 1849 წელს და არა 1846 წელს, როგორც ეს დღემდე დამკვიდრებულია.

თავი მესამე

გიორგი შარვაშიძის ეროვნულ-მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა

გიორგი შარვაშიძის ეროვნულ-მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა, ეროვნული და მოქალაქეობრივი პოზიცია იკითხება მისივე ქართულ ლექსებში, პოემა „გვადანის ციხეში“, პიესა „გიორგი მესამეში“, პუბლიცისტურ და თეატრალურ წერილებში. მისი შემოქმედებითი სული ცოცხლობს სამშობლოს სიყვარულის მძაფრი შეგრძნებით. მზე მისთვის ამოდის და ჩადის მამულზე ფიქრში და სიყვარულში. სამშობლო პოეტისთვის არ არის მხოლოდ ტერიტორია თავის საზღვრებში, არამედ ეს არის მშობელი ხალხის სუნთქვა, მშობლიური ენის გულისცემა, მამაპაპეული სარწმუნოების სიწმინდე, როგორც იმედი ხსნის, რწმენა თავისუფლების და ნათელი დიდი მომავლისა.

გიორგი შარვაშიძის ჯერ კიდევ ყმაწვილ გულში ფოლადივით იწრთობოდა მშობლიური მიწისადმი სიყვარული, მისთვის თავგანწირვის იდეა. იგი ვერ ეგუებოდა ჩრდილოეთის სასტიკი ქარის მიერ მამულის მუხის ტოტების მსხვრევას. რაც უფრო ძლიერდებოდა ცარიზმის ხელისუფლების აგრესია აფხაზეთის მიმართ, მით უფრო მძაფრდებოდა მის არსებაში მამულის თავისუფლების გრძნობა. გიორგი შარვაშიძისათვის სამშობლოს ცნების გაცნობიერება აფხაზეთიდან დაიწყო და მზის ნათელივით მოეფინა დანარჩენ საქართველოს. მან სიყმაწვილიდანვე გაითავისა საქართველოსა და აფხაზეთის ისტორიული განუყოფლობა, როგორც დედა-შვილისა. გერონტი ქიქოძის იდეალურად ნათქვამი რომ გავიმეოროთ, გიორგი შარვაშიძემ ერთნაირი სიძლიერით შეიყვარა ის დედაც, რომელმაც შობა და ის დედაც, რომელმაც თავისი რძით გამოკვება. მშობელი დედა აფხაზეთია, რძით გამომკვებია დედა კი მთელი საქართველო. მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება ზვარაკად შესწირა საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლას, კოლონიზატორებისაგან მისი თავდახსნის საქმეს. ავთანდილ ნიკოლეიშვილის მართებული შენიშვნით: „გიორგი შარვაშიძის ეროვნული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაზე უდიდესი ზეგავლენა მოახდინა იმ კოლონიურმა პოლიტიკამ, რომელსაც

რუსეთი ატარებდა კავკასიაში და რომლის მსხვერპლი მისი სათაყვანებელი სამშობლო გახდა".[1]

მთელი ცხოვრების მანძილზე გიორგი შარვაშიძისათვის საქართველო იყო არა მხოლოდ ფიზიკური სამშობლო, არამედ სულის ქვეყანა, ხოლო ქართველი და აფხაზი ხალხი გააზრებულ ჰყავდა, როგორც ორ სხეულში ერთი სული. ვინც ამ განუმეორებელი აფხაზი პიროვნების ნაწერებს ძირფესვიანად იცნობს, შეამჩნევს შეუიარაღებელი თვალითაც, რომ იგი მეტწილად ცნება „საქართველოს" ჩაანაცვლებს „ივერიას", ხოლო „ქართველს" – „ივერს". ეს პირველად შენიშნა სიმონ ჯანაშიამ. დიდი მეცნიერის კორნელი კეკელიძის მიხედვით: „X საუკუნის ოთხმოციანი წლებიდან იწყება ამ ერთეულების (იგულისხმება „ქართველთა სამეფო" ტაო-კლარჯეთში, არაბთა თბილისის საამირო, კახეთის საქორიკოზო და აფხაზეთის სამეფო – ტ.მ.) გაერთიანების პროცესი და ეთნიკური სახელწოდების „ქართლის" გარდაქმნა კულტურულ-პოლიტიკურ ტერმინად „საქართველოდ". ეს პროცესი სრულდება XII საუკუნის პირველი მეოთხედის გასულს, დავით აღმაშენებლის დროს".[2]

სიმონ ჯანაშიას თანახმად, „გიორგი შარვაშიძე „საქართველოს"-ს აღსანიშნავად ირჩევს ტერმინს „ივერია", ხოლო „ქართველის" მაგიერ ხშირად ხმარობს „ივერს". ესეც საკმაოდ ძველი და საინტერესო ტრადიციის ანარეკლია". საინტერესოდ მსჯელობს დიდი ისტორიკოსი ფეოდალური დაქუცმაცებულობისა და დაქსაქსულობის პერიოდში პოლიტიკური მიზეზებით გამოწვეულ ტერმინოლოგიურ ცვლილებებზე, კერძოდ, ცნება „საქართველოს" მნიშვნელობის შევიწროებაზე. მაგალითად, შეეხება „ქართლის" მოხსენიებას „საქართველოდ": „ყველაზე ადრე ქართლია ძველი საქართველოს მემკვიდრე და ამიტომ უპირატესად მას უნდა ეწოდოს „საქართველო", მაგრამ სხვა თემებსაც ხომ უძევთ წილი ამ მემკვიდრეობაში. მაშასადამე, მარტო ქართლი კი არ არის საქართველო, სხვა კუთხეებიდანაც თვითეული საქართველოა. ასეთი

---

[1] ა. ნიკოლეიშვილი, გიორგი შარვაშიძე – საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი აფხაზი მწერალი, წიგნში: გ. შარვაშიძე, თხზულებანი, II, თბ., 2006, გვ. 127.

[2] კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1987, გვ. 16.

„მრავლობის“ შეგნებიდან იბადება უჩვეულო ფორმა: „საქართველონი“, ანუ „საქართველოები“: „როდესაც საქართველონი იყო ხელმწიფის ერთისა“ (თეიმურაზ მეორე); „რაც საქართველოების უწინდელნი და ახლანდელნი გარემოებანი მოქმედებენ“ (ერეკლე მეორე); „ყოველთა საქართველოთა მეპატრონეთა“; „საქართველოებს დიდნი და მცირენი“; „როგორც საქართველოებში რიგი არის“.[1] ზოგჯერ „საქართველო“ „ქართველის“ მნიშვნელობამდე დაჰყავდათ: „ბევრი საქართველო (იგულისხმება ქართველი) დაიხოცაო“.

„საქართველოს“ „ივერიით“ ჩანაცვლების მიზეზებზე მოვუსმინოთ აკად. სიმონ ჯანაშიას: „ ამ არევდარევის ნიადაგზე და გაუგებრობის თავიდან აცილებისთვის გაჩნდა მოთხოვნილება ისეთი ნეიტრალური ტერმინისა... არჩევანი ხვდა „ივერიას“, იმ სახელწოდებას, რომლითაც ძველი ქართლის სამეფო ცნობილი იყო მეზობლებში... უკვე ვახუშტი ხმარობს „ივერიას“ უწყებული მნიშვნელობით“.[2] ცნება „ივერია“ პოპულარობით სარგებლობს მე-18 საუკუნიდან. საგულისხმოა გახსენება თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ 1848 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოცემული ნაშრომისა – „ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველო სა“.

ცხადია, გიორგი შარვაშიძე „საქართველოს“ და „ივერიას“, როგორც კულტურულ-პოლიტიკურ ტერმინს, ხმარობს ფართო მნიშვნელობით, როგორც მისი ერთიანი, მთლიანი სამშობლოს სახელს. მართალია, ამ სინონიმური ცნებებიდან აფხაზი მწერალი „რჩეობს“ „ივერიას“, თუმცა არც „საქართველო“ აქვს დავიწყებული. მაგალითად, პიესა „გიორგი მესამეში“ „ივერიის“ პარალელურად „საქართველო“ ექვსჯერ სახელდება: „ლამის მთელს საქართველოს ცეცხლი წაეკიდოს“; „ჩემს საქართველოს ცოცხლად წავსყმედ და მეც წავწყდები“; „საქართველოსი დიდ თავადნი“; „იქნება ბედი საქართველოსი“ და ა.შ.

გიორგი შარვაშიძეს საქართველო მაშინ ესახება ბედნიერ ქვეყნად, თუ მისი მკვიდრი ხალხი იქნება თავისუფალი, დამოუკიდებელი და

---

[1] ს. ჯანაშია, გიორგი შარვაშიძე (კულტურულ-ისტორიული ნარკვევი), წიგნში: გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, თბ., 1985, გვ. 59-61.
[2] იქვე. გვ. 62.

მშვიდობიანი. იგი ცოცხლობს მშობელი ხალხის წარსულით, აწმყოთი და მომავლით. აფხაზი, მეგრელი, სვანი, იმერელი, ქართლელი, კახელი და ა.შ. მას მიაჩნია ღვიძლ ძმებად, ერთი სამშობლოს – დედა საქართველოს პატრონებად, ერთი დედის ძუძუებად. ცალი ძუძუს ჩამოჭრა ქართველ ერს ხდის უბედურს, მტერს კი – ბედნიერს. აქ უნებლიედ გვახსენდება გიორგი შარვაშიძის დიდი მეგობრის აკაკი წერეთლის სიტყვები:

„ერთი დედის ძუძუები არის იმერ-ამერეთი,
ჩვენ ძმები ვართ ტყუპის ცალი, საქართველო დედა ერთი.
ცალი ძუძუ რომ ჩამოჭრან და სიკვდილმა მოკლას ერთი,
ცალ ძუძუს და მეორე ძმას რაღა შვებას მისცემს ღმერთი“.

„გიორგი მესამის“ ავტორს საუკეთესოდ ესმოდა ამ ლექსში ჩატანებული სიბრძნის არსი, ამიტომაც იბრძოდა საქართველოს ერთიანობისთვის. ერთ მუშტად შეკრული ივერია იყო გარანტი აფხაზი ხალხის, მისი მშობელი ხალხის კეთილდღეობისა. მწერალი და მამულიშვილი ქართველ ერს მაღალ შეფასებას აძლევდა: „ქართველები რაინდები არიან, რომლებიც მონაწილეობას ღებულობდნენ ჯვაროსნულ ლაშქრობებში, რომ ისინი ხმალშემართულნი იდგნენ კავკასიის კარიბჭესთან თხუთმეტი საუკუნის განმავლობაში არა იმისათვის, რომ შეჭრილიყვნენ სხვის ქვეყნებში და გაეძარცვათ მათი სიმდიდრე, არამედ იმისათვის, რომ დაეცვათ სამშობლო, ქრისტიანული კულტურა და სამოქალაქო ცხოვრება“.

ეს სიტყვები ამოღებულია გიორგი შარვაშიძის მიერ „ზაკავკაზსკაია რეჩში“ გამოქვეყნებული პოლემიკური წერილიდან, სადაც კრიტიკის ქარცეცხლშია გატარებული გერმანელი ლორენცი. იგი ყოფილა ბერლინის გაზეთ „ბერლინერ ტაგებლატის“ კორესპონდენტი, რომელიც სხვა უცხოელებთან ერთად სტუმრებია 1911 წელს გაგრაში გრაფ ოლდენბურგს. სუფრას თურმე ემსახურებოდნენ გაგრელი წარჩინებულნი. ერთ-ერთი სტუმრის პალტო დაკარგულა. ამით განაწყენებულ ლორენცს აღნიშნულ გერმანულ გაზეთში გამოუქვეყნებია კორესპონდენცია, სადაც პალტოს მოპარვა დაბრალებულია ქართველი და აფხაზი თავადებისათვის. განრისხებულმა გიორგი შარვაშიძემ სასტიკი პასუხი გასცა ლორენცს საპასუხო წერილში, რომელიც გაუგ-

ზავნა „ბერლინერ ტაგებლატის“ რედაქციას, ამასთანავე იგი დაბეჭდა გაზეთ „ზაკავკაზსკაია რეჩში“. სტატია ასეა დასრულებული: „Письмо светлейшего князя Г.М. Шервашидзе, послание им в ред. газ. „Berliner Tageblatt“.

გიორგი შარვაშიძეს ერთნაირი სიძლიერით უყვარდა აფხაზები და ქართველები. აფხაზებისადმი სიყვარული ჩააქსოვა მან თავის ცნობილ პუბლიცისტურ წერილში „Так пишется история“, რომელიც გამოაქვეყნა გზეთ „ზაკავკაზიეში“ 1910 წელს.[1] მასში საუბარია აფხაზთა უბრალოებაზე, პირდაპირობაზე, თავაზიანობაზე, სტუმართმოყვარეობაზე, შრომისმოყვარეობაზე და ა.შ. გავეცნოთ ვრცელ ამონარიდს ამ სტატიიდან, რომელშიც ოთარ ჭურღულიას ენით რომ ვთქვათ, „აფხაზი ხალხის მთელი ეთნიკური დახასიათებაა მოცემული ყოველგვარი მიკერძოების გარეშე. ამასთან, რამდენი სითბო და სიყვარულია შიგ ჩაღვენთილი“.[2]

გიორგი შარვაშიძე წერს: „აფხაზები უბრალო ხალხია, უეშმაკო. მრავალსაუკუნოვანი თავისუფალი ცხოვრების ატავიზმით მათ გამოუმუშავდათ ხასიათის პირდაპირობა – რაც გულში აქვთ, იმას ამბობენ. ისინი ყველასთან, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი მდგომარეობისა, ერთნაირი ენით საუბრობენ, თავაზიანად, როგორც თავის თანატოლთან, ყოველგვარი დაძაბულობისა და ძალდატანების გარეშე, საუბრობენ ხმამაღლა და თამამად, შეფარვის გარეშე, აშკარად გამოხატავენ თავიანთ გასაჭირს.

მისდევენ მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობას. მეურნეობის ეს უკანასკნელი დარგი ძლიერ დაეცა მას შემდეგ, რაც მათ ხაზინამ ჩამოართვა მიწები და საძოვრები შემცირდა. გარდა ამისა, ისინი მისდევენ მეფუტკრეობას მებაღეობას და მევენახეობას. ადრე მათში ყვაოდა ხელოსნობა, კუსტარული წესით აკეთებდნენ ბამბის, აბრეშუმისა და მატყლის ქსოვილებს... ისინი არაფერს არ ყიდდნენ, მაგრამ არც არაფერი ჰქონდათ საყიდელი. ხალხი ცხოვრობდა შეძლებულად. ვერ ნახავდით ვერც ერთ უსახლკარო ბოგანოს. ყოველ გამვლელს შეეძლო გლეხის პირველსავე ქოხში შესულიყო, სადაც მას ელოდა გულთბილი მიღება,

[1] **Г.М. Шервашидзе**, Так пишется история, газ. „Закавказье“, №125-126, 1910.

[2] **ო. ჭურღულია**, შარვაშიძეები, გვ. 39.

გემრიელი კერძები და არაჩვეულებრივი სისუფთავის ლოგინი“...

გიორგი შარვაშიძის ბიოგრაფიაზე მსჯელობისას დავიმოწმეთ და აქაც ვისურვეთ გამეორება სიკვდილის წინ თუ როგორ მიმართა მწერალმა აფხაზ ხალხს და რა უანდერძა. ამ მიმართვაში მზესავით ელვარებს მისი ეროვნულ-მოქალქეობრივი პოზიცია:

„ჩვენი მამები, ბიძები და ძმები იბრძოდნენ, იტანჯებოდნენ და კვდებოდნენ სამშობლოს ღირსებისა და თავისუფლებისათვის. მათ ამაყ, თავისუფალ სულს არ უნდოდა და არც შეეძლო დამორჩილებოდა რუსეთის მთავრობის მჩაგრავ სისტემას; არ შეეძლო საუკუნეების მანძილზე შემუშავებული საკუთარი ადათ-წესებისა და ტრადიციების გათელვა. ამიტომ ისინი იარაღით ხელში გამოდიოდნენ ძლევამოსილი რუსეთის წინააღმდეგ.

ბევრი მათგანი დაეცა ბრძოლის ველზე მშობლიური აფხაზეთისათვის. ათასები იტანჯებოდნენ ცივ ციმბირსა და რუსეთში, ხოლო უთანასწორო ბრძოლაში სასოწარკვეთილი მრავალი ათასი ადამიანი გარდაიხვეწა თურქეთში, ძალმომრეობას არ მოუხარა ამაყი თავისუფალი თავი“...

„გავუწოდოთ ერთმანეთს ძმური კავშირის ხელი ფიცით, რომ ყველა ერთად, მხარდამხარ ვივლით, ისე როგორც ჩვენი მამები, ჩვენი ადათების, ჩვენი სამშობლოს დასაცავად“...

„რომ შევინარჩუნოთ აფხაზეთი მთლიანობაში, ყველამ უნდა დავიცვათ ჩვენი ქვეყნის ტრადიცია, ყოველი ხალხი, რომელიც მოისურვებს იცხოვროს უტრადიციოდ, — იღუპება“.[1]

გიორგი შარვაშიძე საქართველოს სიყვარულში სანთელივით იწვოდა. კვლავ გავიმეორებთ შალვა დადიანის მოსწრებულად ნათქვამს: „გიორგის აფხაზეთი უსაქართველოდ და საქართველო უაფხაზეთოდ ვერ წარმოუდგენია“.

გიორგი შარვაშიძემ 1917 წელს გაზეთ „საქართველოში“ გამოაქვეყნა პუბლიცისტური წერილი „სოციალიზმი და საქართველო“,

---

[1] Предсмертное обращение к абхазскому народу Георгия Михайловича Шервашидзе. ხელნაწერი ინახება აფხაზეთის დ. გულიას სახ. სახელმწიფო მუზეუმში, არქივი №48, ფ.ვ. შდრ. ო. ჭურღულია, შარვაშიძეები, გვ. 63; ე. ხარაძე, გიორგი შარვაშიძე და თეატრი, გვ. 7.

სადაც ავთორების შეხედვა თვალსაზრისის: „ძალთაღლია, ჩვენს სამშობლო ეკრიას ყოველგვარი დიდი კულტურული განცდა გამოუცდია, მაგრამ ჩვენი წარსული ისეთს ფაქს გაშეშდა, რომ დაგვებნა ბუნებრივი ცხოვრების შარა და კანონი. დიახ, ჩვენ შეგვიძლია თამამადაც ვთქვათ, რომ იღბალის უკუღმართობას რითიმე ხელი არ შეეწალა, ეკრიების წინათაც ვიქვეითდით ჩვენ დღეს; ვისაიდან, რომელსაც ანდრია მოციქული აქ ქრისტეს მცნების გადაგვიგზავნა, მაშინ ეკრიაში თვით დეკებსაც კაბების ტარება ეკუთა ტანზე და ფეხშიშველა, შებერთით ხელში, ნადირობდნენ ტყეებში“.[1]

შეხედვა აუხაზი შეხედვილი შეგვახსენებს თამარ დედოფლის ხანას, რომელიც იყო ეკრიის ოქროს ეპოქა: „მას შეეძლო, რომელიც იყო, იმით, მუდამ დავდარაბით მიეტანები ჩვენი კულტურის ცხოვრება თამარ დედოფლის დრომდე; რომელიც იყო ეკრიის ოქროს ხანა“. სხვათა შორის, თამარის ეპოქის თუ შუა საუკუნეების ქართული მწერლობის კლასიკურ პერიოდს პირველად სიღლიძეს დიდაშელმა უწოდა „ოქროვანი საუკუნე“ („ძველი განსხვავება ქართული ლიტერატურისა, ანუ სიტყვიერებისა“. დაიბეჭდა გაზეთში — „სალიტერატურონი ნაწილნი ტფილელის უწყებანი“, 1832, №1, გვ. 20-24; №2, გვ. 25-34). შეხედვა ისევ ბედის ბორბლის უკუღმართად დატრიალება, ცხოვრების თვით არსებობის დაშლა. „გონებრივი და ქონებრივი რუხტას ქვეყნისა საქრობა“, ენის გაფარატება, ხსნების წახდენა, რაინდობისა და პატიოსნების იგნორირება და „ბილის მეფალწეთ იმ ხანაში, როცა კეთილდღეობის ცხოვნიდით ჯაშუშობაში და სამშობლოს მტრობაში“.

გიორგი შარვაშიძე „იმ ხანაში“ გულისხმობს თავის დროს, მის დროინდელ საქართველოს, რომელსაც ქართველი საზოგადოების, აუხაზი საზოგადოების გარკვეული ნაწილი გადაგვარდა, ცარისტულ ხელისუფლებასთან გაიცო სარეცელი, დაიწყო მამაპაპეული ტრადიციები, სამარცხვინო ბიძგი გააკრა ერთგული თვითშეგნება, თავი გამოიჩინა ჯაშუშობაში და სამშობლოს ღალატში. მივაქციოთ ყურადღება: სტატიის ავტორი ოთხჯერ იმეორებს სიტყვას — „ჩვენ“, „ჩვენი“. ბუნებრივია, ამ ნაკვალსახელებში ავი თანასწორად მოიაზ-

[1] გ. შარვაშიძე, თხზულებანი, I, გვ. 306.

რების ქართველის და აფხაზის. ამ პუბლიცისტური წერილის ერთგული პათოსი არაფერით ჩამოუვარდება ილიას, აკაკის, გაჯას პატრიოტულ განწყობას, რადგან ნამართლები იყო მათი ნაზრდები. რიგორც ერთგული-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წევრისა. ამიტომაც აფასებდნენ გიორგი შარვაშიძის ქართველი პატრიოტი საზოგადოები.

გიორგი შარვაშიძე ცერ იტყოდა ქართველთა და აფხაზთა გადამგვარებელ რუსეთის იმპერიის აგრესიას და კოლონიურ პოლიტიკას. მისადმი ზიზღი საფლავში ჩაიტანა. ეს იმას ნიშნავს, რომ თითქოს მას, საერთოდ, სძულდა რუსი ხალხი, ან მათი ენა. საანალიზო სტატიაში იგი გულახდილად აშბობს იმას, რასაც გულში გრძნობდა და რაც გონებაში უღეთდა: „რუსეთის ხალხი ნიჭიერია და ძლიერები". რიგორც ამ განუმეორებელი აფხაზის ბიოგრაფიიდან და ნაწერებიდან ვიცით, ღრმად აფასებდა რუსი ხალხის კულტურას, განსაკუთრებული პატივს მიაგებდა პუშკინის, ლერმონტოვის, ტურგენევის, ტოლსტოის შემოქმედებას. „გიორგი მესამის" აქტიური რუსული კულტურის, რუსული ენის თაყვანისმცემელი რომ არ ყოფილიყო, იმ ერთ ათეულზე (ხუთ 12) მეტ ლექსს არ დაწერდა რუსულად ასევე არც პუშკინს „ძველი უკუნისთვის", არც მანია გურიელის „ალამიანს" თარგმნიდა. ასე რომ, გიორგი შარვაშიძე ერთმანეთისგან განასხვავებდა რუს ხალხს და ცარიზმული ხელისუფლების პოლიტიკას აფხაზეთის და დანარჩენი საქართველოს მიმართ. რუსი ხალხის ენა და კულტურა უყვარდა, ცარიზმის დამპყრობლური პოლიტიკა კი სძულდა.

გარდა რუსებისა, აბაზას მიმდევარნი საკმაოდ მძრავალფენან გიორგი შარვაშიძის გარდაცვალების შემდეგ, რომელთაც დღემდე არ „ასვენებთ" საქართველოს მიწა-წყალი. ერთი წუთით საფლავიდან წამოდგება „ცარიელას" აქტიორი და დაანახა თუ მისი მშობლიური აფხაზეთი ბოლო ხანებში როგორ „ათვისეს" სომხებმა, სადაც ისინი უკვე მოსახლეობის უმრავლესობაში მოვიდნენ. დაანახა თუ როგორ „აპარატენ" დღესაც ქართულ ტაძრებს, მოასმენინა მათი პრეტენზიები საქართველოზე. გიორგი შარვაშიძის ცოცხლობის ნიშანში ჰგავდა ამოღებული საქართველის ისტორიის მრუდე სარკეში ჩვენება. მისი

გამყალბებელი ვაი-სომხები და არა საკუთრივ სომეხი ხალხი. ამ მხრივ, საყურადღებოა მისი პოლემიკური წერილი „ძმური სიტყვა ძმობის მსურველთ“.[1] აქ ვკითხულობთ:

„ჩვენ არც ერთს ერს არ ვემტერებით, საქართველო იმთავიდანვე იწყნარებდა და ითვისებდა ყოველ ტომს, მოდგმას, ყველას აძლევდა ბინას, საფანელს, საზრდოს და ეკლესიებსაც კი... ჩვენთვის სულ ერთია, ვინც უნდა იყვნენ მახინჯი ვაჟბატონები: იანცი, ძე, შვილი, ოვი, ადი თუ ოღლი. ურცხვს ჩვენ ვგმობთ, საძაგელი გვეზიზღება. გულწრფელად, ნებით თუ უნებლიედ, შემცდარს ჩვენ გულწრფელად ვამხილებთ“. „ეს შეხედულებები ჩვენ გვაგონებს, – წერს ოთარ ჭურღულია, – ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, ვაჟა-ფშაველას ბევრ ანალოგიურ მოსაზრებას დასმულ საკითხზე“.[2]

გიორგი შარვაშიძე გაზეთ „ივერიაში“ (№3, 1903) გამოქვეყნებულ სტატიაში წერდა „მთელს საქართველოში დიოგენის ფარნითაც ვერ მოსძებნით რუსთა ერის და სომეხთა ერის მოძულეთა, არიან ქართველებში მოძულენი ამა თუ იმ უღირსი სომხებისა და რუსებისა, როგორც არიან მოძულენი სულმდაბალ ქართველებისა“. ეს არის ჭეშმარიტად ჰუმანისტი აფხაზი შემოქმედის და პოლემისტის პოზიცია. მას კარგად ესმოდა, რომ მეზობელ ერებს სიყვარულის და ურთიერთპატივისცემის გარეშე ვერაფერი გადაარჩენდა. ასე ჰქონდა ძვალრბილში გამჯდარი ამ ტომით აფხაზს საქართველოსადმი თავგანწირვის იდეა, მისი ტრადიციების, ისტორიის, კულტურის, საერთოდ, ქართველი ერის დაცვის და დაფასების იდეა, რადგან ძლიერი საქართველო თავისთავში გულისხმობდა ძლიერ აფხაზეთს.

სიმონ ჯანაშია წერს: „ქართული ენა გიორგისათვის არის არა მარტო კულტურის მთავარი იარაღი არამედ სიყვარულის განსაკუთრებული საგანიც. ის მტკივნეულად განიცდის ქართული ენის ინტერესებს და მძაფრი მოშურნეობით ზრუნავს. ამასთანავე, გიორგი ამჟღავნებს თავის კუთვნილებას გარკვეული ქართული სამწიგნობრო სკოლისადმი, რომლის პრინციპების შეგნებულ დამცველად გამოდის“.[3]

---

[1] **გარდაბნელი**, ძმური სიტყვა ძმობის მსურველთ, გაზ. „ივერია“, №76, 1904.

[2] **ო. ჭურღულია**, შარვაშიძეები, გვ. 57.

[3] **გ. შარვაშიძე**, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 19.

გიორგი შარვაშიძის ეროვნულ-მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა გარემოსილია ქართული ენისადმი სიყვარულით. სწორედ აქედან გამომდინარეობდა მის მიერ ქართული ენის ინტერესების მტკივნეულად განცდა. შუა საუკუნეების ადრეული პერიოდიდანვე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ქართული ენის და ქართული დამწერლობის (ანბანის) გავრცელება-დამკვიდრება ქრისტიანული რელიგიის დამსახურებაა. ღვთისმსახურება, წირვა-ლოცვა საქართველოს კუთხეებში მხოლოდ ქართულ ენაზე სრულდებოდა, მხოლოდ ქართულ ბიბლიას კითხულობდნენ და ითავისებდნენ. ასე იყო აფხაზეთშიც. ლია ახალაძის მართებული შენიშვნით, „აფხაზეთი გარკვეულ პერიოდში ქართული კულტურის გავრცელების არეალს კი არ წარმოადგენდა, არამედ თავად იყო ამ კულტურის ავტორი და შემოქმედი."[1] საინტერესო ცნობას გვაზიარებს ლ. მარუაშვილი ანუხვის მღვიმესთან დაკავშირებით. იგი წერს: „მღვიმე შემკულია პალეოლითური, ანტიკური და შუა საუკუნეთა კედლის მხატვრობით და ძველი V-VIII სს. ასომთავრული წარწერებით".[2]

აფხაზმა მეცნიერმა ა. კაციამ გუდაუთის ტერიტორიაზე, მსიგნუას მთაზე აღმოაჩინა ძველი ეკლესიის ნანგრევები ქართული წარწერებით (რაოდენობა – 46). მის მიერ მსიგნუას ეკლესიაც და წარწერებიც დათარიღებულ იქნა IX-X სს.[3] ეს არის ასომთავრული წარწერა, ლაპიდარული, მემორიალური (შინაარსობრივი ხასიათი). ეს ითვლება პირველ უძველეს ქართულ წარწერად აფხაზეთში. გუდაუთის ტერიტორიაზე მოპოვებული ქართული ეპიგრაფიკული წარწერები (ასომთავრული, ნუსხა-ხუცური, მხედრული) IX-XIII სს. განეკუთვნება. ესენია: მსიგნუას, ანუხვის, ხუაფის, სამათტოს და ლიხნის წარწერები სამშენებლო და მემორიალური ხასიათისა.

ასე რომ, თანამედროვე აფხაზეთის ეპიგრაფიკული მასალის კომპლექსურ და საერთო ისტორიულ კონტექსტში გააზრება ამ მხარის პოლიტიკური, კულტურული და სარწმუნოებრივი ისტორიის ერთიანობა ქართულ სამყაროსთან, ერთი მიწის, ერთი ისტორიის, ერთი

---

[1] ლ. ახალაძე, აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც ისტორიის წყარო, I, 2005, გვ. 211.

[2] ლ. მარუაშვილი, მღვიმეთმცოდნეობის საფუძვლები, თბ., 1973.

[3] **А. Л. Кация**, Памятники архитектура в долине Цкуары, Сух., გვ. 167.

სარწმუნოების, ერთი სადამწერლობო კულტურის არსებობა ადასტურებს, რომ აფხაზეთი ისევე ორგანულად იყო ჩართული ქართულ პოლიტიკურ და კულტურულ სამყაროში, როგორც კახეთი, ქართლი, ოდიში თუ საქართველოს რომელიმე სხვა რეგიონში.[1] ამაში კი განუმეორებელი წვლილი მიუძღვის სწორედ ქართულ ენას.

„გასომხებულ ქართველ პროფესორს“ (გ. შარვაშიძის გამოთქმაა) ნიკო მარს ასე წარმოუჩენია ქართული ენის ღირსებანი: „ქართული ენით ყველაფერი გამოითქმება რა გინდ რა ენით. აზრი არ მოიპოვება არც ერთ ენაზე რუსეთის ან დასავლეთ ევროპისა, რომ არათუ ქართულმა სავსებით ვერ გამოთქვას, არამედ მხატვრობით ყალიბში ვერ ჩამოასხას. ასე მდიდარია ქართული ენა. შეიძლება ითქვას, შინაგანი თვისებებით იგი მსოფლიო ენაა“. ნიკო მარი ფლობდა აურაცხელ ენას, ამიტომ ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა მისეულ შეფასებას. ქართული ენა არა ერთხელ გამხდარა მსხვერპლი „თათარიანობის“, „ყიზილბაშობის“, „ურუმობა-ოსმალობის“, „ლეკიანობის“, „ოსიანობის“, „რუსიანობის“, მაგრამ ურყევად იდგა და ბოლომდე შეინარჩუნა ქვითკირული სიმაგრე.

X საუკუნის ჰიმნოგრაფი („ქება და დიდება ქართულისა ენისა“) ქართულ ენას ქრისტეს რჩეულ ენად სახავს, მეორედ მოსვლისას მაცხოვარი ამ ენაზე განიკითხავსო კაცობრიობას. იგი ქართულ ენის წარმოშობას 4 ათასი წლით ათარიღებს, ადარებს ბიბლიურ ლაზარეს. გიორგი მთაწმინდელის მიხედვით, თვითონ ღვთისმშობელი გრძნობდა მისი წილხვდომილი ქვეყნის ენის სიდიადეს. ლოგინად ჩავარდნილ ეფთვიმეს ღვთისმშობელი გამოეცხადა: „რა არს, რა გელმის ეფთვიმე“. ავადმყოფი პასუხობს: „მოკვდები დედოფალო“. მაცხოვრის დედის სიტყვები მზესაჯით გაბრწყინდა: „არა რა არს შენთანა ვნება , აღდეგ, ნუ გეშინინ და ქართულად ხსნილად (ე.ი. თავისუფლად – ტ.მ.) უბნობდი“. ეფთვიმე მყისვე განკურნა „ქართულად უბნობამ“. ქართულ ენაში გაცხადდა რუსთაველის გენიის საიდუმლო, ბიბლიამ წარმოაჩინა ქართული ენის ჩაუწვდომელი სიმდიდრე.

გიორგი შარვაშიძისათვის ქართული ენა წარმოადგენდა ფენომენალურად უმნიშვნელოვანეს საშუალებას საქართველოს ყველა

[1] შდრ. ლ. ახალაძის დასახ. ნაშრომი, გვ. 211.

კუთხის ერთ მუშტად შეკვრაში, ერთ დულაბად შეკავშირებაში. ასე იყო შუა საუკუნეებში, ასევე „ვარადას“ ავტორის ცხოვრების პერიოდშიც. ქართული ენა იყო კულტურის მთავარი ენა სამეფოებად და სამთავროებად საქართველოს დაქუცმაცების დროსაც. არ შემცირებულა მისი როლი, როგორც სახელმწიფოს, მწიგნობრობის და ეკლესიის ენისა. სიმონ ჯანაშიას თანახმად: „ეკლესიურად აფხაზეთი უკანასკნელ ხანამდე იმერეთ-სამეგრელო-გურიასთან ერთად ერთ მთლიანობას შეადგენდა, ერთი საეკლესიო (ქართული) ენით. ქართულივე არის სამთავრო დაწესებულებათა და, საზოგადოდ, მწიგნობრობის ენა... აფხაზეთის მთავრის კანცელარია ქართულად მუშაობს, რუსული ოფიციალური ცნობებითაც, უკანასკნელი მთავარი მიხეილი კავკასიის მმართებლობასა და მის წარმომადგენლებს ჩვეულებრივად ქართულად მიმართავს“.[1] ასევე საინტერესოა ოდიშის მთავრის ლევან დადიანის (მეორე) დესპანის მიერ მოსკოვის მთავრობასთან გაკეთებული განმარტება: „სარწმუნოება იგივე გვაქვს, როგორც ქართლ-კახეთის მცხოვრებთ; ჩვენი მწიგნობრობა ქართულია, მხოლოდ ენაც გვაქვს შინაურობაში, სასაუბრო“. საგულისხმოა კიდევ ერთი ფაქტი. ერთ-ერთ საუბარში ლევან მეორე დადიანი თავის წოდებულებას ასე ახმოვანებს: „ივერიის ქვეყნის მეგრულ მხარეში მცხოვრები ლევან დადიანი“.

გიორგი შარვაშიძემ ზედმიწევნით იცოდა თანამედროვე ქართული ენა, ძველი ქართული ენა, ანუ ბიბლიის ენა, „ქართლის ცხოვრების“ ენა, რუსთაველის და სულხან-საბას ენა. მის წაბილწვას არ ეგუება, ქართული ენის შეურაცხმყოფელს საკადრისს მიაგებს. ის, ამასთანავე, დაინტერესებული იყო მართლწერის საკითხებით. 1915 წელს შექმნილა „ქართული მართლმწერლობის კომისია“. სწორედ ამ კომისიას მიმართა მან წერილით „ქართული ენის გარშემო“, რომელიც გაზეთ „საქართველოში“ გამოქვეყნდა.[2] ეს სტატია მხოლოდ ამ გაზეთს შემორჩა. მის შემდეგ მზის სინათლე არ უხილავს, ხელმეორედ იგი არ დაბეჭდილა, ხოლო აქედან ნაწყვეტებს არაერთი მკვლევარი იმოწმებს. უნდა გავიმეორო აკად. სიმონ ჯანაშიას გამოხმაურება ამ

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 27.

[2] გაზ. „საქართველო“, №169, 1915, 16 ქრისტეშობისთვე.

წერილთან დაკავშირებით: „თქმა არ უნდა, ბევრი რამ ამ მსჯელობაში შემცდარია და მიუღებელი ჩვენთვის. ყოველივე ეს საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ავტორის განწყობილებასა და ლიტერატურულ აღზრდას ახასიათებს".[1]

ეს არის მკაცრი ტონით დაწერილი სტატია, რომელიც ითვალისწინებს ქართული ენის სიწმინდის დაცვას, ბარბარიზმის საფრთხისთვის მის აცილებას. ავტორი აკრიტიკებს იმათ, ვინც ქართულ ანბანს ჩამოაშორა ხმარებიდან გასულად წოდებული ასოები (ჲ, ჴ, ჯ, ჱ). გიორგი შარვაშიძემ განა არ იცოდა, რომ ამ ასოების „ხელყოფა" დაკავშირებული იყო დიდი ილია ჭავჭავაძის სახელთან. წერილის გამოქვეყნებისას „განდეგილის" ავტორი უკვე 8 წლის გარდაცვლილი იყო. მიუხედავად ამისა, ის იმდენად პრინციპული და დარწმუნებული იყო თავის სიმართლეში, რომ არ მოერიდა აღნიშნულ ასოთა ხმარებიდან ამოღების კრიტიკას. დრომ დაადასტურა სისწორე და მართებულობა ქართული ანბანის გამარტივებისა. ამ შემთხვევაში, ცხადია, გიორგი შარვაშიძე მართალი არ იყო. ასევე იგი მოითხოვდა ასო Ф-ის შემოღება-დამკვიდრების აუცილებლობას. აქედან ჩანს მისი ერთგულება ანტონ კათალიკოსის სკოლისადმი, ვინაიდან სწორედ მის სახელს უკავშირდება ქართული ანბანისთვის ისეთი ასოების დამატება, როგორიცაა ჳ და Ф. რა თანამედროვედ ჟღერს ქართულ ენაში ბარბარიზმის მოძალების კრიტიკა გიორგი შარვაშიძის მხრიდან. იგი თითქოს ეხმაურება ჩვენს უკულმართ დროს, როცა ყოველივე ეროვნული ტრადიცია დევალვაციის ზვავქვეშაა მოყოლილი. ბარბარიზმით ირყვნება ქართული ენა. თანამედროვე ქართული პრესა „გაჟღენთილია კუპატსავით უცხო სიტყვებით".

აღსანიშნავია, რომ გიორგი შარვაშიძის თეატრალურ-ესთეტიკურ ნააზრევშიც გამოკვეთილია მისი ეროვნულ-მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა, მისი მამულიშვილური პოზიცია. სათეატრო ხელოვნებას „აფხაზი დრამატურგი დიდი საზოგადოებრივ მნიშვნელობას ანიჭებდა. ვინაიდან ეს უკანასკნელი უტყუარი ეროვნული სარკეა", რადგან თეატრი „ერთადერთი ადგილია, სადაც ქართველი საზოგა-

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 21.

დოება თავს იყრის და საიდანაც ქართული ენა ისმის".[1] ამიტომ მოითხოვდა იგი თითოეული სპექტაკლის მაღალ დონეზე დადგმას, რათა რაც შეიძლებოდა, მეტი მაყურებელი მიეზიდა. სპექტაკლებზე არდასწრება ერის გადაგვარებად მიაჩნდა, რასაც უჩიოდა კიდეც თავის არაერთ თეატრალურ რეცენზიაში. ცარიელ დარბაზს უდაბნოს ადარებდა და გულისტკივილით ამბობდა: „სკამები კი არ უნდა ეძებდნენ მაყურებელს, მაყურებელი უნდა ეძებდეს სკამებს".

გიორგი შარვაშიძე ერთ-ერთ თეატრალურ რეცენზიაში[2] ხუთმოქმედებიან დრამა „სამშობლოსთან" დაკავშირებით სიხარულის გრძნობით შენიშნავდა: „ქართულ დრამატულ დასის მიერ წარმოდგენილი პიესა „სამშობლო" თითქმის ერთადერთი პიესაა ქართული სცენის რეპერტუარში, რომელსაც ხალხი ყოველთვის სიამოვნებით ეტანება და რომლის წარმოდგენის დროსაც სათეატრო დარბაზი მართლა რომ სადღესასწაულო სახეს მიიღებს ხოლმე." მას უზომოდ უხაროდა „სამშობლოს" მაყურებლის სამშობლოსმოყვარეობა.

სწორად შენიშნავდა ოთარ ჭურღულია: „გიორგი შარვაშიძის პატრიოტული ლირიკა ქართულ-აფხაზური კულტურის განუყოფელი ნაწილია. იგი ნასაზრდოებია იმავე სულისკვეთებით, ჰუმანიზმითა და განწყობილებით, რაც დამახასიათებელი იყო ალექსანდრე ჭავჭავაძის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას პოეტური სამყაროსათვის".[3]

გიორგი შარვაშიძეს „ფრიად გარდარეულად" უყვარდა თავისი სამშობლო, მშობელი ხალხი, თავისი ერი. სწორედ მის ეროვნულ-პატრიოტულ შემართებას მაღალ შეფასებას აძლევდნენ თანამედროვე განთქმული მამულიშვილები. სიკვდილის შემდეგაც მისი ამ თვისების შეფასებამ დიდი გამოძახილი ჰპოვა სპეციალურ ლიტერატურაში. გვინდა უპირველესად გავიხსენოთ ნიკო დადიანის (უმცროსი) „საამდრო გამოცანები" (ლექსის ზმაკიდური გვაძლევს „პონტოქსელს", რაც გ. შარვაშიძის ერთ-ერთი ფსევდონიმია და ნიშნავს „შავიზღვისპირელს"), სადაც ხაზი გაესმის გიორგი შარვაშიძის სიყვარულს

---

[1] შდრ. ე. ხარაძე, გიორგი შარვაშიძე და თეატრი, გვ. 17.

[2] გაზ. „ივერია", 1893, №225.

[3] ო. ჭურღულია, შარვაშიძეები, გვ. 54.

სამშობლოსადმი, თავისი ერისადმი:

„ქვეყანა, მისი მშობელი უყვარს ყმითა და ბერითა,
სძაგს უგრძნობელი, უგულო სიტყვითა, გინდა წერითა...
ეტრფის მოძმეთა გულადთა, სულდგმულობს თავისის ერითა“.[1]

1868 წელს გიორგი შარვაშიძეს შეუთხზავს ლექსი „რა უშავთ მათ“. როგორც უკვე შევნიშნავდით აფხაზი შემოქმედის ბიოგრაფიაზე მსჯელობისას, ეს ნაწარმოები პირველად აღმოაჩინა სოლომონ ლეკიშვილმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ილია ჭავჭავაძის ფონდში (№492). მკვლევარმა გამოაქვეყნა იგი 1975 წელს.[2]

თავის ადგილას ვთქვი და გამეორებას არ მოვერიდები: ლექსი „რა უშავთ მათ“ თავისუფლად შეგვიძლია მივიჩნიოთ პოეტის საპროგრამო ნაწარმოებად. ამ მომენტში ჩვენთვის ის არის მნიშვნელოვანი, რომ გიორგი შარვაშიძის დასახელებულ თხზულებაში, რომელიც მას ადრეულ ასაკში შეუქმნია, თვალნათლივ ჩანს ავტორის ზრუნვა ქვეყნის ბედზე, ჩანს სამშობლოს რაობის ღრმად გაცნობიერება:

„რა უშავს, ვისაც მხოლოდღა სარჩო უჩნს საზრუნველად,
უგუნურობას კისრითა ზიდავს თვალ-აბურვილად,
თავისი აზრი მასვე ეხვევა, ეალერსება,
არ ენაღვლება ქვეყნისა ბედი და სხვა არსება.
რა უშავს, ვისაც თავის მამული არ ჰყვარებია...
ვინაც სოფელსა, ბუნებას ვრცელსა, სამშობლოდ სახავს
და თვით საზარელს უცხოობას ვერ დაინახავს“.

გიორგი შარვაშიძის პატრიოტულ ლირიკაზე საუბარს გავაგრძელებთ ლექსით — „პასუხი ვ. ო. (ორბელიანს). სოლომონ ლეკიშვილი ვარაუდობს, რომ იგი უნდა წარმოადგენს პასუხს ვახტანგ ორბელიანის ლექსისა „ამერი იმერს“.[3] აღნიშნული ლექსი აფხაზ პოეტს 1883 წელს გაზეთ „დროებაში“ გამოსაქვეყნებლად მოუმზადებია, მაგრამ ცენზურას აუკრძალავს. შემოუნახავს იგი გიორგი ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმს,

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 64.

[2] ს. ლეკიშვილი, გიორგი შარვაშიძე (დოკუმენტური მასალები), „საისტორიო მოამბე“, თბ., 1975, №31-32, გვ. 253-254.

[3] გაზ. „დროება“, 1883, №1, გვ.1.

რომელიც სოლომონ ლეკიშვილმა აღმოაჩინა და გამოაქვეყნა კიდეც 1975 წელს.[1]

გიორგი შარვაშიძის საანალიზო ლექსი იწყება ნატერით, რომ ერმა ერობა დაიბრუნოს:

„დიაღ, მოგასწროს ის ბედნიერი
დღე, როცა ხალხში შეერთებული,
ძველებურათა ძველი ივერი
შეიქმნეს მძლე- და სახელ-ქებული“.

დაე, საქართველოს ყველა კუთხიდან ისმოდესო „ლხინის საყვირთა ტკრციალი“. პოეტი წუხს: „რამდენი სიტყვა იხარჯვის უცხოფრათ შეზავებული, ერის ცხოვრების უწყობი ვაგლახად შეჭირებული“. გიორგი შარვაშიძე დათრგუნულია იმით, რომ „ძველის ძველიდან ქებული ქართველი“ არ ჩანს, „პაწია დასებმა“ „აზრები ააჭრელეს“, ძმა ძმასაა გადამტერებული, „მტერი კი დამოყვრებულია“, ხალხის შურიანობით დასნეულდა, ყოველი მხრიდან ყაყანი და ლანძღვა ისმის, ჭორებს დიდი გასავალი აქვს, კალმის და ხანჯლის პრიალი დაჩლუნგებულა:

„რაღაც პაწია დასები, აზრები აჭრელებულნი,
ვაჰმე, სად არის ქართველი ძველის ძველიდან ქებული!
ყაყანი, ლანძღვა, ჭორები, შურიანობით სნეული,
კალმის და ხანჯლის პრიალი ორივე დაჩლუნგებული,
ძმა ძმასა დამტერებული, მტერი კი დამოყვრებული,
ვაჰმე იმერი სად არის, გონება დამიწებული!...“

პოეტის ფიქრსა და ჯავრში ცოცხლდებიან საქართველოს სახელოვანი წინაპრები: ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, რუსთაველის გენია, მხარგრძელი, „ვახუშტი ბრძენი“. ამისთანა გმირები არ ჰყავს მისდროინდელ საქართველოს, დაცემულს და გაევრანებულს. მათი საქმენი საგმირონი დარჩათ შთამომავლებს მისაბაძ მაგალითად, მაგრამ, სამწუხაროდ, არ ჩანან მიმბაძველნი. დიდი დავითი რომ გაცოცხლდეს, იხილავს საშინელ სურათს თუ როგორ დაინგრა მის მიერ აშენებული:

---

[1] ს. ლეკიშვილი, გიორგი შარვაშიძე (დოკუმენტური მასალები). „საისტორიო მოამბე“. 1975. №256-257.

„სად არის ვახტანგ მტერთ მეხი, მათგანვე ლომ წოდებული,
მხარგრძელი სარდალთ სარდალი, ათასი წლისა ქებული,
ვახუშტი ბრძენი, რუსთველი ღვთაებით ამაღლებული,
და დავით მირონ-ცხებული, არ ხედავს ის დიდებული,
რომ ყოველივე დაინგრა, რა ჰყო მან აშენებული“.

თითქმის ანალოგიური შინაარსის მატარებელია ლექსი „მამულს“, რომელშიც ერთმანეთთან დაპირისპირებულია წარსული და აწმყო ანუ ძველი და ახალი დროება ბედკრულ საქართველოსი. გიორგი შარვაშიძე მამულისადმი მიმართვისას სიამაყის გრძნობით იგონებს მის წარსულს, როდესაც გმირი ქაროველები იარაღით ხელში იცავდნენ ქვეყნის ღირსებას, თავს ევლებოდნენ „სულით წმინდით ამაღლებულნი“, „ლომებრ გულითა“:

„როს ათინელთა მეცნიერების
ლამპარი მაინც გაანათებდა
და საყვირთ ცემა სწორის ლაშქრობის
გონების აზრსა არ აყრუებდა“.

საქართველოს ისტორიულ წარსულში მეფობდა: პატიოსნება, ერთობა, ნდობა, სიტყვამტკიცობა. პოეტი ოცნებობს იმ ძველ დროში გადაბარგებაზე, სადაც „სრულად იგრძნობდა ბედნიერებას“. იგი აწმყო დროებით უკმაყოფილოა, რადგან „დიდება ჭკუის წვრილმან ლტოლვებზედ დახურდულია“, „პიკარი მუხთლობს“, „გზა იმედისაც ბნელით ხშულია“. თავის ქვეყნის ამ უბედურებაში გიორგი შარვაშიძე ცარისტული ხელისუფლების დანაშაულს ხედავს, ყველაფერს რუსეთის კოლონიზატორულ პოლიტიკას აბრალებს:

„ჩრდილოეთის სასტიკი ჩრდილი,
ჰოი, მამულო, სინათლეს გისპობს,
მხოლოდ ელბუზი, ლაღად აყრდნილი,
მოხუცის თავით წყვდიადსა აპობს.
იმ თეთრ ნაკვეთით ჩამოღელვიან
კვნესით, ღრიალით ცრემლნი გლოვისა
და ათას ღარად მკერდს უხეთქიან
ნიშნად ზარისა უბედობისა“.

როგორც დავინახეთ და მწარედ ვიგრძენით, პოეტი ასეთი სევდი-

ანი განწყობილებით ასრულებს ლექსს, რასაც ვერ ვიტყვით მეორე ნაწარმოებზე „ფშაურ ხმაზედ“. ბოლო სტროფამდე ზემოთ განხილული ორივე ლექსის სული ქრის მასში. იგივე განწყობა, სევდა, კაეშანი, „გლოვის ზარი“, მაგრამ ბოლოს იმედი. ლექსი მიმართვის სტილშია შექმნილი. მიმართვაში — „ძმავ“ — უთუოდ ვაჟა-ფშაველას გულისხმობდა აფხაზი პოეტი, ვინაიდან „ფშაურ ხმაზედ“ სწორედ „ბახტრიონის“ ავტორის „ხმაზეა“ გაწყობილი:

„ვიცი, ძმავ, ვიცი, რადა ხარ
სევდით მოცული სახითა:
ვაჟკაც ვაგლახად დაბმულხარ,
ვითა კაკაბი მახითა“.

პოეტის მიმართვის ობიექტს ვერ გაუშლია ფრთები, „შემოხვევია ცხოვრების სულთა-მხუთავი გალია“; გვერდით უყრია დაჟანგული ყირიმი, ფარი, ხმალი, რომელთაც ვერც გაფერავს და ვერც მოიხმარს. მერანიც ამაოდ ჭიხვინებს, რომელიც მხედარს ელოდება: „მხედარი, შენებრ ვაჟაი, მარქვი მეორე სად არის?“ მაგრამ რა ქნას: თავზე მუზარადი არ ახურავს, მტვერში აგდია „დახეული აბჯარ-ჯაჭვანი“. ვერ გააქროლებს საომრად ტაიჭს, ვერ დაიქუხებს ბრძოლის ველზე ქართულად. „ვაჟაი“ მარტოა დარჩენილი, „ტოლ-ამხანაგი ყველაი საიქიოსა წასულა“:

„მათ ნაოხარსა, ტიალზედ,
ზუზუნით დადის ქარია,
ზედ მოსთქვამს ზედან ღუღუნებს,
ვითარ გლოვისა ზარია“.

მარტოკა ობლად დარჩენილი ვაჟაი თავგანწირული ყიჟინით მთა და ბარს აყრუებს, ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი ურჩევნია, გაგონილი ანდაზა მასზე ნათქვამად დაუგულვებია: „ცოცხალი ლეში მკვდარზედაც უფრო მკვდარია“. ასეთი ნაღვლიანი და შემზარავი განწყობილებით სრულდება ლექსი, რომელიც უიმედობითაა გაჯერებული. თუმცა გიორგი შარვაშიძე არ სვამს ბოლო წერტილს, ასეთ სევდიან ხმაზე არ ამთავრებს ნაწარმოებს. იგი არწმუნებს ფშაველ ვაჟკაცს, რომ მას მხსნელად მოევლინება ქრისტეს მცნება და ჯვარი, რომელიც განკურნავს, უშველის მის ტკივილებს:

„მაგრამ არა, ძმავ, გახსოვდეს
ქრისტეს მცნება და ჯვარია, —
იგი გიშველის, განკურნავს,
რაც ოდენ სატკივარია“.

ეს არის დიდი ქრისტიანი შემოქმედის ღაღადისი, რომელსაც მამულის გადარჩენის იმედი არასოდეს დაუკარგავს, რომელსაც ქრისტეს ხატება უნათებს გზას. ქვეყნის ხსნის მთავარ პირობად ქრისტიანობის განმტკიცება ესახება. ვითარება უკეთესობისკენ შეიცვლება, ქართველი მეომარი კვლავ გაწმენდს დაჟანგულ ფარ-ხმალს, თავზე მუზარადს მოირგებს, დახეულ აბჯარ-ჯავშანს მტვრისაგან დაიხსნის, მერანს მოახტება და მტერს შიშის ‘ხარს დასცემს, დაწყებულ ბრძოლას გამარჯვებამდე მიიყვანს.

სამშობლოს უნუგეშო მდგომარეობას თავგანწირვამდე მიჰყავს პოეტი. მზად არის თავისთავს სასტიკი განაჩენი გამოუტანოს და ეს წარბშეუხრელად შეასრულოს, ოღონდ სხვების შეგნებამდე დავიდეს თუ რა გრძნობები აწვალებდა. სწორედ მამულით გულშეჭირვებული მგოსნის ნათქვამია:

„ნეტამც ვინმემ დამკლას დანით,
სისხლი ჩემი მოადინოს,
მკერდი ჩემი ტყის ნადირთა —
ვეფხვსა და ლომს ალოკინოს
გული ჩემი ამოიღოს,
ყვავს და ყორანს აწეწინოს
და რაც გრძნობა შიგ გამოჩნდეს,
იგი სხვებსაც აგრძნობინოს“.

როგორც არაერთხელ ითქვა, გიორგი შარვაშიძისთვის საქართველო და აფხაზეთი ერთ მთლიან ორგანიზმს წარმოადგენს, ეს ერთი ქვეყანაა, ერთი სამშობლოა მისთვის. ისტორიულად ისინი განუყოფელ მთლიანობაში არსებობენ: აფხაზეთი ერთ-ერთი კუთხეა საქართველოსი. იგი პოეტის მშობელი მხარეა, საიდანაც იგი გარკვეული ხნის მანძილზე ცარიზმის რეჟიმის წყალობით მოწყვეტილი აღმოჩნდა. მან რუსეთში ფუფუნებით ყოფნას სამშობლოში ტანჯული ცხოვრება არჩია. ქუთაისი და თბილისი იყო მისი საცხოვრებელი ადგილი. აფხ-

აზეთი ერთი წუთითაც არ ავიწყდებოდა, ფიქრით, ოცნებით მუდამ მასთან იყო. საშინლად განიცდიდა რუსების მხრიდან აფხაზ თანამემამულეთა უკიდურესად შევიწროებას, გულშეჭირვეულ ყოფას, მორალურად, ეკონომიკურად დაცემას. სწორედ აფხაზეთი ედგა თვალწინ, როცა ამ სტრიქონებს წერდა:

„მზე გადიხარა, დაბერა ქვენით,
ზღვას გადაეკრა ზურმუხტი ლაშა
და მის ციალზედ დუდუნით, სტვენით
თეთრი კრავები აათამაშა“.

ახლა წავიკითხოთ გიორგი შარვაშიძის ერთი უსათაურო ლექსი — „შენ იცნობ, ძმაო ქვეყანას ერთსა“. მართალია, მასში საკუთრივ „აფხაზეთი“ ნახსენები არ არის, მაგრამ მკითხველს ნაკლებად გაუჭირდება იმის მიხვედრა, რომ პოეტი ამ ნაწარმოებში კონკრეტულად თავის მშობლიურ კუთხეს, მის აუტანელ ვითარებას წარმოაჩენს. ეს თხზულება საუკეთესო გამოვლინებაა აფხაზი მწერლის ეროვნულ-მოქალაქეობრივი პოზიციისა. „ქვეყანა ერთი“ ანუ აფხაზეთი მუდამ მზითაა გაბრწყინებული, ერი მის სახელს ღმერთის დარად განადიდებს:

„შენ იცნობ, ძმაო, ქვეყანას ერთსა,
სად მზე მარადჟამს ანათებს ბრწყინავს.
სად მის სახელსა, როგორც რომ ღმერთსა,
ადიდებს ერი და მასზედ ფიცავს“.

ეს ის მხარეა, სადაც შეღამებისას ვარსკვლავები იქაური ქალების სილამაზეს ეჯიბრებიან: „და მათი შუქისმფენი თვალები იმათ სხივებსა ედარებიან“. ასეთ ღვთაებრივ მხარეში „გაუტანელი მუხთლობა“ მეფობს და ბოროტების ბეგარას იხდის: „იქა მუხთლობა გაუტანელი იხდის ბეგარას ბოროტებისას“. ამ ქვეყანაში დასადგურებულა უსინდისობა, უსამართლობა, ბორკილების ჟღერა აყრუებს იქაურობას, ისმის სულის კვნესა. იგი ჩაგდებულია შესაბრალის მდგომარეობაში თავისი უბედურებით:

„იქ ისმის ჟღერა ბორკილებისა,
იქ კვნესის სული, არ ყურობ განა?
ღირსია, ძმაო, შებრალებისა
ის უბედური — ჩემი ქვეყანა!“

ლექსი სრულდება მხოლოდ შებრალების გამოხატვით და არა გამოსვლის გზით ძიებით.

1869 წელს დაწერილა ლექსი „ჩემსა საღამოს, გლახსა საამოს“. სამშობლოს გრძნობა მასში გიორგი შარვაშიძეს თავისებურ სტილში ჩაუქსოვია. მშობელი ქვეყანა არასდროს ავიწყდება, მუდამ ახსოვს. ნებისმიერ შემთხვევაში, თუნდაც ბუხრის პირას ჯდომისას, დაღამებისას ოთახში მარტო ყოფნისას. ჯერ აღწერს, ბუხარში დანთებული ცეცხლის ალი თუ როგორ „ეხვევა შეშას, ემიჯნურება“; „ხან გაჯავრებით, ტკელეცით და ხეთქით, ნახშირთა ტყორცნის და ემუქრება“; პოეტი თვალს აყოლებს თუ ალი ზოგჯერ როგორ დამშვიდდება, განაზდება, „ლაჟვარდ ძოწითა შეიმოსება“, ხან სტუნავს, ცელქობს, გალამაზდება, კვლავ საყვარელსა (შეშას – ტ.მ.) ეალერსება“. ვინც ერთხელ მაინც მიფიცხებია ბუხარში მოგიზგიზე ცეცხლის ალს, დაკვირვებია მის „ქმედებებს“, დამერწმუნება, ამაზე უკეთესად პოეტურად ამ სურათის ჩვენება შეუძლებელია. ქვემოთ ირკვევა, რომ ავტორს ბუხარში ცეცხლის გიზგიზის აღწერა დასჭირვებია თურმე ფონის შესაქმნელად მთავარი სათქმელის გადმოსაცემად.

წყნარ ოთახში ბუხართან მყოფ პოეტს ფიქრები გაიტაცებენ, საყვარელ მხარეში გადაჰყავთ. „სატრფო მხარეში“ უცილობლად აფხაზეთი მოიაზრება, ანუ ის დედა, რომელმაც შობა:

„მაშინ ფიქრები შორს წამიღებენ,
სატრფო მხარეში მარონინებენ.
სარწმუნოებას კლავ მიბრუნებენ,
ბედნიერ სიზმრებს მომაგონებენ“.

ფიქრებში და სიზმრებში იღვიძებენ ნაცნობები, მეგობრები, რომლებიც ტკბილი ამბების მოყოლით ასიამოვნებენ, წრფელი გრძნობებით ულიმიან, უხარიათ მისი ცოცხლად ყოფნა, ანუგეშებენ, თვითონაც ნუგეშობენ: „კეთილსა სცნობენ და ყვავდებიან, უსაქმოდ, ფუჭად წამს არ უშობენ, ტკვინს იმდიდრებენ, ვითარდებიან“...

„ვითომც მეტყვიან: ჰა, ძმაო, ცდითა.
რასაც ვნატრობდით, დაცავბადენით,
მუდამის შრომით, გონების ხსნითა
ევროპის ნათელს მივეახლენით.“

ჭორი, ყბედობა, უგუნურება პატიოსნებით შეცვლილა, მოძმისადმი ერთგულება და სამსახური დაკანონებულა. აი, ასეთ იდეალურ „სატრფო მხარეში“ არონინეს სიზმრისფერმა ფიქრებმა აფხაზი პატრიოტი შემოქმედი, ევროპის ნათელთან მიახლოებით აღუნთეს გული. თუმცა ოცნებამ, ფიქრებმა, ტკბილმა სიზმრებმა როგორც კი ამოწურეს თავიანთი შესაძლებლობანი, პოეტი სიცხადეში დაეშვა: „როს ქარიშხალი ჩემსა ფანჯრებსა ბღავილით, კვნესით დაახრიგინებს“:

„ცივი ბუნება თავმოწონებით
ვითა ზღვის ღელვა, ჰკივის, ღრიალებს,
და საწყალ კაცსა თბილსა ბუნებით
ყინვის ზვირთებსა მომიგრიალებს“.

პოეტს ენატრება ფრთები, რათა დაეშვას იქ, სადაც ფიქრით იმყოფებოდა, ოღონდ ერთი პირობით — დახვდეს ისეთი „სატრფო მხარე“, როგორიც სიზმარ-ფიქრებმა დაუსურათხატეს მას („ნამდვილ მივფრინდე, საც ფიქრითა ვარ“).

თითქოს განხილული ლექსის შინაარსის გაგრძელებაა იმავე 1869 წელს შეთხზული უსათაურო ლექსი „ხელთ ვიღებ ბოკალს შენს სადღეგრძელოს“ (...ს). ეს სამიჯნურო ლექსადაა აღიარებული სპეციალურ ლიტერატურაში, მაგრამ, ვფიქრობ, მასში ალეგორიულად სამშობლოს სიყვარული იხატება:

„ვითა ვარსკვლავი განშორებული,
შორით ბრწყინავხარ და შორსა ნათობ,
მაგრამ ოცნებით აღტაცებული
გიახლოვდები და ფიქრსა ვატკბობ“.

ავტორს ცრემლის წყარო ისე ურწყავს გულს, „ვით წვიმის ღვარი გამხმარსა მდელოს“. საკრავის სიმები უწყალო დარდს „ამოჰკვნესიან“, შთააგონებენ, რომ გულში მაგრად დათესილს „დრონი ვერ ამოსთხრიან“:

„სულით დავბერდი, ჯანით ვსუსტდები,
მსურს დამენახო ღონე მომგვარო
სასიხარულოთ თუ კი მოვკვდები,
ბროლის წვეთები გულზე დამყარო“.

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს პოეტის ერთი უსათაურო რუსული

ლექსიც „ჯერ კიდევ სულით“. იგი თითქოს სამიჯნურო ნაწარმოებს ჰგავს, მაგრამ ღრმად თუ ჩავუკვირდებით, მასში პატრიოტული მელანქოლია ჟღერს. სატრფოს სახეში სამშობლოს გრძნობა უფრო იკითხება. ეს შეუნიშნავი არც ოთარ ჭურლულიას დარჩენია: „ნაწარმოები, ერთი შეხედვით, სატრფიალო ხასიათისაა, მაგრამ ნამყოს მიმართ იმდენი სევდაა მასში ჩაქსოვილი, პოეტის მწარე ხვედრის მაჩვენებელი იმდენი განცდაა გაცხადებული, რომ იგი უფრო პატრიოტულ-პესიმისტური ლირიკის კუთვნილებას შეიძლება ჩაითვალოს“.[1]

გიორგი შარვაშიძემ ცხოვრების ეკლიანი გზა განვლო. ტანჯვა-წამებაში თითქოს პოეტი და მისი სამშობლო ერთმანეთს ეცილებოდნენ, შფოთიანი თავგადასავლებით ორივენი ჰგავდნენ ერთმანეთს. მამულის გარეთ ყოფნა მისთვის ჯვარცმა იყო, არც შიგ სამშობლოში ყოფნისას ულხინდა, რადგან მას დავრდომილს და უნუგეშოს ხედავდა, გარეშე და შინაური მტრებით დათრგუნულს, დაუძლურებულს, მაგრამ იმედს არ კარგავდა. სჯეროდა, რომ მის ქვეყანაშიც გამოივლიდა თავისუფლების გაზაფხული. მწერლისთვის სიკვდილის ტოლფასი იყო მშობლიური აფხაზეთის მიწიდან მოწყვეტა. ცხოვრების ღელვამ შორს გაიტაცა იგი, მრავალ ქვეყანაში ამყოფა, მაგრამ თავისი მამული ერთი წუთითაც არასოდეს დავიწყნია, მუდამ ახსოვდა სამშობლო ცა და ის მთვარეც, „ტურფა და ნაზი ახალი მთვარე“, რომელიც სიჭაბუკიდან შემორჩა მახსოვრობის ეკრანს:

„ერთხელ ვიხილე ჩემს სამშობლოში
ტურფა და ნაზი ახალი მთვარე,
ჭაბუკი ვიყავ მეცა იმ დროში
და სასოებით მას თვალი ვარე.
ცხოვრების ღელვამ შორს გამიტაცა,
ბევრი ქვეყნები მიმოვიარე,
მაგრამ მახსოვდა მე სამშობლო ცა
და ზედ ის ტურფა, ახალი მთვარე“.

არ არსებობს საქართველოში დიდი თუ პატარა პოეტი, მთვარით არ ყოფილიყო შთაგონებული. ზეცაში „მთვარის ცხოვრებიდან“ ახალმთვარეობას სულ სხვა ხიბლი ახლავს თან. ქართველი

[1] ო. ჭურლულია, შარვაშიძეები, გვ. 51.

კაცი პირველად როცა ახალ მთვარეს შეხედავდა, შესთხოვდა მას გახარებას და გაახლებას, იმედის თვალით შეჰყურებდა მას. გიორგი შარვაშიძის ამ ორსტროფიან ლექსშიც, როგორც ვიგრძენით, აქცენტირებულია „ახალი მთვარე.“ ვინ იცის, რამდენჯერ იქნებოდა შენახვედრი ახალ მთვარეობას, მაგრამ სიჭაბუკეში ერთხელ ნანახი ის ახალი, ტურფა და ნაზი მთვარე სამუდამოდ დამახსოვრებია, რადგანაც „სასოებით მას თვალი ვარეო“.

სიმონ ჯანაშია გიორგი შარვაშიძის ერთ ლექსთან („გასათხოვარს“) დაკავშირებით წერდა: „განსაკუთრებული ყურადღების ღირსი ისაა, რომ ყველაზე ადრინდელ ეროტიკულ ლექსშიც უკვე ჩანს განწყობილება, რომელსაც, ჯერ ერთი, ხორციელი საფეხურიდან იდეურზე აჰყავს პიროვნება და რომელიც შემდეგ ამ უკანასკნელს აკავშირებს საზოგადოებასთან... იმავე „გასათხოვარშიც“ გამოთქმულია წამყვანი მოტივიც“ (იგულისხმება ეროვნულ-პატრიოტული მოტივი).[1]

„და შენ ესრეთი მოვლენა ძვირი,
რომ გათხოვდები, დედა გახდები,
დაცემულს მამულს აჩუქე გმირი,
მაშინ კი სწორედ შემიყვარდები“...

მაშინ ცოცხალი აღარ ვიქნები, მაგრამ „ბედნიერების გიცნობ მშობელად, იქ ვიგრძნობ, იქაც გეთაყვანებიო!“ ამ სიტყვებში დიდი ილიას სული ქრის. შეუძლებელია არ გაგახსენდეს მისი „ქართვლის დედა“ და „ქართლის დედას“. ეს სამშობლოსთვის თავდადებული მწერლები მუდამ ახალი გმირის ძიებაში იყვნენ, ვინც მამაცი წინაპრების დარად ქვეყანას მხსნელად მოევლინებოდნენ.

ოთარ ჭურღულიას სიტყვებით რომ ვთქვათ, „მოტანილ სიტყვებში გამოკვეთილად ჩანს ავტორის ჰუმანისტური პოზიცია — მამულის სიყვარული, კეთილშობილება, დიდსულოვნება, კაცთმოყვარეობა.[2]

როდესაც სამეცნიერო ლიტერატურაში გიორგი შარვაშიძის პატრიოტულ ლირიკაზე მსჯელობენ, საუკეთესო ნიმუშად „ვარადას“ ასახელებენ. სამართლიანად განიხილავენ მას ქართული პოეზიის ერთ-ერთ შედევრად. სიმონ ჯანაშია „ვარადას“ პროგრესული პა-

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 69.
[2] ო. ჭურღულია, შარვაშიძეები, გვ. 42.

ტრიოტიზმის საგალობელს უწოდებდა და მოითხოვდა მის შეტანას ახალი ქართული პოეზიის ანთოლოგიაში“.[1] ოთარ ჭურღულიას თქმით, „ვარადა“, საერთოდ, პატრიოტული ლირიკის ბრწყინვალე ნიმუშია. თუნდაც მხოლოდ და მხოლოდ ეს ლექსი რომ დაეწერა პოეტს, ისიც განადიდებდა ავტორის სახელს, როგორც ჭეშმარიტი შემოქმედისა.[2]ავთანდილ ნიკოლეიშვილის თანახმად: „ვარადაში“ – აფხაზური სიმღერის ამ ყველაზე პოპულარულ სიტყვაში, სიმბოლურად კონდენსირდება მშობლიური მიწისა და ენის სიყვარული. ეს სიტყვა ლექსში ემოციური და სულიერი სილაღის გამოხატვის ფუნქციას კი არ ასრულებს, არამედ იმ გაუნელებელი ტკივილის გასაღებადაა ქცეული, რომელიც მწერლის ცხოვრების ბედისწერას წარმოადგენს, იმისათვის, რომ უფრო მეტად შეიგრძნოთ ამ სიტყვის მიღმა სიმბოლურად ნაგულისხმევი ავტორისეული ტკივილის არსი“.[3] ელგუჯა თაბერიძის შენიშვნით, პოეტური უშუალობით, უბრალოებით, მომნუსხველი სიღრმით, „ვარადა“ აკაკის შედევრებს ჩამოჰგავს, მათ ელფერს დაიკრავს, ფილოსოფიური სიბრძნე სილაღეშია გარდატეხილი, შესაშურად თანხვედრია განწყობილება და აზრი“.[4]

„ვარადა“ ადიღურ-აფხაზური სიტყვაა და სიმღერას ნიშნავს. იგი მტკიცედ დამკვიდრდა აფხაზურ და ქართულ სიტყვა ხმარებაში. უფრო მეტიც. იგი მეგრულ ხალხურ სიმღერაში რეფრენად წარმოჩნდა. გიორგი შარვაშიძის ლექსი „ვარადა“ 7-სტროფიანი ნაწარმოებია. ბოლო სტროფი ფაქტიურად მცირეოდენი კორექტივით პირველის გამეორებაა. 8-მარცვლიანი ლექსია, სადაც ერთმანეთს ერითმება მეორე და მეოთხე ტაეპები. საინტერესოა, რომ შვიდივე სტროფის მეორე და მეოთხე ტაეპს თავიდან ბოლომდე კრავს საერთო გარეგანი რითმა „არადა“, რაც ერთობ მუსიკალურს ხდის ლექსს.

„ვარადა“ არ არის კონკრეტულად მხოლოდ პატრიოტულ მოტივზე აგებული ნაწარმოები. აქ პატრიოტულთან ერთად მეტნაკლებად სხვა მოტივებიც იჩენს. ის უკიდურესად ტკივილიანი სიმღერაა.

---

[1] **ს. ჯანაშია**, გიორგი შარვაშიძე (კულტურულ-ისტორიული ნარკვევი), გვ. 74.

[2] **ო. ჭურღულია**, შარვაშიძეები, გვ. 46.

[3] **ა. ნიკოლეიშვილი, გ. შარვაშიძე** – საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლი აფხაზი მწერალი. წიგნში: გ. შარვაშიძე, თხზ., II, გვ. 142.

[4] **ელ. თაბერიძე**, უბედო მამულის ყმა, წიგნში: გ. შარვაშიძე, ოხზ., II, გვ. 206.

პოეტს გულის სიღრმემდე სტკივა მამული, „ქარად წარხვეტილი“ „ათასის წლისა ცხოვრება“, სტკივა უბედობა, „საწუთროს ვნებანი“, ბოროტების განუკითხველი თარეში. ლექსი იწყება განგებისადმი მიმართვით, რაც, საერთოდ, შუა საუკუნეებიდან მოკიდებული ნაცადი ხერხია ქართულ მწერლობაში:

„განგებავ! ამას ნუ მიწყენ
ვერ გადავგვარდე გვარადა,
ხანდისხან დავიღუღუნო
მამაპაპური ვარადა“.

მივაქციოთ ყურადღება. თხზულების დასაწყისშივე აქცენტი კეთდება ცნებაზე „გადაგვარება“. გიორგი შარვაშიძემ საუცხოოდ იცოდა საქართველოს ისტორია და გრძნობდა, რომ საუკუნეების მანძილზე საქართველოს ტრაგიკული ვითარების ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი მიზეზი იყო ქართველთა გარკვეული ნაწილის ეროვნულ-სარწმუნოებრივი გადაგვარება. არაერთი გადაგვარებული ქართველის და აფხაზის მომსწრე თვითონაც იყო, რაზეც ძლიერ შესტკიოდა გული. გადაგვარება მომასწავებელი იყო საუკუნეობრივი ეროვნული ტრადიციებისთვის უარის თქმისა, ლაფში ამოსვრისა, მამაპაპეულ ქრისტიანული მრწამსისათვის ზურგის შექცევისა, რაც მტრის წისქვილზე ასხამდა წყალს. საქართველოს სხეულში ამ სიმსივნის მეტასტაზებს არაერთხელ დაუყენებია ქვეყანა უფსკრულის პირას. სამწუხაროდ, გადაგვარების პროცესი დღევანდელ შაგრენის ტყავივით დაპატარავებულ საქართველოშიც დაჩქარებული წესით მიმდინარეობს.

გიორგი შარვაშიძე განგებას მორიდებით („ნუ მიწყენ“) შეახსენებს, რომ არ აპირებს „მამაპაპური ვარადის“ დავიწყებას, ისე არ გადაგვარდება, რომ მისი დამატკბობელი ღუღუნი წარსულს ჩააბაროს, რადგან იგი თავის თავში მოიცავს სამშობლოზე უარის თქმას. „ვარადას“ მწერლისჟამინდელი ღუღუნი არ ჰგავს წარსულისას, მისი ხმა არ არის სიხარულის მომგვრელი. სიმღერა ქცეულა „მძიმე მოთხრობად“, გულის ამატკივებელ პროზაულ ტექსტად, ანუ დაუკარგავს მას მამაპაპური პეწი და ხიბლი, თუმცა მისი შეხსენება გასაცოდავებულ პირობებშიც აუცილებელია, რათა უგერგილო თანამედროვეებში გააღვიძოს მისი მუხტი, ეროვნული ტრადიციებისკენ

მიბრუნების სტიმული. დღეს კი

„ისა ჰგავს დედის საფლავზედ
ობლისა მოთქმას მწარადა.
კვნესის და კვნესის, ქვითინებს
მტირალის ჩვილის გვარადა“.

„დედის საფლავში“ ალეგორიულად გარდაცვლილი სამშობლო უნდა მოვიაზროთ, რომელსაც დასტირის დაობლებული პოეტი ხმაშეცვლილი ვარადას ხმაზე. მძაფრდება გულისტკივილი ათასწლოვანი წყნარი ცხოვრების გაქრობის გამო, რომელიც „ერთბაშად, ერთის მობერვით სულ წარხვეტილა ქარადა!“ ვარადა ამოვარდნილია ძველი ბუნების კალაპოტიდან, დავიწყებული აქვს „ღუღუნა“ ხმა, რომელსაც „გიჟური შეკივლება“ ჩანაცვლებია ბედის დასამუქრებლად თუ რატომ დააგდო ასე მარტოკა „ნაწყვეტად ნაოხარადა“. უკვირს წუთისოფლის უსამართლობა. „საწუთროს ვნებანი“ ზოგს სამარეს უთხრის, ზოგს კი დახმარების ხელს შეაშველებს. რაც საწუთროში ბოროტება ხდება, ღმერთის ყურადღების მიღმა რჩება:

„მიკვრის, საწუთროს ვნებანი
ვის ჰფხვრიან, ვის სახმარადა
და მსგავსსა ბოროტებასა
ყურსა არ უგდებს ცა რადა!“

სიტყვაში „ცა“, ბუნებრივია, ღმერთი იგულისხმება. ბოლო ტაეპში უსათუოდ იგრძნობა ღვთისადმი საყვედური, რომ ბედის ამარა მიგდებულ, ობლად და მარტოკა დარჩენილს, ბოროტებიდან პირისპირ მყოფს არ ესარჩლება განგება, ყურს არ უგდებს მის კვნესას, ქვითინს „მტირალის ჩვილის გვარადა“. ამ ტაეპში ხომ არ დევს ლექსის დასაწყის სტრიქონში განგებისადმი მიმართვისას ნათქვამის — „ნუ მიწყენ“ — გასაღები? სხვანაირად რომ ვთქვათ: განგებავ, საწუთროს ვნებათა ზვავქეშ მოყოლილს, ყურადღებას არ მაქცევ და იმას მაინც ნუ მიწყენ, „ხანდისხან დავიღუღუღუნო მამაპაპური ვარადა“ და ამით „მოვიკლა წარსულ დროებზე დარდი“. ღმერთი ნურც იმაში გაუნაწყენდება, მარად რომ შესჩივის უყურადღებობის გამო. ლექსი სრულდება „ვაი-ვაის“ ძახილით:

„განგებავ! გვედრებ ნუ მიწყენ,

თუ რომ შეგჩივი მარადა,
ხანდახან დავიღუღუნო
ვაი და ვაი ვარადა!“

ეჭვი სრულებითაც არ გვეპარება იმაში, რომ გიორგი შარვაშიძე მისდროინდელ ვარადას ღუღუნში ალეგორიულად მისივე მშობელ ტანჯულ აფხაზებს მოიაზრებს. ეს არის მისი დამბადებელი აფხაზეთის ანუ დედის საფლავზე „ობლისა მოთქმა მწარადა“.

როდესაც ვმსჯელობთ გიორგი შარვაშიძის ეროვნულ-მოქალაქეობრივ მსოფლმხედველობაზე, საგანგებო ყურადღება უნდა გამახვილდეს პოეტის ლექსზე — „ჩემი ჩანგი“. სიმონ ჯანაშიას მიერ გიორგი შარვაშიძისადმი მიძღვნილი კულტურულ-ისტორიული ნარკვევიდან ვგებულობთ, რომ ლექსისთვის მიცემული სათაური თვითონ ამ დიდ მეცნიერს ეკუთვნის. იგი „შენიშვნებში“ წერს: „ჩემი ჩანგი“ იბეჭდება ერთადერთი, დადიანისეული პირის მიხედვით, რომელსაც თავში შესაძლოა ერთი სტროფი აკლდეს, — აქ უადგილოდ ორი სიტყვა („მაშინ მხოლოდ“) ზის, თუ ეს გადამწერის შეცდომა არაა, რაც, რა თქმა უნდა, გამორიცხული არ არის. ხელმოწერილია „გ“. „შ“. სათაური ჩვენია“.[1]

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთმა მკვლევარმა შენიშნა „ჩემი ჩანგის“ მსოფლმხედველობრივი მსგავსება თუ იდეური ნათესაობა ქართველ სამოციანელებთან, განსაკუთრებით კი აკაკი წერეთლის „ჩონგურთან“. ამიტომ, ცხადია, ამ მიმართულებით აქ საუბარს არ გავაგძელებთ. კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი „ჩემი ჩანგის“ სამყაროს, რომელიც ასე იწყება:

„თუმცა ჩემს გულს გარს ესევა
შხამ-ნაღველის, სევდის ქარი
და შიგ რეკავს სავალალოდ
ცრემლ-საფრქვევად გლოვის ზარი“...

ასე რომ, ამ საპროგრამო ლექსის დასაწყისშივე გიორგი შარვაშიძე გვახედებს თავის სულიერ მდგომარეობაში, სევდის ქარით დაფლეთილ გულში. ამ წუთისოფლის მიერ შხამ-ნაღველში ამოვლებულ სულში, სადაც მხოლოდ გლოვის ზარი რეკავს, თუმცა ზოგჯერ

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 228.

სიხარულიც გამოიხედავს და დროებით გაფანტავს „იქ დაბუდულ მწარე სევდებს“. მართალია, ეს ყველაფერი პოეტისთვის პირადული განცდაა, მაგრამ იმდენად მწარედ გადმოცემული, რომ ჩვენ შესაძლებლობას გვაძლევს მისი განზოგადებისა, იმის წარმოსადგენად — იმ-ჟამინდელი ქართველი კაცი, როცა ეს ლექსი იწერებოდა, ანალოგიურ სულიერ ტკივილებში გოდებდა.

ლექსში გიორგი შარვაშიძე ერთმანეთს უპირისპირებს საპირადო და საქვეყნო საქმეს. პირადული განცდების ჩანგის სიმებისთვის თავს მოხვევას არ ლამობს, მისთვის მთავარია საქვეყნო, საზოგადოებრივი მდგომარეობის გადმოცემით სიმების აჟღერება:

„მარა ჩემს ქნარს მას ვერ დავმღერ,
რაც მე კერძოდ შემეხება!
იმის სიმნი, იგი ჰანგი
ერთისთვის არ დაიკვრება!...“

როგორც პროგრესულად მოაზროვნე ჰუმანისტი პოეტი, კერძო ინტერესებზე მაღლა, კერძო ვარამზე და ტკივილზე მაღლა მშობელი ხალხის გაუსაძლის მდგომარეობას აყენებს. პირადული რა სახსენებელიაო, როცა ყურს ანადგურებს ჩაგრული ხალხის მწუხარება, როცა ესმის ხალხის კვნესა — სულის დამლახვრავი და გულის დამდაგველი. „ჩაგრულ ხალხში“ მოაზრებულია სოციალური და ეროვნული ჩაგვრა. როგორც ისტორიულად ცნობილია, გიორგი შარვაშიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდში ქართველი და აფხაზი ხალხი განიცდიდა სოციალურ და ეროვნულ ჩაგვრას. განსაკუთრებით დამთრგუნველი იყო ეროვნული ჩაგვრა, ვინაიდან ჩვენი ქვეყანა დამონებული ჰქონდა ცარიზმის აუტანელ რეჟიმს, ცარისტული ხელისუფლების ძალადობრივ მმართველობას. ქართულენოვანი აფხაზი მწერლის მიზანია, ქართველი სამოციანელების დარად, თავისი შემოქმედებითი ენერგია. პოეტური ჩანგი თუ სულიერი ქნარი ჩააყენოს ჩაგრული მშობელი ხალხის სამსახურში, პოეტურ ფერებში წარმოსახოს ხალხის ფიზიკური და სულიერი მდგომარეობა, სულიერი ინტერესები, ამხილოს ჩაგვრის საფუძვლები და შინაგანად გაამხნევოს დაჩაგრული ადამიანი. ყოველგვარი სისაძაგლის მხილებით ბრძოლის ჟინი აღანთოს ხალხში უსამართლობის წინააღმდეგ:

„მარა როცა ჩემს ყურს ესმის
ჩაგრულ ხალხის მწუხარება,
მიწას ალბობს უმართლობით
დანადენი მდუღარება,
როცა მესმის მისი კვნესა,
სულის მქენჯი, გულის მდაგი, —
მაშინ მხოლოდ, მხოლოდ მაშინ
დაიკვნესებს ჩემი ჩანგი!“

თავის ეროვნულ-მოქალაქეობრივ პოზიციას გიორგი შარვაშიძე ავლენს კონსტანტინე ერისთავისადმი მიძღვნილ ლექსშიც („კოწია ერისთავს“). ავტორი ჩივის, რომ თხზულების ლირიკულ გმირს და ავტორსაც „ბედის ეტლი“ თანაბრად გადამტერებია. მოუწოდებს მეგობარს „ფუჭი დარდების“ გაგდებისკენ, „გულწმინდა ამაყიანად“ დარჩენისკენ. ჩვენთვის ამ მომენტში უმთავრესია ლექსის საწყისი სტროფი, სადაც ვლინდება პოეტის ეროვნული სულისკვეთება. მას კოწია ერისთავის პიროვნებაში ხიბლავს მისი ეროვნული სული, რომლის „მამულისა ვარგი შვილობა“ გამოხატულია სამშობლოს მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლაში ქედმოუხრელობის აქტში, საკუთარი ქვეყნის ავბედითობით ყმაწვილობიდანვე დაჩაგრული მეგობრის ბრძოლის ჟინში, ამიტომაც უცხადებს მას დიდ სიყვარულს:

„მისთვის მიყვარხარ, რომ ყმაწვილობა
შენი უმანკოდ დაჩაგრულია,
რომ მამულისა ვარგი შვილობა
შენი სხვა ზრუნვით დაფარულია...
რომ არც შენ გინდა დახრა ქედისა
და გზა სიმდაბლის არ გყვარებია“...

არა მარტო ლირიკულ ნაწარმოებებში, არამედ ეპიკურ და დრამატულ თხზულებებშიც განფენილია გიორგი შარვაშიძის ეროვნულ-მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა. ჩვენამდე მოღწეულია პოეტის ერთადერთი ეპიკური ძეგლი „გვადანის ციხის“ სახით, რომელიც დაუმთავრებელია (შემოგვენახა მხოლოდ პირველი ნაწილი). ავტორი შესავალშივე გვამცნობს, რომ პოემა ესაძირკვლება ჩრდილოეთ კავკასიაში არსებულ ზეპირსიტყვიერებას გვადანის ციხესთან დაკავშირებით

(„აცწერო, რაცა ზეპირ-თქმულია“). პოემის მიხედვით, რუსეთსა და ჩერქეზეთს შორის („მარცხნით ჩერქეზნი, მარჯვნით რუსეთი“) ცხოვრობდნენ ყაზარნი („ერთ-გვარი ერი“). სიმონ ჯანაშია „ყაზართა ერში“ აფხაზ ხალხს მოიაზრებდა, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. ყაზართა ქვეყნის მთავარი ყოფილა გვადანი, რომელმაც „შეკრულ ხევში, ნათალზე კლდისა“ ციხე ააგებინა. დღემდე გაურკვეველია „ყაზართა ერში“ რომელი ჩრდილოკავკასიელი ტომი უნდა იგულისხმებოდეს. თუმცა ამჯერად ეს არ არის ჩვენი მსჯელობის საგანი. გვაინტერესებს, რამდენად ჩანს პოემაში მისი ავტორის პატრიოტული სულისკვეთება.

„გვადანის ციხის“ მეორე თავში ვკითხულობთ:

„რა ცხოვრებაა იგი ცხოვრება,
თუ ხალხი არის დაუსვენარი,
ამას გულობდეს, რომ შეიძლება
ხვალვე დაგვესხეს მტრისა ლაშქარი!“

ე.ი. ხალხის ცხოვრებას არანაირი ხალისი და შინაარსი არ ახლავს, თუ ის მუდამ მტრის მოლოდინშია. აქ ავტორი საგულისხმო თვალსაზრისს ავითარებს: მტერი ყოველთვის მას ელანდება, ვინც სხვას მტრობს, ვისაც სხვისი უფლებები დაურღვევია:

„აგრეა ხოლმე, მაგრამ ის ერი
ვის სინიდისსა რამ ახვევია,
თუ სხვის უფლება დაურღვევია, —
მას ელანდება ყოველთვინ მტერი!“

„გვადანის ციხის“ მოქმედების არეალში ჩრდილოეთ კავკასიასთან ერთად საქართველოც ჩართულია, ვინაიდან გვადანის ძმა სელიმი ქართლში იზრდებოდა, ხოლო პოემის მეორე თავის მიხედვით მოქმედება მთლიანად საქართველოშია გაშლილი, სადაც გადმოცემულია ერისთავ ზურაბ ვაჩნაძის ქალიშვილის სალომეს (მესალა) თავგადასავალი. ჩვენი საკითხისათვის მთავარი ისაა, რომ ყაზართა მთავარი გვადანი „საქართველოსთან ცდილობს კავშირსა“. სწორედ პოემის მეშვიდე თავში წარმოჩენილია მწერლის ეროვნული სიამაყე, ეროვნული ღირსებით სუნთქვა, ოღონდ არა აწმყო დროში, არამედ წარსული დიდების პერიოდში. მხედველობაშია დავით აღმაშენებლის

ეპოქა, როცა საქართველოს სახელი ქუხდა აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე, თვითონ ჩრდილოეთ კავკასიელნი ცდილობენ ამ ძლიერ ქვეყანასთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებას. გვადანს სურს ამით თავისი მტრები დააფრთხოს და გაძლიერდეს. როგორც ადრეც ითქვა, გიორგი შარვაშიძე ღრმად ფლობდა ძველ ქართულ კულტურას, ზედმიწევნით იცოდა „ქართლის ცხოვრება“ (რასაც ქვემოთ თავის ადგილზე დავუბრნდებით), აღაფრთოვანებდა შუა საუკუნეებში საქართველოში მამულისთვის თავგანწირული გმირების საქციელი, ასევე უპირველესად, უდიდესი პატრიოტი მეფეების ამაგი სამშობლოს წინაშე. „გვადანის ციხეში“ კი ერთ-ერთი მათგანის — დიდი დავით აღმაშენებლის ხატება გამოიხმო და გადაგვარებულ თანამდროვეთ მოაგონა მისი „საქმენი საგმირონი“, რითაც ბრწყინვალედ დააფიქსირა თავისი ეროვნული პოზიცია და მოქალაქეობრივი ვალიც. ახლა კი საგანგებოდ მთლიანად დავიმოწმებ პოემის მეშვიდე თავის ტექსტს:

„დიდი ხანია რაც რომ გვადანი
საქართველოსთან ცდილობს კავშირსა,
ამითი უნდა დაკრძალოს სხვანი
და მოიხმაროს დღეს გასაჭირსა.
ეს იყო ის დრო, როს საქართველო
აღმოსავლეთით დასავლეთამდე,
ქუხდა ქებული და სასახელო,
საყვირი სცემდა კიდით კიდემდე!
აღმაშენებლის დროს დიდებისა
ზედ კურთხეული ესვა ბეჭედი
და კაცთ მოყვარე კეთილ მცნებისა
წინაშე ყველამ დაჰხარა ქედი!“

გიორგი შარვაშიძის ეროვნულ-მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობის წარმოსაჩენად „გვადანის ციხეში“ მნიშვნელოვანია კიდევ ერთი სტროფი, რომელიც ჩართულია მეორე თავში. ქართულ ქრისტიანულ კულტურაზე აღზრდილი და თავადაც ქრისტიანული მოძღვრებით აღჭურვილი შემოქმედი აქცენტს აკეთებს ერის კეთილზნეობაზე, რომელიც სჯაბნის ყოველგვარ ქონებას. ერის ზნეობრივი ჩამოყალიბება ეფუძნება ქრისტიანული ცხოვრების სიმტკიცეს, ქრის-

ტიანული მოძღვრების თანმიმდევრულად დაცვას, რასაც ერმა წმინდა გული უნდა შეახვედროს. ერის სიკეთე სწორედ მის კეთილზნეობაზეაო დამყარებული:

„ერის სიკეთე არ გაშენდება
არცა ქონებით, არც მამულითა,
ერის სიკეთე მხოლოდ გაჩნდება
კეთილ ზნეობით წმინდა გულითა“.

მეორე ტაეპში ნახსენები „მამული“, ცხადია, არ გაიგება, როგორც სამშობლოს სინონიმი. აქ საუბარია იმ ქონებაზე, სიმდიდრეზე, რასაც მემამულე ფლობს მიწის გარკვეული ტერიტორიის ან ფართის სახით.

გიორგი შარვაშიძის ეროვნულ-მოქალაქეობრივი პოზიცია ნათლად გამოვლინდა დრამატულ პოემაში — „გიორგი მესამე“. სიმონ ჯანაშიას შენიშვნით, იგი მიძღვნილია საქართველოს მთლიანობისა და სახელმწიფოებრივი ძლევამოსილების იდეისადმი.[1] ავთანდილ ნიკოლეიშვილიც წერს: „გიორგი მესამეში“ ხაზგასმულია განდიდებული სახელმწიფოებრივი მთლიანობის იდეა და დაგმობილია კუთხური სეპარატიზმი. ამ მთლიანობის შემადგენელ ღვიძლ ნაწილად აფხაზეთიცაა მიჩნეული. აფხაზთა მთავარი — თადეოზ შარვაშიძე აქტიურად მონაწილეობს სამეფო კარის ცხოვრებაში და იცავს საქართველოს ტერიტორიულ ერთობას“.[2]

გიორგი შარვაშიძის მიზანია XII საუკუნის ივერიიდან დაარისხოს თავის თანამედროვეობაში განგაშის ზარები შინაური მტრების, შინაგამცემლების, გადაგვარებული ქართველების გამოსაღვიძებლად და გონს მოსაყვანად, რომელთა ქმედებანი ხელს უწყობდა ქვეყნის კიდევ უფრო დაშლას და კატასტროფამდე მიყვანას. „გიორგი მესამით“ სურს შეაგნებინოს გადაგვარებული ქვეყნის ერთიანობის მნიშვნელობა, ხოლო ვისაც ეს გაცნობიერებული აქვს, კიდევ უფრო განამტკიცოს მათში რწმენა, რომ გაერთიანებულთ, ერთ მუშტად შეკრულ საქართველოს ვერაფრით ვერ მოერევა მტერი. შეაგნებინოს ყველას, დიდს თუ პატარას, ერს თუ ბერს, რომ სეპარატიზმი მომაკვდინებელია ერისათვის, რომ აქეთკენ მიმსწრაფი მტრის სამსახურში დგება.

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 76.
[2] ა. ნიკოლეიშვილის დასახ. ნაშრომი, გვ. 149.

ამ თემაზე ვრცელი და ამომწურავი მსჯელობა გაშლილი გვაქვს თავის ადგილას — „გიორგი მესამის“ პრობლემატიკაზე საუბრისას და აქ დავსვამთ წერტილს.

ამრიგად, გიორგი შარვაშიძის ეროვნულ-მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა, ეროვნულ-მოქალაქეობრივი პოზიცია განფენილია მისივე ლიტერატურულ-კულტურულ მემკვიდრეობაში, რომელიც მომცველია ლირიკის, ეპოსის, დრამის, პუბლიცისტიკის, თეატრალური წერილებისა. იგი ქართველ სამოციანელებთან ერთად ქართულ ლიტერატურულ-კულტურულ სივრცეში განმამტკიცებელია ეროვნული იდეოლოგიისა, ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისა, ეროვნულ-პატრიოტული სულისკვეთებისა. ამის მაგალითს საზოგადოებას აჩვენებდა არა მხოლოდ კალმით, არამედ პირადი ცხოვრებითაც და პიროვნული თვისებებითაც.

მწერლისთვის საქართველო არ იყო მხოლოდ ტერიტორია თავის საზღვრებში, არამედ ის წარმოადგენდა მშობელი ხალხის სუნთქვას, ქართულ-აფხაზური ენების გულისცემას, მამაპაპეული სარწმუნოების სიწმინდეს, სწნის და თავისუფლების რწმენას. აფხაზეთი და დანარჩენი საქართველო იყო მისთვის სულის ქვეყანა, ხოლო აფხაზი და ქართველი ხალხი გააზრებული ჰყავდა, როგორც ორ სხეულში ერთი სული.

პოეტს გაცნობიერებული ჰქონდა და სხვებსაც შთააგონებდა: სამშობლოს სიყვარულის დამამშვენებელია სიტყვა საქმიანი და არა საქმე სიტყვიანი, რაც იმას ნიშნავს, რომ ცარიელი სიტყვებით ქვეყნის სიყვარულის გამოხატვა არაფრის მაქნისია, საჭიროა ბრძოლა და მოქმედება მისი ინტერესების დასაცავად. მწერლის ეროვნულ-მოქალაქეობრივ მსოფლმხეველობაში ვლინდება მისი ჰუმანისტური პოზიციაც. იგი სასტიკი მტერია კუთხური სეპარატიზმისა, ქვეყნის მოღალატეებისა, შინაგამცემლებისა. საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლას შესწირა თავისი ტანჯული ცხოვრება, რომელიც დათრგუნული იყო რუსეთის კოლონიური პოლიტიკით. გმობდა და ამხელდა ცარიზმის აგრესიულ რეჟიმს საქართველოში, ხოლო თვით რუს ხალხს, მის ენას, კულტურას მაღალ შეფასებას აძლევდა და პატივისცემით ეპყრობოდა.

თავი მეოთხე
გიორგი შარვაშიძის ქართული ლირიკიდან

გიორგი შარვაშიძე არ გამოირჩეოდა ლიტერატურული პროდუქტიულობით, თავისი ნაწერების გამოქვეყნებითაც არ იყო დიდად დაინტერესებული. გრიგოლ რობაქიძის გონებამახვილი შენიშვნით, გიორგი შარვაშიძე „თვითონ მწიგნობარია: რუსთაველი ზედმიწევნით იცის. თვითონაც სწერს: ლექსებს, პოემებს, დრამებს. მაგრამ ამაებში არ ეტყობა ბარბაროსული ძალ-აყრილობა; ეს გასართობია მისთვის მხოლოდ, – თუმცა ისეთივე ლამაზი მოხდენილობით აღვივებული, როგორც ქორითა და შავარდენით ნადირობა, – რომელიც მას უყვარს ძალზე და შნოიანადაც ეხერხება“.[1] გრიგოლ რობაქიძის ეს გამონათქვამი მრავალმხრივ იქცევს ყურადღებას. ჯერ ერთი, გიორგი შარვაშიძის ნაწერებისათვის ასეთი ამომწურავი შეფასება რომ მიეცა, საიდან იცნობდა ყველა მათგანს. ეს სიტყვები გრიგოლ რობაქიძის მიერ გამოითქმის 1918 წელს. მაშინ გიორგი შარვაშიძის ლექსებიდან მხოლოდ რამდენიმე თუ იყო გამოქვეყნებული, პოემა „გვადანის ციხე“ კი საერთოდ არ დაბეჭდილა იმ დროისათვის. უნდა ვივარაუდოთ, რომ „გველის პერანგის“ ავტორი მათ ხელნაწერებში იცნობდა. კიდევ ერთი საგულისხმო ფაქტი: გრიგოლ რობაქიძე ასახელებს პოემებს. რა წყაროს საფუძველზე? მკითხველის, საზოგადოების თუ სპეციალისტებისათვის კი ცნობილია ოდენ ერთი ეპიკური ძეგლი და ისიც დაუმთავრებელი.

გიორგი შარვაშიძეს აუცილებლად იმაზე მეტი მხატვრული პროდუქცია უნდა ჰქონოდა, ვიდრე ჩვენამდეა მოღწეული. მისი პირადი არქივი ხომ განადგურდა უყურადღებობის გამო. კვლავ მოვუსმინოთ ოთარ ჭურღულიას: „გ. შარვაშიძემ თავისი არქივი სიკვდილის წინ ჩააბარა ცნობილი აფხაზი ექიმისა და საზოგადო მოღვაწის, ვარლამ შარვაშიძის მეუღლეს. 1921 წელს ვ. შარვაშიძე დააპატიმრეს და მისმა მეუღლემ სახლის გაჩხრეკის მოლოდინში ეზოში გაიტანა

[1] **გივი გოლლენდი** (გრიგოლ რობაქიძე), გიორგი შერვაშიძე. წიგნში: გ. შარვაშიძე. თხზ., II. გვ. 42.

როგორც მეულღლის, ისე გ. შარვაშიძის მთელი არქივი და დაწვა. ასე დაიღუპა დიდი ეროვნული განძი".[1] ვინ იცის, აფხაზი მწერლის რა სახის ნაწერები შთანთქა ცეცხლმა. მიუხედავად ამ ტრაგიკული აქტისა, რაც გადარჩა მისი შემოქმედებითი ნაღვაწიდან, დიდად მნიშვნელოვანია ქართული კულტურის ისტორიისათვის.

გიორგი შარვაშიძის თხზულებათა გამოცემებში (1946, 1985, 2006) შესული 31 ქართული ლექსი და 13 რუსული ლექსი (ბოლო ლექსი მამია გურიელის „ადამიანის" რუსული თარგმანია). გარდა ამისა, სოლომონ ლეკიშვილმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ილია ჭავჭავაძის ფონდში, გიორგი ლეონიძის სახ. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულ მუზეუმში და იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში აღმოაჩინა და გამოქვეყნა 1975 წელს ხუთი ლექსი: „რა უშავთ მათ", „ელოს მარაოზე", „თეთრი ჩადრი" (რუსულით), „პასუხი ვ.ო. (ორბელიანს), „ელოს".[2] სამწუხაროდ, ეს ლექსები არ იქნა შეტანილი გიორგი შარვაშიძის თხზულებათა ორტომეულში, რომელიც 2006 წელს დაისტამბა. იმედია ეს ხარვეზი მომავლისთვის გამოსწორედება.

გიორგი შარვაშიძის ქართულ ლირიკაში გამოძახილს პოულობს XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული პოეზიისათვის დამახასიათებელი იდეები, თემები და მოტივები. მართალია, ავტორი მკითხველს ვერ გააკვირებს ახალი ფორმის ძიებით, რიტმისა და რითმის სიახლეებით. მაგრამ მთავარი ისაა, რომ თითოეული ლექსი დატვირთულია საჭირბოროტო იდეებით, მტკივნეული თემებით, სათქმელის თავისებურად გადმოცემის სტილით, ლაღი პოეტური ენით, ენაწყლიანი ქართულით, მიგნებული სახისმეტყველების იერსახით.

ზემოთ ვრცლად ვისაუბრეთ „ვარადას" ავტორის პატრიოტულ ლირიკაზე, ეროვნულ-მოქალაქეობრივ მსოფლმხედველობაზე. ამჯერად კი განვიხილავთ პოეტის ლირიკული ნიმუშისათვის დამახასიათებელ

[1] ო. ჭურღულია, შარვაშიძეები, გვ. 37.

[2] ს. ლეკიშვილი, გიორგი შარვაშიძე (დოკუმენტური მასალები), საქ. მთავ. საარქ. სამმართვ. „საისტორიო მოამბე", თბ., 1975, №31-32; გვ. 253, 254, 255, 256, 257.

დანარჩენ თემებს, მოტივებს, როგორიცაა: სიყვარულის გრძნობა, აწმყოთი უკმაყოფილება, სევდა-ვარამი, ანუ პერსიმიზმი, წუთისოფლის წარმავლობის განცდა, ბუნების თემა, უსამართლობის მხილება, მეგობრობის იდეა, მსოფლიო სევდა და ა.შ. აფხაზი პოეტის ლექსებში უმთავრესი მოტივები მაინც პატრიოტიზმი და ამქვეყნური სიყვარულია. ამჯერად ამ უკანასკნელ მოტივზე შევჩერდებით.

ქართულ სატრფიალო პოეზიაში გიორგი შარვაშიძემდე სიყვარულის გრძნობასთან და გაგებასთან დაკავშირებით არ იყო აზრთა ერთსახეობა. საუკუნეთა მანძილზე განარჩევდნენ საღვთო მიჯნურობას, მიწიერ-ხორციელ ანუ ამქვეყნიურ სიყვარულს. ამქვეყნიურ მიჯნურობაშიც ერთმანეთს უპირისპირებდნენ ზნეობრივ ანუ საღვთო სიყვარულს მიმსგავსებულს და უზნეოს, ანუ სიძვა-მრუშობასთან წილნაყარს. ადგილი ჰქონდა სიყვარულის გრძნობის სიმბოლურ-ალეგორიული გაგების გამოვლინებას, რაც იმას ნიშნავს, რომ მიწიერი ქალის სიყვარულში ალეგორიულად ღვთის სიყვარულს მოიაზრებდნენ, ასევე სატრფოში სამშობლოს სახეს ხედავდნენ. გარდა ამისა, იწერებოდა სამიჯნურო ლექსები, რომლებიც სატრფოს მხოლოდ გარეგნულ მშვენიერებას ემყარებოდა, მეორე კატეგორიისა კი – სულიერ სიკეთეს და სილამაზეს, ან სულიერ და გარეგნულ სიტურფეს თანაბრად ეფუძნებოდა. ადგილი ჰქონდა მიჯნურობის გრძნობის გაცნობიერებაში ეჭვის შეტანასაც და ა.შ.

ასეთი ტრადიციები უსწრებდა გიორგი შარვაშიძის სატრფიალო ლირიკას. მისი ქართული 36 ლექსიდან 17-ში განფენილია სამიჯნურო გრძნობები. შევეცდებით მეტნაკლებად მათ გაანალიზებას, ვინაიდან სამეცნიერო ლიტერატურაში ეს თემა ძალზე მკრთალად და ზოგადად არის დამუშავებული. დავიწყებთ ლექსით – „კითხვა-პასუხი“. დასაწყისშივე პოეტი გულს (და ზოგადად მკითხველსაც) უსვამს კითხვას, თუ რა არის სიყვარული. იქვე თვითონვე გვაახლებს პასუხსაც:

– „გულო, რა არს სიყვარული?
მსურდა შენთვის ხშირად მეთქვა“.
„ორი სულის ერთი ფიქრი,
ორი გულის ერთი ფეთქვა!“

უბრალო პარალელისათვის: ეს აფორისტული თქმა მოგვაგონებს მეგობრობის გრძნობის იოანე ოქროპირისეულ განსაზღვრას; „ძეგობარი ეს არის ორ სხეულში ერთი სული“. გიორგი შარვაშიძისეული განმარტება გამიზნულია წმინდა სიყვარულისთვის, ღვთიურ სიყვარულთან მიახლოებული ზნეობრივი სიყვარულისთვის. ამგვარად, დასმული კითხვა და ამომწურავი პასუხი საერთოდ არ შეგვხვედრია ქართულ სატრფიალო ლირიკაში. მაგრამ შეკითხვის დასმა პირველ სტროფში არ წყდება. ის გრძელდება:

— „მაშ მითხარი, სიდან მოდის?
თან მოდის და არის თანაც,
როცა ქრება?“
„თუ კი გაქრა,
არც ყოფილა რამ მაგისთანა!“

მაშ, საიდან იღებს სიყვარული სათავეს? ის გულშიც არის და გარედანაც მოდის, თუკი ჩაქრა მისი ლამპარი, მაშინ ის არ ყოფილა ნამდვილი გრძნობა. შემდეგი კითხვა ეხება წმინდა სიყვარულის რაობის გარკვევას, თუ როდის არის ის ღრმა და მიუწვდომელი, თავდავიწყებამდე მისვლისას, თუ ჩუმად ფეთქვის დაწყებისას:

—„მითხარ, წმინდა სიყვარული
როდის არის უფრო ის ღრმა?“
„როს თავის თავს თვით ივიწყებს,
როცა ჩუმად ფეთქვას იწყებს!“

პოეტი კიდევ ერთ კითხვას უსვამს გულს: როცა სიყვარულით იმსჭვალები, რაზე გესაუბრება ეს გრძნობა? გულის პასუხი: სიყვარული და ლაპარაკი ურთიერთგამომრიცხველი ცნებებია. იგი თავს ევლება ადამიანს და არა საუბრით ართობს. ეს ითქმის ნამდვილ, წმინდა სიყვარულზე და არა საუბარზე დაფუძნებულ უსაგნო ტრფობაზე:

— „და მითხარი, მითხარ ესეც,
მაშინ როცა ის გეძლევა,
მაშ, სთქვი როგორ ისაუბრებს?“
„არ საუბრობს, თავს გევლება!“

„კითხვა-პასუხიდან“ მკითხველს გამოაქვს დასკვნა: გიორგი შარ-

ვაშიძის იდეალია ორი სულის, ორი გულის გაერთიანებული წმინდა სიყვარულის გრძნობა, რომელიც გაუმქრალია, ღრმა და შეუცნობელი, თავდავიწყებამდე მისული, ენით გამოუთქმელი გრძნობა. ასეთი სიყვარულის სათავე ღმერთია („ღმერთი სიყვარული არს"), მისი გათავისება კი ნიშნავს ღმერთთან მიახლოებას, ან ღვთის სიყვარულთან მიმსგავსებას. ასეთი სიყვარულის ქადაგება იმ გადაგვარებულ დროში, როცა იწერებოდა, აუცილებლობით იყო ნაკარნახევი.

1872 წელს გიორგი შარვაშიძეს დედულეთში, ჭკადუაშში (ზუგდიდის რაიონი) დაუწერია ლექსი „მოგონება", რომელიც მიძღვნილია კოწია დადიანისადმი, რომელსაც აქ მეგობრად იხსენებს, სინმდვილეში კი მისი ბიძა იყო (დედის ძმა). ლექსში პოეტი თავს ევლება ჭკადუაშის მშვიდ ადგილს, სადაც განვლო მისი სიყრმის ჟამმა, სადაც პირველად იგრძნო „სოფლის ლახვრები", სადაც უჭვრეტდა მშობელ დედას... რაც მთავარია, იგი იგონებს თექვსმეტი წლის ასაკში თუ როგორ გაუკაწრა პირველად გული სიყვარულმა, რომელმაც გამოაცდევინა „უცნობი სიტკბო" და აუძგერა გული. „თექვსმეტი წლისა სისხლით ვიწოდი":

„სადაც გავიცან პირველად იგი,
ვინც განმინათლა ტრფობითა სული,
ვინც მამცნო პირველ უცნობი სიტკბო
და ამიძგერა ჭაბუკი გული".

დიდებული სატრფიალო ლექსია „რომ და მაგრამ", სათაურქვეშ აწერია „მიბაძვა ვ. ჰუგოს". ამით ავტორი გვაკვალიანებს, რომ საანალზო თხზულებაში მოისმის ვიქტორ ჰიუგოს სულის გადაძახალი. ნაწარმოები ეძღვნება ნინო ჩოლოყაშვილს, რომლის პიროვნება იდეალურ ფერებშია ჩაწურული. ნაცადი ხერხით ცდილობს ავტორი, დაუდასტუროს დიდი მოკრძალება და თაყვანისცემა ხოტბის ობიექტს: ღმერთი რომ იყოს, ყოველ ღონეს მას მოახმარდა, ცის ანგელოზებს და „ქვეყნად ცხიერთა" მონად დაუსვამდა, ზეცის ღრუბლებს ტახტად გაუხდიდა:

„გვირგვინად მზესა თავს დაგადგმიდი,
ვარსკვლავებითა გათამაშებდი;
სპეტაკთა ფერხთა დასაბიჯებლად
მოგიგორებდი სავსე მთვარესა".

გზას და არემარეს რძის მდინარით მოურწყავდა, მეხს ხელში კვერთხად დააკავებდა, წელზე ცისარტყელას შემოახვევდა; პოეტი ღმერთის ძალისხმევის შემდეგ მეფედ ყოფნას ნატრობს, რათა მთელი სამეფო მუხლმოყრით უფეშქაშოს სატრფოს, სკიპტრას, პორფირს ფეხქვეშ დაუფენდა და თვითონ ერთგულ მსახურად მოევლინებოდა:

„მხოლოდ უფლებას ერთს დავირჩენდი,
რომ გაჩვენებდი მე მას ბედკრულად,
ვისაც არჩევდი ჩემს დიდებასა
და გამწირავდი ვის სიყვარულად!“

ლექსი მთავრდება იმით, რომ ავტორი სატრფოს მშვენების მონად რჩება მარადის, რომლის დიდება მასზე ოცნებად დარჩება მხოლოდ.

მკვლევართა მიერ უფრო ყურადღებულია გიორგი შარვაშიძის პოეტური ქმნილება „გასათხოვარს“, რომელიც მართლაც, გამორჩეულია მისი სატრფიალო ლირიკიდან გრძნობებთან ერთად იდეური დატვირთულობით. პირველად იგი განიხილა სიმონ ჯანაშიამ და ამომწურავი შეფასება მისცა. დიდ მეცნიერს ლექსის პლასტიკურმა სურათებმა რუსთაველის, ვაჟა-ფშაველას, რაფიელ ერისთავის საუკეთესო სახეები მოაგონა. ნიმუშად შემდეგი სტროფები დაიმოწმა:

„მომწონს წარბების ამაყი ხაზი
და ზედ ბეჭედი თვითუფლებისა,
სუფთა ნესტოებით (!) გაფეთქვა ნაზი,
გამომხატველი სურვილებისა.
მომწონს მღელვარის წელისა რხევა,
როს გამოდიხარ თამამ-თავხედი,
როს ყორნის თმები ბეჭზედ გეხვევა
და უხვად ღელავს მაღალი მკერდი“.[1]

პოეტი ლექსის დასაწყისშივე წარმოსახავს გასათხოვარი ქალის გარეგნულ სილამაზეს, თვალწარმტაცობას, მიმზიდველობას: ქალის მშვენება, ლამაზი სახე, ტურფა ტანი, ვნებათა აღმძვრელი შავი თვალები, საკეკლუცე. წითელი ტუჩები. მის ქვეშ „ბროლი წყობილი, თითქო გათლილი ხელოვნებითა“. გარეგნობის აღწერის დასრულების შემდეგ ავტორი წარმოაჩენს გასათხოვარი ლამაზი ქალის სულიერ

[1] ს. ჯანაშიას დასახ. ნაშრომი, გვ. 69.

სიკეთეს, ადამიანურ თვისებათა სიმდიდრეს: „კეკლუცი ქცევა, მშვიდობიანი“, ლმობიერი ხმა, ბაასი, „ზნე და გონებამრთელი“, ციურ იერს შერწყმული „გამოუთქმელი ნიჭი“. ერთი სიტყვით, ლექსში გასათხოვარი ქალი დასურათხატებულია გარეგნული და სულიერი მშვენების ჰარმონიულობით. სწორედ ასეთი ქალები მიაჩნია ავტორს გათხოვების ღირსად, რომელსაც ესაძირკვლება ჭეშმარიტი ოჯახის სიჯანსაღე, სწორედ ასეთნი აღუზრდიან მამულს ღირსეულ შვილებს.

კვლავ გავიმეორებთ ამ ლექსთან დაკავშირებით ჩვენ მიერ პირველ თავში დამოწმებულ თვალსაზრისს აკად. სიმონ ჯანაშიასი: „განსაკუთრებული ყურადღების ღირსი ისაა, რომ ყველაზე ადრინდელ ეროტიკულ ლექსებშიც უკვე ჩანს განწყობილება, რომელსაც, ჯერ ერთი, ხორციელი საფეხურდან იღეურზე აჰყავს პიროვნება და რომელიც, შემდეგ ამ უკანასკნელს აკავშირებს საზოგადოებასთან, იმავე „გასათხოვარში“ ქალს ტანის გასაოცარი ქანდაკება განსულიერებულია მაღალი თვისებებით... იქვე გამოთქმულია წამყვანი მოტივიც:

„და შენ ესრეთი მოვლენა ძვირი,
რომ გათხოვდება, დედა გახდები,
დაცემულს მამულს აჩუქე გმირი,
მაშინ კი სწორედ შემიყვარდები“.[1]

ლოგიკურია ლექსის ამგვარი დასასრულიც: „და მიძღვენ ცრემლნი მახარობელად, თუმცა ცოცხალი აღარ ვიქნები, ბედნიერების გიცნობ მშობელად, იქ ვიგრძნობ, იქაც გეთაყვანები“.

ლექსში „ოხ, რომ მცოდნოდა“, ლირიკული გმირი გვიმხელს: ცხოვრება თელილს „როგორც საფლავზედ მზე აღმოსრული“, ისე დაათენდა სიყვარული, მისი დაღლილი სიცოცხლე გაახარა, გავლილი დრო განუახლა. ეს მისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, სიყმაწვილიდან ტრფობაზე ხელჩაქნეულობის გამო ეს რომ სცოდნოდა, სიყმაწვილის ნორჩ გრძნობას, გულკეთილობას სატრფოსთვის შეინახავდა:

„ოხ, რომ მცოდნოდა, ჩემს ყმაწვილობას
აგრე უბრალოდ არ დაველუპავდი;
გრძნობასა ნორჩად, გულკეთილობას

[1] ს. ჯანაშიას დასახ. ნაშრომი, გვ. 69.

საკუთრად შენთვის შევინახავდი!
ოხ, თუ მცოდნოდა, სიცოცხლე დაღლილს
შენდამი ტრფობა გამიხარებდა;
ოხ, თუ მცოდნოდა, უშენოდ გავლილს
დროს შენი ტრფობა განმიახლებდა;
ოხ, თუ მცოდნოდა, რომ სიყვარული
ცხოვრება თელილს უნდა მთენოდა,
როგორც საფლავზედ მზე აღმოსრული!
ოხ, თუ მცოდნოდა, ოხ, თუ მცოდნოდა!“

ეს არის სიყვარულზე სიყმაწვილიდანვე დაეჭვებული პოეტის აღსარება, რომელსაც მაშინ გამოეცხადა ეს გრძნობა, როცა სრულებითაც არ ელოდა. ახლა კი ნაღვლობს ტრფობის ურწმუნობაზე, მასზე, რომ მისი არ სჯეროდა და უშინაარსოდ განელო მანამდელი დრო ცხოვრებისა.

გიორგი შარვაშიძეს 1901 წელს დაუწერია „კატო აბაშიძის ქალს“. უკვე დაბრძენებული 55 წლის პოეტი დაეჭვებულა სიყვარულის არსში, მის ჭეშმარიტებაში. ძნელიაო მისადმი მინდობა, ამ გრძნობისათვის დაჯერება. კატო აბაშიძეს პირდაპირ მოუწოდებს გრძნობების შეზღუდვისკენ, რათა არ სჯეროდეს სიყვარულისა. პეპელასავით მფრინავ დარდიმანდ კატოს თურმე ყველა ეტრფის, ვინც კი იცნობს. პოეტი შთააგონებს, რომ გულისნადები არავის გაანდოს:

„იკეკლუცე, ილალობე,
ყრმათა შორის მხიარული,
მაგრამ გრძნობა შემოლობე,
არ გჯეროდეს სიყვარული!“

იქვე უხსნის თუ რა არის მიზეზი მისივე დარიგების გამართლებისა: კაცის გული მარტის ამინდივითაა, ცვალებადია, დღეს ხატივით რაც სწამს, „ხვალ ის გაუხდება ჭირად!“ ამიტომ ფათერაკისგან თავის დახსნის უებარი საშულებაა მარტოხელობა, წმინდა გულით და გონებით მარტოკა ცხოვრება:

„კაცის გული, როგორც მარტი,
შეიცვლება ხოლმე ხშირად,

რაცა დღეს სწამს, როგორც სატი,
ხვალ ის გაუხდება ჭირად!
მაშ, ისევ სჯობს მოსვენებით
რომ იცხოვრო სულაც მარტო,
წმინდის ფიქრით და გონებით!...
ასე გირჩევ, ჩემო კატო!“

ამ ლექსის შინაარსის დედააზრი ანტირუსთველურია, შორს დგას „ვეფხისტყაოსნის“ წმინდა შეგონებიდან: „სიყვარული აღგვამაღლებს, ვით ეჟვანი ამას ჟღერენ“. რუსთაველის იდეალია: „გული ერთსა დააჯეროს, კუშტი მიჰხვდეს თუნდა ქუში“. მისთვის მიუღებელია გრძნობათა ცვალებადობა, დახურდავება: „ამა საქმესა მიჯნური ნუ უხმობს მიჯნურობასა, დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს გაყრისა თმობასა. ესე მღერასა ბედითსა ჰგავს ვაჟთა ყმაწვილობასა“... გიორგი შარვაშიძე, ეტყობა, ხალხური შთაგონებიდან ამოდის: „კაცის გული ისეთია, ვით მორევი შავი ზღვისა, რაც გინდ კარგი ცოლი ჰყავდეს, მაინც ენატრება სხვისა“. აღნიშნულ ლექსში შესაბამისი თვალსაზრისის გატარებაში აფხაზი პოეტი წააქეზა უთუოდ ცხოვრებაში მომხდარმა არაერთმა შემთხვევამ კაცთა მხრიდან გრძნობათა ცვალებადობისა, „კეკლუცთა ზედა ფრფენით“ გამოწვეულისა. არ არის გამორიცხული, პირადული ყოფიერებიდანაც ამოდიოდეს ამგვარი მყარი დასკვნის გამოტანისას. ჯანსაღი გაგებით, ლექსში გამოთქმული მოსაზრების გაზიარება და განზოგადება დაუშვებელია. „არ გჯეროდეს სიყვარულით“ ცხოვრება წარმოუდგენელია, საკუთარ თავში ჩაკეტვაა, საზოგადოებისგან, ცხოვრებისაგან მოწყვეტაა, ფაქტიურად საკუთარი თავიდან გაქცევაა, რომლის იქით უფსკრული და არარაობაა. თუმცა ეს ყოველივე ისე არ გავიგოთ, თითქოს გიორგი შარვაშიძეს არ ესმოდა ნამდვილი, ჭეშმარიტი, წმინდა, „ხანიერი“ სიყვარულის არსი, რომელიც რუსთველმა გააუკვდავა. აქ საუბარია პოეტის მხრიდან ჩვეულებრივი, ცხოვრებისეული დეტალის დაფიქსირებაზე და არა საყოველთაოდ იმის მოწოდებაზე, რომ საზოგადოებას „არ სჯეროდეს სიყვარულისა“. ეს მის სატრფიალო ლირიკაში არსად იკვეთება, გარდა ზემოთ განსილული თხზულებისა.

აქ შეუძლებელია არ გავიხსენოთ კოწია დადიანთან და კოწიას

ძმა დავითთან (კოწია და დავითი გიორგი შარვაშიძის დედის — ალექსანდრის ძმები არიან) გაშაირებაში ჩაბმული გიორგი შარვაშიძის ლექსად ნათქვამი:

„არავის ვენარნარები,
არავის ვეტრფიალები;
ტრფობა არის მუხთალი,—
მემოწმება ქალები.
ამ სიმართლეს არ გრძნობთ თქვენ,
ყრმები, ტრფობით მთვრალები,
მაგრამ ბოლოს ცრემლებით
აგევსებათ თვალები“.[1]

ნაღველი ჟონავს გიორგი შარვაშიძის „სიმღერაში“. ლირიკული გმირი დამწუხრებულია, კლავს „სევდა მწველი“, გულში დაჭრილია. ყოველივე ამისი მიზეზი გამხდარა მისთვის სატრფოს მიერ გვერდის ავლა, მომაკვდინებელია, რომ არსაიდან არავის არ ელის. გულს ამით იმშვიდებს: სოფლის ბრუნვას უნდა შეეგუოს კაცი, სოფლისა, რომელიც ზოგს ახარებს, ზოგს ამწუხრებს; ჩავლილზე არ უნდა იდარდო, ბედზე ჩივილიც უსარგებლოა:

„არსადან არვის ველი,
სატრფომ გვერდი ამიარა,
დამრჩა მხოლოდ სევდა მწველი
და გულში კი მძიმე იარა.
ასეთია სოფლის ბრუნვა:
ზოგს ახარებს, ზოგს კი არა;
არას გარგებს ბედზედ მდურვა,
თუ კი ერთხელ ჩაიარა!“

გვეცნოთ კიდევ ერთ უსათაურო ლექსს („ედემის ბაღის ყვავილო“). ავტორი მოწონებულ თვალწარმტაც ქალს ადარებს ედემის ბაღის ყვავილს. მისი „შნო და სხივი“, კეთილშნეობა არად მიაჩნია თუ იგი „სხვისთვის იკვირტება“, მისი გულისთვის თუ მიუწვდომე-

[1] ტექსტს ვიმოწმებთ სიმონ ჯანაშიას კულტურულ-ისტორიული ნარკვევიდან. შდრ. გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 66.

ლია; თუკი სხვისი სიყვარული „ჭკუისაგან გამოიყვანს და გახდის ფლიდად“, ეს მის კეთილზნეობას შეუშლის ხელს, ხიდად დაგულებულ ბეწვის ძაფს გაუწყვეტს, ამ წუთისოფელში დაიტანჯება და ვერც იმქვეყნად წარსდგება პირწმინდად. ასეთი „შეგონებით“ სურს „ედემის ბაღის ყვავილს“ გულის დაურვება, დაპყრობა, ვიდრე „უცხო სოფელს დასცვივდება“: „ედემის ბაღის ყვავილო, ვაჰ, თუ სხვისთვის იკვირტები! მოგაკლდება შნო და სხივი, როგორც ცოტას გახშირდები, თორემ დაგკრავს უცებ ყინვა, უცხო სოფელს დასცვივდები. სიყვარული ჭკუისაგან გამოგიყვანს, გაგხდის ფლიდად, კეთილ ზნეობას შეგიშლის, აღარც მოგცემს სირცხვილს რიდად, წამის ყოფიით გაგიწყდება ბეწვის ძაფი, — გქონდა ხიდად, ამ სოფლად გტანჯავს, გაწამებს, იქ სულ არ გატარებს წმინდად“.

სიყვარული, სატრფო, მხოლოდ სიტკბოს და სიამის მომნიჭებელი როდია, იგი ოხვრის თუ ვარამის წყაროც არის, უეკლოდ ვარდის მოკრეფის საშუალებას არ იძლევა. თუმცა შეყვარებული ამას არ უნდა შეუშინდეს. სწორედ ეს აზრია გატარებული გიორგი შარვაშიძის ერთ-ერთ ლექსშიც — „...ს“ („ჩემს გიჟურს ოხვრებს, შენდა მიძღვნილსა“). ლირიკული გმირი სატრფოს იქამდე მიუყვანია, რომ ვერ იქარვებს „გიჟურ ოხვრებს“, რომელსაც „ოცნების ფრთებზე მისკენვე აფრენს“. სატრფოს მიზეზით შექმნილ გიჟურ ოხვრას „კაცთ შეძლებანიც“ ვერ გაუქარვებს. ამ სიავის მსხვერპლი ხდება შეყვარებული: „ჩემივე გესლი მევე მომწამლავს“. ეს გესლი მისივე სატრფოს გულს როდი დააზიანებს. მიჯნურს არწმუნებს, რომ მისით იცოცხლებს, მისით მოკვდება. ბუნებრივია, ეს არის ცალმხრივი, უპერსპექტივო სიყვარული, მაგრამ თავგანწირვამდე დასული. თავის დამშვიდება, რომ მისი სიკვდილის მიზეზს მხოლოდ მისივე სატრფო ჩაბვდება, რა შედეგის მომტანი უნდა იყოს:

„ჩემს გიჟურ ოხვრებს, შენდა მიძღვნილსა,
ოცნების ფრთებზე შენკენვე ვაფრენ,
და მათს მიზეზსა, შენგან შექმნილსა,
კაცთ შეძლებანი ვეღარ გამიქვრენ.

და რაც სიავე აწ დამემართოს,
ჩემივე გესლი მკვე მომწამლავს,
თორემ შენს გულსა მან არ მიმართოს,
ამაში ვფიცავ, სატრფოვ, შენს თავსა!
ამაში მენდევ და თან გახსოვდეს:
შენით ვიცოცხლებ, შენით მოვკვდები!
და თუმც მოვკვდები, — ეს გულში მქონდეს,
რომ მიზეზს მისას შენ კი მიხვდები!"

ლექსში არ ჩანს „გიჟური ოხერების" პატრონისათვის თანაგრძნობის გამოხატულება სატრფოს მხრიდან. განწირული მიჯნური თავს იკმაყოფილებს იმის რწმენით, სიკვდილის მიზეზს თუ მიხვდება მისი საყვარელი არსება. თითქმის იგივე განწყობა დაუფლებია პოეტის კიდევ ერთ უსათაურო ლექსს (***„შენსა შვენების სუსტსა ნახატსა"). აქაც საუბარია უპერსპექტივო სიყვარულზე, ქალის გარეგნული მშვნიერებით დატკბობაზე და განუხორციელებელ ტრფობაზე. ლირიკული გმირი მის მიერ მოწონებული ქალის „შვენების სუსტსა ნახატსა წყლულსა გულზედ მუდამ ატარებს", დღეში ერთ-ორჯერ თითო საათს მას უჭვრეტს და თვალს ახარებს. შენატრის იმის ბედს, ვისზედ ეს ქალი გამიჯნურებულია,

„მაგრამ ვაი მას, რა დღე მოელის,
როცა ცხოვრება განგირისხდებათ
და თქვენი ტურფა საერთო ეტლის
მოაღწევს წამი და გაგშორდებათ".

შესთხოვს ქალის სურათს, სიმართლის თქმისთვის არ გაუჯავრდეს, რადგან „ეს არის კანონი გულთა ვნებისა", ისიც არ იფიქროს, რომ მასზე შეყვარებულია: „ვიყო შემშლელი შენის ნებისა". „არა, მერწმუნე, — ჩემო ვარსკვლავი, სიჭაბუკისა ჩემის მნათობი, ამ ობოლ სულთან არის უკვდავი, მოგონებითა მისი დამტკბობი". ამას მოსდევს აფორისტული გამოთქმა: „ვინღა იხილოს ორჯერ სიცოცხლე, ორ გზობა შეშა რარიგ დაიწვას?" ამით ფაქტიურად ამოწურავს სათქმელს, თუმცა სურვილსაც თავისი საზღვარი უჩნდება:

„ოღონდ ესა მსურს: როგორც სნეული

დასცქერის ხოლმე ყვავილს გაშლილსა,
ესრე თვალები, ცრემლის ჩვეული,
შენის ნახვითა მე მოვასვენო
და დროთა ბრუნვით ჭკუას შეშლილსა
მცირე სინათლე შენგნით მოფინო!“

რაღაც ორჭოფულ ვითარებას ვაწყდებით. ზემოთ ამ ლამაზ ქალს არწმუნებს, რომ არ იფიქროს, თითქოს მასზე შეყვარებული იყოს. ლექსის დასასრულს არ მალავს სურვილს: შეშლილი ჭკუა მოასვენოს იმავე ქალის მშვენიერების ყურებით, ცქერით, ამით მცირე სინათლე მოფინოს „დროთა ბრუნვით შეშლილ ჭკუას“. გამოდის, რომ მისთვის მთავარია ქალის მშვენების ცქერით დატკბობა და არა მისით აღძრული სიყვარულის ხორცშესხმის ვნებების დაკმაყოფილება. აქ გვაგონდება თეიმურაზ პირველის მიერ გადმოკეთებული თხზულება „ვარდბულბულიანი“. ამ ლირიკული პოემის დასასრულს ბულბული (იგივე შეყვარებული ვაჟი) შესთხოვს ვარდს (სიყვარულის ობიექტ ქალს), არ გააგდოს ბაღიდან და ნება დართოს მისი სილამაზის ცქერისა. ასე რომ, გიორგი შარვაშიძის ზემოთ განხილულ ლექსში საქმე გვაქვს სიყვარულის უტოპიზმთან, რასაც ნამდვილ, ზნეობრივ, წმინდა სიყვარულის გრძნობასთან საერთო არაფერი გააჩნია. ეს მოტივი, საერთოდ, მეტნაკლებად დამახასიათებელია აფხაზი მწერლის სატრფიალო ლირიკისთვის. ეს უნდა აიხსნას არა მწიგნობრული გავლენით, არამედ მისი ეპოქისთვის დამახასიათებელი ნიშნებით.

გიორგი შარვაშიძის ერთ ლექსს ჰქვია „პუშკინიდან“. ამით მინიშნებულია, რომ იგი შექმნილია პუშკინის გავლენით თუ მიბაძვით. ნაწარმოებში აქცენტი კეთდება ძველ რვეულში ნაპოვნ სუნგამქრალ და მხოლოდ დამჭკნარ ვარდზე. ამის ხილვით შეწუხდა პოეტი:

„ვიფიქრე, როდის ეგ საცოდავი,
რომელ ზაფხულზე ააყვავებულა
და მისი ტურფა, ხუჭუჭი თავი
რა ხსოვნის ნიშნად აქ შენახულა?“

იქნებ ძველ რვეულში შემონახულა ეს მჭკნარი ვარდი „ნიშნად პირველის ტკბილის კოცნისა, როს სული სულსა უერთდებოდა?“

კითხულობს პოეტი და იქვე დასძენს: „ან საუკუნოდ გამოსალმისა (მიჯნურისა მიჯნურისაგან – ტ.მ.) მდუღარე ცრემლი ზედ ეყრებოდა?“ თუმცა შესაძლოა არც ერთი ეჭვია სწორი და არც მეორე, რადგან „ან ეგებ ვინმეს ხომ თითებითა უაზროდ, ტყვილად სულ მოეწყვეტა?“

გრიგოლ ორბელიანის „სადღეგრძელოს“ ხმაზე გიორგი შარაშიძეს დაუწერია „სადღეგრძელო ქალებს“. პოეტი მოუწოდებს ყმაწვილებს („მო, ყმაწვილებო, დავლიოთ ერთი“) ვერცხლის თასის ღვინით ავსებისკენ: „ჯერ ჩვენებურად ვადიდოთ ღმერთი!“ ამის შემდეგ უნდა დალოცონ ტურფა ქალები, თაყვანი სცენ მათ. პირველად წარმოთქვამს ქართველთა განმანათლებლის წმინდა ნინოს სადღეგრძელოს:

„მაშა დავიწყოთ: ეს იყოს ნინოს,
რომლის სახელი ქართლის მნათია.
ლოცვები ჩვენი მან მოისმინოს!
შევსვათ... გავავსოთ კვლავაც ბადია“.

შემდეგ ადღეგრძელებს ვიმე ფატიას – ნახატივით მშვენიერს, კეთილს, ლმობიერს; ასევე მარიას – მომხიბვლელს, კეკლუცს, უხვს; ამას მოსდევს აგრაფინას სადღეგრძელო, რომელმაც „მის დროს ქალებსა ჩრდილი დაჰფინა და ყმაწვილ-კაცებს – მთვარის შუქია“. ამასთანავე, იდღეგრძელებიან „მაშო, პაშები, ძველი ძაძუ და ხნიერი მართა“,

„ნუ დავივიწყებთ საბრალო კატოს,
ვუსურვოთ რაც რომ მას იამება,
რაზომაც გულში გამოიხატოს,
იმ ზომით სიტკბო ნუ ასცილდება“.

არც მაროს ივიწყებს და არც ბაბოს. ლექსის დასასრულს პოეტი მოკრძალებით გვაგრძნობინებს: სიმთვრალეში მისი სახელი არ წამოცდეს, ვისაც ჩუმად ეტრფიალება:

„აწ კი გვეყოფა, ლექსი არ წახდეს,
და არ შეგვატყონ, რომ ვართ მთვრალები
და სახელიცა მისი არ წამცდეს,
ვისაც მე ჩუმად ვერნაცვალები“.

ასე რომ, ლექსი მაინც დაასრულა ავტორმა სიყვარულის ჰანგზე.

შაირის მეტრითაა დაწერილი ერთსტროფიანი ლექსი ერთს მომღერალ ქალს", სადაც ვკითხულობთ:

„მხოლოდ შენ ერთო, მხოლოდ შენ, სულისა აღმაფრენაო!
არ საღმუისოთ (!) საყურე, ზეცისა ჰანგთა სმენაო;
ტრედსა სჯობიხარ გრძნობითა, აუქმე ბულბულთ სტვენაო...
უმსგავსოს — შენდა საქებრად რად მარგა მსგავსი ენაო!
აწ სულ დამეხშო გონება, დამრჩა-ღა ცრემლთა დენაო!"

ამ ლექსს მოსდევს „პასუხი გიორგი შარვაშიძეს": თითქოს ქალის პასუხია, ოღონდ აფხაზი პოეტის მიერ სტრიქონებად ჩაბოქნილი: ყველა შენი მჭვრეტელი გეტრფის, „ახლო ვარდნიცა ჭკნებიან", შენის ეშხით ბულბულებიც კრთებიან, მე კი დავშორდი მოქნილი: ყოველი შენი მჭვრეტელი გეტრფის, „ახლო ვარდნიცა ჭკნებიან", შენის ეშხით ბულბულებიც კრთებიან, მე კი დავშორდი მტრედს, ბულბულიც არ მეკარება: „რად ვარგა უმსგავსო ქება, გინებად ჩაითვლებიან", ტყუილუბრალოდ ცრემლებს ნუ ხარჯავ, სხვისთვის გამოგადგება: „იმას არავინ ინატრებს, რასაცა ვერ შესწვდებიან!" ირკვევა, რომ მომღერალ ქალთან გამიჯნურების მცდელობით პოეტი ამაოდ დამშვრალა. თუმცა „პასუხის პასუხში" მაინც იმედიანადაა: „ამ ჩემი გულის იღბალი ხელთა გაქვთ მარტო თქვენაო!"

გიორგი შარვაშიძის ეროვნულ-მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობის გაცნობისას ზოგადად შევეხეთ ერთ უსათაურო ლექსს („... ს" *** „ხელთ ვიღებ ბოკალს შენს სადღეგრძელოს"). მივიჩნიეთ იგი ალეგორიულ თხზულებად, სადაც სატრფოს სახეში იმალება სამშობლოს ხატება. ასეა თუ ისე, რადგან იგი სამიჯნურო ძეგლია, დაწვრილებით შევჩერდებით მასზე. ავტორი სატრფოს მიმართავს დასაწყისშივე:

„ხელთ ვიღებ ბოკალს შეს სადღეგრძელოს,
დამვიწყებელო, დაუვიწყარო!
ვით წვიმის ღვარი გამხმარსა მდელოს,
ეგრეთ გულს მირწყავს ცრემლისა წყარო".

სატრფო შორეული ვარსკვლავივით ბრწყინავს, „შორსა ნათობს", ოცნებით აღტაცებული პოეტი უახლოვდება მას თავის „ფიქრსა ატკობს":

„ვითა ვარსკვლავი განშორებული,
შორით ბრწყინავხარ და შორსა ნათობ,
მაგრამ ოცნებით აღტაცებული
გიახლოვდები და ფიქრსა ვატკბობ“.

გალაკტიონს როგორ მოგვაგონებს ეს სტროფი: „რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები. მე შენში მიყვარს ოცნება ჩემი, ხელუხლებელი როგორც მზის სხივი, მიუწვდომელი როგორც ედემი“. ოცნებით აღტაცებული და ფიქრით დამტკბარი პოეტის საკრავის სიმები „ნაზად სტირიან“, მის „უწყალო დარდს ამოჰკვნესიან“:

„მოსთქმენ, რომ დრონი ვერ ამოსთხრიან,
რაც ერთობ მაგრად გულშიდ სთესიან“.

პარალელების მოყვარულ ნიკოლოზ ბარათაშვილი შეეშველება: „რაც ერთხელ ცხოვლად გულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გადაეცემის“. პოეტის „გლახ სადღეგრძელოს“ ეპოქაში („ეპოხა ჩემის გლახ სიცოცხლისა“) ბედნიერად გამოანათა იმ დღემ, როცა მან სატრფოს მშვენიერება იხილა „ოხვრის მიზეზად, მდებად ცეცხლისა“. ამ განწყობით მიეშურება ლექსიც დასასრულისკენ:

„სულით დაებერდი, ჯანით ვსუსტდები,
მსურს დამენახო, ღონე მომგვარო
და სიხარულით თუ კი მოვკვდები,
ბროლის წვეთები გულზე დამყარო“.

სოლომონ ლეკიშვილმა, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, აღმოაჩინა გიორგი შარვაშიძის ხუთი უცნობი ლექსი, მათ შორის ამჯერად ჩვენი დაკვირვების საგანია ორი: „ელოს მარაოზე“, „ელოს“. „ელო“ იგივე ელენე ანდრეევსკაია გახლავთ, გიორგი შარვაშიძის მეუღლე. ორივე ლექსი ორ-ორ სტროფიანია, თითოეული ტაეპი 10-მარცვლიანია. „ელოს მარაოზე“ დაწერილია ბესარიონ გაბაშვილის ხმაზე. ლექსთწყობის მისი ზუსტი მიბაძვით:

„ღიმილთ მპარავო ოხვრის მფარავო,
კეკლუცთ მარჯვნითა ლაღ საჭირავო,
ნიშნად „კმარაო“, „მისაკარაო“,
თუ ვინმემ რამ ილაზღანდარაო“,

ჟრჟოლის მქარავო, ცხელ-სადარაო
გულის ერთგულო, პირის კარაო,
არსად არაო, ხარ სად არაო!
სულო მარაო, ჩემო მარაო“.

პოეტის მეორე ლექსიც, როგორც ვთქვით, მის მეუღლეს ეძღვნება: ცოლს პირდება ერთგულებას („უწინდელებრივ მე ვსუნთქავ შენით“), არწმუნებს ეჭვების უსაფუძვლობაში; მათ ცოლქმრულ მტკიცე ურთიერთობას ჟამთა სვლა ვერას დააკლებს:

„ქალო, ნუ რწმუნობ იჭვნეულობას,
უწინდელებრივ მე ვსუნთქავ შენით,
და ამ გავლენას, შენგან ჩემდამი
ვერას დააკლებს წელი წელთ რბენით“.

პოეტი-მეუღლე ბოლომდე ინარჩუნებს გულწრფელობას, ცოლს არ უმალავს, რომ სხვა ქალებსაც ელაციცებოდა, ეთაყვანებოდა, „გუნდრუკს უკმევდა“, გულის ტაძარში კი წმინდად იფარავდა ღირსეულ გამწევს მეუღლეობრივი გრძნობისა, მართალია, ეთაყვანებოდა „ახალ ხატებს“ (საყვარლებს) რუსის სუდარაში მყოფი ლეკივით, მაგრამ ცოლის ერთგულების ფიცის დამცველი იყო ბოლომდის, ყოველ შემთხვევაში, ეს ლექსი თავის „გამართლების“ ერთგვარი დასტურია:

„თუმცა გუნდრუკსა ვუკმევდი სხვათა,
შენ კი გფარავდი გულის ტაძარში,
თაყვასა ვცემდი ახალ ხატებსა,
მაგრამ ვით ლეკი რუსის ტაძარში“.

აქვე უნდა განვიხილოთ აფხაზი მწერლის კიდევ ერთი უსათაურო ლექსი (***... ოდეს ღმერთმან მოისურვა“). მართალია, ეს არ წარმოადგენს ჩვენი საკითხის თემატიკური გაგრძელების ნიმუშს, მაგრამ მასში არის ისეთი ელემენტები, რაც საშუალებას გვაძლევს, არ მოვწყვიტოთ მას, აქვე ვიმსჯელოთ კიდეც ამ ნაწარმოებზე. მასში ბიბლიური ეპიზოდის გამოძახილს ვეცნობით. კერძოდ, ღმერთის მიერ ადამის შემდეგ ქალის — ევას გაჩენის ბიბლიურ აქტს შეგვახვედრებს ავტორი. გიორგი შარვაშიძე რომ კარგად იცნობდა ბიბლიას, ძველ ქართულ სასულიერო მწერლობას, ეს ნათლად დასტურდება მის შემოქმედებაში.

მან ასევე საფუძვლანად იცოდა ძველი ქართული ენაც.

ხსენებული ლექსი, მართალია, ბიბლიურ მოტივზე შექმნილი, მაგრამ შთამბეჭდავი კორექტივებით. ერთი სიტყვით, მწერალმა თავის ჩანაფიქრს და სათქმელს მოარგო ბიბლიური ეპიზოდი:

„ოდეს ღმერთმან მოისურვა
ცხოვრებისა ხელობანი,
ფიფქი თოვლი შეამჭიდრა
და ჰქანდაკა თურმე ტანი,
ვარსკვლავები აირჩია
და ჩაუდგა ციურ თვალი,
ვარდი ტუჩად დააკონა, –
გააჩინა ქვეყნად ქალი“.

„დაბადების“ წიგნი გვმოძღვრავს, რომ ღმერთმა თავისი შემოქმედების ბოლო მეექვსე დღეს გააჩინა ადამიანი. ჯერ თიხისაგან გამოძერწა ადამი „ხატად და მსგავსად მისა“, რომელსაც შთაბერა თავისი სული და ქმნა კაცი „სულად ცხოველად“. დაასაჩუქრა იგი მიწიერი სამოთხით ანუ ედემის ბაღით, მაგრამ შეებრალა ადამის მარტოხელობა, დააძინა იგი, მისი ნეკნიდან ამოჭრა ხორცი, მისცა მას ქალის სახე, შთაბერა სული და გაჩნდა ევა. აი, ამ ბიბლიურ აქტს ასე ხატოვნად და საოცრად თავისებურად იაზრებს გიორგი შარვაშიძე. იგი აქ არ ლაპარაკობს მამაზეციერის მიერ ექვსი დღის მანძილზე ხილული და უხილავი სამყაროს შექმნაზე, არამედ ლექსს იწყებს ღვთის ნებით ცხოვრების შექმნაზე, ანუ ქალის გაჩენაზე. „ევა“ ებრაული სიტყვაა და „ცხოვრებას“ ნიშნავს („დედა მაცოცხლებელი“). რა პოეტური ოსტატობით „აქანდაკებს“ პოეტი ქალის გარეგნობას: „ფიფქი თოვლი შეამჭიდრა და ჰქანდაკა ტურფა ტანი“ (ეს სახე-ხატი გარკვეულწილად ასოცირდება გალაკტიონის ერთ უბრწყინვალეს ლექსთან: „მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის ქალწულებივით ხიდიდან ფენა“), ღმერთმა ქალს ჩაუდგაო ვარსკვლავივით ციური თვალები, ასევე შექმნაო ქალის ვარდისფერი ტუჩები.

ბიბლიის მიხედვით, მთავარია, რომ მამაკაცის გვერდით ღმერთმა ქალიც გააჩინა. გიორგი შარვაშიძის თანახმად. ის ქალი სწორედ ასე

უნდა წარმოგიდგინოთ გარეგნულად, როგორსაც მეტყველი სახეებით ვხედავთ ლექსში. რუსთაველიდან მოკიდებული გიორგი შარვეშიძემდე ვის არ უწერია ლექსი ქალზე, მის ლერწამივით რხევად ტანზე, თვალებზე, ლალისფერ ტუჩებზე, მაგრამ აფხაზი პოეტივით თავისებურად არავის წარმოუსახავს იგი. ამასთანავე, პოეტი რადიკალურად უხვევს ბიბლიური მოტივიდან ქალის გასულიერების ჩვენებისას. „დაბადების“ საფუძველზე, ღმერთი ქალის ფიგურას ჩაბერავს თავის სულს და ასე მიანიჭებს ფიზიკურ და სულიერ სიცოცხლეს. როგორც უფალმა ადამსა („ადამი“ ებრაული სიტყვაა და „მიწას“ ნიშნავს) და ევას ჩაბერა თავისი სული, ამით დაანათლა თავისივე ბუნება, რაც აკრძალულ ხილთან ზიარებამდე შენარჩუნებული ჰქონდათ. ამ ბიბლიურ აქტს გვერდს უვლის ავტორი და მომდევნო სტრიქონებში საქმის ვითარებას ისე წარმოაჩენს, თითქოს მის მიერ ანგელოზად დასატული ქალი სულის ჩასაბერად ღმერთს სატანისთვის მიენდოს:

„ხოლო როცა გაცოცხლება
დასჭირდა ამ მანქანასა,
„ეხლა სული ჩაჰბერეო“,
ეგ მიანდო სატანასა“.

ბიბლიურ ეპიზოდში ასე „ჩარევა“ და მისი თვითნებური გადაკეთება ერთი შეხედვით მკრეხელობაა, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ შემოქმედს, საერთოდ, აქვს ამისი სრული უფლება. ოღონდ გასარკვევია, თუ რატომ დასჭირდა გიორგი შარვაშიძეს ყოველივე ეს. ბიბლიიდან ვიცით, რომ ღმერთმა ადამი და ევა, ანუ პირველი ადამიანები მიწიერ სამოთხეში გაამწესა რჩევით: ეგემათ იქ მოხეირე ყველა ხის ნაყოფი, გარდა ედემის ცენტრში მოყვავილე შემეცნების ხისა („ხე ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა“). სატანის წაქეზებით პირველმა სწორედ ევამ შეალახა უფლის რჩევა-დარიგება, იგემა აკრძალული ხილი, ამას არ დასჯერდა და ადამსაც აგემებინა იგი. ამით მათ დაკარგეს ღვთიური ბუნება და უფლის მიერ განდევნილ იქნენ ედემის ბაღიდან.

გიორგი შარვაშიძეს მშვენიერი ქალის გარეგნობის ჩვენებისას მისი სული აინტერესებს, რომელიც, ბიბლიით, ეშმაკს იყო უკვე ნაზიარები.

ევას პირველი ცოდვილობა მემკვიდრეობით გადაეცა ადამის მოდგმას და ასე გაცნობიერდა. „მემკვიდრეობითი ცოდვა“. პოეტს სწორედ ეს მომენტი აინტერესებს ქალში, ამიტომ ეკიდება მას ზოგჯერ სიფრთხილით, ზოგჯერ კი ეჭვის თვალებით უყურებს. ლექსის ქვეტექსტში ის აზრი უნდა ამოვიკითხოთ, რომ ყველა ლამაზ ქალში ღვივის ცოდვილი ევას თესლი. აქ უნებლიედ გვახსენდება მწერლის დრამატული პოემის „გიორგი მესამის“ ერთი ეპიზოდი, სადაც თამარზე განაწყენებული მამა, გიორგი მესამე, გულგასენილი იტყვის:

„მაგრამ თუ ვერა? თუ არ ექნა უმანკო სული,
თუ არ გამოდგა გონიერი ზეცით ცხებული
და მის სხეულში თუ ღვივოდეს ევისა ქალი.
და ნუთუ ვცდები მე ვით კაცი? ვაჰ, ჩემი ბრალი“...

იმავე პიესაში გიორგი მესამე თამარის ტახტზე აყვანისას ასე მოძღვრავს მას: „არ მოგერიოს შენ სისუსტე, დედათ წესია, არა სხეულის, — სულის სილბო უარესია“. საანალიზო ლექსის დასასრულს ავტორი აცნობიერებს, რომ მემკვიდრეობით ცოდვას ადამიანი ვერ აღწევს თავს. მამაკაცი ქალის გარეგნული სილამაზის მონად რჩება („სიშნოს მეტი ძალუძს“), რომელიც „კეთილ გონებას“ გასაქანს ვერ აძლევს:

„და მას აქვთ კაცი ვერ დროს
ვერ ასცილდა მონებასა,
მით რომ სიშნოს მეტი ძალუძს,
ვინემ კეთილ გონებასა“.

სიტყვა „სიშნო“ უნდა გავიგოთ, როგორც შნო, შნოება, მშვენება, მშვენიერება. პოეტი ამით ხაზს უსვამს, რომ ლამაზი ქალის შემხედვარე მამაკაცში გრძნობა სჯაბნის გონებას. ასე თავისებურად გაიაზრა ავტორმა ღმერთის მიერ ადამიანის შექმნის „დაბადებისეული“ აქტი ქრისტეს განხორციელების მისიის გვერდით ავლით. ვიდრე დასკვნისკენ გავეშურებით, უნდა გავუზიარო მკითხველს ელგუჯა თავბერიძის სწორი თვალსაზრისი გიორგი შარვაშიძის სატრფიალო ლირიკასთან დაკავშირებით: „ერთი ხაზის გავლება, ერთი აზრობრივი ტენდენციის ამოკითხვა გიორგი შარვაშიძის სატრფიალო ლირიკაში ჭირს. იგი ხან ქალს სატანური ხასიათის არსებად მიიჩნევს, ხან კიდევ მოვლე-

ნილ ანგელოზად, რომლისთვისაც მზადაა ყველაფერი გასწიროს — მეფობა დათმოს. ყველა პატივსა და დიდებაზე უარი თქვას, ოღონდ მისი მსახური იყოს, მისი სულის თანაზიარი. ეს ჭირვეულობა იმ განწყობილების გამომხატველია, სხვადასხვა გარემოებაში რომ ჩნდებოდა და პოეტიც ზუსტად აფიქსირებდა იმჟამინდელ თავის ფიქრსა და განცდას".[1]

ამრიგად, გიორგი შარვაშიძის ლირიკაში ეროვნულ-პატრიოტული იდეოლოგიის შემდეგ წინა პლანზეა წამოწეული ამქვეყნიური მიწიერი, ხორციელი სიყვარულის გრძნობა. მწერლისთვის ნაცნობია, საერთოდ, ქართულ პოეზიაში განსხეულებული ყველანაირი სიყვარულის გაგება. სატრფოს გარეგნობის დასურათებისას იგი საზრდოობს მეტნაკლებად გარკვეული წყაროებით. მის ლექსებში გაიელვებს წმინდა, ზნეობრივი სიყვარულის გრძნობა, ღვთის სიყვარულს მიმსგავსებულისა, რაც ემყარება ტრფობის ობიექტის გარეგნული და შინაგანი მშვენიერების ჰარმონიულობას, ზოგიერთ ლექსში თავს იჩენს საყვარელი ქალის მხოლოდ გარეგნობით გატაცება, ზოგჯერ იგრძნობა სიყვარულის ძალაში დაეჭვება („არ გჯეროდეს სიყვარული") და მარტოობისთვის უპირატესობის მინიჭება. ადგილი აქვს აგრეთვე სიყვარულის სიმბოლურ-ალეგორიულ გამოხატულებას, ანუ სატრფოს სახეში სამშობლოს მოაზრებას.

შემდეგი იდეურ-თემატური ტვირთი, რომელიც გიორგი შარვაშიძის ლირიკას და, საერთოდ, მის შემოქმედებას აწევს, ეს არის სევდის მოტივი, საწუთროს უკუღმართობის ჩვენებანი, რაზეც ქვემოთ ვაგრძელებთ მსჯელობას.

გიორგი შარვაშიძის ლირიკაში, ასევე ეპიკურ და დრამატულ შემკვიდრეობაში თავი იჩინა როგორც პირადულმა, ისე მსოფლიო სევდამ. ეს გამოწვეული იყო საზოგადოებრივი პირობების უმსგავსო ხასიათით, ჯვარცმულ სამშობლოზე დარდით, პირადი ცხოვრების უკუღმართობით, ამასთანავე, მსოფლიო სევდის გაცნობიერებით.

ბიბლიურ-ქრისტიანული მოძღვრებით, სიკვდილის საფუძველი შეიქმნა პირველშობილი ცოდვა. ადამისა და ევას მხრიდან აკრძალული

[1] ელ. თაბერიძე, უპედო მამულის ყმა, წიგნში: გ. შარვაშიძე, თხზ., II, გვ. 213.

ხილით დანაყრება. ღმერთის მიერ შექმნილი პირველი ადამიანების შეცოდებამ, ღმერთის მცნების შელახვამ გაუღო ამ წუთისოფელში სიკვდილს კარები. ადამისა და ევას შთამომავალნი შეგუებული არიან სიკვდილის მსახვრალ ხელს: „რამეთუ სიკუდილმან შემმუსროს მე, რამეთუ სახლ ყოვლისა მოკუდავისა მიწა არს“ (იობ. 30,23). ასე შემოდის ადამიანის შეგნებაში წარმავლობისა და ამაოების განცდა: „რამეთუ ყოველივე ამაო არს ყოველი კაცი ხორციელი“ (ფს. 38,6); „კაცი ამაოებასა მიემსგავსა და ღღენი მისნი, ვითარცა აჩრდილნი, წარვლენ“ (ფს. 143, 4). საყოველთაოდ ცნობილია ბიბლიური გოდება ამაოებათა შესახებ: „ამაოება ამაოთა, ამაოება, ამაოთა, ყოველივე ამაო“ (ეკლ. 1, 2); „ნათესავი წარვალს, ნათესავი მოვალს და ქუეყანა უკუნისამდე ჰგიეს“ (ეკლ. 1, 4).

წუთისოფლის წარმავლობის პრობლემის გაცნობიერებისას შუა საუკუნეების ქართული სასულიერო და საერთო მწერლობა დიდად არის დავალებული ბიბილურ-ქრისტიანული მსოფლშეგრძნებით, ბიბლიაში გატარებული აზრებით: „ესე ყოველი ცხოვრება , ვითარცა ყვავილი ველთა წარმავალ-არს და დაუდგრომელ“ („შუშანიკის წამება“)[1]; „უწყოდეთ, ძმანო ჩემნო, რამეთუ აქა ესე ყოველი წარმავალ არს, ხოლო საუკუნოი წარუვალ“ („შიოს ცხოვრება“);[2] „არა რა არს სოფლისა ამის დიდება , რამეთუ ვითარცა აჩრდილი წარვალს და ვითარცა კუამლი განქარდების“ („ბალავარიანი“).[3]

არ შემიძლია აქ არ დავიმოწმო ერთი საინტერესო ჰიმნოგრაფიული თხზულება „გალობანი სულისანი“:

„ცხოვრება ესე წარვალს და განილევის,
შუენიერება და დიდება დაჭკნების,
ხოლო სიმდიდრე დალპების და წარწყმდების,
რასა ცუდად ვმაღლო თ, ოდეს ყოველნი
მოკუდავნი ვართ და მიწად მიქცევადნი!

[1] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1963, გვ. 27.
[2] იქვე, გვ. 226.
[3] ძეგლები, II, გვ. 17.

მოვედით, ძმანო, შთავიხედნეთ საფლავთა,
სადა არს შური, საოცრება და ხდომა ,
სადა არს ძვირის ხსენება და ზუაობა
და ორცთა გულის-თქუმანი, აჰა, ესერა,
მიწა, ნაცარ და თიხა ქმნილ არს ყოველი".[1]

იოანე პეტრიწი, როგორც დიდი ქართველი ფილოსოფოსი, იტყვის: „არარა არს სოფელსა შინა მტკიცე, ყოველივე მსწრაფლ წარმავალ არს სრულიად: არცა სიმდიდრე, არცა სიგლახე და არცა დიდება! აჩრდილი და სიზმარი".[2]

როგორ შეიძლება „ვეფხისტყაოსანს" გვერდი ავუაროთ:

„დღეს საწუთრომან ლახვარსა ჰიმცა, დანასა მახია,
აწყა ვცან, საქმე სოფლისა ზღაპარია და ჩმახია"

საჭიროდ გვესახება ჩვენს ერამდე IV-III საუკუნეების პირველი ცნობილი ჩინელი პოეტის ციუი იუანის (340-278) თვალსაზრისის გახსენება, რაც უსათუოდ ძველ ჩინელთა წარმოდგენებიდან გამომდინარეობს: ადამიანი შეჰხარის სიცოცხლეს, რომელსაც უმწარებს წარმავლობის განცდა: „მსურდა არ მეგრძნო ჭირხლი სიბერის, მაგრამ გვიქადის გარდაუვალს (ანუ სიკდვილს — ტ.მ.) ბედი-ავბედი" („სიცოცხლის დიად მეუფეს"). ციუი იანის რწმენით, ადამიანის სხეული მოკვდავია, სული კი — უკვდავი:

„რადგან სხეული მოკვდავია, სხეული კვდება,
სული კი ჰგიეს საჰარადისოდ...
იქ, გმირთა შორის დაიდებენ სენაკს სამკვიდროს
სამარადჟამოდ მათი სულები".

ეს სიტყვები პარალელს პოულობს ლაო-ძის „დაო დე ძინთან": „გვამი იხრწნება, სული უკვდავია", „უკვდავია სული უწმინდესი".

ძველი ჩინური პოეზიის მშვენება ვან ვეი (701-761) შეუპყრია წარმავლობის საზარელ შეგრძნებას:

„ხომ ჩამჩიჩინებს საღვთო კრებული —
რომ სიზმარია სუყველაფერი...

---

[1] ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, თბ., 1949, გვ. 277.
[2] იოანე პეტრიწი, სათნოებათა კიბე, თბ., 1968. გვ. 173.

ცხოვრება ეკალთა მჩენი — ავანჩავანი...
„ყოფნა — უდაბნო, გზა-უდაბური“...
„ავანჩავანი ცხოვრებისა უკვე მიცვნია — ფერფლია ოდენ“.

ვან ვეი მიწიერ ცხოვრებას უყურებს, როგორც ამაოებას. ამის გაცნობიერებაში გადის სწორედ ბუდიზმის კვალი, თუმცა ამ მოძღვრების არა სრული და თანმიმდევრული გათვალისწინებით.[1]

ეს მცირე შესავალი ერთგვარი ფონის შესაქმნელად დაგვჭირდა გიორგი შარვაშიძის შემოქმედებაში წუთისოფლის წარმავლობის შეგრძნების, საწუთროს უკუღმართობის გამოსახვის წარმოსაჩენად. ამ დიდებულ პიროვნებას, სწავლულს და ჩინებულ შემოქმედს ცხოვრებამ არაერთხელ დაალევინა შხამი და სამსალა. დავიმოწმებთ დიდ ქართველ მეცნიერს სიმონ ჯანაშიას: „პირადი ცხოვრების უკუღმართობა, საზოგადოებრივი პირობების ხასიათი („შემოგზვევია ცხოვრების სულთამხუთავი გალია“), ველური რეჟიმი, წრე — არაფერი უწყობს ხელს, რომ გ. შარვაშიძე პროფესიონალი ლიტერატორი დადგეს, თუმცა იგი ბუნებით ყველაზე ადრე სწორედ ამისთვისაა გაჩენილი“.[2] ახლა კი ოთარ ჭურღულიას მოვუსმინოთ: „გიორგი შარვაშიძის თავგადასავალი უსასრულო ტანჯვა იყო. ბავშვობიდან დაებედა მას დარდი და ფიქრი ჯვარცმულ სამშობლოზე... იგი მოაშორეს სანუკვარ მხარეს, სანატრელ აფხაზეთს და ყმაწვილკაცობიდან მოყოლებული მთელი ცხოვრების მანძილზე განიცდიდა დევნას, დამცირებას, შევიწროებას“.[3]

ს. ჯანაშიას მითითებით: გიორგი შარვაშიძის ეპიტაფიისათვის, ვფიქრობთ, შეუძლებელია უკეთესი ტექსტი მოიძებნოს, ვიდრე ის, რომელსაც ეს მისივე ლექსი შეიცავს:

„უსამართლობის ცხოვრების ზღვაში
შენ გერგო წილად მხოლოდ ტანჯვები,
და იმ ტანჯვების ულმრთოებაში

---

[1] იხ. ვრცლად **ტ. მოსია**, ძველი ჩინური პოეზია, თბ., 2010.

[2] **ს. ჯანაშია**, გიორგი შარვაშიძე (კულტურულ-ისტორიული ნარკვევი), წიგნში — გიორგი შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, თბ., 1985, გვ. 65.

[3] **ო. ჭურღულია**, გიორგი შარვაშიძე, წიგნში: გიორგი შარვაშიძე, თხზულებანი ორ ტომად, ტ. II, თბ., 2006, გვ. 70.

კაცთა სიავის მწარე იჭვები
არ შეჰხებიან შენს კეთილ გულსა,
რომელშიდაცა ძმათ სიყვარულსა
ენთო უშრეტი, წმინდა ლამპარი!
ის გაანათებს შენსა წარსულსა
და მით იქნები დაუვიწყარი".

გიორგი შარვაშიძის პოეზიაში პირველად 1872 წელს დაწერილ „მოგონებაში" გამოჩნდა „სოფლის ლახვრები". ლექსი ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭკადუაშშია შექმნილი და ეძღვნება კოწია დადიანს. ავტორი იგონებს სიყრმის ჟამს, როცა ცხოვრებამ პირველად გააცნო დარდი, ღიმილი და ვნებანი. სწორედ სიყრმეში აგრძნობინა უკუღმართმა წუთისოფელმა ლახვრის სიმწარე:

„სად პირველ ვიგრძენ სოფლის ლახვრები
და ხის ქვეშ ვიწექ დაფიქრებული;
უმეცრებითა მჭმუნაკი თავი
ხელთ შორის მეპყრა გაცხელებული".[1]

პოეტი იხსენებს იმ ადგილს, „სადაც განვლენ სიყრმის ჟამნი", სადაც დედის გვერდით იმყოფებოდა, „დამდნარს საბრალოს ხვედრად სამარის", სადაც პირველად დაღვარა გულშეჭირვებულმა „თვით უწრფელესნი ცრემლნი მწუხარის".

ამ თვალსაზრისით გამოირჩევა რუსული უსათაურო ლექსი „დიდი ხანია წავიდნენ". აქ საუბარია წუთისოფლის წარმავლობაზე, გაუტანლობაზე, უნდობლობაზე. სასიამოვნო წუთები, დღეები ნამყოს ჩაბარდა, აწმყოში კი მოწყენილობას შეუპყრია პოეტი. მისი სული დამწუხრებულია, სურს სიმყუდროვეში განიქარვოს სევდა. რუსულ ლექსში „ღია ბარათი" („Открытое письмо") ნაჩვენებია წარსულ დღეთა სურათები, რაც სევდა-ნაღველში ამყოფებს ავტორს. მას არ ახალისებს გაზაფხულის სიცილი, ჩიტების ჟრიამული, სისხლჭარბი ცხოვრების სუნთქვა, რადგან წარსული უწამლავს გრძნობას:

„А, мне былое, как оковы,
Так крепко в сердце залегло...

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, ტ. 82.

Оно так ноет и страдает!
Оно чуть бъётся, стынет кровь
Оно все к прошлому взывает
И грез чудесных ищет вновь!“

გიორგი შარვაშიძე პოემა „გვდანის ციხეში“ აფიქსირებს ეგზისტენციალურ განცდას საწუთროს წარმავლობის თაობაზე, ორგემაგე სოფლის სიმუხთლეზე. ცხოვრების ბორბლის ტრიალს ვინ რას გაუგებს, ცხოვრება ვის რას უწილადებს, არავინ იცის, როცა ფუფუნებას მოგგვრის, იქვე განგირისხდება. ყველამ უნდა გაიცნობიეროს ამქვეყნიური არსებობის წარმავლობა. ვისაც ამის შეგნების უნარი აკლია, „ის უმეცარი და აბდალია“:

„აგრე ცხოვრება ხან რას გვარგუნებს,
როგორ ტრიალებს ეგ არვინ იცის
რასთვის უმართლოთ ხან გვაფუფუნებს,
ხან გვირისხდება, განგებამ უწყის.
უნდა გვახსოვდეს, წუთი-სოფელში,
რასაცა ვხედავთ, წარმავალია!
ვინც ფიქრობს, თავის ბედი აქვს ხელში,
ის უმეცარი და აბდალია“.[1]

დრამატულ თხზულებაში „გიორგი მესამე“ პოეტი თავის დამოკიდებულებას უკულმართი სოფლისადმი დემნა ბატონიშვილის ენით გადმოსცემს: სიცოცხლე თავის უკუღმართობით გაუგებარია, წუთისოფლის ცხოვრების წესი „უნამუსო და უტიფარია! კაცთ სასოება, თვით უმჯოესი, ცრუი ფარია, ავი და ჭუჭყი, მით იფარება, კეთილი ქვეყნად ვით სიზმარია, სიტყვაა მხოლოდ და ისე ქრება, როგორც ქარია, რაც უნდა იყოს კაცი მართალი, მცნებათა ეპყრას წმინდა ჯვარია, მასზე იტყვიან მხოლოდ: საწყალი რა სახმარია“.[2] ამასთან დაკავშირებით ელ. თავბერიძე შენიშნავს: „დემნა პიესაში (იგულისხმება „გიორგი მესამე“ — ტ.მ.) წარმოგვიდგება, როგორც ადამიანთა გაუტანლობაზე, კაცთა სიმუხთლეზე, ბოროტებაზე მოფიქრალი

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 124-125.
[2] იქვე, გვ. 166.

ბატონიშვილი წარმოთქვამს შექსპირულის ტოლფარდ მონოლოგს — ამაოება რომ ჩქეფს თითოეული ფრაზიდან, მოუწყობელი წუთისოფელი, სიკეთე-ბოროტება ერთმანეთში ადღვებილი, ფარად სიკეთე, გულში ბოროტი, კეთილი სიტყვა — მოვარდნილი ქარი".[1]

გიორგი შარვაშიძის შემოქმედებაში სიკვდილ-სიცოცხლის თემას, წუთისოფლის პრობლემას უშუალოდ უკავშირდება ბედისა და უბედობის საკითხი. ჯერ კიდევ ძველი შუამდინარული პოეზია აქცენტს აკეთებს ბედსა და ბედისწერაზე. ის წინასწარგანსაზღვრულობაზე, ბედის გამრიგეზე, ადამიანის უბედობაზე, ბედის ანაბარა დარჩენაზე („ინანას ლიტურგია", „ქება დედისა", „ჰიმნი მეფე შულგისა თვისდა მიმართ", „თამუზის სიზმარი" და ა.შ.).[2] აქვე უნდა დავასახელოთ ჩვენს ერამდელი ძველი ჩინური პოეზია, პირველ რიგში „შიძინი". ძვ. წ. აღრ. II ს. დუნ ჯუან-შუს „ბედი ცის წარმოგზავნილად" მიაჩნდა. „შიძინის" მიხედვით, ცა წარმართავს სამყაროს ბედს და ამოძრავებს ისტორიას.[3]

ქართულ შუა საუკუნეებში ბედსა და ბედისწერაზე არაერთგვაროვანი წარმოდგენა არსებობდა. მაგალითისათვის საკმარისია რუსთაველისა და გურამიშვილის კონცეფციათა გაცნობიერება. რუსთაველს სწამს ბედისა და ბედისწერისა, „დავითიანის" ავტორი კი კატეგორიულად უარყოფს ბედს და არარაობად თვლის მას. ქართულ კულტურულ ტრადიციებზე აღზრდილ გიროგი შარვაშიძეს, ბუნებრივია, სათანადო წარმოდგენა გამოუმუშავდა ბედის საკითხზე. მის შემოქმედებაში არ იგრძნობა ბედით მოხიბლვა, მისი პრიმატი, მისადმი მინდობა. პირიქით, რუსთაველის გმირებივით იგი უჩივის უბედობას და ეს ჩივილი განპირობებულია სოფლის უკულმართობის, მისი წარმავლობის მწარე განცდით. როგორც ჭეშმარიტად ქრისტიანი პოეტი, ღმერთს ვერ ჰკადრებს საყვედურს უბედობის გამო, სამაგიეროდ ბუნებას შესჩივის:

„ოჰ, ბუნებავ, შენ ძლიერო,
მართალო და საკვირველო...

---

[1] ელ. თაბერიძე, უბედო მამულის ყმა, წიგნში: გ. შარვაშიძე, თხზულ. ორ ტომად, ტ. II. გვ. 221.

[2] ძველი ჩინური ფილოსოფია, I, მოსკ., 1972, გვ. 19, 29.

[3] იქვე, გვ. 31.

მაშ, მიკვირს, რათ შენგნით სოფლად
უბედობა არს გამოსრული“.[1]

დამოწმებული სტროფის ქვეტექსტში უთუოდ ილანდება ღვთისადმი უკმაყოფილებაც, რადგან, ქრისტიანული მოძღვრებით, ეს ბუნება ხომ უფლის გაჩენილია, სხვა ყველაფერთან ერთად. კონსტანტინე ერისთავისადმი მიძღვნილ ლექსში („კოწია ერისთავს“) გიორგი შარვაშიძე პირდაპირ მიგვანიშნებს ბედის ეტლის მტრობაზე: „მისთვის, რომ ეტლი შენის ბედისა როგორც მე – ჩემი, დაგმტერებია, რომ არც შენ გინდა დახრა ქედისა და გზა სიმდაბლის არ გყვარებია“. ამით ნათქვამია, რომ მუხთალი ბედის წინაშე ქედის მოხრას არ აპირებს.

„ვარადას“ ავტორი მამულისადმი მიძღვნილ ლექსში („მამულს“) მწარედ განიცდის, რომ „ჩრდილოეთისა სასტიკი ჩრდილი“ სინათლეს უსპობს მის ქვეყანას, ახრჩობს „ცრემლნი გლოვისა“ და უბედობის ზარი:

„იმ თეთრ ნაკვეთით ჩამოღელვიან
კვნესით, ღრიალით ცრემლნი გლოვისა
და ათას ღარად მკერდს უხეთქიან
ნიშნად ზარისა უბედობისა“.[2]

გიორგი შარვაშიძეს აქვს ერთი მშვენიერი ლექსი „სიმღერა“. სათაურქვეშ მიწერილია: „შორის გზიდან სატრფოს ველი“-ს ხმაზე. იგი ნასაზრდოებია პესიმისტური განწყობილებით. პოეტი წუხს იმის გამო, რომ არსაიდან არვის ელის, სატრფომაც მხარი აუქცია და მწველი სევდა დაუტოვა. ნაჭრილობევი გული კვნესის. თუმცა ლირიკული გმირი შეგუებულია ვითარებას, რადგან იგი სოფლის წაღმა-უკუღმა ბრუნვის შედეგია: „ზოგს ახარებს, ზოგს კი არა“. ავტორი ლექსის ბოლოს მრჩევლის როლში გვევლინება. სასურველია გავეცნოთ უშუალოდ ამ ორსტროფიან ლექსს:

„არსაიდან არვის ველი,
სატრფომ გვერდი ამიარა,
დამრჩა მხოლოდ სევდა მწველი

[1] გიორგი შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 94.
[2] იქვე, გვ. 97.

და გულში კი მძიმე იარა.
ასეთია სოფლის ბრუნვა,
ზოგს ახარებს, ზოგს კი არა;
არას გვარგებს ბედზედ მდურვა,
თუ კი ერთხელ ჩაიარა!“[1]

აქ ზოგადად ბედზე კი არაა მინიშნება, არამედ კონკრეტულად სატრფო-ბედზე. თუკი ვაჟკაცს შესაფერისი მიჯნური შეხვდა, იტყვიან: ბედმა გაულიმაო, იღბალი ჰქონიაო, თუ პირიქით მოხდა, შეიცხადებენ: რა უბედო ყოფილა, იღბალმა არ გაუმართლაო. გიორგი შარვაშიძის საანალიზო ლექსის მიხედვით, ბედზე მდურვა ანუ უიღბლობის განცდა უსარგებლოა თუ ამორჩეულმა სატრფომ ზურგი გაქცია, „თუ კი ერთხელ ჩაიარა“.

საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გიორგი შარვაშიძის ლექსი-შედევრი „ვარადა“. ქართულ თუ უცხოურ ლიტერატურაში ბევრი რამ წაგვიკითხავს ბედზე, ბედისწერაზე, მის მიღება-არმიღებაზე, უბედობით ჩივილზე, მაგრამ იშვიათად შეგვხვედრია თხზულების პერსონაჟის თუ ლირიკული გმირის მხრიდან ბედისთვის დამუქრება. „ვარადას“ ავტორთან კი გამონაკლისი მომენტი დასტურდება:

„ზოგჯერ გიჟურად შეჰკივლებს
ბედისა სამუქარადა.
ეტყვის: მარტოკა დამაგდე
ნაწყვეტად, ნაოხარადა;
მიკვირს საწუთროს ვნებანი
ვის ჰფხვრიან, ვის სახმარადა,
და მსგავსსა ბოროტებასა
ყურსა არ უგდებს ცა რადა!“[2]

ყურადღებას ითხოვს ბოლო ორი ტაეპიც. შეწუხებულ პოეტს უკვირს თუ საწუთროს ვნებებს და ბოროტებას რატომ არ ალაგმავს, ან ყურს მაინც რატომ არ უგდებს „ცა“. „დაო დე ძინში“ ცა განიხილება

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, ჯვ. 92.
[2] იქვე, გვ. 89.

როგორც ბუნების შემადგენელი ნაწილი, მასთან დაპირისპირებული".[1] ქრისტიანული მოძღვრებით, ერთმანეთისგან უნდა განირჩეს ფიზიკური და სულიერი ცა. გიორგი შარვაშიძის მიერ დაფიქსირებული „ცა" სულიერი ცაა, რომელიც გაიგივებულია მაცხოვართან. სწორედ უფლისადმი ფარული საყვედური იგრძნობა პოეტის მხრიდან. საწუთროს ვნებათა და ბოროტებათა პირისპირ დარჩენილ ადამიანს სახსნელად ღმერთს („ცის") იმედი არა აქვს, მას უკვირს უფლის უყურადღებობისა.

გიორგი შარვაშიძის, შეიძლება ითქვას, საპროგრამო ლექსი „ჩანგი" ასე იწყება:

„თუმცა ჩემს გულს გარს ესევა
შხამ-ნაღველის, სევდის ქარი,
და შიგ რეკავს სავალალოდ,
ცრემლ-საფრქვევად გლოვის ზარი".[2]

ლექსის შინაარსიდან ირკვევა, რომ პოეტი დამწუხრებულია ჩაგრული ხალხის ვარამით, უსამართლობით, მასში თავისი წილი აქვს ცხოვრების მოუწყობლობას, საწუთროს ბორბლის უკუღმა ტრიალს, რითაც დათრგუნულია ავტორის გული, შხამ-ნაღველით სავსე, რომელსაც უბერავს სევდის ქარი და ირეკება გლოვის ზარი. ბრწყინვალე ლექსია „ფშაურ ხმაზედ", რომლის ლირიკულ გმირში უცილობლად საკუთრივ პოეტის სახეა არეკლილი. „კაკაბივით მახით დაბმულ" ვაჟკაცში ავტორის სულიერი პორტრეტი მოჩანს, რომელსაც ფრთები ვერ გაუშლია, სევდით მოცულა, გვერდით უდევს დაჟანგული „ყირიმი, ფარი, ხმალია", რომელსაც ვერც გაფერავს და ვერც მოიხმარს, ისე დაუჩაჩანაკებია მტერს; მისი მერანი უმხედროდაა დარჩენილი, თავზე მუზარადი არ ახურავს, მტკვერში აგდია მისი აბჯარ-ჯავშანი... პოეტის ჩივილი კულმინაციურ წერტილს აღწევს:

„შემოგხვევია ცხვორების
სულთა-მხუთავი გალია".

ასეთ სიცოცხლეს სიკვდილს ამჯობინებს გულგასენილი შემო-

[1] **ლაო-ძი**, დაო დე ძინი. გვ. 272.

[2] **გ. შარვაშიძე**, ლირიკა, ეპისი, დრამა, გვ. 87.

ქმედი, ვინაიდან „ცოცხალი ლეში მკვდარზედაც უფრო მკვდარია“. თუმცა ეს ლექსი მთავრდება ოპტიმისტური განწყობილებით. პოეტს სწამს, რომ მას მხსნელად, მფარველად და მკურნალად მოევლინება ქრისტეს მცნება და ჯვარი, მაცხოვარი დაუყუჩებს ტკივილებს:

„მაგრამ არა, ძმავ, გახსოვდეს
ქრისტეს მცნება და ჯვარია, —
იგი გიშველის, განკურნავს,
რაც ოდენ სატკივარია“.

მართებულად წერს ო. ჭურღულია: ნუ შეგვაშფოთებს პესიმიზმი და ცრემლით მოთქმა გ. შარვაშიძისა. იგი პროტესტის გამოხატულებაა. ცრემლი ტანჯვით განაწამები პოეტის მოსაოხებელი საშუალებაა, დარდის ნაჟურია. ბედნიერია ის, ვისაც შეუძლია თავისი კაეშანი ცრემლად დაწუროს. ცრემლი დიდმა სულიერმა ტრაგედიამ, მოუშუშებელმა ტკივილებმა იცის“.[1] წუთისოფლის წარმავლობით აღძრული მწარე გრძნობებია გადმოცემული რუსულად დაწერილ ლექსებშიც. პოემა „გვადანის ციხეში“ პოეტი უჩივის ხალხის მოუსვენარ ცხოვრებას და მტრის ლაშქრის თავდასხმის შიშით ყოფას:

„რა ცხოვრებაა იგი ცხოვრება,
თუ ხალხი არის დაუსვენარი,
ამას გულობდეს, რომ შეიძლება
ხვალვე დაგვესხეს მტრისა ლაშქარი“.[2]

გიორგი შარვაშიძის შემოქმედებაში წუთისოფლის წარმავლობის განცდას უშუალოდ ერწყმის სიკვდილის თემა. საინტერესოა რაინერ მარია რილკეს სიტყვების გახსენება სიკვდილთან დაკავშირებით: „სიცოცხლე ნაწილობრივ უკვე შეიცავს სიკვდილს და მიკვირს, ადამიანებს რად უჭირავთ თავი ისე, თითქოს ეს არ იცოდნენ. დიახ, შეიცავს სიკვდილს, რომლის დაუნდობელ აქ ყოფნას ყოველ უმცირეს ცვლილებაშიც შევიგრძნობთ და ვცდილობთ დავძლიოთ იგი, რადგან საჭიროა ვისწავლოთ ნელი სიკვდილი. საჭიროა სიკვდილი ვისწავ-

[1] ო. ჭურღულია, შარვაშიძეები, გვ. 90.
[2] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 111.

ლოთ, მთელი ცხოვრება ეს არის და ეს, სხვა არაფერი".[1]

„სულ სხვაა კაცი, რომელიც ბოლოს
წარსულ ცხოვრებას დაუკვირდება
და დაინახავს, მსპობსა ანგელოზს
ცულ-მოელვარეს ვერ ასცილდება".[2]

ეს „ცელ-მოელვარე მსპობი ანგელოზი" სიკვდილია. ამ ხატოვანმა თქმამ დავით გურამიშვილი მომაგონა, რომლის მიხედვით, სიკვდილი ჰგავს მჭლე კაცს, რომელსაც ცელი უჭირავს ხელში და სიცოცხლეს თიბავს: „ის მჭლე კაცი ცელს რას აქნევს, რასა სთიბავს, რასა სცელავს? ნუ ენდობი საწუთროსა, სულ ბნელია, რასაც ელავს". ან კიდევ: „კაცს რომე სენი შეყარო, ბრჭვალი ჰკრა გულსა, მუცელსა, განა იმ სენით ვერ მოკლავ, რაღად უმზადებ მუნ ცელსა".[3] წყაროების ძიებას ერთ ქართულ ხალხურ ლექსთან მივყავართ, სადაც სიკვდილი ამბობს:

„შემოვხე ფშავით მთაზედა,
ვარდნი ჰყვაოდეს, იანი.
ჩაუდეგ, ისე ჩავთიბე,
რო კარგმა ცელმა თივანი".[4]

საინტერესოა, რომ XIII საუკუნეში სიკვდილს წარმოსახავდნენ ტყავშემოკრული ჩონჩხის ფორმით. XV საუკუნეში სიკვდილი გამოხატული იყო სრულიად მკაფიოდ — ჩონჩხი ცულით და ნამგლით ხელში.[5] ჩანს, გიორგი შარვაშიძე იცნობდა დასახელებულ წყაროთაგან რომელიმეს, როდესაც სიკვდილი „ცელმოელვარე მსპობ ანგელოზად" მოეჩვენა.

მართალია, გიორგი შარვაშიძის თხზულებათა ერთ ნაწილში მწვავედ იგრძნობა ამქვეყნიური ცხოვრების წარმავლობა, წუთისოფლის უკუღმართობის ჩვენება, მაგრამ იგი ბოლომდე გულგატეხილ

---

[1] **რაინერ მარია რილკეს** ფრანგული წერილებიდან, „ახალი თარგმანები", თბ., 1992, გვ. 122.

[2] **გ. შარვაშიძე**, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 116.

[3] **დავით გურამიშვილი**, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1980, გვ. 195.

[4] ქართული ხალხური პოეზია, VII, გვ. 63.

[5] **ვლ. ნორაკიძე**, დავით გურამიშვილი, ფსიქოლოგიური პორტრეტი, გვ. 245.

პოეტად არ რჩება. იგი არ არის მხოლოდ პესიმიზმით შეპყრობილი შემოქმედი. ს. ჯანაშიას მართებული შენიშვნა: „ღირს სიცოცხლე, ღირს ბრძოლა, არსებობს საამისო დიდი საქმე და მიზანი. შეუმუსრავი ოპტიმიზმი, ნიშანდობლივი მთელი ქართული პოეზიისათვის, ათბობს გ. შარვაშიძის შემოქმედებასაც“.[1] ო. ჭურღულია „ვარადას“ განხილვისას წერს: „მართალია, ეს ლექსი მოთქმაა, მაგრამ არა განწირული, ცხოვრებაზე ხელჩაქნეული ადამიანისა, არამედ ისეთი მოქალაქისა, პოეტისა, რომელსაც ჯერ კიდევ არ გადაუწურავს იმედი, დაჯერებული, რომ ბუნება, ღმერთი არ გაწირავენ ათასწლობით ნაგებ ეროვნულ შენობას და მის უშუალო გამოხატულებას — ენას.[2]

გიორგი შარვაშიძის ლირიკაში თავჩენილია აწყმო დროით უკმაყოფილება, რაც იწვევდა მასში გულისტკივილს, სევდას და კაეშანს, რაზეც ზემოთაც ვისაუბრეთ. განსკუთრებით გულს უკლავდა საზოგადოების ერთი ნაწილის გადაგვარება, ჩინ-მედლებისკენ სწრაფვაში სამშობლოს ინტერესების ჩახშობა. ამასთან დაკავშირებით, გვინდა მწერლის ბიოგრაფიიდან ერთი ამბავი გავიხსენოთ. გიორგი შარვაშიძემ ერთხელ მამია გურიელს უთხრა: „საზოგადოება დავაარსოთ, საზოგადოება, რომელშიც ის ხალხი გავაერთიანოთ, ვინც ჩინის მაძიებელ თავადებსა და აზნაურებს არც ხელს ჩამოართმევს და სალამსაც ვერ მისცემს. დავემდუროთ და დავეუბროთ დამპყრობლის კარზე აღზევებულ ჩინოსნებს და ამავე სურვილით აღტაცებულ ქართველობას... რუსი ქართველის მეშვეობით ბატონობს და ბოგინობს ჩვენშიო“. ამაზე მამია გურიელს უპასუხნია: „მაშინ, ჩემო გიორგი, მე და შენ თუ მივესალმებით მხოლოდ ერთმანეთს, დავიკრიფოთ გულზე ხელები და ვიაროთ. დღეს ხომ ყველა ორჭოფია, ყველა ჩინის მომლოდინე ან ამ საქმის გაჩარხვის სურვილის მოწადინე, ჩვენ, კი ბატონო, კიდეც მივესალმოთ და ხელიც ჩამოვართვათ ერთმანეთს. საზოგადოება ორი კაცის გამოგვივა, მესამეს ვერ ვიპოვით, დამპყრობლის ჩინი არ სურდეს, სიზმარში არ ნატრობდესო“.[3]

---

[1] **გიორგი შარვაშიძე**, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 73.

[2] ო. **ჭურღულია**, გიორგი შარვაშიძე, წიგნში: გ. შარვაშიძე, თხზ., II, გვ. 76-77.

3 შდრ. **ელ. თაგბერიძის** დასახ. ნაშრომი, გვ. 166-167.

ამ პასაჟებში გატარებული აზრი არის ერის ტრაგედია: დამპყრობლისგან ჩინის მოლოდინში ჩაკლა შენი ეროვნული ინტერესები და ხელის ერთი მოსმით ხაზი გადაუსვა ყოველივე ეროვნულს, რისთვისაც ჩვენს დიდ წინაპრებს სისხლი ულვრიათ. სწორედ ასეთი გადაგვარებული ქართველების მხილებაა მოცემული სოლომონ ლეკიშვილის მიერ აღმოჩენილ გიორგი შარვაშიძის ლექსში „რა უშავთ მათ“, რომელსაც დაწერის თარიღად 1868 წელი უზის. ეს იმაზე მიუთითებს, რომ აფხაზ პოეტს ჯერ კიდევ სიჭაბუკიდან აღელვებდა ქართველთა უგერგილობა, გულგრილობა და მხოლოდ პირადულით გატაცება. ლექსში საუბარია იმ თანამედროვეებზე, რომლებიც არ გრძნობენ ცხოვრების მოთხოვნილებას, ამქვეყნიურ ვალს, „მარტო სიცოცხლით კმაყოფილობენ“, არ აწუხებთ „ვალი კაცის ამ სოფლად“; არ ანაღვლებთ უგუნურობის კისრით ზიდვა, მხოლოდ სარჩოსთვის ზრუნვას სწირავენ სხვა ნებისმიერ ღირებულებას; არაფრად მიაჩნიათ ქვეყნის უნუგეშო მდგომარეობა, მამულის სიყვარულისგან შორს დგანან: „რა უშავს, ვისაც თავის მამული არ ჰყვარებია“:

„რა უშავს, ვისაც შეუძლებლობა უმჩატებს წყლულსა,
შეუძლებელში შესაძლოს ძებნით არ იხეთქს გულსა;
ვინაც სოფელსა, ბუნებას ვრცელსა, სამშობლოდ სახავს
და თვით საზარელს უცხოობას ვერ დაინახავს“.[1]

სწორედ ქართველთა გაუცხოების მომაკვდინებელი სენით უსკდებოდა გული პოეტს, სამსალით ევსებოდა სული. ისინი ანტიეროვნული, ანტიადამიანური საქციელით ფაქტიურად სტვენით დასცინოდნენ მათ გრძნობებს, ვისაც ჯერ კიდევ, საბედნიეროდ, შემორჩენილი ჰქონდა მაღალი ადამიანური თვისებები და სამამულო კეთილი განწყობილება:

„რა უშავს მას, ვინც ჩვენს გრძნობებსა დასცინის სტვენით,
ამაოებას ჩვენს მწუხარებას, ატარებს ლხენით,
მაგრამ ამ სოფლად ვის შერჩენია სულ სიხარული
და ვინ ყოფილა „აუცდელისაგან“ დაუდაფარული!“[2]

[1] საქ. მთავ. საარქ. სამმ. „საისტორიო მოამბე“, №31-32, თბ., 1875, გვ. 25.
[2] იქვე, გვ. 254.

ადამიანისთვის ცხოვრების მომშხამველელია, სულის გამამწარებელი და გულის დამბეჩავებელი უიმედობა. პოეტიც ამ ლექსში სწორედ იმედის გაუჩინარებას მისტირის. იმედი მას სულის განმანათლებლად და დამატკბობლად ესახება, უმისობით ფიქრით იტანჯება. მოუწოდებს იმედს, გამოეცხადოს, მოეხვიოს, გაახაროს, გამოაცოცხლოს, რათა საშინელი უამინდობა განდევნოს, ქვეყანაში გამოიდაროს, ანუ ადამიანთა ცხოვრება და სამშობლო ელირსოს სიმშვიდეს, სიკეთეს, დიდებას:

„რად დამეკარგე იმედოჯან მაცოცხლებელო,
მომეხვიე, განმანათლე, სულის მტკბობელო!
უშენობას, ფიქრთა ტანჯვას, ვერ რა ედაროს,
გვეყოფა ჭექა, წვიმა, ღრუბელი, დრო არს იდაროს“.[1]

გიორგი შარვაშიძე არ ეგუებოდა უსამართლობას, რადგან იგი ტანჯვის მომტანი იყო. მათელი ცხოვრების მანძილზე ვერ დაამარცხა უსამართლობა, ველარ შეცვალა უკეთესობისკენ სოციალური გარემო: „უსამართლობის ცხოვრების ზღვაში შენ გერგო წილად მხოლოდ ტანჯვები“. საინტერესოა, რომ უღვთო ტანჯვაში ჩაძირულს გულში მაინც ენთო მოძმეთა სიყვარულის ლამპარი, მის კეთილ გულს „კაცთა სიავის მწარე იჭვები არ შეჰხებიან“. ჰგონია, რომ ამით დარჩება დაუვიწყარი, „ის გაანათებს შენსა წარსულსა“:

„და შენს სიცოცხლეს, უბედოს, მწარეს,
ძეგლი ხსოვნისა დაესვენება;
და შენს მოწყენილს, ღარიბს სამარეს
კურთხევის ცრემლი დაეწვეთება!“

მძიმე სოციალური და ეროვნული ჩაგვრის უღელქვეშ მგმინავი ხალხის მწუხარების შემყურე მგოსნის „გულს გარს ესევა შხამნაღველის, სევდის ქარი“, შიგ სავალალოდ რეკავს გლოვის ზარი:

„მარა როცა ჩემს ყურს ესმის
ჩაგრულ ხალხის მწუხარება
მიწას ალბობს უმართლობით
დანადენი მდუღარება“...

[1] საქ. მთავ. საარქ. სამმ. „საისტორიო მოამბე“, №31-32, თბ., 1875, გვ. 254.

როცა ესმის ჩაგრულ თანამემამულეთა კვნესა, „სულის მქენჯი, გულისმდაგი“, სურს ეს ყველაფერი პოეზიის საგნად აქციოს, თავისი შემოქმედების თემად გაიხადოს: „მაშინ მხოლოდ მხოლოდ მაშინ დაიკვნესებს ჩემი ჩანგი“. მას მამაპაპური „ვარადას“ „ღულუნი-სიმღერა“ მწუხარებაში ეშლება, მტირალი ჩვილის მაგვარ ქვითინად ჩაესმის, საწუთროს ვნებებმა ამოძირკვეს პოეტის სიხარული, საუბედუროდ ბოროტების გამკითხავიც არავინ ჩანს, თვითონ ღმერთიც კი („ყურსა არ უგდებს ცა რადა!“).

გიორგი შარვაშიძეს გული უკვდება, რომ გმირ ვაჟკაცებსაც შემოხვევიათ „ცხოვრების სულთა-მხუთავი გალია“. ყველგან „ღუღუნებს გლოვის ზარი“. ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი ურჩევნია: „ნეტავ ვინმემ დამკლას დანით, სისხლი ჩემი მოადინოს“... „სოფლის ბრუნვა“ მაცდურია, ზოგს სიხარულს ანიჭებს, ზოგს მწუხარების ცრემლში ამოახრჩობს. პოეტისთვის განსაკუთრებით დამტანჯველია „ჩრდილოეთისა სასტიკი ჩრდილი“, სწორედ მას მოაქვს „კვნესით, ღრიალით ცრემლნი გლოვისა“, სწორედ იქიდან ისმის „ჟღერა ბორკილებისა“. ამიტომ საბრალოდ ეჩვენება თავისი ქვეყანა, რადგან ჩრდილოეთიდან მონაბერმა სასტიკმა ქარმა მოხვეტა აქ „მუხთლობა გაუტანელი“, ბოროტება, უსინდისობა, უსამართლობა, კვნესა, ქვითინი, ოხვრა, ბორკილთა ჟღარუნი... გაუსაძლისი ვითარებიდან მგოსანი გამოსავალს რწმენაში და იმედში პოულობს, ხსნის და გადარჩენის პერსპექტივა ქრისტეს მოძღვრებაშია, მის მცნებასა და ჯვარშია:

„მაგრამ არა, ძმავ, გახსოვდეს
ქრისტეს მცნება და ჯვარია, —
იგი გიშველის, განკურნავს,
რაც ოდენ სატკივარია“.

ბუხართან ცეცხლის გიზგიზის შემყურე გიორგი შარვაშიძე ფიქრებს გადაჰყავს სარონინოდ „სატრფო მხარეში“ და ბედნიერ სიზმრებს მოაგონებენ: „ჰა, მეგობარი და ნაცნობები ყურსა მიტკბობენ ძვირფას ამბებით“, ანუგეშებენ, შთააგონებენ კიდეც: „მუდამის შრომით, გონების ხსნითა ევროპის ნათელს მივეახლენით“... ჩვენთვის აქ მთავარი არის შრომაზე აქცენტის გაკეთება. შრომაშიაო სწორედ გონების

ხსნა, ევროპის ნათელთან მიახლოების გარანტი, ჭორების, ყბედობისა და უგუნურებისაგან თავდაღწევის პერსპექტივა. ამავე ლექსში („ჩემსა სალამოს, გლახსა სააშოს“) ასევე ხაზი გაესმის ერთგულად მოძმეთა მსახურებას, რომლის დაკანონება ერთობ ცვლისო ადამიანს.

გიორგი შარვაშიძის ლირიკაში ბუნების თემაც თავის ადგილს იკავებს. ბუნებას იგი თვლის თავის აღმზრდელად: „ვუჭვრეტ ბუნებას ჩემსა აღმზრდელსა“. ამ მხრივ ინტერესს იწვევს ერთი უსათაურო ლექსი. პოეტი ბუნებას უწოდებს ძლიერს, საკვირველს, უცნაურს, უმიზეზოს, ცით მანათობელს, მჭკნარი მდელოს გასაცოცხლებლად ცვართა მფრქვეველს. ბოლოს კი უკვირს, რომ ამ მშვენიერ წუთისოფელში რატომ გადმოდის უბედობა:

„ოჰ, ბუნებავ, შენ ძლიერო,
მართალო და საკვირველო,
ცით გვინათებ და ცვარს აფრქვევ,
რომ აცოცხლო მჭკნარი მდელო.
უცნაურო უმიზეზო,
არ გექნების დასასრული,
მაშ, მიკვირს, რათ შენგნით სოფლად
უბედობა არს გამოსრული!“

ავტორის მიერ ბუნების დასახასიათებლად მოხმობილი ატრიბუტები საღვთისმეტყველო მწერლობიდან არის აღებული, მისი კატაფატიკურ-აპოფატიკური არსენალიდან. კერძოდ, ძლიერი, მართალი. საკვირველი ღვთის კატაფატიკური ატრიბუტებია, ხოლო უცნაური, უმიზეზო, უსასრულო – აპოფატიკური. ეს ყველაფერი და ბოლოს გამოთქმული გაკვირვება, რომ ამ წუთისოფელში უბედობა ბუნებიდან არის გადმოსულიო, ხომ არ გვაფიქრებინებს, რომ პოეტი „ბუნებაში“ ალეგორიულად ღმერთს მოიაზრებდეს. უფალს ვერ ჰკადრებს პირისპირ საყვედურს და სათქმელს ბუნების ხსენებით ხომ არ ფარავს. თუმცა ბუნებაც ხომ ღმერთის გაჩენილია და ამიტომაც შეეძლო მისთვის მიემართა ამგვარი ტონით.

ბოლოს კი მოკლედ შევეხებით დედაშვილური ურთიერთობის საკითხს გიორგი შარვაშიძის ქართულ ლირიკაში. „ვარადას“ ავ-

ტორს 1872 წელს სოფელ ჭკადუაშში დაუწერია ლექსი „მოგონება“. სწორედ ამ ნაწარმოებში იგონებს იგი მშობელ დედას. პოეტის დედაზე ვრცლად ვისაუბრეთ მისივე ბიოგრაფიაზე მსჯელობისას. გიორგი შარვაშიძის დედა ალექსანდრა (ცუცა) დადიანი იყო ნიკო დადიანის („დიდი ნიკო“) შვილიშვილი, კოწია დადიანის და. „მოგონებაში“ ვკითხულობთ:

„სადაცა ვსჭვრეტდი მშობელს დედასა,
დამდნარს საბრალოს, ხვედრად სამარის;
სად პირველ ცღვარე გულშეჭურვილმა
თვით უწრფელესნი ცრემლნი მწუხარის“.

სოლომონ ლეკიშვილის მიერ აღმოჩენილ გიორგი შარვაშიძის ვრცელ ლექსს ჰქვია „თეთრი ჩადრი“, რომელსაც სათაურის ქვეშ აწერია ფრჩხილებში — „რუსულით“. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ლექსის შინაარსი აღებულია რუსული ლიტერატურული სინამდვილიდან, თუმცა, სამწუხაროდ, წყაროს ვერ მივაკვლიეთ. მთავარია, რომ ის აფხაზი პოეტის კუთვნილებაა. ძალზე საინტერესო და ფილოსოფიური ძეგლია. მთავარი გმირი არის „ჰუნგარის კომსი“. იგი სატუსაღოშია ბორკილდადებული. ის არ შეგუებია თავისი სამშობლოს დამცირებას. სამშობლოსათვის გაჩაღებულ ბრძოლაში კომსი მეთაურობდა მტრის წინააღმდეგ მებრძოლთ. ბოროტებასთან ბრძოლისას იგი დაუჭერიათ და დაუტყვევებიათ კიდეც. იგი მაშინ ოცი წლისა ყოფილა, რომელსაც თოკით ჩამოხრჩობა ემუქრება. დედისერთა კომსს უჭირს მშობელთან გამოთხოვება. მას სიკვდილის იმდენად არ ეშინია, რამდენადაც უმძიმს დედის გამწარება შვილის სიკვდილის გამო.

სულიერად ძლიერი დედა ამშვიდებს განწირულ შვილს, აიმედებს სასახლეში წასვლით, რათა ითხოვოს მისთვის სასჯელის შემსუბუქება. იგი შვილს აფრთხილებს: როცა გამოგიყვანენ „მოედანზე დასასჯელისა“, იქ ვიქნები და შემომხედე: თუ შავით მოსილს მნახავ, „ნიშნად იქნება ჩემის გლოვისა, მაშინ კი, დედავ, ნუ შემიდრკები, მაგრის ბიჯითა დახვდი სიკვდილსა“. თუ მნახავ „ჩადრითა თეთრით მოსილსა“, იცოდე, რომ სიკვდილს გადარჩენილი ხარ.

დადგა საბედისწერო დრო, სახრჩობელაზე აჰყავთ კომსი, მან თვა-

ლი მოჰკრა თეთრით მოსილ დედას და იმედი მიეცა გადარჩენისა:

„რა დაინახა მან თვისი დედა
გულსა მიეცა ახლად იმედი:
უდრეკის ბიჯით ის შიშთვილზედა
ავიდა და წინ წახარა ქედი“...

კომსი სიკვდილს ღიმილით ხვდებოდა, რადგან ხსნის იმედი ჰქონდა. იგი სიცოცხლეს გამოასალმეს. რატომ მოიმოქმედა დედამ ეს ყოველივე, რატომ ჩაუსახა შვილს გადარჩენის იმედი, სიკვდილის წინ რატომ გამოეცხადა „თეთრი ჩადრით?“ ლექსის დასასრულს ირკვევა, რომ ეს დედამ საგანგებოდ მოიფიქრა, რათა საზარელი აღსასრულის ჟამს იგი არ შემდრკალიყო და მამაცურად დახვედროდა სიკვდილს:

„მაშ დედა თეთრში იყო რისთვინა?
კურთხეული არის ისგავსი ტყუილი!
რომ საზარელის სიკვდილის წინა
არ შემკრთალიყო მამაცი შვილი!“...

ეს არის გმირი დედის საქციელი. მან იცოდა, რომ კომსის სიკვდილიდან დახსნა შეუძლებელი იყო, ეამაყებოდა სამშობლოსთვის თავგანწირული შვილი და ერთი რამ ამაგრებდა: სიკვდილით დასჯის წინ კომსს შეენარჩუნებინა ვაჟკაცობა და მამაცობა, რომ ის ლაჩრულად არ დახვედროდა აღსასრულს. როგორ მოგვაგონებს კომსის დედის საქციელი ცხრა ძმა ხერხეულიძეთა დედის გმირობას.

ასეთია თვალის ერთი გადავლებით ის ძირითადი მოტივები, რითაც გარემოსილია გიორგი შარვაშიძის ქართული ლირიკის სამყარო.

გიორგი შარვაშიძის ქართული ლექსების მხატვრული აქსესუარი

როდესაც გიორგი შარვაშიძის პოეზიაზე ფიქრობ, გული გწყდება, ვინაიდან მისი პოეტური ნიმუშები ცოტა შემოგვენახა. ქართული ლექსების რაოდენობა 35-ს არ აღემატება, რუსული ლექსები კი მხოლოდ 12-ს ითვლის, ამას დამატებული მამია გურიელის „ადამი-

ანის“ თარგმანი. აფხაზურ ენაზე კი, საერთოდ, არ წერდა, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს. აქვე უნდა დასახელდეს დაუმთავრებელი პოემა „გვადანის ციხე“. გარდა ამისა, შემორჩენილია სამი დრამატული ნაწარმოები: „გიორგი მესამე“, „მომაკვდავნი სურათნი“ და „კომლი უცეცხლოთ“. ვერც პუბლიცისტურ წერილებს დავივიწყებთ, 14-მდე პუბლიცისტურ წერილს.

გიორგი შარვაშიძე 72 წლის ასაკში გარდაიცვალა. შემონახული ნაწერები ნათლად მიგვანიშნებს მის შემოქმედებით ენერგიაზე, რაც ეჭვს ბადებს, რომ ბევრი მისი ნაწარმოები დაკარგულია.

აკად. ს. ჯანაშიამ დიდი ამაგი დასდო გიორგი შარვაშიძის პიროვნებას და შემოქმედებას. იგი წლების მანძილზე სხვადასხვა ალბომებსა და საჯარო ჟურნალებში ეძებდა ამ დიდებული აფხაზის ნაწერებს. შეკრებილი ნიმუშები გამოაქვეყნა კიდეც ცალკე წიგნად არაჩვეულებრივი „კულტურულ-ისტორიული ნარკვევის“ დართვით, რომლის მოცულობა 80 გვერდს აღემატება. ამ დიდმა მეცნიერმა წიგნს დაურთო ასევე შენიშვნები და დამატებანი 14 გვერდის მოცულობით. როგორც ს. ჯანაშიამ გაარკვია, გიორგი შარვაშიძეს თავის სიცოცხლეში მხოლოდ სამი ლექსი გამოუქვეყნებია: „ჩემსა საღამოს, გლახსა საამოს (დაბეჭდილია „პონტოქსელის“ ფსევდონიმით, „გაზ. „დროება“, 1869, №17), „...ს („ხელთ ვიღებ ბოკალს“) დაბეჭდილია გაზ. „დროებაში“, 1870, 2, „გარდახვეწილის“ ფსევდონიმით, „რომ და მაგრამ“ (გამოქვეყნებულია „პონტოქსელის“ ფსევდონიმით, გაზ. „დროება“, 1882, №58).[1] რაც შეეხება პუბლიცისტურ წერილებს, ისინი თითქმის ყველა გამოქვეყნებულია სხვადასხვა პერიოდულ გამოცემებში.

ეტყობა, „უსამართლობის ცხოვრების ზღვაში“ ჩაფლულ გიორგი შარვაშიძეს არ აინტერესებდა თავისი პოეტური ქმნილების გამოქვეყნება. შესაძლოა არ აკმაყოფილებდა მისი დონე. მას ხომ ცხოვრება და მოღვაწეობა უხდებოდა სწორედ იმ პერიოდში, როდესაც ქუხდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და სხვ. ის

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, აკად. ს. ჯანაშიას რედაქციითა და ნარკვევით, თბ., 1985, გვ. 227.

ხომ აკაკის „შეგირდად“ თვლიდა თავს („რაც უნდა მითხრა, მეგობარო, მე, შენს შაგირდს, მაძლევს ლხენას“). შესაძლოა სტიმულიც არ ჰქონდა დაბეჭდვისა, რადგან „ჩრდილოეთისა სასტიკი ჩრდილი“ თავის მამულს სინათლეს უსპობდა. წერდა, ალბათ, მხოლოდ იმიტომ, რომ სევდა-ნაღველი ნაწილობრივ გაექარვებინა და გული გადაეყოლებინა. რაც არ უნდა მიზეზები ვეძებოთ გიორგი შარვაშიძის ნაწერების მცირე რაოდენობით მოღწევისა, ფაქტი ერთია, ეს ყოველივე „საწუხ არს“. თუმცა რაც გადარჩა და შემოგვენახა, „ამაზედაც მადლობა უნდა შევწიროთ უფალს.

ამჯერად გვინდა ვისაუბროთ გიორგი შარვაშიძის ქართული ლექსების გამომსახველობით საშუალებებზე. მის მხატვრულ სამყაროზე. მანამდე კი ორიოდე სიტყვით მწერლის ენაზე. ჩანს, რომ პოეტი ზედმიწევნით ფლობს ქართულ ენას. წმინდა ქართული სალიტერატურო ენით წერს ნაწარმოებებს, გათვითცნობიერებულია ძველ ქართულ ლექსიკურ ფონდში, ასევე დიალექტებშიც. მხედველობაში გვაქვს დასავლურ-ქართული დიალექტიზმები, ასევე აღმოსავლურ-ქართული, კერძოდ, ფშაური. მაგალითად: „წამს არ უშობენ“, „რომა უძრავად აქვე მყოფი ვარ“, „მარა ჩემს ქმარს მას ვერ დავმღერ“, „მარა როცა ჩემს ყურს ესმის“, „ხანდისხან დავიღუღუნო“, „ვერ გაიქუსლავ ტაიჭსა, ვერ დაიმუქრავ ქართულა“, „და სასოებით მას თვალი ვარე“, „ამაში მენდევ“, „სხვა ვიღანა ვთქვათ“, „მე შენს შაგირდს მაძლევს ლხენას“ და სხვ.

საინტერესოა, რომ გიორგი შარვაშიძის პოეტურ ლექსიკაში თავს არ იჩენს აფხაზური სიტყვები, მცირე გამონაკლისის გარდა: „ვარადა“ და „ლაშა“. „ვარადა“ ადიღურ-აფხაზური სიტყვაა და სიმღერას ნიშნავს. ზოგიერთ მეგრულ სიმღერაშიც იგი რეფრენად იქცა. მიაჩნიათ, რომ „ლაშა“ აფხაზური სიტყვაა და ლამაზს, მშვენიერს ნიშნავს. „ვარადა“ პოეტის შედევრული ლექსის სახელწოდებაა „ლაშა“ კი მხოლოდ ერთხელ გაიელვებს: „ზღვას გადაეკრა ზურმუხტი ლაშა და მის ციალზედ თეთრი კრავები აათამაშა“.

ძველი ქართული ენით მეტყველების იერი დაჰკრავს მთელ რიგ სტრიქონებს, არქაული სიტყვების გამოყენებით: „როგორც საფლა-

ვზედ მზე აღმოსრული“, „წამის ყოფით გაგიწყდება“, „რათ შენგნით სოფლად უბედობა არს გამოსრული“, „შენგან ყოფილა აღმორჩეული“, „რასაც ვნატრობდით, დაცავბადენით“, „გეტრფიან ყოვლნი მჭვრეტელნი“, „ჩვენთან შთებიან“, „დე, გხადოსთ, ძმებო, მან ბედნიერი“. „მხედარი შენებრ ვაჟაი, მარქვი, მეორე სად არი?“ „სპეტაკთა ფერხთა დასაბიჯებლად“ და ა.შ. ძველი ქართულის გაელენით ხშირია შემთხვევა მეშველი ზმნის „არის“ შეკვეცილი ფორმით ხმარება — „არს“: „ეს არს სიცოცხლე და უკვდავება“, „ეს არს კანონი გულთა ვნებისა. „უიმედობა არს გამოსრული“, მართალია, პოეტი არსად ხმარობს ნახევარხმოვანს, რომელიც მარცვლის შექმნას მოკლებულია. ავტორი კი იყენებს ისეთ ფორმებს, სადაც ი სახელობითი ბრუნვის ნიშანია და, ამდენად, ქმნის მარცვალს: „მხედარი შენებრ ვაჟაი“, „ტოლ-ამხანაგი ყველაი საიქიოსა წასულა“, „სამყაროისა ოთხ-კუთხივ ქართა“. საგულისხმოა, რომ რუსთაველსაც უხმარია თავის დროზე მსგავსი ფორმები: „მეორე ლექსი ცოტაი ნაწილი მოშაირეთა“, „ბედმან გვიყო ყველაკაი, ჩემო, რაცა დაგვემართა“.

დაკვირვებამ აჩვენა, რომ გიორგი შარვაშიძე არსად არ ხმარობს ბარბარიზმებს. საგულისხმოა, რომ პოეტი ვერ იტანდა ქართულ ენაში ბარბარიზმების დამკვიდრებას: „ქართული გაზეთები გაჟღენთილია კუპატსავით უცხო სიტყვებით. ხშირად შეხვდებით ისეთს სიტყვათშეწყობას, რომელსიც შვიდს სიტყვაში ოთხი არ არის ქართული“. ავტორი ხშირად სახელებს აზმნავებს: „შეშას ეხვევა, ემიჯნურება“, „ნახშირთა ტყორცნის და ემუქრება“, „ხან დამშვიდდება, ხან განაზდება“; „კვლავ საყვარელსა ეალერსება“, „ტვინს იმდიდრებენ, ვითარდებიან“, „ხტუნავს და ცელქობს, გალამაზდება“, „ცოცხალს მიცქერენ სიამოვნებით, მანუგეშებენ, თვით ნუგეშობენ“; „კეთილსა სცნობენ და ყვავდებიან“, „როგორც ცოტას გახშირდება“, „მეცე მომწამლავს“, „იკეკლუცე, ილაღობე წმინდის ფიქრით და გონებით“, „იმ თეთრ ნაკვეთით ჩამოღელვიან“ და ა.შ.

ხშირია მარცვალთა რაოდენობის დასაცავად სიტყვების შეკვეცის ფაქტები: „ნამდვილ მიეფრინდე, საც ფიქრითა ვარ“, „დარდის, ღიმილის და ვნებებთ წამნი“, „ვაჟკაც ვაგლახად დაბმულხარ“, „სუფთა

ნესტოებთ გაფეთქვა ნაზი“, „მე მომწონს წითელ ტუჩებთ ღიმილი“, „ახ! ნეტავ, ნეტავ, რად არ მასხს ფრთები“. არც თუ იშვიათად ერთ სიტყვაში თანაბრად იყრის თავს ებიანი და ნართანიანი მრავლობითი; „სიტყვას, პირობას შორის კაცებთა“, „როგორც კანონსა ცისა ეტლებთა“, „სუფთა ნესტოებთ გაფეთქვა ნაზი“. ასევე ტაეპში მარცვალთა რაოდენობის განსაზღვრულობის გამო ხშირად გვხვდება სიტყვების „როცა“, „როდესაც“ შეცვლა ფორმით „როს“: „როს სათამაშოდ ველს გავიდოდი“, „როს გამოდიხარ თამამ-თავხედი“, „როს ყორნის ბეჭზედ გეხვევა“, „როს სული სულსა უერთდებოდა“, „როს მათნი გმირულ მომართულ მშვილდნი“.

გრამატიკულად დაკანონებულია: მსაზღვრელ-საზღვრულის ერთად ბრუნებისას ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში ადგილი აქვს ნაწილობრივ შეთანხმებას, რაც გიორგი შარვაშიძის ლექსებში სრულიად იგნორირებულია. სრული შეთანხმების ხარჯზე, როგორც ეს გვაქვს სახელობით, მოთხრობით და წოდებით ბრუნვებში: „მიყვარს ბუტბუტი ჩემის ბუხარის“, „შენის ბრძანების მოსათხრობელად“, „სრულად მონების შენის მშვენების“, „მღელვარის წელთა რხევა“, „პირველის ტკბილის კოცნისა“, „მტირალის ჩვილის გვარადა“. გვაქვს ისეთი მაგალითებიც, სადაც მსაზღვრელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი ნათესაობით ბრუნვაში, როგორც ეს კანონზომიერია მიცემით და ვითარებით ბრუნვებისათვის: „შავ თვალებისა მლახვრელი ვნება“. ზოგჯერ მოქმ. ბრუნვაში მყოფ საზღვრულს მსაზღვრელი შეეწყობა ნათესაობითი ბრუნვის ფორმით სრული შეთანხმების სახით ნაწილობრივის ნაცვლად: „მე, აფხაზი, წრფელის გულით“, „გაუგებარის იდუმლობითა“, „მუდამის შრომით, გონების ხსნითა“.

გიორგი შარვაშიძის ქართული ლექსების შთაგონების წყაროა საქართველო (რომელსაც ხშირად „ივერიით“ მოიხსენიებს) მშობლიური აფხაზეთი. რაც არ უნდა გასაკვირველი იყოს, პოეტი არსად ახსენებს საკუთრივ „აფხაზეთს“, ან „აფხაზს“. სიყვარულის თემა ერთერთი წამყვანია მის პოეზიაში, ასევე ნაჩვენებია სოფლის წაღმა-უკუღმა ტრიალი, ბედზე ჩივილი, მისი თაობის სულიერი ბიოგრაფია, ბუნების თემატიკა. საკმაოდ აქვს ავტორს მიძღვნითი ხასიათის ლექსები. თვი-

თონვე უთითებს, რომ ზოგიერთი ნაწარმოები შეუქმნია ფშაურ ხმაზედ, „შორის გზიდან სატრფოს ველი“-ს ხმაზე, ვ. ჰიუგოს მიბაძვით („რომ და მაგრამ“). ერთ-ერთი ლექსის სათაურია „პუშკინიდან“.

ამჯერად გვაინტერესებს, გიორგი შარვაშიძე სათქმელს რამდენად ასხამდა პოეტურ ფრთებს, შესაფერისად ახვევდა თუ არა მხატვრულ სამოსელში, რამდენად ორიგინალურია მისი პოეტური წარმოსახვანი. წინასწარ ვიტყვით, რომ ამ მხრივ მკითხველი დიდ მოულოდნელობებს არ უნდა ელოდოს, განსაკუთრებულ სიახლეებს ვერ ეზიარება, საკმაოდ შეამჩნევს ქართული ლიტერატურული ტრადიციების გაელენას შუა საუკუნეებიდან მოკიდებული XX ს. დასაწყისამდე. ქვემოთ გვინდა ვიმსჯელოთ პოეტის მიერ გამოყენებულ მხატვრულ ხერხებზე, ტროპის ისეთ სახეებზე, როგორიცაა: მხატვრული შედარება, მეტაფორა, ეპითეტი, გაპიროვნება. განსაკუთრებით ამ პოეტური ხერხებით ცდილობს შემოქმედი სათქმელის მხატვრულ ფერებში წარმოჩენას.

გიორგი შარვაშიძის მიერ გამოყენებული მხატვრული ხერხებიდან მეტი ხვედრითი წილი მოდის მხატვრულ შედარებაზე. ვერ ვიტყვით, რომ პოეტი იჩენს აქ დიდ ოსტატობას, გონწვარმტაც ორიგინალობას. თუმცა გამოირჩევიან უბრალოებით, ადვილად აღსაქმელნი არიან, არ აკლიათ ექსპრესიულობა, ემოციურობა, ესთეტიკურობა. შედარებანი პოეტს სჭირდება ადამიანის გარეგანი და სულიერი მდგომარეობის წარმოსახავად, საგნის, მოვლენის მეტყველ ფერებში დასახატავად ემოციური დატვირთულობით. პოეტის მიხედვით. უმეტესწილად სჭარბობს მარტივი შედარების ნიმუშები, იშვიათად გვხვდება გაშლილი ან ორმხრივი შედარებანი, რითაც შესაძლებელი ხდება ასახვის ობიექტის სრული დახასიათება. ასევე ნაკლებად მოგვეპოვება ჰიპერბოლური, სიმბოლურ-ალეგორიული შედარებანი. ქვემოთ გავეცნობით გიორგი შარვაშიძის ქართული ლექსების მხატვრული შედარების სათანადო ნიმუშებს.

ჯერ გავეცნოთ მხატვრული შედარების შინაარსს და ფუნქციებს. როგორც შესადარებელი, ისე შედარებული საგნები გიორგი შარ-

ვაშიძეს გამოუყენებია ფიზიკური საგნების სახით, კონკრეტულთან ერთად აბსტრაქტულ არსებით სახელებსაც ვხვდებით. გავეცნოთ შესადარებელ-შედარებულ საგანთა ნიმუშებს: „როს სულით წმინდით ამაღლებულნი, სახით წყნარით, ლომებრ გულითა, ტურფა ვაჟნი ხმალ-გაშიშვლებულნი თავს გეევლებოდნენ სიყვარულითა“, „კაცის გული, როგორც მარტი, შეიცვლება ხოლმე ხშირად“, „ტრედსა სჯობიხარ გრძნობითა. აუქმე ბულბულთ სტვენაო“; „ცხოვრება თელილს უნდა მთენოდა, როგორც საფლავზეც მზე აღმოსრული“, „ციცი ბუნება თამოწონებით, ვითა ზღვის ღელვა, ჰკივის, ღრიალებს“, „ვითა ვარსკვლავი განშორებული, შორით ბრწყინავხარ და შორსა ნათობ“; „დაო კატო! ვით პეპელა დაჰფრინავ და დარდიმანდობ“, „ისა ჰგავს დედის საფლავზეც ობლისა მოთქმას მწარადა, კვნესის და კვნესის, ქვითინებს, მტირალის ჩვილის გვარადა“; „ვაჟკაც ვაგლახად დაბმულხარ, ვითა კაკაბი მახითა“ (შდრ. რუსთაველი: „ყმა გარდაიჭრა, დააბა, ვითა კაკაბი მახესა“), „და მათი შუქისმფენი თვალები იმათ სხივებსა ედარებიან“; „ზედ მოსთქვამს, ზედან ღუღუნებს, ვითარ გლოვისა ზარია“, „როგორც ფოლადში ოქროს ზარნიში, ქართველთა გულში ჩაჭედილია“; გრძნობა თუნდ სცვალოს მან, ვით ქარია“.

როგორც დავინახეთ, შედარების ობიექტად პოეტს უხმარია: ქარი, მარტი, ლომი, სხივები, ხატი, კაკაბი, პეპელა, ღვარი, ვარსკვლავი, ზღვის ღელვა, მზე, მტრედი, ობლის მოთქმა, გლოვის ზარი, ოქროს ზარნიში. შესადარებელი საგნები: გული, გრძნობა, რწმენა, ქარი, მამულიშვილი, თვალები, ვაჟკაცი, სიმღერა, კატო, სატრფო, ცრემლის წყარო, ცხოვრება, მომღერალი ქალი, ბუნება.

სულიერი საგნის სულიერთან შედარების ნიმუშებია: „როს სულით წმინდით ამაღლებულნი (იგულისხმებიან ნამდვილი მამულიშვილნი), სახითა წყნარით, ლომებრ გულითა“; „ტრედსა სჯობიხარ გრძნობითა (მიემართება მომღერალ ქალს), აუქმე ბულბულთ სტვენაო“; „დაო, კატო! ვით პეპელა დაჰფრინავ და დარდიმანდობ“; „ვაჟკაც ვაგლახად დაბმულხარ, ვითა კაკაბი მახითა“; უსულო საგანი შედარებულია უსულოსთან: „და მათი შეუქისმფენი თვალები იმათ სხივებსა ედარებიან“, „ვით წვიმის ღვარი გამხმარსა მდელოს, აგრეთ გულს მირწყავს

ცრემლისა წყარო“; „ცივი ბუნება თავმოწონებით ვითა ზღვის ღელვა, ჰკივის, ღრიალებს“; „გრძნობა თუნდ სცვალოს მან, ვით ქარია“; „და ეს ანდერძი აღმაფრთოვანი შენის ერისგან დალოცვილია, როგორც ფოლადში ოქროს ზარნიში, ქართველთა გულში ჩაჭედილია“.

სულიერი საგანი შედარებულია უსულოსთან: „ვითა ვარსკვლავი განშორებული, შორით ბრწყინავხარ (მიემართება სატრფოს) და შორსა ნათობ“; „ოღონდ ესა მსურს: როგორც სნეული დასცქერის ხოლმე ყვავილს დაშლილსა, ესრე თვალები, ცრემლის ჩვეული, შენის ნახვითა მე მოვასვენო“.

კონკრეტული საგანი შედარებულია კონკრეტულთან. „დაო კატო! ვითა პეპელა დაჰფრინავ და დარდიმანდობ!“ „ვაჟკაც ვაგლახად დაბმულხარ, ვითა კაკაბი მახითა“; „და მათი შუქისმფენი თვალები იმათ სხივებსა ედარებიან“; „ცივი ბუნება თავმოწონებით, ვითა ზღვის ღელვა, ჰკივის, ღრიალებს“; „რის სულით წმინდით ამაღლებუნი (იგულსხმება ქვეყნის პატრიოტები), სახითა წყნარით, ლომებრ გულითა“; „ვით წვიმის ღვარი გამხმარსა მდელოს, აგრეთ გულს მირწყავს ცრემლისა წყარო. ვითა ვარსკვლავი განშორებული, შორით ბრწყინავხარ (მიჯნურზეა საუბარი) და შორსა ნათობ“; „როგორც სნეული დასცქერის ხოლმე ყვავილს გაშლილსა, ესრე თვალები, ცრემლის ჩვეული, შენის ნახვითა მე მოვასვენო“.

აბსტრაქტული ცნება შედარებულია კონკრეტულთან: „კაცის გული, როგორც მარტი, შეიცვლება ხოლმე ხშირად“, „რაცა დღეს სწამს, როგორც ხატი, ხვალ ის გაუხდება ჭირად“; „ოხ, თუ მცოდნოდა, რომ სიყვარული ცხოვრება თელილს უნდა მთენოდა. როგორც საფლავზედ მზე აღმოსრული“.

აბსტრაქტული ცნება შედარებულია აბსტრაქტულთან. „მათ ნაოხარსა, ტიალზედ, ზუზუნით დადის ქარია, ზედ მოსთქვამს, ზედან ღუღუნებს, ვითა გლოვისა ზარია“; „ისა ჰგავს („ღუღუნი – სიმღერა“) დედის საფლავზედ ობლისა მოთქმას მწარადა. კენესის და კენესის, ქვითინებს მტირალის ჩვილის გვარადა“; „გრძნობა თუნდ სცვალოს მან, ვით ქარია, ოღონდ მოხიბლვა ჰქონდეს ძლიერი“.

ორიოდე სიტყვით შევეხებით მხატვრული შედარების ფორმას.

გიორგი შარვაშიძის ქართული ლექსებისათვის უფრო მეტად დამახასიათებელია მარტივი შედარების ნიმუშები: „როს სულით წმინდით ამაღლებულნი, სახითა წყნარით, ლომებრ გულითა“, „ცივი ბუნება თავმოწონებით, ვითა ზღვის ღელვა, ჰკივის, ღიალებს“, „და მათი შუქისმფენი თვალები იმათ სხივებსა ედარებიან“, „ვაჟკაც ვაგლახად დაბმულხარ, ვითა კაკაბი მახითა“, „დაო კატო! ვით პეპელა დაჰფრინავ და დარდიმანდობ“ და ა.შ.

ძალზედ იშვიათად მიმართავს პოეტი გაშლილ-გავრცობილ შედარებას, რომლის დროს მოცემულია საგნის თუ მოვლენის სრული დახასიათება: „ოღონდ ესა მსურს: როგორც სნეული დასცქერის ხოლმე ყვავილს გაშლილსა, ესრე თვალები, ცრემლის ჩვეული, შენის ნახვითა მე მოვასვენო“; „ვით წვიმის ღვარი გამხმარსა მდელოს, აგრეთ გულს მირწყავს ცრემლისა წყარო, ვითა ვარსკვლავი განშორებული, შორით ბრწყინავხარ და შორსა ნათობ“; „ისა (სიმღერა) ჰგავს დედის საფლავზედ ობლისა მოთქმას მწარადა“, „ზედან ღუღუნებს, ვითარ გლოვისა ზარია“, „ცივი ბუნება თავმოწონებით, ვითა ზღვის ღელვა, ჰკივის“...

პოეტური შედარება გადმოცემულია ზმნების შემცველი კონსტრუქციებით: „ისა (სიმღერა) ჰგავს დედის საფლავზედ ობლისა მოთქმას მწარადა“, „და მათი შუქისმფენი თვალები იმათ სხივებსა ედარებიან“.

შედარების გამოსახატავად გამოყენებული კავშირები. ვით, ვითა: „ცივი ბუნება თავმოწონებით, ვითა ზღვის ღელვა, ჰკივის“... „ვაჟკაც ვაგლახად დაბმულხარ, ვითა კაკაბი მახითა“, „დაო კატო! ვით პეპელა დაჰფრინავ“... „გრძნობა თუნდა სცვალოს მან, ვით ქარია“, „ვით წვიმის ღვარი გამხმარსა მდელოს... „ვითა ვარსკვლავი განშორებული“...

ვითარ: „ზედ მოთქვამს, ზედან ღუღუნებს, ვითარ გლოვისა ზარია“

როგორც: „როგორც სნეული გასცქერის ხოლმე ყვავილს გაშლილსა“, „როგორც საფლავზედ მზე აღმოსრული“, „კაცის გული, როგორც მარტი, შეიცვლება“... „რაცა დღეს სწამს, როგორც ხატი“, „როგორც ფოლადში ოქროს ზარნიში“.

თანდებული ებრ: „როს სულით წმინდით ამაღლებულნი. სახითა წყნარით, ლომებრ გულითა“.

ახლა გავეცნოთ პრეპოზიციური შედარების ნიმუშებს: „როგორც სნეული დასცქერის ხოლმე ყვავილს გაშლილსა“, „როგორც ფოლადში ოქროს ზარნიში“, თვით წვიმის ღვარი გამხმარსა მდელოს“, „ისა ჰგავს დედის საფლავზედ ობლისა მოთქმას მწარადა“.

პოსპოზიციური შედარებანი: „ცივი ბუნება თავმოწონებით, ვითა ზღვის ღელვა, ჰკივის“, „და მათი შუქისმფენი თვალები იმათ სხივებსა ედარებიან“, „ვაჟკაც ვაგლახად დაბმულხარ, ვითა კაკაბი მახითა“, „დაო კატო! ვით პეპელა, დაჰფრინავ“, „გრძნობა თუნდა სცვალოს მან, ვით ქარია, ღულუნებს, ვითარ გლოვის ზარია“, „კაცის გული, როგორც მარტი“..., „რაცა დღეს სწამს, როგორც ხატი“, „ამაღლებულნი სახითა წყნარით, ლომებრ გულითა“.

გიორგი შარვაშიძის ლექსების პოეტურ სემანტიკაში აქტუალობით გამოირჩევა ეპითეტი. გვხვდება ლოგიკური და მხატვრული განსაზღვრებანი. კუთვნილი ადგილი ეთმობა მარტივ, რთულ, მუდმივ, ნეიტრალურ, მაქებელ, მაძაგებელ, ფსიქოლოგიურ ეპითეტებს. ამასთანავე, მოგვეპოვება ფერის, გემოვნების გამომხატველი ეპითეტები. პოეტის ქართული ლექსებიდან ამოვწერეთ ყველა ლოგიკური და მხატვრული განსაზღვრების შემცველი ნიმუშები და დავალაგეთ ანბანის რიგის მიხედვით. მისი გაცნობისას მკითხველი თავადვე განარჩევს ზემოთ დასახელებულ ეპითეტთა სახეებს: ამაო, ამაყიანი, ამაღლებული, აღელვებული, აღმაფრთოვანი, აღტაცებული; ბედკრული, ბედნიერი; გამომხატველი, გამოუთქმელი, გაქრალი, გაუტანელი, გაშიშვლებული, განშორებული, გაჩუმებული, გაცხელებული, განფანტული, გულიწმინდა, გულშეჭურვილი; დალოცვილი, დამჭკნარი, დაცივწყებული, დაუცივწყარი, დაფიქრებული, დაღლილი, დაღონებული; ზნეობრივი; თავგანწირული, თბილი; კეთილი, კეკლუცი; ლამაზი, ლმობიერი; მაღალი, მრთელი, მდუღარე, მხიარული, მწარე, მწველი, მამაპაპური, მართალი, მჭკნარი, მშვენიერი, მშვიდი, მშვიდობიანი, მოწყენილი; ნაზი, ნაოხარი, ნაცნობი; ოხერი; საცოდავი, საკვირველი, სუსტი, სნეული, საწყალი, სპეტაკი, სულმნათი; ტიალი, ტკბილი,

ტურფა; უმანკო, უხვი, უცნაური, უმიზეზო, უცვალი, უწრფელესი, უწყალო, უცნობი, უბრალო, უმსგავსო, უშრეტი, უბედო, ფუჭი, ქებული, ღარიბი; შავი, შუქისმფენი; ცბიერი, ცივი, ციური; ძვირი, ძვირფასი, ძლიერი; წითელი, წმინდა, წრფელი; ხნიერი, ხუჭუჭა.

გიორგი შარვაშიძის ლექსების მეტაფორული სტილი თავს დაგამახსოვრებს. ავტორს წარმატებით ეხერხება მეტაფორულად აზრის გამოხატვა. გარკვეულ მომენტებში მისი მეტაფორული აზროვნება გამონაშუქია ქართული ლიტერატურული ტრადიციებისა. სამეტაფორო სახეთაგან გამოვყოფთ: ვარსკვლავი, ლამპარი, ბროლი, კრავი, ყვავილი და სხვ. გავეცნოთ ცალკეულ ნიმუშებს:

„მე მომწონს წითელ ტუჩებთ ღიმილი
გაუგებარის იდუმლობითა,
მე მომწონს მათ ქვეშ ბროლი წყობილი,
თითქო გათლილი ხელოვნებითა“.

მკითხველს არ უჭირს მიხვედრა, რომ „ბროლი წყობილი“ ლამაზი ქალის თეთრი, ქათქათა კბილებია. ბროლის მეტაფორა აქ „ვეფხისტყაოსნის“ ანარეკლია:

„ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა,
ბროლ-ბალახშისა თლილისა, მით მიჯრით მიწყობილისა“.

„ბაგეთათ ვარდსა ანათობს ბროლი ძოწისა ძირითა“.

გიორგი შარვაშიძეს აქვს ერთი მშვენიერი ლექსი „გასათხოვარს“. იგი ეძღვნება გასათხოვარ ლამაზ ქალს. მასში სხვა მხატვრულ ხერხთან ერთად მეტაფორაც გაიელვებს: „როს ყორნის თმები ბეჭზედ გეხვევა და უხვად ღელავს მაღალი მკერდი“. „ყორნის თმები“ მეტაფორულად შავ თმებს განასახიერებს და აქაც ცხადდება შეხმიანება რუსთაველთან: „ავთანდილ დაჯდა ტირილად, ტირს ხმითა შვენიერითა, ყორანსა გაჰგლეჯს ხშირ-ხშირად, აფრთხობს ბროლისა ჭერითა“. „ყორანი“ ამ ტაეპში შავი თმის მეტაფორაა.

ერთი სატრფიალო ხასიათის უსათაურო ლექსს პოეტი ასე იწყებს: „ედემის ბაღის ყვავილო, ვაჰ, თუ სხვისთვის იკვირტები“. ცნება „ედემი“ ასოცირდება ბიბლიასთან: „დაასხა ღმერთმან სამოთხე ედემისა აღმოსავლით და დადვა მუნ კაცი იგი, რომელ შექმნა“ (დაბ.

2, 8). სულხან-საბა ორბელიანს მოუსმინოთ: „წალკოტი მშვენიერი, გინა ფუფუნება, გინა ყვავილთა მტილი, რომელ დაასხა უფალმან აღმოსავლისა მხარესა ქუეყანასა ზედა“. ეჭვი არ არის, რომ გიორგი შარვაშიძე თავის სატრფოს მეტაფორულად გაიაზრებს, როგორც ბიბლიური სამოთხის ბაღის ყვავილად, მისი უმანკოებისთვის საზგასასმელად. თუმცა ბაღის ყვავილად სატრფოს წარმოსახვა ორიგინალური არ არის. პოეტი ამ სახეს სათანადო წყაროების გათვალისწინებით ქმნის. სასულიერო მწერლობაში „ყვავილი“ ქრისტიანული სიმბოლიკითაა დატვირთული: „განვლო დღეს ბეთლემს სამოთხე, მოვედით, გემო ვიხილოთ ხისა მისა მის ცნობადისა, რომელ არს ქრისტე, სალმრთო იგი ყვავილი“.[1] „რამეთუ აღმოსცენდი შენ ყუავილად ძირთაგან იესესთა, ესაიას მიერ ქადაგებითა“. საერო მწერლობაში, ხალხურ სიტყვიერებაში „ყვავილი“ ლამაზი ქალის ან მიჯნურის მეტაფორაა და საილუსტრაციო სათანადო ნიმუშების მოტანა შორს წაგვიყვანდა.

ასევე ქალის მშვენიერების მეტაფორად მოჩანს „ვარსკვლავი“: „რა შეღამდება, მუნ ვარსკვლავები იმ ქვეყნის (უცილობლად აფხაზეთს გულისხმობს ავტორი) ქალებს ეჯიბრებიან“; ან კიდევ:

„არა, მერწმუნე, — ჩემი ვარსკვლავი
სიჭაბუკისა ჩემის მნათობი
ამ ობოლ სულთან არის უკვდავი,
მოგონებითა მისი დამტკბობი“.

მიჯნურის, ან ულამაზესი ქალის მეტაფორად „ვარსკვლავის“ ბრწყინვა გიორგი შარვაშიძის დროისათვის ახალი არ იყო მწერლობაში. ლამპრის მეტაფორაც უხმარია პოეტს: „როს ათინელთა მეცნიერების ლამპარი მაინც გაანათებდა“; კაცთა სიავის მწარე იჭვები არ შეჰხებიან შენს კეთილ გულსა, რომელშიდაც ძმათ სიყვარულსა ენთო უშრეტი, წმინდა ლამპარი“.

გიორგი შარვაშიძის ლექსებში საკმაოდ გვხვდება ორიგინალური, შთამბეჭდავი მეტაფორები. სამაგალითოდ ერთი საილუსტრაციო მასალაც იკმარებდა:

[1] მიქაელ მოდრეკილის ჰიმნები. თბ., 1978, გვ. 304.

„მზე გადიხარა, დაბერა ქვენით,
ზღვას გადაეკრა ზურმუხტი ლაშა
და მის ციალზედ ღუთუნით, სტვენით
თეთრი კრავები აათამაშა“.

ამ სტროფთან დაკავშირებით მართებულად შენიშნავს ელ. თავბერიძე: „ბუნების სურათის იშვიათი აღწერაა, დინამიურობით, ლაკონურობით გამორჩეული. კითხულობ და თითქოს თვალწინ ცოცხლდება, უფრო ზუსტად, შენს თვალწინ იხატება მშვენიერი პეიზაჟი. თეთრი კრავები და მათი ათამაშება ისე მოულოდნელი და ზუსტი მეტაფორაა, თითქოს ღრუბლების ამოძრავებას ხედავ“.[1]

ახლა კი მხოლოდ დავაფიქსირებ მეტაფორებით შეფერილ ნიმუშებს: „თუმცა ჩემს გულს გარს ესევა შხამ-ნაღველის, სევდის ქარი“; „მაგრამ გრძნობა შემოღობე, არ გჯეროდეს სიყვარული“; „იქ სინიდისის ციური ალი ცივსა განსჯასა სულ ჩაუქრია“; „შენი შვენების სუსტსა ნახატსა აწ წყლულსა გულზედ მუდამ ვატარებ“; „გზა იმედისაც ბნელით ხშულია“; „მის დროს ქალებსა ჩრდილი დაჰფინა და ყმაწვილ-კაცებს — მთვარის შუქია“; „უსამართლობის ცხოვრების ზღვაში შენ გერგო წილად მხოლოდ ტანჯვები“; „გეტრფიან ყოვლნი მჭვრეტელნი, ახლო ვარდნიცა ჭკნებიან, იქნებ ბულბულნიც მრავალჯერ შენის ეშხითა კრთებიან, ოღონდ მე შორს ვარ ტრედზედა, ბულბულნიც აღარ მხვდებიან“; კიდევ ერთი ტკივილიანი მეტაფორა:

„ჩრდილოეთისა სასტიკი ჩრდილი,
ჰოი, მამულო, სინათლეს გისპობს.
მხოლოდ ელბუზი, ლაღად აყრდნილი,
მოხუცის თავით წყვდიადსა აპობს“.

არც თუ იშვიათად მიმართავს „ვარადას“ ავტორი გაპიროვნების ანუ პერსონიფიკაციის, როგორც მხატვრული გამოსახვის ხერხს, რითაც ერთგვარად აძლიერებს თავისი პოეტური სამყაროს ემოციურობას, სახეობრიობას, ესთეტიკურობას. გავეცნოთ შერჩეულ ნიმუშებს:

„და ერთის ხმითა ზღვა, მიწა, ტყე, ხე

[1] ელ. თავბერიძე, უბედო მამულის ყმა, წიგნში: გ. შარვაშიძე, თხზულებანი, II, თბ., 2006, გვ. 213.

ჩემთან იმღერდნენ განგების ქებას“;
„მაშინ ფიქრები შორს წამიღებენ,
სატრფო მხარეში მარონინებენ“;
„მათ ნაოხარსა, ტიალზედ,
ზუზუნით დადის ქარია“,
„და რაღაც გრძნობა, დიდი ხნით მკვდარი,
თითქოს შეწუხდა ჩემს საწყალ გულში“...

გიორგი შარვაშიძემ პონტოქსელის ფსევდონიმით 1869 წელს გაზ., „დროება“-ში (№17) გამოაქვეყნა დიდებული ლექსი „ჩემსა საღამოს, გლახსა საამოს“. პოეტიკური სტილისტიკის ერთ-ერთი საინტერესო სახის გაპიროვნების საფუძველზე აუგია პოეტს ეს ლექსი. მასში ბუხარი, ალი, გრძნობა გაპიროვნებაში წარმოდგენილია, როგორც ადამიანი, რომელსაც შეუძლია ბუტბუტი, ხვევნა, გამიჯნურება, დამუქრება, შემოსვა, ხტუნვა, ცელქობა, განაზება, გალამაზება, ალერსი, ნუგეშისცემა და ა.შ. უმჯობესია ამ ლექსიდან გავიცნოთ ყველა სტრიქონი, რომელიც გაპიროვნებითაა გაჯერებული:

„მიყვარს ბუტბუტი ჩემის ბუხარის
ვუჭვრეტ, ვით ალი დუდუნით, ფეთქით
შეშას ეხვევა, ემიჯნურება,
ხან გაჯავრებით, ტკლეცით და ხეთქით,
ნახშირთა ტყორცნის და ემუქრება;
ხან დამშვიდდება და განაზდება,
ლაჟვარდ ძოწითა შეიმოსება,
ხტუნავს და ცელქობს, გალამაზდება,
კვლავ საყვარელსა ეალერსება.
მიღიმდებიან წრფელი გრძნობები,
ცოცხალს მიცქერენ სიამოვნებით,
მანუგეშებენ, თვით ნუგეშობენ,
უსაქმოდ, ფუჭად წამს არ უშობენ,
ტკვინს იმდიდრებენ, ვითარდებიან.
ვითომც მეტყვიან: „ჰა, ძმაო, ცდითა
რასაც ვნატრობდით, დაცავბადენით,

მუდამის შრომით, გონების ხსნითა,
ევროპის ნათელს მივეახლენით“...[1]

მკითხველის ყურადღებას მივაპყრობთ გიორგი შარვაშიძის ლექსს „რომ და მაგრამ“, რომელიც დაუწერია ვ. ჰიუგოს მიბაძვით. გამოუქვეყნებია იგი 1882 წელს გაზ. „დროება“-ში (№58). ლექსის პირველი ნაწილი მთლიანად დაფუძნებულია გამოსახვის ისეთ სტილისტიკურ ხერხზე, როგორიცაა ჰიპერბოლა. მისი მაღალპოეტურობა მისივე მხატვრულ ზომიერებაშია. ლექსი ეძღვნება სატრფოს, რაც კიდევ უფრო აძლიერებს წარმოსახვის ემოციურ მომენტს:

„ზეცად ღრუბელთა, რბილად გროვილთა,
სასხდომლად ტახტად აგებ გკადრებდი;
გვირგვინად მზესა თავს გადადგმიდი,
ვარსკვლავებითა გათამაშებდი;
სპეტაკთა ფერხთა დასაბიჯებლად
მოგიგორებდი სავსე მთვარესა;
შარასა რძისას მდინარედ ვხდიდი,
მით მოგირწყავდი არე-მარესა;
მეხსა გახმარდი ნაცვლად კვერთხისა,
ცისარტყელასა წელზედ საბმელად,
სამყაროისა ოთხ-კუთხივ ქართა
შენის ბრძანების მოსათხრობელად“.

გიორგი შარვაშიძეს ეხერხება გონივრული ჩანაფიქრის მოსწრებულად გამოსახვა, ბრძნული აზრის პოეტური ფორმულის სახით გადმოცემა. აზრის აფორისტულად გამოხატვა. პოეტს ძალუძს ცალკეულ ტაეპებში ან მთელი სტროფის საშუალებით. თუ მისეულ აფორიზმში სხვისი გავლენა ჩანს, იქვე თავად გვხდის ინფორმირებულს. მაგალითად:

„მაშ, ვფიქრობ, მოვკვდე სჯობია,
სიცოცხლე რა სახმარია?
ცოცხალი ლეში, თქმულაო,
მკვდარზედაც უფრო მკვდარია“.

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 80-81.

„თქმულაო“-ში პოეტი გულისხმობს უსათუოდ ვაჟა-ფშაველას შესაბამის აფორიზმს. გიორგი შარვაშიძის ქართული ლექსებიდან ამოწერილი აფორისტული სიტყვა-თქმანი შთამბეჭდავია და ღირს დამახსოვრებად:

„ფუტკარმაცა იცის კბენა,
მაგრამ თაფლის გამჩენია“;
„ვინღა იხილოს ორჯერ სიცოცხლე,
ორ გზობა შეშა რარიგ დაიწვას?“
„ასეთია სოფლის ბრუნვა:
ზოგს ახარებს, ზოგს კი არა;
არას გარგებს ბედზედ მდურვა,
თუკი ერთხელ ჩაიარა“;
„რად ვარგა უმსგავსო ქება,
გინებად ჩაითვლებიან“;
„იმას არავინ ინატრებს,
რასაც ვერ შესწვდებიან“;

მიმზიდველია სიყვარულის გრძნობაზე თქმული აფორიზმი, რომ მიჯნურობა არის ორი სულის ერთი ფიქრი, ორი გულის ერთი ფეთქვა. ეს აფორიზმი მოგვაგონებს იოანე ოქროპირის სიტყვებს მეგობრობაზე: „მეგობარი ეს არის ორ სხეულში ერთი სული“. ახლა კი წავიკითხოთ „ვარადას“ ავტორის აფორისტული გამოთქმა სიყვარულზე, რომელიც დიალოგის რეჟიმშია გაცხადებული:

— „გულო, რა არს სიყვარული?“
მსურდა შენთვის ხშირად მეთქვა“.
— „ორი სულის ერთი ფიქრი,
ორი გულის ერთი ფეთქვა!“

რამდენიმე სიტყვა გიორგი შარვაშიძის ლექსის ფორმაზე. სამი ნაწარმოები შექმნილია რუსთველური შაირის მეტრით, კერძოდ, დაბალი შაირით. „ვეფხისტყაოსანში“ შაირის სტროფი ოთხტაეპიანია ანუ კატრენული. დავით გურამიშვილმა დაარღვია ეს კანონი. მისი ზოგიერთი ლექსი, რომელიც თექვსმეტმარცვლიანი საზომითაა დაწერილი. 5-ტაეპიანი სტროფის შემცველია. იგივეს იმეორებს გიორგი შარვაშიძეს ორ ლექსში: „ერთ მომღერალ ქალს“,, „პასუხის პასუხი“.

ხოლო ლექსი „პასუხი გიორგი შარვაშიძეს“ 6-ტაეპიანი სტროფისგან შედგება. გავეცნოთ 5-ტაეპიანი სტროფის ნიმუშს:

„მხოლოდ შენ ერთო, მხოლოდ შენ, სულისა აღმაფრენაო!
არ საღმუისოთ საყურე, ზეცისა ჰანგთა სმენაო;
ტრედსა სჯობიხარ გრძნობითა, აუქმე ბულბულთ სტვენაო...
უმსგავსოს – შენდა საქებრად რად მარგა მსგავსი ენაო!
აწ სულ დამეხშო გონება, დამრჩა-ღა ცრემლთა დენაო!“

გიორგი შარვაშიძის პოეზიაში, კერძოდ ქართულ ლექსებში, მოგვეპოვება 17 ნაწარმოები, რომელიც ათმარცვლიანი საზომითაა დაწერილი. აკ. გაწერელია შენიშნავს, ათმარცვლიანი საზომები უმთავრესად ოცმარცვლიანი ქორე-დაქტილური ლოგაედის ნახევარტაეპების სახითაა გავრცელებული ქართულ ლექსში. აღორძინების ხანის პოეტებმა (თეიმურაზ პირველი არჩილ ბაგრატიონი, ვახტანგ მეექვსე) შავთელური და ჩახრუხაული ოცმარცვლიანი და შინაგანრითმიანი ლოგაედის ნახევარი (10-მარცვლიანი) ტაეპი აღადგინეს. თანდათან 10-მარცვლიანი საზომი დამოუკიდებელ ინტონაციურ თვისებებს იძენს. გიორგი შარვაშიძის 10-მარცვლიან მეტრს მიღებული აქვს მწყობრი, დამოუკიდებელი და ჩამოყალიბებული სახე. ლექსში შემავალი ყველა სტროფი მხოლოდ 4-ტაეპიანია, გარდა ერთისა – „აკაკის“, რომლის პირველი სტროფი 5-ტაეპიანია, დანარჩენი კი – ოთხტაეპიანი. ლექსების უმეტესი ნაწილი (17-დან) ჯვარედინ რითმაზეა გაწყობილი, გარკვეული ნაწილის მხოლოდ მეორე ტაეპი ერითმება მეოთხეს, პირველი ტაეპი კი არ არის გარითმული მესამესთან.

„ვარადას“ ავტორს 11 ლექსი აუგია 8-მარცვლიანი საზომით. აკ. გაწერელია წერს: „XIX საუკუნემდე ეს საზომი გვხვდება უმთავრესად 16-მარცვლიანი ქორე-დაქტილური ლოგაედისა და ქორეულ პეონური პოლიმეტრის (მაღალი და დაბალი შორის) ნახევარტაეპების სახით, მაგრამ ზოგჯერ დამოუკიდებელი საზომის ნიშნებითაა აღბეჭდილი (რითმა, ინტონაციური დამოუკიდებლობა და სხვ.)[1] გიორგი შარვაშიძის 10-ვე 8-მარცვლიან ლექსში ოთხტაეპიანი სტროფები გვაქვს, გამონაკლისია ერთი უსათაურო თხზულება, რომლის ბოლო

[1] აკ. გაწერელია, რჩეული ნაწერები III (I), გვ. 240-241.

სტროფი 6-ტაეპიანია. ლექსების უმცირეს ნაწილს გააჩნია ჯვარედინი რითმა, დანარჩენ ნაწარმოებებში კი მხოლოდ მეორე ტაეპი ერითმება მეოთხეს.

ამრიგად, გიორგი შარვაშიძის 31 ქართულმა ლექსმა მოაღწია ჩვენამდე. ამ ნაწარმოებების შინაარსი და ფორმა ავსებენ ერთმანეთს, ერწყმიან ერთმანეთს. პოეტის სიცოცხლეში მხოლოდ სამი ლექსია გამოქვეყნებული გაზ. „დროება“-ში „პონტოქსელის“ და „გარდახვეწილის“ ფსევდონიმით. ლექსებში იგრძნობა ქართული ენის კარგი ცოდნა. წერს წმინდა ქართული სალიტერატურო ენით. გათვითცნობიერებულია ძველ ქართულ ენაშიც, ასევე ნაწილობრივ დასავლურ-ქართულ და აღმოსავლურ-ქართულ დიალექტიზმებშიც. იშვიათად შეიმჩნევა აფხაზური სიტყვების ხმარება. არც თუ იშვიათად მიმართავს არქაულ სიტყვებს. ებრძვის ბრბარიზმებს.

გიორგი შარვაშიძე მხატვრული ხერხებიდან განსაკუთრებით ეტანება ტროპის ისეთ სახეებს, როგორიცაა მხატვრული შედარება, ეპითეტი, მეტაფორა, გაპიროვნება და სხვ. ზოგიერთ შემთხვევაში თავს ვერ აღწევს ამ მიმართულებით ქართული ლიტერატურული ტრადიციების თუ ხალხური ზეპირსიტყვიერებების გავლენას. შთამბეჭდავია პოეტის აფორისტული გამონათქვამები. 31-ვე ლექსი შემოსაზღვრულია სამი საზომი ერთეულით. აქდან 17 ნაწარმოები დაწერილია 10-მარცვლიანი მეტრით, 11 ლექსი 8-მარცვლიანი საზომით და სამი თხზულება კი — რუსთველური შაირის მეტრით. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ლექსის სტროფები ემყარება ოთხტაეპედს. გარკვეულწილად ადგილი აქვს ჯვარედინი რითმების გამოყენებას, სხვა შემთხვევაში — სტროფის მეორე ტაეპი ერითმება მეოთხე ტაეპს, პრიველი-მესამე ტაეპი კი გაურითმავია.

გიორგი შარვაშიძის რითმა

გიორგი შარვაშიძის პოეტიკა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში, საერთოდ, არ არის შესწავლილი. ეს რითმაზეც ითქმის. აკ. გაწერელიას განსაზღვრით: „რითმა ეწოდება ერთგვარ ან დაახლოებით

მსგავსი ბგერების (ხმოვნებისა და თანხმოვნების) გამეორებას უმთავრესად ტაეპების ბოლოს და ასრულებს გარკვეულ კომპოზიციურ დანიშნულებას თვითეული ტაეპის ცალკეულ ერთეულად გამოყოფისას (წარმოადგენს სიგნალს სტრიქონის მეტრული დასრულებისას), ხოლო შემდეგ – თვითონ ტაეპების რთულ რითმულ ჯგუფებად ანუ სტროფებად დანაწევრებაში".[1]

„ვარადას" ავტორის რითმის დახასიათებისას, მისი მხატვრული ღირებულების ჩვენებისას დაკვირვების ობიექტად გავიხადეთ: გარითმვის ხერხები, რითმების ნაირსახეობის ჩვენება მარცვალთა რაოდენობის მიხედვით, რითმის ეფონია, რითმის მორფოლოგია.

დაბალი შაირის რითმები. გიორგი შარვაშიძის ჩვენამდე მოღწეული ქართული ლექსებიდან სამი მათგანი („ერთს მომღერალ ქალს", „პასუხი გიორგი შარვაშიძეს", „პასუხის პასუხი") შაირის მეტრითაა შეთხზული, კონკრეტულად კი – დაბალი შაირის საზომით. „შაირი" არაბული სიტყვაა („შაჰირ") და ქართულად ნიშნავს ლექსს. ქართული კლასიკური ლექსის ზომაა თექვსმეტმარცვლოვანი რუსთველური შაირი. გიორგი შარვაშიძე, როგორც მისი შემოქმედებიდან ირკვევა, დიდი მცოდნეა „ვეფხისტყაოსნისა". მისი სიყვარულისთვის ერთგვარი ხარკის გაღების მიზნით ქმნის ზემოთ დასახელებულ სამიოდე ნაწარმოებს.

როგორც აღიარებულია, დაბალი შაირისათვის „ასიმეტრიული კარედების რითმა, თუ ცალკეულ გამონაკლისებს არ მივიღებთ მხედველობაში, სამმარცვლიანია".[2] ჩვენც ამ მოსენტში სამმარცვლიანი რითმისათვის სამმარცვლიანი სიტყვის გამოყენების ფაქტებს მივმართოთ:

რითმა ენაო: სმენაო – სტვენაო – ენაო – დენაო:
„აწ საღმუისოთ საყურე, ზეცისა ჰანგთა სმენაო,
უმსგავსოს – შენდა საქებრად რად მარგა მსგავსი ენაო!
აწ სულ დამეხშო გონება, დამრჩა-ღა ცრემლთა დენაო!"[3]

---

[1] ა. გაწერელია, რჩეული ნაწერები, III (I), გვ. 160.

[2] მეტრი და რითმა „ვეფხისტყაოსანში", გ. წერეთლის რედაქციით და გამოკვლევით, გვ. 62.

[3] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, აკად. ს. ჯანაშიას რედაქციითა და ნარკვევით, თბ., 1985. გვ. 99.

ან კიდევ: მრწმენაო – ზენაო – ქვენაო – კბენაო – თქვენაო:

„მიბრძანებთ, თქვენი გრძნობები და ქება არა მრწმენაო!
აბა რა მშველის? მოწმეა ჩემის წყლულისა ზენაო!
ტყუილი თქვენ თუ შეგკადროთ, გამისკდეს მიწა ქვენაო,
უფსკრულმა ჩამნთქას, დამიწყოს მუნ სატანამა კბენაო!
ამ ჩემის გულის იღბალი ხელთა გაქვთ მარტო თქვენაო!

სამმარცვლიანი რითმისთვის გამოყენებული ხუთმარცვლიანი სიტყვა:

„მხოლოდ შენ ერთო, მხოლოდ შენ, სულისა აღმაფრენაო!“
„რად ვარგა უმსგავსო ქება, გინებად ჩაითვლებიან,
გირჩევთ, ნუ ხარჯავთ მაგ ცრემლებს, სხვისთვისვე დაგჭირდებიან“.

სამმარცვლიანი რითმისთვის ნახმარი ოთხმარცვლიანი სიტყვის მხოლოდ ერთი შემთხვევა:

„იმას არავინ ინატრებს, რასაცა ვერ შესწვდებიან.“

ზემოთ შევეხეთ დაბალი შაირის მეტრის რითმებს სიგრძე-სიმოკლის მიხედვით. ახლა კი ვნახოთ თუ როგორ რითმებს (დაქტილური, ზედაქტილური, ქორეული, ვაჟური) მიმართავს გიორგი შარვაშიძე სხვა საზომებით შეთხზულ ტაეპებში:

ვაჟური (ერთმარცვლიანი) **რითმა**. გიორგი შარვაშიძის ქართულ ლექსებში, რუსული ლექსებისგან განსხვავებით, საერთოდ, არ მოგვეპოვება ვაჟური რითმა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სამიოდე ტაეპს, რომელთაგან ორში მეშველი ზმნა „ხარ“ მეორდება:

„ვიცი, ძმავ, ვიცი, რადა ხარ...
ვაჟკაც ვაგლახად დაბმულ ხარ“;
„მაშინ მეცოცხლე, მაშინ მენაზე...
და ერთის ხმითა ზღვა, მიწა, ტყე, ხე“.

როგორც ვხედავთ, ბოლო სტრიქონში სამმარცვლიან სიტყვას „მენახე“ ერითმება ერთმარცვლიანი სიტყვა „ხე“.

გიორგი შარვაშიძეს 31 ქართული ლექსიდან 17 დაუწერია ათმარცვლიანი საზომით, ხოლო თერთმეტი კი – რვამარცლიანით. ეს არის და ეს. სხვა საზომებისათვის პოეტს არ მიუმართავს. თავის 28 ლექსში ავტორს უმეტესწილად გამოუყენებია ქალური ანუ ორმარცვლიანი რითმა. გავეცნოთ შესაბამის ნიმუშებს.

ქალური (ორმარცვლიანი) რითმა. შევნიშნავთ, რომ პოეტს არ

გააჩნია არც ერთი ლექსთანაგნი, რომ მხოლოდ ქალური რითმა ჰქონდეს გამოყენებული, ან დაქტილური, ან ზედაქტილური. ასე რომ, მისი ლექსების სტროფებში მონაცვლეობენ ქალური, დაქტილური, ზედაქტილური ანუ ჰიპერდაქტილური რითმები. ახლა კი მივუბრუნდეთ ქალური რითმის რამდენიმე ნიმუშს როგორც 8-მარცვლიან, ისე 10-მარცვლიან ლექსებში:

„რომ იცხოვრო სულაც მარტო,
ასე გირჩევ, ჩემო კატო!“
„შხამ-ნაღველის, სევდის ქარი...
ცრემლ-საფრქვევად გლოვის ზარი“.
„ვუჭვრეტთ, ვით ალი დუდუნით, ფეთქით...
ხან გაჯავრებით, ტკლუცით და ხეთქით“,
მხოლოდ და მაშინ ვიცნობ და ვკრთები...
ახ! ნეტავ, ნეტავ რად არ მასხს ფრთები“.
„სადაცა განვლენ სიყრმისა ჟამნი“;
„დარდის, ღიმილის და ვნებებთ წამნი...
მომწონს წარბების ამაყი ხაზი!...
სუფთა ნესტოებთ გაფეთქვა ნაზი“.

დაქტილური (სამმარცვლიანი) რითმა.

„განგებავ, ამას ნუ მიწყენ,
ვერ გადავგვარდე გვარადა,
ხანდისხან დავიღუღუნო
მამა-პაპური ვარადა“;
„დაღამების დროს გაჩუმებულად
ოთახში მარტო ჯდომა მიხარის,
დაღონებულსა დაღონებულად
მიყვარს ბუტბუტი ჩემი ბუხარის“.

ზედაქტილური ანუ ჰიპერდაქტილური რითმა.

„იქ სინიდისის ციური ალი
ცივსა განსჯასა სულ ჩაუქრია;
იქა მტყუნდება მხოლოდ მართალი,
რომელსაც თავი ძირს დაუხრია“;
„როს სულით წმიდით ამაღლებულნი,

სახითა წყნარითა, ლომებრ გულითა.
ტურფა ვაჟნი ხმალ-გაშიშვლებულნი,
თავს გევლებოდნენ სიყვარულითა“.

რითმის ადგილი ტაეპსა და სტროფში. გიორგი შარვაშიძის ლექსების ერთი ნაწილისთვის დამახასიათებელია გარეგანი რითმები. ეს ითქმის მხოლოდ შაირის მეტრით შექმნილ ნაწარმოებებზე:

„მიბრძანებთ, თქვენი გრძნობები და ქება არა მრწმენაო!
აბა რა მშველის? მოწმეა ჩემის წყლულისა ზენაო!
ტყუილი თქვენ თუ შეგკადროთ, გამისკდეს მიწა ქვენაო,
უფსკრულმა ჩამნთქას, დამიწყოს მუნ სატანამა კბენაო!
ამ ჩემი გულის იღბალი ხელთა გაქვთ მარტო თქვენაო!“

რაც შეეხება შინაგან რითმას, საერთოდ არ სწყალობს მას პოეტი. ახლა კი გავეცნოთ ჯვარედინი რითმის ნიმუშებს: „ვარადას“ ავტორი ყველაზე მეტად იყენებს ჯვარედინ რითმებს:

„კაცის გული, როგორც მარტი,
შეიცვლება ხოლმე ხშირად,
რაცა დღეს სწამს, როგორც ხატი,
ხვალ ის გაუხდება ჭირად“;
„შენი ტკბილი მგოსნის ენა,
რა ხანია, არ მსმენია.
ფუტკარმაცა იცის კბენა,
მაგრამ თაფლის გამჩენია“;
„მზე გადიხარა, დაბერა ქვენით,
ზღვას გადაეკრა ზურმუხტი ლაშა.
და მის ციალზედ დუდუნით, სტვენით
თეთრი კრავები აათამაშა.“

გიორგი შარვაშიძეს არც ერთი სტროფი არ შეუთხზავს არც მოსაზღვრე და არც რკალური რითმით.

რითმის ევფონია. ევფონია არის მოძღვრება ლექსითი მეტყველების ბგერითი შედგენილობის თაობაზე. ევფონიის მხრივ ქართულ კლასიკურ ლექსში ცნობილია შემდეგი რითმები: ზუსტი, ღრმა, მდიდარი, ღარიბი, ნაკლული, ღია, დახურული. ვნახოთ ამ

მხრივ როგორ გამოიყურება გიორგი შარვაშიძის ქართული ლექსების რითმები.

ზუსტი რითმა. გამეორებულია კლაუზულის ყველა ბგერა უცვლელად.

ებულად: გაჩუმებულად, დაღონ;ებულად (ე-ბ-უ-ლ-ა-დ); აზდება: განაზდება, გალამაზდება (ა-ზ-დ-ე-ბ-ა); იალებს: ღრიალებს, მიმაგრიალებს (ი-ა-ლ-ე-ბ-ს); ობელად: მშობელად, მახარობელად (ო-ბ-ე-ლ-ა-დ); ილობა: ყმაწვილობა, შვილობა (ვ-ი-ლ-ო-ბ-ა); არდები: დარდები, შემიყვარდები (ა-რ-დ-ე-ბ-ი); ახითა: სახითა, მახითა (ა-ხ-ი-თ-ა); იერი: ძლიერი, ცბიერი (ი-ე-რ-ი) და ა.შ.

მდიდარი რითმა. მდიდარ რითმაში კლაუზულის ყველა ბგერასთან ერთად მეტრული მახვილის მქონე ხმოვანის წინა, საბჯენი თანხმოვანიც (ზოგჯერ თანხმოვნებიც) გამეორებულია (ა. გაწერელია).

გვარადა, ვარადა, სატკივარადა, გასახარადა, მწარადა, წყნარადა, ქარადა, სამუქარადა, სახმარადა, მარადა. აქ რითმაში საბჯენი ხმოვანი ბგერაა „რ“.

მალია, გალია, ხმალია, თვალია, აქ – „ლ“.

ქარია, ზარია, გახმარია, ბარია, სახმარია, მკვდარია, ჯვარია, სატკივარია. აქ „რ“.

მეთქვა, ფეთქვა – აქ „თქ“.

აღმამფრენაო, სმენაო, ენაო, დენაო – აქ „ნ“.

ჭკნებიან, კრთებიან, მხვდებიან, ჩაითვლებიან, დაგჭირდებიან, შესწვდებიან, აქ – „ბ“.

ღარიბი რითმა. ღარიბი რითმით საკმაოდ მდიდარია გიორგი შარვაშიძის ქართული ლექსები.

ემიჯნურება-ემუქრება; მარონინებენ-მომაგონებენ; ცდითა-ხსნითა; ნათობ-ვატკბობ; მომგვარო-დამყარო; სოფლისა-აღმზრდელსა; მოვფენდი-მოგიჩენდი; საბმელად-მოსათხრობელად; დიდების-მშვენების; იდუმალებითა-ხელოვნებითა; გახდები-შემიყვარდები; ვიქნები-გეთაყვანები; დავღუპავდი-შევინახავდი; დაღლილს, გავლილს; მთენოდა-მცოდნოდა; აყვავებულა-შენახულა; ბრწყინავს-ფიცავს; ჩაუქრია-დაუხრია; ნიჭსაჭორსა; იკვირტები-გახშირდები...

ნაკლული ანუ არაზუსტი რითმა. იგი ხასიათდება კლაუზულის მარცვლებში რომელიმე ბგერის ნაკლებობით. ა. გაწერილიას მიხედვით, არაზუსტი რითმის ზოგიერთი სახეობა ისტორიულად გარკვეულ პროგრესულ დანიშნულებას ასრულებდა და ის ყოველთვის არ უნდა მივიჩნიოთ ლექსის დეფექტად.

მიხარის-ბუხარის; შეიმოსება-ეალერსება; ნუგეშობენ-უშობენ; მაგდებინებს-დახრიგინებს; თავმოწონებით-ბუნებით; სამარის-მწუხარის; მიზეზო-ლამაზო...

ღია რითმები. გვაქვს შემდეგი ხმოვნებით დასრულებული რითმები:

ა. ემიჯნურება-ემუქრება, განაზდება-გალამაზდება; კაცებთა-ეტლებთა; ყმაწვილობა-შვილობა; ბედისა-ქედისა; პეპელა-ყველე; გვარადა-ვარადა-გასახარადა-სატკივარადა-მწარადა-წყნარადა-სამუქარადა-სახმარადა-მარადა; სახითა-მახითა; მალია-გალია; ხმალია-თვალია; ენა-კბენა; განა-ქვეყანა; იარა-ჩაიარა; ლაშა-აათამაშა; მონებასა-გონებასა“...

ი. განშორებული-აღტაცებული; ბედნიერი-მშვენიერი; ჟამნიი-წამნი; დაფიქრებული-გაცხელებული; ნაზი-ხაზი; ძვირი-გმირი; დარდები-შემიყვარდები; რვეულში-გულში; მარტი-ხატი; ძვირი-გმირი; ქარი-ზარი; ჰანგი-მდაგი-ჩანგი; ველი-მწველი; თვალი-ქალი; სნეული-ჩვეული; ერთი-ღმერთი...

ე. მთვარე-ვარე-მიმოვიარე; გამიჯავრდე-მიყვარდე; სიცოცხლე-სიახლე; მენახე-ხე;

ო. დაუვიწყარო-წყარო; მომგვარო-დამყარო; კატო-მარტო; -შეგობარო-ხარო; საკვირველო-მდელო; მამულო-ქებულო; მიზეზო-ლამაზო; ალმაფრენაო-სმენაო-ენაო-დენაო-მრწმენაო-ზენაო-ქვენაო-კბენაო-თქვენაო.

„**უ**“ ხმოვანზე დაბოლოებული რითმა ვერ დავადასტურეთ.

ორი ღია მარცვლის ნიმუშები:

ია. დაჩაგრულია-დაფარულია; დაგმტერებია-გყვარებია; მალია-გალია-ხმალია-თვალია; ქარია-ზარია; ბარია-სახმარია-მკვდარია-ჯვარია-სატკივარია; დახურდულია-ხშულია; უქია-შუქია...

დახურული ანუ თანხმოვნებით დაბოლოებული რითმები.

„**ბ**“ თანხმოვანზე დაბოლოებული რითმები:

ნათობ-ვატკბობ, ანდობ-დარდიმანდობ; ვატარებ-ვახარებ;

„დ“ თანხმოვანზე დაბოლოებული რითმები:

დაღონებულად-გაჩუმებულად; ერთგულად-ბედკრულად; ამაყიანად-ადამიანად; ხშირად-ჭირად; რიდად-სიდად-ფლიდად-წმინდად;

„თ“ თანხმოვანზე დაბოლოებული რითმები:

ფეთქით-ხეთქით; ამბებით-სიამოვნებით; ვცვალეთ-ვიცვალეთ; გულით-სიყვარულით; ქვენით-სტვენით; ვსცეთ-გადავცეთ;

„ნ“ თანხმოვანზე დაბოლოებული რითმები:

წამიღებენ-მარონინებენ-მიბრუნებენ-მომაგონებენ; ყვავდებიან-ვითარდებიან; ჭკნებიან-კრთებიან-მხვდებიან-ჩაითვლებიან-დაგჭირდებიან-შესწვდებიან; კვდებიან-შთებიან; ამოკვნესიან-სთესიან;

„ს“ თანხმოვანზე დაბოლოებულ რითმებზე მოდის მეტი წილი:

მიხარის-ბუხარის; მაგდებინებს-დახრიგინებს; ღრიალებს-მომაგრიალებს; სადღეგრძელოს-მდელოს; სამარის-მწუხარის; ყმაწვილობას-გულკეთილობას; დაღლილს-გავლილს; ნებისას-ბოროტებისას; ლხენას-ზენას; გადღეგრძელებს-ძველებს; დაიწვას-დაიცვას; ჭკუის-ტყუის; გისპობს-აპობს; მწარეს-სამარეს; იწყებს-ივიწყებს და ა.შ.

რითმის მორფოლოგია

არსებითი სახელები ძირისეული სახითაა რითმად გამოყენებული. ყველაზე მეტი წილი რითმებისა მოდის სახელობით ბრუნვაზე პროსოდიული ხმოვნის (ა) დართვითაც. ამოვიწერე თითქმის ყველა ნიმუში ორივე რიცხვში (მხოლობითსა და მრავლობითში).

ჟამნი-წამნი; სული-გული; მოგონებანი-ოცნებანი; შვენება-ვნება; მარტი-ხატი; ქარი-ზარი; ხმალია-თვალია; ენა-კბენა; ლხენა-ზენა; ბრუნვა-მდურვა; ხელობანი-ტანი; თვალი-ქალი; ქალები-ვალები.

რითმად გამოყენებული არსებითი სახელი მოთხრობით ბრუნვაში, საერთოდ, ვერ გამოვავლინეთ.

მიცემით ბრუნვაში (პროსოდიული ხმოვნის ა თანდართვით)

გულსა-სიყვარულსა; ბედნიერებას-ქებას; ნახატსა-საათსა; მონება-

სა-გონებასა; მანქანასა-სატანასა, მთვარესა-არე-მარესა; სადღეგრძელოს-მდელოს; სიზმრებსა-ფანჯრებსა...

ნათესაობით ბრუნვაში (პროსოდიული ა ხმოვნის დართვით): ბედისა-ქედისა; ნებისა-ბოროტებისა; ვნებისა-ნებისა.

მოქმედებით ბრუნვაში (პროსოდიული ა ხმოვნის დართვით): ფეთქით-ხეთქით; ქვენით-სტვენით; წერითა-ბგერითა; სახითა-მახითა; ცდითა-ხსნითა.

ვითარებით ბრუნვაში:

რიდად-ხიდად.

წოდებით ბრუნვაში (პროსოდიული ო ხმოვნის დართვით) აღმაფრენაო-სმენაო-სტვენაო-ენაო-დენაო.

თანდებულიანი რითმები. გამოვაკლინეთ მხოლოდ მიცემითი ბრუნვის „ში“ თანდებულიანი რითმები:

რეულში-გულში; სამშობლოში-დროში; ზღვაში-ულმრთოებაში.

ზმნური რითმები:

ემიჯნურება-ემუქრება; განაზდება-გალამზდება; შეიმოსება-ეალერსება; წამიღებენ-მარონინებენ-მიბრუნებენ-მომაგონებენ; ყვავდებიან-ვითარდებიან; დაცაებადენით-მივეახლენით; ვცვალეთ-ვიცვალეთ; მაგდებინებს-დახრიგინებს; ღრიალებს-მომიგრიალებს; მომგვარო-დამყარო; მოვფენდი-მოგიჩენდი; გკადრებდი-გათამაშებდი; გიფენდი-დავირჩენდი; დაგმტერებია-გყვარებია; დაეღუპავდი-შევინახავდი; გამიხარებდა-განმიახლებდა; მთენოდა-მცოდნოდა; დარდიმანდობ-ანდობ...

უსუფიქსო ზედსართაული რითმა: მხოლოდ ერთი ნიმუში მოვიძიეთ.

ფლიდად-წმინდად.

სუფიქსიანი ზედსართაული რითმა. ასეთი რითმებით მდიდარია „ვარადას“ ავტორის ქართული ლექსები: განშორებული-აღტაცებული; ბედნიერი-მშვენიერი; დაფიქრებული; დაღლილს-გავლილს; დამჭკნარი-მკვდარი; იძლიერო-საკვირველო; აღმორჩეული-გარეული; სნეული-ჩვეული...

სახელისა და ზმნის კომბინაცია:

მიხარის-ბუხარის; ვკრთები-ფრთები; დარდები-შემიყვარდები;

გაიელვებს-სევდებს; მხედარი-სად არი; გახმარია-ბარია; ლაშა-აათა-მაშა; მთვარე-მიმოვიარე; მართა-დაემართა...

გიორგი შარვაშიძის ქართული ლექსების რითმების დაწვრილებით შესწავლამ დაგვანახა, რომ მისი პოეზია ამ მხრივაც იმსახურებს ყურადღებას. განხილულ იქნა: დაბალი შაირის რითმები, ვაჟური, ქალური. დაქტილური, ზედაქტილური ანუ ჰიპერდაქტილური რითმები; რითმის ადგილი ტაეპსა და სტროფში (გარეგანი და ჯვარედინი რითმები); რითმის ევფონია (ზუსტი, მდიდარი, ღარიბი, არაზუსტი, ღია და დახურული რითმები), რითმის მორფოლოგია.

შეიძლება დავასკვნათ: გიორგი შარვაშიძის ქართულ ლირიკაში გამოძახილს პოულობს XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის დამდეგის ქართული პოეზიისათვის დამახასიაებელი თემები და მოტივები: პატრიოტიზმი, სიყვარულის გრძნობა, აწმყოთი უკმაყოფილება, პესიმიზმი, წუთისოფლის ამაოების განცდა, მეგობრობის იდეა, უსამართლობის მხილება, მსოფლიო სევდა. აფხაზი პოეტის ლირიკაში ეროვნულ-მოქალაქეობრივ მსოფლმხედველობასთან ერთად წინა პლანზეა წამოწეული ამქვეყნიური, მიწიერი სიყვარულის თემა. სატრფოს გარეგნობის დასურათხატებისას პოეტი გარკვეულწილად საზრდოობს სათანადო წყაროებით. მის ლექსებში ვეცნობით ღვთის სიყვარულს მიმსგავსებულ ზნეობრივი მიჯნურობის გრძნობას, რაც დამყარებული ტრფობის ობიექტის გარეგნული და შინაგანი მშვენიერების ჰარმონიულობაზე, ზოგიერთ ლექსში თავს იჩენს საყვარელი ქალის მხოლოდ გარეგნობით გატაცება, ზოგჯერ იგრძნობა სიყვარულის ძალაში დაეჭვება; ადგილი აქვს ასევე სიყვარულის სიმბოლურ-ალეგორიულ გამოხატულებას, ანუ სატრფოს სახეში სამშობლოს მოაზრებას.

გიორგი შარვაშიძის ქართულ ლირიკაში თავჩენილია პირადული და მსოფლიო სევდა, რაც გამოწვეული იყო საზოგადოებრივი პირობების არასახარბიელო ხასიათით, ჯვარცმულ სამშობლოზე დარდით, ცხოვრების უკუღმართობით, საწუთროს ამაოების გაცნობიერებით. მის პოეზიაში სიკვდილ-სიცოცხლის თემას, წუთისოფლის პრობლემას უშუალოდ უკავშირდება ბედისა და უბედობის საკითხი.

პოეტის პესიმიზმი პროტესტია არსებული სინამდვილისადმი. თუმცა იგი ბოლომდე არ რჩება გულგატეხილ მგოსნად, პესიმიზმის ყინულს ალღობს ოპტიმიზმის მზის სითბო. ამასთანავე, ლირიკული ლექსები გამთბარია შრომის საშუალებით გონების ხსნის იდეით, მეგობრობის გრძნობით, მოძმეთა მსახურების მოტივით, დედაშვილური ურთიერთობის განცდით, ბუნების თემით.

გიორგი შარვაშიძის ლირიკული თხზულებანი შექმნილია წმინდა ქართული სალიტერატურო ენით, მთელ რიგ სტრიქონებს დაჰკრავს ძველი ქართული ენით მეტყველების იერი, ასევე დიალექტიზმებიც, საერთოდ არ შეინიშნება ბარბარიზმები. ცხადია, სათქმელის პოეტურად გადმოცემა მხატვრული ხერხების საშუალებით ხდება, რომელთაგან მეტი ხვედრითი წილი მხატვრულ შედარებაზე მოდის. გარდა ამისა, მისთვის დამახასიათებელია აზროვნების მეტაფორული სტილი, ერპითეტურენოვანი მეტყველება. პერსონიფიკაცია ანუ გაპიროვნება, ჰიპერბოლა. ავტორი ზოგიერთ შემთხვევაში თავს ვერ აღწევს ლიტერატურული ტრადიციების და ხალხური ზეპირსიტყვიერების გავლენას. შთამბეჭდავია პოეტის აფორისტულ-ანდაზური გამოთქმანიც.

გიორგი შარვაშიძის ქართული ლირიკა შემოსაზღვრულია სამი საზომი ერთეულით: რუსთველური შაირის მეტრი, რვამარცვლიანი და ათმარცვლიანი საზომები. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ლექსების სტროფები ემყარება ოთხტაეპედს. ყურადღებას იმსახურებს რითმაც: ვაჟური (ერთმარცვლიანი), ქალური (ორმარცვლიანი), დაქტილური (სამმარცვლიანი), ზედაქტილურ-ჰიპერდქტილური (ოთხმარცვლიანი); მოგვეპოვება გარეგანი და ჯვარედინი რითმები; ასევე, რითმის ევფონიაც (ზუსტი, არაზუსტი, მდიდარი, ღარიბი, ღია, დახურული), რითმის მორფოლოგია. მეტწილად ადგილი აქვს ჯვარედინი რითმების გამოყენებას, სხვა შემთხვევაში — სტროფის მეორე ტაეპი ერითმება მეოთხე ტაეპს, პირველი — მესამე ტაეპები კი გაურითმავია.

თავი მეხუთე

გიორგი შარვაშიძის ეპიკური მემკვიდრეობიდან „გვადანის ციხის“ გარშემო

როგორც ნაშრომის პირველ თავში განვიხილეთ, გიორგი შარვაშიძის ლიტერატურულ-კულტურული მემკვიდრეობა მეტნაკლებად სათანადოდ არის შესწავლილი სპეციალურ ლიტერატურაში. ამას ვერ ვიტყვით მწერლის ერთადერთ და ისიც დაუმთავრებელ პოემაზე, რომელიც წოდებულია „გვადანის ციხედ“. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მასზე მხოლოდ ფრაგმენტული დაკვირვებები მოგვეპოვება. ეს პოემა შედარებით, ალბათ, ნაკლებ ინტერესს იწვევდა იმის გამოც, რომ ავტორს იგი დაუსრულებელი დარჩა.

„გვადანის ციხის“ განხილვამდე გავეცნოთ დიდი ქართველი მეცნიერის სიმონ ჯანაშიას შენიშვნებს ამ პოემასთან დაკავშირებით: „პოემა წარმოდგენილია მხოლოდ პირველი ნაწილის სახით. თავდაპირველად იგი ავტორს გაუერცელებია ბეჭდური საშუალებით მეგობრების ვიწრო წრეში, როგორც ამას თვით გ. შარვაშიძე გვამცნობს ჩვენი გამოცემისათვის ავტოგრაფად წამძღვარებულ ბარათში. ჩვენ ამ გამოცემის სამი ცალი გვქონდა ხელთ: ერთი ჩვენ გვეკუთვნის, მეორე — ბ. დადიან-მასხარაშვილს, მესამე — სერგო გერსამიას. თავდაპირველ ვარიანტში პოემას ჰქონია ეს მიძღვნა ტელემაკ გურიელისადმი:

„მოგიძღვნი, ძმაო, ჩემსა ნაჯღაბსა!
სუსტი მხატრობა ხშირათ ნახულა,
ხოლო თხრობილი ძველის-ძველ ჟამსა
ზღაპარი რამე აქ შენახულა.
იგი ამბავი როგორც რომ ჯადო,
ამა კუთხეში ჩანერგულია.
და მოვინდომე რომ მეცა ვცადო,
ავწერო, რაცა ძველათ თქმულია.
არ ვკადნიერობ, რომ, შენ, ჩვეული.
დიდის მგოსნების, თვით შეკსპირისა,
ეს მოგეწონოს, ჩემისული,
ოღონდა გაწოდე ხმა მეგობრისა.

მოთხრობა ესე არ არის გრძელი,
ამითი ეგებ არ მოგეწყინოს,
და არ გეჩვენოს თლათ საძაგელი,
როცა გრიშასთან გადაჰკრავ ღვინოს!“

ს. ჯანაშია განაგრძობს: „შემდეგ, როცა ავტორს გადაუწყვეტია პოემის საჯაროდ გამოქვეყნება, იგი მას გადაუმუშავებია და მიძღვნა შეუცვლია „შესავლით“. ამ მუშაობის კვალი შეუნახავს ს. გერსამიას ცალს: აქ შესავალი, ავტორის ხელით ცალკე ფურცელზე დაწერილი, მიძღვნაზე ზემოდან არის დაწებებული, რომ ასეთი შეცვლა თვით ავტორის განზრახვას შეადგენდა. ამას მოწმობს მიძღვნიდან ერთი სტროფის („ამბავი მაზედ, როგორც რომ ჯადო“) მთლიანად (ერთი სიტყვის გარდა) გადატანა შესავალში. სხვა ცვლილებებიც ავტორის ხელითვეა ნაბეჭდ ტექსტში შემოტანილი და უმთავრესად ცალკე სიტყვების შეცვლაში გამოიხატება; ახლად არის ჩამატებული, აქვე, მეორე თავის მეორე სტროფი (აქ საინტერესოა აღინიშნოს, რომ სიტყვა „ქვეყნისა“-ში უ ბრჯგუიანია. ეს იწერება 1913 წელს). დასასრულ, შენიშვნა პოემის ბოლოს: „მეორე ნაწილი იქნებაო“, აგრეთვე მხოლოდ გერსამიას ცალს მოეპოვება“.[1] დასანანია, რომ მკითხველი ვერ ეღირსა „მეორე ნაწილს“, რაც სრულ შესაძლებლობას მოგვცემდა ავტორის ჩანაფიქრის საიდუმლოს ამოცნობისა.

გიორგი შარვაშიძეს პოემის სათაურის ქვეშ მიუწერია „ლეგენდა“. ეს მოგვაგონებს ილია ჭავჭავაძის ფილოსოფიური პოემის „განდეგილის“ ქვეშ წარწერილ „ლეგენდას“. აფხაზი მწერალი ამით გვაკვალიანებს, რომ თხზულებაში მკითხველი გაეცნობა ლეგენდურ ამბებს, თითქოს გაგონილი თქმულების მხატვრულ სამოსელში გახვევა მოეწადინოს, თითქოს სდომებია მისი მხატვრული ღირებულების საგნად ქცევა. ეს ხომ ქართულ (და არა მარტო ქართულ) მწერლობაში ნაცადი ლიტერატურული ხერხია. ლეგენდებს იყენებდნენ და მხატვრული გადმოცემის საგნად აქცევდნენ: ვიქტორ ჰიუგო, ანატოლ ფრანსი, მეტერლინკი, ფლობერი და სხვ. ქართული ლიტერატურიდანაც, გარდა ილია ჭავჭავაძისა, არაერთი მწერლის დასახელება შეიძლებოდა. ტრადიციას არც გიორგი შარვაშიძე ღალატობს.

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 235-236.

„ლეგენდის მიზანია მნიშვნელოვანი, საინტერესო, დიდაქტიკური ელემენტებით გაჯერებულ მოვლენათა გადმოცემა და არა სახალისო ამბების გადმოცემა“.[1] გავეცნოთ „ლეგენდის“ განმარტებას: „ლეგენდა არის ხალხურ თქმულებებზე აგებული ფანტასტიკური ამბავი, ძნელად დასაჯერებელი, არარეალური შინაარსის თხრობა.. დაუჯერებელი ამბავი და მოქმედება, მხატვრული სამოსით წარმოდგენილი, შემეცნებით და ესთეტიკურ მნიშვნელობას ღებულობს და მკითხველზე დიდ ემოციურ გავლენას ახდენს“.[2]

„გვადანის ციხეში“ ნამდვილად არ არის „სახალისო ამბები“ გადმოცემული, მასში არც ფანტასტიკური, ძნელად დასაჯერებელი და არც არარეალური შინაარსია მოთხრობილი, პერსონაჟებიც შეუძლებელია ფანტასტიკურ არსებებად წარმოვიდგინოთ. პოემაში ჩვეულებრივი ამბავია გადმოცემული, თუ არ ჩავთვლით ავტორის ფანტაზიით შექმნილ „ყაზართა ტომის“ ვინაობას, რადგან ასეთ ტომს ჩრდილოეთ კავკასიაში ისტორიულად არ უცხოვრია. მოქმედება ხდება ჩრდილოეთ კავკასიასა და საქართველოში. თხზულების ტექსტი არ არის ლეგენდური ამბების, ანუ ფანტასტიკური ამბების შემცველი. მაშინ რაში დასჭირდა მწერალს სათაურის ქვეშ მიეწინშნებინა „ლეგენდაზე“. ალბათ, „ზეპირ-თქმულს“ აიგივებს ლეგენდასთან:

„ამბავი მაზედ, როგორც რომ ჯადო,
ამა კუთხეში ჩანერგულია
და მოვინდომე, რომ მეცა ვცადო
ავწერო, რაცა ზეპირ-თქმულია“.

ეს სტროფი ამოღებულია „გვადანის ციხისთვის“ წამძღვარებული „შესავლიდან“. იგი მოცულობით პატარაა, მხოლოდ 4-სტროფიანი. ავტორი წინასწარ წარმოდგენას გვიქმნის გვადანის ციხის აწინდელ მდგომარეობაზე, რასაც სიმბოლური დატვირთვა აქვს, თანაც მიგვანიშნებს ციხის ასაკზე და ადგილმდებარეობაზე. ციხე გაშენებული ყოფილა მაღალი ქედის კლდის ზღუდეში, მისი ფუნქცია იფარგლებოდა „ყირიმ-კავკასიის“ საზღვართა დაცვით, რომელიც ათას წელს

[1] ნ. გაფრინდაშვილი, მ. მირესაშვილი, ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები, თბ., 2008, გვ. 288.

[2] ა. ჭილაია, ლიტერატურისმცოდნეობის ძირითადი ცნებები, თბ., 1971, გვ. 212-213.

ითელის. გვადანის ციხე ჟამთა სრბოლას ნანგრევად უქცევია, აქ უდაბურება დასადგურებულა, მტრობას და ბოროტებას მოუსპია ცხოვრების ნიშანწყალიც კი. დგას ციხის ნანგრევი, როგორც სიმბოლო „კაცთა სიავის და ძველი მტრობის“. შემორჩენილა მასზე „ხალხის საფრთხო უცნაური ზღაპარი“. ციხის შორიახლოს ცხოვრება გრძელდება, აქაური მკვიდრნი ამ ძველ ნანგრევს გვადანის ციხეს ეძახიანო, — გვამცნობს ავტორი:

„მაღალსა ქედზედ, ზღუდეში კლდისა,
ყირიმ-კავკასის საზღვრების მცველი,
თითქო დარაჯი ათასის წლისა,
დგას ჯიღოსანი ნანგრევი ძველი.
საუკუნების სრბოლას, ხელობას,
აქაც ცხოვრება წარუხვეტნია,
კაცთა სიავეს და ძველსა მტრობას
ძეგლად ეს ციხე დაუშთენია.
უცნაურს ზღაპარს, ხალხისა საფრთხოს,
ამა ნანგრევზე დღესაც იტყვიან.
და აწ მცხოვრებნი მუნ შორე-ახლოს
გვადანის ციხეს მას ეძახიან“.

თხზულების პირველი თავის პირველივე კარში ავტორი გვაცნობს გვადანის ციხის გარშემო მცხოვრებ ხალხს ანუ „ყაზართა ერს“. მათი ტერიტორიის მარჯვნივ მდებარეობდა რუსეთი, მარცხნივ კი — ჩერქეზეთი. ორივენი მტრობდნენ თურმე ყაზარებს („ამ ორნივ მტერთა შუაში შეკრულნი“). ისინი მეტი სიფრთხილისათვის ხევში აღმოჩნდნენ გამაგრებულნი. ყაზარები ყოფილან მეომარნი, დაუნდობელნი, ამაყნი, აენი. მათი „ბარბაროსული მოთხოვნილებაა“ „გარეშე ქვეყნის დამორჩილება“. მეომართა გვერდით მიწის მშრომელები ცხოვრობდნენ. ყველამ თავთავიანთი საქმე და მოვალეობა იცოდა: „ხოლო მუშაკი მიწას სჩიჩქნიდა და მეომარი ხანჯალს ლესვიდა“. პურ-ღვინით კმაყოფილნი იყვნენ, „მუქარნი, მძლავრნი ბასრით, — მკლავითა, ცხოვრობდა ერი:

„უხსოვარ დღიდან აქა ერთ-გვარი
ერი ყოფილა დამკვიდრებული;
დაუნდობელი და მეომარი,

ამაყი, ავი, ამით განთქმული“.

გიორგი შარვაშიძეს ციტირებული სტროფის ბოლოს სქოლიო'ში შენიშნული აქვს: „თამანის ანუ ეისკის არემარე უნდა იყოს“. საუბარია ყაზართა საცხოვრის ადგილზე, ამავე კარში ავტორი გვიყვება, რომ ეს ხალხი კმაყოფილი იყო ცხოვრებით, „მაგრამ იღბალი სოფლისა ხოლმე გამოიცვლება“. აქაური მკვიდრნი წინასწარ გრძნობდნენ, რომ „მომავალი სხვა ბორბალზედაც დატრიალდება“, ანუ სიკეთე შეიცვლება ბოროტებით, სიხარული — მწუხარებით, სიამე — სიავით. პირველი კარი პოემისა ასე სრულდება:

„რა ცხოვრებაა იგი ცხოვრება,
თუ ხალხი არის დაუსვენარი,
ამას გულობდეს, რომ შეიძლება
ხვალვე დაგვესხეს მტრისა ლაშქარი!“

პოეტის თქმით, მტერი მას ელანდება მუდამ, ვისაც სხვისთვის მტრობა გაუწევია, ვისაც „სხვის უფლება დაურღვევია“, სინდისისთვის ულალატნია: „აგრეა ხოლმე მუდამ ის ერი, ვის სინიდისსა რამ ახვევია, თუ სხვის უფლება დაურღვევია, მას ელანდება ყოველთვინ მტერი!“ ეს სიტყვები უშუალოდ მიმართულია ყაზარებისკენ. ისინი არღვევდნენ თურმე სხვის უფლებებს. როგორც ზემოთაც ითქვა, მათი „ბარბაროსული მოთხოვნილება“ გარეშე ქვეყნის დამორჩილება ყოფილა, ამიტომაც შიშობდნენ კიდეც მტრის თავდასხმას და მოსვენებას კარგავდნენ ამის გამო.

პოემის ავტორი მომდევნო (III) კარში გვაცნობს გვადანის ვინაობას, რომელიც ყაზართა ქვეყნის მთავარი ყოფილა. მის წინდახედულებას გაესმის ხაზი. მის მდგომარეობას ართულებდა სხვა ერთან მოყვრული კავშირის უქონლობა. გვადანის გამთავრებამდე ორასი წლით ადრე ყაზარებს დაუპყრიათ „რუსთა სამხრეთი“. არ დაუკლიათ მტარვალობის ფარგლებში თავისი შესაძლებლობანი, გაუნადგურებიათ, რუსების ტაძრები გაუძარცვავთ, მოსახლეობისთვის სახლ-კარი გადაუწვავთ, სამშობლოს გარეთ გაუყრიათ. ისე დაუბეჩავებიათ, რომ გვადანის დრომდის წელში ვერ გამართულან, ვარამმა და ხვნეშამ მათ აზრსა და გონებას დაჩლუნგებამდე უწია:

„ფართი-ფურთობდა იგი საწყალი,

უგვანო რასმეს ეკიდებოდა,
გადაგვარების გზაზე მავალი
ამოვარდნასა მაინც ებრძოდა“.

გამომდინარე აქედან, ყაზართა ერის მთავარი გრძნობდა მოსალოდნელ საფრთხეს რუსების მხრიდან: „თუ კი იღბალი რუსს დაუბრუნდა, ვერ იხარებდა ლაღი გვადანი“. იღბლის დაბრუნებაში გულისხმობდა რუსთა მხრიდან საბრძოლო ძალთა მოკრებას, როგორც წინაპირობას ყაზართა დაპყრობა-დამონებისა. ამიტომ გვადანს უნდა ეზრუნა უსაფრთხოებაზე, ქვეყნის შიგნით გამაგრებაზე, რომ მისი ტერიტორია მტრისთვის მიუწვდომელი და ხელშეუხებელი ყოფილიყო. ამიტომ გადაუწყვეტია წინდახედულ მთავარს ციხის აგება, როგორც ძლიერების და თავდაცვის სიმბოლოსი. გვადანის მიერ ციხის აგებაზე ავტორი გვიყვება VI კარში, ხოლო IV და V კარებში გვაცნობს ბუნების იმ გარემოს, სადაც ციხე უნდა აშენებულიყო. სწორედ აქ ავლენს ავტორი სახისმეტყველებითი აზროვნების მაღალ შესაძლებლობებს.

დიდებული სანახავია „ყაზართა ქვეყნის უხვი ბუნება“, აქ განსპეტაკებული და მომხიბლავი მყინვართა მწვერვალი „მზისა სხივებსა ეალერსება“; თვითონ მნათობიც ხარობს ამ სილამაზით, „ოქროსა აფრქვევს თავზე სატრფოსა“: „ზეცის საუნჯე ლამის დაჰყაროს ამა ერთსა დღეს სანეტაროსა!“ ყაზართა მხარის მშვენიერ ბუნებასთან მზე-მნათობის დამოკიდებულების ჩვენებისას გიორგი შარვაშიძეს სამიჯნურო ელემენტები შემოაქვს თან:

„და ეს კი, ალმას ფარჩით მორთული,
ეშხით მოხვევნით იგი დამდნარი,
ცრემლთა აწვეთებს და უძგერს გული,
როგორც უბიწო ენებით დამტკბარი“.

ამ თვალისმომჭრელი მშვენიერების ხილვისას განცვიფრებული ადამიანის ჭკუა-გონება ამ ბრწყინვალე დიდების შემოქმედ „მეფეს დასაბამისას“ „ცისა ეტლნი თავს ევლებიან“, შეჰხარიან და თბებიან კიდეც იმით. სწორედ ამ მომხიბლავმა ბუნებამ „აღუგზნა ცხოველი ალი ამა მსოფლიოს მანათობელსა“, უსაზღვრო სიშნო, უსაზღვრო ძალი, სითბო სიცოცხლის მომნიჭებელსა“. აქ თვით ღვთის ხილვაც შესაძლებელია ოცნებით: „იქ მიისწრაფის მაღლა ოცნება, სადაც უჭვრეტს

მიუწდომელსა“... პოეტს ეს ადგილი ღვთის სასუფევლად ესახება:

„ეგებ მუნ სუფევს თვითონ ღვთაება,
ვინცა განაგებს ამა ყოველსა...
აგრე ულონოდ ბორგავს გონება
და ბოლოს ფიქრიც დაიღალება“.

პოემის მეხუთე კარშიც გრძელდება ბუნების სურათის აღწერა. ავტორს შემოჰყავს სიკვდილ-სიცოცხლეს შორის გაჩერებულ ჯიხვზე მონადირე ადამიანი, ვინც ღამურასავით „კლდეზე მიმჯდარი“ ქვესკნელში ჩაეკიდება წყვდიადს, მოისმის გიჟმაჟი მდინარის დუღილი, ცოფიანივით ბღავილი, რომელიც სიპებთან ბრძოლაში ყრის დორბლებს. ამ სტრიქონებში მოისმის აფხაზი პოეტის სახისმეტყველებითი ენერგიის ქუხილი. ამის დასადასტურებლად სტროფები, რომელთაც ქვემოთ გავეცნობით, არ მოგვეშვა, ვიდრე დასამოწმებლად არ „გავიმეტეთ“:

„სად მონადირე ჯიხვის მდევარი
სიკვდილ-სიცოცხლის შუა გაჩერდება,
როგორც ღამურა, კლდეზე მიმჯდარი,
ბნელსა ქვესკნელში ჩაეკიდება!..
და ძირს სიღრმეში დუღს და ტრიალებს
მდინარე გიჟი თავ-ქაფიანი,
სიპებსა ებრძვის, ზედ აყრის დორბლებს,
ბღავის და ბღავის, ვით ცოფიანი!“

გიორგი შარვაშიძის მიერ აღწერილ ბუნების სურათებში მოისმის გრიგოლ ორბელიანის, ილიას, ვაჟას პოეტური სულის გადაძახილი. აქ სასურველია ასევე კოწია დადიანის პოემა „ყანშაუბეი“ გავიხსენოთ, თუმცა ეს სხვა დროს სამსჯელო საკითხია. ახლა კი მივხედოთ მეექვსე კარს, სადაც საუბარია საკუთრივ გვადანის ციხეზე. სწორედ იმ „შეკრულ ხევში“, კლდის ნათალზე ააგებინა თურმე ყაზართა ქვეყნის მთავარმა, გვადანმა, ციხე, რომლის კედლის სისქე სამ ადლს აღწევდა. ციხის შიგნით კი „დარბაზი გააწყობინა“:

„იატაკიდან თავანამდისა
ნადირთა ტყავით გ.ააკრევინა
და ზედ აბჯარნი, ვერცხლ-ფოლადისა,

ჯაჭვ-მუზარადნი ააჭედინა“.

გვადანი ზამთრის ღამეებში ამ დარბაზში „იჯდა მორთხმული“, ბუხარში მის მონებს ცეცხლი ჰქონდათ გაჩაღებული: „გარეთ კი ავი თოვლის ქარ-ბუქი, როგორც რომ მხეცი გაცაჰკიოდა, ხოლო მაღლობზე მთვარის შუქი ვიწრო სარკმელში გამოსჭვიოდა“. მკითხველს ალბათ, გაახსენდა „განდეგილი“. ბეთლემის მონასტერში მწირის სენაკის ერთი სარკმლიდან შემოსული მზის სხივი, რომელზეც ლოცვანის დაყრდნობით იქ დაყუდებული განდეგილი ყოველდღე ამოწმებდა თავის სიწმინდეს. თუ მზის სხივი ზედ შეირჩენდა ლოცვანს, მწირი ღვთის წინაშე სულიერ სიწმინდეს ინარჩუნებდა. გვადანის ციხის ვიწრო სარკმლიდან დარბაზში შემოსული მთვარის მკრთალი შუქი („თითქოს სუდარ მოსილი“) რკინის მახვილს აჩერდებოდა:

„და მკრთალი, თითქოს სუდარ მოსილი,
რკინის მახვილთა აჩერდებოდა,
ვით ავაზაკსა მსხვერპლის აჩრდილი, —
სასტიკ ღამეში ელანდებოდა.“

პოემის ტექსტის ამ მონაკვეთამდე გაცნობილი გვადანი მოკლედ შეიძლება ასე შეფასდეს: იგი ყაზართა ქვეყნის მთავარია (ამით ყაზართა ქვეყანა სამთავროდ უნდა წარმოვიდგინოთ), წინდახედული კაცია. ავტორმა მისი შეფასება ეპითეტით — „წინდახედული“ რომ დაიწყო, ამით მიგვანიშნა მთავრის შორსმჭვრეტელობაზე, გონებაგამჭრიახობაზე, სიბრძნეზე. გვადანი სხვა ერთან ძმურ კავშირს („კავშირი ვისმე ერთან მოყვარული“) ჯერჯერობით ვერ ამყარებს. მას ორასი წლის აქეთურმა წინაპრებმა დამპყრობლური ომებით შთამომავალთ მძიმე მყოფადი დაუკანონეს, სულ მტრის თავდასხმის მოლოდინის შიშში ამყოფეს, ყაზართა ცხოვრება მოუსვენარი და სასოწარკვეთილი გახადეს, რომელთაც მუდამ ელანდებათ მტერი. ამით გიორგი შარვაშიძე თავის პოზიციასაც აფიქსირებს; დამპყრობელ ერებს მომავალი არ უწერიათ. ამ უსინდისო ქმედებით ისინი თავიანთ უდანაშაულო მოსახლეობასაც აუბედურებენ, მტრის მხრიდან შურისძიების მოლოდინის ცეცხლში ყრიან.

თვითონ გვადანი წინაპრების ამ მაენე ტრადიციას როდი აგრძელებს, მისი მიზანია ქვეყნის თავდაცვის კედლების გამაგრება, რომლის

სიმბოლოდ ციხეც ააგებინა. მისი განსაცდელი ისაა, რომ ჩაკეტილია თავის სამშობლოში, წინაპართა მიერ მტრად მოკიდებულ მეზობელ ქვეყნებთან სამშვიდობო კონტაქტს ვერ ამყარებს. თუმცა, როგორც ჭკვიანი მთავარი, იმაშიც დარწმუნებულია, რომ ასეც გაგრძელება არ შეიძლება, შიგ ჩაკეტილობა ქვეყანას არანაირ ხეირს არ მოუტანს. იგი ეძებს რომელიმე ძლიერ სახელმწიფოს მოყვრული კავშირისა და თანამშრომლობისათვის. არჩევანი საქართველოზე შეჩერდა, რასაც თხზულების ავტორი მეშვიდე კარში გვაცნობს. ირკვევა, რომ ეს დავით აღმაშენებლის ზეობის პერიოდის საქართველოა. ასე რომ, დავით აღმაშენებელი და გვადანი თანამედროვენი არიან.

გვადანი დავითის ძლიერ საქართველოსთან გასაჭირმა დააკავშირა, უფრო სწორად, კავშირის მცდელობამ:

„დიდი ხანია, რაც რომ გვადანი
საქართველოსთან ცდილობს კავშირსა,
ამითი უნდა დაკრძალოს სხვანი
და მოიხმაროს დღეს გასაჭირსა“.

როგორ გავიგოთ ბოლო ორი ტაეპის იდეა? გამოდის, რომ გვადანი დარწმუნებულია საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობის განხორციელებისას დაასამარებს ყაზართა მტრების ზრახვებს შურისძიებისა, გაჭირვების თუ განსაცდელის ჟამს. ასე გამოიყენოს ძლევამოსილი საქართველო. გვადანის მხრიდან საქართველოსთან მოყვრული კავშირის მცდელობის ჩვენებით გიორგი შარვაშიძეს იმისი თქმა სურს, რომ დავით აღმაშენებლის პერიოდის საქართველოზე ძლიერი ქვეყანა კავკასიაში არ არსებობდა. თანაც არა მხოლოდ კავკასიაში, არამედ აღმოსავლეთით დასავლეთამდე ქუხდა მისი სახელი:

„ეს იყო ის დრო, როს საქართველო
აღმოსავლეთით დასავლეთამდე
ქუხდა ქებული და სასახელო,
საყვირი სცემდა კიდით კიდემდე!
აღმაშენებლის დროს დიდებისა
ზედ კურთხეული ესვა ბეჭედი
და კაცთ მოყვარე კეთილ მცნებისა
წინაშე ყველამ დაჰხარა ქედი!“

გიორგი შარვაშიძის შემოქმედებიდან გამოსჭვივის ნათელი აზრი, რომ მისი იდეალია დავით აღმაშენებლის დროინდელი საქართველო. ივერიის ისტორიის ზედმიწევნით მცოდნეს ეამაყებოდა იმჟამინდელი მისი სამშობლო. გავიხსენოთ აფხაზი დრამატურგის პიესა „გიორგი მესამიდან“ ზაქარია მზარგრძელის ენით ნათქვამი: „ო-ო! დავით აღმაშენებელი იყო ისეთი მეფე, რომლისთანაც მალე არ მოევლინება საქართველოს. მან შეაერთა ქართლ-კახეთი ერთ სამეფოდ, ამათ მიაკრა ყველა ქართველი თემი და ცალ-ცალკე, დამოუკიდებელი არსებობა მაშინ ერთობ გაზვიადებულ თავადთა დაასუსტა და შეჰქმნა ამ საშუალებით ერთი სახელმწიფო მთელი ივერიისა. სწორედ იმ დიდებულის კვალზე დგას ახლა ჩვენი მეფეცა“ (იგულისხმება გიორგი მესამე – ტ.მ.).

საქართველოსთან ურთიერთობის გადაწყვეტილება გვადანს ნაუცბათევად არ მიუღია. იგი დიდი ხნის ნაფიქრალი ჰქონდა. ამ საქმის მოსაგვარებლად არჩევანი თავის ძმა სელიმზე შეაჩერა. მითუმეტეს, იგი ქართლში ყოფილა გაზრდილი. VIII კარში სწორედ სელიმის პიროვნებას გვაცნობს მწერალი, რომელიც შემკული ყოფილა დადებითი თვისებებით, გარეგნული და სულიერი მშვენიერებით გამორჩეული: ჯანსაღი ტანის, მოხდენილი, ნიჭიერი, გულკეთილი, ზნეობრივი, დარბაისელი, მწიგნობარი, განათლებული, ენამახვილი, ტკბილმოუბარი, გონებამრთელი, ტკბილმგალობელი:

„ჭაბუკი სელიმ, ძმა გვადანისა,
უკვე ყოფილა ქართლში გაზრდილი:
ყრმა მოხდენილი, საღი ტანისა,
თან ნიჭიერი და გულკეთილი;
ზნეობა წვრთნილი, დარბაისელი,
ჩაუქი, მცოდნე და მწიგნობარი,
ენა მახვილი, გონება მრთელი,
ტკბილ-მგალობელი, ტკბილ-მოუბარი!“

სელიმი რომ ქართლში იზრდებოდა, ეს უკვე ნიშნავს ერთგვარ კავშირს ყაზარებსა და ქართველებს შორის, მაგრამ გვადანი ოცნებობდა პოლიტიკურ კავშირზე. დარწმუნებული იყო, ქართლში გაზრდილ ძმაზე უკეთ ამას ვერავინ შეასხამდა ხორცს. გაუმხილა კიდეც სელიმს ამის თაობაზე: „აბა, უმჯობესს ვიღას არჩევდა გვადან

ეჯიბათ საქართველოში!“ გვადანი სახტად დარჩა, როცა სელიმს თავ-შეკავება შეატყო. მანაც არ დააყოვნა და ყაზართა მთავარს თავისიევე თვალსაზრისი გააცნო. დაარწმუნა იგი: ეს კავშირი მოუგვარებადი იყო. პირველ რიგში დაუსახელა სარწმუნოებრივი შეუთავსებლობა. ქართველებს, როგორც ჩემს გამზრდელებს, კარგად ვიცნობ, ხელმწიფედ „კეთილ სვიანი“ დავით ჰყავთ, ღრმა ქრისტიანები არიან, ჩვენი და მათი ზნეობა განსხვავებულია, ქართველები ჩვენ ველურებს გვეძახიან და ჩვენთან კავშირს არც იკადრებენო:

„მე ვიცნობ ჩემსა გამზრდელებსაო,
იქ არ გაგვივა უსაქმოთ ენა,
ჩვენ გვეძახიან ველურებსაო!
დავით ხელმწიფე კეთილ სვიანი,
ერი დიადი, ღრმად ქრისტიანი,
ჩვენსა ზნეობას ვერ ითვისებენ,
ჩვენთან კავშირსა არ იკადრებენ!“

როგორ უნდა აღვიქვათ გვადანის მიმართ სელიმის ნათქვამი ეს სიტყვები – როგორც ჭეშმარიტებით გაჯერებული თუ ძმის კეთილი განზრახვისთვის სპეციალურად გზის ასაბნევად მრუდე სარკეში არეკლილი. ვფიქრობთ, ამ უკანასკნელზე უნდა გაკეთდეს აქცენტი. როგორც პოემის ავტორი გვარწმუნებს, სელიმი მცოდნე და მწიგნობარი ახალგაზრდაა. თუ ეს ასეა, მაშინ მას კარგად ეცოდინებოდა, როგორც დავით აღმაშენებლის თანამედროვეს, ამ დიდი ხელმწიფის დამოკიდებულება ჩრდილოელი კავკასიელებისადმი. ეცოდინებოდა მისი სტუმრობა მწიგნობართუხუცეს ჭყონდიდელთან ერთად ყივჩაღებთან, რომლებიც ოსეთთანაც შეარიგა. ამას შედეგად მოჰყვა 40 ათასი ყივჩაღის ოჯახის საქართველოში ჩამოყვანა 1118 წელს; ეცოდინებოდა ასევე დავით აღმაშენებლის მეორედ ქორწინებაზე ყივჩაღთა მთავრის ათრაქა შარაღანის ძის ასულზე ყივჩაღებთან დამოყვრების მიზნით.

პოემის შინაარსიდან გამომდინარე, ძნელია გარკვევა სელიმის ჩანაფიქრისა, თუ რატომ ცდილობს იგი გული აუცრუოს გვადანს საქართველოსთან დამოყვრებაზე, რატომ ამუქებს ნათელ სინამდვილეს, რატომ აბრალებს ქართველებს იმას, რაც სიმართლისგან შორს დგას. იქნებ ეს შინაგანი უჩინარი კონფლიქტია ძმასთან, უარეს შემთხვევაში

— ფარული მეტოქეობა სამთავრო ტახტისათვის. ან კიდევ იქნებ, სხვა შორს მიმავალი განზრახვაც ასულდგმულებს მის მაცდურ ქმედებას.

გვადანმა თითქოს უპირობოდ ირწმუნა სელიმის ნათქვამის სისწორე და ყოველგვარი განსჯის გარეშე იმთავითვე განაცხადა:

„არ იკადრებენ! ეგ რა სიტყვაა!
ჩვენ უღონო ვართ და უგუნურნი?
თუ რომ ხალხი კი სულ სხვა და სხვაა
ჩვენებურები და იქაურნი
ამითი ვითომ რას ამაყობენ“...

გვადანი განაგრძობს: ქართველებს ჰგონიათ, რომ ყველა მათგანი ერთმანეთზე უკეთესია? „მათში გლახაკსაც კაცითა სცნობენ, ჩვენ'ში კი იგი დასახრჩობია!“ ქართველებს მანდილოსნის გული აქვთ, სათნოებით რა უნდა მოიპოვონ:

„ქვეყანას წესი ბერ-მოლოზნისა
ვერ ააშენებს მეოხებითა“.

დამწუხრებული და დაფიქრებული გვადანი იჯდა ცეცხლის პირას. სელიმის ნათქვამმა იგი ქართველთა გინებამდეც მიიყვანა, მათი სარწმუნოებისადმი ირონიულ დამოკიდებულებამდეც. გრძნობდა, შველა არსიდან არ ჩანდა. ერთადერთი იმედი საქართველო იყო და ისიც გადაუწურა წინდაუხედავმა ძმამ. გაჯავრებულმა დრო გაიტანა დილამდის. როგორც კი გათენდა, თავისი ერთგული სარდალი დაიბარა.

IX კარში ცხოვრების დარჯაკში გამოწრთობილი 60 წლის გვადანი ეჭვს შეიტანს ძმის ნათქვამში, ამას მის ახალგაზრდულ ასაკს აბრალებს:

„ახალ-გაზრდა კაცს მრავალნაირი
აზრი მოსდის და კვლავაც გაქრება.
არ ეხატება გულში მას ჭირი.
არც დიდ ხანს რამე შიგ ჩაეჭრება;
ის დუღს სიცოცხლით მრავალფერათა,
ერთსა საგანზე არ გაჩერდება.
ძვირფას დროებას ფლანგავს ოხრათა,
არცა ჰგონია თუ გათავდება!“

ამ აფორიზმამდე ასულ სტროფში დიდაქტიზმი ხეირობს. მას'ში

ვეცნობით ახალგაზრდა კაცის დარიგებას, ძვირფასი დრო უშინაარსოდ არ გაფლანგოს, ნუ ჰქონია, თითქოს ეს პერიოდი მისი სიცოცხლისა არასოდეს დასრულდება. დამოწმებულ სტრიქონებს მოსდევს უკვე ხანდაზმული ადამიანის შეგონება:

„სულ სხვაა კაცი, რომელიც ბოლოს
წარსულ ცხოვრებას დაუკვირდება
და დაინახავს მსპობსა ანგელოზს
ცელ-მოელვარეს ვერ ასცილდება!“...

პოემის პირველი თავი ასე სრულდება: „გვადანი ახლა სამოცის წლისა, კელპი, მტარვალი და ნებიერი, მას ხმა არ ესმის სვინიდისისა, ჰგონებს ძალია მის მაგიერი!“ ამით მთავრდება გვადანის ამბავიც. თხზულების მეორე თავში კი, პირველისგან განსხვავებით, სულ სხვა ამბავია მოთხრობილი, რომელსაც მასთან არანაირი კავშირი არ გააჩნია.

რატომ დასრულდა უშედეგოდ გვადანის მცდელობა ძლიერ საქართველოსთან დასაკავშირებლად? იქნებ, სელიმის „რჩევა-დარიგებანი“ საბაბია მხოლოდ. იქნებ ყოველივე ამას მამაზეციერი აკონტროლებდა თავისი სასუფეველიდან და ბჭობდა, რომ ყაზართა ქვეყანა არანაირად არ იმსახურებდა ძლევამოსილ ქრისტიანულ საქართველოსთან დაძმობილებას. თავისი ცოდვილი წარსულის გამო, რაც გამოიხატებოდა დამპყრობლურ ომებში, მეზობელი ქვეყნის განადგურების, იავარქმნის, ეკლესიების გაძარცვის, მცხოვრებთა სახლ-კარის გადაწვის გამო.

ს. ჯანაშია მსჯელობს რა გიორგი შარვაშიძის პიესის „გიორგი მესამის“ დედააზრზე, ამბობს, რომ „ეს დრამა მიძღვნილია საქართველოს მთლიანობისა დ მისი სახელმწიფოებრივი ძლევამოსილების იდეისადმი“ და იქვე განაგრძობს: „იგივე იდეა უნდა სდებოდა, ჩანს, საფუძვლად პოემა „გვადანის ციხესაც“, რომელიც სამწუხაროდ, დაუმთავრებელია. აქ აზრი სხვადასხვა „ქართველი თემის“ ერთობისა მთლიან სახელმწიფოში დამუშავებული უნდა ყოფილიყო საქართველო-აფხაზეთის ურთიერთობის მაგალითზე. ძნელი არაა იმის მიხვედრა, რომ ყაზარების ქვეშ პოეტი აფხაზებს გულისხმობს. ყაზარ-აფხაზთა მთავრის, გვადანის, გულისნადები კი ეს არის:

„დიდი ხანია, რაც რომ გვადანი

საქართველოსთან ცდილობს კავშირსა,
ეს იყო ის დრო, რომ საქართველო
აღმოსავლეთით დასავლეთამდე
ქუხდა ქებული და სასახელო...“[1] და ა.შ.

სავსებით ვეთანხმებით ამასთან დაკავშირებით ელ. თავბერიძის შენიშვნას, რომ ს. ჯანაშიას ეს მოსაზრება არც ისე სამართლიანად გამოიყურება, რადგან პოემის არსებული ნაწილის მიხედვით ყაზარები იპყრობენ რუსეთის სამხრეთს („ყაზართ დაიპყრეს რუსთა სამხრეთი“)... და მტარვალობას მიჰყვეს ხელი, მათ ტაძრები გაანადგურეს, მოსახლეობას სახლ-კარი დაუწვეს. იქვე გვეუბნება პოეტი: „თუკი იღბალი რუსს დაუბრუნდა, ვერ იხარებდა ლაღი გვადანი“... ამიტომ სავარაუდოა, ყაზართა სახით რომელიმე მთიელი ტომი იგულისხმებოდეს და არა აფხაზები.[2]

ელ. თავბერიძის თვალსაზრისი სარწმუნოდ გვეჩვენება. გიორგი შარვაშიძის მიერ „გვადანის ციხეში“ მოხსენიებულ „ყაზარში“ აფხაზი კი არ იგულისხმება, არამედ რომელიმე ჩრდილოეთ კავკასიელი ტომი. მართალია, ასეთი სახელწოდების მატარებელი ტომი ჩრდილოეთ კავკასიაში არ გვხვდება, მაგრამ პოემაში მოთხრობილ ამბავს ლეგენდურს რომ უწოდებს პოეტი, მას ჰქონდა უფლება ფანტაზიის წყალობით გამოეგონებინა ტომის სახელი – „ყაზარი“. ხომ არ გავაიგივოთ იგი ხაზართან? შესაძლოა ჰქონდა გიორგი შარვაშიძეს გარკვეული სიმპათიური გრძნობა ხაზართა მიმართ იმდენად, რამდენადაც სწორედ ხაზარების შეიარაღებული დახმარებით შეძლო ლეონ მეორემ VIII საუკუნის დასასრულს აფხაზეთის გათავისუფლება ბიზანტიელი დამპყრობლებისაგან და თავისი რეზიდენცია ქუთაისში გადაიტანა. ია ჯიჭონაიას მონოგრაფიაში გაზიარებულია ხაზართა სამეფოსა და „აფხაზეთის ერისთავის“ ლეონ მეორის სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის შესახებ „მატიანე ქართლისა ს“ თხზულებაში მოცემული შრომის სიმონ ჯანაშიასეული ინტერპრეტაცია და გამოთქმულია მოსაზრება, რომ ლეონ მეორის ანტიბიზანტიური დემარში, შესაძლებელია, ინსპირირე-

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 76.

[2] ელ თავბერიძე, უბედო მამულის ყმა, წიგნში: გიორგი შარვაშიძე, თხზ., II, გვ. 216-217.

ბული იყო ხაზართა საკანის მიერ.[1]

ხაზარებს ქართლშიც ულაშქრიათ პირველად 627 წელს ბიზანტიის იმპერატორის ჰერაკლეს მოკავშირე თურქთა დასავლეთ სახაკანოს ჯარებთან ერთად. 627 წელს მათ თბილისიც დაუპყრიათ. 650 წლისთვის ჩრდილოეთ კავკასიაში ხაზართა ძლიერი სახელმწიფო შეიქმნა. ეს მაშინ, როცა ამიერკავკასიაში არაბები იწყებენ გაბატონებას. ამიერკავკასიისთვის ბრძოლაში არაბები და ხაზარები ხშირად იყენებდნენ დარიალის კარს და საქართველოს ტერიტორიას საომარ ასპარეზად აქცევდნენ. როგორც ისტორიულად ცნობილია, ხაზართა სახაკანოს ტერიტორია გადაჭიმული იყო ქვემო ვოლგა-სპირეთისა და ჩრდილოეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილის ტერიტორიაზე, ხაზართა სახაკანოს მომაკვდინებელი მოწინააღმდეგე იყო ძველი რუსეთის სახელმწიფო, რომელმაც შეძლო მისი მოსპობა X საუკუნის დასასრულისთვის. ამის შემდეგ ხაზართა კვალი არ ჩანს. ყოველ შემთხვევაში ისტორია არაფერს გვეუბნება მათი არსებობის გაგრძელებაზე ჩრდილოეთ კავკასიაში. „ყაზარი“ რომ ხაზართან გავაიგივოთ, ერთი მთავარი გარემოება გვიშლის ხელს, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ. „გვადანის ცისხის“ მიხედვით, „ყაზართა ერი“ ტერიტორიულად მოქცეულია რუსეთსა და ჩერქეზეთს შორის:

„მარცხნით ჩერქეზნი, მარჯვნით რუსეთი,
ამ ორნივ მტერთა შუაში შეკრულნი.
ყაზართ სჭიროდათ სიფრთხილე მეტი
და იყვნენ ხევში გამაგრებულნი“.[2]

„გვადანის ციხე“ გვიყვება: „ყაზართა ერი“ წარსულში („ორასი წელი წინეთ იმისა“...) იმდენად ძლიერი ყოფილა, რომ დაუპყრიათ „რუსთა სამხრეთი“, იქ მცხოვრებნი გაუნადგურებიათ („და არა ზომა მტარვალობისა არ დაუკლიათ მათზე არც ერთი, მიწა-წყალიდან გაანადგურეს“), ტაძრები გაუძარცვავთ, მოსახლეობისთვის სახლ-კარი გადაუწვავთ, რასაც მოჰყოლია ხალხის დაბეჩავება, ტანჯვა-წამებაში ყოფნა, გონებით დაჩლუნგება და გადაგვარების გზაზე დადგომა. ყა-

[1] ი. ჯიქონია, „ქართლის ცხოვრება“ VII-XII საუკუნეების საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის პოლიტიკური ურთიერთობების შესახებ. თბ., 2012, გვ. 17.
[2] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა. გვ. 111.

ზართა მთავარს, გვადანს, ის ადარდებდა „თუ კი იღბალი რუსს დაუბრუნდა“, ველარ გაისარებდა. მან „შეკრულ ხევში ნათალზე კლდისა, ციხე ააგებინა, რომლის „დარბაზში იჯდა მორთხმული“.

„გვადანის ციხის“ VII თავში, როგორც ზემოთაც ითქვა, მოთხრობილია გვადანის მცდელობანი საქართველოსთან კავშირის დასამყარებლად. ჩანს, რომ მთელ კავკასიაში მას საქართველო ყველაზე ძლიერ სახელმწიფოდ ეგულება. იქვე აზსნილია თუ რა დროის საქართველოზეა საუბარი:

„ეს იყო ის დრო, როს საქართველო,
აღმოსავლეთით დასავლეთამდე,
ქუხდა ქებული და სასახელო
საყვირი სცემდა კიდით კიდემდე!
აღმაშენებლის დროს დიდებისა
ზედ კურთხეული ესვა ბეჭედი.
და კაცთ მოყვარე კეთილ მცნებისა
წინაშე ყველამ დაჰხარა ქედი!“[1]

ნათლად ჩანს: „ყაზართა მთავარს, გვადანს, საქართველოსთან მოყვრული კავშირის დამყარება სურს სწორედ დავით აღმაშენებლის ეპოქაში. ასე რომ, „ყაზართა“ გაიგივება ხაზარებთან გამოირიცხება, ვინაიდან ამ დროისთვის, როგორც ზემოთაც შევნიშნეთ, მათი კვალი ჩრდილოეთ კავკასიაში წაშლილია.

გიორგი შარვაშიძე „ყაზარებში“, იქნებ, ყივჩაყებს მოიაზრებს. ყივჩაყები თურქულენოვანი ტომები იყვნენ შუა საუკუნეებში. პირველად ისინი ვოლგის აღმოსავლეთით ცხოვრობდნენ. იყვნენ წარმართები. ჰყავდათ ცხენოსანი ჯარი. საინტერესოა, რომ ისინი ომებში ქალებსაც აღებინებდნენ მონაწილეობას. XI საუკუნის II ნახევარში მათ რუსეთის წინააღმდეგ გაილაშქრეს (1068, 1092, 1093, 1096). ეს ხომ არა აქვს მხედველობაში გიორგი შარვაშიძეს, როდესაც „გვადანის ციხეში“ წერს: „ყაზართ დაიპყრეს რუსთა სამხრეთი“. XII საუკუნის დასაწყისში (1103-1116) რუსებმა ბრძოლით ყივჩაყების დიდი ნაწილი მოსპეს. დონის ნაპირებს შემორჩა მხოლოდ სარჩაქხანის პატარა ურდო, რომელსაც ათრაქა მართავდა. ყივჩაყები მეო-

[1] გ. შარვაშიძე. ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 115.

მარი ხალხი იყო, განთქმული ყოფილა მათი მხედრობა. დავით აღმაშენებელმა გადაწყვიტა მათი ჩამოყვანა ჯარის გასაძლიერებლად თურქ-სელჩუკების წინაღმდეგ საბრძოლველად. ჩვენმა დიდმა მეფემ ყივჩაყებთან დასამოყვრებლად მეორედ იქორწინა მათივე მთავრის (ხანის) ათრაქა შარაღანის ძის ასულზე.

როგორც ისტორიულად ცნობილია, 1115 წელს კიევის მთავარმა ვლადიმირ მონომახმა დაამარცხა ყივჩაყები, რის შემდეგ ისინი ჩრდილოეთ კავკასიაში იდგნენ. ამით ისარგებლა დავით აღმაშენებელმა და დაითანხმა ისინი საქართველოში გადმოსახლებაზე. დიდი მეფე მწიგნობართუხუცეს გიორგი ჭყონდიდელთან ერთად ესტუმრა ყივჩაყებს, ოსებთანაც შეარიგა ისინი. ამას შედეგად მოჰყვა ყივჩაყთა 40 ათასი ოჯახის საქართველოში ჩამოყვანა 1118 წელს. ამით დავით IV თავისი ჯარი 40 ათასი მოლაშქრით გააძლიერა. ყველაფერმა ამან განსაზღვრა დიდგორის ომის მოგება და თბილისის აღება, მისი გათავისუფლება თურქ-სელჩუკებისაგან. ცხადია, გიორგი შარვაშიძემ, როგორც საქართველოს ისტორიის დიდებულმა მცოდნემ, კარგად იცოდა ყივჩაყთა როლის შესახებ თურქ-სელჩუკებთან საქართველოს ძლევამოსილ გამარჯვებაში. შესაძლოა მათ მიმართ სიმპათიებმა შთააგონა „გვადანის ციხის“ შექმნა. კვლავ ვიმეორებთ: არ გამოვრიცხავთ ვარაუდს, რომ აღნიშნულ პოემაში მოხსენიებულ „ყაზარებში“ სწორედ ყივჩაყები იგულისხმებოდეს. ოღონდ რადგან ავტორი აქ მოთხრობილ ამბავს ლეგენდას უწოდებს, თავს უფლებას აძლევს მიმართოს ანაქრონიზმს. თუ ისტორიიდან ვიცით, რომ დავით IV თავისივე ინიციატივით ამყარებს მოყვრულ კავშირს ყივჩაყებთან, „გვადანის ციხეში“ პირიქითაა. ყაზართა (ალბათ, ყივჩაყთა) მთავარს გვადანს სურს ძლევამოსილ საქართველოსთან კავშირი ჰქონდეს: „დიდი ხანია, რაც რომ გვადანი საქართველოსთან ცდილობს კავშირსა“.

ერთი მომენტია საგულისხმო. გვადანი ყაზარების საქართველოსთან დასაკავშირებლად გადაწყვეტს ეჯიბად თავისივე ძმის გაგზავნას: „აბა, უმჯობესს ვიღას არჩევდა გვადან ეჯიბათ საქართველოში!“ ბარემ აქვე ვიტყვით, რომ გიორგი შარვაშიძეს, ცოტა არ იყოს, განსხვავებულად ესმის „ეჯიბის“ ფუნქცია. XI-XII სს. საქართველოში არსებობდა უმაღლესი სასამართლო ანუ „საჯო კარი“, სადაც განიხ-

ილებოდა საჩივრები. მეფესა და მომჩივანს („მოჯე“) შორის მდგომს ერქვა „ეჯიბი“. ეჯიბებს საკუთარი მეთაური ჰყავდათ ამირას სახით. ეს იყო ამირეჯიბი (მოხელე). ეჩყობა, მწერალს „ეჯიბი“ შუამავლის გაგებით აქვს ნახმარი, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს არ არის ჩვენთვის მთავარი, რადგან სულ სხვა რამ გვაინტერესებს.

გვადანის ძმა სელიმი თურმე ქართლში ყოფილა გაზრდილი. კვლავ დავიმოწმებთ ჩვენ მიერ უკვე ზემოთ ციტირებულ სტრიქონებს:

„ყმა მოხდენილი, საღი ტანისა,
თან ნიჭიერი და გულკეთილი;
ზნეობა წვრთნილი, დარბაისელი,
ჩაუქი, მცოდნე და მწიგნობარი,
ენა მახვილი, გონება მრთელი,
ტკბილ-მგალობელი ტკბილ-მოუბარი!“

როგორც ხედავთ, სელიმი ყოველმხრივ დადებით ჭაბუკად ხასიათდება. გვადანმა ძმას გაანდო განზრახვა, მაგრამ მისგან მოულოდნელად სულ სხვა აზრი მოისმინა. იგი არწმუნებს, რომ მისი გადაწყვეტილება საქართველოსთან საურთიერთოდ ძირშივე განწირულია. ამის მიზეზებს კონკრეტულად აუხსნის: მე კარგად ვიცნობო ჩემსა გამზრდელებს (ე.ი. ქართველებს), ეს დიადი ერია, ღრმად ქრისტიანი, ჰყავთ „დავით ხელმწიფე კეთილ სვიანი“. ჩვენი და მათი ზნეობა განსხვავებულია. ისინი ჩვენ ველურებს გვეძახიან და ამიტომ ჩვენთან კავშირს არ იკადრებენო:

„მე ვიცნობ ჩემსა გამზრდელებსაო,
იქ არ გაგვივა უსაქმოთ ენა,
ჩვენ გვეძახიან ველურებსაო!
დავით ხელმწიფე, კეთილ სვიანი,
ერი დიადი, ღრმად ქრისტიანი.
ჩვენსა ზნეობას ვერ ითვისებენ,
ჩვენთან კავშირსა არ იკადრებენ!“[1]

სელიმის ეს სიტყვები გვახსენებს „აბოს წამების“ ავტორის მიერ დახასიათებულ ხაზარებს: „რომელ არიან ხაზარნი, კაც ველურ, საშინელ პირითა, მხეცის ბუნება, სისხლისმჭამელ, რომელთა შჯული

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, გვ. 115.

არა აქუს".[1] საკითხავია იოვანე საბანისძე ასე უარყოფითად რატომ ახასიათებს ხაზარებს, რომლებსაც „ქუეყანასა ჩრდილოისასა" თავი შეაფარა ღრმად ეროვნულმა ქართლის ერისთავმა ნერსემ თავის ამალასთან ერთად. ეს ის ხაზარები არიან, რომლებმაც ხელი არ შეუშალეს არაბ ჭაბუკ აბოს ნათელი-ეღო. ეს ის ხაზარები არიან, რომლებმაც მშვიდობიანად გაატარეს თავიანთ ტერიტორიაზე ნერსე და მისი ამალა და ასევე მშვიდობიანად გააცილეს აფხაზეთამდე.

გვადანი ჩააფიქრა ძმის სიტყვებმა და პოზიციამ: ქართველებმა რატომ არ უნდა გვიკადრონ, არც ისე უღონო და უგუნურნი ვართო, ქართველთა მისამართით გვადანი იტყვის:

„გული აქვთ მაგათ მანდილოსნისა,
რას მოიპოვენ სათნოებითა?
ქვეყანას წესი ბერ-მოლოზნისა
ვერა ააშენებს მეოხებითა".[2]

ეს შეიძლებოდა ეთქვა, ცხადია, არაქრისტიან კაკვასიელ ტომთაგანს. შესაძლოა მასში ილანდებოდეს გიორგი შარვაშიძის პოზიციაც, რომელიც კარგად ხედავდა საქართველოში ცარიზმის რუსეთის პარპაშის შედეგებს, ასევე მშობლიური აფხაზეთის უბედურებას რუსების მხრიდან. საჭირო იყო მოქმედება, თავგანწირული ბრძოლა მტანჯველი უღლის გადასაგდებად.

კვლავ მივუბრუნდეთ გიორგი შარვაშიძისადმი მიძღვნილ კულტურულ-ისტორიულ ნარკვევში აკად. ს. ჯანაშიას მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს, რომ მთლიანობისა და მისი სახელმწიფოებრივი ძლევამოსილების იდეა უნდა სდებოდა საფუძვლად პოემა „გვადანის ციხესაც". ან კიდევ: „ძნელი არაა იმის მიხვედრა, რომ ყაზარების ქვეშ პოეტი აფხაზებს გულისხმობს". ზემოთ ვაჩვენეთ თუ როგორ გამოირიცხება ყაზარების აფხაზებთან გაიგივება. ასევე „გვადანის ციხის" საფუძვლიან გაცნობას მივყავართ ურყევ დასკვნამდე: გიორგი შარვაშიძეს პოემის წერისას ჩაფიქრებული ჰქონდა არა საქართველოს მთლიანობის იდეის ჩვენება (დავით აღმაშენებლის დროს იგი ისედაც მთლიანი იყო თავის აფხაზეთიანად), არამედ კავკასიელი ხალხ-

[1] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1963, გვ. 64.
[2] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 116.

ების ერთობის იდეის გამოხატვა, რაც XIX საუკუნის II ნახევრის დიდი ქართველი მწერლების შემოქმედებაშიც დომინირებს, რომელმაც „თავისი რძით გამოკვება“ გიორგი შარვაშიძის პოეზიაც. პოეტს სავსებით სამართლიანად მოსისხლე მტრად ესახებოდა მეფის რუსეთის რეჟიმი, რომლის განდევნა კავკასიიდან კავკასიელი ხალხების ერთობლივი ძალით იყო მხოლოდ შესაძლებელი. აქვე მინდა ასევე ვახსენოთ გიორგი შარვაშიძის დაკრძალვაზე ნ. თავდგირიძის სიტყვის ნაწყვეტი: „შენ პირველმა ასწიე, აღამაღლე მაღალ წოდებაში შეგნება პატივისცემა საზოგადოდ კავკასიელი ერებისადმი“.[1]

კიდევ ერთ გარემოებას მივაპყრობთ ყურადღებას. „გვადანის ციხის“ პირველი თავიდან მეორეში გადასვლა ალოგიკურია და მკითხველში იწვევს გაურკვეველობის გრძნობას. გვადანი, რომელიც საქართველოსთან ცდილობდა კავშირს, დამწუხრებულია, ამას აღსრულება არ ეწერა. ქართლში გაზრდილმა ძმამ, სელიმმა სასოწარკვეთილებაში ჩააგდო, დაარწმუნა მისი მცდელობის განუხორციელებლობაში. აქედან გამომდინარე: „აგრე ზრახვიდა ამაღამ გვადან, ცეცხლის პირისა დაფიქრებული და გრძნობდა კიდეც, რომ არსაიდან არ იყო შველა“. ის გულსა და გონებაში კიდევ ერთხელ განსჯის ძმის რჩევა-დარიგებას. იქნებ ამას სიმართლესთან საერთო არაფერი ჰქონოდა, იქნებ, სელიმს ეს ახალგაზრდობის გამო მოუვიდა („ახალ-გაზრდა კაცს მრავალნაირი აზრი მოსდის და კვლავ ქრება“). გვადანი კი სამოცი წლისაა, წარსულ ცხოვრებას ღრმად უკვირდება, ხედავს, რომ „ცულ-მოელვარე მსპობი ანგელოზი“ ვერ ასცილდება.

მკითხველისთვის მოულოდნელიც და შეუთავსებელიც ჩანს „გვადანის ციხის“ პირველი თავიდან შინაარსობრივად და იდეურადაც მეორეში გადასვლა. აქ სულ სხვა ამბებია მოთხრობილი, რასაც დაწვრილებით ქვემოთ განვიხილავთ. პოემის პირველი თავის გვადანის ამბავს ენაცვლება მეორე თავში ზურაბ ვაჩნაძის ამბავი. გავითვალისწინოთ ისიც, რომ „გვადანის ციხის“ პირველ თავში მოქმედება ჩრდილოეთ კავკასიაში, კონკრეტულად ყაზართა ქვეყანაში ხდება, მეორე თავში კი — საქართველოში. თუმცა საკუთრივ საქართველოს რომელ კუთხეში ხდება აღწერილი ამბები, ნახსენები არ არის. მო-

[1] ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, №10, 1918.

ქმედ პირთა ქართული წარმომავლობით ვხვდებით მოქმედების ადგილს საქართველოს სახით.

გიორგი შარვაშიძე დასაწყისშივე გვაცნობს ზურაბ ვაჩნაძის პიროვნებას: დიდი კაცი, „მეფის და ხალხის პატივცემული“, ქვეყნის ერისთავი (კუთხის სახელი უცნობია), ხალხზე მზრუნველი, ჭკვიანი წინამძღოლი. იგი ლხინის, დღესასწაულს მოტრფიალეა. ყოველღიურად მის უხვ სუფრას ორმოცი ადამიანი უზის:

„ღვინითა სავსე, ათ-ათის წლისა
სამასი ქვევრი ჩაკირულია,
კვირაობითა, დღესასწაულისა,
ხალხისთვინ ლხინი გამართულია“.

ლხინის დროს ქვევრებს მოხსნიან თავს, შამფურებს ატრიალებენ ცეცხლზე. მარტო ქეიფით როდი არიან დაკავებულნი. საქვეყნო საქმეებსაც იქვე წყვეტენ. სუფრის დასრულებისთანავე, საღამო ჟამს, იმართება ცეკვა, თამაში, ბურთაობა. მლიქვნელურ მორიდებას ადგილი არა აქვს, „ყველასა სურს ერთად გართობა“. ყველა წოდებისანი გათანაბრებულნი არიან, „ერთად ლაღობენ სიყვარულითა“, სიხარულით ატარებენ დროს. აქ ვერ იხილავთ მოღუშულ სახეს ადამიანებისას, არც ვინმე აუგიანს, ადამიანები პატივს მიაგებენ ერთმანეთს, „ჩანდა მტერი არავის ჰყავდა“. ეს კარი პოემისა (X) ასე სრულდება:

„ერის სიკეთე არ გაშენდება
არცა ქონებით, არც მამულითა,
ერის სიკეთე მხოლოდ გაჩნდება
კეთილ ზნეობით, წმინდა გულითა!“

ამ სტრიქონებში განცხადებულია გიორგი შარვაშიძის მრწამსი: ერის კეთილდღეობა ემყარება ზნეობრივ სიწმინდეს, ქრისტიანულ გაგებამდე დასულ ზნეობრივ სისპეტაკეს, სულიერ ღირებულებებს და არა მატერიალურ ქონებას. მეორე ტაეპში გახმოვანებული „მამული“ არ გაიგივდება სინონიმურად სამშობლოს ცნებასთან, არამედ ეს არის მაღალი ფენის კუთვნილი მამულები, ქონება მიწების სახით.

მომდევნო კარში ვეცნობით ზურაბ ვაჩნაძის ასულს სალომეს. ავტორი მოგვითხრობს ერისთავის ადრე დაქვრივებაზე, რომელსაც აღსაზრდელად დარჩა „ერთი პაწაწინა ქალი“. მან იცოდა ამქვეყნიური

ვალი ერთადერთი შვილის წინაშე და შეუდგა მის პირნათლად შესრულებას. არ შეირთო ზურაბ ვაჩნაძემ მეორე ცოლი და „ყოველი მისი მშობლური ზრუნვა მხოლოდ ას ერთსა შვილს დაამყარა“. არც უნაღვლია ვაჟის უყოლობა: „ეს მარგალიტი, მისი ობოლი, ანუგეშებდა მას ცხოვრებაში. სალომეს „ელლინი ვინმე, მხატვარი, „მესალინაო“ უძახდა ხოლმე. ასე შემორჩა მას მეორე სახელიც „მესალა“. „ქალი დასრულდა, ვით სავსე მთვარე“.

ზაფხულის მყუდრო ღამეს, როცა მიწაზე ციური სიმშვიდე ისადგურებს, „როცა ცხოვრების ხმები, დღიური, განისვენებენ, მიდუმდებიან“, ისმის სალამურის ხმა. მესალა თავის სასახლის აივანზე გამოდის, გიშრის თვალებს მიაპყრობს ზეცას, ყურს უგდებს ტკბილ სალამურს. ხვდება, რომ ეს შაქროს სალამურის ხმაა: „ვეტყვი კვლავ საყვედურსა, შაქროსა სტვირი არ მასვენებსო“:

„და შაქრო მაინც თავის კაეშანს
ზე დაღუღნებს, დაკვნესის წყნარა,
ოხვრასა უძღვნის იდუმალ ნიშანს,
ნიავსა ანდო და ჩააბარა“.

მკითხველი ქვეცნობიერად ხვდება მესალაზე შაქროს გამოჯნურებას.

ყოველ დილით სალომეს ახასიათებდა კარგად მორთვა. „სისუფთე ტანის, როგორც წამალი აქვს ჩვეულებად“, ერთი დილითაც კარგად გამოწყობილს თავს დაადგა გადია, ოქროს თმას ვარცხნის და სთხოვს ხალხში გასვლას, ჯირითობაზე დასწრებას, „მაღალ ყაბახსა ზე დაებმება ოქროსა თასი, ჯირითს ესვრიან“. თან შაქროზეც ჩამოუგდებს სიტყვას:

„ყოველთვის ერთი იქნება ჯარი?
თუნდ ჩვენი შაქრო, დათუნას შვილი
ბურთს რო იტაცებს, გამოვარდება,
როგორც ირემი, ხოლმე გახტება!“

საუბარში სალომეს მოახლე გოგოც ჩაერთვება შაქროსთან დაკავშირებით: „იცით, ბატონო, რა ოხერია ის გიჟი ბიჭი! დღეს დაიფიცა: „თუ ვერა ვნახე მე მზე ველათო, მაშინ კი დღესვე გამისკდეს მიწა, თუ გამოველი საბურთველათო!“

დაიწყო შეჯიბრება. ხალხის თანდასწრებით „ზოგი ბურთაობს,

ზოგი ჯირითობს". დამსწრეთ შენიშნეს ხის ქვეშ მჯდარი „უცხო ვინმე", რომელსაც ტანზეც და ფეხზეც სუფთად ეცვა, „აგერ ტაიჭიც რტოზე მობმული". ეს უცხო კაცი ჩანს „რაინდი ვინმე გალალებული"; რკინის ჯავშანი მზეზე უბრწყინავს, „ჩაბალახი თავზედ აბურავს". მას შეჰყურებენ სხვებთან ერთად ტურფა ქალები — „ფერად-ფერადად მოკაზმულები". სტუმარს მათკენ გაექცა თვალები და სურს მიახლოება, თანაც ერიდება. კეკე ქალებიც მას უჭვრეტენ, „ღიმილს მალავენ, ტუჩსა იკვნეტენ". ამ დროს პოემის ავტორიც პოულობს შესაფერის მომენტს, საკუთარი დაკვირვებიდან გამომდინარე, განაცხადოს და ჩვენც შეგვახსენოს, რისი მოწმენიც არაერთხელ ვყოფილვართ. მართლაც, „საგულისხმოა დედათ (დედაკაცები იგულისხმება) თვისება":

„ვინც უნდა იყოს, ვისაც ეტყობა...
მათზედა ცქერა და არშიყობა.
არც ჰქონდეს კაცსა სხვა რამ ღირსება,
მაინც კი ქალსა ეხალისება!"

უცხო ჭაბუკის შემყურეთაგან ერთ-ერთი მათგანი გაუშინაურდა, მიახლოებისას ვინაობა გამოჰკითხა, თან დაამატა: თუ რაიმეს მაძებარი ხარ. „წესია ჩვენში შეგიწყოთ ხელი". სტუმარმა უპასუხა: არაფრის მთხოვნელი არ გახლავართ, ოღონდ ერთი სურვილი შემისრულეთო: „ერთსა გთხოვ მხოლოდ, მამცნე ვინ არი, ის ტურფა ქალი, ის საკვირველი?.. აი, ის რომ დგას, ის მშვენიერი," ქცევით ნარნარი, მაღალ-მაღალი, ტან-ნაკვთიანი:

„თეთრად მოსილი და ღაწვ-მწყაზარი,
თმა ოქროსფერი, ჯავარიანი!
ლალი გააპო, აი, გაიცინა.
ბროლ-მარგალიტი გამოაჩინა!"

აღმოჩნდა, რომ „გალალებული ვინმე რაინდი" ზურაბ ვაჩნაძის ასულით მოხიბლულა. მაგრამ პასუხად მიიღო: მესალამ ბევრს აუნთო გულში ტრფობის ცეცხლი, მაგრამ ვინც მასთან მოვიდა ხელის მთხოვნელად, დანაღვლებული უკან წასულა. „სუსტნი ყოფილან, ყველანი გლახა!" — აღმოხდა სტუმარს ბაგიდან. ამ საუბარში დროც გავიდა, უკვე „დაღონებული მზეც ჩადიოდა". ჯირითობაც დასასრულს მიუახლოვდა. ხალხის გროვაც ნელ-ნელა იშლება, სოფლის სამრეკლო

ზარის ხმაც გაისმა, „იწვევს სალოცავათა“, „პირჯვარს ისახავს ხალხი დამდგარი“, კეთილმორწმუნენი სათითაოდ მიემართებიან ეკლესიისკენ, „მუნ სასოება აღემართება, სად წინაპართა არის სავანე“.

ამის შემდეგ მწერალი შეგვახვედრებს შაქროსთან: „შაქრო ბიჭია ლაზათიანი, რკინისა — ფერი და ახოვანი, სიტყვა-პასუხი გასახარია, რომ გაიცინებს, — საჩუქარია!“ ნაბურთალი და ძლიერ დაღლილი, წითელი პერანგის საკინძე გახსნილი, თანაც ფეხშიშველი ისვენებს,

„ხოლო ფიქრითა იქ მიისწრაფის,
სად ეგულება მისი ნუგეში,
მნათობი მისი სულის და ზრახვის,
ვისიც ხატი აქვს მარად უბეში“.

ამ ღროს მოულოდნელად შაქროს მოესმა „ცხენთა თქრიალი და თან კივილი“, რაც მომასწავებელი იყო მესალას გატაცებისა: „ქარივით მიჰქრის ჩვენი მხედარი და მოსჩანს თეთრი კაბის ფრიალი“... შაქრო „გაფრინდა ვით შავარდენი“, დაეწია გამტაცებელ ავაზაკს, „ხელი მოაელო ერთი უზანგსა და როგორც ვეფხვი უკან მოახტა!“ რკინის ბრჭყალივით მოუჭირა კისერში თითები. ამ მომენტში ვიღაცამ უკანა მხრიდან ფილტვებამდის ჩასცა ხანჯალი, შაქრო მკედარივით დაასკდა მიწას. ასევე დაფლითეს და დაჩეხეს სხვა მდევარნიც. ამ საშინელი სურათის აღწერის შემდეგ გიორგი შარვაშიძე საწუთროს უკუღმართობაზე ალაპარაკდა:

„აგრე ცხოვრება ხან რას გვარგუნებს,
როგორ ტრიალებს ეგ არვინ იცის,
რასთვის უმართლოთ ხან გვაფუფუნებს,
ხან გვირისხდება, განგებამ უწყის.
უნდა გვახსოვდეს, წუთი-სოფელში.
რასაცა ვხედავთ, წარმავალია!
ვინც ფიქრობს, თავის ბედი აქვს ხელში.
ის უმეცარი და აბდალია!“

მესალას გატაცებიდან სამი კვირის გასვლის შემდეგ „მილაგ-მოლაგდა ჭმუნვა, ვარამი, დარდსა ხომ მოსდევს ნუგეშის ჟამი!“ უკვე გამტაცებელთა წინაალმდეგ გალაშქრებაზე ალაპარაკდნენ, მხედრებსაც ითვლიან, „მრავალ კუთხიდან მოდის ათასი წერილები

და ემზადებიან“. შაქროს მამა დათო კოპალაშვილი კვირას, დილით, წირვის დასრულებისას ეახლა ზურაბ ვაჩნაძეს ოჯახში. ზურაბმაც შაქროს ჯანმრთელობა მოიკითხა, რომელიც სიკვდილს უკვე გადარჩენილი იყო. დათომ და ზურაბმა ყმაწვილკაცობა გაიხსენეს, ომშიც ერთად ყოფნა, ხმლით და ხიშტით მტრის ძლევა მოიგონეს.

დათომ ზურაბს გადასცა შაქროს შემოწანთავალი: „ნუ ინებებსო ლაშქრობას ჩქარა! დამაცადოსო, წამოვდგე ზეზე!“ ამის გაგონების შემდეგ

„ზურაბსაც ღელვის დამალვა უჭრის!
და ორნი კაცნი მოხუცებულნი
ჭირსა და ლხინში დამოყვრებულნი,
ორნივ სტირიან, — არც ერთს არ უკვირს!“

ამ სტროფით სრულდება პოემა „გვადანის ციხე“, რომლის ქვეშ ფრჩხილებში მიწერილია: „მეორე ნაწილი იქნება“. ვინ ჩახვდება, როგორ ჰქონდა ავტორს ჩაფიქრებული თხრობის გაგრძელება მეორე ნაწილში. იქნებ თვითონაც ორჭოფობის ჩიხში მოექცა, იქნებ ვერ გაართვა თავი საწადელს — როგორ გაეგრძელებინა და დაესრულებინა პოემა, ამიტომაც შეწყვიტა წერა. მწერლის ჩანაფიქრით — იქნებ, სალომეს მომტაცებელი უცნობი ჭაბუკი, „რაინდი ვინმე გალაღებული“, გვადანის ძმა სელიმია, რომელსაც გულში ჩადებული ჰქონდა მესალას მოტაცება და ამიტომაც უშლიდა ძმას საქართველოსთან პოლიტიკური ურთიერთობის დამყარებას, რითაც ორი ქვეყნის ერთობის იდეას სიყვარულს ანაცვალებდა. ვინ იცის კიდევ რამდენი „იქნებ“. ჩვენი მხრიდან ამაზე უსაგნო მსჯელობა ბნელში ხელის ფათურია“.

„გვადანის ციხის“ პირველი ნაწილის ორივე თავის შინაარსი დაწვრილებით სპეციალურად გადმოვეცით, პირველ თავში გავეცანით ყაზართა მთავრის, გვადანის, პიროვნებას, რომელიც თავისი ქვეყნის პატრიოტია, მშობელი ხალხის უსაფრთხოებაზე ფიქრობს, ქვეყნის თავდაცვის განმტკიცების მიზნით ციხე ააგებინა. იგი პროგრესულად მოაზროვნეა. სურს წინაპართა ცოდვები გამოისყიდოს. კარგად ესმის, რომ მის მიერ აგებულ ციხეში ჩაკეტვა საქმეს ვერ უშველის. განიზრახა ერთგული მოკავშირის ძიება. კავკასიაში ასეთ ქვეყნად საქართველო დაიგულა. დავით აღმაშენებლის პერიოდის ძლიერ საქართველოსთან სწადია ძმური კავშირის დამყარება. პოემის მეორე თავის შინაარსი

თუ იდეა რადიკალურად განსხვავდება პირველისაგან. მეორე თავის ამგვარი გაგრძელება, ერთი შეხედვით, მკითხველში მოულოდნელობას და გაუგებრობასაც იწვევს. თუმცა ერთი რამ არის თვალში საცემი: „გვადანის ციხის“ ორივე თავის ცალკეული მონაკვეთები ერთმანეთისაგან განირჩევა ასეთი დანაყოფით: I, II, III, IV, V, VI, VII, VIII, IX. ასე სრულდება პირველი თავი. თხრობა გრძელდება მეორე თავში და იქვე გრძელდება ანალოგიური დანაყოფიც: X, XI, XII, XIII, XIV, XV, XVI, XVII, XVIII, XIX (ჩვენ მათ პირობით კარი ვუწოდეთ). ალბათ, ავტორი ამით მიგვანიშნებს ორივე თავის ერთმანეთთან რაღაც ლოგიკურ კავშირზე. თუმცა ჩვენ ასეთი კავშირის საფუძველს ვერ ვხედავთ, გარდა იმ ვარაუდისა, რომ შესაძლებელია მუსალის გამტაცებელი უცხო ჭაბუკი გვადანის ძმა სელიმი იყოს, რის ფრჩხილებსაც, შესაძლოა, მწერალი მეორე ნაწილში გახსნიდა.

„გვადანის ციხის“ ერთ ანაქრონიზმზე თუ ლაფსუსზე გვინდა ყურადღებას გამახვილება. პოემის „შესავალ'ში“ ვკითხულობთ:

„მაღალსა ქედზეც, ზღუდეში კლდისა,
ყირიმ-კავკასიის საზღვრების მცველი,
თითქო დარაჯი ათასის წლისა,
დგას ჯიღოსანი ნანგრევი ძველი“.

ეპითეტ „ჯიღოსანთან“ დაკავშირებით გავიმეორებთ ელგუჯა თავბერიძის ნათქვამს: „დგას ჯიღოსანი ნანგრევი ძველი“, – წერს ერთგან და ამ ფრაზაში ატევს იმ აზრსაც, რომ აწმყოს ამ ნანგრევისთვის ყველაფერი ვერ წარუტაცნია, ისევ ჯიღოსანი დარჩენილა, იგი შემორჩენია წარსული დიდების ნაშთად“. ახლა კი ანაქრონიზმის ჩვენებას დავუბრუნდეთ. დამოწმებული სტროფის შინაარსიდან ირკვევა, რომ ამ პოემის წერისას (1913 წელი) გვადანის მიერ აგებული ციხის ნანგრევი ათას წელს ითვლის. ეს იმაზეც მიგვანიშნებს, გავიგოთ თუ როდის ცხოვრობდა ყაზართა მთავარი გვადანი, როგორც ჩანს – მეათე საუკუნეში. ეს კი როგორ შევათანხმოთ გვადანის მცდელობასთან საქართველოსთან კავშირზე, კერძოდ, დავით აღმაშენებლის დროინდელ საქართველოსთან, რომელიც „აღმოსავლეთით დასავლეთამდე ქუხდა ქებული და სასახელო“. საქართველო აღმაშენებლის ხანაში ქუხდა XII საუკუნის პირველ მეოთხედში.

ვფიქრობთ, გიორგი შარვაშიძის პოეტური ენერგია, სახისმეტყველებითი შესაძლებლობანი ყველაზე მეტად „გვადანის ციხეში“ განსხეულდა. მიმზიდველია მისი ტროპული მეტყველება, ბუნების მხატვრულ ფერებში განსახოვნება. მწერლის სახეებით აზროვნების ძალისხმევა გაშლილია მხატვრულ შედარებაში, მეტაფორაში, ეპითეტებში. გაპიროვნებაში და ა.შ. ორიგინალური მხატვრული სახეები შეფერილია კეთილისმყოფელი გავლენებითაც, რასაც ვერასოდეს ასცდება ნებისმიერი რანგის შემოქმედი.

მხატვრული შედარება. ვიდრე მხატვრული შედარების შინაარსს და ფუნქციებს წარმოვაჩენდეთ, გვსურს ფეხდაფეხ მივყვეთ ტექსტს და ზოგადად მიმოვიხილოთ მასში განფენილი ეს მხატვრული ხერხი გამოსახვისა. თხზულების შესავალში ავტორი წარმოდგენას გვიქმნის საუკუნეთა სრბოლას როგორ იავარუქმნია ყაზართა თავდაცვითი სიმაგრის სიმბოლო გვადანის ციხის სახით. თანაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ მოგვითხრობს პოეტურად თქმულებად გავრცელებულ ამბავს. ე.ი. ზეპირსიტყვიერებაში გავრცელებული ამბების ლექსად გარდამთქმელად გვევლინება პოეტი. აქ ჩვენთვის მთავარია მის მიერ ამ ძველი ამბის შედარება ჯადოსთან:

„ამბავი მაზედ, როგორც რომ ჯადო,
ამა კუთხეში ჩანერგულია,
და მოვინდომე, რომ მეცა ვცადო,
ავწერო, რაცა ზეპირ-თქმულია“.

ყაზართა ბუნების სურათების წარმოსახვისას პოემის ავტორი ჯიხვზე მონადირე კაცის სიმედგრეზე გვესაუბრება და მას ადარებს კლდეზე მიმჯდარ ღამურას, რომელიც „ბნელსა ქვესკნელში ჩაეკიდება: „სად მონადირე ჯიხვის მდევარი სიკვდილ-სიცოცხლის შუა ჩერდება, როგორც ღამურა, კლდეზე მიმჯდარი. ბნელსა ქვესკნელში ჩაეკიდება“. ამ სტროფს მოსდევს ქვესკნელის სიღრმეში მოღრიალე მდინარის დახასიათება, მისი ბღავილი ცოფიანთან არის შედარებული:

„და ძირს სიღრმეში დუღს და ტრიალებს
მდინარე გიჟი, თავ-ქაფიანი,
სიპებსა ებრძვის, ზედ აყრის დორბლებს,
ბღავის და ბღავის, ვით ცოფიანი!“

შეუძლებელია მკითხველს არ გაახსენდეს გრიგოლ ორბელიანის თერგის სიგიჟე: „წყალნი მთით დაქანებულნი ალმასებრ უფსკრულს ცვივიან. თერგი რბის, თერგი ღრიალებს, კლდენი ბანს ეუბნებიან“. გიორგი შარვაშიძე როგორც მდინარეს, ასევე თოვლის ქარბუქსაც მხეცის კივილს ადარებს. გვიხატავს რა ზამთრის ღამეში ციხის დარბაზში მყოფ გვადანს, რომელიც ბუხარში გაჩაღებულ ცეცხლს მიფიცხებია, იქვე წარმოაჩენს, თუ რა ხდება გარეთ: „გარეთ კი ავი თოვლის ქარ-ბუქი როგორც რომ მხეცი გაცაჰკივოდა“. აქ უნებლიედ გვახსენდება იაკობ ხუცესისეული დახასიათება გაავებული ვარსქენისა: „ვითარცა მხეცი მძვინვარე ყიოდა და იზახდა ვითარცა ცოფი“. გვადანის ციხის ვიწრო სარკმლიდან მთვარის შუქი შემოდიოდა („მთვარის შუქი ვიწრო სარკმელში გამოსჭვივოდა“), სუდარამოსილივით რკინის მახვილს აჩერდებოდა და „ვით ავაზაკსა მსხვერპლის აჩრდილი, — სასტიკ ღამეში ელანდებოდა“.

გიორგი შარვაშიძე ზურაბ ვაჩნაძის ასულს სალომეს (იგივე მესალა) ობოლ მარგალიტს ადარებს და ამით ამომწურავ წარმოდგენას გვიქმნის ქალის მშვენიერებაზე და განსაკუთრებულობაზე:

„აღარ ისურვა მეორედ ცოლი,
არცა ნაღვლობდა, რომ არ ჰყავს ვაჟი,
ეს მარგალიტი, მისი ობოლი,
ანუგეშებდა მას ცხოვრებაში“.

(შდრ. „ვეფხისტყაოსანი“: „ვით მარგალიტი ობოლი ხელიხელ საგოგმანები“).

ობოლ მარგალიტთან ერთად სალომე წარმოდგენილია გავსებულ მთვარედ: „მას მერე გადის თხუთმეტი წელი, ქალი დასრულდა ვით სავსე მთვარე“ (შდრ. „ვეფხისტყაოსანი“: „რა გაიზარდა, გაივსო, მზე მისგან საწუნარია“). ყოველ დილით ვაჩნაძის ქალს ჩვეულებად ჰქონდა ტანის სუფთად მორთვა, რაც მის განწყობას წამალივით კურნავდა:

„ყოველ დილაობით ვაჩნაძის ქალი
მორთვას უნდება. დიდხანს ეწყობა,
სისუფთე ტანის, როგორც წამალი,
აქვს ჩვეულებათ, — ასე ეტყობა“.

აბანოდან ამოსულ სალომეს სვდება მოახლე გოგონა, „ვითა ქანდაკსა უჭირავს დანა მარმალოს ფერხთა გამოსაქნელად“. გადია მესალას ჯირითზე ეპატიჟება, თანაც შაქროს უხასიათებს როგორც კარგად მოჯირითე მხედარს. ეს ის შაქროა, რომელიც ზაფხულის ღამეებში სალამურის ხმებით ართობს მესალას. გადია მობურთავე შაქროს ირემს ადარებს:

„ყოველთვინ ერთი იქნება ჯარი?
თუნდ ჩვენი შაქრო, დათუნას შვილი,
ბურთს რო იტაცებს, გამოვარდება,
როგორც ირემი ხოლმე გახტება!“

მაგრამ გადიას მხრიდან არ სრულდება შაქროს დახასიათება, უწოდებს მას მგლის მუხლების პატრონს, რომელიც სალ კლდესავით აპობს მკერდით ქარს: „მკერდით ქარს აპობს, როგორც სალი კლდე, მგლისა მუხლებით მიექანება!“ ბურთაობით დაღლილი შაქრო ისვენებდა, ამ დროს მოულოდნელად მოესმა „ცხენთა თქრიალი და თან კივილი“. თურმე მისი შეყვარებული მესალა გაუტაცნიათ, მომტაცებელი მხედრის სრბოლა პოეტს ქართან შეუდარებია: „ქარივით მიჰქრის ჩვენი მხედარი და მოსჩანს თეთრი კაბის ფრიალი“. შაქრომ წონასწორობა დაკარგა, დაედევნა გამტაცებლებს და ამ დროს მისი მოქმედება შევარდენს მოგვაგონებს: „გაფრინდა შაქრო, ვით შავარდენი, მას ვერ გაასწრებს მტერისა ცხენი!“ იგი დაეწია იმ ავაზაკს, მის უზანგს ჩაავლო ხელი და იმ მომენტში მისი საქციელი ავტორის მიერ შედარებულია ვეფხვთან:

„ხელი მოავლო ერთი უზანგსა
და როგორც ვეფხვი, უკან მოახტა!
მძლავრი თითები კისერში სტაცა
და მოუჭირა ვით რკინის ბრჭყალი“...

გააკებული შაქრის თითები რკინის ბრჭყალებს მოგვაგონებს, მა-

გრამ მოხდა უბედურება. ამასობაში შაქროს ვიღაცა მიეპარა ვერაგულად „ფილტვებამდი ჩასცა ხანჯალი“. შაქროს სხეული მიწას დაასკდა მკვდარივით:

„ამ დროს ეტაკა უკან ვიღაცა
და ფილტვებამდი ჩასცა ხანჯალი!
შაქრო მოსცილდა, ვით მკვდარი, ლეში
და პირ-ქვე მძიმედ მიწას დაასკდა!“

ამას მოსდევს გიორგი შარვაშიძის ჩივილი საწუთროს უკუღმართობაზე და ვისაც ბედისა სჯერა, მას ადარებს უმეცარს და აბდალს: „ვინც ფიქრობს თავის ბედი აქვს ხელში ის უმეცარი და აბდალია“.

ზემოთ დავიმოწმეთ „გვადანის ციხეში“ დაფიქსირებული მხატვრული შედარების ყველა ნიმუში. როგორც მკითხველმა შენიშნა, ყველა შედარება ადვილად ალსაქმელია თავისი უბრალოებით. ისინი გამიზნულია პერსონაჟების სულიერი მდგომარეობის გასაცნობიერებლად, გარეგნული მშვენიერების გამოსახატავად, ასევე ფიზიკური ძლიერების წარმოსაჩენად. როგორც დავინახეთ, ეს პოემა დიდად არ გვანებივრებს შედარებათა სიუხვით, არ არის გაპოხიერებული ამ მხატვრულ-პოეტური ხერხით, მაგრამ რაც მოგვეპოვება, მნიშვნელოვანია და ანგარიშგასაწევიც, თუნდაც სათანადო წყაროებით იყოს იგი ნასაზრდოები.

ახლა კი გავეცნოთ ციტირებული მხატვრული შედარებების შინაარსს და ფუნქციებს. შესადარებელ-შედარებული საგნები გამოყენებულია ფიზიკური საგნების სახით, უფრო მეტად გვხვდება კონკრეტული საგნები, აქა-იქ გამოვლინებას პოულობს აბსტრაქტული არსებითი სახელებიც. შედარების ობიექტად გამოყენებულია: ღამურა, ჯადო, ცოფი, მზეცი, ავაზაკი, მთვარე, წამალი, მოქანდაკე, ირემი, კლდე, შევარდენი, ვეფხვი, რკინის ბრჭყალი, მკვდარი, ლეში, ქარი. შესაბამისად, შესადარებელი საგნებია: მხედარი, შაქრო, თითები, მოახლე ქალი, ტანი, ქალი, მთვარის შუქი, ქარ-ბუქი, მდინარე, მონადირე, ამბავი.

სულიერი საგნის სულიერთან შედარების მაგალითები: „ხელი მოკიდა ერთი უზანგსა და როგორც ვეფხვი, უკან მოახტა“; „გაფრინდა შაქარო, ვით შავარდენი“; „ბურთს რო იტაცებს (საუბარია შაქროზე - ტ.მ.), გამოვარდება, როგორც ირემი ხოლმე გახტება“; „სად მონა-

დირე ჯიხვის მდევარი სიკვდილ-სიცოცხლის შუა გაჩერდება, როგორც ღამურა, კლდეზე მიმჯდარი. ბნელსა ქვესკნელში ჩაეკიდება“.

სულიერი საგანი შედარებულია უსულოსთან: „ქალი დასრულდა, ვით სავსე მთვარე“; „მკერდით ქარს აპობს (შაქრო - ტ.მ.), როგორც სალი კლდე, მგლისა მუხლებით მიექანება“; „შაქრო მოსცილდა, ვით მკვდარი, ლეში“; „ქარივით მიჰქრის ჩვენი მხედარი“.

აბსტრაქტული საგანი შედარებულია უსულოსთან: „სისუფთე ტანის, როგორც წამალი, აქვს ჩვეულებათ“; „ხოლო მაღლობზე მთვარის შუქი ვიწრო სარკმელში გამოსჭვივოდა და მკრთალი, თითქოს სუდარ მოსილი, რკინის მახვილთა აჩერდებოდა ვით ავაზაკსა მსხვერპლის აჩრდილი, – სასტიკ ღამეში ელანდებოდა“.

კონკრეტული საგანი შედარებულია აბსტრაქტულთან: „ქარივით მოჰქრის ჩვენი მხედარი“.

აბსტრაქტული საგანი შედარებულია კონკრეტულთან: „გარეთ კი ავი თოვლის ქარ-ბუქი, როგორც რომ მხეცი გაცაჰკივოდა“.

ახლა ვნახოთ მხატვრული შედარების ფორმის ნიმუშები: „გვადანის ციხისთვის“ უმთავრესად დამახასიათებელია მარტივი შედარებანი: „გაფრინდა შაქრო, ვით შავარდენი“; „შაქრო როგორც ირემი ხოლმე გახტება“; „ქალი დასრულდა, ვით სავსე მთვარე“; „მკერდით ქარს აპობს, როგორც სალი კლდე“; „შაქრო მოსცილდა, ვით მკვდარი, ლეში“; „მდინარე... ბღავის და ბღავის, ვით ცოფიანი“; „ხელი მოავლო ერთი უზანგსა და როგორც ვეფხვი, უკან მოახტა“ და ა.შ.

პოეტური შედარების გადმოცემა ხდება წინადადების ცალკეული წევრებით: „ხელი მოავლო ერთი უზანგსა და როგორც ვეფხვი უკან მოახტა“; „და ძირს სიღრმეში დუღს და ტრიალებს მდინარე გიჟი თავქაფიანი, სიპებსა ებრძვის, ზედ აყრის დორბლებს, ბღავის და ბღავის, ვით ცოფიანი!“ „მკერდით ქარს აპობს, როგორც სალი კლდე, მგლის მეოხებით მიექანება“; „ქალი დასრულდა, ვით სავსე მთვარე“ და სხვ.

მხატვრული შედარება გადმოცემულია შესატყვებებით: „ქალი დასრულდა, ვით სავსე მთვარე“; „ვით ავაზაკსა მსხვერპლის აჩრდილი, – სასტიკ ღამეში ელანდებოდა“; „მკერდით ქარს აპობს, როგორც სალი კლდე“; „მძლავრი თითები კისერში სტაცა და მოუჭირა, ვით

რკინის ბრჭყალი“.

შედარებების გამოსახატავად ნახმარია კავშირები:

ვით: „და მოუჭირა, ვით რკინის ბრჭყალი“; „ბღავის და ბღავის, ვით ცოფიანი“; „შაქრო მოსცილდა, ვით მკვდარი ლეში“; „გაფრინდა შაქრო, ვით შავარდენი“, „ქალი დასრულდა, ვით სავსე მთვარე“.

როგორც: „გარეთ კი ავი თოვლის ქარ-ბუქი, როგორც რომ მხეცი გაცაჰკივოდა“; „მკერდით ქარს აპობს. როგორც სალი კლდე“; „სად მონადირე... როგორც ღამურა, კლდეზე მიმჯდარი“; „ბურთს იტაცებს, გამოვარდება, როგორც ირემი ხოლმე გახტება“; „ამბავი მაზედ, როგორც რომ ჯადო“; „და როგორც ვეფხვი, უკან მოახტა“.

თანდვებული **ვით** შეზრდილია სახელთან: „ქარივით მიჰქრის ჩვენი მხედარი და მოსჩანს თეთრი კაბის ფრიალი“.

პრეპოზიციური შედარება: „ვით ავაზაკსა მსხვერპლის აჩრდილი, — სასტიკ ღამეში ელანდებოდა“.

პოსპოზიციური შედარება: „მკერდით ქარს აპობს, როგორც სალი კლდე“; „მძლავრი თითები კისერში სტაცა და მოუჭირა, ვით რკინის ბრჭყალი“; „ბღავის და ბღავის, ვით ცოფიანი“; „შაქრო მოსცილდა, ვით მკვდარი, ლეში“; „გაფრინდა შაქრო, ვით შევარდენი“; „ქალი დასრულდა, ვით სავსე მთვარე“.

„გვადანის ციხის“ ეპითეტიკა. როგორც ყველა მხატვრული სიტყვის ოსტატი, გიორგი შარვაშიძეც საანალიზო პოემაში ფართოდ იყენებს ეპითეტებს, რომელიც სჭირდება ბუნების სურათების, ადამიანის გარეგანი და შინაგანი სამყაროს დასახასიათებლად. თუმცა „გვადანის ციხე“ არ გვანებივრებს მაინც და მაინც ორიგინალური თუ მოულოდნელი ეპითეტებით. იგი უფრო ქართულ ლიტერატურულ ტრადიციებს მიჰყვება, ყველაზე მეტად „ვეფხისტყაოსნის“ ეპითეტურენოვანი მეტყველების გავლენას განიცდის. მთავარია ის, რომ მწერალი აქტიურ მიმართებაშია ტროპის ამ სახესთან, ანუ მხატვრულ ხერხთან. იშვიათად, მაგრამ მაინც მოგვეპოვება მეტაფორული ხასიათის ეპითეტები. ჩვენ საგანგებოდ ამოვწერეთ „გვადანის ციხის“ ლოგიკური და მხატვრული განსაზღვრანი და დავალაგეთ ანბანის რიგის მიხედვით.

აბდალი, აგდებული, ავი, აუგიანი, ახოვანი, ბნელი, ბრწყინვალე,

გალაღებული, გამაგრებული, განსპეტაკებული, გაშლილი, გაჯავრებული, გასართობი, გიჟი, გულკეთილი, დაბნეული, დამოყვრებული, დანაღვლიანებული, დაუნდობელი, დაუსვენარი, დაღლილი, დაღონებული, დაფლეთილი, დაჩეხილი, დამდნარი, დამტკბარი, დიდებული, დიდი, დარბაისელი, დიადი, დაფიქრებული, დაიჭვნეული, დღიური, ერთგული, ველური, ვიწრო, ზრდილი, თბილი, თვალცბიერი, თეთრადმოსილი, თავქაფიანი, თეთრი, იდუმალი, კეთილსვიანი, კელპი, კარგი, კეკე (კეკელა), კურთხეული, კეთილი, კეთილმოსურნე, ლურჯი, ლაზათიანი, ლაწირაკი, ლაღი, მრავალნაირი, მტარვალი, მწარე, მოღუშული, მშობლიური, მოკაზმული, მშვენიერი, მაღალი, მცველი, მძლავრნი, მოყარულნი, მოციმციმე, მომხიბლავი, მორთული, მანათობელი, მიუწვდომელი, მაღლობი, მოყვარე, მოხდენილი, მკრთალი, მცოდნე, მწიგნობარი, მრთელი, მოხუცებული, ნაბურთალი, ნიჭიერი, ნებიერი, ნარნარი, ობოლი, ოხერი, ოქროსფერი, პატივცემული, პაწაწა, რკინისფერი, სავსე, საკვირველი, საფრთხო, საწყალი, სუდარამოსილი, სასტიკი, სასაზელო, სუსტი, საკინძგახსნილი, საცოდავი, საღი, ტკბილმოუბარი, ტკბილმგალობელი, ტურფა, ტანნაკვთიანი, უღონო, უგუნური, უკუღმართი, უცხო, უცნაური, უგვანო, უხვი, უბიწო, ურჩი, უსუსური, უზარმაზარი, უმეცარი, ფერმიხდილი, ფეხშიშველი, ქებული, მწყაზარი, შავი, შეკრული, შნოიანი, ჩვენებური, ჩაუქი, ცხოველი (ცოცხალი), ცოფიანი, ცუდი, ცელ-მოელვარე, ციური, ძვირსანახავი, ძველი, წითელი, წმინდა, წარმავალი, წინდახედული, წვრთნილი, ჯავარიანი, ჯიღოსანი.

მუდმივი და მოულოდნელი ეპითეტები. მუდმივ ეპითეტს ეძახიან ისეთ ეპითეტს, რომელიც ხშირად გამოიყენება საზღვრულ სიტყვასთან ერთად. გავეცნოთ მუდმივ ეპითეტთა გარკვეულ ნაწილს, „მაშინ ამბოხი და მწარე შხამი“; „დიდი კაცია ზურაბ ვაჩნაძე“; „როდესაც თბილი ზაფხულის ღამე“... „ლურჯი გორები ნისლით მოირთო“; „ვრცელსა ეზოში გრძლათ გაწოლილა“; „რაც შავი ბედი დღეს აქ გადაწყდა“; „და ცუდი ხმა რომ არ დაგვიგდია“.

მხატვრული განსაზღვრის ღირსება მის მოულოდნელობაშია, რაც უფრო ემოციურია, ცოცხალი და შთამბეჭდავი. „გვადანის ციხეში“,

სამწუხაროდ, მოულოდნელი ეპითეტების სიმწირეა. მაინც საჭიროდ მივიჩნიეთ ზოგიერთი ნიმუშის ციტირება. „დგას ჯილოსანი ნანგრევი ძველი“; „რამან აღუგზნა ცხოველი ალი“; „ოდეს ციური სიმშვიდე რამე“; „როცა ცხოვრების სმები დღიური“.

მარტივი და რთული ეპითეტები. შემადგენლობის მიხედვით ეპითეტს ორად ყოფენ — მარტივ და რთულ ეპითეტებად. „გვადანის ციხეში“ ორივე სახის ეპითეტს ვხვდებით, მაგრამ მარტივი ეპითეტის ხვედრითი წილი გაცილებით მეტია. ამოვწერთ სათანადო მაგალითების გარკვეულ ნაწილს.

მარტივი ეპითეტები. „ის უმეცარი და აბდალია“; „მძლავრი თითები კისერში სტაცა“; „უიარაღო იყვნენ ქართველნი“; „ზის ნაბურთალი, ძლიერ დაღლილი“; „აი, ის რომ დგას, ის მშვენიერი“; „ის ტურფა ქალი, ის საკვირველი“; „რაინდი ვინმე გალაღებული“; „მკერდით ქარს აპობს, როგორც სალი კლდე“; „ყურს უგდებს შორით ტკბილ სალამურსა“; „გვადანი ახლა სამოცი წლისა, კელპი, მტარვალი და ნებიერი“; „ჩვენ ულონო ვართ და უგუნურნი“; „ზედ კურთხეული ესვა ბეჭედი“; „ვიწრო სარკმელში გამოსჭვივოდა“; „გარეთ კი ავი თოვლის ქარ-ბუქი“; „ბღავის და ბღავის, ვით ცოფიანი“; „სადაცა უჭვრეტს მიუწვდომელსა“; „როგორც უბიწო ვნებით დამტკბარი“; „სად მოციმციმე მყინვართა თავი, განსპეტაკებულ და მომხიბლავი მზისა სხივებსა ეალერსება“...

რთული ეპითეტები. „და მკრთალი, თითქოს სუდარმოსილი“, „შაქრო ბიჭია ლაზათიანი, რკინისფერი და ახოვანი“; „მიემართება ეკლესიისკენ კეთილ-მორწმუნე“; „მნათობის შუქი, აწ ფერმიხდილი“; „მას ხო არ ბრძანებ, ი თვალ-ცბიერი“; „დავით ხელმწიფე, კეთილსვიანი“; „თან ნიჭიერი და გულკეთილი“; „ტკბილ-მგალობელი, ტკბილ-მოუბარი“; „მდინარე გიჟი თავ-ქაფიანი“; „დიდებულია, ძვირ-სანახავი ყაზართა ქვეყნის უხვი ბუნება“; „ყოფილა კაცი წინდახედული“; „წითელ პერანგის საკინძგახსნილი და ფეხშიშველი შაქრო ისვენებს“; „მსპობსა ანგელოზს ცელ-მოელვარეს ვერ ასცილდა“; „არა, მეორე, ქცევით ნარნარი, მაღალ-მაღალი, ტან-ნაკეთი, თეთრად მოსილი და ღაწვ-მწყაზარი, თმა ოქროსფერი, ჯავარიანი“.

მაქებარი ეპითეტები. „ქებულსა დათოს, კოპალაშვილსა“; „აი, ის რომ დგას, ის მშვენიერი“; „ის ტურფა ქალი, ის საკვირველი“; „რაინდი ვინმე გალაღებული“; „და კაცთ მოყვარე კეთილ მცნებისა“; „მისი ერთგული თავი სარდალი მყის დაიბარა“; „ზედ კურთხეული ესვა ბეჭედი“; „ქუხდა ქებული და სასახელო“; „როგორც უბიწო ვნებით დამტკბარი“; „ყველანი ზრდილნი და შნოიანნი“; „ოდეს ციური სიმშვიდე რამე“; „დგას ჯიღოსანი ნანგრევი ძველი“; „კეთილზნეობით, წმინდა გულითა“; „ვერ იხარებდა ლაღი გვადანი“; „შაქრო ბიჭია ლაზათიანი, რკინისფერი და ახოვანი“; „მიემართება ეკლესიისკენ კეთილ-მორწმუნე“; „დავით ხელმწიფე კეთილ სვიანი, ერი დიადი, ღრმად ქრისტიანი“; „ყრმა მოხდენილი, საღი ტანისა, თან ნიჭიერი და გულკეთილი, ზნეობა წვრთნილი, დარბაისელი, ჩაუქი, მცოდნე და მწიგნობარი, ენა მახვილი, გონება მრთელი, ტკბილ-მგალობელი, ტკბილ-მოუბარი“; „დიდებულია, ძვირ სანახავი ყაზართა ქვეყნის უხვი ბუნება“; „დიდი კაცია ზურაბ ვაჩნაძე, მეფის და ხალხის პატივცემული“; „ყოფილა კაცი წინდახედული“; „არა, მეორე, ქცევით ნარნარი, მაღალ-მაღალი, ტან-ნაკვთიანი, თეთრად მოსილი და ღაწვ-მწყაზარი, თმა ოქროსფერი, ჯავარიანი“.

მაძაგებელი ეპითეტები. „მდინარე გიჟი თავ-ქაფიანი“; „მსპობსა ანგელოზს ცელ-მოელავარეს“; „მას ხო არ ბრძანებ, ი თვალ-ცბიერი“; „დაუნდობელი, ავი“; „მაშინ ამბოხი და მწარე შხამი“; „რაც შავი ბედი დღეს აქ დააწყდა“; „ბღავის და ბღავის, ვით ცოფიანი“; „გარეთ კი ავი თოვლის ქარ-ბუქი“; „ჩვენ გვეძახიან ველურებსაო“; „ჩვენ უღონო ვართ და უგუნურნი“; „თუ უწვრთნელია მისი გონება“; „სუსტნი ყველანი, ყველანი გლახა“; „ის უმეცარი და აბდალია“.

ნეიტრალური ეპითეტი. ნეიტრალური ეპითეტი ფაქტიურ ვითარებას გამოხატავს. ის არც უარყოფით და არც დადებით ტენდენციას ამჟღავნებს. რამდენიმე ნიმუშს დავიმოწმებ: „მნათობის შუქი, აწ ფერმიხდილი“; „ცეცხლის პირასა დაფიქრებული“; „სადაც უჭვრეტს მიუწვდომელსა“; „უსაზღვრო სიშნო, უსაზღვრო ძალა“; „ალმას ფარჩით მორთული, ეშხით, მოხვევნით იგი დამდნარი“; „როცა ცხოვრების ხმები დღიური“; „როდესაც თბილი ზაფხულის ღამე“; „მაღალსა ქედზედ,

ზლუდეში კლდისა“; „და მკრთალი, თითქოს სუდარ მოსილი“.

კონკრეტული ეპითეტები. ეპითეტი პერსონაჟის პორტრეტის გამოხატვის უპირველესი საშუალებაა. ამგვარი ეპითეტები მახლობელია „გვადანის ციხისთვისაც“:

„ჭაბუკი სელიმ, ძმა გვადანისა,
უკვე ყოფილა ქართლში გაზრდილი,
ყრმა მოხდენილი, საღი ტანისა,
თან ნიჭიერი და გულკეთილი;
ზნეობა წვრთნილი, დარბაისელი,
ჩაუქი, მცოდნე და მწიგნობარი,
ენა მახვილი, გონებამრთელი
ტკბილ-მგალობელი, ტკბილ-მოუბარი!“

უცხო ჭაბუკი სალომეს (მესალა) ასე ახასიათებს:

„არა, მეორე, ქცევით ნარნარი,
მაღალ-მაღალი, ტან-ნაკვთიანი,
თეთრად მოსილი და ღაწვ-მწყაზარი,
თმა ოქროსფერი, ჯავარიანი“.

ფერის გამომხატველი ეპითეტები

თეთრი: „და მოსჩანს თეთრი კაბის ფრიალი“; „თეთრადმოსილი და ღაწვ-მწყაზარი“; „განსპეტაკებულ და მომხიბლავი მზისა სხივებსა ეალერსება“;

ლურჯი: „ლურჯი გორები ნისლით მოირთო“;

წითელი: „წითელ პერანგის საკინძგახსნილი“; „ის რო წითელი ჩუსტი აცვიან?“

შავი: „რაც შავი ბედი დღეს აქ დააწყდა“;

რკინისფერი: შაქრო ბიჭია ლაზათიანი, რკინისაფერი და ახოვანი“;

ოქროსფერი: „თმა ოქროსფერი, ჯავარიანი“.

გემოვნების გამომხატველი: „ყურს უგდებს შორით ტკბილ სალამურსა“; „როგორც უბიწო ვნებით დამტკბარი“; „ტკბილ-მგალობელი, ტკბილ-მოუბარი“; „მაშინ ამბოხი და მწარე შხამი“.

არსებითი სახელისაგან წარმოებული.

„სად მოციმციმე მყინვართა თავი“; „ტან-ნაკვთიანი, ჯავარიანი“;

„უსაზღვრო სიშნო, უსაზღვრო ზალი“; „დგას ჯიღოსანი ნანგრევი ძველი“; „ოდეს ციური სიმშვიდე რამე ცოდვილ მიწასა მოევლინება“; „ქუხდა ქებული და სასახელო“; „ზედ კურთხეული ესვა ბეჭედი“; „ცეცხლისა პირას დაფიქრებული“; „არვისგან არის დაიჭვნეული“; „გაჯავრებული აგრე დილამდი დრო გაატარა“; „გვადანი ახლა სამოცის წლისა, კელპი, მტარვალი და ნებიერი“; „დანაღვლებული, უკან წასული“; „ზის ნაბურთალი, ძლიერ დაღლილი“; „უიარაღო იყვნენ ქართველნი“; „ბღავის და ბღავის, ვით ცოფიანი“; „ჩვენ უღონო ვართ და უგუნურნი?“ „როგორც უბიწო ცნებით დამტკბარი“.

ზედსართავი სახელით გამოხატული.

„რაც შავი ბედი დღეს აქ დააწყდა“; „ის რო წითელი ჩუსტი აცვიან?“ „ლურჯი გორები ნისლით მოირთო“; „და მოსჩანს თეთრი კაბის ფრიალი“; „გარეთ კი ავი თოვლის ქარ-ბუქი“; „მაღალსა ქედზედ, ზღუდეში კლდისა“; „დიდი კაცია ზურაბ ვაჩნაძე“; „ყაზართა ქვეყნის უხვი ბუნება“; „ვერ იხარებდა ლაღი გვადანი“; „კეთილ ზნეობით, წმინდა გულითა“; „ფართი-ფურთობდა იგი საწყალი“; „და ცუდი ხმა ხომ არ დაგვიგდია“; „ვიწრო სარკმელში გამოსჭვიოდა“; „დარჩა ერთი პაწაწინა ქალი“; „მკერდით ქარს აპობს, როგორც სალი კლდე“; „ის ტურფა ქალი“; „საქვეყნო საქმეს, კარგსა და ავსა“; „რა ოხერია ის გიჟი ბიჭი“; „სუსტნი ყოფილან, ყველანი გლახა“; „ის უმეცარი და აბდალია“; „მაშინ ამბოხი და მწარე შხამი“.

რიცხვითი სახელით გამოხატული.

„მათში მრავალი ტურფა ქალები, ფერად-ფერადი მოკაზმულები“; „დარჩა ერთი პაწაწინა ქალი“; „ამა ერთსა დღეს სანეტაროსა“; „გვადანი ახლა სამოცის წლისა“; „და ორნი კაცნი მოხუცებულნი“.

მეშველ-ზმნიანი ეპითეტები.

„რა ოხერია ის გიჟი ბიჭი“; „ის უმეცარი და აბდალია“; „უსუსურია მიწათ მაშვრალი“; „დიდებულია, ძვირ სანახავი ყაზართა ქვეყნის უხვი ბუნება“.

მიმღეობისგან წარმოებული. „გვადანის ციხეში“ ეპითეტების მეტი ხვედრითი წილი მიმღეობისგან წარმოებულზე მოდის. „გვადანი ახლა სამოცის წლისა, კელპი, მტარვალი და ნებიერი“; „დაფლეთილები და დაჩეხილი რამოდენიმე ეზოში ჰყრიან“; „ტურფა ქალები ფერად-ფე-

რად მოკაზმულები“; „ყოფილა კაცი წინდახედული“, „ალმას ფარჩით მორთული, ეშხით, მოხვევნით იგი დამდნარი“; „სად მოციმციმე მყინვართა თავი განსპეტაკებულ და მომხიბლავი“; „კავშირი ვისმე ერთან მოყვრული“; „ოდეს ციური სიმშვიდე რამე ცოდვილს მიწასა მოევლინება“; „ქუხდა ქებული და სასახელო“; „ზედ კურთხეული ესვა ბეჭედი“; „ერი ყოფილა დამკვიდრებული, დაუნდობელი და მეომარი“; „ცეცხლის პირასა დაფიქრებული“; „არვისგან არის დაიჭვნეული“; „გაჯავრებული აგრე დილამდი“; „დანაღვლებული, უკან წასული“; „ზის ნაბურთალი, ძლიერ დაღლილი“; „ბღავის და ბღავის, ვით ცოფიანი“; „როგორც უბინო ვნებით დამტკბარი“; „მეფის და ხალხის პატივცემული“; „რაინდი ვინმე გალაღებული“; „დიდებულია, ძვირ სანახავი ყაზართა ქვეყნის უხვი ბუნება“.

ეპითეტი-გასარითმავი ერთეული

„და ორნი კაცნი მოხუცებულნი,
ჭირში და ლხინში დამოყვრებულნი“;
„არა, მეორე, ქცევით ნარნარი,
მაღალ-მაღალი ტან-ნაკვთიანი,
თეთრად მოსილი და ღაწვ-მწყაზარი,
თმა ოქროსფერი, ჯავარიანი“;
„ჭაბუკი სელიმ ძმა გვადანისა!
უკვე ყოფილა ქართლში გაზრდილი,
ყრმა მოხდენილი, საღი ტანისა,
თან ნიჭიერი და გულკეთილი;
ზნეობა წვრთნილი, დარბაისელი,
ჩაუქი, მცოდნე და მწიგნობარი,
ენა მახვილი, გონება მრთელი,
ტკბილ-მგალობელი, ტკბილ-მოუბარი!“

ასეთია ზოგად ასპექტში გიორგი შარვაშიძის ეპითეტურენოვანი მეტყველების შესაძლებლობანი „გვადანის ციხეში“.

მწერალი არც მეტაფორულ გამომსახველობასთან არის უბრად, თუმცა მისი ხვედრითი წილი უმნიშვნელოა და ისიც სხვასთან მიბაძვით დაღდასმული. გიორგი შარვაშიძე ზურაბ ვაჩნაძის ასულზე — სალომეზე (მესალა) ამბობს: „ეს მარგალიტი, მისი ობოლი, ანუგეშ-

ებდა მის ცხოვრებაში". ეს სტრიქონები რუსთაველს შეგვახსენებს: „ვით მარგალიტი ობოლი ხელიხელ საგოგმანები"; „გვადანის ციხის" „მარგალიტი ობოლი" მესალის მეტაფორაა, „ვეფხისტყაოსნისა" კი — პოემის ფაბულისა. მშვენიერი მეტაფორაა: „მესალას კიდეც გაეცინება, გაშლილი ვარდი თოვლსა ადნება"; „გაშლილი ვარდი" მესალას მეტაფორაა, თუმცა ის ორიგინალური არ არის. ქალის მშვენიერების წარმოსახვა გაშლილ ვარდად რუსთველიდან მოკიდებული ფართოდ გვხვდება მხატვრულ ლიტერატურაში, ზეპირსიტყვიერებაშიც, ყოველდღიურ თქმაში. ტარიელი ამბობს: „ხუთისა წლისა შევიქენ მსგავსი ვარდისა შლილისა". „თოვლი" გადიას გაჯავრების მეტაფორაა, რაც მას გაექარწყლა მესალას გაცინებით, რაც ფაქტიურად მის დაყოლიებას ნიშნავდა ჯირითობა-ბურთაობაზე დასასწრებლად.

„გვადანის ციხეში" მზის მეტაფორაც გაკრთება:

„ბაასში გოგოც გამოერია:
— „იცით, ბატონო, რა ოხერია
ის გიჟი ბიჭი! დღეს დაიფიცა:
„თუ ვერა ვნახე მე მზე ველათო,
მაშინ კი დღესვე გამისკდეს მიწა,
თუ გამოვიდე საბურთველათო".[1]

ამ სტრიქონში ნახსენები გოგო სალომეა, იგივე მესალა, ხოლო „ის გიჟი ბიჭი" შაქრო კოპალაშვილია, რომელიც ზურაბ ვაჩნაძის მშვენიერ ასულზეა შეყვარებული. აქ „მზე" სალომეს მეტაფორაა, რაც ისევ და ისევ „ვეფხისტყაოსანთან" გვაკავშირებს. პროლოგში თამარ მეფე მზეა: „მეფისა მზის თამარისა, ღაწვ-ბადახშ, თმა-გიშერისა". პოემის ტექსტში იდეალური პერსონაჟების მშვენიერების წარმოსაჩენად მზის მეტაფორა ყველაზე აქტიურ მხატვრულ ხერხად აღიქმება. შეიძლება ითქვას, ეს მხატვრული ორნამენტი წამყვან როლს ასრულებს ვარდთან ერთად რუსთაველის ეპიკურ ძეგლში. მხოლოდ ერთ ნიმუშს მოვიხმობთ: „ნახეს, მზისა შესაყრელად გამოეშვა მთვარე გველსა". მეტაფორული თქმაა: „დაღონებული მზე ჩადიოდა".

საგანთა გასულიერების, გაპიროვნების მხატვრული ხერხიც არ არის უცხო „გვადანის ციხისთვის":

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 120.

„მაღალსა ქედზედ, ზღუდეში კლდისა,
ყირიმ-კავკასის საზღვრების მცველი,
თითქო დარაჯი ათასის წლისა,
დგას ჯიღოსანი ნანგრევი ძველი“.[1]

ან კიდევ:

„საუკუნეების სრბოლას, ხელობას
აქაც ცხოვრება წარუხვეტნია“;
„სად მოციმციმე მყინვართა თავი...
მზისა სხივებსა ეალერსება“;
„და თვით მნათობი ელავს და ხარობს,
ოქროსა აფრქვევს თავზე სატრფოსა“;
„გარეთ კი ავი თოვლის ქარ-ბუქი
როგორც რომ მხეცი გაცაჰკივოდა“;
„მთვარის შუქი... რკინის მახვილთა აჩერდებოდა“;
„მდინარე გიჟი თავქაფიანი,
სიპებსა ებრძვის, ზედ აყრის დორბლებს,
ბღავის და ბღავის, ვით ცოფიანი“.[2]

ბუნების სურათებს და აღწერილობას სპეციალურად უძღვნა პოეტმა პოემის პირველი თავის მეოთხე ლექსი: „დიდებულია, ძვირ სანახავი ყაზართა ქვეყნის უხვი ბუნება, სად მოციმციმე მყინვართა თავი, განსპეტაკებულ და მომხიბლავი, მზის სხივებსა ეალერსება! და თვით მნათობი ელავს და ხარობს, ოქროსა აფრქვევს თავზე სატრფოსა, ზეცის საუნჯე ლამის დაჰყაროს ამა ერთსა დღეს სანეტაროსა! და ეს კი, ალმას ფარჩით მორთული, ეშხით მოხვეჭნით იგი დამდნარი ცრემლთა აწვეთებს და უძგერს გული, როგორც უბიწო ვნებით დამტკბარი“... „გვადანის ციხის“ ბუნების სურათების აღწერილობა დავალებულია ილია ჭავჭავაძის „აჩრდილით“, „განდეგილით“, გრ. ორბელიანის პოეზიით. ასევე გიორგი შარვაშიძე ავლენს ადამიანის ფიზიკური და სულიერი პორტრეტის ხატვის უნარს.

გვადანის ძმა სელიმი ყოფილა „ყრმა მოხდენილი, საღი ტანისა, თან ნიჭიერი და გულკეთილი; ზნეობა წვრთნილი, დარბაისელი,

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა. გვ. 110.
[2] იქვე. ეგ. 110, 111, 113, 114.

ჩაუქი, მცოდნე და მწიგნობარი; ენა მახვილი, გონება მრთელი, ტკბილ-მგალობელი, ტკბილ-მოუბარი!“[1] ახლა ვნახოთ, როგორ არის წარმოსახული სალომეს გარეგნული მშვენიერება: „ქცევით ნარნარი, მაღალ-მაღალი, ტან-ნაკვთიანი, თეთრად მოსილი და ღაწვ-მწყაზარი, თმა ოქროსფერი ჯაჯარიანი! ლალი გააპო და გაიცინა ბროლ-მარგალიტი გამოაჩინა“.[2] ეს ტაეპები რუსთაველთან ასოცირდება: „ვარდი გააპის, გამოჩნდის მუნ ბროლი გამომჭვირვალი“. ან „თამარიანში“ თამარზე ნათქვამი გავიხსენოთ: „ღაწვ-მწყაზარი, შუქმფინარი“, ან: „თამარ წყნარი, შესაწყნარი, ხმა ნარნარი, პირმცინარი“.

„გვადანის ციხე“, მართალია, არ გვანებივრებს აფორიზმებით, მაგრამ მასში დაცული ნიმუშები ნათლად მიგვანიშნებს, რომ გიორგი შარვაშიძე დაჯილდოებულია აზრის აფორიზმების სახით ჩამოყალიბების ნიჭით, გავეცნოთ რამდენიმე მაგალითს:

„თუ სხვის უფლება დაურღვევია, —
მას ელანდება ყოველთვის მტერი“;
„ქვეყანას წესი ბერ-მოლოზნისა
ვერ ააშენებს მეოხებითა“;
„ერის სიკეთე არ გაშენდება
არცა ქონებით, არც მამულითა,
ერის სიკეთე მხოლოდ გაჩნდება
კეთილ ზნეობით, წმინდა გულითა“;
„მაგრამ ხანჯალზე ცემა მუშტითა
ეგ გიჟის მეტსა არვის უქნია“.

„გვადანის ციხის“ სტროფი, მეტრიკული სტრუქტურა და რითმა

ა) სტროფი როგორც აკაკი გაწერელია მიუთითებს: „ქართული სტროფიკის ძირითადი სახეები 2-დან 10 ტაეპის ფარგლებშია მოქცეული, სხვა სახეები კი სპორადულად გვხვდებიან“.[3] ამათგან ყვე-

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 115.
[2] იქვე, გვ. 122.
[3] აკ. გაწერელია, რჩეული ნაწერები, II, თბ., 1951, გვ. 384.

ლაზე უფრო პოპულარულია ქართულ პოეზიაში შუა საუკუნეებიდან მოყოლებული დღემდე 4-ტაეპიანი სტროფი. „გვადანის ციხეში“ გიორგი შარვაშიძე ამ პოპულარული ტრადიციის ერთგული რჩება. პოემის ყველა სტროფი მხოლოდ ოთხ ტაეპს ითვლის. ეს ეპიკური ძეგლი შეიცავს მთლიანად 126 სტროფს ანუ 504 ტაეპს.

ბ) **მეტრიკული სტრუქტურა.** „გვადანის ციხის“ სალექსო ტაეპები განყობილია მხოლოდ ერთი საზომით. ეს არის 10-მარცვლიანი ტაეპი:

„რა ცხოვრებაა იგი ცხოვრება,
თუ ხალხი არის დაუსვენარი,
ამას გულობდეს, რომ შეიძლება
ხვალვე დაგვესხეს მტრისა ლაშქარი!“

გ) **რითმა.** საერთოდ, გიორგი შარვაშიძე არ გახლავთ, მცირე გამონაკლისის გარდა, რითმის საუკეთესო ოსტატი. აქ იგი არანაირ ორიგინალობას არ იჩენს. მისი რითმები გარკვეულწილად პრიმიტიულია, მარტივი და უბრალო. იგი მოწოდებულია უმეტესად იდეურ-შინაარსობრივი დატვირთვა მისცეს ტაეპებს.

1. **ვაჟური ანუ ერთმარცვლიანი რითმა.** „გვადანის ციხეში“ ერთმარცვლიანი რითმა ძალზე იშვიათია. უფრო მეტიც. ვერ იპოვით ვერც ერთ ნიმუშს იმისას, რომ ერთმარცვლიანი სიტყვა გარითმული იყოს მომდევნო ერთმარცვლიან სიტყვასთან. კერძოდ, თუ ერთ ტაეპში ერთმარცვლიანი სიტყვა გვაქვს, სხვა ტაეპში იგი გარითმულია ორ ან მეტმარცვლიან სიტყვასთან:

„ეჰ, ჩემო დათო, გახსოვს მე და შენ
რა ყმაწვილობა გამოგვივლია!
ერთად ვყოფილვართ ომში და მაშინ
და ცუდი ხმა ხომ არ დაგვიგდია!“
„მაგრამ, აჰა! შენ არ მომიკვდე,
მკერდით ქარს აპობს, როგორც სალი კლდე“;
— რა ექნათ, თუკი ქალსა არ ნებავს?
— არ ნებავს! თქვენში, ძმაო, ისე გავს“.

2. **ქალური ანუ ორმარცვლიანი რითმა.** პოემაში გვხვდება 42 ტაეპი, სადაც ორმარცვლიანი სიტყვა გარითმულია მხოლოდ ორმარცვლიან სიტყვასთან:

„მაღალსა ქედზედ, ზღუდეში კლდისა,
ყირიმ-კავკასის საზღვრების მცველი,
თითქოს დარაჯი ათასის წლისა,
დგას ჯიღოსანი ნანგრევი ძველი“.

პოემაში გვხვდება 44 ტაეპი, სადაც 2-მარცვლიანი სიტყვა ერითმება სამმარცვლიანს:

„უსუსურია მიწათ მაშვალი
და ისევ მიწას მიაპობს თვალთა,
აქ უზარ-მაზარ კაპანი სალი
გარს შემოზღუდავს მთისა ნაპრალთა“.

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, სადაც 2-მარცვლიანი სიტყვა ერითმება 4 და მეტმარცვლიანს. ქალური რითმა ოთხმარცვლიან სიტყვასთან:

„დიდებულია, ძვირ სანახავი
ყაზართა ქვეყნის უხვი ბუნება,
სად მოციმციმე მყინვართა თავი,
განსპეტაკებულ და მომხიბლავი
მზისა სხივებსა ეალერსება.“

ქალური რითმა ხუთმარცვლიან სიტყვასთან:

„თან ნიჭიერი და გულკეთილი,
ზნეობა წერთნილი, დარბაისელი,
ჩაუქი, მცოდნე და მწიგნობარი,
ენა მახვილი, გონება მრთელი“.

3. **დაქტილური ანუ სამმარცვლიანი რითმა.** ორმარცვლიანთან ერთად სამმარცვლიანი რითმაც ძალზე პოპულარულია „გვადანის ციხეში“.

„უცბად მოისმა ცხენთა თქრიალი
და თან კივილი... ჩუ! ეს რა არი?
ქარივით მიჰქრის ჩვენი მხედარი
და მოსჩანს თეთრი კიბის ფრიალი“.

დაქტილური რითმა ოთხმარცვლიან სიტყვასთან:

„დღეს საღამოზე დიდი ჯარია...
ვიღაცა ხის ქვეშ აქ დამჯდარია“;
„ჭაბუკი სელიმ, ძმა გვადანისა,

თურმე ყოფილა ქართლში გაზრდილი;
ყრმა მოხდენილი, საღი ტანისა,
თან ნიჭიერი და გულკეთილი“.

დაქტილური რითმა ხუთმარცვლიან სიტყვასთან:

„ტანსა და ფეხზე სუფთად აცვია,
აგერ ტაიჭიც რტოზე მიბმული,
მას უცქერიან თუ რა კაცია
რაინდი ვინემ გალაღებული“.

4. **ზედაქტილურ-ჰიპერდაქტილური ანუ ოთხმარცვლიანი რითმა:**

„მწუხრის ჟამია, ხეების ჩრდილი
ვრცელსა ეზოში გრძლათ გაწოლილა,
მნათობის შუქი, აწ ფერმიხდილი,
ვარაყის ზოლით შიგ ჩაყოლილა“.

ზედაქტილური რითმა ხუთმარცვლიან სიტყვასთან:

„და ძირს სიღრმეში დუღს და ტრიალებს
მდინარე გიჟი თავქაფიანი,
სიპებსა ებრძვის, ზედ აყრის დორბლებს,
ბლავის და ბლავის, ვით ცოფიანი“.

5. **ხუთმარცვლიანი რითმა.** აკაკი გაწერელიას მიხედვით, ქართულში ჰიპერდაქტილური (იგივე ზედაქტილური) რითმის იშვიათი გაჩენა დამოკიდებულია ოთხ, ხუთ და მეტმარცვლიან სიტყვებში მეტრული ხმოვნისა და მომდევნო ხმოვნების ერთად თავმოყრასთან. საერთოდ, ჰიპერდაქტილური რითმა ქართულში და მთელ რიგ ევროპულ, სლავურ ენებში, მაგალითად, რუსულში, მეტრული ცდების სახით გვხვდება“.[1] დავიმოწმოთ სათანადო ნიმუში „გვადანის ციხიდან“:

„აბა, უმჯობესს ვიღას არჩევდა
გვადან ეჯიბათ საქართველოში!
მაშ რაღას ჰფიქრობს, რისთვის გაჩერდა,
თითქოს ჩავარდა უსაშველოში“.

6. **რითმის ადგილი ტაეპსა და სტროფში.** „გვადანის ციხისთვის“ დამახასიათებელია მხოლოდ გარეგანი რითმები, უმთავრესად ჯვარე-

[1] აკ. გაწერელია, რჩეული ნაწერები, III (I), გვ. 165.

დინი რითმების სახით, ასევე, მცირე გამონაკლისის სახით, გვხვდება მოსაზღვრე ანუ პარალელური რითმები, რკალურიც. გავეცნოთ ჯვარედინი რითმის ნიმუშებს:

„მას მერე გადის თხუთმეტი წელი,
ქალი დასრულდა, ვით სავსე მთვარე.
მაგრამ „მესალა“ დარჩა სახელი,
აგრე ეძახის ეს მთელი მხარე!“

დაეიმოწმებთ პარალელური გარეგანი რითმების რამდენიმე ნიმუშს:

„დიდი ხელმწიფე კეთილ სვიანი,
ერი დიადი, ღრმად ქრისტიანი“;
„ამის დანახვას კი რა სჯობია!
კარგია, თვალის გასართობია!“
„არ ჰქონდეს კაცსა სხვა რამ ღირსება,
მაინც კი ქალსა ეხალისება“.

7. **რითმის ევფონია.** ევფონია არის მოძღვრება ლექსითი მეტყველების ბგერითი შედგენილობის შესახებ. ამ მხრივ ქართულ კლასიკურ ლექსში ცნობილია შემდეგი რითმები: ზუსტი, ღრმა, მდიდარი, ღარიბი, ნაკლული, ღია და დახურული. ვნახოთ, ამ მხრივ რა ვითარებაა „გვადანის ციხეში“.

ა) **ზუსტი რითმა.** გამეორებულია კლაუზულის (სალექსო ტაეპის ბოლო მარცვალთა ჯგუფი) ყველა ბგერა უცვლელად. იერი: ნებიერი, მაგიერი (ი-ე-რ-ი); ებითა: ნებითა, სათნოებითა (ე-ბ-ი-თ-ა); ებულია: აგდებულია, აღებულია (ე-ბ-უ-ლ-ი-ა); ოლილა: გაწოლილა, ჩაყოლილა (ო-ლ-ი-ლ-ა); რიალი: თქრიალი, ფრიალი (რ-ი-ა-ლ-ი); ალია: წარმავალია, აბდალია (ა-ლ-ი-ა); ებულნი: მოხუცებულნი, დამოყვრებულნი (ე-ბ-უ-ლ-ნ-ი); ოველსა: მიუწდომელსა, ყოველსა (ო-ვ-ე-ლ-ს-ა).

ბ) **მდიდარი რითმა.** მდიდარ რითმაში კლაუზულის ყველა ბგერასთან ერთად მეტრული მახვილის მქონე ხმოვნის წინა, საბჯენი თანხმოვანიც (ზოგჯერ თანხმოვნებიც) განმეორებულია (აკ. გაწერელია).

სანახავი, თავი, მომხიბლავი. აქ რითმაში საბჯენი თანხმოვანი ბგერაა – „ვ“.

სჯობია. დასახრჩობია – აქ – „ბ“;

ჩაკირულია, გამართულია – აქ – „ლ“;
გამოერია, ოხერია – აქ – „რ“;
ცაზედა, აივანზედა – აქ – „დ“.

გ) **ღარიბი რითმა**. „გვადანის ციხე“, ისევე როგორც გიორგი შარვაშიძის პოეზია, საერთოდ, საკმაოდ მდიდარია ღარიბი რითმებით.

წარუხვეტნია-დაუშთენია; იტყვიან-ეძახიან; დამკვიდრებული-განთქმული; დაუსვენარი-ლაშქარი; წინდახედული-მოყვრული; სამხრეთი-არც ერთი; ხარობს-დაჰყაროს; დამდნარი-დამტკბარი; ააგებინა-გააწყობინა; კავშირსა-გასაჭირსა; დიდებისა-მცნებისა; უგუნურნი-იქაურნი; გაქრება-ჩაეჭრება; ჩაკირულია-გამართულია; სიყვარულითა-სიხარულითა; დაინახავდა-ჰყავდა; მოეფინება-მოევლინება.

დ) **ნაკლული ანუ არაზუსტი რითმა**. იგი ხასიათდება კლაუზულის მარცვლებში რომელიმე ბგერის ნაკლებობით. საფრთხის-ახლის; რუსეთი-მეტი; ბოლოს-ანგელოზს;

ე) **ღია რითმები**. გვაქვს შემდეგი ხმოვნებით დასრულებული რითმები.

„ა“ კლდისა-წლისა; ჩანერგულა-თქმულა; ქვეშა-ხვნეშა; უნდა-დაუბრუნდა; ცვიფრდება-კიდება; მიუწდომელსა-ყოველსა; თვალთა-ნაპრალთა; გვადანისა-ტანისა; გაატარა-დაიბარა; ნებითა-სათნოებითა; თავსა-ავსა; მამულითა-გულითა; ცაზედა-აივანზედა.

„ი“. მთვარე-მხარე; ღამე-რამე; პავლე-გენაცვალე; კლდე-მომიკვდე; მორწმუნე-სავანე;

„ო“. მცველი-ძველი; ერი-მტერი; სამხრეთი-ერთი; თავი-მომხიბლავი; ალი-ძალი; მაშვრალი-სალი; ქაფიანი-ცოფიანი; ბუქი-შუქი; ბეჭედი-ქედი; მწიგნობარი-მოუბარი; სვიანი-ქრისტიანი; ჟამი-შხამი; ნებიერი-მაგიერი; ქალი-ვალი; ცოლი-ობოლი; ნარნარი-მწყაზარი; ნუგეში-უბეში; თქრიალი-ფრიალი; მოხუცებულნი-დამოყვრებულნი.

„ო“. ჯადო-ვცადო; საქართველო-სასახელო; ველათო-საბურთველათო; აინთო-მოირთო; დათო-ხართო;

„ია“. ახვევია-დაურღვევია; სჯობია-დასახრჩობია; ჩაკირულია-გამართულია; გადია-გწადია; სჯობია-გასართობია; გამოერია-ოხერია; ჯარია-დამჯდარია; აცვია-კაცია; გჭირია-ხშირია; აგებულია-აღებულია;

გასახარია-საჩუქარია; წარმავალია-აბდალია;

ვ) დახურული ანუ თანხმოვნებით დაბოლოებული რითმები.

„ბ“. გავიგებ-ეგებ;

„ს“. ხელობას-მტრობას; საფრთხოს-ახლოს; ხარობს-დაჰყაროს; კაეშანს-ნიშანს; ახლოს-ეახლოს; ნებავს-გავს; გამოჩნდეს-გაუჩნდეს;

„ნ“. გვადან-არსაიდან; ითვისებენ-იკადრებენ; ამაყობენ-სცნობენ; დასტრიალებენ-განაგებენ; ჰყრიან-დარბიან;

რითმის მორფოლოგია.

არსებითი სახელები ძირისეული სახითაა რითმად გამოყენებული. გარკვეული წილი რითმებისა მოდის.

სახელობით ბრუნვაზე.

იღბალი-მომავალი; ერი-მტერი; ხანი-გვადანი; ალი-ძალი; ბუქი-შუქი; ბეჭედი-ქედი; ჟამი-შხამი; ქალი-ვალი; მხატვარი-სტუმარი; მთვარე-მხარე; ქალები-თვალები; ქალი-ალი; შავარდენი-ცხენი; ბრჭყალი-ხანჯალი;

მიცემით ბრუნვაში. პროსოდიული ა ხმოვნის დართვითაც.

ხელობას-მტრობას; საფრთხოს-ახლოს; კაეშირსა-გასაჭირსა; თავსა-ავსა; აუგიანსა-ადამიანსა; სალამურსა-საყვედურსა; კაეშანს-ნიშანს; სტუმარსა-ჯარსა; კოპალაშვილსა-დაჭრილსა; გიჟსა-ბიჭსა.

ნათესაობით ბრუნვაში პროსოდიული ა ხმოვნის დართვითაც.

კლდისა-წლისა; კლდისა-კედლისა; დიდებისა-მცნებისა; მანდილოსნისა-მოლოზნისა; წლისა-სვინდისისა;

მოქმედებით ბრუნვაში პროსოდული ა ხმოვნის დართვით.

ღვინითა-მკლავითა; სათნოებითა-მეობებითა; ნებითა-სათნოებითა; სიყვარულითა-სიხარულითა; მამულითა-გულითა.

ვითარებით ბრუნვაში პროსოდული ა ხმოვანის დართვით. გიორგი შარვაშიძე, საერთოდ, თავის შემოქმედებაში არ მიმართავს ვითარებითი ბრუნვის ნიშნად „დ“ თანხმოვანს, მას ჩაანაცვლებს „ო“ თანხმოვანს. ასეა „გვადანის ციხეში“, სადაც მხოლოდ ორადორი ნიმუში მოვიძიეთ.

სალოცავათა-თავისთავათა; ფერათა-ოხრათა.

წოდებითი ბრუნვის ფორმით გადმოცემული რითმა, საერთოდ, არ

იპოვება ამ პოემაში.

თანდებულიანი რითმები.

გზაზე-სუფრაზე; მყუდროებაში-ცაში; აივანზედა-ცაზედა, ხელში-სოფელში

ზმნური რითმები

წარუხვეტნია-დაუშთენია; იტყვიან-ეძახიან; ჩანერგულია-თქმულია; ახვევია-დაურღვევია; ბეჩავდებოდა-უჩლუნგდებოდა; უნდა-დაუბრუნდა; ხარობს-დაჰყაროს; ევლებიან-თბებიან; ააგებინა-გააწყობინა; გააკრევინა-ააჭედინა; აჩერდებოდა-ელანდებოდა; სჯობია-დასახრჩობია; გაატარა-დაიბარა; ჩაკირულია-გამართულია; დასტრიალებენ-განაგებენ; დაინახავდა-ჰყავდა; ამოიყარა-დაამყარა; მოეფინება-მოევლინება; ეწყობა-ეტყობა; გამოერია-ოხერია; ნებავს-გავს.

სახელისა და ზმნის კომბინაცია.

ცვიფრდება-დიდება; გადია-გწადია; დაიფიცა-მიწა; რა არი-მხედარი; მესალა-დაეხალა; ჩქარა-დამბარა;

ამრიგად, ,,გვადანის ციხის" რითმების შესწავლამ დაგვანახა, რომ იგი ამ მხრივაც იქცევს ყურადღებას. განხილულ იქნა ვაჟური ანუ ერთმარცვლიანი რითმა, ქალური ანუ ორმარცვლიანი რითმა, დაქტილური ანუ სამმარცვლიანი რითმა, ზედაქტილურ-ჰიპერდაქტილური ანუ ორთხმარცვლიანი რითმა, ხუთმარცვლიანი რითმა; რითმის ადგილი ტაეპსა და სტროფში, რითმის ევფონია (ზუსტი, მდიდარი, ღარიბი, ნაკლული ანუ არაზუსტი, ღია და დახურული რითმები), რითმის მორფოლოგია.

ამრიგად, ,,გვადანის ციხის" სახით შემოგვენახა გიორგი შარვაშიძის ერთადერთი და ისიც დაუმთავრებელი ეპიკური ძეგლი. ის ორი თავისაგან შემდგარი ერთინაწილიანი პოემაა. პირველ თავში მოთხრობილია ყაზართა მთავრის გვადანის ამბავი, მოქმედება ხდება ჩრდილოეთ კავკასიაში (რუსეთსა და ჩერქეზეთს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე). მეორე თავში ვ;ცნობით ქართველი ერისთავის ზურაბ ვაჩნაძის ოჯახის თავგადასავალს და შესაბამისად მოქმედება საქართველოში ხდება, ოღონდ კონკრეტულად არ ჩანს — რომელ კუთხეში. პირველ და მეორე თავებს შორის იდეურ-შინაარსობრივი კავშირი არ

არსებობს, ანუ ალოგიკურ ვითარებასთან გვაქვს საქმე.

„ყაზართა ერის“ იდენტიფიცირება აფხაზ ხალხთან საფუძველს მოკლებულია, აგრეთვე, „გვადანის ციხის“ დასახვა საქართველოს მთლიანობის იდეის გამომხატველად გაუმართლებელია. „ყაზარი ერი“ მწერლის ფანტაზიის ნაყოფია. ასეთ ტომს ჩრდილოეთ კავკასიაში არასდროს უცხოვრია. არ არის გამორიცხული ავტორი ყაზარებში ყივჩაყებს გულისხმობდეს.

ეტყობა, გიორგი შარვაშიძეს პოემა ჩაფიქრებული ჰქონდა კავკასიელი ხალხების პოლიტიკური და მეგობრული ერთობის აუცილებლობის წარმოსაჩენად. ეს დამოკიდებული იყო ყაზარების და ქართველების დამოყვრებაზე სხვა კავკასიელი ტომებისთვის ტონის მისაცემად. პოემის მიხედვით, ამ ერთობის იდეა ჩრდილოეთ კავკასიიდან წამოსულა, რაც თავისთავად მეტყველებს დავით აღმაშენებლის პერიოდის საქართველოს ძლევამოსილებაზე. კავკასიელ ხალხთა ერთობის იდეის წინ წამოწევას გიორგი შარვაშიძის მოღვაწეობის ეპოქაში ჰქონდა თავისი გამართლება ცარიზმის მტანჯველი უღლის მოსაშორებლად.

გიორგი შარვაშიძის პოეტური ენერგია, სახისმეტყველებითი შესაძლებლობანი ყველაზე მეტად „გვადანის ციხეში“ გამოჩნდა. მისი სახეებით აზროვნების ძალისხმევა განფენილია მხატვრული შედარებაში, მეტაფორაში, გაპიროვნებაში. ორიგინალური მხატვრული სახეები შეფერილია კეთილისმყოფელი გავლენებითაც.

„გვადანის ციხის“ სტროფი მხოლოდ ოთხტაეპიანია, სალექსო ტაეპები გაწყობილია ერთადერთი საზომით, ეს არის ათმარცვლიანი ტაეპი. რითმები მეტწილად პრიმიტიულია, მარტივი და უბრალო. ავტორი მოწოდებულია ძირითადად იდეურ-შინაარსობრივი დატვირთვა მისცეს ტაეპებს და მთლიანობაში — სტროფს. პოემაში თავჩენილია ვაჟური, ქალური, დაქტილური, ჰიპერდაქტილური და ხუთმარცვლიანი რითმაც. უმთავრესად გვხვდება ჯვარედინი რითმები, მცირე გამონაკლისით — მოსაზღვრე ანუ პარალელური და რკალური რითმებიც. რითმის მორფოლოგია: არსებითი სახეები ძირეული სახითაა რითმად გამოყენებული, მოთხრობითის გარდა, ყველა ბრუნვაში. გვაქვს თანდებულიანი რითმებიც, სახელისა და ზმნის კომბინაცია.

თავი მეექვსე
გიორგი შარვაშიძე – დრამატურგი „გიორგი მესამის“ სამყაროში

გიორგი შარვაშიძე არა მხოლოდ ჩინებული პოეტი და პუბლიცისტი იყო, არამედ შესანიშნავი დრამატურგიც. მან „დრამატურგიაში მაშინ სცადა კალამი, როდესაც ქართული თეატრი ის-ის იყო იდგამდა ფეხს. იწყებდა არსებობას. მისი სამომავლო სიძლიერე, სრულყოფა, უპირველესად, ქართული დრამატული თხზულებებით იქნებოდა განპირობებული“.[1] ჩვენამდე მოღწეულია აფხაზი მწერლის სამი პიესა: „გიორგი მესამე“, „მომაკედავნი სურათნი“, „კომლი უცეცხლოდ“. მეოთხე პიესა „ბედისგან დევნილი კაცი“ დაკარგულად ითვლება. ოთარ ჭურღულიას ვარაუდით, მასში ასახული უნდა ყოფილიყო გიორგი შარვაშიძის ახლო მეგობრის და თანამოაზრის, ცნობილი აფხაზი ჟურნალისტისა და მოღვაწის დავით ჩქოტუას, მართლაც ბედისაგან დევნილი კაცის, თავგადასავალი“.[2]

საერთოდ, გიორგი შარვაშიძეს „გიორგი მესამის“ გარდა რომ არაფერი დაეწერა, მისი სახელი მაინც შემორჩებოდა ჩვენი კულტურის ისტორიას. მართალია, იგი მოცულობით არ არის სქელტანიანი ძეგლი (სულ 50-მდე გვერდს ითვლის), მაგრამ იმდენად მნიშვნელოვანი და მაღალმხატვრული ნაწარმოებია, რომ მისადმი ინტერესი დღემდე არ განელებულა, ასე იქნება მომავალშიც. „გიორგი მესამეს“ პირველთაგანმა შალვა დადიანმა უწოდა საყურადღებო ნაწარმოები ისტორიულ პიესებს შორის, თავისი იდეური და მხატვრული თავისებურებებით.

„გიორგი მესამე“ ჯერ დაიდგა და შემდეგ გამოქვეყნდა. 1908 წელს ქუთაისის სცენაზე ამ პიესის პირველი დამდგმელი და რეჟისორი ყოფილა შალვა დადიანი. იგი გამოქვეყნდა 1915 წელს „სამშობლოში“ (№ 48, 50, 51, 53, 58, 59, 60, 62). პიესაზე არაერთმა მკვლევარმა გაამახვილა ყურადღება, მაგრამ დაბეჯითებით უნდა ითქ-

[1] ელ. თავბერიძის დასახ. ნაშრომი, გვ. 219.

[2] ო. ჭურღულია, „დავით ჩქოტუა“, სოხუმი, 1969, მისივე, შარვაშიძეები, გვ. 77.

ვას: არ არსებობს ნაშრომი, სადაც „გიორგი მესამე“ ყოველმხრივ იყოს შესწავლილი და გამოკვლეული. სამწუხაროდ, სამეცნიერო ლიტერატურა ფაქტიურად მასზე ზოგადი მსჯელობებით შემოისაზღვრა. ცხადია, იგი უცილობლად მეტ ყურადღებას იმსახურებდა. მისი პოეტიკა და მხატვრული თავისებურებანი, საერთოდ, არ გამხდარა განსჯის საგანი, ასევე მთელი რიგი საკითხებისა, რაც მას უკავშირდება. ცხადია, პრობლემის ამოწურვის პრეტენზია არც წინამდებარე ნაშრომს გააჩნია.

სუჟეტური კომპოზიცია. ვიდრე „გიორგი მესამის“ პრობლემურ საკითხებზე ვისაუბრებდეთ, საგანგებოდ გვსურს მოკლედ გადავშალოთ მკითხველის თვალწინ მისი შინაარსი. საქართველოს საჭეთმპყრობელი გიორგი მესამე გადაწყვეტს სამეფო ტახტი მემკვიდრეობით გადააბაროს თავის მხოლოდშობილ ასულს - თამარს. მეფის სასახლეში მომაღლო ტახტზე დადგმულ სავარძლებში სხედან გიორგი მესამე, მისი ასული თამარი და მეფისვე და რუსუდანი. აქეცა ხელმწიფის რჩეული გარემოცვა. მანდატურთუხუცესი ყუბარსან ჯავახიანი თამარ დედოფალს, მეფის დავალებით, აცნობს ერისთავებს კახეთიდან (ამირან ჩოლოყაშვილი), იმერეთიდან (სოლომონ კახაბერიძე), ოდიშიდან (ბედიანი), აფხაზეთიდან (თათეოზ შარვაშიძე), სვანეთიდან (ბარამ ვარდანიძე). არ გამოცხადებულან სამშვილდის, ტაშირის, კუხეთის, ერეთის და კლარჯეთის ერისთავნი.

მეფე გიორგი მოწვეულ ერისთავებს გააცნობს შეკრების მიზეზს, რომ სიბერის გამო სამეფო ტახტს მემკვიდრეობით გადასცემს თამარს. ერისთავებს სთხოვს სათითაოდ წარმოთქვან თავიანთი აზრი. ხუთივე ერისთავი ერთსულოვნად დაუჭერს მხარს მეფის გადაწყვეტილებას და შეჰფიცებს ერთგულებას. მამა დაარიგებს გამეფებულ ასულს: დედაკაცივით სისუსტე არ მოერიოს, გამოიჩინოს სულიერი სიმშვიდე, რაც ქვეყნის პატრონისთვის მთავარია, ვიდრე ხმალი და ფარი. შემდეგ გიორგი მესამე მსახურთუხუცეს გამრეკელს მიმართავს აქ მოსულთა სანადიმოდ მიწვევის თაობაზე. ამ დროს მანდატურთუხუცესი ჯავახიანი მეფეს ამცნობს ვინმე ჩაბალახმობურული მხედრის მოსვლას ორბელთა დარბაზიდან საიდუმლო ამბის მოსატანად. გამ-

რეკელს კი ნადიმზე მიჰყავს დედოფალნი, ბანოვანნი და ერისთავნი, ჯარისკაცნი და სხვ.

მხედარი მეფეს ფარულად მოახსენებს დარბაზში მომხდარ შეთქმულებაზე გიორგი მესამის წინააღმდეგ. მასში თურმე მონაწილეობდნენ მეფის ძმისშვილი დემნა ბატონიშვილი, მისი აღმზრდელი ამირსპასალარი იოანე ორბელიანი, თავადი ჯაყელი და მათიენ მიმდევარი აზნაურნი. შეთქმულების მიზეზი ყოფილა ის, რომ თითქოს და სახელმწიფო ტახტი კანონიერად ეკუთვნოდა დემნას და გიორგის იგი ძალადობით ჰქონდა მიტაცებული. სრულწლოვან უფლისწულს უნდა აღედგინა თურმე კანონიერი უფლებანი. ამის გამო აპირებენო მთელი საერისთავოს აჯანყებას.

მეფე გაბრაზებით ელაპარაკება მეხვაშიადე მხედარს და მოითხოვს მისთვის ჩაბალახის ახდას. დავალების შესრულებისას ჯავახიანი ჩასჩურჩულებს მას, რომ არაფრის შეეშინდეს, მისი იმედი ჰქონდეს. მანდატურთუხუცესი მეფეს თავს ისე მოაჩვენებს, თითქოს მას საერთოდ არ იცნობდეს, რომელიც აღმოჩნდება ორბელიანის აზნაური ყაითაძე. ჯავახიანი, როგორც იტყვიან, ცეცხლზე ნავთს დაასხამს. ვითომ ძნელ წარმოსადგენად ესახება დემნას ღალატი, რომელსაც თურმე ერეთისა და კლარჯეთის ერისთავნიც ემხრობიანო, რა მიზეზითაც არ დასწრებიან დარბაზობას, თუმცა მოწვეულნი ყოფილან.

განრისხებული გიორგი მესამე ალაპარაკდება „შინაურ გველმატლებზე“, ორგულობაზე, ბოროტ სულებზე, ორბელიანთ სამშობლოს გამხლეჩ და დამამხობელ ქართველებზე. მეფემ ამირსპასალარის თანამდებობა გადასცა სარგის მხარგრძელს, რომელიც იყო ტაშირის ერისთავი. სარგისმა მადლიერების გრძნობით შეჰფიცა ერთგულება. მან მეფისგან მიიღო სასწრაფოდ შესასრულებელი დავალება. რათა ჯარით გაემაგრებინა ვაშლოვანი. აგარანი და შულავერი. იაღლუჯის პირდაპირ, მტკვრის ფონზე დარაჯნი დაეყენებინა ერეთისა და კახეთისკენ მიმავალი გზის გასაკონტროლებლად. კლდეკარს, მოდინახეს და მუზის ციხეს გაეგზავნა ძლიერი როქისპანი, რათა თორელნი და თმოგველნი ვერ შემოჭრილიყვნენ საერისთაოში, როქის-სპის ნაწილს უნდა დაეცვა ორბელიანთა დარბაზის გზები და შეეკრათ ყოველგვარი

მიმოსვლა. დაჭერილნი გამოეგზავნათ სასახლეში.

მეფე გიორგი ყაითაძეს თავისთან დაიტოვებს სასახლეში. ჯავახიანი უკვე მომხდარით კმაყოფილია და ყაითაძეს გაწეული სამსახურისთვის დიდად ემადლიერება. ჩაფიქრებული მანდატურთუხუცესი ინტრიგათა ახალი ქსელისთვის ემზადება. უხარია, რომ „პირველ საშიში დემნა“ მოიშორა, ახლა კი სურს გაუსწორდეს სოსლანს, შესმენით თამარზე ეჭვი ჩაუგდოს გულში, შალვა ჯაყელი ფათერაკს გადაკიდოს.

ჯავახიანი ახალგამეფებულ თამარს დაწვრილებით გააცნობს სასახლეში მომხდარ ამბავს იოანე ორბელიანისგან მოსალოდნელი აჯანყების შესახებ, რათა დემნა გაახელმწიფოს. მეფემ ლაშქარი გაგზავნაო ორგულთა დასაჭერად და თავების მოსაკვეთად უფლისწულისთვის, ორბელიანისთვის, ჯაყელისთვის. თამარი შეიცხადებს, რომ მის ბიძაშვილს დემნასაც ემუქრება თავის კვეთა. დედოფლისთვის კეთილ ადამიანად თავის მოსაჩვენებლად ჯავახიანი ნატრობს ორგულთა „გადარჩენას“. აუცილებლობად მიაჩნია მათთვის წინასწარ შეტყობინება, სადმე რომ თავი შეაფარონ. თამარს დაიყოლიებს შალვა ჯაყელის გაგზავნაზე. გამოართმევს დედოფალს სამხრეს, ვითომ ჯაყელის დასარწმუნებლად „ესეთს მძიმე მინდობილებაზე“. თუმცა ჯავახიანმა წინასწარ იცის, რომ შალვა ჯაყელი ორბელიანის დარბაზამდე ვერ მიაღწევს გზების შეკრულობის გამო. თანაც უხარია ჯერჯერობით „საქმის კარგად დაწყობილობა“. ჯავახიანთან შემოსულ სოსლანს იგი ფარულად გააცნობს თამარის სამხრის ამბავს, რომელიც ზურგს უკან დამალული ჰქონდა. სამხრე თამარმა მიბოძაო შალვა ჯაყელისთვის გადასაცემად. ეს გააკეთა სოსლანის მხრიდან თამარისადმი ეჭვის გასაღვივებლად. ეს იყო ეშმაკის ჯაჭვისთვის ერთი რგოლის დამატება.

ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელისა და როქისსპის ოფიკალის კოსტა წავქისელის დიალოგისას გუშაგებს შემოჰყავთ ძონძებში ჩაცმული ქალამნიანი უბრალო კაცი, რომელიც მათ ბრმა მესტვირედ გააცნობს თავს. მის სიბრმავეში დაეჭვებულმა მხარგრძელმა სატევარი წინ წაიშვირა, მესტვირე სატევარს წააწყდება და მკლავზე დაიჭრება. ამ დროს აბჯრის ჩხარუნისას, დიდი ხმაურის და გუშაგთა

ყვირილისას მხარგრძელი და წავქისელი მიიმალებიან. გამოჩნდებიან დემნა, იოანე ორბელიანი, ლიპარიტი (იოანეს ძმა), დემნას ოსტატი გაბრიელ-ბერი, ჯაყელი (შალვა ჯაყელის მამა) და მათი მხლებელნი. მათ ხელში აღმოჩნდება დაჭრილი მესტვირე. იგი მოახერხებს გაბრიელისთვის საიდუმლოს განდობას სარგის მხარგრძელისთვის ამირსპასალარობის გადაცემის, დემნას და იოანეს დატყვევების თაობაზე გიორგი მეფის განკარგულებას, რასაც მათთვის თავის მოკვეთა უნდა მოჰყოლოდა.

გამეცავნდა, რომ ეს გლახაკი, ვინმე დაჭრილი შალვა ჯაყელია. იოანე ორბელიანი თავის ძმას ლიპარიტს ავალებს სასწრაფოდ წასვლას ადერბაიჯანის ათაბეგთან ლაშქრის მოსაშველებლად, ასევე კვირიკეს აგზავნის ერეთში გაგელთან სამხედრო დახმარებისათვის. თუმცა ლიპარიტი წასვლას ვერ ახერხებს ათაბეგთან გზების შეკრულობის გამო. ისინი ლორის ციხისკენ გარბიან თავის შესაფარებლად.

პიესის მესამე მოქმედებაში მიაგულის გამოცანად თქმული ლექსიდან ზაქარია მხარგრძელი ამოიკითხავს მისთვის მნიშვნელოვან საიდუმლოს, რომ დარაჯთა მიერ შეპყრობილი ბრმა მესტვირე, რომელმაც მკლავი წამოაცვა ამირსპასალარის სატევარს, თურმე შალვა ჯაყელი ყოფილა. გიორგი მეფეც მიაგულის მიერ ლექსად ნათქვამ გამოცანაში მზეშაზე რაღაც საიდუმლოს აღმოაჩენს, შალვა ჯაყელი საგონებელში ვარდება, რომ ჯავახიანს თავისი დისთვის მიაგულისთვის ყველაფერი აქვს განდობილი. მეფე მზეშაში შალვა ჯაყელს ხედავს. საიდუმლოს მალე აეხადა ფარდა, შალვა ჯაყელს სახელოს გახსნისას აღმოუჩენენ თამარის სამხრეს, მეფე თვითონვე ააგლეჯს სამხრეს, თვალს მოავლებს და შეინახავს, დაინახავს მის ჭრილობასაც.

მეფე გიორგი სასტიკად გაუწყრება შალვა ჯაყელს, გველად, გველის შვილად, მზაკვრად, ბოროტ სულად და პირშავად მონათლავს მას. ბრძანებს მის დილეგში ჩაგდებას. თამარის სამხრის აღმოჩენაში ხელმწიფე „ჭეშმარიტად ეშმაკის საფრთხეს“ ხედავს, წამში თამარის გონიერებაშიც შეაქვს ეჭვი, ვაითუ „მის სხეულში ღვიოდეს ევისა ქალიო“. მეფეს გამოაფხიზლებს და გონს მოიყვანს მისივე და რუსუდანი, საყვედურობს, რომ „თავზედა ბატონად ჰყავს ჯავახიანი“, იგი

გაუხდია ვეზირად და მოძღვრად. გიორგი ჯიბიდან ამოიღებს თამარის სამხრეს და რუსუდანს უჩვენებს, რამაც მისი გაოცება გამოიწვია.

მანდატურთუხუცესი ჯავახიანი ფათერაკის და ინტრიგის ახალ ქსელს ქსოვს. გაბრიელ ბერს გადასცემს ვითომ გიორგი მესამის მიერ შედგენილ წერილს შეთქმულების მონაწილეთა შესაწყნარებლად, დემნასთვის ცოდვათა მიტევების თაობაზე. ბერს ურჩევს ეს სიგელი აჩვენოს შეთქმულთ, მაგრამ შემდეგ უბეში შეინახოს. გადასცემს გაბრიელ ბერს სიგელს და გაისტუმრებს. ამის შემდეგ ჯავახიანი მოიხმობს ყაითაძეს (მხედარს), დემნას მოძღვარს გაბრიელ ბერს დაუხასიათებს ორპირად, მავნებლად, აეშაგად, აძცნობს წერილის ბერისთვის გადაცემის ამბავს, თანაც დაუმატებს, რომ დემნას ციხიდან გამოპარვის და სასახლეში მოსვლისთანავე ეს სიგელი ჯავახიანს უნდა ჰქონდეს. ამიტომაც ავალებს ყაითაძეს გაბრიელ ბერს წაართვას იგი და თან მოუტანოს, იარაღის ხმარებაც რომ დასჭირდეს. მეფის სასახლეში კი ხმა გავარდა შალვა ჯაყელის ორგულობაზე და მეფისადმი ღალატზე. შემოიყვანეს იგი „ჯაჭვით ხელ-დაბმული". ყველა ფიქრობს, თუ მეფე გიორგიმ შეატყო ღალატი, არ დაინდობსო. სოსლანის ენით გაჟღერდება: „მეგობრობაზე, მოყვრობაზე და სისხლნათესაობაზედაც მაღლა დგას მამულისა და მეფის ერთგულება". ჯაყელი დარწმუნებულია სიკვდილით დასჯაში და ეთხოვება ყველას.

დაცარიელებულ სცენაზე გამოჩნდება დემნა ბატონიშვილი „ღვლარჭად შეკრული თოკით" ხელში და თავისით მარტო მოსთქვამს წუთისოფლის უკუღმართობაზე, კარავიდან გამოსული გიორგი მესამე ყურს მოკრავს დემნას სიტყვებს. დემნა მეფის დანახვისას „გადაიგდებს კისერზე ღვლარჭას", გიორგი მწარედ მოჰკითხავს დანაშაულს, დემნა არწმუნებს უცოდველობაში, მისი უფლების წინააღმდეგ წაუსვლელობაში. ამ საუბარში შემოჰყავთ დაკოდილი გაბრიელ ბერი, რომელიც მეფეს მოუყვება უფლისწულის ციხიდან გამოსაყვანად წასულს თუ როგორ დაეტაკა ვიღაც შეიარაღებული უცნობი სიგელის წასართმევად, თუ მისი არდანებების შემთხვევაში როგორ დაჭრა იგი სატევრით. გამჟღავნდება, რომ ეს სიგელი მეფისგან არ მოდიოდა. როცა გაბრიელ ბერი „წაღის ყურიდან" ამოღებულ სიგელს

მეფეს გადასცემდა, ეცა მას ჯავახიანი, წააგლიჯა ქაღალდი ხელიდან და ცეცხლს მისცა. ამან მეფის რისხვა გამოიწვია.

მეფე გიორგი დარწმუნდება ჯავახიანის თვალთმაქცობაში, დემნას უბრძანებს კისრიდან თოკის ახსნას. ამ დროს მეფესთან შიკრიკს შემოაქვს თამარ დედოფლის წერილი, რომელშიც გამხელილია დემნას სახსნელად შალვა ჯაყელის გაგზავნა მისივე მხრიდან, რომ სამსრეც სინამდვილეში მის მიერ იყო გაგზავნილი. მისივე ნების დასარწმუნებლად. სთხოვს ამის გამო შალვა ჯაყელის დაუსჯელობას. მეფემ ირწმუნა სიმართლე და გამრეკელს დაავალა, არ დაესაჯათ ჯაყელი და მოეყვანათ მასთან. ამასობაში მხედართა მიერ შემოყვანილი ყაითაძე გაამხელს, რომ გაბრიელ ბერისთვის სიგელის წართმევა და წინააღმდეგობის შემთხვევაში იარაღის გამოყენება ჯავახიანისგან ჰქონდა დავალებული.

გიორგი მეფე ბრძანებს მოღალატე მანდატურთუხუცესისთვის თავის გაპობას, ასე ამაზრზენად მის დასჯას. ჯავახიანი უგრძნობლად დასცეს ძირს. ამ დროს მეფესთან გამრეკელს მოაქვს ამბავი, რომ მის მისვლამდე შალვა ჯაყელი უკვე სიკვდილით დასჯილი იყო. პიესა სრულდება ლოცვად დაჩოქილი გიორგი მესამის სიტყვებით: „მეფეო ზეცათაო! მოგვიტევენ შეცოდებანი ჩვენნი, რამეთუ ვართ ხორციელნი და არა უწყით რას ვშვრებით“.

როგორც შინაარსიდანაც ჩანს, „გიორგი მესამე“ გამოირჩევა, ავთანდილ ნიკოლეიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მძაფრი სიუჟეტური დინამიზმით“. ვერ გავიზიარებთ ელგუჯა თავბერიძის თვალსაზრისს სიუჟეტთან დაკავშირებით: „გიორგი მესამეში“ უფრო მოვლენათა შეფასებაა წინ წამოწეული, ვიდრე სიუჟეტი თანმიმდევრულად განხორციელებული. საშიშროება ჩნდება ნაკლებდამაჯერებლობისა, მაგრამ ამას ზოგადი შინაარსის მონოლოგები ფარავს და შეუმჩნეველს ხდის“.[1] ჯერ ერთი, თხზულებაში ჩართული მონოლოგები არამც და არამც არ არის ზოგადი შინაარსის მატარებელი, პირიქით, ისინი კონკრეტულად ღრმად გვახედებენ წარმომთქმელი პერსონაჟების სულიერ სამყაროში. ჩვენ ვერ დავინახეთ „თანმიმ-

[1] ელ. თავბერიძის დასახ. ნაშრომი, გვ. 225.

დეერულად განსორციელებული სიუჟეტის" ნაკლებდამაჯერებლობის საშიშროება. თხზულება ინტერესით იკითხება. იგი სიუჟეტურ-კომპოზიციურად შეკრული ძეგლის შთაბეჭდილებას ტოვებს. მკითხველი სულმოუთქმელად მიჰყვება სიუჟეტურ საზს, წუთითაც ვერ მოსწყვეტს თვალს თითოეულ სტრიქონს, თითოეულ ეპიზოდურ ამბავს, ისე გადის ბოლომდე. მისთვის მიმზიდველია ე.წ. სტატიკური ელემენტები მონოლოგების, აფორისტული შეგონების და სხვათა სახით.

ასე რომ, „გიორგი მესამე" თავისი სიუჟეტით აღიქმება მიმზიდველ ძეგლად, ამიტომაც იკითხება იგი ცხოველმყოფელი ინტერესით. იგი მოსილია სიუჟეტური კომპონენტებით, როგორიცაა: ექსპოზიცია, კვანძი, კვანძის გახსნა, ფინალი. ასევე ვერ გავიზიარებთ ავთანდილ ნიკოლეიშვილის შეხედულებას, თითქოს დრამა'ში თამარის მეფედ კურთხევის ეპიზოდი, რომლითაც იწყება ნაწარმოები, ორგანულ კავშირში არ იყოს ძირითად სათქმელთან — გიორგი მესამის წინააღმდეგ ჩაფიქრებულ შეთქმულებასთან.[1] პირიქით, თამარის გამეფების ეპიზოდი წარმოადგენს ექსპოზიციას, სადაც ინასკვება კვანძი — გიორგი მესამისთვის მეხვაშიადის მიერ მოტანილი საიდუმლოს სახით მეფის საწინააღმდეგო შეთქმულებასთან დაკავშირებით. შეიძლება ითქვას, რომ ნაწარმოები აგებულია მანდატურთუხუცეს ჯავახიანის ინტრიგულ ქსელსა და ხლართებზე, რაც ფინალში მისი სიკვდილით დასჯით დასრულდა.

მთავარი თემის და მთავარი პერსონაჟის შესახებ. პეტერბურგში ყოფნისას ყოველგვარ პრივილეგიაზე უარის თქმა, უზრუნველი ცხოვრებაზე ხელის აღება, ცივგულიანი რუსეთის დატოვება და სამშობლოში დაბრუნება, იმ სამშობლოში, რომელიც რუსეთის იმპერიის კოლონიური რეჟიმის მსხვერპლი იყო. მშობლიურ აფხაზეთში ცხოვრების აკრძალვის გამო ქუთაისში დამკვიდრება გიორგი შარვაშიძის პიროვნებას ნათლად წარმოაჩენს საქართველოსთვის ერთგულ პატრიოტად, VIII ს აფხაზეთის სამეფოს ანუ დასაკლეთ საქართველოს სამეფოს შექმნისას აფხაზეთის მეფემ სატახტო ქალაქი ქუთაისში გადაიტანა. ალბათ, ამ უმნიშვნელოვანეს ისტორიული ფაქტის პა-

[1] ა. ნიკოლეიშვილის დასახ. ნაშრომი, გვ. 150.

ტივსაცემად აირჩია აფხაზმა პოეტმა და სწავლულმა საცხოვრებლად ქუთაისი. სწორედ აქ გაშალა მან შემოქმედებითი ფრთები, სწორედ აქ ქმნიდა ეროვნული სულისკვეთებით დამუხტულ ნაწარმოებებს ლექსების თუ პიესების სახით.

გიორგი შარვაშიძე მოწმე და თვითმხილველი იყო თუ რა დღეში იმყოფებოდა მშობლიური აფხაზეთი, დანარჩენ საქართველოსთან ერთად მეფის რუსეთის პარპაშის დროს. ეს იყო შედეგი ქვეყნის დაქუცმაცებისა და თვითონ ქვეყნის შიგნით მოღალატეთა მომრაელებისა. პოეტი საქართველოს ხსნას მის ერთიანობაში, ცალკეული კუთხეების ერთ მუშტად შეკვრაში ხედავდა. მან მშვენივრად იცოდა საქართველოს ისტორია, დავით აღმაშენებლის და თამარის მეფობის დროს მიღწეული განუმეორებელი წარმატებები ივერიისა, რაც განსაზღვრული იყო ქვეყნის მტკიცე ერთიანობის განხორციელებით. გიორგი შარვაშიძეს მის გაუსაძლის დროში ენატრებოდა ასეთი საქართველო, რომლის განუყრელ ნაწილად მუდამ ესახებოდა აფხაზეთი.

შემთხვევით არ წერს მწერალი დრამას „გიორგი მესამე". მას სურს თანამედროვეთა თვალწინ გააცოცხლოს დიდება ივერიისა, იმ თანამედროვეთა, რომელთა გარკვეული ნაწილი გადაგვარებული და რუსეთს სულმიყიდული იყო. მისი მიზანია თანამემამულეთა შთაგონება ძალთა მოსაკრებად და ძველი დიდების დასაბრუნებლად. მის მიერ „გიორგი მესამეში" აღწერილი ამბები შინაური მტრებისა, რომლებიც სიფათს უმზადებდნენ ქვეყნის ერთიანობას, ერის ერთიანობას, მწარე გაკვეთილი უნდა ყოფილიყო აფხაზი პოეტის გადაგვარებული თანამედროვეებისათვის. ეს პიესა XX საუკუნის დამდეგს ემსახურებოდა ქართველთა გამოღვიძების, გამოფხიზლების საქმეს. არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ მისი პათოსი ერთობ აქტუალურია დღესაც. ამ თვალსაზრისით საანალიზო დრამა მომავალშიც შეინარჩუნებს სიცოცხლეს და აქტუალობას.

ასე რომ, გიორგი შარვაშიძე XII საუკუნის საქართველოდან არისხებს განგაშის ზარებს შინაგამცემლობის, შინაური მტრების, ეშმაკისთვის სულის მიმყიდველი ქართველების წინააღმდეგ, რაც ხელს უწყობდა ქვეყნის ერთიანობის დაშლას და მტრებისთვის იოლად ხელ-

ში ჩაგდებას. სწორედ მისი ეპოქის ივერიის საშინელმა მდგომარეობამ მიაბრუნა აფხაზი შემოქმედი ისტორიული წარსულისკენ, რათა იქიდან ასწავლოს გზააბნეულ თანამემამულეებს სამშობლოს სიყვარული, მისი ერთიანობისკენ სწრაფვა, როგორც გარანტი საქართველოს გადარჩენისა და ამაღლებისა.

ზემოთ თქმულის ფონზე მივადექით ძირითად სათქმელს: რა არის „გიორგი მესამის" მთავარი თემა. ეს არის საქართველოს მთლიანობის და მის არამოსურნე ფეოდალთა წინააღმდეგ დაუნდობელი ბრძოლა, ამოძირკვა ფეოდალური პარტიკულარიზმისა. აკად. სიმონ ჯანაშიას თქმით, „ეს დრამა მიძღვნილია საქართველოს მთლიანობისა და მისი სახელმწიფოებრივი ძლევამოსილების იდეისადმი.[1] ეს პირველთაგანმა დიდმა მეცნიერმა აღიარა და იგი ტრადიციულ თვალსაზრისად დამკვიდრდა სამეცნიერო ლიტერატურაში. ავთანდილ ნიკოლეიშვილის მიხედვითაც „დრამის ღირსებას ქვეყნის ერთიანობისა და განუყოფლობის იდეის განდიდება განაპირობებს".[2]

ამჯერად შევეცდებით „გიორგი მესამის" მთავარ თემაზე მსჯელობისას არ შემოვიფარგლოთ მხოლოდ ზოგადი მინიშნებებით, არამედ ვრცლად და კონკრეტულად ვისაუბროთ იმ მონაკვეთებზე, საიდანაც გამოსჭვივის საქართველოს ერთიანობის შენარჩუნების და განმტკიცების იდეები. ერთიანი ჩვენი ქვეყნის ზოგადი სახელია „საქართველო". კორნელი კეკელიძე წერდა: „X საუკუნის ორთხმოციანი წლებიდან იწყება ამ ერთეულების (იგულისხმება „ქართველთა სამეფო" ტაოკლარჯეთში. არაბთა თბილისის საამირო, კახეთის საქორიკოზო და აფხაზეთის სამეფო – ტ.მ.) გაერთიანების პროცესი და ეთნიკური სახელწოდების „ქართლის" გარდაქმნა კულტურულ-პოლიტიკურ ტერმინად „საქართველოდ". ეს პროცესი სრულდება XII საუკუნის პირველი მეოთხედის გასულს, დავით აღმაშენებლის დროს".[3] „საქართველოს" პარალელურად სინონიმის სახით გაჩნდა „ივერია".

როგორც ზემოთაც მივუთითეთ, სიმონ ჯანაშიამ შენიშნა პირვე-

[1] **ს. ჯანაშიას** დასახ. ნარკვევი, გვ. 76.

[2] **ა. ნიკოლეიშვილის** დასახ. ნაშრომი, გვ. 150.

[3] **კ. კეკელიძე, ა. ბამარიძე,** ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია. თბ., 1987, გვ. 16.

ლად: „გიორგი შარვაშიძე „საქართველო“-ს აღსანიშნავად რჩეობს ტერმინს: „ივერია“, ხოლო „ქართველის“ ნაცვლად ხშირად ხმარობს „ივერ“-ს. ესეც საკმაოდ ძველი და საინტერესო ტრადიციის ანარეკლია“. საინტერესოდ მსჯელობს დიდი ისტორიკოსი ფეოდალური დაქუცმაცებულობისა და დაქსაქსულობის პერიოდში პოლიტიკური მიზეზებით გამოწვეულ ტერმინოლოგიურ ცვლილებებზე. კერძოდ, ცნება „საქართველოს“ მნიშვნელობის შეკიწროებაზე. მაგალითად, ეს ეხება „ქართლის“ მოხსენიებას „საქართველოდ“: „ყველაზე ადრე ქართლია ძველი საქართველოს მემკვიდრე და ამიტომ უპირატესად მას უნდა ეწოდოს „საქართველო“, მაგრამ სხვა თემებსაც ხომ უძევთ წილი ამ მემკვიდრეობაში. მაშასადამე, მარტო ქართლი კი არ არის საქართველო, სხვა კუთხეებიდანაც თავითეული საქართველოა. ასეთი „მრავლობის“ შეგნებიდან იბადება უჩვეულო ფორმა: „საქართველონი“ ანუ „საქართველოები“: „როდესაც საქართველონი იყო ხელმწიფის ერთისა“ (თეიმურაზ მეორე); „რაც საქართველოების უწინდელნი და ახლანდელნი გარემოებანი მოქმედებენ“ (ერეკლე მეორე); „ყოველთა საქართველთა მეპატრონეთა“; „საქართველოების დიდნი და მცირენი“; „როგორც საქართველოებში რიგი არის“. ზოგჯერ „საქართველო“ „ქართველის“ მნიშვნელობამდე დაჰყავდათ: „ბევრი საქართველო (ქართველი) დაიხოცაო“. „საქართველოს“ „ივერიით“ ჩანაცვლების მიზეზზე მოვუსმინოთ აკად. სიმონ ჯანაშიას: „ამ არევდარევის ნიადაგზე და გაუგებრობის თავიდან აცილებისთვის გაჩნდა მოთხოვნილება ისეთი ნეიტრალური ტერმინისა... არჩევანი ხვდა „ივერიას“, იმ სახელწოდებას, რომლითაც ძველი ქართლის სამეფო ცნობილი იყო მეზობლებში... უკვე ვახუშტი ხმარობს „ივერიას“ უწყებული მნიშვნელობით.[2] ცნება „ივერია“ პოპულარობით სარგებლობს მე-18 საუკუნიდან. საგულისხმოა გახსენება თეიმურაზ ბატონიშვილის მიერ 1848 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოცემული ნაშრომისა — „ისტორია დაწყებითგან ივერიისა, ესე იგი გიორგიისა, რომელ არს სრულიად საქართველოისა“.

---

[1] ს. ჯანაშიას დასახ. ნაშრომი. გვ. 59-61.

[2] იქვე, გვ. 62.

ცხადია, გიორგი შარვაშიძე „საქართველოს“ და „ივერიას“, როგორც კულტურულ-პოლიტიკურ ტერმინს, ხმარობს ფართო მნიშვნელობით, როგორც მისი ერთიანი, მთლიანი სამშობლოს სახელს. მართალია, ამ სინონიმური ცნებებიდან აფხაზი მწერალი „რჩეობს“ „ივერიას“, თუმცა არც „საქართველო“ აქვს დავიწყებული. მაგალითად, „გიორგი მესამეში“ „ივერიის“ პარალელურად „საქართველო“ ექვსჯერ სახელდება: „ლამის მთელს საქართველოს ცეცხლი წაეკიდოს“; „ჩემს საქართველოს ცოცხლად წავსწყმედ და მეც წავწყდები“; „საქართველოსი დიდ თავადნი“... „იქნება იმედი საქართველოსი“ და ა.შ.

როგორც ისტორიულად ცნობილია, ჩვენი სამშობლოს სრული გაერთიანება დასრულდა დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდში. სწორედ ამიტომ არის თავის დრამაში გიორგი შარვაშიძე ზაქარია მხარგრძელის ენით წარმოთქვამს განუმეორებელი ტიტანი მეფის სადიდებელს: „დავით აღმაშენებელი იყო ისეთი მეფე, რომლისთანაც მალე არ მოევლინება საქართველოს. მან შეაერთა ქართლ-კახეთი ერთ სამეფოდ, ამათ მიაკრა ყველა ქართველი თემი და ცალ-ცალკე, დამოუკიდებელი არსებობა მაშინ ერთობ გაზვიადებულ თავადთა დაასუსტა და შეჰქმნა ამ საშუალებით ერთი სახელმწიფო მთელი „ივერიისა“.[1] „იმ დიდებულის კვალზე დგას ახლა ჩვენი მეფეცა“, — მხარგრძელის ენით ასრულებს ავტორი ფრაზას. ეს „ჩვენი მეფეცა“ გაიხადა მან შთაგონების წყაროდ ამ მშვენიერი დრამის შექმნისას.

XII საუკუნეში ქართველ მეფეთა ავტორიტეტის ასამაღლებლად გაძლიერდა IX საუკუნეში დაბადებული ლეგენდა ქართველი ბაგრატიონების დავით წინასწარმეტყველის შთამომავლებად დასახვისა. ეს ლეგენდა პირველად წერილობით დასტურდება „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“: „დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელმწიფეო“. ბაგრატიონთა პირველ წინაპრად დავით ფასლმუნთმგალობლის აღიარება ფიქსირდება სუმბათ დავითის ძის მატიანეში, ასევე თხზულებაში „მატიანე ქართლისა “. საყურადღებოა ბერძნული საისტორიო წყარო, რომელიც ეკუთვნის

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 139.

ბიზანტიის იმპერატორს (912-952) კონსტანტინე პორფიროგენეტს.[1] როგორც ჩანს, იგი ნასაზრდოებია ქართული წყაროებით. რადგან სიტყვამ მოიტანა, დავასრულებთ საგულისხმო ფაქტის მოხმობით: 818 წლით დათარიღებული ოპიზის ტაძრის ბარელიეფი ასე გამოიყურება: ოქროცურვილ ტახტზე ზის იესო ქრისტე, მის მარცხნივ დგას დავით წინასწარმეტყველი, მარჯვნივ კი — აშოტ კურაპალატი.

ყოველივე ამის გახსენება იმიტომ დაგვჭირდა, რომ გიორგი შარვაშიძეც ეხმაურება იზოთეიზმის იდეას. „გიორგი მესამის" მიხედვით, მანდატურთუხუცესი ჯავახიანი გაბრიელ ბერს აცნობს მეფე გიორგის სიგელის ტექსტს (თუმცა ქვემოთ გამჟღავნდება, რომ იგი თვითონ შეუდგენია და ბერს უკითხავს მეფის სახელით): „ჩვენ, მეფეთ მეფემან, სოლომონიან-დავითიან-ბაგრატოვან, ძემან მეფისა დიმიტრისა ქველისამან"... გამოდის, რომ ეს ლეგენდა ნაცნობია და მისაღები აფხაზი სწავლულისთვის.

დავით აღმაშენებლის მეირ დატოვებული ერთიანი ძლევამოსილი საქართველოს შენარჩუნებას და განმტკიცებას ხელი შეუწყვეს დემეტრე პირველმა, გიორგი მესამემ და განსაკუთრებით თამარ დედოფალმა, როგორც უძლეველმა მეფემ. ვინც შეეცდებოდა ამ ძლიერების შერყევას, ის სატანასთან იყო დაზავებული. ასეთი ქვეგამხედვარნი დავით მეოთხესაც ჰყავდა, გიორგი მესამესაც და დიდ თამარსაც. გიორგი შარვაშიძის „გიორგი მესამის" შექმნის მიზანი სწორედ პარტიკულარიზმის, სეპარატიზმის მხილება და დაგმობაა, რაც გამთლიანებულ ქვეყანას საფრთხეს უქმნიდა, ფათერაკს უმზადებდა. თხზულება ფაქტიურად გიორგი მეფის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობის მცდელობაზეა აგებული. ავტორი, ცხადია, „ქართლის ცხოვრების" ქრონიკებიდან ამოდის, მაგრამ სრულიად თავისებურად იაზრებს მას, სადაც ნათლად წარმოჩნდა მისი, როგორც უზადო სიტყვის ოსტატის, ინდივიდუალური ხელწერა.

საანალიზო დრამაში გიორგი შარვაშიძე სოსლანის ენით გვაცნობს თავის ეროვნულ-მოქალაქეობრივ პოზიციას: „მეგობრობაზე, მოყვრობაზე და სისხლისნათესაობაზედან მაღლა დგას მ[illegible]ა და ს[illegible]

[1] გეორგიკა. IV, თბ., 1973.

ფის ერთგულება".[1] დრამატურგის რწმენით, მის სათაყვანებელ მეფეს ერის მოვლის ძალმოსილებას უფალი აძლევს, რის საფუძველზეც „სახელოვნად გაშალა დროშა", თავზარი დასცა მტერს, გააქარწყლა მისი შიში, სრულად განდევნა იგი. თამარის მეფედ კურთხევამდე ერისთავების წინაშე გიორგი მესამე წარმოთქვამს სიტყვას:

„ულირსის პირით ვწირავ მადლსა ძალას უფლისას,
რომელმაც მომცა ძლევა მოვლად ერისა ჩვენის
ესე. ვითარცა სახელმწიფოს შეჰფერს, შეშვენის...
და საქართველოს არ ჰქონია, სულ, ჩვენსა დროსა
შიში მტერისა; მან სახელოვნად გაშალა დროშა,
მტერთა ურდოთა დასცა ზარი, — განსდევნა სრულად!"...
დავშთით რა ღვთისა მადიდებლად და მოხარულად,
ერი მწყალობდა და მპოვებდა ღირსად ქებისა".[2]

გიორგი მესამე თანამეფედ იმიტომ დაისვამს თავის მხოლოდშობილ ასულს, რომ სჯერა მისი სიბრძნისა, გონიერებისა, სულიერი სიმტკიცისა, ეროვნული პათოსისა, რომელიც კიდევ უფრო განამტკიცებს ქვეყნის მთლიანობას და ძლიერებას. თამარის მეფედ კურთხევის დასრულებისას მეფე გიორგი შეიტყობს ამაზრზენ ამბავს მის წინააღმდეგ შეთქმულების თაობაზე. მან ყველაზე უკეთ უწყის, რომ სამშობლოს ორგულობა, ღალატი, სამეფოში განხეთქილების შემოტანა დამღუპველია. ამის ინიციატორები „სამშობლოს მუდამ იყვნენ დამამხობელი". მის აღშფოთებით წარმოთქვამს:

„აჰა, გაცემა, ორგულობა, ეგ სენნი ძველნი,
ეს შინაური გველ-მატლები, ქართველთ მჭამელნი!..
ვით ვერა გრძნობენ სულელ-შმაგნი, ბოროტნი სულნი,
რათ დაივიწყეს აგრე მალე დრონი წასულნი,
რომ ჩვენს სამეფოს, შემოვა რა განხეთქილება,
მას დაიმონებს და შემუსრავს სხვისი კირთება!
რომ სამშობლოის მუდამ იყვნენ დამამხობელი

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 164.
[2] იქვე, გვ. 129.

დას-დასობითა ბატონები, როგორც ორბელი!“[1]

გიორგი შარვაშიძეც მეფე გიორგის ენით აფიქსირებს თავის მსოფლხედვას. აფხაზი მწერალი ათვალსაჩინოებს თუ „შავი ღალატის დულილმა“ საუკუნეთა მანძილზე რა უბედურება მოუტანა ქვეყანას თამარის მეფობის მზის ჩასვენების შემდეგ – დაიშალა საქართველო სამეფოებად და სამთავროებად, დაიცალა სისხლისაგან და ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ცარიზმის რუსეთმა ფეხქვეშ გათელა ჩვენი ქვეყნის და ერის ღირსება. ყოველივე ამის შემსწრე და მოწმე გიორგი შარვაშიძე თავისი დრამით თანამედროვეთ შთააგონებს თუ რა სიაკე დაატეხა თავს ერის შიგნით მუდმივმა განხეთქილებამ. იგი ოცნებობს დავითისა და თამარის საქართველოზე. თავისი თხზულებით ცდილობს ქართველებში გააღვიძოს წყურვილი ძველი დიდების დაბრუნებისა. ერთობის მნიშვნელობისა, ეროვნული სულისკვეთების აღზევებისა.

როდესაც ზაქარია მხარგრძელი კოსტა წავქისელს უყვება დავით აღმაშენებლის მიერ საქართველოს გაერთიანებაზე, ეს უკანასკნელი მოურიდებლად შეეკითხება: „მერე რა გამოვიდა იმისაგან, რომ სხვადასხვა სამთავროსაგან ერთი სამეფო შეჰქმნა?“ მხარგრძელი მისებურად აუხსნის გაურკვევლობაში მყოფ წავქისელს: „რა გამოვიდა?! როგორ გიპასუხო ამაზე? კარგი წვრთნილი ყმა სარ და ეს უბრალო საგანი არ გესმის. აბა ჯერ სთქვი: ვისიმე ცემა რომ გინდოდეს, რას შემოჰკრავდი? წკიპურტს თუ მუშტს?“ წავქისელი უპასუხებს: „რასაკვირველა, მუშტს შემოვკრავ“. მხარგრძელი: რატომ? წავქისელი: როგორ თუ რატომ? მხარგრძელი: ჰო, რატომ? იმიტომ, რომ თითი თუ ჰკარი, ვერას ვნებ, და როდესაც სუთივე თითს მაგრად დასკვნი, მაშინ ამ მუშტით კი შეგიძლია წააქციო და ავნო მტერს; აგრეა ჩვენი ქვეყანაც, როცა ყველანი ცალ-ცალკე ვიყავით, ღონე არ გვქონდა და როდესაც ერთად ვართ აბა მობრძანდეს მტერი“.[2]

ვფიქრობთ, ეს შეგონება თავისებური გარდათქმაა სულხან-საბა ორბელიანის ერთი იგავის („ძალა ერთობაშია“) შინაარსისა: „მეფე ვინმე იყო დიდებული, ოცდაათი ვაჟი ჰყვა. რა მოიწია დრო სიკვდილ-

[1] გ. შარვაშიძე. ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 133.

[2] იქვე, გვ. 133.

ისა მისისა. მოუწოდა ძეთა თვისთა, მოალებინა ოცდაათი ისარი, შეკრა მაგრა ერთად და მოზიდა, რათა გატეხოს, და ვერ გატეხა. მერმე თითო-თითო მოზიდა და ყოველივე დალეწა. უთხრა შვილთა თვისთა: თუმცა ერთად სართ და ერთსა პირსა ზედა სდგეხართ, მტერი ეგრე ვერ გაგტეხსთ, ვითა მე წელან შეკრული ისარი ვერ გავტეხე; თუ გაიყრებით, ესრეთ თითო-თითოდ დაგლეწოსთ მტერმან, თავიცა მოსთხაროთ და მოყვარეცა".

სულხან-საბა ორბელიანივით გიორგი შარვაშიძეც „გიორგი მესამეში" ამხელს და კიცხავს ფეოდალურ კინკლაობას, დინასტიურ ქიშპს, ძმათა შორის შუღლსა და მტრობას. გიორგი მესამე ვერ გადაიტანს, ან უფრო სწორად, არასოდეს შეეგუება სახელმწიფოს ნაწყვეტ-განწყვეტ გაყოფას. იგი თავის დას რუსუდანს ეუბნება:

„ესა გსურს განა? ჰა, ჰა, ჰა, ჰა! რჩევა კარგია.
ჰა, ჰა, ჰა, ჰა, დედა-კაცი რარიგ შმაგია!
ხელში ჩავუგდო მტრებსა თავი, რაც უნდა მიყონ
და სახელმწიფო ნაწყვეტ-ნაწყვეტ კვლავაც გაიყონ!"[1]

ერთიანი საქართველოს სახე დრამის დასაწყისშივე ჩანს. გიორგი მესამეს ქვეყნის სხვადასხვა კუთხის ერისთავები ჰყავს სასახლეში მოწვეული. ესენი არიან კახეთიდან ამირან ჩოლოყაშვილი, იმერეთიდან სოლომონ კახაბერიძე, ოდიშიდან ბედიანი, აფხაზეთიდან თათეოზ შარვაშიძე, სვანეთიდან ბარამ ვარდანიძე. სწორედ მათ დაეკითხება აზრს, მათგან სურს მიიღოს რჩევა თამარის გამეფებასთან დაკავშირებით. აქვე მიგვახვედრებს ავტორი იმათზეც, ვისაც სურს „სახელმწიფო ნაწყვეტ-ნაწყვეტ გაიყონ". იგულისხმება დარბაზში მოწვეული ერეთისა და კლარჯეთის ერისთავთა გამოუცხადებლობა. ეს მოასწავებდა დარბაზის ერთსულოვნების მზის დაჩრდილვას.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ „გიორგი მესამის" მთავარი თემა არის დავით აღმაშენებლიდან მემკვიდრეობით მიღებული საქართველოს მთლიანობის შენარჩუნება და განმტკიცება განხეთქილების მოსურნეთა დაუნდობლობის საფუძველზე. აქვე თავს იჩენს თხზულების მთავარი პერსონაჟის საკითხიც.

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 140.

ამ მხრივ ყურადსაღებია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი: „გიორგი მესამეს“ თავდაპირველად რქმევია „დემნა ბატონიშვილი“, თუმცა ავტორს საბოლოოდ მაინც არჩევანი „გიორგი მესამეზე“ გაუკეთებია. ამასთან დაკავშირებით, სამართლიანად შენიშნავს ელგუჯა თავბერიძე: „გიორგი შარვაშიძის დრამატულ თხზულებათაგან ყველაზე გამორჩეული „გიორგი მესამეა“, რომელსაც თავდაპირველად „დემნა ბატონიშვილი“ ერქვა და სავსებით ამართლებდა ამ სახელწოდებას. პიესაში გიორგი მესამე სქემატურადაა წარმოჩენილი, მისი სასიათი ბოლომდე არაა გახსნილი, რაც შეეხება დემნას. მისი პიროვნება ახლებურადაცაა გააზრებული და უფრო სახიერია. ამიტომ სჯობდა, ეს სახელწოდება დარჩენილიყო, პიესის საერთო ჩანაფიქრისათვის იგი უფრო მორგებული და მიზანშეწონილი იქნებოდა“.[1]

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ნაწარმოების სახელდება არ არის განმსაზღვრელი მთავარი პერსონაჟობისა. მაგალითად, შოთა რუსთაველის გენიალურ პოემას „ვეფხისტყაოსანი“ ჰქვია, რაც ტარიელის მეტაფორული სახელია. ეს კი თითქოს უშუალოდ მიგვანიშნებს ტარიელის მთავარ პერსონაჟობაზე. მეტაფორის შინაარსის სიღრმეში შესვლისას აღმოჩნდება ამის უნიადაგობა. აქ მთავარია გაირკვეს არა ის, რომ ტარიელს ვეფხისტყავიანი ტანსაცმელი აცვია, როგორც „ვეფხის ტყავისა ქუდიევ იყო სარქმელი თავისა“. და ამიტომ უნდა დაისახოს მთავარ გმირად. მნიშვნელოვანია თუ რატომ ატარებს იგი ამას. თვითონვე გვარკვევს საქმის არსში: „რომე ვეფხი შვენიერი სახე მისად (იგულისხმება ნესტანი – ტ.მ.) დამისახავს, ამად მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომინახავს“. თუ პოემის სათაურს დავეყრდნობით, გამოდის, რომ უმთავრესი პერსონაჟია ნესტან-დარეჯანი. აქ ვეფხვის ტყავის მშვენიერება ხომ ნესტანის სიმბოლოდ მოჩანს. როგორც ალექსანდრე ბარამიძე შენიშნავს, „ვეფხვის ტყავი ტარიელისათვის იყო სატრფოს სახე-იდეა“. მისივე დასკვნით, „ნესტანია პოემის დედა-გმირი, დედა-პერსონაჟი, პოემის დამამშვენებელი სახე-ხასიათი, სახე-იდეა“.[2]

[1] ელ. თავბერიძის დასახ. ნაშრომი, გვ. 219.

[2] ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი, თბ., 1975. გვ. 90-91.

შესაძლოა დიდი მნიშვნელობა არ მიენიჭოს იმას, თუ გიორგი შარვაშიძემ რატომ უარყო თავდაპირველი ვარიანტი სათაურისა („დემნა ბატონიშვილი") და რატომ არჩია დრამის სახელწოდებად „გიორგი მესამე". ეს ხელს არ გვიშლის მთავარი პერსონაჟის გარკვევაში. როცა აქცენტს დემნა ბატონიშვილზე ვაკეთებთ, ცხადია, მოაზრებულია მწერლისეული უფლისწული და არა მემატიანისეული, რაზეც მომავალშიც მოგვიწევს ყურადღების კონცენტრირება.

დრამაში დემნას სახელი პირველად მაშინ გაჟღერდა, როცა ჩაბალახმობურვილი მხედარი გიორგი მესამეს ამცნობს თამარის გამეფების წინადღეს დარბაზში მომხდარი შეთქმულების შესახებ მეფის წინააღმდეგ, რომლის მონაწილენი ყოფილან: ამირსპასალარი ორბელიანი (დემნას გამზრდელი), თავადი ჯაყელი (გადაყენებული მთავარი სამცხისა), უფლისწული დემნა და „სხვანი კერძონი მათნი და აზნაურნი". მეფე გამოკითხავს რა შეთქმულების მიზეზს, ასეთ პასუხს მიიღებს: „მოგახსენებდენ, რომ ტახტი სახელმწიფოსი ეკუთვნის უფლის-წულს დიმიტრის და ძალადობამ თქვენმან მისტაცა მას იგი; ბევრის სჯის შემდეგ, შესთქვეს ფიცით ჯვარზედა, რომ აღადგინონ უფლება აწ სრულწლოვან უფლისწულის დიმიტრის, უნდა მოასხან თორელნი, ჯარს მოელიან კუხეთიდან და უნდა ააჯანყონ ჩვენი საერისთავო:[1]

მცირედი ფიქრის შემდეგ მეფე გიორგი დემნას მოიხსენიებს სუსტად, სნეულად, სალოსად:

„დემნა!.. ჰმ! რას გავს ის საწყალი, სუსტი, სნეული,
სალოსი მეფედ სად ნახულა ამაღლებული?"

მაცდურად ჩაფიქრებული მანდატურთუხუცესი ჯავახიანი დემნას საშიშ პიროვნებად წარმოაჩენს: „პირველ საშიში იყო დემნა, მაგრამ ბედკრულსა აქ მოიყვანენ ხვალვე ხომ მას, ხელფეხშეკრულსა!"

დემნა ბატონიშვილი ფიზიკურად პირველად გამოჩნდება პიესის მეორე მოქმედებაში. ზაქარია მხარგრძელი და როქისპის ოფიკალი კოსტა წავქისელი ერთმანეთს ესაუბრებიან. წავქისელი საუბარში ჩართავს: „ერთი კიდევ უნდა გკითხო, შენი ჭირიმე! ახლა მეფე ორ-

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 132.

ბელიანს რაზე უწყრება? მართალია, რომ თურმე სამეფოს ედავება თავისი გაზრდილისათვის?“ ამ საუბრისას მათთან დარაჯთ შემოჰყავთ ვიღაც ბრმა მესტვირე. ერთმანეთთან გამოცნაურების შემდეგ წავქისელის თხოვნით მესტვირე დაუკრავს და მღერის. მხარგრძელს ეჭვი შეეპარა მის სიბრმავეში და გაძოსცადა კიდეც: სატევარი წინ გაიშვირა და ბრმას უბრძანა პირდაპირ გავლა. იგი სატევარს მკლავს გაჰკრავს და ცოტათი დაიჭრება. სწორედ ამ მომენტში მათ შემოესმათ დიდი ხმაური, გუშაგთა ყივილი და აბჯრის ჩხარუნი. ეს თავდასხმად იგულვეს და გაიქცნენ. მესტვირე ხეს ამოეფარება, ხმაურობა თანდათან ახლოვდება. შემოვარდება მძიმედ დაჭრილი მხედარი და მიწაზე კვნესით დაეცემა. ამას მოსდევენ იოანე ორბელი, დემნა, ლიპარიტი, გაბრიელი, ჯაყელი და მათნი მხლებელნი. ყველანი არიან ხმალამოღებულნი, დემნას გარდა.

იოანე ორბელის ძმას, ლიპარიტს, გაუკვირდება ეს და საყვედურობს უფლისწულს: რა წესითა ნებულობ, რომ ჩვენ ომში ვართ და შენ კი, ჭაბუკი, ვაჟკაცი, ხმალჩაგებული სდგეხარ?“[1] აი, რა საინტერესო პასუხს გასცემს დემნა:

„ეჰ! მამაძუძევ, მაგაზე ჩვენ ვერ შევთანხმდებით,
ომს მირჩევნია დავრჩე მარად გონების შვებით,
რადგან კაცია ცხოველთა შორის გონებიანი
და თუ მახვილით აღჭურვილი ადამიანი
ცდილობს, რომ მოსპოს სხვის სიცოცხლე, მისი მსგავსისა
და მოსტაცოს ეს უმჯობესი ნიჭი ზეცისა,
მკვდარია მასში კაცობრივი გონიერება
და შთება მხოლოდ სულდგმულისა მას მძვინვარება“.[2]

შალვა ჯაყელის მიერ მოტანილ საიდუმლოს გაბრიელ ბერი გაახმოვანებს დემნას, იოანე ორბელიანის და ჯაყელის (შალვას მამა) წინაშე: ამირსპასალარობის სარგის მხარგრძელისათვის გადაცემა, დემნას, იოანეს და ჯაყელის შეპყრობა და მათთვის თავის მოკვეთა, როგორც მეფის წინააღმდეგ შეთქმულთა. ამის გარშემო იოანესა და

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 144.
[2] იქვე.

ჯაყელის ბჭობაში დემნა ჩაერია:

„რადგანაც ეიცი, ჩემთვის არის სულ ეს ამბავი,
გთხოვთ, ნურასა იქმთ, არად მიღირს მე დიდად თავი!
ისანსა წავალ, იქ მეფესა მე ვეჩვენები
და მის ნებასა ყოველივეს დავემონები.
თუ მეფე განსჯის უმჯობესად, თავი მომკვეთოს,
ნება მისია: მე კი უარს ვყოფ ამა სამეფოს".[1]

იოანე ორბელიანი, მისი ძმა ლიპარიტი, გაბრიელ ბერი გაკვირვებულნი არიან დემნას საქციელით და შთააგონებენ, შეცვალოს გადაწყვეტილება და იბრძოლოს კუთვნილი ტახტისათვის. უფლისწულს არ მოსწონს გაბრიელის ნათქვამი: „და ახლა კიდეც რომ დაადგეთ სხვა რამე აზრსა, თქვენს მოხუცს გამზრდელს გადაკიდებთ მომავალს მწარსა, ამით დაუშლით მას აღთქმასა და ოცნებასა". დემნა გაოცებით ეკითხება თავის ოსტატს გაბრიელს: „ამისთვის იყო, აგრე მწვრთნიდი, ჩემო ოსტატო? გულს შთამინერგე სხვა გრძნობათა მე ნეტარება... აბა რად მინდა ამ სოფლის სხვა რამ დიდება, მძაგს ბოროტება და მლიქვნელური მისი კირთება!" მე არ მსურს, – განაგრძობს უფლისწული, – სამეფო ტახტზე ჩემს ასვლას ათასი სული შეეწიროს, ადამიანები დაიხოცოს „და იმავე ტახტზე პორფირითა მე პირმშოისა, ვით ავაზაკი განვირეკდე სულთ განწირულთა... წყეულიმც იყოს ის უფლება უფლისწულისა".[2]

ამის შემდეგ დრამაში მოგვიანებით გამოჩნდება „ჩაფიქრებული დემნა, ხელში ღვლარჭად შეკრული თოკი უჭირავს". მკითხველი ეცნობა ცარიელ სცენაზე მარტო მყოფი უფლისწულის მონოლოგს საწუთროს უკუღმართობაზე: „წუთისოფლისა ცხოვრება, წესი, უნამუსო და უტიფარია, კაცთ სასოება, თვით უმჯობესი ცრუი ფარია, ავი და ჭუჭყი მით იფარება, კეთილი ქვეყნად ვით სიზმარია"; სიტყვაა მხოლოდ და ქარივით ქრება; კაცი რაც არ უნდა მართალი იყოს, „მცნებათა ეპყრას წმინდა ჯვარია", მასზე იტყვიან – „საწყალი რა სახმარია?.." სიცოცხლე უკუღმართობით გაუგებარი, საოცარია, „და

[1] გ. შარაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 146.
[2] იქვე, გვ. 147-148.

დედამიწას, სავსეს შვენებით, დანათის ზეცა პირმცინარია და ეს სამოთხე კაცისა ვნებით, საზიზღარია!“[1]

სცენაზე შემოდის მეფე გიორგი, მას და დემნას შორის გაიმართება არასასიამოვნო საუბარი. მეფე უფლისწულს მოიხსენიებს საცოდავად, ორგულად, ორპირად, სუსტად და დამფრთხალად: „შენს მოკეთეთ მოჰკითხე შენი ბედ-იღბალი! შენ მიზეზად აუტეხიხართ, რომ საქართველო ასვარონ და დაცაამციროს“. დემნა შენდობას ითხოვს მეფისგან იმისათვის, რაც არ შეუცოდნია: „არა ბატონო! არასოდეს წინააღმდეგი თქვენის უფლების მე არ ვყოფილვარ“. გიორგის არ სჯერა მისი გულწრფელობის და მოითხოვს მის დასჯას დასაჭურისების ფორმით. როცა ჯავახიანის ბოროტმოქმედებას ფარდა აეხდება, მეფე გიორგი დემნას დასჯას გადაიფიქრებს, მოითხოვს მისგან თოკის ახსნას და ბრძანების გაცემამდე ლოდინს: „დემნა თოკს მოიხსნის, მეფეს მკლავზე აკოცებს და გადის“. პიესა სრულდება ისე, რომ მეფემ უფლისწულს აპატია და სიცოცხლე შეუნარჩუნა, ბოროტების მოთავე ჯავახიანი კი მახვილით განგმირული დაეცემა ძირს.

ჩვენ განგებ გავყევით დრამის შინაარსს ფეხდაფეხ და ის ადგილები გამოვყავით საანალიზოდ, სადაც დემნას პიროვნება ჩანს გამოკვეთილად. ეს კი საშუალებას გვაძლევს, მკითხველთან ერთად, გავარკვიოთ თუ რატომ არის დემნა ბატონიშვილი „გიორგი მესამის“ მთავარი პერსონაჟი. ამთავითვე ვიტყვით: იმ პოეტური ჩანაფიქრის, რომელიც გიორგი შარვაშიძეს ჰქონდა თხზულების შექმნისას, ხორცშემსხმელი არის ძირითადად უფლისწული დემნა. კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, აქ საუბარია მხოლოდ პიესისეულ დემნაზე და არა მემატიანისეულ უფლისწულზე. რა პოეტური ჩანაფიქრი იყო ეს, რამაც დემნა აქცია მთავარ პერსონაჟად? ეს იყო ჰუმანურ იდეალებზე, ქრისტიანულ იდეოლოგიაზე დამყარებული ტერიტორიული მთლიანობა საქართველოსი, ქართველი ერის ერთობით დაცვა მამულის ინტერესების და მაცხოვრის მოძღვრებისა. ეს თავისთავში მოიცავდა გმობის, კრიტიკის ქარცეცხლ'ში გატარებას სისხლიანი გზით სამეფო ტახტის დაპყრობისა, პარტიკულარიზმისა, სეპარატიზმისა ქვეყნის დასაქუცმაცებლად.

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 166.

ისტორიული ცნობების საპირისპიროდ, დრამაში არსად ჩანს დემნა ბატონიშვილის გულში გავლებაც კი განზრახვისა საქართველოს სამეფოში განხეთქილების შემოსატანად, გიორგი მესამისთვის ტახტის წასაგლეჯად ძალისმიერი მეთოდებით — შეთქმულების თუ აჯანყების გზით. დემნა დიდი ჰუმანისტია, სისხლისღვრის წინააღმდეგი. ავტორმა, როდესაც იგი პირველად შემოიყვანა ფიზიკურად ნაწარმოებში, იმთავითვე მიგვანიშნა მის დიდ ადამიანურ ღირსებაზე, რომ იგი კაცის მოსაკლავად არასოდეს აღმართავს იარაღს. დგას დემნა ქარქაშში ხმალჩაგებული, ხმალამოღებული იოანე ორბელიანის, ლიპარიტის, გაბრიელისა და ჯაყელს შორის. მათ საყვედურს იმით აბათილებს, რომ ცხოველთა შორის გონიერება მხოლოდ ადამიანს უბოძა ღმერთმა და იგი ცხოვრებაში მხოლოდ გონებით უნდა მოქმედებდეს და არა მახვილით ადამიანისთვის სიცოცხლის მოსასპობად. აქედანვე უჩნდება მკითხველს დიდი სიმპათია დემნასადმი და სიძულვილი — „ხმალამოღებულთა“ მიმართ. უფლისწულისადმი ამგვარი დამოკიდებულება არ ნელდება თხზულების დასრულებამდე.

გამომდინარე ამ ჰუმანური, ქრისტიანული განწყობიდან, დემნა უკიდურესად იმდაბლებს თავს, უარს ამბობს ამ სოფლურ დიდებაზე, ტახტზე, რადგან იცის, რომ ეს უსისხლოდ არ ჩაივლის. მას ათასი სული შეეწირება, ადამიანები დაიხოცებიან. ასე მოპოვებულ გამარჯვებას წყევლის იგი. დრამის ავტორი რაც უფრო ამძიმებს შეთქმულების მონაწილეთა საქციელს, მით უფრო ამაღლებს დემნას პიროვნებას; რაც ურო ბნელით მოცულია მათი საქმიანობა და განზრახვანი, მით უფრო მზემოსილია უფლისწულის ქმედებანი. გიორგი შარვაშიძის მიზანია დემნას პიროვნების იდეალურად წარმოსახვით ინატროს და დაიბედოს მომავალ საქართველოს მხოლოდ გონებით, სიბრძნით და კაცთმოყვარეობის იდეებით აღჭურვილი მეფენი. შემთხვევით არ წერს იგი XX საუკუნის დამდეგს „გიორგი მესამეს“, ე.ი. იმ პერიოდში, როცა საქართველოს დაკუწული ორგანიზმი სულს ღაფავს მეფის რუსეთის ქართველთმოძულე პოლიტიკის ქვეშ. იქნებ, ამ დრამატული ნაწარმოების შექმნით ინატრა ავტორმა მონარქიული წყობილების აღდგენა, ბაგრატიონთა კვლავ აღზევება ტახტზე.

თუ გიორგი შარვაშიძის აფორისტული მეტყველებით დაინტერესდება ვინმე, სანიმუშო მასალების უმეტესობის ამოკრება „გიორგი მესამიდან“ მოუწევს. ეს კი ითქმის განსაკუთრებით დემნას მონოლოგებზე თუ ანდაზურ გამოთქმებზე, რომლითაც წარმოაჩინა ავტორმა უფლისწულის სიბრძნისმეტყველებანი. დემნას სიცოცხლის და ბუნებისმოყვარეობა იგრძნობა მისივე სიტყვებში:

„მე შევსცქერი ცას, მოწმენდილსა, ვარსკვლავიანსა
და მიწაზედა მცენარს, ყვავილს, მთებსა ტყიანსა;
ველზედ საღამოს, მეპკურება დამტკბობი ცვარი!
ბედნიერი ვარ მხოლოდ ამით, ამათ შევხარი.
აბა რად მინდა ამ სოფლისა სხვა რამ დიდება,
მძაგს ბოროტება და მლიქვნური მისი კირთება“.[1]

ე.ი. გამოდის, რომ გიორგი შარვაშიძე დემნა ბატონიშვილს უფრო ბუნების შვილად, მის შემადგენელ ნაწილად სახავს, ვიდრე ტახტის შვილად, ტახტის მპყრობად. ან კიდევ, გავიხსენოთ დემნას ფრიად საინტერესო მონოლოგი, სადაც მხილებულია წუთისოფლის სიავენი. უტიფრობა, სიცრუე და ა.შ. მონოლოგის დასასრულს დავიმოწმებთ:

„ზნეობით მტარვალს, გულქვა, ბოროტსა
სვემან არგუნა ლაშქარ-ჯარია,
სერის რა სისხლითა სოფლის წალკოტსა...
და დედამიწას, საუსეს შვენებით,
დანათის ზეცა პირმცინარია,
და ეს სამოთხე, კაცისა ვნებით, საზიზღარია!“[2]

ამრიგად, მწერალმა დემნა ბატონიშვილის, როგორც თხზულების მთავარი პერსონაჟის, პიროვნებაში თავი მოუყარა ყველა იმ დადებით, კეთილშობილ თვისებას, რომელიც უნდა ახასიათებდეს ერთიანი სახელმწიფოს მესაჭეს (არა აქვს მნიშვნელობა, ელირსა თუ არა ეს მესაჭეობა დემნას). ეს თვისებებია ჰუმანიზმი (კაცთმოყვარეობასთან ერთად ბუნებისმოყვარეობაც) და ქრისტიანული ეთიკა, მორალი, მრწამსი, ეროვნული იდეალები. ვფიქრობთ, უფლისწულ დემნას პრო-

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 147.
[2] იქვე, გვ. 166.

ტოტიპია გიორგი შარვაშიძე. ვინც ამ იდეალური აფხაზის ცხოვრების გზას და შემოქმედებით საქმიანობას იცნობს, დემნას პიროვნებაში მის სახეს ამოიკითხავს უთუოდ.

„გიორგი მესამის" პერსონაჟები. უკვე ვისაუბრეთ ამ დრამატული თხზულების მთავარ პერსონაჟზე უფლისწულ დემნა ბატონიშვილის სახით. გარდა ამისა, პიესას ჰყავს არაერთი მოქმედი გმირი. ესენი არიან: გიორგი მესამე (ივერიის მეფე), თამარი (გიორგი მეფის ასული), რუსუდანი (გიორგის და), დავით სოსლანი (ოსების მთავრის მემკვიდრე), გაბრიელ-ბერი (დემნას ოსტატი), იოანე ორბელიანი (ამირსპასალარი, დემნას გამზრდელი), ლიპარიტ ორბელიანი (იოანეს ძმა), ჯაყელი (სამცხის გადაყენებული მთავარი), შალვა ჯაყელი (სამცხის გადაყენებული მთავრის შვილი), ყუბარსან ჯავახიანი (მანდატურთუხუცესი), მიაგული (ყუბარსან ჯავახიანის დაქვრივებული და), თადეოს გამრეკელი (მსახურთუხუცესი), სარგის მხარგრძელი (ტაშირის ერისთავი), ზაქარია მხარგრძელი (სარგის მხარგრძელის შვილი, ახალგაზრდა ჯარის ყმა), შოთა მესხი (ახალგაზრდა ჯარის ყმა), კოსტა წავქისელი (როქისსპის ოფიკალი), ყაითაძე (მხედარი). გარდა ამისა, აქ გვხვდებიან ერისთავნი, ბანოვანნი, მანდატურნი, გუშაგნი, შიკრიკნი, მხედარი, ბაზიერნი, ქონდაქარნი და ა.შ. გვსურს ცალ-ცალკე შევეხოთ სახელდობრ თითოეულ პერსონაჟს, რათა გამოიკვეთოს თუ რამდენად შეძლო ავტორმა მათივე სულიერ სამყაროში ჩაწვდომა, მათი ხასიათისა და თვისებების მკითხველის ცნობიერებამდე დაყვანა; რამდენად შეამზადა მწერალმა მკითხველი თავისივე მხრიდან მართალი, ობიექტური განაჩენის გამოსატანად, რამდენად დატვირთა მისი გრძნობები პერსონაჟების ფსიქოლოგიზმით, რამდენად დააინტერესა დიდების ზენიტზე მდგომი XII საუკუნის საქართველოს ბედით. რაც მთავარია, რამდენად მოახერხა გიორგი შარვაშიძემ იდეალური ჩანაფიქრის მხატვრული ხორცშესხმა. პოულობს თუ არა გამოძახილს ამ პერსონაჟების სახეები და ქმედებანი ჩვენს ეპოქაში, რამდენად გაუძლებენ დროს ისინი.

გიორგი მესამის პიროვნება. ვფიქრობთ, დემნა ბატონიშვილის შემდეგ დრამაში ყველაზე გამოკვეთილი ფიგურა საქართველოს ცენ-

ტრალიზებული სახელმწიფოს საჭეთმპყრობელი გიორგი მესამეა თავისი დადებითი და უარყოფითი თვისებებით. აკად. სიმონ ჯანაშია იტყვის: „დრამის (იგულისხმება „გიორგი მესამე" — ტ.მ.) პერსონაჟები სქემატურად დახარისხებული კი არ არიან სიკეთისა და სიავის კატეგორიების მიხედვით, არამედ ცოცხალი, მთლიანი ხასიათებია საკუთარი შინაგანი ლოგიკის მქონე".[1] თავის მოსაზრებას ასე ავითარებს ავთანდილ ნიკოლეიშვილი: „მაგრამ ყველა პერსონაჟი როდია ასეთი ძალით დახატული. ზოგიერთი მათგანის სახე მხატვრულად მეტად სქემატურია და ზედაპირულად გააზრებული. ასეთია, მაგალითად, გიორგი მეფე, რომელიც თუმცა მოვლენათა ცენტრში დგას, მაგრამ სათანადოდ ვერაა მათ არსში გარკვეული. მწერალმა იგი, სამწუხაროდ, უფრო მიამიტ, გულუბრყვილო და მერყევი ბუნების იმ პიროვნებად წარმოგვიდგინა, ვის მოქმედებაშიც ნაკლებად ჩანს ის სიბრძნე და წინდახედულება, რომლითაც გიორგი მესამე ხასიათდებოდა".[2] ფაქტიურად იგივეს იმეორებს ელგუჯა თავბერიძეც: „პიესაში გიორგი მესამე სქემატურადაა წარმოჩენილი, მისი ხასიათი ბოლომდე არაა გახსნილი".[3] ჩვენ ვერ გავიზიარებთ გიორგი მესამის „სქემატურამდე" დაყვანის შეხედულებებს. პირიქით, თავისი შინაგანი ლოგიკის ქონით ცოცხალი, მთლიანი ხასიათით გამოირჩევა მეფე გიორგი. დავსვათ მარტივი კითხვა და შემდეგ აქედან ამოვიდეთ: რომელი გიორგი მესამე იმსახურებს მკითხველის სიმპათიას? — „ქართლის ცხოვრების" მეფე გიორგი, რომელმაც თავისი ძმისშვილი დემნა ველური მეთოდებით დაასჯევინა: მისი ბრძანებით თვალები დასთხარეს, დაასაჭურისეს, ციხეში ჩააგდეს და შეეწირა კიდეც ამ სასჯელს; თუ პიესის გიორგი, რომელიც ჰუმანურად მოიქცა, აპატია უფლისწულს დანაშაული და სასიკვდილოდ არ გაიმეტა. ეს გააკეთა მას შემდეგ, რაც სიტუაციაში გაერკვია, მრუდსა და მართალს თავისი სახელები დაარქვა.

აწი კი დროა მივყვეთ თხზულების ტექსტს კვალდაკვალ, სა-

---

[1] ს. ჯანაშიას დასახ. ნაშრომი, გვ. 76.

[2] ა. ნიკოლეიშვილის დასახ.ნაშრომი, გვ. 154.

[3] ელ. თავბერიძის დასახ. ნაშრომი, გვ. 219.

დაც გიორგი მესამის პიროვნება ფიგურირებს და იგი უკეთ დაგვეხმარება მეფის თვისებების გამოვლენაში, მისი ხასიათის გარკვევაში, მართლაც, მიამიტი, გულუბრყვილო და მერყევი ბუნების მქონეა, სიბრძნენაკლული და წინდაუხედავი თუ, პირიქით. ასეთ პიროვნებად გიორგი შარვაშიძეს საქართველოს მეფე და პატრონი თუ წარმოედგინა, მაშინ მის სახელს არც დაარქმევდა დრამას. პიესაში გიორგი მეფე წარმოჩენილია იმდენად, რამდენადაც იგი მწერლის იდეური ჩანაფიქრის ხორცშემსხმელია.

პიესა იწყება სწორედ მეფე გიორგის ბრძნული გადაწყვეტილების ჩვენებით. მან განიზრახა თავისივე სიცოცხლეში თანამეფედ დაესვა ერთადერთი ასული თამარ ბაგრატიონი. ამასთან დაკავშირებით, სასახლეში დარბაზობაზე მოიწვია ერისთავები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან, რათა მათი რჩევებისთვის, მოსაზრებებისთვის მოესმინა და არა — გადაწყვეტილება მიეღო ერთპიროვნულად. ავტორს უკვე მეფის ამ საქციელის ჩვენებით შევყავართ მისივე პიროვნების შინაგან, სულიერ სამყაროში, თუ რამდენად ბრძენი და გონიერი ადამიანი მართავდა ქვეყანას. მოიმიზეზა ასაკში შესვლა და მოისურვა შვილისთვის ტახტის გადაცემა. მეფის მიერ დარბაზის წევრთა წინაშე წარმოთქმული პირველი სიტყვა სხივმოსილია სიბრძნითა და გონიერებით. ერისთავებს მოიხსენიებს სამშობლოს ერთგულებად, ამცნობს, რომ თხუთმეტი წელია, რაც ივერიის ტახტს განაგებს უფლის წყალობით („მე ცოდვილი და ხორციელი ვიქმოდი რასა!.. ულირსის პირით ვწირავ მადლსა ძალას უფლისას, რომელმაც მომცა ძლევა მოვლად ერისა ჩვენის ესე"...), ამ პერიოდში ქართველმა ერმა დაამარცხა მტრის შიში, სახელოვნად გაშალა დროშა, „მტერთა ურდოთა დასცა ზარი, — განსდევნა სრულად!.." აწი კი დროა უარი ვთქვა მეფობაზე („ასრე აქამდინ მოვაღწიე დღემდი სიბერის; დღეს კი დრო არის მე უკუ ვდგე ჩვენი ივერის მმართველობასა"), სიცოცხლის დარჩენილი დღეები გავატარო ლოცვასა და მარხვაში. „დეე ცოდვანი შევინანიო, ფიქრნი ანუ მოქმედებანი".

გიორგი მესამე სამეფო ტახტზე ასვლის ღირსად მიიჩნევს თამარს („ხამს აღვირჩიოთ ჩვენ მემკვიდრედ ღირსი და ბრძენი!" რადგან

უფალმა ძე არ მაღირსა და „მოგვცა მხოლოდ საყვარელი ესე ასული და იტყვიან, რომ თამარ არის ბუნებითა სრული“): „დღესვე ვისურვეთ აღვიაროთ მემკვიდრედ ისა ტახტისა ჩვენის სამეფოის ივერიისა“. ამის შემდეგ მოუწოდებს მოწვეულ ერისთავებს, დაუფარავად გამოთქვან თავიანთი აზრი, როგორ უყურებენ და აფასებენ ისინი მეფის რჩევას — დადებითად თუ უარყოფითად („როგორა ჰპოვებთ ჩვენსა რჩევას, კარგად თუ ავად?!“).

კახეთის, იმერეთის, ოდიშის, აფხაზეთის, სვანეთის ერისთავები ისე იქცევიან, როგორც ეს შეეფერება ღირსეული მეფის ღირსეულ ერისთავთ. მათი თავმდაბლობა, მოკრძალება მეფის მიმართ, სიბრძნე და სულიერი მოქნილობა ნათლად გამოჩნდა მათ მიერვე წარმოთქმულ სიტყვებში. კახეთის ერისთავი ამირან ჩოლოყაშვილი მეტაფორულად მზესთან აიგივებს მეფე გიორგის. საინტერესოდ ასრულებს იგი თავის გამოსვლას:

„როცა მზისა წილ განათდების საუცხო მთვარე
და ბედნიერად დამშვიდდების ყოველი მხარე!
ეგრეცა, მეფევ, დღეს ინებეთ თქვენ დასვენება,
ასული თქვენი, მნათი თამარი, მთვარედ დარჩება“.[1]

იმერეთის ერისთავის თქმით, გიორგი მესამის მეფობისას ქართველი ერი ბედნიერად ცხოვრობდა. არა მარტო ქართველები, არამედ უცხოელებიც აქებდნენ მის მორჭმულობას, მეფობას და დაუღლელ მეომრობას. ერისთავს სჯერა, რომ თამარი სახელოვნად გააგრძელებს მამის საქმეს („რამეთუ თქვენის სისხლის არის თქვენი ასული“). ოდიშის ერისთავიც მიესალმება თამარის მოვლინებას სამეფო ტახტზე, რადგან იგი მამასავით „ლაღია და სვიანი“, გამომდინარე აქედან — „მთელი ოდიში ემონების ვით ერთგული ყმა“. ახლა მოვუსმინოთ აფხაზთა ერისთავს:

„ხელმწიფეო, დიდო ბატონო! შენ იცი კარგად,
მშვილდ-ისარითა მომართული ჩვენი ქვეყანა
ჰგმირავს შენს მტერსა; მამაცურად შეაკვდებიან,
ხოლო რაი სჯობს სამეფოსთვის, რას მიხვდებიან!

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 129.

ოლონდ ნებისა, სიტყვას შენსა ემონებიან!“[1]

სვანეთის ერისთავი არწმუნებს გიორგის, რომ წრფელი გულით და მაგარი მკლავით მის სამსახურში იქნებიან სვანები. თითოეული ერისთავის სიტყვაში ჩანს ერთგულება, თავდადება, მოკრძალება, გულწრფელობა და უდიდესი პატივისცემა მეფისადმი და ერთსულოვანი მხარდაჭერა მისი გადაწყვეტილებისადმი. მოისმინა რა გიორგი მესამემ ერისთავების წარმოთქმული სიტყვები, ბოლოს თამარს მიმართა ბრძნული დარიგებით: ერისთავების მოთხრობილს საქმით უნდა უპასუხოო, „აწ შენა გმართებს საქმე დიდი, მცნებით მკობილი!“ იმედი მაქვს, ღვთის შეწევნით „განაგებ კარგად ყოველსა“. მამა შვილს შთააგონებს, რომ სისუსტე არ უნდა მოერიოს, ქვეყნის პატრონი ხმალსა და ფარს კი არ უნდა ემყარებოდეს, არამედ მედგარ სულს:

„არ მოგერიოს შენ სისუსტე, დედათ წესია,
არა სხეულის, — სულის სილბო უარესია!
ქვეყნის პატრონსა არ სჭირია ხმალი და ფარი,
მხოლოდ მას უნდა არ მორჩილი — სული მედგარი;
ამის მიზეზით იშვიათობს ქალი სვიანი
და თუ გამოჩნდა — ვარსკვლავია ულუმპიანი“.[2]

ტახტზე დასმის შემდეგ თამარი ყველას თავმდაბლურად მიესალმა. კმაყოფილი გიორგი მეფე ბრძანებს: „მაშ, წავიდეთ აღლუმსა თვალი გადავავლოთ.“ გამეფებულ თამარს ნადიმზე დალოცავენ („პურობაზედა ვიტყვით ყველასა“). ასე გადაწყვიტა დიდი საქართველოს მომავალი ბედი გონიერმა და დიდებულმა მეფეთ მეფემან.

ამასობაში მანდატურთუხუცესი ჯავახიანი მეფეს ყურში ჩასჩურჩულებს ორბელთა დარბაზიდან მოსული ჩაბალახმობურვილი კაცის მოსვლის შესახებ „გამოსაცხადებლად მძიმეთა რამ საიდუმლო ამბავთა“. გიორგი მესამე ბრძანებს მის შემოსვლას და იქვე გამრეკელს ანიშნებს სტუმრების გაძღოლას სანადიმოდ („გამრეკელი წინ გაივლის, იმას მიყვებიან დედოფალნი და ბანოვანნი, მერე ერისთავნი, კარისკაცნი და სხვ. გადიან“). აქ მთავარი ის არის, რომ მეფეს რაღაც

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 130.
[2] იქვე, გვ. 131.

ცუდი ამბის შეტყობის მოლოდინში ნადიმზე მოწვეული სტუმრები არ ავიწყდება წამიერადაც კი. ახლა საინტერესოა როგორ შეხვდა იგი „ჩაბალახმობურვილს“. უცნობი ჯიქურ მოახსენებს, რომ „დარბაზში მოხდა წუხელის შეთქმულობა წინააღმდეგ თქვენის დიდებულებისა“. მეფეს იმთავითვე აღმოხდა ბაგიდან: „რას ბოდავ“... „შემთქმულობა ჩემზედა?..“ „ვის მოძულებია თავი?“

ბუნებრივია, საქართველოს საჭეთმპყრობლის რეაქცია სავსებით გამართლებულია, რადგან ყველაზე უკეთ უწყის თუ რა შედეგი მოჰყვებოდა ამას. მხედარს გამოჰკითხა შეთქმულების მიზეზი და პასუხიც იმთავითვე მიიღო: „მოგახსენებდენ, რომ ტახტი სახელმწიფოსი ეკუთვნის უფლის-წულს დიმიტრის და ძალადობამ თქვენმა მოსტაცა მას იგი. ბევრი სჯისა შემდეგ, შესთქვეს ფიცით ჯვარზედა, რომ აღადგინონ უფლება აწ სრულწლოვან უფლისწულის დიმიტრის, უნდა მოასხან თორელნი, ჯარს მოელიან კუხეთიდან და უნდა აჯანყონ ჩვენი საერისთავო“.[1] გაბრაზებული მეფის ბრძანებით ჯავახიანი მას ჩაბალახს მოხსნის, იგი აღმოჩნდება იოანე ორბელიანის აზნაური, გვარად ყაითაძე. გიორგი მას თავისი ბატონის ღალატში სდებს ბრალს, თუმცა ისიც არ დაიბნა და იმწამსვე უპასუხა: ჩემი ბატონის ღალატი იმან მაიძულა, რომ იგი აპირებს უღალატოს ქვეყნის ბატონსა. მეფე თავის თავს სიმშვიდისკენ მოუწოდებს: „უსაფუძვლო რამ სიანჩხლე არ მომივიდეს, ვინ იცის, ეგ ყმაწვილი მართალს ამბობს თუ არა“...

გიორგი მესამე სასწრაფოდ დაიბარებს ტაშირის ერისთავს სარგის მხარგრძელს და მსახურთუხუცეს გამრეკელს. მათ მოსვლამდე იმავე ყაითაძისგან გაიგებს, რომ შეთქმულთა (იოანე ორბელიანი, უფლისწული დემნა, თავადი ჯაყელი...) შორის ყოფილან ჰერეთისა და კლარჯეთის ერისთავნიც. ამან აალაპარაკა მწარედ მეფე ორგულობაზე. „შინაურ გველ-მატლებზე“, როგორც „ქართველთა მჭამელზე“, განხეთქილების უბედურებაზე, „შავ ღალატზე“ და აქვე შემოელანძღა თავისი ძმისშვილი დემნა („რას გავს ის საწყალი, სუსტი, სნეული, სალოსი მეფედ სად ნახულა ამაღლებული?“). ამასობაში მოვიდნენ

[1] გ. შარვაშიძე. ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 132.

მხარგრძელი და გამრეკელი. მეფემ ამცნო მათ, რომ „ამირ-სპასალარმან ჩვენმან (იგულისხმება იოანე ორბელიანი — ტ. მ.) შეთქმულება განიზრახა და ორგულობს სამშობლო ქვეყანას“. გამომდინარე აქედან — გიორგი მესამემ ამირსპასალარობა გადააბარა სარგის მხარგრძელს: „უფლებითა ჩვენითა თქვენ ერთგულსა ჩვენსა, ტაშირის და სომხითის ერისთავსა თ-დ სარგის მხარგრძელსა გნიშნავთ დღეს ამირსპასალარად მთელთა ჩვენთა ივერთა სპათასა!“[1]

როგორ შევხედოთ მომხდარ ფაქტს. რამდენად სწორად მოიქცა ერთიანი საქართველოს წინამძღოლი. იყო თუ არა საკმარისი მისთვის უცნობი ვინმე ყაითაძის მიერ მოტანილ ამბავზე დაყრდნობა. მითუმეტეს, თვითონაც დაეჭვებულა: „ვინ იცის, ეგ ყმაწვილი მართალს ამბობს თუ არაო“.[2] წინდახედულება გამოიჩინა თუ წინდაუხედაობა, ბრძნული იყო თუ სიბრძნეს მოკლებული ეს გადაწყვეტილება, რატომ მიიღო ეს ზომები ერთპიროვნულად, სხვებისთვის დაუკითხავად. და ბოლოს: რამდენად ჩანს გამართლებული მეფის ეს ნაბიჯი?.. მოჭარბებული კითხვები პასუხს მოელიან.

მართალია, ნაწარმოებში უშუალოდ და პირდაპირ არ ჩანს, მაგრამ ქვეშეცნეულად იკითხება, რომ გიორგი მესამე გრძნობდა მოსალოდნელ განხეთქილებას, დაპირისპირებას. სწორედ ამიტომ გადაწყვიტა ყველასგან მოულოდნელად სამეფო ტახტზე თანამეფედ თამარის დასმა მომავალში შესაძლო ხიფათის თავიდან ასაცილებლად, სიბერის მომიზეზება მხოლოდ თვალის ამხვევი საბაბი იყო. ხოლო ყაითაძის მიერ მოტანილმა საიდუმლო ცნობამ ზედ დაასვა ყოველივე ამას ბეჭედი. ამდენად, მეფის მიერ მიღებული რადიკალური ზომები ქვეყნის ამირსპასალარის შეცვლის თაობაზე გამართლებული და ბრძნულად გადადგმული ნაბიჯი იყო. ამირსპასალარის შეცვლა თავისთავში მოიცავდა ყოფილი ამირსპასალარის და მის თანამოაზრეთა შეპყრობის თუ დასჯის განხორციელებას. მეფემ გასცა განკარგულება შეთქმულთა შესაპყრობად და ამის მიღწევის გეგმა თვითონვე გააცნო სარგის მხარგრძელს: ჯარით ვაშლოვანის, აგარანის და შულაველის

---

1 გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 133.

2 იქვე, გვ. 132.

გამაგრება, იაღლუჯის პირდაპირ მტკვრის ფონზე გუშაგების დაყენება, ერეთისა და კუხეთისკენ მიმავალთათვის გზების გადასაკეტად; მოდინახესა და მუზის ციხის გაძლიერება როქისპით სამშვილდის საერისთაოს დასაცავად თორელთა და თმოგველთა შემოჭრისაგან, როქისპის ერთი ნაწილის მიერ ორბელიანთა დარბაზისკენ მიმავალი გზების დაცვა, ყოველი მიმოსვლის ჩაკეტვა, დაჭერილთა გაგზავნა მეფის სასახლეში. მეფის ამ განკარგულებიდან გამოსჭვივის მისი გონება, გამჭრიახობა და მხედრული ნიჭი.

მეფე სარგის მხარგრძელს გააყოლებს გამრეკელს და მოუწოდებს: „რაც საჭიროა ლაშქრისთვის, მოამზადეთ, იდუმალ იმოქმედეთ, ხმაურობა ნუ იქნება და სწრაფად“. რაც შეეხება ყაითაძეს, მას მაინც ბოლომდე არ ენდობა და სასახლეში დაიტოვებს („მაგრამ შენი უმახლობლესი ბატონის (იგულისხმება იოანე ორბელიანი — ტ.მ) გაცემის მიზეზით დიდათ ვერ გენდობი და აქ დარჩი სასახლეში“), საინტერესო მომენტს ჩავუკვირდეთ გიორგი მესამის ბუნების უფრო ღრმად შესაცნობად: მეფე ყაითაძის მიერ მოტანილი საიდუმლო ამბის საფუძველზე მოქმედებს შეთქმულების ჩასახშობად, შეთქმულთა შესაპყრობად, მათივე დასასჯელად. მიუხედავად ამისა, მაინც უნდობლობას უცხადებს მხედარს, მას ეჯავრება თავისი პატრონის გამცემი და მოღალატე. ე.ი. შინაგანად კიცხავს მას, ვისითაც სარგებლობს თვითონ. აქაც გამოჩნდა მისი შეუპოვარი და მედგარი სული.

პიესის მეორე მოქმედებაში გიორგი მესამე საერთოდ არ ჩანს. მესამე მოქმედების სცენა წარმოადგენს მეფის აგარაკის ოთახს ტაბახმელაში. სცენაზე არიან მიაგული და შალვა ჯაყელი, შემდეგ მათ შემოუერთდებიან სოსლანი, შოთა მესხი, მხარგრძელი. მოგვიანებით მათთან მოდიან გიორგი მეფე, ჯავახიანი და გამრეკელი. მეფემ დამხვდურთ მოუწოდა სიმღერის გაგრძელებისკენ. მიაგული (ჯავახიანის და) დაიწყებს სიმღერას (ყმაწვილები ეხმარებიან):

„ყმასა ერთსა, მზეშა ერქვა, მზეშინაო მზე შინა და,
მზეშა თურმე მეფეს ახლდა, სასახლესა გაიზარდა,
მზეშას მამა მტერი იყო ქვეყნის თურმე მეფისა და;
მეფემ ესა შეიტყო რა, განრისხდა და გაგულისდა,

სპას უბრძანა, გააგზავნა, შემიტყვეთო მტერი სადა,
მტრისა თავსა აღარ ედო ხანი გრძელი, არცა ვადა.
მზეშამ რაკი ეს გაიგო, გაიპარა და წავიდა".[1]

მეფე სიმღერის შინაარსს ღრმად ჩაუკვირდა, რომელიც მიაგულმა ასე დაასრულა:

„მამასა შეატყობინა, თავს უშველა და გავიდა;
მზეშა ისევ სასახლესა დაბრუნდა მეფესთან და"...

მეფე გიორგი მიაგულისგან მოითხოვს ამ სიმღერის საიდუმლო შინაარსისთვის ფარდის ახდას. იგი შალვა ჯაყელს მიმართავს: „სიტყვები ხომ გაიგე კარგად: მზეშა, ერთი ყმაწვილი, მეფეს ახლდა თურმე; მისი მამა ორგული ყოფილა მეფისა; მეფეს იმისი შეპყრობა სდომებია, მაგრამ მზეშა გაპარულა და შეუტყობინებია... ვიფიქროთ, რომ ეგ ამბავია ჩემი სასახლის... ეს ამბავი მოგავს ჯაყელსა... იქნებ მზეშა შენ იყავ, გამხსნელო შვილო. და გაემგზავრე სამშვილდისკენ, სადაც გყავდა მამა".[2] გიორგი შარვაშიძე ამით მიგვანიშნებს, რომ გიორგი მესამეს ვერავინ ვერაფერს გამოაპარებს, ვერც იგავურად ნათქვამი სიმღერის შინაარსსაც. აქაც გამოჩნდა მეფის სიბრძნე და გონებაგამჭრიახობა, მოვლენებში ღრმად წვდომის უნარი.

მნიშვნელოვანია ის მომენტი, როცა მეფის ბრძანებით სახელოს გაუხსნიან შალვა ჯაყელს და დაინახავენ თამარის სამხრეს. თვითონ მეფე ააგლეჯს მას სამხრეს, თვალს მოავლებს და შეინახავს. იგი სასტიკად გაუწყრება ჯაყელს:

„უბედურო, სინდისის შენ გამყიდველო,
შენ, გველის შვილო, შენ პირშაო, და თვითონ გველო!
სად მოიპოვე ჯოჯოხეთის ესდენ მზაკვრობა,
რომ მოინდომე გამზდელისა მეფისა მტრობა".[3]

ბრძანება მისი დილეგში მოთავსება. შემდეგ იგი დაჰყურებს თამარის სამხრეს და მასში ხედავს ეშმაკის საფრთხეს. ეჭვი არ ეპარება, რომ თამარმა თვითონვე მისცა, „მარამ რისთვის? რა მნიშვნელობით?"

---

[1] გ. შარვაშიძე. ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 152.
[2] იქვე, გვ. 153-154.
[3] იქვე. გვ. 155.

მიუხედავად ამისა, თამარის ღირსებაში დარწმუნებულია, რომელიც ჰქონდათ დიდებულ წინაპრებს:

„მაგაზე არის მომავალში ჩემი იმედი,
რომ დაიკვიდრდება, გამძლავრდება იერთა ბედი“.
თუმცა მცირე დუმილის შემდეგ განაგრძობს:
„მაგრამ თუ ვერა? თუ არ ექნა უმანკო სული,
თუ არ გამოდგა გონიერი, ზეცით ცხებული,
და მის სხეულში თუ ღვივოდეს ევისა ქალი,
და ნუთუ ვცდები მე, ვით კაცი? ვაჰ, ჩემი ბრალი...
რა რიგ დასჯილი, დატანჯული მაშინ დავშთები!..
ჩემს საქართველოს ცოცხლად წავსწყმედ და მეც წავწყდები“.[1]

მეფეს ვერ გაამტყუნებ შალვა ჯაყელისადმი უხეშ დამოკიდებულებაში. მის გალანძღვაში და დატუსაღების მოთხოვნაში, იმდენად დამთრგუნველი და შოკის მომგვრელია მისთვის შალვა ჯაყელის სახელოს გახსნისას თამარის სამხრის ხილვა. აქ ფსიქოლოგიური მომენტიცაა. მწარე ემოციამ წამში გონება დაბინდა, თუმცა საკუთარ თავზე კონტროლის უნარი არ დაუკარგავს. ზემოთ ილუსტრირებულ სტრიქონებში თამარზე ფიქრისას იგი ხაზს უსვამს თავისი ასულის გონიერებას, რაც ზეცით ცხებულია: „თუ არ ექნა უმანკო სული, თუ არ გამოდგა გონიერი, ბედით ცხებული“... აქ აქცენტირებულია, საერთოდ, ქვეყნის ხელმწიფის გონიერება საქართველოს გასაძლიერებლად. სწორედ ამ სტრიქონშიც ნათლად ჩანს გიორგი მესამის ეროვნულ-პატრიოტული შემართება. მის ქვეტექსტში იკითხება მეფის მხრიდან ერთადერთი ასულის სიყვარულზე მაღლა სამშობლოს ინტერესების დაყენება. თამარის გონიერება იმდენად აინტერესებს მამას, რამდენადაც თავისი შვილი საქართველოს მოუტანს ძლიერებას და ბედნიერებას.

როგორ გავიგოთ გამოთქმა: „და მის სხეულში ღვივოდეს ევისა ქალი“. ბიბლიური ევა შემთხვევით არ წარმოუდგა თვალწინ გულშეჭირვებულ მამას. ეს ის ევაა, რომელმაც შელახა უფლის მცნება, აკრძალული ხილი იხილა და შესცოდა. ვაითუ თამარმაც

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა. გვ. 156.

უგულებელყოს მისი რჩევა-დარიგებანი და ამით შეცოდოს მამას და მთელ საქართველოსაც.

რუსუდანი თავის ძმას დამნაშავეთა შენდობისკენ მოუწოდებს, ფრიად საგულისხმოა მეფის პასუხი: გასაგებია რუსუდან შენი ბრძნული სიტყვა („მეცნიერი სიტყვა"), მეც ადამიანი ვარ, შეცოდების უნარი გამაჩნია, „მაგრამ რა ვუყოთ, თუნდაც შეირქვეს მათ ორგულობა! დანაშაულთა შენდობა ვცეთ, ეგ არს წყალობა... ხელში ჩავუგდო მტრებსა თავი, რაც უნდა მიყონ, და სახელმწიფო ნაწყვეტ-ნაწყვეტ კვლავაც გაიყონ!..[1] როგორც ვხედავთ, გიორგი მესამე ვერ შეურიგდება შეთქმულთა განზრახვას, ვერ შეურიგდება სახელმწიფოს კვლავ დანაკუწებას ცალკეულ კუთხეებად, რაც სამშობლოსთვის მხოლოდ უბედურების მომტანია.

გიორგი შარვაშიძის მიერ დახატული გიორგი მესამის სახე თავიდან ბოლომდე როდია იდეალურობის ემბაზში ამოვლებული. მისი სისუსტის, წინდაუხედაობის მიმანიშნებელია მანდატურთუხუცეს ჯავახიანის ინტრიგის ქსელში გაურკვევლობა, მისადმი გადამეტებული ნდობა. ჯავახიანსაც ამოცნობილი აქვს მისი აქილევსის ქუსლი, მისადმი გულუბრყვილო მინდობა, ეს შინაგანი ადამიანური სისუსტე, რითაც სარგებლობს კიდეც უზომოდ. რუსუდანი პირდაპირ ამხელს მანდატურთუხუცესს ძმასთან:

„შენ ხარ ხელმწიფე, ივერთ მპყრობი, დია სვიანი
და შენს თავზედა ბატონად გყავს ჯავახიანი...
ის არის შენი ვეზირი და შენი მოძღვარი
მისი განზრახვა, მისი აზრი, შენიცა არი".[2]

გიორგი მესამე თავის დას ვერაფერს უპირისპირებს, გარდა გაჯავრებისა. რუსუდანი კი ჯავახიანის მხილებას თავის მოვალეობად თვლის. მეფე კამათის თემას თამარის სამხრეზე გადაიტანს, როდესაც დას აღშფოთება შეატყო, ასე განაგრძო მისივე შეგონება:

„ეგრეა, დაო, დამიჯერე, კარგსა და ავსა
სახელმწიფოში მე განვაგებ შენზე უკეთად.

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 157.
[2] იქვე, გვ. 158.

ხოლო შენ გხვდება საზრუნველი ამაზე მეტად
აღზრდა და მოვლა იმ ქალისა, რომლისა ხელში
იქნება ბედი საქართველოსი აწ მომავალში".[1]

ისევ ფიქრი მომავალში საქართველოს ბედზე. რუსუდანისადმი მიმართული ეს სიტყვები დასტურია მონარქისტულ სახელმწიფოში მეფის ძალაუფლების უზენაესობისა, მისივე უფლებების შეუზღუდველობისა და აბსოლუტურობისა, რომელიც ზოგჯერ დესპოტიზმის და დიქტატურის გამოვლინებამდე დადის.

რაოდენ შთამაგონებლად ჟღერს მეფის სიტყვები ლაშქრობისას მღვდლისთვის შესათვლელად:

„ტყვეთ გაღუწყდებათ რა სასჯელი, ლოცვად დარეკოს,
და შეაბრალოს მათი სული ზეცად უფალსა,
დამნაშავეთა ზეციერთა ის განასვენებს,
ჩვენ ცოდვილნი კი — განცაყაგებთ მხოლოდ ქვეყნიურს
ხამს ვილოცვიდეთ, მოგვიტეოს ჩვენცა ცოდვანი".[2]

გიორგი შარვაშიძემ ამ სტრიქონებით ღრმად ჩაგვახედა გიორგი მესამის ჭეშმარიტად ქრისტიანულ სულში, მის უზადო მორწმუნეობაში, მიმტევებლობაში. ბოლო ტაეპის უშუალო გამოძახილია დრამის დასასრულიც, რომელიც მეფის ლოცვანარევი სიტყვით იხურება: „მეფეო ზეცათაო! მოგვიტევენ შეცოდებანი ჩვენნი, რამეთუ ვართ ხორციელნი და არა უწყით, რას ვშვრებით.[3] მწერალმა ამით გამოკვეთა თავისი პოზიციაც: მეფე, რომელიც არ არის ჭეშმარიტი ქრისტიანი, ღრმად მორწმუნე და ღვთის მოშიში, ვერ შეძლებს ქვეყნის და ეკლესიის ერთანობის შენარჩუნებას. იგი XII საუკუნის ბინდბუნდიდან იმიტომ გამოიხმობს დიდებული მეფის წარუხოცელ აჩრდილს, რომ თანამედროვეთ შთააგონოს ქრისტიანული მოძღვრების ფუნქციური მნიშვნელობა, მისი არსი ეროვნული მეობის და თავისუფლების მოსაპოვებლად თუ შესანარჩუნებლად.

ყველაზე დასამახსოვრებელია გიორგის საუბარი დემნასთან. ერთი

---

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 158.
[2] იქვე, გვ. 167.
[3] იქვე, გვ. 173.

შეხედვით, განრისხებული მეფე არ ერიდება ძმისშვილის ლანძღვას: „ორგულს, ორპირსა, სუსტსა და ფრთხალს (ე.ი. დამფრთხალს — ტ.მ.), რა უნდა გითხრა?“ ეს გაბრაზება მეფისათვის დასაძრახი ამ მომენტში არც არის. მთავარია მისი საუბრის გაგრძელება უკვე დაწეული ტონით:

„დამიჯერე, რომ ხმას არ გაგცემდი,
ჩემს სასახლესა გამყოფებდი, პურსა გაჭმევდი,
მაგრამ ვინ მაცლის! შენს მოკეთეთ მოჰკითხე შენი
ბედ-იღბალი! შენ მიზეზად აუტეხიხართ.
რომ საქართველო ასვარონ და დააამცირონ“.[1]

საგანგებო დაკვირვებას ითხოვს ბოლო ორ ტაეპში გატარებული აზრი, სადაც წარმოჩენილია თვით თხზულების ავტორის პოზიცია, მისი ეროვნულ-მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა. სწორედ ამ ტაეპებში განვითარებული აზრი უნდა გამხდარიყო დრამის შექმნის საფუძველი. სწორედ ამ თვალსაზრისის ღერძის გარშემო ტრიალებს ნაწარმოების მთელი შინაარსი და იდეა. მეფე მტკიცედ არის დარწმუნებული ნათქვამის სიმართლეში. „შენ მიზეზად აუტეხიხართო“, — მიმართავს დემნას. ნახევარტაეპში სიტყვა „აუტეხიხართ“ ხანჯალივით არის გარჭობილი. აქ შეუძლებელი იყო სხვა სიტყვის შერჩევა პოზიციისთვის მოსარგებლად. ბოლო სტრიქონიც სიკვდილისთვის გამზადებული ალესილი ხმალივით „ელვარებს“. „საქართველო ასვარონ“ ნიშნავს — სისხლში გასვარონ, ასევე — „საქართველო დააამცირონ“ გულისხმობს — დააქუცმაცონ, შაგრენის ტყავივით დააპატარაონ.

ზემოთქმულისთვის ზუსტი პასუხის გასაცემად დავესესხებით ავთანდილ ნიკოლეიშვილის მიერ, საერთოდ, დრამისთვის მიცემული შეფასების ჩვენთვის საყურადღებო ფრაგმენტს: „ერთი მნიშვნელოვანი მომენტიც უნდა აღინიშნოს დრამის შეფასების დროს: საკუთარი ძალაუფლების განდიდებაზე მეოცნებე დიდებულები როგორი ჟინით ისწრაფიან ბრმა იარაღად გამოიყენონ ტახტის მაძიებელი ბატონიშვილები, ისარგებლონ მათი გულუბრყვილობით, გონება აურიონ მათ

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 167.

და ამით უდიდესი ვნება მოუტანონ ქვეყანას".[1]

დემნა ბატონიშვილი თითქოს მეფის ამ სიტყვებს უცდიდაო, წარმოთქვა:

„მე გიახელი, ხელმწიფეო, გამოვიპარე,
შენდობასა გთხოვ იმისათვის, რაც არ შემიცოდნია!"[2]

გიორგიმ სიცრუეში ჩამოართვა თქმული: „როგორ თუ არ შეგიცოდნია!.. ცრუობ კიდეცა?" დემნა გულწრფელია: „არა, ბატონო! არასოდეს წინააღმდეგი თქვენი უფლების მე არ ვყოფილვარ!" მეფე უკანდაუხეველია: „ერთი უყურეთ... ლაშქრით მომადგა, სამეფოსა კი მესარჩლება და ახლა ამბობს: „წინააღმდეგი თქვენი არ ვარო!" მხოლოდ მცირე ფიქრი ეყო ჯავახიანისთვის ებრძანებინა: „წაიყვანეთ და ჩააბარეთ: ებრძანებ დაასაჭურისონ! მისს საკადრისსა უკეთ ვერას ვერ მოვიგონებთ!.."[3]

როგორ უნდა შეფასდეს ქვეყნის მესვეურის ეს ქმედებანი? პირდაპირ უნდა ითქვას, გიორგი მესამე ამ მომენტში სიტუაციაში გონივრულად გარკვევის უნარს მოკლებულია. ჯერ ერთი, აშკარად დაარწმუნა ძმისშვილი, რომ „შენ მიზეზად აუტეხიხარ" იმათ, ვის მცდელობაში შედის საქართველოს დაქუცმაცებაო. ამ სიტყვების ქვეტექსტში იმალება ფაქტიურად მეფის მხრიდან მისი გამართლება. ე.ი. შენ არაფერ შუაში არა ხარ, დამნაშავეა ისინი, რომლებიც ცდილობდნენ მიზნის მისაღწევად შენს გამოყენებასო. ამის შემდეგ არ სჯერა დემნას გულწრფელი, გულმართალი განაცხადისა, რომ შენი ძალაუფლების მოცილე და მოქიშპე არასოდეს ყოფილვარო. ამ სიტყვების სიმართლეში ჩაულრმავებლად და განუსჯელად, როგორც დიქტატორი, ბრძანებს მის დასაჭურისებას, ხოლო წაყვანას და ჩაბარებას ავალებს ჯავახიანს. ეს ის ჯავახიანია, რომლის სიავენი და ბოროტმზრახველობანი გიორგის დაწვრილებით მოახსენა რუსუდანმა, დაარწმუნა ძმა, რომ გარკვეული არ არის მანდატურთუხუცესის ინტრიგების ქსელში, რომ ის ფაქტიურად თავზე აზის ხელმწიფეს. [illegible] არაფრად

---

[1] ა. ნიკოლეიშვილის დასახ. ნაშრომი, გვ. 15.

[2] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 167.

[3] იქვე, გვ. 168.

აგდებს, სამეფო საქმეებში ჩარევად მიუთვლის. რუსუდანის შეგონების გაუთვალისწინებლობამ სწორედ საანალიზო ტაეპებშიც იჩინა თავი. ჯავახიანი ისევ გვერდით ჰყავს, როგორც ერთგული, უღალატო და მისანდო მანდატურთუხუცესი, მაგრამ მალევე ნათელი მოეფინება მის სიმცდარეს, მალევე გამოაშკარავდება ჯავახიანის „საქმენი საგმირონი“, მიმართული მეფის და ქვეყნის საზიანოდ. მეფის ახლოს მხდველობასაც დაესმება წერტილი, მართალია, დაგვიანებით, მაგრამ მთავარია დაესმება. ამით გიორგი შარვაშიძე ნათელს ხდის, რამდენად შორსმჭვრეტელი, წინდახედული, სიტუაციაში უსწრაფესად გარკვევის უნარის მქონე უნდა იყოს მეფე, რომელსაც საფუძვლად უნდა ჰქონდეს ეროვნულობა და ჰუმანურობა.

ჯავახიანის ცბიერებას და თვალთმაქცობას ფარდა აეხდება სწორედ მაშინ, როცა გაირკვევა მის მიერვე მეფის სახელით სიგელის შედგენა. გიორგი მესამის ნდობას მანდატურთუხუცესისადმი საბოლოოდ ხაზი გადაესმება იმ მომენტში, როდესაც ჯავახიანი თავხედურად გაბრიელ ბერს ხელიდან წააგლეჯს სიგელს და ცეცხლს მისცემს, რათა მეფეს არ ენახა ყალბად შედგენილი ტექსტი. ამან მეფე განარისხა და მოღალატე მანდატურთუხუცესს ავაზაკი და უსირცხვილო უძახა, ხოლო მისივე ენა შხამიანად მონათლა. მეფის აღშფოთება კულმინაციურ წერტილს აღწევს, როცა გაიგებს, რომ ყაითაძეს გაბრიელ ბერი დაუჭრია ჯავახიანის ბრძანებით. „შავი სული“ უწოდა ჯავახიანს. ეს უკანასკნელი შეეწირა თავის ბოროტ ზრახვებს და სიკვდილით განგმირული დაეცა მიწაზე. თხზულება სრულდება გიორგი მესამის ვედრებით უფლის წინაშე: „მეფეო ზეცათაო! მოგვიტევენ შეცოდებანი ჩვენნი, რამეთუ ვართ ხორციელნი და არა უწყით, რას ვშვრებით“.

სწორედ ამ ბოლო სიტყვებით გიორგი შარვაშიძე ნათლად გვახედებს გიორგი მესამის პიროვნების რთულ ბუნებაში. ფაქტიურად მეფე ინანიებს დაშვებულ შეცდომებს და პატიებას თხოვს ღმერთს ხორციელებისკენ მიდრეკის გამო.

დავასკვნათ: დრამის იმ ეპიზოდების დაწვრილებით გაანალიზებით, სადაც გიორგი მესამის პიროვნება მოქმედებს, გაირკვა, რომ მიუხე-

დავად ზოგი შეცდომისა, მისი დასახვა მიამიტ, გულუბრყვილო და მერყევი ბუნების მქონე ადამიანად საფუძველს მოკლებულია. მიუღებელი ჩანს მსჯელობა ავტორის მიერ გიორგი მესამის სახის სქემატურად და ზედაპირულად გააზრებაზე.

თამარის სახება. ,,გიორგი მესამეში" თამარის ხატება მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდში გამოანათებს. აქ მართლაც მიზანშეწონილი ჩანს გავიმეოროთ ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში გატარებული აზრი მისი სახის სქემატურობაზე და ზედაპირულობაზე. თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მეტი არც იყო მოსალოდნელი. როგორც მემატიანის ცნობებიდან ვიცით, თამარის სიბრძნე, გონიერება, დიდი ქართველობა და პატრიოტიზმი სწორედ მისი მეფობის პერიოდში გამოჩნდა. დრამაში კი მხოლოდ ტახტზე აყვანას ვეცნობით და მეტი არაფერი. ასე რომ, ავტორი ამ დიდ და განუმეორებელ მეფეს მოქმედებათა და მოვლენათა ცენტრში ვერ გამოიყვანდა. მთავარი, რითაც თამარი გვამახსოვრდება დრამიდან, ეს არის მისი ჰუმანურობა, გულწრფელობა და გულმოწყალება დემნა ბატონიშვილის მიმართ.

პიესაში თამარს პირველივე ფურცლიდან ვეცნობით. მამა — გიორგი მესამე შემოიყვანს თავის ერთადერთ ასულს თამარს და მომაღლო ტახტზე დადგმულ სავარძელში დასვამს. როდესაც საქართველოს სხვადასხვა მხარის ერისთავები დაასრულებენ თავიანთ სიტყვიერ გამოსვლებს და სრულ თანადგომას გამოუცხადებენ მეფის გადაწყვეტილებას თამარის გამეფებასთან დაკავშირებით, გიორგი მესამე ასე მიმართავს თავის ასულს, უკვე თანამეფეს:

,,ისმინე, შვილო, რა ყოველი აქა თხრობილი,
აწ შენა გმართებს საქმე დიდი, მცნებით მკობილი!
იმედით ღვთისა, მრწამს, განაგებ კარგად ყოველსა
მხოლოდ ღა ერთსა მოგითხრობ მე შენ საცნობელსა:
არ მოგერიოს შენ სისუსტე, დედათ წესია,
არა სხეულის, — სულის სილბო უარესია!
ქვეყნის პატრონსა არ სჭირია ხმალი და ფარი,
მხოლოდ მას უნდა არ მორჩილი, — სული მედგარი,
ამის მიზეზით იშვიათობს ქალი სვიანი

და თუ გამოჩნდა – ვარსკვლავია ულუმპიანი,
იფიქრე, შვილო, აწ სვე შენი და მომავალი“.[1]

მამის სიტყვის დასრულებისას ყველამ თაყვანი სცა თამარს.

ამის შემდეგ დრამაში თამარი გამოჩნდება მამიდა რუსუდანთან ერთად. ჯავახიანი დაიმარტოხელებს თამარს და მოახსენებს: „თქვენ ბრძანდებით მემკვიდრე სამეფოისა და ზეცით მოგნიჭებიათ მცნება და გონიერება, ამისთვის თქვენ მოგახსენებთ, რაც ამბავია, მაგრამ თუ კი ვინმემ გაიგო, რომ მე გამიმხელია, დავიღუპები“. მანდატურთუხუცესი მოუყვება თამარს მხედარ ყაითაძის მიერ მოტანილ ამბავს გიორგი მესამის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობის თაობაზე იოანე ორბელიანის მეთაურობით. გაგულისებულმა მეფემ ლაშქარი გაგზავნაო ორგულთა დასაჭერად და თავების მოსაკვეთად. თამარი შეიცხადებს, რომ მის ბიძაშვილსაც დემნას იგივე ბედი უნდა ეწიოს:

„კაცთმოყვარეო, მეუფეო, რა მესმის ესა!
გაოცებითა და შიშითა ვერ ვიღებ სულსა...
მეფისა ზრუნვა ვით დაბადებს ისეთს მიზეზსა,
რომ მან სიკვდილი მიუსაჯოს თავის ძმისწულსა!“[2]

როგორც ვხედავთ, თამარი ამ მომენტში იჩენს დიდ გულისხმიერებას, უდიდეს სიყვარულს ბიძაშვილისადმი და ოცნებობს ისეთ ვინმეზე, რომ აცნობოს მათ და ბედკრულებმა თავს უშველონ. როგორ უნდა შეფასდეს თამარ დედოფლის საქციელი, რომელიც იტყვის: „მართლა განა არ გამოჩნდება ისეთი ვინმე, რომ აცნობოს მათ და თავს უშველონ ბედკრულებმა?“ დავაკვირდეთ: ჯერ შეიბრალა ბიძაშვილი დემნა, შემდეგ კი ყველა შეთქმული („აცნობოს მათ“). როგორ შევათავსოთ ერთმანეთთან მამის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობა და მეფის ასულის მხრიდან. ფაქტიურად თანამეფის მხრიდან მათი შებრალება. რატომ დააყენა თამარმა შეთქმულთა სიცოცხლის გადარჩენის ფაქტორი ქვეყნის ინტერესებზე მაღლა. ეფიქრობთ, დამნაშავეთა თავის მოკვეთის შეტყობამ ისე დამაბნეველად იმოქმედა თამარის ემოციებზე, ისე იმძლავრა მის გულში სოცოცხლისმოყვარეობის განცდამ, რომ

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 130-131.
[2] იქვე, გვ. 158.

იმის იქით ვერაფერს ხედავდა. იქნებ ისიც გაიაზრა უცაბედად, რომ შეთქმულთა მცდელობა მაინც კრახით დამთავრდებოდა და სჯობდა ფიზიკურად ისინი არ დაღუპულიყვნენ. მითუმეტეს, ბიძაშვილი დემნა. მას კაცის მიერ კაცის მოკვლა დიდ ცოდვად მიაჩნია.

თამარის მიხედვით, დრო არ ითმენს და ჯავახიანს შეაგულიანებს: „მაშ, გაგზავნე კაცი, სანამ დრო არის". მანდატურთუხუცესმა გადაწყვიტა შალვა ჯაყელის გაგზავნა, რომლის მამა შეთქმულთა შორის იყო. დასარწმუნებლად თამარისაგან სამხრე მოითხოვა. გიორგი მესამის ასულმა იმთავითვე შეუსრულა თხოვნა და თან დაამატა: „მაშ ყუბარსან, მექნება შენი იმედი".

თხზულებაში გიორგი მესამის და მისივე დის რუსუდანის პაექრობისას თამარი უშუალოდ ფიზიკურად არ ჩანს, მაგრამ გამოჩნდება მისი სამხრე, რომელსაც ძმა დას გადასცემს და თანაც დაამატებს: „ეს სამხრე ჰქონდა ერთ ყმაწვილს კაცს მკლავზედ დაბმული". რუსუდანმა გაკვირვებისგან თავი ვერ შეიკავა: „დედაო ღვთისა! რად არ გამითხრი შავ საფლავსა?" მეფე უპასუხებს:

„ეგრეა, დაო, დამიჯერე, კარგსა და ავსა
სახელმწიფოში მე განვაგებ შენზე უკეთად.
ხოლო შენ გხვდება საზრუნელი ამაზე მეტად
აღზრდა და მოვლა იმ ქალისა, რომლისა ხელში
იქნება ბედი საქართველოსი აწ. მომავალში".[1]

დამოწმებული სტროფის „იმ ქალისა"-ში, ბუნებრივია თამარი იგულისხმება. თამართან დაკავშირებულ ბოლო ეპიზოდში დრამისა, დედოფალი ფარულად არ ჩანს თვითონ, მაგრამ შიკრიკის მიერ მოტანილ მის წერილს ეცნობა საქართველოს საჭეთმპყრობელი. არ მოვერიდებით მის მოტანას თავიდან ბოლომდე, სადაც მთლიანად გახსნილია თამარის ბუნება, მისი შინაგანი კულტურა, ქრისტიანული ჰუმანიზმი. უმიზეზოდ კაცის სიკვდილი დედოფალს დიდ ცოდვად მიაჩნია:

„მამავ ბატონო! ვფიცავ თქვენ მზეს და წმინდა ჯვარსა,
რომ დამნაშავე მარტო მე ვარ იმა საქმეში.
რაცა შესწამეთ უმანკოსა, დღეს პატიმარსა.

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 158.

ერთჯერ შეგცოდე, მხოლოდ ერთჯერ ჩემს სიცოცხლეში:
ჯაყელსა შალვას მე ვუბრძანე, ძე გავაგზავნე!
ჩემის მიზეზით, დემნას, ძმასა ვითა მოვკლავდი?!
ვერ გავუძელი მომხდარიყო ეგ ცოდვა დიდი,
მაშა დასავჯეთ თქვენი ქალი, ურჩი და მავნე.
რადგან პირადად არ იყო დრო კაცისა ნახვის.
შალვასა სამხრე გავუგზავნე დასავჯერებლად
ჩემის ნებისა, და მეგონა, არად მეზრახვის.
ახლა ყოველი მოგახსენებ დაუფარავად.
აწ თუ ღირსი ვარ, ეს სოფელი დამათმენინეთ.
ღვთის სამსახურად, თმა გიშრისა დამაყრევინეთ.
დეე ღაწვნიცა ჩემნი დაჭკნენ კომშისა ფერად!
გამზრდელთა ჩემთა ხვედრი იქნეს მოთქმა სიმღერად,
მხოლოდ ისმინეთ თქვენი თამროს ერთი ვედრება:
ჩემის მიზეზით ჯაყელი კი ნუ დაისჯება.
არ უფიქრია მაგ უბედურს და დაღუპულსა,
რომ სამსახურზე უარი ეთქმის თქვენსა ასულსა.
ხელზე ამბორით, გევედრებ, კიდევ, მის შენდობასა.
თქვენი ნებისა მონა მორჩილი ასული თამარი".[1]

გიორგი შარვაშიძემ დრამაში გამოიყვანა თამარი და დემნა ქრისტიანული პრინციპით მოქმედ პიროვნებებად. ეს პრინციპია ბიბლიური შეგონება „არა კაც-ჰკლა". სწორედ ამიტომ არის თამარის სიმპათიების ვექტორი დემნასკენ მიმართული. თამარი და დემნა, ნაწარმოების მიხედვით, ამ ქრისტიანულ იდეალს აყენებენ ყველაზე მაღლა, რაშიც იკვეთება ავტორისეული პოზიციაც.

რუსუდანი. გიორგი მესამის და, რუსუდანი, თვითონ მეფესთან, თამართან და მანდატურთუხუცესთან ერთად დრამის დასაწყისშივე ჩანს, როცა „მეფე და რუსუდანი თამარს შუა სკამს დაუთმობენ". ამის შემდეგ იგი ცოტა მოგვიანებით გამოჩნდება, როდესაც ჯავახიანისგან ითხოვს ზუსტ პასუხს მეფის განრისხების გამო. ხოლო დიდად მოგვიანებით ვეცნობით მის შთამაგონებელ საუბარს გიორგი მესა-

[1] **გ. შარვაშიძე,** ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 171.

მესთან, რომელსაც იგავური ენით იწყებს: „ძმაო ბატონო! მოხდება ხოლმე, რომ დიდებულს მხედარსა, შორის გზის გაელასა შამბში გზა დაებნევა და მაშინ უბრალო მეჯოგე ვინმეც რომ შეხვდეს, კვალზე გაიყვანს და შარაზე დააყენებს. დღეს მე გხლებივარ იმ მეჯოგის მაგივრად, გამიგონე და დამივჯერე“.[1] სახელოვანი და თავის ძმას შთააგონებს, რომ მის წინააღმდეგ შეთქმულად წოდებულნი მამულის შვილნი არიან, „საქართველოს დიდ თავადნი, სახელგანთქმულნი, პატიოსანნი, დიდებულნი, ქვეყნის ქებულნი“.[2] ისინი შენს ძმისშვილს ახლავან და „შენ ამაშიდა ჰპოვებ მიზეზსა სდევნო ისინი, ვით მეკობრე პატივ-ახდილი“, გინდა მათი სიკვდილით დასჯა. მათ არაფერ დაუშაებიათ („რა დაგი'შავეს“?), შეგასმინეს, რომ გღალატობენ? მაგრამ არ იცი ქვეყნის საქმე, რომ მასა გმობენ, ვინცა სჯობია, ერთგულია, ქვეყნის მსახური და ამ მდაბალსა გრძნობას ჰქვიან სახელად შური“. რუსუდანი მეფეს აფრთხილებს და ღრმად დაფიქრებისკენ მოუწოდებს.

რუსუდანი ცდილობს მეფის დარწმუნებას მისადმი მანდატურთუხუცეს ჯავახიანის ღალატში:

„და მოღალატე, ენის მთრევი, გარყვნილი სული
ეგებ კი გახდეს და გეგონოს შენი ერთგული.
შენ ხარ ხელმწიფე, ივერთ მპყრობელი, დია სვიანი
და შენს თავზედა ბატონად გყავს ჯავახიანი“.[3]

გიორგი მეფე წამიერად ბრაზდება, მაგრამ დის პასუხიც არ აყოვნებს: „ის არის შენი ვეზირი და შენი მოძღვარი. მისი განზრახვა, მისი აზრი შენიცა არი“. გაჯავრებულ ძმას ჰპირდება უკანდაუხევლობას, სიმართლის თქმა თავის მოვალეობად მიაჩნია. მეფეს საუბარი თამარის სამხრეზე გადააქვს. ჯავახიანის ღალატთან დაკავშირებით მას არანაირი უარყოფითი რეაქცია არ ჰქონია, არც ულია ყურად დის შეგონება.

ერთი სიტყვით, რუსუდანი დრამის რამდენიმე ეპიზოდში გამო-

---

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 156-157.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 158.

ანათებს, საიდანაც მკაფიოდ გამოჩნდება მისი ერთგულება ქვეყნისადმი; გამოჩნდება მისი სიბრძნე და გონებამახვილობა, ამავე დროს გამბედაობაც. მან პირველთაგანმა და ერთადერთმა შებედა მეფეს და ამცნო ჯავახიანის ინტრიგების ქსელზე, მის არაკაცობაზე, სიავეზე, ღალატზე, თვალთმაქცობაზე.

დავით სოსლანი. დავით სოსლანს პირველად ვეცნობით იმ ეპიზოდში, როდესაც მას ესალმება ჯავახიანი. ამ დროს ამ თვალთმაქც მანდატურთუხუცესს ზურგს უკან დამალული ჰქონდა თამარის სამხრე. სოსლანმა შენიშნა ყუბარსანის ყოფნა კბენის ბუნებაზე, არც ის გამოპარვია, რომ ჯავახიანი რაღაცას მალავდა ზურგს უკან. მან დააფიცა ამ საიდუმლოს გაუმჟღავნელობა არავისთან: „ჩემმა მზემ! ჯვარის მადლმა!..“ ამის შემდეგ უჩვენა სოსლანს თამარის სამხრე და დიდად გაოცებული დატოვა. ჯავახიანი არწმუნებს სოსლანს, რომ ეს სამხრე თამარმა თვითონ მიბოძაო საიდუმლოდ შალვა ჯაყელისათვის გადასაცემად. სოსლანი გაკვირვებამ მოიცვა: „რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ასეთ ძღვენს თამარისაგან ჯაყელისადმი?“ ამას მოაყოლა უკმაყოფილების გამოხატვა ბედის მიმართ: „განგების ძალა რომ მქონდეს, მსაჯულად არ ავირჩევდი ბედსო!“[1] ამის შემდეგ დავით სოსლანი დრამის მეორე მოქმედების იმ მომენტში გამოჩნდება როცა ჯავახიანის ქვრივი და მიაგული მღერის და თხოვს სიმღერის გაგრძელებას. ამას მოსდევს დიალოგი სოსლანსა და მიაგულს შორის. ცოტა ხანში შემოდის მეფე და შენიშნას აძლევს სოსლანს და შალვა ჯაყელს: „თქვენ რას ჩურჩულებთ მანდ?“

შემდეგ კი დავით სოსლანს ვხედავთ მეფის კარავში გამრეკელთან და მესხთან ერთად. აქ ბჭობენ შალვა ჯაყელის ორგულობაზე. შოთა მესხს არ სჯერა ჯაყელის ღალატისა, სოსლანი კი დაეჭვებულია: „ადამიანის გულსა მრავალი კუთხე აქვს და... ყველას ვერ გამოსჩხრეკს მეორე კაცი... გავს მაცდური ერთობ ძლიერი ყოფილა და ვერ გაუძლო!..[2] როცა ნათელი გახდება მეფის მხრიდან შალვა ჯაყელის სიკვდილით დასჯის გადაწყვეტილება, ყველა შეიცხადებს

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 139.
[2] იქვე, გვ, 162.

ამ საშინელ განაჩენს, სოსლანი კი ძალიან შორს იჭერს თავს და ავადაც ეკიდება“.[1] ამას მოსდევს ზაქარია მხარგრძელის გასაუბრება სოსლანთან. საუბრის თემაა შალვა ჯაყელის პიროვნება. მხარგრძელს რომ რამე შეეძლოს, სიცოცხლესაც არ დაიშურებს მეგობრის გადასარჩენად. სოსლანს კი კითხვები უჩნდება, რომლის ქვეტექსტში იგრძნობა, თითქოს ჯაყელი დამნაშავეა და სასჯელს იმსახურებს: „არც ერთი საქმე, არც ერთი გრძნობა წრეს არ უნდა გასცილდესო“. შალვა ჯაყელისთვის ნათელია სოსლანის პოზიცია: „შორიდანაც არ მაკადრებ, სოსლან, მოკითხვას? ნუგეშის ცემასაც ერიდები? ეგ იყო შენი მეგობრობის პირობა?“ ერთი შეხედვით, სოსლანის პასუხი გამართლებული ჩანს: „მეგობრობაზე, მოყვრობაზე და სისხლნათესაობაზედაც მაღლა დგას მამულისა და მეფის ერთგულება. ამაზე ფიცი მიმიღია და ფიცს არ გავტეხ“.[2] შალვა ჯაყელის სოსლანით ნაწყენობა კულმინაციურ წერტილს აღწევს: „შე ლაქუცო ამხანაგო! ქალაჩუნა რაინდო!“ ბოლოს სოსლანს ვხედავთ, ჯავახიანის სიკვდილის დასჯის მომენტში, თითქოს გამოესარჩლაო მანდატურთუხუცესს. იგი მახვილს იშიშვლებს, ზაქარია მხარგრძელს ხმალს აკურავს: „ამდენი ერთს რომ შესევნიხართ, ეგ რაინდობა არ არის“. ეს ყველაფერი ისე კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს სოსლანი ჯავახიანს იცავდეს. არა. იგი მოითხოვს რაინდული წესის დაცვას.

გამართლებულია თუ არა სოსლანის ამპარტავნული დამოკიდებულება შალვა ჯაყელის მიმართ? თუ მოვლენებს არაპირდაპირ შევხედავთ, ცხადია, გამართლებულია. ის დარწმუნებულია, რომ ჯაყელი მუხანათობს და ღალატობს მეფეს. ის მეგობრობაზე მაღლა, როგორც მას ათქმევინებს პიესის ავტორი, ქვეყნისა და მეფის ინტერესებს აყენებს. თუ მოვლენებს ღრმად ჩავუკვირდებით, სოსლანის ბოღმა ჯაყელისადმი გამოწვეულია თამარის მიერ შალვა ჯაყელისადმი სამხრის გაგზავნით. იგი რაღაც ეჭვებმა შეიპყრო და ერთბაშად შეიძულა მეგობარი. ამაში დამნაშავე სოსლანი კი არ არის, არამედ გაიძვერა ჯავახიანი, რომელმაც რიგიანად მოქსოვა ინტრიგის ქსელი

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა. გვ. იქვე გვ. 163.
[2] იქვე. ვ. 164.

და მასში გააბა სოსლანი, რაც მის მიზანს შეადგენდა. ამაზე მინიშნება მან დრამის დასაწყის ფურცელებზეც გააკეთა:

„დაუხედავად თავზე ჭირი არ დავიხვიოთ!
პირველ საშიში იყო დემნა, მაგრამ ბედკრულსა
აქ მოიყვანენ ხვალვე ხომ მას, ხელფეხშეკრულსა!
დამრჩა სოსლანი, მაგრამ ისიც ვერ გაიხარებს,
მე კი შესმენით ეჭვს ჩავუგდებ თამარზე გულში“.[1]

ასე რომ, დავით სოსლანი დადებითი პერსონაჟია დრამისა, ქვეყნის და მეფის ინტერესებზე მზრუნველი. გამოირჩევა თამარისადმი მტკიცე სიყვარულის გრძნობით. მართალია, ეს უშუალოდ და გაშლილად არ ჩანს ნაწარმოებში, მაგრამ მჟღავნდება, როგორც ღრუბლიდან გამოსული მზე, შალვა ჯაყელისადმი დამოკიდებულებისას, თამარის სამხრის გარშემო აგებული სიუჟეტიდან. თუმცა დავით სოსლანი საყვედურსაც იმსახურებს იმის გამო, რომ მეფე გიორგივით ვერ ერკვევა სასახლის კარზე ჩახლართულ ინტრიგებში მანდატურთუხუცეს ჯავახიანის მეთაურობით.

გაბრიელ-ბერი. გაბრიელ-ბერი დემნას ოსტატი იყო. ნაწარმოებში იგი პირველად გამოჩნდება, როგორც იოანე ორბელიანის, ლიპარიტის (მისი ძმა), დემნას, ჯაყელის (შალვა ჯაყელის მამა) წრეში მყოფი. მას შესთხოვს მესტვირე (იგივე შალვა ჯაყელი) სამშვიდობოს გაიყვანოს მისთვის საინტერესო ამბის მოთხრობის პირობით. გაბრიელ-ბერმა მის გარშემო მყოფთ საიდუმლო ცნობა მიაწოდა: „მეფეს ამ დილას გადაუცია ამირსპასალარობა სარგის მხარგრძელისთვის და სპა გამოუმგზავრებია, რომ უფლისწული, ბატონი იოანე და თქვენ (იგულისხმება ჯაყელის მამა — ტ.მ.) სამნივე დაგატყვევონ... თავები უნდა დაგკვეთონო“. თანაც გაამხილა გლახაკად წოდებული შალვა ჯაყელის ვინაობა, როგორც ზემოთ ნახსენები საიდუმლოს მომტანისა, ამასთანავე, აფრთხილებს იოანე ორბელიანს, რომ შალვას მამამ არ გაიგოს მისი აქ ყოფნის ამბავი, „თორემ მხედრებს გამომადევნებს დასაჭერად, ალარ გამიშვებსო და მეფის განდგომა კი არ შემიძლიანო“.

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 134.

გაბრიელის შინაგანი ბუნება ნათლად გამოჩნდება დემნა ბატონიშვილისთვის დარიგების მიცემისას:

„კაცთ კანონები და ბუნების ერთი არ არის,
გაუჩენიხართ თქვენ უფალსა უცხო გუნებით,
მაგრამ თქვენა ხართ შთამოებით დიდისა გვარის
და ვერ დაარღვევთ, რაცა ქმნილა ცხოვრების ნებით.
და ახლა კიდეც რომ დაადგ;ეთ სხვა რამე აზრსა,
თქვენს გამზრდელს მოხუცს გადაკიდებთ, მომავალს მწარსა.
ამით ჩაუშლით მას აღთქმასა და ოცნებასა
და ვერ მოიგებთ თქვენც სიმშვიდეს, გულის ნებასა,
უსაშველოა, უფლისწულო, ძე დამიჯერეთ
და სვესა თქვენსა მომავალსა დე, დაემონეთ“.[1]

ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ გაბრიელმა დემნასაგან მიიღო საპირისპირო პასუხი და ამით გაკეირვებულია კიდეც. ირკვევა, რომ გაბრიელი შეთქმულთა მხარეზეა, მის სურვილსაც შეადგენს გიორგი მესამის გადაგდება სამეფო ტახტიდან და მის ადგილზე დემნა ბატონიშვილის აღზევება, მაგრამ შეთქმულთა მიზანს უფლისწულმა ფრთები შეაჭრა და ამით გაოგნებული დატოვა ისინი (იოანე ორბელიანი, გაბრიელ-ბერი).

გიორგი შარვაშიძის დრამატული ნაწარმოების მეოთხე მოქმედებაში გაბრიელი კვლავ გამოჩნდება. ჯავახიანი მას გადასცემს გიორგი მეფის სახელით სიგელს. მოგვიანებით გაირკვევა, რომ ეს წერილი თვითონ ამ მაცდური ჯავახიანის შედგენილია. მას გაბრიელს გადასცემს, როგორც თვითონ მეფის მიერ დაწერილ შეწყნარების სიგელად. იგი უნდა გადაეცეს დემნას. გაბრიელი გამოარჩევს და თანაც ჰპირდება უფლისწულის მოყვანას, რომელიც „ცის ნაკურთხი, მეფის შვილია“. გაბრიელი უბეში შეინახავს სიგელს და ტოვებს იქაურობას.

მოგვიანებით მკითხველს უწევს შეხვედრა დაჭრილ გაბრიელბერთან. ჭრილობისგან შეწუხებულ მეფეს მიმართავს: „ხელმწიფევ! მე გიახელით უფლისწულის გამოსაყვანად ციხიდან, მაგრამ იქ აღარ დამხვდა, უჩემოდ წამოსულიყო ტყე-ტყედ. მე გამოვედევნე და ამ

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 147.

დროს!.. ვიღაცა უცნობი დამეტაკა და სიგელი მთხოვა. აბა სიგელს ცოცხალი როგორ დავანებებდი! დამეჭიდა... ხმა გავაბი... მაშინ სატევარი მკრა და ცნობა დამეკარგა!..“[1] მეფის შეკითხვამ არ დააყოვნა: „და ის წერილი... ის სიგელი, ვინღა მოგცა შენ?“ ბერმა უპასუხა: „თვითონ მანდატურთუხუცესმა, ჯავახიანმა“. მეფე სასტიკად გაუწყრება ჯავახიანს. გიორგი მესამე ჯავახიანთან ერთად ბერსაც სდებს ბრალს: „თქვენ ორში ერთი შიშთვილზედა ასაყვანია“. გაბრიელი მეფის წინაშე ცდილობს თავის გამართლებას — „დე სამართალი ჰყოს ზენამან“. ბერი შესთხოვს მეფეს: „შანთი გაგვიგდონ ჩვენ ორთავეს, რომელიც გასძლებს, მას შეუნდეთ, ბედი ამართლებს“.[2] ხელმწიფემ იმთავითვე გასცა ბრძანება: „შანთები ჩქარა!“ თუმცა აზრი შესცვალა: „ამ საბრალოს რაღა შანთი უნდა, სული კბილით უჭირავს, გაიყვანეთ და მოასვენეთო“. მხედრებმა გაბრიელი გაიყვანეს.

როგორც დავინახეთ, დემნას ოსტატი (ხელოსანთუხუცესი) გაბრიელ-ბერი შეთქმულთა მხარეზეა, იოანე ორბელიანისა და ორპირა ჯავახიანის სამსახურშია. როდესაც იგი დემნას მოუწოდებს, მოხუც გამზრდელს — იოანე ორბელიანს გეგმები და ოცნება არ ჩაუშალოს, გაკვირვებული უფლისწული პასუხობს:

„ამისთვის იყო, აგრე მწვრთნიდი, ჩემო ოსტატო?
გულს შთამინერგე სხვა გრძნობათა მე ნეტარება.
ახლა კი ცდილობ, სოფლის გეგმა მე დამიხატო
და ამაშიაც გინდა ჩემი გავითარება?“[3]

ფაქტიურად დემნა ამით ამხელს თავისი ოსტატის შინაგან ბუნებას, აშიშვლებს მის ზნეობრივ მხარეს, რაც თვითონ გაბრიელისთვისაც მოულოდნელი ჩანს, რადგან ვერ ჩაწვდა დემნას ქრისტიანული მორალის ნორმას.

იოანე ორბელიანი. იოანე ორბელიანი გახლდათ საქართველოს მეფის გიორგი მესამის ამირსპასალარი, უფლისწულ დემნას გამზრდელი. მისი სახე და სახელი მკითხველისთვის ცნობილი ხდება მე-

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 147.
[2] იქვე, გვ. 168.
[3] იქვე. გვ. 147.

ფის სასახლეში გამოცხადებული ჩაბალახმობურვილი მხედრის საიდუმლო ცნობიდან თამარის გამეფების წინადღეს დარბაზში მომხდარი შეთქმულების შესახებ. მხედარი ასახელებს შეთქმულთა ვინაობას: „ამირ-სპასალარი, ბატონი ორბელიანი, თავადი ჯაყელი, უფლისწული დემნა და სხვანი კერძონი მათნი და აზნაურნი“.[1] ასე, რომ იოანე ორბელიანი პირველივე ხსენებიდან მკითხველის ცნობიერებაში შემოდის, როგორც შეთქმულების მოთავე, ქვეყანაში განხეთქილების ორგანიზატორი, გიორგი მეფის დამხობის მომხრე და ტახტზე დემნა ბატონიშვილის, ანუ თავისი გაზრდილის, აყვანის მოწადინე. ცხადია, თავიდანვე მკითხველი მის მიმართ ანტისიმპათიურად განეწყობა.

დრამის მეორე მოქმედების დასაწყისიდანვე ერთმანეთს ესაუბრებიან მხარგრძელი და წავქისელი. ამ დროს დარაჯთა შემოჰყავთ უბრალო კაცი, ქალამნითა და ძონძებში ჩაცმული, რომელიც ბრმა მესტვირედ აცნობს მათ თავს. მხარგრძელი დარაჯს გააშვებინებს მესტვირეს. უცებ გაისმა აბჯრის ჩხარუნი, დიდი ხმაურობა და გუშაგთა ყივილი. მხარგრძელმა იგრძნო თავდასხმა და გაიქცნენ. სწორედ ამ ადგილას გამოჩნდება იოანე ორბელიანი, დემნა, ლიპარიტი, გაბრიელი, ჯაყელი და მათნი მხლებელნი. მათ პირისპირ შეეჩეხა მარტო დარჩენილი მესტვირე. სწორედ მისგან შეიტყობს იოანე ორბელიანი (სხვებთან ერთად) შეთქმულების გაცემის ამბავს. გაბრიელი მოახსენებს იოანე ორბელიანს, რომ შალვა ჯაყელს გაუგია ეს ამბავი და ჩვენთან გამოქცეულა შესატყობინებლად. ჩაფიქრებულ იოანეს ჯაყელი გამოეხმაურა: არ მოგწონს შენზე მეფის განრისხება, „თუ ეგებ გიკვირს შენ გიორგი ხელმწიფისგან თავადობისა დამხობა და ქონებისაგან განყენება, თავის კვეთა და ყოველგვარი ბრაზიანობა, ქცევა უშნო და შესაზარი!.. მეფე გიორგიმ ეს ამბავი კარგად იცოდა, რომ მომაკვდავის მის ძმის წინა სახარებასა შენ დაიფიცე, რომ ძე მისი, შენი გაზრდილი მოწიფულობას ავა ტახტზე თავის მამისა“. იოანე საქმის დახლართვას ჯაყელს აბრალებს: „გუშინ დარბაზში ოც კაცამდე გარეშე ისხდენ, შენის თაობით სულ ყველანი ამ საგანს სჯიდენ. აი, ეს არის მიზეზი, თუ საქმე წახდება.“

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 131.

იოანე ორბელიანს არ მოუწონა დემნას განაცხადი: „რამდენადაც ვიცი, ჩემთვის არის სულ ეს ამბავი, გთხოვთ, ნურასა იქ, არად მიღირს მე დიდად თავი!“[1] მეფეს ვეახლები და მის ნებას დავემონებით. გაკვირვებული იოანე დემნას მიმართავს:

„შენი სიტყვები, შვილო, არ არს კაცთ საგულისხმო,
როდესაც ბედმან აღგირჩია, შენ იყავ უხმო.
შენ ჰკადნიერობ, არ ხარ მონა ღვთისა ნებისა,
რომელმანცა შენ დაგბადა შვილად მეფისა!
სიბერის დღეს მამამძუძეს ნუ გამიმწარებ.
მაგვარ სიტყვებსა კვალად ჩემს ყურს ნუ გააგონებ“.[2]

იოანე ორბელიანი თავის ძმას ლიპარიტს ავალებს: „გასწიე ახლავე მოუსვენებლად ადერბეიჯანის ათაბეგთან, ძველი მეგობრობა გვიძღვის მე და მამამისს... უთხარი ლაშქარი მომაშველოს. გარემოება ყოველივე აუხსენი და ჩვენ ჯარს ველოდებით ლორის ციხეში“.[3] შემდეგ კვირიკეს უბრძანებს სასწრაფოდ წასვლას გაგელთან, ერეთს, რათა სპა გამოუგზავნოს.

იოანეც ისმენდა გაბრიელისადმი მიმართულ დემნას სიტყვებს: არ მინდა ჩემს სამეფო ტახტზე დასმას ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწიროს „და იმავ ტახტზე პორფირითა მე პირმშოისა, ვით ავაზაკი განვირეკდე სულთ განწირულთა... წყეულიმც იყოს ის უფლება უფლისწულისა“. მოისმინა რა დემნასგან მისთვის არასასურველი და მიუღებელი თვალსაზრისი, იოანე იმთავითვე „მოძღვრავს“ უფლისწულს: შენს მიერ მიღებული გადაწყვეტილება გამოუცდელობის ბრალია, ვერ შეგიგნია ცხოვრების მოვალეობა — „უკუღმართობის მისისა რამ მეჭმუნვარება!“ არ გახსოვს მირონცხებული მამაშენი, არც მისი დროის მოგონებით გეწვის გული. მე კი მისი აჩრდილი მუდამ თან დამდევს. სიკვდილის წინ მიანდერძა შენი თავი გასაზრდელად. ამ მოვალეობას ოცი წლის მანძილზე ვასრულებდი („და თქვენი დარდი ოც წელიწადს მეწერა შუბლზე“). ამჯერად შენ გინდა

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 146.
[2] იქვე, გვ. 146.
[3] იქვე.

ჩემი ოცი წლის ზრუნვის შედეგი, „ღამეთა ტეხვა, ფიქრით ტანჯვა, ჯვარზედა ფიცი სულ გამიქარწყლო ოცნებითა რამ ყმაწვილისა?“ იოანე ასე ასრულებს თავის „შთამაგონებელ“ სიტყვებს:

„ეგ არა, შვილო! არა ღონე ქვეყნად არ ვიცი,
აწ წინ დაუდგეს ჩემსა წმინდა მოვალეობას.
ნებითა ღმრთისა, მე შევიძლებ, სიმართლესა ვჰფიც
და უკანონოდ მოპარულსა დღემდი მძლეობას
ავაგლეჯ გვირგვინს და ქვეყნის წინ მტვერში დავამხობ“.[1]

თხზულების ამ ნაწილში გამოკვეთილია იოანე ორბელიანის „ეროვნულ-მოქალაქეობრივი“ პოზიცია. მას „წმინდა მოვალეობად“ მიაჩნია საქართველოს მეფის დამხობა და ტახტზე მისივე გამზრდელის, მეფის ძმისშვილის აღზევება. ამით სურს განხეთქილების შემოტანა ერში, ქვეყნის გახლეჩა. იგი შეთქმულების მოთავეა, „შინაური გველ-მატლია“, განდგომისკენ მსწრაფველი. იოანეს იდეალი დემნას გახელმწიფება კი არ არის, არამედ მისი გამოყენება სასურველი ინტრიგების განსახორციელებლად. ის „ბრძოლის“ ამ გზაზე თანამზრახველებთან ერთად მიაბიჯებს.

სიმბოლურია, რომ დრამის მეორე მოქმედების ბოლოს იოანე ორბელიანს ვხედავთ შეიარაღებულ მოწინააღმდეგეთა ხელში ჩავარდნის შიშით გაქცეულს. ჯაყელს ცუდად ენიშნა ლიპარიტის მალევე უკან დაბრუნება. მისგან შეიტყობენ: „დიდი ძალი სპისა უკან ყოფილა, კინაღამ ჩაუვარდი ხელში! რას გაჩერებულხართ, ბატონო (მიემართება იოანეს), თავს უშველეთ ჩქარა![2] ამას მოჰყვა იოანეს მიმართვა მხლებლებისადმი: „ცხენები მალე!“ აქ ქრება მისი სახე. თხზულების მესამე და მეოთხე მოქმედებაში იოანე არ ჩანს.

ლიპარიტ ორბელიანი. ლიპარიტი იოანე ორბელიანის ძმაა, ვაჟკაცი გიორგი მესამის წინააღმდეგ დაგეგმილი აჯანყების თანამონაწილე და თანამზრახველია. ის პირველად გამოჩნდება იოანე ორბელიანთან, გაბრიელთან, ჯაყელთან ერთად ხმალამოღებული, როცა მძიმედ დაჭრილ მხედარს ხვდებიან. როდესაც იოანე იკითხავს მათ წინააღმ-

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 148.
[2] იქვე.

დეგ ამხედრებულთა ვინაობას და მეკობრეებს მიამსგავსებს, ლიპარიტი გამოეხმაურება: „მეკობრეებს არ უგავთ სიალფე და აბჯრის ხმარება?“. მათ შორის მხოლოდ დემნა იდგა ქარქაშიდან ხმალამოულებელი. ამის გამო სწორედ ლიპარიტმა მისცა უფლისწულს შენიშვნა: „რა წესითა ნებულობ, რომ ჩვენ ომში ვართ და შენ კი, ჭაბუკი, ვაჟკაცი ხმალჩაგებული სდგეხარ?“

სწორედ ლიპარიტს დაევალა ძმისგან „ადერბეიჯანის ათაბეგთან“ წასვლა ლაშქრის მოსაშველებლად. იგი დაღონებული უკან ბრუნდება, რადგან „დიდი ძალი სპისა უკან ყოფილა“, რომელთაც კინაღამ ხელში ჩავარდნია. ლიპარიტი მოუწოდებს იოანეს, ჯაყელს და მათ მხლებლებს სასწრაფოდ გაქცევისკენ. ეს არის და ეს. მას მკითხველი დრამაში მეტჯერ არ შეხვდება. თუმცა მოცემულ ეპიზოდებში მისი გამოჩენა საკმარისია დასკვნის გამოსატანად, როგორც უარყოფითი პერსონაჟისა. ისიც „შინაური გველ-მატლების“ ამალაშია, რომელნიც გიორგი მეფემ „ქართველთა მჭამელად“, ორგულებად, სულელ-შმაგად და ბოროტ სულად მონათლა.

ჯაყელი. დრამაში გამოყვანილია სამცხის გადაყენებულ მთავრად. შეთქმულთა წრეში ტრიალებს. იგი შალვა ჯაყელის მამაა. მეფესთან საიდუმლო ამბის მომტანი მხედარი შეთქმულთა შორის დემნა ბატონიშვილთან, ამირსპასალარ იოანე ორბელიანთან ერთად თავად ჯაყელსაც ასახელებს. იგი ფიზიკურად პირველად გამოჩნდება ხმალამოღებული სხვა შეთქმულებთან ერთად და ბრაზმორეული ამბობს: „ჰა, თქვე ქაჯებო, თქვენა! როდის იყო ორბელიანს და ათაბაგს გზაზე არ უშვებდნენ?“ მათ წინააღმდეგ გალაშქრებულებს მეკობრეებად მიიჩნევს. შემდეგ მიუბრუნდება იოანეს: „აბა, ახლა როგორ იტყვი, იოანე? კიდევ არ დაიჯერებ, რომ შენს სულგრძელობას ცუდი ბოლო ექნება?“ რასაც იოანეს ჩაფიქრება მოჰყვება. აქვე იგი დაინტერესდება დაჭრილი მესტვირის ვინაობით. გაბრიელი მოახსენებს მესტვირის (იგივე შალვა ჯაყელის) მოტანილ ცნობას მეფის მიერ სარგის მხარგრძელისთვის ამირსპასალარობის გადაცემის შესახებ, ასევე ჯარის გამოგზავნაზე დემნას, იოანეს და თავად ჯაყელის შეპყრობა-დატყვევების თაობაზე. ჯაყელი საუბარს გააბამს ჩაფიქრებულ იოანე ორბელიანთან. მისი

სიტყვები დავაფიქსირეთ იოანე ორბელიანზე მსჯელობისას და აქ არ გავიმეორებთ. ოღონდ ვიტყვით, რომ მათში მკაფიოდ წარმოჩენილია მისი სულიერი ავლა-დიდება. ჯაყელი იოანეს ადანაშაულებს მოუქნელობაში და გადამჭრელი ზომების მიღებისათვის დაგვიანებაში („დროს გაქცეულსა ვერ მოესწრები").

იოანეს გამოხმაურებას ასე პასუხობს ჯაყელი:

„დიახაც ვსაჯეთ, მაგრამ მერე ნაცვლად იმისა,
რომ საქმისათვის სწრაფად ხელი ჩვენ მოგვეკიდნა,
წამოვეხეტნეთ აქ ანაზდათ წინაშე მეფის,
რომ მის ღვლარჭში თავნი თვითონ ჩვენ ჩაგვეკიდნა".[1]

ბოლოს ჩვენ ვხედავთ ჯაყელს, იოანესთან და ლიპარიტთან ერთად, თუ როგორ გარბის მეფის ლაშქრის შიშით, ვაითუ არ შეგვიპყრონო. დრამის მომდევნო მოქმედებებში მის სახეს არ ვხვდებით. ასე რომ, ლიპარიტივით ისიც რამდენიმე ეპიზოდში იჩენს თავს, მაგრამ ამომწურავ წარმოდგენას გვიქმნის მის შინაგან სამყაროზე. მისი მოქმედებანი მკითხველში მოწონებას არ იმსახურებს.

შალვა ჯაყელი. შალვა ჯაყელი სამცხის გადაყენებული მთავრის შვილია. მამა შეთქმულთა ბანაკშია, შვილი კი მეფის ერთგულებაზე დებს თავს. იგი გაბრიელ-ბერს უმტკიცებს: „მეფის განდგომა არ შემიძლიანო". ნაწარმოები მისი სახელი პირველად გაიელვებს მარტო დარჩენილი მანდატურთუხუცეს ჯავახიანის სიავის მქსოველ ფიქრებში: „მე კი შესმენით ეჭვს ჩავუგდებ (სოსლანს – ტ.მ.) თამარზე გულში... რომ მთავრის ძესა, ყმაწვილს შალვას თამარი სწყალობს და ისიც მაზედ, ვით ბულბული ვარდზედა გალობს". მან სიავის ბადეში თამარიც შეიტყუა.

ჯავახიანმა ამცნო რა თამარს შეთქმულთა შესახებ, რომ მეფემ უნდა შეიპყროს ისინი და თავები მოჰკვეთოს, ვითომდაც მათზე „ზრუნვას" ცდილობს. მეფეს „ღალატიაო, მოახსენეს, მაგრამ ვინ ნახა ეგ ღალატი? ეგებ მტრობით იყოს მოგონილი?" ეს ცბიერი კაცი თამარს შთააგონებს, რომ მათი ხსნა და გადარჩენაა ახლა მთავარი. თამარი განსაკუთრებით მწარედ განიცდის უფლისწულ დემნას ხვე-

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 145.

დრს. ყუბარსანმა იქამდე მიიყვანა საქმე, რომ გიორგი მესამის ერთადერთ ასულს, აწ გამეფებულს, თავადვე ათქმევინა, რომ შეთქმულთა შესატყობინებლად მოსალოდნელი უბედურებისაგან თავის დასაღწევად საჭირო იყო სასწრაფოდ და საიდუმლოდ კაცის გაგზავნა. ამან ხელ-ფეხი გაუხსნა ჯავახიანს. ერთგულება შეჰფიცა და თანაც „შეაპარა“: „უნდა გავგზავნოთ ვინმე თქვენის ბრძანებით, თორემ მაგგვარს საქმეს მე არავინ გამიგონებსო“. კაცის შერჩევაზე მიდგა საქმე. ჯავახიანმა წამოსწია შალვა ჯაყელის კანდიდატურა: „მე მგონია, სასახლის ყმაწვილებს ყველას სჯობია თქვენის ერთგულებითა და სიმარჯვით შალვა ჯაყელი! მხოლოდ საჭიროა თქვენგან რამ ნიშანი ვაჩვენო, რომ დამერწმუნოს ესეთს მძიმე მინდობილებაზე“.[1] ურჩია სამხრის მიცემა. თამარი დათანხმდა. თვალთმაქცი მანდატურთუხუცესი ეშმაკურად ჩაიცინებს სამხრის დახედვისას და ხარობს: „კარგადა მაქვს საქმე ჯერჯერობით დაწყობილიო“.

შალვა ჯაყელი პიესის მეორე მოქმედებაში გამოჩნდება პირველად ფიზიკურად, როგორც მესტვირის სახელს ამოფარებული, თანაც ბრმის როლში. იგი გუშაგებს შემოჰყავთ მხარგრძელთან და წავქისელთან, როგორც უბრალო კაცი, ქალამნითა და ძონძებში ჩაცმული. ზაქარია მხარგრძელმა იგი საწყალ არსებად მიიჩნია და ბრძანა გაშვება. თუმცა წასვლის წინ მოსთხოვეს დაკვრა და სიმღერა. მოეწონათ მისი სიმღერა. მხარგრძელმა გამოსცადა მესტვირე, მართლა იყო თუ არა ბრმა. იგი მხარგრძელის სატევარს წააწყდება და „სულ ცოტათი“ დაიჭრება მკლავზე.

აბჯრის ჩხარუნზე მხარგრძელის და წავქისელის გაქცევის შემდეგ „ბრმა მესტვირე“ აღმოჩნდება მოულოდნელად შეთქმულთა ხელში. იგი გაბრიელს გაანდობს საიდუმლოს უკვე არა როგორც მესტვირე, არამედ როგორც შალვა ჯაყელი. გაბრიელი იოანეს, დემნას, ლიპარიტს, ჯაყელს ამცნობს მეფის გადაწყვეტილებას ამირსპასალარის გამოცვლის და აჯანყების ორგანიზატორთა დატყვევების, შემდეგ კი თავების მოკვეთის შესახებ. შალვა ჯაყელის თხოვნით მისი გამოჩენა მათთან მამას არ უნდა გაეგო, „თორემ მხედრებს გამომადევნეს დასაჭ-

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 136.

ერად, აღარ გამიშვებსო და მეფის განდგომა კი არ შემიძლიანო“.[1]

დრამის მეორე მოქმედებაში ვხედავთ შალვა ჯაყელის საუბარს მიაგულთან (ჯავახიანის და). შალვა მეგობრობას ეფიცება ქალს, მიაგული კი მისადმი სასიყვარულო გრძნობებს არ მალავს. ამ დროს მათთან შემოდიან: სოსლანი, მესხი, მხარგრძელი. მიაგული იგავურ სიმღერას მოასმენინებს მათ მზეშაზე, რომელშიც შალვა ჯაყელის სახე იკითხება: „მამას შეატყობინა, თავს უშველა და გავიდა; მზეშა ისევ სასახლეში დაბრუნდა მეფესთან“.[2] ამ ლექსის გამოცანა მეფემ ახსნა უპირველესად. იგი შალვას ეუბნება: „სიტყვები ხომ გაიგე კარგად: „მზეშა, ერთი ყმაწვილი, მეფეს ახლდა თურმე. მისი მამა ორგული ყოფილა მეფისა; მეფეს იმის შეპყრობა სდომებია, მაგრამ მზეშა გაპარულა და შეუტყობინებია... ვიფიქროთ, რომ ეგ ამბავია ჩემი სასახლის... ეს ამბავი მოგავს ჯაყელსა. ფერზედაც ვერ ხარ მთლად უმანკო, ჩემო ყმაწვილო! იქნებ მზეშა შენ იყავ, დამხსნელო შვილო და გაემგზავრე სამშვილდისკენ, სადაც გყავდა მამა!“[3]

გიორგი მესამე წონასწორობას კარგავს, როცა შალვა ჯაყელს გაუხსნიან კაბის სახელოს და დაინახავენ თამარის სამხრეს. მეფე თვითონ ააგლეჯს სამხრეს, თვალს მოაელებს და შეინახავს, შალვას კი ლანძღვით აიკლებს:

„უბედურო, სინიდისის შენ გამყიდველო,
შენ გველის შვილო, შენ პირშაო და თითონ გველო!
სად მოიპოვე ჯოჯოხეთის ესდენ მზაკვრობა,
რომ მოინდომე გამზრდელისა მეფისა მტრობა...
შე ცრუ, მოღალატე, ბოროტო სულო!“[4]

მეფემ მოითხოვა მისი ჩასმა „საორგულო დილეგში“, რომ არ ნახოს ადამიანი, „რომ შორიდანაც არავის მოხვდეს მისი მავნე თვალი, თავსლაფდასხმული, საზიზღარი და ყოვლად მყრალი“. რა შეფასება შეიძლება მიეცეს შალვა ჯაყელის საქციელს? უპირველესად იგი მსხვერპლია ბოროტმოქმედი ჯავახიანის გეგმებისა. მართალია,

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 145.
[2] იქვე. გვ. 152.
[3] იქვე. გვ. 153-154.
[4] იქვე. გვ. 155.

მეფის ერთგულია, მაგრამ ვერც მანდატურთუხუცესის ნებას ადგამს ფეხს. მითუმეტეს, თამარისგან ნდობის ნიშნად ბოძებული სამხრე იმის სრულ უფლებას აძლევდა, რომ გაეფრთხილებინა შეთქმულნი მოსალოდნელი ტრაგედიის თავიდან ასაცილებლად. ჯაყელი არ იყო ჩამწვდარი ჯავახიანის მზაკვრულ ჩანაფიქრს. გულწრფელ მოვალეობად თვლიდა მოცემული დავალების შესრულებას.

„გიორგი მესამის“ მეოთხე მოქმედებაში მკითხველიც განიცდის ზაქარია მხარგრძელის წუხილს მეფის განაჩენის სისრულეში მოყვანის გამო. საუბარია შალვა ჯაყელის სიკვდილით დასჯაზე. მას ესარჩლებიან ზაქარია და შოთა მესხი, ხოლო სოსლანი ინარჩუნებს გულგრილ დამოკიდებულებას, რის გამოც შალვამ იგი შერაცხა „ლაქუც ამხანაგად“ და „ქალაჩუნა რაინდად“. შოთა მესხთან საუბარში მთელი სიგრძე-სიგანით გამოვლენილია შალვა ჯაყელის პიროვნული თვისებები. იგი შოთას დამშვიდობებისას ასე მიმართავს:

„მხოლოდ ორიოდ სიტყვა მინდა, რომ გიანდერძო:
რაიცა მოხდა, რაც ახლა მჭირს, ესე ყოველი
ბრალია ვინმე ჩემი მტერის... საქმეა კერძო!
გარწმუნებ, ძმაო, სიკვდილისა მე არ მეშინის,
ერთისა მხოლოდ მეშინია, ავისა ენის,
რომ ჩემი სვე და უბედობა არ ვის შეეხოს
და სიმშვიდეცა მე სულისა მით არ წამეღოს!“[1]

ქრისტიანული ზნეობის გამოვლენით არის დატვირთული მისი ბოლო სიტყვები: „შეუნდობ ყველას... მასაც, საფლავი ვინც გამითხარა და შენდობასა ვითხოვ მეცა... არ ვარ ჰარამი. არც ვისმეს მტერი!“...

შალვა ჯაყელის სიმართლეს ნათელს მოჰფენს თამარის წერილი მამა-მეფისადმი, სადაც შავით თეთრზე ეწერა, რომ შალვა ჯაყელი მან გააგზავნა შეთქმულთა შესატყობინებლად, რათა სიკვდილისაგან თავი დაეხსნათ.

თამარი ვერ აიტანდა დემნას დაღუპვას („ჩემის მიზეზით, დემნას, ძმას ჩემსა ვითა მოვკლავდი?! ვერ გაუძელი, მომხდარიყო ეგ ცოდვა

[1] გ. შარვაშიძე. ლირიკა. ეპოსი. დრამა, გვ. 165.

დიდი“). თავის წერილში თამარი არწმუნებს მეფეს, რომ შალვას სამხრე თვითონვე გაუგზავნა დასაჯერებლად მისივე გადაწყვეტილებისა. იგი შესთხოვს მამას: „მხოლოდ ისმინეთ თქვენი თამარის ერთი ვედრება: ჩემის მიზეზით ჯაყელი კი ნუ დაისაჯება“. სამაგიეროდ თვითონ ითხოვს დასჯას („მაშა დასაჯეთ თქვენი ქალი, ურჩი და მავნე“). მამამ ირწმუნა შვილის გულწრფელობა და ბრძანა შალვა ჯაყელის სიკვდილის დასჯის შეჩერება, თუმცა გამრეკელმა შალვას ცოცხალს ვერ მიუსწრო, მეფის განაჩენი სისრულეში მოყვანილი აღმოჩნდა. ასე შეეწირა ტარიგად სრულიად უდანაშაულო, მეფის ერთგული შალვა ჯაყელი ჯავახიანის სატანური გეგმების განხორციელებას.

ყუბარსან ჯავახიანი. ყუბარსან ჯავახიანი გიორგი მესამის მანდატურთუხუცესია. გარდა თამარის გამეფების სცენისა, მთელი ნაწარმოები აგებულია მის ხრიკებზე, გაიძვერულ ხერხებზე, ინტრიგულ ხლართებზე, ჯავახიანი იმდენად შენიღბულად მოქმედებდა, რომ გულუბრყვილო მეფე ვერ ხვდებოდა მის მზაკვრულ ხასიათს, ცბიერებას, თვალთმაქცობას, ბოროტსულობას. სამწუხაროდ, ვერ ამჩნევდა. თუ როგორ ხვევდა ინტრიგების ბადეში მის გარემოცვას. მას არც რცხვენია განაცხადოს: „თურმე რა ერთხელ ფეხსა ჩადგამ სიავეში და უკან ვერ იხევ და მიდიხარ შიდა და შიდა“. უბედურება ისაა, რომ ასეთი კაცი სასახლის კარზე სარგებლობს დიდი გავლენით. ბოროტების ცელი უჭირავს ხელში და თავის ნებაზე თიბავს და სცელავს. ასე გაგრძელდა ოცი წელი. დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, რომ მეფეს ერთხელაც ეჭვი არ შეპარვია მის ქმედებაში ამ ხნის მანძილზე.

სწორად შენიშნავს ელგუჯა თაბერიძე: „ყუბარსან ჯავახიანი ტიპიური წარმომადგენელია სასახლის კარზე პირველ კაცად მიღებული ზოგიერთი დიდებულისა, მეფის ნდობით სარგებლობს და რასაც მოისურვებს, ახორციელებს, ვის გაწირვასაც გულში ჩაიდებს, არ დაახანებს“.[1]

დრამის დასაწყისში მკითხველი პირველად ჯავახიანს ხედავს, რომელიც კარებთან დგას და დარბაზში მყოფთ ამცნობს მეფის მობრძანებას. გიორგი მესამე მიმართავს თავის მანდატურთუხუცესს,

[1] ელ. თაბერიძის დასახ. ნაშრომი, გვ. 223.

რათა თამარ დედოფალს გააცნოს ერისთავები. ჯავახიანი ასახელებს მათ. მეფე სხვებთან ერთად შეიტყობს კახეთის, იმერეთის, ოდიშის, აფხაზეთის, სვანეთის ერისთავთა (ამირან ჩოლოყაშვილი, სოლომონ კახაბერიძე, ბედიანი, თათეოზ შარვაშიძე, ბარამ ვარდანიძე) გამოცხადებას. იგი გაკვირვებით კითხულობს თუ რატომ არ ჩანან სამშვილდის, ტაშირის, კუხეთის, ერეთის, კლარჯეთის ერისთავები. მეფის შეკითხვაზე – მიზეზი რამ ხომ არ შემოუთვლიათო, ჯავახიანი მოჭრით პასუხობს: არავითარი, ხელმწიფეო!

თამარის ტახტზე აყვანას მამის სურვილისამებრ ყველა ერისთავმა მხარი დაუჭირა, უკვე სანადიმოდ ემზადებიან. ამ დროს ყუბარსანი მეფეს ყურში ჩასჩურჩულებს სახეზე ჩაბალახმობურვილი მხედრის გამოჩენას, რომელმაც სასახლეში საიდუმლო ინფორმაცია მოიტანა. როგორც შემდეგ ირკვევა, ჯავახიანმა იცის მხედრის ვინაობა, მაგრამ კვალის დასაფარავად გიორგი მესამეს ეუბნება: „ხელმწიფეო! ერთი მოსული ვინმე მხედარი, ჩაბალახმობურვილი, სახესა თვისსა და სახელსა ფარავს, ამბობს კი, ორბელთა დარბაზიდან მოვდივარო და კადნიერობს პირისპირ მეფის ნახვას, გამოსაცხადებლად მძიმეთა რამ საიდუმლო ამბავთა“...[1] ქვეტექსტში იკითხება, რომ მზაკვარმა მანდატურთუხუცესმა ყველაფერი იცის, მაგრამ მეფეს თავს ისე მოაჩვენებს, თითქოს პირველად გებულობს საიდუმლო ცნობას. მხედარმა აუწყა გიორგი მესამეს: „დარბაზში მოხდა წუხელის შეთქმულება, წინააღმდეგ თქვენი დიდებულებისა“.[2]

მეფე მოითხოვს მხედრისათვის ჩაბალახის ახდას. ჯავახიანი მივარდება მხედარს და ჩუმად ეტყვის: „ნუ რარაის გეშინიან, მე აქა ვარ“. ახდის კიდეც ჩაბალახს. ეს შეგულიანება (ნუ გეშინია, მე აქა ვარო) გვაძლევს საფუძველს, ვიფიქროთ, რომ თამარის გამეფებისთანავე მხედრის მოსვლა და შეთქმულთა ამბის მოტანა სწორედ ჯავახიანის მოწყობილია, მის ინტერესებში შედიოდა. მეფის შეკითხვაზე კი, იცნობს თუ არა მეხვაშიადეს, ფარისეველურად პასუხობს: „ვერა ხელმწიფეო“. მხედარმა გაამხილა თავისი ვინაობა, როგორც გვარად

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 131.

[2] იქვე.

ყაითაძემ, ამირსპასალარ იოანე ორბელიანის აზნაურმა. მეფე, როცა შეეკითხება, თუ რამ აიძულა იგი, ელალტა ბატონისთვის, მხედრის პასუხიც არ აყოვნებს: „იმან, ხელმწიფეო, რომ ჩემი ბატონი აპირებს ულალატოს ქვეყნის ბატონსაო“. ჯავახიანს მოეწონება ეს პასუხი და თავისთვის ჩაილაპარაკებს: „ვაშა! არა ხუმრობს!“

გიორგი მესამე ყუბარსანს ავალებს სარგის მხარგრძელის (ტაშირის ერისთავი) და მსახურთუხუცესის (თადეოს გამრეკელი) დაბარებას. მათთან ოფიკალის გაგზავნისთანავე მანდატურთუხუცესი მიუბრუნდება მეფეს, რათა კიდევ უფრო ძლიერად „დაქოქოს“, ცეცხლზე ნავთი დაასხას: „ხელმწიფეო, ძნელი მოსახსენებელია ისეთი კაცის ღალატი, რომელსაც თქვენი წყალობა უხვად აჯილდოებდა, მაგრამ ხმა გახლავთ ეგრეთი სამწუხარო, ვითომც ორგულობასა თქვენსა სჩადიოდენ! ერეთისა და კლარჯეთის ერისთავნი, რომელნიც დღეს აქ არ გახლდენ, ისინიც დარბაზში ყოფილან მოწვეულნი და სხვებიც კიდევ. ამის მოხსენება ადრეც მინდოდა, მაგრამ ვერ გავბედე, რადგან ბეჯითი არა ვიცოდი რა!“[1]

მეფემ ჯავახიანს დაავალა ყაითაძის ჩაბარება შინაურებისათვის, რათა არსად წასულიყო. ხელმწიფის გასვლის შემდეგ ყუბარსანი მოუბრუნდება მხედარს: „აბა, ყმაწვილო, კიდევ სხვა რა სთქვეს დარბაზში?“ ყაითაძე პასუხობს: „სთქვეს, რომ ზეგისთვის დაბარებული ვარ სრასა და უნდა წავიდეთო! მე კი დღეს დილითვე გამოვეშურე, როგორც თქვენი ბრძანება მქონდა“.[2] დავაკვირდეთ გამოთქმას: „როგორც თქვენი ბრძანება მქონდა“. გამოდის, რომ მანდატურთუხუცესმა წინასწარ იცოდა ავკანყების მზადების თაობაზე, ხოლო მხედარი ყაითაძე წინასწარ ჰყავდა გაფრთხილებული, რათა ეს ამბავი სასახლეში გაეხმოვანებინა და გიორგი მესამისთვის ჩაეშხამებინა შვილის გამეფებით გამოწვეული საზეიმო განწყობილება. იგი ემადლიერება ყაითაძეს: „არ დავივიწყებ შენს სამსახურსო“.

ჯავახიანმა მოსასვენებლად გაისტუმრა მხედარი. ფიქრების ამარა დარჩენილი სიხარულს ვერ მალავს:

---

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა. გვ. 131.

[2] იქვე, გვ. 134.

„აბა, ახლა ჩვენ საქმე ჩვენი გამოვიკვლიოთ,
დაუხედავად თავზე ჭირი არ დავიხვიოთ!
პირველ საშიში იყო დემნა, მაგრამ ბედკრულსა
აქ მოიყვანენ ხვალვე ხომ მას, ხელფეხშეკრულსა!
დამრჩა სოსლანი... მაგრამ ისიც ვერ გაიხარებს.
მე კი შესმენით ეჭვს ჩავუგდებ თამარზე გულში,
რომ დედაკაცის ასაკია მეფის ასულში,
რომ მთავრის ძესა, ყმაწვილს შალვას თამარი სწყალობს
და ისიც მაზედ, ვით ბულბული ვარდზედა გალობს".[1]

დამოწმებული სტროფები გვაკვალიანებს, რომ ყუბარსანს ნიშანში ჰყავს ამოღებული დემნა ბატონიშვილი და დავით სოსლანი. გახარებული ელოდება სასახლეში ხელფეხშეკრული უფლისწულის მოყვანას. როცა ის იტყვის: „პირველ საშიში იყო დემნა", ხომ არ ვიფიქროთ, რომ გიორგი მესამის წინააღმდეგ აჯანყების მოსახდენად შეთქმულება თვითონ ყუბარსანის პროვოცირებული იყო სასახლის კარზე ვითარების დასაძაბავად. იქნებ იგი თამარში ხედავდა დიდ სულიერ სიმტკიცეს და ენერგიას, გიორგი მესამისაგან განსხვავებით, ამიტომაც შესაძლოა არც აწყობდა თამარის გამეფება. ან ვითარების გამწვავება მისი სულიერი მოთხოვნილება და სიამოვნება იყო. ხოლო სოსლანის გასამწარებლად სიავის გეგმას ადგენს: დასმენით ეჭვი ჩააგდოს სოსლანისა და თამარის სიყვარულში . თითქოს გიორგი მესამის ასული შალვა ჯაყელსაც სწყალობდეს. რატომ მიიჩნია „პირველ საშიშად" დემნა? ცხადია, იმიტომ, რომ დემნა ბატონიშვილის გამეფებისთანავე ეშინია მანდატურთუხუცესობის დაკარგვისა. რატომ სურს სოსლანის გაუხარებლობაც? („დამრჩა სოსლანი, მაგრამ ისიც ვერ გაიხარებს"). მას ეწინააღმდეგება შეგნებულად: უშუალოდ თამარის გამეფების შემდეგ ეშინია სოსლანის აღზევების, სასახლის კარზე მისი პოპულარობა გულზე კბენს. მისთვის მიუღებელია მეფის გარემოცვაში ძლიერი პიროვნებანი, თუნდაც თამარზე შეყვარებულიც კი. სჯერა, რომ გიორგისა და თამარის თანამეფობის პერიოდში შეინარჩუნებს მეფის კარზე გავლენას, ხოლო გიორგის შემდეგ ტახტზე მარტო დარჩენი-

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 135.

ლი თამარისთვის სოსლანის გვერდში ამოდგომა ჩაუშლის მზაკვრულ გეგმებს. ეტყობა, ის სოსლანში ხედავს განსაკუთრებულ ძალას და გონებაგამჭრიახობას. დრამაში არ ჩანს, რომ დავით სოსლანი და თამარი მეუღლენი არიან, მხოლოდ იგრძნობა მათი ურთიერთსიყვარული, რომლის ქორწინებით დაგვირგვინებას თითქმის არაფერი აკლდა. ჯავახიანი დარწმუნებულია, რომ სასახლის კარზე სოსლანის აღზევებისას იგი ვერ შეძლებდა ბოროტ განზრახვათა ხორცშესხმას, ამიტომაც ეჯავრება სოსლანი და ყოველმხრივ ცდილობს თამარისა და სოსლანის სიყვარულის გზაზე შავი კატის გადარბენინებას, მათი სიყვარულის ალის სიავის წყლით ჩაქრობას.

რუსუდანი, თავის ძმასთან, გიორგი მესამესთან შედარებით, ამჩნევს ყუბარსან ჯავახიანში ორგულობის ნიშნებს და არც უმალავს კიდეც: „შენ როგორღაც ერთგულებაშიც გებნევა კვალი“. ამიტომაც არ სურს უშუალოდ მას გაუმხილოს მეფის განრისხების მიზეზი. იგი დაიმარტოხელებს თამარს და მოახსენებს: „ხელმწიფეს მოუვიდა ამბავი, რომ იოანე ორბელიანი აჯანყებას აპირებს, რათა თავისი გაზრდილი, უფლისწული დემნა დასვას ტახტზე. ამისათვის მეფემ ლაშქარი გაგზავნა დასაჭერად ორგულთა და დაიჭერენ რა, თავები უნდა დაჰკვეთონ“.[1] მეფის ასულმა მწარედ განიცადა მოსმენილი ავისმომასწავებელი ამბავი:

„კაცთმოყვარეო, მეუფეო რა მესმის ესა!
გაოცებითა და შიშითა ვერ ვიღებ სულსა...
მეფისა ზრუნვა ვით დაბადებს ისეთს მიზეზსა,
რომ მან სიკვდილი მიუსაჯოს თავის ძმისწულსა!“[2]

ჯავახიანი თამარს ვითომ შეაცოდებს შეთქმულების მონაწილეებს და ამას იმიტომ აკეთებს, რომ ავი ჩანაფიქრი განახორციელოს. ზემოთ ვაჩვენეთ თუ როგორ ხარობდა იგი „პირველ საშიში“ დემნას სასახლეში ხელფეხშეკრულის მოყვანის მოლოდინში. ახლა კი ისინი თურმე საცოდავები გამხდარან მისთვის. ვითომ რომ იცოდნენ მოსალოდნელი უბედურება, თავს შეაფარებდნენო სადმე მეფის გუ-

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 136.

[2] იქვე.

ლის მოლბობამდე, იქნებ ღალატი მტრების მოგონილი იყოსო: „რომ იცოდნენ ახლა საცოდავებმა, ცოტა ხან სადმე თავს შეაფარებდნენ და შემდეგ ბატონსაც გული მოულბებოდა! ღალატიაო, მოახსენეს, მაგრამ ვინ ნახა ეგ ღალატი? ეგებ მტრობით იყოს მოგონილი?“[1] ამ გაიძვერა მანდატურთუხუცესმა, როგორც ვნახეთ, ისე მოაჩვენა თავი თამარს, თითქოს გულშეძრული იყოს შექმნილი ვითარებით, ანატრებინა დედოფალს ისეთი ვინმე, ვინც აცნობებდა შეთქმულთ მეფის გადაწყვეტილებას, რათა თავს უშველონ ბედკრულებმა: სწორედ ეს უნდოდა ამ ფარისეველს: „მწყალობელო ჩემო, ნუ იქნებით ეგრე შეწუხებული; თქვენს დიდებულს წმინდა სულს ნუ დაჩრდილავთ ჯერ ზრუნვითა, მიბრძანეთ, რაც გნებავთ... მიბრძანეთ შეუძლებელი... აღვასრულებ და მით დაგიმტკიცებთ, რომ ყუბარსან ჯავახიანისთანა ერთგული თქვენ არავინ გახლავთ“...[2]

როგორც კი შეატყო თამარის ნდობის მოპოვება, შეაპარა კიდეც: „უნდა გავგზავნოთ ვინმე თქვენის ბრძანებით, თორემ მაგგვარ საქმეს მე არავინ გამიგონებს“. თამარმა მზადყოფნა გამოთქვა, თანაც დაეკითხა ყუბარსანს, ვინ უნდა გაეგზავნათ. მისი სურვილიც ეგ იყო, საქმე ამ შეკითხვამდე მისულიყო, პასუხი, ცხადია, წინასწარ ჰქონდა გამზადებული: „მე მგონია სასახლის ყმაწვილებს ყველას სჯობია თქვენის ერთგულებით და სიმარჯვით შალვა ჯაყელი! მხოლოდ საჭიროა თქვენგან რამ ნიშანი ვაჩვენო, რომ დამერწმუნოს ესეთს მძიმე მინდობილებაზე“.[3] თამარი ადვილად შეიტყუა დაგებულ ხაფანგში. იგი დათანხმდა სამხრის ბოძებაზე. ჯავახიანს ეშმაკური ჩაცინვით უხარია, რომ „კარგადა აქვს საქმე ჯერჯერობით დაწყობილი“.

ფარისეველი მანდატურთუხუცესი, საკუთარი თავის წინაშე მარტოკა დარჩენილი, ორჭოფობს, მართლა გაგზავნოს თუ არა შალვა ჯაყელი აჯანყების ინიციატორებთან; ვაითუ გაძვრეს და მათ ამცნოს ეს ამბავი. ისინი თავს უშველიან, რაც არ აწყობს ყუბარსანს, თუმცა, თავს იმით იმშვიდებს, რომ გზები შეკრულია და ამას ჯაყელი ვერ

---

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 136.

[2] იქვე, გვ. 136.

[3] იქვე.

შეძლებს. ამ ფიქრებში მყოფთან შემოდიან დავით სოსლანი, შოთა მესხი და ზაქარია მხარგრძელი. მესხი დაწყებულ ლექსს ასრულებს: „ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა“.

ჯავახიანმა ეტყობა იგრძნო ამ ლექსის შინაარსის მაჯისცემა და არ დაიბნა: „დიდი საქმეა, სწორედ მოგახსენებთ, ამდენი შაირების წერა!“... არც მესხი ჩამორჩა პასუხში: „სახელმწიფო საქმეებს ჩვენ არ განვაგებთ და მხოლოდ ლექსებსა ვწერთ“. ყუბარსანი: „რა უშავს: ერთი მეორის ოდენი საზრუნავია“. სოსლანი მიუხვდა ჯავახიანის ყოფნას კბენის გუნებაზე და სხვებსაც მოუწოდა თავის დანებებისკენ. მხარგრძელი მაინც თავისას არ იშლიდა სიცილის თანხლებით: „არ მიკბინოს, თორემ კბილებს ჩაიმტვრევს“. ჯავახიანმა გააცნობიერა ყოველივე ამის ოხუნჯობის ფარგლებიდან გაღწევა და წყენით იტყვის: „ეგ რა ოხუნჯობაა, ყმაწვილებო?“ მხარგრძელმა დაარწმუნა მის სიმართლეში: „ოხუნჯობა კი არა და — მართალია. დღეს მივდივარ ლაშქრად და ჯავშანი მაცვია, თუ მიკბენთ, კბილები გეტკინებათ“, — სიცილით დაასრულა. საუბარში მესხიც ჩაერთო: „ჯავშანი საკბენად გემრიელი არ უნდა იყოს“. ამ დიალოგებიდან ირკვევა, რომ მოსაუბრენი მიმხვდარი არიან მანდატურთუხუცესის მზაკვრულ გუნებას და თვითონაც აგრძნობინებენ ამას.

ამ საუბარში სოსლანმა შენიშნა, ჯავახიანი ზურგს უკან რაღაცას მალავდა. იგი დაპირდა, რომ ანახებდა, ოღონდ ერთი პირობით... ეს სხვებს არ უნდა გაეგოთ. როცა სოსლანმა იხილა თამარის სამხრე, გულზე შემოეყარა და გაუკვირდა თუ როგორ აღმოჩნდა ის ყუბარსანის ხელში. მისი ფარისევლობა კულმინაციამდე ადის: „თვითონ მიბოძა, მაგრამ ისეთ მდგომარეობაში ვარ არ ვიცი რა წყალში ჩავვარდე!.. ბატონიშვილო!.. ერთი რამ მირჩიეთ, ვითარცა თქვენს ერთგულს: ეგ სამხრე მიბოძა და მიბრძანა საიდუმლოდ გადავცე შალვა ჯაყელს, არ ვიცი როგორ მოვიქცე!.. უარი მეთქვა? აბა, როგორ გამებედნა! მეც როგორღაც დავიბენი!“[1]

დავაკვირდეთ ამ სიტყვებს, თუ როგორ ცდილობს ეს არაკაცი ფსიქოლოგიურ შოკში ჩააგდოს სოსლანი, კიდევ უფრო გაუძლიეროს

[1] გ. შარვაშიძე. ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 138.

ეჭვი თამარის დამოკიდებულებისა შალვა ჯაყელისადმი. ეს ბოროტების მახე ისეა დაგებული, რომ მასში გაბმა არ აცდება ნებისმიერ ადამიანს, მითუმეტეს – სოსლანს: „რა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს ასეთ ძღვენს თამარისაგან ჯაყელისადმი?“

სოსლანი თითქოს გაერკვაო სიტუაციაში, ამაყად ეტყვის ყუბარსანს: „მე მგონია, რადგანაც მიიღე ეგ მინდობილობა, კიდევაც უნდა აღასრულო. ჩემზე კი იყავ დარწმუნებული, არამც თუ ვინმეს ვუამბო, ვეცდები სრულიად დავივიწყო ეგ შემთხვევა, მხოლოდ ვწუხვარ, რომ ღაღობით გაიძულე ამის გამჟღავნება“.[1] ეს არ იყო ნაძირალა კაცის მიმართ ფარისევლური პასუხი, არამედ ბრძნული გადაწყვეტილება. ასეთ ვითარებაში უკეთესს ვერ მოიფიქრებდა კაცი. სოსლანი, მხარგრძელი და მესხი როცა დაცილდნენ ჯავახიანს, ამ უკანასკნელმა დაცინვით გააყოლა თვალი. ამ დაცინვაში, როგორც სარკეში, კიდევ ერთხელ ნათლად გამოჩნდა მისი მზაკვრული სულიერი სახე.

„გიორგი მესამის“ მეოთხე მოქმედების დასაწყისში ინტრიგის კიდევ ერთ ახალ ქსელს ქსოვს ჯავახიანი, ეშმაკის ახალ ბადეს ამზადებს მსხვერპლის გასახვევად: გიორგი მეფის სახელით თვითონ ადგენს სიგელის ტექსტს, რომელსაც მეფისავე სახელით აწერს თვითონვე ხელს. გარკვეული მიზნით მთლიანად დავიმოწმებთ მას: „ჩვენ, მეფეთ მეფემან, სოლომონიან-დავითიან-ბაგრატოვან, ძემან მეფისა დიმიტრისა ქველისამან, გიბოძეთ ამა შეწყნარებისა წერილი მას შინა, რაიცა ოდენ ორგულობასა ჩვენსა და ქვეყანაისასა ვწამობდეთ სეფისწულსა დიმიტრის და მხლებელთა მისთა თავადთა და აზნაურთ მოჯანყეა არნ, რომელნიცა იმაგრიან თავთა ციხესა ლორისასა, უკეთუ ნებითა მათითა წარსდგებიან წინაშე ჩვენსა, მიუტეოთ ესე ცდომანი, მათნი და შეუნდოთ, აწ რამანცა ძემან ანუ ასულმან კაცისამან, სამღვდელომან ანუ საერომან, ძლიერმან ანუ მცირემან, დაშალოს ანუ წაჰყვედროს წყალობის პირობაი ჩვენი ესე, ისიმც შეიშლების სჯულისაგან ქრისტეისა, მას რისხავს, მამა, ძე და სული წმინდა, წაცაედების კეთრი გეზისი, ძრწოლა კაენისი და წყეულიმც იქნების შვიდთა მსოფლიოთა კრებათაგან. ხოლო დამამტკიცებელი წერილისა

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 135-139.

ამის იკურთხოს აწ და მარადის. ამინ. ხელს ვასობ მეფე ქართლისა, ივერთა ხელმწიფეო გიორგი“.[1]

ამ წერილის ანუ სიგელის შედგენით ჯავახიანის თავხედობა ზენიტს აღწევს. აქედან ირკვევა, რომ მანდატურთუხუცესი მეფეს თავზე აზის, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. იგი ამდენს ბედავს ხელმწიფის სისუსტისა და გულუბრყვილობის გამო. სარგებლობს რა განუზომელი გავლენით მეფისა და მის გარემოცვაში, რასაც ჩაიფიქრებს, იმას ახორციელებს. ისე ჰყავს გაბრუებული ხელმწიფე მზაკვრობის თრიაქით, რომ იგი ვერაფერს ატყობს ავს — მანდატურთუხუცესს.

ჯავახიანმა წაუკითხა რა ეს წერილი გაბრიელ-ბერს, დაავალა მისი ჩატანა შეთქმულთა ბანაკში. თანაც ურჩია სიგელის მათთვის გაცნობისთანავე უბეში შენახვა, ვინაიდან ის სხვასთან არ უნდა დარჩენილიყო. ამასთანავე, ყუბარსანის რჩევით, გაბრიელს შეთქმულთათვის უნდა აეხსნა, რომ ძმისშვილის შეცოდების გამო შეიბრალებს სხვებსაც, „არ დაიყბედონ, შევაშინეთ ჩვენი მეფეო!“ ამით ეს ეშმაკის განსახიერება ვითომ მეფის პრესტიჟის და ავტორიტეტის დაცვას ცდილობს გაბრიელის უფრო დასარწმუნებლად:

„აი, მამაო! გახსოვდეს კი ესე სიგელი:
სულ თანა გქონდეს, ვინიცობა არ მოიშორო,
ე, მანდ, უბეში შეინახე ერთი საშველი,
სიკვდილ-სიცოცხლის ეგ საბუთი ძლივს მიშოვნია“.[2]

ყუბარსანი გაისტუმრებს რა გაბრიელ-ბერს, თავისთან მიიხმობს ყაითაძეს, გაბრიელ ბერზე გაუბამს საუბარს, დიმიტრის ლალაზე, მას დაუხასიათებს ჯაშუშად და აეშაგად. ყაითაძეს სამღვდელო პირის ჯაშუშობა ვერ წარმოუდგენია და გაკვირვებას ვერ მალავს. ჯავახიანი აგრძელებს საუბარს ყაითაძესთან გაბრიელ ბერზე: „ყური დამიგდე კარგად! ეს კაცი აეშაგია, ძლიერ მავნებელი, იქითაც არის და აქეთაც, მეფემ მიბრძანა, ჩემი ძმისწული დიმიტრი გამომიყვანე ციხიდან როგორმეო და იმ ბერს წერილი მივეცი“.[3] ყუბარსანის ნათქ-

[1] გ. შარვაშიძე. ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 139.
[2] იქვე, გვ. 160.
[3] იქვე, გვ. 161.

ვამი წინააღმდეგობრივი აზრის შემცველია. თუ გაბრიელ-ბერი ჯაშუში, აეშაგი და მავნებელია, იქითაც არის და აქეთაც, მაშინ როგორ უშვებს ასეთ კაცს სიგელით ხელში შეთქმულებთან? მაგრამ არა, იგი განგებ ახასიათებს ბერს უარყოფითად, რომ ყაითაძე დაარწმუნოს გაბრიელისადმი ასეთ დამოკიდებულებაში და განახორციელებინოს თავისი ავი ჩანაფიქრი.

ყუბარსან ჯავახანი ყაითაძეს ავალებს გაბრიელ-ბერისთვის სიგელის წართმევას, იარაღიც რომ დასჭირდეს, არ მოერიდოს, თანაც პირზე უნდა აიფაროს, რომ არ იცნონ. ყაითაძეც გაისტუმრა და მარტო დარჩენილი მძიმე ფიქრებშია:

„თურმე რა ერთხელ ფეხსა ჩადგამ სიავეში და,
უკან ვერ იხევ და მიდიხარ შიდა და შიდა,
როგორც საფლობში, ძირს, ძირს, ახ! არ არის დრო
აწღა მაგაზე სჯა-ფიქრისა, უნდა ვიკადრო
ორში ერთი! ან თავი წამჭრან მე ხბოსავითა,
ან გავიტანო დაწყებული კვლავ სიავითა“.[1]

ამის შემდეგ ჯავახიანს ვხედავთ თხზულების იმ ეპიზოდში, სადაც მეფე გამოდის კარავიდან და როცა დაინახავს დემნას, ყურს უგდებს მის ლექსს. სწორედ მას ახლავს თან ყუბარსანი, წავქისელი, ორი მხედარი და სოსლანი. გიორგი მესამე მიმართავს მანდატურთუხუცესს: არ დამავიწყდეს, ლაშქრის მღვდელსა უნდა შევუთვალო:

„ტყვეთ გადუწყდებათ რა სასჯელი, ლოცვად დარეკოს
და შეაბრალოს მათი სული ზეცად უფალსა,
დამნაშავეთა ზეციერთა ის განასვენებს,
ჩვენ ცოდვილნი კი — განცავაგებთ მხოლოდ ქვეყნიურს.
ხამს ვილოცვიდეთ, მოგვიტეოს ჩვენცა ცოდვანი“.[2]

ჯავახიანი თავს დაუკრავს მეფეს, მივა მხედართან და მეფის ბრძანებას გადასცემს. მხედარი გადის. მეფესთან გამოცხადებულ დემნას თავიდანვე სასტიკად მოექცა ბიძამისი, ირწმუნა აჯანყების მოთავეობა, არ სჯერა მისი სიტყვებისა: „წინააღმდეგი თქვენი არა ვარო“.

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა. ეპოსი. დრამა, გვ. 162.
[2] იქვე, გვ. 167.

ხელმწიფე ჯავახიანს ავალებს, ჩააბაროს დასაჭურისებლად დემნა.

მხედრების მიერ დაჭრილი გაბრიელ-ბერის მეფესთან მოყვანისას გაირკვევა, რომ მანდატურთუხუცეს ჯავახიანს გადაუცია მისთვის სიგელი. ეს ის წერილია, რომელიც მაცდურად ყუბარსანმა შეადგინა მეფის სახელით. გამწყრალი გიორგი შეხედავს მას. ის კი, თითქოს არაფერი მომხდარიყოს, მეფეს აჯერებს, რომ ბერი სიზმარშია და ბოდავს. გაბრიელი სიგელს მეფეს გაუწოდებს, რომელიც ჯავახიანმა ხელიდან ააცალა და ცეცხლში დაწვა. ხელმწიფის მოთმინების ფიალა აივსო: „რას შერები, შენ, ავაზაკო და უსირცხვილო? საბუთსა წვავ?“ ამ მომენტმა აუხილა თვალები მეფეს. ამჯერად პირველად ირწმუნა მისი არაკაცობა და ფარისეველობა:

„დაჩუმდი, ყბედო, ნუ ლაქლაქებ, თორემ იცოდე
წაგჭრი შხამიანს მაგ შენს ენას! როგორ გაბედე,
რომ ხელთ წარმტაცე წერილი და ცეცხლში დასწვი?
ვისგან მიიღე ეს უფლება, შე ავაზაკო?“[1]

ჯავახიანმა იგრძნო, რომ მის ავკაცობას და შენიღბულ ფარისევლურ ქმედებებს ფარდა აეხადა, ნიღაბი ჩამოეხსნა და გაშიშვლდა. მიმხვდარია შავი დღის დადგომას, რომელიც ოცი წლის მანძილზე უგროვდებოდა. ფსიქიკურ შოკშია ჩავარდნილი, თუმცა მამაძაღლური მეთოდით მაინც ცდილობს შექმნილი სიტუაციიდან თავის დაძვრენას:

„ჩემო ხელმწიფევ, დღეს შავი დღე, ჩანს, გამითენდა!
ჩემი ოცი წლის სამსახური და ერთგულება
თქვენ თითონ უწყით; თავის ქება მე რაღად მინდა!
დღეს ერთსა წამში, ეს ნასარჯლი და თქვენი ხლება
და ყველა ჩემმა სასოებამ სულ ჩაიარა.
უცნობის ვისმეს, უგვარტომოს კაცის სიტყვითა
ავაზაკობას მე მწამებთ“.[2]

ყუბარსანი ვინმე უცნობს და უგვარტომოს უწოდებს იმ გაბრიელ ბერს, ვისი ერთგულების სჯეროდა შეთქმულებთან სიგელის მისატანად („შენ... დიახ, შენა! გერწმუნები მარტოკა შენა!). ჯავახიანის

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 169.
[2] იქვე.

სიტყვებმა კიდევ უფრო განარისხა ქვეყნის ხელმწიფე და დაარწმუნა, რომ უკვე ვერ მოატყუებს მას მანდატურთუხუცესი. ყუბარსანის თავზე დაგროვილი შავი ღრუბლები უფრო დამძიმდა, როცა გაბრიელ ბერის შემდეგ ავაზაკობაში იგი ამხილა მეფის წინაშე ყაითაძემ. ჯავახიანი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ არ არსებობდა ხსნა და საშველი. ეს მაშინ, როდესაც მას გიორგი მესამემ „შავი სული“ უწოდა: „შემიძულეთ, ვხედავ, არ მაქვს საშველი, რაც გარდამხდება, ბარემ მოვრჩე და გათავდება. ხოლო განბასრვა ჩემი ესდენ... არ გეკადრებათ“.[1]

ბოლო სიტყვებმა თამარის მამა კიდევ უფრო აღაშფოთა: „არ მეკადრება? გაუპეთ თავი მაგ სატანის შვილს, წათსა და თოკს არ შევკადრებ!.. გაუპეთ თავი!“[2] მეფის განაჩენი სისრულეში იქნა მოყვანილი. მესხი და ზაქარია იშიშვლებენ ხმალს და მიოახტებიან. ჯავახიანიც იშიშვლებს ხმალს. ბრძოლა დიდხანს გაგრძელდა. ბოლოს ჯავახიანი უგრძნობლად დაეცემა ძირს. გაიძვერა მანდატურთუხუცესის სამარცხვინო სიცოცხლე დასრულდა ისე, როგორ უნდა დამთავრებულიყო. ავსიტყვიანი, ავსაქმიანი მანდატურთუხუცესისაგან განიწმინდა სასახლის კარი და მეფის გარემოცვა. ეს მწარე გაკვეთილები ჭკუის სასწავლებელი უნდა ყოფილიყო გიორგი მესამისათვის და სამომავლოდ თამარ მეფისთვისაც.

მიაგული. მიაგული ჯავახიანის და არის, ქვრივი, იგი მონაწილეობს პიესის მესამე მოქმედებაში. მას პირველად ვეცნობით დრამის დასაწყისში დედოფლის უკან მდგომ სხვა ბანოვანებთან ერთად. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი მეფის გარემოცვაში მიღებული პიროვნებაა. შემდეგ კი მეფის აგარაკში, ტაბახმელაში შალვა ჯაყელთან ერთად. მოქმედების პირველივე სტრიქონიდან გვაგრძნობინებს ავტორი მიაგულის გამიჯნურებას ჯაყელზე. ეს უკანასკნელი კი მას მეგობრობის გრძნობით პასუხობს. ეს მიაგულს მოსვენებას უკარგავს: „ამაზე იქით აღარ მიდის თქვენი გრძნობა! მაშ, რად მატყუებდით; რისთვის ჩამცქეროდით თვალებში! უჩემოდ ნადიმად არ ჯდებოდით; უჩემოდ არ მღეროდით, არ იცინოდით. ყოველი თქვენი ხელობა და ცუღლუტობა

[1] გ. შარვაშიძე. ლირიკა. ეპოსი, დრამა, გვ. 173.

[2] იქვე.

არ დაგიკლიათ!.. რად მატყუებდით აგრე უსინდისოდ?.. შალვა, შალვა! მე თქვენ დამღუპეთ, წარმტაცეთ სულის სიმშვიდე. არც მე დაგზოგავ! ახლა აღარაფერი დამრჩენია ცხოვრებაში".[1]

ამ სიტყვებში ნათლად იკითხება, რომ მიაგული ჯავახიანის შესაფერისი დაა. რამდენად ვირწმუნოთ ამ ქვრივი ქალის გულწრფელობისა შალვას სიყვარულის მიმართ. ქვეტექსტში იგრძნობა, რომ მას სურს ჯაყელის გაბმა თავისივე ნების მახეში, რასაც შალვა მიმხვდარია და მეგობრობის შეფიცვით იცილებს მის ენებათაღელვას. მათ შორის დიალოგს წყვეტს სოსლანის, მესხის და მხარგრძელის გამოჩენა. ამასობაში მიაგული ჩონგურზე უკრავდა. შემოსწრებულნიც მის სიმღერას ხმას ააყოლებენ. სოსლანის შენიშვნაზე შალვას მიმართ თუ რატომ არ მღერის, მიაგული დაცინვით აგრძნობინებს მას, რომ შალვა ჯაყელი ტრფობის სიმღერას არ თანაუგრძნობს. ამით ქვრივი ქალის მხრიდან თითქოს მინიშნება ხდება შალვას გულის სხვა ვიღაცისადმი ტრფობის კუთვნილებისა, რათა სოსლანში კიდევ უფრო გაღვივდეს ეჭვი (საუბარია თამარზე შეყვარებულ სოსლანზე).

დამსწრეთ მიაგული გამოცანას ეტყვის ლექსად:

„გამოცანას მოგახსენებთ, დიდი არაფერია,
უგრძნობელი ქვრივითა ერთი სულიერია,
დღით ეწყობა რაინდივით, ღამით კი მესტვირეა,
მგლებთან იგი საქმეს იჭერს, მაგრამ ცხვრებსაც ერია".[2]

ამის მომსმენმა შალვა ჯაყელმა იმთავითვე „ამოხსნა" გამოცანა, მასში საკუთარი მეობა წაიკითხა და გაოცებისგან თავს ვერ იკავებს. აქედან ის აზრი გამოსჭვივის, რომ მიაგული თავისი ძმის, ყუბარსანის, გულის მესაიდუმლეა. იგი საქმის კურსშია ჯავახიანის მიერ თამარის სამხრით შეთქმულთა ბანაკში შალვა ჯაყელის გაგზავნისა.

ერთობ მაცდურია მიაგულის მიერ საუბრის გაგრძელება სოსლანთან. მის დამცინავ სიტყვებში ძმის სული ქრის. მათ შორის დიალოგი წყდება მეფის მოსვლით, რომელსაც ახლავან ჯავახიანი და გამრეკელი. ხელმწიფემ მიმართა მიაგულს ჩონგურზე დაკვრის გასაგრ-

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 149.
[2] იქვე. გვ. 150.

ძელებლად. მიაგულსაც თითქოს ეს უნდოდაო, სათქმელს გამოცანურ სიმღერაში აქსოვს:

„ყმასა ერთსა მზეშა ერქვა, მზე შინა და,
მზეშა თურმე მეფეს ახლდა, სასახლესა გაიზარდა,
მზეშას მამა მტერი იყო ქვეყნის თურმე, მეფისა და;
მეფემ ესა შეიტყო რა, განრისხდა და გაგულისდა.
სპას უბრძანა, გააგზავნა, შემიტყვეთო მტერი სადა.
მტრისა თავსა აღარ ედო ხანი გრძელი, არცა ვადა.
მზეშამ რაკი ეს გაიგო, გაიპარა და წავიდა“.[1]

მეფე ჩააფიქრა ამ სიმღერამ, შალვა კი გულში ჩაიხედავს: „რას მოჰყოლია ეს შეჩვენებული?“ მიაგული ასე დაასრულებს სიმღერას: „მამასა შეატყობინა, თავს უშველა და გავიდა; მზეშა ისევ სასახლესა დაბრუნდა მეფესთან და, აგრე მოხდა ეს ამბავი მზეშაო და მზეშინადა“.

გიორგი მესამემ მოსთხოვა მიაგულს სიმღერაში ჩამალული საიდუმლოს ახსნა, შალვა ჯაყელი კი თავისთვის ჩაილაპარაკებს: ყველაფერი სცოდნია: მღუპავ, ყუბარსან, მაგრამ შენ რაღას აპირობ?“ ამით მას განუმტკიცდა აზრი, რომ ჯავახიანს ყველაფერი დისთვის აქვს გამხელილი. ყუბარსანი მიუბრუნდება მიაგულს: „დაო ჩემო! დიდი დანაშაული ხარ, რომ ხელმწიფის წინაშე სოფლის უაზრო სიტყვებსა და სიმღერას მოჰყოლიხარ“. მიაგული უკან დაიხევს და კრძალვით გადის. მეფე კი შალვა ჯაყელს უმტკიცებს, რომ „ეგ ამბავია ჩემი სასახლის. ისეთი მზეშა მე ვინ მახლავს, რომლის სახლისკაცი ვინმე, ვთქვათ, მამა გინდ ძმა ჩემი მტერია?.. ეს ამბავი მოგავს ჯაყელსა, ფერზედაც ვერ ხარ, მთლად უმანკო, ჩემო ყმაწვილო! იქნებ მზეშა შენ იყავ, დამხსნელო შვილო და გაემგზავრე სამშვილდისაკენ, სადაც გყავდა მამა“.[2]

ამდენად, მიაგული თხზულების მხოლოდ ერთ ეპიზოდში გამოაჩენს სახეს, მაგრამ შთამბეჭდავად. მან თავისი საქმე გააკეთა — ხელმწიფეს გაუჩინა ეჭვი შალვა ჯაყელის მიმართ იგავური სიმღერის

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა. ეპოსი. დრამა, გვ. 152.
[2] იქვე, გვ. 154.

წყალობით. ერთი სიტყვით, განხეთქილების მომასწავებელი ვაშლი ჩააგდო მათ შორის, რასაც მისი ძმის მცდელობაც ემსახურებოდა.

თადეოს გამრეკელი. თადეოზ გამრეკელი მეფის სასახლეში მსახურთუხუცესია. მის სახეს დრამის დასაწყისშივე ვხედავთ. თამარის ტახტზე აყვანის შემდეგ გიორგი მესამე გამრეკელს ეკითხება: „მოსულ არიან დღეს მოწვეულნი ნადიმობასა?“ გამრეკელი იმთავითვე უდასტურებს: „დიახ, მეფეო!“ შემდეგში კი სასახლეში უსიამოვნო ამბის მოსვლისას შეთქმულთა საქციელზე, ხელმწიფე თავისთან იხმობს სარგის მხარგრძელს და მსახურთუხუცეს გამრეკელს. ისინიც უმალვე მასთან გაჩნდებიან. ამის მერე პიესის მესამე მოქმედებამდე მსახურთუხუცესი არ ჩანს. აქ კი მას ვხედავთ გიორგი მესამესთან და ჯავახიანთან ერთად ტაბახმელაში, მეფის აგარაკში. აქ ის გამოესარჩლა შალვა ჯაყელს. მეფეს შთააგონებს, რომ ჯაყელი ვერ მიაღწევდა შეთქმულთა ბანაკში გზების შეკრულობის გამო.

როდესაც მეფემ იკითხა, რომელი რაზმი სპისა დარაჯობდა სამშვილდეს, გამრეკელმა უპასუხა: „კიდეც დახოცეს, ხელმწიფეო, რაზმი იგი. დარჩა მხოლოდ სამი მხედარი და რაზმის უფროსი ოფიკალი“.[1] გამრეკელი გაკვირვებას ვერ მალავს შალვა ჯაყელის ორგულობის გამო. ის ხელმწიფეს არც უმალავს თავის მწარე განცდებს: „სწორედ მოგახსენებთ, ბატონიშვილო, მეც ძალიან მიკვირს მაგ ყმაწვილის ამბავი!.. მეფე სწყალობდა, ტოლებს სასიქადულო რაინდად მიაჩნდათ, მისი სათაკილო საქციელი ჯერ არ გაგონილა და ... ახლა კი რა მაცდური ჩასჯდომია თავში ვერ მივხვდარვარ“.[2] იგი სოსლანს გადასცემს ხელმწიფის ნაბრძანებს ჯაყელის აქ სასწრაფოდ მოყვანის თაობაზე.

მესხის დაინტერესებაზე, თუ რა სასჯელი მოელის შალვა ჯაყელს, გამრეკელი უპასუხებს: „ჯერ მაგაზე ბრძანება არ არის, მაგრამ კითხვაც არ უნდა, თუ ცნობილია ძოღალატედ, რა მოელის“. როდესაც ჯაყელი ჯაჭვით ხელ-დაბმული შემოიყვანეს, გამრეკელი ამას ამცნობს მეფეს. როდესაც მამისადმი მიწერილი თამარის წერილიდან გაირკვევა სიმართლე შალვა ჯაყელზე, როგორც მის მიერ გაგზა-

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 154.

[2] იქვე, გვ. 162.

ვნილზე შეთქმულებთან დემნას გადასარჩენად, ასევე მისი სამხრის გაგზავნის შესახებ, გიორგი მესამე ირწმუნებს თამარის ნათქვამს და გამრეკელს ავალებს, სასწრაფოდ მიიღოს ზომები შალვა ჯაყელის დასჯის შესაჩერებლად. თუმცა იქიდან მობრუნებული სამწუხარო ამბავს ამცნობს მეფეს: „ხელმწიფეო, ვეღარ მივუსწარ! აღსრულდა განსჯა ჯაყელისა და ლოცვა დამრეკეს“.[1] სწორედ ზემოთ მინიშნებულ ეპიზოდებშია გამოკვეთილი გამრეკელის სახე, როგორც მეფის და მთელი ქვეყნის ერთგულისა.

სარგის და ზაქარია მხარგრძელები. სარგის მხარგრძელი თავიდანვე იყო ტაშირის ერისთავი, შემდეგ კი გიორგი მესამის ამირსპასალარი გახდა. ზაქარია მხარგრძელი მისი შვილია, ახალგაზრდა ჯარმის ყმა. დრამაში სარგისს პირველად ეცნობით მეფის მიერ თავისთან დაბარებისას ჯავახიანის მეშვეობით. იგი ხელმწიფესთან გამოცხადებისთანავე დაინიშნა „ამირსპასალარად იერთა სპათასა“. მხარგრძელი მადლიერების გრძნობით თავს დაუკრავს მეფეს და ერთგულებას შეჰფიცებს. პირველი დავალება, რაც ახლადდანიშნულ ამირსპასალარს მიეცა მეფის მხრიდან, იყო ჯარით ვაშლოვანის, აგარანის და შულავერის გამაგრება. იაღლუჯის პირდაპირ მტკვრის ფონზე დარაჯთა დაყენება ერეთისა და კუხეთისკენ მიმავალი გზის ჩასაკეტად; კლდეკარს, მიდინახეს და მუზის ციხეს ძლიერი როქის-სპის გაგზავნა, თორელთა და თმოგველთა შემოჭრის აღსაკვეთად სამშვილდის საერისთავოში, როქის-სპის ნაწილს უნდა დაეცვა გზები ორბელიანთა დარბაზისა მიმოსვლის ჩასაკეტად. ვისაც დაიჭერდნენ, სასახლეში უნდა წაეყვანათ. ასეთი რთული დავალება მიიღო ხელმწიფისგან სარგის მხარგრძელმა, რომელიც სრულ მზადყოფნაში აღმოჩნდა ბრძანების შესასრულებლად. ეს ყველაფერი მიმართული იყო შეთქმულთა მოქმედების შესაბოჭად და მათივე შესაბყრობად.

ამის შემდეგ სარგის მხარგრძელს ვხედავთ გამრეკელთან ერთად, როცა მხედრებს შემოჰყავთ დაჭრილი ბერი გაბრიელი. ისინი მეფეს მოახსენებენ ამის თაობაზე. აქვე გაირკვევა ჯავახიანის მიერ მეფის სახელით დაწერილი სიგელის ამბავი. სარგის მხარგრძელი

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 173.

არის მეფის ერთგული და მისანდო პიროვნება, მის დავალებებს და ბრძანებებს პირნათლად ასრულებს. მეფესაც მუდამ სჯეროდა მისი, ამიტომაც მიიღო ერთპიროვნული გადაწყვეტილება მის გაამირ-სპასალარებაზე, როცა თანამდებობიდან მისივე დაუსწრებლად გადააყენა იოანე ორბელიანი.

სარგისის ვაჟი ზაქარიაც მტკიცედ ერთგულობს ხელმწიფეს. ჯავახიანი როცა სამხრეს გამოსტყუებს თამარს და კმაყოფილებით გაისტუმრებს, ამ დროს მასთან შემოდიან სოსლანი, შოთა მესხი და ზაქარია მხარგრძელი. სწორედ აქ იჩენს იგი პირველად თავს. ზაქარია ყუბარსანს აგრძნობინებს, რომ ირონიით საუბარი მასთან არ გაუვა. როდესაც სოსლანი იტყვის ჯავახიანზე, კბენის გუნებაზეაო, ზაქარია მხარგრძელი იმთავითვე სიცილითვე უპასუხებს: „არ მიკბინოს, თორემ კბილებს ჩაიმტვრევს“. ყუბარსანს არ მოეწონება ამგვარი ოხუნჯობა, ეჭვობს, რამეს ხომ არ არიანო მიმხვდარი. ზაქარიას შეპასუხება შეუვალია: „ოხუნჯობა კი არა და — მართალია. დღეს მივდივარ ლაშქრად და ჯავშანი მაცვია. თუ მიკბენთ, კბილები გეტკინებათ“.

„გიორგი მესამის“ მეორე მოქმედების დასაწყისში ვხედავთ ზაქარია მხარგრძელს და როქის-პის ოფიცალს — კოსტა წავქისელს. ზაქარია იხსენებს უდიდეს ქართველ მეფეს: „ო-ო! დავით აღმაშენებელი იყო ისეთი მეფე, რომლისთანაც მალე არ მოევლინება საქართველოს. მან შეაერთა ქართლ-კახეთი ერთ სამეფოდ, ამათ მიაკრა ყველა ქართველი თემი და ცალ-ცალკე, დამოუკიდებელი არსებობა მაშინ ერთობ გაზვიადებულ თავადთა დაასუსტა და შეჰქმნა ამ საშუალებით ერთი სახელმწიფო მთელი ივერიისა. სწორედ ამ დიდებულის კვალზე დგას ახლა ჩვენი მეფეცაა“.[1] ეს ბოლო სიტყვებიც კი საკმარისია იმის დასადასტურებლად. თუ როგორ აფასებს იგი გიორგი მესამეს. აქვე იგივური ენით უხსნის წავქისელს ქვეყნის ერთობის მნიშვნელობას. როცა წავქისელი ჰკითხავს ზაქარიას თუ რატომ უწყრება მეფე იოანე ორბელიანს, ამ დროს შემოჰყავთ გუშაგებს უბრალო კაცი, ქალამნითა და ძონძებში ჩაცმული, რომელიც მათ თავს აცნობს ბრმა

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 139.

მესტვირედ. იმართება დიალოგი მხარგრძელსა და მესტვირეს შორის. იგი ლექსავს ზაქარიას პიროვნებას:

„ესეც არის რომ გვიბრძანეს,
თურმე ბრძანდება მხარგრძელი.
მაცხოვარმა ქმნას დღეგრძელი,
გვაროვნობით კარგია ტომი.
ფიცხლად იცის მტერთან ომი,
სასახელო მხედარია,
პირად მზე და ტანად ლომი
ეს ორნივე უცხო გვარნი.
უცხო ენით საქებარნი,
მათ სწყალობდეთ ღვთისმშობელი,
სულ მიეცეთ მთა და ბარი"...[1]

სიმღერის დასრულების შემდეგ ზაქარია მხარგრძელი გამოცდის მესტვირეს, არის თუ არა ნამდვილად ბრმა. ფულს გადაუგდებს (ერთი დრაკანი), მესტვირე უნებურად წაიწევა ასაღებად, მაგრამ ისევ უცებ თავს შეიკავებს. ზაქარია: „ეჰე, ბიჭო! ჰგავს, შენ მთლად ბრმა არ ყოფილხარ, თუ კი წინ წაიწიე ფულის ასაღებად?" მესტვირე: „ჩვეულება გახლავს, შენი ჭირიმე! ყური მაქვს სმაზე დაჩვეული. ფული საცაა დავარდება, დაწკარუნდება და ამით მივაგნებ ხოლმე".[2]

ზაქარია მხარგრძელი ხელახლა გამოცდის მას. ამოიღებს სატევარს და წინ წაიშვერს, მესტვირეს უბრძანებს პირდაპირ გავლას იმ მიმართულებით, სადაც მისი სმა ესმის. მესტვირე წინ წასვლით წამოეგო სატევარს და მკლავში ცოტათი დაიჭრება. შემდეგ კი მიაგულის სიმღერის მსმენლად ვხედავთ ზაქარიას, რომელიც იგავურად თქმული ლექსის შინაარსის ამოცნობას ლამობს.

გიორგი შარვაშიძე ზაქარიას შეგვახვედრებს, როგორც მეფესთან მოსაუბრეს. საუბრის თემაა მესტვირის დაჭრა, ასევე მისი სიბრმავის გარკვევა. ბოლოს ხელმწიფე შალვა ჯაყელს (იგივე ბრმა მესტვირეს) უპოვის თამარის სამხრეს. ააგლეჯს მას, თვალს მოავლებს და შეინ-

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 141-142.
[2] იქვე. გვ. 142.

ახავს. შოთა მესხსა და ზაქარიას შორის იმართება დიალოგი შალვა ჯაყელის დასჯის თაობაზე, შემდეგ კი – სოსლანსა და ზაქარიას შორის. ეს უკანასკნელი მწარედ განიცდის ჯაყელის სასიკვდილოდ გაწირვას: „სასიკვდილოდ მოვიყვანე აქ შენმა მზემ, რომ რამე ეშველებოდეს, სიცოცხლესაც არ დავიშურებდი ასეთი ამხანაგისთვის“.[1] სოსლანმა ნაკლებად გაუგო ამ სიტყვების შინაარსს: „სიცოცხლეს არ დაიშურებდი?! აბა რისთვის? აი, რას გეტყვი, ზაქრო. არც ერთი საქმე, არც ერთი გრძნობა წრეს არ უნდა გადასცილდეს“. ზაქარია: „მე სწორედ ამ უფლებით მოგახსენებ, არ გეწყინოს კი: არც ერთ საქმეში საშვალი და ყუნჩი გრძნობა არ უნდა იკადრო, ისეთისადმი მითუმეტეს, ვისთანაც ხშირად პური მიგირთმევია და ძმობა გითქვამს“. სოსლანს ეს სიტყვები შალვა ჯაყელის გამართლებად მოეჩვენა. ამის შემდეგ პიესაში ზაქარია გამოჩნდება შეკრული ყაითაძის შემოყვანისას. იგი მეფეს მოახსენებს: ეს კაცი დარაჯთ შეიპყრესო.

როცა მეფე მოსთხოვს მოღალატე ჯავახიანის სიკვდილით დასჯას („გაუპეთ თავი მაგ სატანის შვილს“), მესხი და ზაქარია იშიშვლებენ ხმალს და მიახტებიან. ზაქარია შეუძახებს ჯავახიანს: „იფარე თავი, თორემ მკვდარი ხარ. ჯავახიანიც იშიშვლებს ხმალს, უმალ სოსლანმაც მოჰკიდა ხელი მახვილს, მივარდა ზაქარიას და ხმალი აუკრა. თითქოს დატუქსაო შოთა მესხი და ზაქარია მხარგრძელი: „ამდენი ერთს რომ შესევიხართ, ეგ რაინდობა არ არის“. მეფემ დაუწუნა სოსლანს მათ საქმეში ჩარევა. ყველა უკუდგება, ბრძოლამ დიდხანს გასტანა. ბოლოს ჯავახიანი უგრძნობლად დაეცა ძირს“. ზაქარია თავის ხმალს ხელმწიფის წინ დადებს მიწაზე. გიორგი მესამე ზაქარიას მიმართავს: „აიღე ხმალი, ბრალი არა გაქვს“.

ერთი სიტყვით, მამა-შვილი სარგის და ზაქარია მხარგრძელები მეფის ერთგულნი რჩებიან ბოლომდე. მეფეც დიდ იმედებს ამყარებდა მათზე. მთელი მოქმედების მანძილზე მათ იოტისოდენა შეცდომაც არ დაუშვიათ მეფის წინაშე. ეს თავდადება მათ ბოლომდე შერჩათ.

შოთა მესხი. შოთა მესხი ნაწარმოებში გამოიყურება შესანიშნავ პოეტად. ახალგაზრდა ჯარის ყმად. სწორად შენიშნა ავთანდილ ნიკო-

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 163.

ლეიშვილმა: „დრამის პერსონაჟთაგან ცალკე უნდა აღინიშნოს შოთა მესხი, ახალგაზრდა მოლექსე, სიბრძნითა და კეთილშობილებით სავსე პიროვნება, რომლის პროტოტიპს, როგორც ჩანს, შოთა რუსთველი წარმოადგენს“.[1] შოთა მესხი ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურაა დრამაში. თხზულებაში იგი ლექსის თქმით შემოდის, რომელსაც გვერდს უმშვენებენ სოსლანი და ზაქარია მხარგრძელი:

„მიკვირს კაცი რად იფერებს
საყვარლისა სიყვარულსა!
ვინცა უყვარს, რად აყივნებს
მისთვის მკვდარსა, მისთვის წყლულსა“...[2]

ჯავახიანი ირონიულად ჩაუნისკარტებს: „შოთა კიდევ ლექსს ამბობ? დიდი საქმეა, სწორედ მოგახსენებთ, ამდენი შაირების წერა!“... მესხი: „სახელმწიფო საქმეებს ჩვენ არ განვაგებთ და მხოლოდ ლექსებსა ვწერთ“. მესხს პირველი მოქმედების მიწურულს კვლავ მოუწევს პოეტობით თავის გამოჩენა:

„ბედია ეშმას თამაში, მისგან ნუ ითხოვ ბრძნობასა,
საპყარსა ხშირად უღონოს სვე ჰკადრებს, მორჭმულობასა.
ბედი არ ბედობს, თუ ოდეს ის იწყებს სამართლობასა!
იგი ვამსგავსე დიაცის გულისა კამათლობასა!“[3]

შოთა მესხი დრამის სხვადასხვა მოქმედებაში ალაგ-ალაგ გამოჩნდება სწორედ მაშინ, როცა მისი ლექსი და სიტყვა მახვილივით სჭრის. ასეა ამ შემთხვევაშიც: როცა გამწყრალი მეფე მოითხოვს შალვა ჯაყელისათვის იარაღის აყრას და სახელოს გახსნას, მესხი შალვას მიმართავს: „რა ღმერთი გიწყრება?“

შოთა მესხს ვხედავთ გამრეკელთან და სოსლანთან ერთად მეფის კარავში შემოსულს. აქ გაახმოვანებს თავის აზრს, რომ არ სჯერა შალვა ჯაყელის ორგულობისა მეფის მიმართ. იგი გამრეკელისგან ითხოვს სწორ ინფორმაციას ჯაყელის სასჯელთან დაკავშირებით („რა სასჯელი ადევს?“). მესხი განზე გაჰყავს ზაქარია მხარგრძელს,

[1] ა. ნიკოლეიშვილის დასახ. ნაშრომი, გვ.
[2] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 137.
[3] იქვე, გვ. 139.

რათა მისგან შეიტყოს, ნახა თუ არ თამარი. მისგან ვერ მიიღო დადებითი პასუხი. შოთა მესხი უზომოდ შეწუხებულია: „კაცო, მაშ შალვა უნდა მოკვდეს?“ მას არ აკმაყოფილებს ზაქარიას ნათქვამი: „რას ამბობ, ღმერთმა დაიფაროს!“ მესხს ელდად ეცა გამრეკელის სიტყვები ჯაყელზე: „თუკი მეფემ იცნო მოღალატედ, შველა არ არისო“... არც სოსლანის პოზიცია მოსწონს შალვასთან დაკავშირებით: „სოსლანი ძალიან შორს იჭერს თავს და ავადაც ეკიდება. ვერ ხედავ, რომ ხმასაც არ სცემს? ნურაფრის იმედი ნუ გაქვს, უსათუოდ დედოფალი უნდა გენახა“, – შესჩივლა მხარგრძელს.

ხელშეკრული პატიმარი შალვა ჯაყელი გრძნობს მესხის მხარდაჭერას და ემადლიერება კიდეც. იგი ასე გამოეშვიდობა შოთა მესხს:

„მშვიდობით შოთა! რა გითხრა, ძმავ, რა მაქვს სახელი!
მხოლოდ ორიოდ სიტყვა მინდა, რომ გიანდერძო:
რაიცა მოხდა, რაც ახლა მჭირს, ესე ყოველი
ბრალია ვინმე ჩემი მტერის... საქმეა კერძო!
გარწმუნებ ძმაო, სიკვდილისა მე არ მეშინის,
ერთისა მხოლოდ მეშინია, ავისა ენის.
რომ ჩემი სვე და უბედობა არვის შეეხოს.
და სიმშვიდეცა მე სულისა მით არ წამელოს!
ეგებ ვინმესი... უმანკო და წმინდა სახელი...
შენ გაიგონო, უკადრისად წამოძახილი,
მაშინ მოველი მეგობრობას, ძმობას შენგანა“.[1]

ჯაყელი აგრძელებს გამოსამშვიდობებელ სიტყვებს მესხთან: კვლავ მადლობას სწირავს და უბარებს: „ჩვენებსა ყველას გამოთხოვის უძღვენ სალამი!“ იგი მზად არის, შეუნდოს ყველას – საფლავის გამთხრელსაც კი. თხოვს მესხს, რომ არ დაივიწყონ: „თუ გაგახსენდეთ, წვეთი ღვინო ჩემად არჩივად პურს გადააყლეთ, დაღუპულის სულის საოხად“...

შალვა ჯაყელის ნათქვამიდან ჩანს, თუ როგორ აფასებს მესხს, რამდენად უყვარს იგი. მხოლოდ მას უთხრა ასე ვრცლად გამოსამშვიდებელი სიტყვა და ამით მკითხველის თვალში აღამაღლა მისი

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 165.

პიროვნება. ამის მსმენელი მესხი ცრემლებს იწმენდს. თხზულების ბოლოს შოთა მესხი მოსჩანს მეფესთან მოსაუბრედ ყაითაძესთან დაკავშირებით. ეს ხდება მაშინ, როცა გიორგი მესამესთან შემოვიდნენ შოთა მესხი და ზაქარია მხარგრძელი, რომელთაც თან მოჰყვებოდნენ მხედარნი — შეკრული ყაითაძის მომყვანნი. მესხი ყაითაძეზე ამბობს:

„ეს სატევარი ხელში ჰქონდა ამოღებული,
ქარქაში სადღაც დაკარგოდა და ზოსტერიცა;
თვითონ მახვილი სისხლით არის სულ შეღებილი!“[1]

იგი მეფეს უხსნის, რომ ყაითაძე შინაურია, ჯავახიანის მხლებელი. ასე რომ, შოთა მესხი მეფის გარემოცვის ერთგული და მისანდო პირია, კეთილშობილი და უღალატო ადამიანი.

კოსტა წავქისელი. კოსტა წავქისელი როქისსპის ოფიკალია. პიესის მხოლოდ მეორე მოქმედების გმირია, დანარჩენ მოქმედებებში არ ჩანს. მეორე მოქმედების სცენა წარმოადგენს მინდორს. ხის ქვეშ წამოწოლილნი არიან: კოსტა წავქისელი, ზაქარია მხარგრძელი და ორი კიდევ მხედარი. მხარგრძელი წავქისელს უყვება დავით აღმაშენებელზე, მის დიდ მეფობაზე, საქართველოს გამაერთიანებელ სწორუპოვარ მამულიშვილზე. ეს ყველაფერი მას სჭირდება იმისათვის, რომ სათაყვანებელი გიორგი მესამის საქმიანობანი მიამსგავსოს დიდ დავითს („სწორედ იმ დიდებულის კვალზე დგას ახლა ჩვენი მეფეცა“). ზაქარია საფუძვლიანად არკვევს წავქისელს სხვადასხვა სამთავროსგან ერთი სამეფოს შექმნის არსში.

დავით აღმაშენებელზე და საქართველოს ერთიანობის იდეებზე საუბრის დამთავრების შემდეგ წავქისელს აინტერესებს თუ რაზე უწყრება იოანე ორბელიანს მეფე გიორგი: „მართალია, რომ თურმე სამეფოს ედავება თავისი გაზრდილისთვის?“ სწორედ ამ დროს მათთან მოიყვანეს დარაჯებმა ვიღაც ბრმა მესტვირე, რომელთანაც პირველად გასაუბრებამ მოუწია წავქისელს: „ბიჭო, მაშ ღამით რაღას დაწანწალობ?“ მხარგრძელმა როცა ბრძანა მისი გაშვება, წავქისელმა მისგან მოითხოვა სტვირზე დაკვრა. მესტვირემ შეიტყო რა მისი სახელი და გვარი, იმთავითვე ამღერდა:

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 172.

„აქ ბრძანდება წაქისელი,
კოსტა ჰქვია მას სახელი:
მან არ იცის შიში მტრისა,
ჩაუქია როქის სპისა;
მას ზენამან ნუ მოაკლოს
წყალობაი ხელმწიფისა“.[1]

მერე წაქისელმა გააცნო ზაქარია მხარგრძელის სახელი და გვარი, რასაც მოჰყვა მესტვირის სიმღერის გაგრძელება:

„ესეც არის რომ გვიბრძანეს,
თურმე ბრძანდება მხარგრძელი.
მაცხოვარმა ქმნას დღეგრძელი,
გვაროვნობით კარგთა ტომი“...[2]

როგორც ვნახეთ, კოსტა წაქისელის პიროვნება დრამაში ერთობ მოკრძალებულად გამოიყურება. ერთი რამ ცხადი ხდება. ის რადგან ზაქარია მხარგრძელის გვერდითაა, ნათლად მიგვანიშნებს გიორგი მესამის მომხრეთა მხარეზე ყოფნას, ანუ მეფისადმი ერთგულებას.

ყაითაძე. ყაითაძე მხედარია, იოანე ორბელიანის აზნაური. პიესაში პირველად გამოჩნდება თამარის სამეფო ტახტზე დასმის შემდეგ, როცა სანადიმოდ ემზადებიან. მას მეფეს გააცნობს ჯავახიანი, როგორც ვინმე მხედარს, ჩაბალახმობურვილს. სწორედ მან ამცნო მეფეს დარბაზში მომხდარი შეთქმულების შესახებ. როდესაც მეფე იკითხავს თუ ვინ გაბედა შეთქმულების მოწყობა, ვის მოსძულებია თავი, მხედარი უპასუხებს: „ამირსპასალარი ბატონი ორბელიანი, თავადი ჯაყელი, უფლისწული დემნა და სხვანი კერძონი მათნი და აზნაურნი!.. მოგახსენებდენ, რომ ტახტი სახელმწიფოსი ეკუთვნის უფლის-წულს დიმიტრის და ძალადობამ თქვენმან მისტაცა მას იგი. ბევრის სჯისა შემდეგ, შესთქვეს ფიცით ჯვარზედა, რომ აღადგინონ უფლება აწ სრულწლოვან უფლისწულის დიმიტრის“...[3]

მხედარი ხელმწიფეს გააცნობს თავის ვინაობას, როგორც აზნ-

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 141.
[2] იქვე, გვ. 141.
[3] იქვე, გვ. 131-132.

აური იოანე ორბელიანისა, გვარად ყაითაძე. როცა გიორგი მესამემ დატუქსა იგი, თუ რამ აიძულა თავისი ბატონისთვის ეღალატა, მსედარი გონებმახვილურად მოუჭრის სიტყვას: „იმან, ხელმწიფეო, რომ ჩემი ბატონი აპირებს უღალატოს ქვეყნის ბატონსა“. ამასთანავე, ყაითაძემ დაუდასტურა მეფეს შეთქმულთა შორის ერეთის და კლარჯეთის ერისთავების ყოფნა. ჯავახიანი მფარველობს ყაითაძეს. როდესაც ხელმწიფე მოითხოვს მხედრისთვის ჩაბალახის ახდას პირისახიდან, ყუბარსანი მას ჩასჩურჩულებს: „ნუ რარაის გეშინიან, მე აქა ვარ“. ჯავახიანი ჩაეძიება მხედარს, კიდევ რა სთქვესო დარბაზში, იგი უპასუხებს: „სთქვეს, რომ ზეგისთვის დაბარებული ვართ სრასა და უნდა წავიდეთო! მე კი დღეს დილითვე გამოვეშურე, როგორც თქვენი ბრძანება მქონდა“. ესიამოვნა გაგონილი ჯავახიანს და უთხრა: „ არ დავივიწყებ შენს სამსახურსო“. ყაითაძეც კმაყოფილი და მადლიერია: „წყალობა თქვენი ნუ მომაკლოს ღმერთმა“.

ყუბარსან ჯავახიანი კიდევ ერთხელ გააბამს მახეში ყაითაძეს. გაბრიელ ბერისთვის სიგელის გადაცემის შემდეგ მას ჯაშუშად უხასიათებს. მხედარს არ სჯერა ბერის ჯაშუშობისა და მავნებლობისა, მაგრამ რა უნდა ქნას. მანდატურთუხუცესს უნდა დაემორჩილოს. ყუბარსანი ყაითაძეს ავალებს, სიგელი წაართვას გაბრიელს და უკან მოუტანოს. წართმევისას იარაღის ხმარებაც რომ დასჭირდეს, უკან არ უნდა დაიხიოს. ამის შემდეგ მას ვხედავთ ხელფეხშეკრულს, რომელიც მხედრებს შემოჰყავთ მეფესთან. აქვე არიან შოთა მესხი და ზაქარია მხარგრძელი.

მეფე გიორგი მწყრალად უმზერს ყაითაძეს და მოსთხოვს, გაარკვიოს გაბრიელ ბერის დაჭრის მიზეზში. სიჩუმის ჩამოვარდნისას ყაითაძე შეხედავს ჯავახიანს. ხელმწიფე დაჰპირდა: თუ სიმართლეს იტყვის, ცოდვებს შეუნდობს, თუ არა თოკი მზად არისო. ყაითაძე დაიჩოქებს და შებრალებას ითხოვს. მეფე კვლავ გაუმეორებს პირობას: „შეგიბრალებ, ოღონდ თქვი, ბერს რას ერჩოდი?“ გიორგის მისგან მოხსენდა, რომ ასეთი ბრძანება ჰქონდა მისი მწყალობლისა და პატრონისაგან, ანუ ჯავახიანისგან. ყაითაძემ ამით საბოლოოდ ჩამოხადა ნიღაბი ყუბარსანის ავკაცობას, ფარისევლობას და ღალატს.

ამით ბეჭედი დაუსვა მეფის წარმოდგენაში მისადმი მანდატურთუხუცესის ღალატს. ორპირობას, ცბიერებას, თვალთმაქცობას, რაც მისივე სიკვდილით დასჯით დასრულდა.

შეიძლება დავასკვნათ: „გიორგი მესამეს", ამ შესანიშნავ დრამატულ ნაწარმოებს, ჰყავს მთავარი და არამთავარი პერსონაჟები. მთავარ პერსონაჟთაგან პირველობა ეკუთვნის დემნა ბატონიშვილს. ეს პერსონაჟები იყოფიან მეფის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად. გიორგი მესამის მხარეზე დგანან: თამარი, რუსუდანი, დავით სოსლანი, შალვა ჯაყელი, თადეოს გამრეკელი, სარგის და ზაქარია მხარგრძელები, შოთა მესხი, კოსტა წავქისელი. მოწინააღმდეგეთა ბანაკში არიან: იოანე და ლიპარიტ ორბელიანები, სამცხის გადაყენებული მთავარი ჯაყელი, დემნა ბატონიშვილი. თუმცა უფლისწული სრულად ვერ ჩაითვლება ბიძის მოწინააღმდეგედ, ვინაიდან მეფეს თავად მოახსენებს გულწრფელად, რომ მისი ღალატი არასოდეს ჩაუდვია გულში. ამის სათქმელად თვითონ ეახლა ხელმწიფეს. ყუბარსან ჯავახიანი თავისი ორპირობით აქეთაც არის და იქითაც. მისი ინტრიგის მსხვერპლი გახდა უდანაშაულო შალვა ჯაყელი. მას თავისი ბოროტი ზრახვების შესრულების სამსახურში ჰყავს ჩაყენებული შალვა ჯაყელი, მხედარი ყაითაძე, თავისივე და მიაგული. გაბრიელ ბერი. გიორგი შარვაშიძემ ყუბარსანის სახით ამხილა მეფის გარემოცვაში მოკალათებული დიდმოხელენი, რომლებიც სარგებლობენ საქართველოს მესაჭის რბილი ხასიათით, გულუბრყვილობით, ზედმეტი ნდობით, იგებდნენ მეფის გულს, მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა ბანაკს შორის ქსოვდნენ ინტრიგის ქსელს. აპირისპირებდნენ მათ ერთმანეთთან, ქვეყანაში შეჰქონდათ არეულობა. ხელს უწყობდნენ სეპარატისტული განწყობის გაღვივების აღზევებას, დაქუცმაცებულობას, რასაც, სამწუხაროდ, გვიან ხვდებოდნენ მეფეები.

„გიორგი მესამის" ქრისტიანული საფუძვლები. გიორგი შარვაშიძის დრამატული თხზულება „გიორგი მესამე" გამსჭვალულია ქრისტიანული მოტივებით. ამის ჩვენებიდან იკვეთება საკუთრივ ავტორის, როგორც ქრისტიანი მწერლის, დამოკიდებულება ქრისტეს მოძღვრებისადმი. საერთოდ, მისი შემოქმედებიდან ნათლად გამოსჭვივის ამ

ჩინებული აფხაზის საფუძვლიანი ცოდნა განსაკუთრებით შუა საუკუნეების ქართული სიტყვიერი კულტურისა, ბიბლიისა, ასევე XIX საუკუნის ქართული კლასიკური მწერლობისა.

„გიორგი მესამე" ფაქტიურად აგებულია ქრისტიანული მოძღვრების ერთ-ერთ მთავარ მცნებაზე — „არა კაც-ჰკლა". დრამის მთავარი პერსონაჟთაგანი, საქართველოს სამეფო ტახტის საჭეთმპყრობელი გიორგი მესამე მთელი დრამის მანძილზე სიკვდილით არავის სჯის, გარდა მოღალატე მანდატურთუხუცესისა ყუბარსან ჯავახიანის სახით, რომლისთვისაც ჩადენილი დანაშაულის პატიება ღვთის წინაშე შეცოდებაც იქნებოდა. მართალია, მეფე ზოგჯერ იღებს ნაჩქარევ გადაწყვეტილებებს, საქმის არსში ღრმად ჩაუწვდომლად (დემნა ბატონიშვილის დასაჭურისებაზე ბრძანების გაცემა, შალვა ჯაყელის სიკვდილით დასჯისკენ მოწოდება და სხვ.). თუმცა ვითარებაში გარკვევის შემდეგ ცვლის თავის განკარგულებას, ასე მოიქცა შალვა ჯაყელის, ამ სრულიად უდანაშაულო პიროვნების, მიმართ. ხელმწიფემ, როცა შეიტყო თამარის წერილიდან შალვა ჯაყელის უდანაშაულობა, გამრეკელს მოუწოდა ჯაყელის დასჯის შეჩერება და მასთან მოყვანა, თუმცა, სამწუხაროდ, ეს დაგვიანებული აღმოჩნდა. გამრეკელის მისვლამდე მეფის ნაბრძანები სისრულეში იქნა მოყვანილი. გიორგი მეფემ ეს ცნობა მწარედ განიცადა, პირი აღმოსავლეთისკენ მიიბრუნა, ლოცვად დაიჩოქა, რომლის მაგალითს ყველამ მიბაძა. ხელმწიფე ინანიებს თავის გადაწყვეტილებას, შეცოდებად მიიჩნევს ამას და უფალს შესთხოვს ცოდვათა მიტევებას: „მეფეო ზეცათაო! მოგვიტევენ შეცოდებანი ჩვენნი, რამეთუ ვართ ხორციელნი და არა უწყით, რას ვშვრებით"[1]. ამ სინანულის გრძნობაში მისი დიდი პაპის დავით აღმაშენებლის „გალობანი სინანულისანის" სული ქრის.

დრამის მიხედვით (და არა „ქართლის ცხოვრების") ბიბლიური შეგონების („არა კაც-ჰკლა") იდეის დამცველად გვევლინება დემნა ბატონიშვილი. გიორგი შარვაშიძის პოზიციაა ასეთი, რომ დემნა გამოიყვანოს უაღრესად ჰუმანურ ქართველად. მას ხმალი ქარქაშში აქვს ჩაგებული, რასაც ადამიანის მოსაკლავად არ აღმართავს, რის

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 173.

გამოც ლიპარიტ ორბელიან საყვედურს იმსახურებს, დემნას პასუხი ცალსახაა: ომს მირჩევნია გონების შვებით ყოფნა, მკვდარია კაცობრივი გონიერება იმ ადამიანისა, ვინც ცდილობს სხვისი სიცოცხლის მოსპობას, „რადგან კაცია ცხოველთა შორის გონებიანი“.[1]

დემნა პირდაპირ განუცხადებს შეთქმულების მონაწილეებს, რომ არ სურს სამეფო ტახტზე მის დასმას ათასი სული შეეწიროს, ადამიანები დაიხოცოს „და იმავ ტახტზე პორფირითა მე პირმშოისა, ვით ავაზაკი განვირეკდე სულთ განწირულთა... წყეულიმც იყოს ის უფლება უფლისწულისა“. ასეთია დემნას ჰუმანისტური განწყობილება, ქრისტიანული იდეოლოგიით გამოკვებილი. სიცოცხლისმოყვარეობა გამოსჭვივის მისივე სიტყვებიდან:

„მე შევცქერი ცას, მოწმენდილსა, ვარსკვლავიანსა
და მიწაზედა მცენარს, ყვავილს, მთებსა ტყიანსა;
ველზედ საღამოს მეპკურება დამტკბობი ცქარი!
ბედნიერი ვარ მხოლოდ ამით, ამათ შევხარი.
აბა რად მინდა ამ სოფლისა სხვა რამ დიდება,
მძაგს ბოროტება და ძლიქვნურ მისი კირთება“.[2]

გიორგი შარვაშიძე „გიორგი მესამეში“ იყენებს, შუა საუკუნეებიდან მოკიდებული, უფლისწული მიმართვის ტრადიციულ ფორმას. ოღონდ მას მიმართავენ დადებითთან ერთად უარყოფითი პერსონაჟებიც. მაგალითად, ყუბარსან ჯავახიანი, ძეჯის ორგული და მოღალატე მანდატურთუხუცესი, თამარის გასაგონად თავისთვის ჩაილაპარაკებს: „ღმერთო, რა საცოდაობა მოხდება!“... მას რომ ღმერთი გულწრფელად სწამდეს, ამდენ საცოდაობას თავად არ ჩაიდენდა. უფლისადმი მისი მიმართვა მკრეხელობაა, სარწმუნეობის შეურაცხმყოფელია, შეფერილია ირონიით.

გულმართლობით გამოირჩევა შალვა ჯაყელის (იგივე ჯაყელ-ჯაყვირის) თხოვნა ღვთისადმი, რათა მან ზაქარია მხარგრძელს აუსრულოს ყველა საწადელი:

„ღმერთო! აცოცხლე ყოველი

---

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 144.
[2] იქვე, გვ. 147.

მათი გულით საყვარელი.
აუსრულე, დიდებულო,
გულის ყველა საწადელი“.[1]

მეფის ერთგული, თუმცა ბოროტმოქმედი ჯავახიანის მზაკვრულ გეგმაში ჩაუწვდომლობით მისივე ნების განმხორციელებელი ჯაყელი, აბჯრის ჩხარუნის გაგონებისას გაქცეული ზაქარიას ბედზე დარდობს: „ეხ, ღმერთო! ზაქარიას კი არა გაუჭირდეს რა!“ როდესაც გიორგი მესამე ჯავახიანის სახელოს გახსნისას თვითონ ააგლეჯს მას თამარის სამხრეს, მანდატურთუხუცესის მზაკვრობაში უკვე გარკვეული მეფე „გველის შვილს“, „თვითონ ჯველს“ და „პირშავს“ უწოდებს ამ ორგულ კაცს, მოითხოვს ამ „ცრუ, მოღალატე, ბოროტი სულის“ დილეგში ჩაგდებას. დიდი დუმილის შემდეგ ხელმწიფე სამხრეს დახედავს და ამაში „ჭეშმარიტად ეშმაკის საფრთხეს ხედავს“. დაფიქრდება, სამხრეს ჯიბეში ჩაიდებს და წარმოთქვამს:

„ნუთუ?.. ოჰ, ღმერთო, განმაშორე ფიქრი მაგვარი!
ვიდრე მანამდის ათასჯერაც მენახოს მკვდარი!..
განა მეფობას ვუმზადებ მას მამაშვილობით?
მაშინ წყევლისა ღირს ვიქნები ჩემის მუხთლობით?“[2]

ე.ი. მეფე გიორგი ღმერთს შესთხოვს, განაშოროს ავი ფიქრები, მოუხსნას თამარის მიმართ გაჩენილი ეჭვები, თუ რისთვის, რა მნიშვნელობით მისცა ყუბარსანს თავისი სამხრე.

თხზულებაში თამარი მაცხოვარს უწოდებს „კაცთმოყვარე მეუფეს“. იგი შეიტყობს რა ჯავახიანისგან მეფის გადაწყვეტილებას შეთქმულთა სიკვდილით დასჯის თაობაზე, დემნა ბატონიშვილისთვისაც თავის მოკვეთის შესახებ, გაკვირვებული მიმართავს ქრისტეს:

„კაცთმოყვარეო, მეუფეო, რა მესმის ესა!
გაოცებითა და შიშითა ვერ ვიღებ სულსა...
მეფისა ზრუნვა ვით დაბადებს ისეთს მიზეზსა,
რომ მან სიკვდილი მიუსაჯოს თავის ძმისწულსა!“[3]

---

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 142.
[2] იქვე, გვ. 156.
[3] იქვე, გვ. 136.

„კაცთმოყვარე“ მაცხოვრის ერთ-ერთი უმთავრესი კატაფატიკური ატრიბუტია. ქრისტე ადამიანთა სიყვარულის გამო შეისხამს ხორცს, მოევლინება დედამიწას, ადამის მოდგმის ხორციელი ცოდვების გამოსასყიდლად თავისი ორბუნებოვნებიდან ადამიანური ნაწილს თავისივე ნებით ჯვარს აცვამს. იგი ადამიანთა მოყვარე და მათზე მზრუნველი ღმერთია. ამიტომაც მოინათლა კაცთმოყვარედ: „რომელსა მოსცემდა მას კაცთ-მოყუარე ღმერთი“.[1] ასე მოიხსენიება მაცხოვარი ქართულ საღვთისმეტყველო მწერლობაში, ასევე საერთო ლიტერატურაშიც. გიორგი შარვაშიძე ეხმაურება ამ კეთილშობილ ტრადიციას.

ორიოდე სიტყვით შევჩერდეთ „მეუფეზე“. იგი საღმრთო სახელთა წრეში შემოდის. შორს წაგვიყვანს ახალი აღთქმიდან თუ, საერთოდ, საღვთისმეტყველო ლიტერატურიდან სათანადო ნიმუშების ამოწერა: „მხოლომან ძლიერმან მეუფემან მეუფეთამან“ (I ტიმ, 6, 15). „მეუფემან მეუფეთამან“ შესიტყვებათა ისეთ რკალში თავსდება, როგორიცაა „ღმერთმან ღმერთთამან“, „უფლება უფლებათამან“. „მეუფე“ მღვდელმთავრისადმი მიმართვის ტრადიციული ფორმაა. იგი არის ეპისკოპოსის, მთავარეპისკოპოსის და მიტროპოლიტის წოდება. საეკლესიო ენციკლოპედიაში ვკითხულობთ: „მეუფეო ზეცათაო“ — ასე ეწოდება შემოკლებით ლოცვას სულიწმიდის მიმართ, რომელიც ამ სიტყვებით იწყება: „მეუფეო ზეცათაო, ნუგეშინისმცემელო, სულო ჭეშმარიტებისაო“... აღდგომიდან ამაღლებამდე ამ ლოცვის ნაცვლად პასექის ტროპარი იკითხება: „ქრისტე აღდგა მკვდრეთით“... ხოლო ამაღლებიდან სულთმოფენობამდე მის ნაცვლად არაფერი არ იკითხება“.[2] სულიწმიდის მიმართ ლოცვის შემოკლებულ ფორმას — „მეუფეო ზეცათაო“ მოუხმობს გიორგი მესამე ცოდვათა მონანიებისას: „მეუფეო ზეცათაო! მიგვიტევენ შეცოდებანი ჩვენნი, რამეთუ ვართ ხორციელნი და არა უწყით, რას ვშვრებით“.

აღსანიშნავია, რომ „გიორგი მესამეში“ საქართველოს საჭეთმპყრობელი „მეუფედ“ მოიხსენიება. გიორგი მეფე მხედარ ყაითაძეს

[1] ძეგლები, I, გვ. 22.

[2] მცირე საეკლესიო ენციკლოპედია, შეადგინეს გვ. კოპლატაძემ და გრ. რუხაძემ, თბ., 2004, გვ. 194 (იხ. საქართველოს ეკლესიის კალენდარი, 2005, გვ. 107-293).

ეკითხება: „მართალია, ყმაწვილო, რომ ერეთისა და კლარჯეთის ერისთავნიც იქ (იგულისხმება შეიქმულთა დარბაზი) ყოფილან? მხედარი დაუყონებლივ უპასუხებს; „იქ გახლდენ, მეუფეო!“ აქედან ნათლად გამოსჭვივის იზოთეიზმის ანუ ღვთისსწორობის იდეა, რაც გავრცელებული იყო შუა საუკუნეების საქართველოში და ეს იდეა მახლობელი ჩანს გიორგი შარვაშიძისთვისაც, როგორც ქართული კულტურის ზედმიწევნით მცოდნისათვის.

დრამის მიხედვით, მაცხოვართან ერთად ადამიანებს ღვთისმშობელიც ევლინება მწყალობლად: „მათ სწყალობდეს ღვთისმშობელი, სულ მიეცეთ მთა და ბარი“. ღმერთთან ერთად ღვთისმშობლისადმი მიმართვის ტრადიციულ ფორმას იყენებს აფხაზი მწერალი, როცა გიორგი მესამე თავის დას, რუსუდანს, გადასცემს თამარის სამხრეს, გაოგნებული ქალი მოიშველიებს მაცხოვრის დედის ძალისხმევას: „დედაო ღვთისა! რად არ გამითხრი შავ საფლავსა?“

ინტერესს იწვევს „გიორგი მესამეში“ ღმერთის მეტაფორად თუ სინონიმად ცის, ზეცის დაფიქსირება. ჯავახიანი თამარს ეუბნება: „თქვენ ბრძანდებით მემკვიდრე სამეფოისა და ზეცით მოგნიჭებიათ მცნება და გონიერება“. „ზეცით მოგნიჭებია“ ნიშნავს „ღვთისგან მოგნიჭებია“. მესტვირე ანუ შალვა ჯაყელი ემადლიერება ზაქარია მხარგრძელს თბილად მოპყრობისათვის: „შენი ჭირიმე! დაგლოცოს ზეცამ!“ რა თქმა უნდა, გამოთქმაში „ზეცა“ ღმერთს გულისხმობს — დაგლოცოს ღმერთმაო. დემნა იტყვის: „და თუ მახვილით აღჭურვილი ადამიანი ცდილობს, რომ მოსპოს სხვის სიცოცხლე, მისი მსგავსისა და მოსტაცოს ეს უმჯობესი ნიჭი ზეცისა“. „ნიჭი ზეცისა“ აქ გაიგება, როგორც ღვთით მონიჭებული. ახლა ისევ შალვა ჯაყელს მოუსმინოთ: „მაგრამ მომაკვდავს შენდობასა უძღვნიან ხოლმე!.. მეც განწირული, წავსდგები რა წინაშე ცისა, ის განიხილავს უაღრესად ჩემს სინიდისსა“. ცის წინაშე წარდგომაში, ცხადია, მოიაზრება ღვთის წინაშე წარსდგომა. გიორგი შარვაშიძე ასევე უფლის სინონიმად ზოგჯერ ხმარობს ცნება „ზენას“: „დე, სამართალი ჰყოს ზენამან“, „მას ზენამან ნუ მოაკლოს წყალობაი ხელმწიფისა“.[1]

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 135, 141, 144, 165, 170.

ზემოთ დამოწმებულ საილუსტრაციო მასალებში „ზეცა“ ღვთის მეტაფორაა, რაც ტრადიციების მეოხებით გაუცნობიერებია „გიორგი მესამის“ ავტორს, აკაკი წერეთლის სიტყვებით რომ ვთქვათ, ძველი რელიგიური შეხედულებით, ცა, ზეცა იგივეა, რაც ზეცაში მყოფი ღვთაებრივი ძალა, ღმერთი, განგება: „მაგნაირ ცოდვას ზეცაც არ გიწყენს“. ილია ჭავჭავაძის პოეტურ თქმაშიც: „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის მიწიერი — ზეციერსა“ — ცა ღვთის მეტაფორაა. ე.ი. მე ღმერთი მნიშნავსო, — ამბობს ილია.

ვიქტორ ნოზაძის მიხედვით. „მარტივ თუ განვითარებულ რელიგიებში ცას დიდი ადგილი უკავია და ძალიან ხშირად ცა ღმერთთან არის გაიგივებული. რადგანაც ღმერთი ცაშია, ცა ღვთის სამყოფელია, ამიტომ თვითონ ცა წარმოდგენილია, ვითარცა ღმერთი და მის ნაცვლად ხშირად იხმარება. ყველა რელიგიაში რწმენის სიღრმე და პატივი მორწმუნეს უკარნახებდა, ღმერთის სახელი არ წარმოეთქვათ. ამ ნიადაგზე შექმნილია სხვადასხვა სახელი ღმრთისა — მეუფე, უფალი, მეუფე ცათა, ცა მწყალობელი და სხვ.“[1] ახალ აღთქმაში ცა არის ღვთის გამოსახულება. “ვეფხისტყაოსანშიც“ ცა უფლის მეტაფორად მოჩანს: „ცა მობრუნდა რისხვით ჩემკე“... „მაგრამ ნაცვალსა პატიჟსა მოგცემს ზენამცა ცისა“.

საინტერესოა, რომ „დაო დე ძინში“ ცა განიხილება როგორც ბუნების შემადგენელი ნაწილი, მიწასთან დაპირისპირებული. ცის მეუფებას აღიარებდნენ კონფუცი და მისი მიმდევრები. დუნ-ჯუნ-შუმ ცის მნიშვნელობაზე ამბობდა: „ცა წინაპარია ყოველ არსთა, არაფერი ცის გარეშე არ იქნება“. ცის მეუფება ჩინურ წარმოდგენაში წარმოჩენილი იყო ღმერთის სახითაც. ლაო-ძის თანახმად, ცის მეუფება დაოს მიერ არის შობილი და იგი ისევე შეუცნობელია, როგორც დაო.[2] აქვე გვახსენდება იოანე დამასკელის „გარდამოცემაში“ წარმოდგენილი განმარტება: „არსებასა ცისასა არა ჯერ არს ძიება , რამეთუ უცნაურ არს ჩვენგან“.[3]

---

[1] ვ. ნოზაძე, ვეფხისტაოსანის ვარსკვლავთმეტყველება, გვ. 48-49.

[2] შდრ. ტ. მოსია, ძველი ჩინური პოეზია, თბ., 2010. გვ. 22-24.

[3] იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზუსტი გადმოცემა. თბ., 2002, გვ. 85.

საკითხთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს დრამის დასაწყისშივე თამარის მხარდასაჭერად იმერთა ერისთავის მიერ წარმოთქმული სიტყვა:

„ბედნიერად ცხოვრობდა მუდამ ერი თქვენი თქვენს მეფობასა
და გიქებდიან უცხოელნიც მორჭმულობასა,
გამგეობასა, მეომრობას მარად უღლელსა!..
აწ თქვენი ქალი, **ცისა შვილი**, თქვენსა სახელსა
კვალად განაგრძობს, ვით ყოფილა წინათ ქებული,
რამეთუ თქვენის სისხლის არის თქვენი ასული“.[1]

ასევე გაბრიელ ბერი დემნა ბატონიშვილზე ამბობს: „უმცდარად ვიტყვი: ცის ნაკურთხი, მეფის შვილია“, გიორგი შარვაშიძე შესიტყვებაში „ცისა შვილი“, ბუნებრივია, გულისხმობს ღვთისგან მოვლენილ თამარს, ღვთის შვილად მონათლულს. რუსთაველთან ასოცირდება ეს გამონათქვამი: „თუცა ქალია, ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია“. ან კიდევ: „მისგან (ღვთისგან — ტ.მ.) არს ყოვლი ხელმწიფე სახითა მის მიერითა“. აფხაზი მწერალი, ეტყობა, ანგარიშს უწევს იზოთეიზმის იდეას, როგორც ამ მხრივ სათანადო ქართული შუასაუკუნეობრივი იდეოლოგიით ნასაზრდოები მწერალი. აქ უნდა გავიხსენოთ კლასიკური პერიოდის ქართველ მეხოტბეთა მიერ თამარის გაწევრიანება სამების ოჯახში ანუ მისი გაღვთაებრივება.

გიორგი შარვაშიძისეულმა „ცის შვილმა“ გამახსენა: მითოსურ ჩინეთში იმპერატორი ცის შვილად ითვლებოდა, რომელსაც ამქვეყნად ღვთაებრივი ძალა უნდა გამოევლინა. ძველი ჩინელები ცის მეუფებაში გულისხმობდნენ სამყაროს ფიზიკურ და ზნეობრივ კანონთა ერთიანობას. სახელმწიფო არის ცის განსაკუთრებული გამოვლინება, ხოლო მისი წინამძღვარი არისო ცის ძე — ხელმწიფე („ტიან-ძი“).[2]

„გიორგი მესამეში“ ზეცა აგრეთვე გააზრებულია ღვთის სასუფეველ ადგილად: „აწ მოიწია იგი ჟამი, დღემდი ძლეული და ზეციდამა მეძახის მე ხმა კურთხეული“; „ტყვედ გადუწყდებათ რა სასჯელი, ლოცვად დარეკოს და შეაბრალოს მათი სული ზეცად უფალსა, დამ-

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 130.

[2] ძველი ჩინური ფილოსოფია, მოსკ. 1972, გვ. 23.

ნაშავეთა ზეციერთა ის განასვენებს, ჩვენ ცოდვილნი კი — განცავაგებთ მხოლოდ ქვეყნიურს".

დრამაში ცოდვიანობის შეგრძნებისა და მისი მონანიების მოტივიც იჩენს თავს, რომელიც მხოლოდ მეფესთანაა დაკავშირებული. თხზულების დასაწყისში საქართველოს სხვადასხვა კუთხის ერისთავების წინაშე გამოსვლისას გიორგი მესამე ხაზს უსვამს, რომ ის ცოდვილია, როგორც ხორციელი („მე ცოდვილი და ხორციელი ვიქმნიდი რასა!"...), ამიტომაც უღირსის პირით ვსწირავ მადლსა ძალას უფლისას, რომელმაც მომცა ძლევა მოვლად ერისა ჩვენის ესე, ვითარცა სახელმწიფოს შეჰფერს-შეშვენის". იგი ერისთავებს განუცხადებს, რომ სწყვეტს მეფობას და სამეფო ტახტს გადასცემს მემკვიდრეობით თავის ერთადერთ ასულს — თამარს. გადადგმულ ნაბიჯს სიბერის მოძალებით ამართლებს:

„დღეს კი დრო არის მე უკუ ვდგე ჩვენის იერის
მართველობასა და ვატარო აწ დარჩენილნი
დღენიცა ჩემნი ლოცვა-მარხვითა; დეე ცოდვანი
შევინანიო, ფიქრნი ანუ მოქმედებანი".[1]

ეს სიტყვები ეკუთვნის ჭეშმარიტ ქრისტიან ქართველ ხელმწიფეს, ერთიანი საქართველოს ღირსეულ წინამძღოლს, რომელმაც საუკეთესოდ იცის, რომ მემკვიდრეობითი ცოდვის შვილია, როგორც ხორციელი და ამქვეყნიურ დიდებაზე მიდრეკილი პიროვნება, ცოდვილია, რომლის გამოსყიდვა შესაძლებელია მონანიებით. მას სურს, ცხოვრების დარჩენილი დრო ღმერთთან სიახლოვეს გაატაროს ლოცვისა და მარხვის საშუალებით: „ჩვენ ცოდვილნი კი გაცავაგებთ მხოლოდ ქვეყნიურს. ხამს ვილოცვიდეთ, მოგვიტეოს ჩვენცა ცოდვანი უფალმა".

თამარის მიერ მამისადმი გაგზავნილი წერილი ასე იწყება:

„მამავ ბატონო! ვფიცავ თქვენ მზეს და წმინდა ჯვარსა,
რომ დამნაშავე მარტო მე ვარ იმა საქმეში,
რაცა შესწამეთ უმანკოსა, დღეს პატიმარსა.
ერთჯერ შეგცოდე, მხოლოდ ერთჯერ ჩემს სიცოცხლეში".[2]

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 23.
[2] იქვე, გვ. 171.

დამოწმებული სტროფის „მზე“ არ გაიგება ფიზიკურ მნათობად. იგი ქრისტეს სიმბოლოა. ანალოგიური დატვირთვა ეძლევა მას სოსლანის ნათქვამში: „ჩემმა მზემ, ჯვარის მადლმა“. ასევე აქტუალურია „წმინდა ჯვარი“, „ჯვარის მადლი“, „ჯვარზედა ფიცი“ („ჯვარზედა ფიცი სულ გამიქარწყლო“). ამით მინიშნებულია ჯვარის შემწეობით ხსნასა და სიკვდილის ძლევაზე. ჯვარი ხომ უდიდესი სათაყვანო საეკლესიო სიწმინდეა, როგორც ძლევის ნიშანი. მწერალი მკითხველის ყურადღებას მიაქცევს ჯვართან ერთად სახარების წინ დაფიცებას: „რომ მომაკვდავის მის ძმის წინა სახარებასა შენ დაუფიცე, რომ ძე მისი, შენი გაზრდილი მოწიფულობას ავა ტახტზე თავის მამისა“.

ხელმწიფედ ადამიანის დამბადებელი მხოლოდ ღმერთია იოანე ორბელიანი დემნას შთააგონებს: „შენ ჰკადნიერობ, არა ხარ მონა ღვთისა ნებისა, რომელმანცა შენ დაგბადა შვილად მეფისა“. რუსთაველი შეგვახსენებს თავს: „მისგან (ღვთისაგან — ტ.მ.) არს ყოველი ხელმწიფე სახითა მის მიერითა“; „თუცა ქალია ხელმწიფედ მართ ღმრთისა დანაბადია“. მამაზეციერმა თავისი ნებით შექმნა სამყარო და ადამიანი, ამიტომაც მისი ნების მონამსახური უნდა იყოს ძე ადამისი, ამის გადამხვევ დემნას უწუნებს საქციელს მისივე გამზრდელი: „არ ხარ მონა ღვთის ნებისა“. მესტვირე ხაზს უსვამს ზაქარია მხარგრძელის ღვთის მონობას: „ეს ხმა კიდევ არის სხვისა, ისიცაა მონა ღვთისა“. იოანე ორბელიანს დემნასთან საუბარში ღვთის ნების იმედი აქვს: „ნებითა ღვთისა, მე შევიძლებ, სიმართლესა ვყოფ და უკანონოდ მოპარულსა დღემდი მძლეობას ავაგლეჯ გვირგვინს და ქვეყნის წინ მტვერში დავამხობ“. ღვთის ნების იმედი აქვს კაცს, რომელიც მზად არის ამ ნების საწინააღმდეგო საქციელი ჩაიდინოს, როგორც მეფის დასამხობად მოწყობილი შეთქმულების მოთავეს. ცხადია, ამ შემთხვევაში იოანე ორბელიანის დარჩენა ღვთის ნების ამარა მკრეხელობაა და მეტი არაფერი.

სოსლანს მკრეხელობად არ ჩაეთვლება განგების ძალის ქონის სურვილი, იმდენად განაწყენებულია ბედზე: „განგების ძალა რომ მქონდეს, მსაჯულად არ ავირჩევდი ბედსა“. უფლის მიერ გაჩენილი ადამიანი მისი მსახური და მადიდებელი უნდა იყოს, რაც სიცოცხ-

ლისუნარიანი მოვალეობაა: „დავშთით რა ღვთისა მადიდებლად და მოხარულად“, — ამბობს მეფე გიორგი. მამისადმი მიწერილ ბარათში თამარი ღვთის სამსახურს წამოსწევს წინ: „აწ თუ ღირსი ვარ, ეს სოფელი დამათმენინეთ, ღვთის სამსახურად, თმა გიშრისა დამაყრევინეთ“.

დარაჯთა მიერ შეპყრობილი მესტვირე (იგივე შალვა ჯაყელი) უღმერთობას უწუნებს მათ: „რას მერჩით, ღმერთი არ იცით?“ ზაქარია მხარგრძელის სატევარზე მკლავწამოცმული მესტვირე აქცენტს აკეთებს თავის ქრისტიანობაზე: „ვაიმე, ქრისტიანი მომკლეს! მიშველეთ მე საწყალს, რას მერჩიან. ადამიანებო, მიშველეთ, შემიცოდეთ“. გაბრიელ ბერისთვის ქრისტიანული სარწმუნოება მტკიცე ფიცის საგანია: „მძევლათა გაძლევთ ჩემსა წმინდა სარწმუნოებას“. შალვა ჯაყელი ზაქარია მხარგრძელს მაცხოვრის მინიჭებულ დღეგრძელობას უსურვებს:

„ესეც არის რომ გვიბრძანებს,
თურმე ბრძანდება მხარგრძელი.
მაცხოვარმა ქმნას დღეგრძელი,
გვაროვნობით კარგთა ტომი.
ფიცხლად იცის მტერთან ომი,
სასახელო მხედარია,
პირად მზე და ტანად ლომი...
მათ სწყალობდეს ღვთისმშობელი,
სულ მიეცეთ მთა და ბარი“.[1]

„გიორგი მესამეში“ ბიბლიური პერსონაჟებიდან ავტორს დასჭირდა ევას და კაენის სახელთა გამოხმობა. თამარის გამეფებისას მამა ურჩევს მას: დედაკაცისთვის დამახასიათებელი სისუსტე არ მოერიოს, არა სხეულის, არამედ სულის სიმტკიცეა მთავარი. გიორგი მეფე ღირსეულად მიიჩნევს თამარის დასმას ტახტზე. თუმცა გავა დრო და ერთმა გაუთვალისწინებელმა, მისთვის მოულოდნელმა შემთხვევამ შეცვალა მამის წარმოდგენა ერთადერთ ასულზე. მეფემ გვიან გაიგო ჯავახიანის ვერაგული საქციელის შესახებ თუ როგორ

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 141-142.

აღმოჩნდა შალვა ჯაყელთან თამარის სამხრე. მანამდე კი აღშფოთდა, როცა შალვა ჯაყელს გაუხსნეს სახელო და თამარის სამხრე დაინახა. მარტოდ დარჩენილი ხელმწიფე დაჰყურებს სამხრეს და ერთმანეთში ერევა სინამდვილე და მოჩვენება. ამ საქმეში ხედავს „ჭეშმარიტად ეშმაკის საფრთხეს“. მაინც ბოლომდე უნდა დაიჯეროს თამარის ღირსებანი:

„არა!.. თამარს აქვს და მე ვპოვებ იმ ღირსებათა,
რომელნიც ჰქონდათ დიდებულთა წინაპრებთა.
მაგაზე არის მომავალში ჩემი იმედი,
რომ დამკვიდრდება, გამძლავრდება ივერთა ბედი“.[1]

ამასთანავე, ეჭვები თხრიან მამის გულს: თუ არ შეინარჩუნა სულის უმანკოება, თუ არ გამოდგა გონიერი, ზეცით ცხებული. „და მის სხეულში თუ ღვიოდეს **ევისა ქალი**, და ნუთუ ვცდები მე, ვით კაცი? ვაჰ, ჩემი ბრალი... და რარიგ დასჯილი, დატანჯული მაშინ დავშთები!.. ჩემს საქართველოს ცოცხლად წავსწყმედ და მეც წავწყდები“. მამის გულისწყრომა გამოიწვია იმ ფაქტმა თუ რისთვის მოხვდა, რა მნიშვნელობით თამარის სამხრე შალვა ჯაყელის ხელში. ამ ვითარებამ მოაგონა ბიბილური ევას საქციელი, რომელმაც შელახა უფლის მცნება და შესცოდა. დაეჭვდა მამა: ვაითუ გამეფებულმა შვილმა უგულებელყოს მამის დარიგებანი, გაღვივდეს „მის სხეულში ევისა ქალი“, შესცოდოს და საქართველო დაღუპოს.

გიორგი მეფის სახელით ჯავახიანის მიერ შედგენილ სიგელში მოისმის „ძრწოლა კაენისი“: „ისიმც შეიშლების სჯულისაგან ქრისტეისა, მას რისხავს მამა, ძე და სული წმინდა, წაცაედების კეთრი გეზისი, ძრწოლა კაენისი და წყეულიმც იქნების შვიდთა მსოფლიოთა კრებათაგან.[2]

ასეთია მოკლედ ქრისტიანული საფუძვლებისა და მოტივების ჩვენებანი „გიორგი მესამეში“.

„გიორგი მესამე“ და „ვეფხისტყაოსანი“. როგორც არაერთხელ შევნიშნეთ, აფხაზი მწერალი გიორგი შარვაშიძე ღრმად ფლობდა ქართული

[1] **გ. შარვაშიძე**, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 156.
[2] იქვე, გვ. 159.

კულტურის მიღწევებს სათავიდან მის დრომდე. იგი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა ძველი ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართ. მისთვის მახლობელია შუა საუკუნეების საისტორიო მწერლობა. მწერალი საფუძვლიანად განსწავლულია „ქართლის ცხოვრებაში“, რომელმაც ეტყობა შთააგონა „გიორგი მესამის“ შექმნა.

როგორც ჩანს, გიორგი შარვაშიძე უზომოდ იყო შეყვარებული „ვეფხისტყაოსანზე“. ეს დრამაშიც გამოჩნდა. პიესის ერთ-ერთი კოლორიტული ფიგურაა შოთა მესხი, რომელიც ხელმწიფის გარემოცვაში ტრიალებს და გიორგის აქტიური მხარდამჭერია. იგი მთელი დრამის მანძილზე უშეცდომოდ მოქმედებს. გამოირჩევა პოეტური ნიჭით, სიბრძნით, მაღალი ზნეობრივი თვისებებით. მკითხველთან მისი პირველი შეხვედრა ლექსის გამოთქმით დაიწყო:

„მიკვირს კაცი რად იფერებს საყვარლისა სიყვარულსა:

ვინცა უყვარს, რად აყივნებს მისთვის მკვდარსა მისთვის წყლულსა?!

თუ არ უყვარს, რათ არა სძულს? რად აყივნებს, რაცა სძულსა?

ავსა კაცსა ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა“.

ეს ბოლოსწინა სტროფია „ვეფხისტყაოსნისა“. ამით გიორგი შარვაშიძე იმთავითვე მიანიშნებს მკითხველს, რომ მისი საყვარელი პერსონაჟი შოთა მესხი იგივე შოთა რუსთაველია. აქ საინტერესო მომენტს უნდა ჩავუკვირდეთ. როდესაც „გიორგი მესამე“ იწერებოდა, „ვეფხისტყაოსნის“ მოყვარულ ქართველ საზოგადოებაში, გნებავთ, რუსთველოლოგიაში, არც იყო აქტუალური რუსთაველის სადაურობის საკითხი. რადგან სწორუპოვარი პოეტი პროლოგსა და ეპილოგში რამდენიმეჯერ მოიხსენიებს თავის რუსთველურობას („მე, რუსთველი, ხელობითა“... „დავჯე, რუსთველმან გავლექსე“... „ტარიელ მისსა რუსთველსა“...), ამან მისი ბიოგრაფიის მკვლევართ მეტყველი მასალა და საბუთი მისცა იმის დასამტკიცებლად, რომ დიდი პოეტი იყო რუსთავის მკვიდრი, იქ დაბადებული. აქ საეჭვო არც არაფერია. ოღონდ პაექრობის საგნად იქცა ის ფაქტორი, თუ რომელი რუსთავიდან უნდა ყოფილიყო „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი. ერთნი ამტკიცებდნენ, რომ იგი მესხეთის რუსთავიდანაა, მეორენი კი — თბილისის რუსთავიდანო.

მაგრამ ამაზე კამათი გაჩაღდა გიორგი შარვაშიძის გარდაცვალების (1918) შემდეგ. თუმცა ერთი წლით ადრე (1917) გამოქვეყნდა ნიკო მარის ნარკვევი — „შოთა რუსთაველის ქართული პოემა „ვეფხის ტყაოსანი“ და ახალი კულტურულ-ისტორიული პრობლემა“, სადაც სათანადო საბუთით რუსთველის მესხობას აღიარებს.

საგულისხმოა იმის დაფიქსირება, რომ ჯერ კიდევ არჩილ ბაგრატიონი (1647-1713) თავის ეპიკურ თხზულებაში „გაბაასება თეიმურაზისა და რუსთველისა“ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს თვლის ჯავახად. ასევე ხალხური გადმოცემები პოეტის მესხურობას უჭერს მხარს.“ მართებულად შენიშნავს ალ. ბარამიძე: „შესაძლებელია რუსთველის მესხობის წყარო იყო ფსევდორუსთველური სტროფის სიტყვები („ვწერ ვინმე მესხი მელექსე“...). ამ სტროფის ვინმე მესხი კი რუსთველს იმოწმებს, თვითონ ის არ არის პოეტი რუსთველი, ის მისი მიმბაძველია“.[1] გიორგი შარვაშიძის გარდაცვალების შემდეგ, როგორც შევნიშნეთ, რუსთველოლოგიაში აქტიურ პრობლემატიკად იქცა პოემის ავტორის სადაურობის საკითხი: მესხეთის რუსთავი თუ თბილისთან ახლოს მდებარე რუსთავი. ნიკო მარს მიმდევრები გამოუჩნდნენ და რუსთველის მესხობას ამტკიცებდნენ: შალვა ნუცუბიძე, ნოდარ შოშიაშვილი, სარგის ცაიშვილი და სხვ. ამ საკითხში დიდი მეცნიერი კორნელი კეკელიძე სიფრთხილეს იჩენდა ორ რუსთავს შორის რომელი უნდა იყოს რუსთველის სამშობლო: „თუ ძველ ელადაში შვიდი ქალაქი ეცილებოდა ერთიმეორეს პომეროსის სამშობლოდ აღიარებაში, რა გასაკვირია, საქართველოში არსებულ ორ პუნქტს შორის იყოს არჩევანი, რადგან სათანადო პირდაპირი მითითება არ მოგვეპოვება“. მიუხედავად ამისა, დიდი მეცნიერი მაინც რუსთაველის მესხობისკენ იხრებოდა. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, რუსთველოლოგიური ძიებანის თანამედროვე ეტაპზე ეჭვმიუტანლად დასაბუთებულია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი იყო მესხეთის რუსთავიდან.

ეტყობა, გიორგი შარვაშიძე აღორძინების ხანის ქართული მწერლობის, ან ქართული ხალხური გადმოცემების საფუძველზე მიიჩნევს

[1] ალ. ბარამიძე, შოთა რუსთაველი, ობ., 1975, გვ. 37.

დიდ შოთას მესხად. შესაძლოა მისთვის შთამაგონებელი იყო პოემის ეპილოგის ფსევდორუსთველური სტროფი: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა“. ცხადია, ამ პრობლემის გარკვევას არ ისახავდა მიზნად „გიორგი მესამის“ ავტორი. ის უბრალოდ ერთერთ პერსონაჟად გამოყვანილ შოთას „სჩუქნის“ გვარს — „მესხი“, ამასთანავე, მასვე ალაპარაკებს „ვეფხისტყაოსნის“ ჩვენ მიერ ზემოთ დამოწმებულ სტროფს, რითაც მიგვახვედრეს, რომ შოთა მესხი იგივე შოთა რუსთაველია, ქართული გენიალური პოემის შემქმნელი, რომელიც აფხაზ მწერალს მტკიცედ მიაჩნდა მესხეთში მდებარე რუსთავის მკვიდრად.

შოთა რუსთაველი თამარის სამეფო კართან დაახლოებული ყოფილა, როგორც დიდი პოეტი. ამას თვითონვე გვიმჟღავნებს პოემის პროლოგში, როცა ავალებენ თამარ მეფეზე და დავით სოსლანზე ეპიკური ტილოს შექმნას:

„მიბრძანეს **მათად** საქებრად თქმა ლექსებისა ტკბილისა,
ქება წარბთა და წამწამთა, თმათა და ბაგე-კბილისა“...
„თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული,
ვთქვენი ქებანი **ვისნი** მე არ ავად გამორჩეული“.

გიორგი შარვაშიძეს სწორედ ამ მონაცემებზე დაყრდნობით შემოჰყავს დრამაში შოთა მესხი (რუსთაველი), როგორც გიორგი მესამის ერთგული და მისანდო პირი, მეფის გარემოცვაში ზნეობით და მელექსეობით გამორჩეული ახალგაზრდა კაცი („ახალგაზრდა ჯარის ყმა“). ბუნებრივია, აქ ხაზი გაესმის მის დამოკიდებულებას გიორგი მესამესთან და არა თამართან, ვინაიდან დრამაში ასახული არ არის თამარის მეფობის პერიოდი, პიესა შემოიფარგლა მისი მხოლოდ ტახტზე დასმით და არ „დასცალდა“ დიდი თამარის საქმეთა საგმიროთა ჩვენება. არაფერს იძლევა იმის „ჩაკირკიტებაც“ თუ მწერალი 1189-1207 წლების ფარგლებში დაწერილი „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტიდან რატომ წარმოათქმევინებს შოთას თავისივე ენით ჩვენ მიერ უკვე ილუსტრირებულ სტროფს დაახლოებით 1178 წლისთვის ანუ შეთქმულების პერიოდში. აქ მწერლის ფანტაზიას თავისუფლებაში ცილს ვერ დასწამებ.

ჩვენთვის ამ მომენტში მთავარი იყო იმის ჩვენება, რომ დრამის მიხედვით, შოთა მესხი ანუ რუსთაველი სამეფო კარზე მიღებული და კეთილშობილებით გამორჩეული პიროვნებაა. ასევე – „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი მესხეთიდანაა წარმოშობით, რაც ასე სწამდა გიორგი შარვაშიძეს ჯერ კიდევ მაშინ, როცა ამაზე კამათი სამეცნიერო ლიტერატურაში გაჩაღებული არ იყო.

როდესაც მსჯელობის საგნად იქცევა გიორგი შარვაშიძის დამოკიდებულება რუსთველთან „გიორგი მესამის“ წერისას, ცხადია, მკითხველის თვალწინ იმთავითვე დადგება თამარის გამეფების იდენტურობა თინათინის ტახტზე დასმასთან.

„ვეფხისტყაოსნის“ მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ პოემის პირველივე თავში – „ამბავი როსტევან არაბთა მეფისა“ – მოთხრობილია თინათინის გამეფების ამბავი. არაბთა მეფეს ჰყავდა ერთადერთი ასული, „სოფლისა მნათი მნათობი, მზისაცა დასთა დასული“ თინათინი. ერთ დღეს მეფემ მოუხმო ვეზირებს, „გვერდსა დაისხნა, დაუწყო მათ ამაო საუბნარია. მე დავბერდი („მე გარდასრულვარ, სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია“), დღეს ან ხვალ სიკვდილს ველოდები, ამიტომ „ჩემი ძე („ძე“ აქ ნიშნავს „შვილს“, „მემკვიდრეს“) დავსვათ ხელმწიფედ, ვისგან მზე საწუნელია“. ე.ი. ამცნო ვეზირებს თავისი სურვილი თინათინის გასამეფებლად. ვაზირები ერთი ამოსუნთქვით, ერთსულოვნად „უმტკიცებენ“ ხელმწიფეს, რომ ჯერ რა დროს სიბერეა მისი, „ჯერ ვარდი არ დაგჭკნობია“. ამით ჯერ ცოტათი გულს მოულბობენ ხანდაზმულ მეფეს, შემდეგ კი თანხმდებიან მის გადაწყვეტილებას: „სჯობს და მას მიეც მეფობა, ვისგან მზე შენაფლობია“. ყოველგვარი პირმოთნეობის გარეშე დაუდასტურებენ: „იცის მეფობა, უთქვენოთ გვითქვამს კვლა დია“.

როსტევანმა არაბეთის მასშტაბით გასცა ბრძანება: „თინათინ ჩემი ხელმწიფედ დავსვი მე, მისმან მშობელმან“. მთელი არაბეთი შეიკრიბა, „ჯარი გამრავლდა ხასისა“:

„თინათინ მიჰყავს მამასა პირითა მით ნათელითა,
დასვა და თავსა გვირგვინი დასდგა თავისა ხელითა,
მისცა სკიპტრა და შემოსა მეფეთა სამოსელითა.

ქალი ბრძნად უჭვრეტს ყოველთა ცნობითა ზე-მხედველითა“.

გამეფებულ თინათინს „თაყვანისა-სცეს მეფემან და მისთა სპათა“, დალოცეს, ქება უთხრეს, „ბუკსა ჰკრეს და წინწილანი დაატკბობდეს მათთა ხმათა“. თინათინი მორცხვობს, „ტირსა და ცრემლსა აფრქვევს, ვინაიდან „მამისა ტახტსა საჯდომად თავი არ ეღირსებოდა“. მამამ დაამშვიდა იგი, მისცა სათანადო რჩევა-დარიგებანი, რასაც „ბრძნად მოისმინებდა“.

საინტერესოა, რომ აკაკი წერეთელი 1899 წელს დაწერილი ლექსის „ცოცხალი სურათები“ სქოლიოში ურთავს შენიშვნას, სადაც როსტევან მეფეს აიგივებს გიორგი მესამესთან, ხოლო თინათინს — თამართან. რუსთველოლოგი სიმონ ქვარიანი 1903 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში ამბობს: „როსტევანი და ფარსადანი გიორგი მესამეა, ნესტანი და თინათინი კი — თამარი.

„გიორგი მესამეში“ ანალოგიური სურათი იხატება, რასაც ზემოთ შევეხეთ „ვეფხისტყაოსნის“ პირველივე თავის შინაარსში თინათინის გამეფებასთან დაკავშირებით. გიორგი შარვაშიძის პიესის პირველივე მოქმედება თამარის გამეფებას ასახავს გიორგი მესამის გადაწყვეტილების საფუძველზე. საქართველოს მეფის გიორგი III სრა-სასახლეში შეიკრიბნენ; ხელმწიფე გიორგი მესამე, თამარი, რუსუდანი, საქართველოს სხვადასხვა კუთხის ერისთავნი, ასევე მანდატურთუხუცესი ჯავახიანი, დავით სოსლანი, შალვა ჯაყელი, შოთა მესხი, ზაქარია მხარგრძელი, გამრეკელი. მეფის მითითებით მანდატურთუხუცესმა თამარს გააცნო ერისთავები, რომლებიც დედოფალს ხელზე ეამბორებიან და უკუდგებიან. გიორგი მესამე ერისთავებს ასე მიმართავს: „პატივცემულნო, თქვე ერთგულნო სამშობლოს ჩვენსა, ერისთავნო! დასხედით და ყური დაუგდეთ ჩემს საუბარსა“. ამ ხნის მანძილზე სახელოვნად გაშლილი ჩვენი დროშა შიშის ზარს სცემდა მტერთა ურდოთა, „განსდევნა სრულად!.. ამის გამო ერი მწყალობდა და ქების ღირსად მთვლიდა. დღეს კი სიბერემ მიწია, დადგა დრო, ივერიის ტახტს გამოვემშვიდობო, „ვატარო აწ დარჩენილნი დღენიცა ჩემნი ლოცა-მარხვითა, დეე ცოდვანი შევინანიო“... ვინაიდან უფალმა მემკვიდრედ ძე არ მაღირსა, მომცა „მხოლოდ საყვარელი ესე ასუ-

ლი", „თამარ არის მცნებითა სრული", სწორედ ის უნდა ვაღიაროთ იერიის სამეფო ტახტის მფლობელად. შემდეგ გიორგი მესამე მიმართავს ერისთავებს თხოვნით, რათა გამოთქვან ამასთან დაკავშირებით თავიანთი აზრი დაუფარავად. „როგორა ჰპოვებთ ჩვენსა რჩევას, კარგად თუ ავად?!" ფსიქოლოგიურად იგივე მომენტი დგება, რასაც „ვეფხისტყაოსანში" გავეცანით. კახეთის ერისთავი თავის ხელმწიფეს ეუბნება: „რად გვიბრძანეთ თქვენ მოხუცება? დასაბამიდან მზე ანათებს... თვით არ იწვება, მაგრამ გაათბობს რა საკმაოდ ის სამყაროსა, სჯის უმჯობესად და გვიგზავნის მაშინ სხვა დროსა, როცა მზისა წილ განათდების საუცხო მთვარე და ბედნიერად დამშვიდდების ყოველი მხარე! ეგრეცა, მეფეო, დღეს ინებეთ თქვენ დასვენება, ასული თქვენი, მნათი თამარ, მთვარედ დარჩება". ეს არის ერისთავის მხრიდან მეფის გადაწყვეტილებისთვის მხატვრულ ფერებში გამოხატული მხარდაჭერის არაჩვეულებრივი აქტი. ასევე იმერეთის, ოდიშის, აფხაზეთის, სვანეთის ერისთავები გიორგი მესამეს ერთხმად უდასტურებენ, რომ თამარს შესწევს ძალა მამის საქმე ღირსეულად განაგრძოს. ერისთავების ნათქვამს თვითონ თამარი ყურადღებით უსმენდა.

ერისთავების ერთსულოვანი თანადგომით კმაყოფილი ხელმწიფე მოუბრუნდება თამარს: „ისმინე, შვილო, რა ყოველი აქა თხრობილი, ან შენა გმართებს საქმე დიდი, მცნებით მკობილი! იმედით ღვთისა, მწამს, განაგებ კარგად ყოველსა". მამა თავის შვილს, უკვე მეფედ კურთხეულ თამარს ასეთ შთამაგონებელ დარიგებას აძლევს:

„არ მოგერიოს შენ სისუსტე, დედათ წესია,
არა სხეულის, — სულის სილბო უარესია!
ქვეყნის პატრონსა არ სჭირია ხმალი და ფარი,
მხოლოდ მას უნდა არ მორჩილი — სული მედგარი;
ამის მიზეზით იშვიათობს ქალი სვიანი,
და თუ გამოჩნდა, ვარსკვლავია ულუმპიანი,
იფიქრე, შვილო, აწ სვე შენი და მომავალი".

„ვეფხისტყაოსნის" და „გიორგი მესამის" შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ გიორგი შარვაშიძე ზუსტად იმეორებს თინათინის გამეფების სცენარს თამარის გახელმწიფების სურათის ჩვენებისას, ერთი

განსხვავებით: რუსთაველის პოემაში ჩვენ ვხედავთ, თუ რა მოჰყვა შედეგად არაბეთში თინათინის ტახტზე ასვლას, „გიორგი მესამეში“ კი თამარის მხოლოდ ტახტზე აყვანას ვეცნობით. პიესის მოქმედებანი ისე სრულდება, რომ თამარი ქვეყნის მეფედ უშუალოდ არ ჩანს. ასევე, განსხვავება ისაა, რომ როსტევანმა თავისი აზრი გააცნო უშუალოდ ვეზირებს, ხოლო გიორგი მესამემ საქართველოს სხვადასხვა კუთხის ერისთავებს (კახეთი, იმერეთი, ოდიში, აფხაზეთი, სვანეთი).

გიორგი შარვაშიძე ყოველივეს ამის ჩვენებით იმაზეც მიგვანიშნებს, რომ მისი წარმოდგენით თინათინის პიროვნებიდან აუცილებლად უნდა ამოვიკითხოთ თამარ მეფის სახე.

„გიორგი მესამის“ ენის შესახებ

ზოგიერთი ცნების ინტერპრეტაციისათვის. გიორგი შარვაშიძე ღრმად ფლობდა ძველ ქართულ სიტყვიერ კულტურას, ის შესანიშნავად იყო დაუფლებული ძველ ქართულ ენას, რამაც გამოვლინება ჰპოვა დრამატულ ნაწარმოებში „გიორგი მესამე“. ეს ნაწარმოები ისტორიულ თემაზეა შექმნილი. იგი უკავშირდება ცნობილი ქართველი მეფის, ერთიანი საქართველოს მესაჭის გიორგი მესამის ზეობის ხანას. ბუნებრივია, ავტორი ვერ აიცდენდა თავიდან ძველი ქართულის ლექსიკის მარაგიდან ზოგიერთი ცნების გამოყენებას, „ქართლის ცხოვრების“ ენით სარგებლობას. განვიზრახეთ ზოგიერთ ცნება-ტერმინზე ყურადღების გამახვილება (მასალას ვალაგებთ ანბანის რიგის მიხედვით).

აეშაგი. გიორგი შარვაშიძე რამდენიმეჯერ მიმართავს ამ სიტყვას: ჯაყელი ეკითხება გაბრიელ ბერს მესტვირის ვინაობაზე. ბერის პასუხი: „გლახაკია, ბატონო, ვიღაც აეშაგი ჰგონებიათ დარაჯთ და დაუჭრიათ“.[1] ჯავახიანი გაბრიელზე ყაითაძეს მოახსენებს: „ლალა, ჰო, ლალა, მაგრამ ჯაშუში და აეშაგი“.[2] იქვე უღრმავებს მასზე წარმოდგენას: „გამიგონე, შენ კი ნუ მესაუბრები, ყური დამიგდე კარგად! ეს

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 144.

[2] იქვე, გვ. 160.

კაცი აეშაგია, ძლიერ მავნებელი, იქითაც არის და აქითაც“.[1] როგორც დავინახეთ, მწერალი „აეშაგის“ გვერდით ხმარობს სინონიმურ სიტყვას „ჯაშუში“. რადგან სინონიმი ვახსენეთ. აქვე წარმოვადგენო „აეშაგის“ სინონიმებს ალექსანდრე ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონის“ მიხედვით: „აეშაგი, ჯაშუში, მსტოვარი, მზვერავი, მზირი, მოენე, მეთვალყურე, მოყურიადე, თვალყურის მდევნებელი, ჩასაფრებული.[2]

როგორც ჩანს, გიორგი შარვაშიძეს „აეშაგი“ აღებული აქვს კლასიკური ხანის საისტორიო ძეგლიდან — „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, სადაც ვკითხულობთ: „რომლისა იხილეთ აქაცა ძალი და ძლიერება ძელისა მის ცხოვრებისა და პატივისცემა პარასკევისა. და ვითარცა გათენდა, მოვიდეს კაენი წინამავალნი აეშაგთაგანნი და თქუეს ვითარმედ: „ჩუენ თუალითა ჩუენითა გვიხილავან ათასნი ათასთანი და ბევრნი ბევრთანი, უმრავლესნი რიცხვისანი, ვითარცა მკალნი და ვითარცა ქვიშა ზღ სა — შანქორითგან ვიდრე მთად შოთისა და ვარდანაშტისა, განძის კარამდი ვერ მისაწთომელ არიან თუალნი განცდად და გადაწთომად“.[3]

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით: „აეშაგი ესე არს, რა კაცი ვინმე გაგზავნო ქვეყანათა გასასინჯველად, ანუ მტერთა ლაშქართა და ეგევითართა უცნაურად“.[4] ნიკო ჩუბინიშვილის თანახმად, აეშაგი სპარსული სიტყვაა, რომლის სინონიმებია: მსტოვარი, ჯაშუში.[5] ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“ „აეშაგი“, საერთოდ არ ჩანს, არც „მსტოვრის“ სინონიმების დასახელებისას: მზვერავი, ჯაშუში, მოთვალთვალე.

ალაფი. ზაქარია მხარგრძელს და კოსტა წავქისელს მესტვირესთან საუბრისას მოესმათ დიდი ხმაური, აბჯრის ჩხარუნი და გუშაგთა ყივი-

---

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 161.

[2] ალ. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1978, გვ. 554.

[3] ქართლის ცხოვრება, II, გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, თბ., 1959, გვ. 68.

[4] ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, გამოსცა ილია აბულაძემ, თბ., 1991, გვ. 522.

[5] დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, ა. შანიძის გამოცემა, თბ., 1984, გვ. 8.

ლი. ისინი იარაღს დაავლებენ ხელს და გარბიან. მკლავში დაჭრილი მესტვირე ხეს ამოეფარება. გაჩერდებიან იოანე ორბელიანი, დემნა ბატონიშვილი, ლიპარიტ ორბელიანი, ჯაყელი (შალვა ჯაყელის მამა) და მათნი მხლებელნი. დემნას გარდა ყველა ხმალამოღებულია. ჯაყელი გაჰყვირის: „ჰა, თქვე ქაჯებო, თქვენა! როდის იყო ორბელიანსა და ათაბეგს გზაზე არ უშვებენ?“ იოანე დაამატებს: „ვიცოდეთ მაინც, რა კაცებია, რომ გვეჩხუბებიან?“ ჯაყელის ფიქრით: „უეჭველად მეკობრეებია“. ამას მოსდევს ლიპარიტის პასუხი, რომელშიც მოცემული ერთი სიტყვა იქცევს ჩვენს ყურადღებას: „მეკობრეებს არ უგავთ სიალფე და აბჯრის ხმარება“.

რა შინაარსი უნდა ამოვიკითხოთ „სიალფიდან“? იგი, ბუნებრივია, წარმოებულია სიტყვიდან „ალაფი“. სულხან-საბას განმარტებით, ალაფი ნიშნავს საფენელს და ჭურჭელს. საბას „სიტყვის კონაში“ ფორმა „სიალფე“ არ დასტურდება. იგივე ვითარებას ვხედავთ ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“, ასევე „ქართლის ცხოვრებისათვის“ დართულ ლექსიკონში. აქ „ალაფი“ განმარტებულიც არ არის. ალექსანდრე ნიემანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონში“ წარმოდგენილია „ალაფის“ სინონიმები: ნაალაფევი, ნაძარცვი, ნადავლი, დავლა, ანაკლები, ნაკრეხი, ავარი, ნაძარცვ-ნაგლეჯი“. „ალაფი“ არც თუ იშვიათად გვხვდება ძველ ქართულ სიტყვახმარებაში. „ქართლის ცხოვრებიდან“ ამოვწერთ თითო-ოროლა ნიმუშებს: „მოიცვა ბექამან ქალაქი სპერი, და თუქრნი გაქცეულნი ორასნი ჩავიდეს პონტოს-კერძ. და ვითარ განემარჯუა სარგისს, მომართა მამისა-კერძ, და მომავალმან აღაო რა ნორაქალაქი, და აღავსნა სპანი, რომელნი იყვნეს, საქონლითა, ალაფითა და ტყ თა“...[1] „ხოლო ესმა რა საქმე ესე მეფესა ლუარსაბს, მაშინ წარმოუდგა უკანა ყიზილბაშთა, და ამოსწყ დნა მრავალნი თათარნი, და წაართუა ურიცხ ალაფი და ვერღარა წაართუა დედა თ სი“.[2] დამოწმებულ ნაწყვეტებში „ალაფი“ გაიაზრება ნაძარცვად, ნადავლად.

ვაგრძელებთ ზემოთ დაწყებულ საუბარს იმის თაობაზე, რომ

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 315.

[2] იქვე, გვ. 507.

ფორმა „სიალფე“, გნებავთ — „სიალაფე“ არ დასტურდება არც ერთ ქართულ ლექსიკონში. მათ შორის ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულში. სამაგიეროდ, აღნიშნული სიტყვის ფორმა მოგვეპოვება ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებში. ნიკო ჩუბინაშვილი: „ალაფი — ნაშოვარი საქონელი ჟამსა ბრძოლისასა, ალაფობა — აკლება, დატაცება, აფორიაქება... სიალფე — სილაღე, კადნიერება“.[1] დავით ჩუბინაშვილს „ალაფი“ მიაჩნია არაბულ სიტყვად და ნიშნავსო საკვებს, მეფქვილეს. ამასთანავე, მას თვლის სპარსულ სიტყვად, როცა მასში დებს შემდეგ გაგებას: ნაშოვარი ბრძოლის დროს... ხოლო „სიალფე“ ახსნილი აქვს ნიკო ჩუბინაშვილის გამეორებით — სილაღედ, კადნიერებად.[2]

გაირკვა, რომ ნიკო და დავით ჩუბინაშვილები ფორმა „სიალფის“ ხმარებისას ამოდიან „ვეფხისტყაოსნიდან“:

„ყმამან უთხრა: „ნუ იშიშვით თქვენ იმათსა სიალფესა,
ანუ დაეჰხოც იმ ყველასა, ან სიკვდილი ჩემი დღეს-ა“ (1038),
„მაგრა სპანი უთვალავნი მცვენ და მათი სიალფე-რე,
რასა ჰქვიან ძებნა ჩემი? არ ეგების, დაიჯერე!“ (1287);
პირსა უჭვრეტს გაკვირვებით, უქებს მკლავთა სიალფესა“ (1515).[3]

ვფიქრობთ, „ვეფხისტყაოსანიდან“ გამოხმობილ საილუსტრაციო მასალებში „სიალფე“ სინონიმია ძლიერების, ღონიერების. უძლეველობის და არა სილაღისა და კადნიერებისა.

„ალაფი“, „სიალფე“ ან „სიალაფე“ ასოცირდება მეკობრეებთან. რადგანაც გიორგი შარვაშიძე „მეკობრეთა“ გვერდით ახსენებს „სიალფეს“: „მეკობრეებს არ უგავთ სიალფე და აბჯრის ხმარება“, ეს იმას ნიშნავს, რომ მას სიალფე ესმის ღონიერების გაგებით. ხოლო ფორმა „სიალფე“ უთუოდ აღებული აქვს „ვეფხისტყაოსნიდან“. გარდა რუსთაველის პოემისა, შუა საუკუნეების ქართულ ტექსტებში „სიალფე“ არსად დასტურდება. ამით ნათელი წარმოდგენა გვექმნება გიორგი შარვაშიძეზე, როგორც მწერალზე, თუ რა მგრძნობიარედ ეხ-

[1] ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, გვ. 135, 362.

[2] დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, გვ. 19, 1167.

[3] შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, ა. შანიძისა და ა. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1966. გვ. 342, 424, 500.

ებოდა მისი კალამი თითოეულ ქართულ სიტყვას. თუ რა საფუძვლიანად იცნობდა იგი შუა საუკუნეების ქართულ სიტყვიერ კულტურას, განსაკუთრებით „ვეფხისტყაოსანს“, რომ არაფერი ვთქვათ „ქართლის ცხოვრებაზე“.

ბატონი. ბატონო. ქეგლ-ის მიხედვით: ბატონი ნიშნავს მფარველს, მპყრობელს, მმართველს, მბრძანებელს, მეფეს.[1] აქედან მოდის „ბატონიშვილი“ ანუ მეფის შვილი. მისი სინონიმია „უფლისწული“. საბასთან „ბატონიო“ განუმარტავია. „სიტყვის კონაში“ ვკითხულობთ: „ბატონი ქალი მეპატრონე, ბატონი ვაჟი მეპატრონე. დასახელებულია შესატყვისნი: პატონი, პატრონი. ფაქტიურად იგივეს იმეორებს ნიკო ჩუბინაშვილი: „ბატონი მეპატრონე, უფალი“. დავით ჩუბინაშვილი წერს: „ბატონი სწარმოებს პატრონისაგან, რომელიც არის ლათინური (ლიინური) სიტყვა და ჰნიშნავს მფარველს, ან მფლობელს, მეპატრონე, უფალი.[2] სწორედ ამ განმარტებას ემყარება ქეგლი. ილია აბულაძის „ძველი ქართ. ენის ლექსიკონში“ „ბატონი“ საერთოდ არ ფიგურირებს, სამაგიეროდ ვეცნობით მის სინონიმს — „პატრონი, უფალი, მფლობელი“. ალექსანდრე ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონში“ ჩავიხედოთ: „ბატონი, უფალი, მთავარი, მბრძანებელი. ბატონ-პატრონი, პატრონი, ხელისუფალი, მეპატრონე, ალია, მირზაბეგი, ბეი“.[3]

ძველ ქართულ სიტყვიერ კულტურაში „ბატონი“ სათანადო გამოყენებას პოულობს: „მაშინ წარაკლინა ბატონი ლევან სპითა მრავლითა მის ზედა“...[4] „მოვიდა ტფილისს, და მუნ შემოიპირნეს ყოველნი თათარნი, და ქართველნი, და სამცხის ბატონის ბექას შვილი, სარგის სპასალარი, ტაოელნი, თორელნი, თმოგველნი და სომხითარნი, რამეთუ შანშე პირველივე იყო მუნ“.[5] „ვეფხისტყაოსანში“ „ბატონი“ არ დასტურდება, მისი სინონიმი „პატრონი“ კი ძალზე პოპულარულია.

---

[1] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, ა. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1950, გვ. 991.

[2] დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, გვ. 98-99.

[3] ალ. ნეიმანი, ქართ. სინონიმთა ლექსიკონი. გვ. 45.

[4] ქართლის ცხოვრება, II. გვ. 505.

[5] იქვე, გვ. 303.

„გიორგი მესამეში“ ცნება „ბატონიც“ გვხვდება და „პატრონიც“: „მეფეს ამ დილას გადაუცია ამირსპასალარობა სარგის მხარგრძელისთვის და სპა გამოუმგზავრებია, რომ უფლისწული, ბატონი იოანე და თქვენ, სამნივე დაგატყვევონ“; „ჩემის მწყალობლის და პატრონისაგან“. ამჯერად გვაინტერესებს მიმართვის ფორმა — „ბატონო“, რაც შუა საუკუნეების ქართულ სიტყვიერ კულტურაში, მითუმეტეს დრამაში ასახული ეპოქის ძეგლებში არც დასტურდება. გიორგი შარვაშიძე თავის პიესაში ძალზე ხშირად ხმარობს მას. სანიმუშო მასალებიდან მხოლოდ ნაწილს დავიმოწმებთ: „ხელმწიფეო, დიდო ბატონო! შენ იცი კარგად“... „ბატონო ჩვენო, დიდებულო მეფეთა მეფევ!.. „გიორგი მესამეში“ „ბატონოთი“ მხოლოდ მეფეს კი არ მიმართავენ, არამედ სხვა პერსონაჟებსაც. მესტვირე წავქისელს სიმღერისას: „ღმერთმა გაცოცხლოს, ბატონო, მოგანიჭოს დღეგრძელობა“... გაბრიელი იოანე ორბელიანს, ჯაყელს, დემნას მიმართავს: „ბატონებო, ერთი სამწუხარო ამბავი უნდა მოგახსენოთ“. ყაითაძე ჯავახიანს: „დიახ, ბატონო!..“ „მახსოვს, ბატონო!..“ „რომ არ დამანებოს, ბატონო!..“ „როგორ, ბატონო?“... „გაეიგე, ბატონო“. კულტურული მიმართვის ამ ფორმით მწერალს თავისებური კოლორიტი შეაქვს ტექსტში.

ლალა. „გიორგი მესამის“ მეოთხე მოქმედებაში ჯავახიანისა და ყაითაძის დიალოგში ვეცნობით ასეთ ფრაზებს: „ყაითაძე. დიახ, ბატონო, უფლისწულის დიმიტრის ლალა. ჯავახიანი: „ლალა, ჰო ლალა, მაგრამ ჯაშუში და აეშაგი“.[1] „ლალას“ არც თუ იშვიათად ხმარობენ გიორგი შარვაშიძის დიდი თანამედროვენი. აკაკი წერეთელი: „მე გამიზრდია მეფე გიორგი, მე ვიყავ მისი ერთგული ლალა“; „ჩემი მსახური, რომელიც ლალად გამყვა რუსეთში, ერთხანად მეტად გართული იყო უცხო-უცხო სანახაობით“; ილია ჭავჭავაძე: „ჩვენი ჩვეული ლალა ჩვენზე ხელს იღებს. „დავითიანის“ ლექსიკაშიც თავს იჩენს ეს სიტყვა:

„საღმრთოს რომ ვერას გალობდეს, იმღერდეს „ხართა ლალასა“,
ჯავრობდეს, თავზედ იყრიდეს ჭოჭოლას და ვალალასა;
ძვირს უხსენებდეს მშობელთა, ღანძღევდეს თავის ლალასა,

[1] გ. შარვაშიძე. ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 160.

რომ არ ვსწავლობდი, რად არა მცემდიან ტაჯგანალასა“.[1]

„ლალა“ არ ჩანს სულხან-საბას „სიტყვის კონაში“, არც ილია აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონში“, არც „ქართლის ცხოვრებისთვის“ დართულ ლექსიკონში. ეს იმაზე მიუთითებს, რომ იგი არ ყოფილა პოპულარული შუა საუკუნეების ქართულ ლექსიკურ ფონდში. თუ მხედველობაში არ მივიღებთ გვიანი შუა საუკუნეების პერიოდს. „ლალა“ არ ფიგურირებს, საერთოდ, „ვეფხისტყაოსანში“, არც ქართული ბიბლიის ტექსტებში. მისი პირველი განმარტება მოგვცა ნიკო ჩუბინაშვილმა: „ლალა მზარდული, მამამძუძე“ (ხოლო ბერძულად ბიძა)[2] დავით ჩუბინაშვილის თანახმად, „ლალა“ სპარსული სიტყვაა და გამზრდელს გულისხმობს (ჩვეულებრივი მამაკაცი). „ლალას“ სინონიმებია: მამამძუძე აღმზრდელი, გამზრდელი, მზრდელი.[3] ამას შეიძლება დაემატოს მწვრთნელი, ოსტატი.

„გიორგი მესამის“ ავტორი „ლალასთან“ ერთად იყენებს სინონიმურ შესატყვისს — „მამამძუძე“:

„ეჰ, მამამძუძევ, მაგაზე ჩვენ ვერ შევთანხმდებით,
ომს მირჩევნია დავრჩე მარად გონების შვებით,
რადგან კაცია ცხოველთა შორის გონებიანი.
და თუ მახვილით აღჭურვილი ადამიანი
ცდილობს, რომ მოსპოს სხვის სიცოცხლე, მისი მსგავსისა
და მოსტაცოს ეს უმჯობესი ნიჭი ზეცისა,
მკვდარია მასში კაცობრივი გონიერება
და შთება მხოლოდ სულდგმულისა მას მძვინვარება“.[4]

„ლალას“ და „მამამძუძეს“ პარალელურად გიორგი შარვაშიძე იყენებს „ოსტატსაც“. დემნა ბატონიშვილი თავის ლალას გაბრიელ ბერს მიმართავს:

„ამისათვის იყო, აგრე მწვრთნიდი, ჩემო ოსტატო?
გულს შთამინერგე სხვა გრძნობათა მე ნეტარება.

---

[1] **დავით გურამიშვილი**, თხზულებათა სრული კრებული (დავითიანი), თბ., 1980, გვ. 64.

[2] **ნ. ჩუბინაშვილი**, ქართული ლექსიკონი, გვ. 257.

[3] **ალ. ნეიმანი**, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, გვ. 228.

[4] **გ. შარვაშიძე**, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 144.

ახლა კი ცდილობ, სოფლის გეგმა მე დამისატო
და ამაშიაც გინდა ჩემი განვითარება?“[1]

სიტყვაზე „ლალა“ იმიტომ გვამახვილეთ ყურადღება, რომ მიგვენიშნებინა თუ რა ღრმად ფლობდა ქართულ ენას ცნობილი აფხაზი მწერალი, თუ რა მარჯვედ არჩევდა შესაფერის სიტყვებს მოვლენების წარმოსასახავად, როგორ ერკვეოდა ცნებათა სინონიმებშიც.

მეცნიერი. თანამედროვე გაგებით „მეცნიერი“ ეწოდება ამა თუ იმ დარგის სპეციალისტს, მკვლევარს. საბას მიხედვით, მეცნიერი ნიშნავს მცნობელს. ნიკო ჩუბინაშვილი: „მენციერ-სწავლული, გამოცდილი სწავლათა შინა“. დავით ჩუბინაშვილი: „მეცნიერ-ცნობილი, ნაცნობი, სწავლულები, გამოცდილი სწავლასა შინა“. ილია აბულაძე: „მეცნიერი – „გულისხმიერი“, „მიწუდომილი“, ბრძენი, მცნობელი, მეცნავი, მცოდნე, ნაცნობი.[2] ცნება „მეცნიერი“ ფართო გამოძახილს პოულობს ბიბლიაში: „განმაშორენ ჩემგან მეცნიერნი ჩემნი“ (ფს. 87, 9), „ვინ არს ბრძენ და მეცნიერ თქვენ შორის?“ (დაკ. 3, 13). „ვეფხისტყაოსანშიც“ არაერთგზის დასტურდება ეს სიტყვა, რა თქმა უნდა, მაშინდელი შინაარსით:

„მისცა ანდერძი შერმადინს, რა გაათავა წერითა,
უთხრა: „ჰკადრეო მეფესა საქმითა მეცნიერითა“ (810).
„თუღა გახსოვს, რა უნდოდა, ისრე ავად რად გაგხადე?
მართლად უთქვამს მეცნიერსა: „წყენააო ჭირთა ბადე“(817)
„სიკვდილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა?“ (1191).

გიორგი შარვაშიძეც „მეცნიერს“ იყენებს ძველი შინაარსით და გაგებით. გიორგი მეფე თავის დას რუსუდანს ასე მიმართავს:

„მესმის, რუსუდან, მეცნიერი სიტყვა შენ მიერ,
მაგრამ რად მითხარ ეგ მოთხრობა მე სევდიანი?
რად მომაგონე, რომ მეცა ვარ ადამიანი“...[3]

აფხაზი დრამატურგის მიერ აქ ნახმარი ცნება „მეცნიერი“ გულისხმობს „ბრძნულს“, საუბარია „ბრძნულ სიტყვაზე“. „გიორგი მე-

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 147.
[2] ალ. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გვ. 236.
[3] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 157.

სამის“ ავტორი საფუძვლიანად იცნობდა „ქართლის ცხოვრებას“, მის ლექსიკონს, ამიტომაც „ქართლის ცხოვრებიდანაც“ დავიმწყობებთ სათანადო ნიმუშებს, სადაც „მეცნიერი“ ფიგურირებს. ლეონტი მროველი: „ხოლო მონადირეობითა მისითა იქმნა მეცნიერ აზონისა“; „აწ თქუენგანცა წარმოვიდენ მეცნიერნი სჯულისანი მანდით“; „მე ვარ მ ევალი მათი და მეცნიერი განზრახვასა მათსა ყოველსა“; ჯუანშერი: „რამეთუ ქმარმან მისმან მოჰგუარნა კაცნი სჯულისა მეცნიერი“... „წმინდა მამა დავით იყო ქუეყანით შუა მდინარით, რომლისა მშობელთა არა მეცნიერ ვართ“; დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი: „მაშინ მოუწოდა მეფემანცა იოანეს, კათალიკოსსა ქართლისასა, თარგმანსა და მეცნიერსა ბერძენთა და ქართველთა ენათასა, და განმანათლებელსა ყოველთა ეკლესიათასა და სხუათა მეცნიერთა და ბრძენთა კაცთა“.[1] დამოწმებულ ამონარიდებში „მეცნიერი“ ნიშნავს „მცოდნეს“, „გაცნობას“.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“: „დღეს შენა სჩან მშობელთა მათთა ნაცვლად, და ვინათგან ვხედავთ ყრმასა თამარის გონებითა და არა ყრმებრივითა, არამედ მეცნიერთა, ცნობიერითა, გონიერითა და შუენიერითა“... „დამყოფელმან თუალთა გონებისათამან შეასაუკუთრნა ხრიზმოსთა, და არამეცნიერნი და დამტეველნი ღმრთისანი უზორვიდეს კერპთა“... ჟამთა აღმწერელი: „ესოდენ რომელ სადმე ესმის კეთილი მოღუაწე და მეცნიერი ეპისკოპოსი, გინა მონაზონი“...[2] აქ „მეცნიერი“ გაიგება, როგორც „შეგნებული“, „გონიერი“.

ოფიკალი. „გიორგი მესამის“ პირველივე გვერდზე, სადაც ავტორი ჩამოთვლის მოქმედ პირთ, წავქისელის დასახელებისას ნათქვამია: „ოფიკალი როქისსპისა“. დრამის ტექსტში არაერთხელ იჩენს თავს ეს სიტყვა. ჯავახიანი მეფეს ეუბნება: „გავგზავნე ოფიკალი, ეხლავ გეახლებათ, ხელმწიფეო“. გამრეკელი მეფეს მოახსენებს: „კიდეც დახოცეს, ხელმწიფეო, რაზმი იგი. გადარჩა მხოლოდ სამი მხედარი და რაზმის უფროსი ოფიკალი“. ასევე მეოთხე მოქმედებაში ვკითხულობთ: „შემოდიან მხარგრძელი, ერთი ოფიკალი და რამდენიმე

[1] ქართლის ცხოვრება, I, გვ. 2, 36, 79, 142, 209.

[2] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 26, 84, 323.

მხედარი“.[1]

ცნება „ოფიკალი“ ძველ ქართულ ტექსტებში იშვიათად გვხვდება. „ქართლის ცხოვრებაში“, ასევე „ვეფხისტყაოსანში“, ბიბლიურ ტექსტებში იგი არსად დასტურდება. სულხან-საბას „სიტყვის კონაში“ „ოფიკალი“ განმარტებულია „მოხელედ“ და იქვე დაფიქსირებულია ერთ-ერთი ტექსტის ნაწყვეტი: „რაღაც მო ელეა ეგნატი: „ვინმე დიდებულმან, ოფიკალმან პატივითა“. ნიკო ჩუბინაშვილი: ოფიკალი, ოფიკალოსი, მოხელე, ოფიცერი. დავით ჩუბინაშვილი აკონკრეტებს ამ ცნების წარმომავლობას: „ოფიკალი, ოფიცარი (ბერძნ.), მოხელე ჯარისა, ოფიცარი. ამ დიდი ლექსიკოგრაფის მიხედვით, „ოფიკალი“ ბერძნული წარმოშობის სიტყვაა. ეტყობა, გიორგი შარვაშიძე დაუინტერესებია ამ იშვიათად ხმარებულ ტერმინს და განუზრახავს სიტყვახმარება-ში მისი გაცოცხლება, როგორც ოფიცრის (გერმ.) სინონიმისა.

სალოსი. ალექსანდრე ნეიმანი „სალოსს“ ასახელებს „განდეგილის“ სინონიმებს შორის: განდეგილი, მეუდაბნოე, დაყუდებული, მესვეტე, მღვიმელი, მემარხულე. სანდუხტი, ბერი, სალოსი, სქიმოსანი, თვითგანდგომილი, არა ამა სოფლისაგანი. მორჩილი, ბერად აღკვეცილი, მონაზონი, მწირი, დავრიში.[2] არც ერთ ამ სინონიმში არ ჩანს „სალოსის“ ძველი ქართული შინაარსი და გაგება: სულელი, შმაგი, ცოფი, ცრუმორწმუნე გიჟი, რომელსაც ვითომდა წინასწარმეტყველების უნარი აქვს.[3]

საინტერესოა, რომ „სალოსი“ დასტურდება „ქართლის ცხოვრებაში“. გადავშალოთ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“: „მეფე თამარ მოვიდა ოძრ ეს: და ეახლნეს შავთელი, კაცი ფილასოფოსი და რიტორი, ლექსთა გამომთქმელი და მოღუაწებათა შინა განთქმული, და ეელოგი სალოსად წოდებული და წინასწარ-მცნობლობისა ღირს-

[1] **გ. შარვაშიძე**, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 132, 154, 162.

[2] **ალ. ნეიმანი**, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, გვ. 86.

[3] შდრ. „ქართლის ცხოვრების“ მეორე ტომისთვის დართული ლექსიკონი, გვ. 594; **დავით ჩუბინაშვილი**, ქართულ-რუსული ლექსიკონი, გვ. 1084; ქეგლი, VI. 1960, გვ. 679, არც ერთ დანარჩენ ქართულ ლექსიკონში „სალოსი“ არ იპოვება.

ქმნილი".[1] აღსანიშნავია, რომ გიორგი შარვაშიძეს სიტყვა „სალოსი" უთუოდ „ქართლის ცხოვრებიდან" აქვს აღებული იმდროინდელიევე შინაარსის შენარჩუნებით („სულელი", „შმაგი") „გიორგი მესამეში" ეს ცნება მხოლოდ ერთხელ გვხვდება. მეფე გიორგი მესამე როცა შეიტყობს მის წინააღმდეგ ჩაფიქრებული შეთქმულების შესახებ, სევდიანი ტონით ალაპარაკდება ორგულობაზე. „შინაურ გველ-მატლებზე", სულელთა, შმაგთა, ბოროტ სულთა თაობაზე, „შავ ღალატზე". მცირე ფიქრის შემდეგ გაბრაზებული იტყვის დეჰნა ბატონიშვილზე, ანუ თავის ძმისშვილზე:

„დემნა!.. ჰმ! რას გავს ის საწყალი, სუსტი, სნეული,
სალოსი მეფედ სად ნახულა ამაღლებული?"[2]

ეს არის წონასწორობიდან გამოსული ხელმწიფის სიტყვები, ერთი შეხედვით, მეფის ეთიკისთვის შეუფერებელი საქციელი, მითუმეტეს, ძმისშვილის ასე გამოლანძღვა, ცხადია, არ ეკადრება ერთიანი საქართველოს მესაჭეს, მაგრამ ის იმდენად დაარწმუნეს დემნას ღალატში, რომ მისი გონება კონტროლიდან გამოვიდა. აი, სწორედ მაშინ იხმარა მის დასახასიათებლად ყველაზე დამამცირებელი სიტყვა „სალოსი", „სულელის" გაგებით.

სარანგი. „გიორგი მესამეში" ცნება „სარანგი" მხოლოდ ერთხელ დასტურდება. მეფე ბრძანებს: „შანთები ჩქარა (ქონდაქარი მიდის, მეფე მიაძახებს), მაგრამ ერთიცა კმარა. ამ საბრალოს რაღა შანთი უნდა, სული კბილებით უჭირავს. გაიყვანეთ და მოასვენეთ (ბერი გაჰყავთ მხედრებს). დემნა! შენც გადი მოუარე შენს მოძღვარს. თოკი აიხსენ და მოუცადე ჩემს ბრძანებასა (დეჰნა თოკს მოიხსნის, მეფე მკლავზე აკოცებს და გადის). სარანგთა უთხარ (გამრეკელს), თვალი ადევნონ, კვლავ არ გაიქცეს".

საბას განმარტებით: „სარანგი ესე არს რაოდენთა კაცთა უფროსი, რათა მათ მიერ ბოროტი კაცნი შეშინდენ".[3] ნიკო ჩუბინიშვილის თანახმად, „რამოდენთამე კაცთა ზედა დაწესებული უფროსი ქალაქთა

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 95.
[2] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 132.
[3] ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, გვ. 350.

შინა, ზავთად და შესაშინებლად ბოროტთა და ავაზაკთა“.[1] დავით ჩუბინაშვილი მიგვანიშნებს „სარანგის“ წარმომავლობაზე, როგორც სპარსულიდან შემოსულზე ჩვენში ბოქაულის, იასაულის შინაარსით“. ილია აბულაძე ამ სიტყვას განმარტავს ლაშქრის მეთაურად.[2] ქეგლის მიხედვით, „სარანგი (სარანგისა), სპარს. სარჰანგ „ჯარის მეთაური“, „სარდალი“, წესრიგის დამცველი; ბოქაული, იასაული.[3]

სიტყვა „სარანგი“ „ქართლის ცხოვრებაშიც“ იჩენს თავს: თამარმა „დააგდო სარანგი თავადად განძას“. რუსთაველიც მიმართავს ამ ცნებას:

„ზედა მოატყდა მჭვრეტელი, გახდა ზათქი და ზარები,
ვერ იჭირვიდეს სარანგნი, მუნ იყო არ-სიწყნარები“ (1179);
„შუკათა მოდგეს ვაჭარნი, ყოველგნით მჭვრეტელთა ჯარია;
შორს უარებდეს სარანგნი, ხელთა აქვს მათ აბჯარია“ (1460).

„სარანგი“ დრამაში „გიორგი მესამე“ ავტორს ხმარებული აქვს წესრიგის დამცველის გაგებით, რადგან ხელმწიფე მსახურთუხუცეს გამრეკელს ავალებს დემნასთვის თვალის დევნებისა სარანგთა ანუ წესრიგის დამცველთა, მანდატურთა მხრიდან.

ულუმპიანი. ეს სიტყვაც მხოლოდ ერთხელ გამოიხედავს „გიორგი მესამის“ ლექსიკიდან. ერისთავთა მხრიდან სამეფო ტახტზე თამარის დასმის მხარდაჭერის შემდეგ გიორგი მეფე თავის სანაქებო ასულს ასე არიგებს:

„არ მოგერიოს შენ სისუსტე, დედათ წესია,
არა სხეულის, — სულის სილბო უარესია!
ქვეყნის პატრონსა არ სჭირია ხმალი და ფარი.
მხოლოდ მას უნდა არ მორჩილი — სული მედგარი;
ამის მიზეზით იშვიათობს ქალი სვიანი
და თუ გამოჩნდა — ვარსკვლავია ულუმპიანი,
იფიქრე, შვილო, აწ სვე შენი და მომავალი“.[4]

სიტყვა „ულუმპიანი“ გიორგი შარვაშიძეს შეთვისებული აქვს

[1] **დ. ჩუბინაშვილი**, ქართულ-რუსული ლექსიკონი, გვ. 1107.
[2] **ილ. აბულაძე**, ძველი ქართ. ენის ლექსიკონი, გვ. 367.
[3] ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VI, გვ. 775.
[4] **სულხან-საბა ორბელიანი**, ლექსიკონი ქართული, გვ. 160.

უცილობლად „ქართლის ცხოვრებიდან“. რამდენიმე ნიმუშს ამოვწერთ: „თ თ მეფე დაჯდა სიხარულად და განსუენებად და ნადირობად. ოდესმე, ჟამსა ზამთრისასა, გარდავიდის ლიხთ იერიოს და მიუწიის ზღუად პონტოსა, მოიწიის და მოინადირის ალანთა ქუეყანა, რომელ არს აფხაზეთი, ოდესმე გურგენის ზღუდამდე, და ამას შინა სუფევდა და იხარებდა სუფევითა ულუმპიანითა“...[1] „ესე თამარ არს, რომლისათ ს თქუა განსუენებად სულსა შინა მშჯდსა და წრფელსა და მოქადულ იქმნა მოქმედი აღზრდილისა აღთბებისა. აწ მხილველმან იხილა და იყო ნათელი უმეტეს ნათლისა მის პირველისა... ამას უწოდა ნათელი **ულუმპიანთა** შორის დიდსუეობისა“; „შეთქმნა დარბაზობა და დასხდეს ტახტსა ზედა ოქროჭედილსა თ;ით თამარ, დავით და ძე მათი გიორგი, მადიდებელნი და მასახელებელნი ყოვლისა **ულუმპიანობისა** და შარავანდთ — მპყრობელობისა გუარფესუობისანი“.[2]

იმავე „ქართლის ცხოვრებისთვის“ დართულ ლექსიკონში „ულუმპიანის“ შესახებ ვკითხულობთ: „ულუმპიანი: 1. („ოლიმპიური“, „უზესთაესი“); 2. („ოლიმპიელი“, „მეფე“). საბას ახსნა-განმარტებით, „ულუმპია“ ნიშნავს მოელვარეს, გინა მძლეს, ხოლო „ულუმპიანი“ ელვაროვანს, მძლეველს, „ქარსაც ეწოდების ერთსა“.[3] ახლა დავით ჩუბინაშვილს მოვუსმინოთ: „ულუმპია მთა საბერძნეთში, ულუმპიანი ძლევა, ულუმპიანობა ასპარეზობა“.[4]

„ულუმპიანი“ იშიათად მოგვეპოვება ძველ ქართულ ტექსტებში. იგი ყურადღებულია მხოლოდ სულხან-საბას, დავით ჩუბინაშვილის და „ქართლის ცხოვრებისთვის“ (ტ. II) დართულ ლექსიკონებში. გიორგი შარვაშიძის მიერ გამოყენებული „ულუმპიანის“ შინაარსი მიესადაგება ამ ცნების საბასეულ კომენტარს.

ქეშიკი. დავით ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსული ლექსიკონის“ მიხედვით. „ქეშიკი“ სპარსული წარმოშობის სიტყვაა და გვამის მცველს ნიშნავს, რომლის სინონიმია „ყორჩი“.[5] ნიკო ჩუბინიშვი-

---

[1] ქართლის ცხოვრება. II, გვ. 15, 27, 65.

[2] იქვე.

[3] **სულხან-საბა ორბელიანი**, ლექსიკონი ქართული, გვ. 160.

[4] **დ. ჩუბინაშვილი**, ქართულ-რუსული ლექსიკონი, გვ. 1255.

[5] იქვე, გვ. 1333.

ლის თანახმადაც „ქეშიკი“ მცველია, ოღონდ მის წარმავლობაზე არ მიუთითებს. ეს ტერმინი გიორგი შარვაშიძეს უშუალოდ „ქართლის ცხოვრებიდან“ აქვს შესისხლხორცებული: „და იყო მაშინ თავი და უფროსი კაცი მოურავი და ყოველნივე ქართველნი მას მორჩილობდენ, რამეთუ ზურაბ ერისთავი და ვინცავინ დიდი კაცნი იყვნენ ქართლისანი, დიდს მოურავს ქეშიკში უწვებოდნენ და ყმურად მონებდნენ მას“.[1] იმავე „ქართლის ცხოვრების“ ლექსიკონში ეს სიტყვა განმარტებულია როგორც „ყარაული“.[2]

„გიორგი მესამეში“ რამდენიმეჯერ არის მწერლის მიერ ნახმარი „ქეშიკი“: „ქეშიკი (შემოდის და რუსუდანს), დედოფალო, ბანოვანნი უცდიან ბრძანებას!“... გიორგი მეფე: „ჩემი დის მოსვლა კი მაკვირვებს, რა საქმე უნდა ჰქონდეს ისეთი, რომ ქალი მარტოკა დააგდო ისანს?! გამოგზავნილს ქეშიკს ხომ არა უთქვამს რა?“... ზაქარია: ვნახე კიდეც, როგორც იყო, გუშინწინ, როცა ეკლესიიდან მობრძანდებოდა. მოვახსენე ყველაფერი და დამპირდა, ქეშიკს გამოვადევნებ, უსტარს ვაახლებ მეფესაო“.[3] ვფიქრობთ, დრამიდან დამოწმებულ ნაწყვეტებში „ქეშიკი“ ყარაულის შინაარსის შემცველია.

ქონდაქარი. დრამის ბოლო მოქმედებაში სიმართლის გასარკვევად გაბრიელ ბერი მოითხოვს: „შანთი გაგვიგდონ ჩვენ ორთავეს (იგულისხმება ბერთან ერთად ჯავახიანიც), რომელიც გაძლებს, მას შეუნდეთ (მეფეს მიმართავს), ბედი ამართლებს“. ხელმწიფე ბრძანებს: „შანთები ჩქარა (ქონდაქარი მიდის, მეფე მიაძახებს), მაგრამ ერთიცა კმარა“...[4] საბას განმარტებით: „ქონდაქარი“ ჰქვია მკვლელობის მოხელეს, ნიკო ჩუბინაშვილით კი — ყასაბს, მეხორცეს. იგივეს იმეორებს დავით ჩუბინაშვილიც, ილია აბულაძის „ძველიც“.

ძველ ქართულ ტექსტებში „ქონდაქარი“ აქა-იქ იჩენს თავს, მათ შორის ბიბლიაშიც. ჩვენ მხოლოდ „ქართლის ცხოვრებიდან“ ამოვწერთ საილუსტრაციო მასალას: „და ესერთ სრულ ჰყვეს ბრძანებული იგი ლანგ-თემურისა სპათა მისთა, ვითარცა პირველ ნაბუზარდან

[1] ქართლის ცხოვრება, II, გვ. 407.

[2] იქვე, გვ. 611.

[3] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 135, 152, 163.

[4] იქვე, გვ. 170.

მთავარ-ქონდაქარმან მეფისა ნაბუქოდონორისმან ჰყო იერუსალიმს შინა იუდიანთა ზედა“...[1]

ამრიგად, „გიორგი მესამის“ ლექსიკიდან საგანგებოდ შეირჩა რამდენიმე ცნება-ტერმინი (აეშაგი, ალაფი, ბატონი, ლალა, მეცნიერი, ოფიკალი, სალოსი, სარანგი. ულუმპიანი, ქეშიკი, ქონდაქარი), რომელზედაც გამახვილდა ყურადღება იმის დასადასტურებლად, რომ გიორგი შარვაშიძე ღრმად და საფუძვლიანად ფლობდა ძველ ქართულ ენას. რადგანაც ისტორიულ თემაზე შექმნა ჩინებული დრამატული თხზულება, აქტიურ მიმართებაში იყო „ქართლის ცხოვრების“ ტექსტების ლექსიკასთან.

ძველი ქართული ენით მეტყველების სტილი. „გიორგი მესამე“ შეთხზულია ავტორის თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების სრული დაცვით. თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, გიორგი შარვაშიძე არც თუ იშვიათად მიმართავს ძველი ქართული ენით მეტყველების სტილსაც. ბუნებრივია, ამას ავტორი გვერდს ვერ აუხვევდა, ვინაიდან დრამატულ ძეგლს წერდა XII საუკუნის საქართველოს ისტორიულ თემაზე, გიორგი მესამის სამეფო კარზე მიმდინარე მოვლენებზე. სხვა საკითხია, რამდენად მისდევს იგი ისტორიულ ფაქტებს და ცნობებს, რამდენად ეშურება ანაქრონიზმისკენ.

„გიორგი მესამეში“ ჩართულია ფრაზები თუ ვრცელი მონაკვეთებიც, სადაც ავტორი აელენს ძველი ქართული საეკლესიო ენით მეტყველების ძალისხმევას. ეს მიგვანიშნებს მწერლის მიერ საფუძვლიან ცოდნაზე ძველი ქართული ლექსიკური ფონდისა. წერის კულტურისა და სტილისა. ლოცვასავით ჩაგვესმის ყურში მეფის სასინანულო სიტყვები: „მეფეო ზეცათაო! მოგვიტევენ შეცოდებანი ჩვენნი, რამეთუ ვართ ხორციელნი და არა უწყით, რასა ვშვრებით“.[2] ხელმწიფე სარგის მხარგრძელს პირისპირ მოახსენებს: „უფლებითა ჩვენითა, თქვენ ერთგულსა ჩვენსა, ტაშირის და სომხითის ერისთავსა, თ-დ სარგის მხარგრძელსა გნიშნავთ დღეს ამირსპასალარად მთელთა ჩვენთა ივერთა სპათასა“.[3]

---

[1] ქართლის ცხოვრება. II, გვ. 453.

[2] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა. გვ. 173.

[3] იქვე, გვ. 133.

ახლა კი სამინუშოდ დავიმოწმებთ სიგელის ტექსტს მთლიანად, რომელიც მეფის სახელით შედგენილია მანდატურთუხუცეს ჯავახიანის მიერ. მასში ზედმიწევნით ჩანს გიორგი შარვაშიძის მიერ ძველი ქართული ენის არა მხოლოდ ცოდნა, არამედ მისივე სტილში ღრმად გარკვევა. გგონია, ამ ტექსტს ადგენს შუა საუკუნეების ქართველი შემოქმედი, საეკლესიო მწერალი თუ ჟამთააღმწერელი: „ჩვენ, მეფეთ მეფემან, სოლომონიან-დავითიან-ბაგრატოვან, ძემან მეფისა დიმიტრისა ქველისამან, გიბოძეთ ამა შეწყნარებისა წერილი მას შინა, რომელ რაიცა ოდენ ორგულობასა ჩვენსა და ქვეყანისასა ვწამობდეთ სეფისწულსა დიმიტრის და მხლებელთა მისთა თავადთა და აზნაურთა მოჯანყეთა, ან რომელნიცა იმაგრიან თავთა ციხესა ლორისასა, უკეთუ ნებითა მათითა წარსდგებიან წინაშე ჩვენსა, მიუტეოთ ესე ცდომანი მათნი და შეუნდოთ. აწ რამანცა ძემან ანუ ასულმან კაცისამან, სამღვდელომან ანუ საერომან, ძლიერმან ანუ მცირემან, დაშალოს ანუ წაჰყვედროს წყალობის პირობაი ჩვენი ესე, ისიმც შეიშლების სჯულისაგან ქრისტეისა, მას რისხავს მამა, ძე და სულიწმინდა, წაცაედების კეთრი გეზისი, ძრწოლა კაენისი და წყეულიმც იქნების შვიდთა მსოფლიოთა კრებათაგან. ხოლო დამამტკიცებელი წერილისა ამის იკურთხოს აწ და მარადის. ამინ, ხელს ვასობ მეფე ქართლისა, ივერთა ხელმწიფე გიორგი“.[1]

მკითხველს ბოდიშს ვუხდით დრამიდან ასეთი ვრცელი ამონარიდისათვის, მაგრამ ამით გვსურდა მთლიანად დაგვემოწმებინა სიგელის ტექსტი, სადაც ერთმნიშვნელოვნად წარმოჩნდა მწერლის დახელოვნება ძველი ქართული მეტყველების სტილში. ქვემოთ კი გავეცნობით ცალკეულ სტრიქონებს თუ ნაწყვეტებს პიესიდან, რომელთაც ასულდგმულებთ ძველი ქართული ენით მეტყველების ხიბლი: „დავშთით რა ღვთისა მადიდებლად და მოხარულად“, „ხამს აღვირჩიოთ ჩვენ მემკვიდრედ ღირსი და ბრძენი“, „დღესვე ვისურვეთ აღვიარო მემკვიდრედ ისა“; „იმედით ღვთისა, მრწამს, განაგებ კარგად ყოველსა“, „ვიშიშვი მე თქვენთან პირადათ მოხსენებას“; „ნუ რარაის გეშინიან“, „მე სხივითა რეტიანსა რა მგამა რამ ნაყბედიო“, „მარქვი, ვინ არის ის

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 159.

ჭკვიანი, რომ შეგაგონა"; „მუნ მაიდანზე დაუცადეთ ჩემს მოსვლას", „ჩვენ ცოდვილნი კი — განცავაგებთ მხოლოდ ქვეყნიურს". „რომ საქართველო... დაცაამცირონ", „წაცაედების კეთრი გეზისი", „თქვენ ფერხთა მტვერს ვენაცვალები", „პირველ გვასწავებს სიმაღლესა".

„გიორგი მესამეში" შეინიშნება დიალექტებისადმი მიდრეკილება: „სტვირი მიე, ყმაწვილო", „მართალია, ბაგში არა ვარ", „ენდეც ჩემს ქალობას"; „ასრე აქამდინ მოვაღწიე, დღემდი სიბერის", „დაახჩეთ ჩქარა", „მაგრამ თქვენა ხართ შთამოებით დიდისა გვარის"; „არ გინდებივარ და ეს არი", „გაგიმარჯოსთ, ბატონებო", „შენ ამაშიდა ჰპოვებ მიზეზსა"; „წაიყვათ და ჩააბარეთ"...

გიორგი შარვაშიძე 1915 წელს გაზეთ „საქართველოში" წერდა: „ბევრი საბუთებია ენის გარყვნისა, ჩვენს მწერლობაში გაუქმებულია ქართული ასოები: ც, ჯ, ჲ, შ... ნება გვაქვს, ვიკითხოთ, რა გაჭირვებამ აიძულა ის პირები, რომლებმაც შესცვალეს და გადაჰყარეს ქართული ასოები?.. ერთობ დიდი თავხედობაა ვინმემ, ან რამდენიმე პირმა, — აიღონ და გააუქმონ ათასი წლის წეს-კანონი მწერლობისა, ის კანონი, რომლის მეოხებით დაწერილან: ლოცვანი, ფსალმუნი, სახარება, დაბადება, ვეფხისტყაოსანი და სხვ., რომლებიც დგანან შეუცველ ბურჯად და საუნჯედ საქართველოს მწიგნობრობისა".[1] მიუხედავად ამ მოვლენისადმი ასეთი მკაცრი გამოხმაურებისა, თვითონ მწერალს არ უცდია, საერთოდ, თავის შემოქმედებაში და მათ შორის „გიორგი მესამეშიც" ძველი ტრადიციის აღდგენა ანუ ხსენებული ასოების „გაცოცხლება". ოღონდ ეს არ ითქმის ნახევარხმოვანზე ჲ, რაც გამოხატულია პიესაში ასოთი ი, თანაც სრულხმოვნის უფლებით სარგებლობს, ზოგჯერ სახელობითი ბრუნვის ნიშნით. გავეცნოთ შესაბამის ნიმუშებს:

„ერთგულნო სამშობლოის ჩვენისა", „ტახტისა ჩვენის სამეფოის იერიისა", „გავიგონეთ ნებაი თქვენი საგულისხმო და დავემონეთ"; „ხოლო რაი სჯობს სამეფოსთვის, რას მიხვდებიან", „ცრუი ფარია", „ბრბოისა თვალში"... დამოწმებულ ნიმუშებში ხმოვანი ი ჩვეულებრივ

[1] გ. შარვაშიძე, ქართული ენის გარშემო, გაზ. „საქართველო", 1915, №169, 16 ქრისტეშობასთვე.

ქმნის მარცვალს, როგორც ამას „ვეფხისტყაოსანშიც“ აქვს ადგილი: „მეორე ლექსი ცოტაი“, „ბედმან გვიყო ყველკაი, ჩემო, რაცა დაგვემართა“.

აფხაზი მწერალი ებ-იანი მრავლობითის პარალელურად ხშირად ხმარობს ძველი ქართული ენისთვის დამახასიათებელი სტილით თანიანი და ნარიანი მრავლობითის ფორმას: „დედოფლის უკან დადგებიან მიაგული და სხვა ბანოვანნი“, „ასულსა ჩემსა გააცან ერისთავნი“, „ვატარო აწ დარჩენილნი დღენიცა ჩემნი ლოცვა-მარხვითა“; „იმას მიყვებიან დედოფალნი და ბანოვანნი, მერე ერისთავნი, ჯარისკაცნი და სხვ“, „აჰა, გაცემა, ორგულობა, ეგ სენნი ძველნი“, „მტერთა ურდოთა დასცა ზარი“. სხვა ნიმუშების მოტანა შორს წაგვიყვანდა.

დრამაში მესამე სუბიექტური პირის ნიშანი ზმნის ბოლოს მრ. რიცხ. „ნენ“ წარმოდგენილია ძველი ქართული ფორმით — „ენ“: „მოგახსენებდენ, რომ ტახტი სახლმწიფოსი ეკუთვნის უფლის-წულს დიმიტრის“; „ვითომც ორგულობას თქვენსა ჩადიოდენ“, „გუშინ დარბაზში ოც კაცამდე გარეშე ისხდენ, შენის თაობით სულ ყველანი ამ საგანს სჯიდენ“ და ა.შ.

„გიორგი მესამეში“ სრულიად იგნორირებულია ნათესაობით და მოქმედებით ბრუნვებში მსაზღვრელ-საზღვრულის ნაწილობრივ შეთანხმების წესი: „რამეთუ თქვენის სისხლის არის თქვენი ასული“, „საკუთრისა გულის ხმობით“, „უნდა გავგზავნოთ ვინმე თქვენის ბრძანებით“; „ბნელის მცნებით არის მოცული“, „გამოგზავნილს ქეშიკს ხომ არა უთქვამს რა?..“

პიესის ავტორი არც თუ იშვიათად ჩაანაცვლებს ვითარებითი ბრუნვის ნიშანს „დ“-ს „თ“ თანხმოვანს: „ჩუმათ, ტიტინი კმარა“, „ვიშიშვი მე თქვენთან პირადათ მოსსენებას“, „რათ დაივიწყეს აგრე მალე დრონი წასულნი“; „არა უშავს, სულ ცოტათ არის დაჭრილი“... ძველი ქართული გავლენით ადგილი აქვს მეშველი ზმნის „არის“ შეკვეცილი ფორმის („არს“) ხმარებას: „დანაშაულთა შენდობა ვცეთ, ეგ არს წყალობა“. ეს, ვფიქრობთ, უფრო გამოწვეულია სალექსო ტაეპში მარცვალთა რაოდენობის შესანარჩუნებლად, როგორც ამას სხვა შემთხვევაშიც ვხვდებით: „ამისთვის დღეს სცანთ რა, თავადნო,

ჩვენი ნებანი", „თქვენს მოხუც გამზრდელს გადაკოდებთ მომავალს მწარსა", „არ მოგერიოს შენ სისუსტე, დედათ წესია", „განათლების საუცხო მთვარე".

„გიორგი მესამეში" ხშირად იჩენს თავს სახელთა გაზმნავება: „ემონების ვით ერთგული ყმა", „ორგულობს სამშობლო ქვეყანას", „ბედნიერად დამშვიდდება ყოველი მხარე"; „დღეს ინებეთ თქვენ დასვენება", „გაეღობოთ სხვა რაც გზებია", „ზეცით მოგნიჭებიათ მცნება და გონიერება; „დაასუსტა დიდებულთა არსებობა"; „მათ სწყალობდეთ ღვთისმშობელი", „რაზედა ფიქრობ, იოანე, დაღონებულად", „შენ დაუფიცე"... „სულ მელანდება", „არ დაიბედონ"...

დრამაში საკმაოდ მოგვეპოვება ძველი ქართული ენისთვის დამახასიათებელი სიტყვათა წყობა, როცა საზღვრულს მოსდევს მსაზღვრელი: „დღენიცა ჩემნი ლოცვა-მარხვითა", „ერი თქვენი თქვენს მეფობასა", „ორგულობა, ეგ სჯნი ძველნი"; „მხოლოდ მას უნდა არ მორჩილი — სული მედგარი", „მე შევცქერი ცას მოწმენდილს, ვარსკვლავიანსა"... „მთებსა ტყიანსა", „ვით მეკობრე პატივ-ახდილი", „მისი გონება, ხასიათი ამაღლებული".

„გიორგი მესამის" ტროპული მეტყველება

გიორგი შარვაშიძის პიესის მხატვრული ღირებულება არანაკლებ მნიშვნელოვანია. შეიძლება ითქვას, ნაწარმოების ფორმა და შინაარსი ერთმანეთს არ ჩამორჩებიან, ავსებენ ერთმანეთს და ამით მკითხველზე წარუხოცელ შთაბეჭდილებას ტოვებენ. ავტორი მხატვრული ხერხების გამოყენებისას ზომიერებას იჩენს, იქ მოუხმობს მათ, სადაც ამის საჭიროება და აუცილებლობა ჩნდება. ტროპის სახეებიდან მკრალი განსაკუთრებით მიმართავს მხატვრულ შედარებას, ეპითეტს, მეტაფორას.

მხატვრული შედარებანი. მწერლის მიერ გამოყენებული მხატვრული შედარებანი გამიზნულია პიესის პერსონაჟების სულიერი მდგომარეობის წარმოსასახავად. თხზულების შედარება ადვილად აღსაქმელია თავისი უბრალოებით, რომელთაც არც ექსპრესიულობა აკლიათ. ძირითადად წარმოდგენილია მარტივი შედარების ნიმუშები. არ

გვხვდება ჰიპერბოლური და სიმბოლურ-ალეგორიული შედარებანი, მეცირე გამონაკლისის გარდა. შევეცდებით ტექსტის თანმიმდევრული მიდევნებით წარმოვაჩინოთ მხატვრული შედარების ძალისხმევა.

„გიორგი მესამეში“ პირველად გვიწევს შეხვედრა გაშლილ-გავრცობილ შედარებასთან. კახეთის ერისთავი თამარის გამეფებისთვის მხარდასაჭერად პირველი აიღებს სიტყვას, სხვა ერისთავებთან შედარებით და ასე მიმართავს სათაყვანებელ მეფეს:

„ჰე, ხელმწიფეო, რად გვიბრძანეთ თქვენ მოხუცება?
დასაბამიდან მზე ანათებს... თვით არ იწვება...
როცა მზის წილ განათდების საუცხო მთვარე
და ბედნიერად დამშვიდდების ყოველი მხარე!
ეგრეცა, მეფევ, დღეს ინებეთ თქვენ დასვენება,
ასული თქვენი, მნათი თამარ, მთვარედ დარჩება“.[1]

ოდიშის ერისთავი თამარს სილაღით და სვიანობით თავის მამას ადარებს, რომელსაც მთელი ოდიში ემონებისო ერთგულ ყმასავით: „ასულსა თქვენსა, ლაღს, სვიანსა, ვით თვისი მამა, მთელი ოდიში ემონების, ვით ერთგული ყმა.

გიორგი მესამე, როცა შეიტყობს შეთქმულთა განზრახვას და ორგულობას იოანე ორბელიანის მეთაურობით, იხსენებს წარსულში განხეთქილების მოსურნეთა და ქვეყნის დამამხობელთა ვერაგობას, რომელთა საქციელს ამსგავსებს ორბელანისას:

„რათ დაივიწყეს აგრე მალე დრონი წასულნი,
რომ ჩვენს სამეფოს, შემოვა რა განხეთქილება,
მას დაიმონებს და შემუსრავს სხვისი კირთება!
რომ სამშობლოს მუდამ იყვნენ დამამხობელი
დას-დასობითა, ბატონებო, როგორც ორბელი“.[2]

მანდატურთუხუცეს ჯავახიანს ჰგონია, რომ დემნას დასჯის გეგმა უკვე მოგვარებული აქვს, და შეუდგა ფიქრს სოსლანის წაწყმედაზე. იცის თამარზე მისი გამიჯნურების შესახებ და ხაფანგს უმზადებს. სწორედ ამ მომენტში ახსენდება მწერალს სპარსულიდან (შესაძლოა

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 129.
[2] იქვე, გვ. 133.

თამარის დროსაც) ჩვენში გადმონერგილი ვარდბულბულიანური თემა და შედარების ობიექტად გაიხდის მას:

„დამრჩა სოსლანი... მაგრამ ისიც ვერ გაიხარებს,
მე კი შესმენით ეჭვს ჩავუგდებ თამარზე გულში,
რომ დედაკაცის ასაკია მეფის ასულში,
რომ მთავრის ძესა, ყმაწვილს შალვას თამარი სწყალობს
და ისიც მაზედ, ვით ბულბული ვარდზედა გალობს".[1]

იოანე ორბელიანი გაიგებს რა მეფის გადაწყვეტილებას შეთქმულთა თავის მოკვეთის შესახებ, არ დაიჯერებს და ამ ცნობას ზღაპარს მიამსგავსებს: „თავები დაგვკვეთონო? ჯერ, რომ აგრე ადვილად თავმოსაკვეთნი არა ვართ და მერე... როგორღაც ზღაპარსა ჰგავს ეს ამბავი".[2]

დემნა ბატონიშვილს, როგორც ჭეშმარიტ ქრისტიანს, არ უნდა ტახტზე მის ასვლას ადამიანები შეეწირონ და გაბრიელს შთამაგონებელი სიტყვებით უმტკიცებს, რომ ავაზაკივით არ მოიქცევა, განწირულთა სულებს ყორნებივით არ დაიხვევს. მისიე სინდისის და სიცოცხლის მყრალ მძორთა დარად საძიძგნელად:

„დიახ, უარს ვყოფ, მე არ მსურს ათასი სული,
ჩემივ მზგავსი ადამიანი, ჰყონ შეწირული
იმისათვის, რომ დამსვან ტახტზე სამეფოისა
და იმავ ტახტზე პორფირითა მე პირმშოისა,
ვით ავაზაკი განვირეკდე სულთ განწირულთა,
რომელნიც ჩემსა სინიდისსა დაეხვევიან,
როგორც ყორნები მყრალთა მძოვრთა ველად გდებულთა
და მწეწდენ ცოცხლად!"[3]

მიაგულის მიერ სიმღერით ნათქვამ გამოცანაში ჩაგვესმის: „უგრძნობელი ქვასავითა ერთი სულიერია, ღიით ეწყობა რაინდივით, ღამით კი მესტვირეა".[4] მხარგრძელი ცდილობს გამოცანის ახსნას: „ეგ უნდა იყოს ტურა; ღამით ჩხავის სტვირივითა, მგლებსაც გაერევა

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 134.
[2] იქვე. გვ. 144.
[3] იქვე. გვ. 147.
[4] იქვე. გვ. 150.

და ცხვრებსაც დაერევა".[1]

გიორგი მესამის და რუსუდანი მიმხვედრია ყუბარსანის ბნელ გეგმებს, ღალატს და ორგულობას, ცდილობს მეფის დარწმუნებას, რომ „თავზედა ბატონად ჰყავს ჯავახიანი", როგორც ვეზირი და მოძღვარი. შთააგონებს ძმას შეთქმულთა შეწყნარებას, არ სდიოს მათ პატივაყრილ მეკობრესავით:

„საქართველოსი დიდ თავადნი, სახელგანთქმულნი,
პატიოსანნი, დიდებულნი, ქვეყნის ქებულნი,
განსვენებულის, კურთხეულის, შენის ძმის ძესა
ახლავან და შენ ამაშიდა ჰპოვებ მიზეზსა
სდევნო ისინი, ვით მეკობრე პატჳ-ახდილი.
გინდ შეიპყრა, გსურს მალიად მათი სიკვდილი".[2]

გაჯავრებული და წონასწორობიდან გამოსული გიორგი რუსუდანს უშვერი სიტყვებით ელაპარაკება მოვალეობაზე: „იცი კი რაა, დედაკაცო, მოვალეობა? ოჯახს ვერ უვლი, ყარიბივით კი დაეთრევი! შენსა გაზრდილსა თვალის ჩინსა, თვალი დაუდგა"...[3] სულწაწყმედილი ჯავახიანი გაბრიელს არწმუნებს: „სულიერს, სათნოს, შენ გენდობი მამასავითა". ჯავახიანი სიავის ჩადენაში არ აპირებს უკან დახევას, ხბოსავით რომ თავიც წაჭრან: „ორში ერთი! ან თავი წამჭრან მე ხბოსავითა, ან გავიტანო კლავ სიავითა". წუთისოფლის უკულმართობაზე დაფიქრებული დემნა იტყვის:

„წუთისოფლისა ცხოვრება, წესი,
უნამუსო და უტიფარია!
კაცთ სასოება, თვით უმჯობესი,
ცრუი ფარია,
ავი და ჭუჭყი მით იფარება,
კეთილი ქვეყნად ვით სიზმარია,
სიტყვაა მხოლოდ და ისე ქრება,
როგორც ქარია".[4]

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 150.
[2] იქვე, გვ. 157.
[3] იქვე, გვ. 158.
[4] იქვე, გვ. 166.

ახლა კი გავეცნოთ დამოწმებული მხატვრული შედარებების შინაარსს და ფუნქციებს. შესადარებელ-შედარებული საგნები გამოყენებულია ფიზიკური საგნების სახით, კონკრეტულთან ერთად ორიოდე აბსტრაქტულ არსებით სახელებსაც ვხედავთ. შედარების ობიექტად მწერალს გამოუყენებია: მამა, ყმა, იოანე ორბელიანი, ბულბული, ზღაპარი, ავაზაკი, ყორანი, სტვირი, რაინდი, ქვა, მეკობრე, ყარიბი, ხბო, სიზმარი, ქარი. შესაბამისად-შესადარებელ საგნებად მოჩანს: თამარი, ოდიში, სამშობლოს მოღალატენი, შალვა ჯაყელი, ამბავი, დემნა ბატონიშვილი, ტურა, ვინმე სულიერი, შეთქმულნი, რუსუდანი, სიკეთე. როგორც დავინახეთ, შესადარებელ-შედარებულ საგნებში კონკრეტულთან ერთად გარეულია აბსტრაქტული სახელებიც.

სულიერი საგნის სულიერთან შედარების მაგალითებია: „ასულსა თქვენსა, ლაღს, სვიანსა, ვით თვისი მამა, მთელი ოდიში ემონების“... „რომ სამშობლოის მუდამ იყვნენ დამამხობელი დას-დასობითა ბატონები, როგორც ორბელი“; „და ისიც (იგულისხმება შალვა ჯაყელი – ჭ.მ.) მაზედ (თამარზე – ტ.მ.), ვით ბულბული ვარდზედა გალობს“; „და იმავე ტახტზე პორფირითა მე (დემნა – ტ.მ.) პირმშოისა, ვით ავაზაკი გახარებულე სულთ განწირულთა“; ვინმე სულიერი „დღით ეწყობა რაინდივით, ღამით კი მესტვირეა“; „სდევნო ისინი (შეთქმულების მონაწილენი – ჭ.მ.), ვით მეკობრე პატივ-ახდილი“; „იცი კი რაა, დედაკაცო, მოვალეობა? ოჯახს ვერ უვლი, ყარიბივით კი დაეთრევი!“ „აწ თავი წამჭრან მე ხბოსაებრთა“.

სულიერი საგანი შედარებულია უსულოსთან: „გამოცანას მოგახსენებთ, დიდი არაფერია, უგრძნობელი ქვასავითა ერთი სულიერია“, „ეგ უნდ იყოს ტურა, ღამით ჩხავის სტვირივითა, შგლებსაც გაერევა და ცხვრებსაც“.

აბსტრაქტული საგანი შედარებულია აბსტრაქტულთან: „როგორღაც ზღაპარსა ჰგავს ეს ამბავი“; „კეთილი ქვეყნად, ვით სიზმარია, სიტყვაა მხოლოდ და ისე ქრება, როგორც ქარია“.

აბსტრაქტული შედარებულია კონკრეტულ საგანთან: „განვირეკდე სულით განწირულთა, რომელნიც ჩემს ახიდისზე დაეხვევიან, როგორც ყორნები მყრალთა მძოკოთა ველად გდებულთა და

მწუწდნენ ცოცხლად“.

ახლა ვნახოთ მხატვრული შედარების ფორმის ნიმუშები. „გიორგი მესამისთვის“ ძირითადად დამახასიათებელია მარტივი შედარების ნიმუშები: „დღით ეწყობა რაინდივით, ღამით კი მესტვირეა“, „სდევნო ისინი, ვით მეკობრე პატივ-ახდილი“, „ან თავი წამჭრან მე ხბოსავითა“ და ა.შ. გაშლილ-გავრცობილი შედარების ერთი ნიმუში ზემოთ დავიმოწმეთ და აღარ გავიმეორებთ.

პოეტური შედარების გადმოცემა ხდება წინადადების ცალკეული წევრებით. „რომ სამშობლოს მუდამ იყვნენ დამამხობელი დას-დასობითა ბატონები, როგორც ორბელი“, „რომ მთავრის ძესა, ყმაწვილს შალვას თამარი სწყალობს და ისიც მაზედ, ვით ბულბული ვარდზედა გალობს“, „დღით ეწყობა რაინდივით, ღამით კი მესტვირეა“, „სიტყვაა მხოლოდ და ისე ქრება, როგორც ქარია“.

მხატვრული შედარება გადმოცემულია შესიტყვებებით: „რომელნიც ჩემდა სინიდისსა დაეხვევიან, როგორც ყორნები მყრალთა მძორთა ველად გდებულთა“, „და ისიც მაზედ ვით ბულბული ვარდზედა გალობს,“ „მთელი ოდიში ემონების, ვით ერთგული ყმა“; „სდევნო ისინი, ვით მეკობრე პატივ-ახდილი“.

შედარების გამოსახატავად გამოყენებულია კავშირები:

ვით: „და იმავ ტახტზე პორფირითა მე პირმშოისა, ვით ავაზაკი განვირეკდე სულთ განწირულთა“; „ასულსა თქვენსა, ლაღს, სვიანსა, ვით თვისი მამა, მთელი ოდიში ემონების, ვით ერთგული ყმა“.

როგორც: „ჩემმა სინიდისსა დაეხვევიან, როგორც ყორნები“..., „სიტყვაა მხოლოდ და ისე ქრება, როგორც ქარია“, „დას-დასობათა ბატონები, როგორც ორბელი“.

თანდებული ვით შეზრდილია სახელთან: „უგრძნობელი ქვასავითა ერთი სულიერია“, „ან თავი წამჭრან მე ხბოსავითა“, „ოჯახს ვერ უვლი, ყარიბივით კი დაეთრევი“, „დღით ეწყობა რაინდივით, ღამით კი მესტვირეა“.

შედარების გადმოცემა ზმნის შემცველი კონსტრუქციით: „როგორღაც ზღაპარსა ჰგავს ეს ამბავი“.

პრეპოზიციური შედარება: „ვით ავაზაკი განვირეკდე სულთ გან-

წირულთა, რომელნიც ჩემსა სინიდისსა დაეხვევიან“, „უგრძნობელი ქვასავითა ერთი სულიერია“, „როგორც ზღაპარსა ჰგავს ეს ამბავი“.

პოსპოზიციური შედარება: „და ისიც მაზედ, ვით ბულბული ვარდზედა გალობს“, „მთელი ოდიში ემონების, ვით ერთეული ყმა“, „სდევნო ისინი, ვით მეკობრე პატივ-ახდილი“, „სიტყვაა მხოლოდ და ისე ქრება, როგორც ქარია“, „დას-დასობითა ბატონები, როგორც ორბელი“.

ეპითეტურენოვანი მეტყველება. „გიორგი მესამეში“ განსაკუთრებული პოპულარობით გამოირჩევა ტროპის ისეთი სახე, როგორიცაა ეპითეტი. დრამიდან ამოვიწერეთ ყველა ლოგიკური და მხატვრული განსაზღვრანი და დავალაგეთ ანბანის რიგის მიხედვით: ავაზაკი, ავი, ამაღლებული, ამპარტავანი, აღელვებული, ბედკრული, ბოროტი, ბრიყვული, ბრმა, გაზვიადებული, გამოუცდელი, განსვენებული, გარყვნილი, გონებიანი, გრძელი, გულსაკლავი, გუშინდელი, გესლიანი, დაბადებული, დაბალი, დაკოდილი, დამხსნელი, დარდიმანდული, დასჯილი, დატანჯული, დაფიქრებული, დადებული, დიდი, ვარსკვლავიანი, თავსლაფდასხმული, თხრობილი, კარგი, კაცობრივი, კურთხეული, ლაქუცა, მაგარი, მადლიანი, მავნე, მამაცი, მლიქვნელური, მლოცველი, მომაღლო, მოწმენდილი, მოღალატე, მკობილი, მყრალი, მპყრობი, მშიერი, მჩატე, მფარველი, მცირე, მწყალობელი; ორგული, ორპირი, ოხერი, პატივახდილი, პატიოსანი, საგულისხმო, სათაკილო, საკვირველი, სამწუხარო, საორგულო, სასახელო, საქებარი, საუცხოო, საშიში, საწყალი, სუსტი, სნეული, საზიზღარი, სვიანი, სულელი, სევდიანი, სულგრძელი, სახელგანთქმული, ტყიანი, უბედური, უმანკო, უმთავრესი, უმჯობესი, უნამუსო, უსირცხვილო, უშნო, უხვი, უპატრონო, ურიცა, უბრალო, უცხო, უხეში; ფიცგატეხილი, ფრთხილი, ფიც-გამტეხი, ქალაჩუნა, ქებული, ყარიბი, ყარტლი, ყუნჩი, შავი, შეკრული, შმაგი, შესაზარი, ჩაბალახმობურვილი, ჩაფიქრებული, ცარიელი, ცუდი, ცრუ, ძველი, ძლიერი, ძლეული, წრფელი, წმინდა, წრთვნილი, ჭკვიანი, ხელშეკრული, ხმალამოღებული, ხმალჩაგებული, ხელფეხშეკრული, ხორციელი.

როცა წარმოდგენილ მასალას თვალს გადავავლებთ, დავინახავთ,

რომ თხზულების ავტორს გამოუყენებია ლოგიკური და მხატვრული მსაზღვრელნი, ასევე დიდი ადგილი ეთმობა მარტივ ეპითეტებს, საკმაოდაა რთული მსაზღვრელიც. გვაქვს მუდმივი, ნეიტრალური, მაქებელი, მაძაგებელი, ფსიქოლოგიური ეპითეტები. მოგვეპოვება ფერის გამომხატველი ეპითეტიც.

მარტივი ეპითეტები. „დაბალსა გრძნობას ჰქვია სახელად შური“. „მოყაყანესა ყველას ვიცნობთ, გრძელი აქვთ ენა“... „რადგან კაცია ცხოველთ შორის გონებიანი“, „მოჰყავთ დაკოდილი გაბრიელ ბერი“. „ასეთ დარდიმანდულ სიტყვებს ჩემთვის რად ელევით?“ „რა რიგ დასჯილი, დატანჯული მაშინ წავწყდები“. „აღელვებული მეფე გაიელ-გამოიელის“. „ერთისა მხოლოდ მეშინია, ავისა ენის“. „მისი გონება, ხასიათი ამაღლებული“. „მძიმედ დაფიქრებული ზის“. „თქვენს დიდებულს წმინდა შუბლს ნუ დაჩრდილავთ ჯერ ზრუნვითა“. „ეს დიდი აზრია“. „მკვდარია მასში კაცობრივი გონიერება“. „სხდებიან მომაღლო ტახტზე“ დადგმულ სავარძლებში“. „მჩატე გრძნობები თქვენ არ გეთვისებათ“. „და ესრე მეფესა მცირე ნისლი ზედ დაეყარო“. „ჰმ! რას ჰგავს ის საწყალი, სუსტი, სნეული“. „საწყალი ვინმე მესტვირე“. „რასაც გრძნობს უმანკო სული“. „შენ ავაზაკო და უსირცხვილო“. „შე ლაქუცო ამხანაგო! ქალაჩუნა რაინდო“. „საქართველოს თავადნი, სახელგანთქმულნი, პატიოსანნი, ქვეყნის ქებულნი, განსვენებულის, კურთხეულის შენის ძმის ძესა“... „დღეს შავი დღე, ჩანს, გამითენდა“. „სულგრძელობას ცუდი ბოლო ექნება“. „შენ ცრუ მოღალატე, ბოროტო სულო“.

რთული ეპითეტები. „ყველანი ხმალ-ამოღებულნი, გარდა დემნასი“. „შენ კი ჭაბუკი, ვაჟკაცი, ხმალჩაგებული სდგეხარ“. „პასუხს ვერ მოგთხოვ ხელშეკრულსა პატიმარს“. „ერთი მოსული ვინმე მხედარია ჩაბალახ- მობურვილი“. „პირველ საშიში იყო დემნა, მაგრამ ბედკრულსა აქ მოიყვანენ ხვალვე ხომ მას ხელფეხშეკრულსა“. „ვთქვათ, ფიც-გამტეხი, მოღალატე თუნდაც ვიყო“. „განა არ იცის გიორგიმ, რომ ფიცგატეხილი ორბელიანი არ ყოფილა არა ჟამისა?“ „უხვი, სულგრძელი, სუსტთა მფარველი“. „ვით მეკობრე პატივ-ახდილი“. „მით ვერა გრძნობენ სულელ-შმაგნი, ბოროტი სულნი“. „სამწუხარო

ამბავია, სწორედ გულსაკლავი“.

მაქებარი ეპითეტები. „განა არ იყო ბაგრატ დიდი, მეფე სვიანი!“ „სასახელო მხედარია“. „ხოლო ვაჟი ჯერ არს მამაცი“. „ვერა გხედავთ, მადლიანო“. „თქვენს დიდებულსა წმინდა შუბლს ნუ დაჩრდილავთ ჯერ ზრუნვითა“. „მისი გონება, ხასიათი ამაღლებული“. „დამხსნელო შვილო“. „რადგან კაცია ცხოველთ შორის გონებიანი“. „რასაცა გრძნობს უმანკო სული“. „ეს ორნივე უცხო (ნიშნავს საუცხოოს — ტ.მ.) ქვეყნის ქებულნი“. „კარგი წვრთნილი ყმა ხარ“. „შენ გინდა მისი წრფელი გული, მკლავი მაგარი“. „მითხარ, ვინ არის ის ჭკვიანი, რომ შთაგაგონა“. „უხვი, სულგრძელი, სუსტთა მფარველი“.

მაძაგებელი ეპითეტები. „მით ვერა გრძნობენ სულელ-შმაგნი, ბოროტი სულნი“. „ვით მეკობრე პატივახდილი“. „წუთისოფლისა ცხოვრება, წესი, უნამუსო და უტიფარია“. „შე ცრუ, მოღალატე, ბოროტო სულო, ვით არ გაწყდება ყელში ხმა ის გესლიანი“. „სულგრძელობას ცუდი ბოლო ექნება“. „ქცევა უშნო და შესაზარი“. „და მასში თურმე შავი ღალატი დუღდა“. „შენ რას აპირებ, შავო სულო?“ „დღეს შავი დღე, ჩანს, გამითენდა“. „ყარიბი ვარ ვინმე, ოხერი და უპატრონო“. „ენის მთრევი, გარყვნილი სულ ეგებ კი გახდეს და გეგონოს შენი ერთგული„. „აბა რა ორგულს, ორპირს, სუსტსა და ფრთხალს“. „შე ლაქუცო ამხანაგო ქალაჩუნა რაინდო“. „თქვენ გეჯავრებათ მეომარი, კაცი უხეში“. „შე ავაზაკო და უსირცხვილო“. „მაშა დასაჯეთ თქვენი ქალი, ურჩიც და მავნე“. „არ უფიქრია მაგ უბედურს და დაღუპულსა“. „ერთისა მხოლოდ მეშინია, ავისა ენის“. „რას ჰგავს ის საწყალი, სუსტი, ეული“. „რომ შორიდანაც არვის მოხვდეს მის მავნე თვალი, თავსლაფ დასხმული, საზიზღარი და ყოვლად მყრალი“. „დ აიმ დაბალსა გრძნობას ჰქვია სახელად შური“.

ფსიქოლოგიური ეპითეტიკა. „სამწუხარო ამბავია, სწორედ გულსაკლავი“. „ასეთ დარდიმანდულ სიტყვებს ჩემთვის რად ელევით?“ „მეფე აღელვებული გაივლ-გამოივლის“, „მძიმედ დაფიქრებული ზის“. „მჩატე გრძნობები თქვენ არ გეთვისებათ“. „მწყალობელო ჩემო, ნუ იქნებით ეგრე შეწუხებული“. „შენი სიტყვები, შვილო, არ არს კაცთ საგულისხმო“. „მაგრამ რად მითხარ ეგ მოთხრობა მე სევდიანი?“

„მისი გონება, ხასიათი ამაღლებული“. „და იმ დაბალსა გრძნობას ჰქვია სახელად შური“...

თვითმახასიათებელი ეპითეტები. „ყარიბი ვარ ვინმე, ოხერი და უპატრონო“. „რა რიგ დასჯილი, დატანჯული მაშინ წავწყდები“. „ბედნიერი ვარ მხოლოდ ამით“. „მე — ბრმა ვინმე, უპატრონო, ქვეყნის არა გამეგება“. „ვთქვათ, ფიც-გამტეხი, მოღალატე თუნდაც ვიყო“. „გახლავარ თქვენი მლოცველი, საწყალი ვინმე მესტვირე“.

ფერის გამომხატველი ეპითეტი. გამოვლინდა მხოლოდ ერთი ფერის — „შავი“ — გამომხატველი მსაზღვრელი: „შენ რას აპირებ, შავო სულო?“ „და მისაში თურმე შავი ღალატი დულდა“, „დღეს შავი დღე, ჩანს, გამითენდა“.

არსებითი სახელისგან წარმოებული ეპითეტები. „არ უფიქრია მაგ უბედურს“. „სასახელო მხედარია“. „განა არ იყო ბაგრატ დიდი, მეფე სვიანი“. „მკვდარია მასში კაცობრივი გონიერება“. „ვერა გხედავთ, მადლიანო“. „რადგან კაცია ცხოველთ შორის გონებიანი“. „ეს უბრალო საგანი არ მესმის“. „უსირცხვილო მომაპყარ თვალი“. „მთებსა ტყიანსა“. „მეფე აღელვებული გაივლ-გამოივლის“. „შემოდის ნელის ნაბიჯით ჩაფიქრებული დემნა“. „მაგრამ რად მითხარ ეგ მოთხრობა მე სევდიანი?“

ზედსართავი სახელით გამოხატული ეპითეტები. „შე ცრუ, ბოროტო სულო“. „სულგრძელობას ცუდი ბოლო ექნება“. „ერთისა მხოლოდ მეშინია, ავისა ენის“. „მოყაყანესა ყველას ვიცნობ, გრძელი აქვთ ენა“. „შმაგი არ არის ეს კაცი“. „ხმა ძველი გახლავთ, ბატონო“. „მჩატე გრძნობები თქვენ არ გეთვისებათ“. „და იმ დაბალსა გრძნობას ჰქვია სახელად შური“. „მისი გონება, ხასიათი ამაღლებული“. „შენ გინდა მისი წრფელი გული, მკლავი მაგარი“. „შენ რას აპირებ, შავო სულო?“

მიმღეობისგან წარმოებული ეპითეტები. „მძაგს ბოროტება და მლიქვნური მისი კირთება“. „მწყალობელო ჩემო, ნუ იქნებით ეგრე შეწუხებული“. „ასეთ დარდიმანდულ სიტყვებს ჩემთვის რად ელევით?“ „სალოსი მეფედ წად ნახულა ამაღლებული“. „სამწუხარო ამბავია, სწორედ გულსაკლავი“. „გინა არ იცის გიორგიმ, რომ ფიც-

გატეხილი ორბელიანი არ ყოფილა არა ჟამისა?“ „დამოუკიდებელი არსებობა მაშინ ერთობ გაზვიადებულ თავადთა დაასუსტა“, „საორგულო დილეგში ჩასვით“. „საქმე დიდი მცნებით მკობილი...“

ეპითეტი-გასარითმავი ერთეული. როგორც დავინახეთ, „გიორგი მესამე“ ლოგიკური და მხატვრული მსაზღვრელით მდიდარი თხზულებაა. აღსანიშნავია, რომ გიორგი შარვაშიძე ეპითეტების გარკვეულ ნაწილს გასარითმავ ერთეულად იყენებს. მივმართოთ სათანადო ნიმუშებს:

„ისმინე, შვილო, რა ყოველი აქა თხრობილი,
აწ შენა გმართებს საქმე დიდი, მცნებით მკობილი“...
„ამის მიზეზით იშვიათობს ქალი სვიანი
და თუ გამოჩნდა – ვარსკვლავია ულუმპიანი“.
„აჰა, გაცემა, ორგულობა, ეგ სენნი ძველნი,
ეს შინაური გველ-მატლები, ქართველთ მჭამელნი“.
„დემნა!.. ჰმ! რას გავს ის საწყალი, სუსტი, სნეული,
სალოსი მეფედ სად ნახულა ამაღლებული?“
„პირველ საშიში იყო დემნა, მაგრამ ბედკრულსა
აქ მოიყვანენ ხვალვე ხომ მას, ხელფეხშეკრულსა!“
„შენი სიტყვები, შვილო, არ არს კაცთ საგულისხმო,
როდესაც ბედმან აღგარჩია, შენ იყავ უხმო“.
„მე შევცქერი ცას, მოწმენდილსა, ვარსკვლავიანსა,
და მიწაზედ მცენარს, ყვავილს, მთებსა ტყიანსა“.
„აწ მოიწია იგი ჟამი, დღემდი ძლეული
და ზეციდამა მეძახის მე ხმა კურთხეული“.
„საქართველოსი დიდ თავადნი, სახელმგანთქმულნი,
პატიოსანნი, დიდებულნი, ქვეყნის ქებულნი“...

ამრიგად, „გიორგი მესამეში“ ფართოდ გვხვდება ლოგიკური და მხატვრული გასაზღვრანი. ასევე მრავალი ნიმუში მოგვეპოვება მარტივი, რთული, მაქებარი, მაძაგებელი, ფსიქოლოგიური, თვითმახასიათებელი, ფერის გამომხატველი ეპითეტებისა. თავს იჩენს საკმაოდ შთამბეჭდავად არსებითი სახელისგან წარმოებული ეპითეტები, ზედსართავი სახელით გამოხატული ეპითეტები, მიმღეობისგან წარმოე-

ბული ეპითეტები. გვხვდება ნიმუშთა გარკვეული წყება ეპითეტის გასარითმავ ერთეულად გამოყენებისა.

მეტაფორული აზროვნების ნიმუშები. „გიორგი მესამისათვის" დამახასიათებელია აზროვნების მეტაფორული სტილი. გიორგი შარვაშიძე ტროპის ამ პოპულარულ სახესთან მიმართებისას ზომიერებას იჩენს. იგი არ გვანებივრებს მოულოდნელი და თვალწარმტაცი მეტაფორებით. ამ მხატვრულ ხერხს იქ იყენებს, სადაც მისი საჭიროება დგას. ზოგჯერ იგი ლიტერატურული ტრადიციების გავლენას განიცდის. მთავარი ისაა, რომ დრამის სახისმეტყველებას მეტაფორის შუქიც შემატებია. სამეტაფორო სახეთაგან გამოვყოფდით: მზე, მთვარე, ვარსკვლავი, ლომი, მგელი, ცხვარი, გველი, ვარდი, იადონი.

„გიორგი მესამის" დასაწყის ნაწილში კახეთის ერისთავი ამირან ჩოლოყაშვილი მხატვრული მოხდენილობით ცდილობს მეფის მოფერებას და მისი ღვაწლის შეფასებას:

„ჰე, ხელმწიფეო! რად გვიბრძანეთ თქვენ მოხუცება?
დასაბამიდან მზე ანათებს, თვით არ იწვება.
როცა მზისა წილ განათდების საუცხო მთვარე
და ბედნიერად დამშვიდდების ყოველი მხარე!
ეგრეცა, მეფევ, დღეს ინებეთ თქვენ დასვენება,
ასული თქვენი, მნათი თამარ, მთვარედ დარჩება".[1]

ავტორი სრულიად მარტივად მიგვახვედრებს დამოწმებულ სტროფში, რომ „მზე" გიორგი მესამის, ხოლო „მთვარე" თამარის მეტაფორად ვიგულვოთ. ასევე მწერალი ზაქარია მხარგრძელის მეტაფორად წარმოგვიდგენს „მზეს" და „ლომს", როგორც მისი გარეგნული მშვენიერების და ფიზიკური ძლიერების გამოხატულებას:

„ესეც არის რომ გვიბრძანეს,
თურმე ბრძანდება მხარგრძელი.
მაცხოვარმა ქმნას დღეგრძელი,
გვაროვნობით კარგთა ტომი.
ფიცხლად იცის მტერთან ომი,
სასახელო მხედარია,

[1] გ. შარვაშიძე. ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 129.

პირად მზე და ტანად ლომი“.[1]

ეს ბოლო მეტაფორული ტაეპი „ვეფხისტყაოსნიდან“ არის უშუალოდ მოტანილი. მზის, მთვარის და ლომის მეტაფორით ერთობ გაპოხიერებულია შუა საუკუნეების ქართული სასულიერო და საერო მწერლობა. ნემოევსკის მიხედვით, ქრისტე არის იგივე მზე-ღვთაება. მზე ბიბლიაში ქრისტეს და ანგელოზის სახელია. სასულიერო-საეკლესიო მწერლობაში ღვთისმშობელიც მზედაა დასახული. წმ. მამებსაც, თავიანთი ღვაწლიდან გამომდინარე, მზესთან ათანაბრებდნენ. ნათელღებული ადამიანები მზის ნათებას ედრებოდნენ. საერო მწერლობაში მზე ხელმწიფის მეტაფორაა, ასევე იდეალური პერსონაჟების გარეგნული მშვენიერების წამომსახველია. საღვთისმეტყველო მწერლობაში მთვარე, მზესთან შედარებით, იშვიათად ფიგურირებს ღმერთის ან წმ. მარიამის მეტაფორად, რასაც ვერ ვიტყვით საერო სიტყვაკაზმულ მწერლობაზე.

ახლა კი ორიოდე სიტყვით პიესისეული ვარსკვლავის მეტაფორაზე. გიორგი მესამე ასე მოძღვრავს თამარს:

„არ მოგერიოს შენ სისუსტე, დედათ წესია,
არა სხეულის, — სულის სილბო უარესია!
ქვეყნის პატრონსა არ სჭირია ხმალი და ფარი,
მხოლოდ მას უნდა არ მორჩილი — სული მედგარი;
ამის მიზეზით იშვიათობს ქალი სვიანი
და თუ გამოჩნდა — ვარსკვლავია ულუმპიანი“.[2]

აქ ზოგადად „ვარსკვლავი“ ქალის მეტაფორაა. კონკრეტულად კი მასში თამარის ხატება მოიაზრება. როგორც ზემოთ შევინიშნეთ, სიტყვა „ულუმპიანი“ გიორგი შარვაშიძეს უცილობლად შეთვისებული აქვს უშუალოდ „ქართლის ცხოვრებიდან“. „ულუმპიანი“ მოცემულ ტაეპში „უზესთაესის“ ან „ელვარის“ შინაარსის შემცველი უნდა იყოს. მოდის სიტყვიდან — „ოლიმპიელი“, „ოლიმპიური“. საბა-სულხანის განმარტებით იგი „ელვაროვანს“, „მძლეველს“ ჰქვია. აფხაზი მწერალი ალბათ სწორედ საბასეული გაგების შინაარსით ხმარობს ამ

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 141-142.
[2] იქვე, გვ. 131

სიტყვას „ვარსკვლავის“ მსაზღვრელად („ულუმპიანი ვარსკვლავი“).

„ვარსკვლავის“ მეტაფორა ფართო გასაქანს პოულობს ქართულ სასულიერო მწერლობაში, რომელიც ბიბლიით არის დავალებული. ახალ აღთქმაში „ვარსკვლავი“ ქრისტეს მეტაფორაა. კერძოდ, მაცხოვარი მონათლულია „განთიადის ვარსკვლავად“; „მე ვარ ძირი და ნათესავი დავითისი, და ვარსკულავი ბრწყინვალე განთიადის“ (გამოხ. 22, 16). სასულიერო ლიტერატურაში წმ. მამებიც ვარსკვლავად იწოდებიან. ვარსკვლავის მეტაფორა საერო მწერლობის კუთვნილებაც არის.

ზემოთ „ლომის“ მეტაფორაც ვახსენეთ. მესტვირის (იგივე შალვა ჯაყელის) ენით იგი მწერალს ზაქარია მხარგრძელის ძლიერების გამომხატველად მოუხმია რუსთაველის გავლენით. საერთოდ, კაზმულსიტყვაობაში „ლომი“ ძლიერების, გმირობის, რაინდობის მეტაფორა თუ სიმბოლოა. ამ შინაარსით გამოუყენებია იგი რუსთაველსაც. პროლოგშივე „ვეფხისტყაოსნისა“ ვკითხულობთ: „ვის შვენის, — ლომსა (იგულისხმება დავით სოსლანი), — ხმარება შუბისა, ფარ-შიმშერისა“. ჰიმნოგრაფიაში „ლომი“ მაცხოვრის უძლეველობის გამომხატველია: „ვითარცა ლომმან მიყრდნობით მიიძინა“.

„გიორგი მესამეში“ მგლისა და ცხვრის მეტაფორაც ვლინდება. მიაგულის გამოცანური სიმღერიდან მოგვეხმის:

„გამოცანას მოგახსენებთ, დიდი არაფერია,
უგრძნობელი ქვასავითა ერთი სულიერია.
დღით ეწყობა რაინდივით, ღამით კი მესტვირეა,
მგლებთან იგი საქმეს იჭერს, მაგრამ ცხვრებსაც ერია“.[1]

ამ გამოცანის ახსნას თავისებურად ცდილობს ზაქარია მხარგრძელი: „ეგ უნდა იყოს ტურა; ღამით ჩხავის სტვირივითა, მგლებსაც გაერევა და ცხვრებსაც დაერევა“.[2] გამოცანის შინაარსს პირველთაგანი შალვა ჯაყელი მიხვდა, რომელშიც საკუთარი თავი ამოიკითხა და გაკვირვებით თქვა: „ეს რას ამბობს? რა ამბავია?“ მკითხველიც ადვილად ერკვევა გამოცანის ჩანაფიქრში. აქ „მგლები“ არის მეტაფო-

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 150.

[2] იქვე.

რა მეფის მოღალატეებისა ანუ შეთქმულების მონაწილეებისა, ხოლო „ცხვრებში“ წარმოსახულია მეტაფორად ხელმწიფის გარემოცვა ანუ იგივე – მომხრენი და დამფასებელნი. მგლის და ცხვრის მეტაფორას ფართოდ ვეცნობით შუა საუკუნეების ქართულ სიტყვიერ ხელოვნებაში. უპირველესად – ბიბლიაში. მგელი ბოროტი მხეცის სიმბოლო-მეტაფორაა, ცხვარი კი – ღმერთის რჯულის ერთგულთა და დამცველთა.[1] ასე რომ, ამ მეტაფორული სახეების გამოყენებისას გიორგი შარვაშიძე უტრადიციო არ ყოფილა, ისევე როგორც ზემოთ წარმოჩენილი სხვა მეტაფორებთან მიმართებისას.

იგივე ითქმის გველის მეტაფორაზეც, რომელიც „გიორგი მესამეში“ ქვეყნის შინაური მტრების, ორგულების, სულის და სინდისის გამყიდველების, განხეთქილების, სამშობლოს დაქუცმაცების მომხრეთა განმასახიერებელია: „აჰა, გაცემა, ორგულობა, ეგ სენნი ძველნი, ეს შინაური გველ-მატლები, ქართველთ მჭამელნი!“ ეს მეფის სიტყვებია. შალვა ჯაყელის ღალატში დარწმუნებული თამარის მამა გველად მოიხსენიებს მას და მისივე მამას: „შენ, გველის შვილო, შენ პირშაო და თითონ გველო!“ საინტერესოა, რომ ძველ ქართულ წერილობით მასალებში ავი სულების და ბოროტების სიმბოლო-მეტაფორად მოიხსენიება გველის სინონიმები: ვეშაპი, გველეშაპი, უნასი, ურჩხული, ასპიტი, ვასილისკო, ღრიანკალი, იქედნე, სატანა, ჯარბი, ტარტაროზი, ეშმაკი, უხილავი მხეცი, დევიც კი. თუმცა გველი სიბრძნის და მკურნალობის სიმბოლოცაა: „იყუენით უკუე მეცნიერ, ვითარცა გულნი და უმანკო, ვითარცა ტრედი“ (მათე, 10, 16). ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში გველის ორივე სიმბოლო-მეტაფორის გაგება ფიგურირებს.

მიჯნურთა მეტაფორად ვარდისა და იადონის დასახვას ჩვენს მწერლობაში თავისი ტრადიცია გააჩნია, რომელიც სპარსული მწერლობის გავლენით დამკვიდრდა ჩვენში. იგი „გიორგი მესამეშიც“ გაკრთება. მარტოდ დარჩენილი ბოროტი ჯავახიანი ასეთ ფიქრებშია გადაშვებული:

---

[1] **ტ. მოსია,** ბიბლიურ-საღვთისმეტყველო ძეგლების მეტაფორა-სიმბოლიკის ზოგიერთი საკითხი, 1997, გვ. 45-50.

„დამრჩა სოსლანი, მაგრამ ისიც ვერ გაიხარებს,
მე კი შესმენით ეჭვს ჩავუგდებ თამარზე გულში,
რომ დედაკაცის ასაკია მეფის ასულში,
რომ მთავრის ძესა, ყმაწვილს შალვას თამარი სწყალობს
და ისიც მაზედ, ვით ბულბული ვარდზედა გალობს“.[1]

მიაგულის მიერ ნამღერი ტექსტიდან მოისმის:

„გაზაფხულდა, გაიშალა ვარდისა კონაო,
იადონსა ზედ ესურვა მღერა და კოცნაო.
გულში ტრფობა ჩაესვენა, შიგ ჩაებინაო,
გაზაფხულდა იავ ნანა, იავ ნანინაო“.[2]

ახლა კი გავეცნოთ ცალკეულ მეტაფორულ გამოთქმებს პიესაში: „თმა გიშრისა დამაყრევინეთ“; „გაოცებითა და შიშითა ვერ ვიღებ სულსა“; „სული კბილებით უჭირავს“; „სად უნდა ჩაკუჭნო სინიდისი, როგორა ჰფიქრობ?“

იგივური თქმანი. იგივურ-გამოცანურ გამოთქმებს არც თუ იშვიათად მიმართავს აფხაზი დრამატურგი. ქვეყნის ერთიანობის იდეაში და მის მნიშვნელობაში რომ გაარკვიოს, ზაქარია მხარგრძელი კოსტა წავქისელს იგივური ენით ელაპარკება: „კარგი წრთვნილი ყმა ხარ და ეს უბრალო საგანი არ გესმის, აბა ჯერ სთქვი: ვისიმე ცემა რომ გინდოდეს, რას შემოჰკრავდი? წკიპურტსა თუ მუშტს?“ წავქისელი უპასუხებს: „რასაკვირველია, მუშტს შემოვკრავ“. მხარგრძელი: „რატომ?“ წავქისელი: „როგორ თუ რატომ?“ მხარგრძელი: „ჰო, რატომ? იმიტომ, რომ თითი თუ ჰკარი, ვერას აკნებ, და როდესაც ხუთივე თითს მაგრად დასკვნი, მაშინ ამ მუშტით კი შეგიძლია წააქციო და ავნო მტერს; აგრეა ჩვენი ქვეყანაც, როცა ყველანი ცალ-ცალკე ვიყავით, ღონე არ გვქონდა და, როდესაც ერთად ვართ, აბა მობრძანდეს მტერი“.[3]

შალვა ჯაყელის შთასაგონებლად ყუბარსან ჯავახიანის და მიაგული ტრფობის სიმღერას იგავურად წარმოთქვამს:

---

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 134.
[2] იქვე, გვ. 148.
[3] იქვე, გვ. 140.

„იავ ნანა, ვარდოვ ნანა, იავ ნანინაო,
გაზაფხულდა, ქვეყანასა სითბო ეფინაო.
გაზაფხულდა, იამ თავი გამოიჩინაო;
იავ ნანა, ვარდო ნანა, იავ ნანინაო.
გაზაფხულდა, გაიშალა ვარდისა კონაო,
იადონსა ზედ ესურვა მღერა და კოცნაო,
გულში ტრფობა ჩაესვენა. შიგ ჩაებინაო“.
ისევ მიაგულის ამოცანად ნათქვამ ლექსს მოვუსმინოთ:
„გამოცანას მოგახსენებთ, დიდი არაფერია,
უგრძნობელი ქვასავითა ერთი სულიერია,
დღით ეწყობა რაინდივით, ღამით კი მესტვირეა,
მგლებთან იგი საქმეს იჭერს, მაგრამ ცხვრებსაც ერია“.[1]

ამ გამოცანის მეტაფორულ ახსნაზე ზემოთ ვისაუბრეთ. კვლავ ყური ვუგდოთ მიაგულის იგავთმეტყველებას, რომელმაც მეფე გიორგის დაინტერესება გამოიწვია. სწორედ ხელმწიფემ „გაშიფრა“ მისი შინაარსი პირველად:

„ყმასა ერთსა მზეშა ერქვა, მზეშინაო მზე შინა და,
მზეშა თურმე მეფეს ახლდა, სასახლესა გაიზარდა.
მზეშას მამა მტერი იყო ქვეყნის თურმე, მეფისა და;
მეფემ ესა შეიტყო რა, განრისხდა და გაგულისდა.
სპას უბრძანა, გააგზავნა, შეიპყრეთო მტერი სადა.
მტრისა თავსა აღარ ედო ხანი გრძელი, არც ვადა.
მამასა შეატყობინა, თავს უშველა და გავიდა;
მზეშა ისევ სასახლესა დაბრუნდა მეფესთან და“...[2]

ლექსის მოსმენის შემდეგ მეფე დიდხანს დააკვირდება შალვა ჯაყელს და ეუბნება: „სიტყვები ხომ გაიგე კარგად: მზეშა, ერთი ყმაწვილი, მეფეს ახლდა თურმე. მისი მამა ორგული ყოფილა მეფისა; მეფეს იმისი შეპყრობა სდომებია, მაგრამ მზეშა გაპარულა და შეუტყობინებია... ვფიქრობ, რომ ეგ ამბავია ჩემი სასახლის. ისეთი მზეშა მე ვინ მახლავს, რომლის სახლისკაცი ვინმე, ვთქვათ, მამა, გინდა

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა. გვ. 150.
[2] იქვე, გვ. 152.

ძმა ჩემი მტერია?.. ეს ამბავი მოგავს ჯაყელსა, ფერზედაც ვერ ხარ, მთლად უმანკო, ჩემი ყმაწვილო! იქნებ, მზეშა შენ იყავ, დამხსნელო შვილო, და გაემგზავრე სამშვილდისაკენ, სადაც გყავდა მამა!"[1] ასე რომ, მწერალი ამ იგავის ახსნას მკითხველის ნებაში კი არ ტოვებს, არამედ თავად მეფეს აახდევინებს ამ საიდუმლოსთვის ფარდას.

საკითხთან დაკავშირებით კიდევ ერთ „იგავზე" გავამახვილებთ ყურადღებას, რასაც რუსუდანი მოახსენებს გიორგი მესამეს: „ძმაო ბატონო! მოხდება ხოლმე, რომ დიდებულს მხედარსა, შორის გზის გაელასა შამბში გზა დაებნევა. და მაშინ უბრალო მეჯოგე ვინმეც რომ შეხვდეს, კვალზე გაიყვანს და შარაზე დააყენებს. დღეს მე გხლებივარ იმ მეჯოგის მაგივრად გამიგონე და დამიჯერე".[2] გიორგი უპასუხებს: „იგავებისა ჩემო დაო, არა მაქვს თავი. უბრალოდ ბრძანე: რად გჭირდების ამის იგავი?" რუსუდანს ძმისთვის მთავარი სათქმელი ის ჰქონდა, რომ „შენს თავზედა ბატონად გყავს ჯავახიანი. ის არის შენი ვეზირი და შენი მოძღვარი, მისი განზრახვა, მისი აზრი შენიცა არი". ამით სურდა მეფის დას, რომ იგი მიმხვდარიყო და დარწმუნებული მანდატურთუხუცესის ვერაგობასა და ორგულობაში.

ასე რომ, პიესაში იგივური თქმანი თავის ფუნქციას ასრულებს. ამ ხერხის მომარჯვებით გიორგი შარვაშიძე შთამბეჭდავს ხდის სათქმელს. მკითხველში ავითარებს გამოცანის შეცნობის და იგავის ახსნის სურვილს, რაშიც მას თვითონ თხზულების პერსონაჟებიც ეხმარებიან.

აფორისტული ფორმულები. „გიორგი მესამე" გამოირჩევა აფორისტული გამოთქმებით. მათი რიცხვი არც თუ ცოტაა. დრამაში მწერლის აფორისტული მეტყველება უთუოდ მიიპყრობს მკითხველის ყურადღებას. თხზულების ტექსტის ის ადგილები, სადაც აფორიზმები გაიელვებენ, მათ გარეშე მართლაც და დაკარგავდა ხიბლს. ისინი ტექსტში ისე ზიან, როგორც ბეჭედში ძვირფასი თვალი. ავტორის სიბრძნე სწორედ აფორიზმებში ვლინდება, რაც თავისთავად გულისხმობს აზრის გამოხატვის ლაკონურობას, სისხარტეს და ლოგიკური

[1] **გ. შარვაშიძე.** ლირიკა. ეპოსი. დრამა, გვ. 153-154.
[2] იქვე, გვ. 156-157.

დასკვნის ეფექტს.

მივყვეთ კვალდაკვალ პიესის ტექსტს და იქიდან გამოვიხმოთ აფორისტულ-საანდაზო თქმანი. თამარის გამეფების მომენტში, როცა ერისთავები დაასრულებენ თავიანთ მხარდამჭერ გამოსვლებს, გიორგი მესამე შთამაგონებელი სიტყვით მიმართავს თავის ერთადერთ ასულს, სადაც სათქმელს ანოყიერებს და ძალას მატებს აფორისტული შეგონებებით:

„არ მოგერიოს შენ სისუსტე, დედათ წესია.
არა სხეულის, — სულის სილბო უარესია!
ქვეყნის პატრონსა არ სჭირია ხმალი და ფარი.
მხოლოდ მას უნდა არ მორჩილი — სული მედგარი“.[1]

მეფე გააბრაზა მხედარი ყაითაძის მიერ მოტანილმა ცნობამ მის წინააღმდეგ შეთქმულების მოწყობის მცდელობის თაობაზე და ალაპარაკება ორგულობაზე. „შინაურ გველ-მატლებზე“, ბოროტ სულებზე და აზრს ავითარებს აფორისტული დასკვნით თუ რა მოაქვს ქვეყნისთვის შიდა დაპირისპირებას და განხეთქილებას? „რომ ჩვენს სამეფოს შემოეა რა განხეთქილება, მას დაიმონებს და შემუსრავს სხვისი კირთება“. თანაც უკვირს ძმისწულ დემნასი, რომელიც შეთქმულთა თავკაცს ამირსპასალარ იოანე ორბელიანს სურს ტახტზე აიყვანოს: „დემნა!.. ჰმ! რას ჰგავს ის საწყალი, სუსტი, სნეული, სალოსი მეფედ სად ნახულა ამაღლებული?“ ასეთი აფორიზმით ამთავრებს აფორიაქებული ხელმწიფე სათქმელს.

როდესაც გიორგი მესამე ამირსპასალარობას უბოძებს სარგის მხარგრძელს, ეტყვის: „ვიმედობ, მხარგრძელი, ისე მოიხმარ, როგორც ეკადრება პატიოსნებას და ქვეყნის ერთგულსა!“ სარგისის პასუხი აფორისტულად ჟღერს: „ხელმწიფეო! სიტყვანი ქრებიან, ხოლო საქმენი შთებიან“. გიორგი შარვაშიძემ თავისი თავის წინაშე მარტოდ დარჩენილი ჯავახიანის მონოლოგში ასეთი აფორიზმები გამოურია: „დაუხედავად თავზე ჭირი არ დავიხვიოთ“; „ოდეს ერთი ღა გზა მხოლოდ დარჩება, უნებურად ყველა იმ გზას დაეძებს“. ლ[illegible] შთა მესხის ენით წარმოთქმულია რუსთველური აფორიზმი: „ავსა კაცსა

[1] გ. შარვაშიძე. ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 131.

ავი სიტყვა ურჩევნია სულსა, გულსა“. როდესაც სოსლანი ამბობს: „განგების ძალა რომ მქონდეს, მსაჯულად არ ავირჩევდი ბედსა“, შოთა მესხი ლექსად უპასუხებს:

„ბედია ეშმას თამაში, მისგან ნუ ითხოვთ ბრძნობასა,
საპყარსა ხშირად უღონოს სვე ჰკადრებს მორჭმულობასა.
ბედი არ ბედობს თუ ოდეს ის იწყებს სამართლობასა!
იგი ვამსგავსე დიაცის გულისა კამათლობასა!..“[1]

დემნა ბატონიშვილი საკადრის პასუხს გასცემს ლიპარიტ ორბელიანს საყვედურისათვის და ეს პასუხი მწერალმა არჩია აფორიზმად გადმოეცა:

„რადგან კაცია ცხოველთ შორის გონებიანი.
და თუ მახვილით აღჭურვილი ადამიანი
ცდილობს, რომ მოსპოს სხვის სიცოცხლე, მისი მსგავსისა
და მოსტაცოს ეს უმჯობესი ნიჭი ზეცისა.
მკვდარია მასში კაცობრივი გონიერება
და შთება მხოლოდ სულდგმულისა მას მძვინვარება“.[2]

ჯაყელი უმტკიცებს იოანეს, რომ „დროს გაქცეულსა ვერ მოესწრები“. მიაგული სოსლანს შთააგონებს: „ნდომა მოსდევს სურვილსა, სურვილი — გრძნობას და გრძნობაც დარწმუნებას და კიდევ სხვა რამეებს“. გიორგი მესამე ხალხური ანდაზის მომარჯვებით განაგრძობს რუსუდანთან საუბარს თამარის სამხრეზე:

„ხომ გაგიგონია, დაო, ნათქვამი:
როს ტაიჭი კლდელზე ავა, ჯორი მინდორს გაჭენდება,
ორნივ უმარგ დარჩებიან, მხედარს ვირი დასჭირდება“.[3]

ყუბარსან ჯავახიანს მწერალი თვითონვე აღიარებინებს თავის ავკაცობას, თუ რამდენად „შეგნებული“ აქვს ჩადენილი სიავენი: „თურმე რა ერთხელ ფეხსა ჩადგამ სიავეში და, უკან ვერ იხევ და მიდიხარ შიდა და შიდა, როგორც საფლობში“. შოთა მესხს არ სჯერა შალვა ჯაყელის ორგულობისა ხელმწიფისადმი, სოსლანი კი აფორისტული შეფერილობით უმტკიცებს: „ადამიანის გულსა მრავალი კუთხე აქვს

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 139.
[2] იქვე, გვ. 144.
[3] იქვე, გვ. 158.

და... ყველას ვერ გამოსჩხრეკს მეორე კაცი". იმავე სოსლანის ენით ნათქვამია: „არც ერთი საქმე, არც ერთი გრძნობა წრეს არ უნდა გადასცილდეს".

უთუოდ დაეჯერება ზაქარია მხარგრძელს: „არც ერთ საქმეში საშვალი და ყუნჩი გრძნობა არ უნდა იკადრო, ისეთისადმი მით უმეტეს, ვისთანაც ხშირად პური მიგირთმევია და ძმობა გითქვამს". ყველა ჩვენთაგანს მუდამ უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული და გაშინაგანებული გიორგი შარვაშიძის შეგონება სოსლანის ენით: „მეგობრობაზე, მოყვრობაზე და სისხლნათესაობაზედაც მაღლა დგას მამულისა და მეფის ერთგულება".

მთლიანად აფორიზმზეა აგებული დემნა ბატონიშვილის საწუთისოფლო გოდებანი. აქ უფლისწული წარმოაჩენს საწუთროს სიცრუეს, უტიფრობას, უნამუსობას, ჭუჭყსა და სიავეს, მის უკულმართობას. სჯობია სრულად წარვუდგინო მკითხველს პიესის ეს მონაკვეთი, რომელშიც მწერალმა სწორედ დემნას ენით გაგვიმჟღავნა მისივე დამოკიდებულება-შეფასებანი საწუთროს ორგემაგეობისა. თხზულების ამ ვრცელ ლექსით მონაკვეთს გასაგები მიზეზების გამო პროზული ფორმით დავიმოწმებთ: „წუთისოფლისა ცხოვრება, წესი, უნამუსო და უტიფარია! კაცთ სასოება, თვით უმჯობესი, ცრუი ფარია, ავი და ჭუჭყი მით იფარება, კეთილი ქვეყნად ვით სიზმარია, სიტყვაა მხოლოდ და ისე ქრება, როგორც ქარია. რაც უნდა იყოს კაცი მართალი, მცნებათა ეპყრას წმინდა ჯვარია, მასზე იტყვიან მხოლოდ: „საწყალი რა სახმარია?! უხვი, სულგრძელი, ჭკუსტთა მფარველი, რაც იშვიათად საპოვარია. ბრბოისა თვალში ესე ჯოელი ნაოხარია. კაცმა თუნდ დაკლა დედა და მამა, დარჩა ქონება და მდიდარია... თუ შეინახა და არ შეჭამა, საქებარია. ზნეობით მტარვალს, გულქვა ბოროტსა სვემან არგუნა ლაშქარ-ჯარია, სერის რა სისხლით სოფლის წალკოტსა, გასახარია. აგრე სიცოცხლე უკულმართობით გაუგებარი, — საოცარია! ციური ნიჭი, მაღალი გრძნობით, ჩვენში კვდარია! და დედამიწას, სავსეს შვენებით, დანათის ზეცა პირმცინარია და ეს სამოთხე, კაცისა ვნებით, საზიზღარია!"[1]

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 166.

„გიორგი მესამის“ ლექსი

გიორგი შარვაშიძის დრამატული თხზულება „გიორგი მესამე“ დაწერილია ლექსნარევი პროზით. ის სულ მოიცავს 1560-მდე სტრიქონს, აქედან 540 სალექსო ტაეპია. ეს სრულ საფუძველს გვაძლევს პიესის პოეტურ ნაკვეთზე სპეციალურად გავამახვილოთ ყურადღება, სადაც მწერლის მიზანია სათქმელი ლექსადაც გადმოსცეს. იგი მეტწილად აქცენტს შინაარსზე აკეთებს და არა პოეტური ტაეპების ან რითმების დახვეწაზე. თვალშისაცემია მთავარი რამ: გიორგი შარვაშიძემ მხატვრული აზროვნების სათანადო დონე სწორედ პიესის პოეტურ ნაწილში გამოავლინა, ვიდრე პროზულ მონაკვეთში. ამასთანავე, გასახაზავია ის გარემოება, რომ დრამის კითხვისას პროზიდან პოეზიაში გადასვლას თხრობის ტემპი განაპირობებს უთუოდ. ეს გადასვლა ერთგვარი „ამოსუნთქვისა“ და „შესვენების“ საშუალებაა. ამიტომაც მკითხველი ოდნავადაც არ იღლება ტექსტის კითხვისას.

ა) **სტროფი**. გავიხსენოთ, რომ რიტმული ერთეულების — ტერფისა და მუხლის ურთიერთკავშირი ქმნის ტაეპს, ტაეპთა ერთობლიობა კი ბადებს სტროფს. იგი „თემატურად და კომპოზიციურად დამთავრებული წევრია ლექსისა და კანონზომიერად მეორდება ნაწარმოებში“.[1] ქართული კლასიკური ლექსის სტროფი ტაეპთა რაოდენობის მიხედვით გვაქვს: ორტაეპიანი, სამტაეპიანი, ოთხტაეპიანი, ხუთტაეპიანი, ექვსტაეპიანი, შვიდტაეპიანი, რვატაეპიანი, ცხრატაეპიანი, ათტაეპიანი. როგორც აკ. გაწერელია მიუთითებს: ქართული სტროფიკის ძირითადი სახეები 2-დან 10 ტაეპის ფარგლებშია მოქცეული, სხვა სახეები კი სპორადულად გვხვდებიან.[2]

რა ვითარებაა ამ მხრივ „გიორგი მესამეში?“ თხზულებაში მოგვეპოვება ორტაეპიანი, სამტაეპიანი, ოთხტაეპიანი, ხუთტაეპიანი, ექვსტაეპიანი სტროფები. დავიწყოთ საუბარი ორტაეპიანი სტროფით. ქართულ პოეზიაში ორტაეპიანი სტროფის შემომლებია არჩილ ბაგრატიონი. გავიხსენოთ მისი თხზულება „ლექსნი ასნი ორმუხლიანი“. აქ სიტყვა „ლექსი“ გამოყენებულია „სტროფის“ მნიშვნელობით. ცნო-

[1] ა. გაწერელია, რჩეული ნაწერები, ნაწ. II, თბ., 1965, გვ. 384.

[2] იქვე, გვ. 411.

ბილია, რომ ცნება „ლექსი“ XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარებოდა: 1. სიტყვა; 2. ტაეპი; 3. სტროფი; 4. ლექსი (стих); 5. ლექსის სახეობა – ორტაეპიანი ლექსი.[1] არჩილისეული ტერმინი „ორმუხლიანი“ ნიშნავს ორტაეპიანს.

ორტაეპიანი სტროფები პირველად, ეტყობა, ხალხურ პოეზიაში გაფორმდა, სადაც, ჯონდო ბარდაველიძის სწორი მინიშნებით, მნიშვნელოვანი როლი უნდა ეთამაშა რითმას. მიჯრითი რითმა ადვილი აღსაქმელია და ხალხური პოეზიის ხასიათისათვის სავსებით შესაფერისი.[2] აქვე შევნიშნავთ, რომ ორტაეპედი (ორკარედიანი ხანა) სპარსული პოეზიის კლასიკურ ფორმას წარმოადგენდა. ორტაეპიანი სტროფის არსზე განგებ შევაყოვნეთ ყურადღება. საქმე ისაა, რომ „გიორგი მესამის“ პოეტური ველი ძირითად ორტაეპიანი სტროფებით არის გაპოხიერებული. აქ ორტაეპედს ქმნის მიჯრითი რითმა, იგივე მოსაზღვრე თუ პარალელური რითმა. ამის საფუძველზე ვრაცხთ მათ სტროფებად. მხოლოდ რამდენიმე ნიმუში:

„ხამს აღვირჩიოთ ჩვენ მემკვიდრედ ღირსი და ბრძენი!
ვინაიდან ჩვენ გვაღირსა უფალმან ძენი“;
„როცა მზისა წილ განათდების საუცხო მთვარე
და ბედნიერად დამშვიდდების ყოველი მხარე“;
„არ მოგერიოს შენ სისუსტე, დედათ წესია
არა სხეულის, — სულის სილბო უარესია“;
„აჰა, გაცემა, ორგულობა, ეს სენნი ძველნი.
ეს შინაურნი გველ-მატლები, ქართველთ მჭამელნი“;
„ამით მივენდევ, ჩემი გული აღარა წუხდა
და მისაში კი თურმე შავი ღალატი დუღდა!..“

„გიორგი მესამის“ 540 სალექსო ტაეპიდან დაახლოებით 280 ტაეპი ქმნის მოსაზღვრე რითმის წყალობით 140 ორტაეპიან სტროფს. დანარჩენი სტროფები სამტაეპიანი, ოტხტაეპიანი, ხუთტაეპიანი, ექვსტაეპიანია. ტაეპებს შორის არის ისეთიც, რომელიც არ ერითმება არც ერთს. გამომდინარე აქედან, ის შეიძლება ვიგულვოთ ერთტაეპიან სტროფად.

რამდენიმე მაგალითს ამოვწერ, სადაც ერთ ტაეპი თითქოს კა-

[1] გ. მიქაძე, ნარკვევები ქართული პოლიტიკის ისტორიიდან, გვ. 33.
[2] ჯ. ბარდაველიძე, ქართული ხალხური ლექსი, გვ. 108.

ლაპოტიდან „ამოგდებულია“, არ ერითმება დანარჩენთ და შეიძლება იგი ერთტაეპიან სტროფად მოვნათლოთ:

„შემინდევ მთიულს, სიტყვა უცხო თუ ვერ მოვკრიბე“;
იფიქრე, შვილო, აწ სვე შენი და მომავალი“;
„დამრჩა სოსლანი, მაგრამ ისიც ვერ გაიხარებს“;
„უდროო დროსა ლაპარაკით, აგრე მოხდება“;
„აი, ეს არის მიზეზი, თუ საქმე წახდება“...

სამტაეპიანი სტროფის ნიმუშად გვესახება:

„ესეც არის რომ გვიბრძანეს,
თურმე ბრძანდება მხარგრძელი,
მაცხოვარმა ქმნას დღეგრძელი“;
„მამასა შეატყობინა, თავს უშველა და გაეიდა,
მზეშა ისევ სასახლესა დაბრუნდა მეფესთან და,
აგრე მოხდა ეს ამბავი მზეშაო და მზეშინადა“.
„იცანი განა? აბა რომელს ებნევა კვალი,
შენა თუ მე? მაშ გაიგე და კარგად ასწონე.
ეს სამხრე ჰქონდა ერთ ყმაწვილ კაცს მკლავზედ დაბმული“.

ახლა გავეცნოთ ოთხტაეპიან სტროფთა ნიმუშებს:

„იავ ნანა, ვარდოვ ნანა, იავ ნანინაო,
გაზაფხულდა ქვეყანასა სითბო ეფინაო.
გაზაფხულდა, იამ თავი გამოიჩინაო;
იავ ნანა, ვარდო ნანა, იავ ნანინაო“;
„საწუთროო! ვერ მაშიშო,
თან მსდევს მზისა ბეჭედიო.
მე სხივითა რეტიანსა
რა მგამა რამ ნაყბედიო“.
„ამისთვის იყო, აგრე მწვრთნიდი, ჩემო ოსტატო?
გულს შთამინერგე სხვა გრძნობათა მე ნეტარება.
ახლა კი ცდილობ, სოფლის გეგმა მე დამიხატოა
და ამაშიც გინდა ჩემი გავითარება“.

ხუთტაეპიანი სტროფების რამდენიმე მაგალითი იჩენს თავს თხზულებაში, რომელთაგან მხოლოდ ერთი სტროფის დამოწმებას დავჯერდებით ციტაციების მომრავლებით რომ არ გადავტვირთოთ

მკითხველი. აფხაზთა ერისთავი გიორგი მესამეს მოახსენებს თავის აზრს თამარის გამეფებასთან დაკავშირებით:

„ხელმწიფეო, დიდო ბატონო! შენ იცი კარგად,
მშვლდ-ისარითა მომართულით ჩვენი ქვეყანა
ჰგმირავს შენს მტერსა, მამაცურად შეაკვდებიან,
ხოლო რაი სჯობს სამეფოსთვის, რას მოხვდებიან!
ოღონდ ნებასა, სიტყვას შენსა ემონებიან!“

„გიორგი მესამეში“ იშვიათად, მაგრამ მაინც ფიქსირდება ექვსტაეპიანი სტროფშიც:

„ღმერთმა გაცოცხლოს, ბატონო,
მოგანიჭოს დღეგრძელობა.
მე — ბრმა ვინმე უპატრონო,
ქვეყნის არა გაემგება.
ვერა გხედავთ, მადლიანო,
ვით გავბედო თქვენი ქება“.

ბ) **ჰეტრიკული სტრუქტურა**. „გიორგი მესამის“ სალექსო ტაეპები გაწყობილია სხვადასხვა საზომებით, რომელთაგან ყველაზე პოპულარულია 14-მარცვლიანი ტაეპი. ამ საზომით შეთხზულია 460-მდე ტაეპი (540 სალექსო ტაეპიდან), ამასთანავე, გვხვდება; 5-მარცვლიანი, რვამარცვლიანი, ათმარცვლიანი, თხუთმეტმარცვლიანი, თექვსმეტმარცვლიანი ტაეპები. გავეცნოთ თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე. დავიწყოთ ყველაზე პოპულარულით.

1. **თოთხმეტმარცვლიანი საზომი**. როგორც აკაკი გაწერელია შენიშნავს: ქართულ კლასიკურ ლექსში XVIII საუკუნემდე უცნობია თოთხმეტმარცვლიანი საზომები. თავდაპირველად იგი გვხვდება მამუკა ბარათაშვილის ლექსში „შეწყობილი“ და შინაგანი რითმებითაა გამართული“.[1] ნიმუში:

„აამეო/ამეო//საყვარელსა/რამეო“ (4+3+4+3)

მამუკა ბარათაშვილის შემდეგ ამ საზომს ფართოდ მიმართავს დავით გურამიშვილი:

„ქალ-ქალწულმან/მარიამ//თავი წმინდად/ატარა,
ყოვლის კაის/საქმითა//თავი ღმერთსა/აყვარა“...

[1] აკ. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექსი. თბ., 1953, გვ. 253.

ასევე სათანადო ნიმუშები იძებნება დიმიტრი ორბელიანის გაბრიელ რატიშვილის და სხვათა შემოქმედებაში. არა მარტო მხატვრულ ლიტერატურაში, არამედ ხალხურ პოეზიაშიც მოგვეპოვება თოთხმეტმარცვლიანი საზომები: „ახმეტაანთ/ქალი ვიყავ//ახ ნეტავი/ მეო“.

აკ. გაწერელიას მიხედვით, თოთხმეტმარცვლიანი საზომის ახალი, ორიგინალური და ამჟამადაც გავრცელებული ფორმის შემომტანია ბესიკი: „ტანო ტატანო/გულწამტანო/უცხოდ მარებო“ (5+4+5). ამ საზომით ბესიკმა შექმნა ნაწარმოებები: „მოით მიჯნურნო“, „ცრემლთა ისარნი“, „ბულბულსა შურსა“, „მე შენი მგონე“, „ვარდო სასურო“, „მზეჭაბუკ ორბელიანს“ და ა.შ. ისევ აკაკი გაწერელიას დავესესხებით: „ბესიკის მიერ შემოღებულ ამ საზომს სისტემატურად მიმართავენ გარდამავალი ხანის ლირიკოსები: დავით სარდალი („პირზედ გაქვს ხალი“), დავით რექტორი („ჰე მოყვარეო“). დავით ბატონიშვილი („პეტრე ლარაძეს“), დავით თუმანიშვილი („მუხამბაზი“), სტ. ფერშანგიშვილი, ზაალ ბარათაშვილი, ელიზბარ ერისთავი, პეტრე ლარაძე... საიათნოვაც კი („გიხდება ზარი“).

ბესიკური თოთხმეტმარცვლიანი საზომითაა დაწერილი XIX საუკუნის პირველი ნახევრის ნაწარმოებები: ალ. ჭავჭავაძე („გოგჩას ტბა“), გრიგოლ ორბელიანი („ჩემს დას ეფემიას“), ნიკოლოზ ბარათაშვილი („მერანი“). აკაკი გაწერელია ყურადღებას მიაქცევს ასევე ივანე მაჩაბელის მიერ შექსპირის ტრაგედიების ბესიკური საზომით თარგმნას.[1]

თოთხმეტმარცვლანი საზომის ასეთი ტრადიციები უსწრებდა წინ გიორგი შარვაშიძეს „გიორგი მესამის“ წერისას. ჩვენი დაკვირვებით, იგი ძირითადად ბესიკური საზომით სარგებლობს (5+4+5), რომელიც ჰარმონიულად ესადაგება სათქმელის პროზული ფორმიდან პოეტურ მეტყველებაზე გადასვლას. მხოლოდ ორიოდე საილუსტრაციო მასალა:

„მე შევცქერი ცას/მოწმენდილსა/ვარსკვლავიანსა. (5+4+5)
და მიწაზედა/მცენარს, ყვავილს/მთებსა ტყიანსა. (5+4+5)“
„ორთავეს გზრდიდით/ერთსა გულში/მეორეს გულზე
და თქვენი დარდი/ოც წელიწადს/მეწერა შუბლზე“;
„აწ მოიწია/იგი ჟამი/დღემდი ძლეული
და ზეციდამა/მეძახის მე/ხმა კურთხეული“;

[1] აკ. გაწერელია, ქართული კლასიკური ლექს, გვ. 271-77.

„და მის სხეულში/თუ ღვიოდეს/ევის ქალი,
და ნუთუ ვცდები/მე, ვით კაცი?/ ვაჰ, ჩემი ბრალი“;
„მაგრამ რად მითხარ/ეგ მოთხრობა/მე სევდიანი?
რად მომაგონე/რომ მეცა ვარ/ ადამიანი“.

2. **რვამარცვლიანი საზომი.** აკაკი გაწერელია წერს: „XIX საუკუნემდე ეს საზომი გვხვდება უმთავრესად 16-მარცვლიანი ქორედაქტილური ლოგაედისა და ქორეულ-პეონური პოლიმეტრის (მაღალი და დაბალი შაირის) ნახევარტაეპების სახით, მაგრამ ზოგჯერ დამოუკიდებელი საზომის ნიშნებითაა აღჭურვილი (რითმა, ინტონაციური დამოუკიდებლობა და სხვ.)“.[1] სულ 32-მდე ტაეპია გაწყობილი ამ საზომით დრამაში, როგორც სასიმღერო ტექსტი. მესტვირე უკრავს და მღერის:

„ღმერთმა გაცოცხლოს, ბატონო,
მოგანიჭოს დღეგრძელობა.
მე — ბრმა ვინმე, უპატრონო,
ქვეყნის არა გამეგება,
ვერა გხედავთ, მადლიანო,
ვით გავბედო თქვენი ქება“.

3. **ათმარცვლიანი საზომი.** გავიხსენოთ ამ საზომთან დაკავშირებით აკაკი გაწერელიას თვალსაზრისი, რომ ეს საზომები უმთავრესად ოცმარცვლიანი ქორე-დაქტილური ლოგაედის ნახევარტაეპების სახითაა გავრცელებული ქართულ ლექსში. თანდათან ათმარცვლიანი საზომი დამოუკიდებელ ინტონაციურ თვისებებს იძენს. „გიორგი მესამეში“ სულ 24-ოდე ტაეპში დაფიქსირდა აღნიშნული საზომი. ეს არის ვრცელი ლექსი, წუთისოფლის უკუღმართობაზე დემნა ბატონიშვილის ენით ნათქვამი; რომლის ნაწყვეტს მოვიტანთ:

„წუთისოფლისა ცხოვრება, წესი,
უნამუსო და უტიფარია!
კაცთ სასოება, თვით უმჯობესი,
ცრუი ფარია.
ავი და ჭუჭყი მით იფარება,
კეთილი ქვეყნად ვით სიზმარია.

[1] აკ. გაწერელია, რჩეული ნაწერები, III (1), გვ. 240-241.

სიტყვაა მხოლოდ და ისე ქრება,
როგორც ქარია“.[1]

როგორც ვხედავთ, ოთხტაეპიანი სტროფის ბოლო ტაეპი ხუთმარცვლიანია, ანუ ნახევარტაეპს წარმოადგენს. ეს გვალაპარაკებს, რომ პიესაში 5-მარცვლიანი საზომიც გვხვდებაო. ამ რვასტროფიანი ლექსის ყოველი სტროფის ბოლო ტაეპი მის დასასრულამდე ინარჩუნებს ხუთმარცვლიანობას.

4. **თექვსმეტმარცვლიანი საზომი.** იგი სულ ათიოდე ტაეპში მოგვეპოვება:

„ბედია ეშმას თამაში, მისგან ნუ ითხოვთ ბრძნობასა,
საპყარსა, ხშირად ულონოს სვე ჰკადრებს მორჭმულობასა,
ბედი არ ბედობს, თუ ოდეს ის იწყებს სამართლობასა!
იგი ვამსგავსე დიაცის გულისა კამათლობასა!..“[2]

ეს დაბალი შაირის ნიმუშია, გვაქვს მაღალი შაირის მაგალითიც:

„ყმასა ერთსა მზეშა ერქვა, მზეშინაო მზე შინა და,
მზეშა თურმე მეფეს ახლდა, სასახლესა გაიზარდა“...

როგორც გაირკვა, გიორგი შარვაშიძე უმთავრესად იყენებს თოთხმეტმარცვლანი საზომის ბესიკის მიერ დამკვიდრებულ ფორმას (5+4+5) და იგი არც ერთ ტაეპში არ დაურღვევია. ამასთანავე, პიესაში სრულად უმნიშვნელო გამოვლინება უპოვია 16, 10, 8-მარცვლიან საზომებსაც. ასე რომ, „გიორგი მესამის“ პოეტური ველის მეტრიკული სტრუქტურა ფაქტიურად ერთფეროვანია, მაგრამ იგი მაინც ინტერესით იკითხება.

გ) **რითმა.** ვერ ვიტყვით „გიორგი მესამის“ მიხედვით, რომ გიორგი შარვაშიძე რითმის შესანიშნავი ოსტატი იყოს. მაინც შევეხებით მას როგორც „სიგნალს სტრიქონის მეტრული დასრულებისას“, როგორც „გარკვეული კომპოზიციური დანიშნულების შემსრულებელს თითოეული ტაეპის ცალკეულ ერთეულად გამოყოფისას“.

1. **მაღალი შაირის რითმები.** პიესის მესამე მოქმედებაში ჩართულია ერთადერთი ნიმუში მაღალი შაირისა მთელი თხზულების მანძილზე, რომელსაც სიმღერად წარმოთქვამს მიაგული. იგი შვიდტაეპიანია,

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 166.
[2] იქვე, გვ. 139.

რომელსაც კრავს რითმა „და“. ეს რითმა ორ სტრიქონში მაერთებელი კავშირის ფუნქციას ასრულებს, დანარჩენ მომენტში კი სიტყვის („გაიზარდა“, „გაგულისდა“) ბოლო ნაწილს შეადგენს. ეს რაც შეეხება 1-4 ტაეპს სტროფისას. მომდევნო ორი ტაეპის რითმაა „ადა“ („სადა“, „ვადა“), მეშვიდე სტრიქონში ისევ თავს იჩენს „და“ რითმა (თუ შეიძლება მას რითმა ვუწოდოთ):

„ყმასა ერთსა მზეშა ერქვა, მზე'შინაო მზე შინა და,
მზეშა თურმე მეფეს ახლდა, სასახლესა გაიზარდა.
მზეშას მამა მტერი იყო ქვეყნის თურმე, მეფისა და;
მეფემ ესა შეატყო რა, განრისხდა და გაგულისდა.
სპას უბრძანა, გააგზავნა, შემიტყვეთო მტერი სადა,
მტრისა თავსა აღარ ედო ხანი გრძელი, არცა ვადა.
მზეშამ რაკი ეს გაიგო, გაიპარა და წავიდა“.[1]

დრამაში ასევე ჩართულია „ვეფხისტყაოსნის“ ერთი სტროფი, რომელსაც შოთა მესხი წარმოთქვამს, ოღონდ ამ სტროფის სტრიქონები განახევარტეპებულია და წარმოდგენილია რვამარცვლიანის სახით:

„მიკვირს კაცო რად იფერებს
საყვარლისა სიყვარულსა!
ვინცა უყვარს, რად აყივნებს
მისთვის მკვდარსა, მისთვის წყლულსა,
თუ არ უყვარს, რათ არა სძულს,
რად აყივნებს რაცა სძულსა?
ავსა კაცსა აქი სიტყვა
ურჩევნია სულსა გულსა“.[2]

2. დაბალი შაირის რითმები. დრამაში მხოლოდ 6 ტაეპი იძებნება დაბალი. შაირის მეტრით დაწერილი:

„ბედია ეშმას თამაში, მისგან ნუ ითხოვთ ბრძნობასა,
საპყარსა ხშირად უღონოს სვე ჰკადრებს მორჭმულობასა,
ბედი არ ბედობს, თუ ოდეს ის იწყებს სამართლობასა!
იგი ვამსგავსე დიაცის გულისა კამათლობასა“.

როგორც ვხედავთ, გარდა პირველი ტაეპისა, სამმარცვლიანი რით-

[1] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 152.
[2] იქვე, გვ. 137.

მისათვის („ობასა“) გამოყენებულია ხუთმარცვლანი სიტყვა. ქვემოთ დამოწმებულ ორტაეპედში კი ორმარცვლიანი რითმისთვის („დება“) ნახმარია ოთხმარცვლიანი სიტყვა:

„როს ტაიჭი კლდეზე ავა, ჯორი მინდორს გაჭენდება,
ორნივ უმარგ დარჩებიან, მხედარს ვირი დასჭირდება“.

3. თოთხმეტმარცვლიანი ტაეპის რითმები. როგორც ითქვა, „გიორგი მესამის“ ლექსი, მცირე გამონაკლისების გარდა, მთლიანად აგებულია თოთხმეტმარცვლიანი საზომის ბესიკის მიერ დამკვიდრებულ ფორმაზე.

ა) ვაჟური ანუ ერთმარცვლიანი რითმა. ამ ტიპის რითმა ძალზე იშვიათად გვხვდება, თანაც ერთსიტყვიანი ვაჟური რითმა. თუ პირველ ტაეპში ერთმარცვლიანი სიტყვა გვაქვს, მეორე ტაეპთან იგი გარითმულია ორ ან მეტმარცვლიან სიტყვასთან:

„ვთქვათ, ფიც-გამტეხი, მოღალატე თუნდაც ვიყო **მე**,
მაგრამ მომაკვდავს შენდობასა უძღვნიან ხოლმე“;
„როგორც საფლობში, ძირს, ძირს. ახ! არ არის **დრო**
აწღა მაგაზე სჯა-ფიქრისა, უნდა ვიკა**დრო**“;

ბ) ქალური ანუ ორმარცვლიანი რითმა. „გიორგი მესამის“ თოთხმეტმარცვლიან ტაეპებში აქტიურად ფიგურირებს ქალური რითმა. რითმად გამოყენებული მხოლოდ ორმარცვლიანი სიტყვის ნიმუშებს გავეცნოთ:

„ხამს აღვირჩიოთ ჩვენ მემკვიდრედ ღირსი და ბრძენი!
ვინაიდან ჩვენ არ გვაღირსა უფალმან ძენი“;
„როცა მზისა წილ განათდების საუცხო მთვარე
და ბედნიერად დამშვიდდების ყოველი მხარე“;
„ამით მიევნდევ, ჩემი გული აღარა წუხდა.
და მისაში კი თურმე შავი ღალატი დუღდა“;
„რომ მთავრის ძესა, ყმაწვილს შალვას თამარი სწყალობს
და ისიც მაზედ, ვით ბულბული ვარდზედა გალობს“.

ქალური რითმა სამმარცვლიან სიტყვასთან:

„აჰა, გაცემა, ორგულობა, ეგ სენნი ძველნი,
ეს შინაურნი გველ-მატლები, ქართველთ მჭამელნი“;
„მე კი შესმენით ეჭვს ჩავუგდებ თამარზე გულში,
რომ დედაკაცის ასაკია მეფის ასულში“.

ქალური რითმა ოთხმარცვლიან სიტყვასთან:

„და თუნდაც იყოს სხვა კაცზე ის უარესი...
ხოლო მე არ მაქვს ხასიათად სულაც ეს წესი“;
„დიახ, უარს ვყოფ, მე არა მსურს ათასი სული,
ჩემივ მზგავსი ადამიანი, ჰყონ შეწირული“...
ქალური რითმა ხუთმარცვლიან სიტყვასთან:
„რაზედა ფიქრობ, იოანე, დაღონებულად?
აწ რაღას იტყვი? ჰგავს არ მოგწონს მეფისგან სრულად“...
„აწ წარმოთქვით თქვენ თქვენი აზრი დაუფარავად,
როგორა ჰპოვებს ჩვენსა რჩევას, კარგად თუ ავად?“

გ) **დაქტილური ანუ სამმარცვლიანი რითმა**. როგორც ორმარცვლიანი, ასევე სამმარცვლიანი რითმა ძალზე პოპულარულია პიესაში:

„ერი მწყალობდა და მპოვებდა ღირსად ქებისა,
ხოლო ჩემ გულში დარჩა ზრუნვა ნაცვლად შვებისა“;
„აბა რად მინდა ამ სოფლისა სხვა რამ დიდება,
მძაგს ბოროტება და მლიქვნური მისი კირთება“.
დაქტილური რითმა ოთხმარცვლიან სიტყვასთან:
„მაგრამ რად გინდა შენ მონისა რამ საუბარი.
შენ გინდა მისი წრფელი გული, მკლავი მაგარი“;
„აწ მოიწია იგი ჟამი, დღემდი ძლეული
და ზეციდამა მეძახის მე ხმა კურთხეული!“
დაქტილური რითმა ხუთმარცვლიან სიტყვასთან:
„არ მოგერიოს შენ სისუსტე, დედათ წესია,
არა სხეულის, — სულის სილბო უარესია“;
„ამის მიზეზით იშვიათობს ქალი სვიანი
და თუ გამოჩნდა — ვარსკვლავია ულუმპიანი“.
დაქტილური რითმა ექვსმარცვლიან სიტყვასთან:
„გაზაფხულდა, იამ თავი გამოაჩინაო...
გაზაფხულდა, გაიშალა ვარდისა კონაო“;

დ) ზედაქტილურ-ჰიპერდაქტილური ანუ ოთხმარცვლიანი რითმა:

„ვხდი თავსა ჩემსა, ხელმწიფეო, მე კადნიერად,
გაგიბედო და მოგახსენო მე ბედნიერად“...
„მეფეთ მეფეო, დიდებულო! ჩვენ გავიგონეთ
ნებაა თქვენი საგულისხმო და დავემონეთ“.

ზედაქტილური რითმა ხუთმარცვლიანია სიტყვასთან:

„მაგრამ რად მითხარ ეგ მოთხრობა მე სევდიანი?
რად მომაგონე, რომ მეცა ვარ ადამიანი“;
„ცხოვრობდა მუდამ ერი თქვენი თქვენს მეფობასა
და გიქებდიან უცხოელნიც მორჭმულობასა“.

ე) ხუთმარცვლიანი რითმა. „გიორგი მესამეში“ ხუთმარცვლიანი რითმებიც გვხვდება. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ქართულში ჰიპერდაქტილური (იგივე ზედაქტილური) რითმის იშვიათი გაჩენა დამოკიდებულია ოთხ, ხუთ და მეტმარცვლიან სიტყვებში მეტრული ხმოვნისა და მომდევნო ხმოვნების ერთად თავმოყრასთან. საერთოდ, ჰიპერდაქტილური რითმა ქართულ და მთელ რიგ ევროპულ, სლავურ ენებში, მაგალითად, რუსულში, მეტრული ცდების სახით გვხვდება“.[1] დავიმოწმოთ სათანადო ნიმუში:

„აწ თუ ღირსი ვარ, ეს სოფელი დამათმენინეთ,
ღვთის სამსახურად თმა გიშრისა დამაყრევინეთ“.

ვ) რითმის ადგილი ტაეპისა და სტროფში. „გიორგი მესამისთვის“ დამახასიათებელია მხოლოდ გარეგანი რითმები, მცირე გამონაკლისის გარდა, სტროფები დაკომპლექტებულია მოსაზღვრე ანუ პარალელური რითმებით, რაც განაპირობებს ორტაეპიანი სტროფების დომინირებას პიესაში. გავეცნოთ პარალელური გარეგანი რითმების ერთ ნაწილს:

„ასრე, აქამდინ მოვაღწიე დღემდი სიბერის,
დღეს კი, დრო არის მე უკუ ვდგე ჩვენის ივერის“...
„ისმინე, შვილო, რა ყოველი აქა თხრობილი,
აწ შენა გმართებს საქმე დიდი, მცნებით მკობილი“;
„იავ ნანა, ვარდოვ ნანა, იავ ნანინაო,
გაზაფხულდა, ქვეყანასა სითბო ეფინაო,
გაზაფხულდა, იამ თავი გამოიჩინაო;
იავ ნანა, ვარდოვ ნანა, იავ ნანინაო“.

შინაგანი რითმა, საერთოდ, ვერ გამოვაელინეთ „გიორგი მესამეში“. ახლა კი მოვიხმობთ ჯვარედინ-რითმიან სტროფებს, რომელთა რიცხვი ცოტა ჩანს დრამაში:

„ამისთვის იყო, აგრე მწვრთნიდი, ჩემო ოსტატო?

[1] აკ. გაწერელია, რჩეულ ნაწერები, III (1), გვ. 165.

გულს შთამინერგე სხვა გრძნობათა მე ნეტარება.
ახლა კი ცდილობ, სოფლის გეგმა მე დამიხატო
და ამაშიაც გინდა ჩემი გაკითარება“;
„კაცთ კანონები და ბუნების ერთი არ არის,
გაუჩენიხართ თქვენ უფალსა უცხო გუნებით,
მაგრამ თქვენა ხართ შთაგონებით დიდისა გვარის
და ვერ დაარღვევთ, რაცა ქმნილა ცხოვრების ნებით“.

რითმის ევფონია. ევფონია არის მოძღვრება ლექსითი მეტყველების ბგერითი შედგენილობის შესახებ. ევფონიის მხრივ ქართულ კლასიკურ ლექსში ცნობილია შემდეგი რითმები: ზუსტი, ღრმა, მდიდარი, ღარიბი, ნაკლული, ღია, დახურული. ვნახოთ, ამ მხრივ, რა ვითარება გვაქვს „გიორგი მესამეში“.

ა) ზუსტი რითმა. გამეორებულია კლაუზულის (სალექსო ტაეპის ბოლო მარცვალთა ჯგუფი) ყველა ბგერა უცვლელად. ვდებიან: შეაკვდებიან, მიხვდებიან (ვ-დ-ე-ბ-ი-ა-ნ); კრებულსა: ბედკრულსა, ხელფეხშეკრულსა (კ-რ-უ-ლ-ს-ა); იანი: გონებიანი, ადამიანი (ი-ა-ნ-ი); ულება: შეძულება, განკარგულება (უ-ლ-ე-ბ-ა); არება: ნეტარება, განვითარება (ა-რ-ე-ბ-ა) და ა.შ.

ბ) მდიდარი რითმა. მდიდარ რითმაში კლაუზულის ყველა ბგერასთან ერთად მეტრული მახვილის მქონე ხმოვნის წინა, საბჯენი თანხმოვანიც (ზოგჯერ თანხმოვნებიც) განმეორებულია (აკ. გაწერელია).

ქებისა, შვებისა, ნებისა, გონებისა. აქ რითმაში საბჯენი თანხმოვანი ბგერაა — „ბ“.

ნანინაო, ეფინაო, გამოიჩინაო, კონაო, კოცნაო, ჩაებინაო — აქ „ნ“.

წესია, უარესია — აქ „ს“.

კარგია, შმაგია — აქ „გ“.

წყალობა, ორგულობა — აქ „ლ“.

მიყონ, გაიყონ — აქ „ყ“.

გ) ღარიბი რითმები. „გიორგი მესამე“ ღარიბი რითმით საკმაოდ მდიდარია.

სიბერის-ივერის; ცოდვანი-მოქმედებანი; მოხუცება-იწვება; დასვენება-დარჩება; უღელსა-სახელსა; ქებული-ასული; მამა-ყმა; საუ-

ბარი-მაგარი; ყოველსა-საცნობელსა; განხეთქილება-კირთება; სნეული-ამაღლებული; დავაყარო-მოვიგვარო; ფათერაკი-ეშმაკი; ღირსებია-გზებია; დარჩება-დაადგება; ყოველგვარი-შესაზარი; მოესწრები-ეჩქარები; ამბავი-თავი; ნებისა-მეფისა და ა.შ.

დ) ნაკლული ანუ არაზუსტი რითმა. იგი ხასიათდება კლაუზულის მარცვლებში რომელიმე ბგერის ნაკლებობით. ოსტატო-დამიხატო; გავიგონეთ-დავემონეთ; გამოვიკვლიოთ-დავიხვიოთ; ბატონო-უპატრონო; აღსრულებასა-სახარებასა; მომკვეთოს-სამეფოს; გამიმწარებ-გააგონებ; დამიჯერეთ-დაემონეთ; კირთება-დიდება; მოვალეობა-მჭმუნვარება; მელანდება-წარმომიდგება; ბეჭედიო-ნაბედიო და სხვ.

ე) ღია რითმები. გვაქვს შემდეგი ხმოვნებით დასრულებული რითმები.

„ა". დროსა-დროშა; ქებისა-შვებისა; მოხუცება-იწვება; ყოველსა-საცნობელსა; წუხდა-დუღდა; გამეგება-ქება; მტრისა-სპისა; მამისა-ჟამისა; ნებისა-მეფისა; ნებასა-ოცნებასა; ვარსკვლავიანსა-ტყიანსა; დიდება-კირთება; სადა-ვადა; ავსა-საფლავსა; გაჭენება-დასჭირდება; შენა-ენა; დანა-განა...

„ე". მთვარე-მხარე; სამხრე-საფრთხე; დააგდე-გაანდე; მოღალატე-დავიხატე; იცოდე-გაბედე; მავნე-გავაგზავნე;

„ი". ნემანი-მოქმედებანი; ძენი-ბრძენი; ასული-სრული; თხრობილი-მკობილი; ფარი-მედგარი; სვიანი-ულუმპიანი; ძველნი-მჭამელნი; სულნი-წასულნი; ეშმაკი-ფათერაკი; ომი-ლომი; ცვარი-შევხარი; ძლეული-კურთხეული; მსახური-შური; სევდიანი-ადამიანი.

„ო". ბატონო-უპატრონო; უხმო-საგულისხმო; ოსტატო-დამიხატო; ნანინაო-ეფინაო-გამოაჩინაო-კონაო-კოცნაო-ჩაებინაო; ბეჭედიო-ნაბედიო; გამყიდველო-გველო; დრო-ვიკადრო; საადვილო-ბატონიშვილო;

„ია". წესია-უარესია; ღირსებია-გზებია; წაუხდენია-შენია; არაფერია-სულიერია-ერია; კარგია-შმაგია; ყმაწვილია-შვილია; უტიფარია-ფარია-სიზმარია-ქარია-ჯვარია-სახმარია-საპოვარია-ნაოხარია-მდიდარია-საქებარია-ჯარია-გასახარია-საოცარია-მკვდარია-პირმოცინარია-საზიზღარია; ასაყვანია-ხანია.

ვ) დახურული ანუ თანხმოვნებით დაბოლოებული რითმები

„ბ". გამიმწარებ-გააგონებ;

„დ". სრულად-მოხარულად; ავად-დაუფარავად; კადნიერად-ბედნი-

ერად; დაღონებულად-სრულად; ფერად-სიმღერად.

„თ“. გაიგონეთ-დავიმონეთ; შევთანხმდებით-შევებით; დამათმენინეთ-დამაყრევინეთ;

„ნ“. შეაკვდებიან-მიხვდებიან-ემონებიან; ხელმწიფისაგან-ქონებისაგან; ისხდენ-სჯიდენ; გღალატობენ-გმობენ; მიყონ-გაიყონ; შეაჩერონ-მომგვარონ.

„ს“. ჩვენის-შეშვენის; სიბერის-ივერის; სწყალობს-გალობს; არის-გვარის; მოვალეობას-მძლეობას; ნახვის-მეზრახვის.

რითმის მორფოლოგია.

არსებითი სახელები ძირისეული სახითაა რითმად გამოყენებული. გარკვეული წილი რითმებისა მოდის **სახელობით ბრუნვაზე** პროსოდიული ხმოვნის (ა) დართვითაც. გავეცნოთ სთანადო ნიმუშებს ორივე რიცხვში (მხოლობითი და მრავლობითი).

მთვარე-მხარე; ფათერაკი-ეშმაკი; ტომი-ომი-ლომი; თავი-ამბავი; ბრალი-თვალი-ქალი; ბედი-იმედი; მსახური-შური; ფარია-სიზმარია-ქარია-ჯვარია-ჯარია;

მიცემით ბრუნვაში (პროსოდიული ა ხმოვნის თანდართვით):

სამყაროსა-დროსა; ოცნებასა-ნებასა;

ნათესაობით ბრუნვში (პროსოდიული ა ხმოვნის დართვით):

ქებისა-შვებისა, სიბერის-ივერის; მამისა-ჯამისა; ნებისა-მეფისა; გულისა-უფლისწულისა.

ვითარებით ბრუნვაში:

ფერად-სიმღერად;

წოდებით ბრუნვაში (პროსოდიული ო ხმოვნის დართვით):

მეუფეო-ძეო; ნანინაო-კონაო-კოცნაო.

თ ნდებულიანი რითმები.

გულში-ასულში: გულზე-შუბლზე; საქმეში-სიცოცხლეში;

ზმნური რითმები.

გავიგონეთ-დავემონეთ; შეაკვდებიან-მიხვდებიან-ემონებიან; წუხდა-დუღდა; სწყალობს-გალობს; დავაყარო-მოვაგვარო; დარჩება-დადგება; მოესწრები-ეჩქარები; ისხდენ-სჯიდენ; ეფინაო-გამოიჩინაო-ჩაებინაო; დავშთები-წავწყდები; დააგდე-გაანდე; გღალატობენ-გმობენ; შემეცოდოს-დამედოს; მიყონ-გაიყონ; შეგაგონა-დაგიმონა; შეეხოს-წამეღოს;

სწეროს-დამაჯეროს; დამათმენინეთ-დამაყრევინეთ.

სახელისა და ზმნის კომბინაცია.

დრო-ვიკადრო; მოძღვარი-არი; ცვარი-შეევსარი; ფიცი-ვიცი; კონაო-ჩაებინაო; სათქმელი-მოველი.

„გიორგი მესამის“ პოეტური ნაწილის რითმების შესწავლამ დაგვანახა, რომ იგი ამ მხრივაც ყურადღების ღირსია. განხილულ იქნა: მაღალი და დაბალი შაირის რითმები: ვაჟური, ქალური, დაქტილური, ზედაქტილური რითმები; რითმის ადგილი ტაეპსა და სტროფში, რითმის ევფონია (ზუსტი, მდიდარი, ღარიბი, ნაკლული, ღია და თანხმოვნით დახურული რითმები); რითმის მორფოლოგია.

შეიძლება დავასკვნათ: „გიორგი მესამე“ გამოირჩევა მძაფრი სიუჟეტური დრამატიზმით. მისი მთავარი თემა არის დავით აღმაშენებლიდან მემკვიდრეობით მიღებული საქართველოს მთლიანობის შენარჩუნება. განმტკიცება, განხეთქილების მსურველთა მიმართ დაუნდობლობის გამოჩენით. თხზულების უმთავრესი პერსონაჟია დემნა ბატონიშვილი, რომელიც გამოირჩევა ეროვნული იდეალებით, ჰუმანიზმით, ქრისტიანული ეთიკით. პიესის დანარჩენი პერსონაჟები იყოფიან ერთიანი საქართველოს მეფის გიორგი მესამის მომხრეებად და მოწინაღმდეგეებად.

პიესა ქრისტიანულ საფუძვლებს ემყარება, რაშიც იკვეთება გიორგი შარვაშიძის დამოკიდებულება ქრისტეს მოძღვრებისადმი, ღრმა ცოდნა ბიბლიისა, შუა საუკუნეების ქართული სიტყვიერი კულტურისა. „ვეფხისტყაოსნის“ და „გიორგი მესამის“ შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ ავტორი ზუსტად იმეორებს თინათინის გამეფების სცენარს თამარის ტახტზე აყვანის სურათის წარმოსახვისას. ამით იმისი მინიშნებაცაა, რომ აფხაზ დრამატურგს თინათინის პიროვნებაში ამოკითხული ჰქონდა თამარის სახე.

„გიორგი მესამე“ დაწერილია მწერლის თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენით, არც თუ იშვიათად ჩანს მიმართება „ქართლის ცხოვრების“ ენასთან, ძველ ქართულ ლექსიკურ ფონდთან. ნაწარმოებს ახასიათებს ძველი ქართული ენით მეტყველების სტილი, შეინიშნება დიალექტისადმი მიდრეკილებაც.

პიესის ფორმა და შინაარსი ერთმანეთს ავსებენ და ამით მკითხველზე წარუხოცელ შთაბეჭდილებას ტოვებენ. მხატვრული სალებავების გამოყენებისას დრამატურგი იჩენს ზომიერებას. ტროპის სახეებიდან განსაკუთრებით გამოყენებულია მხატვრული შედარება, ეპითეტი, მეტაფორა. ნაწარმოებისთვის დამახასიათებელია იგავური თქმანი, გამოცანური შეგონებანი, რომელიც საგულისხმო ფუნქციას ასრულებს. თხზულება საკმაოდ დატვირთულია აფორისტულ-ანდაზური გამოთქმებით.

„გიორგი მესამე“ შეთხზულია ლექსნარევი პროზით. სულ მოიცავს 1560 სტრიქონს, აქედან 540 სალექსო ტაეპზე მოდის. გიორგი შარვაშიძის სახისმეტყველებითი ძალისხმევა სწორედ პიესის პოეტურ მონაკვეთში ვლინდება. გასახაზავია ის გარემოებაც, რომ დრამის კითხვისას პროზიდან პოეზიაში გადასვლას და, პირიქითაც, თხრობის ტემპი განაპირობებს. ეს გადასვლა ერთგვარი „ამოსუნთქვისა“ და „შესვენების“ საშუალებაა, ამიტომაც მკითხველი ნაკლებად იღლება.

პიესაში მოგვეპოვება ორტაეპიანი, სამტაეპიანი, ოთხტაეპიანი, ხუთტაეპიანი, ექვსტაეპიანი სტროფები. სალექსო ტაეპები გაწყობილია სხვადასხვა საზომით, რომელთაგან უფრო პოპულარულია თოთხმეტმარცვლიანი ტაეპი. ამ საზომით წარმოდგენილია 460 ტაეპი (სულ 540 ტაეპიდან). ამასთანავე გვხვდება: ხუთმარცვლიანი, რვამარცვლიანი, ათმარცვლიანი, თხუთმეტმარცვლიანი, თექვსმეტმარცვლიანი ტაეპები.

„გიორგი მესამეში“ გამოვლინებას პოულობს ვაჟური, ქალური, დაქტილური, ზედაქტილური რითმები. პიესისათვის საერთო დამახასიათებელია მხოლოდ გარეგანი რითმები. მცირე გამონაკლისის გარდა, სტროფები დაკომპლექტებულია მოსაზღვრე ანუ პარალელური რითმებით, რაც განპირობებულია ორტაეპიანი სტროფების დომინირებით. ჯვარედინრითმიანი სტროფების რაოდენობა უმნიშვნელოა. შინაგანი რითმა საერთოდ არ დასტურდება. ევფონიის მხრივ ქართულ კლასიკურ ლექსში ცნობილი, რითმის ყველა სახეობა იჩენს თავს (ზუსტი, ღრმა, მდიდარი, ღარიბი, ნაკლული, ღია, დახურული რითმები).

„მომაკვდავნი სურათნი“

როგორც მართებულად შენიშნავს ოთარ ჭურლულია: „მაშინ (იგულისხმება XIX საუკუნის 80-იანი წლები – ტ.მ.) ქართული თეატრის რეპერტუარი ღარიბი იყო და ყოველი ახალი ნაწარმოების გამოჩენა დრამატულ მწერლობაში დიდ მოვლენად ითვლებოდა“.[1] სწორედ ეს იყო მთავარი ფაქტორი გიორგი შარვაშიძის პირველივე პიესის აღიარებისა და პოპულარობისა. ამ პიესას „მომაკვდავნი სურათნი“ ჰქვია. ის ჯერ დაიდგა სცენაზე, შემდეგ კი ცალკე წიგნად გამოქვეყნდა. პირველად თბილისში განხორციელდა მისი დადგმა 11 ნოემბერს 1881 წლისა, ხოლო წიგნად გამოიცა ქუთაისში 1882 წელს. იგი ოთხმოქმედებიანი კომედიაა. დიდი ყოფილა საზოგადოების მხრიდან მისით დაინტერესება. წიგნად გამოცემამდე ხელნაწერებში ეცნობოდნენ. არც ის იყო შემთხვევითი, რომ ამ დრამატული ნაწარმოების შეფასებისას აზრი ორად გაყოფილა. დადებითად შემფასებელთა ერთი ნაწილი, შეიძლება ითქვას, გარკვეულწილად აჭარბებდნენ კიდეც, უარყოფითად შემფასებელთა მცდელობაში სიმართლის მარცვალიც იდო.

ჩვენის აზრით, ეს თხზულება არ ჩანს იმდენად ლიტერატურული დიდი მოვლენა, რომ მკითხველი აღეფრთოვანებინა. მის პოპულარობას უსათუოდ ხელს უწყობდა თვითონ გიორგი შარვაშიძის ავტორიტეტი. ასევე ნებისმიერი პიესის სცენურ ხორცშესხმას მოწყურებული საზოგადოების თეატრალური წყურვილის მოკვლა. უთუოდ გადაჭარბება იყო „მომაკვდავნი სურათნის“ დადგმამდე და გამოცემამდეც კი უჩვეულო ლიტერატურულ ძეგლად შერაცხვა. ცხადია, გაზვიადებად მოჩანს აგრეთვე იონა მეუნარგიას მიერ ამ კომედიის დავით ერისთავის „სამშობლოსთვის“ გვერდში ამოყენება:

„ჩვენ ქართულ ლიტერატურაში თავად დ. ერისთავისაგან გადმოკეთებულ დრამაზე „სამშობლო“ თქვენც გაიგონებდით. ავტორმა წაგვიკითხა ეს პიესა, რომლის მსგავსი ჯერ არ დაწერილა და არ გადმოთარგმნილა რა ჩვენს ენაზე... მეორე ახალი ამბავი ლიტერატურაში, რომელსაც თქვენ ვერ გაიგონებდით, არის თავად გ.მ.

[1] ო. ჭურლულია, შარვაშიძეები, გვ. 70.

შარვაშიძის კომედია „მომაკვდავნი“. ჩვენ თანაძმას კომედიის შინაარსი ჩვენი ცხოვრებიდან აქვს აღებული. ორივე პიესა ამ ზამთარში დაიბეჭდა და წარმოდგენილი იქნება“.[1] აქ ზმნა „დაიბეჭდა“ ნიშნავს არა პუბლიკაციას, სტამბური წესით მის გამოქვეყნებას, არამედ გულისხმობს — „დაიწერა“, ვინაიდან გიორგი შარვაშიძის ეს კომედია სინამდვილეში 1882 წელს დაისტამბა ქუთაისში, როგორც უკვე ზემოთაც მივუთითეთ.

ვემხრობით იმ თვალსაზრისს, რომ „მომაკვდავნი სურათნის“ წარმატება უთუოდ მსახიობების კარგი შესრულებით იყო განპირობებული. პიესაში თამაშობდნენ ქართული სცენის იმჟამინდელი თვალსაჩინო მსახიობები. მართა მაღრაძის როლს განასახიერებდა ნ. გაბუნია-ცაგარელი, სტუდენტ პეტრე ქონიაშვილის როლს ასრულებდა ვ. აბაშიძე, გრიგოლ ბატონიშვილისას — კ. მესხი, ვარდენ ასლანთარელისას კი — ლ. ალექსი-მესხიშვილი.

ოთარ ჭურღულიას „მომაკვდავნი სურათნის“ დადგმა — გამოქვეყნებამდე და სცენური ხორცშესხმის შემდეგ პრესაში (გაზ. „დროება“ №236, 1881) მოთავსებული გამოხმაურებანის ნაწყვეტები ამოუკრებია, რათა მკითხველს ნათელი წარმოდგენა შექმნოდა მაშინდელი ქართული საზოგადოების დამოკიდებულებაზე ამ კომედიის მიმართ.[2] ყურადღებას იქცევს მიხეილ ბებუთოვის (ფსევდონიმი — „ემბე“) სტატია, სადაც ერთგან წერს: „თუმცა გ. შარვაშიძის პიესა ჩვენ ხელთნაწერებში წავიკითხეთ და ამის მხოლოდ ერთი რეპეტიცია ვნახეთ, მაგრამ ახლავე შეგვიძლია სიამოვნება ვუწინასწარმეტყველოთ მის მომავალ მაყურებელს“. რეცენზიის ავტორი ყურადღებას ამახვილებს კომედიის სათაურის ქვეშ ავტორის მინაწერზე — „მიბაძვა“, მითითებაზე ფრანგული ენიდან მისი გადმოკეთების შესახებ და იქვე განაგრძობს: „მაგრამ ისე შეუხამებია მთარგმნელს სიტუაციები ქართული სინამდვილისათვის, ისეთი კოლორიტული ეროვნული სახეები შეუქმნია, რომ მხოლოდ სათაურის მიბაძვააო უნდა დავუჯეროთ, თორემ არც ერთი აქ გამოყვანილი პირი ჩვენ უცხო პირად არ გვეჩვენება,

[1] გაზ. „შრომა“, №1, 1881.

[2] ო. ჭურღულიას დასახ. წიგნი, გვ. 71-74.

ყველა ჩვენი ტიპები არიან“.

როგორც აღინიშნა, „მომაკვდავნი სურათნი“ პირველად წარმოდგენილ იქნა თბილისის სცენაზე 1881 წლის 11 ნოემბერს, რომელსაც იმთავითვე პრესაში მოჰყვა დადებითი შეფასებანი. გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებული უცნობი ავტორის რეცენზიაში ნათქვამია: „წარმოდგენამ დაამტკიცა სრული სიმართლე იმ შენიშვნისა, რომელიც კომედიის ავტორის შესახებ იყო ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი. კითხვის დროს თუ კომედია ხელოვნურად, სცენურად დაწერილი მოჩანდა, სცენაზე ეს ხელოვნება და სცენის ცოდნა ავტორისაგან ერთი ორად უფრო აშკარად და ცხადად გამოჩნდა“.[1]

ზემოთ ზოგადად შევნიშნეთ პიესის უარყოფით შემფასებელთა შესახებაც. ასეთი გახლდათ გ. თუმანიშვილი: „თვით პიესაზე აქ ჩვენ ბევრს ვერას ვიტყვით, რადგან ის ახალს არ წარმოადგენს ქართულს რეპერტუარში. ეს არ არის ხასიათების დამცველი და ყოველმხრივ გამომხატავი კომედია (როგორც გვარწმუნებს „დროებაში“ რეცენზენტი „ემბე“). რადგან არამცთუ მეორე მოქმედი პირების, თვით უმთავრესი პირის გრიგოლ ბატონიშვილის ხასიათიც კი ვერ გაგვიგია და მას გარდა ვერც ის შევნიშნეთ, რა თვალით უყურებს ავტორი ჩვენს ცხოვრებას“.[2] ახლა მოვუსმინოთ თვალსაჩინო მსახიობს, მწერალს და საზოგადო მოღვაწეს ვალერიან გუნიას: „ავტორს (იგულისხმება გ. შარვაშიძე — ტ. მ.) აშკარად ემჩნევა ცხოვრების დაკვირვება, სცენის ცოდნა და ნახულ-გაგონილის შემუშავება, ეს კარგი ღირსებაა მწერლისათვის“.[3]

გაზეთი „დროება“ მიესალმა კომედიის ცალკე წიგნად გამოცემას: „ჩვენ მივიღეთ ქუთაისში გამოცემული ილ. ჭყონიასაგან თ-ის გიორგი შარვაშიძის კომედია „მომაკვდავნი სურათნი“, ესე სუფთად და ლაზათიანად გამოცემული წიგნი ძვირად გვინახავს ჩვენს მწიგნობრობაში და ვურჩევდით სხვა ჩვენს გამომცემელთაც ნიმუშად აიღონ

[1] გაზ. „დროება“, №23.6, 1881.

[2] გაზ. „ივერია“, №11, 1881.

[3] ვ. გუნია, ქართული თეატრი, თბ., 1898, შდრ. ო.ჭურლულია, შარვაშიძეები, გვ. 75.

ეს წიგნი".[1] ასე რომ, პიესის ცალკე წიგნად გამოცემა და მანამდე კი მისი დადგმა ქართულ სცენაზე წინ გადადგმულ ნაბიჯად შეფასდა. თუმცა ამ კომედიის გამოცხადება მაღალმხატვრულ ძეგლად უფრო ეიფორიაში მყოფი რეცენზენტების განცდების გამომხატველია, ვიდრე სრული ჭეშმარიტება. მიგვაჩნია, რომ უგერგილო ცხოვრების და სინამდვილის შემყურე გიორგი შარვაშიძემ შეძლო მაშინ ქართული საზოგადოების საღად მოაზროვნე ნაწილის სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილება, რაც თავისთავად იყო წარმატების საწინდარი. ეს გახლდათ დრამატურგის მხრიდან ცხოვრების უარყოფითი მხარეების სამზეოზე გამოტანა ხელოვნების საშუალებით და შესანიშნავ მსახიობთა თამაშით.

გიორგი შარვაშიძის ცხოვრებისა და შემოქმედების პირველი და განუმეორებელი მკვლევარი აკად. სიმონ ჯანაშია ამ პიესასთან დაკავშირებით წერდა: „აქ უმანკო და მშვენიერი" სალომე და „კეთილშობილი მთის კაცი" ასლანთარელი, დაპირისპირებული არიან უსაქმური, მორალურ სიმტკიცეს მოკლებული არისტოკრატებისა და ყბედი ცრუ — ინტელიგენტებისათვის, მაგრამ თავისი მხატვრული მეთოდის თანახმად, გიორგი შარვაშიძე გულმოდგინედ ეძებს „კაცობრივი გრძნობისა" და პატიოსნების ნაშთს ამ მიჯნის მიღმა მდებარე ბანაკშიაც... მიუხედავად პერსონალური, დიდი თუ მცირე მეტამორფოზებისა, მკითხველს (თუ მაყურებელს) არ შეიძლება რწმენა არ დარჩეს, რომ ამ სამყაროს ისტორიული განაჩენი მაინც გამოტანილია და დღეს თუ არა ხვალ ეს „მომაკვდავი" საზოგადოება სხვა სოციალურმა ურთიერთობამ უნდა შეცვალოს".[2]

ავთანდილ ნიკოლეიშვილი ზემოთ არაერთხელ დასახელებულ ნარკვევში — „გიორგი შარვაშიძე — საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლი აფხაზი მწერალი" — მოკლედ, მაგრამ საინტერესოდ და ამომწურავად მსჯელობს „მომაკვდავნი სურათნის" გარშემო. თავდაპირველად შენიშნავს, რომ თავისი მხატვრული დონითაც და პრობლემატიკითაც ნაწარმოები ბევრად ჩამოუვარდება „გიორგი მესამეს".

---

[1] გაზ. „დროება", №73, 1883.

[2] ს. ჯანაშია, გიორგი შარვაშიძე (კულტურულ-ისტორიული ნარკვევი), წიგნში: გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გე. 77.

მკვლევარი წერს: „ესაა (იგულისხმება „მომაკვდავნი სურათნი“ – ტ. მ.) სანტიმენტალური გულუბრყვილობით მოთხრობილი ყოველდღიური ამბები, რომელნიც მწერლის დროინდელი პროვინციული სამაზრო ქალაქის წარჩინებულ პირთ გადახდებათ თავს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ამბავთა თხრობისას წინააღმდეგობანი ხელოვნურადაა გართულებული და მიამიტურად დახლართულია, მკითხველს მაინც ექმნება გარკვეული წარმოდგენა მოქმედი პირების ადამიანურ მისწრაფებებზე“.[1]

სავსებით ვეთანხმებით ავთანდილ ნიკოლეიშვილის თვალსაზრისს: „მიუხედავად იმისა, რომ ავტორმა სცადა ზნეობა-გამოფიტულ ადამიანთათვის სულიერად ამაღლებული პიროვნებანი (სალომე და ასლანთარელი) დაეპირისპირებინა, ეს დაპირისპირება, სამწუხაროდ, ზედაპირულობისა და სქემატურობის ფარგლებს მაინც ვერ გასცდა“.[2] მკვლევრის სწორი შენიშვნით, სულიერად გამოფიტული ადამიანების ცხოვრების გადმოცემით გიორგი შარვაშიძე გამოხატავს მკვეთრ შინაგან პროტესტს ამგვარი ყოფის მიმართ ზნეობრივი სისუფთავისა და პატიოსნების გრძნობის გამყარების ხარჯზე.

შედარებით ვრცლად მსჯელობს ელგუჯა თაბერიძე საანალიზო კომედიაზე. მკვლევარს ამთავითვე ვეთანხმებით ერთ რამეში: „მომაკვდავნი“ ძირითადად სცენური ეფექტებითა და ლექსიკური კომბინაციებით აღწევს საწადელს... ამ პიესას მართლაც აკლია სიმკვეთრე, უფრო სწორად, მამხილებელი ტონი ხშირად რბილია, მეტად შთამბეჭდავი უნდა ყოფილიყო სალომე და ასლანთარელი“.[3] მკვლევარს შთამბეჭდავი ანალიზი აქვს მოცემული პიესისა, მართალია, შეკუმშულად, კომპაქტურად, მაგრამ თითქმის ამომწურავად სცემს პასუხს თხზულების პრობლემატიკას. იგი ეხება პერსონაჟთა განსხვავებულ ხასიათს, სოფლისა და ქალაქის დაპირისპირების თემას, მწერლის მიერ თანადროული საზოგადოების მახინჯ მხარეთა მხილებას, განსაკუთრებით სამ პერსონაჟზე შეაჩერებს ჩვენს ყურადღებას. ესენი

[1] ა. ნიკოლეიშვილი, გიორგი შარვაშიძე, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლი აფხაზი მწერალი, წიგნში: გ. შარვაშიძე, თხზ., II, თბ., 2006, გვ. 154-155.
[2] იქვე. გვ 155.
[3] ელ. თაბერიძე, უბედო მამულის ყმა, წიგნში: გ. შარვაშიძე. თხზ., II, გვ. 232.

არიან: გრიგოლ ბატონიშვილი, სტუდენტი პეტრე ქონიაშვილი და მართა მაღლაძე.

სწორად შეუნიშნავს ელგუჯა თაბერიძეს: გრიგოლ ბატონიშვილი არის ის პიროვნება, რომელიც ჩაწვდა თავის უაზრო მდგომარეობას, ხოლო მართა კი „ახალი დროის" შესაფერად ფიქრობს და მოქმედებს, ყველაფერზე მიდის მიზნის მისაღწევად; ქონიაშვილის მეტყველების სტილი (რუსულ-ქართული „უბნობა") დამღუპველ გატაცებად ესახება ერისათვის, რომ „იგი კლავდა და სპობდა იმ ფესვს, რომელზეც მომავალი თაობა უნდა აღზრდილიყო". ბოლოს ნაშრომის ავტორი ასკვნის, რომ „მომაკვდავნი სურათნი", „გიორგი მესამეზე" არანაკლებ საინტერესო დრამატული თხზულება მგონიაო. ელგუჯა თაბერიძე დასასრულ ცალკე ადგილს უთმობს პიესის პირველი დადგმის პერიოდის პრესაში მოთავსებულ რეცენზიების მოკლე მიმოხილვას, რაც, სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად მოგვცა ოთარ ჭურღულიამ, როგორც ზემოთ მოკლედ შევეხეთ.

კონსტანტინე გამსახურდია იტყოდა: „სათაურია პირველი დვრიტა". თხზულების სათაურის შერჩევას დიდოსტატობა უნდა. გიორგი შარვაშიძეს თავისი პიესისათვის მოხდენილად შეურქმევია „მომაკვდავნი სურათნი", როგორც ჯერ კიდევ სიმონ ჯანაშიამ შენიშნა: „კომედიის სახელწოდებაშიეა უკვე გამოთქმული ავტორის ლიტერატურული განზრახვა: უჩვენოს ქართული პროვინციის დაქვეითებული საზოგადოებრივი ჯგუფების მომაკვდავი სახეები მთის საუკუნეებით „გამაგრებულ რწმუნებათა და სასოების", სულიერი სიმაღლის ფონზე".

„მომაკვდავნი სურათნი" პროზული ფორმით დაწერილი დრამატული ნაწარმოებია, შედგება ოთხი მოქმედებისაგან და 32 „გამოსვლისაგან". ვიდრე კომედიის ცალკეულ საკითხებს შევეხებოდეთ, გვსურს, მოკლედ გადმოვცეთ მისი შინაარსი. მოქმედება ხდება XIX საუკუნის 80-იანი წლების დამდეგის ერთ-ერთი მაზრის ქალაქში.

თავდაპირველად ავტორი გვაცნობს ქუჩაზე გადმომდგარ „ბალჩიან ჩალდაყს" ლუარსამიძის ერთსართულიანი სახლისა. ჩალდაყზე იმყოფებიან გრიგოლი, ლუარსამიძე და პეტრე ქონიაშვილი. გრიგოლ ბატონიშვილი და ნიკოლოზ ლუარსამიძე, როგორც მეგობრები, ჭადრაკს

თამაშობენ. ნიკოლოზ ლუარსამიძე მაზრის უფროსია, გაელენიანი, კარგი შესახედაობის, დარბაისელი, 40 წლის ასაკშია. ლუარსამიძემ მოუგო. მათთან იმყოფებოდა სტუდენტი ქონიაშვილი და თამაშს არ-ჩევდა ისიც. გრიგოლს სადღაც ეჩქარება, ლუარსამიძე თხოვს ცოტა ხნით დარჩენას და თან დააყოლებს: „ღამე საქმე ვინ გაიგონა, თუ რომ სიყვარულის საქმე არ არის?!“ გრიგოლი ბაქიბუქობს: „ახლა კი მართლაც დამიკვეხნია, დამენაძლავე, რაზედაც გინდა და მათითე, ვინც ქალი გნებავდეს, ორი დღის ვადა მომეცი, რომ ჩემი თავი შევაყ-ვარო!“ დანაძლევდნენ.

ამ დროს ქუჩაზე გამოჩნდნენ ნელა მოსეირნე მართა მაღლაძე და სალომე დევდარიანი. გრიგოლმა მართა იცნო, „მზეთუნახავი მშვე-ნიერება“ სალომე-ვერა. ლუარსამიძემ გააცნო მეგობარს მისი ვინაობა: სალომე უმანკო ქალია, მთიდან ჩამოვიდა, რათა ორი წლის მან-ძილზე ცისში მყოფ მამას უშველოს. გრიგოლ ბატონიშვილი, ნიკოლოზ ლუარსამიძე და ქონიაშვილი ჩალდაყიდან ჩამოდიან მართას და სალომეს შესაგებებლად. მართამ გრიგოლს გააცნო სალომე და იმთავითვე ბატონიშვილს სთხოვა საქმეში დახმარება. გრიგოლი მიხ-ვდა, რომ მას სურს ეუშუამდგომლო გუბერნატორთან სალომეს მამის გამოსახსნელადო.

მართას მეშვეობით გრიგოლი გაიცნობს ვარდენ ასლანთარელს, რომელიც სვანეთიდან ჩამოსულა სალომესთან ერთად. იგი სხვათა ნათქვამის საფუძველზე მართას სალომეს საქმროდ მიუჩნევია. ამის შემდეგ ბატონიშვილი სასაუბროდ ცალკე გაიხმობს მართას, ეს უკა-ნასკნელი გრიგოლს, როგორც ძმას და მეგობარს, გაანდობს საიდ-უმლოს, რომ ის შეყვარებულია ლუარსამიძეზე: „მე არ ვიყო ღირსი მისი ცოლობისა იმისათვის, რომ მე ის შემიყვარდა და შევსცდი... მე მიუხედავად დიდის ჩემის უპირატესობისა, გვაროვნებითა და მდგო-მარეობითაც, შევიყვარე ჩემზე უმცირესი კაცი!“ გრიგოლმა გაუმხილა, თითქოს ლუარსამიძეს შეატყო, „უარზედ არ იყო მიმართული“. შემ-დეგ გაანდო ლუარსამიძესთან მისი დანაძლავების შესახებ. „პირობა მომცაო, შეასრულოს, რაც მოვსთხოვო? თუ ნაძლევის მოგებაში მართა დაესმარება ბატონიშვილს, მზად არის მართას სამიჯნურო

ურთიერთობა ლუარსამიძესთან მოაგვაროს. ამასთანავე, გაანდო მას დანაძლევების შინაარსი: ხვალინდელ ღამეს მე გავატარებ შენს მშვენიერ სალომესთან". თანაც ცბიერად ეუბნება, რომ სალომეს სიყვარულით არ კვდება, ვინაიდან ახალგაცნობილი ჰყავს. მთავარია მისთვის ნაძლევი მოიგოს და თითქოს ამ ყველაფერს მართას სასარგებლოდ აკეთებს. ამ საუბარში ისინი დაშორდებიან ერთმანეთს. მართას შემოუერთდებიან სალომე და ასლანთარელი. ეს უკანასკნელი მართას მოახსენებს, რომ სალომეს საქმეზე სურს ლუარსამიძესთან მოლაპარაკება. მართამ დააიმედა იგი, „ლუარსამიძე დიდი თანამგრძნობია ჩვენი თუკი რამე გაუვიდა". „უცნობ ხალხში" მოხვედრილი სალომე მართას იმედითაა დატუსაღებული მოხუცი მამის გადასარჩენად.

მართა ლუარსამიძეს თხოვს დახმარებას, რათა სალომეს ფიზიკურად აჩვენონ ციხეში მყოფი მამა, ოღონდ ყველაფერი ღამით უნდა მოხდეს, რადგან კანონის თანახმად, ეს დღისით შეუძლებელია. ლუარსამიძის ძმა ციხის ზედამხედველია, რომელსაც უნდა მისწეროს წერილი ამ საქმის მოსაგვარებლად. ცოტა ჭოჭმანის შემდეგ იგი მართას დათანხმდება. ამით მთავრდება კომედიის პირველი მოქმედება. მეორე მოქმედების პირველი „გამოსვლა" იწყება მართასა და ვარდისახარის (დედა-შვილი) დიალოგით. დედა არწმუნებს შვილს, რომ გრიგოლ ბატონიშვილი მასზე შეყვარებულია. ვარდისახარიც უმოწმებს, რომ თვითონაც გრძნობს ამას. მართამ ვარდისახარს მისივე კარნახით ბარათი დააწერინა: „ბატონისშვილო გრიგოლ! თქვენი სურვილი ვსცანი, და თუმცა მე დღემდე ასე იაფად არ მიმაჩნდა ჩემი თავი, რომელსაც არ მეგონა თუ ასე ადვილად შევსწირავდი რასმეს, მაგრამ... რა გაეწყობა... ადამიანი თავის ბედის პატრონი არ არის!.. მე ყოველისფრად მზად ვარ, რასაც მართა მიბრძანებს".

მართამ წერილი გამოართვა და „რჩევა-დარიგება" მისცა ვარდისახარს. მიუთითებს ამაღამ იმ ოთახში დარჩენაზე, სადაც სალომე ჰყავდა სტუმრად, რადგან ის მეგობარი ქალის სანახავად მიდისო. ამ ოთახში კი მივაო ვისაც მოელი (იგულისხმება გრიგოლ ბატონიშვილი), თანაც ურჩევს, როგორ დახვდეს მას. ამის შემდეგ მართა სალომეს დააწერინებს ბარათს გრიგოლთან: „მე მომანდევი შენს მაგიერ მასთან ღაპა-

რაკი“. ამასობაში მასთან მოსულ გრიგოლს გადასცემს ვარდისახარის წერილს, თანაც შეახსენებს მოცემულ პირობას სალომეს დახმარების თაობაზე, რაზედაც იგი დადებით პასუხს აძლევს.

მართა გრიგოლ ბატონიშვილს თხოვნით მიმართავს: „ერთი... უბრალო... პატარა ბარათი, რომელშიაც თქვენს მოგებულს ნაძლევს მოსთხოვთ წამგებს და რადგან ასე მალე ვერ მოგართვეს... მოსთხოვთ მას ამავე წერილში, რომ ხვალ საღამოს, აქ ჩემსას, რამდენიმე მეგობართ ყრილობის შუა დასდვას პირობა (საუბარია ლუარსამიძეზე – ტ. მ.), დამნიშნოს და დასდვას დრო, როდის დაიწერს ჩემზე ჯვარს“. გრიგოლსა და სალომეს შორის გამართულ საუბარში ბატონიშვილი გამოკითხავს, თუ რის თაობაზეა მამამისი დაჭერილი. როცა ამისი მიზეზები გაირკვევა, დაპირდა სალომეს გუბერნატორის სახელზე არზის დაწერას.

მართა დაარიგებს სალომეს თუ ღამით როგორ მოინახულოს მამა. შალ-მოფარებული საიდუმლოდ უნდა გავიდეს მართას სახლიდან, რომელსაც გვერდით ეყოლება სანდო ბიჭი, ციხის ზედამხედველის კარებთან მიმყვანი, ქაღალდი უნდა შეუგზავნოს უფროსს, რომლის საშუალებით ნახავს მამას. გახარებული სალომეს სიხარულის ბალახს ხელის ერთი მოსმით გათიბავს ვარდენ ასლანთარელი. შეხვედრისას გულწრფელად გაუმხელს გულისნადებს და ურჩევს, მასთან ერთად სასწრაფოდ დატოვოს აქაურობა, ვინაიდან ქალაქის საზოგადოებას შეატყო სიცრუე, ორპირობა, უსამართლობა. გრიგოლ ბატონიშვილზე კი, რომლის იმედითაა სალომე ტუსაღი მამის საქმის მოსაგვარებლად, უთხრა, რომ ბილწი და გარყვნილი კაცია, ხალხში სახელგატეხილია. სალომე ეხვეწება ორი დღით მოთმენას: „გრიგოლ ბატონიშვილი არზის დაწერას დამპირდა ღუბერნატორთან და ამ არზის პასუხს მაინც გამოიტანს, გინდ სიტყვიერად“...

სალომე და მანუჩარი შუაღამეში ციხისკენ მიეშურებიან, მანუჩარს თან აქვს ლამპა. ამასობაში მთვრალ გრიგოლ ბატონიშვილს მართა სალომეს ოთახში შეაგდებს, „როცა გამოსვლის დრო იქნება მე მოვარაკუნებო კარებზედ“. ამით სრულდება პიესის მეორე მოქმედება მეთორმეტე გამოსვლით“. იწყება მესამე მოქმედება. ლამპებით გან-

ათებულ სასტუმროს ოთახში იმყოფებიან სტუმრები ქალის და კაცის სახით. ქონიაშვილი ერთ სტუმარს ნარდს ეთამაშება. აქვე არიან: მართა, ლუარსამიძე და გრიგოლ ბატონიშვილი. ლუარსამიძე ამბობს დამაფიქრებელ სიტყვას: „მარა სწორედ ურიგოდ გამოვიდა!.. როგორ შეიძლება გალანძღო პატიოსანი ქალი... მთელი ქალაქი დღეს ამ ამბავშია!..“ მართა პასუხობს: „მხოლოდ ერთი საქმე მაკვირვებს!.. რა რიგად შემოძვრა ეს შეჩვენებული, რომ ერთი ხმაც არ გამიგონია!..“ საუბარში ჩაერია გრიგოლი, რომელსაც მომხდარზე სინდისი არ აწუხებს. ეს ყველაფერი იმ „ოხერ წერილს“ დააბრალა, თორემ არავინ არაფერს გაიგებდაო. ამ დროს მათთან გაჩნდება ასლანთარელი და მონარდეებთან მიდის. შემდეგ მართას გაიხმობს განზე. ქონიაშვილი კი ლუარსამიძეს უყვება ასლანთარელზე, რომელმაც უჩვენა თურმე წინაღამეს რაღაც ქაღალდი „ზაპისკა გრიგოლისაგან თქვენთან მიწერილი რომაა, აი, მე სალომესთანა ვარო და ნაძლევი მომიგიაო!“ ლუარსამიძესთან ქონიაშვილი აქ საუბარში იყო, როცა აქ შემოვიდნენ ასლანთარელი, მართა და სალომე. ეს უკანასკნელი ფერმიხდილად გამოიყურებოდა. ლუარსამიძე და ქონიაშვილი მართას თხოვნით ოთახს ტოვებენ. სამნი დარჩნენ მარტო ერთმანეთის პირისპირ. ასლანთარელი მართას უყვება იმ მიზეზებზე, რის გამოც არის გაბრაზებული და რატომ ააცრემლა სალომე, ითუთხრობს სალომეს უბიწოებისა და პატიოსნების შელახვაზე, რაც მთელ ქალაქსაა მოდებული, ეჭვობს, რომ სალომე შეთრეულია რაღაც სატანურ საიდუმლოში. ამოიღებს ჯიბიდან გრიგოლ ბატონიშვილის მიერ დაწერილ ქაღალდს და გადასცემს მართას. ეს უკანასკნელი არწმუნებს ასლანთარელს, რომ ეს წერილი გრიგოლმა მისწერა ლუარსამიძეს, რომ რამე ეჭვი არ შესვლოდა გულში, ხოლო აქ სალომეს სახელი საშუალებად იყო ნახმარი. გამოსაცდელად ასლანთარელი დაიმალება ფარდის უკან, რათა მოისმინოს სალომესა და გრიგოლს შორის გამართული საუბარი.

გრიგოლი სალომესთან ერთად მოსული იყო ქალის აქ დაბარების შედეგად. სალომე ეკითხება ბატონიშვილს თუ რა სინდისმა უკარნახა ამ წერილის შეთხზვა. არ უარყოფს, რომ ბარათი მისი დაწერილია ამავე ოთახში, სადაც ისინი იმყოფებოდნენ. სალომემ მკაცრად

მოსთხოვა პასუხი, თუ წუხელ აქ ვისთან იყო. გრიგოლმა იცრუა და პირში მიახალა – თქვენთან ვიყავიო. ქალმა ბარათი ბატონიშვილს ცხვირ-პირში ესროლა. უკვე ასლანთარელიც ჩაერთო კამათში. მათ შემოერთებული ლუარსამიძის გასაგონად იტყვის მთის კაცი: „ბატონიშვილსა და ჩემს შუა აღარასფერი რჩება, სისხლის გარდა!“ ასლანთარელს აწუხებს ის ფაქტი, რომ სალომეს სახელი „ქუჩებში და ლაფში ისვრება“. ასლანთარელი და გრიგოლი სამკვდრო-სასიცოცხლოდ არიან ერთმანეთს დაპირისპირებულნი, ლუარსამიძე ცდილობს მათ დამშვიდებას და ვითარების განმუხტვას.

ასლანთარელმა გრიგოლს თავისი მოსაზრება გააცნო: „ავყაროთ კამათლები... და ვისაც ნაკლები მოუვიდეს, თავისი ხელით დამბაჩა იკრას შუბლში“. გააგორებენ კამათლებს, ასლანთარელი წააგებს, დაპირდება გრიგოლს, რომ მეორე დილით, 11 საათამდის განაჩენს აღასრულებდა, როცა მან დატოვა ბატონიშვილი, ეს უკანასკნელი განსჯის მომხდარს, თვითონვე ამხელს სიავკაცეში საკუთარ თავს: „რასთვის, ღმერთო, უნდა მოიკლას თავი ერთმა უკეთესმა, პატიოსნებით აღსავსე ჩვენებურმა ყმაწვილმა!.. ჩემის ბოროტებით და ჩემის სიავკაცობით!.. არ შეიძლება ეგ მოხდეს!..“ მისი ხსნის ძიებას შეუდგა, რათა გადაარჩინოს ძაღლურ სიკვდილს ასლანთარელი. მართას დაეკითხება ჭკუას და დახმარებას სთხოვს. მართამ გაუმხილა, რომ წუხელ ღამით გრიგოლ ბატონიშვილი სალომესთან კი არ იყო ამ ოთახში, არამედ ვარდისახართან. გრიგოლმა მანამდე კი ქონიაშვილი დაადევნა მთის კაცს მოსაბრუნებლად, თუმცა ამაოდ. ამით მთავრდება პიესის მესამე მოქმედება.

მართა ფიქრებშია ჩაძირული, მომხდარის განსჯის ეშინია, უდანაშაულო ასლანთარელმა მართლა არ მოიკლას თავი, მას დადევნებული გრიგოლიც არ ჩანს. მართა ჩაუკვირდება თავის ნამოქმედარს და ეჭვი შეიპყრობს: „ვაი თუ ჩემი ბრალია ეგ ამბავი სულ!“ მასთან შემოდის სალომე. ისინი ბჭობენ იმაზე, რომ რამეფრად დაარწმუნონ ასლანთარელი: გუშინ ღამე სახლში არ ყოფილა სალომე. მართა მარტო ტოვებს სალომეს და გადის. სალომე ფიქრს მიეცემა. ამ დროს მოულოდნელად შემოდის ვარდენი, რომელიც ქალის სიხარ-

ულს ცივად ხვდება, თანაც ეტყვის: შორ გზას უნდა დაადგეს, დრო ცოტა რჩება, გადასცემს წერილს დედამისისთვის მისატანად. სალომე ვერ ეგუება ყოველივე ამას. ასლანთარელი გაუმხელს სალომეს: „შენ შეწირული ხარ, რაღაც ჯოჯოხეთურის ეშმაკობისაგან“. ქალი მზადყოფნაშია, დაუმტკიცოს ვარდენს, რომ შემცდარია. არწმუნებს გუშინ ღამით ამ სახლში არყოფნაში. მტკიცედ არწმუნებს ასევე, რომ წუხელ ღამით ქუჩაში მარტო არ იყო, მას მანუჩარი ახლდა. ფიცის გაუტეხლობის პირობით ვერ ეუბნება თუ სად იყო. ასლანთარელმა მანუჩართან საუბარში გამოარკვია მისთვის სასიხარულო რამ: თურმე წუხელ ღამით სალომე და მანუჩარი (იგი მართამ გააყოლა) ციხის უფროსთან ყოფილან, რომლისთვისაც სალომეს წერილი გადაუცია, იგი ციხეში შეუშვიათ მამის სანახავად. შინ გათენებულზე დაბრუნებულან. ვარდენი დარწმუნდება: „საეჭვო არაფერი ყოფილა-რა“. შემდეგ სალომეს ჩაჰკიდებს ხელს, არ იცის, რა უთხრას, ენა მშრალი აქვს, ბოლოს პირიდან აღმოხდება: „შენ ანგელოზი ყოფილხარ!..“

სალომე სიხარულით მიაკიცლებს, მაგრამ ჩაუშხამებს მას: „ამ საათში უნდა გამოგეთხოვო საუკუნოდ!!.“ სალომე ლამის ჭკუიდან შეშალა ამ სიტყვებმა. ასლანთარელის ნათქვამი გარედან გაუგონია მის საძებნელად წასულ გრიგოლ ბატონიშვილს, რომელიც ტალახით დასვრილი შემოვარდება მათთან ოთახში. მოახსენა თავგადასავალზე: „ორი ცხენი გავხეთქე შენს ძებნაშიო“, იგი ვაჟკაცურად განაცხადებს: „მე მოვედი, დავუჩოქო ანგელოზ სალომეს... მომიტევოს და შემინდოს!.. გამხადოს ბედნიერი და მიწოდოს ძმად, რომლის ერთგულებას დავამტკიცებ“. სალომე წამოაყენებს გრიგოლს, რომელიც კოცნის ხელზედ ასლანთარელს, გადასცემს ვარდისახარის წერილს წასაკითხად. ვარდენი გაეცნო ბარათს. გრიგოლი ყოველივე მომხდარს მართას აბრალებს. ყველაფერს ნათელი მოეფინა, სალომეს უბიწოება და პატიოსნება გამარჯვდა. გრიგოლ ბატონიშვილი ვარდენ ასლანთარელს დამეგობრებას სთხოვს: „მე ჯერ მეგობარი არ მყოლია და მგონია... კი ვართ ღირსნი ერთმანეთისა!“ გადაკოცნიან ერთმანეთს. შემდეგ კი ეუბნება ასლანთარელს: „ახლა წავიდეთ მე და შენ, ნუ ვკარგავთ ნურც დღეს და ნურც ერთ საათს; სალომეს

მალე მოვგვაროთ მამამისიო". ასლანთარელი სალომეს შეხედავს და ეტყვის: „ნახვამდის, აღარ გეთხოვები!.." სალომე ორივეს თითო ხელს აძლევს. ასე სრულდება პიესა.

პერსონაჟების პორტრეტისათვის

„მომაკვდავნი სურათნის" მოქმედი პირები არიან: მართა მაღლაძე, სალომე დევდარიანი, ნიკოლოზ ლუარსამიძე, გრიგოლ ბატონიშვილი, ვარდენ ასლანთარელი, პეტრე ქონიაშვილი, მანუჩარი, ვარდისახარი, თითოეული პერსონაჟი გიორგი შარვაშიძეს საინტერესოდ ჰყავს დახატული. მათივე სულიერ შესაძლებლობებზე თითქმის ამომწურავი წარმოდგენა გვექმნება. მკითხველმა თხზულების შინაარსის მოკლედ გადმოცემისას უკვე გაიცნო ზოგად ასპექტში მოქმედი პირნი. ახლა კი უმჯობესია თითოეულ მათგანს ცალ-ცალკე გავეცნოთ, რათა სრული შთაბეჭდილების ქვეშ მოვექცეთ. ეს საშუალებას მოგვცემს, გავარკვიოთ, თუ რატომ ეწოდა კომედიას „მომაკვდავნი სურათნი". მოქმედ პირებზე ვისაუბრებთ იმ თანმიმდევრობით, როგორც იგი ავტორს აქვს დალაგებული შესავალშივე.

მართა მაღლაძე. იგი პიესის ერთ-ერთი წამყვანი პერსონაჟია, დაქვრივებული, ახალგაზრდულ ასაკს გადაცილებული, მაგრამ გარეგნული სილამაზე შენარჩუნებული აქვს. მოქმედების დაწყებამდე ავტორი ჩვენს ყურადღებას მიაქცევს მის ჩაცმულობას: „ტანთ აცვია მართას ევროპიული კაბა, ევროპიულად თავმოხდილი". ამ მცირე დეტალით გიორგი შარვაშიძე მიგვანიშნებს ეროვნული ტრადიციისათვის ზურგშექცეულ ქართველ ქალზე. ის არ კადრულობს ნაციონალურ ჩაცმულობას და „მიდრეკილია" ევროპულისკენ, როგორც გადაგვარების საწინდარზე. პიესაში პირველად მას ვეცნობით სალომე დევდარიანთან ერთად ქუჩაში გასეირნების ჟამს. სვანეთის მთებიდან ქალაქში ჩამოსული სალომე დაუმეგობრდა მართას. ეს უკანასკნელი ყველანაირად ცდილობს მთიელ ქალს დაეხმაროს უსამართლოდ დატუსაღებული მამის ციხიდან დახსნაში. მართა, საერთოდ, მოწყენილობით იტანჯება. მწარედ განიცდის მშობლიურ ქალაქში უსაქმურად ყოფნას. თვითონაც

უკვირს, სხვებთან ერთად, როგორ ძლებს უმაქნისობით: „უჰ, ღმერთო, ვკვდები მოწყენილობით!.. გაკვირვებული ვარ, როგორ ვძლებთ ჩვენ აქ მცხოვრებნი... მთელი დღე ისე გადის, რომ კაცმა არ იცის, რა უნდა ქნას!!.“ ეს უბედურებაა. ამით პიესის ავტორი გვაგრძნობინებს მაღალი საზოგადოებრივი ფენის გამოფიტვას, რომელსაც აღსასრული უახლოვდება. ეს მომაკვდავი ფენაა, რომელსაც საზრუნავი და საფიქრალი შემოლევია და არ იცის, რა ქნას. საგულისხმოა, რომ ყოველივე ამას მართა მძიმედ განიცდის და მიესალმება ისეთ მომენტებს, რომელიც დღე-ღამეს გადააგორებს. მიუხედავად ამისა, ერთი შეხედვით, მას მტკიცედ შერჩენია ერთ-ერთი მთავარი ადამიანური მოვალეობის შეგრძნება, ეს არის მეგობრისთვის დახმარების გაწევის უნარი. სურს, რომ სალომეს შეუმსუბუქოს მწუხარება, გული გაათავისუფლოს მძიმე დარდისაგან. ამ საქმის მოგვარებაში იგი ახერხებს გრიგოლ ბატონიშვილის ჩაბმას. მართამ კარგად იცის გუბერნატორთან მისი სიახლოვის შესახებ. გარდა ამისა, ცდილობს გრიგოლის გამოყენებას შუამავლობით ნიკოლოზ ლუარსამიძესთან, რომელზეც თურმე გამიჯნურებულია: „მე არ ვიყო ღირსი მისი ცოლობისა. იმისათვის, რომ მე ის შემიყვარდა და შევსცდი! მე მგონია, პატიოსანის ადამიანისთვის ეს შემთხვევა კიდევ უფრო უნდა იყოს დაფასებული, რომ მე მიუხედავად დიდის ჩემის უპირატესობისა, გვაროვნებითა და მდგომარეობით შევიყვარე ჩემზე უმცირესი კაცი!“

გრიგოლ ბატონიშვილი პირდება მართას ლუარსამიძესთან სამიჯნურო განცდების დაგვირგვინებას და სალომესთვისაც დახმარების გაწევას. ამასთანავე, იგი ცდილობს თვითონ მართას გამოყენებას ნიკოლოზთან ნაძლევის მოგების საქმეში. იგი დანაძლევებულია ლუარსამიძესთან, რომ ერთ ღამეს გაატარებდა მშვენიერ სალომესთან. შეთანხმდნენ ურთიერთდახმარებაში.

მართა იმდენად მოწადინებულია სალომესთვის დახმარების გაწევაში, რომ თვითონ ეახლა ლუარსამიძეს და თხოვა წერილის მიწერა ციხის ზედამხედველი ძმისთვის, რათა ღამით მალულად შვილისთვის მამა ფიზიკურად შეეხვედრებინათ. ლუარსამიძემ მიიღო ეს წინადადება.

მართამ რომ ბატონიშვილს ლუარსამიძესთან ნაძლევი მოაგები-

ნოს, თავისი შვილი ვარდისასარიც „ჩართო“ საქმეში. შთააგონებს ქალიშვილს, თითქოს გრიგოლ ბატონიშვილი მასზე გამიჯნურებული იყოს: „დიდად გეტრფის!! რას უწუნებ... მე შენ გეტყვი და მის თავადობას არ იკადრებ!“ ვარდისახარს დაიყოლიებს, მისივე კარნახით დააწერინებს ბარათს, სადაც თანხმობა გამოსჭვივის ბატონიშვილის გრძნობების დასაკმაყოფილებლად. ბარათს თვითონვე გამოართმევს და ქალიშვილს დაარიგებს, მთიდან ჩამოსული სალომესთვის განკუთვნილ ოთახში ღამით მარტოდ დარჩენილი თუ როგორ მოიქცეს. მართამ სტუმრად მოსულ სალომეს თავის სახლში დასასვენებლად ერთი ოთახი გამოუყო. სწორედ ამ ოთახში ღამით გრიგოლ ბატონიშვილი თუ დევდარიანის ქალს შეხვდებოდა, ამით ნაძლევს იგებდა ნიკოლოზთან.

მართა მაღლაძემ მაცდურად გადაწყვიტა, სალომეს ნაცვლად ფარულად მისთვის ვარდისახარი დაეხვედრებინა ისე, რომ ამას ბატონიშვილი არ უნდა მიმხვდარიყო. ამით მაღლაძის ქალი რამდენიმე „კურდღელს“ იჭერდა ერთბაშად. პირველი, ეს იყო ბატონიშვილისთვის დანაპირების შესრულება ნაძლევის მოსაგებად, რათა იგი სალომეს მამის ციხიდან გათავისუფლებაში დახმარებოდა. მეორე, ვარდისახარი დაერწმუნებინა ბატონიშვილის მისადმი სიყვარულში, მესამე, გრიგოლს განეხორციელებინა დანაპირები ლუარსამიძის და მართას გულების ერთმანეთთან შესაერთებლად, რაც მათივე ქორწინებით უნდა დასრულებულიყო. მართა თავის გოგოს ურჩევს: ეს ოთახი ამაღამ ცარიელდება, სალომე მეგობარი ქალის სანახავად მიდის, აქ მოვა ვისაც მოელი (იგულისხმება გრიგოლ ბატონიშვილი), როცა მოვა, ორივენი ჩუმად უნდა იყოთ, თუ მოსულმა ლაპარაკი დაიწყო, დაარწმუნე, რომ არ შეიძლება, სანთელი არ აანთო, რათა გამვლელს სალაყბო არ მისცეთ.

ამის შემდეგ მართა აფრთხილებს გრიგოლს, რათა ღამის პირველ საათზე დათქმულ ოთახში შეხვდეს, თანაც შეახსენებს: სალომეს „ის საქმე უნდა გაურიგო, რაზედაც მოსულა!..“ ეგ არის თავი და ბოლო; მაგ ქალს ამ საქმისთვის შეუწირავს თავი... თორემ შენი სიყვარულით კი არ გიჯდება!.. შეიძლება მოსწონდე. — დიაღ!“ ამ სიტყვებიდან

ნათელი დასკვნის გამოტანაა შესაძლებელი: მართასთვის უმთავრესია სალომესთვის დახმარების აღმოჩ;ენა და არა ვარდისახარის მითხოვება ბატონიშვილისათვის, ან მისივე სამოყვნურო დაკავშირება ლუარსამიძესთან. ამ საქმეში არაფრად აგდებს თავისი გოგოს ღირსების შელახვასაც კი.

სალომეს ოთახში შესვლამდე (სადაც მას ფაქტიურად ვარდისახარი უნდა დახვდეს) მართა „დაარიგებს" გრიგოლს: „უზრდელად არ მოექცე... ან მოხვევნა არ მოინდომო, ან რამე უკადრისი არ უთხრა!.. მორცხვია და შეწუხდება!.. რა გაჭირდა, მოითმინო!!." მართამ იცის, რომ ლუარსამიძის ძმა ციხის ზედამხედველია. მან ლუარსამიძეს დააწერინა ციხის ზედამხედველთან მისატანი ბარათი, რომლის საფუძველზე გვიან ღამით სალომესთვის ფიზიკურად ციხეში უნდა ეჩვენებინათ პატიმარი მამა ნუგე'ძის მისაცემად. ეს მართას მოფიქრებული „პროექტი" იყო. იგი სალომეს გააყოლებს მანუჩარს და გააგზავნის ციხისაკენ. პიესის მეორე მოქმედების მეთორმეტე „გამოსვლაში" ნაჩვენებია თუ როგორ შეაგდებს ღვინით გალეშილ გრიგოლს მართა ვითომ სალომეს ოთახში. მეორე დღეს მთელი ქალაქი ალაპარაკდა ბატონიშვილის მიერ თითქოს სალომესთან ღამით დროის გატარების თაობაზე მართას სახლში. ლუარსამიძესთან საუბარში მაღლაძის ქალი მაცდურად გაკვირვებას გამოხატავს, თუ „რა რიგათ შემოძვრა ეს შეჩვენებული, რომ ერთი ხმაც არ გამიგონიაო!" ეს ამბავი ვარდენ ასლანთარელის ყურამდეც მიწვდა, აფორიაქდა, განრისხდა, სალომე სასტიკად დატუქსა. საქმეში იმთავითვე მართა ჩაერია, ცდილობს ასლანთარელის დარწმუნ;ებას, რომ სალომე იმ ღამით მისივე ოთახში არ იმყოფებოდა, ის ციხეში იყო წასული პატიმარი მამის სანახავად, თანაც მარტო არ ყოფილა, თან ახლდა მისი ერთგული ბიჭი, მანუჩარი. ვარდენი მაშინ დამშვიდდა, როცა სალომეს მხარეზე მყოფ სიმართლეში გაერკვა, როცა თურმე საეჭვო არაფერი ყოფილა-რა!.." თუმცა, მანამდე მოხდა ასლანთარელისა და ბატონიშვილის ერთმანეთთან დაპირისპირება. საქმე კამათლის გაგორებამდე მივიდა, რასაც უნდა გაერკვია, მათ შორის რომელს უნდა მოეკლა თავი. კამათელმა ეს უბედურება ვარდენ ასლანთარელს „არგუნა".

ის მთის კაცია, უტეხი ნებისყოფის და სიტყვის კაცი. ყველაფერს ნათელი სალომეს სასარგებლოდ მოეფინა, მაგრამ ვარდენი სიტყვას არ ღალატობს, მაინც თვითმკვლელობით აპირებს სიცოცხლის დასრულებას. ამას როცა მართა შეიტყობს, ყველაზე მეტად სწორედ ამ მომენტში ამჟღავნებს თავის ხასიათს, თვითგანსჯის უნარს: „ვაი თუ, ჩემი ბრალია ეგ ამბავი სულ!.. სიყვარული ყველას კარგად გვესმის, მოტყუებულნიც კი ხშირად დავრჩენილვართ, მარა ჯერ არავის თავი არ მოუკლავს!..“ მას ფიქრი აწუხებს ვარდენის თვითმკვლელობაზე და თავის თავს აბრალებს ამ ყველაფერს. თუმცა ყველაფერი კარგად დასრულდა, ვარდენი გადარჩა, ის და ბატონიშვილი შერიგდნენ, სალომეს მამაც თავისუფლდება, სალომე და ვარდენი ერთმანეთს არ გამოთხოვებიან.

მართა მაღლაძე, შეიძლება ითქვას, „მომაკვდავნი სურათნის“ უმთავრესი მოქმედი პირია. სწორედ მის ქმედებებზეა აგებული პიესა. ის ქალაქური ცხოვრების ზედგამოჭრილი ტიპია, უკვე გადაგვარებული ქალაქური ცხოვრებისა. მართასგან მორს დგას მიწიერი, ზნეობრივი სიყვარულის რუსთველური გაგება. იგი ქვრივია, ასაკის მიუხედავად, ლამაზად გამოიყურება, უარს არ იტყვის ნიკოლოზ ლუარსამიძის ცოლობაზეც. ვიღაც ინჟინერიც შეყვარებია გაგიჟებით, მისი სამიჯნურო ცთუნებანი „ვისრამიანულ“ პრინციპს ემყარება: „სიყვარული თვალშია, მოშორდები და დაგავიწყდებაო“. ასე მოსვლია მართასაც: მისი ინჟინერი შეყვარებული ჯარში გაუწვევიათ, სამი თვის უნახავმა გადაიყვარა კიდეც. არაფრად აგდებს ქალიშვილის სამიჯნურო გრძნობებსაც. ვარდისახარი სურს მიათხოვოს სახელგატეხილ, მაგრამ თავად გრიგოლ ბატონიშვილს. ამ უკანასკნელს ნაძლევი რომ მოაგებინოს, ღამით ოთახში მასთან შესახვედრად ვარდისახარს ჩაანაცვლებს სალომეს. კარგად აქვს შეგნებული: გადაგვარებული ქალაქური ყოფის პირობებში დღეები ისე გადიან, რომ „კაცმა არ იცის, რა უნდა ქნას“. ამ „ხარვეზის“ შესავსებად მართა ჩადის იმ ქმედებებს, რაზეც უკვე ვისაუბრეთ. ამ ქმედებებიდან განსაკუთრებით დადებითად გამოსჭვივის მეგობარი ქალისათვის დახმარების აღმოჩენის უშრეტი წყურვილი. ასევე მის ხასიათში დევს თვითგანსჯის უნარი, საკუთარი

შეცდომის შეცნობის უნარი. მისმა მცდელობამ ნაყოფი გამოიღო: სალომემ საწადელს მიაღწია. მის მამას ციხიდან ათავისუფლებენ. ბოლოს კიდევ ერთ გარემოებას უნდა მიექცეს ყურადღება. რატომ „იწვის“ მართა დროში. რატომ სურს მაინც და მაინც ერთ ღამეში „ჩაატიოს“ ბატონიშვილის შესვლა მალულად ე.წ. სალომეს ოთახში (სადაც სინამდვილეში ვარდისახარი მოათავსა) და სალომეს წასვლა ციხეში მამის მოსანახულებლად. ამ საიდუმლოს „გასაღები“ დევს პირველი მოქმედების VI „გამოსვლაში“. როცა ლუარსამიძე შეეკითხება მართას თუ როდის უნდა შესულიყო ციხეში სალომე, მაღლაძის ქალი უპასუხებს: „როდის და ამ კვირაში“. მაშინ ლუარსამიძე ცალკე თავისთვის ჩაილაპარაკებს: „კარგი სუმრობა არ იქნება, თუ ხვალ-ღამ გაგზავნა და ნაძლევი მომაგებია“. ამის გამგონე მართას სურს წადილი დაუკმაყოფილოს მას. სწორედ ამიტომ „დაცარიელდა“ სალომესგან მართას სახლის ერთ-ერთი ოთახი, რომელიც ვარდისახარმა „შეავსო“.

სალომე დევდარიანი. გიორგი შარვაშიძე „მომაკვდავნი სურათნის“ პირველივე გვერდზე მოქმედი პირების ვინაობის დაფიქსირებისას სალომეს გვარს წარმოგვიდგენს ფორმით — „დევდარიანი“, ტექსტში კი, გარდა ერთი შემთხვევისა, ყველგან იკითხება „დავდარიანი“. ავტორი მას გვიხასიათებს, როგორც ყმაწვილ ქალს, უმანკოს და მშვენიერს. სახელი „სალომე“ ყვარებია, ეტყობა, მწერალს. გარდა ამ პიესისა, მოქმედ პირად „სალომეს“ (იგივე „მესალას“) ვეცნობით ეპიკურ ძეგლში — „გვადანის ციხე“. ამ პოემაშიც სალომე ლამაზი, მშვენიერი და უმანკო ქალია, პატიოსნების განსახიერება.

სალომე მთიელი ქალია, მამამისი ყოფილა „თავადი და ბატონი ქველთა და მთათ-შავთა“, იგი თურმე მისმა ბოროტმა ძმამ „მართებლობას შეასმინა, რომ სანდო კაცი არ არისო და დააჭირვინა“. მიზეზი ყოფილა სალომეს მამისადმი ხალხის დიდი სიყვარული. რის გამოც მტრობდა მას საკუთარი ძმა — „გავლენიანი კაცი მართებლობასთან“. სალომეს უდანაშაულო მამა სასჯელის იხდიდა ციხეში, სწორედ იმ ქალაქში, სადაც მართა ცხოვრობდა. უცნობ ქალაქში ის მარტო არ ჩამოსულა. თან ახლდა მისივე ძმის მეგობარი ვარდენ

ასლანთარელი, რომელიც მომავალ მეუღლედ ეგულებოდა. სალომე დედით ობოლია, ერთადერთი ძმა ბექირი ჩხუბში მოუკლავთ. მისი იმედია მოხუცი მამა და ბექირის მეგობარი ვარდენი.

მართა გრიგოლ ბატონიშვილს აცნობს სალომეს, როგორც „მშვენიერს სტუმარს“. აქ, ცხადია, ხაზი გაესმის მის გარეგნულ სილამაზეს. როდესაც მართა დაარწმუნებს თავის მშვენიერ სტუმარს, რომ ლუარსამიძე დიდი თანამგრძნობია მათი, სალომე გულწრფელად დიდად ემადლიერება მაღლაძის ქალს: „თქვენ თუ რასმეს მიშველით, თვარა მეტი ვინ მყავს ამ უცნობ ხალხში!.. თქვენს სახლში მიმიღეთ, როგორც და, მომეფერეთ... ესეც თქვენგან ისეთი კეთილობაა, რომლის მოლოდინებას მე ვერ გავბედავდი... რადგან... თქვენ არ მიცნობდით მე!.. ჩემისთანა შორებული ნათესავები ბევრი გყავთ! თუკი რამეს უშველით ჩემს საცოდავს მოხუცს მამას... იმის გადახდა ჩვენ როგორ შეგვიძლია, მარა ღმერთი დაგიმადლებს და ჩვენც გემსახურებით!!.“ ამ სიტყვებიდან იხედება სალომეს წმინდა ადამიანური თვისებები: მამისადმი თავდაუზოგავი სიყვარული და სიბრალულის გრძნობა; მის დამხმარეთა შეფასების უნარი; მათივე სამსახურში ჩადგომის წადილი. სალომე მზად არის, ისე მოიქცეს, როგორც ამას მართა და მისი მშველელნი ურჩევენ. მართამაც კარგად იცის მისი მეგობარი ქალის ზრდილობიანი სიტყვის ფასი („შემდეგ შენ გამოხვალ და ეტყვი მხოლოდ ორიოდე ზრდილობიან სიტყვას“).

ვიდრე სალომეს მამის ციხიდან გათავისუფლების საქმე მოგვარდება, მანამდე მართა მეგობარს ურჩევს ერთი ღამით მაინც მოინახულოს მშობელი და „იმედი მაინც მოჰგვაროს“. ამ საქმეში ხელშეწყობას თვითონვე იღებს თავის თავზე. ოღონდ ერთი პირობით — ეს ამბავი „არავითარს ცოცხალს ადამიანს არ ეცოდინება“. სალომეს პასუხში იკითხება დიდი ადამიანური სითბო და უმაღლესი პატიოსნების შეგრძნება; „რა რიგ დაგარწმუნო მე უბედურმა!!. გეფერები იმ მოხუცის თავს, რომელზედაც ვსასოებ!!. გეფიცები მოგონებას ჩემის ერთის ძმისას... გეფიცები პატიოსნებას და ღმერთს!!.“

სალომე წინდახედულია, მოთმინების უნარის მქონე, აუჩქარებელი. ყმაწვილ ქალში ასაკს გადაცილებულის სიბრძნეა. როდესაც

ასლანთარელი ურჩევს, დატოვონ ქალაქი და შინ გაბრუნდნენ, რადგან მან აქაურობას ალღო ვერ აუღო, ვერაფერი გაუგო, სალომე დინჯად პასუხობს: „დამშთენიხარ შენ ერთიღა ჭირისუფლად, ერთიღა... ძმად ჯერ, და მომავალში ღვთის წინაშე მეუღლედ!!. შენი რჩევა ჩემთვის ბრძანება უნდა იყოს და შენი გრძნობა საერთო ჩემთვის; განა განსაჯე კიდევ კარგად, ვაი თუ... ორთავეს ყმაწვილობა მოგვერიოს!.. დავემონოთ უსაფუძვლო რამ გრძნობას და დავტიოთ... დავარღვიოთ ყველა ჩვენი იმედები... მაშინ, როდესაც ეხლა მე მაქვს უფრო რწმუნებისა და ნუგეშისა!!.“ სალომეს სიტყვები აწონდაწონილია, იმედზე დაფუძნებული და არა გაუაზრებლად წარმოთქმული.

სალომე იმდენად გულუბრყვილოა ზოგჯერ, თვით გრიგოლ ბატონიშვილშიც ეძებს პატიოსნებას და სიმართლეს: „ახლა სთქვით მართალი, თუკი რამ პატიოსნება არის თქვენში“. მთიელმა ქალმა მოთმინებიდან გამოსვლაც იცის და არც ლანძღვა-გინებას ერიდება. გრიგოლმა იცრუა მის წინაშე, სიმართლეს თვალი დაუბინდა. გაბრაზებულმა სალომემ ცხვირპირში ესროლა წერილი და ასეთი სიტყვებიც მიაყოლა თან: „ოოო!.. უნამუსო, ცრუო!..“ ამასთანავე, იგი ქვემოთ კვლავ უნამუსოს და ულმერთოს უწოდებს გრიგოლს.

სალომე წმინდა ამქვეყნიური, მიწიერი სიყვარულით არის გამსჭვალული ვარდენ ასლანთარელის მიმართ. ვერ ეგუება მისგან განშორებას, მარტო დარჩენას: „ვარდენ... ვარდენ... რას ნიშნავს ეს სიტყვები და რად მიდიხარ?.. მე მარტოკა მტოვებ!!. არა, უშენოთ მე არ შემიძლია... მე წაგყვები, სადაც წახვალ... შენ გენაცვალე... ვარდენ!.. ნუ მომკლავ... ცოდვა ვარ!“ იგი ცდილობს, დაარწმუნოს ასლანთარელი, რომ შემცდარია, რომ ის არ არის შეწირული „რაღაც ჯოჯოხეთურის ეშმაკობისაგან“. მზად არის, დაუმტკიცოს, რომ ის მართალია. ვარდენის გული სიმშვიდემ მოიცვა, რომ ირწმუნა სალომეს ანგელოზობა, რამაც ქალი გაახარა და კიდეც „გარდაეხვევა კისერზედ“. თუმცა ეს სიხარული ნაადრევი აღმოჩნდა. მიუხედავად ყველაფრისა, ვარდენი უმტკიცებს, რომ სამუდამოდ უნდა დაემშვიდობოს მას.

სალომე გაკვირვებისაგან კინაღამ შეიშალა: „რას მეუბნები,

ვარდენ!.. ეს რა მესმის კიდევ... საოცარია!.. აღარ გათავდა ჩემი წამება... აღარ მიეცემა ბოლო ამ ჩემს ოხერ სიცოცხლეს!!. რას ამბობ, ვარდენ... რას ამბობ?“ ქალი გულამოსკვნით ატირდა. როდესაც გრიგოლის ენით გაირკვა, რომ სალომე სრულიად უდანაშაულოა და ეს ყველაფერი მართას ბრალია, მთიელ ქალში უმალ იღვიძებს ადამიანისადმი პატივისცემის გრძნობა. იგი შესთხოვს ბატონიშვილს: „თუ შეიძლება, მართას ნურას ეტყვი; წუხელი... ერთ დროს ისეთი მამაცობა და თავგანწირულობა გამოიჩინა, რომ... ეგ ამტკიცებს მის დიდს კეთილობას!!.“ გრიგოლი დაითანხმა. პიესა მთავრდება სალომეს დამაიმედებელი მუხტით: საცაა მას მალე უნდა მოჰგვარონ ციხიდან გათავისუფლებული მამამისი, წასვლამდე კი ასლანთარელი სალომეს მიმართავს: „ნახვამდის, აღარ გეთხოვები!..“

ერთი სიტყვით, გიორგი შარვაშიძემ თავის კომედიაში სალომეს სახით წარმოგვიდგინა ხორცით და სულით მშვენიერი არსება, ზრდილობიანი, კეთილი, წმინდა და პატიოსანი, მამის უზომოდ მოყვარული, ვარდენისადმი ზნეობრივი სიყვარულით გათანგული, მასზე მზრუნველი მეგობრის დამფასებელი, დინჯი, აუჩქარებელი, მოთმინების უნარის პატრონი. სოფლიდან გამოყოლილ მის სიწმინდეს ქალაქის ბიწი და მტვერი არ შეჰხებია. ამით ავტორმა ისიც გვიჩვენა, რომ, რაც არ უნდა დროება შეიცვალოს, იგი მთის, სოფლის სიწმინდეს, პატიოსნებას ვერ წაბილწავს, ვერ შელახავს.

ნიკოლოზ ლუარსამიძე. ნიკოლოზ ლუარსამიძე გაელენიანი კაცია, მაზრის უფროსი. გამოირჩევა გარეგნული შესახედაობით. 40 წლის მამაკაცია, დარბაისელი. პიესის დასაწყისში ვეცნობით მის ერთსართულიან სახლს, ქუჩაზე გადმომდგარ ჩალდაყს (იგივე ჩარდახი, სახლის ბანის ნაწილი, სვეტზე დადგმული და გუმბათით გადახურული, ტახტრევანის საჩრდილობელი). ჩალდაყზე მყოფი ნიკოლოზ ლუარსამიძე და გრიგოლ ბატონიშვილი ჭადრაკს თამაშობენ, რომელთაც უცქერის პეტრე ქონიაშვილი. ჩანს, ლუარსამიძე ჭადრაკის კარგი მოთამაშეა, რომელმაც მოუგო მეტოქეს, თანაც ლაღი, ხუმრობანარევი კილოთი მოსაუბრე, ვერ იტანს თამაშისას ტრაბახს. ეს ყოველივე თხზულების პირველ გვერდზე გამოჩნდა. დანაძლევებისას გრიგოლ

ბატონიშვილის სიტყვებიდან გამოჩნდა, რომ მაზრის უფროსი ღარიბი კაცია. გრიგოლი ეუბნება: „შენ გაფხეკილი სერთუკის მეტი რა გაქვს, რომ გამომართვა.“

ლუარსამიძის მიერ გრიგოლ ბატონიშვილთან სალომე დევდარიანის დახასიათებისას ნათლად გამოჩნდა მისი შინაგანი ბუნება, ადამიანური თვისებები: მთაში მცხოვრებთა უმანკოების შეგრძნება, სალომეს სულის სიწმინდის აღიარება, მისი ობიექტური შეფასება, მთიდან ქალაქში ტუსაღი მამისათვის დასახმარებლად ჩამოსვლის აქცენტირება, თვითონ ამ მოხუცი პატიმრისადმი სიბრალულის გამოხატვა: „ეს გახლავს დავდარიანის ქალი, ძლიერ კარგად და უმანკოდ შენახული აქამდის მთაში; საწყალობელი კარგი რამ არის მართლა! ეხლა ჩამოვიდა და ცდილობს უშველოს რამე მის მოხუცს მამას, რომელიც ორი წელიწადია მას აქეთ, რაც დატუსაღებულია და იღრჩობა საწყალი ბერი-კაცი!..“

ლურასამიძე სტუმართმოყვარე კაცია, სტუმრებს გულთბილად ხვდება და შეძლებისამებრ უმასპინძლდება. მართას და სალომეს მიმართავს: „სად მიბრძანდებით, ბატონო! გვეცით პატივი და ჩემს ღარიბ ჩაიზედ გვეწვიეთ“ (მივაქციოთ ყურადღება შესიტყვებას — „ღარიბ ჩაიზედ“), ასევე ჩალდაყიდან ეპატიჟება მართას, სალომეს, ასლანთარელს, ქონიაშვილს: „მობრძანდით, ბატონებო, ჩაი მიირთვით!“

ნიკოლოზ ლუარსამიძე თანამგრძნობი კაცია, განსაცდელში ჩავარდნილისთვის ხელის შეშველების უნარის მქონე, თანამდგომი. ის დაეთანხმა მართას თხოვნას სალომესათვის დასახმარებლად, რათა მთიდან ჩამოსულმა ქალმა ქალაქის ციხეში გამომწყვდეული მოხუცი მამა ფიზიკურად ნახოს და ნუგეში სცეს, დაიმედოს. ლუარსამიძე დათანხმდა მართას, რათა წერილი მისწეროს მის ძმას, ანახოს გვიანი ღამის პირობებში სალომეს მამა. იგი ყველაფერზე პასუხისმგებლობას თავის თავზე იღებს: „მე ჩემს ძმას მივსწერ, რომ მე ვარ პასუხისმგებელი და მე ვიქნები მისი მოღალატე, თუ რამ ცუდი გამოვიდეს ამისგან!..“ ლუარსამიძე ნაკლებად ეგუება ქალის პატიოსნების გალანძღვას, რაც ნათლად ჩანს პიესის III მოქმედების პირველ გამოსვლაში.

ლუარსამიძე ჰუმანური პიროვნებაა. მას არ სურს გრიგოლ ბა-

ტონიშვილისა და ვარდენ ასლანთარელს შორის დაპირისპირება გაღრმავდეს, თუნდაც ამისთვის თავისი თანამდებობის გამოყენება დასჭირდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, გუბერნატორთან შეტყობინების საშუალებით აყრის მათ იარაღს: „მე თანამდებობა ჩემი მაიძულებს ვიხმარო ხშირად საშუალებანი, წინააღმდეგ რიგიანობისა... შეუძლებელია ეგ დუელი მოხდეს!.. ვალდებული ვარ ვამცნო გუბერნატორს და იარაღი აგყაროთ“... როდესაც გრიგოლ ბატონიშვილი შეეკითხება, რა უფლებით შეუძლია მას იარაღის ჩამორთმევა, ლუარსამიძე პასუხობს: „იმ უფლებით, რომ კანონისაგან აკრძალულია დუელი და პოლიცია ვალდებულია დაშალოს და არ მიუშვას და უკიდურეს შემთხვევაში, აცნობებს რა უმაღლეს მთავრობას, იარაღი ჩამოხადოს და დაატყვევოს!..“ მაზრის უფროსი იმიტომ ემუქრება ბატონიშვილს და ასალანთარელს, რომ არ უნდა სისხლი დაიღვაროს, ამ შეჯახებაში რომელიმე მათგანი დაიღუპოს. სურს ყველაფრის მშვიდობიანად დასრულება. ლუარსამიძეს არც იუმორის გრძნობა აკლია, რაც არაერთხელ გამოჩნდა კომედიაში.

გრიგოლ ბატონიშვილი. იგი ნიკოლოზ ლუარსამიძის მეგობარია, 35 წლისა. გიორგი შარვაშიძემ ასლანთარელის ენით და კალმის ერთი მოსმით დაგვიხასიათა გრიგოლ ბატონიშვილი: „გრიგოლ ბატონიშვილი ბილწი და გარყვნილი კაცია... ხალხში სახელ-გატეხილია!..“ პირველად მასთან შეხვედრა გვიწევს ლუარსამიძის სახლში. იგი მასპინძელს ჭადრაკს ეთამაშება და წააგო კიდეც. ამ წაგებაში სიმბოლური დატვირთვა უნდა ვეძიოთ. ამქვეყნად მას წაგებული აქვს წმინდა ადამიანური თვისებები, ქართული ზრდილობა, სიდარბაისლე და პატიოსნება.

ბატონიშვილი ერთ-ერთი აქტიური პერსონაჟია კომედიისა. გამოირჩევა უსაქმურობით. მისი მთავარი „საქმენი საგმირონი“ დროის ტარება, თამაში და ქალებთან წუთიერი სიამოვნებისთვის ურთიერთობის დამყარებაა. თავის მეგობართან ნიკოლოზთან საუბარში გვიმხელს: ქალების სიყვარულის მეტი საქმე რა მექნება, „სხვა საქმეები ჩემს მოურავს მოჰკითხე“... ქონიაშვილს მისმა ნათქვამმა მოაგონა სიტყვა „ტრაბახი“, რაც პასუხგაუცემელი როდი დატოვა: „რის ტრაბახი!..

ნეტავი სხვა რამეზედ შემეძლოს ისეთი დამსახურებული კვეხნობა, როგორც ქალების სიყვარულზედ, შენ ეგ დიდ საქმედ მიგაჩნია... გინდა გასწავლო ამის წამალი. არავითარი ღირსება არ უნდა ამას, გარდა გამბედაობისა". ლუარსამიძეს „უმტკიცებს", რომ მხოლოდ ორი დღე ყოფნის, ნებისმიერ ქალს თავი შეაყვაროს, ამისთვის მზადაა ნაძლევის დასადებად. ეს არის მისი ცხოვრების კრედო, პრიორიტეტი, ფილოსოფია. იგი უღირსებო კაცია.

გრიგოლ ბატონიშვილი მოქმედებს პრინციპით: „დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს გაყრისა თმობასა". ამით იგი ლახავს ქართულ მამაპაპეულ ტრადიციებს, ლაფს ასხამს ზნეობრივ სიყვარულს. ამასთანავე, არცხვენს თავის დიდ გვარსაც კი. ყოველთვის კარგად ესმის, რომ „ნადირი მარილზედ არ მოდის". ოღონდ ნაძლევი მოიგოს და დაპირებებს არ იშურებს მართასთან. ამ ქვრივ ქალს ჰპირდება ხელშეწყობას ლუარსამიძესთან სამივწნურო ძაფის გაბმაში, რასაც ქორწინებით დასრულება უნდა მოჰყოლოდა; ჰპირდება მართას, რომ ხელს შეაშველებდა სალომეს ციხიდან მამის დახსნაში. ხელზე კოცნით ელაქუცება მართას: „თაყვანს გცემ, ჩემო მშვენიერების ღმერთო, განუწყვეტლად ჩემთან ერთად შესხმულო მეგობარო!.."

ბატონიშვილის სულიერი ავლა-დიდება კარგად ჩანს მისივე ნათქვამში: „მე კი შევატყვე... ლუარსამიძეს უყვარს მართა და თუ არაფერი გამოვიდა, რა ვუყოთ ეხლა... თავი მიატეხონ ერთმანეთს!!." მართამ საუკეთესოდ უწყის გრიგოლის უზრდელობის ამბავი და აფრთხილებს სალომესთან დაკავშირებით: „უზრდელად არ მოექცე... ან მოხვევნა არ მოინდომო, ან რამე უკადრისი არ უთხრა!.. მორცხვია და შეწუხდება!.. რა გაჭირდა, მოითმინო!!." მართა არ უფიქრდება მგლისთვის კრავის ჩაგდების მოსალოდნელ შედეგს.

გრიგოლი საქმეს უდარდელად და უპასუხისმგებლოდ ეკიდება, არც საიდუმლოს შენახვა ძალუძს. მართა და სალომე დაპირებისამებრ მისი იმედით არიან. სჯერათ, რომ ბატონიშვილი მასთან ახლოს მყოფ გუბერნატორს წერილს მისწერს და ამით დაეხმარება მთიელ ქალს მამის ციხიდან გათავისუფლებაში. მან მართლაც დაწერა ბარათი გუბერნატორის სახელზე, მაგრამ რად გინდა. არც ანაღვლებს თუ

ვის გაატანს მას გუბერნატორთან. მთვრალ მდგომარეობაში დაწერილ ბარათს ღამის პირველ საათზე ფანჯრიდან გადაუგდებს ნაბდიან კაცს: „ეი! შენ, ძმაო!.. ეი!.. ნაბდიანო, რომელი ხარ!.. მოდი აქ, თუ ძმა ხარ!.. ეს ბარათი წაიღე ნაჩალნიკთან... ძლიერ საჭიროა-თქო. გრიგოლ ბატონიშვილისგანააო. თქო! მოიცადე... ფულს მოგცემ!“ ეს „ნაბდიანი კაცი“ აღმოჩნდა ვარდენ ასლანთარელი. სწორედ ეს წერილი გახდა საფუძველი იმისა, რომ მეორე დღეს მთელ ქალაქს მოედო შუალამით მართას სახლის ერთ-ერთ ოთახში სალომესთან (სინამდვილეში ვარდისახართან) გრიგოლის დროის ტარების ამბავი. ყველა წუხდა მთიელი პატიოსანი ქალის სახელის გატეხვის გამო. ეს კი გრიგოლ ბატონიშვილს სრულებითაც არ ადარდებს, ურცხვად ეუბნება მართას და ლუარსამიძეს:

„თქვენ ორს კი სანაღვლო არაფერი გაქვსთ! ხანდახან ახირებული საქმიდან კარგი რამ გამოდის!.. ღმერთმა ბედნიერი ქნას ეგ თქვენი კავშირის გაკანონიერება! მე რაც მოვახდინე, მაგაზედ სინდისი არ მაწუხებს!.. რა გაეწყობა: „ღმერთმან ერთი რად აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს!“ ეგ სულ იმ ოხერი წერილის მიზეზია, თორემ არავის ეცოდინებოდაო!!.“

ერთ მომენტში თითქოს იფიქრებს მკითხველი — გრიგოლს დანაშაულის აღიარების გრძნობა შერჩენია, თუმცა, მასშიც თვალთმაქცობის ბინდი იმალება. იგი სალომესგან შენდობას და პატიებას ითხოვს: „ნამდვილი სიმართლე უნდა აღვიარო თქვენთან, რადგანაც არაფერი გამამართლებელი საგანი არა მაქვს!.. ისევ შენდობასა ვთხოვ თქვენსა სულგრძელობასა... მართალია, ეგ ბარათი ჩემი დაწერილია!.. ერთი ყმაწვილური, გიჟური ქცევა, რომელსაც, საუბედუროდ ჩვენდა, — ჩვენს ქალებთან და საზოგადოებაში დიდს მნიშვნელობას არ ვაძლევთ და რომელსაც... თქვენ... დამერწმუნეთ მე ამაში, თქვენ არ გკადრებდით, ფიქრში რომ მოსვლოდა და მცოდნოდა, რომ თქვენში ვიპოვიდი პირადობას, რაღაც უკეთესს სხვაზედ უმჯობესის გრძნობებით!!.“

როცა გრიგოლ ბატონიშვილს ასლანთარელი ეტყვის: „ამპარტავანი სისხლი უნდა სცემდეს თქვენს ძარღვებში!!. თქვენვე ხედავთ... ჩვენ მივაღწიეთ იქამდის, რომ ჩვენ ორში ერთი უნდა დარჩეს მიწის

ზურგზე!.. გრიგოლი დაუფიქრებლად უპასუხებს: „ჭეშმარიტია!..“ იგი ადვილად არ ეგუება დაცინვას და აგდებას. მან წარბშეუხრელად მიიღო ვარდენის გამოწვევა: კამათლის გაგორებისას წააგო ასლანთარელმა, რაც იმას ნიშნავს, რომ „თავისი ხელით დამბაჩა იკრას შუბლში“. როგორც მთის კაცი და კანონის მორჩილი, ამისი ნამდვილი შემსრულებელია, რაც შეატყო კიდეც გრიგოლმა და გაკვირვებით წარმოთქვა:

„მე მაგნაირი ადამიანი ჩემს დღეში არ შემხვედრია! სალოსია ვიღაც ოხერი! რასთვის, ღმერთო, უნდა მოიკლას თავი ერთმა უკეთესმა, პატიოსნებით აღსავსემ ჩვენებურმა ყმაწვილმა! ჩემის ბოროტებით და ჩემის სიაქაცით! არ შეიძლება ეგ მოხდეს“. გრიგოლს ცუდად ესმის, რომ ვარდენი ღირსების შელახვას ვერ იტანს. მთის კაცია და მთიური ნებისყოფის სიმტკიცით მოქმედებს. სიცოცხლეზე და სახელზე მაღლა, ვაჟა-ფშაველასი არ იყოს, ღირსებას აყენებს, სიმართლეს, ზნეობას და პატიოსნებას. თუმცა, ბატონიშვილს კარგად ესმის, რომ ასლანთარელი მის ნაბოროტმოქმედარს ეწირება, შერჩენია რა სინდისის ქენჯნის ნატამალი გრძნობა, ცდილობს უდანაშაულო ვარდენი სიკვდილისაგან იხსნას. პეტრე ქონიაშვილს ავალებს, უკან მოაბრუნოს იგი: „პეტრე... პეტრე... შენი ჭირიმე, ერთი ასლანთარელს დაეწიე... ეს-ეს არის გავიდა და უთხარი, მართა გთხოვს-თქო!.. ლუარსამიძე გთხოვს-თქო!.. ყველანი გთხოვენ-თქო!.. ერთი ლეკური ითამაშე-თქო!.. წადი ჩქარა, გეთაყვანე!“ ამ სიტყვების გულწრფელობაში ეჭვის შეტანა უთუოდ გაჭირდებოდა. ეს არის განცდა გრიგოლ ბატონიშვილში კაცობის შეგრძნების ნაპერწკლის გაკრთომისა, თავისი დანაშაულის შეცნობისა, საკუთარ თავში ჩახედვისა. იგი, ამასთანავე, ავლენს ვარდენ ასლანთარელის პიროვნებაში პატიოსნების დაფასების უნარს. მართას გააცნობს რა ასლანთარელის გადაწყვეტილებას თვითმკვლელობის თაობაზე, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე ეტყვის: „შენ გგონია, შენ და ჩემსავით ყოველი კაცი სულით მახინჯია!.. ის იმნაირი ვინმეა, რომ რასაც იტყვის, შეასრულებს უთუოდ!..“ მართას ეხვეწება, რომ რამენაირად „გადაარჩინონ ძაღლურ სიკვდილს ის ყმაწვილი კაცი!..“ თან დაუმატებს: „არ

ვიცი... როგორღაც... შემიყვარდა ეს კაცი მე!.. ერთობ კარგია... და ცოდვაა!!.“ აქვე მართა გაუმხელს გრიგოლს საიდუმლოს: „წუხელ აქ რო იყავი... სალომესთან კი არ ყოფილხარ!.. ვარდისახართან იყავი!..“ ბატონიშვილისთვის ყველაფერი ცხადი გახდა და უსაყვედურა მართას: „რა გიქნია შენ უბედურო, რა გიქნია!..“

როდესაც ბატონიშვილი ქონიაშვილისგან შეიტყობს, რომ ასლანთარელი „გასულა აქედან თუ არა, შემჯდარა ცხენზე და წასულა ქსანსა“, გადაწყვეტს თავისი ყარანგაოზით დაეღევნოს და დაეწიოს, რათა სიკვდილისაგან იხსნას.

ავტორმა პიესის დასასრულს საინტერესოდ წარმოაჩინა გრიგოლ ბატონიშვილის პიროვნება. იგი ასლანთარელთან საუბრისას ინანიებს თავის შეცდომებს და მზად არის სალომეს წინაშე დაიჩოქოს კიდეც შენდობის სათხოვნელად: „მე მოვედი, დავუჩოქო ანგელოზს სალომეს, რომელსაც გაუბედე და ვკადრე ჩემდა უნებლიეთად და უცოდინარად მიწიერი უწმინდურობა!.. დაჩოქებული ვთხოვ (დაიჩოქებს) მომიტევოს და შემინდოს!.. გამხადოს ბედნიერი და მიწოდოს ძმად, რომლის ერთგულებას დავუმტკიცებ!.. ვაძლევ მაგაში... არა ძველს... ახალს... დღევანდელს პატიოსანს სიტყვას“. სალომე დევდარიანმა ირწმუნა გრიგოლის მომნანიებელი სიტყვები, ხელი გაუწოდა და წამოაყენა კიდეც. გრიგოლმა ასლანთარელს გადასცა ვარდისახარის ბარათი და ყველაფერს ნათელი მოეფინა. ბატონიშვილი ყველაფერს მართას გადააბრალებს, თუმცა სალომესგან მოისმენს თხოვნას, არ აწყენინოს მას. სალომესთან ერთად ასლანთარელმაც შეუნდო შეცოდებანი გრიგოლს: „შემინდვია უწრფელესის გულით!!.“ ბატონიშვილი ასლანთარელს უბრძანებს დამეგობრებას:

„გიბრძანებ, იცოცხლო და დამიმეგობრდე! მე ჯერ მეგობარი არ მყოლია და მგონია... კი ვართ ღირსნი ერთმანეთისა!“ ისინი ხელს ჩამოართმევენ ერთმანეთს, გადაკოცნიან და ერთად მიდიან ციხიდან სალომეს მამის გამოსაყვანად. ასლანთარელი, რომელიც ადრე გარყვნილს, ამპარატავანს და სახელგატეხილს უწოდებდა გრიგოლ ბატონიშვილს, კომედიის ბოლოს მის მეგობრად და ძმადნაფიცად იქცა.

ასე რომ, გრიგოლ ბატონიშვილს სახით პიესაში გამოყვანილია

გაორებული პიროვნება. ბინძურ ქალაქურ ყოფას იგი ჩაუთრევია მღვრიე მორევში, უქცევია უსაქმურ, ფუჭსავატ არსებად. მისთვისაც, მართას სიტყვებისა არ იყოს, „მთელი დღე ისე გადის, რომ კაცმა არ იცის, რა უნდა ქნას“. იგი იქცა ბუტაფორიულ არსებად, გარყვნილ, ამპარატავან. სახელგატეხილ არსებად. სალომეს და ასლანთარელის სახით მთიდან დაძრულმა და გადაგვარებულ ქალაქში შემოსულმა სიწმინდის, პატიოსნების. ზნეობის, სიმართლის, მამაპაპეული ტრადიციებისადმი ერთგულების სიომ გააღვიძა ბატონიშვილში ადამიანური თვისებები: ჩადენილი შეცდომის აღიარება და მონანიება, შენდობის გრძნობა. უდანაშაულო ადამიანის დანდობის უნარი, ქალის პატიოსნებაში პატივისცემის მოთხოვნილება, მეგობრობისა და ძმადნაფიცობის ღირსების შეგნება. მიგვაჩნია, რომ კომედიაში ყველაზე საინტერესოდ სწორედ გრიგოლ ბატონიშვილის პიროვნება მოჩანს.

ილია ჭყონია გრიგოლ ბატონიშვილის პროტოტიპად მამია გურიელს მიიჩნევდა. ამასთან დაკავშირებით, სამართლიანად შენიშნა ელგუჯა თავბერიძემ: „შეიძლება მეგობრისა და ნათესავის ხასიათის ერთი დეტალი, ქალებთან დამოკიდებულება, მწერალმა მართლაც აქედან აიღო, თორემ მატყუარა, თვალთმაქცი ბატონიშვილი ბევრი არაფრით უნდა ჰგავდეს ფაზელს „ადამიანის“ ავტორს“.[1]

ვარდენ ასლანთარელი. ავტორი დასაწყისშივე მას ახასიათებს, როგორც ყმაწვილ, კეთილშობილ მთის კაცს. იგი სალომესთან ერთად სვანეთის მთებიდან ჩამოდის ბარში, ერთ-ერთ ქალაქში, სადაც დაპატიმრებულია სალომეს უდანაშაულო მამა. ვარდენი ყოფილა სალომეს ძმის მეგობარი, რომელსაც სიკვდილის წინ მისთვის ჩაუბარებია თავისი და. სალომეს დედა ადრე გარდაცვლილა, ბიძის ვერაგობით მამა ციხეში მოხვდა. იგი ერთადერთი ძმის იმედად დარჩენილა, ისიც ჩხუბში მოუკლავთ. ასე რომ, სალომე ვარდენ ასლანთარელის იმედითღა რჩება. იგი თავის მეგობრად, შემდეგ კი მომავალ მეუღლედ ესახება. ვარდენიც დიდ ერთგულებას უწევს, ცდილობს მისთვის ჭირ-ვარამის შემსუბუქებას: „მას აქეთ ჩემს არსებობაში თუ რაიმე კეთილი და წმინდა გრძნობა იყო, ამისათვის ვინახავდი“.

[1] ელ. თავბერიძის დასახ. ნაშრომი, გვ. 229.

ასლანთარელი პიესის პირველი მოქმედების მესამე გამოსვლაში გამოჩნდება ლუარსამიძის ბაღჩიან სახლთან, მისივე თქმით, ვინმე „ნაჩალნიკის“ სანახავად, თუმცა მასზე მართას ჰქონია ინფორმაცია: „ამ პატარა სალომეს ჩამოჰყვა თან და ამბობენ, ვითომც მისი საქმრო უნდა იყოსო“.

ასლანთარელი პიესაში პირველივე გამოჩენისთანავე ავლენს უკმაყოფილებას „ნაჩალნიკის“ მიმართ, რომელთანაც შეხვედრა სურდა სალომეს მამასთან დაკავშირებით. მაზრის უფროსი ჭადრაკის თამაშით იქცევდა თავს და არად აგდებდა თურმე ვარდენის ლოდინს. ღამის 10 საათი სრულდებოდა და ბოლო არ უჩანდა ჭადრაკის თამაშს: „სოფლად ჩვენში მქონდა გაგონილი, თანამდებობის კაცებმა „ზავთრა, ზავთრა“ იციანო, მაგრამ არ მჯეროდა“... მართამ უთხრა ლუარსამიძესთან შეხვედრა მეორე დღისთვის გადაედო, რადგან „საქმეზე ლაპარაკი დღით უნდაო“. თანაც დააიმედა, რომ ლუარსამიძე მათი დიდი თანამგრძნობი იყო.

ამის შემდეგ ვარდენ ასლანთარელი კომედიაში არ ჩანს მეორე მოქმედების მეთერთმეტე გამოსვლამდე. აქ მას ვხედავთ სალომესთან მოსაუბრედ. ქალს უხარია მასთან ყოფნა: „როცა შენ ჩემთან ხარ, მაშინ ჭკუა და გული დასვენებული მაქვსო“. თუმცა ვარდენმა ეს „დასვენებული გული“ ერთობ მოულოდნელად აუფორიაქა. ურჩია სალომეს მისივე მამის საქმის ბედისა და შემთხვევისთვის მინდობა, ხოლო მათი შინ დაბრუნება. ამის მიზეზი იყო ის, რომ ასლანთარელმა ქალაქური ცხოვრების წესებს ალღო ვერ აუღო, აქაური კაცების სიტყვაში მეორე ხმა მოისმინა მხოლოდ, დაფარული, ორაზროვანი, ორპირული, აქაურ მკვიდრთა ერთადერთ იარაღად სიცრუე დაინახა, რომლის ხმარებისათვის კანონი არ სჯის მათ, აქაური სიტყვა სიმართლის ძალას მოკლებულია. ამიტომაც უმძიმს აქაური ჰაერით სუნთქვა, მტკერი ახრჩობს. სალომე შთააგონა, რომ გრიგოლ ბატონიშვილი არ მიეჩნია საიმედო კაცად. მას უკვე შეუმჩნევია მისი სიბილწე, გარყვნილება, სახელგატეხილობა.

ასლანთარელს ბევრი საუბარი არ უყვარს, მტკიცე ხასიათისაა; „ერთხელ მომეკლინება ამის სიმსხო უბედურება, მანვე უნდა წამიღოს...

მეორეს აღარ მოვუცდი. მას, როგორც მთის კაცს, გამბედაობა სჩევია. ერთმანეთთან მოსაუბრე მართას, ლუარსამიძეს, ბატონიშვილს მოულოდნელად თავს დაადგება ასლანთარელი, რაც მათ გაუკვირდათ. მართა ჩაერია საქმეში: „წუღები აცვია და ფეხის ხმა არ ისმისო“; გრიგოლმა დაამატა: „წუღები ქურდების გამოგონილია, რომ ფეხის ხმა არ გაიგონოო“. გამბედავი ასლანთარელი პასუხობს: „მე ვფიქრობ, ბატონიშვილო, ეს ჰაზრი ცრუობა უნდა იყოს, თვარემ უთუოდ თქვენ გეცმებოდათ წუღები, თუ არა საქურდალად, ქურდობაზედ არა უმაღლესის ხარისხის რაიმესთვის“.

როდესაც ასლანთარელი დარწმუნდება გვიან ღამით სალომესთან ერთად ბატონიშვილის ცალკე ოთახში სტუმრობაში, რაც მეორე დღეს მთელ ქალაქს მოდებია, წონასწორობიდან გამოსული ელაპარაკება მართას, სალომეს თანდასწრებით: ქალაქში სათამაშოდ არ ჩამოსულა, აქ სტუმრობას პატივი არ სცეს, შებღალეს ქალიშვილის უბიწოება და პატიოსნება. გვაქციეს ქვეყნის სასაცილოდ და სამასხაროდ, ხელები შემიკრეს რკინის ჯაჭვით, სალომე შეათრიეს რაღაც სატანურ საიდუმლოში და ამით მოაჯადოვეს... ასლანთარელი თავისი სიტყვების სიმართლის დასადასტურებლად მართას გაუწოდებს გრიგოლის ხელით დაწერილ ბარათს; იქვე გაურკვია, თუ ეს ქაღალდი როგორ მოხვდა მის ხელში.

როგორც მთის კაცი, ვარდენ ასლანთარელი გულადი ვაჟკაცია, ვერ იტანს სიცრუეს, ბიწიერებას, უსამართლობას, შეურაცხყოფას, მამაპაპური კეთილი ტრადიციების დარღვევას, კანონიერების შელახვას. გრიგოლ ბატონიშვილის არამზადობაში და არაკაცობაში დარწმუნებული დუელში იწვევს მას, ვინაიდან დედამიწის ზურგზე ამ ორიდან ერთი უნდა დარჩენილიყო. ამის გამგონე ლუარსამიძე ჩაერევა საქმეში. იგი, როგორც თანამდებობის პირი, ორივეს შთააგონებს მიღებული გადაწყვეტილების უვარგისობაში. ასლანთარელი უკანდაუხევლად არწმუნებს ლუარსამიძეს: „კაცობრივი გრძნობა თქვენი მოგაგონებსთ, რომ ბატონიშვილსა და ჩემს შუა აღარაფერი არ რჩება, სისხლის გარდა!..“

როცა ლუარსამიძემ შთააგონა გრიგოლი და ვარდენი, რომ

კანონით იკრძალებოდა დუელი და პოლიცია ამას არ დაუშვებდა, ასლანთარელმა სხვა გზა მოძებნა: დაპირისპირებულთ კამათელი უნდა გაეგორებინათ, რასაც უნდა გაერკვია, ამ ორს შორის რომელს უნდა დაეხალა შუბლში ტყვია და სიცოცხლე თვითმკვლელობით დაესრულებინა: „აგრეც მქონდა იმედი... რადგან... შეუწუხებლად თქვენი პირადის ზნეობისა, ამპარტავანი სისხლის უნდა სცემდეს თქვენს ძარღვებში!!. თქვენვე ხედავთ... ჩვენ მოვაღწიეთ იქამდის, რომ ჩვენ ორში ერთი უნდა დარჩეს მიწის ზურგზე!.. რა საშვალებითაც უნდა მოხდეს, ეგ სულერთია, ოღონდ კი არ გავტეხოთ მოცემული სიტყვა; მომივიდა შემდეგი ჰაზრი: ავყაროთ კამათლები... და ვისაც ნაკლები მოუვიდეს... თავისი ხელით დამბაჩა იკრას შუბლში!..“ კამათლის გაგორებისას „ნაკლები მოუვიდა“ ასლანთარელს. იგი მზადაა სიტყვა არ გატეხოს და თავის თავს მოუღოს ბოლო: „ეხლა თერთმეტი საათია, ხვალ დილის თერთმეტ საათამდის ჩემი ვალი გარდახდილი იქნება“. მისმა მტკიცე სიტყვამ თავად გრიგოლს ათქმევინა: „მე მაგნაირი ადამიანი ჩემს დღეში არ შემხვედრია! სალოსია ვიღაც ოხერი!.. რასთვის, ღმერთო, უნდა მოიკლას თავი ერთმა უკეთესმა, პატიოსნებით აღსავსემ ჩვენებურმა ყმაწვილმა!.. ჩემის და ჩემის სიავკაცით!.. არ შეიძლება ეგ მოხდეს!..“ ასე ჩაახედა საკუთარ თავში თვით ბატონიშვილიც კი ასლანთარელის სულის სიმტკიცემ, მოცემული სიტყვის გაუტეხლობამ, დადებული პირობის დაურღვევლობამ. იგი აალაპარაკა ვარდენის პატიოსნებაზე, მის მიერვე ჩადენილ დანაშაულზე, ავკაცობაზე, საკუთარი სულის სიმახინჯეზე.

გრიგოლი მართას სთხოვს: „გადავარჩინოთ ძაღლურ სიკვდილს ის ყმაწვილი კაცი“. როცა ყველაფერი გაირკვევა, საიდუმლოებით მოცულ ამბებს ფარდა აეხდება, ეკლებს შორის მოხრჩობილი ვარდი მზეზე გავა, სალომე გამართლდება, ასლანთარელი ინანიებს სალომეს წინაშე მისთვის გულის ტკენას: „მე აღარ ვიცი, რა გითხრა!.. ენა მშრალი მაქვს, ამდენი შენი მწუხარება და ცრემლები ჩემის მიზეზითაა! რას მოვიგონებ ისეთს, რომ ესენი დაგავიწყო!.. მე საფლავში ჩავიტან გულის სიმშვიდეს და იმ ბედნიერ შთაბეჭდილებას, რომ შენ ანგელოზი ყოფილხარ!..“ გახარებული სალომე ასლანთარელს

„გადაეხვევა კისერზედ“. მკითხველი უკვე მოელის, რომ მათ შორის გამრთელებული სიყვარულის ხიდი შეაერთებდა ორივეს ქორწინების დაგვირგვინებით. მაგრამ უეცრად სალომეს აღტაცების მოწმენდილ ცაზე მეხი გავარდა, ვარდენმა ამცნო: „მე ესლა, როდესაც მზე ჩემთვის პირველად განათდა მგონია... ამ საათში... როდესაც მთელი ჩემი არსება გრძნობს აღურაცხელს ნეტარებასა... მე კი ამ საათში უნდა გამოგეთხოვო საუკუნოდ!..“

ვარდენ ასლანთარელის ამ ქმედებიდან ნათლად ჩანს, რომ იგი მთის კანონს არ გადაუხვევს, სიტყვას არ გატეხს, დადებულ პირობას არ შელახავს, მას ყველაფერზე მაღლა აყენებს, საკუთარ სიცოცხლეზე, საკუთარ ღირსებაზე, თვით სალომეს სიყვარულზეც მაღლა აყენებს. თუმცა იგი სიცოცხლისკენ მოაბრუნა ბატონიშვილის მიერ გადაცემულმა ბარათმა, როგორც გრიგოლის ქცევის გამამართლებელმა საბუთმა. საუბარია ვარდისახარის წერილზე, საიდანაც ირკვევა, რომ მართას სახლს სალომესთვის განკუთვნილ ოთახში გვიან ღამით დრო გაუტარებია ბატონიშვილს ვარდისახართან და არა სალომესთან, რადგან ეს უკანასკნელი იმ ღამით ციხეში იყო წასული მანუჩართან ერთად ტუსაღი მამის სანახავად. ვარდენი მოახსენებს გრიგოლს: „შემინდვია უწრფელესის გულით!!.“ ამას მოჰყვა მათი დამეგობრება, ციხეში ერთად წასვლა სალომეს მამის გამოსაყვანად, წასვლამდე კი სალომესათვის იმედის განძად დატოვება: „აღარ გეთხოვები!..“

პეტრე ქონიაშვილი. ავტორი მას გვაცნობს, როგორც „სტუდენტს ბუნებითის მეცნიერებისა“. იგი პიესის პირველივე გამოსვლაში ფიგურირებს, როგორც ჭადრაკის პოთამაშეთა მაცქერალი. ერთ მომენტში მას გრიგოლ ბატონიშვილი თითქოს გააპამპულებს კიდეც; „შენ რა იცი, თუ ძმა ხარ! ეს არის სამხედრო თამაში; არაფერი ანგარიში ბუზებისა და პეპლებისა ამაში არ შედის!“ ან კიდევ: „აი, შენ ქონია, ქონია! რა გრძელი ენა გქონია!..“ ქონიაშვილი გრიგოლს ტრაბახში ამხელს და იქვე მისგან პასუხს იღებს: „რის ტრაბახი!.. ნეტავი სხვა რამეზედ შემეძლოს ისეთი დამსახურებული კვეხნობა, როგორც ქალების სიყვარულზედ“. პირველივე გამოსვლაში ქონიაშვილი გვევლინება დანაძლევებული ლუარსამიძისა და ბატონიშვილის ხელის

გამხსნელად.

კომედიაში, სადაც ეპიზოდურად გამოჩნდება, ქონიაშვილი ყველა შემთხვევაში ავლენს „ევროპულობას“. ქართულად საუბარს ნაკლებად მიმართავს. უფრო რუსულად უქცევს. მისი გამონათქვამი წინადადებანი „აჭრელებულია“ რუსულ-ქართული სიტყვებით, უფრო – რუსულით. ეტყობა, არც ქართული იცის კარგად და არც რუსული, თითო-ოროლა მაგალითი; „არა! მე ამნაირებს!.. очень радикально смотрю!..“ „მე ის მინდოდა... Как сказать... წარმედგინა, რომ თქვენი შეწუხება... Печаль не выражает необычайного явления... არ არის იმისათანა რამ, რომელიც... და ა.შ.

პეტრე ქონიაშვილი „მომაკვდავნი სურათნის“ მეორე მოქმედებაში, საერთოდ, არ ჩანს. მესამე მოქმედების პირველი გამოსვლა მისი ნარდის თამაშით იწყება. ამავე გამოსვლაში იგი ლუარსამიძეს უყვება სასტუმროსაკენ მიმავალი ქუჩის მოსახვევთან ასლანთარელთან შეხვედრის ამბავს: იქვე სავახშმოდ დამსხდარან. ასლანთარელს ხელთ ჰქონია გრიგოლ ბატონიშვილის არზა: „აი, მე სალომესთან ვარო და ნაძლეი მომიგიაო“. მასში რაც ეწერა, ქონიაშვილს იქვე ხმამაღლა წაუკითხავს, მერე ვარდენს გამოურთმევია მისთვის და ჯიბეში ჩაუდვია.

მეექვსე გამოსვლაში ქონიაშვილი ესწრება ბატონიშვილის და ასლანთარელის მიერ კამათლის გაგორებას, სადაც უნდა გადაწყდეს მათ შორის რომელი უნდა დარჩეს ცოცხალი (ქონიაშვილმა ამ პირობის არაფერი იცის). წაგებული ასლანთარელი ტოვებს სასწრაფოდ იქაურობას. გრიგოლს სჯერა ვარდენის ხასიათის სიმტკიცისა და მისი სიავკაციდან გამომდინარე, არ უნდა პატიოსნებით აღსავსე მთის კაცმა თავი მოიკლას. ამიტომ პეტრე ქონიაშვილს ავალებს, დაეწიოს ვარდენს და უკან მოაბრუნოს. ქონიაშვილმა გრიგოლს მოუტანა ამბავი ვარდენის ჭსანისკენ გაქროლების შესახებ.

როგორც ვხედავთ, პეტრე ქონიაშვილი პიესის მხოლოდ რამდენიმე „გამოსვლაში“ მონაწილეობს, მაგრამ შთამბეჭდავად ის, როგორც ჩანს, ლუარსამიძესთან და ბატონიშვილთან დაახლოებული პირია, მათივე სურვილების შემსრულებელი. უკვე სტუდენტობის

პერიოდიდან გადაგვარებული. ქართულად ლაპარაკს არჩევს რუსულსიტყვაობას, როგორც მისი „განათლების“ დონის გამოხატულებას, „გაევროპელობას“. საინტერესოა, რომ ამ პროვინციულ ქალაქში, სადაც იგი ცხოვრობს, არავინ არ აძლევს მას შენიშვნას ქართულ-რუსული მეტყველების გამო, გარდა სვანეთიდან ჩამოსული სალომესი და ასლანთარელისა, რომლებიც ვერაფერს უგებენ მას. როდესაც სალომე მოისმენს ქონიაშვილისაგან რუსულ ენაზე ნაჭიკჭიკებ ვრცელ ფრაზას, ეტყვის: „რაღაც დიდი ამბავი კი ბრძანეთ, ბატონო, მარა მე რუსული არ მესმის, რა ვქნა!.. ქონიაშვილი გაიკვირვებს: „ახ, რუსული არ გესმით?“

ასლანთარელი კი პეტრეს ასე მიუგებს: „რა გამოდის მერე ამ თქვენი მოთხრობისაგან?.. ჩემის ჰაზრით, ეს უნდა გამოდიოდეს ქართულად, რომ ადამიანს მეორე ადამიანი უყვარს; როცა იცნობსო და თუ თავის დღეში არ უნახავს, არც ეყვარებაო. ამას დიდი განმარტება არ უნდა სჭირდებოდეს!..“ ქონიაშვილი გააბრაზა ამ სიტყვებმა: „ Нет, თქვენ ვერ გაიგებთ... ასრე!.. Как можно мысль облекать в дикое выражение“...

გიორგი შარვაშიძემ სტუდენტი ქონიაშვილის სახით წარმოგვიდგინა ახალგაზრდა ქართველი კაცი, რომელიც ესწრაფვის მშობლიური ენის დავიწყებას, იგნორირებას და რუსული ენის დაუფლებაში სიამოვნების პოვნას. თითქოს რუსული „განათლება“ უფრო გამოადგებოდა, ვიდრე ქართული. ეს იყო ცარიზმის რეჟიმის მიზანიც: რაც უფრო მეტ ქართველს ათქმევინებდა უარს მშობლიურ ენაზე რუსულის ჩანაცვლებით, მით უფრო ადრე განახორციელებდა თავის ოცნებას: „ქართულ სხეულში რუსული სული“. ცარისტული ხელისუფლებისთვის უფრო მომგებიანი იყო ამ ტენდენციების ქართველ ახალგაზრდობაში დანერგვა და განმტკიცება.

ვარდისახარი. ვარდისახარი მართა მაღლაძის ქალიშვილია. იგი თავის თავს არ ეკუთვნის. დამოუკიდებლად არანაირი გადაწყვეტილების მიღება არ შეუძლია. დედის უფლებების მონაა, მხოლოდ მისი ნების შემსრულებელი, საკუთარი აზრის გამოთქმას მოკლებულია. ერთი სიტყვით, დედის ოინბაზობის მსხვერპლია. იგი პიესის მხოლოდ

მეორე მოქმედებაში იჩენს თავს, თანაც რამდენიმე (I, II, V, VII) „გამოსვლაში“.

პირველ „გამოსვლაში“ დედა შთააგონებს ვარდისახარს, თითქოს იგი მოსწონდეს გრიგოლ ბატონიშვილს: „შენ აგაშენა ღმერთმა; ამაზედ უკეთ რა რიგად დაგიმოწმოს, რომ დიდად გეტრფის!... რას უწუნებ... გიწყალობებს... თავის დროზედ გაგათხოვებს! მე შენ გეტყვი და მის თავადობას არ იკადრებ!“ ვარდისახარი იმდენად ზნედაცემულია, რომ ბატონიშვილის „ნაწყალობევ“ სამ ან ხუთ მანეთზე უარს არც კი ამბობს: „წყალობასაც მაძლევს ხანდის-ხან. ხან ხუთ მანეთს, ხან სამს... როგორც შეხვდება!“

შესავალი საუბრით ვარდისახარის „დამუშავების“ შემდეგ მართა მას ქაღალდს გაუწოდებს და მოსთხოვს მისივე ნაკარნახევი დაწეროს, რაზეც იგი უსიტყვოდ თანხმდება: „ბატონისშვილო გრიგოლ! თქვენი სურვილი ვსცანი, და თუმც მე დღემდი ასე იაფად არ მიმაჩნდა ჩემი თავი, რომელსაც არ მეგონა თუ ასე ადვილად შევსწირავდი რასმეს, მაგრამ... რა გაეწყობა... ადამიანი თავის ბედის პატრონი არ არის!... მე ყოველისფრად მზად ვარ, რასაც მართა მიბრძანებს“.

მართა წერილს გამოართმევს ვარდისახარს და „დამოძღვრავს“ თუ სალომეს ოთახში როგორ შემოვა ბატონიშვილი და როგორ უნდა „დახვდეს“ მას: ლაპარაკი არ დაუწყოს, არც ღამის სტუმარსაც მისცეს ამის ნება; „მე კაცის ამბავი კარგა ვიცი! რამდენსაც დაბრკოლებას გრძნობს, იმდენად უფრო შეუყვარდები!..“ არც სანთელი უნდა აანთოს, რომ გამვლელს სალაყბო არ მისცეს.

ასე რომ, მართა, როგორც „ახალი დროის“ ქალი, არაფრად აგდებს ქალიშვილის ღირსებას, არ უფრთხილდება მის ზნეობას. ბატონიშვილი სჭირდება ლუარსამიძესთან სამიჯნურო გზის გასაკვალად. ამას მიაღწევს ჰგონია, თუ გრიგოლს ნაძლევი მოაგებინა, რაც ითვალისწინებს გვიან ღამით სალომესთან ყოფნას. იგი არ ერიდება სალომეს ჩაანაცვლოს თავის შვილი, ვარდისახარი. ქალიშვილიც უპრინციპოა. დედის მოთხოვნას იმთაითვე დათანახმდება. არ ფიქრობს შედეგზე, არ დარდობს სახელის გატეხვაზე.

როცა დათქმული დრო დადგება, მის სახლში მოსულ მთვრალ,

მობანდალე ბატონიშვილს მართა თვითონვე შეაგდებს ე.წ. სალომეს ოთახში, სადაც სინამდვილეში ვარდისახარი იმყოფება. ეს არ იცის, რა თქმა უნდა, გრიგოლმა. მას ჰგონია, რომ სალომე ელოდება. მართა კარის მოხურვამდე ეტყვის მას: „როცა გამოსვლის დრო იქნება, მე მოვარაკუნებ კარებზედ“.

ვიდრე ბატონიშვილი სალომეს ოთახს მოადგებოდა, მანამდე კი მეხუთე „გამოსვლაში“ გრიგოლი და ვარდისახარი ერთად არიან. „ლამაზ ვარდს“ უწოდებს ვარდისახარს და ჰკოცნის. შემოუსწრებს ამ სურათს მართა. ვარდისახარი მიაკივლებს და უკან დაიხევს, თითქოს დედის მოერიდაო. მართა კი მშვიდი ტონით იტყვის მათივე მისამართით: „ოო!.. უკაცრავად, კარგს შექცევაში იყავი და დაგიშალეს!“ ასე ხდება დედის უზნეო საქციელის მსხვერპლი ვარდისახარი, რომელიც უკვე უზნეობის გზაზე მიემართება, როგორც „ახალი დროის“ შვილი, გადაგვარებული ქალაქის მკვიდრი.

მანუჩარი. მანუჩარს ავტორი თავიდანვე ას გვაცნობს: ერთგული ბიჭი მართასი“, თუმცა ერთობ გაუგებარია, იგი მართას შვილია თუ ერთგული ყმა, ხელქვეითი. უნდა ვიფიქროთ ეს უკანასკნელი. მანუჩარი პიესის მეორე მოქმედების მერვე „გამოსვლაში“ მართას ენით „სანდო ბიჭად“ მოიხსენიება, მეათე „გამოსვლაში“ კი მას ვხედავთ ციხისკენ მამის სანახავად მიმავალი სალომეს თანამგზავრად თუ მას წინამძღოლად. ამის შემდეგ მანუჩარი გამოჩნდება III მოქმედების მეოთხე „გამოსვლაში“. აქ მას ერთგვარ „დაკითხვას“ ჩაუტარებს ასლანთარელი იმაში დასარწმუნებლად, წუხელ ღამით ახლდა თუ არა იგი ნამდვილად ციხისკენ მიმავალ სალომეს. მანუჩარი გულწრფელად და ზუსტად უყვება ასლანთარელს ყველაფერს, თუ როგორ გაიარეს გზა, ვინ შეხვდათ გზაზე, როგორ მიაღწიეს ციხის კარამდე, როგორ შეაჩერეს ყარაულებმა, როგორ მოვიდა მათთან „ვინცღა მუნდერ-აფიცერი“, ციხის უფროსთან ქალალდით მიმავალთ თუ როგორ გააყოლეს „სალდათიც“, როგორ შევიდა სალომე ციხეში, თვითონ კი გარეთ უცდიდა ქალს, ბოლოს მანუჩარმა ვარდენს ისიც უთხრა, „კაი გათენებულზე“ რომ დაბრუნდნენ შინ. ასლანთარელმა მაღლობა გადაუხადა „სანდო ბიჭს“, ფულიც აჩუქა და თან უთხრა; „შენ არ იცი,

რა რიგათ გამახარე, რომ საიჭვო არაფერი ყოფილა-რა!..“

კიდევ ერთი მომენტია საგულისხმო. მანუჩარი დაიჩივლებს: „ათასი წელიწადი რომ გავძლო, ამ ბატონებს ვერაფერს ვერ გავუგებ!! ვერც თავს და ვერც ბოლოს! არა; შეჩვენებული ამ შუაღამეში დაწვეს და დაიძინოს, არ ურჩევნია!!. მე გეტყვი შენ და ბუმბული და საბანი აკლია!.. არა!.. მიდის — მიეხეტება სად და ტურმაში... თფუ!.. (აფურთხებს). სიტყვებს მიაყოლებს იგი შალის მოსახურავად ოთახში შესულ სალომეს, ციხისკენ წასვლის სამზადისში. გამოდის, რომ მართას „სანდო ბიჭი“ არც ისე ადვილად ეგუება სხვის მსახურებას.

სოფლისა და ქალაქის კონტრასტი. კომედიაში შთამბეჭდავად არის ნაჩვენები, თუ როგორ იგრძნო, მაგრამ ვერ „იყნოსა“ გადაგვარებულმა პროვინციულმა სამაზრო ქალაქმა სოფლიდან შემოსული ზნეობრივ-მორალური სიწმინდის „სურნელება“. გიორგი შარვაშიძე მიგვანიშნებს, რომ ეს სოფელი სვანეთია. ჯერ ერთი, სალომეს გვარი სვანურია — „დევდარიანი“ თუ „დავდარიანი“. ამასთანავე, პირველი მოქმედების მესამე „გამოსვლაში“ მართა მაღლაძე ასლანთარელზე გრიგოლ ბატონიშვილს ეუბნება; „არ ვიცი, შენ ნუ მომიკვდე, ვიღაც ოსი თუ სვანია — ქცევაზედაც ეტყობა“. რაც შეეხება ქალაქს, ნაწარმოებში არ არის მითითებული, თუ კონკრეტულად საქართველოს რომელ ქალაქში ხდება მოქმედება. ალბათ, ქუთაისში, სადაც დიდხანს ცხოვრობდა პიესის ავტორი. ამაზე ერთი მინიშნება იმალება მეორე მოქმედების მეათე „გამოსვლაში“: „მანუჩარ (მარტო, **იმერული** გამოთქმა) ათასი წელიწადი რომ გავძლო, ამ ბატონებს ვერაფერს ვერ გავუგებ“. ეს სხვათა შორის, თორემ რა მნიშვნელობა აქვს იმის ძიებას, თუ ზუსტად რომელ სოფელს და ქალაქს გულისხმობს ავტორი. აქ მთავარია XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისის ქართული სოფლისა და ქალაქის ყოფითი ვითარების გარდასახვა მხატვრული სიტყვის საშუალებით.

საუბარს განვაგრძობთ ელგუჯა თაბერიძის ნათქვამის დამოწმებით საანალიზო კომედიასთან დაკავშირებით: „მწერალი ერთმანეთს უპირისპირებს სოფელსა და ქალაქს. პირველში ტრადიციული ღირებულებანია შემორჩენილი, სიტყვას ფასი აქვს, როგორც იტყვიან,

ისე მოქმედებენ. მეორეში... პირიქით, თქმა და ქმნა ერთმანეთისგან საგრძნობლად განსხვავდება“.[1]

სვანეთის ერთ-ერთი სოფლის მკვიდრნი არიან სალომე დავდარიანი და ვარდენ ასლანთარელი. ქალაქთან შედარებით სოფელს შემორჩენია ძველი, მამაპაპური ტრადიციები, რასაც ჩვენი სამშობლოს მომავალი ყოველთვის გადაურჩენია. ეს არის: სულიერი უმანკოება, პირდაპირობა, მართალი სიტყვის ფასის ცოდნა და მისადმი ერთგულება, მაღალი ზნეობა, შეუბღალავი მორალი, უფროს-უმცროსობის მნიშვნელობის შეგრძნება და პატივისცემა, ღვთიურთან მიმსგავსებული მიწიერი სიყვარულის განცდა, უღალატობა, ზრდილობა, პატიოსნება, სამართლიანობის დაცვა, ხასიათის სიმტკიცე, გონიერება, „კაცობრივი გრძნობის“ ფასი და ა.შ. თუმცა არ არის მიჩქმალული, ზოგჯერ აქაც, ამ წმინდა სოფელში, ადგილი ჰქონდა არაადამიანური თვისებების გამოვლინებას, როგორიცაა უსამართლოდ დასმენა და მაბეზღრობა, ქურდობით ჯოგების გარეკვა.

გრიგოლ ბატონიშვილს სალომე მოუთხრობს თავისი მამის თავგადასავალს. მისი მამა ყოფილა თავადი და ბატონი ქველთა და მთათ — შავთა (სოლომონ გიორგის ძე დავდარიანი-როქსანიძე). მას თავისი ძმა, ანუ სალომეს ბიძა, მტრობდა თურმე. იგი ყოფილა „გავლენიანი კაცი მართებლობასთან“, თუმცა, ხალხს მაინც არ ჰყვარებია. ხალხში თურმე უფრო დიდი სახელით და პატივით სარგებლობდა სალომეს მამა, რადგან იგი უფროს ძმად ითვლებოდა. სალომეს თქმით, „ჩვენში (ე.ი. სვანეთში — ტ.მ.) კიდევ უფროს-უმცროსობას დიდ მნიშვნელობას აძლევენ, თორემ... სხვაფერ მე იმას რათ ვიტყვი, რომ მამა ჩემი რამეში სჯობდა მის ძმას“. ფრაზის ბოლო ნაწილში მზის ელვარებით გამოსჭვივის სალომეს უდიდესი ადამიანური ბუნება. თურმე შურს თავისი გაუტანია. სალომეს ბიძა ვერ იტანდა მისი ძმის პოპულარობას ხალხში. ორჯერ თავს დასხმია ძმის ოჯახს თანმხლები პირებითურთ („თავის კაცებით“) შეშინების მიზნით, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია. ამის შემდეგ მას დარჩენია ერთი გლახაკური, არაკაცური გზა — „მართებლობას შეასმინა, სანდო კაცი არ არისო და დააჭირვინა!..“

[1] ელ. თაბერიძის დასახ. ნაშრომი, გვ. 228.

ამით ავტორმა მიგვანიშნა, რომ გველივით შურის სისინისგან უმანკო და პატიოსანი სოფელიც არ ყოფილა დაზღვეული. იგივე ითქმის ადამიანის ისეთ მანკიერ, მახინჯ თვისებაზე, როგორიცაა ქურდობა. ამ მავნე სენისგან არც სოფელი განკურნებულა.

სალომე გრიგოლს უყვება თავის ძმაზე: „მთიულებს ჯოგი გაგვირეკეს... გამოუდგა იმათ, მოეწია, და მოგეხსენებათ, ატყდა ჩხუბი და მოჰკლეს!!.“ ახლა კი სვანეთის სოფლიდან სამაზრო ქალაქში „გადმოვინაცვლოთ“. სალომე დავდარიანი და ვარდენ ასლანთარელი სიმართლის საძიებლად ქალაქში ჩამოდიან, უდანაშაულოდ დაჭერილი სოლომონ დავდარიან-როქსანიძის ციხიდან გათავისუფლებისათვის გადამჭრელი ზომების მისაღებად. ასლანთარელი მარტო არ უშვებს სალომეს უცნობ ხალხში. სვანეთის სოფელში კარგად სცოდნიათ მეგობრის ფასი. სალომეს ძმა ბექირი და ვარდენი განუყრელი მეგობრები ყოფილან. ბექირს სიკვდილის წინ ასლანთარელისთვის ჩაუბარებია მარტო დარჩენილი სალომე. სალომე და ვარდენიც ასე დამოყვრებულან. ვარდენს მოუსმინოთ: „მე მყავდა ერთი მეგობარი, ამისი ძმა, რომელმანაც სიკვდილის დროს ჩამაბარა ამისი თავი და შეგვაერთა... მას აქეთ ჩემს არსებობაში თუ რაიმე კეთილი და წმინდა გრძნობა იყო, ამისათვის ვინახავდი“. „შეერთებული“ სალომეს და ვარდენის მეგობრობა წმინდა და უზადოა. ერთგულებაზე, სინდისნამუსზე და პატიოსნებაზე დაფუძნებული. სალომეს იგი ერთადერთ ჭირისუფლად ესახება, ამას არც უმალავს: „არ ვიცი, ვარდენ, რა გიპასუხო!.. დამშთენიხარ შენ ერთიღა ჭირისუფლად, ერთიღა... ძმად ჯერ და მომავალში — ღვთის წინაშე მეუღლედ!!.“ წმინდა მეგობრობამ შეაერთა მათი სულები და აქცია, როგორც იოანე ოქროპირი იტყოდა, — ორ სხეულში ერთ სულად. ეს კი უმწიკვლო საწინდარი იყო მომავალში მათი შეუღლებისა.

სალომეს მამა იყო „ქველთა და მთათ-შავთა თავადი და ბატონი“, მაგრამ უბრალოებით გამორჩეული. ხალხის სიყვარულით გარემოსილი. ამ თვისებებით იგი განირჩევა ქალაქელი ბატონ-თავადისაგან, თუნდაც გრიგოლ ბატონიშვილისაგან. სალომესაც უბრალოება ამკობს. იგი არ ამაყობს ბატონის თუ თავადის ასულობით, ქალაქელთაგან

ჩაცმულობითაც გამოირჩევა, უბრალო ჩაცმულობით, „ძველებურად, ჩაბრასთებით კაბა და გულისპირითა. თავზე ლეჩაქი ახურავს“.

სალომეს უმანკოებას და ვარდენის კეთილშობილებას სამაზრო ქალაქის გადაგვარბული ნაწილის წარმომადგენლებიც გრძნობენ და გვერდს ვერ უვლიან მათივე ობიექტურ შეფასებას. გრიგოლ ბატონიშვილი დანახვისთანავე აღიარებს სალომეს „მზეთუნახავ მშვენიერებას“: ნიკოლოზ ლუარსამიძე ბატონიშვილს გულწრფელად უხასიათებს სალომეს პიროვნებას: „ეს გახლავს დავდარიანის ქალი, ძლიერ კარგად და უმანკოდ შენახული აქამდის მთაში; საწყალობელი კარგი რამ არის მართლა! ეხლა ჩამოვიდა და ცდილობს, უშველოს რამე მის მოხუც მამას, რომელიც ორი წელიწადია მას აქეთ, რაც დატუსაღებულია და იღრჩობა საწყალი ბერი-კაცი!..“ მართა სალომეს უწოდებს „მშვენიერ სტუმარს“: „გრიგოლ ჩვენს მშვენიერ სტუმარს, დევდარიანის ქალს არ იცნობ?..“

მართა სინდისს და პატიოსნებას (ჰქონდა კი?..) ეფიცება ლუარსამიძეს სალომეს შესახებ: „ეს ქალი იმდენზე უმანკო და პირდაპირია, რომ არ შეიძლება რამე ეშმაკობა ჰქონდეს გულში“. მართა როცა თავის გამართლებას ცდილობს ასლანთარელთან, დაუფარავად ამხელს ზნეობით დაცემას, რათა თითქოს გაუფრთხილდეს სალომეს ღირსებას (რაც არასდროს არ უარუყვია): „იმდენზედ დავეცით ჩვენ ზნეობით, რომ სალომეს სახელი ვიხმარეთ საშუალებათ.“ ეს არ არის მაცდურ-ეშმაკური აღიარება. სწორედ თავისი უზნეობის შეცნობამდე მიიყვანა სალომეს უმანკოებამ და პატიოსნებამ მაღლაძის ქვრივი ქალი. იგივე ითქმის ლუარსამიძეზე. როდესაც ქალაქში გავრცელდა ხმა, თითქოს წინალამეს გარყვნილ გრიგოლს მართას სახლში სალომესთან გაეტარებინოს ღამე. ლუარსამიძე არც თუ მაცდურად დაიჩივლებს: „არა... უნდა გითხრათ მართალი, რომ ცუდი საქმე გამოვიდა!.. სწორეთ ურიგოთ გამოვიდა!.. როგორ შეიძლება გალანძღო პატიოსანი ქალი... მთელი ქალაქი დღეს ამ ამბავშია!..“ მაზრის უფროსის მხრიდან აქაც აქცენტირებულია სოფლელი სალომეს პატიოსნება.

ასლანთარელი წუხს სალომეს უბიწოებისა და პატიოსნების

შებღალვაზე, ქალაქელთა ცუდ „მასპინძლობაზე“. მართას გულგამსკდარი ეუბნება: „დღეს ჩვენ აქ სათამაშოთ არ ვიყავით ჩამოსულნი, მარა არც სტუმრობას სცეს პატივი, არც ქალიშვილის უბიწოებას და პატიოსნებას, არც ცრემლებს და მწუხარებას და გაგვხადეს ქვეყნის სასაცილოდ და სამასხაროდ!..“ ასე გამოხატავს ვარდენი უნდობლობას ქალაქის გადაგვარებულ ნაწილთა მიმართ. ეს იყო შეუვალი პროტესტი.

ქალაქში ჩამოსული ასლანთარელი მუდამ უფრთხილდებოდა სალომეს სახელს და პატიოსნებას, რომლის წაბილწვას სიკვდილივით განიცდის. ლუარსამიძე ცდილობს მის დამშვიდებას, მაგრამ ამაოდ. გულგატეხილი ვარდენი ეუბნება მას: „ეს შეხედულება თქვენი მაშინ იქნებოდა შესაფერი, რომ სახელი და პატიოსნება იმ ქალის შებღალული არ იყოს!.. რას უნდა ვერიდებოდეთ... და რას დაკარგავს კიდევ... როცა მისი სახელი დღეს ქუჩებში და ლაფში ისვრება“...

ქალაქი ცდილობს, სალომე თავისი გავლენის ქვეშ მოაქციოს. ამ მხრივ, პირველი ნაბიჯი გადაადგმევინა ტყუილის თქმით. მართალია, იგი კეთილი ტყუილი იყო, მაგრამ ტყუილს მაინც სახელს ვერ გადაარქმევ. მას უნდა დაემალა ყველასთვის, მათ შორის ასლანთარელისთვის, რომ ფარულად გვიან ღამით შედიოდა ციხეში მამის სანახავად. ამიტომ იცრუა ვარდენთან. ეს უკანასკნელი არ პატიობს ქალს ამ საქციელს: „დიაღ, დიდ ბედნიერებად ჩავთვლიდი... ეს ლაპარაკი ჩვენს შორის არ მომხდარიყო... რადგან ეს პირველი შემთხვევაა, სალომე, რომ შენ ტყუილის თქმა მოინდომე!!. მე აღარ გკითხავ ამის მიზეზს“...

როგორც სალომე დავდარიანმა ქალაქში ჩამოსვლისას ბოლომდე შეინარჩუნა უმანკოება და პატიოსნება, ასევე ასლანთარელიც არ ღალატობს მთის შეუვალ კანონს. ტყუილად როდი უწოდა მწერალმა მას მთის კაცი. ვარდენმა გადაგვარებულ ქალაქელთ, სულიერად გამოფიტულ ადამიანებს აჩვენა თუ როგორ უნდა მისდიოს ქართველმა კაცმა ზნეობრივ პრინციპებს, როგორ უნდა უფრთხილდებოდეს იგი ქალის ღირსებას, სამართლიანობას, სიტყვისკაცობას. მან სიტყვა მისცა გრიგოლ ბატონიშვილს: თუ წააგებდა კამათლის გაგორებისას,

სრულ მზადყოფნაში იყო თვითმკვლელობისათვის. როცა ყველაფერი გაირკვა, სალომე გამართლდა, ქალს ბოდიშიც მოუხადა განერვიულებისათვის, რადგან „საიჭვო არაფერი ყოფილა-რა“. მიუხედავად ამისა, სამუდამოდ უნდა გამოეთხოვოს მას, ვინაიდან ბატონიშვილისთვის მიცემულ პირობას ვეღარ დაარღვევს: თვითმკვლელობით უნდა დაასრულოს სიცოცხლე. მთის კაცს სიტყვის გატეხვა არ სჩვევია, მას ყველაფერზე, თვით მეგობრობაზე, ქალის სიყვარულზე მაღლა აყენებს. ამ თვისებას, ცხადია, პროვინციული ქალაქის მკვიდრნი მოკლებულნი არიან.

ვარდენ ასლანთარელის ამ ვაჟკაცურმა თვისებამ ბატონიშვილი საკუთარ თავში ჩაახედა, აღიარებინა თავისი სიავკაცე და ვარდენის პატიოსნება: „რისთვის, ღმერთო, უნდა მოიკლას თავი ერთმა უკეთესმა, პატიოსნებით აღსავსემ ჩვენებურმა ყმაწვილმა!.. ჩემის ბოროტებით და ჩემის სიავკაცით!..“ გრიგოლს საერთოდ მეგობარი არ ჰყოლია და პირველად ვარდენს შესთავაზა დამოყვრება: „გიბრძანებ იცოცხლო და დამიმეგობრდე! მე ჯერ მეგობარი არ მყოლია და მგონია... კი ვართ ღირსნი ერთმანეთისა!..“ აი, აქამდე მიიყვანა ასლანთარელს ვაჟკაცურმა საქციელმა მანამდე ბილწი და გარყვნილი გრიგოლი. ამ ფუქსავატ და გამოფიტულ თავადში გაიღვიძა „კაცობრივმა გრძნობამ“.

მართლაც, როცა შეიტყობს ვარდენის გადაწყვეტილებას თვითმკვლელობაზე, ჩაუკვირდება თავის ნამოქმედარს: „მე ეს ფიქრი მაწუხებს... ვაი თუ, ჩემი ბრალია ეგ ამბავი სულ!!.“ მასაც ენანება ეს ამბავი: „საზიზღარი რამ მოხდება, თუ მართლა იმ გიჟმა თავი მოიკლა!..“ გამომდინარე აქედან, სამართლიანად შენიშნავდა აკად. სიმონ ჯანაშია: „აქ უმანკო და შვენიერი“ სალომე და „კეთილშობილი მთის კაცი“ ასლანთარელი დაპირისპირებული არიან უსაქმურ, მორალურ სიმტკიცეს მოკლებული არისტოკრატებისა და ყბედი ცრუ-ინტელიგენტებისათვის, მაგრამ თავისი მხატვრული მეთოდის თანახმად, გიორგი შარვაშიძე გულმოდგინედ ეძებს „კაცობრივი გრძნობისა“ და პატიოსნების ნაშთს ამ მიჯნის მიღმა მდებარე ბანაკში“.[1]

სამაზრო ქალაქის საზოგადოების მაღალი ფენა დაცლილია

[1] ს. ჯანაშიას დასახ. ნაშრომი, გვ. 77.

ეროვნული, ზნეობრივი, მორალური, ადამიანური გრძნობებისაგან, სულიერად გამოფიტულნი არიან, მათში გაუფასურებულია მამაპაპური სასიცოცხლო ტრადიციები, თავი მიცემული აქვთ უშინაარსო ცხოვრებისთვის, არ იციან, რით შეავსონ ყოველდღიურობა, ბიოლოგიური მოთხოვნილებებისთვის დამონებას პირუტყვულ ყოფამდე მიჰყავს ისინი. დასცინიან პატიოსნებას და კაცობას. ეს ფენა თვითონაც გრძნობს სულიერ გამოფიტვას, რაც მოწყენილობაში აგდებს კიდეც. ამ მხრივ, რად ღირს მართას სიტყვების გახსენება: „უჰ, ღმერთო, ვკვდები მოწყენილობით!.. გაკვირვებული ვარ, როგორ ვძლებთ ჩვენ აქ მცხოვრებნი... მთელი დღე ისე გადის, რომ კაცმა არ იცის, რა უნდა ქნას!!.“

„მომაკვდავნი სურათნის“ სოფელს და ქალაქს ერთმანეთთან აპირისპირებს: ზნეობა და უზნეობა, სიკეთე და უკეთურობა, სამართლიანობა და უსამართლობა, უმანკოება და მანკიერება, უბიწოება და ბიწიერება, პატიოსნება და უპატიოსნება, სიმართლე და სიცრუე, ერთპირობა და ორპირობა. ქალაქში ჩამოსული სალომე გულუბრყვილოდ არის მინდობილი გაქნილ მართას. მან არ იცის ქალაქს რა ენით ელაპარაკოს, თავს უცნობ ხალხში გრძნობს, როგორც მართა ურჩევს, ისე იქცევა: „მეტი ვინ მყავს ამ უცნობ ხალხში; „რა ვიცი, როგორ უნდა ლაპარაკი და თხოვნა... როგორც თქვენ მირჩევთ და რა გზაზედაც დამაყენებთ. მე ისე მოვიქცევი“.

ვარდენმა არ იცის ქალაქის „დროის წესები“, სოფლად ჰქონია გაგონილი: „თანამდებობის კაცებმა „ზავთრა“, „ზავთრა“ იციანო“, რაშიც თავად დარწმუნდა ქალაქს ზიარებისას. აქაურნი სოფელს აგდებულად იხსენიებენ. გრიგოლი იტყვის: „რანაირი დაჯღაბნილია! სწორედ სოფლის ქალის ნაწერია!“ ასლანთარელი, სალომესთან შედარებით, პირველი დღიდანვე ჩაწვდა ქალაქის უსულგულობას, გულგრილობას, უგუნურებას, ორაზროვნებას, ორპირობას: „პირველ დღიდანვე რაღაც სიმძიმე მაწევს გულზედ! რაღაც შინაგანი მიხდომილება მეუბნება, რომ ჩვენისთანა (სოფლელნი – ტ.მ.) ადამიანები აქ ვერას გაარიგებენ! აქ თითქოს ყველანი არიან მარადისეულის ზნეობითს ბრძოლაში; თითქოს ხალხი ბევრია და ადგილი არ ყოფნისთ!.. აქაური

კაცების სიტყვაში ისმის მუდამ ,,ეორე ხმა... დაფარული, ორ-აზრიანი და ორ-პირი!.. თითქო სიცრუე არის მხოლოდ ერთიღა იარაღი, რომლის ხმარებისთვის კანონი არა სჯის და ამ იარაღს ხმარობენ თავის დასაცველად!!. აქაურ სიტყვას არა აქვს ძალა სიმართლისა! აქაური ჰაერი მიმძიმს... მტვერი მაღრჩობს!..“ ასე გადმოგვცა გიორგი შარვაშიძემ ასლანთარელის ენით თავისი დამოკიდებულება მისი დროის მაზრის ქალაქისადმი. მწერალი რომ პიესის დასაწყისშივე გვამცნობს: „მოქმედება – მაზრის ქალაქში ჩვენს დროს“. ამ სიტყვებით გაშიშვლებულია XIX საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისის ქართული ქალაქის სხეულში ჩაბუდებული უკეთური სული.

ასლანთარელი უწუნებს სალომეს გრიგოლ ბატონიშვილის მოიმედეობას, რადგან იგი ბილწია და გარყვნილი: „გრიგოლ ბატონიშვილი ბილწი და გარყვნილი კაცია... ხალხში სახელ-გატეხილია!..“ ბატონიშვილს სინდისი ნაკლებად აწუხებს. გვიან ღამით სალომეს ოთახში დროის გატარებას გრიგოლის მიერ თუ მეორე დღეს ქალაქში რა გამოხმაურება მოჰყვა, სრულებით არ ანაღელებს: „მე რაც მოვახდინე მასზედ სინდისი არ მაწუხებს“. სასაცილოა მართას მხრიდან გრიგოლის „დარიგება“. გვიან ღამით სალომეს ოთახში შესვლისას უკადრისი არ იკადროს, უზრდელად არ მოიქცეს: „მარა ერთის პირობითი... უზრდელად არ მოიქცე... ან მოხვევნა არ მოინდომო, ან რამე უკადრისი არ უთხრა!.. მორცხვია და შეწუხდება!..“ ეს ნიშნავდა მგლს თავზე სახარების კითხვას, ან მგლისთვის კრავის ჩაბარებას. თითქოს მართას „ფილოსოფიას“ ღრმად ჩაწვდებოდა თავადი გრიგოლი.

„მომაკვდავნი სურათნის“ ქალაქი არაფრად აგდებს სტუმრის პატივისცემას, ქალიშვილის უბიწოებას და პატიოსნებას, ცრემლებს და მწუხარებას. ვარდენ ასლანთარელი მართასთან საუბარში ამხელს ყოველივე ამას. არ იცის, რა ქნას, სასაცილოდ, სამასხაროდ ქცეულს რკინის ჯაჭვით აქვს ხელები შეკრული; ებრალება, რაღაც „სატანურ საიდუმლოში“ შეთრეული და ამით „მოჯადოსნული“ სალომე. გულს ჯერჯერობით მხოლოდ ამ სისაძაგლის მხილებით იოხებს: „ჩვენ აქ სათამაშოთ არ ვიყავით ჩამოსულნი, მარა არც სტუმრობას სცეს პა-

ტივი, არც ქალიშვილის უბიწოებას და პატიოსნებას, არც ცრემლებს და მწუხარებას და გაგვხადეს ქვეყნის სასაცილოდ და სამასხაროდ!.. არც ეს იკმარეს: მაშინ, როდესაც მგონია ზეცა ჩამოიმსხვრა ჩემთვის და თავზედ დამეცა, — ის სიამოვნებაც მაკლია, რომ ხელებით დავიფარო თავი!!. ხელები შეკრული მაქვს რკინის ჯაჭვით. მით რომ, — ეს საცოდავი (სალომეზე ანიშნებს) და დაღუპული შეთრეულია რაღაც სატანურს საიდუმლოში და მითი იმოდენზე მოჯადოსნულა, რომ ვერასგზით სიტყვა ვერ ვათქმევინე"...

ელგუჯა თაბერიძის თქმისა არ იყოს: „სალომე — ასლანთარელის სურვილი და განზრახვა ქალაქში ათასნაირ ხლართში ეხვევა, პატიოსან, უმწიკვლო ადამიანს ეცხება ჩირქი".[1] ქალაქში ზნეობრივი მიწიერი სიყვარული არ ფასობს, ამითაც დაპირისპირებულა სოფელთან. უმანკო და მშვენიერი სალომე გამიჯნურებულია ასლანთარელზე სიყვარულის წმინდა გრძნობის რუსთველური გაგებით. ასლანთარელს არწმუნებს: „დამშთენიხარ შენ ერთიღა ჭირისუფლად, ერთიღა ძმად ჯერ და მომავალში... ღვთის წინაშე მეუღლედ!!. შენი რჩევა ჩემთვის ბრძანება უნდა იყოს და შენი გრძნობა საერთო ჩემთვის". ქალს ვერ წარმოუდგენია ასლანთარელთან განშორება, რომლის გარეშე სიცოცხლე არაფრად ესახება: „ვარდენ... ვარდენ... რას ნიშნავს ეს სიტყვები და რად მიდიხარ?.. მე მარტოკა მტოვებ!!. არა, უშენოთ მე არ შემიძლია... მე წაგყვები, სადაც წახვალ... შენ გენაცვალე... ვარდენ!.. ნუ მომკლავ... ცოდვა ვარ!" ასეთია მთიელი ქალს დამოკიდებულება მიჯნურისადმი, რომელიც მტკიცე საძირკველია მომავალი ჯანსაღი ოჯახის შექმნისა.

ახლა ამას დავუპირისპიროთ მართას პიროვნება. იგი ქვრივი ქალია, გამიჯნურებულია ლუარსამიძეზე და ყოველმხრივ აქებს გრიგოლს, სათანადო გარიგებებით, ხელი შეუწყოს ამ საქმის მოგვარებაში: „მოსთხოვთ მას ამ წერილში, რომ ხვალ საღამოს, აქ ჩემსას, რამდენიმე მეგობართ ყრილობის შუა დასდვას პირობა, დამნიშნოს და დასდვას დრო, როდის დაიწერს ჩემზე ჯვარს". მართა, როგორც თვითონ ამბობს, არაფრად აგდებს თავის უპირატესობას ლუარსამ-

[1] **ელ. თაბერიძის** დასახელ. ნაშრომი, გვ. 227.

იძეზე, არც გვაროვნობას, არც მდგომარეობას. გრიგოლს მიმართავს: „გთხოვე როგორც ძმას და მეგობარს, იხმარო შენი გავლენა ლუარსამიძესთან და გაკანონიერდეს, ღირსად ჩემდა და მისდა, ეს უბედური ჩემი მდგომარეობა, რომელიც მტანჯავს და დღე და ღამ არ მასვენებს!.. ნუ უკვე მე არ ვიყო ღირსი მისი ცოლობისა იმისათვის, რომ მე ის შემიყვარდა და შევსცდი! მე მგონია, პატიოსანის ადამიანისთვის ეს შემთხვევა კიდევ უნდა იყოს დაფასებული, რომ მე მიუხედავად დიდის ჩემის უპირატესობისა, გვაროვნებითა და მდგომარეობითაც, შევიყვარე ჩემზე უმცირესი კაცი!“

ამ ქვრივ ქალს ლურასამიძემდე ორი წლით ადრე ვიღაც ინჟინერი შეყვარებია, რომელიც ჯარში წაუყვანიათ და სამი თვის შემდეგ გადავიწყნია კიდეც: „შარშან წინ ინჟინერი რომ შემიყვარდა, მაშინ, ღმერთო!!. რა რიგათ დავტანჯე!.. ღამით არ მეძინა და დღით არაფერს ვჭამდი... მაგრამ... მადლი შენდა, მაცხოვარო!!. ჯარში წავიდა და სამი თვე რომ ვერ ვნახე... დამავიწყდა!!. ასეა კაცის ცხოვრება!!. არ უნდა ჩააცივდეს ადამიანი ერთ რამეს!.. ახალს დროს ახალი საგანი მოაქვს!..“ „ახალი დროის“ შვილი მართასთვის „ახალი საგანი“ მოუტანია, ანუ „დღეს ერთი უნდეს, ხვალე სხვა, სთმობდეს გაყრისა თმობასა“, რომელმაც გადაფარა რუსთველური „გული ერთსა დააჯეროს“...

ამრიგად, „მომაკვდავნი სურათნის“ სოფლისა და ქალაქის ერთმანეთთან დაპირისპირების ჩვენებით გიორგი შარვაშიძემ გვაგრძნობინა მისი სიმპათიები სოფლის, ანუ მამაპაპური კეთილი ტრადიციების დაცვის მიმართ და შინაგანი პროტესტი — ამ ტრადიციების უარმყოფელი „ახალი დროის ახალ საგანს“ აკიდებული ქალაქისადმი, რომელიც მისი სამშობლოს მომავალს კატასტროფას უმზადებდა.

წერილების ფუნქციისათვის. ფაქტიურად წერილების ღერძის გარშემო ტრიალებს პიესაში განვითარებული „მოვლენები“. სწორედ წერილების გასაღებს შევყავართ ავტორის ჩანაფიქრის სამყაროში. გავეცნოთ ამ ბარათებს ტექსტის თანმიმდევრობით.

პიესის პირველი მოქმედების მეექვსე „გამოსვლაში“ შედგა დიალოგი მართას და ლუარსამიძეს შორის. მართა ემუდარება ლუ-

არსამიძეს, რათა დაეხმაროს სალომეს გვიან ღამით ციხეში მამის მონახულებაში. მან იცის, რომ ნიკოლოზის ძმა ციხის ზედამხედველია. მაღლაძის ქალის თხოვნის საფუძველზე მაზრის უფროსს უნდა მიეწერა ბარათი ციხის ზედამხედველი ძმისთვის გვიან ღამით ციხეში მთიელი ქალის შეშვების თაობაზე. ლუარსამიძე ერთმნიშვნელოვნად აიმედებს მართას: „ჰო, და!.. მე ჩემს ძმას მივსწერ, რომ მე ვარ პასუხის მგებელი და მე ვიქნები მისი მოღალატე თუ რამ ცუდი გამოვიდეს ამისაგან!..“ ჩანს, მან სიტყვა არ გატეხა და სინამდვილეში მისწერა წერილი ძმას, რომელიც მართამ გადასცა სალომეს. ამას ადასტურებს ასლანთარელთან საუბარში მართას ერთგული ბიჭი მანუჩარიც, რომელიც მაღლაძის ქალმა გვიან ღამით ციხისკენ მიმავალ სალომეს გააყოლა. მანუჩარი უდასტურებს ვარდენს: „ჩვენ ვუთხარით, რომ ასთე-ისთე... პომპოლიკთან... ციხის უმფროსთან ქაღალდი მიგვაქ-თქო!.. წადითო, გვითხრეს და სალდათიც გამოგვაყოლეს!.. მერე მიველით იქ და, ჯერ ბატონმა კნიაჟნამ ქაღალდი შეაგზავნა, მერე გამოვიდა კაცი და მობრძანდიო, პაჟალუსტაო!.. მერე ის იყო... შებრძანდა და მე გარეთ მოვუცადე!..“ ე.ი. ლუარსამიძემ სიტყვა საქმით დაამტკიცა. მისმა წერილმა დადებითი როლი შეასრულა. სვანეთიდან ჩამოსულმა „უმანკო და შვენიერმა“ სალომემ უსამართლოდ დაპატიმრებული მამა მოინახულა ციხეში და ამით აიხდინა დიდი ხნის ოცნება.

მეორე მოქმედების პირველ „გამოსვლაში“ ისევ მართა აქტიურობს უკვე სხვა შინაარსის წერილის „გამოცხობაში“. იგი თავის ქალიშვილს ვარდისახარს დასვამს მაგიდასთან, მისცემს ქაღალდს, საწერს და ავალებს, მისივე ნაკარნახევი სიტყვა-სიტყვით გადაიტანოს ქაღალდზე. ბარათი იწერება ბატონიშვილის სახელზე, სადაც დაფიქსირებულია ვარდისახარის დამოკიდებულება თავადიშვილ გრიგოლისადმი: „ბატონისშვილო გრიგოლ! თქვენი სურვილი ვსცანი, თუმცა მე დღემდი ასე იაფად არ მიმაჩნდა ჩემი თავი, რომელსაც არ მეგონა თუ ასე ადვილად შევსწირავდი, რასმეს, მაგრამ რა გაეწყობა... ადამიანი თავის ბედის პატრონი არ არის!.. მე ყოველისფრად მზად ვარ, რასაც მართა მიბრძანებს“... ბარათისთვის მის ჩამწერს ხელი არ მოაწერინა.

მართა ამ წერილს გადასცემს გრიგოლ ბატონიშვილს.

აღნიშნული ბარათით მართა ქსოვს და ხლართავს სიავის ბადეს: თავისივე ქალიშვილს თავს ახვევს გარყვნილი და სახელგატეხილი ბატონიშვილის სიყვარულს, ამით სურს დაიყოლიოს ვარდისახარი, რათა გვიან ღამით ე.წ. სალომეს ოთახში მთის ქალის მაგივრად სწორედ იგი დახვდეს გრიგოლს; სურს, ამასთანავე, გრიგოლ ბატონიშვილი დაარწმუნოს, რომ მას ოთახში სალომე დაელოდება, თითქოს ამით მოაგებინებს კიდეც ლუარსამიძესთან ნაძლევს.

მოგვიანებით, ე.ი. ამ ავადსახსენებელ გვიან ღამემდე, ვარდისახარი გრიგოლს შეახსენებს, მიიღო თუ არა მისი წერილი. ბატონიშვილს გაუკვირდა: „წიგნი!.. რა წიგნი!..“ ნაძალადევად დაუმოწმა; „კი... როგორ არა!!. მჰ!.. მჰ!..“ მას თავში უტრიალებს ფიქრი: „რა იყო, იმ გოგომ რომ სთქვა!.. წიგნი მიიღეო? რა იცის მაგან წიგნის საქმე!.. ეგება ქე იცის!.. მართასი დიდი მეთათბირეა!.. რამე ცუდი ეშმაკობა არ იყოს ამაში!..“ დაეჭვდა ბატონიშვილი, თუმცა გამოკითხვას თავი აარიდა. ვარდისახარს ეგონა, რომ მართას ნაკარნახევი, მაგრამ მისი ხელით დაწერილი ბარათი მისი სახელით შეხიოდა გრიგოლთან, ბატონიშვილს ჰგონია, რომ მართას ხელით მიღებული წერილი სალომეს ეკუთვნის.

მეორე მოქმედების მეორე „გამოსვლაში“ მართა სალომეს აწერინებს ბარათს გრიგოლ ბატონიშვილის სახელზე, რომ ის მაღლაძის ქალს ენდობა და აძლევს ვექილობის საშუალებას გრიგოლთან მოსალაპარაკებლად პატიმარი მამის საქმესთან დაკავშირებით. როცა სალომეს ოთახიდან დაითხოვს, მართა ფარულად ხევს ამ წერილს გრიგოლის შემოსვლამდე.

პიესის მეორე მოქმედების მესამე „გამოსვლაში“ მართა ღამით ოთახში შესასვლელ კლიტეს გადასცემს ბატონიშვილს და თანაც სთხოვს ბარათის დაწერას: „ერთი... უბრალო... პატარა ბარათი, რომელშიაც თქვენს მოგებულს ნაძლევს მოსთხოვთ წამგებს და რადგან ასე მალე ვერ მოგართვეს... მოსთხოვთ მას ამავე წერილში, რომ ხვალ საღამოს, აქ ჩემსას, რამდენიმე მეგობართ ყრილობის შუა დასდვას პირობა (იგულისხმება ლუარსამიძე – ტ. მ.), დანიშნოს და დასდვას

დრო, როდის დაიწერს ჩემზე ჯვარს". თანაც არწმუნებს: „მე მსურს ეს შემთხვევა მოვიხმარო შენდა სასარგებლოდ". გრიგოლი ფეხს ითრევს, მაინც დაჯდება წერილის საწერად. მართა ცოტა მოგვიანებით შეახსენებს, დაწერა თუ არა. ბატონიშვილი შეეკითხება თუ როდის აპირებდა ამ ბარათის გაგზავნას. მაღლაძე პასუხობს: „ხვალ!.. შემდეგ მისა, როცა შენ ამაღამ აქედამ ბედნიერი გახვალო" (იგულისხმება სალომესთან მისი დროის გატარება).

ბატონიშვილი ასე დაასრულებს მართას ნათხოვარ „ნანატრ" წერილს ლუარსამიძის მიმართ: „შენი უერთგულესი გრიგოლ, რომელსაც წრფელი გულით სურს შენი ბედნიერება!.." ბარათს გადასცემს მართას და შემდეგ იქვე ბატონიშვილი მიუახლოვდება სალომეს, რამაც შინაგანად ააფორიაქა მაღლაძის ქალი. თავისთვის ჩაილაპარაკა; „ეხლა თუ არ დავიღუპე, მერე არაფერი მიჭირს?!" მაინც რამ შეაშინა იგი? ბუნებრივია, შიშს საფუძველი ჰქონდა: ვაითუ, სალომეს უთხრას, შენი წერილი მივიღეო, იგულისხმება ვარდისახარის ხელით ნაწერი.

გრიგოლმა მართლაც უთხარა სალომეს, თქვენი წერილი გადმომცაო მართამ. მთის ქალმაც იმთავითვე უპასუხა: „დიაღ, ბატონო, მე პირდაპირ ლაპარაკს ამ საგანზე... ვიშიშვი თქვენთან... და ვსთხოვე მართას, რომელიც უთუოდ გადმოგცემდათ ყოველს ჩემს სიტყვას და ჩემს თხოვნას!" სალომეს აქ მხედველობაში ჰქონდა ის წერილი, რომელიც მართამ დააწერინა ვექილობის თაობაზე და მერე ჩუმად რომ დახია, რაზეც, ცხადია, წარმოდგენა არ ჰქონდა მას. სალომეს პასუხით მართამაც „ამოისუნთქა": „ძალიან კარგი... მშვენიერი!.."

გრიგოლ ბატონიშვილი აიმედებს სალომეს, რომ გუბერნატორის სახელზე დაწერდა არზას მის პატიმარ მამასთან დაკავშირებით: „ეხლა კი ჩემს სახლში გიახლები და დავწერ არზას გუბერნატორის სახელზედ, რომელსაც გაახლებ ეხლავე; გთხოვთ ხელი მოაწეროთ და დამიბრუნოთ". მართამ ურჩია არზაზე ხელისმოწერის მეორე დღისთვის გადადება. გრიგოლიც დაეთანხმა: „სწორედ სჯობია? დიაღ, ერთი ფრანგული ანდაზა იტყვის: „ღამე კარგი მრჩეველია". გახარებული სალომე ასლანთარელსაც ამცნობს: „გრიგოლ ბატონიშვილი არზის დაწერას შემპირდა ღუბერნატორთან და ამ არზის პასუხს მაინც

გამოიტანს, გინდ სიტყვიერად... ამაში დარწმუნებული ვარ, არ მომატყუებს.“

კიდევ ერთი საბედისწერო ბარათის შესახებ. გრიგოლ ბატონიშვილი მთვრალ მდგომარეობაში შემოდის („ბანდალებს და ენამოტეხილად ლაპარაკობს“) მართას სახლში, ამოიღებს „სპიჩკას და უკიდებს სტოლზე სანთელს“, საათს დახედავს, დაჯდება და ხმამაღლა ლაპარაკობს, რასაც წერს: „პირველი საათი ნაშუაღამევისა სრულდება... სალომე მომელის მეორე ოთახში! მომიგია!“ ბარათს დაკეცავს, ფანჯარას გააღებს, მიიხედ-მოიხედავს და შენიშნავს ვიღაც ნაბდიან კაცს, გადაუგდებს ქაღალდს და ეტყვის: „ეს ბარათი წაიღე ნაჩალნიკთან... ძლიერ საჭიროა-თქო... გრიგოლ ბატონიშვილისგანაა-თქო“.

ეს „ნაბდიანი კაცი“ თურმე ვარდენ ასლანთარელი აღმოჩნდა. ამ წერილს იგი გააცნობს მართას, რომელიც წაკითხვისთანავე ცოტა არეულად წარმოთქვამს: „ყმაწვილი ხარ!!. რა გარწმუნებს, რომ ეს გრიგოლის დაწერილია, განა ვისმეს არ შეეძლო მტრობით მოეხერხებია!..“ ასლანთარელი კი გარკვევით მოახსენებს მართას: „კმარა, ბატონო, კმარა, რაც ოდენ დასცინე ჩემს პატიოსნებას და კაცობას!.. ეს წერილი თვითონ გადმომიგდო მე გრიგოლ ბატონიშვილმა, არ იცოდა ვინ ვიყავი!..“

მართა გამოსავალს ეძებს: „მაშ, იცოდე, რომ გრიგოლ იყო წუხელ აქ... ჩემთან!.. მაშ იცოდე, რომ გრიგოლმა ლუარსამიძეს მიწერა ეგ წერილი იმისთვის, რომ რამე ეჭვი მას არ შესვლოდა გულში... იცოდე ესეც... დაუმატებ ჩემდა სასირცხვოდ, რომ იმდენად დავეცით ჩვენ ზნეობით, რომ სალომეს სახელი ვიხმარეთ საშუალებათ!..“ ამის შემდეგ ასლანთარელი შეეცდება ასეთი „გამოცდის“ ჩატარებას. სასწრაფოდ მოაყვანინებს გრიგოლს, რომლისთვისაც ეს ბარათი უნდა წარედგინა სალომეს და ეკითხა: „რათ ინებე ამის დაწერა-თქო“. თვითონ კი ფარდის უკან დაიმალებოდა და ასე შეიტყობდა სიმართლეს.

გამწყრალი სალომე ქაღალდს გაშლის და აჩვენებს გრიგოლს, თანაც ასეთ სიტყვებს მიახლის: „რა სინდისმა მოგცათ ნება და რა უფლებით დაგიწერიათ წუხელი თქვენ ეგ ქაღალდი?!.“ გრიგოლი არ უარყოფს, რომ ბარათი მისი დაწერილია. სალომე გამოკითხავს,

თუ სად დაწერა იგი და რა დროს. მიიღებს ზუსტ პასუხს. კვლავ შეკითხვა: „ახლა სთქვით მართალი, თუ კი რამ პატიოსნება არის თქვენში, წუხელი აქ თქვენ ვისთან მოხვდით?..“ სალომე პასუხს ითხოვს „ჯოჯოხეთისგან გასათავისუფლებლად“. გრიგოლს სხვა გზა არ ჰქონდა, უნდა ეპასუხა: „ვისთან და... თქვენთან!!.“ სალომემ წერილი ცხვირპირში ესროლა და გამოლანძღა კიდეც („უსამუსო, ცრუ“).

ასლანთარელი გამოვარდა ფარდიდან და აგრძნობინა, რომ მათ შორის მოციქული ხდება ტყვია. მთის კაცი დუელში იწვევს ბატონიშვილს. საქმეში ჩაერია ლუარსამიძე, რომელსაც ვარდენმა აჩვენა სალომეს მიერ დაგდებული წერილი და ამცნო: „ეს წერილი თქვენთან იყო წუხელი გამოგზავნილი ჩემი ხელით... როცა თქვენ სცნობთ, რა სწერია მაგათში... ვიმედოვნებ, კაცობრივი გრძნობა თქვენი მოგაგონებსთ, რომ ბატონიშვილსა და ჩემს შუა აღარაფერი არ რჩება, სისხლის გარდა!..“

სიმართლე გაირკვა, სალომე გამართლდა, ბატონიშვილმა დაუჩოქა „ანგელოზ სალომეს“, სთხოვს მიტევებას და შენდობას, ძმობას ეფიცება. თავისი ქცევის გასამართლებლად ასლანთარელს გაუწოდებს ვარდისახარის წერილს. ვარდენმა წაიკითხა. ბნელით მოცულ ჩახლართულ ამბებს ნათელი მოეფინა. შეუნდო ვარდენმა გრიგოლს: „შემინდვია უწრფელესის გულით!!. შემდეგ ორივენი ციხისკენ გაემართნენ სალომეს მამის გამოსაყვანად, რათა იგი სალომეს მოჰგვარონ და დაავიწყონ გადატანილი ჭირვარამი.

ფიცი და პირობა. კომედიაში ფიცი და პირობა გარკვეულ როლს ასრულებს. პერსონაჟები ფიცულობენ და პირობას დებენ, რომ სიტყვას არ გატეხენ, დანაპირებს შეასრულებენ. ეს მეტი გულწრფელობისთვის სჭირდებათ. მივყვეთ ტექსტს თანმიმდევრობით.

მართა პირდება გრიგოლ ბატონიშვილს, თუ ერთ საქმეში გაუწევს დახმარებას (ესაა სალომეს მამის ციხიდან დახსნა), ყოველდღე თითო საათით ილაპარაკებენ მასზე: „თუ კი აგრე ბედნიერად მიგაჩნია შენი მოგონება ჩვენგან, პირობას დავსდებთ, რომ დღეში თითო საათი შენზედ ვილაპარაკოთ, ერთს საქმეში თუ შეგვეწევი“. თავის მხრივ გრიგოლსაც დასჭირდა მართას დახმარება ლუარსამიძესთან ნაძლევის

მოსაგებად, ვინაიდან მაზრის უფროსს მისთვის პირობა აქვს მიცემული, რასაც მოსთხოვს, შეასრულოს: „ეხლა კი ერთ საგანზედა ვართ დანაძლევებული მე და ის და პირობა მომცა შეასრულოს, რაც მოვსთხოვო; ნიკოლოზს შენც (მიემართება მართას – ტ.მ.) კარგად იცნობ, რომ სიტყვის შემცვლელი არ არის“.

მართა გაკვირვებით ეუბნება ბატონიშვილს: „ოხ! გრიგოლ, გრიგოლ!.. იფიქრე ერთი, რას მეუბნები და რა რიგ ქრთამს მთხოვ ნაცვლად... იმ კაცობისთვის პატიოსნის შეწევნისა, რომელსაც მპირდები“. მართამ ნიკოლოზ ლუარსამიძე რომ დაარწმუნოს სალომეს უმანკოებასა და პირდაპირობაში, ნათქვამისთვის მეტი სიმართლის შესაწევად სინდისს და პატიოსნებას (გააჩნდა კი?) ეფიცება: „სინდისს და პატიოსნებას გეფიცები! ეს ქალი იმდენზე უმანკო და პირდაპირია, რომ არ შეიძლება რამე ეშმაკობა ჰქონდეს გულში“. მართა გრიგოლს არწმუნებს, ნაშუაღამევს თავისი სახლის ერთ-ერთ ოთახში სალომეს შეახვედრებდა ლუარსამიძისთვის ნაძლევის მოსაგებად, ოღონდ იმ პირობით, რომ ქალს ნამდვილად უშველიდა მამის ციხიდან გათავისუფლებაში: „ერთის პირობით, რომელშიც მე უნდა დამარწმუნო პატიოსნის სიტყვით!“ გრიგოლის პასუხმაც არ დააყოვნა: „ეგ დაგპირდი და გათავებულია. როდის იყო, გრიგოლ თავის პირობას არ ასრულებდა?..“ თუმცა თავის დასაზღვევად იმასაც ეტყვის, რომ შეეცდება ამ საქმის მოგვარებას: „საპყრობილეს დავეცემი და გავტეხ-მეთქი, ამას ვერ დაგპირდები, თუმცა ესეც ერთი საშუალებაა, მაგრამ... და ისე... მოქალაქურის. მოქმედებით ძლიერ მოვინდომებ!!.“ კვლავ გაუმეორებს ბატონიშვილი მართას: „განვიმეორებ ჩემს კითხვას, როდის იყო გრიგოლი პირობას არ ასრულებდა?!“

მართა გრიგოლ ბატონიშვილს თხოვს ლუარსამიძისთვის წერილის მიწერას, სადაც ნათქვამი იქნება, რომ წაგებულმა მეგობართა ყრილობაზე დადოს პირობა მისი დანიშვნისა და დააკონკრეტოს დრო მასზე ჯვარისწერისა: „ერთი... უბრალო... პატარა ბარათი, რომელშიც თქვენს მოგებულს ნაძლევს მოსთხოვთ წამგებს... მოსთხოვთ მას ამავე წერილში, რომ ხვალ საღამოს, აქ ჩემსას, რამდენიმე მეგობარი ყრილობის შუა დასდვას პირობა, დამნიშნოს და დასდვას დრო, რო-

დის დაიწერს ჩემზე ჯვარს“.

მართა ვიდრე ღამით სალომეს შეახვედრებდა, ბატონიშვილს პირობას ადებინებს, რომ ქალს უზრდელად არ მოექცევა, ხვევნას არ მოუნდომებს, რამე უკადრისს არ ეტყვის და ამით მის სიმორცხვეს არ შებღალავს: „მარა ერთის პირობით... უზრდელად არ მოიქცე... ან მოხვევნა არ მოინდომო, ან რამე უკადრისი არ უთხრა!.. მორცხვია და შეწუხდება“. გრიგოლიც იმთავითვე პასუხობს: „არა, არა, პირობას გაძლევ, მინდა რამეები გამოვიკითხო მის საქმეზე“.

გვიან ღამით მამის მოსანახულებლად ციხეში შესვლა სალომეს მხრიდან გასაიდუმლოებული იქნება და იგი არავის ეცოდინება, ამაში დასარწმუნებლად მთის ქალი მართას წინაშე ფიცულობს ღმერთს, მამას, გარდაცვლილ ძმას და თავის პატიოსნებას; „რა რიგად დაგარწმუნო მე უბედურმა!!. გეფიცები იმ მოხუცის თავს, რომელზედაც ვსასოებ!!. გეფიცები მოგონებას ჩემის ერთის ძმისას... გეფიცები პატიოსნებას და ღმერთს!!.“ ეს ფიცი მოჰყვა მართას თხოვნას: „როგორმე უნდა დამარწმუნო, რომ არავითარს ცოცხალს ადამიანს არ ეცოდინება, თუ შენ ამაღამ არ იქნები და მამა შენს ნახავ!!.“

თავისი პატიოსნების (?) დაფიცება უხდება მართას ასლანთარელთან საუბრისას; „იმ საიდუმლოს, რომელზედაც შენ ლაპარაკობ, სალომე ვერ გაგიმჟღავნებს. მაგრამ ეგ შენთვის სულ ერთი უნდა იყოს, რადგან — გეფიცები პატიოსნებას, რომ ის შენთვის სრულიად საწყენი არ არის!!.“ ასლანთარელის პასუხი: „საკვირველია, ბატონო, ეგ თქვენი ფიცი!!.“

ლუარსამიძე უმტკიცებს გრიგოლს და ასლანთარელს, რომ შეუძლებელია მათ შორის დუელი მოხდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში გუბერნატორის ჩარევით აყრიან მათ იარაღს; „კანონისაგან აკრძალულია დუელი და პოლიცია ვალდებულია დაშალოს და არ მიუშვას და უკიდურეს შემთხვევაში, „აცნობებს რა უმაღლეს მთავრობას, იარაღი ჩამოხადოს და დაატყვევოს!..“ ლუარსამიძე სთხოვს მათ პირობის დადებას, რომ დუელი არ შედგება; „დიდათ თანაუგრძნობ მე თქვენ მისწრაფებას როგორც კერძო კაცი, მაგრამ, როგორც თანამდებობისა — გთხოვთ პასუხს, რა გზას მიჩვენებთ?.. თუ პირობას მომცემთ,

ვენდობი თქვენს პირობას!!. პირველი ასლანთარელი დებს პირობას: „რაღა საშველია აქ!.. მომიცია პირობა“. გრიგოლიც ხელს აძლევს: „პირობა მეგობრისა!..“

ასლანთარელს გული წყდება, რომ ამ ქალაქში „სამართალი იცავს ავაზაკობას და სიმართლე რჩება უღონოდ“. იგი პირში მიახლის ბატონიშვილს: „ამ ცუღლუტობის შემთხზველი თქვენ ხართ, ბატონო ჩემო!!.“ გულმოსული გრიგოლი შეეპასუხება: „ნუ გამომიყვანთ მოთმინებიდან და ნუ გამატეხინებთ ჩემს პირობას!..“ ასლანთარელი მწარე ღიმილით მიუგებს: „ვითომ... ამოდენზე ერიდებით თქვენს პირობის გატეხას, თუ... სასარგებლოთ პოვებთ თქვენდა ამ პირობის შენახვას...“ რომ არ გატეხონ ლუარსამიძისთვის მიცემული პირობა, ასლანთარელი მოითხოვს — კამათელმა გაარკვიოს წაგებული, რომელიც ვალდებული იქნება „თავისი ხელით დამბაჩა იკრას შუბლში!..“ ვარდენი იტყვის: „მაშასადამე, რა საშვალებითაც მოხდეს, ეგ სულერთია, ოღონდ კი არ გავტეხოთ მიცემული სიტყვა; ამისთვის მომივიდა შემდეგი ჰაზრი: ავყაროთ კამათლები... და ვისაც ნაკლები მოუვიდეს!.. თავისი ხელით დამბაჩა იკრას შუბლში!..“

სალომე მთელი არსებით უმტკიცებს ასლანთარელს, რომ გუშინ ღამით საერთოდ არ ყოფილა მართას სახლში და როგორ შეხვდებოდა ბატონიშვილს: „მე მაქვს ახალი საშუალება, დაგიმტკიცო, რომ შემცდარი ხარ!.. არა, არ ვყოფილვარ!.. გარწმუნებ სინდისით!.. გიფიცავ შენ... გეფიცები ჩემს სარწმუნოებას!.. სად ვიყავი? ამის თქმა... არ შემიძლია... დაფიცებული ვარ!“ მანუჩარიც ერთგულია ფიცისა; „მე როგორ ღმერთი გამიწყრებოდა... როგორ ვილაპარაკებდი!.. ქალბატონმა მიბრძანა, დამაფიცა... და არ ვიცი!..“ ასე რომ, ფიცს და პირობას მნიშვნელოვანი როლი აკისრია პიესაში.

აფორისტული თქმანი. „მომაკვდავნი სურათნი“ ინახავს ავტორის ბრძნულ გამონათქვამებს, ასევე მწერლის მიერ გამოყენებულ სხვათა აფორიზმებს.

გრიგოლ ბატონიშვილს სწადია ლუარსამიძესთან დადებული ნაძლევის მოგება, ამისთვის არანაირ ხრიკზე უარს არ იტყვის. იცის, რომ ამ საქმეში გამოადგება სალომე დავდარიანის ფაქტორი მართას

შთაგონებით. ფიქრობს: „გამოვიკვლიოთ გარემოებანი და დავხატოთ ბრძოლის რუკა“. სჯერა, ქრთამის მოთხოვნა არ ეგების, სწორედ მაშინ იტყვის: „ნადირი მარილზედ არ მოდის!..“ „ხმალი გალესილია, გავიდეთ ბრძოლის ველზედა!..“ მართა არწმუნებს გრიგოლს: „ისეთი ქალისათვის, რომელსაც ჯერ კიდევ თავი მოსწონს, დიდი აგდებაა, როცა ყმაწვილი კაცი გაანდობს თავის სიყვარულს სხვა ქალისადმი“.

ბატონიშვილი ამბობს: „ყოველს მოქმედებას შეიძლება მრავალი სახელი დავარქვათ... გინდა ქრთამი დაუძახე, გინდა სხვა რამე!“ მართას შთაგონებით: „საქმეზე ლაპარაკი დღით უნდა“; „საქმე და ტირილი როგორ შეიძლება“. მართა სალომეს მოაგონებს რუსთველურ აფორიზმს: „ეხლა უნდა გამოაჩინო ღონე და მამაცობა... ხომ წაგიკითხავს „ვეფხისტყაოსანი“: განა თუ ჭირსა არ დასთმობ, ლხინი რა დასათმობია“. პეტრე ქონიაშვილის ენით ნათქვამია: „ყოველს მწუხარებას განსხვავება არა აქვს“. ქონიაშვილის რუსულად ნალაპარაკევს ასლანთარელი ასე „აქართულებს“: „ადამიანს მეორე ადამიანი უყვარს, როცა იცნობს და თუ თავის დღეში არ ნახავს, არც ეყვარებაო“. ასლანთარელის მიხედვით: ველური გრძნობა ისევ ველურადვე გამოთქვას სჯობია“. მართას მიერ ნაკარნახევ წერილში ვარდისახარი ამბობს: „ადამიანი თავის ბედის პატრონი არ არის“.

ეტყობა, მართა საკუთარი გამოცდილებიდან „აფრქვევს“ ამ სიტყვებს ვარდისახარის „დამოძღვრისას“: „კაცის ამბავი კარგა ვიცი! რამდენსაც დაბრკოლებას გრძნობს, იმდენად უფრო შეუყვარდები“. მართა იტყვის: „ღმერთო ჩემო! ადამიანი თურმე მაშინ მოისვენებს, როცა კუბოში ჩაჭედენ. კიდევ მართას მოუსმინოთ: „ღმერთს ბევრი კარგი მოუცია ქვეყანაზედ და არ ვაფასებთ!.. არა ვართ კმაყოფილნი... სულ რაღაც კიდევ გვინდა!.. ასეა ეს ოხერი სოფელი, რა ვუყოთ!..“ გრიგოლი მართას ეუბნება: „შენ ხშირად მარხულობ, მაგრამ ჰაზრი კი მუდამ ხორციელი გაქვს!..“

გიორგი შარვაშიძე გრიგოლ ბატონიშვილის ენით შთაგვაგონებს: „ასეა კაცი!.. როცა მთელს სიცოცხლეში ერთს მართალს ვერ გაიგონებს, ყოველისფერზედ ეჭვს აიღებს.“ ორაზროვნად გრიგოლის შემხედვარე მართა, როცა მას არზაზე ხელისმოწერას მეორე

დღისთვის გადაადებინებს, დაფიქრებული გრიგოლი დაუდასტურებს: „სწორეთ სჯობია? დიაღ! ერთი ფრანგული ანდაზა იტყვის: „ღამე კარგი მრჩეველიაო“. როდესაც ასლანთარელი სალომეს უარყოფითად უხასიათებს ბატონიშვილს, ამბობს: „მისიცე ხალხი მას უნდა იცნობდეს კარგათ და ხალხში სახელგატეხილია!.. „ხმა ქვეყნისა, ხმა მართლისაო“, იტყვიან!..“ ბატონიშვილი დარწმუნებულია, რომ „ხანდახან ახირებული საქმიდან კარგი რამ გამოდის“.

ფუქსავატი და გარყვნილი ბატონიშვილი თავის ულირს და უმსგავსო საქციელზე ურცხვად ლაპარაკობს: „მე რაც მოვისმინე, მაგაზედ სინდისი არ მაწუხებს!.. რა გაეწყობა: „ღმერთმან ერთი რად აცხოვნოს, თუ მეორე არ წაწყმიდოს“. გრიგოლი ასლანთარელს შეახსენებს: „გამიგონია: „წუღები ქურდების გამოგონილიაო, რომ ფეხის ხმა ვერ გაიგონო!!.“ ბატონიშვილი სალომეს ლანძღვას ვერ ეგუება და ამპარტავნულად ჩაილაპარაკებს: „როცა ქალი ლანძღვას დაიწყებს, კეთილშობილი კაცი თავს უკრავს და გადის“. გრიგოლი კანონის ძალაზეც საუბრობს: „კანონის ძალი მოდის დროზედ“. იგივე ბატონიშვილი იმეორებს ცნობილ გამონათქვამს: „რა ჰქნას კარგმან მონარდემან, თუ დუშაში არ მოუვა“. მართა ასე „გვმოძღვრავს“: „არ უნდა ჩააციედეს ადამიანი ერთ რამეს! ახალ დროს ახალი საგანი მოაქვს“. ისევ მართა იტყვის: „კარგი აზრები ყოველთვის გვიან მოდის!..“ ასეთია გიორგი შარვაშიძის სიბრძნისმეტყველება ამ კომედიაში, საიდანაც ჩვენ ამოვიწერეთ ყველა აფორისტული გამოთქმანი.

მეტყველების სტილი. „მომაკვდავნი სურათნი“ დაწერილი უნდა იყოს 1880-1881 წლებში. ეს იყო გიორგი შარვაშიძის პირველი პიესა, პირველი ვრცელი 50-გვერდიანი ნაწარმოები. იგი დაწერილია XIX საუკუნის მეორე ნახევრისთვის დამახასიათებელი ქართული სალიტერატურო ენის ნორმების წმიდა დაცვით. ავტორი ავლენს ქართული ენის ღრმა ცოდნას. თხზულების თითოეული სიტყვა ცოცხალ არსებასავით მგრძნობიარეა და გულში ჩამწვდომი. მწერალი ცდილობს სიტყვის მომჭირნეობის ხარჯზე გადმოგვცეს ტევადი აზრი. იგი პირწმინდად იცავს რუსთველისეულ ფორმულას: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის“...

გიორგი შარვაშიძე საფუძვლიანი მცოდნეა ძველი ქართული ენისა, რაც განსაკუთრებით აღმოჩნდა მოგვიანებით შეთხზულ დიდებულ დრამაში – „გიორგი მესამე“, რაზეც უკვე გვქონდა მსჯელობა. თუმცა, ავტორი ამ კომედიაშიც მიმართავს ზოგჯერ ძველი ქართული ენით მეტყველების სტილსაც. გავეცნოთ შესაბამის საილუსტრაციო მასალას“. „დაიცადე, ბატონიშვილო, თუ ღმერთი გრწამთ“; „მე მრწამს, რომ შენ შეწირული ხარ“; „მარა აკრძალულია და ვინმემ რომ შეიტყოს“; „ციხის უმფროსთან ქაღალდი მიგვაქვს-თქო“; „ნამდვილი სიმართლე უნდა აღვიარო“; „არ ენდევი ნამუსსა შენგან აღრჩეულის მეგობრის ცხოვრებისას“; „მართა გარდახვევს ხელს“; „დამშთენიხარ შენ ერთიღა ჭირისუფლად“; „მე პირდაპირ ლაპარაკს ამ საგანზე ვიშიშვი თქვენთან„; „რა მერე! არაფერი“; „აწი რაი მერე?“ „სალოსია ვიღაც ოხერი, – გრიგოლ ბატონიშვილი იტყვის ასლანთარელზე. „სალოსზე“ „გიორგი მესამის“ განხილვისას გვქონდა მსჯელობა და ორიოდე სიტყვით აქაც გავიმეორებთ. ეს სიტყვა გიორგი შარვაშიძეს უთუოდ „ქართლის ცხოვრებიდან“ აქვს აღებული იმდროინდელივე შინაარსის შენარჩუნებით: „სულელი“, „შმაგი“.

გიორგი შარვაშიძე „ჰაემეტობის“ პერიოდსაც სტუმრებია: „ჩემის ჰაზრით, ეს უნდა გამოდიოდეს ქართულად“; „მაგრამ ჰაზრი მუდამ ხორციელი გაქვს“; „ეს ჰაზრი ცრუობა უნდა იყოს“; „ამისათვის მომივიდა შემდეგი ჰაზრი“. პიესაში აქა-იქ დიალექტებიც გამოერევა; „მარა ღმერთი დაგიმადლებს“; „მარა მე რუსული არ ვიცი“ („მარას“ „მაგრამის“ ნაცვლად მიმართავს ავტორი); „ძლიერ კარგად და უმანკოდ შენახული აქნამდის მთაში“; „ბარე ორჯელაც დაგვეცა“; „გახვალ აქედამ შალ-მოფარებული“; „ხალხი ბევრია და ადგილი არ ყოფნისთ“; „თავს ადგასთ ერთი კაცი“; „სანაღვლო არაფერი მაქვს“; „კაცობრივი გრძნობა თქვენი მოგაგონებსთ“. ზოგჯერ გამოყენებულია ნარიანი მრავლობითის ფორმაც: „როგორ ეძლებთ ჩვენ აქ მცხოვრებნი“.

არც თუ იშვიათად დარღვეულია მსაზღვრელ-საზღვრულის ბრუნვაში შეთანხმების წესიც: „ჩვენ მშვენიერს სტუმარს, დევდარიანის ქალს არ ვიცნობ“; „ჩემს საცოდავს მოხუცს მამას“; „ყოველს მწუხარებას განსხვავება არა აქვს“; „ერთს მართალს ვერ გაიგონებ“.

„გან“ თანდებულს ხშირად ენაცვლება „დამ“ (როგორც ამას დიდი ილიას და XIX საუკუნის სხვა ქართველ მწერალთა შემოქმედებაში ვხვდებით): „როგორღაც უმდაბლეს პატივისცემას არ ჰგავს ჩალდაყიდამ ძახილი“; „ეს წიგნი თქვენ წუხელი საიდამ დასწერეთ... ამ ოთახიდამ“. ზოგჯერ მწერალი სწორ ფორმას ხმარობს: „ამოიღებს ჯიბიდან გრიგოლის დაწერილს“.

საერთოდ, გიორგი შარვაშიძის სტილში შედის „ზე“ თანდებულის „ზედ“ ფორმით ხმარება: „გრიგოლი მართას ხელზედ აკოცებს“; „ჩემს ღარიბ ჩაიზედ მეწვიეთ“; „დღეში თითო საათი შენზედ ვილაპარაკოთ“; „ნადირი მარილზედ არ მოდის“; „აივანზედ გამოდიან მართა და გრიგოლ“; „დავსხდეთ ამ სკამზედ“; „ყოველისფერზედ ეჭვს აიღებს“. ვითარებითი ბრუნვის ნიშანს „დ“ უმეტესწილად თანხმოვანი „თ“ ენაცვლება: „ცოტა ხნით სასეირნოთ გამოვედით“; „რაიმე საქმისთვის თუ ისე ტყუილათ“; „სულ უბრალოთ“; „ნიკოლოზს შენ კარგათ იცნობ“; „შენ ამაში სწორეთ დარწმუნებული ხარ“; „ვითომ დიდათ გეშინია“. გვხვდება სწორი ფორმაც: „დიდად გეტრფის“; „ამასაც ადვილად მიხვდები“; „შენ ამას კარგად იგრძნობ“.

„მომაკვდავნი სურათნში“ ხშირად აქვს ადგილი სახელთა გაზმნავებას: „იხმარე შენი გავლენა ლუარსამიძესთან და გაკანონიერდეს“; „ვაი მის დღეს თუ გამაგულისა“; „ფიქრობდეს მუდამ უნდა“; „სენმა ცრემლებმა და მწუხარებამ დაჰიმონა“; „ბილწი და გარყვნილი კაცია“; „რას ჩამცივებია ეგ დუშაში“; „მარჯვნით ბაასობენ“; „მითი იმოდენაზე მოჯადოსნულა“; „ქალბატონმა დამაფიცა“; „გუშინ თქვენ სად იცრუეთ“; „გიბრძანებ იცოცხლო და დამიმეგობრდე“.

გიორგი შარვაშიძის მეტყველების სტილში მოხდენილად გამოიყურება სხვისნათქვამიანი სიტყვების ხმარება: „პირდაპირ გაიარეთ ქუჩაზედაო და მიადგებიო პატარა ბაღჩიან სახლსაო“; „ადამიანს ადამიანი ეყვარება როცა იცნობსო და თუ თავის დღეში არ უნახავს, არც ეყვარებაო“; „რა ტუტუცები არიანო, რომ ქალებზედ აგრე სჯიანო“; „გამიგონია: „წულები ქურდების გამოგონილიაო“; „აი, მე სალომესთან ვარო და ნაძლავი მომიგიაო“; „ვინ იცისო, მეფაიტონე რამეს იტყვისო და შეიტყობენო“.

რუსულ ენობრივ კალკირებას აქტიურად მიმართავს მწერალი. ამით მას სურს დაგვანახოს, რუსიფიკაციის შედეგად როგორ იჭრება ქართველთა მეტყველებაში თუ სიტყვიერ ფონდში რუსული სიტყვები, რაც იწვევს მის დანაგვიანებას. ეს რეალობა იყო და, ბუნებრივია, გიორგი შარვაშიძე ამაზე აკეთებს კიდეც აქცენტს. არა მხოლოდ ქალაქში, არამედ ეს სიმახინჯე მთაშიც „ასულა“. სვანეთიდან ჩამოსული ასლანთარელი პირველ დღესვე მართას ამცნობს: „მე გიახელი ნაჩალნიკის სანახავად“. „ნაჩალნიკი“ ხშირად ფიგურირებს პიესაში: „ეს პაკეტი, ბატონო, ნაჩალნიკმა გაახლათ“; „ეს ბარათი წაიღე ნაჩალნიკთან“; „არზა არისო ნაჩალნიკთანო“; იგივე მთის კაცი ვარდენი ამბობს ერთგან: „სოფლად ჩვენში მქონდა გაგონილი, თანამდებობის კაცებმა „ზავთრა, ზავთრა“ იციანო“.

ახლა სხვა მაგალითებს გავეცნოთ პიესის ამ პროვინციული ქალაქის მაღალი არისტოკრატიული ფუქსავატური ფენის მეტყველებიდან: „თურმე ყოფილა ზაპისკა გრიგოლისაგან თქვენთან მოწერილი“; „მართა ივანოვნას დაანახა ფანჯრიდან“; „ბატონმა კნიაჟნამ ქაღალდი შეაგზავნა“; „გამოვიდა კაცი და მობრძანდიო, პაჟალუსტაო“; „რაღაც წინააღმდეგობაო, რაღაც დანოსები“; „მივა სტოლთან და რეკს“; „ამოიღებს წიგნს და სდებს სტოლზე“; „მარცხნივ დგას პატარა ქალის საწერი სტოლი“; „დაჯექი ამ სტოლთან“; „მივა საწერ სტოლთან“; „ამოიღებს სპიჩქას და უკიდებს სტოლზე სანთელს“; „მიდის — მიეხეტება... სად და ტურმაში“; „სასტუმრო ძლიერ სუფთად მორთული: ხალიჩები, ფარდაგები და სხვა მებელით“ (აღსანიშნავია, რომ დღესაც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში, განსაკუთრებით სამეგრელოში, უმეტესწილად შინაურულ მეტყველებაში ხმარობენ რუსულ სიტყვას: „სტოლი“, „მებელი“, „სპიჩქა“).

მხატვრული დონე. შეიძლება ითქვას, „მომაკვდავნი სურათნის“ მხატვრული დონე დიდად ჩამორჩება იდეურ-შინაარსობრივ მხარეს. პიესის ტროპული მეტყველება უკიდურესად ღარიბია. მწერალი ფაქტიურად არ სწყალობს მხატვრულ საღებავებს. ტროპის სახეებიდან გამოვაელინეთ მხოლოდ ეპითეტები, მხატვრული შედარებანი და მეტაფორები. ამათგან ყოველ ნაბიჯზე გვხდება ლოგიკურ-მხ-

ატვრული მსაზღვრელები. ჩვენ ყველა მათგანი ამოვიწერეთ: ლამაზი, უმანკო, მშვენიერი, დარბაისელი, კარგი, კეთილშობილი, ერთგული, ევროპიული, თავმოხდილი, ყაბარდული, ბაღჩიანი, ერთსართულიანი, დიდი, დალოცვილი, ცოტაოდენი, დამსახურებული, ყოველი, ოქროსფერი, გაფხეკილი, ტუტუცი, გრძელი, მზეთუნახავი, სამაგალითო, ძლიერი, საწყალობელი, დატუსაღებული, საწყალი, უმდაბლესი, უკეთესი, მოწყენილი, გაკვირვებული, განწყობილი, საბრალო, ცუდი, პატარა, უბედური, წმინდა, სახუმარო, საძაგელი, პატიოსანი, დაფასებული, უმცირესი, გონიერი, სულელი, ძნელი, რიგიანი, საზოგადო, საცოდავი, შეწუხებული, საიდუმლო, პირდაპირი, ბრიყვი, ჩინებული, ლაზათიანი, ჭკვიანი, ახირებული, მორცხვი, უერთგულესი, წრფელი, სამართლიანი, თბილი, გავლენიანი, შალმოფარებული, დაქანცული, დასვენებული, უსაფუძვლო, უმეცარი, დაფარული, ორაზრიანი, ორპირი, ბილწი, გარყვნილი, მცირე, ამნაირი, უცხო, უკმაყოფილო, შეჩვენებული, მთვრალი, ენამოტეხილი, დაუმტვრეველი, ნაბდიანი, უმაღლესი, საზიზღარი, ფერმიხდილი, საშინელი, დამალული, ატირებული, უნამუსო, ცრუ, უმოწმო, უიარაღო, იაპონური, მთვარიანი, კაცობრივი, უკიდურესი, პლუტური (გაიძვერა, გაქნილი), ულონო, გულმოსული, უჩვეულებრივო, მხეცური, ნამდვილი, წყნარი, უცნობი, თავაზიანი, სწავლული, მაგნაირი, ოჯახაშენებული, ოხერი, ჩვენებური, დაფიქრებული, გადარეული, ძაღლური, განცვიფრებული, მოყვარე, გიჟი, წუხანდელი, გათავებული, უკადრისი. უღმერთო, დაწყნარებული, გაწითლებული, ცივი, შეშინებული, შეწირული, ჯოჯოხეთური, შემცდარი, დაფიცებული, ტანჯული, აღტაცებული. შავბედიანი, მშრალი, ბედნიერი, აღურიცხელი, შეშლილი, ნაბიჭვარი, წმინდა, გაბერილი, მიწიერი, დაჩოქებული, ავი, უწრფელესი, მახინჯი.

მხატვრული შედარების მხოლოდ რამდენიმე ნიმუში ვიპოვეთ; „გაფითრდა როგორც ქაღალდი“; „მე საფლავში ჩავიტან გულის სიმშვიდეს და იმ ბედნიერ შთაბეჭდილებას, რომ შენ ანგელოზი ყოფილხარ“; „მე მოვედი, დავუჩოქო ანგელოზ სალომეს“; „თაყვანს გცემ, ჩემო მშვენიერების ღმერთო“; „შენ და ჩემსავით ყოველი კაცი სულით მახინჯია“.

პიესაში ასევე მეტაფორულ გამოთქმათა სიმწირეა. რაც შეგვხვდა, ყველა ამოვიწერეთ: „შენ ხარ, ჩემო ლამაზო ვარდო“ (აქ „ვარდო“ ვარდისახარის მეტაფორაა); „როდესაც მგონია ზეცა ჩამოიმსხვრა ჩემთვის“; „მე თვითონ გავსკდი და ორი ცხენი გავხეთქე შენს ძებნაში“; „მთელი დღე ლუკმა არ ჩასულა მის პირში და ცრემლით სკდება“; „შენი გული კი აიაზმის წყლითაა გაბანილი მუდამ განა?“

ამრიგად, „მომაკვდავნი სურათნი“ XIX საუკუნის II ნახევრის ქართულ რეალობას ასახავს. პიესა პირველად ქართულ სცენაზე წარმოდგენილ იქნა 1881 წლის 11 ნოემბერს. მასში ნაჩვენებია „მომაკვდავი“ საზოგადოების ანუ უსაქმური, ზნეობრივად დეგრადირებული არისტოკრატების უშინაარსო ცხოვრების დეტალები, თუმცა ავტორი მათშიც ეძებს „კაცობრივი გრძნობისა“ და პატიოსნების ნაშთის ნაპერწკლებს. მკითხველს თავად გამოაქვს დასკვნა, რომ ეს საზოგადოება წარმავალია და მას აუცილებლად ჩაანაცვლებს სხვა სოციალური ურთიერთობანი.

დრამატურგი ზნეობრივად დაცემულ მაღალ ფენასთან აპირისპირებს სულიერად ამაღლებულ და მორალურად სპეტაკ ადამიანებს, ანუ წარმოაჩენს გადაგვარებული პროვინციული სამაზრო ქალაქისა და ზნეობრივად წმინდა, მამაპაპური კეთილშობილური ტრადიციების ერთგულ სოფელს. ბუნებრივია, მწერლის და მკითხველის სიმპათიები სოფლის მხარესაა თავისი შინაგანი პროტესტით ტრადიციების უარმყოფელი „ახალი დროის ახალ საგანს“ აკიდებული ქალაქისადმი.

თხზულების წერისას ავტორი არ ღალატობს ჩვეულ სტილს – თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენასთან შეზავებული ძველი ქართული ენით მეტყველების სტილს. მწერალი ასევე მიმართავს რუსულ ენობრივ კალკირებასაც, რათა გვიჩვენოს რუსიფიკაციის შედეგად ქართველთა მეტყველებაში როგორ იჭრება რუსული სიტყვები, როგორც მშობლიური ენის დანაგვიანების საშუალება.

პიესის მხატვრული დონე უფერული და დაბალია, დაცლილია მხატვრული საღებავებისაგან. ტროპის სახეებიდან გამოირჩევა მხოლოდ ეპითეტები, აქა-იქ გაკრთება მხატვრული შედარება და მეტაფორა.

„კომლი უცეცხლოთ“

მხატვრულ ნაწარმოებებსაც ზოგჯერ თავისი თავგადასავალი აქვს, თავისი ისტორია, თავისი ბიოგრაფია. ამ მხრივ გამონაკლისი არც „კომლი უცეცხლოთ“ ყოფილა, რომელიც გიორგი შარვაშიძის რიგით მეორე პიესაა. ზემოთ შევნიშნეთ, რომ აფხაზი მწერალი სასტიკად ებრძოდა რუსულ აგრესიას საქართველოში, ცარისტული ხელისუფლების რეჟიმს, რომელიც მიმართული იყო მთავარი მიზნის განხორციელებისაკენ: „რუსული სული ქართულ სხეულში“. რაც შეეხება რუსულ ენას და რუსულ კულტურას, გიორგი შარვაშიძე მაღალ შეფასებას აძლევდა. იგი არც ერიდებოდა რუსულ ენაზე ლექსების წერას. ჩვენამდე მოღწეული და მწერლის თხზულებათა წიგნში შესულია მისი 12 რუსული ლექსი. ასევე რუსულ ენაზე თარგმნა მამია გურიელის პოპულარული ლექსი „ადამიანი“. გამომდინარე ზემოთ თქმულიდან, გასაკვირველი სრულებითაც არ არის აფხაზი დრამატურგის მიერ რუსულ ენაზე პიესის შექმნაც. ასეთი ხვედრი წილად ხვდომია ერთმოქმედებიან ტრაგიკომედიას „კომლი უცეცხლოთ“.

თხზულება მოცულობით სულ 9-გვერდიანია, მაგრამ მას იმთავითვე მიუპყრია ქართველი საზოგადოების ყურადღება. რად ღირს მისით დიდი აკაკი წერეთლის დაინტერესება: „კვირას წარმოადგინეს „კომლი უცეცხლოდ“, ერთმოქმედებიანი დრამა. ეს დრამატული ნაწყვეტი რიგიანი და კარგია. მბეჭდიერი იყო გრაფის როლში კ. მესხი და მის დას, ე. მესხს კი, რომელიც გრაფის მეუღლეს ადგენდა, დაეტყო დიდი ხნის სცენაზე გამოუსვლელობა: ჩქარობდა და სიტყვებს ყლაპავდა!.. თამაშით კი მშვენივრად ითამაშა“.[1] აკაკისეული კვალიფიკაცია „რიგიანი და კარგი“ მეტყველებს პიესის სახელმოხვეჭაზე. ცხადია, მის პოპულარობას სცენის ოსტატების თამაში ზრდიდა.

ტრაგიკომედიის მოქმედი პირები არიან: გრაფი გასფარო ალფიერი, მისი მეუღლე სეზარინა (გრაფინია), სეზარინა [illegible] კარდინალი (მთავარეპისკოპოსი), ჯაკომო სან-როა (პაჟი), ექიმი რუბიხი, [illegible] სახურე ანტონიო.

მკაცრად მორთულ დიდებულ დარბაზში იმყოფებიან კარდინა-

[1] ა. წერეთელი, ქართული სცენა, „კვალი“, №51, 1895.

ლი და სეზარინა. ისინი ბჭობენ ამ დარბაზში გრაფი ალფიერის გამოცხადების თაობაზე, რადგან უარი უთქვამს სეზარინას დარბაზში მოსვლაზე. ეს მის ცოლს არც უკვირს: „მე ეგ კარგათ მესმის... საგულისხმოც არის, იქა ყოველივე... ყოველი სამკაული, ყოველი ნივთი ოთახში, სიმწარით მოაგონებენ მას, ჩვენს წარსულს ბედნიერ დღეებს“. ქალი თავის ბიძას შესთხოვს, დაარწმუნოს გრაფი მის უდანაშაულობაში, რადგან შეუძლებელია მისი „სიცოცხლე და პატიოსნება განკიცხულ იქმნენ დაუმსახურებელ ტანჯვაში“. კარდინალი თხოვს სეზარინას დაუფარავად აღსარებასავით მოუყვეს მათ შორის განხეთქილების მიზეზებზე, რაც თავად გრაფს არ უამბნია მასთან შეხვედრისას კარდინალისთვის.

ამასობაში მათი ექიმი რუბინი აუწყებს გრაფის მოსვლას, თანაც სეზარინას აფრთხილებს: „ის ჯერ კიდევ არ არის საკმაო ღონეზე მოსრული და მომატებული მღელვარება ავნებს — მომიტევეთ ბატონო გრაფინია, მაგრამ რამოდენათაც შეიძლება გულგრილად ესაუბრეთ“. გრაფსა და სეზარინას შორის გაიმართება უსიამოვნო საუბარი მომხდარზე. შეხვედრის ინიციატორი სეზარინა ყოფილა. გრაფი სასტიკად ადანაშაულებს ქალს და ურჩევს ჩადენილი ცოდვის მონანიებას: „თქვენთვის უმჯობესი საშვალება არის სინანული... მაგრამ თქვენისთანა ბოროტ სულს არ შეუძლია შენანება“.

სეზარინაც უკან არ იხევს: „თქვენ ჩაიმარხეთ თქვენის გულის სიღრმეში რაღაც საზარელი აზრი, სადაც არ შედის სინათლე სიმართლისა, როგორითაც მე დამატყვევეთ ბურანში, საცა არ მეკარებოდა შუქი იმედისა“... სიმართლეში ჰვითდაჯერებული გრაფი ამხელს სეზარინას სიყვარულში და ცოლქმრულ ურთიერთობაში შეცოდებას, რასაც იგი მიუყვანია, სრულ მზადყოფნამდე: „თქვენს მშვენიერს სახეზედ დამეჩინა ისეთი წყლული, რომლის დამნახველს ზიზღი მოსვლოდა; როდესაც მინდოდა, თქვენს ღრმა და ჭკვიან თვალებში ჩამესხა მდუღარება, რომ დავსებოდათ მათ უცნაური მეტყველება!.. როცა თქვენი მარგალიტის კბილები მსურდა თითო-თითოდ დამეძრო, რომ გაცინებისთანავე მოსპობილიყო მათი ელვარება!..“ ასე სასტიკი დასჯა მოუსურვებია გრაფს ცოლყოფილისა. ამან კი გრაფი მიიყვანა

დასკვნამდე, რომ თურმე „პატიოსანს გარეგან შეხედულებაში იმალება ხანდახან მდაბალი, დაცემული სული“.

ამ მწარე საუბრის შემდეგ გასფარო ალფიერი მოუწოდებს თავის ექიმს, გასცლოდნენ იქაურობას, მაგრამ კარდინალი ჩაერია საქმეში და შეაჩერა გრაფის გადაწყვეტილება. მას საქმის დაწვრილებით გამორკვევა ესახება აუცილებლობად: „საჭიროა იმ მოვალეობის აღსასრულებლად, რომელიც მინდობილი მაქვს მე, სასულიერო მთავრობისაგან. — თქვენი გულწრფელი აღსარება იქნება ერთადერთი საშველი დავაფასოთ... ავწონოთ ღირსეულად იმ სისხლის დაღვრა და ყრმა კაცის სიკვდილი, რომელნიც მოხთენ თქვენს ოჯახში“.

კარდინალი სთხოვს გრაფ გასფარო ალფიერს, დაწვრილებით მოუთხროს მომხდარ უსიამოვნო ამბავზე. გრაფმაც არ დააყოვნა: ათი თვის წინ, შემოდგომის მიწურულს, საფრანგეთიდან ველოდებოდი საპატიო სტუმრებს; მსახურთ ვუბრძანე ცისე-დარბაზის მოწესრიგება. სამზადისის შესამოწმებლად გრაფინიას გავუგზავნე პაჟი (პაჟი — შუა საუკუნეებში დასავლეთ ევროპაში: ახალგაზრდა აზნაური (ვაჟი), რომელიც მსახურად ედგა ფეოდალს, ან მეფეს და გადიოდა რაინდობისათვის მზადების პირველ საფეხურს. „პაჟი“ ფრანგული სიტყვაა) სან-როა. ერთი საათის შემდეგ იქითკენ მეც წავედი. შესვლისთანავე დაუკერებელი სანახავის მოწმე გავხდი: „ერთს გრძელს სავარძელზედ წამოწოლილიყო ქალ-ბატონი და ცალი ფეხი გაშიშვლებული ჰქონდა; რეგვენი სან-როა, მთლად ცეცხლმოკიდებული სირცხვილითა და მღელვარებისაგან, მის წინ დაჩოქილიყო, მუხლზედ ედვა ეს თითქო მარმარილოს ნათალი შიშველი ფეხი და ხელს უსობდა!!. თითონ გრაფინიას თვალები დაეხუჭა და ტუჩ-ჩაკმეჭილი, ყელ-გადაღერღილი ეტყობოდა თავი მიეცა რაღაც სატანურ განცხრომას!..“

საუბარში სეზარინა ჩაერთვება და ამტკიცებს, რომ ეს ასე არ მომხდარა. კარდინალი გრაფს თხოვს თხრობის გაგრძელებას: როგორც კი ოთახში შესული დამინახაო გრაფინიამ, წამოხტაო ფეხზე („ცალ შიშველ ფეხზედ წამოიკოჭლა“) ხარხარით შესაგებებლად თვალღელებულმა „ვსტაცე თმაში ხელი და დავახეთქეო მიწაზე“. მან კი დაიწყო თავის მართლება. ამის შემდეგ გრაფი ხანჯლით გასწორებია

სან-როას, აღუმართავს ხანჯალი სეზარინას მოსაკლავად, მაგრამ იგი მფარველ ანგელოზს გადაურჩენია. გრაფს მახვილი საკუთარ მკერდში ტარამდის ჩაუცია, მაგრამ მისთვის სიცოცხლე შეუნარჩუნებია ექიმ რუბინს. სეზარინა თავს იმართლებს, მაგრამ ამაოდ: „შეიძლება... ეგ ყოველივე აგრე მოხთა, მაგრამ ჭეშმარიტება სულ სხვაა... და ეს უწყის მხოლოდ ზენა მეუფემ!..“

კარდინალმა გრაფს გააცნო სასულიერო სამსჯავროს განაჩენი: „სასულიერო სამსჯავრომ, ეკლესიათ მთავრის თან-სხდომითა, განჩინება დააყენა თქვენზედ: ყრმისა ჯაკომო სან-როასი სიკვდილისათვის თქვენის ხელით თქვენს სახლში, მაგისაჯესთ ხუთი წლის ეკლესიის შენანება ფრანსისკანთ ძმათა უდაბნოში“. ამის გაგონებაზე სეზარინას გული შეუწუხდა, რომელიც ექიმმა მოასულიერა.

გასპარიო ალფიერი ერთმნიშვნელოვნად განაცხადებს, რომ სრულიად ემორჩილება, „სასულიერო განჩინებას“ და მომჯობინების შემდეგ მზადაა „ძმათა უდაბნოში“ გასამგზავრებლად. ამის შემდეგ ნებას ითხოვს იქაურობის დასატოვებლად. მაგრამ გრაფის და ექიმ რუბინის წასვლამდე ეს უკანასკნელი ყველასაგან მოულოდნელად საინტერესო ამბავს ახმოვანებს: გრაფი ყურადღებას მიაქცევს მისივე მსახურის, მართალი და პატიოსანი კაცის ანტონიოს მტკიცებულებას, რომ „ყოველივე მაგ საუბედურო შემთხვევის გარემოება დაწვრილებით“ იცის. გრაფმა მოსმენილი გაიკვირვა, კარდინალმა მოითხოვა ფარეშია მებუხრის სასწრაფოდ მასთან მოყვანა.

ანტონიოს მოსვლამდე კარდინალი ურჩევს სეზარინას და გრაფს, მოსული მსახურის მონათხრობს ფიზიკურად არ დაესწრონ, რათა ხელი არ შეეშალოს მის გულწრფელობას. თანაც სეზარინას ბიძას აუცილებლობად ესახება სეზარინამ და გასპარო ალფიერმა თვითონვე მოისმინონ ანტონიოს მონაყოლი. კარდინალმა გამოსავალი ჰპოვა: „თქვენ შებრძანდით ამ ოთახებში, მარჯვნით და მარცხნით; ცოტა შეღებული კარები დასტოვეთ და ყური მოადევით და ყველაფერს გაიგონებთ... დამემორჩილეთ მამაშვილობას!..“ გრაფი და სეზარინა უსიტყვოდ ასრულებენ ამ მოთხოვნას და შედიან ოთახებში.

რუბინმა კარდინალს მოუყვანა ანტონიო. მთავარეპისკოპოსი

ეკითხება: „ანტონიო! შენ ამ ოჯახში დიდი ხნის მოსამსახურე ხარ, და უნდა გიყვარდეს და ერთგული იყო შენი ბატონებისა?“ ანტონიოც ცალსახად პასუხობს: „მზათ ვარ მათთვის ორივე ხელები დავიჭრა და თუ კი საჭიროა თავიც მომკვეთონ“. იგი არწმუნებს კარდინალს, რომ მომხდარი ამბების უშუალო თვითმხილველია: „ყოველივე დავინახე ჩემი თვალებით და გავიგონე ჩემი ყურებით!..“ იგი გამოთქვამს მზადყოფნას სრული სიმართლის აღსაწერად. კარდინალმა გულმკერდიდან ასწია ჯვარი და ანტონიო დააფიცა ამ ჯვარ-ცმაზე.

სამწუხაროდ, პიესაში თხრობა აქ წყდება. მკითხველსაც გული წყდება, რომ ანტონიოს მონათხრობს ველარ ეცნობა. თხზულების ჩვენამდე მოღწეული ვარიანტი ბოლონაკლულია, იგი დაკარგულია. თუმცა „ამოსუნთქვის“ საშუალებას გვაძლევს 1895 წლის 18 ნოემბრის (№257) გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებული რეცენზია ამ დრამატულ ძეგლთან დაკავშირებით, რომელიც შეგვაძლებინებს მის დასასრულზე წარმოდგენის შექმნას: „გრაფი და მისი მეუღლე მოსამსახურის ლაპარაკს ყურს უგდებენ ნახევრად შეღებული კარებიდან. ანტონიოს ლაპარკიდან გამოირკვა, რომ გრაფის მეუღლეს ფეხი უღრძვია, თუ ძარღვი გაჰნასკვია ფეხისა, უცებ დაცემულა ტახტზე ტკივილისაგან შეწუხებული. პაჟს, იქ დამსწრეს, ფეხსაცმელი გაუხდია მისთვის; სწორედ ამ სურათს შემოსწრებია გრაფი და ამ უბრალო გარემოებას ისე აუღელვებია მრისხანე ყმაწვილი კაცი, რომ თავდავიწყებულს მახვილისათვის მიუნდვია თავისი გულისწყრომის განელება. რაღა თქმა უნდა, რომ უცბად გაიღება ორივე კარები და გრაფი და სეზარინა მკერდში ჩაიკრავენ ერთმანეთს, მაგრამ პაჟი? სასჯელი? ან აჩრდილი უბრალოდ მოკლული პაჟისა, რომელიც ყოველთვის თვალში ედგება ლანდად ცოლ-ქმარს, და ყოველს სიტკბოებას ჩაუშხამებს? განა ეხლა კი, როდესაც გრაფი დარწმუნდა უდანაშაულობას, უბრალოებას თავისას საყვარელი მეუღლისას, შესაძლებელია მათი ერთად ცხოვრება? არა და არაო, ამბობს გრაფი, მაგრამ უცეცხლოდ ავარდნილ კომლს აქაც ჩქარა გააბნევს ქარი. შემოდის პაჟი და შემოაქვს ბრძანება, ანუ ახალი განაჩენი, რომლითაც პირველი განაჩენი გაუქმებულია და რადგან პაჟი სრულიად უვნებლად გადარჩენილა

ჭრილობას, გრაფი განთავისუფლებულია სასჯელისაგან".[1] რეცენზია ეკუთვნის მანოელიძეს (არტემ ახნაზაროვი).

თვითონ პიესის ღირსებას იგივე რეცენზენტი მაღალი შეფასებით წარმოაჩენს: „თვით პიესის შესახებ რა გვეთქმის იმის მეტი, რომ იგი შესაძლებლობის საფუძველს მოკლებული არ არის და რაკი შიგ მოთხრობილი ამბავი სინამდვილეს მეტად მიმსგავსებულია, ამიტომ ძლიერად მოქმედებს კიდეც მაყურებელზე... თვით გრაფის მიერ გულისწყრომით ნაამბობი ამბავი თავისი უბედურების: ისე სწვდება და იპყრობს ადამიანის გულს მისის თანაგრძნობით, რომ ასე გეგონება, ყოველივე ეს მართალი ამბავიაო, ფოტოგრაფიულის სინამდვილით გადმოცემული ხელოვანი მხატვრისაგან... ამას ზედ დაურთეთ წმინდა ნამდვილი ქართული ენა, ლიტერატურული ღირსებით სავსე".

შალვა დადიანის მიხედვით, „კომლი უცეცხლოდ" ავტობიოგრაფიული ხასიათისა იყო და იტალიაში, გასაგები მიზეზების გამო, განგებ ჰქონდა ავტორს მოქმედება გადატანილი. იგი წერს: „რაც პიესაში მოთხრობილია, ის პირადათ ჰქონდა გიორგის შემთხვეული, მაგრამ ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მოქმედ პირთა სახელები შეცვლილი ჰქონდა. ახლა მახსენდება, რომ პიესაში გამოყვანილი პაჟის როლი ერთ-ერთი მისი ძიძიშვილის საქციელით იყო ჩაგონებული. ამაზე ხშირად ლაპარაკობენ კულუარებში. რაც შეეხება პიესაში გამოყვანილი ცოლის როლს, ეს ვითომ გიორგის ცოლის ალტერეგო იყო, მაგრამ ჩვენ ყველამ ვიცოდით, მთელმა საზოგადოებრიობამ, რომ გიორგის მეუღლე იყო მეტად შესანიშნავი, უმწიკვლო ზნეობის ქალი და მას არავითარი, მის პიროვნებას ჩრდილს რომ მიაყენებდა, ისეთი რამ არასოდეს თავის ცხოვრებაში არ ჩაუდენია. და აკი პიესაშიც ის ყოვლად უმანკო ადამიანად მოჩანს და მის გარშემო დატრიალებული ტრაგედია გაუგებრობაზე იყო აშენებული".[2]

---

[1] გაზ. „ივერია", 1895 წ. 28 ნოემბერი, №257; შდრ. ს. ლეკიშვილი, გიორგი შარვაშიძე (დოკუმენტური მასალები), საქართ. მთავარი საარქ. სამმართვ. „საისტორიო მოამბე", №31-32, თბ., 1975, გვ. 292-293. მისივე, გ. შარვაშიძის დაკარგული პიესა „კომლი უცეცხლოდ", ჟურნ. „თეატრალური მოამბე", №3, (55). თბ., 1970, გვ. 15-17.

[2] შდრ. ს. ლეკიშვილი, გიორგი შარვაშიძე, საისტორიო მოამბე, გვ. 294.

პიესის პერსონაჟები. თხზულების სათაურის („კომლი უცეცხლოთ“) ქვეშ მიწერილია: „ტრაღიკომედია, ერთ მოქმედებათ ლორენცო ჩელლისა. იტალიის ცხოვრებიდამ მე-17 საუკუნეში. რუსულიდან თარგმნა ნ.წ.-საგან.“ თუ ამ შენიშვნას პირდაპირი მნიშვნელობით გავიგებთ, გამოდის, რომ გიორგი შარვაშიძის დრამა ეხმაურება XVII საუკუნეში იტალიაში მომხდარ ამბავს და შესაბამისად მოქმედი პირებიც იტალიელებად აღვიქვათ: გრაფი გასპარო ალფიერი, მისი მეუღლე სეზარინა, კარდინალი (სეზარინას ბიძა), პაჟი ჯაკომო სან-როა, ექიმი რუბინი, მსახური ანტონიო.

ძნელი მისახვედრი არ არის, რომ ავტორი კონკრეტულ შემთხვევაში მიმართავს სიუჟეტური შენიღბვის ხერხს, რაც მსოფლიო ლიტერატურაშიც ნაცადი ხერხია საუკუნეების მანძილზე. ეს ხერხი ქართულ მწერლობას, შუა საუკუნეებიდან მოსდგამს. აქ შეგვიძლია დავასახელოთ მოსე ხომელის „ამირან დარეჯანიანი“, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, უცნობი ავტორის „რუსუდანიანი“, ბესარიონ გაბაშვილის „რძალ-დედამთილიანი“. სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ დასახელებულ ლიტერატურულ ძეგლებში მოქმედება განგებ არის უცხოეთში გადატანილი, თორემ ისინი კონკრეტულად ქართულ სინამდვილეს ეხმაურებიან და წარმოსახაენ. ეს კონცეფციები სათანადო პარალელების მოხმობით არის გამყარებული. იგივე ვითარება დასტურდება საანალიზო პიესაშიც, რაც მკვლევარებმა და რეცენზენტებმა შენიშნეს თავის დროზე. ამაში საფუძვლიანად გაგვარკვია, როგორც უკვე შევნიშნეთ, შალვა დადიანმა. ახლა კი ჩავიხედოთ პერსონაჟების სულიერ სამყაროში.

გრაფი გასპარო ალფიერი. „გრაფი“ გერმანული სიტყვაა. ის წარმოადგენდა ტიტულს დასავლეთ ევროპის ზოგ ქვეყანაში და რევოლუციამდელ რუსეთშიც თავადაზნაურული მემკვიდრეობითობისა. აქედან გამოდის საგრაფო — მსხვილი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, კანადასა და ზოგ სხვა ქვეყანაში“.[1]

მომხდარი უსიამოვნო ფაქტის გასარკვევად და სიმართლისთვის

[1] უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შეადგინა **მიხეილ ჭაბაშვილმა**, თბ., 1989, გვ. 111.

ნათლის მოსაფენად სეზარინას ინიციატივით კარდინალი და გრაფის მეუღლე გადაწყვეტენ გასპარო ალფიერთან სასაუბროდ შეხვედრას. მისვლისთანავე გრაფი დამშვიდებით, კონკრეტულად მიმართავს თავის მეუღლეს: „მათს უწმინდესობას ნებავდა და მიბრძანა თქვენი ნახვა“. პიესაში სწორედ ამ სიტყვებით ეცნობა პირველად მას მკითხველი. მასში ჩანს, კარდინალისადმი მოკრძალება („მათს უწმინდესობას ნებავდა“). სიტყვა „მიბრძანა“ არ უნდა გავიგოთ „ბრძანების“ კილოთი, არამედ ის „მითხრას“ შემცველი მოკრძალებული ფორმაა.

გრაფი დარწმუნებულია რა თავის სიმართლეში, სეზარინას მოსმენაც არ სურს და სიტყვასაც გააწყვეტინებს, ურჩევს მონანიებას („თქვენთვის უმჯობესი საშვალება არის სინანული“), თუმცა დარწმუნებულია, ცოლის საქციელს მონანიებაც ვერ შველის ცოდვის გამოსასყიდად. სჯერა, რომ სეზარინას „ბოროტს სულს არ შეუძლიან შენანება“. ეს არის ქალისთვის შეურაცხმყოფელი სიტყვები, რომელიც ეკუთვნის კვლავ აფექტის წნეხის ქვეშ მყოფ პიროვნებას. მას, ეტყობა, აფექტაცია ჯერ არ განელებია. კარდინალის შენიშვნის შემდეგ თითქოს გონს მოდის და ხვდება არაეთიკურ საქციელს („ჰო! დიაღ, უკაცრავად, უზრდელად ვალაპარაკობ!“).

მკითხველი, როდესაც პირველად ეცნობა პიესას, ხედავს, რომ გრაფი მთლად უკულტურო, უზრდელი ადამიანი არ უნდა იყოს, მაგრამ იგი დაუმონებია უკურნებელი სენივით რაღაც საზარელ გრძნობას, მკაცრი ცხოვრებისეული კანონის დარღვევას. ეს კანონი არის ოჯახური, მეუღლეობრივი ზნეობრივი სიწმინდის დაცვა, მეუღლეობრივ ურთიერთობაში გაჩენილ ბზარში შხამის, სამსალის გაჟონვასთან შეუთავსებლობა. ვიდრე სიმართლე დადგინდებოდეს, გრაფის საქციელი არ არის საფუძველს მოკლებული, მისი ქმედებანი თითქოს სწორი და მისაღები ჩანს, რამდენადაც იგი სახელს და პატიოსნებას უფრთხილდება. ეს არ არის ამპარტავნებამდე დასული ქმედება. სახელის და პატიოსნების საწინდარი ოჯახური სიწმინდე და სიყვარულზე დამყარებული ცოლ-ქმრული ურთიერთობაა, რომლის შერყევას განიცდის გრაფი: „ქალს შეუძლიან, როგორც ღამურა დეეწაფოს ჩემს გულს და გამოსწუწნოს ჩემი სისხლი, რომ მას აქვს

საშვალება ჩაუგდოს საქირდაოდ ოხრებს და ბიჭებს ჩემი სახელი და პატიოსნება“...

გრაფი წონასწორობიდან გამოჰყავს იმ გრძნობას, რომ მას სამუდამოდ სწამდა მეუღლის ერთგულებისა და უმანკოებისა, მის ღალატში ეჭვი არასოდეს ეპარებოდა. ხოლო ბრმა შემთხვევამ დაანგრია ცოლისადმი მისი რწმენის კედელი. მისი დაეჭვება კულმინაციურ წერტილს აღწევს, როცა სეზარინას ღალატში დებს ბრალს: „ისე გესათუთებოდით როგორც გადია და ეს ჩემი სინაზე მიაწერეთ ხასიათის სისუსტეს... და... კიდევაც მიღალატეთ!!!“ გრაფის მიერ გამოტანილი დასკვნით: „მე არ ვიცოდი თუ პატიოსანს გარეგან შეხედულებაში იმალება ხანდახან მდაბალი, დაცემული სული!..“

გრაფი ემოციურია, აფექტს დამონებული, მასში გრძნობა ბატონობს გონებაზე, როგორც ეს საერთოდ, დამახასიათებელია ახალგაზრდა კაცისთვის. სიმართლის გარკვევამდე თუ რამეში დავადანაშაულებთ ალფიერს, ეს არის განუსჯელად გადაწყვეტილების მიღება, გონების ძალის მოუხმობლად ამოქმედება, აჩქარება, მხოლოდ გრძნობიერების სადავის მიშვება გონიერების ხარჯზე. ასეთ ვითარებაში იგი გადის ფაქტიურად ადამიანურობის ფარგლებიდან, მზად არის სეზარინას მშვენიერი სახე დაჩეხოს, თვალებში მდუღარება ჩაასხას, კბილები დააძროს, პაჟი სან-როა სასიკვდილოდ გაიმეტოს, თვითონ ცოლიც ფიზიკურად მოსპოს, თავისთავსაც სასიკვდილო განაჩენი გამოუტანოს.

ამ მდგომარეობამდე იგი სირცხვილის გრძნობას მიჰყავს, საზოგადოებაში გამოჩენის ღირსად არ მიაჩნია თავისი არსება, ამიტომ მიდის ყველაფერზე. თუმცა პასუხისმგებლობის გრძნობა არ დაუკარგავს. როდესაც კარდინალი გაეცნობა ჯაკომო სან-როას სასიკვდილოდ გამეტების გამო სასულიერო სამსჯავროს მიერ გამოტანილ განაჩენს, იგი სრულ მზადყოფნაშია სასჯელი მოიხადოს ხუთი წლით ძმათა უდაბნოში.

გრაფი როცა მოსამსახურე ანტონიოსგან მოისმენს მომხდარ არასაიამოვნო ფაქტზე სრულ სიმართლეს, როცა დარწმუნდება სეზარინას უმაკნოებაში, პატიოსნებაში და აბსოლუტურ უდანაშაულობაში, მისი

გრძნობები უკან იხევს, გონიერება ბატონდება მის არსებაში, სეზარინას გულში ჩაიკრავს. მის სიხარულს და ბედნიერებას ზრდის ის ფაქტი, რომ პაჟი სან-როაც გადარჩენილა სიკვდილს, რასაც მოჰყვა გრაფისთვის სასჯელის მოხსნა.

სეზარინა. გრაფი გასპარო ალფიერის მეუღლე სეზარინა გარეგნულად მშვენიერი, ჭკვიანი და გონიერი ქალია, უმანკოების, პატიოსნებისა და თავმოყვარეობის განსახიერება. თავისი დიდი ადამიანური თვისებების გამო მას ანგელოზი მფარველობს. როცა მის მოსაკლავად გრაფი ხანჯალს აღმართავს, მფარველი ანგელოზი ჩასძახებს გულში; „რას სჩადიხარ, უბედურო, დედაკაცსა კლამო!..“ მაშინ მახვილი შეაბრუნა ალფიერმა თვითონ დაიცა მკერდში ტარამდის, თუმცა იგი ექიმმა რუბინმა სიკვდილს გადაარჩინა.

სეზარინა საზარლად განიცდის მომხდარს. მას მთელი არსებით უყვარს მეუღლე და გაუგებრობის ნიადაგზე ვერ ეგუება მასთან გაყრას. ქალმა თვითონ აიღო თავისთავზე ინიციატივა, შეხვედროდა ქმარს და გაერკვიათ ერთიანი მსჯელობით, თუ რა მოხდა სინამდვილეში. რამდენად სწორია გრაფის ქმედებანი, გამოევლინებინათ მტყუან-მართალი.

სეზარინა გულისხმიერი და თანამგრძნობი ქალია, როცა კარდინალისგან შეიტყო მის დარბაზში შეხვედრაზე გრაფის უარი, კი არ გაბრაზდა, არამედ თანაუგრძნო მეუღლის განცდებს: „მე ეგ კარგათ მესმის... საგულისხმოც არის, იქა ყოველივე... ყოველი სამკაული, ყოველი ნივთი ოთახში, სიმწარით მოაგონებენ მას ჩვენს წარსულს ბედნიერ დღეებს!“ სეზარინას უნდა გრაფთან შეხვედრა ორმხრივ სასაუბროდ არა იმიტომ, რომ თავი იმართლოს, არამედ სიმართლის დასადგენად — რა მოხდა სინამდვილეში და როგორ აღიქვა იგი ალფიერმა. თუმცა, თავის მხრივ, სეზარინა იმდენად მართალია, რამდენადაც გრაფიც, ოღონდ მომხდარში გარკვევამდე. საგულისხმოა, რომ ორივენი აძ საუბარში „თქვენობით“ მიმართავენ ერთმანეთს, რაც შინაგანად ურთიერთპატივისცემაზე უნდა მიგვანიშნებდეს. გრაფი: „მიბრძანა თქვენი ნახვა“; „თქვენ გინდოდათ ჩემთან ლაპარაკი?“ სეზარინა: „მე გავბედე მეთხოვნა თქვენთვის, ნება მოგეცათ ნახვისა“;

„თქვენ ჩაიმარხეთ თქვენის გულის სიღრმეში“... ეს არ არის რაღაც ცინიკური „თქვენობა“, ეს მათი შინაგანი კულტურიდან გამომდინარეობს.

სეზარინა გამბედავი ქალია, უშიშარიც. სიმართლისთვის ბრძოლაში ის სიკვდილის წინაშეც არ შედრკება. გრაფთან კამათში გაწონასწორებულია, ემოციებს თოკავს, ეთიკის საზღვარს არ გადალახავს. ალფიერის ბრალდებებს ასეთი სიმშვიდით პასუხობს: „შეიძლება... ეგ ყოველივე აგრე მოხთა, მაგრამ ჭეშმარიტება სულ სხვაა... და ეს უწყის მხოლოდ ზენა მეუფემ!..“ მართალია, უჭირს მას მთელი ათი თვის განმავლობაში ოჯახის დანგრევა არაფრის გამო, სულით და გულით უნდა, შეაგნებინოს განრისხებულ მეუღლეს სრული ჭეშმარიტება. სამართალმა მაინც თავისი გაიტანა. სეზარინა გამართლდა და ცოლქმარს შორის ჩატეხილი ხიდი გამრთელდა.

კარდინალი (მთავარეპისკოპოსი). კარდინალი სეზარინას ბიძაა. გრაფის მეუღლე კარდინალს მიმართავს: „თქვენ იყავით ჩემი მშობლების მაგიერ“. სეზარინამ სწორედ ბიძა მიუგზავნა გასპარო ალფიერს, რომ ერთმანეთს შეხვედროდნენ და გაერკვიათ მტყუან-მართალი. ბიძაც იმთავითვე დათანხმდა და სწორედ მისი მეშვეობით შედგა ეს შეხვედრა. ცხადია, უდანაშაულო ქალს უმძიმს, მისი „სიცოცხლე და პატიოსნება განკიცხულ იქმნენ დაუმსახურებელ ტანჯვაში“. კარდინალსაც უნდა სეზარინას ააცილოს ეს „დაუმსახურებელი ტანჯვა“.

სეზარინას და გრაფის ურთიერთბრალდებებში კარდინალი პირველად ჩაერთო, როცა გასპარო ალფიერი ეთიკის ნორმებს გადაცდა: „გრაფო, ნუ დაივიწყებთ, რომ თქვენ ელაპარაკებით ქალსა!“ სხვა შემთხვევაშიც იგი გრაფს შეჩერებისკენ მოუწოდებს: „შეჩერდით, უფალო გრაფო! დიაღ, უსაცილოდ ნება თქვენი უნდა იქნეს აღსრულებული, მაგრამ მეცა გთხოვთ უფლებას“... თვითონ კარდინალს მიმართ ალფიერი მოკრძალებულია და უწმინდესობით იხსენიებს მას: „მათს უწმინდესობას ნებავდა და მიბრძანა თქვენი ნახვა“.

სწორედ კარდინალმა გააცნო გრაფს „სასულიერო სამსჯავროს“ განაჩენი: „გრაფო გასპარო ალფიერო პია მონტისავ! სასულიერო სამსჯავრომ, ეკლესიათ მთავრის თან-სხდომითა, განჩინება დააყე-

ნა თქვენზედ: ყრმისა ჯაკომო სან-როასი სიკვდილისათვის თქვენი სახელით თქვენს სახლში. მოგისაჯესთ ხუთი წლის ეკლესიის შენანება ფრანსისკაანთ ძმათა უდაბნოში“.

კარდინალმა როცა შეიტყო ექიმ რუბინისგან, რომ „ძლიერ მართალი და პატიოსანი კაცი“ ანტონიო ყოფილა უშუალო მოწმე გრაფის სახლში მომხდარი საბედისწერო ამბისა, სასწრაფოდ მოითხოვა მისი მოყვანა, რათა ამ საიდუმლოთ მოცულ სიმართლეს ფარდა ახდოდა. საქმის სასიკეთოდ დასამთავრებლად კარდინალმა გონივრულად მოიფიქრა ანტონიოს მოყოლილ ამბებში უშუალოდ არ უნდა დასწრებოდნენ სეზარინა და გრაფი („ვისმე თქვენთაგანის ნახვას შეუძლია ადვილათ გადაახვევინოს იმის გულ-წრფელობაზედ“), ისინი უნდა დამალულიყვნენ ცალკე ოთახებში, რათა „ცოტა შეღებული კარებიდანაც“ მოესმინათ ანტონიოს მონათხრობი.

მოსვლისთანავე ანტონიო კარდინალმა დაკითხა პირველად: „შენ ამ ოჯახში დიდი ხნის მოსამსახურე ხარ და უნდა გიყვარდეს და ერთგული იყო შენი ბატონებისა“... ახლა მითხარი, შენ იცი, რომ ამ თქვენს სასახლეში უკანასკნელად რა ამბები მოხთა?“ მოსთხოვა ანტონიოს „სიმართლის აღწერა“. კარდინალი გულთან ჯვარს ასწევს: „დაიფიცე ამ ჯვარ-ცმაზეო“.

როგორც დავინახეთ, კარდინალი პიესის ერთ-ერთი აქტიური მოქმედი პირია, რომელიც თავიდან ბოლომდე დადებით როლს თამაშობს. მან გადამწყვეტი წვლილი შეიტანა სიმართლის დადგენაში და სეზარინა — გრაფის შერიგებაში.

ჯაკომო სან-როა. მკითხველში სიბრალულს იწვევს სრულიად უდანაშაულო სან-როას ხვედრი, რომელიც კინაღამ ზვარაკად შეეწირა გაუგებრობას. მის პიროვნებას პირველად გრაფი გვაცნობს, რომელიც კარდინალს უყვება მომხდარ ამბავზე; საფრანგეთიდან ელოდებოდა საპატიო სტუმრებს. მოსამსახურეებისთვის დაუვალებია სტუმრების მისაღებად ოთახების მომზადება, ცოტა მოგვიანებით სეზარინასთვის გაუგზავნია პაჟი სან-როა მზადებისთვის კონტროლის გასაწევად. ერთი საათის შემდეგ გრაფი თვითონ წასულა თავის სასახლისკენ და შესწრებია მისთვის საზარელ სურათს: „ერთს გრძელს სავარძელზედ

წამოწოლილი იყო ქალ-ბატონი და ცალი ფეხი გაშიშვლებული ჰქონდა; რეგვენი სან-როა, მთლად ცქცხლ-მოკიდებული სირცხვილითა და მღელვარებისაგან, მის წინ დაჩოქილიყო, მუხლზედ ედვა ეს თითქო მარმარილოს ნათალი შიშველი ფეხი და ხელს უსობდა!.. თითონ გრაფინიას თვალები დაეხუჭა და ტუჩ-ჩაკმედილი, ყელ-გადაღერილი ეტყობოდა თავი მიეცა რაღაც სატანურ განცხრომას!..“

პაჟი სან-როა თურმე ზედმიწევნით ჰყვარებია გრაფს, რადგან მას სახლში თვითონვე გაუზრდია იგი. მიუხედავად ამისა, ასეთი სურათის შემსწრე ალფიერს ხანჯლით დაუჭრია პაჟი („დავკალი ხანჯლით მსხვერპლი დიაცის გარყვნილობისა“). თუმცა, სან-როა სიკვდილს გადარჩენილა ექიმთა დახმარებით. ამით ავტორის მიერ ნაჩვენებია, თუ როგორ შეიძლება გაუგებრობას ემსხვერპლოს უდანაშაულო ადამიანი, თუმცა, ღმერთი არ გასწირავს მას და სიცოცხლეს უნარჩუნებს.

რუბინი. იგი ექიმია, გრაფთან დაახლოებული პირი. მას მეორე „გამოსვლაში“ ვეცნობით პირველად. მკაცრად მორთულ დიდებულ დარბაზში დაბარებული გრაფის მოსვლას აუწყებს იგი კარდინალს და სეზარინას: „გრაფი მობრძანდება; ის ჯერ კიდევ არ არის საკმაოდ ღონეზე მოსრული და მომატებული მღელვარება ავნებს, — მომიტევეთ ბატონო გრაფინია, მაგრამ რამოდენათაც შეიძლება გულგრილად ესაუბრეთ“.

რუბინი სიკეთის განსახიერებაა, როგორც იტყვიან, გაჭირვების ტალკვესი. როცა კარდინალი გრაფს გააცნობს სასულიერო სამსჯავროს განაჩენს, სეზარინას გული შეუწუხდება. რუბინი მიირბენს იმწამსვე მასთან, ჯიბიდან წამღიან შუშას ამოიღებს და ცხვირთან მიუტანს, სეზარინა თვალებს გაახელს. თვითონ გრაფიც მოსთხოვს ექიმს შუშას, მაგიდასთან დაჯდება და ისიც შუშას ყნოსავს.

სწორედ რუბინმა ითამაშა გადამწყვეტი როლი ბნელით მოცულ ამბავში ნათლის მოსაფენად, პიესის კეთილი ამბებით დასრულების საქმეში. იგი გრაფს სთხოვს ერთ გარემოებაზე ყურადღების გამახვილებას: „ყველამ კარგად იცის სამწუხარო თქვენის ოჯახის თავგარდასავალი, მაგრამ განმარტება ამ უბედური შემთხვევისა არავის არ შეუძლიან. — არის ერთი ადამიანი, თქვენ მსახურთ-შორის,

მოხუცი კაცი ფარეშია მებუხრე... მარწმუნებს, რომ ყოველივე მაგ საუბედურო შემთხვევის გარემოება დაწვრილებით ვიციო".

ანტონიო. იგი ყოფილა გრაფის მსახური, მებუხრე. რუბინის დახასიათებით, ანტონიო „მართალი და პატიოსანი კაცია". კარდინალმა სასწრაფოდ მოაყვანინა იგი, რომელმაც სეზარინას და გრაფის ერთგულება შემდეგნაირად გაახმოვანა: „მზათ ვარ მათთვის ორივ ხელები დავიჭრა და თუ კი საჭიროა, თავიც მომკვეთონ". კარდინალი მოსთხოვს ანტონიოს: „ახლა მითხარი, შენ იცი, რომ ამ თქვენს სასახლეში უკანასკნელად რა ანბები მოხთა?" ანტონიო პასუხობს: „როგორ არ მეცოდინება, უწმინდესო ბატონო, როდესაც ყოველივე დავინახე ჩემი თვალებით და გავიგონე ჩემი ყურებით". მის მიერ „სიმართლით აღწერილმა" ამბებმა სეზარინა გაამართლა, ცოლ-ქმარი შეარიგა და ყველა დაარწმუნა, რომ კვამლი გაჩენილი იყო უცეცხლოდ.

მხატვრული მხარე. მხატვრულ ღირსებებზე ვრცლად საუბრის საშუალებას ეს პატარა მოცულობის პიესა ნაკლებად იძლევა. მიუხედავად ამისა, უყურადღებოდ ვეღარ დავტოვებთ იმ რამდენიმე ნიმუშს მხატვრული შედარებისა და მეტაფორისა, რაც ნაწარმოებში იჩენს თავს. ლოგიკურ-მხატვრული მსაზღვრელნი კი საკმაოდ მოგვეპოვება, რაც მთლიანად ამოვწერეთ და აქვე დავაფიქსირებთ: შეურყეველი, საგულისხმო, ყოველი, ბედნიერი, განკიცხული, დაუმსახურებელი, პირშავი, მომატებული, გულგრილი, უბრალო, ბოროტი, უზრდელი, შეცოდებული, საზარელი, მცირეოდენი, მშვენიერი, ღრმა, ჭკვიანი, უგუნური, უბედური. სასტიკი, პატიოსანი, მდაბალი, სუსტი. მოყვარე, სამძიმო, უძირო, გულწრფელი, გამოცხადებული, განსაცვიფრებელი, გრძელი, გაშიშვლებული, რეგვენი, ცეცხლმოკიდებული, ტუჩჩაკმედილი, ყელგადაღერილი, სატანური, ჩერჩეტული, ბავშვური, მფარველი, დიდებული, წმინდა, გამამართლებელი, სამწუხარო, ერთგული, მართალი, საუბედურო, შეღებული, უწმინდესი.

ასევე მხატვრული შედარების ყველა ნიმუში ამოვწერეთ: „ქალს შეუძლიან, როგორც ღამურა დეეწაფოს ჩემს გულსა და გამოსწუწნოს ჩემი სისხლი"; „ისე გესათუთებოდი, როგორც გადია"; „მაშინვე დაიწყო მან გლინვა და გრეხა, როგორც გველი"; „მაშინდელი მაგის

ქვითინი, ხვეწნა გავდენ კატის ჩხავილს გრიგალის დროსა“; „მკვდარივით ეგდო“.

მეტაფორის მხოლოდღა ორიოდე ნიმუში ელვარებს: „როცა თქვენი მარგალიტის კბილები მსურდა“... „მუხლზედ ედვა ეს თითქო მარმარილოს ნათალი შიშველი ფეხი“.

თხზულების სალიტერატურო ენას ვერ დაიწუნებ, მაგრამ ასე პატარა მოცულობის პიესისათვის ამდენი დიალექტიზმის მოჭარბება ნამეტნავად გვეჩვენება (თუმცა, ეს მთარგმნელის ნიკოლოზ წულუკიძის ხელწერაა და არა გიორგი შარვაშიძისა): „ბავშობიდან მიცნობთ“; „მომიტევეთ, ბატონო გრაფინია, მაგრამ რამოდენათაც შეიძლება გულგრილად ესაუბრეთ“; „გეთქვათ ჩემთვინ“; „არ შეუძლიან შენანება“; „დიახ, ესები (ე.ი. ესენი — ტ.მ.) მე დამავიწყდა“; „მაგრამ ესები ყველა გაპატიეთ“; „მარამ ნუროზედ ფიქრობთ“; „შეურყეველი ვარი სთქვა“; „არ დამეშალა თქვენთვინ“; „რომელიც მოხთენ თქვენს ოჯახში“; „ეს ამბავი გახლდათ ათი თვის წინეთ“; „მე მოველოდი საფრანგეთიდამ საპატივო სტუმრებს“; „ხელს უსობდა“; „წამოხთა ზეზე“; „მიუხედავად ამისა, ავმართე სანჯალი“; „რას ჩადიხარ, უბედურო, დედაკაცსა კლამო“; „თუ კი რამ გაქ სათქმელი“; „ეხლავ მამგვარეთ ის კაცი“.

ხშირად აქვს ადგილი ვითარებითი ბრუნვის ნიშანის „დ“-ს ჩანაცვლებას ხმოვნით „თ“: „მე კარგათ მესმის“; „უბრალოთ გატანჯავთ თქვენ“; „ერთობაში მოგლიჯა თქვენი გულიდამ სიყვარული“; „ძლიერ ადვილათ“ ერთხელ ნახმარია რუსული სიტყვა „სტოლი“: „გრაფი დაჯდება სტოლთან და შუშას სუნთქავს“.

გიორგი შარვაშიძის პირველი ერთმოქმედებიანი პიესა XIX საუკუნის 90-იან წლებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა. მასზე არაერთი დადებითი რეცენზია გამოქვეყნდა, რომელთა შორის ერთს უკვე გავეცანით, ასევე მოვიხმეთ დასაწყისშივე აკაკი წერეთლისეული შეფასება. „კომლი უცეცხლოთ“ პირველად დაუდგამთ ქუთაისის კ. მესხის თეატრში 1893 წლის 14 ნოემბერს, ხოლო 1895 წელს — უკვე თბილისში. საქართველოს დედაქალაქში გამართულ სპექტაკლში მონაწილეობდნენ: ეფემია მესხი, კ. მესხი, მ. საფაროვა-აბაშიძე, ნ.

ჩხეიძე, კ. ყიფიანი და სხვ. პიესას ქართული პრესა იმთავითვე დადებითად აფასებდა, რასაც ვერ ვიტყვით რუსულ პრესაზე („ნოვოე ობოზრენია“, „ტიფლისკი ლისტოკი“), რომლებიც არაობიექტურად მსჯელობდნენ მასზე, აკნინებდნენ, უარყოფითად აფასებდნენ. ორივე რუსული გაზეთი 1895 წლის ერთსა და იმავე დღეს — 28 ნოემბერს „გამოეხმაურა“ მის ინსცენირებას. თუმცა გაზეთმა „ივერიამ“ ამ პიესის ტენდენციურად განმსჯელთ იმთავითვე გასცა საკადრისი პასუხი: „გიორგი შარვაშიძის „კომლი უცეცხლოდ“ ისეთი ხელოვნურად და ლამაზად აკინძული შემთხვევა არის, რომელსაც თავიდან ბოლომდე ინტერესით უყურებთ, სიამოვნებით. „კომლი უცეცხლოდ“ უცხო, სურნელოვან ლამაზ ყვავილს მოგაგონებთ, რომელსაც ნაზი და ფაქიზი მოვლა უნდა, რომ უხეირო შეხებით ფოთლები არ გაუფუჭდეს“.[1] ვ. გუნიას შენიშვნით, თუ პიესამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია, თუ მან ხალხი აალაპარაკა, ის პიესა კარგიაო.[2]

როგორც ითქვა, „კომლი უცეცხლოთ“ გიორგი შარვაშიძეს რუსულად დაუწერია, თუმცა თავის დროზე იგი იტალიურიდან თარგმნილად მიაჩნდათ, რაც არ დადასტურდა. ერთხანს იგი ფიზიკურადაც გამქრალა, დაკარგულად მიაჩნდათ. გიორგი შარვაშიძის ცხოვრებისა და შემოქმედების განუმეორებელი მკვლევარი აკად. სიმონ ჯანაშიაც შენიშნავდა, სამწუხაროდ, ამჟამად პიესა ჩვენთვის ხელმიუწვდომელი აღმოჩნდაო: „ჩვენთვის ცნობილი მესამე პიესა გ. შარვაშიძისა „კომლი უცეცხლოდ“, დრამატული სურათი ერთ მოქმედებად, პირველად ნათამაშევი ყოფილა ქუთაისში, კ. მესხი თეატრში, 14.XI.1893 წ., როგორც ეს აღნიშნული იყო ამ პიესის ვალ. გუნიასეულ ხელნაწერ ცალზე, — ხოლო შემდეგში თბილისშიც. სამწუხაროდ ამჟამად პიესა ჩვენთვის ხელმიუწვდომელი აღმოჩნდა“.[3]

გამომდინარე აქედან, 2006 წლამდელ გიორგი შარვაშიძის თხზულებათა არც ერთ გამოცემაში „კომლი უცეცხლოდ“ არ დაბეჭ-

---

[1] გაზ. „ივერია“, №258, 1895.

[2] შდრ. ო. ჭურღულია, შარვაშიძეები, გვ. 78.

[3] ს. ჯანაშიას დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

დილა. მკითხველთა და სპეციალისტთა განკარგულებაშია აფხაზი მწერლის შემოქმედებითი ნიმუშების ორტომეული, რომელშიც თავის ადგილს პოულობს „კომლი უცეცხლოდ“ (თხზულებანი, I. ქუთაისი, 2006, რედაქტორ-შემდგენელი ელ. თაბერიძე, გვ. 254-262). 1952 წელს ამ კომედიისთვის მიუკვლევია ცნობილ თეატრმცოდნეს სერგო გერსამიას, რომელსაც 1967 წელს სოლომონ ლეკიშვილისთვის მიუთითებია ნაწარმოების ადგილსამყოფელზე და ზოგიერთ საინტერესო ფაქტზე პიესის გარშემო (პიესა დაცულია საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმში, №524).

კომედიის მნიშვნელოვან დეტალებთან დაკავშირებით სოლომონ ლეკიშვილმა პირველად გამოაქვეყნა მიმოწერა სერგო გერსამიასა და შალვა დადიანს შორის, რითაც დგინდება გიორგი შარვაშიძის ბიოგრაფიის საყურადღებო მომენტები. სოლომონ ლეკიშვილის ამ პუბლიკაციიდან საკმაოდ დიდი დრო გავიდა (37 წელი) და იგი თითქმის მივიწყებული ჩანს, ამიტომ საჭიროდ ვცანით [illegible]-სიტყვით მისი გამეორება.

სერგი გერსამია შალვა დადიანს მისწერს ბარათს: „ძვირფასო შალვა!.. თქვენ კარგად იცნობდით გ. შარვაშიძეს, იცნობდით პიესას „კომლი უცეცხლოდ“ და გითამაშნიათ კიდეც ამ პიესაში, ამიტომ გთხოვთ მომაწოდოთ წერილობით:

1. თქვენი აზრი, პიესა ვის ეკუთვნის, 2. თუ გ. შარვაშიძის კუთვნილებაა, რომ გამოიწვია ის, რომ ავტორი სხვაა ნაჩვენები. 3. პიესას რად ეწოდება „ნათარგმნი“. 4. თუ გ. შარვაშიძის კუთვნილებაა, რად მიმართა ავტორმა მისტიფიკაციას, 5. ვინ არის მთარგმნელი „ნ.წ.“ და სხვა რაც საჭიროდ მიიჩნიოთ საკითხის გაშუქებისთვის, ეს თქვენ უკეთესად იცით. მარად თქვენი პატივისმცემელი სერგი გერსამია, 5 მარტი, 1952 წელი.[1]

ამასთან დაკავშირებით, სოლომონ ლეკიშვილი წერს: „ს. გერსამიას წერილში წამოჭრილ ფრიად საგულისხმო კითხვებს შ. და-

[1] საქართველოს სახელმწიფო სათეატრო მუზეუმი, დოკ. 17302, აღწ. 7, ფ.3, საქ. 115.

დიანი მისთვის ჩვეული პასუხისმგებლობით მოჰკიდებია და ვრცელი დასაბუთებული პასუხი გაუცია ადრესატისათვის. უდაოა, მოტანილი მიმოწერა შუქს მოჰფენს კომედიის ირგვლივ არსებულ ბუნდოვან საკითხებს და მნიშვნელოვნად დაეხმარება დაინტერესებულ პირთ სინამდვილის აღდგენის საქმეში".[1]

ახლა კი გაეცნოთ შალვა დადიანის საყურადღებო წერილს:

„ეს იყო 1893 წ.: როდესაც მე პირველად შევდგი ფეხი ქუთაისის პროფესიონალ დასში, რომელსაც მაშინ მეთაურობდა კოტე მესხი. ძვირფასი კოტე გაფაციცებით ეძებდა ქართულ ორიგინალ პიესებს დასადგმელად და აი, ერთ-ერთი რეპეტიციის დროს მან მოგვიტანა ერთმოქმედებიანი პიესა „კომლი უცეცხლოდ" და წაგვიკითხა, თან როლებიც გაგვინაწილა.

პიესაში მოქმედ პირად იყვნენ გამოყვანილნი იტალიელები და მოქმედებაც იტალიაში წარმოებდა. პიესა თითქო თარგმანის შთაბეჭდილებას სტოვებდა, მაგრამ ძალიან მალე გამოირკვა ყველა ჩვენთვის, რომ ნაწარმოები ეკუთვნოდა შარვაშიძეს. ეს პიესა გიორგის რუსულად ჰქონდა დაწერილი და პიესის დედანი ქუთაისის ოჯახებში ხელიდან ხელში გადადიოდა. როგორც შემდეგ გავიგეთ, „კომლი უცეცხლოდ" ავტობიოგრაფიული ხასიათის იყო და იტალიაში, გასაგები მიზეზის გამო, განგებ ჰქონდა ავტორს მოქმედება გადატანილი.

რაც პიესაში მოთხრობილია, ის პირადად ჰქონდა გიორგის შემთხვეული, მაგრამ ყოველგვარ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, მოქმედ პირთა სახეები შეცვლილი ჰქონდა. ახლა მახსენდება, რომ პიესაში გამოყვანილ პაჟის როლი ერთ-ერთი მისი ძიძიშვილის საქციელით იყო ჩაგონებული. ამაზე ხშირად ლაპარაკობდნენ კულუარებში. რაც შეეხება პიესაში გამოყვანილი ცოლის როლს, ეს ვითომ გიორგის ცოლის ალტერეგო იყო, მაგრამ ჩვენ ყველამ ვიცოდით, მთელმა საზოგადოებრიობამ, რომ გიორგის მეუღლე იყო მეტად შესანიშნავი, უმწიკვლო ზნეობის ქალი და მას არავითარი,

[1] ს. ლეკიშვილი, გიორგი შარვაშიძე (დოკუმენტური მასალები). „საისტორიო მოამბე", №31-32, თბ., 1975. გვ. 293.

მის პიროვნებას ჩრდილს რომ მიაყენებდა ისეთი რამ არასოდეს თავის ცხოვრებაში არ ჩაუდენია. და აკი პიესაშიც ის ყოვლად უმანკო ადამიანად მოჩანს და მის გარშემო დატრიალებული ტრაგედია გაუგებრობაზე იყო აშენებული. ერთი სიტყვით, პიესა ეკუთვნოდა და ეკუთვნის გიორგი შარვაშიძეს.

რაც შეეხება ვიღაც ლორენცო ჩელლის, რომლის პიესიდანაც არის ვითომდა „კომლი უცეცხლოდ" გადმოთარგმნილი, ჩვენს დასში მომუშავეებმა მაინც მაშინ ამისი არაფერი ვიცოდით. მხოლოდ როდესაც გავიგეთ, რასაკვირველია, ესეც მივაწერეთ ავტორის ერთგვარ ხერხს, რომ თავისი თავი მიეჩქმალა, როგორც ზევით ვთქვი, გასაგებ მიზეზების გამო.

ახლა ტექსტი. როგორც ვთქვი, გიორგი შარვაშიძეს პიესა რუსულად ჰქონდა დაწერილი, მაგრამ რაკი კოტე მესხს უნდოდა ის ქართულად წარმოედგინა, ხომ უნდა ჰქონოდა თარგმანი და აი, მან გაიგო, რომ რუსულიდან ამ პიესას მთარგმნელიც ჰყავდა. ეს იყო გიორგი შარვაშიძის დის, ბაბოს ქმარი, ნიკოლოზ (კოლია) წულუკიძე. ის ამ დროს ქუთაისის ციხეში იჯდა პოლიციასთან რაღაც შეტაკების გამო და სასჯელს იხდიდა. ის არ იყო პროფესიონალი მწერალი, მაგრამ გემოვნებაგანვითარებული კაცი იყო, რუსულისა და ქართულის კარგი მცოდნე და ამიტომაც მოჰკიდა თარგმანს ხელი საფიქრებელია ისიც, რომ ამით უნდოდა მის სასახელო ცოლისძმისთვისაც ესიამოვნება.

ცხადია, თვითონ გიორგის შეეძლო თავისი პიესა გადაეთარგმნა და შეიძლება, ბევრად უკეთესადაც. მაგრამ აქ უპრიანესობა სიძეს დაუთმო. ამგვარად ჩვენ ხელთ გვქონდა „ნ.წ." მიერ ნათარგმნი გიორგი შარვაშიძის პიესა „კომლი უცეცხლოდ". სრული სახელი და გვარი იმიტომ არ მოაწერა მთარგმნელმა, რომ კოლია წულუკიძეს მთელი ქუთაისი იცნობდა და არ უნდოდა, რომ საპატიმროში მყოფი ტუსაღის სახელით გამოსულიყო ლიტერატურაში.

ამგვარად, ვიმეორებ რუსულად დაწერილი პიესა „კომლი უცეცხლოდ" ყოველ ეჭვს გარეშე ეკუთვნის გიორგი შარვაშიძეს და ამ პიესის მთარგმნელია ნიკოლოზ (კოლია) წულუკიძე „ნ.წ."-ს ინიციალ-

ებს შეფარებული. მოსახსენებელია ისიც, რომ „კომლი უცეცხლოდ“ რამდენიმეჯერ გავიმეორეთ ქუთაისში, რაც იმ დროს იშვიათი იყო და დიდი გამარჯვების მაუწყებელი“.[1]

სერგი გერსამიას მიერ 1952 წელს აღმოჩენილი „კომლი უცეცხლოდ“ პირველად დაბეჭდა სოლომონ ლეკიშვილმა 1975 წელს „საისტორიო მოამბეში“,[2] საიდანაც გადაიბეჭდა იგი გიორგი შარვაშიძის თხზულებათა ორტომეულის პირველ ტომში 2006 წელს.

პიესაზე საუბარს დავასრულებთ სოლომონ ლეკიშვილის სიტყვებით: „კომლი უცეცხლოდ“ საინტერესო დრამატული ნაწარმოებია, რომელიც საშუალებას იძლევა უფრო სრული წარმოდგენა ვიქონიოთ მისი ავტორის, უპრეტენზიო და დღეისათვის მივიწყებული მწერლის და საზოგადო მოღვაწის გ. შარვაშიძის სამწერლო ნიჭზე, მის დამსახურებაზე ქართული თეატრის წინაშე“.[3]

გიორგი შარვაშიძეს მიაკუთვნებენ კიდევ ერთ პიესას „ბედისგან დევნილი კაცი“, რაც მკითხველი საზოგადოებისათვის დღემდე უცნობი საინტერესო ცნობა შემოგვინახა გაზ. „დროებამ“: ამბობენ, ვითომ თ. გიორგი შარვაშიძეს დაუწერია რუსული კომედია თუ დრამა სახელად `Человек преследуемый судьбою“ („ბედისგან დევნილი კაცი“), რომელიც ავტორს წარუდგენია „მოსკოვის უწყებებისა და „რუსის ძმობის“ რედატორის უფ. კატკოვისათვის ამ უკანასკნელ ჟურნალში დასაბეჭდად. უფ. კატკოვმა დასაბეჭდათ ვერ მიიღო თურმე ეს თხზულება, რადგან ავტორს დრამატული თხზულებებისა და სცენის მოთხოვნილების ცოდნა აკლიაო, მაგრამ ამასთანავე ისიც ეთქვა, რომ უეჭველია ამის დამწერი ძლიერ ნიჭიერი და ჭკვიანი კაცი უნდა იყოსო“.[4]

ამ ცნობასთან დაკავშირებით, ოთარ ჭურღულია წერს: „ჩვენთ-

---

[1] იხ. გ. ლეონიძის სახ. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, №25424; შდრ. ს. ლეკიშვილი, გიორგი შარვაშიძე (დოკუმენტური მასალები), „საისტორიო მოამბე“, №31-32, თბ., 1975, გვ. 293-295.

[2] იქვე, გვ. 258-264.

[3] ს. ლეკიშვილი, გ. შარვაშიძის დაკარგული პიესა „კომლი უცეცხლოდ“. ჟურნ. „თეატრალური მოამბე“, №3(55), მაის-ივნისი, თბ., 1970, გვ. 17.

[4] გაზ. „დროება“, №187, 1878.

ვის საყურადღებოა თვით ფაქტი, რომ გ. შარვაშიძეს დაუწერია ასეთი სახელწოდების პიესა და არა კატკოვის „კომენტარები“. საუბედუროდ, არ ვიცით თუ რა შინაარსისა იყო ეს პიესა, მაგრამ გამოითქვა მოსაზრება, რომ მასში ასახული უნდა ყოფილიყო გ. შარვაშიძის ახლო მეგობრისა და თანამოაზრის, ცნობილი ჟურნალისტისა და მოღვაწის დავით ჩქოტუას, მართლაც ბედისგან დევნილი კაცის, თავგადასავალი“.[1]

ამრიგად, გიორგი შარვაშიძის ერთმოქმედებიანი ტრაგიკომედია „კომლი უცეცხლოთ“ დიდხანს ითვლებოდა დაკარგულად. შექმნილია რუსულ ენაზე, რომელიც გადმოუქართულებია ნიკოლოზ წულუკიძეს. მიჩნეულია ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებად. მის სცენაზე დადგმას აკაკი წერეთლის ყურადღებაც მიუქცევია. პიესა XIX საუკუნის 80-იან წლებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა, რაზეც მეტყველებს პრესაში გამოქვეყნებული რეცენზიები. იგი პირველად დაუდგამთ ქუთაისის თეატრში 1893 წლის 14 ნოემბერს. ნაწარმოები მოცულობით პატარაა, ცხრაგვერდიანი, არც მხატვრული ღირებულებებით გამოირჩევა, გადატვირთულია დიალექტებით. ძალზე ღარიბია ტროპული მეტყველების ნიმუშებით.

გიორგი შარვაშიძეს მიაკუთვნებენ კიდევ ერთ პიესას – „ბედისგან დევნილი კაცი“, რომელიც რუსულ ენაზე ყოფილა შექმნილი. ეს პიესა დღემდე უცნობია. არც დადგმულა სცენაზე და არც გამოქვეყნებულა. გამოთქმული მოსაზრებებით, მასში ასახული უნდა ყოფილიყო ცნობილი აფხაზი ჟურნალისტის, რუსთველოლოგის, საზოგადო მოღვაწის, დავით ჩქოტუას თავგადასავალი, რომელიც ნამდვილად იყო ბედისგან დევნილი კაცი.

---

[1] ო. ჭურლულია, შარვაშიძეები, გვ. 79; შდრ. მისივე, დავით ჩქოტუა, სოხუმი, 1979, გვ. 25-26.

თავი მეშვიდე
გიორგი შარვაშიძის პუბლიცისტიკიდან

გიორგი შარვაშიძე იყო არა მხოლოდ ლირიკოსი, ეპიკოსი, დრამატურგი, არამედ შეუპოვარი პუბლიცისტიც. როგორც მხატვრულ შემოქმედებაში, ასევე პუბლიცისტურ წერილებში ავლენდა იგი უპირველესად თავის ეროვნულ-მოქალაქეობრივ პოზიციას, ფართო განათლებას, სიმართლისადმი ერთგულებას, წერის კულტურას, შეუდრეკელ ხასიათს. მწერლის მხრიდან მისი თანამედროვე ყოფითი მოვლენებისადმი წერილობითი გამოხმაურება არ ხდებოდა უბრალოდ მოვალეობის მოხდის მიზნით, არამედ პატრიოტული ენთუზიაზმით, ადამიანური შინაგანი მოთხოვნილების სულისკვეთებით. გამოირჩეოდა პირდაპირობით, უკანდაუხევლობით, ნებისყოფის სიმტკიცით. იგი ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა, აქტიურად იყო ჩართული ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში.

გიორგი შარვაშიძემ თავისი პუბლიცისტური წერილებით, სტატიებით შთამბეჭდავი წვლილი შეიტანა ქართული პუბლიცისტური მემკვიდრეობის განვითარების საქმეში. სიმონ ჯანაშია თავის დიდებულ კულტურულ-ისტორიულ ნარკვევში „გიორგი შარვაშიძე“ არაფერს ლაპარაკობს აფხაზი მწერლის პუბლიცისტურ ნაწერებზე, გიორგი შარვაშიძის თხზულებების მისეულ გამოცემაში არც ერთი პუბლიცისტური წერილი არ არის შეტანილი. აფხაზი მწერლის თხზულებათა სრული კრებული ჯერ არ გამოქვეყნებულა, თუმცა გამონაკლისს წარმოადგენს 2006 წელს ქუთაისში განხორციელებული ორტომეულის გამოცემა, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის რედაქტორ-შემდგენელს ელგუჯა თავბერიძეს.

პირველ ტომში ლირიკული, ეპიკურ და დრამატულ ძეგლებთან ერთად პირველად დაიბეჭდა მწერლის პუბლიცისტური წერილები: „დამარცხებულნი“, დრამა ოთხ მოქმედებად პ. უმიკაშვილისა; „დატრიალდა ჯარა, ვოდ. 1 მოქმედება კ. ყიფიანისა; „სტუმარი“, დრამა 4 მოქმედებად ბრანდესისა; „აირია მონასტერი“, კომედია 3 მოქ-

მედებად; „სამშობლო“, დრამა ხუთ მოქმედებად; „აღლუმი“, კომედია ოთხ მოქმედებად; „ცოლ-ქმრობის წინააღმდეგი“, ვოდ. 1 მოქმედებად; „ლანდი“, დრამატული ზღაპარი 5 მოქმედებად და 6 სურ.; „და-ძმა“, დრამა 5 მოქმედებად; „რაც არ მერგება, არ შემერგება“. ვოდევილი: „ციმბირელი“, კომედია 4 მოქმედებად; „დათვი“, ვოდევილი 1 მოქმედებად; 1 მოქმედება; „შეშლილია“, დრამა 3 მოქმედებად; „დაქცეული ოჯახი“ კომედია 3 მოქმედებად; „თეატრის მატიანე“; „ორი ობოლი“, დრამა 5 მოქმედებად 7 სურათად; „ქართული სალიტერატურო საღამო“; „გამწარებული ცხოვრება“, დრამა 4 მოქმედებად; „Так пишется история“; „სოციალიზმი და საქართველო“.

როგორც რედაქტორ-შემდგენელი ელგუჯა თავბერიძე შენიშნავს: „გიორგი შარვაშიძის პუბლიცისტური წერილები პირველად ქვეყნდება. შევეცადეთ ტექსტი მაქსიმალურად დედნისეული დაგვეტოვებინა, რადგან ყველა გამოქვეყნებულია ამა თუ იმ პერიოდულ ორგანოში. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ხშირი იყო ისეთი შემთხვევა, როცა ესა თუ ის რედაქცია ცვლიდა ტექსტს, რაც ავტორის გულისწყრომას იწვევდა. ვეცადეთ ეს წერილები ავტორისეული ვარიანტით მოგვეტანა. ზოგიერთ მათგანზე (რა თქმა უნდა, დაბეჭდილზე) თვით გიორგი შარვაშიძის შენიშვნა გავითვალისწინეთ“.[1] ელგუჯა თავბერიძე იქვე დასძენს: „მოსაძებნია და შესასწავლი გ. შარვაშიძის მეტად საინტერესო ეპისტოლარული მემკვიდრეობა. ჩვენ ხელთ გვაქვს მისი რამდენიმე წერილი, მაგრამ საჭიროდ ვცანით მხოლოდ იმათი გამოქვეყნება, რომლებიც ქართული კულტურის ისტორიის ერთმა თვალსაჩინო მაძიებელმა, ძველი ამბების დიდებულმა მცოდნემ, ბატონმა პაატა ქურდოვანიძემ მოგვაწოდა“.[2] წიგნში შეტანილია ეს წერილები და ლექსთა ავტოგრაფები მთლიანად. შევნიშნავთ, რომ ამ ტომში დაბეჭდილი თეატრალური რეცენზიები თუ სხვა მასალები ქვეყნდებოდა გაზ. „ივერიაში“, „Так пишется история“ კი დაიბეჭდა გაზ. „Закавказье“-ში, „სოციალიზმი და საქართველო“ – გაზ. „საქართველო“-ში.

---

[1] გ. შარვაშიძე, თხზ., I, გვ. 332.

[2] იქვე, გვ. 333.

აღსანიშნავია, რომ გიორგი შარვაშიძის თხზულებათა პირველ ტომში თაყმოყრილი რეცენზიები სათეატრო დადგმებზე ს. ლეკიშვილმა პირველად გამოაქვეყნა „საისტორიო მოამბეში“ 1975 წელს.[1] ასევე ყველა ეს რეცენზია შესულია ეფემია ხარაძის წიგნში „გიორგი შარვაშიძე და თეატრი“.[2] ამავე წიგნშია შესული მისი შესანიშნავი ნარკვევი „გიორგი შარვაშიძე და მისი თეატრალურ-ესთეტიკური შეხედულებანი“, რომელიც შექმნილია ამ რეცენზიების საფუძველზე. ოთარ ჭურღულიამ პირველთაგანმა მოგვცა გიორგი შარვაშიძის თეატრალური რეცენზიების განხილვა და გაშუქება იმ პრობლემატიკისა, რასაც აფხაზი მწერალი ეხებოდა. კერძოდ, მკვლევარი მიმოიხილავს რეცენზიებს შემდეგ სათეატრო დადგმებზე: „დამარცხებულნი“, „დატრიალდა ჯარა“, „სტუმარი“, „აირია მონასტრები“, „აღლუმი“, „ცოლქმრობის წინააღმდეგი“, „ლანდი“, „და-ძმა“, ციმბირელი“, „შეშლილია“, „დაქცეული ოჯახი“, „ხანუმა“, „ორი ობოლი“, „გამწარებული ცხოვრება“.

ქვემოთ შევეხებით გიორგი შარვაშიძის პუბლიცისტიკური მემკვიდრეობის გარკვეულ ასპექტებს და პრობლემატიკას.

გიორგი შარვაშიძის „სოციალიზმი და საქართველო“

გიორგი შარვაშიძის შემოქმედების მცოდნეთ კარგად უწყიან, რომ პოეტი ცნება „საქართველოს“ ანაცვლებს „ივერიას“. ამას ს. ჯანაშიამ მიაქცია პირველად ყურადღება: „შესამჩნევია, რომ გ. შარვაშიძე „საქართველო“-ს აღსანიშნავად რჩეობს ტერმინს: „ივერია“, ხოლო „ქართველი“-ს მაგიერ ხშირად ხმარობს „ივერ“-ს. ესეც საკმაოდ ძველი და საინტერესო ტრადიციის ანარეკლია“.[3] ამისი გარკვეული მიზეზებიც დიდ მეცნიერს ახსნილი აქვს კიდეც, რაზეც აქ სიტყვას

[1] ს. ლეკიშვილი, გიორგი შარვაშიძე (დოკუმენტური მასალები), „საისტორიო მოამბე“, გვ. 266-284.

[2] ე. ხარაძე, გიორგი შარვაშიძე და თეატრი, თბ., 1997, გვ. 29-51.

[3] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, აკად. ს. ჯანაშიას რედაქციითა და ნარკვევით, თბ., 1985, გვ. 59.

არ გავაგრძელებთ. ეს იმ ფაქტმა მოგვაგონა, რომ ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილს, რომელიც ამჯერად ჩვენი დაკვირვების საგანია, სათაურად აქვს „სოციალიზმი და საქართველო“ და არა – „სოციალიზმი და ივერია“. ეს, ალბათ, იმ გაზეთის პატივსაცემად, სადაც დაიბეჭდა 1917 წელს (№137-140) ეს წერილი და რომელ გაზეთსაც სწორედ „საქართველო“ ჰქვია. ეს სხვათა შორის.

„სოციალიზმი და საქართველო“ იმ მხრივ იპყრობს ყურადღებას, რომ გიორგი შარვაშიძე ღრმად იყო გარკვეული ე.წ. სოციალიზმის არსში, მის მოსალოდნელ შედეგებში. მის მიერ სტატიაში გატარებული თვალსაზრისები თითქოს წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. იყო თუ არა რუსეთი სოციალიზმისათვის მზად, ან თავად საქართველოც. ავტორს ეჭვი არ ეპარება სოციალიზმის იდეალის მომხიბვლელობაში. ოღონდ აფიქრებს პრაქტიკულად მისი განხორციელება ცხოვრებაში.

გიორგი შარვაშიძე წერს: „სოციალიზმი და ანარხიზმი არიან ის იდეალები კაცობრიობის ცხოვრებისა, რომელნიც დაბადებულან, როგორც უკიდურესი გონებრივი და ზნეობრივი მიზანი, რომლისადმი მისწრაფება ისტორიული ევოლუცია ხალხთა განვითარებაში. ეს განვითარება კი შექმნის ისეთს კაცთა შორის სათნოებას, რომელიც თავის-თავად გააუქმებს ყოველ-გვარ შუღლს და დავას“...[1] როდის უნდა მიაღწიონ ადამიანებმა ბედნიერ არსებობამდის? – სვამს კითხვას ავტორი და იქვე განაგრძობს: „როდესაც მთელი საზოგადოება, მთელი ერი, ზე-კაცობას დააგვირგვინებს. ძირითადად არ არსებობს კაცთა გრძნობაში არც მტრობა, არც შური, არც ვნება-რა, არც ტყუილი, მხოლოდ სახეზე ყველას გვეწეროს ურთ-ერთის სიყვარული და სიწმინდა? მაშინ არავითარი პროპაგანდა-ქადაგება არ დასჭირდება სოციალიზმის დაარსებას და თავისით გაშენდება როგორც ნებაუფლება ყველასი ერთად საუმჯობესო ცხოვრებისადმი“.[2]

ვიდრე გიორგი შარვაშიძის შეხედულებებზე საუბარს გავაგრძელებდეთ, საჭიროა გავიხსენოთ ცნება „სოციალიზმის“ განმარტება: „სოციალიზმი ფრანგული სიტყვაა და ნიშნავს საზოგადოებრივს.

[1] გ. შარვაშიძე, თხზულებანი, I, ქუთაისი, 2006, გვ. 304.

[2] იქვე.

1. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წყობილება, რომელიც მყარდება პროლეტარული რევოლუციის შედეგად, ბურჟუაზიის ბატონობის დამხობის, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისა და ექსპლუატატორული კლასების ლიკვიდაციის შედეგად, რომლის საწარმოო ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენს წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრება და რომლის დროსაც ხორციელდება პრინციპი — „თითოეულისაგან მისი უნარის მიხედვით, თითოეულს მისი შრომის მიხედვით; 2. მოძღვრება სოციალისტური საზოგადოების აშენების შესახებ".[1]

გიორგი შარვაშიძეს მიაჩნია, რომ სოციალიზმის, როგორც წყობილების, დამყარებისათვის საჭიროა ჯერ კაცობრიობის მისვლა მაღალ გონებრივ წერტილამდე და ზნეობრივ გაწმენდამდე. ამიტომაც არ დამყარებულა ეს წყობა არც ერთ ქვეყანაში დედამიწის ზურგზე. ავტორს თავად ებადება კითხვა, თუ რატომ არ არსებობს სოციალიზმი ისეთ განათლებულ ქვეყნებში, როგორიცაა: საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია, ამერიკა და ა.შ. თვითონ განათლებულ ქვეყნებშიც კი, სადაც აღმოფხვრილი არ არის ავაზაკობა, ქურდობა, კაცის კვლა, ძარცვა და სხვა უზნეობანი, სოციალიზმი ვერ შეაბიჯებს. ამ მანკიერებათა შესაჩერებლად და წესრიგის დასამყარებლად საჭიროა პოლიციის მოხელენი, კომისრები და სხვა ძალები. ასეთ სიტუაციაში სოციალიზმის დამყარება ანარქიზმად ესახება „სოციალიზმი და საქართველოს" ავტორს: „მაშასადამე, სოციალიზმის დაარსება პოლისმენებისა (ე.ი. პოლიციელებისა — ტ. მ.) და აპეკუნთა მეოხებით, იქნება ძალმომრეობითი სათნოების დაარსება, ესე იგი ისეთი ანაქრონიზმის შექმნა, რომელსაც გონიერება არ ეთანხმება".[2] ან კიდევ: „სოციალიზმის გაჩენას აუცილებლად სჭირია დიდი გონებრივი განვითარება საზოგადოებაში. უამისოდ სოციალიზმის დაარსება, რომც შეიძლებოდეს, მას ექნება ნაძალადევი დიქტატურის სასიათი".[3]

აქვე საინტერესოა რევოლუციის არსის გიორგი შარვაშიძისეული

---

[1] უცხო ენათა ლექსიკონი, შეადგინა **მიხეილ ჭაბაშვილმა**, თბ., 1989, გვ. 472.
[2] **გ. შარვაშიძე**, თხზულებანი, I, გვ. 305.
[3] იქვე.

გაგება: „რევოლუციას მით ედება პატივი, რომ იგი არის მებრძოლი ძალმომრეობის, - დესპოტიზმისა; ხოლო, თუ ოდეს რევოლუცია გადადგამს ნაბიჯს და თითონ დიქტატურის გეგმას დაადგება, მაშინ აუქმებს თავის ღირსებას თავისუფლებისას და გამოდის იგივე დესპოტი და, დესპოტი კი, ხალხისათვის სულ ერთია, — მარჯვნივ იქნება, თუ მარცხნით! ამ კანონებს მოგვითხრობენ წარსულ რევოლუციათა მატიანები".[1]

ეს ყველაფერი, რაზეც იყო საუბარი სოციალიზმსა და რევოლუციაზე, ეხებოდა ევროპელ ცივილიზებულ ერებს. კერძოდ, მაღალ წერტილამდე გონებრივი განვითარებით და ზნეობრივი განწმენდის საფუძველზე არ რჩება ადგილი ავაზაკებისა, ქურდებისა, მძარცველებისა, კაცის მკვლელებისა. ეს კი ყოველგვარი ძალმომრეობის, რევოლუციური დიქტატურის თუ დესპოტიზმის გარეშე, ხელს უწყობს სოციალიზმის წყობილების დამყარებას ცივილიზებულ, განათლებულ ერებსა და ქვეყნებში. ამ კონცეფციით აღჭურვილი გიორგი შარვაშიძე მიადგა რუსეთის იმპერიას. სხვანაირად რომ ვთქვათ, ხელსაყრელი ფონი შექმნა რუსეთის სახის გამოსაკვეთად თუ რამდენად იყო იგი მზად დედამიწის ზურგზე პირველად დაერწია სოციალიზმის აკვანი. ვრცელ ამონაწერს დავიმოწმებთ.

გიორგი შარვაშიძე განაგრძობს: „რაიცა შეეხება რუსეთს, აქ უფრო მეტად რთულდება საკითხი. რუსეთს ძლიერ ცოტა აქვს გავლილი ის ეტაპები ცივილიზაციისა, რომელნიც უეჭველად საჭირო ჰხვდებიან ერის მომწიფებისათვის... არც ერთს ხალხს ქვეყანაზე არ ძალუძს, მე-16 საუკუნის პირობებში მცხოვრებს, — გადმობლაჯუნდეს პირდაპირ მე-20 საუკუნეში... ხოლო კულტურის ისტორია რუსეთისა იწყება იმ დღიდან, რა დღესაც პეტრე I-მა, ეგრეთ წოდებულმა „დიდმა", მოწინავე წოდებას წვერები დაჰპარსა და ზოგსაც, ვინც უარი გაბედა, თავები დაჰკვეთა, სხვათა შორის თავის შვილსაც. მას აქეთ ყოველნაირი კულტურული წინსვლა რუსეთში დახასიათებულია მიბაძვის ნიშნებით და არა როგორც ბუნებრივი მოთხოვნილება მომწიფებულის ხალხისა, ამის მიზეზით რუსეთის მოწინავე მცირედი

[1] გ. შარვაშიძე, თხზულებანი, I, გვ.

ნაწილი 10%-მდის თვალსაჩინოდ, – თითქოს ევროპას დაუახლოვდა, მაგრამ ხალხი კი, ისევე ბუნდოვანი და უმეცარი დარჩა".[1] ამის შემდეგ ბუნებრივად სვამს კითხვას სტატიის ავტორი, თუ ასეთ ჩამორჩენილ, უერთობო ერში რამდენად არის მიღწევადი და გამართლებულიც სოციალიზმის გამარჯვება.

ეს არ იყო ტენდენციური დამოკიდებულება გიორგი შარვაშიძის მხრიდან რუსეთისადმი, თუმცა ამისი საბაბი კი ნამდვილად ჰქონდა. ის სიკვდილამდე შეურიგებელი დარჩა რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკის მიმართ. ამ პოლიტიკამ დიდი უბედურება დაატეხა თავს პირადად მას, მის მშობელ მხარეს და მისივე სათაყვანებელ ივერიას. 1868 წლის აფხაზეთის აჯანყების მეთაურად შერაცხილი რუსეთში გადაასახლეს, შეწყნარების მიზნით პეტერბურგში ცხოვრების ნება დართეს. საგულისხმოა, რომ მას თითქოს დამოყვრებია რუსეთის ტახტის მემკვიდრე ალექსანდრე მესამე. რაინდული სულის პატრონი არ მოუხიბლავს ამ გარემოებას.მას სამშობლოს გარეთ ყოფნა, თუნდაც ფუფუნებაში, ვერ წარმოედგინა. ზურგი აქცია რუსეთს, დაბრუნდა საქართველოში და საცხოვრებლად ქუთაისი არჩია. რუსეთში ყოფნისას გიორგი შარვაშიძეს მინიჭებული ჰქონდა უმაღლესი საკარისკაცო ტიტული ფლიგელ-ადიუტანტის სახით. ქუთაისში ალექსანდრე მესამის ჩამოსვლისას მან სახალხოდ დააგდო ეს ტიტული, როგორც ს. ჯანაშია შენიშნავს: „ეს მთავრობისათვის ომის გამოცხადებას უდრიდა, რაც რუსეთის ოლიგარქიასთან გიორგის ურთიერთობის სრული გაწყვეტით დამთავრდა".[2]

გიორგი შარვაშიძეს გარდაცვალებამდე ეზიზღებოდა რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკა და არა რუსი ხალხი. „რუსეთის ხალხი ნიჭიერია და ძლიერები" – ამბობდა იგი სტატიაში „სოციალიზმი და საქართველო". როგორც გიორგი შარვაშიძის ცხოვრების, შემოქმედებისა და მოღვაწეობის ცნობილი მკვლევარი ო. ჭურღულია შენიშნავს: „გიორგი შარვაშიძე მაღალ შეფასებას აძლევდა რუსი ხალხის კულტურას... ღრმა პატივისცემით ეპყრობოდა პუშკინის,

[1] გ. შარვაშიძე, თხზულებანი, I, გვ.

[2] გ. შარვაშიძე, ლირიკა, ეპოსი, დრამა, გვ. 17.

ლერმონტოვის, ტურგენევის, ტოლსტოის შემოქმედებას.[1] „ვარადას“ ავტორი რუსული ენის დამფასებელი რომ არ ყოფილიყო, იმ 12 ლექსს არ დაწერდა რუსულად დ არც მამია გურიელის „ადამიანს“ თარგმნიდა.

ასე რომ, როდესაც გიორგი შარვაშიძე რუსეთსა და სოციალიზმზე მსჯელობდა, იცავდა სრულ ობიექტურობას და აშკარად ხმამაღლა აცხადებდა, რომ სოციალიზმის გამარჯვებისათვის რუსეთში აბსოლუტურად არ იყო ნიადაგი შემზადებული იმ პირობების ფარგლებში, რა პირობებსაც წერილის ავტორი ასახელებდა სოციალიზმის დასამყარებლად. თუმცა იგი არ გამორიცხავდა შესაძლებლობას პროპაგანდის საშუალებით უშველებელი სტიქიური მოძრაობის დაწყებისა, რომელიც ძირითადად შეარყევდა ყოველგვარ კულტურულ წყობილებას სახელმწიფოში. რომელიც იქნებაო ტიპიური რუსული „ბუნტი“, რაც ერთობ შორს დარჩება სოციალიზმის იდეალთანო.

სოციალიზმთან დაკავშირებულ საკუთარი მოსაზრებებით ევროპული ქვეყნებიდან რუსეთის გავლით შემოდის გიორგი შარვაშიძე საქართველოში, ანუ „რუსეთის ნასესხები იდეის გადმომსესხებელ“ სამშობლოში. იყო თუ არა მის ქვეყანაში ნოყიერი ნიადაგი შემზადებული სოციალიზმის დასამყარებლად? ავტორი შეაყოვნებს მკითხველის ყურადღებას საქართველოს ისტორიული წარსულის ნოსტალგიით: „მართალია, ჩვენს სამშობლო ივერიას ყოველგვარი დიდი კულტურული განცდა გამოუვლია, მაგრამ ჩვენი წარსული ისეთს ჟამს გაშეშდა, რომ დაგვებნა ბუნებრივი ევოლუციის შარა და კანონი. დიაღ, ჩვენ შეგვიძლია თამამადაც ვთქვათ, რომ იღბალის უკულმართობას რითიმე ხელი არ შეეშალა, ევროპის წინათაც ვიქნებოდით ჩვენ დღეს; ვინაიდან, როდესაც ანდრია მოციქული აქ ქრისტეს მცნებას გვიქადაგებდა, მაშინ ევროპაში თვით დუკებსაც კამეჩის ტყავი ეცვათ ტანზე და ფეხშიშველა, შუბებით ხელში, ნადირობდნენ ტყეებში“.[2] შემდეგ პოეტი შეგვახსენებს თამარ დედოფლის დროს, რომელიც

[1] ო. ჭურლულია, „გიორგი შარვაშიძე“. წიგნში: გ. შარვაშიძე, თხზ., II, ქუთაისი, 2006. გვ. 48.

[2] გ. შარვაშიძე, თხზ., I, გვ. 306.

იყო ივერიის ოქროს ხანა!“ მერე ისევ ბედის ბორბლის უკუღმართად დატრიალება, ცხოვრების თვითარსებობის დაშლა, გონებრივი და ქონებრივი რენტას ქვეყნისა ჩაქრობა“, ენის გაღარიბება, ზნეობის წახდენა, რაინდობისა და პატიოსნების იგნორირება და „ბოლოს მოვაღწიეთ იმ ხანაში, როცა კეთილდღეობას ვპოვნიდით ჯაშუშობაში და სამშობლოს მტერობაში!“

„ამ დროს, – განაგრძობს პუბლიცისტური წერილის ავტორი, – როდესაც შეგნებული ნაწილი ივერთა დაკუწულ ხალხისა, ხელთგულდაკრეფილი, იდგა საფლავებზე თავის დავიწყებული, დამარხული დიდებისა, ღღეს, უეცრად გაისმა ხმა სიმართლისა და თავისუფლებისა! დაჰკრა საქართველომ ნაღარა, დაჰკივლა ვაშა, ვაშა!“...[1] როგორ უნდა გავიგოთ გიორგი შარვაშიძის ამ აღტაცებული სტრიქონების შინაარსი? არამც და არამც იგი არ უნდა გავიგოთ, თითქოს სოციალიზმი მოდის საქართველოში და აგვაშენებს თუ დაგვამშვენებსო. პოეტს სწამდა, რომ 1917 წლის „ტიპიური რუსული ბუნტი“ ქართველთა წისქვილზე ასხამდა წყალს, თითქოს ჩვენ გადავიგდებდით ცარიზმის რუსეთის მონობის უღელს, მოვიპოვებდით თუ დავიბრუნებდით დაკარგულ დამოუკიდებლობას და თავისუფლებას.

„ვაშა, ვაშას კივილისას“ გიორგი შარვაშიძეს მოესმა მეორე ხმა: „ჩვენ არა გვსურს თავისუფლება, არ ვეძებთ ავტონომიას, ხალხი ქვეყნიურობისა ყველა ერთია, ჩვენ გვინდა მხოლოდ მუშა ხალხს მიეცეს სიკეთე-შელავათი. ამისათვის საჭიროა მამულები ჩამოერთვას მებატონეებს და დაურიგდეს მიწათ მუშებს. ძირს წოდება და მიწათპატრონობა და სხვა“...[2] სწორედ ამაში ემარხა სოციალიზმის ძაღლის თავი: არავითარი სამშობლოს გრძნობა, არავითარი სულიერება, მხოლოდ კუჭის კმაყოფილებით ცხოვრება მუშებისა და გლეხებისა. დამოწმებული ნაწყვეტებიდან ჩანს, რომ სტატიის ავტორი მხარს უჭერს ქვეყნის ავტონომიურობის იდეას, რაც იმ დროისათვის გარკვეულწილად აქტუალური იყო. ასევე ამ ციტატიდან ისიც გამოსჭვივის, რომ გიორგი შარვაშიძე ვერ იტანს კოსმოპოლიტზმს.

[1] გ. შარვაშიძე, თხზ., I, გვ. 307.

[2] იქვე.

ო. ჭურღულიას ცნობით, გიორგი შარვაშიძეს ჰქონია გამოუქვეყნებელი სტატია „პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი“, სადაც ვკითხულობთ: „პატრიოტიზმი არის გრძნობა, კოსმოპოლიტიზმი — იდეა! პირველი მოითხოვს რეალურ მოვალეობას, მეორე, მხოლოდ კეთილი ოცნებაა“. ან კიდევ: „კოსმოპოლიტობა ისეთი, რომ ადამიანს უყვარდეს ყოველი ქვეყნის ხალხი, როგორც თავისი, რომ მთელს მსოფლიოს სთელიდეს თავის სამშობლოდ, ეს არის განყენებული ფიქრი, რომლისადმი მისწრაფება და მიღწევა უტოპიად მიმაჩნია“.[1] ეს სიტყვები მოგვაგონებს ვაჟა-ფშაველას სტატიას „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი, როგორც ეს შენიშნა ო. ჭურღულიამ.

დიდი ვაჟა წერს: „პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჭკუა-გონებისა, თუმცა კეთილი გონება მუდამ ყოფილა და არის მისი მათაყვანებელი და პატივისმცემელი. კოსმოპოლიტიზმი მხოლოდ ჭკუის ნაყოფია... მას ადამიანის გულთან საქმე არა აქვს“.[2]

დავუბრუნდეთ გიორგი შარვაშიძის წერილს „სოციალიზმი და საქართველო“. ავტორი უჩივის გამოცოცხლებისა და განთავისუფლების ბრწყინვალე მზის ჩამოქვეითებას სოფლურ ანგარიშზე, რაც სოციალიზმი მაინც არ იქმნება. იგი აყენებს ასეთ წინადადებას: „სახელმწიფომ, მიწათმფლობელს, მიწის მუშისათვის, იმდენი მიწა დაათმობიოს, რამდენიც მისთვის საჭიროა უღარიბოთ ცხოვრებისათვის. ე.ი. 1. ყოველი გლეხკაცის ოჯახს უნდა ჰქონდეს საკუთრებით არანაკლებ 20-25 დღიურისა; 2. სამუშაო პირუტყვი; 3. სახლ-კარი, სუფთად და მაგრად ნაშენი; 4. ოჯახის სამკაული ყოველი; ორი ან სამი მეწველი ძროხა, ცხენი და უნაგირი“.[3] ეს იქნებოდა მისი აზრით სამართლიანი გადაწყვეტილება. სტატიის ავტორი ეწინააღმდეგება მამულების მთლიანად ჩამორთმევას, კონფისკაციას, რაც განათლებულ ქვეყნებში დანაშაულად ითვლებაო. ამასთანავე, იგი მოითხოვს ქალაქში ქარხნებისა და დღიური მუშების საქმის გასწორებას და დარეგულირებას.

---

[1] ციტატა მოტანილია ო. ჭურღულიას წიგნიდან — ქაროულ-აფხაზური ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობანი, 1883, გვ. 90.

[2] იქვე.

[3] გ. შარვაშიძე, თხზ., I. გვ. 307.

გიორგი შარვაშიძე პროლეტართა მესვეურებს მოუწოდებს, რომ თეორიით ცხოვრება უნიადაგო ოცნებად ხდება. მუშების მეთაურებს იგი ესაუბრება „მარქსის მრწამსზე“: „მძიმე ტვირთი აუღიათ მუშების მეთაურებს. ეს გახლავთ მარქსის მრწამსი. დიდათ მეცნიერს ეკონომისტს, ვითარცა კაბინეტის კაცს, ვერ წარმოუდგენია, რომ სანამ „პროლეტარნი მთელის ქვეყნისა შეერთდებოდნენ“, უმაღლესი ხარისხის მოწოდებამ, მოვალეობამ სამშობლოსამ დამონებისაგან გამოიყვანა რვა მილიონი იგივე პროლეტარიატი, ხიშტებით ერთი მეორეზე“.[1]

სტატიის ავტორი შეეხო აგრეთვე „მრეწველობის ფსიხოზს“, ასევე სოფლის მსოახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის მიერ სამუშაოდ ქალაქში სირბილს, რაც თურმე სოციალ-დემოკრატების თეორიით კარგის ნიშანია, ვინაიდან ემატება შემდეგში პროლეტარიატის ლაშქარს, რომელმაც ქვეყნის დიდება იერიშით უნდა აიღოს?“ გიორგი შარვაშიძეს ეს ყველაფერი განყენებულ თეორიად მიაჩნია.

თავის წერილს „სოციალიზმი და საქართველო“ საგულისხმო შეგონებით და გულისტკივილით ასრულებს გიორგი შარვაშიძე: „ჩვენ დაგვიგდია ღმერთკაცისა მცნება, რომელიც გვასწავლიდა ნამდვილ ძმობას, ერთობას და სიყვარულს. ეს იყო გზა იმ სოციალიზმისა, რომელიც მოპოვებული იქმნებოდა თვითნიერებითა და სათნოებით. განვაგდეთ ეს მცნება და შევუდექით იმ გზას, რომელსაც ვამართლებთ ვითომ მეცნიერული აფორიზმებით: „ბრძოლა არსებობისათვის“. ეს არის თვისება პრიმიტიული კაცობრიობისა... მაშინ იქნება გამარჯვება ცივილიზაციის, რომ ბრძოლა შეიცვალოს შეგნებად და სათნოებად“.[2] და ბოლოს: ავტორი მოითხოვს: „განდევნილი უნდა იქნეს ყოველი წრიდან, ყოველი მიმართულებიდან რომელი რომელს შესჭამს ვითარცა ავაზაკური თვისება გონებისა“.[3]

გიორგი შარვაშიძის პუბლიცისტური წერილი „სოციალიზმი და საქართველო“, როგორც თავშივე აღვნიშნეთ, გამოქვეყნდა 1917 წელს

---

[1] გ. შარვაშიძე, თხზ., I, გვ. 308.

[2] იქვე, გვ. 310.

[3] იქვე.

გაზ. „საქართველოში“. ეს დიდებული მამულიშვილი, აფხაზთა და ქართველთა საამაყო შვილი გარდაიცვალა ერთი წლის შემდეგ. 1918 წლის 19 თებერვალს. სულ რამდენიმე თვე დააკლდა, მოსწრებოდა 1918 წლის 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას, რომლსაც მხოლოდ სამი წლით ეწერა თურმე „აღდგენა“. ერთი მხრივ, ბედნიერია გიორგი შარვაშიძე, რომ არ მოესწრო 1921 წლიდან საქართველოში დატრიალებულ საშინელ მოვლენებს, „რუსეთის ნასესხები იდეის გადმომსესხებელ“ საქართველოში დატრიალებულ ტრაგედიებს. მას არ სწამდა, რომ XX საუკუნის დამდეგს „მე-16 საუკუნის პირობებში მცხოვრები“, რუსეთიდან შემოსული სოციალიზმის „იდეები“ საქართველოს რაიმე სიკეთეს მოუტანდა. ნეტავი ერთი საათით წამოაყენა საფლავიდან და ანახა თუ მშობლიურ აფხაზეთში კვლავ რუსეთის დამპყრობლური „იდეების“ წყალობით რა დღეშია მისი სალხი, რა ვერაგულად არის დედასამშობლოს იგი მოგლეჯილი, თუ როგორ ემუქრება მის მშობელ ერს გადაშენება. ამ თვალმარგალიტ მხარეს ელის გარუსება ან გასომხებაც.

ამრიგად, გიორგი შარვაშიძეს თავისებურად ჰქონდა გაცნობიერებული ამა თუ იმ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში სოციალიზმის დამყარების საკითხი. ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვება განხორციელებად იდეად ესახება „მაღალ გონებრივ წერტილამდე ზნეობრივი განწმენდის“ შემთხვევაში, როცა ქვეყანაში აღარ იქნება კაცის კვლა, ავაზაკობა, ქურდობა და სხვა სისაძაგლენი. მისთვის მიუღებელია „სოციალიზმის დაარსება პოლისმენებისა და აპეკუნთა მეოხებით, როგორც ძალმომრეობითი სათნოების დაარსება, ესე იგი ანაქრონიზმის შექმნა, რომელსაც გონიერება არ ეთანხმება“. წერილიდან ირკვევა, რომ იგი არ ეგუება შინაგანად ქართველები „რუსეთის ნასესხები იდეის გადმომსესხებელნი“ ვიყოთ, ვინაიდან რუსეთი არ მიაჩნია მზად სოციალიზმის აკვნის დასარწევად.

გიორგი შარვაშიძე, საბედნიეროდ, ვერ მოესწრო თუ რამდენად წინასწარმეტყველური აღმოჩნდა მისი შეგონებანი. რუსეთმა ძალმომრეობით, მახვილითა და ხიშტით იმ ქართველთა დახმარებით, რომლებიც კეთილდღეობას პოულობენ ჯაშუშობაში და საშშობლოს

მტრობაში, დაამყარა სოციალიზმი საქართველოში. ათეულობით წლების მანძილზე ეს სისტემა გაძღა უდანაშაულო მილიონობით ადამიანთა სისხლითა და ხორცით, ბოლოს ე.წ. „უძრაობის პერიოდში“ წამოწვა და ცოხნით იყო დაკავებული აღსასრულამდე. სოციალისტური სისტემის უზარმაზარ შენობას საძირკველი გამოეთხარა, წაიქცა და მისი ნანგრევების ქვეშ უპირველესად გიორგი შარვაშიძის სათაყვანებელი საქართველო მოჰყვა. ამ დარტყმამ დაანაკუწა ქვეყნის სხეული აფხაზეთად, სამაჩაბლოდ და დანარჩენ საქართველოდ. არავინ იცის, კიდევ რა ელოდება წინ ამ გასაცოდავებულ ქვეყანას ტერიტორიულ მთლიანობასთან დაკავშირებით. გვჯერა, რომ მშობლიური მოქვის ტაძარში გიორგი შარვაშიძის ძვლებს საფლავში მშვიდად არ სძინავთ, რადგან ზემოდან მოესმით ისევ რუსული ჩექმის ბაკუნი.

„პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი“

ეს წერილი არც ერთ გამოცემაში გიორგი შარვაშიძის თხზულებებისა არ შესულა. იგი 1975 წლამდე არც გამოქვეყნებულა. შემოგვინახა გ. ლეონიძის სახელობის საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურულმა მუზეუმმა.[1] პირველად იგი დაბეჭდა სოლომონ ლეკიშვილმა.[2] შენიშვნებში მკვლევარი წერს: „პატრიოტიზმი და კოსმპოლიტიზმი“ — წერილი წარმოადგენს პასუხს ს. მერკვილაძის შეკითხვისა, რომლითაც მან 1905 წ. მარტს მიმართა მრავალ გამოჩენილ ქართველ მწერალ-მოღვაწეს, გამოეთქვათ თავიანთი შეხედულება პატრიოტიზმსა და კოსმოპოლიტიზმზე. აღსანიშნავია, რომ ამ მოწოდებას წერილობით გამოეხმაურნენ ვაჟა-ფშაველა (იხ. ვაჟას თხზ. 5 ტომეული, ტ.5 1961, გვ. 213), გრიგოლ ვოლსკი, ვ. მიქელაძე (მეველე), ალ. სარაჯიშვილი და სხვ.“[3]

---

[1] გ. ლეონიძის სახ. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი, №2442.

[2] ს. ლეკიშვილი, გიორგი შარვაშიძე (დოკუმენტური მასალები), №31-32. თბ., 1975, გვ. 265.

[3] იქვე, გვ. 295.

როგორც ირკვევა, XX საუკუნის დამდეგის ქართველ მოწინავე საზოგადოებაში პატრიოტობისა და კოსმოპოლიტობის საკითხი მწვავედ მდგარა, ამიტომ მიუმართავს ს. მერკვილაძეს მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეებისათვის, გაეცნოთ ფართო საზოგადოებისათვის მათი დამოკიდებულება ამ მტკივნეული საკითხისათვის. ამით მას სურდა ქართველი ხალხის ღრმად გარკვევა თუ რა არის პატრიოტიზმი და რას უქადის ამ მარად გაუხუნარ იდეას ე.წ. კოსმოპოლიტიზმი. ამ პრობლემას დღემდე სიმწვავე არ მოკლებია. ს. მერკვილაძის მიმართვიდან 107 წლის გასვლის შემდეგ კიდევ უფრო გაუფასურდა ეროვნული თვითშეგნება, მამაპაპური კეთილი ტრადიციები, პატრიოტული სულისკვეთება და სულმოუთქმელად ჩამდგარი ვართ ე.წ. კოსმოპოლიტიზმის ფერხულში. ქართული პატრიოტიზმის უბერებელ მუხას უმოწყალოდ შესევია კოსმოპოლიტიზმის მუმლი და ძირფესვიანად გახმობას უქადის მას.

როგორც ითქვა, ს. მერკვილაძის გულისტკივილიან მიმართვას იმთავითვე გამოხმაურებიან ჩვენი საზოგადოების რჩეული ნაწილი. რად ღირს მარტო განუმეორებელი გენიოსისა და პატრიოტის ვაჟა-ფშაველას გამოხმაურება. იგივე ითქმის გიორგი შარვაშიძეზეც.

კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ცნება „კოსმოპოლიტიზმის“ განმარტება. „კოსმოპოლიტი“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „მსოფლიოს მოქალაქეს“. კოსმოპოლიტიზმი — რეაქციული ბურჟუაზიული იდეოლოგია, რომელიც უარყოფს ეროვნულ თვითმყოფადობას და ეროვნულ სუვერენიტეტს. ქადაგებს სამშობლოსადმი, ეროვნული კულტურისადმი გულგრილობას და აყენებს „მსოფლიო სახელმწიფოს“ შექმნის, „მსოფლიო მოქალაქეობის“ დაწყების იდეას.[1] ახლა დავუპირისპიროთ მას „პატრიოტი“, „პატრიოტიზმი“. „პატრიოტი“ ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „თანამემამულეს“. ადამიანი, რომელსაც უყვარს თავისი სამშობლო; თავისი ქვეყნის, თავისი ხალხის ერთგული; მამულიშვილი. გადატანითი მნიშვნელობით იტყვიან ადამიანზე, რომელიც რისამე ერთგულია, რომელსაც რამე ძალიან უყვარს“; „პატრიოტიზმი“ — სამშობლოს სიყვარული, თავისი ქვეყნის,

[1] უცხო სიტყვათა ლექსიკონი, გვ. 258.

თავისი ხალხის ერთგულება; მამულიშვილობა".[1]

ამჟამად ურთულეს ეპოქაში ვცხოვრობთ. გლობალიზაციის და ინტეგრაციის მომაკვდინებელი პროცესები ლამობენ პატრიოტიზმის აღგვას პირისაგან მიწისა და კოსმოპოლიტიზმის გამეფებას მთელ მსოფლიოში. გლობალიზაცია ორაგულია, რომელიც ჩვენისთანა ლიფსიტა ერებს თვალის დახამხამებაში გადასანსლავს. ხსნა და გადარჩენა კი რამენაირად ეროვნული თვითმყოფადობის, ეროვნული ტრადიციების და მშობლიური ენის სიწმინდის შენარჩუნებაშია (მიგვიშვებენ კი?). კოსმოპოლიტიზმი მხოლოდ დიდი ერების წისქვილზე ასხამს წყალს და პატარა ერებს წარღვნით ემუქრება. თუ ეროვნულ დამოუკიდებლობას და თავისუფლებას დაკარგავ, ეროვნული კულტურის თვითმყოფადობას იავარყოფ, ეს იმას ნიშნავს, რომ ნებსით და უნებლიედ კოსმოპოლიტიზმს ქადაგებ, მსოფლიო მოქალაქის სტატუსის მიღებას მიელტვი.

სამწუხაროდ, ჩვენს ბედკრულ დროში და ბედკრულ საქართველოში მოსალოდნელზე მეტად მოგვიმრავლდნენ კოსმოპოლიტები, რომლებიც ჩვენს ერს და ქვეყანას უფსკრულისკენ მიერეკებიან. ეტყობა, ამგვარი განწყობა, სავალალო განწყობა შეინიშნებოდა XX საუკუნის დამდეგის გასაცოდავებულ ჩვენს სამშობლოში, რომელიც რუსეთის იმპერიის ბუხარში თავგარჯობილი ბოლით იხრჩობოდა. პროგრესულად მოაზროვნენი ცდილობდნენ კოსმოპოლიტიზმთან დაპირისპირებას, რადგან გრძნობდნენ, რომ ის უბედურებას უქადდა ჩვენი ქვეყნის მომავალს. ასეთ მოწინავე ადამიანთა რიგებში იდგა გიორგი შარვაშიძეც. მისი „პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი" სულ ერთ გვერდს მოიცავს, მაგრამ დატენილია პროგრესული აზრებით, მამულიშვილური სულისკვეთებით, კაცთმოყვარეობის იდეებით.

სწორედ კაცთმოყვარეობაზე ფიქრით იწყებს აფხაზი მწერალი თავის წერილს. კაცთმოყვარეობას აღიქვამს იგი ქრისტეს პირველ მცნებად, როგორც გონებრივი განწმენდის ქადაგებას. გიორგი შარვაშიძე გულისტკივილით ამბობს, რომ კაცთმოყვარეობა „20 საუკუნეა, რაც დარჩენილა მხოლოდ ღაღადად იდეალისა და გარდაქცეულა

[1] უცხო სიტყვათა ლექსიკონი, გვ. 374.

სქოლასტიკურ ფარისევლობად“. პუბლიცისტი მკითხველის ყურადღებას მიაქცევს იმ განათლებულ ერებს, რომლებიც ფორმალურად აღიარებენ ქრისტეს მოძღვრებას და შორს დგანან კაცთმოყვარეობის იდეალებისაგან, მათ „პოლიტიკურს, ეკონომიკურსა და სოციალურს წესდებულებებში მცნება — კაცთმოყვარეობისა სრულიად არ შედის, ან და თუ შედის იმოდენათ, რომ თითქოს ჯერ კიდევ მოსეს რჯულს აღიარებენ, ესე იგი: „ნუ მოჰკლავ, ნუ მოიპარავ და სხვ. ამის იქით ჯერ არ წაწეულა წინ გონებრივი ვითარება არცერთი ხალხისა“.

გიორგი შარვაშიძის აზრით, მისდროინდელი ცივილიზაციის პირობებში შეუძლებელია კაცთმოყვარეობის პრინციპის განვითარება, ვინაიდან არსებობისათვის ბრძოლაში იარაღის გამოყენების იმედითაა. პირველყოფილი კაცობრიობის ბრძოლა ქვით, კეტით და მუშტით შეცვალა ზარბაზანმა, ხმალმა, თოფმა. ვისაც იარაღი აქვს ძლიერია და მის უქონელს ჩაგრავს, ექსპლოატაციას უწევს: „ამას დაუმატოთ კიდე ბრძოლა მოქალაქურ ცხოვრებაში. ამ ასპარეზზედაც ის სჯობნის, ვინც უფრო შეიარაღებულია ცოდნითა, კაპიტალითა, ხერხითა, თუ მდგომარეობითა; ძლიერი ჩაგრავს უღონოს; ეს უღონოც ცდილობს, რომ გაძლიერდეს და ღონიერი დაასუსტოს“. მწერლის ფიქრით, ეს ყოველივე ხელის შემშლელი ფაქტორებია „საზოგადოდ კაცობრიობის სიყვარულის“ აღზრდა-გამყარების საქმეში.

გიორგი შარვაშიძე სათქმელთან დაკავშირებით იმოწმებს კანტისა და შოპენჰაუერის ნასიბრძნს. კანტი: განათლება — ცივილიზაციის მიზანია ზნეობითი ამაღლება. შოპენჰაუერი: „ცივილიზაციამ კაცობრიობას გააძრო მისი ძველი ხის ფეხსაცმელი და ჩააცვა სუფთა ტყავის ფოსტლები, ხოლო ცუდ-ზნეობის ბიუჯეტი იგივე დარჩა, რაც წინათ ყოფილა“.

ამ წერილიდანაც იგრძნობა გიორგი შარვაშიძის ჰუმანისტური განწყობილება. მას ნებისმიერი ქვეყნის ადამიანის ტანჯვა და ჭირი გულს სტკენს, როგორც მისივე თანამემამულისა. ამას კი კოსმოპოლიტიზმთან საერთო არაფერი გააჩნიაო. ყოველივე ზემოთ თქმული მწერალს დასჭირდა გამჭვირვალე ფონის შესაქმნელად პატრიოტიზმისა და კოსმოპოლიტიზმის იდეური შინაარსის ერთმანეთისაგან განსასხ-

ვაეებლად. კოსმოპოლიტობა მწერალს და პუბლიცისტს უტოპიად ესახება, განყენებულ ცნებად: „კოსმოპოლიტობა ისეთი, რომ ადამიანს უყვარდეს ყოველი ქვეყნის ხალხი, როგორც თავისი, რომ მთელს მსოფლიოს სთვლიდეს თავის სამშობლოდ, ეს არის განყენებული ფიქრი, რომლისადმი მისწრაფება და მიღწევა უტოპიად მიმაჩნია“.

ავტორი თავის პუბლიცისტურ წერილს ასე ასრულებს: „პატრიოტობა არის გრძნობა, კოსმოპოლიტიზმი — იდეა! პირველი მოითხოვს რეალურს მოვალეობას, მეორე კი — არის მხოლოდ კეთილი ოცნება“. ამაზე საუბარს დავასრულებთ ოთარ ჭურღულიას სიტყვებით: „ასე საღად მსჯელობდა გ. შარვაშიძე იმ დროს ცხოვრების მიერ დასმულ მეტად აქტუალურ საკითხებზე. კოსმოპოლიტიზმს მან დაუპირისპირა მშობლიური ქვეყნისა და ხალხის უანგარო სიყვარული და სხვა ერთა პატივისცემა — პატრიოტიზმი. ეს უკანასკნელი მას მიაჩნდა კაცობრიობის უკეთილშობილეს გრძნობად“.[1]

როგორც ითქვა, ს. მერკვილაძის მიმართვას გამოხმაურებია დიდი ვაჟა-ფშაველა სტატიით — „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“. სამეცნიერო ლიტერატურაში შენიშნულია, რომ ვაჟა-შაველამ და გიორგი შარვაშიძემ 1905 წელს დაწერეს დასახელებული სტატიები. თანაც დაწერეს ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად. ორივე წერილში გატარებულ აზრთა თანხვდენილობა განპირობებულია ამ საჭირბოროტო საკითხისადმი ერთნაირი მიდგომით, ერთნაირი განწყობილებით, ერთნაირი შეგნებით, უფრო სწორად, ეროვნული თვითშეგნებით. შევუდაროთ გიორგი შარვაშიძის ნათქვამი ვაჟა-ფშაველას თვალსაზრისს და დავინახავთ აზრთა ერთსახეობას.

ყური დავუგდოთ ვაჟას: „პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჭკუა-გონებისა, თუმცა კეთილი გონება მუდამ ყოფილა და არის მისი მთაყვანებელი და პატივისმცემელი. კოსმოპოლიტიზმი მხოლოდ ჭკუის ნაყოფია... მას ადამიანის გულთან საქმე არა აქვს“. პატრიოტიზმი თუ კოსმოპოლიტიზმი? ამისთვის პასუხის გაცემა დღეს ჰგავს ყოფნა-არყოფნის საკითხის გარკვევას. სწორედ ამ უბედურების ქვეშ მძვინვარებს აწინდელი საქართველო, ვიდრე XX საუ-

[1] ო. ჭურღულია, შარვაშიძეები, გვ. 54-55.

კუნის დამდეგისათვის. დღეს ეს პრობლემა იმდენად აქტუალურია, როგორც არასდროს. ვაჟა-ფშაველას და გიორგი შარვაშიძის ნააზრევი ამ საკითხზე, მათი პროგრესული კონცეფციები მალამოდ ეწვეთება დღესაც საქართველოს სიყვარულით გათანგული ქართველი კაცის გულს. გიორგი შარვაშიძის პუბლიცისტური წერილის გამოქვეყნებიდან 37 წელი გავიდა. ამდენად, იგი საკმაოდ მივიწყებულია დაინტერესებული საზოგადოებისათვის. გამომდინარე აქედან, საჭიროდ ვცანით მისი გადმოწერა სოლომონ ლეკიშვილისეული პუბლიკაციიდან, რასაც მკითხველი ქვემოთ გაეცნობა: „კაცთმოყვარეობა არის პირველი მცნება ქრისტესი. ეს საუკეთესო გონებრივი – განწმენდის ქადაგება, 20 საუკუნეა, რაც დარჩენილა მხოლოდ ღალადად იდეალისა და გარდაქცეულა სქოლასტურ ფარისეველობად.

განათლებულნი ერნი, რომელნიც აღიარებენ ვითომ ქრისტიანობას, არც ერთს მათს პოლიტიკურს, ეკონომიკურსა და სოციალურს წესდებულებებში, მცნება – კაცთმოყვარეობა სრულიად არ შედის, ან და თუ შედის იმოდენათ, რომ თითქოს ჯერ კიდევ მოსეს რჯულს აღიარებენ, ესე იგი: „ნუ მოჰკლავ, ნუ მოიპარავ“ და სხვ. ამის იქით ჯერ არ წასულა წინ გონებრივი ვითარება არც ერთი ხალხისა. – ჩვენ ვფიქრობთ, კიდეც შეუძლებელია განვითარება კაცთმოყვარეობის პრინციპებისა იმ ფარგალში, რომელშიაც ჩაჭრილა ეხლანდელი ცივილიზაცია. – ამან, პირიქით, განავითარა არსებობისათვის ბრძოლის იარაღნი: პირველი კაცობრიობა იბრძოდა ქვითა, კეტითა და მუშტითა; ეხლა კი – ხმლითა, თოფითა და ზარბაზნითა. – აქა ძლიერი ჰყლაპავს სუსტსა; არც შეუძლია არ გადაჰყლაპოს, რადგან ხალხი მრავლდება, საქონელი მრეწველობა მატულობს და არ ეტევა თავის ქვეყანაში, მაშასადამე, უნდა გადალაგდეს სხვისაში, სადაც იწყება ხოლმე ბრძოლა და ექსპლუატაცია.

ამას დავუმატოთ კიდევ ბრძოლა მოქალაქურ ცხოვრებაში. ამ ასპარეზზედაც ის სჯობნის, ვინ უფრო შეიარაღებულია ცოდნითა, კაპიტალითა, ხერხითა, თუ მდგომარეობით; ძლიერი ჩაგრავს უღონოსა, ეს უღონოც ცდილობს, რომ გაძლიერდეს და ღონიერი დაასუსტოს.

სამწუხაროდ, ასეთი პოლიტიკური და ეკონომიკური ბრძოლა

დღითიდღე არ კლებულობს, არამედ მატულობს პროგრესულად.

ამგვარს საზოგადოს და ურთიერთს ბრძოლაში, არ გამოიზრდება ისეთი სათნოების პრინციპი, რომელსაც შეეძლოს საზოგადოდ კაცობრიობის სიყვარული.

მეცნიერი კანტი ჰფიქრობდა, რომ განათლება — ცივილიზაციის მიზანია ზნეობითი ამაღლება, — ამის პასუხად შოპენჰაუერი ამბობს: „ცივილიზაციამ კაცობრიობას გააძრო მისი ძველი ხის ფეხსაცმელი და ჩააცვა სუფთა ტყავის ფოსტლები, ხოლო ცულ-ზნეობის ბიუჯეტი იგივე დარჩა, რაც წინათ ყოფილაო!“

ადამიანის გაჭირვება — ტანჯვა, რა ქვეყნისას უნდა იყოს იგი, გულს გვატკენს ერთ-ზომაზე, როგორც ჩვენივე კაცის გაჭირვება, მაგრამ ეს არის მხოლოდ კერძო სიბრალული და არა კოსმოპოლიტიზმი — ხოლო კოსმოპოლიტობა ისეთი, რომ ადამიანს უყვარდეს ყოველი ქვეყნის ხალხი, როგორც თავისი, რომ მთელს მსოფლიოს სთვლიდეს თავის სამშობლოდ, ეს არის განყენებული ფიქრი, რომლისადმი მისწრაფება და მოღწევა უტოპიად მიმაჩნია.

პატრიოტობა არის გრძნობა, კოსმოპოლიტიზმი, — იდეა! პირველი მოითხოვს რეალურს მოვალეობას, მეორე კი — არის მხოლოდ კეთილი ოცნება“.

გიორგი შარვაშიძე 1905

გ. ლეონიძის სახ. საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი. დოკ. 2442, ავტოგრაფი.

„ქართული ენის გარშემო“

როგორც ცნობილია, გიორგი შარვაშიძემ მრავალი ენა იცოდა: აფხაზური, ქართული, მეგრული, რუსული, გერმანული, ინგლისური, ფრანგული. ლათინური. აფხაზური და მეგრული მისთვის საშინაო ენები იყო, ხოლო ქართული ენა სამწერლობო, სახელმწიფო, საეკლესიო ენას წარმოადგენდა. მისი ნაწერებიდან ირკვევა, რომ ქართულ ენას ღრმად და საფუძვლიანად ფლობდა მისი დროისათვის ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით. არც თუ იშვიათად მიმართავდა საჭიროებისამებრ ძველი ქართული ენის ლექსიკურ ფონდს, ასევე დიალექტებსაც.

გიორგი შარვაშიძეს გაცნობიერებულ-გათავისებული ჰქონდა ქართული ენის მნიშვნელობა საქართველოს გამთლიანების საქმეში, ქართული მწერლობისა და სიტყვიერი კულტურის განვითარება-აღმავლობის საქმეში. ცხადია, ქართული ენის სიტკბოებას იგი მშობლიურ აფხაზეთში აკვნიდან ამოსვლისთანავე ეზიარა აფხაზურთან ერთად. ვიდრე საუბარს გავაგრძელებდეთ გიორგი შარვაშიძის პუბლიცისტურ სტატიაზე „ქართული ენის შესახებ“, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ შევეხოთ აფხაზეთში, საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში, ქართული ენისა და ანბანის ანუ დამწერლობის გავრცელების ისტორიას. შუა საუკუნეების ადრეული პერიოდიდანვე საქართველოს კუთხეებში ქართულის ენის და ქართული დამწერლობის გავრცელება-დამკვიდრება ქრისტიანული სარწმუნოების დამსახურებაა. ღვთისმსახურება, წირვა-ლოცა სრულიად საქართველოში მხოლოდ ქართულ ენაზე უნდა შესრულებულიყო, მხოლოდ ქართული ბიბლია უნდა ეკითხათ და გაეთავისებინათ. ასეთი იყო ჩვენი ბრძენი წინაპრების ნება, რომელშიც ეროვნული თვითშეგნების ამაღლების იდეაც იდო. ისტორიას არ ახსოვს აფხაზს, მეგრელს, სვანს მთელი შუა საუკუნეების მანძილზე და შემდეგაც მოენდომოებინოს თავიანთ საშინაო თუ კუთხის ენაზე სახარების გადაღება ან მთლიანი ბიბლიის თარგმნა. მათ ეს არასოდეს მოსვლიათ აზრად. აბა რა გვჭირს ახლა, XXI საუკუნის დამდეგს, ასე რომ გავაქტიურდით ბიბლიის მეგრულად და სვანურად თარგმნის საქმეში? სვანურად უკვე უთარგმნიათ თურმე

(!), მეგრულად თარგმნის „პროცესიც“ მიმდინარეობს (!). ეს უღმერთო ქმედებანი ანტიმართლმადიდებლურია, მისი შერყევისაკენ არის მიმართული. ამნაირი „იდეები“ შემოგდებულია მართლმადიდებლობის წინააღმდეგ მებრძოლთა მიერ. ეს მართლმადიდებელ რუსეთსაც აწყობს, როგორც უბარი საშუალება საქართველოს კიდევ უფრო დასაქუცმაცებლად. იგი დღეისათვის არ კმაყოფილდება აფხაზეთის და სამაჩაბლოს მიტაცებით. მისი დაუოკებელი წყურვილია დანარჩენი საქართველოს დამონება.

პირველი ლიტერატურული ძეგლი, სადაც აფხაზეთი მოიხსენიება და იქაური ამბებია აღწერილი, არის VIII საუკუნის ბოლოსთვის შექმნილი იოვანე საბანისძის „ჰაბოს წამება“. ნერსე ერისთავი თავისი მცირე ამალითურთ ტოვებს „ქუეყანასა ჩრდილო სასა“ და გადადის საქართველოს ძირძველ კუთხეში, რომელიც არის აფხაზეთი. ავტორი მოგვითხრობს: „ევედრა ნერსე მეფესა მას ჩრდილო სასა, რა თა განუტეოს იგი მიერ ქუეყანად აფხაზეთისა, რამეთუ პირველადვე წარეგზავნნეს დედა და ცოლი და შვილი და მონაგები და ყოველნი სახლისა მისისანი, რამეთუ კრძალულ იყო ქუეყანა იგი შიშისაგან სარკინოზთა სა“.[1]

აფხაზეთის მთავარმა ნერსე და მისი თანმხლები პირები კეთილად მიიღო („ვითარცა მიიწინეს იგინი ქუეყანად აფხაზეთისა, მთავარმან მის ქუეყანისაგან შეიწყნარა ნერსე ყოვლით ერით მისითურთ“). ასე რომ, ნერსე ხაზარეთში გადასვლამდე ცოლ-შვილს და ახლობლებს გადაადგილებს თავისი სამშობლოს ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში უსაფრთხოების მიზნით. აფხაზეთის მთავრის თბილი, ადამიანური დამოკიდებულებით ქართლის ერისთავის, მისი ოჯახის, მისი ამალის წევრებისადმი, რომელშიც ერია გაქრისტიანებული არაბი ჭაბუკი ჰაბო, ნათლად მეტყველებს, რომ ჯერ კიდევ VIII საუკუნის II ნახევარში რა კეთილშობილური ურთიერთპატივისცემა სუფევდა ამ ორ ხალხს შორის, აერთებდა და ამთლიანებდა ქრისტიანული სარწმუნოება, ქართული ენა, ქართული დამწერლობა და ქართული ეკლესია. უცხოელი ნეტარი ჰაბოც განცვიფრებული იყო ქრისტეს სარწმუნოე-

[1] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები. I, ობ., 1963, გვ. 58-59 (ქვემოთ ძეგლები).

ბით საესე ქვეყნის ხილვით: „ნეტარი ჰაბო უფრო სღა ჰმადლობდა ღმერთსა, რამეთუ იხილა მან ქუეყანა იგი საესე ქრისტეს სარწმუნეობითა და არვინ ურწმუნოთაგანი მკვიდრად იპოვების საზღვართა მათთა“.[1] ჯეშმარიტად ქრისტიანი აფხაზთა მთავარი ჰაბოს ურჩევს ქართლში წაუსვლელობას: „ნუ განხუალ შენ ამიერ ქუეყნით, რამეთუ ქუეყანა იგი ქართლისა სარკინოზთა უპყრიეს, და შენ ხარ ბუნებით სარკინოზ, და არა გიტეონ შენ ქრისტეანობით მათ შორის“.[2]

რა ენაზე საუბრობდნენ ურთიერთობისას ნერსე ერისთავი და აფხაზთა მთავარი? საცილობელი არ უნდა იყოს, რომ ქართულ ენაზე. ქართული ენა და ქართული დამწერლობა ქრისტიანულ ეკლესია-მონასტრებს და ღვთისმსახურებას შეჰყვა აფხაზეთის ტერიტორიაზე, ისე როგორც სხვა კუთხეებში. უნდა დავეთანხმოთ ლ. ახალაძეს: „აფხაზეთი გარკვეულ პერიოდში ქართული კულტურის გავრცელების არეალს კი არ წარმოადგენდა, არამედ თავად იყო ამ კულტურის ავტორი და შემოქმედი“[3]. საინტერესო ცნობას გვაზიარებს ლ. მარუაშვილი ანუხვის მღვიმესთან დაკავშირებით. სათანადო ცნობით, ახალი ათონის ანუ გუმიშხა-ფსირცხას კირქვულ მასივში მდებარე ანუხვის მღვიმეში მრავლად იყო ქართული ეპიგრაფიკული ძეგლები. ლ. მარუაშვილი წერს: მღვიმე შემკულია პალეოლითური, ანტიკური და შუა საუკუნეთა კედლის მხატვრობით და ძველი V-VIII სს ასომთავრული წარწერებით.[4]

ლ. მარუაშვილის ეს ცნობა დიდად საყურადღებოა, რაც საკამათო არც უნდა იყოს. საქმე ისაა, რომ წმ. ანდრია მოციქულმა I საუკუნეში შემოიტანა ქრისტეს მოძღვრება დასავლეთ საქართველოში (და არა მარტო დასავლეთ საქართველოში), მათ შორის აფხაზეთშიც, საიდანაც უნდა დაწყებულიყო ფიქრი რელიგიური დაწესებულებების აშენებაზე. თუ ლეონტი მროველს დავუჯერებთ, ფარნავაზ მეფეს ჯერ კიდევ ძველი წელთაღრიცხვით IV-III სს გაუვრცელებია ქართული

[1] ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1963, გვ. 58-59 (ქვემოთ ძეგლები).

[2] იქვე, გვ. 61.

[3] ლ. ახალაძე, აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო. I, თბ., 2005, გვ. 211.

[4] ლ. მარუაშვილი, მღვიმეთმცოდნეობის საფუძვლები, თბ., 1973.

ენა საქართველოს მასშტაბით: „და ესე ფარნავაზ იყო პირველი მეფე ქართლსა შინა... და ამან განავრცო ენა ქართული და არა იზრახებოდა სხუა ენა ქართლსა შინა თვინიერ ქართულისა და ამან შექმნა მწიგნობრობა ქართული“. ცნება „ქართლი“ აქ დღევანდელი ქართლის ტერიტორიას კი არ გულისხმობს, არამედ მთელ საქართველოს. ლ. მარუაშვილის ცნობას ეწინააღმდეგება გავრცელებული მტკიცებულებანი, რომ დასავლეთ საქართველოში IX საუკუნეზე ადრინდელი ქართული წარწერები არ მოგვეპოვება. პირველ წარწერად მიჩნეულია IX საუკუნით დათარიღებული მსიგხუას ქართული წარწერა.

აფხაზმა მეცნიერმა ა. კაციამ გუდაუთის ტერიტორიაზე, მსიგხუას მთაზე აღმოაჩინა ძველი ეკლესიის ნანგრევები ქართული წარწერებით (რაოდენობა 46). მის მიერ მსიგხუას ეკლესიაც და წარწერებიც დათარიღებულ იქნა IX-X სს[1]. ეს არის ასომთავრული წარწერა, ლაპიდარული, მემორიალური (შინაარსობრივი ხასიათი). ეს ითვლება პირველ უძველეს ქართულ წარწერად აფხაზეთში. რადგან გუდაუთის რაიონი ვახსენეთ, აქვე ვიტყვით, რომ მის ტერიტორიაზე მოპოვებული ქართული ეპიგრაფიკული წარწერები (ასომთავრული, ნუსხა-ხუცური, მხედრულიც) IX-XIII სს განეკუთვნება. ესენია: მსიგხუას, ანუხვის, ხუაფის, სამათოს და ლიხნის წარწერები სამშენებლო და მემორიალური ხასიათისა.

შევნიშნავთ, რომ აფხაზეთში გამოვლენილია ქართული ანბანის სამივე სახეობა: ასომთავრული, ნუსხა-ხუცური და მხედრული. ამათგან, ერთობ პოპულარულია ასომთავრული. წარწერების აბსოლუტურად მეტი წილი ასომთავრულზე მოდის (41-ზე მეტი რაოდენობის). მკვლევართა დაკვირვებით, აფხაზეთში შესრულებული ქართული წარწერების უმეტესი რაოდენობა განეკუთვნება ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობის პერიოდს. მთლიანად მათი ქრონოლოგია ისაზღვრება IX-XIX სს. დასავლეთ საქართველოში მხედრული დამწერლობის ქვედა ქრონოლოგიურ ზღვრად X ს უნდა მივიჩნიოთ.[2] როდესაც აფხაზეთის ქართულ წარწერებზე ვსაუბრობთ, სპეციალურად

---

[1] **А.Л. Каиня**, Памятники архитектура в долине Цкуары, МАА. Сухуми, 1967. გვ. 167.

[2] ლ. ახალაძე, აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, გვ. 200.

აღვნიშნავთ, რომ აბსოლუტური უმეტესობა ლაპიდარული წარწერებია (35), 13-მდე ფრესკული წარწერა. ვგულისხმობთ IX-XIX სს პერიოდის წარწერებს. ინტერესმოკლებული არ იქნება გავეცნოთ მათ კლასიფიკაციას ლ. ახალაძის ნაშრომის მიხედვით.[1]

მიქაელის წარწერა I, IX-X სს (მსიგხუა, გუდაუთა), მიქაელის წარწერა II, IX-X სს (მსიგხუა), მიქაელის საველრებელი წარწერა, IX-X სს (მსიგხუა), ხოფის გიორგი მეფის წარწერა, 922-957 წწ (ხუაფო გუდაუთა), სვიმონ გალატოზთუხუცესის წარწერა, X ს (ბედია), ბაგრატ მეფის წარწერა, X ს (ბედია), ბესლეთის ხიდის წარწერა, XI-XII სს (სოხუმი), გალატოზის წარწერა XI ს (ილორი). გიორგის წარწერა, XI ს (ილორი) გიორგი გურგენიძის წარწერა, XI (ილორი), გიორგი ქოჩოლავას წარწერა, XI (ილორი). ილორის ტაძრის წარწერა, XI ს., საგტუხ „დეოფლის“ წარწერა, XI (ღუმურიში, გალი), გიორგი ბასილისძის წარწერა, XI ს (ანუხვა, გუდაუთა), სვეტზე გამოსახული ჯვრების წარწერები, XI (ანუხვა, გუდაუთა), წარწერა ჯვარცმაზე, XI ს (ანუხვა, გუდაუთა), სკურჩის წარწერა, XI ს (კოდორის ხეობა), მიქაელის წარწერა, X-XI სს (წებელდა), წარწერა საკურთხეველზე, XI ს (წკელისკარი, გალი), ხუცესის წარწერა, XI ს (წკესლიკარი), როშას წარწერა, XI ს (წკელისკარი), ლიხნის წარწერა კომეტის გამოჩენის შესახებ, 1066 წ. (ლიხნი), გრიგოლ გალატოზთუხუცესის წარწერა, XI ს (დიხაზურგა, გალი), გრიგოლ მოქველის წარწერა, XII ს (მოქვი), წმ. გიორგის ეკლესიის წარწერა, XII-XIII სს (წებელდა), ნიკოლოზ და სოფრომ ბედიების წარწერა, XIII-XIV სს (ბედია), კონსტანტინე მეფეთა მეფის წარწერა, 1293-1327 წწ (ბედია), დიდებულთა ფრესკული წარწერა, XIII-XIV სს (ბედია), წმ. მარინას წარწერა, X-XI სს (წკელისკარი), წმ. ესტატეს წარწერა, X-XI სს (წკელისკარი), ქტიტორ ჩიჩუას წარწერა, XIII ს (წკელისკარი), წარწერა სვეტზე, XIV ს (ანუხვა), ლუკა მარტინევას წარწერა, XIV ს (წებელდა). წარწერა აბრაამის ფრესკასთან, XIV ს (ლიხნი), წმ. კირილეს ფრესკასთან წარწერა, XIV ს (ლიხნი), წმ. ბასილის ფრესკასთან წარწერა, XIV (ლიხნი), წმ. კირილეს ფრესკასთან წარწერა, XIV ს (ლიხნი), წმ. ბასილის

[1] ლ. ახალაძე, აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, გვ. 212-213.

ფრესკასთან წარწერა, XIV ს (ლიხნი), წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის ფრესკასთან წარწერა, XIV ს (ლიხნი), გრიგოლ ნოსელის წარწერა, XIV წ (ლიხნი), ოდიშის ეკლესიის წარწერა, XIV ს (ოდიში, სოხუმი), „დეოფალ“ მარიხის და გიორგი დადიანის წარწერა, XIV-XV სს (ბედია). ოზბეგ დადიანის წარწერა. 1442-1452 წწ (ჭლოუ), რაბაისა და ნუგამწირის წარწერა, XV ს (გუდავა). დეკანოზის წარწერა, XV ს (გუდავა), ანტონ ბედიელის წარწერა, XVI (ბედია), ალექსანდრას ეპიტაფია, XVI-XVII ს (მოქვი), მიხეილ შარვაშიძის ეპიტაფია, 1864 წ (მოქვი), მიხეილ მარშანიას ეპიტაფია, 1866-1877 (მოქვი).

დასახელებული ქართული წარწერები უებრო საისტორიო წყაროს წარმოადგენს. ლ. ახალაძეს დავესესხებით: „თანამედროვე აფხაზეთის ეპიგრაფიკული მასალის კომპლექსურ და საერთო ისტორიულ კონტექსტში გააზრება, ამ მხარის პოლიტიკური, კულტურული და სარმწუნოებრივი ისტორიის ერთიანობა ქართულ სამყაროსთან, ერთი მიწის, ერთი ისტორიის, ერთი სარწმუნოების, ერთი სადამწერლობო კულტურის არსებობა ადასტურებს, რომ აფხაზეთი ისევე ორგანულად იყო ჩართული ქართულ პოლიტიკურ და კულტურულ სამყაროში, როგორც კახეთი, ქართლი, ოდიში თუ საქართველოს რომელიმე სხვა რეგიონი“.[1]

957-967 წლებში აფხაზთა მეფე ლეონ მეორის მიერ აგებული მოქვის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი და 988-999 წლებში ხუროთმოძღვარ სვიმეონ გალატოზთუხუცესის მიერ აშენებული ბედიის ტაძარი იყო ქართული ეკლესიის და ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი კერა. გარდა ამისა, აფხაზეთში ცნობილი იყო შემდეგი საეკლესიო ცენტრები და სალოცავები: ბიჭვინთის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი, ახალი ათონის (ანაკოფიის) სიმონ კანანელის სახელობის ტაძარი (XI ს), დრანდის ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი (VIII ს), მიუსერის ტაძარი (IX-XII სს), ბზიფის ტაძარი (IX-X სს), კამანის ტაძარი, ჯგერდის ეკლესია, ქიაჩის ეკლესია, ჭუბურხინჯის ტაძარი.

აფხაზეთის ქართულ წარწერებში სახელდებიან აფხაზთა სამე-

[1] ლ. ახალაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 211.

ფოსა და გაერთიანებული საქართველოს მეფეები: გიორგი მეორე, ბაგრატ მესამე, ბაგრატ მეოთხე, გიორგი მეორე კურაპალატი, კონსტანტინე მეფეთა მეფე (დავით ნარინის მემკვიდრე).

ფრიად საგულისხმო ფაქტია VIII ს 80-იანი წლების ბოლოს შექმნილ „ჰაბოს წამებაში“ აფხაზეთის მთავართან (იგივე მეფესთან) ერთად მყოფი ეპისკოპოსისა და მღვდლების მოხსენიება: „მოუწოდეს მას (ჰაბოს – ტ.მ.) მთავარმან მან და ეპისკოპოსმან და მღვდელთა და აკურთხევდეს და ნუგეშინის-სცემდეს...[1] ეს ფაქტი ნათლად მეტყველებს, რომ უკვე VIII საუკუნისათვის აფხაზეთის ტერიტორიაზე გაშენებულია არაერთი ეკლესია-მონასტერი, სადაც მოღვაწეობენ ქართველი ეპისკოპოსები და მღვდლები. ეკლესია-მონასტრებს აგებდნენ არა მარტო მდ[illegible] ზედაპირზე, არამედ გამოქვაბულებშიც. ამაზე მიგვანიშნებს ანუხვის (გუდაუთის რაიონის) მღვიმე, რომელიც შემკული იყო V-VIII სს ქართული ასოთ [illegible] წარწერებით პალეოლითური, ანტიკური და შუა საუკუნეების კედლის [illegible] ერთად. აქვე უნდა დასახელდეს წმ. იპატის მღვიმე (გაგრა), რომელიც სალოცავად იყო გამოყენებული. ბზიფის მასივში განლაგებული მღვიმეები – გამაგრებულ მონასტრად გამოყენებული, კელასურის მღვიმეში არსებული მონასტერი.[2]

როგორც მოკლე მიმოხილვიდან ვნახეთ, საქართველოს ძირძველი მხარის – აფხაზეთის ტერიტორიაზე V-VIII თუ IX საუკუნიდან „მოდებულია“ ქართული ასომთავრული, ნუსხა-ხუცური და მხედრული დამწერლობის (ლაპიდარული, ფრესკული, ჭედური) ნიმუშები, რაც იქ ღვთისმსახურების ქართულ ენაზე შესრულებამ და ქრისტიანული ეკლესია-მონასტრების მშენებლობის გაშლამ შეიტანა. ეს განსაზღვრა ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში ქრისტიანობის განმტკიცებამ და წირვა-ლოცვის მხოლოდ ქართულად აღვლენამ. სამწუხაროდ, ამნაირი ცნობები არ შემოგვენახა იმის ნათელსაყოფად თუ ქართული დამწერლობის დამკვიდრებამ აფხაზეთში რამდენად შეუწყო ხელი ქართული მხატვრული ლიტერატურის აღმოცენება-განვითარე-

---

[1] ძეგლები I, გვ. 59.

[2] ლ. მარუაშვილი, მღვიმეთმცოდნეობის საფუძვლები, გვ. 237, 241-242; შდრ ჯ. გამახარია, აფხაზეთი და მართლმადიდებლობა, თბ., 2005, გვ. 89.

ბას მთელი შუა საუკუნეების მანძილზე. ეს დამაფიქრებელი ფაქტია. სათანადო ცნობების უქონლობის გამო ამის მიზეზებზე მსჯელობა ბნელეთში ხელის ფათურით საგნების გარჩევის მცდელობის მსგავსი რამ იქნება. თუმცა ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ვირწმუნოთ აფხაზეთში ქართული მწერლობის ტრადიციების გაუვრცელებლობა.

შუა საუკუნეების მანძილზე აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე ქართული ენის და ქართული დამწერლობის გავრცელების ისტორია, ბუნებრივია, ღრმად ჰქონდა გათავისებული გიორგი შარვაშიძეს, რაც კიდევ უფრო უმძაფრებდა სიყვარულს ქართული ენისადმი, ქართული ანბანის სამივე სახეობისადმი. ქართულ ენას ისე გრძნობდა, როგორც შვილი დედის ალერსს, როგორც ჭრილობა — უებარ მალამოს, როგორც ბალახი — ცის ნამს. მწერალმა ზედმიწევნით იცოდა საქართველოს ისტორია და ქართული ენის თავგადასავალიც, მითუმეტეს — ცარისტული რეჟიმის პირობებშიც ძნელად იტანდა ქართული ენის დამახინჯებას, ბარბარიზმებით დანაგვიანებას. თავისი გულისტკივილი გაახმოვანა ერთ პუბლიცისტურ წერილში — „ქართული ენის გარშემო“, რომელიც გამოაქვეყნა გაზეთ „საქართველოში“ სიკვდილამდე სამი წლით ადრე.[1]

წერილის სათაურის ქვეშ მიწერილია ფრჩხილებში: „წერილი რედაქციის მიმართ“. გიორგი შარვაშიძე გაზეთ „საქართველოს“ რედაქციას მიმართავს თხოვნით წერილის პუბლიკაციას იმ შემთხვევაში, თუ მასში დაფიქსირებულ მოწოდებას ჩათვლის ყურადღების ღირსად. მწერალს გული არ უთმენს სათქმელი წერილის საშუალებით არ გამოხატოს. სტატია გამოხმაურებაა 1915 წელს შემდგარი „მართლმწერლობის“ კომისიის საქმიანობისა: „მე მინდა შევეხო ახლანდელ ქართულ მწერლობას, რომლის გასასწორებლად უკვე შემდგარა ესრეთ წოდებული „მართლმწერლობის“ კომისია.

გიორგი შარვაშიძეს არ მოსწონს გამოთქმა „მართლ-მწერლობა“. ეს შესიტყვება ეჩოთირებაო ქართული მსმენელის ყურს. ეს გამოთქმა ეწინააღმდეგებაო ქართულ მუსიკალურ ენას, რადგან მასში ხმოვნებთან შედარებით თანხმოვანთა რაოდენობა გაცილებით დიდია, რაც ქმ-

[1] გ. შარვაშიძე, ქართული ენის გარშემო, გაზ. „საქართველო“, 1915, №169, 16 ქრისტეშობისთვე.

ნისო „რაღაც ბრგუ გამოთქმას“. ავტორს მიაჩნია, რომ საჭირო იყო უფრო მოხდენილი სიტყვის მოძებნა. მისი ფიქრით, კომისიას უნდა მოეძიებინა შესატყვისი ტერმინი ქართულ სიტყვიერ კულტურაში. ფრაზაში, სადაც აფხაზი მწერლის ეს აზრებია გატარებული, ქვეცნობიერად იგრძნობა, რომ მას ეს შესიტყვება „მართლ-მწერლობა“ იმიტომ აუთვალწუნებია, რომ იგი წარმოადგენს უშუალო თარგმანს რუსული სიტყვისა „правописание“, რომელიც თვითონვე ჩაუსვამს ფრჩხილებში და ამით მიგვანიშნებს თავის პოზიციაზე:

„პირველადვე, ეს სახელი „მართლ-მწერლობა“ (правописание) ქართულს დაჩვეულ სმენას ეჩოთირება. ამ ორთა შეერთებულ სიტყვაში 14 ასო შედის, რომელთა შორის უხმონი არიან ცხრა და ამა უხმოთა ერთმანეთთან გადაბმა შეჰქმნის რაღაც ბრგუ გამოთქმას, რომელიც ეწინააღმდეგება ქართულს მუსიკალურ ენას. მე ეფიქრობ, რომ კი შეიძებნებოდა უკეთ მოხდენილი სიტყვა, და სანამ ახალს მოიგონებდენ, საჭირო იყო დიდი ძიება, ვინაიდან საეჭვოა, რომ აქამომდე ქართველ ერსა და მწიგნობართა ... ქართველთათვის ტერმინი დამახასიათებელი უმცდარი წერისა“. გიორგი შარვაშიძის ... ცნება „მართლ-მწერლობა“ დაიხვეწა და იქცა „მართლწერად“. ანუ გამარტივდა მისი გამოთქმა — ცხრა თანხმოვანი დავიდა ექვსამდე სამი ხმოვნის თანხლებით.

ამავე წერილში გიორგი შარვაშიძეს კიდევ ერთი ტერმინი ამოუღია ნიშანში — ეს არის „სოფლმხედველობა“. არ სიამოვნებს რომ მისი ქართული ჟღერადობა იმიტომ, რომ უშუალოდ რუსულიდან გადმოღებულად მიაჩნია: „ესეც ხომ როგორც პირველი პირდაპირ რუსულიდან არის ნათარგმნი — „мировоззрение“ ავტორი ლაპარაკობს არათუ ამ სიტყვის რუსულიდან უკეთესად თარგმანზე, არამედ ამ ტერმინის ქართულ ენაზე, საერთოდ, არსაჭიროებაზე, „სულ სხვა ნაირად შეიძლებოდაო განყენებულ მოფიქრებათა გადმოცემა“. პუბლიცისტი პარალელს ავლებს ევროპულ ენებთან აღნიშნულ ტერმინთან დაკავშირებით: „ევროპიულს ენებზე განყენებულის მოსაზრება მიაჩნიათ კუთვნილებად წარჩინებულ მეცნიერთა, პოეტთა და ბრძენთა და არა ყოველი ადამიანისა. ჩვენ სულ სხვა აზრისა ვართ. ჩვენ გვგონია, რომ ყაჩაღსა ხვიტიას და არსენა დალაქსაც აქვთ თავიანთი миро-

воззрение და ამიტომაც გახდა ტერმინის მოთხოვნილება მწერლობაში, რუსეთის გავლენით, — ევროპასაც გავასწარით“.

გიორგი შარვაშიძე შთაგვაგონებს: ყოველ ენას დაჰბედებია „ჯიშური თვისება“, რასაც ფაქიზად მოპყრობა ესაჭიროება, რათა აცდეს მას ამ თვისების გარყვნა. იგი ებრძვის მშობლიური ენის გადაგვარებისკენ მისწრაფებას, რაც გამოიხატება ბარბარიზმებით მის დანაგვიანებაში. შემდეგ მწერალი ქართული ენის გარყვნაზე საუბრობს. ამის ერთერთ საბუთად მოაქვს ქართული ასოს (ჱ, ჯ, ჲ, ჳ) გაუქმება. გიორგი შარვაშიძე სვამს კითხვას, თუ „რა გაჭირვებამ აიძულა ის პირები, რომლებმაც შეცვალეს და გადაჰყარეს ქართული ასოები?“ პუბლიცისტი ვარაუდობს, რომ ეს გაკეთდა, ალბათ, მოზარდ ყრმათათვის ორთოგრაფიის შესწავლის გასაადვილებლად. თუმცა, ეს ფაქტორი ყოვლად დაუშვებლად მიაჩნია: „ყრმათა ცოდნის გასაადვილებლად მცოდნენიც უვიცობაზე დავაყენოთო“.

გიორგი შარვაშიძის გაკვირვება შორს მიდის და ამ ასოების ხმარებიდან ამომღებთ თავხედობაში ადანაშაულებს. მას წარმოუდგენლად ესახება გაუქმება „ათასი წლის წეს-კანონისა“, ანუ იმ კანონისა, რომლის საფუძველზეც დაწერილა: ლოცვანი, ფსალმუნი, სახარება. დაბადება, ვეფხისტყაოსანი და სხვა ძეგლები, „რომელნიც დგანან შეუცვლელ ბურჯად და საუნჯედ საქართველოს მწიგნობრობისა“. მწერალი პარალელს ავლებს ევროპულ ენებთან და შენიშნავს: „ევროპიულს ენებზედაც წერაში ისეთი ასოებია, რომლებიც თითქო სრულიად საჭირო არ არიან, მაგრამ არავის აზრადაც არ მოუვა, რომ ის ასოები გააუქმოს“.

სტატიის ავტორი დასაშვებად მიიჩნევს ერთი ევროპული ასოს Ф შემოღებას ქართულში, „რადგან ყოველს მსოფლიო ენაზე იწერებაო ეს ასო“. სულხან-საბა ორბელიანსაც აქვსო ნახმარი ეს ასო. ამის აუცილებლობას შემდეგში ხედავს: „მით უმეტეს ეს საჭიროა, რომ უცხო სიტყვები და თერმინები, რომლებშიდანაც ვსაჭიროებთ, აუცილებლად ამას მოითხოვს“. თუმცა უცხო სიტყვების ხმარებას უნდა მივმართოთო უკიდურეს შემთხვევაში, „როცა დასტურ ქართულად არ ითქმება აზრის შინაარსი“.

მწერალი აკრიტიკებს იმათ, რომლებიც წამდაუწუმ ხმარობენ უცხო სიტყვებს და ამით ტრაბახობენ კიდეც: „დახე, რა ნასწავლი ვარო“. ქართულ გაზეთებს უწუნებს უცხო სიტყვების მომრავლებას, სად „შვიდ სიტყვაში ოთხი არ არის ქართულიო“: „ქართული გაზეთები გაბერილია კუპატსავით უცხო სიტყვებით. ხშირად შეხვდებით ისეთს სიტყვათ შეწყობას, რომელშიაც შვიდს სიტყვაში ოთხი არ არის ქართული! აბა რა უნდა გაიგოს სოფლის კაცმა, ვისაც გარეშე ენები არ უსწავლია?“

გარდა ამისა, აფხაზი შემოქმედი თვით ქართული სიტყვების ხმარებაშიც პოულობს გრამატიკულ თუ ორთოგრაფიულ შეცდომებს: „ამასთან კიდევ, რასაც წმინდა ქართულით იტყვიან, ამათშიაც აუარებელი შეცდომებია ზოგი ღრამატიკული და ზოგიც ორთოგრაფიული... ენის გადაკეთებას თავი უნდა დავანებოთ! საჭიროა ვეცადოთ ჩვენ ენას შევსძინოთ, გავამდიდროთ და არა გადავაშენოთ, გარდავაგვაროთ“.

გიორგი შარვაშიძის მთელი შემოქმედების მანძილზე იგრძნობა უდიდესი მოკრძალება და თაყვანისცემა „ვეფხისტყაოსნისადმი“. საანალიზო წერილშიც მწარედ განიცდის ინტერპოლატორების უმსგავსო საქციელს შოთა რუსთაველის ამ უკვდავი თხზულებისადმი მიმართებაში: „ვერფხისტყაოსანი ძლიერ გარყვნილია უცნობი ვინმეების ჩამატებული ლექსებით და დიდი შრომა დასჭირდათ შემდეგ, რომ ეს უკვდავი თხზულება ყალბისაგან განეწმინდათ. დღესაც, შეგვიძლიან კი დასაბუთებით დავრწმუნდეთ, რომ უმცდარადაა იგი ახალ გამოცემებში?“

ამავე წერილში, გარდა „ვეფხისტყაოსნის“ გამყალბებელთა კრიტიკისა, ავტორი ჩვენს ყურადღებას მიაქცევს რუსთაველის პორტრეტს. იგი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს იმათ, რომლებმაც რუსთაველი დაგვიხატესო ჩვენი დროის სამოსლით და ყიზილბაშურ ქუდში გარჭობილი კალმით. მას ასევე უკვირს ქართველი საზოგადოებისა, რომ გენიოსი პოეტის ამგვარი სურათი შეიწყნარა, როგორც ნამდვილი სურათი და გაავრცელაო კიდეც: „ჩვენს დროშიც ამ დიდებული მწერლის სურათიც კი გამოიგონეს, მაგრამ ეს კი არაა საკვირველი, რომ უმეცარს ვინმეს განუზრახავს რუსთაველი წარმოედგინა ჩვენი დროის სამოსელით და მის ყიზილბაშურ ქუდში კალამი

გარჭობილი. საკვირველი ის არის, რომ ქართველ საზოგადოებამ მიიღო ის, როგორც ნამდვილი სურათი და გაავრცელეს კიდეც!..“

წერილს ასე ასრულებს ავტორი: „ამ გვარი მოვლენა სამწუხარო ნიშნებია და თუ ქართველი ერი მთლად არ გადაშენდა, — შთამოება და მომავალი ჩასთვლის ჩვენს დროს გონების უმწიფარ ხანად, რომელიც შეუნდობელი იქნება.“

სიმონ ჯანაშია, რომელსაც ვრცლად მოაქვს წერილიდან ნაწყვეტები, გიორგი შარვაშიძის კონცეფციებთან დაკავშირებით, წერდა: „თქმა არ უნდა, ბევრი რამ ამ მსჯელობაში შემცდარია და მიუღებელი ჩვენთვის, ყოველივე ეს საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ავტორის განწყობილებასა და ლიტერატურულ აღზრდას ახასიათებს“.[1]

ქართული ენის პრობლემებთან დაკავშირებით გიორგი შარვაშიძის ნააზრევიდან განსაკუთრებით აქტუალურია დღეისთვის ქართული ენის სიწმინდის დაცვა და მისი ხსნა ბარბარიზმების აღვირახსნილი „შემოსევებისაგან“. მთელი შუა საუკუნეების მანძილზე საქართველოში შემოჭრილ მოსისხლე მტრებს და ურდოებს იმაზე მეტი ზიანი არ მიუყენებია ჩვენი სამშობლოსათვის, რასაც დღეს უცხო ენებიდან შემოჯირითებული სიტყვები უქადის მსოფლიოში ერთ-ერთ უნიკალურ ქართულ ენას, რყვნის მას, არბევს და ფეხქვეშ იგდებს გასათელად. უბედურება ისაა, რომ ბარბარიზმები დღევანდელ ქართულ ლექსიკურ ფონდში პარპაშებენ ჩვენივე ხელშეწყობით, არა ნაძალადევად, არამედ ნებაყოფლობით. ჩვენ ვუღებთ მათ ნებით კარებს. ამით ვღუპავთ მშობლიურ ენას და ვღუპავთ ქართულ სიტყვიერ კულტურას, ფაქტიურად საქართველოსა და მის კეთილშობილ ტრადიციებს. გიორგი შარვაშიძე დღესაც არისხებს ჩვენს თავზე განგაშის ზარებს: „ყოველი ხალხი, რომელიც ისურვებს იცხოვროს უტრადიციოდ, — იღუპება“.[2]

ვინაიდან გიორგი შარვაშიძის პუბლიცისტურ წერილში „ქართული ენის გარშემო“ წამოჭრილი პრობლემებიდან ზოგი რამ დღეისთვისაც სასიცოცხლოდ აქტუალურია, ვინაიდან ეს სტატია გაზეთ

---

[1] ს. ჯანაშიას დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

[2] Предсмертное обращение к абхазскому народу Георгия Михайловича Шервашидзе – აფხაზეთის სახელმწიფო მუზეუმი, არქივი 48, ფ. 3.

„საქართველოში“ გამოქვეყნების შემდეგ არსად დაბეჭდილა (აქ მხედველობაში არ გვაქვს ამ წერილიდან მკვლევართა მიერ დამოწმებული ციტატანი), საჭიროდ მივიჩნიეთ მკითხველისათვის მთლიანობაში მისი გაცნობა:

ქართული ენის გარშემო[1]

(წერილი რედაქციის მიმართ)

გული არ მითმენს ორიოდე სიტყვით არ მოგმართოთ, და თუ დაინახოთ ეს ჩემი მოწოდება ღირსად ყურადღებისა, — ინებეთ დასტამბოთ.

მე მინდა შევეხო ახლანდელ ქართულ მწერლობას, რომლის გასასწორებლად უკვე შემდგარა ესრეთ წოდებული „მართლ-მწერლობის“ კომისია. პირველადვე, ეს სახელი „მართლ-მწერლობა“ (правописание) ქართულს დაჩვეულ სმენას ეჩოთირება. ამ ორთა შეერთებულ სიტყვაში 14 ასო შედის, რომელთა შორის უხმონი არიან ცხრა და ამა უხმოთა ერთმანეთთან გადაბმა შეჰქმნის რაღაც ბრგუ გამოთქმას, რომელიც ეწინააღმდეგება ქართულს მუსიკალურ ენას. მე ვფიქრობ, რომ კი მოიძებნებოდა უკეთ მოხდენილი სიტყვა და სანამ ახალს მოიგონებდნენ, საჭირო იყო დიდი ძიება, ვინაიდან საეჭვოა, რომ აქამომდე ქართველ ერსა და მწიგნობრობას არ ჰქონოდათ ტერმინი დამახასიათებელი უმცდარი წერისა. კიდევ მეორე ამგვარივე სიტყვაა შემოღებული ჩვენ მწერლობაში; ეს სიტყვა არის „სოფლ-მხედველობა“. ესეც ხომ როგორც პირველი პირდაპირ რუსულიდან არის ნათარგმნი. „мировоззрение“. აქვე არათუ შეიძლებოდა უკეთესი თარგმანი, სრულიადაც არ სჭიროდა ქართულს ამ ტერმინის ხმარება, სულ სხვა ნაირად შეიძლებოდა განყენებულ მოფიქრებათა გადმოცემა. მაგალითად, ფრანგულ ენაში არ არსებობს ტერმინი „миро-воззрение“, რადგანაც ძვირად შეხვდებით მათ მწერლობაში საჭიროება ამ ტერმინისა და იტყვიან მხოლოდ: „La contemplantion du monde“, ანუ „Гіадое інівочяселле“, სახელდობრ ამა და

[1] გ. შარვაშიძე, ქართული ენის გარშემო, გაზ. „საქართველო“, №169, 1915, 16 ქრისტეშობისთვე.

ამ კაცისაო. ევროპულს ენებზე, განყენებულის მოსაზრება მიაჩნიათ კუთვნილებად წარჩინებულ მეცნიერთა, პოეტთა და ბრძენთა და არა ყოველი ადამიანისა. ჩვენ სულ სხვა აზრისა ვართ. ჩვენ გვგონია, რომ ყაჩაღსა ხვიტიას და არსენა დალაქსაც აქვთ თავიანთი „мировоззрение“ და ამიტომაც გახდა ტერმინის მოთხოვნილება მწერლობაში, რუსეთის გავლენით, — ევროპასაც გავასწარით.

ყოველს ენას მიჰნიჭებია თავისი, ასე ვთქვათ, ჯიშური თვისება, მაგრამ ამას დიდის მოწიწებით, ცოდნით და სიფაქიზით სჭირია მოპყრობა, ვინაიდან არ გაირყვნას ჯიშური თვისება ენისა, — სხვა ენიდან უხეშად თარგმნა სიტყვისა და მიბაძვით გადმოლაგება სხვათა გონებრივი ვითარებისა, — შეადგენს სამშობლო ენის გადაგვარებისადმი მისწრაფებას.

გარდა ამისა, ბევრი საბუთებია ენის გარყვნისა, ჩვენს მწერლობაში გაუქმებულია ქართული ასოები: ჱ, ჯ, ჲ, ჳ. ჱ საჭიროა ზოგან სიტყვების წესიერ გამოთქმისათვის, მაგ: თქუჱნ, ჩუჱნ, ქუჱყანა... და სხვ. ამის მაგიერ ახლა ვწერთ ვ-ე-ნს გამოთქმაში ქართული ნაზი კილო იკარგება და გამოდის тквен-чвень და სხვ.

მეორე ასო, ჯ, შესცვალეს ვ-ი-ზე. წინედ წერდენ: შენთჯს, ჩემთჯს, ტჯრთი, და სხვ. ახლანდელ გამოთქმაში კი ისმის: Шентвись, твирти და სხვ. ასეევე ქართულში ფრანგულ u-ს მაგივრობას ეწევა. ვსთქვათ სიტყვა კჯრა — ეს დაიწერება ფრანგულად მშვენიერი ქართული გამოთქმით, — kupa, ხოლო რუსულად კი დაიწერება квира. ე.ი. იმ გამოთქმით, როგორც ახლა ჩვენ ვხმარობთ.

რუსულ ენაზე გამოზრდილი ყურისათვის, ამნაირი გამოთქმის შეცვლა დიდს განსხვავებას არ შეადგენს, მაგრამ ნება გვაქ, ვიკითხოთ, რა გაჭირვებამ აიძულა ის პირები, რომლებმაც შესცვალეს და გადაჰყარეს ქართული ასოები? ალბად იმისთვის, რომ მოზარდ ყრმათა გაუადვილდეს ორთოგრაფიის შესწავლა! მაგრამ ეს მოსაზრება ყოვლად შეუწყნარებელია, ყრმათა ცოდნის გასაადვილებლად. მცოდნენიც უვიცობაზედ დავაყენოთ! რაც უნდა მიზეზი ყოფილიყოს, ყოველ შემთხვევაში, ერთობ დიდი თავხედობაა ვინმემ, ან რავდენიმე პირმა, — აიღონ და გააუქმონ ათასი წლის წეს-კანონი მწერლობისა,

ის კანონი, რომლის მეოხებით დაწერილან: ლოცვანი, ფსალმუნი, სახარება, დაბადება. ვეფხისტყაოსანი და სხვ., რომელნიც დგანან შეუცველ ბურჯად და საუნჯედ საქართველოს მწიგნობრობისა. ევროპიულს ენებზედაც წერაში ისეთი ასოებია, რომლებიც თითქოს სრულად საჭირო არ არიან, მაგრამ არავის აზრადაც არ მოუვა, რომ ის ასოები გააუქმოს.

ამას უნდა დაუმატოთ, რომ ახალ მწერლობაში ხმარობენ, ყოველად უსაჭიროდ გამოგონილს და ნურას უკაცრავათ, — სმენისათვის უშვერ სიტყვებს, მაშინ, როდესაც ეს სიტყვები ძლიერ საღად არსებობენ ქართულში. რას ნიშნავს ამ ნაირი მოვლენა? უმეცრებაა, თუ ფუტურიზმი? ამ უკანასკნელ სიტყვაზე გამახსენდა, რომ ეს ერთი ასო ф, ევროპიული, კი უნდა იქნეს შემოღებული ქართულში, რადგან ყოველს მსოფლიო ენაზე იწერება ეს ასო. საბა სულხანსაც აქვს ნახმარი ф, მით უმეტეს, ეს საჭიროა, რომ უცხო სიტყვები და თერმინები, რომლებშიდანაც ვსაჭიროებთ აუცილებლად ამას მოითხოვს. აუცილებლად მეთქი იმიტომ მოგახსენეთ, რომ ამ საშუალებას უნდა მივმართოთ მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, მაშინ, როცა დასტურ ქართულად არ ითქმება აზრის შინაარსი, ახლა კი წამდაუწუმ ხმარობენ უცხო სიტყვებს. თითქოს ამით მკვეხრობენ: „დახე რა ნასწავლი ვარო!“ ქართული გაზეთები გაჟღენთილია კუპატსავით უცხო სიტყვებით. ზოგჯერ შეხვდებით ისეთს სიტყვათ წყობას, რომელშიც შვიდს სიტყვაში ოთხი არ არის ქართული! აბა რა უნდა გაიგოს სოფლის კაცმა, ვისაც გარეშე ენები არ უსწავლია? ამასთან, კიდევ რასაც წმინდა ქართულით იტყვიან, ამათშიც აუარებელი შეცდომებია ზოგი ღრამატიკული და ზოგიც ორთოგრაფიული. ეგებ დამწერს ჰგონია, რომ აგრე უნდა იყოს, მაგრამ აგრე არ არის და არც ყოფილა. ენის გარდაკეთებას თავი უნდა დავანებოთ! საჭიროა ვეცადოთ, ჩვენს ენას შევსძინოთ, გავამდიდროთ და არა გადავაშენოთ, გარდავაგვაროთ.

სამწუხაროდ, ერთი რამ თვისება ჩვენი უნდა აღვიაროთ: ყოველ დროსა სჩანს, ყოფილან ისეთი ვინმეები, რომელნიც ჰფიქრობენ „ჩემი სჯობსო და უცილობლობდენ ვითა ჯორი“, მაგ.: ვეფხისტყაოსანი ძლიერ გარყვნილია უცნობი ვინმეების ჩამატებული ლექსებით და

დიდი შრომა დასჭირდათ შემდეგ, რომ ეს უკვდავი თხზულება ყალბისაგან განეწმინდათ. დღესაც, შეგვიძლიან კი დასაბუთებით დავრწმუნდეთ, რომ უმცდარადაა იგი ახალ გამოცემებში? შემდეგ, ჩვენ დროშიც, ამ დიდებული მწერლის სურათიც კი გამოიგონეს, მაგრამ ეს კი არაა საკვირველი, რომ უმეცარს ვინმეს განუზრახავს რუსთველი წარმოედგინა ჩვენი დროის სამოსელით და მის ყიზილბაშურ ქუდში კალამი გარჭობილი. საკვირველი ის არის, რომ ქართველ საზოგადოებამ მიიღო ის, როგორც ნამდვილი სურათი და გაავრცელეს კიდეცა!..

ამ გვარი მოვლენა სამწუხარო ნიშნებია და, თუ ქართველი ერი მთლად არ გადაშენდა, — შთამოება და მომავალი ჩასთვლის ჩვენს დროს გონების უმწიფარ ხანად, რომელიც შეუნდობელი იქნება.

„ქართველი პროფესორის კაბინეტში“

გიორგი შარვაშიძე ვერ იტანდა უსამართლობას, არაობიექტურობას, უპრინციპობას. ცოცხალი თავით არ ეგუებოდა საქართველოს მიმართ მოძალადის რეჟიმს. იგი არავის პატიობდა საქართველოს თუ ქართველი ხალხის აუგად მოხსენიებას, აბუჩად აგდებას, ისტორიული სამართლიანობის დამახინჯებას. ზემოთ დავინახეთ თუ რა სამარცხვინო ბოძზე გააკრა „ბერლინერ ტაგებლატის“ კორესპონდენტი ლორენცი. მან არანაკლები შავი დღე დააყარა ნიკო მარს მასთან პირისპირ შეხვედრისას პეტერბურგში. ამ დიდ მეცნიერს ადანაშაულებდა სომხებისადმი მიმხრობაში და წაყრუებაში ვინმე აბაზას ნაბოდვარზე.

ოთარ ჭურღულია გიორგი შარვაშიძის პიროვნებაზე მსჯელობისას შენიშნავს: „იგი შეუწყნარებელი იყო იმათ მიმართ, ვინც ცდილობდა მრუდე სარკეში ეჩვენებინა ხალხთა და ერთა ურთიერთობა და სხვის უბედურებაზე თავისი ბედნიერება აეგო. ამ თვალსაზრისით მან სასტიკი პასუხი გასცა აკად. ნიკო მარს იმის გამო, რომ ამ დიდმა მეცნიერმა წაუყრუა ზოგიერთი ვაი-მეცნიერის მიერ საქართველოს ისტორიის გაყალბებას და ნაციონალისტურ სულთა სწრაფვას წინ

აღარ აღუდგა".[1] სწორედ ოთარ ჭურღულიამ გაამახვილა პირველად ყურადღება გიორგი შარვაშიძის წერილზე, სადაც არის მოცემული ნიკო მარის კრიტიკა. თუმცა მეცნიერს არ უცდია მისი ანალიზი, მან მხოლოდ დააფიქსირა ეს ფაქტი და ზემოთ დამოწმებული ამონარიდით შემოიფარგლა.

საქმე ეხება გიორგი შარვაშიძის მიერ „გარდახვეწილის" ფსევდონიმით გამოქვეყნებულ მამხილებელ სტატიას „ქართველი პროფესორის კაბინეტში". იგი დაიბეჭდა გაზეთ „ივერიაში".[2] ამის შემდეგ მას მზის სინათლე არ უნახავს. იქიდან დასამოწმებლად საილუსტრაციო მასალაც არაერის ამოუღია. ასე რომ, აღნიშნული სტატიის შინაარსი, საერთოდ, დავიწყებულია. მას გიორგი შარვაშიძის თხზულებათა არც ერთ გამოცემაში ადგილი არასოდეს უპოვია, არადა, ეს პოლემიკური წერილი კიდევ უფრო ნათელ წარმოდგენას გვიქმნის გიორგი შარვაშიძის ეროვნულ-მოქალაქეობრივ მსოფლმხედველობაზე. მითუმეტეს, მასში გატარებული აზრები და გულისტკივილი ერთობ აქტუალურია დღესაც. ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, თავს უფლება მივეცით გაზეთ „ივერიიდან" მთლიანად გადმოგვეწერა ეს სტატია და ახლოს გამეცნო იგი დღევანდელი მკითხველი საზოგადოებისათვის. გთხოვთ, ყურადღებით წაიკითხოთ: „ბედმა გადმომისროლა ჩრდილოეთის სატახტო ქალაქში, ვნახე ქართველი სტუდენტები, ქართველი პროფესორი, შესანიშნავი ადგილები და შენობები. ისე არას გაუკვირვებივარ ამ სასწაულთა და საკვირველებათა ქალაქში, როგორც გამაოცა ერთი ქართველი პროფესორის ნახვამ.

მიდიხარ ბარელის კუნძულზე. სასახლეები გაკვირვებს თავის შვენიერებით. მიხვედით ნიშნობლივ სასახლემდის, იკითხეთ სახლის ნომერი, ჩამოაწკარუნეთ, გაგიღეს სადარბაზო კარები. შინ არის ბ-ნ პროფესორი? – კი, ბატონო, გპასუხობენ. შეიძლება ნახვა? ვინ ბრძანდებით? ეუბნებით გვარს.

მეკარე მიდის, ბოლო კარს გიღებენ. შედიხართ. გამარჯობა! გაგიმარჯოს! დაბრძანდით. ჯდებით სელზე. გაოცებს კაბინეტის და ოთახ-

---

[1] ო. ჭურღულია, შარვაშიძეები, გვ. 57.

[2] გარდახვეწილი, ქართველი პროფესორის კაბინეტში, გაზ. „ივერია", №3, 1904.

ების მოწყობილობა. წინა კედელზეა დიდი სურათი „ჰაირიკისა“, იქით თავისუფალ არმენიისა, აქეთ ვიღაც-ვიღაცებისა. ზევით, უკანა კედელზე, მაგიდაზე, ყველგან დახატულია სომხეთი. ჰკვირობთ, ჩრდილოეთის ქალაქში ვარ თუ ერევნის მაზრის „მშაკაკანებით“. აღებს ერთ უჯრას, მერე მეორეს. გამოაქვს ბღუჯა წერილები, წინ გიყრით და შემოგბუზღუნებთ: „აი, წაიკითხე, რა უმადურნი არიან ქართველები, აი, რანაირად მაგინებენ და მათახსირებენ, მოსვენებას არ მაძლევენ. რისთვის მერე? სომხურს რად სწავლობო, სომხებს რას ესარჩლებიო, ქართველებს რად გარდუდექიო, ქართველის რძე გიწოვნიაო, ქართველის პური გიჭამიაო, ქართველი ხარო! ღმერთია მოწმე, მე ისევ ქართველი ვარ, ის ქართველი, რომელიც პატრიოტულ ლექსებს ვწერდი „თეატრში“, მე მიყვარს ქართველი, საქართველო, სამშობლო“...

გაკვირვებული ეუბნებით: „ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებს“. თქვენ სწერთ: სიტყვები: წესი, რიგი, ჭეშმარიტი და მრავალი მაგგვარი სიტყვები სომხურიაო.

ქართველებს არც ერთი ნაციონალური ღმერთი არ ჰყოლიაო, ქართველთა მწერლობის და, საზოგადოდ, კულტურის გზად სახავთ სომხებს. via armeniaca მიგაჩნიათ ქართველების უშრეტ წყაროდ და გზად.

ბარემ აიღეთ და ფ.ა. აბაზასავით ესეც სთქვით: „Воды Армении Главнейшая реки: Евфрать, Кура, промекающая через Тифлись, чорохи, впадающая в чёрное море“ (История Армении В.А. Абаза, გვ. 7-8).

kidev: Горы Армении... сквоз хребеть Мтинь пролегаеть Дарьяльское ущклье (iqve, gv. 6).

კიდევ: Естественная производительность (Армении): долина Куры известна своими богатишими кахетинскими виноградниками. Но, при всемь громедньийшем обили винограда, виводлие в Армении, как и шелководснтво, остаётся до сих пор на степени далеко не високой (იქვე, გვ. 12).

ამგვარ მეცნიერებას ემსახურებით. რატომ ერთხელ მაინც ხმა არ ამოიღეთ წინააღმდეგ სახელოვან აბაზას წიგნისა, რომელიც დაიბეჭდა

1888 წელს. იმ აბაზასი, რომელმაც „История Армении“-ში მოაქცია მთელი ტერიტორია საქართველოსი? რატომ არ გაკილავთ და გაკიცხავთ ვარჟაპეტებს, რომელნიც ქართულ წარწერებს ფხეკავენ ძველი ტაძრიდან და სომხურებს აწერენ? დიახ, ქართველებს თქვენდამი სამდურავი ბევრი აქვთ. კუდა ხარი თავისთვის არ იყო და სხვას ბუზებს უგერებდაო. ამისი არ იყოს. რა ჰქონდათ, ან დღეს რა აქვთ სომხებს სახარბიელო, რომ ქართველებს ესესხნათ ან და ისესხონ! განვითარებული პოეტური ენა? შნოიანი საცმელი? სახნავ-სალეწი იარაღი? აბრეშუმი? ღვინო? ცხვარი? ყველი? წიგნი-სიმღერა-ლექსები? არც ერთი და არც მეორე. პირიქით, ყოველივე ეს შეეთვისა და შეესისხლხორცა სომხობას ქართველებისაგან, მეტადრე მასუკან, როდესაც XI საუკუნის ნახევარში დაიმხო სომხეთი, წიგნი, ზნე, ჩვეულება, ლაპარაკი, ლოცვა — ყოველივე ეს საქართველოს სომხებს ჰქონდათ და აქეთ ქართული და თქვენ — კი ლაპარაკობთ რაღაც სომხურ გავლენაზე. ტყუილს მოკლე ფეხები აქვს და დღეს თუ არა ხვალ გამოჩნდება სიმართლე და თათარიახნად შედგენილი თეორიები დაინგრევა, დაიშლება.

მშვიდობით, მაპატიეთ, რომ შეგაწუხეთ. ხმებს არ ვუჯერებდი და ახლა დავრწმუნდი, რომ მოვსულვარ გამშაკაკანებულის სახლში...

ამგვარი და ამისთანა რომ ბევრი გვილაპარაკია გასომხებულ ქართველ პროფესორთან და მის მიმდევრებთან. სწორედ გაოცებული ვარ. მტკვარსა, ალაზანსა, ჭოროხსა და დარიალს იჩემებენ, „იპარავენ“ ქართულ ტაძრებს, ითვისებენ წმინდა ქართული კულტურის დასაბამს, ენასაც კი გვიბილწავენ ცრუ მეთოდებითა გარედაც და სწერენ, რომ აღმოსავლეთში ერთადერთი ერი სომხის ერია, რომელსაც შეუძლია შეითვისოს დასავლეთი ცივილიზაციაო, რომელიც ღირსია ყურადღება მიექცეს იმ ხალხებისა, რომელთაც შეუქმნეს სიმართლისა და თავისუფლების იდეები. საფრანგეთში მყოფობისას სრულად დავრწმუნდი, რომ იქ ქართველობა აღარავის ახსოვს. სომხების მეცნიერებს მტკიცედ დაურწმუნებიათ, შავს ზღვასა და კასპის ზღვას შორის ცხოვრობენ მარტო სომხებიო, რომ კავკასიონის გადმოლმა სომხეთიაო.

გადამდგარ ქართველთან საუბარს ცხრილით ზღვის ამოშრეტა სჯობნებია“.

როგორც ამ წერილიდან ირკვევა, გიორგი შარვაშიძე აუფორიაქებია ნიკო მარის დუმილს. მას მათთან პირისპირი შეხვედრა იმიტომ გადაუწყვეტია, რომ ყურით არ უჯერებდა გავრცელებულ სმებს საქართველოს ისტორიის გამყალბებელ-დამმახინჯებელი ზოგიერთი სომეხი ვაი-მეცნიერის თუ ვაი-ისტორიკოსისათვის თანადგომის თაობაზე. საქართველოში დაბადებული და გაზრდილი, დედით ქართველი, ჭუთაისის გიმნაზიადამთავრებული ნიკო მარი უკვე პეტერბურგში დამკვიდრებული სამოღვაწეოდ, მთლიანად სომხებს ჰყავდათ გადმობირებული. ამაში გიორგი შარვაშიძე დარწმუნდა მისივე სამუშაო კაბინეტში შესვლისთანავე, სადაც თითქოს სომხურ გარემოცვაში მოხვდა. ამ წერილში დიდი ილიას „ქვათა ღაღადის“ სული ქრის. ჩინებული აფხაზი შემოქმედი აღშფოთებული ყოფილა, საერთოდ, სომეხ „ვაი-პატრიოტთა“ საქციელით, რომლებიც ითვისებენ ქართულ ტაძრებს, მტკვარს, ალაზანს, დარიალს, ჭოროხს თავისად სახავენ, ცრუ მეთოდებით გვიბილწავენ ენას, ერთი სიტყვით, ისაკუთრებენ საქართველოს. ამიტომ არისხებს იგი განგაშის ზარებს.

ბრწყინვალე თავადის გ. მ. შარვაშიძის წერილი გაზეთ „ბერლინერ ტაგებლატ“-ის რედაქტორს

გიორგი შარვაშიძის ამ წერილს ფართო გამოხმაურება მოჰყვა ქართველი საზოგადოების მოწინავე ნაწილში. იგი გამოქვეყნდა გაზეთ „ზაკავკაზსკაია რეჩში“.[1] სტატიით აღფრთოვანებულმა გამოჩენილმა მწერალმა ანტონ ფურცელაძემ ასეთი შინაარსის წერილით შეამკო აფხაზი შემოქმედი და პუბლიცისტი: „უბრწყინვალესო თავადო გიორგი მიხეილის ძევ! მე დიდი ხანია გიცნობთ, როგორც ჩვენი ბედკრული ქვეყნის ერთგულს და გულით მოყვარულ პირს. ვიცნობდი თქვენს ნიჭსაც და ხშირად ვფიქრობდი, რათ იდექით განზე და არ იღებდით

[1] გაზ. „Закавказская речь“, 1911, №146.

მონაწილეობას ჩვენს საზოგადო საქმეში, ჩვენს მწერლობაში. ახლა ხომ თქვენმა წერილმა: „Закавказ. речь“-ში (№146), უფრო დაგვარწმუნა თქვენს ქვეყნის სიყვარულსა და მწერლობით ნიჭში და ამან უფრო გამოიწვია ჩვენში სამწუხარო ფიქრი, რომ თქვენ არ ისმინეთ რუსთველის შემდგომი სიტყვები: „არ იხმარებ, რა ხელსა ყოფ საუნჯესა დაფარულსა“.

დიახ, ცხარე არის ეს წერილი, არის გულის სიღრმიდან ამოსული, „ნაღველში ამონაწები“ კალმით ნაწერი.

ბევრს სამწუხარო ფიქრს აღვიძებს ეს თქვენი წერილი ყველა ქართველი მკითხველის გულში. ბევრს დარდსა ჰშლის და იქ, სადაც სხვა ძალა არ არის თავის პატრონობისა, უნდა კალმით მაინც ვაცნობდეთ ქვეყანას ჩვენს უსამართლო სასჯელს, ჩვენს ჩაგვრას, ჩვენი ქვეყნის გამოსალმებას. ამ მხრივ თქვენი წერილი არის უებრო, არის ძლიერი არის სიმართლით საევს, არის ღრმა ჩახედული გონებით დაწერილი. სანატრელია, რომ მაგ წერილმა მიაღწიოს გერმანელთა შეგნებული ხალხის ყურამდის ნემენცური გაზეთის ფურცლებიდან და აცნობოს, რა ხშირია, ხშირად თვით უგანათლებულეს ხალხშიც ათასი შარლატანები და რა ხშირია, რომ ამ შარლატანებს უსმენენ განათლებულნი ერნი.

გულითა და სულით მადლობას გწირავთ ამ შესანიშნავი და საგულისხმო წერილისათვის. თქვენი ღრმად პატივისმცემელი ძველი მოღვაწე ანტონ ფურცელაძე“.[1]

გიორგი შარვაშიძის პუბლიცისტური წერილის შექმნას საფუძვლად დაედო შემდეგი ფაქტი. ერთ-ერთი გერმანული გაზეთის კორესპონდენტი ლორენცი 1911 წელს ჩამოსული იყო საქართველოში. იმყოფებოდა ჯერ გაგრაში, შემდეგ კი თბილისში ლორენცო გაგრაში სტუმრობდა გრაფ ოლდენბურგს სხვა უცხოელებთან ერთად. ერთ-ერთ სტუმარს თურმე ვინმე ნაძირალამ პალტო მოპარა. ამით განაწყენებულ ლორენცს ქართველთა დამამცირებელი სტატია გამოუქვეყნებია

[1] საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი. ფონდი სხვადასხვა. დოკ. №88; შდრ. ო. ჭურღულია, შარვაშიძეები, გვ. 61-62.

თავის სამშობლოში – გაზეთ „ბერლინერ ტაგებლატის“ ფურცლებზე. თავის კორესპონდენციაში მას ნიშანში ამოუღია მხოლოდ ქართველი და აფხაზი წარჩინებულნი ქურდობის დაბრალებით, ვინაიდან ისინი ემსახურებოდნენ სტუმრებს.

ამ კორესპონდენციას გაცნობისთანავე წონასწორობიდან გამოუყვანია გიორგი შარვაშიძე, რომელმაც ვერ აიტანა თანამემამულეთა ღირსების დაკნინება, შეურაცხმყოფელი პასკვილი, ცილისმწამებლური აგრესია და იმთავითვე საკადრისი პასუხი გასცა ზემოთ მითითებულ სტატიაში. წერილი გაუგზავნა „ბერლინერ ტაგებლატის“ რედაქციას გამოსაქვეყნებლად. ეს წერილი კი ამასთანავე დასტამბა გაზეთში „ზაკავკაზკაია რეჩ“.

როცა გიორგი შარვაშიძის ამ „უებრო, ძლიერ სიმართლით სავსე“ წერილს გულდასმით გაეცნობი, მიხვდები, რომ თითოეული სიტყვა არის წონადი, როგორც იტყვიან, აფთიაქის სასწორზე აწონილი. თითოეულ ფრაზაში ავტორის ეროვნული სული ქრის, წმინდა მოქალაქეობრივი პოზიცია გულივით ფანცქალებს. პუბლიცისტი დარწმუნებულია, რომ ლორენცმა იგი ვიღაცის დაკვეთით შეთხზა ნაკლებად ცნობილი ერების (ამ შემთხვევაში ქართველი ერის) დასამცირებლად. მწერალი არ პატიობს გერმანელ კორესპონდენტს მისი ერის ბრინჯაოს ხანის ადამიანებად მოხსენიებას და მკაცრი ტონით ეპაექრება კიდეც.

დღევანდელი გადასახედიდან შეიძლება არ გამოვრიცხოთ, რომ ის პალტო ვიღაც გარეწარს სპეციალურად მოაპარვინეს, რათა ავადსახსენებელი ლორენცისთვის საბაბი მიეცათ ჩვენი ერის განსაჭიქებლად და აბუჩად ასაგდებად. ლორენცამდე საქართველოს არაერთი ავის მოსურნენი ჰყოლია ლეგკობიტოვების, სენკოვსკების და სხვათა სახით, რომლებიც ცარისტული ხელისუფლების შეკვეთით არაფრად აგდებდნენ ჩვენს სახელოვან ისტორიას, ენას, კულტურას. მაგალითად, 1836 წელს ლეგკობიტოვი წერდა: ქართული ანბანი 1400 წლისაა, არ არის ქართული ენა დამუშავებული, ქართული განათლება და მწერლობა დაბალ დონეზე დგას, რომელიც მხოლოდ თარგმანებისა და მიბაძვებისაგან შედგება. ვეფხისტაოსანი პატარა პოემაა.

ახლა გავეცნოთ სენკოვსკის ნაბოდვარს. 1838 წელს იგი ეკამათებოდა მარი ბროსეს და ბრალს დებდა საქართველოს ისტორიის არცოდნაში. მისი „მტკიცებით“, საქართველოს ისტორია შესწავლად არ ღირს, ქართული სახელმწიფოებრიობა იწყება მეთორმეტე საუკუნიდან. ქართველები, როგორც ხალხი, ჩნდებიან მეთერთმეტე საუკუნეში. ტერიტორია, სადაც ახლა ისინი მოსახლეობენ თბილისის ცენტრით, ეკუთვნოდათ სომხებს... რუსთაველის შესწავლა არც ღირს“... განა საეჭვოა, რომ ამ აბრაკადაბრის დამწერი სომხების მოსყიდული არ იყო?

კეზელი (ზოილი) 1886 წელს ასე შეურაცხყოფდა მეგრულებს: „გაფრანგებული მეგრელის იანუს მეუნარგიას ნახევრად ველურმა წინაპრებმა, რომელნიც ოდიშში გარეულ ღორებზე ნადირობდნენ, არაფერი იცოდნენ რუსთაველის შესახებ“. განა ეს ნაბოდვარი პასუხის გაცემად ღირს? მაგრამ მკითხველს მაინც შევახსენებთ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ უძველესი ხელნაწერი (რომლის იქით სხვა ხელნაწერი დღემდე უცნობია ჩვენთვის) სწორედ ოდიშის სამთავროშია გადაწერილი 1646 წელს მამუკა თავაქალიშვილის მიერ, ლევან მეორეს (დადიანის) სამთავრო კარზე.

უცილობლად ლორენცის სტატია შეკვეთით იყო შეთითხნილი ცარისტული ხელისუფლების წარმომადგნელთა მხრიდან. სხვანაირად შეუძლებელია პალტოს დაკარგვის გამო ჩვენისთანა დიდი ისტორიის და კულტურის მქონე ერისთვის ასეთი შეურაცხყოფის მიყენება ასე უაპელაციოდ და უშეღავათოდ (სამწუხაროდ, ეს მავნე ტრადიცია დღემდე გრძელდება). პალტოს მოპარვა ხელოვნურად დაბრალდათ იქ მომსახურე წარჩინებულ ქართველთ და აფხაზთა. რა მტკიცებულებანი გააჩნდა ლორენცს, რომ იგი სხვის მიერ არ იყო მოპარული. ოლდენბურგს ხომ უცხოელებიც სტუმრობდნენ, ან შესაძლოა ქურდობა ჩაედინა იმ ბოგანოს, რომლითაც აავსეს ეს მხარე, ვითომ კულტურის დასანერგავად.

გამომდინარე აქედან, ცილისმწამებლური სტატიით გაღიზიანებული გიორგი შარვაშიძე აღნიშნავდა , რომ გაზეთის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია იყო ისეთი უხეში გამონაგონი, რომ ბადებს

ეჭვს, ამ ცილისწამებისათვის ხომ არ იყო ასევე უხვად და უხეშად დაჯილდოებული ბ-ნი ლორენცი. ალბათ, ეს ვიღაცისთვის და რაღაცისთვის არის საჭირო. არის შემთხვევები, როცა ასეთი საგაზეთო რეკლამების საშუალებით სურთ საზოგადოებრივი აზრის წინაშე ნაკლებად ცნობილი ერები დაამცირონ. სტატიის ავტორი, ცხადია, „ვიღაცაში“ ქართველთმოძულე რუსს გულისხმობს, ხოლო „რაღაცაში“ – საქართველოსთვის სახელის გატეხვას საზღვარგარეთაც კი, ისეთი დიდი კულტურის და ისტორიის მქონე ქვეყანაში, როგორიცაა გერმანია.

გიორგი შარვაშიძე განსაკუთრებით გაუბრაზებია ლორენცის მიერ ქართველთა მონათვლას ბრინჯაოს პერიოდის ადამიანებად. თითქოს ჩვენი პროგრესი მომავლის საქმე ყოფილიყო. აფხაზი პუბლიცისტი მტკივნეულად აფიქსირებს იმ დროისათვის ჩვენში შექმნილ უნუგეშო მდგომარეობას, რაც გამოიხატება თავისი ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობისთვის მიწების ჩამორთმევაში გადამთიელთათვის გადასაცემად, რამაც იავარყო მევენახეობისა და მეცხოველეობისათვის ზრუნვა. ყოველივე ეს ხალხს უკიდურესად აღარიბებდა. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია ადგილობრივი მოსახლეობისათვის სტუმართმოყვარეობის ადათის შენარჩუნებისათვის.

აღმაშფოთებელია, რომ თბილისშიც ჩამოსულმა ლორენცმა აქაურებიც ლაფში ამოსვარა. ერთ ვრცელ ამონარიდს მოვიტანთ გიორგი შარვაშიძის ეროვნულ-პატრიოტული გრძნობებით დატვირთული სტატიიდან:

„დიდი პატივია!.. ჰო, ჩვენ ჯერ კიდევ არ ვართ მისული ევროპის უმაღლეს ცივილიზაციამდე, სადაც პირუტყვებს აქვთ უპირატესობა ადამიანებთან შედარებით, ასე მაგალითად, ირმებს უკავიათ პარკების თვალუწვდენელი ფართობები, ხოლო ადამიანები, მიწის პატარა ნაკვეთის უქონლობის გამო, იხუთებიან ჯურღმულებში; ბრწყინვალე შენობები აგებულია ცხენებისათვის. მათ კვებავენ, ასმევენ, პეწით უვლიან, ხოლო მშრომელი ადამიანი ღამისთევის საფასურს 2 პენსის უქონლობის გამო, ხშირად ღია ცის ქვეშ ღაფავს სულს. საერთოდ, ცივილიზაცია დიდ კომფორტს უქმნის პირუტყვებს – მონადირე ძაღ-

ლებს, იორკ-შირის ღორებს და ა.შ.

დიახ, ჩვენ ჩამოვრჩით ცივილიზაციას. არ გვყავს არც სუტენერები, არც შანტაჟისტები, არც აფრიკელი საქმოსნები და ა.შ. და წარმოიდგინეთ, რომ ასეთმა ჩამორჩენამ შეიძლება ჩვენ დაგვამსგავსოს ბრინჯაოს ხანის ადამიანებს, მაგრამ ამის გამო არ ვწუხვართ. ჩვენ გვგონია, რომ არ არის საჭირო იმ ნაგვის ათვისება, რომელსაც ზოგიერთები პროგრესს უწოდებენ. ჩვენ ვცდილობთ იქიდან გამოვარჩიოთ ხელოვნებისა და ლიტერატურის რაც შეიძლება საუკეთესო ნაწარმოებები, თვალყურს ვადევნებთ მეცნიერებას, ერთი სიტყვით, ვითვისებთ მხოლოდ იმას, რაც შეიძლება გამოვიყენოთ ცხოვრებასა და ყოფაში".[1]

სტატიის ავტორი წარმოაჩენს ქართველი ერის მდიდარ სულიერ კულტურას, რომელზეც წარმოდგენა არ ჰქონდა გერმანელ კორესპონდენტს: ,,ბატონ ლორენცს რომ ღრმად ჩაეხედა ხალხის ყოფით მხარეზე, გაიგებდა, რომ ამ ხალხს, რომელსაც იგი ასე ზიზღით მოეპყრო, აქვს ბრწყინვალე ისტორიული წარსული, რომ ქართველები რაინდები არიან, რომლებიც მონაწილეობდნენ ჯვაროსნულ ლაშქრობებში, რომ ისინი ხმალშემართულნი იდგნენ კავკასიის კარიბჭესთან ოსმალეთის საუკუნის განმავლობაში არა იმისათვის, რომ შეჭრილიყვნენ სხვა ქვეყანაში, არამედ იმისათვის, რომ დაეცვათ სამშობლო, ქრისტიანული კულტურა და სამოქალაქო ცხოვრება: გაიგებდა, რომ ქართველებს აქვთ მსოფლიო მნიშვნელობის უმდიდრესი ძველი ეპიკური ლიტერატურა, რომ ქართველი მეფეებისა და ხალხის იერარქიაში გვხვდება გენიალური სიბრძნისა და არაჩვეულებრივი გმირობის ადამიანთა სახეები და ა.შ."[2]

ოთარ ჭურღულია გიორგი შარვაშიძის პუბლიცისტური წერილის ანალიზის დასრულებისას შენიშნავს: ,,გიორგი შარვაშიძის განსახილავი სტატია და გასაკუთრებით მისი წერილები ქართველი და აფხაზი ხალხების ეროვნული უფლებების, ისტორიის, ენის, კულტურის შესახებ, უშუალო იდეურ კავშირშია XIX საუკუნის 60-70-იანი

[1] შდრ. ო. ჭურღულია, შარვაშიძეები, გვ. 59-60.

[2] იქვე.

წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურების: ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, გ. წერეთლის, ი. გოგებაშვილის, ნ. ნიკოლაძის, ს. მესხის მემკვიდრეობასთან".[1]

ეს წერილი გიორგი შარვაშიძის თხზულებათა არც ერთ გამოცემაში შესული არ არის, არც სიმონ ჯანაშიასეულ გამოცემაში, არც თხზულებათა ორტომეულში, რომელიც ბრწყინვალედ არის გამოქვეყნებული 2006 წელს ქუთაისში (რედაქტორ-შემდგენელი ელგუჯა თავბერიძე). „ზაკავკაზსკაია რეჩიდან" იგი პირველად გადმოწერა და გამოაქვეყნა სოლომონ ლეკიშვილმა.[2] მართალია, მკვლევარები ამ წერილიდან სათანადო ნაწყვეტებს იყენებენ ფართოდ ქართული თარგმანით, მაგრამ მასზე მკითხველს უფრო სრულყოფილი წარმოდგენა რომ შეექმნას, გადავწყვიტეთ მისი მთლიანი გამეორება სოლომონ ლეკიშვილის გამოცემის მიხედვით. იმედს ვიტოვებთ, გიორგი შარვაშიძის ლიტერატურულ-კულტურული მემკვიდრეობის მომდევნო გამოცემაში იგი აუცილებლად იპოვის თავის ადგილს. ახლა კი გავეცნოთ აღნიშნულ წერილს:

წერილი გაზეთ „ბერლინერ ტაგებლატის"-ის რედაქტორს

ღრმად პატივცემულო უფალო რედაქტორო!

ხომ არ მიაპყრობდით დამსახურებულ ყურადღებას ამ სტრიქონებს, რომ მოგეთავსებინათ ისინი „ბერლინერ ტაგებლატ"-ში, რომლის ფურცლებზეც ამას წინათ ვიხილეთ უფალ ლორენცის კორესპონდენცია, სადაც ნათქვამია, რომ პრინცმა ოლდენბურგსკიმ გაგრაში სადილი გამართა კავკასიაში მყოფი უცხოელი სტუმრების პატივსაცემად. სტუმრებს ემსახურებოდნენ პრინცის მიერ მოწვეული ადგილობრივი მაღალი წოდების წარმომადგენლები. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ერთ-ერთ უცხოელს მოპარეს პალტო, რისი საშიშროების არსებობის

[1] შდრ. ო. ჭურღულია, შარვაშიძეები, გვ. 59-60.

[2] საქართველოს მთავარი საარქივო სამმართველოს „საისტორიო მოამბე", №31-32, თბ., 1975.

შესახებაც, თითქოს პრინცმა სტუმრები წინასწარ გააფრთხილა.

ეს არასაკადრისი გამონაგონი იმდენად უხეში ხასიათისაა, რომ ჩნდება ეჭვი-ასევე უხეშად და უხვად ხომ არ აუნაზღაურეს უფალ ლორენცს ეს ცილისწამება!

იქნებ ყოველივე ეს ვილაცას რაღაცისათვის სჭირდება. არის შემთხვევები, როდესაც მსგავსი საგაზეთო რეკლამის გზით სურთ საზოგადოებრივი აზრის წინაშე დაამცირონ ნაკლებად ცნობილი ერები.

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ უარვყოფთ, რომ პალტო მართლაც მოიპარეს! მაგრამ რომ თვლის კორესპონდენტი, რომ ქურდობა მაინცდამაინც ადგილობრივმა წესიერმა ადამიანებმა ჩაიდინეს და არა ერთ-ერთმა იმ მაწანწალათაგანმა, რომლებმაც წალეკეს ქვეყანა და რომელთაც აქ თითქოსდა კულტურის დასანერგავად აგზავნიან.

საყურადღებოა, რომ ჩვენ კორესპონდენტს სპილენძის ხანის ადამიანებად მივაჩნივართ. მისი აზრით, ამ მხარეში პროგრესის შემოღწევამდე კიდევ დიდმა დრომ უნდა გაიაროს. მაგრამ კულტურა, რომელიც ჩვენში დღემდე ინერგება, იმაში გამოიხატება, რომ ადგილობრივ მოსახლეობას ართმევენ მიწებს, სადაც მათ საუკუნეების მანძილზე უცხოვრიათ, ართმევენ იმ მიზნით, რომ დაურიგონ არაფრისმქონე გადამთიელებს, რომელნიც ვერ ეგუებიან რა ადგილობრივ პირობებს, კი არ მდიდრდებიან, არამედ ვენახსა და საქონელსაც კი აღარ უვლიან.

ასეთი არანორმალური მდგომარეობის გამო ხალხი, რა თქმა უნდა, ღარიბდება, თუმცა მაინც ინარჩუნებს სტუმართმოყვარეობის კეთილშობილურ ტრადიციას, რაც ასე ცუდად გაუგია ლორენცს. სწორედ ამ ტრადიციის შესაბამისად სურდა პრინც ოლდენბურგსკის მოეწვია სტუმრად უცხოელები და ამავე დროს მათთვის ეჩვენებინა სტუმრის მიღების ადგილობრივი კოლორიტი. გამომდინარე აქედან, ძნელი წარმოსადგენია, რომ პრინცს სტუმრებისათვის ქურდებად დაეხასიათებინა ის ადამიანები, რომლებიც თვითონვე მოიწვია.

იქნებ ეს სამწუხარო ინციდენტი შედეგი იყო ბატონი კორესპონდენტის ზერელე, ფელეტონური დამოკიდებულებისა იმ ქვეყენებისა და ადამიანებისადმი, რომელსაც ის აღწერს. მაგრამ განა შეიძლებოდა ნანახის ასახვისას იგი მხოლოდ დიდი ქუდების აღწერით დაინტერ-

ესებულიყო და შეცდილიყო, გარკვეულიყო იმ ადამიანების ზნეობრივ ღირსებებში, რომლებიც მას მასპინძლობდნენ.

იმისათვის, რომ ადამიანებზე კარგი თქვა, აუცილებელია, რაც შეიძლება, მეტი იცოდე და სერიოზულად იფიქრო მათზე, თორემ ცუდის თქმას ყველაზე უნიჭო რეპორტიორის წარმოსახვაც კი ეყოფა.

ამავე დროს უფალ ლორენცს, როგორც ჩანს, გონებამახვილობის პრეტენზიაც აქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, გონებამახვილობა ავსიტყვაობაში ერევა. მათ შორის, კი დიდი განსხვავებაა.

უფალი ლორენცი იყო ტფილისშიც. არც იქ მოქცეულა იგი უკეთ, მისი აზრით, ტფილისში ადამიანები და ცხოველები ერთნაირ მდგომარეობაში იმყოფებიან.

დიდი პატივია! დიახ, ჩვენ ჯერ კიდევ არ მიგვიღწევია უმაღლესი ევროპული ცივილიზაციისათვის, სადაც ცხოველები ადამიანებთან შედარებით უპირატესობით სარგებლობენ. ასე მაგალითად, ირმებს დიდი ფართობები უჭირავთ პარკებში, ადამიანებს კი, რომელთაც მტკაველი მიწა არ გააჩნიათ და უმძიმეს სამუშაოებს ასრულებენ, ჯურღმულებში სული ეხუთებათ. დიდებული შენობებია აგებული ცხოველებისათვის, სადაც მათ კვებავენ, არწყულებენ, ასათუთებენ. ადამიანი კი, რომელსაც ღამის გასათევიც კი არ გააჩნია, ხშირად ქუჩაში ამოსდის სული.

საერთოდ, ცივილიზაციამ დიდი კომფორტი მოუტანა ცხოველებს: მონადირე ძაღლებს, იორკშირის ღორებს და ა.შ., ხოლო უმაღლესმა გერმანულმა პროგრესმა ქურდების მოძიების ადამიანური სამსახურეობრივი თანამდებობებიც კი ძაღლებით შეცვალა. ალბათ საზოგადოებას ქურდებისგან მოსვენება უნდა დაეკარგა, რომ ასეთი რამ მოეფიქრებინა. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ ლორენცს აქაც ქურდები ელანდებიან.

დიახ, ჩვენ ჩამოვრჩით ცივილიზაციას, ჩვენ არ გვყავს არც სუტენიორები, არც შანტაჟისტები, არც აფრიკელი საქმოსნები და ა.შ. და, თქვენ წარმოიდგინეთ, რომ, თუმცა, ასეთი ჩამორჩენილობა სპილენძის ხანის ადამიანებს გვამსგავსებს, ჩვენ არ ვნანობთ ამას, ვთვლით რა, რომ სრულებითაც არ არის აუცილებელი ავითვისოთ მთელი სიბილ-

წე, რომელსაც ზოგ-ზოგები პროგრესს უწოდებენ. ჩვენ ვცდილობთ ავარჩიოთ მისგან ლიტერატურისა და ხელოვნების უმნიშვნელოვანესი ნიმუშები, როგორც მარგალიტები, თვალყურს ვადევნებთ მეცნიერულ აღმოჩენებს და ყოველივეს, რაც შეიძლება ცხოვრების, საზოგადოების სასარგებლოდ იქნეს გამოყენებული.

ჩვენ უბრალო, უეშმაკო ცხოვრებით ვცხოვრობთ და ლორენცო რომ შეცდილიყო, ჩაწვდომოდა ჩვენი ცხოვრების თავისებურებებს, იგი ადვილად დაინახავდა ყოველივე ამას და ბევრ სხვასაც. გაიგებდა, რომ ხალხს, რომელსაც იგი სიძულვილით მოეპყრო, აქვს ბრწყინვალე ისტორიული წარსული, რომ ქართველები რაინდები არიან, რომ ისინი მონაწილეობდნენ ჯვაროსნულ ლაშქრობებში ქრისტიანობის დასაცავად, რომ ისინი თხუთმეტი საუკუნის მანძილზე ხმალგაშიშვლებულნი იდგნენ დარაჯებად კავკასიის კარიბჭესთან არა იმ მიზნით, რომ სხვის ქვყენებში საძარცვავად შეჭრილიყვნენ, არამედ იმისათვის, რომ მამული გადაერჩინათ, ქრისტიანული კულტურა და სამოქალაქო ცხოვრება დაეცვათ. ბატონი ლორენცი იმასაც გაიგებდა, რომ ქართველებს აქვთ უმდიდრესი ეპიური ლიტერატურა, მსოფლიო ლიტერატურის შესადარი. ქართველ მეფეთა შორის გვხვდებიან არაჩვეულებრივი გმირები, აგრეთვე, გენიოსური ნიჭით დაჯილდოებული ადამიანები და ა.შ. და ა.შ.

კიდევ ბევრი რამის თქმა შეიძლებოდა, მაგრამ ერის ცრემლსა და სისხლში განბანილ ხალხის წარსულის ამსახველ ოქროს ფურცლებს საგაზეთო სვეტი ვერ დაიტევს. ისე, რომ სიმართლე რომ ითქვას, არც ღირს ამის გაკეთება.

ბრწყინვალე თავადი **გიორგი შარვაშიძე**
გაზეთი „ზაკავკაზსკიე რეჩ“, 1911, №146
თარგმანი ოთარ მიქიაშვილისა.

გიორგი შარვაშიძის თეატრალური რეცენზიების გარშემო

გიორგი შარვაშიძე გატაცებული ყოფილა თეატრალური ხელოვნებით. როგორც თავადაც ჩინებული დრამატურგი. მან კუთვნილი სიტყვა თქვა მისი დროისათვის თეატრალური კულტურის განსავითარებლად. ეს გამოიხატა არა მხოლოდ საკუთარი პიესების („მოამაკვდავნი სურათნი“, „კომლი უცეცხლოთ“, „გიორგი მესამე“) შექმნაში, არამედ დადგმული სპექტაკლების კვალიფიციური რეცენზიებით გამოხმაურებაში პრესის ფურცლებიდან. იგი მაშინდელი სათეატრო დადგმების აქტიური მაყურებელი იყო, რითაც მისაბაძ მაგალითს აძლევდა თეატრისადმი ინერტულად და გულგრილად განწყობილთ. ასევე სანიმუშო პიროვნება იყო სპექტაკლების შეფასებაში.

გიორგი შარვაშიძე თეატრალურ რეცენზიებს მხოლოდ გაზეთ „ივერიაში“ აქვეყნებდა. გავეცნოთ ამ რეცენზიების სათაურებს, რომელსაც ბეჭდავდა „გარდახვეწილის“, „გარდმოხვეწილის“, „გარდახვეწის“ ფსევდონიმებით. ეს იყო მისი მხრიდან ქართული თეატრის წინსვლით გამოწვეული სიხარულის წერილობითი დადასტურება: „დამარცხებულნი“. დრამა 4 მოქმედებად პ. უმიკაშვილისა, **„დატრიალდა ჯარა“**, ვოდ. 1 მოქმედებად კ. ყიფიანისა;[1] **„სტუმარი“**. დრამა 2 მოქმედებად ბრანდესისა, თარგმანი ი. მაჭავარიანისა. „აირია მონასტერი“, კომედია 3 მოქმედებად;[2] **„სამშობლო“**, დრამა 5 მოქმედებად;[3] **„ალუმი“**, კომედია ოთხ მოქმედებად, რუსულიდან გადმოკეთებული ვ. გუნიას მიერ, **„ცოლ-ქმრობის წინააღმდეგი“**. ვოდევილი 1 მოქმედებად;[4] **„ლანდი“** დრამატული ზღაპარი 5 მოქმედებად და 6 სურათად. თ არგმანი ბ. ლაზარაშვილისა;[5] **„და-ძმა“** დრამა 5 მოქმედებად. მეგრელთა ცხოვრებიდგან, ვ. გუნიასი **„რაც არ გერგება, არ შეგერგება“**, ვოდევილი მისივე;[6]

[1] გაზ, „ივერია“, №215, 1993, 8 ოქტომბერი.
[2] გაზ, „ივერია“, №221, 1993, 15 ოქტომბერი.
[3] გაზ, „ივერია“, №225, 1993, 20 ოქტომბერი.
[4] გაზ, „ივერია“, №230, 1993, 27 ოქტომბერი.
[5] გაზ, „ივერია“, №232, 1993, 29 ოქტომბერი.
[6] გაზ, „ივერია“, №235, 1993, 2 ნოემბერი.

„ციმბირელი“, კომედია 4 მოქმედებად. ა. ცაგარელისა, **„დათვი“**, ვოდევილი ერთ მოქმედებად, თარგმანი გ. ვოლსკისა;[1] **„შელოდრამა „ღარიბ-ღატაკნი“**, დრამა 5 მოქმედებად და 7 სურათად, თარგმანი ვალერიან გუნიასი. „თამარ ბატონიშვილი“, მეოთხე მოქმედება დრამიდან;[2] **„შეშლილია“**, დრამა 3 მოქმედებად. თარგმანი ვ. ა. აბაშიძისა, **„დაქცეული ოჯახი“**, კომედია 3 მოქმედებად, თხზულება გ.ნ. სუნდუკიანისა;[3] ა. ცაგარელის კომედია **„ხანუმა“**;[4] **„ორი ობოლი“** დრამა 5 მოქმედებად, 7 სურათად;[5] **„ხათაბალა“**, კომედია 5 მოქმედებად, თხზ. გ. სუნდუკიანისა, **„მოტია“**, ვოდევილი ერთ მოქმედებად;[6] **„რომ იცოდეს ჩემი გულის დარდები“**, კომედია 2 მოქმედებად, თარგმანი ქ-ნ საფაროვა-აბაშიძისა, **„ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე“**, კომედია 3 მოქმედებად, გადმოკეთებული ვ. გუნიასი;[7] **„გამწარებული ცხოვრება“**, დრამა 4 მოქმედებად. გადმოკეთებული რუსულიდან.[8]

ეს თეატრალური რეცენზიები ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან გიორგი შარვაშიძის დამოკიდებულებაზე სათეატრო ხელოვნებისადმი, მის ესთეტიკურ კონცეფციებზე. აქაც, როგორც თავის მხატვრულ ნაწარმოებში, მას აინტერესებს ადამიანი, როგორც საზოგადოების ნაწილი, აინტერესებს ადამიანის საზოგადოებრივი ფუნქცია. სამართლიანად მიუთითებენ რომ გიორგი შარვაშიძე ადამიანის რაობის, მისი არსებობის შესახებ არისტოტელეს პოზიციაზე დგას 8 აფხაზი დრამატურგი იმიტომ აფასებდა სათეატრო ხელოვნებას, რომ იგი მაყურებლისთვის ესთეტიკური სიამოვნების მიმნიჭებელია. ამიტომაც მოითხოვდა მაღალმხატვრული ეროვნული დრამატურგიის შექმნას, დრამატურგი უნდა აზროვნებდესო მხატვრული სახეებით. ის კატეგორიული წინააღმდეგია უხარისხო პიესების დადგმისა. გიორგი შარვა-

---

[1] გაზ, „ივერია“, №239, 1993, 6 ნოემბერი.
[2] გაზ, „ივერია“, №242, 1993, 10 ნოემბერი.
[3] გაზ, „ივერია“, №251, 1993, 20 ნოემბერი.
[4] გაზ, „ივერია“, №254, 1993, 24 ნოემბერი.
[5] გაზ, „ივერია“, №256, 1993, 26 ნოემბერი.
[6] გაზ, „ივერია“, 1993, 3 დეკემბერი.
[7] გაზ, „ივერია“, №273, 1993, 17 დეკემბერი.
[8] გაზ, „ივერია“, №23, 1894, 30 იანვარი.

შიძე მსჯელობს მსახიობის, როგორც თეატრის მთავარი კომპონენტის, ფუნქციებზე, ეთიკაზე, მის გარეგნობაზე, მეტყველების ტექნიკის ფლობაზე, რეჟისორის როლზე. მაყურებელზე. ეფემია ხარაძის ენით რომ ვთქვათ: „გიორგი შარვაშიძე, ისევე როგორც მოწინავე ქართველი საზოგადოება, თეატრის ყველა კომპონენტს ერთ მთლიანობაში განიხილავს (პიესა, მსახიობი, რეჟისორი, მხატვარი, მაყურებელი). კარგ სპექტაკლში მსახიობს მოაქვს შინაგანი მოქმედებით პიესის იდეა, რასაც ეხმარება რეჟისორი და მხატვარი, მაყურებელი კი თეატრიდან ღებულობს ესთეტიკურ სიამოვნებას. გ. შარვაშიძის თეატრალურ-ესთეტიკურ ნააზრევს დღესაც არ დაუკარგავს[1] მნიშვნელობა“.[2]

გაზეთ „ივერიიდან“ გიორგი შარვაშიძის თეატრალური რეცენზიები პირველად ამოკრიბა და 1975 წელს სოლომონ ლეკიშვილმა გამოაქვეყნა.[3] ესაა რეცენზიები შემდეგ სპექტაკლებზე: „დამარცხებულნი“, „დატრიალდა ჯარა“, „სტუმარი“, „აირია მონასტერი“, „სამშობლო“, „აღლუმი“, „ცოლ-ქმრობის წინააღმდეგი“, „ლანდი“, „რაც არ გერგება, არ შეგერგება“, „ციმბირელი“, „დათვი“, „ღარიბ-ღატაკნი“, „თამარ ბატონიშვილი“, „შეშლილია“, „დაქცეული ოჯახი“, „ხანუმა“, „ორი ობოლი“, „ხათაბალა“, „მოტია“, „რომ იცოდე ჩემი გულის დარდები“, „გამწარებული ცხოვრება“, „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე“.

გიორგი შარვაშიძის თხზულებათა ორტომეულის რედაქტორ-შემდეგნელს ელგუჯა თავბერიძეს პირველ ტომში შეუტანია ყველა ზემოთ დასახელებული რეცენზია,[4] გარდა ისეთ სპექტაკლებზე დაწერილი რეცენზიებისა, როგორიცაა: „ღარიბ-ღატაკნი“, „თამარ ბატონიშვილი“, „რომ იცოდე ჩემი გულის დარდები“, „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე“. აღსანიშნავია, რომ ეფემია ხარაძეს გიორგი შარვაშიძის ყველა ცნობილი რეცენზია მოუთავსებია თავის წიგნში — „გიორგი შარვაშიძე და თეატრი“.[5]

---

[1] შდრ. ე. ხარაძე, გიორგი შარვაშიძე და თეატრი, გვ. 14.

[2] იქვე. გვ. 27-28.

[3] ს. ლეკიშვილი, გიორგი შარვაშიძე (დოკუმენტური მასალები), საისტორიო მოამბე, №31-32, გვ. 266-278.

[4] გ. შარვაშიძე, თხზულებანი, I, გვ. 263-279.

[5] ე. ხარაძე, გიორგი შარვაშიძე და თეატრი, თბ., 1997, გვ. 29-51

პიესების ქართველი ავტორები. უმიკაშვილი პეტრე იოსების ძე (1834-1904), ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და ფოლკლორისტი. გარდა „დამარცხებულნისა“, მას სხვა პიესებიც გააჩნია; ყიფიანი კონსტანტინე (კოტე) დიმიტრის ძე (1849-1921), ცნობილი ქართველი მსახიობი, ლექსიკოგრაფი, მთარგმნელი. მან შეასრულა სვიმონ ლეონიძის როლი დ. ერისთავის „სამშობლოში“, წერდა მოთხრობებსაც. „დატრიალდა ჯარას“ გარდა, მას ეკუთვნის პიესები: „ცოტნე დადიანი“, „ორი მამა“, „ბედი ქართლისა“ და სხვ. გუნია ვალერიან ლევანის ძე (1862-1938), ცნობილი ქართველი დრამატურგი, რეჟისორი, კრიტიკოსი, არტისტი („და-ძმა“, „რაც არ გერგება, არ შეგერგება“); ცაგარელი აქსენტი ანტონის ძე (1857-1902), ცნობილი ქართველი დრამატურგი და მსახიობი („ციმბირელი“, „ხანუმა“).

არაქართველი ავტორები. ბრანდესი გეორგ (1842-1927), დანიელი ლიტერატორი და მწერალი („სტუმარი“); სუნდუკიანი გაბრიელ მკრტიჩის ძე (1825-1912), სომეხი მწერალი და დრამატურგი („დაქცეული ოჯახი“, „ხათაბალა“). სომხურ ენაზე თარგმნა ა. ცაგარელის „ხანუმა“

ქართველი მთარგმნელ-გადმომკეთებელნი. მაჭავარიანი ივანე ნიკოლოზის ძე (1863-1943) „სტუმარი“; ერისთავი დავით გიორგის ძე (1847-1890), ცნობილი ქართველი მწერალი, დრამატურგი და საზოგადო მოღვაწე („სამშობლო“); ვალერიან გუნია („აღლუმი“, „ღარიბ-ღატაკნი“, „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე“); მ. ლაზარიაშვილი („ლანდი“); ვოლსკი გრიგოლ იოსების ძე (1820-1904), ქართველი პოეტი („დათვი“); აბაშიძე ვასილ (ვასო) ალექსის ძე (1854-1926), ცნობილი ქართველი მსახიობი, ქართული რეალისტური სამსახიობო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი („შეშლილია“); საფაროვა-აბაშიძე მაკო (მარიამი) მიხეილის ასული (1860-1940), ცნობილი ქართველი მსახიობი („რომ იცოდეს ჩემი გულის დარდები).[1]

თარგმნილ-გადმოკეთებული პიესები: „სტუმარი“, „აირია მონასტერი“, „სამშობლო“, „ლანდი“, „შეშლილია“, „დაქცეული ოჯახი“, „გამწარებული ცხოვრება“, „ღარიბ-ღატაკნი“, „ხათაბალა“, „რომ იცოდეს

[1] შდრ. ელ. თაბერიძის შენიშვნები, წიგნში: გ. შარვაშიძე. თხზ.. I, გვ. 337-340.

ჩემი გულის დარდები", „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე".

სპექტაკლში მონაწილე არტისტები. გიორგი შარვაშიძე სპექტაკლებში მთავარი თუ რიგით როლის შემსრულებლებს, ანუ მსახიობებს (რეცენზენტი ყველგან ხმარობს ტერმინს „არტისტი") უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ გვარებით მოიხსენიებს წინ „ბ-ნ"-ს და „ქ-ბნ"-ს დართვით. ეს არტისტები არიან: ბარბარე დვალიშვილი, კოტე ყიფიანი, ელისაბედ ჩერქეზიშვილი, ვალერიან გუნია, მაკო (მარიამი) საფაროვა-აბაშიძე, ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნია-ცაგარელი, ლადო ალექსი-მესხიშვილი, მ. აწყურელი, შათირიშვილი, მაქსიმიძე, სვიმონიძე, გედევანიშვილი, კანდელაკი, ტარიელიშვილი, მესხიევი (მხოლოდ ერთ სპექტაკლში და ისიც უნიჭოდ).

ეროვნული განცდა. სიყმაწვილიდან გარდაცვალებამდე გიორგი შარვაშიძე დამუხტული იყო სამშობლოსადმი სიყვარულით. საქართველო იყო მისთვის (აფხაზეთის მეთაურობით) საოცნებო სახელი. მხოლოდ მას შეეძლო ეთქვა, როგორც ძლიერ პიროვნებას — „ტომით აფხაზი ვარ, ეროვნებით ქართველიო". აფხაზეთი მუდამ საქართველოს მთლიანობის ფარგლებში წარმოედგინა. ქართველს და აფხაზს ერთმანეთისგან არ ჰყოფდა, როგორც საკუთარი სხეულის ორივე თვალს. მას შეეძლო ერთნაირი ტონით ელაპარაკა ქართველ და აფხაზ ხალხთან, როგორც მართლის მთქმელ შემოქმედს. ეს ხომ მის თავმოყვარეობაში შედიოდა. აკი ამბობდა კიდეც: „ყოველი თავმოყვარე კაცი, რომელიც გადაწყვეტს ხალხთან ილაპარაკოს, მოვალეა თქვას სიმართლე, ხოლო რომ თქვას სიმართლე, საჭიროა კარგად იცოდეს საგანი, რომელსაც ის ეხება".[1]

გიორგი შარვაშიძის ლირიკულ, ეპიკურ, დრამატულ, პუბლიცისტურ ნაწერებში ელდენივით გამტარია საქართველოს სიყვარულის გრძნობა, მისი ხალხი, ენა, ბუნება, ხასიათი, წეს-ჩვეულება, რაზეც ზემოთ თავის ადგილას გვქონდა საუბარი. იგი ამ კეთილშობილ ტრადიციას თეატრალურ რეცენზიებშიც არ ღალატობს. მისთვის ქართული თეატრი გულსატკივარი იყო იმდენად, რამდენადაც იგი იყო წარმომჩენი საქართველოს ღირსებისა, ეროვნული სიამაყისა.

[1] გაზ. „Сухумский вестник", 1912, №67.

ოთარ ჭურღულიას ენით რომ ვთქვათ, „ გიორგი შარვაშიძე სწორედ ამიტომ ადევნებდა თვალყურს მონდომებით და დაკვირვებით ქართული თეატრის რეპერტუარს, ქართული თეატრალური კულტურის განვითარებას და ცდილობდა მის თავისებურებათა, შინაგან კანონზომიერებათა გამოაშკარავებას და გამოვლენას“.[1]

თითოეულ თეატრალურ წარმოდგენაში, რომელსაც დასწრებია და რეცენზიით გამოხმაურებია პუბლიცისტი, ქართულ სულს ეძებს, ქართულ გულისძგერას უსმენს, თითოეულ სპექტაკლს მაჯასავით უსინჯავს პულსს, აფთიაქის სასწორზე დებს მის ღირსება-ნაკლოვანებებს. სპექტაკლ „სამშობლოზე“ მსჯელობისას იგი აღტაცებულია დამსწრე საზოგადოების სიმრავლით, მისით ხალხის დაინტერესებით. „სამშობლოს“ იგი მიიჩნევს ერთადერთ პიესად, რომელსაც „ხალხი ყოველთვის სიამოვნებით ეტანება“: „სამშობლო“ თითქმის ერთად-ერთი პიესაა მთელს ქართულის სცენის რეპერტუარში, რომელსაც ხალხი ყოველთვის სიამოვნებით ეტანება და რომლის წარმოდგენის დროსაც სათეატრო დარბაზი მართლა, რომ სადღესასწაულო სახეს მიიღებს ხოლმე. ჩვეულებრივ თეატრში მოსიარულე საზოგადოების გარდა, ამ დღეს ჰნახავთ ისეთ ხალხსაც, რომელიც მთელის სეზონის განმავლობაში ძნელად თუ ერთხელ, ან ორჯელ შეგვხვდეს“.

ამაზე მწერალი საგანგებო ყურადღებას იმიტომ ამახვილებს, რომ ნებისმიერი ქართველისათვის ცნება „სამშობლო“ მითუმეტეს — სპექტაკლი სოცოცხლის მომნიჭებელია. გული არ მოუთმენს მის არდასწრებას. ეს ხდება სწორედ მაშინ, XIX საუკუნის 90-იან წლებში, როცა ქართული სულიერება იხრჩობა ცარიზმის რეჟიმის ჭაობში, როცა გადაგვარებული ქართველებიც მოგვიმრავლდნენ, როდესაც იდევნებოდა ყოველივე ქართული.

წარმოდგენა „სამშობლოს“ ანალიზისას რეცენზენტს ეროვნული სიამაყე ერთ ეპიზოდს აწუნებინებს: „პიესის მოწყობას ჩვეულებრივ ჰქონდა ის ნაკლი, რომ ათი სპარსელი მეტეხის ციხეში ორმოცს თავ-შეყრილს, შეიარაღებულ ქართველს აპატიმრებს და ატყვევებს. რა უნდა იფიქროს იმ ქართველის ქებულ და დიდებულ მამაცობისა

[1] ო. ჭურღულია, შარვაშიძეები, გვ. 83.

და ვაჟკაცობის შესახებ მაყურებელმა, როდესაც ჰხედავს, რომ ერთი ცინგლიანი სპარსელი ხუთს ხმალ-ხანჯალით შეიარაღებულს ქართველს ატყვევებს? რა, ამით მეტი, დიდი ლაჩარი და მხდალი ყოფილა ქართველებიო". ამით ქვეშეცნეულად ხაზი გაესმის გიორგი შარვაშიძის მხრიდან ქართველთა ქებულ მამაცობას და დიდებულ ვაჟკაცობას წარსულში, რაც აწმყოში თურმე ლაჩრობასა და სიმხდალეში გაგვიცვლია, რასაც გულისტკივილით შენიშნავს კიდეც.

ქართული ენა საქართველოს სიმტკიცის ბალავარი იყო ყოველთვის. გიორგი შარვაშიძეს გულს უკლავდა ცარისტული ხელისუფლების რეჟიმის პირობებში ქართული ენის დაჩაგვრა, წახდენა, მიწასთან გასწორება, რასაც ძნელად თუ ეგუებოდა. პუბლიცისტი კორესპონდენციით გამოხმაურებია 1893 წლის 7 დეკემბერს თბილისის სამუსიკო კრუჟოკის დარბაზში გამართულ „ქართულ სალიტერატურო საღამოს" (ასე ჰქვია კორესპონდენციასაც). მას საქველმოქმედო დანიშნულება ჰქონია, „რათა ამ საღამოს შემოსავლით შეძენილ იქნას სამუსიკო იარაღი მუსიკის სწავლების შემოსაღებად.

ამ საღამოზე ქართული თეატრის მსახიობს ლადო ალექსი-მესხიშვილს რუსულ ენაზე საუცხოოდ წაუკითხავს გოგოლის „შეშლილის წერილები", რასაც გიორგი შარვაშიძის გაკვირვება გამოუწვევია: „წერილები საუცხოოდ იქმნა წაკითხული, მაგრამ არ გვესმის, რუსულად ეგ რად ამჯობინა არტისტმა ქართულს, როდესაც ეს წერილები ქართული სცენისათვის არის ნათარგმნი და, ამას გარდა, თითქმის მთელი დამსწრე საზოგადოება ქართველობა იყო?.." მსახიობმა, ალბათ, რუსულად ეგ იმიტომ ამჯობინა", რომ სპეციალური დავალება ჰქონდა მიცემული, ან ვინმეს საამებლად იყო ეს ყოველივე გამიზნული.

ამავე საღამოსთან დაკავშირებით გიორგი შარვაშიძეს კიდევ ერთ რამეზე სტკენია გული: „სამწუხაროდ, რუსულმა ხორომ მუსიკამ კი შეძლო ლეკურის დაკვრა, მაგრამ ქართველმა საზოგადოებამ, ქართულის სალიტერატურო საღამოზედ თავმოყრილმა, ლეკურის თამაშის ცოდნა ვერ გამოიჩინა... ჩვენი ეროვნული ცეკვა კუნჭულში იყო გამოუსადეგრად მიგდებული და არავის ყურადღებას არ იზიდავდა". ლეკურის თამაშის და ეროვნული ცეკვის „გამოუსადეგრობა"

ეროვნულ განცდას უწამლავდა მწერალს და ამ მამხილებელი წერილის გამოქვეყნებაც სწორედ ამით უნდა ყოფილიყო განპირობებულ.

სარწმუნოებრივი ტოლერანტობა. გიორგი შარვაშიძე, როგორც იტყვიან, თხემით ტერფამდის ქრისტიანი იყო. ქრისტიანული სულის მოძრაობა მის ნაწერებში გულის ფეთქვასავით იგრძნობა. ეს განსაკუთრებით ითქმის დიდებულ დრამაზე – „გიორგი მესამეზე“, რასაც თავის ადგილას შევეხეთ პარაგრაფში – „გიორგი მესამის“ ქრისტიანული საფუძვლები“. აფხაზი მწერლის ჰუმანისტური კრედო, მოქალაქეობრივი პოზიცია, ესთეტიკური მრწამსი ქრისტიანულ მოძღვრებას ეფუძნება. გარდა ქრისტიანობისა, მწერალი დანარჩენი რელიგიებისადმი კეთილად იყო განწყობილი, გამოხატავდა მათ მიმართ პატივისცემას, სარწმუნოებრივ ტოლერანტობას ანუ შემწყნარებლობას.

ქართულენოვანი აფხაზი მწერალი, საერთოდ, სარწმუნეობას მაღალ შაფასებას აძლევდა, ყველაზე მაღლა აყენებდა რწმენადს, რომლის გარეშე ადამიანის ყოფას აზრი არა აქვს. უპირველესად სწორედ ამის გამო მიიქცია რეცენზენტის ყურადღება პიესამ „ლანდი“. ტარნოვსკის ეს ნაწარმოები გერმანულიდან გადმოუქართულებია ი. ლაზარიაშვილს და იგი წარმოდგენის სახით უნახავს თბილისელ მაყურებელს 1893 წლის 27 ოქტომბერს, რომელსაც ორ დღეში გაზეთ „ივერიის“ (№232) ფურცლებიდან გამოხმაურებია გიორგი შარვაშიძე.

პიესაში სამკურნალო მეცნიერებას განასახიერებს ურწმუნო ექიმი ჰარი გერნერი. წარმოჩენილია მეცნიერების უძლეველობა, რაც სიკვდილსაც შეუგნია. პერსონიფიცირებული სიკვდილი იქამდე დავიდა, რომ ამ ექიმს ეხვეწება, რომ მისიის განხორციელებაში ხელი არ შეუშალოს, ავადმყოფის სარეცელს ახლოს არ გაეკაროს, თუმცა, ბოლოს ამ უებრო მკურნალ ჰარი გერნერს ისე გაურთულა საქმე, რომ ეს ურწმუნო კაცი იძულებული გახდა დახმარების აღმოსაჩენად ღმერთისთვის მიემართა, „შეჰვედრებს მოწყალებას“. მამაზეციერიც დაუკმაყოფილებს ხვეწნა-მუდრას, „ისმენს მხურვალე ვედრებას ურწმუნოსას და თავის მოწყალებას ანიჭებს სიკვდილის გაბრუნებით“. გიორგი შარვაშიძე შენიშნავს: „პიესაში ეს აზრი საუცხოოდ არის

გატარებული და მთელი ნასკვ-რთული ხუთ-მოქმედებიანი არაკი თავით ბოლომდე თითქმის იმასა ჰღაღადებს, რომ მეცნიერება ძლიერია, მაგრამ ზენაარი უფრო ძლიერიაო". გამომდინარე აქედან, აფხაზ მწერალს ეჭვი ოდნავადაც არ ეპარება მეცნიერების ძლევამოსილებაში, მაგრამ სარწმუნოების წინაშე მის უძლურებას უსვამს ხაზს. ამით შთააგონებს პიესის ავტორთან ერთად თვით ჩვენი მორწმუნე შემოქმედი „სარწმუნოების მხრივ ცოტა არ იყოს შერყეულს გონებას ადამიანისას", რომ ერთადერთი გადამრჩენი ადამიანებისა ამქვეყნად არის მხოლოდ რწმენა, სარწმუნოებისადმი მინდობა და ერთგულება, სხვა დანარჩენი ყოველივე დაბალ საფეხურებზეა ჩამომწკრივებული.

გიორგი შარვაშიძე შთაგვაგონებს, რომ თითოეულმა ადამიანმა საკუთარ რელიგიასთან ერთად პატივი უნდა მიაგოს სხვა ხალხთა რელიგიას. თავისი ერის სარწმუნოების გაფეტიშების ხარჯზე არ უნდა მოხდეს სხვა რელიგიების დამცირება, უდიერად მოხსენიება, ამ მხრივ, როგორც ოთარ ჭურღულია იტყოდა, „მისი პოზიცია ჰუმანური საწყისებიდან გამომდინარეობს და ყოველგვარ ცხოვრებისეულ წვრილმან, ვიწრო ნაციონალურ თავმოყვარეობაზე მაღლა დგას".[1]

აფხაზი დრამატურგი ვრცელი რეცენზიით გამოეხმაურა გაზეთ „ივერიაში"[2] ვალერიან გუნიას 5-მოქმედებიან დრამას „და-ძმა". მიიჩნია იგი 1893 წლის სეზონში ქართული დრამატული დასის მიერ გამართულ წარმოდგენათა შორის „საუკეთესო წარმოდგენად". თუმცა აქვე გასჩენია სასიცოცხლო მნიშვნელობის შენიშვნა: „არაფრად სასიამოვნოა აგრეთვე მეხუთე მოქმედების პირველის სურათში უწმაწურად ხსენება მაჰმადისა და მაჰმადიანთა სარწმუნოებისა, რადგან ყოველი სარწმუნოება პატივსაცემი უნდა იყოს და არაფრად მოსაწონია მდაბიო ხალხის თავ-მოყვარეობის ღიტინი სხვისას სარწმუნოების დამცირებით". „ამას გარდა, — განაგრძობს რეცენზენტი — არ ვიცით რა საბმარია და საჭირო პიესისათვის ის სცენა, სადაც მაჰმადიანები ღვინით ილეშებიან და ბარბაცით გადიან სცენიდან. მთელი ეს სცენა პიესის დედაშინაარსის გამორკვევას, თუ არ უშლის, არასა

[1] ო. ჭურღულია, შარვაშიძეები, გვ. 87.
[2] გაზ. „ივერია", №235, 1893.

ჰშველის და ყურადღებითაც ვერაფრად სასიამოვნო სანახავია".

ეს არ იყო მაჰმადიანური სარწმუნოების დაცვა, როგორც მისი წინამორბედი აფხაზეთის მთავარ შარვაშიძეთა რელიგიისა, არამედ ეს იყო საერთოდ, მაჰმადის რჯულისადმი პატივისცემის გამოხატულება. უფრო რომ განვაზოგადოთ, ეს მიანიშნებდა არაქრისტიანულ სარწმუნოებათა მიმართაც თაყვანისცემაზე. ასე იქცეოდნენ პროგრესულად მოაზროვნე ჩვენი დიდი წინაპრებიც. რად ღირს მარტო დიდი დავით აღმაშენებლის საქციელის გახსენება. იგი ქართული ქრისტიანული ტაძრების გარდა თავისუფლად შედიოდა ებრაელთა, მაჰმადიანთა სამლოცველოში ანუ სინაგოგასა და მეჩეთში. ამით გამოხატავდა არა მხოლოდ იუდაიზმისა და მაჰმადიანობის მიმართ პატივისცემას, არამედ ამ რელიგიის მატარებელ ხალხისადმი ერთგულებასაც. ბუნებრივია, ამას რელიგიასთან ერთად პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა და ამით შთააგონებდა უპირველესად ქართველობას, რომ ისინიც ასე მოქცეულიყვნენ.

არტისტული ხელოვნების ფასი. გიორგი შარვაშიძე გულისხმიერ დამოკიდებულებას იჩენდა სათეატრო-სასცენო ხელოვნების მიმართ, რომელიც მიაჩნდა ქართველი ერის გამოღვიძების და გაკეთილშობილების ერთ-ერთ მთავარ საშუალებად. საინტერესოდ შენიშნავდა ნიკო დადიანი (უმცროსი): „სცენა ხორცშესხმული გამოსახვა არის ცხოვრების ავ-კარგისა, რომელიც ცხოველ ნაკადულად ჩამდინარებს გულსა და გრძნობაში, ასვენებს ყოფის ვარამით დაღალულ სულს. თან აჩენს ღრმა კვალს და უძღვის სურვილსა და მისწრაფებას წარმატების გზაზე" (სიტყვა, თქმული ნ.ტ. დადიანის მიერ ქ. ქუთაისის თეატრის განხსნაზედ 1896 წ. 31 მარტს. საქართველოს კალენდარი, 1897). იმავე ნიკო დადიანის თანახმად, ადამიანი სათეატრო ხელოვნების საშუალებით ხედავს იმ არსებითს, რაც შეიძლება გამორჩეს ცხოვრებაში.

ეფემია ხარაძემ პირველმა გაავლო პარალელი ნიკო დადიანის ნათქვამთან გიორგი შარვაშიძის ნააზრევისა: „სპექტაკლი მაყურებლის გულს ინადირებს და გულიდან კაეშანს ჰყრის... ატყვევებს თვალს, გულს და გონებას". გიორგი შარვაშიძის თეატრალური რეცენზიების

მიმოხილვა და ანალიზი პირველად შეასრულა ოთარ ჭურღულიამ,[1] მოგვიანებით — ელგუჯა თავბერიძემ,[2] ხოლო აფხაზი დრამატურგის თეატრალურ-ესთეტიკური შეხედულებები პირველად შეისწავლა ეფემია ხარაძემ,[3] რაც განვიხილეთ კიდეც ნაშრომის პირველ თავში.

სავსებით გამართლებულად მიგვაჩნია ეფემია ხარაძის ვარაუდი, რომ გიორგი შარვაშიძეს სათანადო წარმოდგენა უნდა ჰქონოდა დასავლეთ ევროპის (ლეონ ბატისტა, ალბერტი, ლეონარდო და ვინჩი, დიურერი, უილიამ შექსპირი) ესთეტიკურ თეორიებზე, კლასიციზმის ესთეტიკურ პრინციპებზე და მათი გამოვლენის თავისებურებებზე საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში, რუსეთსა და საქართველოში, ასევე ევროპელი განმანათლებლების ესთეტიკაზე. მათი ბრძოლა დემოკრატიული ხელოვნებისათვის, — განაგრძობს ეფემია ხარაძე, — არ გამორჩებოდა, კერძოდ, ინგლისელ (ბიორკი, ჰოგარტი), ფრანგ (ვოლტერი, დიდრო, რუსო), გერმანელ (ვინკელმანი, ლესინგი, ჰერდერი, ფორსტერი) განმანათლებელთა ესთეტიკური თეორიები. შილერისა და გოეთეს ესთეტიკური შეხედულებანი, გერმანული კლასიკური ესთეტიკა (კანტი, შელინგი, ჰეგელი), რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები (ბელინსკი, გერცენი, ჩერნიშევსკი, დობროლუბოვი) ესთეტიკური ნააზრევი.[4]

მართალია, ევროპული ენები იცოდა და ევროპამოვლილი კაცი იყო, მაგრამ ძნელად სარწმუნოა, რომ გიორგი შარვაშიძე დაწვრილებით იცნობდა ზემოთ დასახელებულ ყველა ევროპელ მოაზროვნეთა ესთეტიკურ ნააზრევს. თუმცა უეჭველია, რომ მას ეს მხედველობიდან არ გამორჩებოდა და ხელოვნებაზე ღრმად შეყვარებული მისი ცოდნით დაინტრესდებოდა“. ამის ანარეკლს ხედავს კიდეც ეფემია ხარაძე აფხაზი მწერლის ნააზრევში, რომელმაც შეძლო კიდეც აღნიშნულ ესთეტიკურ შეხედულებათა კრიტიკის წნეხქვეშ გატარება და საკუთარი ფილოსოფიურ-ესთეტიკური კრედოს ჩამოყალიბება. ამის უტყუარ დასაბუთებას მისი სათეატრო რეცენზიებიც იძლევა,

[1] ო. ჭურღულია, შარვაშიძეები, გვ. 81-94.

[2] ელ. თავბერიძის დასახ. ნაშრომი, გვ. 241-248.

[3] ე. ხარაძე, გიორგი შარვაშიძე და თეატრი, გვ. 3-28.

[4] იქვე, გვ. 9.

პოეტურ და დრამატულ ნაწარმოებებთან ერთად.

თეატრალური რეცენზიების და მასზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გაცნობა საფუძვლიანად გვარკვევს იმაში, რომ გიორგი შარვაშიძის თეატრალურ-ესთეტიკური კონცეფციები მოიცავს მთლიანობაში განხილვას თეატრის ყველა კომპონენტისა, როგორიცაა: პიესა, რეჟისორი, მსახიობი, მხატვარი, მაყურებელი. კერძოდ, კარგ სპექტაკლში მსახიობს მოაქვს შინაგანი მოქმედებით პიესის იდეა, რასაც ეხმარება რეჟისორი და მხატვარი, მაყურებელი კი თეატრიდან ღებულობს ესთეტიკურ სიამოვნებას.[1]

ჩანს, რომ გიორგი შარვაშიძე დაუფლებულია პიესის ჟანრობრივი თავისებურებების ცოდნას, ღრმად ერკვევა დრამატული ჟანრის სპეციფიკაში, დრამატული მწერლობის ნიშან-თვისებებში, სცენაზე განსახიერებულ წარმოდგენაში „სიმწყობრისა და ჰარმონიის“ დაცვის მნიშვნელობაში, საერთოდ, სათეატრო ხელოვნების არსსა და საზოგადოებრივ დანიშნულებაში.

სამართლიანადაა შენიშნული, რომ გიორგი შარვაშიძის თეატრალურ ესთეტიკურ ნააზრევში არეკლილია ხელოვნების ფუნქციის არისტოტელური გაგება. არისტოტელეს თანახმად, ადამიანი, „საზოგადოებრივი ცხოველია“, ამიტომ მას „სასარგებლო საგნებზე“ (ქვაბი, საცერი და სხვა, რასაც ქმნის ხელოსანი) მეტად „უსარგებლო საგნები“ (პოემა, ქანდაკება და სხვა, რასაც ქმნის ხელოვანი) სჭირდება, რადგანაც პოემა მშვენიერია, ლამაზია. უპოემოდ კაცი გაძლებდა, უქვაბოდ კი ვერა. მაგრამ უპოემოდ ცხოვრება წაართმევდა კაცს ადამიანური არსებობის ერთ-ერთ ნიშანს და დაამსგავსებდა ბიოლოგიურ არსებას ცხოველს“.[2]

ანბანური ჭეშმარიტება, რომ თეატრის არსებობას განსაზღვრავს დრამატული მწერლობა. საქართველოში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში დრამატული მწერლობის აღმოცენებამ განსაზღვრა ქართული თეატრის დაარსება თბილისში, რაც ერეკლე მეორის სახელს დაუკავ-

---

[1] ე. ხარაძე, გიორგი შარვაშიძე და თეატრი, გვ. 28.

[2] არისტოტელე, პოეტიკა, ს. დანელიას თარგმანითა და წინასწიტყვაობით, თბ., 1944, გვ. 47.

შირდა. მანამდე კი თეატრის როლს ასრულებდა სახალხო წარმოდგენა-სანახაობანი: ყეენობა, ბერიკაობა და სხვა. პირველი თეატრალური წარმოდგენა თბილისში გამართა გაბრიელ მაიორმა. ქართულ ენაზე დრამატული მწერლობის პირველი წარმომადგენლები იყვნენ დავით ჩოლოყაშვილი (1735-1809) და გიორგი ავალიშვილი (1761-1850). XIX საუკუნის შუა ხანებში ქართული თეატრის დაარსება უკავშირდება ცნობილი დრამატურგის გიორგი ერისთავის სახელს. მან აღადგინა ქართული თეატრი 1850 წელს. მან შეუწყო ხელი ჩვენში დრამატული მწერლობის განვითარებას აღნიშნული საუკუნის მეორე ნახევრიდან, რაშიც თავისი წვლილი შეჰქონდა გიორგი შარვაშიძეს. დრამატული მწერლობის სიცოცხლეზე იყო დამოკიდებული თეატრის წინსვლაც, აქედან გამომდინარე – ქართული კულტურის დაწინაურებაც, რაც მაღლა სწევდა თვით საქართველოს ღირსებას.

ეს ყველაფერი საუკეთესოდ ესმოდა გიორგი შარვაშიძეს, ამიტომაც მოითხოვდა დრამატულ მწერლობასა და თეატრს შორის მჭიდრო, საქმიან და სასარგებლო კავშირს. პიესის გულისძგერა განსაზღვრავდა თეატრის მაჯისცემას. ამიტომ აფხაზი დრამატურგი ეწინააღმდეგებოდა უხარისხო პიესების დადგმას თეატრში. იგი, უპირველესად, დრამატურგისაგან მოითხოვდა „ეროვნულ ნიადაგს“, თუმცა მის ნააზრევში ასევე აქცენტირებულია, რომ „პიესა ისე უნდა იყოს დაწერილი, სხვა ერმაც თავისად მიიღოს“. ვერ იტანდა დრამატული თხზულების პრიმიტიულ შინაარსს, მძაფრი შინაგანი კოლიზიების უქონლობას, გაზვიადებულ დიალოგებს, გაცვეთილ, ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს და ფრაზებს, უარყოფდა სქემატურ მხატვრულ სახეებს, რომელსაც „უნიადაგო ხასიათით“ მოიხსენიებდა.

ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, გიორგი შარვაშიძემ კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა პეტრე უმიკაშვილის „დამარცხებულნი“: „პიესა, დრამა კი არა, უფრო კონაა პაწია სცენებისა, რომლებიც ერთმანეთზედ არის გადაბმული. პატივცემულს პ. უმიკაშვილს ალბად თვითონვე შეუმჩნევია თავისი ნაწარმოების ნაკლი და ამიტომ სცდილობს ათასგვარი ფერ-უმარილით გაალამაზოს. აი, სწორედ ამ ფერ-უმარილს წარმოადგენს პიესაში სიმღერა, ზურნა, მუსიკა, ქე-

იფი, ცეკვა-თამაში, სიტყვების წარმოთქმა და დასასრულ დამბაჩის დაგრიალებაც“.[1] რეცენზენტის შენიშვნით, თვით პიესის სისუსტეს გამოუწვევია ცნობილი აქტიორების (ავალიშვილი, ყიფიანი, ჩერქეზიშვილი) სუსტი თამაში: „არტისტები ბევრსა სცდილობდნენ, მეტადრე ქ-ნი ავალიშვილისა და ბ-ნი ყიფიანი, მაგრამ ყოველივე ამაო იყო. ქ-ნი ჩერქეზიშვილისა ბევრს ეცადა დედის გრძნობა დაეხატა მაყურებლის წინაშე, მაგრამ მთელი მისი როლი ისე არის დახასიათებული პიესაში, რომ თვით დიდად ნიჭიერი არტისტიც კი ვერაფერს შეჰქმნის იქიდან“.[2]

ამ რეცენზიიდან ისიც ირკვევა, რომ გიორგი შარვაშიძე ვერ გუობდა პირმოთნეობას და მიკიბულ-მოკიბულ ბჭობას. ამიტომ ენიჭება მის თეატრალურ წერილებს განსაკუთრებული მნიშვნელობა. მტკიცედ მიაჩნდა: ქართული თეატრის წარმატება ქართული კულტურის წინსვლას მოასწავებდა. ეს ყველაფერი კი საკუთრივ საქართველოს ღირსებას ეზიდებოდა. გიორგი შარვაშიძეს პიესის როგორც დაწუნება, ისე მოწონებაც შეეძლო. „ლანდზე“ დაწერილ რეცენზიაში ნათქვამია; „პიესა სცენის მხრივ ისე კარგად არის დაწერილი, რომ სათეატრო გამგეობას შეძლება ეძლევა კარგად მოჰმართოს და მოაწყოს იგი და მარტო გარეგნობითაც-კი საშუალება მისცეს დიდის გავლენისა და ზემოქმედების მოხდენისა. საკმარისია, ვამბობთ, რომ პიესა დაატყვევებს მაყურებელს თვალსა, ყურსა და გონებას“.[3]

გიორგი შარვაშიძის საფიქრალი იყო არა მხოლოდ ორიგინალური დრამატული ნაწარმოები, არამედ ნათარგმნი პიესა. საქართველოში პიესების თარგმნას თავისი ისტორია აქვს, რომელიც სათავეს XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იღებს. ერეკლე მეორის მეფობის დროს, როგორც კი აღმოცენდა ქართული დრამატურგია და თეატრი, ხელი მიჰყვეს ამ მიმართულებით მთარგმნელობით საქმიანობასაც. დავით ჩოლოყაშვილმა ქართულად დაამუშავა რასინის ტრაგედია „იფიღენია“. გიორგი ავალიშვილმა რუსული ენიდან გადმოაქართულა სუმაროკო-

---

[1] გ. შარვაშიძე, თხზ., I, გვ. 263.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 272.

ვის (1718-1777) სამი კომედია და ერთი დიალოგური ფორმის სატირა. ესენია; „რქის მატარებელი“ (Рогоносец), „დედა რაყიფი ქლისა“ (Мать совместнмцы дочеры), „საჩხუბარი“ (Вздорница), „უბნობა მკვდართა“ (Разговор мертвых). რუსული ენიდან უთარგმნიათ ასევე: „ატეისტის ტრაღედია“, „აღათოკლე“, „ტრაღედია ველისარიანი“ და ა.შ.[1]

დრამატული მწერლობის ნიმუშების თარგმნის ტრადიცია საკმაოდ წარმატებით გაგრძელებულა XIX საუკუნის მეორე ნახევარში. რამდენიმე ნათარგმნი პიესის ქართულ სცენაზე წარმოდგენა მოქცეულა გიორგი შარვაშიძის ყურადღების ობიექტში. ნათარგმნ პიესასთან მას თავისი დამოკიდებულება ჰქონდა. გავიხსენოთ, რომ აფხაზი მწერლის დროისათვის პიესის მთარგმნელებისაგან მოითხოვდნენ: პიესაში „ქართულობა უნდა მოსჩანდეს“, მთარგმნელისათვის საჭიროა ე.წ. დრამატული ძარღვი.[2] გიორგი შარვაშიძეს მიაჩნია, რომ ქართულს ნიადაგზედ ძალად გადმონაყოფიერებული რუსული პიესა (იგულისხმება „აღლუმი“ – ტ.მ.) როგორღაც სრულიად ვერ არის გამომხატველი ქართველთა ცხოვრებისა“.[3] თარგმნილი პიესა ეროვნულ ნიადაგს უნდა დაემყნოს და დაცულ იქნას ენის სიწმინდე... პიესაში ახალი და აქტუალური თემაა საჭირო და არა გაცვეთილი, „ათჯერ გადაღეჭილი“.

როგორც ოთარ ჭურღულია შენიშნავს: „კომიკურისა და დრამატულის მიმართების საკითხი მწვავედ იდგა XIX საუკუნის II ნახევრის ქართულ დრამტურგიასა და თეატრში“. ამასთან დაკავშირებით მკვლევარს მოაქვს გიორგი თუმანიშვილის გამონათქვამი მაშინდელ ერთერთ გაზეთში: „შარშან ჩემი რეჟისორობის დროს ვცდილობდი, რომ თეატრი უბრალოდ დროის გასატარებელი, სასაცილო, სალაზღანდარო არ ყოფილიყო. ვცდილობდი, რომ პუბლიკა, მოსული თეატრში. დაეფიქრებინა, აელელვებინა, აესაუბრებინა წარმოდგენილ პიესას“.[4] ამ თვალსაზრისს ეხმაურება გიორგი შარვაშიძეც: „საოხუნჯო ადგილები დრამაში დიდი სიფრთხილით უნდა იყოს შეტანილი და რაც ნაკლები

[1] შდრ. კეკელიძე, ა. ბარამიძე, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1987, გვ. 472-473.

[2] გაზ. „ცნობის ფურცელი“, №337, 1897. -

[3] გ. შარვაშიძე, თხზ., I, გვ. 270.

[4] გაზ. „დროება“, №227, 1880.

იქნება, მით უკეთესი".

ქართული თეატრის მიერ წარმოდგენილი სპექტაკლების ხილვას გიორგი შარვაშიძე არაერთგზის მიუყვანია ერთი და იგივე დასკვნამდე: „კომედიამ („აირია მონასტერი" – ტ.მ.) საერთოდ მწყობრად ჩაიარა და ამით კვლავ დაასაბუთა ჩემ მიერ არა ერთ-გზის გამოთქმული აზრი, რომ ჩვენს არტისტებს კომედიის თამაშობა უფრო ეხერხებათ, ვიდრე დრამებისა და ამის გამო საზოგადოებასაც პირველი უფრო მოსწონს".[1] ან კიდევ: „მარტივისა და საოხუნჯო შინაარსის გამო (იგულისხმება „აღლუმი" – ტ.მ.) მისი ცქერა არა სწყინდება ადამიანს, მაყურებლის გულს ინადირებს და გულიდგან კაეშანსა ჰყრის". თუმცა, პიესა "თავისთავადაც არ არის ლაზათსა და მარილიანობას მოკლებული".

„აირია მონასტრის" რეცენზირებისას გიორგი შარვაშიძე კომიზმზე აკეთებს აქცენტს: „პიესამ „აირია მონასტერი" დიდად ასიამოვნა საზოგადოება და ბევრიც აცინა. შინაარსით პიესა მაგდენი არაფერია, მაგრამ იმდენი კომიზმია შიგ, ნამდვილი კომიზმი, რომელიც თვით მოქმედთა მდგომარეობდან გამომდინარეობს და არა არტისტთა ოხუნჯ ლაპარაკისაგან, რომ არტისტებს ფართო მოედანი აქვთ თავისი უნარი გამოაჩინონ".[2]

პიესის შემდეგ სწორედ მსახიობობა მიაჩნდა გიორგი შარვაშიძეს თეატრის მთავარ კომპონენტად. ნათქვამია: „მსახიობად გახდომა მხოლოდ იმას შეუძლია, ვისაც უნარი აქვს სცენაზე სხვად ქცევისა, სხვისი სახის წარმოდგენის.". კიდევ ერთი ლამაზი ფრაზა გავიხსენოთ: „სცენა საკურთხეველი უნდა იყოს ხელოვნებისა, სადაც შესვლა შეუძლია მარტოოდენ განწმენდილთ". გაზეთი „კვალი" წერდა; „ცუდი პიესის გაკეთება შეუძლია კარგ მსახიობს".

გიორგი შარვაშიძე მსახიობს დიდ მოთხოვნილებებს უყენებს და პასუხისმგებლობას აკისრებს მაყურებლის წინაშე ამა თუ იმ როლის შემსრულებელი აქტიორის მიმართ, რაც არ უნდა გამოჩენილი იყოს იგი, არის პირუთნელი და უკომპრომისო შემფასებელი. აფხ-

[1] გ. შარვაშიძე, თხზ., I, გვ. 267.

[2] იქვე.

აზი დრამატურგის თვალსაზრისით, მსახიობი უნდა გამოირჩეოდეს „როლის ცოდნით და ხელოვნებით, ასევე გამორჩეული უნდა იყოს გარეგნობით და ხმით, კარგი სიმღერით და მკაფიო მეტყველებით; მართებს ზომიერება და თავდაჭერილობა თავის როლებში; მსახიობის ყოველი ნაბიჯი და მოძრაობა აწონილი უნდა იყოს და ნათქვამის აზრის შესაფერი; გამოირჩეოდეს უნდა მოხდენილობით, ნიჭიერებით, „დიდის ხელოვნებით თამაშით"; თამაში არ უნდა გადაამლაშოს; უარყოს გარეგანი, იაფფასიანი ეფექტები, სიტყვათა ხელოვნური შერჩევა და ა.შ. კიდევ ერთ მნიშვნელოვან მომენტზე ამახვილებს ყურადღებას. აქტიორი აქტიორობით უნდა გამოირჩეოდეს, დროგამოშვებით არ უნდა გამოჩნდეს სცენაზე, ყოველდღე თეატრის ცხოვრებით უნდა ცხოვრობდეს. თუ თვეობით და წლობით მოწყდა თეატრს, თავის თავს ჩამორჩება, როგორც პროფესიონალი; „სცენაზედ თამაშის ცოდნა და ხერხი ხშირად ხანგრძლივის არ თამაშობით ბლაგვდება და ჟანგდება".

ქვემოთ გიორგი შარვაშიძის რეცენზიებიდან მოვიხმობთ ციტატების გარკვეულ ნაწილს, სადაც დადებითად არის შეფასებული მსახიობთა მიერ შესრულებული ესა თუ ის როლი: „პიესისგან (იგულისხმება „დამარცხებულნი") სასოწარკვეთილს საზოგადოებას სახიდგან ღრუბელი გადაჰყარა ვოდევილმა „დატრიალდა ჯარა", რომელშიც ბ-ნმა ჩერქეზიშვილისამ თავისის ნიჭიერის თამაშობით სწორედ რომ აღტაცებაში მოიყვანეს საზოგადოება"; „ქ-ნი მაქსიმიძისა („დატრიალდა ჯარა") სასიამოვნო სანახავი იყო ეჭვიან ცოლის ტიტინას როლში, თავი თამამად ეჭირა სცენაზედ, როლს მკაფიოდ და კარგად კითხულობდა და შეხედულებაც კარგი აქვს და ეს თვისებანი-კი ღირსებაა მოთამაშისათვის";[1] „არტისტებმა რიგიანად ჩაატარეს ეს პიესა (იგულისხმება „სტუმარი" — ტ.მ.)... ყოველი მათგანი ცალკე აღებული კარგი იყო";[2]

„საჭიროდ ვრაცხთ მარტო კვლავ აღვნიშნოთ შეუდარებლად აღსრულება ლეონიძის როლისა („სამშობლო" — ტ.მ.) ბ-ნის კ. ყიფი-

[1] გ. შარვაშიძე, თხზ., I, გვ. 246.
[2] იქვე, გვ. 266.

ანის და ქეთევანი — ქ-ნ ავალიშვილის მიერ. ბ-ნ სვიმონიძე... მთელი მეხუთე მოქმედება-კი გრძნობითა და გატაცებით ჩაატარა";[1] „ზოგიერთი სცენები („აღლუმი" — ტ.მ.) ქ-ნ საფაროვასა და ბ-ნ აბაშიძის წყალობით სწორედ რომ შეუდარებლად იქნა წარმოდგენილი. ქ-ნმა საფაროვისამ აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება თავისი მოხდენილისა, ნიჭიერისა და ზომიერების თამაშობით. იმის სცენაზე გამოჩენამ ტაშის კვრა და ყვავილების სროლა გამოიწვია";[2] „ჩვენის ქართულის დრამატულ დასის მიერ ამ სეზონში გამართულ წარმოდგენათა შორის ერთ საუკეთესო წარმოდგენად გუშინ-წინდელი წარმოდგენა (იგულისხმება „და-ძმა" — ტ.მ.) უნდა ჩაითვალოს... ბევრი ღირსება აქვს, კარგს ადგილსაც დაიჭერს ქართულს რეპერტუარში".[3]

„პიესა (იგულისხმება „ციმბირელი" — ტ.მ.) არტისტებმა საკმარის ცოდნითა და ხელოვნებით ჩაატარეს. გასაკუთრებით მშვენივრად დაგვიხატა მაზუთიანის ტიპი ბ-ნმა აბაშიძემ, რომელიც ამ როლში მართლა რომ შეუდარებელია. ყოველი მისი ნაბიჯი და მოძრაობა აწონილი იყო და ნათქვამის აზრის შესაფერი. ბ-ნი ყიფიანი ყოველთვის ზომიერია, მართებული და თავდაჭერილი თავისს როლებში და არც ამ ხელად უღალატნია ამ გზისთვის. ბოლომდე თავისი როლი კარგად ჩაატარა. მშვენიერი იყო ბ-ნი აწყურელი პეტუას როლში უკეთესი აღმსრულებელი ძნელად თუ გამოუჩნდეს პეტუას როლს ჩვენს სცენაზედ".[4]

„პიესამ (იგულისხმება „შეშლილია" — ტ. მ.) ბ-ნ ალექსი-მესხიშვილის წყალობით, რომელმაც საოცარის ხელოვნებით ჩაატარა სერ ბერნარდ გარლეიგის როლი, მშვენივრად ჩაიარა და საკმაოდაც ასიამოვნა საზოგადოება";[5] „თუმცა, მებენეფისეს პიესაში („დაქცეული ოჯახი" — ტ. მ.) თავისი როლი არ ჰქონდა, მაინც დიდის მოხერხებით ჩაატარა დრამატიზმით სავსე როლი გულბაანთ ოსეფასი და ამით ნათლად დაამტკიცა, რომ ნიჭი ყოველისავე დაბრკოლების გადამლახ-

---

[1] გ. შარვაშიძე, თხზ., I, გვ. 268.
[2] იქვე, გვ. 270.
[3] იქვე, გვ. 274-275.
[4] იქვე, გვ. 277.
[5] იქვე, გვ. 279.

ავი ძალაა... ბ-ნი აწყურელი, როგორც მოსალოდნელი იყო, მშვენიერი იყო გიჟ-მოზეს როლში. სალომე უნაკლულად და ჩვეულებრივის ეშხით დაგვიყენა თვალწინ ქ-მა გაბუნია-ცაგარელმა";[1] „სიამოვნებით აღვნიშნავთ ოსეფას მამიდის სახის („დაქცეული ოჯახი" — ტ. მ.) როლის აღმსრულებელს ქ-ნს ჩერქეზიშვილისას, რომელსაც მართლა რომ დიდად ეხერხება მოხუცებულ დედაკაცების როლი და ისე ცხოველად და ლამაზად ჩაატარა ეს როლი, რომ უკეთესად სასურველი აღარ არის";[2] „ჩვენი არტისტები დიდის ხელოვნებით თამაშობენ (პიესაში „ორი ობოლი" — ტ. მ.). გაბუნიას ასულმა ჩვეულებრივის ხელოვნებით ჩაატარა მამიდა ფროშარის როლი. ისეთის ხელოვნებით, რომ ძნელად თუ თვით პარიჟის სცენაზედ უფრო ნიჭიერად შესაძლებელი იყოს მისი წარმოდგენა. საოცარს არტისტს მხარს უჭერდნენ საფაროვისა და ავალიშვილისა. საფაროვას ასული მშვენიერი აღმასრულებელია ლუიზას როლისა, ავალიშვილისას საუცხოოა განსაკუთრებით გრძნობიერ ადგილებში".[3]

მკითხველს ბოდიშს ვუხდით ამდენი ნაწყვეტის ამოწერისთვის, მაგრამ სხვანაირად არც შეგვეძლო მოვქცეულიყავით. ამით გვსურდა შეგვეხსენებინა დაინტერესებულ პირთათვის, თუ რა ობიექტურად და პირუთვნელად წარმოაჩენდა მსახიობთა ღვაწლს თეატრის წინაშე, როგორ აფასებდა მათ არტისტულ ნიჭს და ამაგს გიორგი შარვაშიძე.

კრიტიკული განსჯანი. როგორც ითქვა, გიორგი შარვაშიძე ამა თუ იმ წარმდგენის, ნათამაშევი როლის ობიექტური და პირუთვნელი შემფასებელი იყო, მისი კრიტიკული განმსჯელი. თუ სპექტაკლი არ მოეწონებოდა, ხმამაღლა ამხელდა მის ნაკლს, არ დაზოგავდა როლის ცუდად შესრულებისთვის სახელმოხვეჭილ მსახიობსაც კი. მაგალითად, ასე მოექცა იმ დროისათვის მეტად პოპულარულ პიროვნებას ვალერიან გუნიას: „ბ-ნი გუნია კი არ თამაშობდა, მხოლოდ ლაპარაკობდა, უალაგო-ალაგას იცინოდა და თავისი როლი თვითონაც ვერ გაეთავისებინა".

აფხაზი დრამატურგი ვერ იტანდა „გულცივ თამაშს", „სათამაშო

---

[1] გ. შარვაშიძე, თხზ., I, გვ. 280.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 284.

როლის გადამლაშებას“, „ანსამბლის სიმწყობრისა და ჰარმონიის დარღვევას“; „უცოდინროდ როლების დარიგებას“, „აბრანძულ-დაბრანძულ ტანისამოსს“, საერთოდ, ტანჩაცმულობის ყურადღების მიუქცევლობას, „უალაგო-ალაგიანად ხელების ქნევას“, „მწუსარების დროს გაღიმებას“, „ღიმილის დროს მის გამოუსატველობას“ და ა.შ. ქვემოთ თვალი გავადევნოთ გიორგი შარვაშიძის რეცენზიებიდან იმ ამონარიდებს, სადაც მოცემულია ამა თუ იმ სპექტაკლის კრიტიკული განსჯანი.

„შათირიშვილმა იმ სცენის დროს, როდესაც მისი ცოლი და დედა ერთმანეთს შეხვდებიან („დატრიალდა ჯარა“ – ტ. მ.), ისე გადაამლაშა თავის სათამაშოს, რომ წაიქცა კიდეც სცენაზედ ვითომ და შეღონებული და ელდა ნაკრავი“;[1] „კანდელაკს უნდა ვურჩიო, თავისს ტანჩაცმულობას ყოველთვის დიდი ყურადღება მიაქციოს“;[2] „ერთი შენიშვნაც: სასამართლოს ბოქაული უფრო სამსახურიდან გამოგდებულს შტაბის „მწერალსა“ ჰგავდა, ვიდრე ბოქაულს. კარგი იქნება, რომ, ვისაც ჯერ არს. გარეგნობას უფრო მეტი ყურადღება მიაქციოს და აბრანძულ-დაბრანძულს ტანისამოსში არავისა ვხედავდეთ“;[3] „ბ-ნმა სვიმონიძემ ლევან ხიმშიაშვილის როლი პირველს ოთხ მოქმედებაში გულ-ცივად ითამაშა“;[4] „პიესა გატაცებით უკეთ ჩაივლიდა, როლები რომ ცოტა უცოდინოთ არ ყოფილიყო დარიგებული და დასწავლული თვით არტისტების მიერ“;[5]

„უფრო ზარმაცად იქნა წარმოდგენილი ვოდევილი „ცოლ-ქმრობის“ წინააღმდეგი“; „ქართულს სცენაზედ ეს პიესა („ლანდი“ – ტ. მ.) როგორღაც შეკუმშული, უფერული გამოვიდა და, შესაძლებელთან შედარებით, მეათედი გავლენაც კი ვერ იქონია... ვერც გარეგანი მოწყობილობა იყო პიესისა ვარგისი და ვერც ტან-ჩაცმულობა მოქმედთა. მაგალითებრ, შეძლებული გრაფის შტელენბერგის შვილი ფრანცი (შათირაშვილი) უფრო მუშა-კაცსა ჰგავდა, ვიდრე გრაფის შვილს და მარგარიტაც ფრიად ღარიბად იყო ჩაცმული. ლანდი (ქ-ნი

---

[1] გ. შარვაშიძე, თხზ., I, გვ. 264.
[2] იქვე, გვ. 266.
[3] იქვე, გვ. 267.
[4] იქვე, გვ. 268.
[5] იქვე, გვ. 270.

ავალიშვილი) არ ვიცით რა მიზეზით, სიკვდილსა თამაშობდა და ყოველ მოქმედებაში-კი მოლასავით ტანსაცმელს იცვლიდა. ლანდი სულ ერთ გვარად უნდა იყოს ჩაცმული, სახე დაბურული ჰქონდეს და ლაპარაკით უსიცოცხლოდ, უგრძნობო ლაპარაკობდეს... ამითი აღნიშნავდეს, რომ სიკვდილი განყენებული აზრია, უსულო, გრძნობიერებას მოკლებული... ქ-ნ ავალიშვილს ლაპარაკსა და ხმის კილოს –კი გრძნობა ერთვოდა, გრძნობა. ხორციელ ადამიანის გულის მიერ ზედ დაჩნეული";[1]

„დანარჩენი არტისტები („ციმბირელი" – ტ. მ.), ბ-ნ შათირიშვილს გარდა, ცოტა არ იყოს, სუსტობდნენ, მეტადრე ბ-ნი გუნია, რომელსაც, სამწუხაროდ, ვერ შევამჩნიეთ საჭირო გულ-მოდგინება, სავალდებულო ყოველთვის არტისტისათვის, სრულიად უგუნებოდ თამაშობდა ნიკოლას ისეც უფერულს როლს და მეტად ახდენდა ანსამბლს თავისის უალაგო-ალაგას გრიმებითა და გაცინებით";[2] პიესის („დაქცეული ოჯახი" – ტ. მ.) ნაკლი ის არის, რომ ცოტა გაჭინურებულია და დიდი ადგილი აქვს დათმობილი შიგ ჩაკერებულ სიტყვებს გიჟ-მოზესას, რომელიც პიესის ნასკვის შეკვრისა და გახსნისას არაფრითა ჰშველის და არაფრით ეხმარება";[3] „მაქსიმიძე („დაქცეული ოჯახი" – ტ. მ.) ნატოს როლში, დიდად სუსტობდა და თავის ხტუნვა-კუნტრუშით ზომიერებას აჭარბებდა. ცოტა არ იყოს, კოჭლობდა აგრეთვე ქ-ნ ტარიელაშვილისას ქალის როლში და, ამას გარდა, ძალიან ცუდად მოიქცა"...[4]

„სამწუხაროდ, ყოველს მის ნაკლულევანებას („გამწარებული ცხოვრება" – ტ. მ.) ზედ დაერთო როლების უცოდინარობა, დუხჭირად თამაშობა, უალაგო-ალაგად ხელების ქნევა, მწუხარების დროს გაღიმება, ღიმილის დროს მისი არ-გამოუხატველობა და ცეცხლის ჩასაქრობად ნავთი დაასხესო, რომ იტყვიან, სწორედ ისეთი საქმე დაემართა საბრალო პიესაშიც";[5] „ქ-ნმა ავალისშვილისამ თავისი როლი

[1] გ. შარვაშიძე, თხზ., I, გვ. 273.
[2] იქვე, გვ. 277.
[3] იქვე, გვ. 280.
[4] იქვე.
[5] იქვე. გვ. 286.

(„გამწარებული ცხოვრება“ – ტ. მ.), მეტადრე პირველს მოქმედებაში, სულ არ იცოდა და სიტყვები რო ვერ მოენახა, ჩქარ-ჩქარა მიიტანდა ხოლმე ხელსახოცს პირთან და ხელს გულთან, ვითომ-და ისე მწუხარედ ვარ, რომ ლაპარაკი ვერ მომიხერხებიაო“;[1] „ჩვენს სცენაზედ ამ სეზონში ასეთი ცუდი წარმოდგენა („გამწარებული ცხოვრება“ – ტ. მ.) ჯერ არ გვინახავს.[2]

კრიტიკული შენიშვნების გამოთქმისას გიორგი შარვაშიძეს ხშირად უყვარს შალაშინის „ხმარება“; „ზოგან შალაშინი გაუკრავს“ („დაძმა“ – ტ. მ.); „ავტორი კვლავ ეცდება მის გაშალაშინებას“; „ალაგ-ალაგ შალაშინი აკლდა“ („აღლუმი“ – ტ. მ.); „მაგრამ საერთოდ-კი იმათს თამაშს შალაშინი აკლდა... შალაშინ-გაკრული თამაში ექნებათ (სტმარი“ – ტ. მ.).

პუბლიკის ინდიფერენტიზმი. პიესის ავტორის, რეჟისორის, მსახიობის, მხატვრის ერთობლივი შრომის შედეგია ნებისმიერი სპექტაკლი, ხოლო მისი უპირველესი და პირუთვნელი შემფასებელია მაყურებელი. უმაყურებლო თეატრი მკვდარია, ისევე როგორც უგულშემატკივრო სტადიონი. მაყურებელი ხომ თეატრის ერთ-ერთი უმთავრესი კომპონენტია. სანიმუშო სპექტაკლს ჰყავს. მუდამ მაყურებელი, როგორც ფეხბურთის საუკეთესო გუნდს – გულშემატკივარი. XIX საუკუნის II ნახევარში გააქტიურდა დრამატული მწერლობა (ორიგინალური, ნათარგმნი) და შესაბამისად, ქართული თეატრი – მეტადრე 90-იან წლებში. ეს კი ქართულ კულტურის წინსვლის მაუწყებელი იყო. იმართებოდა მრავალი საინტერესო წარმოდგენა, იდგმებოდა მიმზიდველი სპექტაკლები, რომელსაც მაყურებელიც არ აკლდა, თუმცა გარკვეულ შემთხვევაში თეატრი განიცდიდა მაყურებლის ნაკლებობას, რაც შეშფოთებას იწვევდა ქართული კულტურის მოღვაწეებში და მათ შორის გიორგი შარვაშიძის პიროვნებაში. უმაყურებლო თეატრი მას უდაბნოს აგონებდა. უჩიოდა საზოგადოების გულგრილობას, განსაკუთრებით არისტოკრატიისას: „წარმოდგენაზედ („ციმბირელი“ – ტ. მ.) საზოგადოება ცოტა იყო, რაც ბრალად უნდა დაედოს ჩვენს

[1] გ. შარვაშიძე, თხზ., I, გვ. 257.
[2] იქვე, გვ. 287.

არისტოკრატიას, რომელმაც ამ ბოლო დროს ძალიან აიცრუა გული ქართულს წარმოდგენებზედ. ქვა მიაგდო და ქართული თეატრისკენ აღარ მოუხედნია. მდაბიო ხალხს, რომელიც უფრო თანაგრძნობით ეკიდება თეატრს, სამუშაო დღეებში არ შეუძლიან თეატრში სიარული, მაგრამ ეს ჩვენი არისტოკრატიაღა სად ბრძანდება?.. ამ ათის, თორმეტის წლის წინათ ლოჟები იმათგან იყო ავსებული და ეხლა რას უნდა მიეწეროს იმათი ასეთი საერთოდ ხელის აღება ქართულს თეატრზედ, არ გვესმის".

„ცოლ-ქმრობის წინააღმდეგის" სპექტაკლის რეცენზირებისას გიორგი შარვაშიძე იტყვის „ჩვენის გულგრილის საზოგადოების მიმართ-კი ის უნდა ვსთქვათ, რომ დიდს სიამოვნებას მოაკლდა"; იგივეს იმეორებს „ლანდის" წარმოდგენაზეც: „საზოგადოების შესახებ რა უნდა ვსთქვათ ამის მეტი, რომ ქართველი საზოგადოება ამ ხელადაც ქართულს თეატრს მოშორებული იყო და თავისის არ-ყოფნით კვლავ გამოიჩინა თავისი გულგრილობა ქართულის სცენის და დრამატული ხელოვნების მიმართ".

აფხაზი დრამატურგი აღფრთოვანებას ვერ მალავს სპექტაკლის სანახავად მისული მაყურებლის სიმრავლით: „ვ. აბაშიძის პატივსაცემლად „მთელი თეატრის დარბაზი სავსე იყო ხალხით. სკამი კი არ ეძებდა, ჩვეულებისამებრ, ხალხს, ხალხი ეძებდა სკამებს და რომ ვერსად ეპოვნა თავისუფალი, იძულებული შექმნილიყო გასავალ-გადასავალი გზები დაეჭირა და ფეხდგომელა ყოფილიყო („შეშლილია" — ტ. მ.). იგივე აღტაცებას გამოხატავს „და-ძმის" წარმოდგენასთან დაკავშირებით: „სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ამ ხელად თეატრის დარბაზი უდაბნოს არ წარმოადგენდა და საზოგადოება საკმაოდ დაესწრო".

ასე განიცდიდა გიორგი შარვაშიძე თეატრისა და მაყურებლის ურთიერთობის პრობლემას.

ევროპის გამოძახილი. როცა რუსული კოლონიალიზმი ანუ „ჩრდილოეთის სასტიკი ჩრდილი" მწუხრის ზეწრად გადაეფარა დავდრომილ ქვეყანას, ჩვენს ბედკრულ საქართველოს, გიორგი შარვაშიძემ იმ დღიდან დაკარგა მოსვენება. მას სულს უხუთავდა ცარიზმის

რეჟიმი და ენატრებოდა „ევროპის ნათელთან მიახლოება“, როგორც გადარჩენის უებარი საშუალება:

„მუდამის შრომით, გონების ხსნითა
ევროპის ნათელს მივეახლენით,
ჭორი, ყბედობა, უგუნურება,
პატიოსნურად ერთ აზრად ვცვალეთ,
ერთგულად მოძმეთ ჩვენ მსახურება
კანონად ვდევით“...

ევროპის გამოძახილი გიორგი შარვაშიძის თეატრალურ რეცენზიებშიც მოისმის. როგორც ევროპამოვლილს, ევროპული ენებისა და კულტურის მცოდნეს დიდი სიყვარული ჰქონდა მის მიმართ. მიესწრაფვოდა ევროპასთან ქართველთა დაახლოებას. ივანე მაჭავარიანს უთარგმნია ქართულ ენაზე ბრანდესის პიესა „სტუმარი“, რომელიც ქართულ დრამატულ დასს 1893 წლის 13 ოქტომბერს წარმოუდგენია. სპექტაკლის რეცენზირებისას გიორგი შარვაშიძე ქართველ მკითხველს და მაყურებელს აუწყებს, რომ „სტუმარი“ მეტად რთული პიესაა და იმ რიგს პიესებისას ეკუთვნის, რომელსაც ამ ბოლო დროს სწერენ ევროპის თანამედროვე მწერალნი. პიესის ავტორები ცდილობენ პიესაში ახსნან და გამოარკვიონ რომელიმე რთული საკითხი, რომელიც ცხოვრების ჭირ-ბოროტს შეადგენს და რომლის გვერდის ახვევაც დიდად ძნელია“.

როგორც ვხედავთ, რეცენზენტს ბრანდესის პიესა „სტუმარი“ განხილული აქვს იმჟამინდელი ევროპული ლიტერატურის შუქზე. ბ. ლაზარიაშვილის მიერ გერმანულიდან ნათარგმნი პიესა „ლანდი“ 1893 წლის 27 ოქტომბერს დაუდგამთ ქართულ თეატრში. სპექტაკლის ვრცელი მიმოხილვა დაბეჭდა გიორგი შარვაშიძემ გაზეთ „ივერიაში“, სადაც ერთგან ვკითხულობთ: „ავტორს პიესით ის უნდა უთხრას მთელს აწინდელი ევროპის წარმატების ნახვით გატაცებულს, სარწმუნოების მხრივ ცოტა არ იყოს შერეულს გონებას ადამიანისას, რომ მართალია, მეცნიერება ძლიერია, იმდენად ძლიერი, რომ სიკვდილიც-კი ემუდარება, ნუ მირთულებ საქმეს, სადაც მე დამინახო ავადმყოფის სარეცელთან, იქ ნუ მიეკარებიო... ბოლოს ისე

ურთულებს საქმეს თვით შესანიშნავს ექიმს... ეს ურწმუნო კაციცკი ღმერთს შესთხოვს შველასა და დახმარებას... ზენა არც ისმენს მხურვალე ვედრებას ურწმუნოსას და თავისს მოწყალებას ანიჭებს სიკვდილის გაბრუნებით".

სპექტაკლ „და-ძმის" მიმოხილვისას გიორგი შარვაშიძეს გერმანია ახსენდება, გერმანული თეატრები: „წარსულს წელს გერმანიის თეატრებში ოთხმოც-და თექვსმეტი ახალი პიესა წარმოუდგენიათ და ამათში მხოლოდ ექვსი აღმოჩენილა განმეორების ღირსი". ეს მოაგონა ქართულ სცენაზე „და-ძმის" წარმატებით დადგმამ და აფიქრებინა, რომ იგი „კარგს ხანს დაიჭერს ქართულს რეპერტუარში თავს".

სპექტაკლ „ორი ობოლის" ანალიზისას რეცენზენტი აქებს და ადიდებს ქართველ მსახიობებს, განსაუთრებით გამოყოფს ნატალია გაბუნიას თამაშს და მიაჩნია, რომ მის მიერ შესრულებული მამიდა ფროშარის როლი პარიზის სცენასაც დაამშვენებდაო: „გაბუნიას ასულმა ჩვეულებრივის ხელოვნებით ჩაატარა მამიდა ფროშარის როლი, ისეთის ხელოვნებით, რომ ძნელად თუ თვით პარიჟის სცენაზედ უფრო ნიჭიერად შესაძლებელი იყოს მისი წარმოდგენა".

ამრიგად, გიორგი შარვაშიძე იყო არა მარტო ლირიკოსი, ეპიკოსი, დრამატურგი, არამედ შეუპოვარი პუბლიცისტიც. მხატვრულ შემოქმედებასთან ერთად, პუბლიცისტურ წერილებში, თეატრალურ რეცენზიებში მწერალი ავლენდა ეროვნულ-მოქალაქეობრივ პოზიციას, ერუდიციას, სიმართლისადმი ერთგულ მსახურებას, მტკიცე ხასიათს, წერის კულტურას. ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა და აქტიურად იყო ჩართული ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. პუბლიცისტის მხრიდან თანამედროვე მტკივნეული ყოფითი მოვლენებისადმი წერილობითი გამოხმაურება არ ხდებოდა უბრალოდ მოვალეობის მოხდის მიზნით, არამედ გამოირჩეოდა პატრიოტული ენთუზიაზმით, მოქალაქეობრივი ვალით, ხასიათის პირდაპირობით, ნებისყოფის სიმტკიცით, სიტუაციაში გარკვევის უნარით.

გიორგი შარვაშიძის პუბლიცისტური წერილები: „სოციალიზმი და საქართველო", „პატრიოტიზმი და კოსმპოლიტიზმი", „ქართული ენის გარშემო", „ქართველი პროფესორის კაბინეტში", „წერილი გაზეთ

„ბერლინერ ტაგებლატის რედაქტორს“, „ასე იწერებოდა ისტორია“ დატვრითულია ეროვნული ტენდენციებით. საქართველოზე, ქართულ ენასა და კულტურაზე ფიქრით, სამშობლოს მოძალადეთა და დამამცირებელთა მხილებით, ქვეყნის მძიმე მდგომარეობიდან თავდასახსნელად გამოსავალი გზის ძიებით, ოპტიმიზმით.

თეატრალური ხელოვნებისადმი მწერლის ინტერესებშიც მამულიშვილური იდეები მოძრაობენ. თეატრალურ რეცენზიებში გიორგი შარვაშიძის თეატრალურ-ესთეტიკურ შეხედულებებთან ერთად გამოკვეთილია ეროვნული განცდებიც. მწერალმა კარგად იცოდა, რომ თეატრალური ხელოვნების განვითარება ქართული კულტურის წინსვლას უწყობდა ხელს, რაც საქართველოს წინსვლის მომასწავებელი იყო. ამიტომაც ამდიდრებდა რეპერტუარს საკუთარი პიესებით, ასევე კვალიფიციურ რეცენზიებს აქვეყნებდა ქართულ თეატრებში დადგმულ სპექტაკლებზე.

ზოგადი დასკვნები

I. გიორგი შარვაშიძე არის სიმბოლო ქართველი და აფხაზი ხალხის ისტორიული ძმობისა და მეგობრობისა. იგი ქართულენოვანი აფხაზი მწერალია XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის დასაწყისისა. მის პიროვნული ღირსებები, ღვაწლი, შემოქმედებითი ნიჭია, ეროვნული შემართება სიცოცხლეშივე ნაწილობრივ დაფასდა (აკაკი წერეთელი, ან. ფურცელაძე, კ. ერისთავი, ი. მეუნარგია, თ. სახოკია...). გიორგი შარვაშიძის გარდაცვალებას გულისტკივილით გამოეხმაურნენ: ნიკოლოზ თავდგირიძე, ილია ჭყონია, გივი გოლლენდი (გრიგოლ რობაქიძე).

აფხაზი მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების მეცნიერული შესწავლის ისტორია 1928 წლიდან იწყება აკად. სიმონ ჯანაშიას მიერ შექმნილი დიდად მნიშვნელოვანი ნაშრომით — „გიორგი შარვაშიძე“ (კულტურულ-ისტორიული ნარკვევი). აქედან მოკიდებული არაერთი მკვლევარი თუ დაინტერესებული პირი შეხებია გიორგი შარვაშიძის ცხოვრებისა და სამწერლო მოღვაწეობის ცალკეულ საკითხებს, რაც გამოიხატა მათ მიერ გამოცემულ წიგნებში, ასევე ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებულ წერილებსა და სტატიებში (შ. დადიანი, გ. ქიქოძე, ო. ჭურლულია, ს. ლეკიშვილი, გ. მიქაძე, ს. ხუციშვილი, ა. ნიკოლეიშვილი, ელ. თავბერიძე, ე. ხარაძე, ა. გადილია, ო. ჟორდანია, ზ. პაპასქირი, ნ. კუცია, პ. ქურდოვანიძე, ჯ. თითმერია, ც. არდაშელია, მ. ჯაიანი, ლ. ჯინჯიხაძე).

თავიანთ წიგნებსა და სტატიებში ავტორების მიერ ყურადღება გამახვილებულია გიორგი შარვაშიძის ცხოვრებისეულ ეპიზოდებზე, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობაზე, ლიტერატურულ-კულტურული მემკვიდრეობის სხვადასხვა ასპექტზე, მწერლის ჰუმანისტურ კრედოზე, ეროვნულ-მოქალაქეობრივ მსოფლმხედველობაზე, ქართულ კულტურულ სამყაროსთან კავშირზე, კულტურული და მოქალაქეობრივი მრწამსის სათავეებზე; თეატრალური ხელოვნებით დაინტერესებაზე და ა.შ.

გიორგი შარვაშიძის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზმა აჩვენა, რომ დასახელებული საკითხების უმეტესობა ზოგადადაა დამუშავებული. საერთოდ, შეუსწავლელი აღმოჩნდა მწერლის თხზულებათა ენისა და სტილის საკითხები, სახისმეტყველება, მხატვრული სამყარო, ტროპული მეტყველება, ლექსთწყობის საკითხები, მეტრი და რითმა.

II. გიორგი შარვაშიძის დაწვრილებითი ბიოგრაფიული ცნობები არ შემონახულა. ჩვენამდე ფრაგმენტებად მოღწეული წერილობითი ბიოგრაფიული მასალების თავმოყრამ, სისტემაში მოყვანამ და ანალიზმა ცხადყო, თუ რა რთული და ეკლიანი ცხოვრების გზა გაუვლია აფხაზ მწერალს, რა მედგრად დაუძლევია სიძნელენი, მორალურად არასდროს დაცემულა, შემოქმედებითი აღტკინებით იქარვებდა ჭირვარამს; მამულის სიყვარულს ანაცვლებდა საკუთარ სიცოცხლეს, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური წევრობით ქედს არ უხრიდა ცარიზმის ბარბაროსულ რეჟიმს, მწვავედ ამხელდა მის სისაძაგლეს. მისი მიზანი იყო სამშობლოს ერთიანობის და თავისუფლებისათვის ბრძოლა.

გიორგი შარვაშიძის ცხოვრებისეული ეპიზოდების, ბიოგრაფიული შტრიხების გაცნობა ნათლად წარმოაჩენს უზადო მწერლის და საზოგადო მოღვაწის პიროვნულ თვისებებს, ზნეობრივ სიფაქიზეს, თავგანწირვის უნარს, ეროვნული თვითშეგნების სიმაღლეს, ხასიათის პირდაპირობას, შემოქმედებით ენერგიას. მისი დაბადების თარიღის დაზუსტებაში კორექტივის შეტანის საშუალებას იძლევა სათანადო მასალების ერთმანეთთან შეჯერება, ანუ მწერალი დაბადებულა 1849 წელს და არა 1846 წელს, როგორც ეს დღემდე არის მიღებული და დამკვიდრებული.

III. გიორგი შარვაშიძის ეროვნულ-მოქალქეობრივი მსოფლმხედველობა, ეროვნულ-მოქალქეობრივი პოზიცია განფენილია მისივე ლიტერატურულ-კულტურულ მემკვიდრეობაში, რომელიც მომცველია ლირიკის, ეპოსის, დრამის, პუბლიცისტიკის და თეატრალური წერილებისა. აფხაზი მწერალი ქართველ სამოციანელებთან ერთად

განმამტკიცებელია ეროვნული იდეოლოგიის, ეროვნული თვითშეგნების ამაღლების, ეროვნულ-პატრიოტული პათოსისა. ამის მაგალითს საზოგადოებას აჩვენებდა არა მხოლოდ კალმით, არამედ პიროვნული თვისებებით და პირადი ცხოვრებით.

შემოქმედისთვის საქართველო არ იყო მხოლოდ ტერიტორია თავის საზღვრებში, არამედ ის წარმოადგენდა მშობელი ხალხის სუნთქვას, ქართულ-აფხაზური ენების მაჯისცემას, მამაპაპეული სარწმუნოების სიწმინდეს, ხსნისა და თავისუფლების რწმენას. აფხაზეთი და დანარჩენი საქართველო იყო მისთვის სულის ქვეყანა, ხოლო აფხაზი და ქართველი ხალხი გააზრებული ჰყავდა, როგორც ორ სხეულში ერთი სული.

აფხაზ პოეტს ღრმად ჰქონდა გაცნობიერებული და სხვებსაც შთააგონებდა: სამშობლოს ერთგულების დამამშვენებელია სიტყვა საქმიანი და არა საქმე სიტყვიანი. ეს იმას ნიშნავს, რომ ცარიელი სიტყვებით ქვეყნის სიყვარულის გამოხატვა არაფრის მაქნისია, საჭიროა მედგარი ბრძოლა და მოქმედება მისი ინტერესების დასაცავად. მწერლის ეროვნულ-მოქალაქეობრივ მსოფლმხედველობაში გამოვლენილია მისივე ჰუმანისტური პოზიციაც. იგი სასტიკი მტერია კუთხური სეპარატიზმისა, ქვეყნის მოღალატეების, შინაგამცემლებისა, საერთოდ, ეროვნულ-სარწმუნოებრივი გადაგვარებისა. მან საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლას შესწირა თავისი ტანჯული ცხოვრება, რომელიც დათრგუნული იყო რუსეთის ხელისუფლების კოლონიური პოლიტიკით. დაუნდობლად ამხელდა და გმობდა ცარიზმის აუტანელ რეჟიმს საქართველოში, ხოლო თვით რუს ხალხს, მის ენას, კულტურას დიდად აფასებდა და პატივისცემით ეპყრობოდა.

IV. გიორგი შარვაშიძის ქართულ ლირიკაში გამოძახილს პოულობს XIX საუკუნის II ნახევრისა და XX საუკუნის დამდეგის ქართული პოეზიისთვის დამახასიათებელი თემები და მოტივები: პატრიოტიზმი, სიყვარულის გრძნობა, აწმყოთი უკმაყოფილება, პესიმიზმი, წუთისოფლის ამაოების განცდა, უსამართლობის მხილება. მეგობრობის იდეა, მსოფლიო სევდა... მის პოეზიაში ეროვნულ-მოქალაქეობრივ

მსოფლმხედველობასთან ერთად წინა პლანზეა წამოწეული ამქვეყნიური, მიწიერი სიყვარული. სატრფოს გარეგნობის დასურათხატებისას პოეტი მეტნაკლებად საზრდოობს გარკვეული წყაროებით. მის ლექსებში ელვარებს ღვთის სიყვარულს მიმსგავსებული ზნეობრივი მიჯნურობის გრძნობა, რაც ემყარება ტრფობის ობიექტის გარეგნული და შინაგანი მშვენიერების ჰარმონიულობას, ზოგიერთ ლექსში თავს იჩენს საყვარელი ქალის მხოლოდ გარეგნობით გატაცება, ზოგჯერ იგრძნობა სიყვარულის სიმბოლურ-ალეგორიული გამოხატულება, ანუ სატრფოს სახეში სამშობლოს მოაზრება.

აფხაზი პოეტის ლირიკაში თავი იჩინა პირადულმა და მსოფლიო სევდამ. ეს გამოწვეული იყო საზოგადოებრივი პირობების არასახარბიელო ხასიათით, ჯვარცმულ სამშობლოზე დარდით, ცხოვრების უკულმართობით. მსოფლიო სევდის გაცნობიერებით. მის პოეზიაში წუთისოფლის პრობლემას, სიკვდილ-სიცოცხლის თემას უშუალოდ უკავშირდება ბედისა და უბედობის საკითხი. მწერლის პესიმიზმი პროტესტის გამოხატულებაა არსებული სინამდვილისადმი, თუმცა იგი ბოლომდე არ რჩება გულგატეხილ პოეტად, პესიმიზმის ყინულს ალღობს ოპტიმიზმის მზე და სითბო. მის ლირიკას ატკბობს შრომითი გონების ხსნის იდეა, მეგობრობის იდეა, მოძმეთა მსახურების მოტივი დედაშვილური ურთიერთობის განცდა, ბუნების თემა.

გიორგი შარვაშიძის ლირიკული თხზულებანი შექმნილია წმინდა ქართული სალიტერატურო ენით. მთელ რიგ სტრიქონებს დაჰკრავს ძველი ქართული ენით მეტყველების იერი, ასევე დიალექტიზმებიც. საერთოდ არ შეინიშნება ბარბარიზმები. ცხადია, სათქმელის პოეტურად გადმოცემა მხატვრული ხერხების საშუალებით ხდება, რომელთაგან მეტი ხვედრითი წილი მხატვრულ შედარებაზე მოდის. გარდა ამისა, მისთვის დამახასიათებელია აზროვნების მეტაფორული სტილი, ეპითეტურენოვანი მეტყველება, პერსონიფიკაცია ანუ გაპიროვნება, ჰიპერბოლა. ზოგიერთ შემთხვევაში ავტორი თავს ვერ აღწევს ქართული ლიტერატურული ტრადიციების და ხალხური ზეპირსიტყვიერების გავლენას. შთამბეჭდავია პოეტის აფორისტულ-

ანდაზური გამოთქმანი.

აფხაზი პოეტის ქართული ლირიკა შემოსაზღვრულია სამი საზომი ერთეულით: რუსთველური შაირის მეტრი, 8-მარცვლიანი და 10-მარცვლიანი საზომებით. იშვიათი გამონაკლისის გარდა, ლექსების სტროფები ემყარება ოთხტაეპედს. ყურადღებას იმსახურებს რითმაც, როგორიცაა: ვაჟური, ქალური, დაქტილური, ზედაქტილური ანუ ჰიპერდაქტილური; მოგვეპოვება გარეგანი და ჯვარედინი რითმები, ასევე რითმის ევფონია (ზუსტი, მდიდარი, ღარიბი, არაზუსტი, ღია და დახურული), რითმის მორფოლოგია. ადგილი აქვს უმეტესწილად ჯვარედინი რითმების გამოყენებას, სხვა შემთხვევაში — სტროფის მეორე ტაეპი ერითმება მეოთხე ტაეპს, პირველი-მესამე ტაეპი კი გაურითმავია.

V. გიორგი შარვაშიძის ერთადერთი და ისიც დაუსრულებელი პოემა შემოგვენახა „გვადანის ციხის“ სახით. იგი ერთნაწილიანი, ორი კარისაგან შემდგარი თხზულებაა. პირველ თავში მოთხრობილია ყაზართა მთავრის, გვადანის ამბავი, მოქმედება ხდება ჩრდილოეთ კავკასიაში, რუსეთსა და ჩერქეზეთს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე. მეორე თავში ვეცნობით ქართველი ერისთავის, ზურაბ ვაჩნაძის ოჯახის თავგადასავალს, შესაბამისად, მოქმედება საქართველოში ხდება, ოღონდ კონკრეტულად არ ჩანს — რომელ კუთხეში. პირველ და მეორე თავებს შორის იდეურ-შინაარსობრივი კავშირი არ არსებობს, ალოგიკურ ვითარებასგან გვაქვს საქმე.

„ყაზართა ერის“ იდენტიფიცირება აფხაზ ხალხთან საფუძველს მოკლებულია, ამასთანავე. „გვადანის ციხის“ მიჩნევა საქართველოს მთლიანობის იდეის გამომხატველად გაუმართლებელია. „ყაზარი ერი“ ავტორის ფანტაზიის ნაყოფია, ასეთ ტომს ჩრდილეოთ კავკასიაში არასოდეს უცხოვრია. არ არის გამორიცხული, პოეტი ყაზარებში ყივჩაყებს გულისხმობდეს.

ეტყობა, გიორგი შარვაშიძეს პოემა ჩაფიქრებული ჰქონდა კავკასიელი ხალხების პოლიტიკური და მეგობრული ერთობის აუცილებლობის წარმოსაჩენად. ეს დამოკიდებული იყო ყაზარების და

ქართველების დამოყვრებაზე სხვა კავკასიელი ტომებისთვის ტონის მისაცემად. თხზულების მიხედვით, ამ ერთობის იდეა ჩრდილოეთ კავკასიიდან წამოსულა, რაც თავისთავად მეტყველებს დავით აღმაშენებლის პერიოდის საქართველოს ძლევმოსილებაზე. კავკასიელ ხალხთა ერთობის მნიშვნელობის იდეის წინ წამოწევას გიორგი შარვაშიძის ცხოვრების ეპოქაში ჰქონდა თავისი გამართლება ცარიზმის მტანჯველი უღლის მოსაშორებლად.

გიორგი შარვაშიძის პოეტური ენერგია, სახისმეტყველებითი შესაძლებლობანი ყველაზე მეტად „გვადანის ციხეში“ გამოჩნდა. მიმზიდველია მისი ტროპული მეტყველება, ბუნების მხატვრულ ფერებში წარმოსახვა. პოეტის სახეებით აზროვნების ძალისხმევა განფენილია მხატვრულ შედარებაში, მეტაფორაში, ეპითეტში, გაპიროვნებაში... ორიგინალური მხატვრული სახეები შეფერილია კეთილისმყოფელი გავლენებითაც.

„გვადანის ციხის“ სტროფი მხოლოდ ოთხტაეპიანია, სალექსო ტაეპები გაწყობილია ერთადერთი საზომით, ეს არის 10-მარცვლიანი ტაეპი. მცირე გამონაკლისის გარდა, პოეტი ამ პოემის მიხედვით არ გამოიყურება რითმის საუკეთესო ოსტატად. აქ იგი არანაირ ორიგინალობას არ იჩენს. მისი რითმები უმეტესწილად პრიმიტიულია, მარტივი და უბრალო. იგი მოწოდებულია მხოლოდ იდეურ- შინაარსობრივი დატვირთვა მისცეს ტაეპებს და მთლიანობაში – სტროფს. პოემაში თავჩენილია ვაჟური ანუ ერთმარცვლიანი რითმა, ქალური ანუ ორმარცვლიანი დაქტილური (სამმარცვლიანი), ზედაქტილური ანუ ჰიპერდაქტილური (ოთხმარცვლიანი), ასევე ხუთმარცვლიანი რითმაც. „გვადანის ციხისვის“ დამახასიათებელია მხოლოდ გარეგანი რითმები, უმთავრესად ჯვარედინი რითმების სახით მცირე გამონაკლისით გვხვდება მოსაზღვრე ანუ პარალელური რითმები, რკალურიც.

რითმის ევფონიურობას ქმნის ზუსტი, მდიდარი, ღარიბი, ნაკლული ანუ არაზუსტი, ღია, დახურული რითმები. რითმის მორფოლოგია: არსებითი სახელები ძირისეული სახითაა რითმად გამოყენებული, მოთხრობითის გარდა, ყველა ბრუნვაში გვაქვს თანდებულიანი რით-

მებიც, სახელისა და ზმნის კომბინაცია.

VI. აფხაზი დრამატურგის სამი პიესა შემოგვენახა: „გიორგი მესამე", „მომაკვდავნი სურათნი", „კომლი უცეცხლოთ", ხოლო მეოთხე — „ბედისაგან დევნილი კაცი" დაკარგულად ითვლება. „გიორგი მესამე" გამოირჩევა მძაფრი სიუჟეტური დრამატიზმით. მისი მთავარი თემა არის დავით აღმაშენებლიდან მემკვდრეობით მიღებული საქართველოს მთლიანობის შენარჩუნება, განმტკიცება განხეთქილების მსურველთა მიმართ დაუნდობლობის გამოჩენით. თხზულების უმთავრესი პერსონაჟია დემნა ბატონიშვილი, რომელიც გამოირჩევა ჰუმანიზმით, ქრისტიანული ეთიკით, ეროვნული იდეალებით. პიესის დანარჩენი პერსონაჟები იყოფიან ერთიანი საქართველოს მეფის გიორგი მესამის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად".

პიესა ქრისტიანულ საფუძვლებს და მოტივებს ემყარება, რაშიც იკვეთება ავტორის დამოკიდებულება ქრისტეს მოძღვრებისადმი, ღრმა ცოდნა ბიბლიისა, შუა საუკუნეების ქართული სიტყვიერი კულტურისა, XIX საუკუნის ქართული კლასიკური მწერლობისა. „ვეფხისტყაოსნის" და „გიორგი მესამის" შედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ გიორგი შარვაშიძე ზუსტად იმეორებს თინათინის გამეფების სცენარს თამარის ტახტზე აყვანის სურათის წარმოსახვისას. ამით იმის მინიშნებაცაა, რომ დრამატურგს თინათინის პიროვნებაში ამოკითხული აქვს თამარის სახე.

პიესა დაწერილია აფხაზი დრამატურგის თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენით, თუმცა, როგორც მოსალოდნელი იყო, არც თუ იშვიათად მიმართავს მწერალი „ქართლის ცხოვრების" ენასაც. ძველ ქართულ ლექსიკურ ფონდს. ნაწარმოებს ასულდგმულებს ძველი ქართული ენით მეტყველების ხიბლი. შეინიშნება დიალექტებისადმი მიდრეკილბაც.

„გიორგი მესამის" ფორმა და შინაარსი ერთმანეთს არ ჩამორჩებიან, პირიქით, ავსებენ ერთმაენთს და ამით მკითხველზე წარუხოცელ შტაბეჭდილებას ტოვებენ. მხატვრული ხერხების გამოყენებისას მწერალი იჩენს ზომიერებას. ტროპის სახეებიდან განსაკუთრებით

მიმართავს მხატვრულ შედარებას, ეპითეტს, მეტაფორას. პიესისთვის დამახასიათებელია ე.წ. იგავური თქმანი, რომელიც თავის ფუნქციას ასრულებს... ამით უფრო შთამბეჭდავი ხდება სათქმელი. მკითხველში მძაფრდება იგავ-გამოცანის შეცნობის და ახსნის სურვილი, რაშიც მას პერსონაჟებიც ეხმარებიან. თხზულება საკმაოდ დატვირთულია აფორისტულ-ანდაზური გამოთქმებით. ისინი ტექსტში ძვირფასი თვლებივით ჩანან. მასში თავისთავად ვლინდება აზრის გამოხატვის ლაკონიურობა, სისხარტე და ლოგიკური დასკვნის ეფექტი.

„გიორგი მესამე“ შეთხზულია ლექსნარევი პროზით. სულ მოიცავს 1560 სტრიქონს, აქედან 540 სალექსო ტაეპია, გიორგი შარვაშიძე მხატვრული აზროვნების დონეს სწორედ პიესის პოეტურ ნაწილში ავლენს. ამასთან, გასახაზავია ის გარემოება, რომ დრამის კითხვისას პროზიდან პოეზიაში გადასვლას თხრობის ტემპი განაპირობებს უთუოდ. ეს გადასვლა ერთგვარი „ამოსუნთქვისა“ და „შესვენების“ საშუალებაა. ამიტომაც მკითხველი ოდნავადაც არ იღლება.

პიესაში მოგვეპოვება ორტაეპიანი, სამტაეპიანი, ოთხტაეპიანი, ხუთტაეპიანი, ექვსტაეპიანი სტროფები. სალექსო ტაეპები გაწყობილია სხვადასხვა საზომებით, რომელთაგან უფრო პოპულარულია 14-მარცვლიანი ტაეპი. ამ საზომით წარმოდგენილია 460 ტაეპი (სულ 540 სალექსო ტაეპიდან). ამასთანვე, გვხვდება: 5-მარცვლიანი, რვამარცვლიანი, ათმარცვლიანი, თხუთმეტმარცვლიანი, თექვსმეტმარცვლიანი ტაეპები.

„გიორგი მესამეში“ გიორგი შარვაშიძე არ ჩანს რითმის შესანიშნავ ოსტატად. მასში დამახასიათებელია მხოლოდ გარეგანი რითმები, მცირე გამონაკლისის გარდა, სტროფები დაკომპლექტებულია მოსაზღვრე, ანუ პარალელური რითმებით, რაც განპირობებულია ორტაეპიანი სტროფების დომინირებით. ჯვარედინრითმიანი სტროფების რაოდენობა უმნიშვნელოა. შინაგანი რითმა საერთოდ არ დასტურდება. ევფონიის მხრივ ქართულ კლასიკურ ლექსში ცნობილი რითმის ყველა სახეობა იჩენს თავს (ზუსტი, ღრმა, მდიდარი, ღარიბი, ნაკლული, ღია, დახურული რითმები).

„მომაკვდავნი სურათნი“ XIX საუკუნის II ნახევრის ქართულ რეალობას ასახავს. პიესა პირველად ქართულ სცენაზე წარმოდგენილ იქნა 1881 წლის 11 ნოემბერს. მასში ნაჩვენებია „მომაკვდავი“ საზოგადოების ანუ უსაქმური, ამორალური, ზნეობრივად დეგრადირებული არისტოკრატების უშინაარსო ცხოვრების დეტალები. თუმცა ავტორი მათშიც ეძებს „კაცობრივი გრძნობისა“ და პატიოსნების ნაშთის ნაპერწკლებს. მკითხველს თავად გამოაქვს დასკვნა, რომ ეს საზოგადოება წარმავალია და მას აუცილებლად ჩაანაცვლებს სხვა სოციალური ურთიერთობანი.

დრამატურგი ზნეობრივად გამოფიტულ მაღალ ფენასთან აპირისპირებს სულიერად ამაღლებულ და მორალურად სპეტაკ ადამიანებს, ანუ წარმოაჩენს გადაგვარებული პროვინციული სამაზრო ქალაქისა და ზნეობრივად წმინდა, მამაპაპური კეთილშობილური ტრადიციების ერთგულ სოფელს. ბუნებრივია, მწერლის და მკითხველის სიმპათიები სოფლის მხარესაა თავისი შინაგანი პროტესტით ტრადიციების უარმყოფელი „ახალი დროის ახალ საგანს“ აკიდებული ქალაქისადმი.

თხზულების წერისას ავტორი არ ღალატობს ჩვეულ სტილს — თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენასთან შეზავებული ძველი ქართული ენით მეტყველების სტილს რუსულ ენობრივ კალკირებასაც მიმართავს მწერალი, რათა გვიჩვენოს რუსიფიკაციის შედეგად როგორ იჭრება ქართველთა მეტყველებაში რუსული სიტყვები, როგორც ენის დანაგვიანების საშუალება. ეს სენი არა მხოლოდ ქალაქს, არამედ სოფელსაც შეყრია გარკვეულწილად.

პიესის მხატვრული დონე დაბალია, დაცლილია მხატვრული საღებავებისაგან; ტროპის სახეებიდან გამოირჩევა მხოლოდ ეპითეტები, აქა-იქ გაკრთება მეტაფორა და მხატვრული შედარება.

გიორგი შარვაშიძის ერთმოქმედებიან ტრაგიკომედიას „კომლი უცეცხლოთ“ მწარე თავგადასავალი აქვს. იგი დიდხანს ითვლებოდა დაკარგულად. შექმნილია რუსულ ენაზე, რომელიც ქართულად უთარგმნია ნიკოლოზ წულუკიძეს. მიჩნეულია ავტობიოგრაფიულ ნა-

წარმოებად. მის სცენაზე დადგმას აკაკი წერეთლის ყურადღება მიუქცევია. საერთოდ, ეს პიესა XIX საუკუნის 90-იან წლებში დიდი პოპულარობით სარგებლობდა, რაზეც მეტყველებს გამოქვეყნებელი დადებითი რეცენზიები, პირველად დაუდგამთ ქუთაისის თეატრში 1893 წლის 14 ნოემბერს. ეს კომედიური ნაწარმოები მოცულობით პატარაა, სულ 9 გვერდიანი, არც მხატვრულ ღირებულებებით გამოირჩევა. გადატვირთულია დიალექტებით, ტროპული მეტყველების ნიმუშების სიღარიბით დაგვამახსოვრებს თავს.

გიორგი შარვაშიძეს მიაკუთვნებენ კიდევ ერთ პიესას, რუსულ ენაზე დაწერილს, რომელსაც ჰქვია „ბედისაგან დევნილი კაცი“. იგი დღემდე დაკარგულად ითვლება. რომ არა გაზეთ „დროების“ ცნობა, მასზე საერთოდ არაფერი გვეცოდინებოდა. გამომდინარე აქედან, ცხადია არც მის შინაარსზე გვექმნება წარმოდგენა. გამოთქმული მოსაზრებებით მასში ასახული უნდა ყოფილიყო გიორგი შარვაშიძის ახლო მეგობრისა და თანამოაზრის, ცნობილი ჟურნალისტის, რუსთველოლოგის, საზოგადო მოღვაწის, დავით ჩქოტუას თავგადასავალი, რომელიც ნამდვილად იყო ბედისაგან დევნილი კაცი.

VII. გიორგი შარვაშიძე იყო არა მარტო ჩინებული ლირიკოსი, ეპიკოსი, დრამატურგი, არამედ შეუპოვარი პუბლიცისტიც. მხატვრულ შემოქმედებასთან ერთად, პუბლიცისტურ წერილებშიც, თეატრალურ რეცენზიებშიც ავლენდა მწერალი ეროვნულ-მოქალაქეობრივ პოზიციას. ერუდიციას, სიმართლისადმი ერთგულ მსახურებას, შეუდრეკელ ხასიათს, წერის კულტურას, ცხოვრების შუაგულში ტრიალებდა და აქტიურად იყო ჩაბმული ეროვნულ გამათავისუფლებელ მოძრაობაში. პუბლიცისტის მხრიდან თანამედროვე ყოფითი მოვლენებისადმი წერილობითი გამოხმაურება არ ხდებოდა უბრალოდ მოვალეობის მოხდის მიზნით, არამედ გამოირჩეოდა პატრიოტული ენთუზიაზმით. მოქალაქეობრივი ვალით, ხასიათის პირდაპირობით, ნებისყოფის სიმტკიცით, სიტუაციაში გარკვევის უჩვეულო უნარით.

გიორგი შარვაშიძის პუბლიცისტური წერილები: „სოციალიზმი და საქართველო“, „პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი“, „ქართუ-

ლი ენის გარშემო", „ქართველი პროფესორის კაბინეტში", „წერილი გაზეთ „ბერლინერ ტაგებლატის რედაქტორს", „ასე იწერებოდა ისტორია" დატვირთულია ეროვნული ტენდენციებით, სამშობლოზე, მის ენასა და კულტურაზე ფიქრით. მამულის მოძალადეთა და დამამცირებელთა მხილებით, ქვეყნის უნუგეშო მდგომარეობიდან თავდასახსნელად გამოსავალი გზის ძიებით, მომავლის იმედით.

თეატრალური ხელონებისადმი მწერლის ინტერესებში სამამულო იდეები მოძრაობენ, თეატრალურ რეცენზიებში გიორგი შარვაშიძის თეატრალურ-ესთეტიკურ შეხედულებებთან ერთად გამოკვეთილია ეროვნული განცდები. მან შთამაგონებლად უწყოდა, რომ თეატრალური ხელოვნების განვითარება ქართული კულტურის წინსვლას უწყობდა ხელს, რაც საქართველოს დიდების მომასწავებელი იყო. ამიტომაც ამდიდრებდა რეპერტუარს საკუთარი პიესებით, ასევე კვალიფიციურ რეცენზიებს აქვეყნებდა ქართულ თეატრებში დადგმულ სპექტაკლებზე.

GIORGI SHARVASHIDZE'S LITERATURES-CULTURAL HERITAGE

resume

I Giorgi Sharvashidze is the symbol of historical brotherhood and friendship of Georgian and Abkhazian people. He is Georgian-language Abkhazian writer of the second part of XIX and the beginning of XX century. His personal dignity, merit, creative talent, national eagerness was partly appreciated during his life (Ak. Tsereteli, An. Purtseladze, K.Eristavi, I.Meunargia, T.Sakhokia..). His death was responded with grief by Nikoloz Tavdgiridze, Ilia Chkonia, Givi Goldend(Grigol Robakhidze).

The scientific research of Abkhazian writer's life and creative work started from 1928 with very important work created by Ac. Simon Janashia- "Giorgi Sharvashidze"(cultural-historical review). Since that a lot of researchers touched some moments of his life and writings which was shown in their published books, also in published letters and articles of newspapers and magazines (S. Dadiani, G.Kikodze, O.Churgulia, S.Lekishvili, G.Mikadze, S.Khutsishvili, A.Nikoleishvili, El. Tavberidze, E.Kharadze, A.Gadilia, O.Jordania, Z.Papaskiri, N.Kutsia, P.Kurdovanidze, J.Titmeria, Ts.Ardashelia, M.Jaiani, L.Jinjikhadze).

In those books the authors drew attention on Girogi Sharvashidze's life episodes, social-political activity, on different aspects of literatural-cultural heritage, about writer's humanistic credo, national-civic ideology, link with Georgian cultural world, sources of cultural and civic belief, interest of the theatratic art and etc.

The analysis of existing scientific literature about Giorgi Sharvashidze's life and creative work has shown that majority of named issues are discussed generally. It has not been studied writer's language

and style issues, ideas, artistic world, tropic speech, issues of prosody, meter and rhythm.

II There are not maintained detailed biographical notes about Giorgi Sharvashidze. Collecting fragments of biographical data which have reached to us, has shown that he has passed a very difficult and thorny path but the writer overcame difficulties and never fell morally, he defeated adversity with art; for the love of motherland he was ready to sacrifice, he was an active member of national-liberating movement and did not obey to Barbarian regime of Tsarism, he was sharply revealing its villains. His aim was the fight for the unity and freedom of his country.

Introduction of Giorgi Sharvashidze's episodes of life, biographical moments will represent clearly a pure writer and his personal qualities, moral neatness, an ability for sacrifice, the height of national self-awareness, the straightforwardness of character, creative energy. Revising the data gives an opportunity to correct the date of his birth, so the writer was born in 1849 but not in 1846 which was known and accepted till today.

III Giorgi Sharvashidze's national-civic ideology, national-civic position is divided in his literatural-cultural heritage which includes lyrics, epos, drama, publicism and theatratical letters. Abkhazian writer along with Georgian sisxtians is strengthening the national ideology, national awareness, national-patriotic enthusiasm. He showed these examples not only by his pen but also with his personal qualities and private life.

For a creative person Georgia was not only territory in its borders but it represented the breath of native people, the pulse of Georgian-Abkhazian languages, the purity of ancestors' faith, belief in salvation and freedom. Abkhazia and the rest of Georgia was the country of soul for him, he considered Abkhaz and Georgian people as one soul in two bodies.

He was deeply aware in this and inspired others: devotion of homeland is the word with deed but not the deed with word. It means that expressing the love of country with empty words is meaningless; it is

necessary to fight bravely and acting for the defense of its interests. In the writer's national-civic ideology is revealed his humanistic position. He is a fierce enemy of separatism, traitors of country, spies, generally he is against national-religious degeneration. He sacrificed himself for the unity of Georgia which was suppressed by Russian authorities' colonial policy. He disclosed mercilessly and condemned an unbearable regime of Tsarism in Georgia but he respected Russian nation and appreciated their language, culture, treated it with great respect.

IV In Giorgi Sharvashidze's Georgian lyrics is reflected the themes and motives which were characteristic for Georgian poetry at the second part of XIX century and at the beginning of XX century: patriotism, the feeling of love, unsatisfaction with present, pessimism, the feeling of vanity of transient world, reveal of injustice, an idea of friendship, sadness of world... In his ideology with national-civic ideology is risen terrestrial , earthly love. When he pictures the appearance of sweetheart, the poet is fed more or less with some sources. In his poetry is lustring the feeling which is similar to the love of God which is based on harmony of outer and inner beauty of the object of love. In some verses there is expressed an addiction with only outer appearance of sweetheart, sometimes it is felt suspicion in the power of love and preference to loneliness. Also there is a symbolical-allegorical expression or in sweetheart's person is thought the homeland.

In Abkhazian poet's lyrics was revealed personal and world sadness. it was caused by bad social conditions, sorrow about the crucified motherland, wrongness of life, awareness of world sadness. In his poetry the problem of transient world , the theme of death-life is linked directly with the issue of luckiness and unluckiness. The writer's pessimism is an expression of protest against existing reality but he is not completely disappointed poet, an ice of pessimism is melted by the Sun of optimism and warmness. His lyrics is melted by the idea of saving the mind with labor, an idea of friendship, motivation of serving brothers, the sense of motherly relations, the theme of nature.

Giorgi Sharvashidze's lyrical works were crated with Georgian literatural language. In some lines we may see influence of old Georgian speech, as well as dialectisms. There are no barbarisms. It is evident that expression of saying poetically happens with artistic means from where the major part is artistic comparison. Besides this, it is characteristic for him metaphorical style of thought, epithetical speech, personification , hyperbole. In some cases, author cannot avoid traditions of Georgian literature and influence of folk . It is very impressive the poet's aphoristic-preverbal dictums.

Abkhazian poet's Georgian lyrics is comprised with three measuring entity: Rustaveli's meter, 8 -syllable and 10-syllable measures. Except some exceptions, the lines of verses are based on fourlines. The rhythm is worth of attention, there are : manly, womanly, dactylistic, hyperdactylistic, there are outer and crossing rhythms, also the euphony of rhythm (exact, rich, poor, inexact, open and closed), the morphology of rhythm. Mostly it is used crossing rhythms, in other cases the second line of versus is rhymed with the fourth line, the first-the third is not rhymed.

V We have got the only and uncompleted poem "The prison of Gvadani". It is the work with two chapters. In the first chapter, is the story of the head of Khazars, the situation is developed in north Caucasus, between the territory of Russia and Cherkhezia, in the second chapter we are introduced to Georgian head –Zurab Vachnadze's family and his adventure, correspondingly action happens in Georgia but we cannot see in which part it is happening concretely. There is no ideologicai-contentive link between the first and second chapters, here we deal with illogical situation.

Identification "Khazar nation" with Abkhazian people has no evidence, also to consider "The prison of Gvadani" as the expression of an idea of Georgian unity is unjustifiable. "khazar nation" is the product of author's fantasy. , this tribe has never lived in north Caucasus. It is not excluded that in Khazars the poet meant Khivchags.

It seems that Giorgi Sharvashide planned this poem for showing po-

litical and friendly unity of Caucasian peoples. It depended on making related Khazars and Georgians for encouraging other Caucasian tribes. According to the story, the idea of unity came from north Caucasus which shows itself on the might of Georgia during David builder. Emphasizing the idea of Caucasian peoples' unity during the period of Giorgi Sharvashidze, was justified for liberating from suffering Tsarism.

Giorgi Sharvashidze's poetic energy, his opportunities was revealed mostly in "the prison of Gvadani". His tropic speech is attractive, imagination of artistic colors of nature. Poet's effort of thinking with images is spread in artistic comparison, metaphors, epithets, personification... Original artistic images is colored with positive influences.

The verse of "The prison of Gvadani" is fourlined, it is done with the single measure, it is 10-syllbale verses. Except some exceptions, the poet does not seem as a great master of rhythm. Here he does not show any originality. His rhythms mostly are primitive, simple and poor. His vocation is to give ideological-contentive burden to lines and totally to- verse. In the poem there are one-syllable and two-syllable rythms,also there are three-syllable, four-syllable and five-syllable rhythms too. For "the prison of Gvadani" it is characteristic only outer rhythms, mostly crossing ones. There are some exceptions with bordering or parallel rhythms, arched.

The eponymy of rhythm is created with exact, rich, poor, lacking or inexact rhythms. The morphology of rhythms is : existing images are used as base rhythms, except story, there is combination of noun and verb.

VI We have maintained three plays by Abkhazian dramatist: "Giorgi the third", "Dying pictures", "Household without fire", but the fourth "The man persecuted by fate" is considered as lost. "Giorgi the third" is distinguished with tense dramatism of plot. The main topic of it is the maintenance of unity of Georgia inherited from David builder with showing ruthlessness against cleavage wishers. The main character of story is prince Demna who is distinguished with humanism, Christian ethics, national ideals. The rest of heroes are divided between the supporters of Georgian king Giorgi the third and opponents

The play is based on Christian foundation and motives where is silhouetted author's attitude towards Christianity, deep knowledge of Bible, Georgian culture of medieval centuries, XIX century Georgian classic literature. Comparative analysis of "the knight in the panter's skin" and "Giorgi the third" shows that Giorgi Sharvashidze exactly repeats the screen of accession of Tinatin imagining the picture of Tamar's accession to the throne. Here is the hint that the dramatist had read the image of Tamar in Tinatin's image.

The play is written with modern Georgian literatural language but as it was expected, the writer sometimes uses the language of "the life of Kartli", old Georgian vocabulary fund. The story has the charm of old Georgian language. We may find the trend towards dialects.

The shape and content of "Giorgi the third" does not lag behind each other, on the contrary they fill each other and impress the reader greatly. The author is moderate during using artistic comparisons. He mostly uses artistic comparison, epithet, metaphor. For the play, it is characteristic so called allegories which fulfill its function. It makes more impressive the story. The reader wants to understand the allegories in which the heroes help him. The story is full of proverbs and aphorisms. They seem as precious stones there. Here we see laconic, logical conclusion effect of expression of ideas.

"Giorgi the third" is the prose with rhymes. There are totally 1560 lines, from them 540 are verses. Giorgi Sharvashidze reaches high level in poetic part. Also we must point out that the rhythm of prose conditions to move into poetry . This move is a way for "breathing out" and "resting", and the reader does not get tired from it.

In the play we have twolined, threelined, fourlined, fivelined, sixlined verses. there are decorated with different measures form where the most popular is 14-syllable line. There are 460 lines with this measure (from 540 verses). Also we meet 5-syllable,8-syllable, 10-syllable, 15-syllable,16-syllable lines.

In this play Giorgi Sharvashidze does not seem as the great master

of rhythm. There are manly, womanly, dactyl, hyperdactyl rhythms. For play generally is characteristic outer rhythms, except some exceptions, the verses are banked with bordering or parallel rhythms which is conditioned by the dominance of twolined verses. The amount of crossing rhythmical verses is few. The inner rhythm is not confirmed at all. There are all kind of rhythms known in Georgian classic poetry (exact, deep, rich, poor, lacking, open, closed rhythms).

"Dying pictures' reflects the Georgian reality of the second half of XIX century. The play was staged in Georgia in 1881, 11th November . Here is shown the details of aristocrats' "dying" society, their immoral, idler ,morally degraded meaningless life. But the author searches to find "manly feelings" and remains of honesty. The reader makes conclusions himself that this society is transient and it will be replaced by other social relations.

The dramatist contradicts morally exhausted high society to spiritually pure humans or he reveals degenerated city and morally pure, traditional village. It is natural that the writer's sympathies are towards the village against the city which rejects traditions and obsessed with "new subject of new age".

During writing the author does not betray to his own style- modern literatural language shared with old Georgian speech. He uses copying of Russian language to show how Russian words are invaded in Georgian speech as a result of Russification which is the instrument of littering a language. This infection is spread not only in city but in the village as well.

The artistic level of play is law ,it is emptied from artistic colors. there are only epithets, few metaphors and artistic comparison.

Giorgi Sharvashidze's one act tragic comedy "household without fire" has a bitter adventure. It was considered as lost for a long time. It was created in Russian language which was translated into Georgian by Nikoloz Tsulukidze. It is considered as autobiography. Akaki Tsereleli was interested when it was staged. Generally this play was very popular

in nineties of XIX century which is shown by positive published reviews. At first it was staged in Kutaisi theatre in 1893, 14th November. This comedy is small by sixe, only 9 pages, and has no artistic value, is full of dialects.

One more play belongs to Giorgi Sharvashidze, written in Russian "Man persecuted by fate". It was considered as lost till today. If we did not have the information from the newspaper "Droeba", we would not know about it anything. Therefore, we don't have any idea about its content. By some thought, there had to be reflected Davit Chkotua's adventure who was Giorgi Sharvashidze's close friend, famous journalist, Rustvelologist who was really persecuted by fate.

VII Giorgi Sharvashidze was not only good poet, dramatist but great publicist too. Along with artistic work in publicist letters and theatrical reviews the writer showed his national-civic position, erudition, service to the truth, brave character. He took part actively in national-liberating movement. The letters about actual topics of life was not formal obligation for him but it was characterized with patriotic enthusiasm, citizen's duty, directness, strongness of will and with ability to comprehend the situation.

Giorgi Sharvashidze's publicist letter "Socialism and Georgia', "Patriotism and cosmopolitism", "about Georgian language", In the study of Georgian professor", "the letter to the editor of Berliner Tagerblat", "the history is written by this way" are full of national trends, with the thought about homeland, language and culture, disclosing the enemy of country, searching the ways of salvation of our country and with the hope of future.

In theatratical art letters the main are ideas of homeland, with aesthetic views we see national feelings. He knew that the development of theatratical art helped an advance of Georgian culture which was the sign of Georgian glory. That's why he enriched repertory with his plays and published qualified reviews about the performances on Georgian stage.

წყაროებისა და ლიტერატურის მათითებელი

ა) წყაროები

1. ბიბლია (მცხეთური ხელნაწერი), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1981-1986;
2. ახალი აღთქუმა , თბ., 1963;
3. ფსალმუნნი, ძველი რედაქციები X-XIII სს. ხელნაწერების მიხედვით, ტექსტები, I, მზ. შანიძის გამოცემა, თბ., 1960;
4. აბულაძე ილ., ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973;
5. არისტოტელე, პოეტიკა, ს.დანელიას თარგმანითა და წინასიტყვაობით, თბ., 1944;
6. გეორგიკა, IV, თბ., 1973;
7. გურამიშვილი დ., თხზულებათა სრული კრებული, შეადგინა და შესავალი წერილი დაურთო სარგის ცაიშვილმა, თბ., 1980;
8. დამასკელი იოანე, მართლმადიდებელი სარწმუნოების ზუსტი გადმოცემა, თბ., 2002;
9. დგებუაძე-ფულარია ფ., ოქროს ბეჭედი, თბ., 1989;
10. გაზ. „დროება“, №17, 1869;
11. გაზ. „დროება“, №2, 15 (27), 1870;
12. გაზ. „დროება“, №82, 1876;
13. გაზ. „დროება“, №43, 45, 46, 48, 49, 82, 187, 1878;
14. გაზ. „დროება“, №227, 1880;
15. გაზ. „დროება“, №236, 239, 259, 1881;
16. გაზ. „დროება“, №27, 58, 1882;
17. გაზ. „დროება“, №1, 7, 1883;
18. გაზ. „დროება“, 1909, 18 დეკემბერი;
19. ევლია ჩელები, მოგზაურობის წიგნი, ნარკვ. I, თბ., 1971;
20. გაზ. „Закавказская речь“, №146, 1911;
21. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, №24, 1914;
22. ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, №10, 1918;
23. გაზ. „ივერია“, №11, 1881;
24. ჟურნ. „ივერია“, №3, 1883;

25. გაზ. „ივერია“, №2, 1892;
26. გაზ. „ივერია“, 1893, №215, 221, 225, 530, 232, 235, 239, 242, 254, 256, 266, 273;
27. გაზ. „ივერია“, №29, 1894;
28. გაზ. „ივერია“, №258, 257, 1895;
29. გაზ. „ივერია“, №3, 1903;
30. გაზ. „ივერია“, №3, 76, 1904;
31. გაზ. „კვალი“, №50, 1893;
32. ჟურნ. „კვალი“, №51, 1895;
33. **ლაო-ძი,** დაო დე ძინი, თარგმანი, შესავალი და განმარტებანი ლ. ალიმონაკისა, თბ., 1983;
34. **მიქაელ მოდრეკილის** ჰიმნები, ტექსტი გადმოწერა დედნიდან და გამოსცა ვაჟა გვახარიამ, თბ. 1978;
35. **ალ. ნეიმანი,** ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბ., 1978;
36. გაზ. „Новое обозрение“, 1895, 28 ноября;
37. **ორბელიანი სულხან-საბა,** ლექსიკონი ქართული, I, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკონის საძიებელი დაურთო ილ. აბულაძემ, თბ., 1991;
38. **ორბელიანი სულხან-საბა,** ლექსიკონი ქართული, II, ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკონის საძიებელი დაურთო ილ. აბულაძემ, თბ., 1993;
39. გაზ. „პათქარი“, №6, 8, 1916;
40. **რაინერ მარია რილკე,** ფრანგული წერილებიდან, „ახალი თარგმანები“, თბ., 1992;
41. **რუსთაველი შოთა,** „ვეფხისტყაოსანი“, აკ. შანიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, თბ., 1966;
42. გაზ. „საქართველო“ №169, 1915;
43. გაზ. „საქართველო“, №43, 1916;
44. გაზ. „საქართველო“, №137, 140, 1917;
45. გაზ. „Сухумский вестник“, №67, 1917;
46. გაზ. „Тифлиский вестник“, 1895, ნოემბერი;
47. უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შეადგინა მიხეილ ჭაბაშვილმა, თბ,. 1989;

48. ქართლის ცხოვრება, I, ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა **სიმონ ყაუხჩიშვილმა**, თბ., 1955;
49. ქართლის ცხოვრება, II, ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით გამოსაცემად მოამზადა **სიმონ ყაუხჩიშვილმა**, თბ., 1959;
50. ქართლის ცხოვრება, IV, გამოსცა სიმონ ყაუხჩიშვილმა, თბ., 1973;
51. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, I, არნოლდ ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბ., 1950;
52. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, VI, **არნოლდ ჩიქობავას** საერთო რედაქციით, თბ., 1960;
53. ქართული ხალხური პოეზია, VII, შეადგინეს, გამოკვლევა, შენიშვნები და ვარიანტები დაურთეს: ელ. ვირსალაძემ, ჯ. ბარდაველიძემ, დ. გოგოჭურმა, ფ. ზანდუკელმა, ვ. მაცაბერიძემ, თბ., 1979;
54. **შარვაშიძე გ.**, ლირიკა, ეპოსი, დრამა, აკად. სიმონ ჯანაშიას რედაქციით და ნარკვევით, თბ., 1985;
55. **შარვაშიძე გ.**, თხზულებანი, I, რედაქტორ-შემდგენელი ელგუჯა თავბერიძე, ქუთაისი, 2006.
56. **შარვაშიძე გ.**, თხზულებანი, II, რედაქტორ-შემდგენელი ელგუჯა თავბერიძე, ქუთაისი, 2006.
57. გაზ. „შრომა", №1, 1881;
58. **დ. ჩუბინაშვილი**, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო აკ. შანიძემ, ბ., 1984;
59. **დ. ჩუბინაშვილი**, ქართული ლექსიკონი, ალ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1961;
60. **ნ. ჩუბინაშვილი**, ქართული ლექსიკონი, ალ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ, 1961;
61. გაზ. „ცნობის ფურცელი", №337, 1897;
62. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I (V-X სს), დასაბეჭდად მოამზადეს: ილ. აბულაძემ, ნ. ათანელიშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქავჯაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილ. აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1963;
63. ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II (XI-XII სს), დასაბეჭდად მოამზადეს: ილ. აბულაძემ, ნ. ათანელ-

იშვილმა, ნ. გოგუაძემ, ლ. ქავკაიამ, ც. ქურციკიძემ, ც. ჭანკიევმა და ც. ჯღამაიამ, ილ აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით, თბ., 1963;
64. ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია, I, შემდგენელი ს. ყუბანეიშვილი, თბ., 1947;
65. **პეტრიწი იოანე**, სათნოებათა კიბე, გამოსცა ივ. ლოლაშვილმა, თბ., 1962;

ბ) ლიტერატურა

66. **აგრბა ვ.**, აფხაზური პოეზია და ზეპირი სალხური შემოქმედება, თბ., 1970;
67. **ანდრონიკაშვილი მ.**, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, თბ., 1966;
68. **ანთელავა ილ.** ლევან II დადიანი, თბ., 1990;
69. **არდაშელია ც.**, ყვირილი გვმართებს დღისით, მზისით, თბ., 1993;
70. **Анчабадзе З.В.**, Из истории средтевековой Абхазии, Сухуми, 1959;
71. ახალაძე ლ. აფხაზეთის ეპიგრაფიკა, როგორც საისტორიო წყარო, I, თბ., 2005;
72. **Абрюцкий**, Статистический взгляд на Адхазию, Тифлиские ведемости, 1831;
73. **ბარამიძე ალ.** შოთა რუსთველი, თბ., 1975;
74. **ბარდაველიძე ჯ.** ქართული სალხური ლექსი,თბ., 1979;
75. **ბერძენიშვილი ნ.**, საქართველოს ისტორიის საკითხები, III, თბ., 1965;
76. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975;
77. ბერძენიშვილი ნ., საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990;
78. **Бороздин К.А.** Закавказские воспоминания, Мингрелия и Сванетия, С 1854 по 1861 г., СПб, 1885;
79. **ბღაჟბა ხ.**, წინასიტყვაობა, აფხაზეთის მწერლობა, თბ., 1937;
80. **გაძილია ა.**, მეგობრობის საგალობელი, თბ., 2008;
81. **Гамахария Дж., Гогия Г.**, Адхазия – Историческая область

Грузии. Тб., 1997;
82. **გამახარია ჯ.** წმინდა ალმსარებელი ამბროსი (ხელაია), თბ., 2012;
83. **გაფრინდაშვილი ნ., მირესაშვილი მ.,** ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები, თბ., 2008;
84. **გაწერელია აკ.,** ქართული კლასიკური ლექსი, თბ., 1953;
85. **გაწერელია აკ.,** რჩეული ნაწერები, II, თბ., 1965;
86. **გაწერელია აკ.,** რჩეული ნაწერები, III (1), თბ., 1981;
87. **გოლლენდი გ.** „გიორგი შარვაშიძე", გაზ. „საქართველო", №45, 1918;
88. **Гулия Д.,** История Абхазий;
89. **Гулия Д.,** О моей книге История Адхазий. Сухуми, 1951;
90. **გულია დ.,** Сочинение, VI, Сухуми, 1986;
91. **გუნია ვ.,** ქართული თეატრი, თბ., 1898;
92. **დადიანი შ.,** სილუეტი ნიკო დადიანისა, ჟურნ. „ქართული მწერლობა", თბ., 1927;
93. **დადიანი შ.,** გიორგი შარვაშიძის დაბადებიდან 100 წლისთავის გამო, წიგნში: გ. შარვაშიძე, თხზ., II, ქუთაისი, 2006;
94. **Дзидзария Г.А.,** Декабристи в Абхазий, Сухуми, 1970;
95. **Дзидзария Г.А.,** Махаджирство и проблемы истории Абхазий XIX Столетия, Сухуми, 1982;
96. **დუმბაძე მ.,** სამეგრელოს სამთავრო 1803-1855 წლებში;
97. **ვაჟა-ფშაველა,** თხზ., V, თბ., 1961;
98. **თაბერიძე ელ.,** უბედო მამულის ყმა, წიგნში: გ. შარვაშიძე, თხზ., II, 2006;
99. **თაკალანძე ნ.,** მიხეილ შარვაშიძე: ცხოვრება და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა (სადისერტაციო ნაშრომი, ინახება საქართველოს პარლამენტის თბილისის საჯარო ბიბლიოთეკაში), 2000;
100. **თითმერია ჯ.,** დიალოგი გიორგი შარვაშიძესთან, წიგნში, გ. შარვაშიძე თხზ., II;
101. **ინალ-იფა შ.,** აფხაზურ მწერლობა გუშინ დად ღეს., თბ., 1973;
102. **Кация А.Л.** Памятники архитектура в долине Цкуары, Сухуми, 1967;

103. **კეკელიძე კ.** ბარამიძე ალ. ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1987;
104. **კვაშილავა კ.** ისტორიული სამურზაყანოს წარსულიდან, თბ., 2011;
105. **კუცია ნ.**, „ვერ გადაეგვარდე გვარადა“ (ფიქრები გიორგი შარვაშიძის პოეზიაზე), სოხუმის სახელმწ. უნივერსიტეტთან არსებული ქართველური ენათმეცნ. ინსტ. და აფხაზური ენისა და კულტურის ინსტიტუტის სამეც. შრომ. კრებული – ფილოლოგიური პარალელები, III, თბ., 2011;
106. **ლაკერბაი მ.**, აფხაზური თეატრის ისტორიიდან, თბ., 1957;
107. **Лакоба С. З.**, Очерки политической Абхазий, Сухуми, 1990;
108. **ლეკიშვილი ს.**, გიორგი შარვაშიძე, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1967, 6 იანვარი;
109. **ლეკიშვილი ს.**, გიორგი შარვაშიძის დაკარგული პიესა „კომლი უცეცხლოდ“., ჟურნ. „თეატრალური მოამბე“, №3 (55), 1970, მაის-ივნისი;
110. **ლეკიშვილი ს.**, გიორგი შარვაშიძე (დოკუმენტური მასალები), საქართვ. მთავრ. საარქ. სამმართველოს „საისტორიო მოამბე“., №31-32, თბ., 1875;
111. **მარუაშვილი ლ.**, მღვიმეთმცოდნეობის საფუძვლები, თბ., 1973;
112. მეტრი და რითმა „ვეფხისტყაოსანში“., გ. წერეთლის რედაქციითა და გამოკვლევით, თბ., 1973;
113. **მიბჩუანი თ.**, აფხაზეთი, II (XVI-XX სს), თბ., 2006;
114. **მიქაძე გ.** ნარკვევები ქართული პოეტიკის ისტორიიდან, თბ., 1974;
115. **მიქაძე გ.**, ქართულ ფსევდონიმათა სამყაროში, თბ., 1998;
116. **მოსია ტ.**, ბიბლიურ-საღვთისმეტყველო ძეგლების მეტაფორა-სიმბოლიკის საკითხები, თბ., 1997;
117. **მოსია ტ.**, ძველი ჩინური პოეზია., თბ., 2010;
118. **ნიკოლეიშვილი ა.**, გიორგი შარვაშიძე – საქართველოს ერთიანობისათვის მებრძოლი აფხაზი მწერალი წიგნში: გ. შარვაშიძე, თხზ., II, 2006;
119. **ნოზაძე ვ.** ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება, სანტიაგო დე ჩილე, 1957;

120. **ნორაკიძე ვ.,** დავით გურამიშვილი ფსიქოლოგიური პორტრეტი, თბ., 1980;
121. **პაპასქირი ზ.,** ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის სიძორიული წარსულიდან, I, თბ., 2004'
122. **პაპასქირი ზ.,** ღვაწლი დიდი მამულიშვილისა, სოხუმის სახელმწ. უნივერსიტეტის შრომები, I, თბ., 2007;
123. **პაპასქირი ზ.,** გიორგი შარვაშიძე, წიგნში: „დიდი საქმენი", თბ., 2011;
124. **ურდანია ო.,** სიტყვა გიორგი შარვაშიძეზე, თსუ სოხუმის ფილიალის გაზეთი „სოხუმის სადროშო", 30 მარტი, 1996;
125. **სახოკია თ.,** სოხუმიდან გაგრამდე, გაზ. „ცნობის ფურცელი", 18 დეკემბერი, 1903;
126. **სახოკია თ.,** მოგზაურობანი, თბ., 1950;
127. **Селезнев В.,** Руководство к познанию Кавказа, кн.,II, СПб.,1877;
128. **სოსელია ო.,** ნარკვევები ფეოდალური ხანის დას. საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ისტორიიდან, ნაწილი III, თბ., 1957;
129. **Торнау,** Воспоминания кавказского офицера, Русский вестник, №9, 1864;
130. **ტულუში ა.,** აფხაზეთის სამთავროს წარმოშობის დროის საკითხისათვის, თბ., 2001;
131. **ქადარია თ.,** სამეგრელოს სამთავრო XIX საუკუნის ნახევარში;
132. **ჭიჭოძე გ.** აფხაზეთ-საქართველოს ურთიერთობიდან წიგნში: გ. შარვაშიძე, თხზ., II;
133. **ჭურდოვანიძე პ.,** ქართულ-აფხაზური ალბომი, რედაქტორი და შემდგენელი ხათუნა ჭურღულია, თბ., 2008;
134. **Шервашидзе Г.М.,** Так пишется история, газ. "Закавказье", №125-126, 1910;
135. **ჩიტაია დ.,** აფხაზეთის საკითხი საქართველოს პირველ რესპუბლიკაში, აფხაზეთის სახალხო საბჭო 1917-1921 წლებში, თბ., 2006;
136. **Чхетия Ш.,** Документы по истории Грузии, ч. I, Тб, 195;
137. **ჩხეტია შ.,** აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის 1853-1855 წლებში, „საისტორიო მოამბე", №15-16, 1963;

138. ცაიშვილი სარგ. წინამორბედნი და თანამედროვენი, თბ., 19684;
139. ძველი ჩინური ფილოსოფია, I, მოსკ., 1972;
140. წერეთელი აკ., ქართული სცენა, ჟურნ. „კაკალი“, №51, 1895;
141. ჭავჭავაძე ი., თხზ., X, ბ., 1961;
142. ჭილაია ა., ლიტერატურისმცოდნეობის ძირითადი ცნებები, თბ., 1971;
143. ჭურღულია ო., დავი ჩქოტუა, სოხუმი, 1969;
144. ჭურღულია ო., ნარკვევები ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, სოხუმი, 1974;
145. ჭურღულია ო., ქართულ-აფხაზური ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობანი, თბ., 1983;
146. ჭურღულია ო., „სიტყვა ფიქრის სხეულია“ (წერილები და გამოკვლევები), თბ., 1992;
147. ჭურღულია ო., შარვაშიძეები, თბ., 2004;
148. ჭუმბურიძე ზ., რა გქვია შენ? თბ., 1982;
149. ჭყონია ი., აფხაზეთის მთავრის მემკვიდრის გიორგი შარვაშიძის გარდაცვალების გამო, წიგნში: გ. შარვაშიძე, თხზ., II, 2006;
150. ხარაძე ე., გიორგი შარვაშიძე და თეატრი, თბ., 1997;
151. ხორავა ბ., ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობა XV-XVIII სს., თბ., 1996;
152. Хуцишвили С. „Тогда звучит мая лира“, газ.„ Вечерный Тбилиси“, №37, 1971;
153. ჯაიანი მ., დავით ჩქოტუას ცხოვრება და შემოქმედება., თბ., 2005;
154. ჯანაშია წ., შრომები, II, თბ., 1952;
155. ჯანაშია ს., გიორგი შარვაშიძე (კულტურულ-ისტორიული ნარკვევი), წიგნში: გ. შარვაშიძე, ლირიკა ეპოსი, დრამა, თბ., 1985; გ. შარვაშიძე, თხზ., I, ქუთაისი, 2006;
156. ჯინჯიხაძე ლ., ლიტერატურულ-ეტიმოლოგიური ძიებანი, თბ., 2012;
157. ჯიქონია ი., „ქართლის ცხოვრება“ VII-XII საუკუნეების საქართველო-ჩრდილოეთ კავკასიის პოლიტიკური ურთიერთობის შესახებ, თბ., 2012.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი 6

თავი პირველი
გიორგი შარვაშიძის ლიტერატურულ-კულტურული
მემკვიდრეობის ქართველი მკვლევარნი 19

თავი მეორე
იორგი შარვაშიძის ცხოვრების გზებზე 90

თავი მესამე
გიორგი შარვაშიძის ეროვნულ-მოქალაქეობრივი
მსოფლმხედველობა 186

თავი მეოთხე
გიორგი შარვაშიძის ქართული ლირიკიდან 220

თავი მეხუთე
გიორგი შარვაშიძის ეპიკური მემკვიდრეობიდან 286

თავი მეექვსე
გიორგი შარვაშიძე – დრამატურგი 335

თავი მეშვიდე
გიორგი შარვაშიძის პუბლიცისტიკიდან 575

საგამომცემლო უზრუნველყოფა:
გამომცემლობა „ივერიონი“

დირექტორი: ზაურ ნაჭყებია

ტექნიკური რედაქტორი: ასმათ ფიფია